ნაცვალსახელებიდან: მ ა ს — მ ა ს ი, აქედან კი — მ ა ს ო ბ ა, მ ა ს ე ე ო ბ ა, ი გ ი — ი გ ი ო ბ ა, ი გ ი ე ე ო ბ ა; თ ვ თ — თ ვ თ ო ბ ა, თ ვ თ ე ბ ა ...

თანდებულიდან: — ვ ა ნ — ვ ა ნ ი, ვ ა ნ ო; ვ ა ნ ო—ვ ა ნ ო ბ ა (არისტოტელის ვ ა ნ ო ბ ა, პერიპატოს ვ ა ნ ო ნ: ის, ვინც არისტოტელის მიმდევარია, მისი სკოლიდანა გამოსული). ვ ა ნ ო თანდებულიდან ნაწარმოება ზმნა—ი ვ ა ნ ო ა, აბსტრაქტული სახელი ვ ა ნ ო ო ბ ა. ე ე რ ძ ო—ე ე რ ძ ო ბ ა, მიერ—მიერი.

ზმნისზედიდან: ო დ ე ს ა ე — ო დ ე ს ა ე ი, ე ე რ ა ე — ე ე რ ა ე ი.

ნაწილაკიდან ა ს ა — ა ს ა ბ ა და სხვ.

მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ ამგვარი წარმოება გავრცელებულია ძველ ქართულში. მეტად ფართოდ აქვს იგი გამოყენებული ეფრემ მცირესაც თავის ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა თარგმანებში სწორედ ტერმინების საწარმოებლად, მაგრამ მისი ენის ხელოვნურობაზე ორა�ლაპარაკობს. ამგვარად წარმოებული სიტყვები გავრცელებულია ახალ ქართულში (ა რ ს — ა რ ს ი — ა რ ს ე ბ ა,

ღარს — ღარსი, მრწამს — მრწამსი, ოგივე — ოგივეობა, თესი — თესება. ცნობილია, რომ გეოგრაფიული სახელი ხერთვისი ნაწარმოებია ზმნიდან ერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვით და ამგვარად, მისი გასუბსტანტივებით. ადგილ, სადაც მდინარეები ერთმანეთს ერთვიან, არის ხერთვისი.[1] ქართული ენის ეს დამახასიათებელი თავისებურება აღნიშნული აქვს პროფ. ა. შანიძეს თავის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში", სადაც ნათქვამია: „ქართულ ენას შეუძლია ბრუნვის არა მარტო სახელი, არამედ ზმნაც, ზმნისზედაც, თანდებული, კავშირიც, ნაწილაკიც, შორისდებული, ე. ი. უოველგვარი სიტყვა, მათ შორის, ჩვეულებრივი სახელის რიგელმე ბრუნვის ფორმაც. მეტიც შეიძლება თქვას: ქართულს შეუძლია ბრუნვის მთელი წინადადებაც კი. ქართული ენის ამ თავისებურებას უკვე ილია ჭავჭავაძემ მიაქცია უურადღება (ათ ისტორია, ტ. V, 1927, გვ. 95)"[2]. პროფ. ა. შანიძეს რამდენიმე გვერდზე მოაყავს ზემოთქმულის დამადასტურებელი მაგალითები.

როგორც ეხედავთ, ესეც ქართული ენის თავისებურება ყოფილა და არა იოანე პეტრწინის მიერ გამოგონილი, ხელოვნური საშუალება. მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას და ისიც იოანე პეტრწინის სასახელოდ, რომ მან თავისი ბრწყინვალე ცოდნისა და შეუცდომელი ენობრივი აღღის წყალობით შესანიშნავად გამოიყენა ქართული ენის შესაძლებლობანი მისი ლექსიკის გასამდიდრებლად.

ამ მხრივ მეტად საინტერესო მასალას იძლევა იოანე პეტრწინის ენის შედარება ეფრემ მცირის, როგორც ფილოსოფიური თხზულებების (პეტრე იბერიელის შრომების) მთარგმნელის ენასთან. ეფრემ მცირე ისევე, როგორც იოანე პეტრწინი, აზრის სიზუსტის დაცვისათვის, ფილოსოფიური მსჯელობის გადმოცემისათვის, სპეციალურ ტერმინოლოგიას იშველიებს. ტერმინთა წარმოების ტიპები ორივე მოაზროვნისა მსგავსია, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათი წყარო ქართული ენის ცოცხალი მასალაა, ზოგჯერ მათ შექმნილი ტერმინები სრულად თანხვდება ფორმითაც და მნიშვნელობითაც. თვითება, თვითებითი, მასი, მასეობა, ყოველობა, ეგებისი, ეყოფ, ეყოსი და სხვა ორივე მოაზროვნის ენაში თანაბრად გვხვდება. ეფრემ მცირეც ისევე, როგორც იოანე პეტრწინი, ფართოდ იყენებს ქართული ენის შესაძლებლობებს ახალი სემასიოლოგიური ერთეულების შესაქმნელად.

დასასრულ, აღსანიშნავია ისიც, რომ იოანე პეტრწინი ერთი და იმავე ბერძნული სიტყვის გადმოსაცემად მოხერხებულად იყენებს ქართული ენის მრავალფეროვან საშუალებებს და ერთი და იმავე ტერმინის მნიშვნელობის სხვადასხვა ნიუანსს წარმოების სხვადასხვა საშუალებებით გადმოსცემს. ამ გზით იგი მდიდარ სინონიმურ წყვილებს იძლევა. ამ მხრივ იოანე პეტრწინის ენა მეტად ძვირფასი წყაროა თანამედროვე ქართულისათვის, განსაკუთრებით კი, ფილოსოფიისა და სპეციალურ დარგთა ტერმინოლოგიისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილ მცირე რაოდენობის მაგალითებიდან ბევრი დღესაც სწორედ ტერმინოლოგიური მნიშვნელობით იხმარება, ალარფერს ეამბობთ იმ ზღვა მასალაზე, რომელსაც იოანე პეტრწინი გვაწვდის და რომლის სრულად მოყვანა აქ შეუძლებელია. ასეთებია: მგრძნობელობა, სიტყვიება, მხედველობა, მეერნალობა, ესაზღვრობა, მიეწვდომობა, ესრეობა, ესამართლობა, სხვაობა, გასხვავება, რაობა, რაოდენობა, არსობა; შესატყვისი, დასაწყისი; ღირღენიანი (ღირღენიანობა), გვარეული, ყვრიანი; ნიეთიერი, სელიერი, ზომიერი, ცნობიერება, სიტყვიერი-სიტყვიერება; გონებრივი, მრგუელი, ქვეგრიეი, სხვეულებრივი, ბაკვრიეი; გრძნობადი, აღორძინებადი, ფრიადი; კიდოვნებითი, სიტყვიერებითი, ბუნებითი, ცხოველობითი და სხვა ტიპის წარმოებანი, რომლებიც დღეს ქართულ ტერმინოლოგიაში ფართოდ გამოყენებული.

როგორც ეხედავთ, იოანე პეტრწინის სიტყვაწარმოებას რეალური საფუძველი აქვს ძველ ქართულ სამწერლო ენაში. სიტყვები ქართული ენის დადგენილი უალიბების მიხედვითაა აგებული და ყველაზე „ხელოვნურიც" კი მათ შორის, ადვილად მოიძებნება არა მარტო ძველი ქართული ენის ძეგლებში, არამედ თანამედროვე ქართულ სასაუბრო ენაშიც. იოანე პეტრწინის მიერ შექმნილი ტერმინები და მათი აგების წესები თანამედროვე ქართული დარგობრივი ტერმინოლოგიის გამდიდრებისათვის მეტად საესარგებლო წყაროს წარმოადგენს.

• • •

ზედმეტია ლაპარაკი იოანე პეტრწინის ენის ხელოვნურობაზე ფონეტიკისა და მორფოლოგიის სფეროში. აქ მისი ენა „იდეალური სასწორის" ნიშანია. იოანე პეტრწინის ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური ფაქტები ძველ ქართული ენის ნორმებს მიესადაგება, მაგრამ ამ მხრივ კონსერვატული სრულადაც არ არის, როგორც შეფერება XI-XII საუკუნეების სამ-

---

[1] ა. შანიძე. ნაშთები III ტომ. პრეფიქსის ხმარებისა... თხზ. ტ. 1, გვ. 268.

[2] ა. შანიძე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1,1953, გვ. 77.

წერილ ენას, იოანე პეტრიწი თავისუფლად უმ-ეკებს თითქმის ყველა, მის დროს საწერილ ენა-ში თუნდაც აკ-იქ შემოპარულ ამ ფორმებს, რომლებიც შემდგომს ქართველნი ზეკიდრებენ და ბატონდება და ამიტომ ახალ ქართულს შოელენებადაა მიჩნეული.

ასეთია რაკლენ მეკეკუთენება:[1] 1. ზმნისწინ-თა განმარტოვება ა>ა, გან>გა, წარ>წა ზმნისწინებისა: აგითქუამ, ანათხზა, აგებეულ; გაკყოფს, გაზიდეკს, გასხეკებულ, გაიგონებენ, გაეგ-რიდებს; წამწყერეკულებულ.

2. მდე თანდებულანი ეთარებითის ფონე-ტიკურად გამარტიკებული სახის ჩეკულებრივი ხმარება: (ადმდე>ამდე) სიღრმემდე, უსაზღვროობამდე, უკეანამდსკნე-ლამდე...

3. მრავლობით რიცხვში ებ სუფიქსის გამო-ყენება(თუმცა ამეიათად): წიგნები, ძალე-ბი, სახეები, სიტყვები, სახელები, თვალები, საყდრები, ხატები...

4. ადამიანთა საკუთარ სახელთა გაფორმე-ბა მოთხრობითის ბრუნვაში: ბასილმან, ქსენოფრატემან, მოსემან, ილა-ვლიხისმან, არისტოტელმან...

5. ზედსართავ სახელთა ხარისხის მოკლე ფორმები (ის-ნი ფართოდაა გავრცელებული „ეკეფსის ტყაოსანში" და საერთოდ, XI—XII სს-ის საწერილ ენაში): უდარე, უმრავლე...

6. არს შეშველი ზმნის განმარტოვება და შერ-წყმა წინამავალ სიტყვასთან: ესენარია, ესხვალია, შედგმულებაა, სხვა-ლია, სიესეა...

7. აბსოლუტურ და რელატიურ ზმნათა I ფორმეობითის ფორმათა ახალ წარმოებაზე გა-ბმული: წარმოდგომილა, განსაზღ-ერებულ, შეერთებულ, მოეგია, წარმოსდგომია, გვსწავლია (ნაცვ-ლად: შეერთებულ არს, მოეგიეს...)

8. ახლისკენ „გარდამავალი საფეხურის არ-სებობა (პროფ. ი. შანიძის ტერმინით) I კავ-შირებითის III სუბ. პირის მრავლობითის რი-ცხვში (ოდიან (ძველი) → ოდინ) გარდმა-ვალი → ოდენ (ახალი), რომელიც საწერილ ენაში XI საუკუნიდან ვრცელდება: იქმ-დინ, იწარმოებოდინ, ითქუმოდინ; ნაცვლად ძველ იწარმოებოდიან... — ფორმისა.

9. მომავალი დროის გამოხატვა, ახალი წარ-მოებით (სულ რამდენიმე უველელი მაგალითი): „და თუ ესერეო, ედარეს შეეძლებს ერთი-სა" ტ. I, 40, 26.

ყველა მათგანს (ოდინ ფორმიანი კავშირ-ებითის გამოკლებით) მეტნაკლები რაოდენობით ეხვდებოდა ძველ ქართულ ენის ძეგლებშიც, მაგრამ ფართო გავრცელებას საწერილ ენაში ისინი მხოლოდ XI, ზოგი კი XII საუკუნიდან პოეებენ. ამდენად, იოანე პეტრიწი სრულად არ ჩანს არც ენის არქაიზაციის მომხრე.

• • •

რას გეჩვენებს სინტაქსი?

არსებობად სინტაქსია ის ერთადერთი სფე-რო, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა გეკე-პარაკა იოანე პეტრიწის ენის ხელოვნურობაზე, მაგრამ ისიც მაშინ, თუ არ გავითვალისწინებ-დით მისი ზრომების ფილოსოფიერ ხასიათს და ძველი ქართული ენის ბეგლების მონაცემებ-ს.

აქ „ხელოვნურად" და თავისებურად შეიძ-ლებოდა ჩაგეთვალა ქართულის არადამახასია-თებელი კონსტრუქციები, როგორიცაა: ა) წინა-დადების მიმღეობურ კონსტრუქციათა ხშირი ხმარება (რაც ბერძნულისთვისაა ნიშანდობლ-ვი)[1], ბ) წინადადების წევრთა გამოტოვება (გან-საკუთრებული ქვემდებარისა და შემასმენელისა, არს შეშველი ზმნისა, რომელსაც ეტყობა თვის-თავად გულისხმობს), რაც ადრეთვე დამახასათებ-ელია ბერძნული დედნისა, მაგრამ აქ გაუგებრო-ბა არ იქმნება, რადგანაც გამოტოვებული წევრის კომპენსაცია სხვა საშუალებით ხდება. ვ) „და" კავშირის ხმარება „ც" ნაწილაკის, არს შეშველი ზმნის ნაცვლად ან სხვა, მის-თვის არადამახასიათებელი მნიშვნელობით გა-მოყენება, რაც აშკარად ბერძნულის გავლენაა. დ) კავშირთა და ნაწილაკთა სიმრავლე ტექს-ტში. აგრეთვე ბერძნულის დამახასიათებელი. ე) რთული, განსაკუთრებით ქვეწყობილი წი-ნადადებების სიხშირე და წინადადებათა და-წყება კავშირით, რაც მაღალი სტილის, მწიგ-ნობრული ენის თვისებაა და სხვა.

მაგრამ უნდა გავიხსენოთ, რომ ბერძნიზმები არცთუ იშვიათია ძველ ქართულ ენის ბერ-ძნულიდან თარგმნილი ძეგლების ენაში და მათ შორის ქართულ სახარება-ოთხთავში. მთა-რგმნელები თავიდან ვერ იტილებდნენ, თუ შეგნებულად არ ირიდებდნენ თავს ბერძნული-ა

---

1 პროფ. ს. ყაუხჩიშვილს, მის მიერ გამო-ცემულ „იოანე პეტრიწის შრომებთან" დაკ-თულ გამოკვლევის მოკლე ენობრივ მიმოხილ-ვაში, რამდენადაც ამის საშვალებას აძლევს მთელი გამოკვლევის სპეციალური ხასიათი, აღ-ნიშნული იქეს ზოგი ახალ ენობრივი ფაქტი, რომელსაც თავი უჩენია ი. პეტრიწის ენაში (იხ. ი. პეტრიწის შრომები, ტ. I, 1940, გვ. LIII და შმდ.).

ასევე, დოც. ნ. კეკელიძეს თავის საკალ-ფეკალო შრომაში „პროკლე დიადოხოსის კა-ნონი. ძველი ქართული თარგმანი", 1948, აღნიშნული იქეს თითქმის ყველა ხასიათ, რა-მელიც ი. პეტრიწის ენაში გვხვდება.

1 თუმცა, როგორც ნ. კეკელიძე აღნიშნავს, „თითქმის თანაბარი რაოდენობა გვაქვს ბერძ-ნულიდან ზმნის მიმღეობით გადმოტანისა და პირიქით". დასახ. ნაშრ., გვ. 309..

გაელენა. ასეთი გაელენა, ჩვეულებრივ, სწორედ სინტაქსის სფეროში შეინიშნება ძველ ქართულს და, სხვათა შორის, თანამედროვე თარგმანებშიც. დღნის გაელენის საკითხი და უცხოური კონსტრუქციების თარგმანში გადმოტანის საკითხი პეტრწმიდელ იყო და ახლაც შეტად რთული და შტიკეული საკითხია საერთოდ მთარგმნელობით საქმიანობაში. დღესაც მთარგმნელები დედანთან თარგმანის რაც შეიძლება ახლო დგომის ტენდენციაში ექცევიან და მხედველობიდან რჩებათ ის უეჭველი ფაქტი, რომ საესებით ადექვატური თარგმანის მიღწევა შეუძლებელია განსხვავებულ ტიპის ენებს შორის. ერთი ენისათვის შეიძლება წინადადების სელ სხვა წყობა იყოს დამახასიათებელი,

„სწორისა ძალისა მიერ იქმნების წარმოჩენაჲ სწორითაჲ“, I, 8, 15.

„მსგავსთა, პირველ ემსგავსოთაჲსა, წამოაუენებს ყოველთა წარმომაუენებელი მიზეზი“. I, 24.

ხშირად წინადადების თავში შემასმენელი დგას, ბოლოში კი ქვემდებარე:

„ეჭერო არს ესლიდეცა და სელიერად თქუმაჲ სელისაჲ“. ბუნებისათჳს კაცისა, 26, 19.

ზმნისართის ადგილი ქართულ წინადადებაში ჩვეულებრივ ზმნის წინაა. იოანე პეტრიწი თავისებურ რიტმულობას აძლევს წინადადებას, რიცა ზმნისართს ზმნის შემდეგ ხმარობს:

„მოქმედებამან ეძლიერესისამან იმოქმედაცა ეძლიერესად“, I, 46, 7.

განკეთილოებული განსაზღვრებების, გათიშულ მსაზღვრელ-საზღვრულთა ხშირი ხმარება იოანე პეტრიწის სტილის მეტად დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს:

„რომელი იგი იყო ქუეანი, მრავალ ხრახნილად ქცეული და ძნიად წიალსასეული და ძნელად გამოსავალი“. II, 224,8

მსაზღვრელ-საზღვრული ხშირად ზმნითაა გათიშული:

„ყოველი ქმნილი ორობითისა მიერ იქნების ძალისა“. I 51,9

„ორნი წარმოუენნეს წყარონი“. II, 142,3.

ხშირად მსაზღვრელ-საზღვრული რამდენიმე სიტყვითაა გათიშული:

„რამეთუ თჳთ გონებაჲ არს და გონიერი ხედა მასა არსებაჲ“. I, 103, 26.

„მაშინ თქუა, ეითარმედ ყოველსა გუარსა არსებაჲ დაუემჴობულების მოქმედებისასა“ (ყოველსა გუარსა მოქმედებისასა არსებაჲ დაუემჴობულების).

„რამეთუ არა უდარესთაგან რაჲ შეიუნარებს ღმრთებრივი ზესთმეკონეობაჲ ცნობასა“. I 77,5

საყურადღებოა, რომ ეს უკანასკნელი წინადადებები წყობით ბერძნულ დედანს მისდევს. მაგრამ თუ სხვა მთარგმნელთან მსგავსი კალკი იშვიათად, შეუცნობლად გაჩნდება ხოლმე (ძველ ქართულში გათიშული მსაზღვრელ-საზღვრული ძალიან იშვიათად გვხვდება) იოანე პეტრიწი სწორედ ამგვარ წყობას აძლევს უპირატესობას. მას ეს წყობა მოსწონს და შეგნებულად, დაკანონებით სწორედ ამგვარ წინადადებებს აგებს თავის ორიგინალურ ნაწარმოებებში — „განმარტებაში“.

ნაწილაკებისა და კავშირების წინადადების ბოლოში მოკლეკაც იოანე პეტრიწის წინადადებას ნატიფსა და მოხდენილს ხდის.

„და არცა ყოველნი სულნი ეზიარებიან თანზიარებითსა გონებასა, არამედ, უგონიერესნი ოდენ“. ტ I, 69,2

„რამეთუ ესე მხოლოდ შენდობასა მიეთხეუეის, შეინანოსთუ“. ბუნ. კაცისა, 16,9.

„არამედ არცა ეშმაკნი და არცა ანგელოზნი, შეინანონლა თუ, შენდობასა ღირს იქნებიან“. ბუნ. კაცისა, 16,3

შეტად შელოდერი ხდება წინადადება, როდესაც სხვათა სიტყვის გადმოცემისას პეტრიწი ნაწილაკს ზმნასთან ერთაკეს, მით უფრო, როდესაც ეს ზმნა ქვემდებარისა და დამატების წინ დგას:

„რომელისათჳს იტყჳს სოკრატი: ნიაღაკ მესხეაესა მდედრსა აგაესო ნიეთი“. II, 72, 32

„მაშინლა ვიტყჳთო ცნობად, ოდეს მიზეზი ვიეუნუნეთო პირველნი“. II, 42,1.

„ესეცხლი არსი სხეათა ასოთა მშობელი“. ბუნ. კაცისა, 71, 6.

„რომელმან... სული შეანუნეარო სხეელთა“. ბუნ. კაცისა, 48,27

„იტყჳს: ეზიარებისო სიმრავლე ერთსა“. II,12,4.

მსგავსად ნაძერწი წინადადებები იოანე პეტრიწის ინდივიდუალური სტილის ერთი დამახასიათებელი ნიშანთაგანია.

• • •

საბოლოოდ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იოანე პეტრიწის ენის სპეციფიკას, მის სტილს ქმნის ერთობლიობა იმ თავისებურებებისა, რომლებიც 1. რთული ფილოსოფიური, მაღალ აბსოლუტური კატეგორიების გადმოცემის საჭიროებითაა გამოწვეული: ფილოსოფიური ცნებების სიმრავლე და მათი გამომხატველი ახალი ტერმინების სიუხვე, რთული სინტაქსური კონსტრუქციები. 2. ბერძნული ენისა და ბერძნული დედნის გაცლენა ტერმინების კომპოზიციასა და წინადადებების წყობაზე. 3. ინდივიდუალური სტილის თავისებურებანი, რაც ვლინდება ენის სინონიმურ საშუალებათა თავისებურ შერჩევასა და წინადადების თავისებურ წყობაში. თავისებურებათა მთელი ეს კომპლექსი ქმნის იოანე პეტრიწის თვითმყოფად სტილს. ამიტომ არის მისი ენა ძნელად გასაგები და ზოგჯერ ხელოვნურობის შთაბეჭდილებასაც ამიტომ ტოვებს.

იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომებში ნახმარი ზოგიერთი ტერმინის განმარტებისათვის

ლ. მელიქიშვილი

(წარმოადგინა საქ. სსრ მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტმ ი. ყაფლიშვილმ.)

ფილოსოფიური თხზულების გაგება შეუძლებელია მასში ნახმარი სპეციალური ფილოსოფიური ტერმინების მნიშვნელობათა ცოდნის გარეშე: ხშირად ფილოსოფიური ცნებების აღმნიშვნელი ტერმინები ჩვეულებრივ სასაუბრო ენაში არ იხმარება; ხდება ისეც, რომ ენაში ჩვეულებრივად სახმარისი სიტყვა სრულიად განსხვავებული მნიშვნელობის მატარებელია, როგორც ფილოსოფიური ტერმინი.

ჩვენ განვიხილავთ იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომებში ნახმარ რამდენიმე სპეციალურ ტერმინს, რომელთა მნიშვნელობების გარკვევა ამ შრომების ზოგიერთი ძირითადი ადგილის გაგებაში დაგვეხმარება.

კავშირი

პროკლე დიადოხოსის შრომის სათაურს—„Στοιχείωσις θεολογική", რაც ნიშნავს „ღმრთისმეტყველებითი საწყისები", „ღმრთისმეტყველების საფუძვლები" (ნ. ბარის თარგმანით—„Богословские начала"[1], ან კიდევ, უფრო ზუსტად — „Богословские первооснобы"), იოანე პეტრიწი თარგმნის ასე: „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი", სადაც ტერმინი კავშირნი, ცხადია, ნახმარია „საწყისების, ელემენტების, საფუძვლების" მნიშვნელობით.

„სტიქიონის, ელემენტის" მნიშვნელობით ტერმინი კავშირი პირველად იოანე პეტრიწს უნდა ეხმარა. თვითონვე, უფრო ადრე, პროკლე დიადოხოსის თარგმნამდე, τὸ στοιχεῖον-ის მნიშვნელობით იგი ტერმინ ასოს ხმარობს[2].

მაგრამ სანამ თვით ტერმინ კავშირის განმარტებაზე გადავიდოდეთ, მცირეოდენ ცნობებს წარმოვადგენთ იმის შესახებ, თუ რა ტერმინები იხმარებოდა ძველ ქართულში ცნობილი τὸ στοιχεῖον-ის მნიშვნელობით. წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ცნებაში, ჩვეულებრივ, ოთხი ძირითადი ელემენტი. ოთხი ნივთი — მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი იგულისხმება.

„სინერ მრავალთავში" 864 წლისა τὸ στοιχεῖον-ის შესატყვისად გვხვდება სტუქო და წესი[3]. ეს უკანასკნელი გვხვდება კირილე იერუსალიმელის „წმიდანისეულებისათჳს" თარგმანში:

---

[1] Н. Я. Марр, Иоанн Петрицкий, грузинский писатель XI—XII века, СПБ., 1909, გვ. 5.

[2] იხ. ბენედიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა. გამოსცა ს. რ. გორგაძემ. ტფილისი. 1914, ლექსიკონი. გვ. 179.

[3] იხ. სინერი მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით. თბილისი. 1959, ლექსიკა, გვ. 331. 335.

უკუეთუ ვისმე სწადის კითხვად, ვითარმედ რაჲსა წყლისაგან და არა სხჳსაგან წესისა მიეცემის მადლი იგი, საღმრთონი წიგნნი აიხუენ და ᲘᲣᲚᲘᲐᲜᲘ, ვითარმედ დიდ და მთავარ არს წყალი და ოთხთა ხაჩინოთა მათ წესთა უმჯობᲡს (85,9—12)[4].

პროფ. ა. შანიძეს მოჰყავს აგრეთვე შესაბამისი ბერძნული ტექსტი, საიდანაც ნათელი ხდება, რომ სიტყვით წესი თარგმნილია ბერძნული τὸ στοιχεῖον:

Εἰ δέ τις ποθεῖ γνῶναι διὰ τί διὰ ὕδατος, καὶ μὴ δι᾽ἑτέρου τῶν στοιχείων ἡ χάρις δίδοται, τὰς θείας γραφὰς ἀναλαβὼν εὑρήσει. Μέγα γάρ τι τὸ ὕδωρ, καὶ τῶν τεσσάρων τοῦ κόσμου στοιχείων τῶν φαινομένων τὸ κάλλιστον (PG. 33, pp. 432—433)[5].

როგორც პროფ. ა. შანიძემ მიგვითითა, წესი, ამავე, „სტიქიის, ელემენტის“ მნიშვნელობით, გვხვდება აგრეთვე კათოლიკე და პავლეს ეპისტოლეებშიც (2 პეტრე 3, 10; 3, 12; კოლ. 2, 8). მაგრამ τὸ στοιχεῖον -ის წესით თარგმანი, ვფიქრობთ, შემთხვევითს შეცდომაზე უნდა იყოს დამყარებული. საქმე ისაა, რომ ბერძნულში τὸ στοιχεῖον-ის გვერდით არსებობს აგრეთვე სიტყვა ὁ στοῖχος, რომლის მნიშვნელობაა „წესი, რიგი“. ამ სიტყვის gén. pl. იქნება τῶν στοίχων; ეს უკანასკნელი, როგორც ეხედავთ, საკმაოდ ახლოდგას τὸ στοιχεῖον-ის gén. pl. τῶν στοιχείων ფორმასთან. ადვილი შესაძლებელია, რომ მთარგმნელს τῶν στοίχων ფორმა აღექვა τῶν στοιχῶν სიტყვად. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის თქმა, რომ მან არ იცოდა τὸ στοιχεῖον-ის, როგორც ოთხი ელემენტის, ანუ ასოს, ანუ ნივთის მნიშვნელობის შესახებ. მაგრამ ფაქტია, რომ მთელი გამოთქმა „τῶν τεσσάρων τοῦ κόσμου στοιχείων“, რასაც ფილოსოფიაში ერთი გარკვეული, დაკანონებული მნიშვნელობა შეესაბამება „მსოფლიო ოთხი ელემენტისა“, „მსოფლიო სტიქიონთხა“ (ანუ სხვაგვარად „τὸ στοιχεῖον τὸ κοσμικὸν“—პეტრიწის მიხედვით „ასოჲ მსოფლებრივი“; мировая стихия), კირილე იერუსალიმელის მთარგმნელმა მცდარად გაიგო და მოულოდნელად თარგმნა გამოთქმით „ოთხთა ხაჩინოთა მათ წესთა“, სადაც, გარდა იმისა, რომ τῶν στοιχείων აშკარად არასწორად თარგმნილია სიტყვით „წესთა“, აშკარად შეცდომითაა თარგმნილი აგრეთვე τοῦ κόσμου (ὁ κόσμος) სიტყვაც. წესისამებრ, ეს გამოთქმა უნდა თარგმნილიყო ისე, როგორც მას ჩვეულებრივ შემდეგ თარგმნიდნენ: „ოთხნი ნივთნი ამის სოფლისანი“, სადაც ნივთი უდრის τὸ στοιχεῖον-ს და სოფელი—ὁ κόσμος.

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ს. ორბელიანმა სტიქიონის მნიშვნელობით „ასოც“ იცის და „კავშირიც“... ამას გარდა, მან ბერძნული სიტყვა „სტიქიონიც“ იცის „სტუქოს“ ფორმით... მაგრამ მან არ იცის „წესი“ კავშირის მნიშვნელობით. ეს სიტყვა მის ლექსიკონში რომელიღაც მისი საქმის გამგრძელებელს ჩაუმატებია წყაროს დაუსახელებლად: „წესი — ოთხნი ნივთნი“[6].

---

[4] სინური მრავალთავი 864 წლისა, გამოკვლევა, ლექსიკა, გვ. 335.

[5] იქვე.

[6] იქვე.

იმ ძეგლებში, სადაც მოსალოდნელია ოთხი ელემენტის, ხტიქიათა შესახებ მსჯელობა, ეს ცნება გამოიხატება ტერმინებით: სტჟქისი, ნიეთი, აგებულება, ახო და კავშირი.

ასე მაგალითად, გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათჳს" ძველ ქართულ თარგმანში (VIII—IX სს.)[7] „ელემენტების", „სტიქიათა" მნიშვნელობით გვხვდება როგორც ნათარგმნი ტერმინი ნიეთი, ასევე სტჟქისი;

კაცი სოფელი არს მცირეᲘ, დიდსა შინა, რამეთუ ხტჟქისნი იგი ყოველითერთ პოენილ არიან მას შინა. და აწ რომელნი იგი ესოდენითა დიდებითა აღიდებენ კაცსა, სახელისა ამის ძლით დააეწყუდა მათ, ეითარმედ მას აღიდებენ, რომლისა საკუთრებანი იგი შემლთა და თაკეთაცა შინა იპოეებიან, რამეთუ აგებულებაჲ მათი ამათუე ოთხთა ნიეთთაგან შეზაეებულ არს (კაც. აგებ. 177, 18—24); ნუეკეე ჰგონებდე, რაეამს იხილნე ხტჟქისნი ამის სოფლისანი, ეითარმედ იწრო რაამე არს კეალად მოქცეეაჲ აერისაჲ მის (კაც. აგებ. 210, 11—15).

როგორც ეხედავთ, ამ უკანასკნელ წინადადებაში ცნება τὸ στοιχεῖον τὸ κοσμικόν „კაცისა აგებულების" მთარგმნელს, საკუთრებით მართებულად, უთარგმნია შესიტყვებით „სტჟქისნი ამის სოფლისანი", ამასთან ტერმინი უთარგმნელად გადმოუღია.

ბასილი დიდის „ექუსთა დღეთათჳს" ძველ ქართულ თარგმანში „ელემენტის", „სტიქიონის" მნიშვნელობით გვხვდება ტერმინი ნიეთი:

და არცა რაოდენ ყოველი ყოველსა შინა არს: ესე იგი არს ცეცხლი ქეეყანასა შინა და პაერი წყალთა შინა და სხეაჲ მრავალი რომელიმე რომელსაჲ შინა და არარაჲ არს ნიეთთაგანი, რომელ არს საცნობელთა ქეეშე შეერეკნელ სხეასა (ექ. დღ. 44, 10—13).

გიორგი მთაწმიდელი, ბასილი დიდის „ექუსთა დღეთაჲ"-ს[8] უფრო გვიანდელი (XI ს.) მთარგმნელი, „ელემენტის" მნიშვნელობით ხმარობს ნიეთსაც და სხვა ტერმინსაც, კერძოდ — აგებულებას.

დ:

სტიქიის მნიშვნელობით წესია ნახმარი. ეფრემ მცირისეული რედაქციის ხელნაწერებში იგი ნივთითაა შეცვლილი. მაგ.:

წესნი იგი დაიწუნენ (2 პეტრე, 3, 12 ᲪᲚ); ნივთნი Თ;

წესსა მას ქუეშე ამის სოფლისასა (გალატ. 4, 3 -ეფ. რედ.); წესთა მაი ქუეშე ამის სოფლისათა (გალატ. 4, 3. გ. მთაწმ. რედ.), ნივთთა ქუეშე ეყოფენთ სოფლისათა (გალატ. 4, 3, ეფრემის რედ.): ასევეა. გალატ. 4, 9...

მაშასადამე, ძველ ქართულში, იოანე პეტრიწამდე „ელემენტის, სტიქიის" მნიშვნელობით იხმარებოდა ტერმინები: სტუქო, სტუქისი, ნივთი, აგებულება და აგრეთვე წესიც, თუმცა ივი τὸ στοιχεῖον-ის მცდარი თარგმანიდან უსდა მომდინარეობდეს.

ახლა ვნახოთ, როგორ გადმოსცემს τὸ στοιχεῖον ცნებას იოანე პეტრიწი.

საერთოდ, ცნობილია, რომ იოანე პეტრიწი ცდილობს ყველა ბერძნულ ტერმინს ქართული შესატყვისი დაუძებნოს და, თუ ასეთი არ არსებობს, შექმნას ის ქართული ენის სიტყვაწარმოების წესების მიხედვით. ბერძნული ტერმინი მას უთარგმნელად გადმოაქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ქართული თარგმანი არ აკმაყოფილებს. „კავშირნის" თარგმანში მხოლოდ 18 ბერძნული სიტყვაა[10]. მაგრამ ასეთ შემთხვევებში იოანე პეტრიწი უმეტესად ბერძნულ ტერმინს თან ურთავს ქართულს. ბერძნული სიტყვა მას მნიშვნელობის დაზუსტებისათვის მოჰყავს (იხ. მაგ., ეამისა და ხრონოს შესახებ მსჯელობა „განმარტების" 50-ე თავში). ამ მხრივ იოანე პეტრიწი გარკვეული აზრით პურისტადაც კი შეიძლება ჩაითვალოს (შდრ. მაგ., ნემესიოს ემესელისა და პროკლე დიადოხოსის შესაბამის თხზულებათა რუსულ თარგმანებში стихия, энтелехия фантазия, фантазм და სხვ. თარგმნილი არ არის, მაშინ როდესაც იოანე პეტრიწის თარგმანებში ყველასთვის ქართული შესატყვისებია დაძებნილი: ასო, კავშირი, შემასრულებელი, ოცნება, ოცება და სხვ.); τὸ στοιχεῖον ცნების აღსანიშნავად ტერმინს ნივთს იოანე პეტრიწი არ ხმარობს. ამ ტერმინს მასთან გარკვეული, დადგენილი მნიშვნელობა აქვს: „მატერიისა" (ἡ ὕλη). ხოლო ტერმინოლოგიაში და მით უმეტეს ძირითად ფილოსოფიურ ტერმინებში ომონიმიას იოანე პეტრიწი, როგორც წესი, არ უშვებს. ასეთი მიჯნა, როგორც ვნახეთ, არა აქვთ დადებული არც ძველ მთარგმნელებს და არც გიორგი მთაწმიდელსა და ეფრემ მცირეს: ისინი საეროების შემთხვევაში ნივთს „მატერიის" (ἡ ὕλη) მნიშვნელობითაც ხმარობენ, „სტიქიის" (τὸ στοιχεῖον) მნიშვნელობითაც და ზოგჯერ „არსების" (ἡ οὐσία) მნიშვნელობითაც, კი. იხ. მაგ. გ. მთაწმიდლის თარგმანი „ეჭუსთა დღეთაჲ", გვ. 29, 2.

პროკლე დიადოხოსის შრომის თარგმნამდე იოანე პეტრიწმა τὸ στοιχεῖον-ის ყველაზე კარგ შესატყვისად სიტყვა ასო მიიჩნია. ნემესიოს ემესელის თხზულების „ბუნებისათჳს კაცისა"-ს V თავი სწორედ სტიქიებისადმია მიძღვნილი. მისი სათაურია „περὶ στοιχείων", რომელსაც პეტრიწი თარგმნის ასე: „ასოთათჳს" (ბკ. 61,2). ქვემოთ კი τὸ στοιχεῖον τὸ κοσμικὸν ცნებას შემდეგ შესატყვისს უძებნის ქართულად: „ასოჲ მსოფლებრივი". ეს გამოთქმა გრიგოლ ნოსელის თხზულების ძველ ქართული თარგმანის „სტჳქსინი ამის სოფ-

---

[10] ნ. კეკელიძე. პროკლე დიადოხოსის კავშირნი, ძველი ქართული თარგმანი, საკანდიდატო დისერტაცია, 1948, გვ. 216.

ლისანი"-ს (გ. მთაწმიდლის მიხედვით: „ოთხნი ესე აგებულებანი სოფლისანი") შესატყვისია, მაგრამ, როგორც ტერმინი, ცხადია, გაცილებით უფრო დახვეწილი და სრულყოფილია:

ასოჲ მსოფლებრივი არს ნაწილი ყოველად უმცირესი სხეულთა თანაშეჴისაჲ. არიან უკუე ასონი ოთხ: ქუეყანაჲ, წყალი, აერი, ცეცხლი... და ესენი არიან პირველნი და უმარტივესნი სხეულთა მიმართ სხეულთა, რამეთუ ყოველი ასო ერთერთ არს მისდა, რომლისადა იყოს ასო ბჴ. 61, 3—8.

Τὸ στοιχεῖον τὸ κοσμικὸν ἐστὶ μέτρος ἐλάχιστον τοῦ συγκρίματος τῶν σωμάτων. εἰσὶ δὲ στοιχεῖα τέσσαρα, γῆ, ὕδωρ, ἀήρ, πῦρ... καὶ αὐτὰ ὄντα πρῶτά τε καὶ ἁπλᾶ, ὡς πρὸς τὰ ἄλλα σώματα. καὶ γὰρ πᾶν στοιχεῖον ὁμογενές ἐστι τοῖς, ὧν ἐστι στοιχεῖον (Migne, 612, 613).

რატომ ირჩია იოანე პეტრიწმა „სტიქიის, ელემენტის" აღნიშვნა ახალი ტერმინით — ასოთი? ეს სავსებით გასაგებია.

საქმე ისაა, რომ ბერძნული τὸ στοιχεῖον-ის ფილოსოფიური მნიშვნელობა — „საწყისი, ელემენტი საფუძველი", მომდინარეობს მისი ძირითადი, — ასოს, ბგერის — მნიშვნელობიდან. რადგანაც ასო, ბგერა უმცირესი ელემენტია, ერთეულია, ამიტომ შესაძლებელი გახდა მისი გადატანითი ფილოსოფიური მნიშვნელობით — „ელემენტის, საწყისის" მნიშვნელობით ხმარება.

იოანე პეტრიწი შესანიშნავად განმარტავს, თუ რატომ ეწოდება პროკლეს თხზულებას „Ἐτοιχείωσις θεολογική"— სწორედ ასოს, როგორც უმარტივესი ერთეულის, პირველად სწავლების მაგალითის მოშველიებით:

ხოლო სტჳქიოდ ღმრთისმეტყველებითად ითქუნეს თავნი ესე... რამეთუ სასწავლოდ შემავალთა ყოველთა, პირველად უმარტივესთა ასწავებენ და მერმეღა მათგან შედგმულთა; ვითარცა ასოთა მიერ სახელთა, ხოლო სახელთა მიერ თქუმისა, და კეალად თქუმისა მიერღა სიტყუასა, ვითარ გჳსწავებია პერიერმენიასა (II, 5, 24—27).

როგორც ჩანს, პეტრიწზე დაყრდნობით განმარტავს ასოს ს. ორბელიანი.

„ამისთჳსცა ფილასოფოსთა მიერ ასონი სახელედებიან ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქუეყანასა, რამეთუ ვითარცა ასოთა დასხმითა აღმოიკითხვის სიტყუა და სიტყუათაგან შეიქმნების წიგნი, ეგრეთვე ამა ოთხთა ასოთაგან შეიმზადების სხეული და სხეულისაგან კაცი სრული"[11].

ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია „ბუნებისათჳს კაცისა"-ს XIII ს-ის A 2579 ხელნაწერის გადამწერის მიერ „ასოს" განმარტება აშიაზე: „დანიშნე, ვითარ ასოდ ნივთთა იტყჳს ოთხთა. ვითარ მიწასა და წყალსა, აირსა და ცეცხლსა, რამეთუ ესრეთ ეწოდების ამათ ჴმითა ელლადელთადთა. ხოლო ეწოდების ამისათჳს ასოდ ამათ, რამეთუ, ვითარ იგი ანბნისა ასოთაგან მარცუალნი და მარცუალთაგან სიტყუანი შეიქმნებიან, აგრეთვე ამათგან ოთხნი ბალღამნი, ხოლო ბალღამთაგან სხეულნი ცხოველთანი შემზადებიან (ფურც. 112)[12].

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საბა ბერძნულ ფორმას სტუჴ-საც იოანე პეტრიწზე დაყრდნობით განმარტავს, თუმცა წყაროს არ ასახელებს. სტუჴ სიტყვის განმარტების II ნაწილი, სადაც მიწის, წყლის, ჰაერის და ცეცხლის თვისებებზეა ლაპარაკი, აღებულია ნემესიოსის V თავიდან; „არს უკუე ქუეყანაჲ ჴმელ

11 იხ. ს ულ ხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1966 წ.

12 საქ. სსრ ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 2579 ხელნაწერი. იხ. აგრეთვე, ბუნებისათჳს კაცისა. გამოსცა ს. ორბელიანმა. 1917. ლექსიკონი. გვ. 61. სქოლიო.

და გრილ, ხოლო წყალი — გრილ და ნოტიო, ხოლო აირი — ნოტიო და მჭურვალე... არამედ ცეცხლი — მჭურვალე და ჭმელ... (ბ კ. 61, 17—18...) — შდრ. საბა: „ქუᲩყანა ჭმელი და გრილ არს, წყალი — გრილი და ნოტიო არს; წყალი სიგრილითა ეზიარებს ქუᲩყანასა, და ნოტიობითა — ჰაერსა; ჰაერი ნოტიო და მჭურვალე არს, ნოტიობით ეზიარებს წყალსა და სიმჭურვალით—ცეცხლსა; ცეცხლი ჭურვალე და ჭმელი არს, სიმჭურვალით ეზიარების ჰაერსა და სიჭმელით—ქუᲩყანასა“.

სიტყვა „სტუქოს“ განმარტების I ნაწილი კი, საბას პეტრიწის „განმარტების“ წინასიტყვაობიდან და მე-40 თავიდან აქვს აღებული. ამ უკანასკნელში

ნათქვამია: „რამეთუ ნამდვილ მყოფისა ნაქუსნი არიან შედგმულ პირველთა ასოთა ხტუქიოთა, მიერ, რომელ არიან პირველნი თესლნი და ხტუქიონი არსთანი“ (II 96, 36—37, 1—2); ან იქვე: ხოლო ხტუქიონნი ნამდვილ მყოფობისანი ზესთ არსნია და ზესთ სრულნი; რამეთუ არ შედგა უსრულთა ასოთა მიერ ანაქუსი ნამდვილ მყოფისაჲ (II 97, 5—6). შდრ. საბა: „ხტუქო—ესე არს ოთხთა კავშირთან აღნაქუსნი“.

ბოლოს, იოანე პეტრიწი პროკლე დიადოხოსის თხზულების თარგმნისას ყველა ადრინდელ ტერმინს უკუაგდებს და სტიქიონის აღსანიშნავად ხმარობს ტერმინს კავშირნი. რას ნიშნავს სიტყვა კავშირი? ამის შესახებ თვითონ იოანე პეტრიწი, როდესაც წინასიტყვაობაში პროკლეს თხზულების სათაურის არსს განმარტავს, წერს:

ხოლო ხტუქიოდ ღმრთისმეტყველებითად ითქუნეს თავნი ესე. ხტუქიოჲ ეწოდების კავშირსა, ამისათჳს დადგა კავშირი, ეითარცა უმარტივესი ყოველსა (II, 5, 23—25).

მაგრამ რატომ მაინცა და მაინც სიტყვა კავშირი აირჩია „ყოველთა უმარტივესი“ სტიქიის აღსანიშნავად? როგორც ცნობილია, ამ უმცირეს, უმარტივეს ნაწილთა, სტიქიათა ქვეშ იგულისხმება მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი, რომელთაგან, ისევე იოანე პეტრიწის სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება სხეულთა „თანშეჯჲ“, ანუ შემტკიცება, ანუ შეკავშირება; ამიტომაც ოთხნი ნივთის, ოთხი ასოს შესატყვისადაც იგი უკვე კავშირს ხმარობს:

ყოველთა შედგმულთა მარტივნი უპირველეს, ეითარ ოთხთა ამათ კავშირთა, ეიტყჳ ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ჭეეყანასა.

სხვათა შორის, ამ ტერმინს, რა თქმა უნდა, ისევე იოანე პეტრიწზე დაყრდნობით (თუმცა ეს მითითებული არ არის), შესანიშნავად ხსნის საბა ასო სიტყვის განმარტებისას:

ასო: ელლადელთა ჭმითა, ჰქჳან კავშირთა, ამისათჳსცა ფილასოფოსთა მიერ ასონი სახელდებიან ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქეეყანასა... ხოლო ამათ ოთხთა ასოთა კავშირადაც სახელსდებენ, ვინაითგან მით დაკავშირდებიან ყოველნი ნივთნი.

დაახლოებით ასეთსავე ახსნას იძლევა საბა თვით „კავშირი“ სიტყვის განმარტებისასაც:

კავშირი: ოთხნი იგი ასონი: მიწა, წყალი, ჰაერი და ცეცხლი არიან, ვინაიდგან ამათ მიერ არს ყოველთა სხეულთა შემტკიცება.

როგორც ვთქვით, თუმცა ს. ორბელიანი წყაროს არ ასახელებს, მაგრამ ცხადია, რომ „კავშირის“ განმარტებისას იგი პეტრიწის „განმარტებას“ ეყრდნობა.

იოანე პეტრიწი „კავშირნი“-ს თარგმანშივე ზოგჯერ ტერმინ კავშირ-ის გვერდით ასოსაც ხმარობს. მაგ:

ყოველბასა ოთხთა ამათ კავშირთა და ახოთახა (II 118, 28—29), ან: ყოველი ქმნილი ერთი ნაწილთა მიერ შედგების, ხოლო უქმნელსა ერთსა არცა ნაწილნი აქონან და არცა ახონი და კავშირნი. ამით რომელ ყოველი ახოა და კავშირი პირველ მისსა არს ვისდაცა იყოს ახო, ხოლო ერთსა უპირველეს არარა (არს) (II, 23, 6—7).

მაგრამ, მის მიერ თარგმნილი პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ და მისი „განმარტება“ იმდენად მნიშვნელოვანი და ავტორიტეტული შეიქმნა ფილოსოფიაში, რომ სპეციალურ ფილოსოფიურ ტერმინად „სტიქიების, ელემენტების“ გამოსახატავად, საბოლოოდ იოანე პეტრიწის გაგებით შექმნილი ტერმინი — კავშირნი დამკვიდრდა. როგორც პროფ. ა. შანიძე აღნიშნავს, „ეს ჩანს „ეეფხისტყაოსნიდანაც“, სადაც იკითხება:

დამშლიან ჩემნი კავშირნი, შეერთვიეარ სულთა სირასა[13] (884, 4).

კავშირნი აქ სტიქიებია, ანუ ელემენტები, რომლებიც საბლდებით ჩამოთვლილია ნესტან-დარეჯანის წერილში:

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, პაერთა თანა ძრომასა (1304,1—2)»[14]

ყველაფერი ზემოთქმული შეეხებოდა τὸ στοιχεῖον ცნების შესატყვის ტერმინს — კავშირი.

მაგრამ იოანე პეტრიწი, როგორც თავიდანვე ვთქვით, Στοιχείωσις ფორმასაც „კავშირნად“ თარგმნის. ეს ფორმა, მართალია, στοιχεῖον-იდან მომდინარეობს, მაგრამ მას უკვე გარკვეული მნიშვნელობით ხმარობენ: კერძოდ, სათაურში ეგი „საფუძვლებს, საწყისებს“ ნიშნავს (Обучение первоосновам, ან უბრალოდ: Первоосновы. ასე მაგალითად: Αἱ Στοιχειώσεις „პირველსაფუძვლები“ ეპიკურესი)[15].

ცხადია, „კავშირნი“ სათაურში იოანე პეტრიწმა მეტაფორულად იხმარა. კავშირნის — ოთხი ელემენტის, ოთხი ასოს მნიშვნელობა, ამის შესაძლებლობას იძლეოდა.

გუარი

წინასიტყვაობა „განმარტებისა“, რომელიც იოანე პეტრიწმა პროკლე დიადოხოსის „Στοιχείωσεις θεολογική-ს“ თარგმანს დაურთო, შემდეგი წინადადებით იწყება:

გუარსა თანა გუაც დიდთა საღმრთისმეტყველოთა შორის ხედვისასა და აღებად პაზრსა წინაათვე წინამდებარისა წიგნისასა (II 3,4—5).

ამ წინადადების ერთი ნაწილი, როგორც გამოცემული ტექსტის სქოლიოებშია აღნიშნული[16], სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. კერძოდ: „დიდთაჲ საღ˜ისმეტყ˜ლოთა“ A, „დიდთასა ღ˜თისმეტყველთა“ C, „დიდთასა ღ˜ის˜მეტყვ˜ლთა D, „დიდთასა საღმრთისმეტყველთა შორის“ E.

---

[13] NB. პეტრიწი ბერძ. σεῖρα-ს, „მწკრივს, რიგს“ უთარგმნელად ტოვებს და ჩვეულებრივ ყველგან — ხარა-ს ხმარობს.

[14] იხ. სინური მრავალთავი 864 წლისა, 1959, ლექსიკა, გვ. 436.

[15] იხ. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий. т. II, 1958.

[16] იხ. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II. გამოსცეს შ. ნუცუბიძემ და სიმ. ყაუხჩიშვილმა, 1937, გვ. 3.

ყველაზე ძველ (XII—XIII სს.) H 1337 ხელნაწერშიც, რომელიც ახლა საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, ეს ადგილი ასევე გაუგებრადაა წარმოდგენილი: „ცნობადდ დიდთასა ღ-ისმეტყუ-ლ-თა შორის ხედვისასა“: ეს გამოწვეულია იმით, რომ ამ ხელნაწერის პირველი ფურცელი უკვე დაზიანებული ფურცლის სანაცვლოდ, XVII—XVIII საუკუნეებშია რესტავრირებული.

მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს, რა მნიშვნელობითაა ნახმარი მოცემული წინადადების პირველი სიტყვა—გუარი, რომელიც ყველა ხელნაწერში ერთსა და იმავე პოზიციაშია წარმოდგენილი. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა გაირკვეს, რომელი სინტაგმის წევრია იგი.

ერთი შეხედვით, საკითხი მარტივად წყდება: გუარსა სიტყვა თითქოს დაკავშირებულია თანა-გუაც შემასმენელთან და მასთან ერთად განუყოფელ ფრაზეოლოგიურ ერთიანობას ქმნის: „გუარსა თანა-გუაც“. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. სინამდვილეში კი ის სულ სხვა სინტაგმის წევრია.

თუ ჩაეუკვირდებით ამ წინადადების წყობას, აღმოჩნდება, რომ გუარსა საზღვრულია მისგან რამდენიმე სიტყვით დაცილებული, მაგრამ მის მიერ მართული და მასთანვე შეთანხმებული მსაზღვრელისა — ხედვისასა. სიტყვა ნათესაობით-მიცემით ბრუნვაში დგას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი მართულ-შეთანხმებული მსაზღვრელია. უფრო რომ დავაზუსტოთ, იგი მართულია ისეთი სახელის მიერ, რომელიც მიცემითს ბრუნვაში დგას. ასეთი ძალის მქონე კი ამ წინადადებაში გუარსა სიტყვაა. სინტაგმის გათიშული წევრები რომ ერთმანეთის გვერდით დავაყენოთ, წინადადება ასეთ სახეს მიიღებს: „თანა-გუაც ცნობად გუარსა ხედვისასა“.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში ვითარებითს ბრუნვაში დასმულ მასდართან (რაც ინფინიტივის ფარდია), ყოფილი პირმიმართი დამატება ხშირად ინარჩუნებს თავის ბრუნვას (მიცემითს, უფრო იშვიათად სახელობითსაც). იოანე პეტრიწი ამგვარ ინფინიტივთან ყოფილ პირმიმართ დამატებას, ჩვეულებრივ, მიცემითში ხმარობს ხოლმე. მოცემულ წინადადებაში გუარსა დამატებაა (პირდაპირი) ცნობად ინფინიტივთან, ზუსტად ისევე, როგორც ჰაზრსა, ამავე წინადადების მეორე ნაწილში — „აღებად ჰაზრსა წინაადთვე წინამდებარისა წიგნისასა“. აქ ჰაზრსა პირდაპირი დამატებაა აღებად ინფინიტივთან და თავის მხრივ, ისიც ისევე რამდენიმე სიტყვითაა გათიშული თავისი მსაზღვრელისაგან—წიგნისასა. ამგვარად, მოცემული წინადადების სინტაგმები შემდეგნაირად უნდა დაჯგუფდეს:

I	II
თანა-გუაც ცნობად	(თანა-გუაც) აღებად
ცნობად გუარსა	აღებად ჰაზრსა
გუარსა ხედვისასა	ჰაზრსა წიგნისასა
დიდთა საღმრთისმეტყუელოთა შორის	წინამდებარისა წიგნისასა
ცნობად საღმრთისმეტყუელოთა შორის	აღებად წინაადთვე

თანამედროვე ქართულით: „(ჩვენ) გვავალია დიდი საღმრთისმეტყველო თეორიის გვარის შეცნობა და წინამდებარე წიგნის აზრის წინასწარვე გაგება“.

როგორც ვხედავთ, წინადადების ორივე ნაწილი ტოლფასოვანი სინტაგმებისაგან შედგება. დაბრკოლებას თითქოს ის ქმნიდა, რომ ძნელი იყო გუარსა

სიტყვის აზრობრივად დაკავშირება მისგან მთელი შესიტყვებით დაშორებულ მსაზღვრელთან. მაგრამ ასევეა დაშორებული მეორე საზღვრულ-მსაზღვრელიც — „ჰაზრსა წიგნისასა", მათი დაკავშირება კი სრულიადაც არ ჭირს.

რამდენიმე სიტყვით ან მთელი წინადადებით გათიშული მართულ-შეთანხმებული საზღვრულ-მსაზღვრელის ხმარება იოანე პეტრიწის სტილის ერთი ყველაზე დამახასიათებელი შტრიხია, ასე რომ გაუგებრობას აქ წყობა არ ქმნის.

ექვს ბადებს გუარ სიტყვის მნიშვნელობა მოცემულ კონტექსტში. ჰაზრსა სიტყვა შინაარსით, მნიშვნელობით ადვილად დაუკავშირდა „წიგნისასა" მსაზღვრელს. „ხედვის[17] გვარ"-ის გააზრება კი—გვარ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ჭირს.

გუარ სიტყვას, როგორც ცნობილია, „გვარის, სახის, ფერის, ნაირის" მნიშვნელობა აქვს. იოანე პეტრიწიც, ჩვეულებრივ ამ მნიშვნელობებით ხმარობს მას:

და აღეშერეე, ტომისათჳს გუართა ჩემთასა, მე, მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებულ (II 220, 26).

მწუხარებისა გუარნი ოთხ. (ბ. კ. 106, 21; სახე, вид). τῆς δὲ λύπης) εἴδη τέσσαρα (Migne, 688), გუარი და მყოფი 1, 95, 14 (форма и сущес) τότε εἶδος, καὶ τὸ ὄν (Plt. CI, 40—41).

სახის მნიშვნელობით აქვს ნახმარი პეტრიწს გუარ სიტყვა შემდეგ წინადადებაში:

ხოლო „ქებაჲ ქებათაჲ" გუარსა აჩუენებს სულთა ხიხრულიხსა სახისა მიერ სიძისა და სძალისასა (II 226, 34—35).

ეს უკანასკნელი წინადადება, როგორც ბოლო დროს გამოირკვა, წარმოადგენს ბასილი დიდის თხზულების — სოლომონის იგავთა განმარტების ნაწყვეტის თარგმანს[18]. ამავე ადგილის თარგმანში ექვთიმე ათონელს გუარიხ შესაბამისად სახე აქვს ნახმარი:

„ხოლო „ქებაჲ ქებათა" სახეხა აჩუენებს სრულებიხა სულთასა... (89, 11—13). Τὸ δὲ Ἆσμα τῶν ᾀσμάτων τὸν τρόπον ὑποδείκνυσι τῆς τελειώσεως τῶν ψυχῶν[19].

მაგრამ იოანე პეტრიწის თარგმანებში არის ბევრი შემთხვევა, როდესაც გუარ სიტყვა „იდეის" (როგორც ფილოსოფიური ტერმინის) მნიშვნელობითაც იხმარება. ასეთ შემთხვევებში ბერძნულ დედანში მის შესატყვისად არის ἡ ἰδέα.

მაგ. „ბუნებისათჳს კაცისა"-ს თარგმანში:

პლატონ იტყოდა, ეითარმედ აღჴსენებაჲ არსო გუართა, ხოლო თე რა არიან გუარნი, შემდგომადთა შორის ეისიტყჴთ (ბკ. 90, 22—23).— Πλάτων ἀνάμνησιν εἶναι λέγει τῶν ἰδεῶν· τί δὲ ἐστιν ἡ ἰδέα, ἐν τοῖς ἑξῆς ἐροῦμεν (Migne, 661).

---

17 „თეორიის, შეხედულების, აზრთა წყობის აღსანიშნავად იოანე პეტრიწი ხმარობს ტერმინს ხედვა.

18 იხ. თ. ჭყონია, იოანე პეტრიწის „განმარტების" ბოლოსიტყვაობის ახალი წყაროს შესწავლისათვის, ძველი ქართული ენის ოთხი ძეგლი, გვ. 72 და შმდ.

19 იხ. იქვე, „ამოკლეაჲ", გვ. 73, ტექსტი „ოქუმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, დაწყებისათჳს სოლომონის იგავთაასა".

Платон называет воспоминанием идей, а что такое идеи, об этом мы скажем впоследствии (Влад)[20].

აქ: ἡ ἰδέα, идея—გუარი.

„ქავშირნის“ თარგმანში:

საუწყო უკეე. ეითარმედ ამათ ყოველთა ერთი და პირველებრივი გუარი, ეითარდა მის ქ�ეშესა შორის დაწესებულთა, თან მისცემს მათ (I 59, 19—20)

Δῆλον δὴ ὅτι πᾶσι τὴν μίαν ἰδέαν[21], καθ' ἣν ὑπὸ τὴν αὐτὴν τέτακται σειρὰν, ἐκεῖνο εἰδωσιν (Plot. LXXXII, 17—18).

რატომ მოხდა, რომ იოანე პეტრიწი გუარ სიტყვას ხმარობს „სახის“ მნიშვნელობითაც და „იდეის“ მნიშვნელობითაც?

საქმე ისაა, რომ ბერძნული სიტყვები τὸ εἶδος და ἡ ἰδέα რომლებსაც იოანე პეტრიწი ერთი—გუარ სიტყვით თარგმნის, ერთმანეთის ყოველმხრივი სინონიმებია ი. დვორეცკის ლექსიკონში ეს სიტყვები ასეა ახსნილი:

Εἶδος (τὸ)—გარეგნობა, შესახედაობა, სახე, იერი, გვარი, ნაირი... მას აქვს ფილოსოფიური მნიშვნელობაც: ეიდოსი, იდეა (τὸ ἐπ'εἴδει καλόν, Plat. იდეალური, აბსოლუტური სილამაზე) ფილოსოფიური მნიშვნელობითვე იგი ფორმასაც უდრის.

ἰδέα (ἡ)— გარეგნობა, შესახედაობა, სახე, გვარი, ტიპი, კლასი, ნიშნავს აგრეთვე კატეგორიასაც. როგორც ფილოსოფიური ტერმინი კი აღნიშნავს იდეას, საწყისს, საფუძველს, პრინციპს, არსს, საზრისს. საერთაშორისო ტერმინოლოგიაში იგი სწორედ ამ უკანასკნელი, ფილოსოფიური მნიშვნელობით შევიდა და დამკვიდრდა.

როგორც ვხედავთ, τὸ εἶδος და ἡ ἰδέα პოლისემიური სიტყვებია, რომლებიც მნიშვნელობათა მსგავს, ერთმანეთთან სემანტიკურად მჭიდროდ დაკავშირებულ წრეს ქმნიან. ამოსავალი, ძირითადი მნიშვნელობა ყველა დანარჩენი და მათ შორის ფილოსოფიური მნიშვნელობისათვისაც ორივე სიტყვისა, არის „სახე“, „ის, რასაც ვხედავთ“ (образ).

აქედან, გასაგებია, თუ რატომ თარგმნის იოანე პეტრიწი ორივე სიტყვას ერთი—გუარ სიტყვით, და უხერხულად არ თელის ამას მაშინაც კი, როდესაც ორივე სიტყვა სხვადასხვა მნიშვნელობით თხზულების ერთ თავშია ან ერთ წინადადებაშიც კი:

Ἐξῶν δὴ συμβαίνει τὰ καθ'ἓν εἶδος ἐκ τῶν ὑπερτέρων ἀπογεννώμενα κατὰ πλείους ἰδέας ἐκ τῶν δευτέρων διῃρημένων παράγεσθαι (Plot. CVIII, 5—6)

ვინაცა შეემოხუეენის თითოეულს გუარსა, უზესთაესთაგან წარმონაშესა, უმრავლესთა მიერ შემდგომთა გუართაცა განწეალებით წარმოყენებაცა (I, 10, 9—10).

Отсюда получается, что те, которые рождаются высшими (умами),

---

[20] ob. Ф. Владимирский, Немезий, епископ Емесский, „О природе человека“, перевод с греческого, Почаев, 1904, стр. 55.

[21] „μία ἰδέα“ შესტყვებას, ჩვეულებრივ, ერთიანი საწყისის (единое начало) მნიშვნელობა აქვს, იხ. Древнегреческо-русский словарь, I, ἰδέα (ἡ).

сообразно одной форме, продуцируются вторичными разделёнными (умами) сообразно большому числу идей (Лос., § 177)[22].

სიტყვით გუარი ერთ შემთხვევაში თარგმნილია τὸ εἶδος (სახე, ფორმა), მეორე შემთხვევაში კი ἡ ἰδέα (იდეა).

სწორედ ამ უკანასკნელი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი გუარ სიტყვა განმარტების პირველ წინადადებაშიც:

„გუარსა თანა გუაც ცნობად... ხედვისასა“, რაც ასე განიმარტება: „გვაქვალია ხედვის (თეორიის) იდეის (არსის, საზრისის, აზრის) შეცნობაო“ და მაშინ მთელი წინადადება თანამედროვე ქართულით ასე გადმოიცემა: „(ჩვენ) გვაქვალია დიდი საღმრთისმეტყველო თეორიის იდეის (აზრის, საზრისის) შეცნობა და წინამდებარე წიგნის აზრის წინასწარე გაგება“.

იოანე პეტრიწის მიერ შექმნილ ტერმინოლოგიაში ეს შემთხვევა გამონაკლისს არ წარმოადგენს. თხზულების თარგმნისას ბერძნული სიტყვის ან ფილოსოფიური ტერმინის მიხედვით შექმნილ ქართულ სიტყვას იოანე პეტრიწი ფართო გაქანებას აძლევს: მხოლოდ თარგმნისას კი არ ხმარობს (მოცემული სიტყვის შესაბამისად), არამედ ორიგინალურ ნაწარმოებშიც (ასეა მაგ.: შექმნილი სამყაროს აღმნიშვნელი ტერმინი — აღმკული, რომელიც ბერძნული ὁ κόσμος სიტყვის კალკია)[23].

ამასთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა ქართულიდან 1248 წელს სომხურად თარგმნილი პროკლე დიადოხოსის „კავშირნის“ ჩვენება. ნ. მარს თავის გამოკვლევაში „Иоанн Петрицский, грузинский неоплатоник XI—XII века“, იოანე პეტრიწის „განმარტების“ წინასიტყვაობის ტექსტის პარალელურად მოჰყავს სომხური თარგმანიც. იგი ასე იწყება:

Ջամենայն ազգ և զհոգանակ պարտապան եմք ճանաչել. զորս ի մեծ ատարանութեա՛ տեսութի՛ք. և առնուլ կարժիս նախ զլատաչգրել գրոցս[24].

მაგრამ, სამწუხაროდ, სომხურ თარგმანში „გუარსა თანაგუაც“ აღქმულია, როგორც ერთი სინტაგმა. ამიტომ გუარ სიტყვაც გაგებულია პირდაპირი მნიშვნელობით, „ნათესავის, ტომის, გვარისა“ და თარგმნილია ჰენდიადისით: *«(ζ)ազգ և զհոգանակ»*, „ტომი და მყოფი“. ამიტომ მთელი წინადადების აზრიც შეცვლილია: „ყველა ტომი (გვარი, ნათესავი) და მყოფი მოვალე ვართ ცოდნად იმისა, რაც დიდ საღმრთისმეტყველო თეორიაშია და წინამდებარე წიგნის აზრის წინასწარ აღებად“.

სომეხ მთარგმნელს, როგორც ჩანს, ვერ გაუგია ქართული წინადადების წყობა, რომელშიც მსაზღვრელ-საზღვრული, როგორც ვნახეთ, რამდენიმე სიტყვითაა გათიშული. ეს გაუგებრობა კი უნდა გამოეწვია გუარ სიტყვას, რომელიც მთარგმნელმა ჩვეულებრივი და არა ფილოსოფიური მნიშვნელობით გაიგო. მისგან ასეთი პირდაპირი თარგმანი რომ გამორიცხული არ არის, ამას ისიც მოწმობს, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ტერმინი, როგორიცაა კავშირი (ქართული სახელწოდება პროკლეს თხზულებისა, კავშირნი), როგორც ნ. მარი წერს, მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით აქვს გაგებული სომეხ მთარგმნელს, რომელმაც იგი შესაბამისად სომხური *չաղկապ* -ით თარგმნა[25].

---

22 აკად. ლოსევის შესრულებული თარგმანი პროკლე დიადოხოსის Στοιχείωσις θεολογική-სი, ხელნაწერის უფლებით ინახება საქ. სსრ. ფილოსოფიის ინსტიტუტში.

23 იხ. ნ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 316.

24 იხ. ნ. მარი, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

25 იქვე, გვ. 5, სქოლიო 2.

არც ის არის გამორიცხული, რომ გუარ სიტყვის ასეთი თარგმანის წყარო ფედანიც იყოს. როგორც ზემოთ ვნახეთ, უძველესი, XII—XIII საუკუნის ხელნაწერის I ფურცელი უკვე დაზიანებული ყოფილა. ყველა სხვა ხელნაწერიც პირველი წინადადების ერთ ნაწილს სხვადასხვაგვარად წარმოგვიდგენს. ჩანს, რომ ქართველი გადამწერებიც არ იყვნენ მთლად კარგად გარკვეულნი ამ წინადადების აზრში. ასეთი გაუგებრობა კი ისევ და ისევ გუარ სიტყვის უჩვეულო მნიშვნელობითა და მისი მსაზღვრელისაგან საკმაოდ დაცილებით უნდა იყოს გამოწვეული.

ხოლო იოანე პეტრიწის „განმარტების“ პირველი სიტყვა გუარი რომ ნამდვილად ამ უჩვეულო, ფილოსოფიური მნიშვნელობით არის ნახმარი, ამას ადასტურებს მთელი რიგი ადგილები „განმარტებიდანვე“, სადაც გუარ სიტყვა მნიშვნელობის უკვე ამ ახალი ნიუანსით (იდეა, არსი, საზრისი) არის ნახმარი სხვათა შორის, იმავე გარემოცვაში, როგორშიც ჩვენთვის საინტერესო წინადადებაშია):

თანა გუაც გუარსა ბრძენთა სიტყჳსასა დაჴურეტად (II 10, 7—9),

რაც ნიშნავს: „გვავალია ბრძენთა სიტყვის იდეის (არსის, საზრისის) განჭვრეტაო“.

აქაც, მსგავსად ზემოთ მოყვანილი წინადადებისა, სინტაგმები შემდეგნაირად განლაგდება:

თანა გუაც დაჴურეტად
დაჴურეტად გუარსა
გუარსა სიტყჳსასა
ბრძენთა სიტყჳსასა.

წინადადების წყობა აქაც ისეთივეა, როგორც ზემოთ დასახელებული I წინადადებისა, — საზღვრულ-მსაზღვრელი გათიშულია.

ეითარცა თჳთ სოკრატისთჳს იტყჳან, ეითარმედ იკითხეიდისო სოკრატ, ვითარ იკითხვიდიან ყრმანი მცირენი, და კუალად შეეკცის მასვე წარკითხულსა, რამეთუ არაოე გუარსა ჯერ არს საკითხავისასა მიცემაჲ არამედ... (II 6, 8—10).

რაც ნიშნავს: „როგორც თვით სოკრატის შესახებ ამბობენ, კითხულობდაო სოკრატი, როგორც პატარა ბავშვები კითხულობენ — ისევ და ისევ უბრუნდებოდა ხოლმე იმავე წაკითხულს, რადგანაც არა მხოლოდ საკითხავის იდეახ უნდა მიეცე, (არამედ მახვილების და სასვენი ნიშნების სწორად დაცვაა საჭირო იმისათვის, რომ შეუცთომელი აზრი გავიგოთო).

ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, აქაც, გუარსა წარმოადგენს მის მიერ მართული მსაზღვრელისაგან (საკითხავისასა) გათიშულ საზღვრულს. სინტაგმებად დაჯგუფებისას ასეთ სურათს მივიღებთ:

ჯერ არს მიცემაჲ
მიცემაჲ გუარსა
გუარსა საკითხავისასა.

იხილე მეჴურეტმან, რამეთუ ოდეს არსი ანუ მყოფი სოქუა, მყის თანავე გუარსა წამოიყენებ ხედულისასა II, 5,4 28.

ნიშნავს: ...როცა არსს ან მყოფს ამბობ, მაშინვე თეორიის (ხედვის) იდეას (არსს, საზრისს) წარმოიყენებო“. (ამ თავში, „წინადადებისათჳს არსათაჲსა,

ლაპარაკია ამბავ.არსობის და მყოფობის თეორიის შესახებ. ამ თეორიის არსს, იდეას, მთავარ ულ ვენტებს, საწყისებს კი — არსი და მყოფი წარმოადგენს).

აქაც ზუსტად იგივე წყობაა, რაც წინა შემთხვევებში: გუარსა ხედულისა-სა საზღვრულ-მსაზღვრელია ერთმანეთის მიმართ.

ან აიღოთ კიდევ ერთი კონტექსტი, სადაც გუარ ტერმინი აშკარად „აზრის, იდეის" მნიშვნელობითაა ნახმარი:

ყოველი ხედვა ამის თავისა სხვასა გუარსა გჳთხრობს ჩჳენ სრულებისასა (II, 90, 3—4).

აქ, ისევე, როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითებში, გუარ სიტყვა მის მიერ მართული მსაზღვრელისაგან გათიშულ საზღვრულს წარმოადგენს. ამგვარად ამ წინადადების აზრი ასე გადმოიცემა: „ამ თავის მთელი ხედვა (თეორია) სრულების სხვა აზრს (იდეას) გადმოგვცემსო".

გუარსა დაიცავს აქა პერიპატოელთასა (II 59, 1);

საზღვრულ-მსაზღვრელი აქაც გათიშულია. წინადადების აზრია: „აქ პერიპატოელთა აზრს, თვალსაზრისს, თეორიას იცავსო" (ლაპარაკია პროკლეს მიერ სულისა და სხეულის ერთმანეთისაგან გამოყოფაზე, განსხვავებაზე: სული თვითმოძრავია და თვითარსება. სხეული კი სხვას, გარეგან ძალას საჭიროებს ასამოძრავებლად. სხეულს თვითარსებობა არ შეეძლია. იგი სულთან თანაარსებობს. საკმარისია სული სხეულს მოშორდეს, რომ სხეულმა დაკარგოს თავისი არსებობა. ეს კარგად ჩანს, ყოველი მოკვდავის მაგალითზეო (იხ. II, 57, 1—11).

მსგავსი სინტაგმები გაუთიშავადაც გვხვდება ხოლმე იმავე „განმარტებაში". მაგ.:

სამსახეობს აწ აქა გუარი ხედჳისაჲ (II, 81, 6).

რაც ნიშნავს: „ხედვის (თეორიის) საზრისი (იდეა, აზრი) აქ სამი სახისაა".

მაშასადამე, იოანე პეტრიწი გუარ სიტყვას ხმარობს როგორც მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით, ასევე კერძო, ფილოსოფიური მნიშვნელობითაც (იდეა, არსი, საზრისი). ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ხმარების საბაბი მას, ალბათ, მისცა ბერძნულმა სიტყვამ ἡ ἰδέα, რომლის ძირითადი, პირველადი მნიშვნელობა, როგორც ზემოთაც ვთქვით, სწორედ სახე, გვარია; ფილოსოფიური მნიშვნელობა (იდეა, საწყისი, საფუძველი, პრინციპი, არსი, საზრისი) კი გადატანითი, მეორეულია. ამიტომაც მიიჩნია შესაძლებლად იოანე პეტრიწმა და უფრო საჭიროდაც, რომ ἡ ἰδέα („იდეის" მნიშვნელობით), გუარ სიტყვით ეთარგმნა. ასეთი დამთხვევა ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნისას იოანე პეტრიწის მიერ გამომუშავებული პრინციპისა და დასახული მიზნის განხორციელების ერთი კეთილი შემთხვევათაგანი იყო.

ᲐᲐ, ᲐᲝᲑᲐᲐ

ეს ტერმინები, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პირველად იოანე პეტრიწმა იხმარა. ᲐᲐ დაახლოებით ნიშნავს „მყოფს, არსს, არსებულს". ᲐᲝᲑᲐᲐ — „მყოფობას, არსობას, არსებობას". ეს უკანასკნელი ტერმინი თარგმანია ბერძნული τὸ εἶναι ტერმინისა, რაც მყოფობას, არსობას (бытие)ნიშნავს. მაგ.:

ხოლო თუ ამას უმეცარ (არს) და ამასცა უმეცარ იქმნას წარმომაუენებელსა ᲐᲝᲑᲐᲐᲡᲐ თჳსისასა (I, 100, 24). Εἰ γὰρ τὸ τῷ εἶναι: παράγον (Plot. CIV, 18).

ეგ და ეობაგ სიტყვების საპირისპირო მნიშვნელობით იოანე პეტრიწი, ჩვეულებრივ, ხმარობს უარყოფით არ ნაწილაკით ნაწარმოებ ტერმინებს: არაგ და არაობაგ. ერთი მხრივ ეგ—არაგ და მეორე მხრივ ეობა-არაობა წყვილებს შორის ურთიერთკავშირის არსებობა ნათელი გახდება იმ კონტექსტებიდან, სადაც ისინი ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობით ერთად გვხვდებიან:

მარტივად ეგ ოდენ მყოფობასა მიიღებს არაობისგან (II, 180, 5); ეობაგ თანგანწვალებით მიიღო არაობისგან (II, 53, 36); სრულიად არაობისგან მიიღებს ეობასა (II 25, 18); ოდეს ოდენ ეგ ჰნიშნვიდეს, მართ ოდენ არაობისგან გაპყოფს (II 54, 30); ყოველი მიზეზი თჳს გამო მიზეზოანსა პირველად ეობასა მისცემს და მოსწყუედს არაოგან (II 55, 7) და სხვ.

ასეთი დაპირისპირების შემდეგ, ძალაუნებურად ისმის კითხვა: ეგ და ეობაგ ტერმინთა წარმოებისას ამოსავლად არაგ და არაობაგ ფორმები ხომ არ აიღო იოანე პეტრიწმა, მათი ასეთი შესაძლებელი გააზრების საფუძველზე: არ+ეგ, არ+ეობაგ. არაგ ნიშნავს „არარსს, არარსებულს". ეს კარგად ჩანს შემდეგი კონტექსტიდან:

მრცხეენის მე თჳთ მის ჭეშმარიტებისაგან, აქაოთ წარსულსა და მკდუარსა, თუ არსთა წილ არათა გარდმოვაენებდე (II, 108, 27—28).

არობაგ კი შესაბამისად, ნიშნავს „არარსებობას, არამყოფობას". ეს ნეგატიური ცნებების გამომხატველი ტერმინებია. აქედან დადებითი ცნებების გამომხატველი ტერმინების წარმოება უარყოფითი არ ნაწილაკის ჩამოცილებით შეიძლებოდა: არ-ეგ —ეგ; არ-ეობა —ეობა . ე. ი. დადებითი მნიშვნელობის მქონე ტერმინთა წარმოებისას ამ შემთხვევაში იოანე პეტრიწმა უარყოფითი მნიშვნელობის ტერმინთა ფორმები აიღო ამოსავლად.

მართალია, ეგ „არსს, მყოფს" ნიშნავს, მაგრამ, როგორც ჩანს, იოანე პეტრიწი მას ამ უკანასკნელთაგან მაინც განარჩევს. იგი წერს:

ეგ-და არსი და მყოფი განიყოფებიან ურთიერთობისაგან (II, 54, 3).

და ამისათვის არისტოტელს იმოწმებს. როგორც არისტოტელე ამბობს, მყოფი არსზე მეტია, მას მოიცავს:

ხოლო ეგ რაჲთაღა განეყოფის მყოფსა და არსსა, იხილე მეპერეტმან, რამეთუ ოდეს არსი ანუ მყოფი სთქუა, მყის თანავე გუარსა წარმოიყენებ ხედველისასა... ხოლო ოდეს ოდენ ეგ ჰნიშნვიდეს, მართ ოდენ არაობისგან გაპყოფს, და რეც თუ ეთა შორის წარმოაჩენს, მაგრა უგუაროდ და პირშეუპყრობელად (II 54, 27—41).

ან კიდევ:

ეობაგ სწორად ხედაო პირველისა ეგსგან ყოველთა მყოთა (II 56, 20).

როგორც ვხედავთ, მყოფი —არსის მომცველია. ეგ კი — მყოფისა. მაგრამ საბოლოოდ ეგ მყოფი და არსი მაინც არსებულის აღმნიშვნელი ტერმინებია მეტნაკლები ზოგადობით. ამ თვალსაზრისით ისინი სინონიმებიც არიან, მაგ.: ყოველი მომცემელი სხუათა ეობისაგ, პირველ თჳთ იგი არს მყოფ და ა (I, 16, 14).

შესაბამისი განსხვავებაა ეობასა და მყოფობას შორის. ეობა მომცველია მყოფობისა.

მისცემს მათ ეობითსა მყოფობასა (II, 182. 3);

ობა, მართალია, მყოფობასა და არსებაზე უფრო ძეტია, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით მათი სინონიმიცაა:

ზოლო უკეთე ობასა და არსებასა მისცემს წარმოჩინებულსა, და ძალსაცა წარმოუყენებს, შესაბამსა არსებისასა (II 31, 27).

ხშირად, თავისთავად, ცალკე აღებული ობა, „ყოფნას", „არსებობას", „მყოფობას" ნიშნავს:

და ესევითარი აქუს ობაჲ თითოეულსა განღმრთობილთასა (I, 82. 2--31); καὶ ταύτην ἔχει τὴν ὑπαρξιν, καθόσον ἕκαστος θεός (Plot. § CXXXIII, 13—14).

ამ ახალი ტერმინისაგან იოანე პეტრიწი ზმნასაც და მიმღეობის ფორმასაც აწარმოებს:

რამეთუ თჳთ იგი ობაჲ თჳსისა მიზეზისგან აქუს ყოველსა მყოფსა. ხოლო ყოველი მიზეზი. თან მისცემს თჳსისა ობისგან და ადგმს წარმოაებულსა ახა (II, 54, 1—3); მართოდენ ძალთა ცხოელობითითა ობს (II, 93, 3) და სხვ.

როგორც ზემოთ ვთქვით, ადა ობაჲ ტერმინები იოანე პეტრიწის შემოღებული უნდა იყოს. საბა ა-ს „კავშირნ"-ზე მითითებით ხსნის „განმარტებიდან" ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილი კონტექსტით, სადაც მყოფის, არსისა და ადა-ს განსხვავებაა მოცემული (იხ. II, 54, 27—31). დასახელებული ციტატის პირველ ნაწილს საბა საკუთარი სიტყვებით გადმოსცემს. მეორე ნაწილი კი ბოლომდე თითქმის უცვლელად აქვს გადმოღებული ადა სიტყვის განმარტებისას.

ს. ორბელიანი „მყოფსაც" იოანე პეტრიწის „განმარტების" ამაკე ადგილის მიხედვით ხსნის:

„მყოფი ზოგადი სახელი არს ყოველთა მყოფთა, ხოლო ესე მყოფი განიყოფების არსებისა მიმართ და შემოხუმეთისა. არსება უკუმ არს თჳსით მყოფი და არა მოქმნე სხჳსა შეუტყობელისა მიმართ; ხოლო შემოხუმეთი არს არსებასა შინა ხილული ვერ შემძლებელი თჳსა შორის თჳსსა, არამედ სხჳსა შორის მქონებელი ყოფისა და ონიეე ესე მყოფ არიან. ხოლო აცა მყოფი არს, მაგრა უგვარო".

შდრ. პეტრიწის „განმარტებაჲ", II, გვ. 54,4—26;

ურიგო არ იქნებოდა ობა ტერმინი თანამედროვე ქართულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში დამკვიდრებულიყო τὸ εἶναι, бытие-ს შესატყვისად. მყოფობა მაშინ ἡ ὑπαρξις, существование, наличное бытие-ს შესატყვისი იქნებოდა.

ოცნებაჲ—უოცნოჲ

ბერძნული ტერმინების: φαντασία (ἡ), φαντασικόν (τὸ), φάντασμα (τὸ), φανταστός (adj) თარგმანისას მნიშვნელობათა განმასხვავებელი ნიუანსის დაცვა მეტად ძნელია.ამიტომ ნემესიოსის რუსულად მთარგმნელმა, ფ. ელადიმირსკიმ, ეს ტერმინები უთარგმნელად დატოვა. იოანე პეტრიწი შესანიშნავად იყენებს ქართული ენის შესაძლებლობებს და ძველ ქართულში უკვე არსებული ოცნება ტერმინის გვერდით მოხერხებულად აწარმოებს დანარჩენი ტერმინების ზუსტ შესატყვისს ქართულად. ეს კარგად ჩანს „ბუნებისათჳს კაცისა"-ს VI თავიდან, რომელიც სპეციალურად ფანტაზიის, წარმოდგენის (ოცნების) უნარს, ძალას ეხება. ნემესიოსი ამბობს:

Οἱ δὲ Στωϊκοὶ τέσσαρα ταῦτά φασι, φαντασίαν, φανταστὸν, φανταστικὸν, φάντασμα (Migne, 633). იოანე პეტრიწი თარგმნის:

ხოლო სტოელნი ოთხად იტყოდეს ამას: ოცნებად, ოცებითად, ოცნებრივად და ოცებად (ბ. 72, 8—9: იქვე, ოცება||საოცი).

„ოცნება"-სთან დაკავშირებით უნდა გაეიხსენოთ ნეგატიური ცნების აღმნიშვნელი ტერმინი უოცნოჲ.

უოცნო სიბას განმარტებული აქვს, როგორც „არასაცნობელი" ასევე. პროფ. ყაუხჩიშვილის მიერ უოცნო გაგებულია, როგორც საცნაურის საპირისპირო და უცნაურის სინონიმური მნიშვნელობისა და ახსნილია,როგორც „შეუცნობელი" (იხ. ქართული სიტყვების საძიებელი II ტომისათვის, გვ. 301 უოცნო — „შეუცნობელი"). ამავე მნიშვნელობით აქვს თარგმნილი იგი. ი. ფანცხავას რუსულად. მაგ.: უოცნოჲ იგი ერთი ზესთა ძეს ყოველსა ძალსა და ყოველსა მოქმედებასა (II, 18, 25); Непознаваемая единица превыше всякого действия[36]. სინამდვილეში, უოცნო ნიშნავს არა „შეუცნობელს" (непознаваемая) არამედ „წარმოუდგენელს, წარმოუსახველს" (невоображаемая, непредставляемая) იგი მიღებულია არა ცნობა ზმნიდან, არამედ ოცნება ზმნიდან ნაწარმოები უარყოფითი მიმღეობაა.

საქმე ისაა, რომ ტერმინს ოცნებაჲ იოანე პეტრიწი ერთის, კეთილობის—ღმერთის, ატრიბუტად ხმარობს უცნაური—უცნოჲ, მიუწდომელი—მიუწუთოჲ, უთქმელი—უთქოჲ და უქმნელი—უქმნოჲ ატრიბუტების პარალელურად. მაგ.:

უცნაური, უცნოჲ ერთი (შეუცნობელი ერთი):

ზესთმდებარე იგი უცნაური ერთი და კეთილობაჲ (II, 8.5).

რამეთუ იგი ზესთაჲ და უცნაური ერთი ესახოსაცა და ურომელოსა წარმოაჩენს ნიეთსა (II, 43, 9).

რამეცუ მის ერთისა მიერ წარმოიჩინა ესე უცნაური ნიეთი, ვითარ უოცნოჲ—უოცნოჲსა ზიერ (II, 43, 9).

მიუწთომელი, მიუწუთო ერთი:

პირველსა მას მიუწთომელსა ზესთ არსსა ერთსა შორის (II, 130, 28—29; II, 130, 31; 162, 27);

ერთი იგი და ზენაჲ ყოველთა სწორებით ყოველთა მიზეზ და მიუწუთო (II, 60, 4).

უთქოჲ, უთქჳ ერთი:

უთქოჲ იგი ერთი მიედრეკელობასა ზესთა ძეს (II, 48, 15); მის უთქჳსა ერთისა მიერ (II, 145, 8);

უქმნელი, უქმნოჲ ერთი:

ხოლო უქმნელსა ერთსა არცა ნაწილნი ჰქონან და არცა ასონი და კავშირნი (II, 23, 6);
ხოლო უქმნოჲ ერთი ზესთა ძეს ნაწილთმიერობასა (II, 23, 33).

უოცნოჲ ერთი („წარმოუდგენელი ერთი")

უოცნოჲ იგი ერთი ზესთა ძეს ყოველსა ძალსა და მოქმედებასა ,(II, 18, 25);

ესს უოცნოჲსა ერთსა მოაქუს თჳს შორის ყოველი ზესთ გუართაჲ (II, 30, 4);

რამეთუ ესე მის უოცნოჲსა ოდენ ერთისა არს თჳთებაჲ (II 65, 31; იხ. აგრეთვე: II 21, 30; 48, 2, 145, 14 და სხვ.).

---

[36] იხ. Иоанн Петрицн, Рассмотрение платоновской философии и Прокла Диадоха, пер. с грузинского и исследование И. Д. Панцхава, Тбилиси, 1942, стр. 25.

როგორც ვხედავთ, ერთი არის:

1. უცნაური, უცნოჲ „შეუცნობელი"; 2. მიუწუთო — „მიუწდომელი"; 3. უთქოჲ; უთქჳ—„უთქმელი"; 4. უქმნოჲ—უქმნელი; და 5. უცნოჲ—„წარმოუდგენელი". რომლის გონებით წარმოსახვა შეუძლებელია.

უცნოჲ უარყოფითი ფორმაა მიმღეობისა ოცნება („წარმოდგენა", „წარმოსახვა") ზმნიდან, მაშასადამე იგი ნიშნავს „წარმოუდგენელს, წარმოუსახავს" და არა შეუცნობელს. შეუცნობელისათვის ძველ ქართულში ცნობა ზმნიდან ნაწარმოები უარყოფითი მიმღეობა უცნაური იხმარება. პეტრიწი კი ამ ცნების გამოსახატავად, როგორც ვნახეთ, ხმარობს ტერმინებს: უცნაური უცნოჲ, აგრეთვე, ზოგჯერ უცნობო-საც (იხ. II, 213, 5);

მაშასადამე, ტერმინს უოცნოჲ იოანე პეტრიწი ხმარობს გონებით „წარმოუდგენელი", „წარმოუსახავი"-ს მნიშვნელობით. ზემოთ ჩამოთვლილ სხვა სახელებთან ერთად იგი ერთის ანუ ღმერთის უარყოფადი ანუ უკუთქმითი სახელია.

უოცნო-ს მნიშვნელობით, პეტრე იბერიელის შრომების თარგმანში ეფრემ მცირე ხმარობს ტერმინს მოუგონებელი:

> და ყოველნი მოგონებათაგან მოუგონებელ არს ზემთაგონებისა იგი ერთი (ᲘᲐ. ᲘᲐ. 6, 19);

სხვა შემთხვევაში აღწერით წარმოებასაც მიმართავს:

> არცა გამოთქუმაჲ, არცა მოგონებაჲ შესაძლებელ არს (ᲘᲐ. ᲘᲐ. 10, 20),

(ე. ი. მისი არც გამოთქმა და არც წარმოდგენა, ფიქრია შესაძლებელი, იგი გამოუთქმელი და გონებით წარმოუდგენელიაო).

Ნამანა შელიქიშვილი

ზოგი საკავშირებელი სიტყვისა და ნაწილაკის მნიშვნელობისათვის ოანე პეტრიწის ნაწერებში

ოანე პეტრიწის ნაწერებში თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება საკავშირებელი სიტყვები ვინაჲ და ვიდრემე. იმის გამო, რომ მათი მნიშვნელობა გარკვეული არ იყო, მათი ხშირი ხმარება ისედაც რთულ აზრს კიდევ უფრო აბუნდოვნებდა. ისეთი შთაბეჭდილებაც კი რჩებოდა, თითქოს ეს სიტყვები მხოლოდ სამკაულია.

ერკვევა, რომ ვინაჲ და ვიდრემე საკავშირებელი სიტყვებია, რომლებიც აზრის ნათლად და გარკვევით გადმოცემას ემსახურებიან. ამ სიტყვათა უეჭველი მნიშვნელობის დადგენის საშუალებას იძლევა მათი ხშირი ხმარება იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომებში.

საერთოდ მეცნიერული ხასიათის ნაწერებში ხშირად შევხვდებით გარკვეული ტიპის სიტყვებს, რომელთა დანიშნულებაა, კავშირი გააბან წინამავალ მსჯელობაში წარმოდგენილ აზრთა მსვლელობასთან. ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ, დანასკვი უკავშირდება წინამავალ მსჯელობებს — წინამძღვრებს. თანამედროვე ქართულში ასეთ საკავშირებელ სიტყვებად იხმარება ამგვარად, მაშასადამე, მაშ. იოანე პეტრიწის ნაწერებში ამავე მნიშვნელობით ვხვდებით ვინაჲ, ვიდრემე, მაშა და უკუე სიტყვებს.

ვანვიხილოთ ისინი სათითოოდ.

ვინაჲ

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ძველ ქართულში ზმნიზედებად და კავშირებად ვინაჲ სიტყვის მრავალი ვარიანტი იხმარება და მათ შორის ძირითადია თვით ვინაჲ[1], რომლის ძირითადი მნიშვნელობა იყო «საიდან».

ოგორც ფ. ერთელიშვილი აღნიშნავს, «არ შეიძლება არ გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ვინა ფუძე მნიშვნელობით «საიდან» ახლოს დგას ვინ ფუძესთან სხვა მნიშვნელობით: «ვინ» (τίς, κτο). ვინ ფუძე ამ უკანასკნელი

---

[1] ფ. ერთელიშვილი. რთული წინადადების ისტორიისათვის ძველ ქართულში, I, პიპოტაქსის საკითხები, თბილისი, 1963, გვ. 85.

მნიშვნელობით იშვიათად, მაგრამ მაინც იჩენს თავს გავრცელებული ფორმით «ვინა»[1]. ავტორი ამის დამადასტურებელ სამიოდე მაგალითს იმოწმებს ძველ ქართული ენის ძეგლებიდან. აღსანიშნავია, რომ იოანე პეტრიწი ვინა ფუძეს ხშირად ხმარობს სწორედ «ვინ», «რომელ» და «რა» ნაცვალსახელთა მნიშვნელობით. ბერძნული დედნის შესაბამის ადგილას ასეთ შემთხვევებში, ჩვეულებრივ τίς ნაცვალსახელია.

ბერძნული τίς შეიძლება კითხვითი ან მიმართებითი ნაცვალსახელი იყოს (ე. ი. ზმნასთან იყოს შეწყობილი) და ნიშნავდეს «ვინ»-ს ან «რა»-ს; შეიძლება იგი სახელთან იყოს დაკავშირებული და ნიშნავდეს «რომელს»; ისიც შესაძლებელია, რომ იგი განუსაზღვრელი ნაცვალსახელი იყოს და ნიშნავდეს «ვინმე»-ს, «რამე»-ს. სწორედ ამ ნაცვალსახელს, ამა თუ იმ მნიშვნელობით, იოანე პეტრიწი ვინაჲ, ვინაჲვე და ვინაჲმე სიტყვებით თარგმნის. მაგალითები:

Πᾶσα μὲν ἀϊδιότης ἀπειρία τίς ἐστιν: Plot ᾗ 94, 37 ყოველი სამარადისობაჲ უსაზღვრო ვინაჲვე არს: პეტრიწ. I 58, 11 («ყოველი მარადიულობა რაიმე (რაღაც) უსასრულობაა»);

Εἴπερ γὰρ εἰς τὸν ὀφθαλμὸν ἀφικνοῖτο μοῖρά τις ἢ δύναμις Migne P. G. 640, 30-31 უკუეთუმცა თუალად მოუვიდოდა ნაწილი ვინაჲ, გინათუ ძალი: ბუნებ. 76, 10-11; — «თვალით რომ დაინახვებოდეს რაიმე ნიშანი (საგნისა) ან შესაძლებლობა (პოტენცია)».

Ორკუთქმით წინადადებაში, სადაც ბერძნულში არის μηδέν, οὐδέν («არც ერთი, არავინ, არაფერი»), თარგმნში შესაბამისად გვექნება არვინაჲ: Ἀλλ' εἰ μὲν μηδὲν αὐθυπόστατον, ἐν οὐδενὶ τὸ αὐταρκες ἔστα: κατ' ἀλήθειαν: Plot. § 40 ხოლო თუ არ იყოს თვთმდგომი, არვინათა შორის იხილვოს უზადოდ უმოქენებაჲ: პეტრიწ. I, 30, 15-16 («ხოლო თუ არ არის თვითმყოფადი, ვერაფერში ვერ ვიხილავთ წმინდა თვითკმარობას»).

ვინაჲ სიტყვას «რომელიმე», «ვინმე»-ს მნიშვნელობით ვხვდებით პეტრიწის ორიგინალურ ნაწარმოებშიც, «განმარტებაში»:

Ქერ-არს, რაჲთა იყოს საშუალ ამათსა სხუაჲ ვინაჲ არსებაჲ: პეტრიწ. II 152,1—«საჭიროა, რომ მათ შორის იყოს სხვა რაიმე (რომელიმე) არსებაჲ».

ვინათათჳს იტყჳს ჩუენი ესე მნათი: პეტრიწ. II, 213, 14—«ჩვენი მნაიობი ვინმეებზე (=ზოგიერთებზე) ამბობს» და სხვ.

Შაგრამ ვინაჲ ფორმას და მის სხვადასხვა ვარიანტს (ვინაჲვე, ვინაჲმე), როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იოანე პეტრიწის ნაწერებში ძალიან ხშირად ვხვდებით საკავშირებელი სიტყვის ფუნქციით. ამ შემთხვევაში მისი მნიშვნელობაა: «საიდანაც», «ამიტომ»(—ამისთვის), «რის გამოც», «ამგვარად», «მაშასადამე». ამ მნიშვნელობით ნახმარი ვინაჲ ხშირად იწყებს წინადადებას და ასეთ შემთხვევაში იგი ლოგიკურად, აზრობლივად დამაკავშირებელია წინადადებათა რიგისა. პროკლე დიადოხოსის თხზულებაშიც და იოანე პეტრიწის «განმარტებაშიც» ხშირადაა გამოყენებული მტკიცების გზა სილოგიზმების («თანშესიტყუათა») საშუალებით. ჩვეულებრივ მოცემულია დასამტკიცებელი დებულება, მას მოსდევს მტკიცება და ბოლოს დანასკვი, რომელიც მტკიცებასთან

---

[1] უ ერთელიშვილი. დასახ. ნაშრ., გვ. 93.

დაკავშირებულია სპეციალური საკავშირებელი სიტყვით. მაგ., პროკლე დიადოხოსი უარყოფადი მტკიცების გზით მიდის შემდეგ დასკვნამდე:

Πᾶν ἄρα πλῆθος, μετέχει πῃ τὸν ἑνός: Plot. § 1 ვინაჲ ყოველი სიმრავლე ეზიარების რაჲთავე ერთსა: პეტრიწ. 1, 3, 21 («ამგვარად, ყოველი სიმრავლე რითიმე (როგორღაც) მონაწილეა ერთისაჲ»).

ან: Ἐπέκεινα ἄρα ἓν τοῦ νοῦ: Plot. § 20 იმრრე ვინაჲვე და უზესთაეს ერთი გონებასა — «მაშასადამე ერთი გონებაზე უმაღლესია» (აქ ἐπέκεινα თარგმნილია ჰენდიადისით: იმრრე და უზესთაეს); ასევე, ის. 1, 30, 14 და სხვ.

Ვინაჲ საკავშირებელი სიტყვის შემცველი წინადადება, ჩვეულებრივ, მისი წინამავალი მტკიცების შედეგად მიღებულ დანასკვს წარმოადგენს. თვით ვინაჲ უფრო ხშირად ბერძნული ἄρα ნაწილაკის შესატყვისია.

ᲔᲨირად ვინაჲ რაიმე პირობასა და მისგან გამომდინარე შედეგს შორის არსებულ (მიზეზ-შედეგობრივ) კავშირს გამოხატავს და ასეთ შემთხვევაში იგი ბერძნულ ὥστε-ს შეესაბამება, მაგ.:

Ἐπεὶ καὶ ἡ ὑπαρξις καὶ ὁ ἀριθμὸς καὶ τὸ εἶδος περατοειδῆ πάντα ἐστίν· ὥστε ταύτῃ σύστοιχα ἀλλήλοις: Plot. § 157 ვინაჲთგან აობაჲ და რიცხვ და გუარი საზღვრის გუარ ყოველნი არიან, ვინაჲ ესე თანმოდასე ურთიერთას: პეტრიწ. 1, 95,8-10 («რადგანაც არსებობა (მყოფობა), რიცხვი და ფორმა, ყველა საზღვრის მქონეა, ამიტომ (აქედან) ისინი მონათესავენი არიან ერთმანეთისაჲ»).

«განმარტებიდან»: ყოველი თვთმდგომარე აღუგებელ, ვინაჲ დაუჴსნელცა: პეტრიწ. 11, 104,4 — «ყოველი თვითმყოფი შეუქმნელია (აგებული არ არის), ამიტომ არანგრევადიცაა».

ᲗᲘᲜᲐᲐᲕᲔ

ᲗᲘᲜᲐᲐ ფორმა იოანე პეტრიწთან ხშირად ეე ნაწილაკ-დართული გვხვდება:

ხოლო რომელთანი ძალნი არა გუქონდინ, ამათნი არცა ვინაჲვე საქმენი: ბუნებ. 139, 24-25 — «ხოლო რომელთა შესაძლებლობა (პოტენცია) არა გვაქვს, მაშასადამე, იმათი არც მოქმედება გვექნება».

ვითარ ვინ თქუას ესრეთ, ვითარმედ არარაჲ ცხოველთაგანი იდრეკს ზედათა ყბათა — არამედ ხჳთქი ზედათა ყბათა იდრეკს — არა ვინაჲ იყოს ცხოველ კროკოდილოჲ — ხჳთქიცა», არამედ ტუუვილ ვინაჲვე არს პირველ დაწესებული: ბუნებ. 29,17—20 — «მაგალითად, ვინმემ რომ თქვას: «არც ერთი ცხოველთაგანი ზედა ყბას არ ანძრევსო — ნიანგი კი ზედა ყბას ანძრევს - და ამიტომ კროკოდილო-ნიანგიც ცხოველი არ იქნებაო», მაშასადამე, მცდარია წან�«ᲛᲫᲚᲕᲐᲠᲘᲐ» და სხვ.

ᲡᲘᲝᲒᲝᲠᲪ ვხედავთ, რთულ ვინაჲვე-ს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც მარტივ ვინაჲ-ს.

ᲗᲘᲜᲐᲐᲛᲔ

Იგივე ვინაჲ გვხვდება მე ნაწილაკითაც:

«რომლისთჳსცა ჩანს, ვინაჲმე ერთსა შორის რიცხჳ არა შეერთებული,

არამედ ერთებრი: პეტრიწ. II, 13,31—«რომლის მიხედვითაც ჩანს, ამგვარად (მაშასადამე), რომ ერთი არის არა შეერთებული რიცხვი, არამედ ერთეულებრივი.». სხვა მაგალითები:

მხოლოდ სხეულებრივნი ვინაჲმე არიან: ბუნებ. 102,5—«მაშასადამე მხოლოდ სხეულებრივნი (ნივთიერნი) არიან»; სიმჯურვალეცა ვინაჲმე უპურიეს: ბუნებ. 123,13—«მაშასადამე, სიმხურვალეც გააჩნიათ»; ესევითარი ვინაჲმე აქუს სახე: ბუნებ. 110,3—«მაშასადამე (ამგვარად), ასეთი სახე აქვს» და სხვ.

ტაკი ვინაჲმე-ს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ვინაჲვე ფორმას; ეს თითქო იმას ადასტურებს, რომ ვე და მე ნაწილაკების მნიშვნელობანი თავდაპირველად ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო.

Ო ი ნ ა ჲ ც ა

XI საუკუნის მოღვაწეთა ენაში, სახელდობრ, გიორგი მთაწმიდლისა და ეფრემ მცირისაში ვინაჲ გვხვდება ცა ნაწილაკით. აღსანიშნავია, რომ, მაგ., პავლეს ეპისტოლეებში, იქ, სადაც გიორგი მთაწმიდლისეულ და ეფრემ მცირისეულ რედაქციებში არის ვინაჲცა, ძველი რედაქციის ხელნაწერებში იკითხება: ამის გამო, ამისთჳს, რომლისაგანაც. მაგალითები:

ვინაჲცა ვერღარა დავთმეთ: I თესალ. 3,1 (ძვ. რედაქციის ხელნაწ.: ამის გამო...); ვინაჲცა, ძმანო წმიდანო: ებრ. 3,1 (ძვ. რედაქ. ამისთჳს..); ვინაჲცა არცა პირველი იგი თჳნიერ სისხლისა განახლდებოდა: ებრ. 9,18. ამ ადგილას ძველ რედაქციებშია რომლისაგან. ასევეა: ებრ. 7,25; 8,23 და სხვაგან.

Ო ი დ რ ე მ ე

ესევე, როგორც ვინაჲ და ვინაჲვე, ვიდრემე-ც საბოლოო დასკვნითს დებულებაში მოცემულ აზრს მტკიცებაში წარმოდგენილ აზრთა მსვლელობასთან აკავშირებს და ასეთ შემთხვევაში ნიშნავს: «ამგვარად, ამიტომ, მაშასადამე». მტკიცების ტიპიური გზაა: წინასწარ მოცემულია დასამტკიცებელი დებულება, რომ «ყოველსა საუკუნოჲსა პირველ მზიარებელსა არსებაჲცა და მოქმედებაჲ საუკუნოჲ აქუს» (პეტრიწ. I 54,26). შემდეგ, მთელი ეს თავი ეძღვნება ამ დებულების მტკიცებას. ბოლოს, როდესაც ავტორს მიაჩნია, რომ დებულება დამტკიცებულია, ასკვნის: «ყოველსა ვიდრემე საუკუნოჲსა პირველ მზიარებელსა არსებაჲცა და მოქმედებაჲ საუკუნოჲ აქუს: (პეტრიწ. I 65,8). (ბერძნ. Ἅπαν ἄρα τὸ πρῶτον αἰώνιον τὴν τε οὐσίαν ἔχει καὶ τὴν ἐνέργειαν αἰώνιον: Plot. § 104)—«მაშასადამე, ყოველ პირველად მარადიულობის მონაწილეს არსებაც და მოქმედებაც მარადიული აქვს»;

ან მოცემულია, ვთქვათ, დებულება: «ყოველი თჳთმდგომი სამარადისო არს», მას მოსდევს მტკიცება და ბოლოს იგივე დებულება დასკვნის სახითაა განმეორებული: «სამარადისო ვიდრემე არს» (პეტრიწ. I 34, 11; Ἀΐδιον ἄρα ἐστίν: Plot. § 49);—«მაშასადამე, მარადიულია». ან მოცემულია, ვთქვათ, უარყოფადი მტკიცება, რომლის ჩვეულებრივი დამასრულებელია ფრაზა: «მაგრა ესე

შეუძლებელ», ხოლო, თუ ეს შეუძლებელია, მაშინ მტკიცდება წამოუენებული დებულება, მაგ.: «იქმნას ვ ი დ რ ე მ ე მოქმედება უმჯობეს არსებისა» (პეტრიწ. 1, 65, 1—2).

შოვეუვანთ ასეთი მტკიცების ტიპიურ მაგალითს: «ყოველი თჳთმდგომი უხრწნელ არს. ხოლო თუ განიხრწნას, განეუენოს თჳთებასა თჳსსა და იქმნეს კიდე თჳთობისაგან. მაგრა ესე შეუძლებელ». (პეტრიწ. 1, 33,2—4); შემდეგ მოცემულია მსჯელობა, თუ რატომაა ეს შეუძლებელი და ბოლოს მოსალოდნელი დასკვნა: «უხრწნელ ვ ი დ რ ე მ ე არს ყოველი თჳთმდგომი» (პეტრიწ. 1, 33,10).

Cმგვარი მნიშვნელობით ვ ი დ რ ე მ ე-ს ისევე ხშირად ეხვდებით, როგორც ვ ი ნ ა ჲ ვ ე-ს. ერთსა და იმავე წინადადებაში ისინი შეიძლება კიდევაც შეენაცვლონ ერთმანეთს. შდრ., მაგ.: «ტუუილ ვ ი დ რ ე მ ე პირველ დაწესებული», ბუნებ. 143,5 და: «ტუუვილ ვ ი ნ ა ჲ ვ ე არს პირველდაწესებული»: ბუნებ. 29,20 ისინი შეიძლება ერთ წინადადებაშიც შეგვხვდეს: ვ ი ნ ა ჲ ვ ე, რაჲ-იგი არა არს წინააღრჩევაჲ, თქუმულა, ვ ი დ რ ე მ ე: ბუნებ. 136,13—«ა მ გ ვ ა რ ა დ, თუ რა არ არის წინასწარი განზრახვა, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, უკვე ითქვა».

ყემთხვევითი არ უნდა იყოს ვ ი ნ ა ჲ ვ ე-სი და ვ ი დ რ ე მ ე-ს ერთი და იმავე მნიშვნელობით ხმარება. ორივე უკავშირდება კითხვით ვ ი ნ ნაცვალსახელს, რომლის ვ ი ნ ა(ჲ) ვარიანტი იხმარებოდა «საიდან» სიტყვის მნიშვნელობით.

Cმგვარად, ვ ი ნ ა ჲ = «საიდან», ვ ი ნ ა ჲ ვ ე, ვ ი ნ ა ჲ მ ე და ვ ი დ რ ე მ ე = «საიდანაც». ეს კი, როგორც ჩანს, იმას მიუთითებს, რომ ძველ ქართულში ვ ე და მ ე ნაწილაკებს მიმართებითობის ფუნქციაც შეიძლებოდა ჰქონოდათ.

ზემოთ დასახელებული მნიშვნელობით ვ ი დ რ ე მ ე ძველ ქართულშიც გვხვდება. მაგ., ხოლო უკუეთუ თქუენ ქრისტიანენი ხართ, აბრაჰამისნი ვ ი დ რ ე მ ე შვილნი ხართ და აღთქუმისა მისგან მკჳდრნი: გალატ. 3,29. აქ ვ ი დ რ ე მ ე უდრის ბერძნ. ἄρα-ს («მაშასადამე»).

ესეთივე მნიშვნელობა აქვს ვ ი დ რ ე მ ე-ს აგრეთვე ეფრემ ასურის «იოსებისთჳს» თხრობის თარგმანში. პეტეფრეს ცოლი, გამოუტუდება რა თავის ცოდვაში ქმარს, უყვება მას, თუ როგორ მოიწადინა მან იოსების ცთუნება და მისი უარით გაბოროტებულმა ცილი დასწამა იოსებს და საპყრობილეში ჩაასვეინა იგი. ცოლი ეუბნება ქმარს:

«აწ მე ვ ი დ რ ე მ ე ვარ მომატუუებელ და მიზეზ მეფობისა მისისა ღ. დიდებისა», რადგანაც «უკუეთუმცა მე არა ვეტრფიალე იოსებს, არამცა შეეკრდო მჴლიეო საპყრობილედ. არამედ მადლიერღა იყავნ ჩემდა, რომელი მიზეზს ეექმეს დიდებასა მისსა» (საკითხ. 11, 70,7—10).

Cმ ნაწყვეტში ვიდრემე-ს მნიშვნელობაა «მაშასადამე», და არა «რამდენად, როგორ, როგორღა», როგორც ლექსიკონშია მოცემული.

ᲕᲘᲓᲠᲔᲛᲔ-ს არა აქვს არც მეორე მნიშვნელობა — «ც, ც-კი, უფრო მეტად», რომელსაც ლექსიკონი გვაწვდის შემდგომ წინადადებათათვის (ზოგ შემთხვევაში ვიდრემე გაძლიერებულია უკუე-ს დართვით): ᲰᲠᲥᲣᲐ მას ლეონტიოს: ᲣᲙᲣᲔᲗᲣ ᲖᲔᲕᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲐᲠᲡ, ᲣᲙᲣᲔ ᲫᲚᲘᲔᲠ ᲕᲘᲓᲠᲔᲛᲔ ᲐᲠᲡ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲣᲙᲛᲡ ᲛᲐᲡ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ ᲗᲥᲣᲔᲜᲑᲠᲗᲐ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲛᲧᲝᲤᲔᲚᲗᲐ (საკითხ. 11, 77,1—2), რაც ნიშნავს: «თუ ზევსი ღმერთია, მ ა შ ა ს ა დ ა მ ე, ის ძლიერია და არ შეჰფერის მას თქვენებრ უსამართლობის ჩამდენთა მსახურებაო»;

ტრაიანოს ჰრქუა: ვითარ-ეგე შენ იტყუი, უკუე ჩუენ ვიდრემე ვართ ღორნი? (იქვე, 38,6), რაც ნიშნავს: ტრაიანოსმა უთხრა: როგორც შენ ამბობ, მაშ, ჩვენ ღორები ვართ?» უკუეთუ არა კაცი იყო, ჴსნა ჩუენი ვიდრემე ტყუილ არს, და უკუეთუ არა ღმერთი იყო, სასოება ჩუენი ვიდრემე ამაო არს (იქვე 12,5), რაც ნიშნავს: «თუ არა კაცი იყო, მაშ ჩვენი ხსნა ტყუილია, და თუ არა ღმერთი იყო, მაშ ჩვენი სასოება ამაოა».

Ესევე «მაშ, მაშასადამე»-ს მნიშვნელობით გვხვდება ვიდრემე გიორგი მთაწმიდლისეულ «ექუსთა დღეთა»-ს თარგმანში და არა «როგორ»-ის მნიშვნელობით, როგორც იგი ამ ძეგლის გამოცემის ლექსიკონშია ახსნილი:

უკუეთუ ბოროტებაჲ იგი მათი ბუნებით არს, შემოქმედი ვიდრემე არს დამბადებელი ბოროტისაჲ? ეს ნიშნავს: «თუკი მათი ბოროტება თანდაყოლილია, ბუნებითია, მაშ, შემოქმედია ბოროტის დამბადებელი?» ასევეა მომდევნო ნაწყვეტშიც:

ხოლო უკუეთუ ნეფსით განბოროტდებიან, პირველად უკუე ვიდრემე არიან იგინი ცხოველნი მნებებელნი: ექუსთა (გ.) 72,9—10: აქ ვიდრემე-ს მნიშვნელობაა «მაშ»: «ხოლო თუ ნებსით ბოროტდებიან, მაშ ესინი თავიდანვე დამოუკიდებელი (არსებანი) არიან».

Ესევე აქაც: «ნამეტნავ ვიდრემე არიან მსაჯულნი, რომელნი-იგი სათნოებასა ჰატივ-სცემენ და უკეთურებასა სტანჯავენ», ექუსთა (გ.) 72,29, რაც ნიშნავს; «მაშასადამე ამეტებენ მსაჯულნი, რომელნიც სიკეთეს პატივს სცემენ და უკეთურებას სტანჯავენ».

Შგვარად, ვიდრემე სიტყვას იოანე პეტრიწი ხმარობს იმავე მნიშვნელობით, როგორითაც იგი ძველ ქართულ ძეგლებში გვხვდება. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ იოანე პეტრიწის ნაწერებში მას ძალიან ხშირად ვხვდებით, ძველი ქართული ენის ძეგლებში კი აქა-იქ (ისევე, როგორც ზოგ სხვა ენობრივ მოვლენას ვხვდებით გარკვეული ჯგუფის ძეგლებში, სხვებში კი არა). ასე, მაგ., ძალაუნებურად იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს გიორგი მთაწმიდელი ანგარიშს უწევდეს «ექუსთა დღეთა»-ს ძველი ქართული თარგმანის ჩვენებას, რომელიც მოცემულ კონტექსტებში ვიდრემე-ს ხმარობს. ამგვარი რამ გამორიცხული არ არის, რადგანაც ძველი ქართული თარგმანის გამოყენების მსგავსი შემთხვევები სხვაც გვხვდება გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში. იგი თვითონვე აცხადებს ძეგლის ანდერძში: «ჩუენგან ამისი ჴკრობაჲცა შეუძლებელ იყო, არა თუ თარგმნაჲ... ღმერთმან იგი პირველნიცა თარგმანნი აკურთხენ, დიდად ჴელი აღმიპყრნეს»-ო (ექუსთა (გ.) 114,31; 115—1—3).

Oკუე, ვიდრემე უკუე

Ოოგორც ჩანს, ვიდრემე-ს მნიშვნელობა ყოველთვის მთლად ნათელი არ იყო და ამიტომ მის გვერდით, მნიშვნელობით მასთან უთუოდ ახლო მდგომ უკუე სიტყვასაც ხმარობენ. აღსანიშნავია, რომ, სადაც ძველ ქართულ თარგმანში ვიდრემე და უკუე ერთადაა ნახმარი, გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანშიც ასევეა გადმოტანილი (საერთოდ ყველა ზემომოყვანილი მაგალითი ერთ აღგილასაა თავმოყრილი). ამასთან აღსანიშნავია, რომ მოცემულ ადგილას «ექუსთა დღეთათჳს» წიგნის ძველ ქართულ თარგმანში ვიდრემე ბევრჯე-

რაა ნახმარი და ყველა შემთხვევაში «მაშ, მაშასადამე»-ს მნიშვნელობით (იხ. ექუსთა ძვ. 87,29; 88,1—9):

«უკუეთუ ბოროტი იგი მათი ბუნებით არს, ღმერთი დამბადებელი ვ ი დ რ ე მ ე არს ბოროტისაჲ! უკუეთუ ბოროტი ნებითა მათითა არს, ცხოველნი ვ ი დ რ ე მ ე უ კ უ ე არიან იგინი, და აქუს მათ ნებაჲ და იძრვიან იგინი ჴელმწიფებითა თჳსისაჲთა?!» (იქვე, 87,7—10); «ტყუვა ვ ი დ რ ე მ ე უ კ უ ე შჯულმან, რაქამს-იგი განასაზღვრა და თქუა, ვითარმედ კეთილი და ბოროტი ჩუენგან არსო» (ექუსთა ძვ. 87,27)».

უ კ უ ე რომ იმავე მნიშვნელობით იხმარება, რომლითაც ვ ი ნ ა ჲ და ვ ი დ რ ე მ ე, ამას ბევრი მაგალითი ადასტურებს იოანე პეტრიწთან:

...რომელნი არიან სულიერ, ხოლო უსისხლო, საცნაურ უ კ უ ე, ვითარ არა არს სული სისხლ: ბუნებ. 27,24—25; ამათ მიერ უ კ უ ე საჩინო, ვითარმედ ყოვლობასა საუალო აქუს წესი: პეტრიწ. 1,48,20; საჭირო არს უ კ უ ე, რაჲთა ღ.ვთმდგომარე იყოს შემდგომად პირველისა: პეტრიწ. 1,30,25 (ბერძნულში შეესაბამება ἄρα: Ἀνάγκη ἄρα τὸ αὐθυπόστατον εἶναι: μετὰ τὸ πρῶτον: Plot. ᾗ 40) და სხვ.

Cმასვე ადასტურებს ის ფაქტიც, რომ, მაგ., პავლეს ეპისტოლეთა ძველი რედაქციების უ კ უ ე სიტყვას ახალ რედაქციებში (გიორგი მთაწმიდლისეულსა და ეფრემ მცირისეულში) შეესაბამება ვ ი ნ ა ჲ ც ა:

აწ უ კ უ ე საკადრებელ არს ესე თქუმად: ებრ. 13,6 (ძვ. რედ.).

ვ ი ნ ა ჲ ც ა საკადრებელ არს ჩუენდა თქუმად: ებრ. 13,6 (ეფრ. რედ.).

Cმგვარად, ვ ი ნ ა ჲ, ვ ი დ რ ე მ ე, უ კ უ ე საკავშირებელ სიტყვებს გარკვეულ შემთხვევაში მსგავსი მნიშვნელობები აქვთ: «ამიტომ» (—ამისთვის), «საიდანაც», «რის გამოც» (—ამის გამო), «მაშასადამე», «მაშ», «ამგვარად».

Ო ე ნ ა წ ი ლ ა კ-დ ა რ თ უ ლ ი ნ ა ც ვ ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი

ვ ე ნაწილაკის ფუნქცია, როგორც ცნობილია, ძირითადად იდენტურობის, იგივეობის გამოხატვაა. იოანე პეტრიწიც ხშირად ხმარობს მას ამ ფუნქციითაც («იწარმოებიან მიზეზთაგან მიზეზთაევე მიმართ»: პეტრიწ. 11, 27,1). მაგრამ ნაცვალსახელებზე დართვისას ვ ე ნაწილაკი მათ ზოგჯერ განუსაზღვრელ მნიშვნელობას ანიჭებს.

ს ა ჲ ც-რ ა ჲ ვ ე

ვ ე ნაწილაკის განუსაზღვრელობითი ფუნქცია აღნიშნული აქვს თეიმურაზ უაუხჩიშვილს, რომელიც წერს: «ვ ე ...განუსაზღვრელობას ანიჭებს იმ სიტყვას, რომელსაც დაერთვის»[1]. ავტორს ამის მაგალითად მსოლოდ უ ო ე ე ლ ი ვ ე მოჰყავს: «უ ო ე ე ლ ი ვ ე მის მიერ იქმნაო»: ი. 1,3. ამ წინადადების მიხედვით ძნელია თქმა, ვ ე ნაწილაკს მართლაც განუსაზღვრელობითი ფუნქცია აქვს თუ არა. იოანე პეტრიწი კი ამ ნაწილაკს ხშირად ხმარობს სწორედ განუსაზღვრელობითი ფუნქციით. მის ნაწერებში რ ა ჲ ც მიმართებით ნაცვალსახე-

---

[1] თ. უ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში: იკე, ტ. I, გვ. 271.

ლიანი ქვეწყობის დროს ყურადღებას იქცევს ის შემთხვევები, როდესაც მას ერთვის რაჲ ან რაჲვე, რომელსაც ისევე, როგორც მსგავს შემთხვევებში იგი ნაწილაკს, მიმართებითი ნაწილაკის ფუნქცია აქვს. ამ რაჲც-რაჲვე მიმართებითი ნაცვალსახელის (წევრ-კავშირის) მნიშვნელობაა «რაც კი რამ». მაგალითები:

რაჲც-რაჲვე აქუს თითოეულსა ბუნებით, მათ მიერ აქუს: პეტრიწ. I, 89,14-15—«რაც კი რამ აქვს თითოეულს (ბუნებით) თანდაყოლილი, მათგან აქვს»; რაჲც-რაჲვე ბუნებითთა ხედვათა შორის ზედშემოსრულად და შემთხუევითად ხედო, მუნ არს და ტომ არს: პეტრიწ. II, 54,22-23 — «რაც კი რაიმეს ფიზიკურ თეორიებში გარედან შეთვისებულად და შემთხვევითად დაინახავ (ჩათვლი), იქ (მეტაფიზიკურ, მიღმა სამყაროში) არსი და გვარეობაა».

Cხადია, აქ ვე ნაწილაკი განუსაზღვრელობითი ფუნქციითაა ნახმარი.

ᲛᲐᲓᲕᲔ

Cმავე ფუნქციით ვე ნაწილაკი იოანე პეტრიწის ნაწერებში გვხვდება არა მხოლოდ წევრ-კავშირის ფუნქციით ნახმარ რა ნაცვალსახელთან, არამედ მაძინაც, როდესაც იგი წინადადების დამოუკიდებელი წევრის ფუნქციითაა ნახმარი:

ყოველი სიმრავლე ეზიარების რაჲთავე ერთსა: პეტრიწ. I, 37—«ყოველი სიმრავლე რითიმე ერთში მონაწილეობს». (ბერძნულშია: πᾶς πλῆθος μετέχει πῃ τοῦ ἑνός: Plot. § 1). ვითარ იგი არს რაჲვე ღმრთებრივი განმწმედელობაჲ: პეტრიწ. II, 88, 28— «როგორც არის, მაგ., რაიმე განმწმედელობითი ღვთაება» (ბერძნულშია: Οἷον εἴ τίς ἐστι θεότης καθαρτική (Plot. § 14б) ვითარ-იგი ოდეს ვლამოდი რასავე: პეტრიწ. II, 7,2 — როგორც, მაგ., როცა რაიმეს ვცდილობდე; გუარი, ვითარ იყოს რაჲვე გუარი, აღარ იქმნების: პეტრიწ. II, 104, 26 — «გვარი, რადგანაც იგი რაიმე გვარია, აღარ იქმნება (აღარ მოძრაობს)»; ყოველი უდიდოჲ, ესე იგი არს, რომელსა არა ჰქონდის რაჲზომივე გუამბრი სიდიდე რაჲვე, უსახელო არს: II, 187, 22, 24 — «ყოველი უდიდო, ე. ი. რომელსაც არა აქვს რაიმე ზომის რაიმე სხეულებრივი სიდიდე, უსხეულოა»; იხ. ასევე, II, 52, 1; 52, 34; 216, 25-27; 73, 7 და სხვ.

Aდესმე, ოდესვე

Cოსალოდნელი იყო, რომ ვე ნაწილაკი ზმნიზედებშიც დადასტურდებოდა განუსაზღვრელობითი ფუნქციით. იოანე პეტრიწთან ასეთი შემთხვევაც ვეხვდება. იგი პარალელურად ხმარობს ოდესმე და ოდესვე ფორმებს ერთი და იმავე მნიშვნელობით: «ოდესმე», «ოდესღაც», «ზოგჯერ». მაგ:

ვითარ ოდესვე მუოფი სამარადისოდ წარმოდგომილსა გაეყოფვის: პეტრიწ. I, 37,4—«როგორც ოდესღაც მყოფი განსხვავდება სამარადისოდ დადგენილისაგან».

1. Uეტრიწთან ვხვდებით ოდეს ზმნიზედისაგან ნაწარმოებ სიტყვებს როგორც მე, ისე ვე ნაწილაკიანს, ერთი და იმავე მნიშვნელობით: ოდეს-

მ ე და ო დ ე ს ვ ე; ესენია: ო დ ე ს მ ე ო ბ ა და ო დ ე ს ვ ე ო ბ ა. მაგალითები:

აქა „განსაზღვრებულად ძალად ო დ ე ს მ ე თ ა ძალთა იტუჯს, რამეთუ ო დ ე ს მ ე ო ბ ა“ საზღუარ მათდა არს: პეტრიწ. II, 143,20; მაგრამ: ოდეს-რაჲ ეზიარებოდის ო დ ე ს ვ ე ო ბ ა ს ა შორის შეცვულნი, საუკუნითთა ნიადაგ და სამარადისოდ ქმნადისა მიერ ეზიარებიან, რამეთუ საშუვალ ო დ ე ს ვ ე თ ა (არიან) სამარადისოდ ქმნადნი: პეტრიწ. II 120,33-34; 121,1.

ეს ფაქტი, რომ ვ ე ნაწილაკს განუსაზღვრელობითი ფუნქცია ნაცვალსახელებთან და ზმნიზედებთან აქვს შემორჩენილი, შემთხვევითი არ უნდა იყოს. ეს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თითქოს ლაპარაკობს ვ ე და მ ე ნაწილაკების მნიშვნელობათა თავდაპირველ იდენტურობაზე (შესაძლებელია ისინი სხვადასხვა დიალექტური მონაცემებიც იყოს). მათი ფუნქციების დიფერენცირება მეორეული უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში, იოანე პეტრიწის ენაში ისე ღრმადაა ფესვ-მოკიდებული ნაცვალსახელებთან და ოდეს ზმნიზედასთან ვ ე ნაწილაკის განუსაზღვრელობითი მნიშვნელობით ხმარება, რომ, როგორც ჩანს, მისი დროის სალაპარაკო ენაში ამ ნაწილაკს ნაცვალსახელებთან ჯერ კიდევ შემორჩენილი უნდა ჰქონოდა თავისი ძველი, მ ე ნაწილაკთან საზიარო ფუნქცია.

Ყ ე მ ო კ ლ ე ბ ა ნ ი

1. პეტრიწ. I, — იოანე პეტრიწის შრომები, I, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევ' და ლექსიკონი დაურთო სიმ. უაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940.
2. პეტრიწ. II, — იოანე პეტრიწის შრომები, II, განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. უაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937.
3. ბუნებ. — ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, ბერძნულითგან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ს. რ. გორგაძემ, ტფილისი, 1914.
4. გალატ. — გალატელთა მიმართ, ახალი აღთქუმაჲ (საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა). თბილისი, 1963.
5. ებრ. — ებრაელთა მიმართ, ეპისტოლენი წმიდისა მოციქულისა პავლესნი. ვისარგებლეთ დოც. კ. დანელიას მიერ გამოსაცემად გამზადებული ტექსტით.
6. ექუსთა (ძვ.) — ბასილი კესარიელი, «ექუსთა დღეთათჳს» უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის «ექუსთა დღეთაჲსა» და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა «კაცისა აგებულებისათჳს», X—XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1964.
7. ექუსთა (ვ.) — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 2), თბილისი, 1947.
8. თესალ. I — თესალონიკელთა მიმართ, I (იხ. ებრ.).

9. ლ. — (ლუკა) ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული რედაქციის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, 1945.
10. ლიმ. — იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, 1960.
11. საკითხ. II — საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. ამნაიშვილმა, თბილისი, 1966.
12. Plot.- Πρόκλου Διαδόχου πλατωνικοῦ Στοιχείωσις θεολογική. Plotini Enneades, Parisiis, MDCCCLV.

დამანა მელიქიშვილი

ბერძნიზმები იოანე პეტრიწის ენაში

XI-XII საუკუნეთა გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსი მწერლის იოანე პეტრიწის ენა შუამ იქცევდა და იქცევს მკვლევართა თუ მწერალთა ყურადღებას.

იოანე პეტრიწმა დიდი გავლენა მოახდინა თავისი დროის საწერლობო ენაზე. პეტრიწი და მისი ენა უდიდეს ინტერესს იწვევდა ქართული ძველლობის აღორძინების ხანაში. XVII-XVIII საუკუნეთა მოღვაწენი აღმერთებენ იოანე პეტრიწს, როგორც ფილოსოფოსს და აღტაცებულნი არიან მისი „ესაუბრეობითა" და „კეთილხელოვნებით". ამ საუკუნეთა ხელნაწერები იოანე პეტრიწს ისე არ იხსენიებენ, თუ არ ეპითეტებით: „ქართულისა ენისა მზე — იოანე პეტრიწი", „მამზევებელი და მადღეებელი ენისა ჩუენისა".

სულხან-საბა ორბელიანს პეტრიწის ენა რთულად, მაგრამ ამავე დროს „გემოანად" და „საწადელად" მიაჩნდა. თუ რამდენად აფასებდა ის პეტრიწის ენას, ეს კარგად ჩანს იქიდან, რომ მისი „სიტყვის კონის" ერთ-ერთ ძირითად წყაროს იოანე პეტრიწის თარგმანები: პროკლე დიადოხოსის „კავშირსი" და ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა" წარმოადგენენ.

საყოველთაოდაა ცნობილი ანტონ კათალიკოსის აზრი იოანე პეტრიწის ენის შესახებ.

XVIII საუკუნეში ფილოსოფიითა და, საზოგადოდ, ლიტერატურით დაინტერესებულ პირთათვის იოანე პეტრიწის ენა იდეალად იქცა და მისი შიბაძვა რიტორიკასა და ფილოსოფიის დარგის მწერლობაში უპირველეს ამოცანად დაისახეს. ეს მისწრაფება, სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი, საშუალოდ, მეტად დაგვიანებული იყო; XVIII-ს-ში, თითქმის შვიდი საუკუნის შუალედის შემდეგ, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო იოანე პეტრიწის ენის აღდგენა. XVIII ს-ში XI საუკუნის მწერლის ენისაკენ დაბრუნება ბევრ შეუსაბამობას გამოიწვევდა და გამოიწვია კიდეც. იოანე პეტრიწის მიმბაძველებმა, ანტონ I-ის სკოლის წარმომადგენლებმა, ფაატონეს მართლაც ღვლარჭნილი, უფორეოდ რთული და ხელოვნური ენა, თავისი დროისათვის მოძველებული და ხშირად ფსევდოარქაიზმებით გადატვირთული[1].

სხვა აზრი შეიქმნა იოანე პეტრიწის ენის შესახებ ჩვენს დროში. თუმცა ამ საუკუნის დასაწყისში იოანე პეტრიწის პირველი მკვლევარი, სიკო ჭარი აღტაცებული იყო იოანე პეტრიწის უდიდესი გამომხატველობითი ძალის შესახებ

[1] ზედმეტი არ იქნება, თუ აქვე აღვნიშნავთ, რომ ასეთი მეექანიკური შიბაძვით იოანე პეტრიწის თაყვანისმცემლებმა, კერძოდ, ანტონმა და მისმა მიმდევრებმა მეტად ცუდი საშასპური გაუწიეს პეტრიწს, რადგანაც ზოგჯერ სწორედ ამათი (როგორც პეტრიწის შიშაძველების) ენის მიხედვით აფასებდნენ ხალმე იოანე პეტრიწის ენასაც.

ენით, მაგრამ მის ენას მაინც არაჩვეულებრივად ხელოვნურად მიიჩნევდა[2]. აკად. კ. კეკელიძის აზრით, იოანე პეტრიწის ენა მეტად ხელოვნური, რთული და განყენებულია. ქართველ მეცნიერთა შორის უპირატესად ეს შეხედულებაა დღესაც გავრცელებული.

იოანე პეტრიწის ენის ხელოვნურად გამოცხადება მის ღირსებებს ჩრდილში აყენებდა და შეუმჩნეველს ხდიდა. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ ქართული ენის ისტორიის ცალკეული საკითხების კვლევისას იოანე პეტრიწის შრომებს გვერდს უელიან, ხოლო მის ტერმინოლოგიას თანამედროვე მეცნიერული ტერმინოლოგიის დამუშავებისას ყურადღებას არ აქცევენ. ქართული ენის ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში სათანადოდ არ იყენებენ, ან სრულიად უგულებელყოფენ იოანე პეტრიწის ენის მონაცემებს, რომელთაც ქართული ენის ისტორიის საკითხთა კვლევისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ძველი ქართული სამწერლობო ენის ნორმების რღვევისა და ახალი სალიტერატურო ენის საოავეების კვლევისას იოანე პეტრიწის ენის მონაცემებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ამ ხანის მწერალთაგან ყველაზე მეტად სწორედ იოანე პეტრიწის ენაში გვხვდება ახალი ქართული ენის ელემენტების ერთობლივი მომძლავრება. მისი ენა ამ პერიოდის ქართული სამწერლობო ენის ლექსიკის, ფონეტიკის, მორფოლოგიისა თუ სინტაქსის სფეროში მომხდარი დიდი ძვრების, ცოცხალი მეტყველებიდან შემოპრილი ყველა სიახლის ზუსტი და უტყუარი ამსახველია. ამდენად, იგი მეტად მნიშვნელოვანი წყაროა საზოგადოდ ქართული ენის ისტორიის სრულად წარმოსადგენად და, კერძოდ, ქართული სამწერლობო ენის განვითარების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პერიოდის — XI—XII საუკუნეთა სალიტერატურო ენის საფუძვლიანი კვლევისათვის. გარდა ამისა, იოანე პეტრიწის ენა, მისი სიტყვათა აგების ტექნიკა, სასარგებლო წყაროს წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერული (კერძოდ, ფილოსოფიური, ბიოლოგიური, ენათმეცნიერული) ტერმინოლოგიის გამდიდრებისათვის.

აი, სწორედ იოანე პეტრიწის ენის ეს ორი მეტად მნიშვნელოვანი ღირსება იჩქმალება მაშინ, როდესაც მის ენას ხელაღებით ხელოვნურად აცხადებენ.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ იოანე პეტრიწის ენა არ არის რთული, ან ზოგიერთ შემთხვევაში ხელოვნური კონსტრუქციების შემცველიც.

საქმე ისაა, რომ იოანე პეტრიწის შრომები ფილოსოფიური ხასიათისაა: ეს განაპირობებს მისი ენის სირთულეს. პეტრიწის სტილი, ბუნებრივია, მეცნიერული, კერძოდ ფილოსოფიური სტილის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავს (ფილოსოფიური ცნებების სიმრავლე, შესაბამისად, მათი გამომხატველი ფილოსოფიური ტერმინების სიუხვე, რთული სინტაქსური კონსტრუქციები, გრძელი პერიოდები); 2. იოანე პეტრიწი, როგორც ფილოსოფოსი, აღიზარდა საბერძნეთში. იგი თარგმნის ბერძნულიდან და გასაგებია, რომ ხშირად თავს ვერ აღწევს ბერძნული ენისა და დედნის გაელენას, რის შედეგადაც ზოგჯერ ქართულისათვის არადამახასიათებელ, ხელოვნურ კონსტრუქციებს ხმარობს.

ბერძნული ენის გაელენა იოანე პეტრიწის ენაში ძალიან იშვიათად იჩენს თავს ტერმინთა წარმოებისას, უფრო ხშირად კი — სინტაქსის სფეროში.

---

[2] Н. Я. Марр, «Иоанн Петрицский грузинский неоплатоник XI-XII века», 1909, («Речь его, несмотря на идеальную правильность, необычайно искусственна»).

წინამდებარე წერილში განვიხილავთ სწორედ ასეთი, ქართულისთვის არადამახასიათებელი, ბერძნული სინტაქსური კონსტრუქციების ხმარების შემთხვევებს იოანე პეტრიწის ენაში. ვფიქრობთ, ამ თავისებურებათა გათვალისწინება რამდენადმე გააადვილებს იოანე პეტრიწის ენის გაგებას.

* * *

ბერძნული ენის სინტაქსის გავლენა იოანე პეტრიწის ენაზე, შეიძლება ითქვას, მ ხ ო ლ ო დ უშემასმენლო წინადადებებისა და მიმღეობურ და ინფინიტიურ კონსტრუქციათა ზ ო გ ი სახის ხმარებით ამოიწურება. აქეე განვიხილავთ „და“ კავშირის მნიშვნელობით „ც“ ნაწილაკის ხმარების შემთხვევებსაც.

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ მსგავსი ბერძნიზმები (შემასმენლის, ძირითადად „არს“ მეშველი ზმნის ჩავარდნა, მიმღეობურ, ინფინიტიურ და პაპიურ კონსტრუქციათა ხმარება, და კავშირის „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით გამოიყენება) არცთუ იშვიათია ძველი ქართული ენის ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლების ენაში. მთარგმნელები თავიდან ვერ იცილებდნენ, თუ შეგნებულად არ არიდებდნენ თავს ბერძნული ენისა და ბერძნული დედნის გავლენას. ასეთი გავლენის შესაძლებლობა, ჩვეულებრივ, სწორედ სინტაქსურ კონსტრუქციებზე ვრცელდება. დედნის გავლენისა და უცხო სინტაქსური კონსტრუქციების თარგმანში გადმოტანის საკითხი იოანე პეტრიწამდეც იყო და ახლაც მეტად მტკივნეული საკითხია მთარგმნელობითს საქმიანობაში საერთოდ.

I. უშემასმენლო წინადადებები

ბერძნული ენის გავლენა აშკარად იგრძნობა უშემასმენლო წინადადებების ხმარებაში. ჩვეულებრივ, ჩავარდნილია „არს“ მეშველი ზმნა.

რადგანაც ქართული ენისათვის უცხოა უზმნო წინადადებები, ამიტომ შემასმენლის გამოტოვება მეტად აძნელებს აზრის გაგებას.

ასე, მაგალითად, „რამეთუ იგივეობა ერთი და კეთილი“ (I, 18, 17) ნიშნავს: „რადგანაც იგივეობაა ერთი და კეთილი“ (ταὐτὸν γὰρ ἓν καὶ ἀγαθόν: § XX, Plot.— Поскольку тождественны единое и благо)“.

მაგრამ იოანე პეტრიწის ენაში უშემასმენლო წინადადებების სამი სახე შეიძლება განვასხვავოთ:

1. ისეთი უშემასმენლო წინადადებები, რომლებშიც გამოტოვებული შემასმენელი ადვილად აღდგება წინამავალი წინადადების მიხედვით, საიაც შესაბამისი შემასმენელი სახეზეა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში მეორე წინადადება შეიძლება უბრალოდ ესრულ წინადადებადაც ჩაითვალოს. მსგავსი უშემასმენლო წინადადების აზრი ძნელი გასაგები არ არის.

სტაკერებით ვიდრემე მ ო ი ბ ო ვ ა ფილოსოფოსობამან, ხოლო საქმეერობით — ტკივილთ-მოყვარეობამან (II, 225, 35); რამეთუ საუკეოეთაოსა და პირველსა საუკუნესა შ ე უ ც ვ ა ნ ყოველნი ნაწილებითნი საუკუნენი, და პირველსა საყოველთაოსა ყამსა — ყოველნი ნაწილებითნი ყამნი (II, 117, 1-2); რამეთუ საყოველთაო სული ყოველობასა ბუნებისა და ცისასა წ ა რ მ ო ი ჩ ე ნ ს, ხოლო ნაწილებითი სული — ნაწილებითსა სხეულსა და ბუნებასა (II. 127, 17-18); რამეთუ რიცხუნი ა რ ს ე ბ ა თ ა ნ ა გ უ ა რ ნ ი ა რ ი ა ნ, ხოლო სული—გუარითა-გუარად გამგონე (II, 200. 21); და არცა გამგონე სხეა არს და არცა გაგონებული, არამედ გამგონე-გაგონებული და გაგონებული-გამგონე (II, 186, 72) და სხვ.

მსგავსი წინადადებები უმეტეს შემთხვევაში რთული თანაწყობილი წინადადებების მეორე ნაწილს წარმოადგენს, რომელშიც პირველი ნაწილის შემასმენელი აღარ არის გამეორებული. გამოტოვებული შეიძლება იყოს ყოველგვარი შემასმენელი, რომლის ადგილზეც აუცილებელია ტირე დაიწეროს. მსგავსი გამოტოვება შემასმენლებისა ქართული ენისათვის უჩვეულო არ არის და ამიტომ წინადადების აზრიც ადვილი გასაგებია; შემასმენელი წინადადებების პირველი ნაწილის მიხედვით ადვილად იგულისხმება.

შემასმენლების მიხედვით უსრული წინადადებები ძველ ქართულშიც ხშირად გვხვდება:

მისწუადნა რქანი მისნი ზღუამდე და მდინარემდე — მწუერვალნი მისნი (ფსალ. 79, 12); ეითარცა უძლერთა უმს მეურნალი, აგრეთვე უვუნერთა-სიბრძნე (სოლომ. 93, 26); უკეთურებისა მიმართ ჩჩჯლ იყვენით. ხოლო გონებითა — სრულ (სოლომ. 98, 7-8); ქათამნი კაცრიელი რაგმე და კაცთმოყუარულ არიან და სხუანი—მემთეელ და ედაბნოს—მოყუარე (ეკლეს. 94, 26); რომელნიმე მჭმობარე არიან და მეტყველ და რომელნიმე მდუმარე (ეკლეს. 94, 29).

მსგავსად აგებული წინადადებები დინამიურს ხდის თხრობას. როგორც ვთქვით, ისინი ქართული ენისათვის ჩვეულებრივია.

2. მეორე სახის უშემასმენლო წინადადებებში ჩავარდნილია არს || არიან მეშველი ზმნა, იგი შეიძლება მარტივი შემასმენელიც იყოს. ასეთ შემთხვევებში კი უფრო ხშირად შედგენილი შემასმენლის ზმნური ნაწილია. იგი ქართული წინადადების აუცილებელ შემადგენელს წარმოადგენს და ხშირად შემოკლებული, წინამავალ სიტყვასთან შერწყმული სახით გვხვდება (ამის მაგალითები ხშირია იოანე პეტრიწთანაც).

რადგანაც მსგავს შემთხვევებში ქართულისათვის არს ზმნის გამოტოვება უჩვეულოა, ამიტომ ძალიან ჭირს ამგვარ წინადადებათა აზრის ერთბაშად აღქმა. ბერძნულისათვის კი ამ ტიპის უშემასმენლო წინადადებები ისევე ბუნებრივია, როგორც შემასმენლიანი. თუმცა წინასწარვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ბერძნულ დედანში არს (ἐστίν) სახეზეა, ხოლო იოანე პეტრიწის თარგმანში — გამოტოვებული. ესეც რომ არ იყოს, ამ ტიპის წინადადებები „განმარტებაშიც" ისევე ხშირად გვხვდება, როგორც თარგმანში.

ა) ჯერ განვიხილავთ მაგალითებს, სადაც გამოტოვებული არს ზმნით მარტივი შემასმენელია გამოხატული. ამგვარ შემთხვევებში მისი ერთბაშად აღდგენა უფრო ჭირს, ვიდრე სხვა შემთხვევებში:[3]

ვინაჲ მის შორის V ცაჲ და ყოველი ნაწილი მისი (II, 52, 10-14); რამეთუ რომელნიმე მოქმედებით ოდენ Vp შორის დენასა, ხოლო არსებით—ოგვეებასა და მასვეებასა ზედ (II, 109, 32-33); ხოლო უსაზღვრო გუარობაჲ მათ შორის V, რომელთა შორის უსაზღვროობაჲ (I, 96, 10).

τὸ δὲ ἀπειρεσιδὲς. ἐν ᾧ τὰ τῆς ἀπειρίας (Plot., CII, 2);

ვის გამოცა V მიზეზი ყოფობისაჲ, მის მიერცა და კეთილობაჲ (II, 82, 30); რამეთუ თითოეულისა თჳუებასა შორის V ყოფობაჲ თითოეულისაჲ და გონებასაცა შორის ყოფობაჲცა და არსებაჲცა: მაგრა თანზიარებით და ორივე გონებრივ (რამეთუ ყოფობაჲ გონებისათჳს საგონო და საეწყო V ხოლო ცხოველობაჲ ცნობა და საეწყო V) (I, 64, 20-23);

κατὰ τοῦτο γὰρ ὕπαρξις, καὶ ἐν τῷ νῷ καὶ ζωή καὶ ἡ οὐσία, κατὰ μέθεξιν καὶ νοερῶς ἑκάτερον καὶ γὰρ τὸ εἶναι τοῦ νοῦ γνωστικὸν, καὶ ἡ ζωὴ γνῶσις (Plot. CIII, 45-48).

---

[3] გამოტოვებული არს ზმნის ნაცვლად ჩაესვამთ V ნიშანს; მის მრავლობითს ფორმას (არიან) აღნიშნავთ Vp ნიშნით.

რამეთუ მყოფთა შორის V ცხოველობაჲცა და გონებაჲცა (I, 64, 3).
γὰρ ἐν τῷ ὄντι καὶ ἡ ζωὴ καὶ ὁ νοῦς (Plot. § CIII, 30) და სხვ.

ბ) მარტივი არს (არიან) შემასმენლის გამოტოვების შემთხვევები უფრო იშვიათია. გაცილებით ხშირად გვხვდება ისეთი უშემასმენლო წინადადებები, სადაც გამოტოვებული არს ზმნა შედგენილი შემასმენლის ზმნურ ნაწილს წარმოადგენს. შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად შეიძლება იყოს ნებისმიერ ულებრივი ზედსართავი სახელი, ხშირად — ზედსართავი სახელის უფროლობითი ხარისხის ფორმა და გაცილებით უფრო ხშირად — მიმღეობა.

რადგანაც ასეთი უშემასმენლო კონსტრუქციები არ არის ბუნებრივი ქართული ენისათვის, ძნელი ხდება აზრის გაგება. მაგრამ არს (არიან) ᲘᲨᲔᲣᲚᲘ ზმნის აღდგენა, წინა შემთხვევებთან შედარებით, მაინც უფრო ადვილია. რადგანაც შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ძალაუნებურად ზმნურ ნაწილს გვაკარაუდებინებს.

შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი ზედსართავი სახელის ᲓᲐᲓᲔᲑᲘთი ფორმაა, რიცხვითი სახელია, ან არსებითი სახელი;

ყოველი უსხეულოჲ უდიდო V; რამეთუ, რომელსა არა ჰქონდეს რაჲვე სიდიდით წარმოდგომაჲ, უცხო V ადგილისაგან: II, 52, 1; ხოლო სრული მხოლოდ კმა V თჳს შორის, ძაგრა არა მზა თანმიცემად სხუათადმი (I, 81, 8-9).
τὸ δὲ πλῆρες μὲν οὔπω δὲ εἰς μετάδοσιν ἕτοιμον (Plot. XCIII, 39, § CXXXI);
ხოლო რომელთა გაგონებაჲ ერთ და იგივე V, და იყოს არსებაჲცა მათი ერთ და იგივე (I, 102, 8-9); ხოლო გუარნი გულისწყრომისანი სამ V (ბ.კ. 108, 1).
Εἴδη δὲ τοῦ θυμοῦ τρία (Migne, 692, 12).
არ ვიდრემე სხეულ V სული (ბ.კ. 26, 20).
οὐκ ἄρα σῶμα ἡ ψυχή (Migne, 541, 30).
და ორივე ესე ერთობა V (I 126, 8).
καὶ ἑκάτερος μὲν ἑνάς ἐστιν;
უსხეულოჲ ვინაჲვე Vp და რიცხუნიცა (ბ.კ. 29, 2).
ἀσώματοι δὲ οἱ ἀριθμοί (Migne, 545, 23-24);
რამეთუ იგივეობაჲ V ერთი და კეთილი, და დასაბამ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐ V კეთილი, ვითარ აღმოჩინა (I, 18, 17) და სხვ.

ზოგ შემთხვევაში წინადადებაში არც ქვემდებარეა წარმოდგენილი (მაშინ, როდესაც რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ქვემდებარის როლს მისამართი სიტყვა — ნაცვალსახელი უნდა ასრულებდეს), ᲐᲛᲔ რომ, მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება:

ხოლო თუ რაჲმე უსაზღურო V, უცნაურცა ჩუენგან (ბ.კ. 171, 9-10),
Εἰ δὲ ἄπειρος, καὶ ἄγνωστος ἡμῖν (Migne, 809, 33-34),
Но раз беспределен, то и неизвестен для нас (Влад., 202).
რაჲცა ერთ თჳსრულ V, ღმერთ V ზიარებით (I, 70, 11).
εἰ ἔστιν αὐτοτελὴς ἑνάς, θεὸς ἔστιν (Plot. CXIV, 36-37).
რამეთუ რომელსა არა ჰქონდეს რაჲვე. სიდიდით წარმოდგომაჲ, უცხო V ადგილისაგან (II, 52,1); არამედ უკეთუ არა ნივთ V, ურნეთო ვიდრემე (ბ.კ. 26,1)
Εἰ δὲ οὐχ ὕλη, ἄϋλον ἄρα (Migne, 540, 22-23);
Если же не материя, то нематериально (Влад. 12).

შედგენილი შემასმენლის სახელად ნაწილად ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმაა ხშირად:

უზესთაეს და უფრო V საყოველთაო მამებრივი მიზეზი შემოქმედებითსა მიზეზსა (II, 179, 28). რამეთუ უსაყოველთაოეს V მშობითი ცხოველობითსა და უმახლობელეს V დასაბამსა (I, 93, 28);

ὁλικιοτέρα γὰρ ἡ γεννητική τῆς ζωογονικῆς, καὶ ἐγγυτέρω τῆς ἀρχῆς (Plot. § 155).

რამეთუ უმჯობეს V ყოველთა გონებათა განლრეთობილი გონებაᲲ (I. 96, 19-20)

παντὸς γὰρ νοῦ κρείττων ὁ ἐκθεαύμενος νοῦς (Plot. § LX) და სხვ.

როგორც ვთქვით, ყველაზე ხშირად არს / არიან ზმნური ნაწილი მაინც მიმღეობის ფორმასთანაა გამოტოვებული. შედგენილი შემასმენლის სახელადს ნაწილად შეიძლება იყოს სასუბიექტო მიმღეობაც და საობიექტოც:

რამეთუ მეცნიერ V თჳსისა ბობისა გონერი სული (II, 20, 12); ხოლო ყოველნი მიდმოქცევისა შემწყანარებელნი ღმრთებრივთა მიმდგომ Vp ოდესმე (I, 110, 28); უპირველესნი მიზეზნი უშორეს განმგზავნ Vp თჳსთა ძალთა და მოქმედებათ (II, 148, 25-26); თუ ეთარ ვანეყოფელ V მიზეზისაგან მიზეზოანი (II, 105, 31); ორითოეე უმსგავსონი ურთიერთას შეუპებელVp (I,109, 1-2)

τά γὰρ κατ' ἄμφω ἀνόμοια ἀσύναπτα ἀλλήλοις (Plot. § CLXXXI);

ხოლო თუ გათჳთებულ Vp, განყოფელ Vp ყოველნი შეერევნელად (I. 118,1).

καὶ εἰ χωρίς, διήρηται πάλιν ἀσυγχύτως (Plot. § CXCVII);

და ესე არა ყოველ ყოველთათჳს საერთქმნილ V (I. 124, 8); ესე ვიდრე ესაზღვროობამდე. რომელი შეეძლებელ V (I. 6, 18).

καὶ τοῦτο εἰς ἄπειρον ὑπερ ἀδύνατον (Plot., LII. 17-18) და სხვ.

სხვათა შორის, ამგვარი უშემასმენლო წინადადებები ხშირად გეხვდება „სინურ მრავალთავში". მაგ.:

აწ მე არღარა ღედათა შორის კერთხეულ V (ტაშ. იერეს: 98, 16); ხოლო აჰა ძველი იგი ელია განახლებული წინაშემდგომ V და თანამზრახველ და თანაზიარ საგდულოᲲსა მის (ოქრ. 194, 8; იხ. აგრეთვე, 83, 13-15; 194, 13; 79, 14) და სხვ.

პირიანი ზმნის ნაცვლად შეიძლება მასდარის ვითარებითში დასმული ფორმაც (ინფინიტივი) შეგვხვდეს, რაც, რა თქმა უნდა, ქართული ენის ბუნებას სრულებით არ ეგუება (ამის შესახებ იხ. ქვემოთ, „ინფინიტიური კონსტრუქცია").

როგორც ვთქვით, რადგანაც ამგვარი უშემასმენლო წინადადებები ქართული ენისათვის უცხოა, მათ შორის ერთბაშად გარკვევა ძნელი ხდება. მაგრამ თუ ვიცით იოანე პეტრიწის ენის ეს თავისებურება, მისი გათვალისწინებით ძნელი აღარ იქნება პეტრიწის ნაწერებში გზის გაკვლევა. შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად სწორედ ამგვარი არაქართული კონსტრუქციები აბრკოლებს იოანე პეტრიწის თხზულებათა შინაარსში გარკვევას.

II. მიმღეობური კონსტრუქციები

1. იოანე პეტრიწის ენაში მიმღეობური კონსტრუქციის ორ სახეს გამოვყოფთ. პირველი ისეთი სახის მიმღეობური კონსტრუქციაა, რომელიც ქვეწყობილს (ჰიპოტაქსურს) ენაცვლება. ამგვარი კონსტრუქციული მონაცვლეობა ცნობილი ფაქტია ძველ ქართულში. დ. ჩხუბიანაშვილი თავის წერილში, „ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცვლეობისათვის ძველ ქართულში"[4], ადარებს ოთხთავის ადიშისა და ჯრუჭ-პარხლის რედაქციებს. ირკვევა, რომ DE რედაქციის განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებას C რედაქციაში ხშირად მიმღეობური კონსტრუქციის მარტივი წინადადება უპირისპირდება. ასე მაგ.:

იხილა კაცი, რომელი ჯდა საბუერესა ზედა (მ. 9, 92 DE).

მაგრამ:

იხილა კაცი, მჯდომარᲲ საბუერესა ზეცა. (მ. 9, 9C)

[4] იხ. დ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ზოგიერთი სინტაქსური კონსტრუქციის მონაცვლეობისათვის ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. II, 1961, გვ. 192.

ასეთივე მონაცვლეობაა „ფსალმუნთა“ რედაქციებშიც:

აღიძარნ ზღვაჲ... სოფელი და ყოველი, რაჲ არს მას შინა ფსალმ. 97,7C

მაგრამ:

აღიძარნ ზღუაჲ... სოფელი და ყოველნი დამკჳდრებულნი მას შინა (‘L).

ყურად იღეთ ყოველთა, რომელნი დამკჳდრებულ ხართ სოფელსა ‘L

მაგრამ:

მერჩიდით მე ყოველნი, დამკჳდრებულნი სოფლისანი: C და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული იმ მოსაზრების საფუძველზე, რომ პარატაქსული კონსტრუქცია ისტორიულად წინ უსწრებდა ჰიპოტაქსურს, ავტორი ასკვნის, რომ მის მიერ განხილული მიმღეობური (და მასდარული) ფორმები უძველეს ფორმებად უნდა ჩაითვალოს[5].

უფრო ადრე, კ. დონდუა აღნიშნავდა, რომ ჰიპოტაქსური შინაარსის ძველი („შეკუმშული“) ფორმით გადმოცემის კვალი ქართველურ ენებშიც მოიპოვება: ჭანურში, მაგალითად, ერთი ტიპის დაქვემდებარებულობა უკავშიროდ იწარმოება, კერძოდ — მიმღეობის საშუალებით[6].

ამგვარად, იოანე პეტრიწის მიერ მიმღეობური კონსტრუქციების ხმარება, ჰიპოტაქსური შინაარსის „შეკუმშული“ ფორმით გადმოცემა, არ ეწინააღმდეგება ქართული ენის ბუნებას. თვალში საცემია მხოლოდ ის ფაქტი, რომ იგი ამგვარ „შეკუმშულ“ კონსტრუქციებს ძალიან ხშირად ხმარობს (ისევე, როგორც იძულებულია, ხშირად იხმაროს რთული კონსტრუქციებიც)[7]. რთული წინადადებების შეცვლა მიმღეობური კონსტრუქციით ერთ-ერთი საშუალებაა რთული კონსტრუქციებისაგან ენის განტვირთვისა. სამაგიეროდ ასეთი მიმღეობური კონსტრუქციები, ჩვეულებრივ, განკერძოებული განსაზღვრებებით ტვირთავს ენას. ასეთ შემთხვევაში შემასმენლის როლს მიმღეობა ასრულებს და, ამგვარად, ზმნა კიდევ ერთხელ უკუგდებულია წინადადებიდან.

განკერძოებული განსაზღვრებით შეიძლება გამარტივდეს როგორც განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებები (ხშირად), ასევე — ქვემდებარული, დამატებითი.

მიმღეობური კონსტრუქცია ცვლის განსაზღვრებითს დამოკიდებულ წინადადებას (უფრო ხშირად სასუბიექტო მიმღეობაა):

ხოლო ეკლესიასტე, ბუნებით მეტყველებისა შემხები, გამოაცხადებს აწინდელსა ცხორებისა ამაობასა (II,226, 33); ეიწყო ქუანთაგან, წესსა დამცველი არისტოტელის გამოთასა: (II, 111, 30); ხოლო პლატონ, ერთყოფასა სულისასა და შრეველყოფასა აღმომჩენელი, ერთად ეკუე ეტყჳს ყოველსა სულსა: (ბ.კ. 46,1);

Πλάτων δὲ καὶ μίαν εἶναι καὶ πολλὰς τὰς ψυχὰς, ἀποφαίνεται. μίαν μὲν γὰρ εἶναι τοῦ παντὸς τὴν ψυχὴν (Migne, 580, 4-5);

რამეთუ თალ. წყლისა მხოლოდ მეტყველი ასოდ, მეცადინეობს გამორჩენებად სხუათა სამთა ამისაგან ქმნილად (ბ. კ. 70, 26-27)

---

[5] იქვე, 198.

[6] კ. დონდუა, დამოკიდებული წინადადების განვითარების ისტორიიდან ძველ ქართულში, უნივ. შრ., 37. 1949.

[7] როგორც ნ. კეკელიძეს აღნიშნავს თავის დისერტაციაში, „კაეშირნის“ თარგმანში თითქმის თანაბარი რაოდენობითაა გადმოცემული ზმნა მიმღეობით და მიმღეობა — ზმნით. იხ. ნ. კეკელიძე, პროკლე დიადოხოსი, კეშირი ღმრთისმეტყველებითნი, ძველი ქართული თარგმანი, საკანდ. დისერტაცია, 1948, ეკ. 309.

καὶ γὰρ Θαλῆς τὸ ὕδωρ μόνον λέγων εἶναι στοιχεῖον, πειρᾶται δεικνύειν τἄλλα τρία ὑπὸ ταύτου γινόμενα: (Migne, 629, 26-27);

რამეთუ ჯერ არს სხეულისა, ძალად ცხორების მქონებელისაჲ, პირველ თჳთ მოქმედებით ყოფაჲ სხეულისა მის (ბ. კ. 37, 24-25)

Δεῖ δὲ τὸ σῶμα, τὸ δυνάμει ζωὴν ἔχον (ἐνέαυτῷ) πρότερον ἐνεργείᾳ σῶμα εἶναι (Migne, 564, 13-15);

ყოველი წესი, მხოლობისაგან დამწყებელი, იწარმოებს სიმრავლისადმი (I, 18, 21)

πᾶσα τάξις ἀπὸ μονάδος ἀρχομένη πρόεισιν εἰς πλῆθος: (Plot. § XXI, 7-8);

განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადების შემცველი განკერძოებული განსაზღვრების როლში ხშირად საობიექტო მიმღეობაც არის:

არიან ერთნი, მხოლოდ ოდენ გონებით ზიარებელნი (II 167 20); ესეცაჲ სახლი, ქმნასა შორის ხილული, ეითარცა სახლ არს და არა სახლ (II, 105, 4-5)ყოველად არს სხეულ სამარადისოობაჲ, დაკლებული ცხორებისაგან (II 51, 11); ყოველი სიმრავლე ერთობაჲ, ზიარებული რაჲსაგან გრძნობადისა სხეულისა, აღმკულის შორისი არს (I, 165, 28).

როგორც ვხედავთ, საობიექტო მიმღეობიანი კონსტრუქციები ქართულისათვის ბუნებრივია. ამას ვერ ეიტყვით სასუბიექტო მიმღეობით შექმნილ, განკერძოებულ განსაზღვრებებზე, მით უფრო ისეთ შემთხვევებში, როდესაც მიმღეობად გადაკეთებულია „მეტყველება ფრის“ ზმნა:

ისოდსცა... თან მოუქმობს, მეტყველი (II, 213. 5); ხოლო ამმინრეს, „საძიებელსა ამას ესრესახედ დაჴსნის, მთქმელი, ეითარმედ. (ბ.კ., 53, 2-3). არამედ პანეტოს ფილოსოფოსსა, ჴმოანობითი მიმართობითი მიდრეკასა ნაწილ-ყოფად ეგულების, მთქმელსა უმართლესისასა: (ბ.კ. 94, 11).

...λέγον ὀρθότατα.

მიმღეობური კონსტრუქცია ზოგჯერ ქვემდებარულსა და დამატებითს დამოკიდებულ წინადადებებსაც ცლის:

რამეთუ იტყჳს, მსწრაფულ დამწყებელი, დასაბამსაცე პირველისა წოდნისასა (ბ.კ. 50. 8-9) ბერძნულში არ არის მიმღეობური კონსტრუქცია:

λέγει γὰρ εὐθὺς ἐν ἀρχῇ τοῦ πρώτου βιβλίου: (Migne, 588, 30);

სულისა თქუა მიართულობაჲ, ესრეთ მთქმელმან (ბ.კ. 31, 18); ღაღადებს, მეტყველი (II, 218, 20); უქმ- ჰყოფს მეტყველი ესთა ტომეოსა შორის (II, 47, 28).

როგორც ვხედავთ, თუ შემასმენელი, რომელთანაც მისამართი სიტყვა იგულისხმება, წინ უძღვის მიმღეობური კონსტრუქციით შეცვლილ დამოკიდებულ წინადადებას (ასეთ შემთხვევაში საზღვრულჩავარდნილ განკერძოებულ განსაზღვრებასთან გვაქვს საქმე), წინადადება მაინც მძიმეა და აზრი ძნელი აღსაქმელია. მაგრამ როცა დამოკიდებული წინადადების შემცველი მიმღეობა წინადადების თავშია, ასეთი კონსტრუქცია მსუბუქია, ქართულისთვის ბუნებრივი და ამიტომ ადვილად გასაგებიც:

ხოლო მომხდომთა ბუნება შეესაზღვრებელ [არს] (გვ. 144, 2-5).

2. მიმღეობური კონსტრუქციების მეორე ტიპად გამოვყოფთ ისეთ მიმღეობიან წინადადებებს, რომელთაც მეშველი ზმნა ახლავთ თან: მარტივად რომ ეთქვათ, შედგენილშემასმენლიან წინადადებებს, სადაც სახელად ნაწილად მიმღეობაა გამოყენებული. ავტორი, ნაცვლად იმისა, რომ აქტიური, ორგანული წარმოების ზმნა იხმაროს, იყენებს აღწერითს წარმოებას: სასუბიექტო მიმღეობა+მეშველი ზმნა.

ასე, მაგალითად:

ხოლო რიცხესა, სამისა და ოთხისა უმეტეს, ერთითა მიხედვითა ვერ მ ნ ა ხ ვ ე ლ ვ ა რ თ. (ბ.კ. 77, 32).

ნაცვლად აქტიური კონსტრუქციისა — „ვერ ვხედავთ“ — ნასმარია ქიმღვლობური „ვერ მნახველ ვართ“. საქმე ისაა, რომ ამგვარ შემთხვევაია უმეტესობაში ბერძნულშიც მიმღეობური კონსტრუქციაა:

τοῦ δὲ ἀριθμοῦ τῶν ὁρωμένων, τοῦ ὑπὲρ τρία, ἢ τέσσαρα, τοῦ κατὰ μίαν προσθήκην μὴ ὁρωμένου (Migne, 644,45).

ასევე:

კუალად მწუხარებასა სიცხისა—შორისსა და შიშლისა შორისსა მიმთუალველ ვარ თ (ბ.კ. 102, 23), მ ო ბ ხ ვ ე ნ ე ლ არს ენრსაგან ყოველსა ბარბაროზებრობასა და თანამბრძოლ და შემწე და გურიან—მყოფელ ექმნების ელადელთა ეშმასა (11 223, 22); ამის მიზეზისათჳს საზრღელსა და სამოსსა მ ო ქ ვ ნ ე ვ ა რ თ (ბ.კ. 15, 4-5) სხვ.

ასეთ შემთხვევებში, როგორც ზემოთ ვნახეთ, ზოგჯერ კოპულა ჩავარდნილია და, ამგვარად, უშემასმენლო წინადადებები წარმოიქმნება:

თჳთმდგომარე ეიდრეშე V ყოველ თჳსდადეე უაუნქ�ად შემძლე (I,32.5).

III. ინფინიტიური კონსტრუქცია

როგორც ცნობილია, ვითარებითში დასმული მასდარი ძველ ქართულში ინფინიტივის მნიშვნელობით იხმარებოდა. ისევე, როგორც სხვა ენათა ინფინიტივი, ვითარებითში დასმული მასდარი ხშირად რთული წინადადების მონაცვლეა ძველ ქართულში[8]. ასეთ შემთხვევაში მისი შემცველი მარტივი წინადადება ჰიპოტაქსურ შინაარსს გამოხატავდა[9].

უბრძანა მათ ცემად მისა პური (მრკ. 5, 43);

მაგრამ:

უბრძანა მათ, რაჲთა მისცენ მას ჭამადი (იქვე).

ინფინიტიური კონსტრუქცია ქართულში გვიანდელი წარმოშობისად (თარგმნისას გამოწვეული საჭიროებით) მიაჩნიათ. როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია აღნიშნული, მისი, როგორც „ინფინიტივის“ ჩამოყალიბების პროცესი, აშკარად ჩანს V—X საუკუნეების ნათარგმნი და ორიგინალური ძეგლების მიხედვით[10]. ასეთი ინფინიტივის ერთ-ერთი სინტაქსური ფუნქცია, რომელიც მას XII—XIII საუკუნეებში ჰქონდა შემორჩენილი, იყო მიზნის გარეშოების გამოხატვა. „ამ ფუნქციის გამოხატვა ფართოდ იყო გავრცელებული ძველ ქართულში“[11].

ამგვარად, სრულიადაც არ არის მოულოდნელი, რომ იოანე პეტრიწიც ხშირად მიმართავს ამგვარ კონსტრუქციას: იგი ჰიპოტაქსური შინაარსის მარტივი წინადადებებით გადმოცემის კიდევ ერთი საშუალებაა.

მასდარი ვითარებითს ბრუნვაში ხშირად იხმარება ირიბი ნათქვამის ნაცვლად „მეტყველება“ წრის ზმნების შემდეგ:

---

[8] არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის ქართულში, იკე VIII, გვ. 45.

[9] დ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

[10] არ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

[11] იქვე, გვ. 45; დ. ჩ ხ უ ბ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 194.

მაშინლა ვიტყჳთო ცნობად, ოდეს მიზეზნი ვითწყენეთო პირველნი (II, 42, 1-2); იტყჳან აღუანებად (ბ.კ. 45, 22); შეუეალებად ვიტყჳთ: ბ.კ 55.29

ინფინიტიური კონსტრუქციით ხშირად შეცვლილია მიზნის გარემოებითი დამოკიდებული წინადადება. ჩვეულებრივ, იგი იმ ზმნების შემდეგ იხმარება, რომლებიც სურვილს, შესაძლებლობას, საჭიროებას, საკმარობას გამოხატავენ: შეუძლებს, ძალუც, თანა გუაც, უკმს, სათანადო არს, საჭირო არს, ჯერ არს, კმა არს და სხვ.:

შეუძლებენ ზიარებად (11 154, 4); ვერ უძლეს... თან გაყოლად (II, 133, 21;) ვერ... შეუძლებს შეკრებად (11, 65, 2); შეუძლებელ არს ყოფად (1 37, 9); ძალ უც შთასლვად (I, 123, 25); ძალ უც დგომად (II, 16, 15-16); არსად ძალ უ.ო ზიარებად (I, 153, 6); გუარსა თანა-გუაც ცნობად (II, 3, 3,); თანა-გუაც გუარსა... დაკერეტად (II, 10, 7); თანა აე მას წარმოელენად მოქმედებად (ბ.კ. 46, 27); წინა გჳც ცნობად (II, 7, 24); უკმს... უკუსუმად თეალთა (11 94, 7); სათანადო არს აწ დაკერეტად (II, 64, 25); სათანადო არს... ცნობად (II, 6, 21); საჭირო არს... მოლებად, (ბ.კ. 13,2); კმა არს შეკრებად (II, 65, 1:2); ეკმაების თანგანზიდვად (II, 45, 14); ვერ... ეკმაა განყრად და წარელენად (II, 59, 3) და სხვ.

ამას გარდა, ინფინიტიური კონსტრუქცია ზოგ სხვა ზმნასთანაც გვხვდება: იწყებს, აღძრავს, აღადგენს, მოვალს:

იწყო წარმოდღეებად (II, 34, 17); იწყოს წარმოჩენად (II, 163, 11); აღსძრავს მოქმედებად (II, 101, 23); რამან აღძრაო... წარმოქმნად (II, 68, 23); მოვა ცვალებად (II, 70, 16). აღადგენდეს შობად... და წარმოჳენებად (I, 92, 16); შეადინებს სული ცნობად (II. 113, 9).

ხშირად ინფინიტიური კონსტრუქცია გვხვდება მიმღეობური კონსტრუქციის შემდეგ. უფრო ხშირად მიმღეობები იმავე მნიშვნელობისაა, რაც ზემოთ დასახელებული ზმნები:

შემძლებელმან ცნობად ... მაშინ იეწყოს, ოდეს მიზეზთა შორის პირველ იეწყოს თჳთებად თჳსი (I, 111,21); ყოველი შემძლე უკუქცევად თჳსდადეე. განყენებელად იზიარებენს (I, 53, 2); ამოქმნელი ენებად (I, 51, 17;) არც რაჲ, მომმარჯუე ზიარებად მათდა, იქმნების მზა (I, 86, 13);

აქ, როგორც ვხედავთ, ორი დამოკიდებული წინადადება მარტივდება: მიმღეობური კონსტრუქციით შეცვლილია განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება, ხოლო მასდარულით — მიზნის გარემოებითი ან სხვა ტიპისა.

მასდარული კონსტრუქციების დროსაც შეიძლება წინადადება უშემასმენლოდ იყოს წარმოდგენილი: ამ შემთხვევაში შემასმენლის როლს ინფინიტივი (მასდარი ვითარებითს ბრუნვაში) ასრულებს:

არაჲდ არა ყოელისა გამგონედ თქუმაჲ და დაკაზრვად მისდა გონებად (I, 102, 14-16); და კეალად უკუე, სიტყჳსაებრ მისისა, არა სავსეყოფად სოფელი, არამედ ნასეევარსრულად (ბ.კ. 43, 3-4).

თუმცა შესაბამის ადგილას ბერძნულში ზმნა სახეზეა:

Ἄλλως τε, κατ' αὐτὸν οὔπω πλήρης ἐστὶν ὁ κόσμος: (Migne, 576, 2-3);

რამეთუ არცა ყელოვნებანი... არცა სხუანი რაჲმე მიმოგონებითნი, ყოფად მათ შორის,

ბერძნულში ზმნა არის:

οὔτε γὰρ τέχναι... οὔτε ἄλλο τι τῶν διανοητικῶν ἐν αὐτοῖς ἐστιν (Migne, 584, 15-17).

ხოლო ზიარებად ეიდრემე მორთულობისად, სული არა უყერო თქუმად (ბ.კ. 33. 1).

ამგვარი შემთხვევები იშვიათია.

განსხვავებით ინფინიტიური კონსტრუქციისაგან, მასდარული კონსტრუქცია უძველესადაა მიჩნეული. მასაც ჰიპოტაქსური შინაარსის გადმოცემა აკისრია. ორიოდე მაგალითს მოვიყვანთ პეტრიწის შრომებიდან:

აღსრულებასა ოდესმე თეატროსასა და ჯდომასა ერისასა, მწეროთა წარიფრინევს (ბ.კ. 164, 1-3); და არა მცირედ მიდგებიან, არამედ მყის თანავე ამღერენასა მზისა დისკოსასა აჰა და მოფენაჲცა შარავანდედთაჲ (II, 7, 14-16).

IV. პასიური კონსტრუქცია

პასიური კონსტრუქცია ხშირად იქმნება ორგანული წარმოების ზმნებით. კერძოდ ერთპირიანი — ინიანი ვნებითით. ასეთ შემთხვევაში წინადადებაში მოქმედების ჩამდენი ან არ ჩანს, ან მიერ თანდებულიანი სახელითაა წარმოდგენილი:

არცა ყოველი ერთებრი... და სულისგანაცა თან იზიარების (I, 167, 16); არ ვინათა შორის იხილოს უბადოდ უმოქმედობაჲ (I, 30, 16-17); ყოველი, შემძლე უკუნქცევად თჳსდაეე. განყენებულად იზიარებეის (I, 53, 2-3);

εἰ ἄρα οὐναται πρὸς ἑαυτὸ ἐπιστρέφειν, χωριστῶς μετέχεται (Plot. LXXXII);

მცირეთა მიერ შემოისაზღვრა კანონი არისტოტელის „ორღანოსაჲ“ (II, 11, 28); თჳნიერ მის პირველობისა მიერ არცა მოიგონებიან (II, 216, 19); მთავრად მათდა დაიდგინა (ბ.კ. 18, 30); იკლეოდარაჲ ესე ვიეთ-მე მიერ ...იხილნა ვინაჲ-მე მწეროონი (ბ.კ. 163, 28-30)

ბერძნულში მედიოპასივის მიმღეობაა:

φονευόμενος γὰρ αὔτης ὑπό τινων... θεωρήσας γερένους (Migne, 784, 19-20).

ვინაჲ მოირთო და ამუსიკელა ყოველთა მბადისა მიერ (II, 75, 33).

ინიანი ვნებითების შემცველი პასიური კონსტრუქციები ტიპიურია იოანე პეტრიწის ენისათვის. რა თქმა უნდა, ასეთი კონსტრუქცია უცხო არ არის ქართულისათვის, მაგრამ როგორც ა. შანიძე აღნიშნავს თავის „საფუძვლებში“, „ქართული ენა უმეტესად აქტიური ფორმების ენაა და პასიურ გამოთქმებში ზომიერებას იცავს“[12]. პასიური კონსტრუქციების ხმარება ძალიან გაიზარდა მხოლოდ უკანასკნელ ხანებში „სამეცნიეროსა და ტექნიკურ ლიტერატურაში. აგრეთვე საგაზეთო წერილებში; რაც ნაწილობრივ იმით აიხსნება, რომ ითარგმნება დიდძალი ლიტერატურა რუსულიდან და სხვა ენებიდან. ზოგჯერ პასიური ფორმები ისეთი ფუძეებისაგან იწარმოება, რომლებიც წინათ მხოლოდ აქტიურად იხმარებოდა...“[13] პასიური ფორმების ხმარება მეტად დამახასიათებელია ბერძნული ენისათვის. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს იქვე, თარგმანს „ამ საკითხში ძველადაც ჰქონდა გავლენა. მაგალითად, ძვ. ქართულში „აღმოიყვანა“ ვნებითად უნდა გავიგოთ შემდეგ წინადადებაში: „მაშინ იესუ აღმოიყვანა სულისაგან უდაბნოდ“ (მათ. 4, 1 ჯრ. -პარხ.), რაც ბერძნული გამოთქმის ზუსტად გადმოცემის ბრალია:

Τότε ὁ Ἰησοῦς ἀνήχθη εἰς τὴν ἔρημον ὑπο τοῦ πνεύματος.

მაგრამ იმავე ფუძის ზმნა სხვა პრევერბით მოქმედებითია აქ:

„და მეუსეულად სულმან განიყვანა იგი უდაბნოდ“ (I, 12)[14].

ამგვარად, პასიური კონსტრუქციების ხშირი ხმარება იოანე პეტრიწის ენაში ბერძნული ენის გავლენითაა გამოწვეული.

---

[12] ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები; I, 1953, გვ. 309, § 367.
[13] იქვე, § 367.
[14] იქვე, § 367, შენიშვნა.

V. „და“ კავშირის ხმარება „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით[15]

ნ. კეკელიძე თავის დისერტაციაში იოანე პეტრიწის, როგორც მთარგმნელის, თავისებურებად თელის იმას, რომ იგი და კავშირს ხმარობს ქართულისათვის უჩვეულო მნიშვნელობით: „ბერძნული ენის გავლენა ხშირად იჩენს თავს კავშირის მოხმარებაში. ცნობილია, რომ ბერძნული καί ორმხრივია და უდრის 1) „და“ კავშირს და 2) „ცა“ ნაწილაკს. ძალიან ხშირად ეს განსხვავება ჩვენი მთარგმნელის მიერ სწორად არის გაგებული. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ბუნებრივად თავს იჩენს ბერძნულის გავლენა და მთარგმნელი შეუცნობლად გადმოგვცემს მას „და“-თი იქაც, სადაც ეს ქართულისათვის სრულიად ზედმეტია“[16]. ცხადია, ასეთ შემთხვევებში ბერძნულის გავლენა აშკარაა. მაგრამ ისიც ცხადია, რომ, იოანე პეტრიწს ყველა შემთხვევაში სწორად აქვს გაგებული καί -ს მნიშვნელობა: მაშინაც, როცა მას და კავშირით თარგმნის და მაშინაც, როცა ც ნაწილაკით თარგმნის. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით ხმარება და კავშირისა შემთხვევითი არ არის: ამის შესაძლებლობას იძლევა თვით ამ კავშირის ძირითადი ფუნქცია: მისი მნიშვნელობა, როგორც ერთგვარ წევრთა მაკავშირებელისა, რამდენადმე იგივეობის გაგებასაც მოიცავს. ამას გარდა, მისი „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით ხმარებას, როგორც ჩანს, იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქართულში და კავშირის ნაწილაკის ფუნქციით ხმარება, საერთოდ, უჩვეულო არ არის. ამ უკანასკნელი შემთხვევების შესახებ უფრო ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, ახლა კი განვიხილავთ და კავშირის „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით ხმარების შემთხვევებს.

1. „ც“ ნაწილაკის მნიშვნელობით და კავშირს იოანე პეტრიწი მართლაც ძალიან ხშირად ხმარობს.

ა) შემთხვევათა უმეტესობაში იგი შესაბამის სიტყვას „ც“ ნაწილაკსაც ურთავს და, ამგვარად, ასეთ შემთხვევაში, თუ შეიძლება ითქვას, გრამატიკულ ჰენდიადისთან გვაქვს საქმე:

ენაჲ ეს�e სიტყუაჲ დაკაშლსაცა ზედა (ბ.კ. 79, 28).
ὁ αὐτὸς λόγος καὶ ἐπὶ τοῦ μήλου (Migne, 645, 35);
არამედ არტისტელ და მეხუთესაცა შემოიღებს სხეულსა ეთერისასა (ბ.კ. 68, 26-27).
Ἀριστοτέλης δὲ καὶ πέμπτον εἰσάγει σῶμα, τὸ αἰθέριον (Migne, 625, 29);
ამისათჳს უკუე და ესეცა (ბ.კ. 23, 16).
περὶ μὲν οὖν τούτων, ἱκανά καὶ ταῦτα (Migne, 536, 9);
ყოველ, რომელიცა გონებისადა ზარებულ არს, და ცოცხლებისადა ზიარებულ არს (I, 63, 8-9.)
πᾶσι γὰρ οἷς νοῦ μέτεστι, καὶ ζωῆς μέτεστιν (Plot., § CI) და სხვ.

ამ მნიშვნელობით და კავშირი ხშირად გვხვდება არა მარტო თარგმანში, არამედ ორიგინალურ თხზულებაშიც — „განმარტებაში“:

ზუნცა და პირველი შენგერებაჲ (II, 76, 31-2); განნაწილებაჲ და ძალითაცა (II, 128, 11); შეისწავლე და ესეცა (I, 16, 14); იკუნენ და მრგუალნიცა (II, 85, 7-6) და სხვ.

---

[15] ამ საკითხის შესახებ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გიორგი ამარტოლის ხრონოკრაფის ქართული თარგმანი, ნაწ. II, 1926, გვ. 21-22; კ. კეკელიძე, ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფისა, ეტიუდები, I, 1956, გვ. 255.

[16] ნ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

ნაწილაკის ფუნქციით ნახმარი „და“ ხშირად ვე ნაწილაკთან ერთადაც გვხვდება. შეიძლება მათ ც ნაწილაკებიც ახლდეს თან და, ამგვარად, ერთი და იმავე შინაარსის გადმოსაცემად სამი ერთეული მოგვეელისოს: ვე ნაწილაკი იხმარება მაშინ, როცა შედარებაა გადმოცემული.

ვე + და + ც:

ეითარცა-იგი ბიჭებაჲ სულითი არს, და ეგრეთვე სულისკეეთაცა: (ბ.კ. 120, 17-18); ესრეთვე და გრძნობადნ-ცა ყოველნი (I, 104, 2); ნაწილებითნი, ეითარ უესაბერეს, ესთავე და შორსცა (II, 120, 8); მსგავსადვე და სულისაცა (ბ.კ. 13, 24-25) და სხვ.

ვე + და:

ეგრეთვე და რომელობისა მსგავსი (ბ.კ. 19, 7); ეგრეთვე და სრული (I, 22, 12); ესთავე და მიიღებენ და კეთილობასა (II, 35, 28); ეგრეთვე და ძალი (II, 18, 14) და სხვ.

ბ) უფრო იშვიათია შემთხვეეეკი, როდესაც ც და ვე ნაწილაკების მნიშვნელობით მხოლოდ და გვხვდება:

სადაცთ წარმოშობაჲ თვითეულისაჲ, მისდად და შერაბამებელი უკუნქცეეაჲ (I. 101, 3); (და-ვე) ხოლო ეიეთმე, რომელთაცანა არს და პლატონოს (ბ.კ. 4, 1) (და-ც); ეშმღუარეს და მსგავსად თკსდადმი და თანტომსა (I, 70, 1-2),

ἡγεῖται καὶ ὁμοίου πρὸς αὐτὸ καὶ συγγενοῦς (Plot., § CXIII) და სხვ.

ცხადია. καὶ (-ც)-ს მნიშვნელობა ხშირად ოდენ ც ნაწილაკითაცაა ხოლმე გადმოცემული:

თუ რაჲმე უსაზღერო [არს], უცნაურცა ჩეენგან (ბ.კ. 17).
εἰ δὲ ἄπειρος, καὶ ἄγνωστος ἡμῖν (Migne, 809, 32).

2. და სხვა მნიშვნელობებითაც შეიძლება იხმარებოდეს:

ა) ბერძნულში καὶ იხმარება ხარისხის სახელებთან და მაშინ მას გამაძლიერებელი მნიშვნელობა აქვს: ც — კი, კი (даже). ასეთ შემთხვეევებშიც იგი ხშირად და-ს და ც ნაწილაკის კომბინაციითაა გადმოცემული:

რამეთუ იყვნეს და უფროჲსნი ხოლო და არიან აწცა (ბ.კ. 12, 16).
Ἦσαν γὰρ μᾶλλον δὲ εἰσὶν ἔτι καὶ νῦν (Migne, 516, 16) უფროჲს ხოლო და მყოფადცა (II, 142, 24),

სხვა შემთხვეევაშიც შეიძლება მას „ც-კი, კიდევაც“ ნაწილაკების მნიშვნელობა ჰქონდეს:

ხოლო ღალნოს სულისათჳს უკუე არას განაჩინებს, არამედ და წამებსცა (ბ.კ. 33, 4),
...ἀλλὰ καὶ διαμαρτύρεται (Migne. 553, 23);
И даже сам удостоверяет (Влад., 49, 37);
რამეთუ შედგა რაჲ და ერთ იქმნა: (II, 164, 16) (=კიდევაც): რაჲცა გაიგონა და ქმნაცა (II, 188, 30), (=კიდევაც „რაც, იფიქრა, გააკეთა კიდევაც“)

ბ) ხშირად ც ნაწილაკის მნიშვნელობით და თან სდევს არამედ კავშირს:

ἀλλὰ—καὶ по—и

მოქმედებენ არა ხოლო სულიერად, არამედ და ღმრთეცა (I, 120, 18)—
ἐνεργοῦσιν οὐ ψυχικῶς μόνον, ἀλλὰ καὶ θείως (Plot., § 661).

ხოლო კაცი მხოლოდ არა სიტყვერ ოდენ არს, არამედ და ცხოველცა (ბ.კ. 16, 20):
ὁ δὲ ἄνθρωπος, οὐ μόνον ἐστὶ λογικὸν, ἀλλὰ καὶ ζῶον (Migne, 521, 23).

გ) გინა თუ და, — „თუნდაც", „კიდეც რომ":

... განვიშორნეთ ჩუენგან, გინა თუ და მარჯულობდეს ბორიტი, გინა თუ და მარცხელოს (II, 207, 23-24);

დ) ხშირად ნაწილაკის ფუნქციის მქონე და გვხვდება პირობითი დამოკიდებული წინადადებების მთავარ წინადადებაში. „მაშინ" მისამართი სიტყვის ადგილას: თუ... და.

ἐὰν ... καὶ, εἰ ... καὶ, ССЛИ—ТО,
არამედ თუ რადმე მებრ გუარითა განყოფილებაჲ შეიცვალოს, და ცხოველცა ეიდრემე შეიცვალოს (ბ.კ. 38, 18);
Ἐὰν γὰρ ἡ κατὰ τὸ εἶδος διαφορὰ μεταλλαγῇ, μεταλλάττεται καὶ τὸ ζῶν- (Migne, 565, 42);
თუ არა განეკრძალოს, და ესეცა შეემთხუეს მას (ბ.კ. 36, 9); და თუ ესრეთ, და არსებისაცა მეზიარე (I, 113, 30);
Εἰ δὲ τοῦτο, καὶ οὐσίας μετέχον (Plot).
ხოლო თუ იუწყოს მიზეზი, და წარმომაყენებელი უპირატესი თჳსი იუწყოს (I, 100, 25). და სხვ.

ასეთ შემთხვევებში და-ს წინ აუცილებელია მძიმის დასმა.
ზოგჯერ ბერძნულში καὶ არც არის ნახმარი:

ხოლო თუ არს თჳთერთი, იყოს და პირველ მზიარებელიცა მისი (17, 25)—
Εἰ γὰρ ἐστι τὸ αὐτὲν, ἔστι τὸ πρώτως αὐτοῦ μετέχον (Plot., § VI).

ასეთი შემთხვევები ბევრია.

ამგვარი ბერძნიზმის მაგალითები არა მარტო პეტრიწთან გვხვდება. და კავშირს ც (და ვე) ნაწილაკის მნიშვნელობით ბერძნული დედნების გავლენით ზოგჯერ გიორგი მთაწმიდელთან და ეფრემ მცირესთანაც ეხვდებით. ასე მაგ.:

და ამის მიერ არა ხოლო თუ უხილავ ხოლო იყო ქუეყანა, არამედ და განუმზადებელცა (ექუსთ. 18, 16-17) შდრ. ექ. დღ. ძვ. ქართ. თარგმანი: და არა თუ ამით ოდენ იყო უხილავ ქუეყანა, არამედ განუმზადებელცა იყო იგი (32, 8-9), რომლისა არს თჳსებაჲ იგი, ეკრეოვე და სიკუდილეცა თჳსი არს ქუეყანისაჲ (ექუსთ. 46, 27); ეგრეთვე და ზეაღნიცა: (ექუსთ. 45, 2-3), არა ხოლო ეიტყჳ ოდენ, არამედ და დავამტკიცებცა (ექუსთ. 92, 23); რომელმან მოგუმადლა ჩუენ სიბრძნეთა განცდად... მანვე მოგუანიჭენ და დიდთაგანცა უაღრესისა გულისჴმის-ყოფისა მოგებად (ექუსთ.) შდრ. ექ. დღ.: რომელმან იგი მოგუანიჭა ჩუენ ჴულისჴმის-ყოფაჲ ... მოგუანიჭენ ჩუენ დიდთაგანცა განზრახეაჲ დიდი (95, 5-8); სხჳსა და სხჳსა დასაბამისა და მიზეზისაგან იყჳნენ და ყეოლიცა და ბოროტიცა (ᲘᲐ. ᲘᲒ. 49, 7) და სხვ.

ე) ცნობილია, რომ და გარდა მაერთებელი კავშირისა, ქართულშიც შეიძლება ნაწილაკის ფუნქციითაც იხმარებოდეს[17]. იგი გვხვდება დართული აგრეთ—

[17] იხ. ქართული განმარტებითი ლექსიკონი, ტ. III, 1953, გვ. 2.

ვე კავშირებსა, ზმნისართებსა და ნაწილაკებზე: არა-ღა აქაო-ღა, ეითომც-და, თითქოს-და, ვართლაც-და...[18]

ასეთი ფუნქციით იგი გიორგი მთაწმიდელთან და ეფრემ მცირესთანაც გვხვდება:

არაან უკუე და ჩუენ შორისცა (ექუსთ. 107, 35); ნუუკუეცა და ეითარ სადაოთ მიიღო ღირსი გულისჴმის-ყოფაჲ ღმერთისაჲ (ექუსთა, I, 15); ნუეუე და ჰრაკლიღ გამოძიებასა შენსა სრტუეა იობისი შეეგოს (ექუსთ. II, 17); ნუუკუე და თქუას ეისმე (ბ. ფს. 19, 7); კინიღა და ოთხმეოცისა წელსამან იხილა ღმერთი (ექუსთ. 81, 15) და სხვ.

ამგვარი გაიოყენება, როგორც ჩანს, და-ს ცოცხალ მეტყველებაში უნდა ჰქონოდა. იოანე პეტრიწს ცოცხალი მეტყველებიდან ბევრი რამ შემოაქვს საკ-წერლო ენაში. ასევე იქცევა ამ შემთხვევაშიც:

მერმეცა უკუე და სული წინაღმდეგომ არს სხეულისა (ბ.კ. 32, 10); მოიღე და სახეცა უპოოთ სიცხადისათჳს (II, 8, 10); მოიღე და იყოს ნამდჳლ მყოფი (II, 130, 27); (=მოდი და...); მოიღე სახედ ოგივე რიცხჳ, იყოს და ხუთი (II, 24, 14) და სხვ.

* * *

ამგვარად, ზემოგანხილული ზოგი ტიპის უშემასმენლო წინადადება, მიმღეობური კონსტრუქციის ზოგი სახე (თუმცა მიმღეობური კონსტრუქცია ქართულში უძველესადაა მიჩნეული) და ინფინიტიური და პასიური კონსტრუქციების ხშირი ხმარება ბერძნული ენის გავლენით უნდა აიხსნას. ასევე, და კავშირის „ც" ნაწილაკისა (და მსგავსი მნიშვნელობით) ხმარება, ცხადია, ბერძნულ კონსტრუქციათა გავლენით აიხსნება (მიუხედავად იმისა, რომ ქართულშიც არის საფუძველი და კავშირის ნაწილაკის ფუნქციით ხმარებისა).

ზემოჩამოთვლილ სხვა თავისებურებებთან ერთად, ხშირად სწორედ ამგვარი, ქართული ენისათვის არადამახასიათებელი (ან ნაკლებ დამახასიათებელი) და არაბუნებრივი კონსტრუქციების არსებობა არის იმის მიზეზი, რომ იოანე პეტრიწის ენა ძნელი გასაგებია.

შემოკლებანი

1. I—იოანე პეტრიწის შრომები, I, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940.
1. II—იოანე პეტრიწის შრომები, II, განმარტება პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფოსისათჳს, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937.
3. ბ. კ.—ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, ბერძნულითგან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ. ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-საძიებელი დაურთო ს. რ. გორგაძემ, ტფილისი, 1914.
4. ექ. დღ.—ბასილი კესარიელი, „ექუსთა დღეთათჳს", უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „ეკლესიასტესა", X-XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1964.

---

[18] იქვე.

5. ეჭუსთა — ბასილი დიდი, „ეჭუსთა დღეთაჲ", ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1), თბილისი, 1947.
6. მ. — (მათე) ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული რედაქციის მიხედვით, გამოსცა ა. შანიძემ, თბილისი, 1945.
7. მრკ.—(მარკოზ), იხ. მ.
8. ოქრ.—საკითხავი, თქმული იოანე ოქროპირისა, სინური მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, თბილისი, 1959.
9. პ. იხ.— პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ენუქაშვილმა, თბილისი, 1961.
10. სოლომ.—თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილისი, დაწყებითათჳს სოლომონის იგავთაჲსა, ექვთიმე ათონელის თარგმანი, ტექსტი დაბეჭდა და გამოკვლევა დაურთო თ. ჭყონიამ, იხ. „ძველი ქართული მწერლობის ძეგლი", 1965.
11. ფსალმ.— ძველი ქართული ენის ძეგლები, ფსალმუნის ძველი ქართული რედაქციები, X-XIII საუკუნეთა ხელნაწერების მიხედვით გამოსცა მზ. შანიძემ, I, ტექსტი, 1960.
11, Влад.—Ф. Владимирский, Немезий, эпископ эмесский, „О природе человека" пер. с греческого.
13. Лос. —ა ღონშნულია ფ. ა. ლოსევის მიერ პროკლე დიადოხოსის „კავშირნის", რუსულად თარგმნილი ტექსტი, ხელნაწერი.
14. Migne — Νεμεσίου ἐπισκόπου Εμέσης, Περὶ φυσέως ἀνθρώπου, Patrologiae cursus completus, series graeca, edit. S. P. Migne, 1858, pp. 505-818.
15. Plot. — Πρόκλου Διαδόχου πλατωνικοῦ Στοιχείωσις θεολογική, Plotini, Enneades, Parisiis, MDCCCLV, pp., LI-CXVII.

(წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა
შ. ძიძიგურამ)

დამანა მელიქიშვილი

იოანე პეტრიწის „სათნოებათა კიბის" გამოცემის გაგრ

XI-XII საუკუნეთა ცნობილი ქართველი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის, იოანე პეტრიწის ჩვენამდე მოღწეულ თხზულებათაგან დღემდე გამოცემული იყო მხოლოდ ორი: პროკლე „დიადოხოსის ფილოსოფიური თხზულების — „კაეშირნი ღვთისმეტყველებითნი"— თარგმანი პეტრიწის ერცელი „განმარტებითერთ" და ნემესიოს ემესელის თხზულების „ბუნებისათვის კაცისა"[2] თარგმანი. მათ რიცხვს მიემატა იოანე სინელის „კლემაკსის" გალექსილი თარგმანი „სათნოებათა კიბე". იგი გამოსცა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოკტორმა ივ. ლილაშვილმა, რომელმაც ტექსტს დაერთო შენიშვნები, ლექსიკონი და ერცელი ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა.

იოანე სინელის „კლემაკსი" ანუ „კიბე" ქრისტიანული ასკეტიკურ-მისტიკური ზნეთსწავლულების სახელმძღვანელოა. იგი ოცდაათი თავისაგან — სიმბოლურად „ოცდაათი ხარისხისაგან", კიბისაგან შედგება. თითოეული თავი შეიცავს მორალურ შეგონებებს სათნოებათა შესახებ: „კიბის" თითო ხარისხი ერთი სათნოებას ეხება და თხზულების მიზანიც სწორედ ადამიანის მიერ ამ ხარისხთა ფლობა, სულის განსაწმენდი მორალური პრინციპების მიხედვით ადამიანის ზნეობრივი აღზრდა. ეს ნაწარმოებები ძირითადად ქრისტიან ბერ-მონაზონთათვის იყო განკუთვნილი. იგი შუა საუკუნეებში დიდად პოპულარული იყო და ამიტომაც ქართულ ენაზე სამჯერ უთარგმნია პროზაულად.

„კლემაკსის" ერთი თარგმანი (IX თუ X საუკ) ეცნობი მთარგმნელისაა, მეორე ექვთიმე მთაწმიდელს ეკუთვნის, მესამის მთარგმნელად კი სამეცნიერო ლიტერატურაში პეტრე გელათელი იყო მიჩნეული. ივ. ლილაშვილი ანტონ კათალიკოსისა და დავით რეკტორის ცნობებზე დაყრდნობით ცდილობს მეცნიერულად დასაბუთოს, რომ ეს პროზაული თარგმანი (ხელნაწ. № 39), რომელიც პეტრე გელათელს მიეწერებოდა, ეკუთვნის იოანე პეტრიწს. მეორე მესწორება, რომელიც მკვლევარს ამ საკითხთან დაკავშირებით შეაქვს სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ შეხედულებაში ის არის, რომ იოანე პეტრიწის მიერ გალექსილი „კლემაკსი" პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიურ-დიდაქტიკური ნაშრომია.

ივ. ლილაშვილი ასაბუთებს, რომ იოანე პეტრიწი. იყენებს რა იოანე სინელის „კლემაკსის" ექვთიმე მთაწმიდლისეულ თარგმანს, არ იზღუდება გასალექსი ტექსტით. „იგი მის ბაზაზე თხზულ[illegible] ორიგინალურ [illegible], რომელიც პირველი წყაროსაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. 302 სტროფიდან პროზაულ დედანს ემთხვევა მთლიანად ან ნაწილობრივ 186 სტროფი. სხვა დანარჩენი — ორიგინალური" (გვ. 97) „ისეთია — ამბობს სხვა ადგილას ავტორი, —116 სტროფი (ისინი გამოცემაში აღნიშნული[illegible] ვარსკვლავით)" გამოკვლევის ავტორის [illegible] თლიანი დასკვნით „სათნოებათა კიბე" ([illegible]ტორმა თვითონვე შეარჩია სათაური), [illegible] იოანე სინელის „კლემაკსის" თავისებ[illegible] მუშაობას წარმოადგენს, იოანე პეტრიწის [illegible] გინალური ფილოსოფიური დიდაქტიკური [illegible] რომია" (გვ. 99).

თვით ტექსტი მეცნიერულად [illegible] [illegible]ული. მის დასადგენად გამოყენებული, 9 ძირითადი ხელნაწერი. ტექსტს ახლავს სქოლიოები, სადაც ვარიანტებია მითითებული, აგრეთვე, ექვთიმე მთაწმიდლისეული პროზაული

---

1 იოანე პეტრიწი, შრომები, ტომი I: ქართული ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაერთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940.

2 ნემესიოს ემესელი, „ბუნებისათვის კაცისა", გამოსცა ს. გორგაძემ, თბილისი, 1914.

ორგანული, ბოლოში დართული აქვს ხელნაწერებისა დაკავშირებული შენიშვნები და, რაც მეტად დასანანია, საკმაოდ სრული ლექსიკონი. ცალკეულ სიტყვათა განმარტებებიდან სადავო მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ახსნაა.

დ ა მ ს ჭ ვ ა ლ ე ლ ი ავტორს ახსნილი აქვს, როგორც „ლურსმნით მიჭედებული, დალურსმული“. ამ განმარტებას, სხვათა შორის, იგი გამოიყენებს ოყენებს, იმ ადგილას, სადაც ამტკიცებს, რომ იონე პეტრიწის „ერთი“ გაგებულია ქრისტიანული თეალთახედვით: „იგი ხან მამა ღმერთია... ხან ძე — ღმერთი...“ (გვ 141), ე. ი. ქრისტე. ამის დასადასტურებლად ავტორს მოჰყავს კონტექსტი, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ სიკეთილ შეუცნობელი ქერია. „რომელი სულსა ხსეულთაგან წარიყვანს და. სადა ერთი **დ ა მ ს ჭ ვ ა ლ ე ლ ი** არს, შენ მიგიყვანს“ აქ ივ. ლოლაშვილს **დ ა მ ს ჭ ვ ა ლ ე ლ ი** ესმის როგორც „დალურსმული“ და ამ კონტექსტს ასე ხსნის: „ცხადია, ეს „ერთი დამსჭვალული“ არის იესო ქრისტე, რომელიც ებრაელებმა ლურსმით გაკრეს (დასჭვალეს) ჯვარზე“ (გვ. 142).

მართალია, ძველ ქართულში **ს ა მ ს ჭ ვ ა ლ ი** ნიშნავს „ლურსმანს“, მაგრამ მოცემულ კონტექსტში „**დ ა მ ს ჭ ვ ა ლ ე ლ ი**“ არ ნიშნავს „დალურსმულს“, არც პირდაპირ და არც ალეგორიულად, არამედ იგი ნიშნავს „**დ ა მ კ ვ ი დ რ ებ ულ ს**“. პეტრიწი პროკლეს „კავშირნის“ განმარტებებიც ხშირად ხმარობს ამ სიტყვას, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა „დალურსმული“-ს, არამედ „დამკვიდრებული“-ს მნიშვნელობით (მაგ.: „ვინაჲ ერთობით ყოველთაჲ საყოველთაოსა შორის ეაშსა დამსჭვალულ“ (II. 118), რაც ნიშნავს: „ამიტომ ერთის სიშფალებით ყოველთა ზოგადთა (ყოველობა) შედგა (საზოგადო) ერობი დამკვიდრებულა...“

განცდა — ავტორს ახსნილი აქვს მხოლოდ როგორც „დანახვა“. ეს ახსნა ნაწილობრივ სწორია. ეს სიტყვა ძველ ქართულში და ხშირად პეტრიწთანაც, მართლაც „დანახვის“ მნიშვნელობით გვხვდება (სადაც ასე განმარტავს მას „დაბადების“ მიხედვით). მაგრამ, გარდა ამ მნიშვნელობისა, პეტრიწის შრომებში მას აქვს ფილოსოფიური მნიშვნელობაც: „აღქმისა“ და აგრეთვე, „ენონებით ეკრეტის, წყდომისა“ (созерцание) პეტრიწი თავის ფილოსოფიურ შრომებში უფრო ხშირად სწორედ ამ მნიშვნელობით ხმარობს მას. ასევე „სათნოებათა კიბეშიც“:

„რათა კეთილად მძიები განიცდიდე,
მოლეაწეო, შენ წრფელთა **გ ო ნ ე ბ ი თ ა**“
ამის მიხედვით **გ ა ნ ვ ი ც დ ე ლ ი** — იქნება „გონებით მიეწედოდელი“.

ა ი ტ ი რ ე ბ ა — მართალია, „გადახრას“ ნიშნავს, მაგრამ პეტრიწთან იგი „მოძრაობის“ მნიშვნელობით იხმარება. აქედან — **მ ი ე ტ ი რ ე ბ ე ლ ი** — „უძრავია“.

ო ც ნ ე ბ ა — როგორც ფილოსოფიური ტერმინი, ნიშნავს გონებით წარმოდგენას, წარმოსახვას და არა „ზმანებას“, როგორც ეს ავტორს აქვს განმარტებული („ზმანება“ — ჩვეულებრივი მნიშვნელობითაა).

გ უ ა რ ი — გარდა ავტორისეული განმარტებისა (სახე, მოდგმა, ნათესავი), პეტრიწის ნაწარმოებებში ნიშნავს „იდეასაც“. სწორედ ამ მნიშვნელობითაა იგი ნაბმარი „სათნოებათა კიბის“ 301-ე მუხლში: „სწაულლება არს...

„უსხეულოთა გუართა გულს-ქმის-მქმნელი“ („უსხეულოთა იდეათა“ ანუ „ამსტრაქტულ იდეათა“ და არა „უსხეულო მოდგმათა თუ სახეთა“, როგორც ავტორი ხსნის).

როგორც ზემოთაც ვთქვით, ტექსტს წინ უძღვის ერცელი ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა.

გამოკვლევაში განხილულია და სრულად ახლებურადაა გაშუქებული იონე პეტრიწის პიროვნებასა და შემოქმედებასთან დაკავშირებული ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემა.

ჩვენ ნებას მივცემთ თავს გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებანი ზოგიერთი მაბზანის ირგელივ.

გამოკვლევის ავტორი შესავალშივე გამოსაკვეთს იმ საკითხებს, რომელთა გარკვევაც აუცილებელია იონე პეტრიწის ბიოგრაფიისა თუ შემოქმედების ცალკეული პრობლემების განხილვამდე. ეს საკითხებია: 1. ტრადიციული ცნობები ი. პეტრიწის შესახებ და მათი მეცნიერული ღირებულება; 2. იონე ჭიჭინელის, იონე საღმრთო ფილოსოფოსის, იონე ტარიელის, ანსენ ბერის, დავით ალმაშენებლის ისტორიკოსის, ეფზეკელის, პეტრე გელათელის ვინაობა და მათი მიმართება იონე პეტრიწთან (გვ. 10).

· იონე პეტრიწის შესახებ ტრადიციულ ცნობათა შორის ყველაზე უფრო სანდოდ ივ. ლოლაშვილი სამართლიანად მიიჩნევს ანტონ კათალიკოსის ბიოგრაფიულ მიმოხილვას „იონეს-სათვს პეტრიწისა, ფილოსოფოსისა მოკლედ მოკსენებაჲ, თუ ვინ იყო იგი, ანუ ვითარ იყო“. ზოგიერთი შემდგომ განვითარებული მოსაზრება ავტორისა ანტონის სწორედ ამ „მოკლედ მოკსენებისაგან“ (და აგრეთვე სხვა ტრადიციული გადმოცემებისაგანაც) იღებს სათავეს. მაგ., აზრი იმის შესახებ, რომ იონე პეტრიწი საბერძნეთიდან მიიწია არა პეტრიწოსს, არამედ ოპიზას, რომ ამონიოს ერმისის წიგნი „მოსაკსენებელი“ ხუთთა ქმათადმი პორფირი ფილოსოფოსისთა“ თარგმნა პეტრიწმა, რომ იონე სინელის „კლიმეკსი“ მის მიერ ორგვარად არა: გადმოლებულ: პროზაულად და ლაბიკოდ, რომ იგი (პეტრიწი) იყო მოძღვარი „ეფრემ მცირისა... ძირითადად ანტონისა და სხვა ტრადიციულ გადმოცემებს (ვგულისხმობ ხელნაწერთა ანდერ-

ძებს, მინაწერებს) ეყრდნობა ავტორი მაშინაც, როდესაც იოანე პეტრიწისა და იოანე ჭიმჭიმელს იგივეობის წინააღმდეგ არსებულ აზრს ებრძვნება.

XI-XII საუკუნეთა ქართულ მწერლობაში რამდენიმე იოანე გვხვდება: იოანე პეტრიწი, იოანე ჭიმჭიმელი, იოანე ტარიელაძე ანდან — იოანე ტარიელაძის შესახებ ორი აზრი არ არსებულა. მას სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე პიროვნებად მიიჩნევენ ხოლო რაც შეეხება იოანე პეტრიწსა და იოანე ჭიმჭიმელს, ისინი ხელნაწერთა ტრადიციით, XVIII-IX საუკ. მოღვაწე მწერალთა ანტონ კათალიკოსის, გერმანე ხუციეს-მონაზონის, დავით რეტორისა და იოანე ბატონიშვილის ცნობათა მიხედვით ერთ და იმავე პირადად მიჩნეული.

ნ. მარის აზრითაც იოანე პეტრიწი და იოანე ჭიმჭიმელი ერთი და იგივე პიროვნებაა (Н. Я. Марр, Иоанн Петритский грузинский неоплатоник XI — XII века, 1909). ადრე ამავე აზრისა იყო ალ. ალექსიძეც (ალ. ალექსიძე, იოანე პეტრიწის საწერელი მოღვაწეობიდან. ჟურნ. „ჟრომეფე", 1918 № 1). მაგრამ შემდეგ ბეჭნიერმა ეარგო ეს აზრი და გამოცდილმა, ო�ელიც ქართველი აქვს მის მიერ გამოცემულ ტექსტს „თარგმანებაჲ ეკლესიასტესაჲ მიტროფანე, ზჳრნელ მიტროპოლიტისაჲ ღირნშნა: საკითხში ეფრო ღრმად ჩახედვამ დაგვარწმუნა, რომ იოანე პეტრიწი და იოანე ჭიმჭიმელი ორი სხვადასხვა: პირი და სხვადასხვა დროის პოეტეაა" (გვ. LVIII).

„აქრობ, ფილოსოფოსის, იოანე პეტრიწის საწერელ-საეკლესიო-სახოგადოებრივი მოღვაწეობა დაწყებული მეთერთმეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში... მაშასადამე, უნდა ეიფიქროთ, რომ, ყოველ შემთხვევაში, დავით ალმაშენებლის მეფობას ის ვერ გადასცდება. რაც შეეხება ფილოსოფოს იოანე ჭიმჭიმელს, მის სახელს ეხვდებათ თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში. ამ თხზულების შესავალში ნათქვამია, რომ იოანე ჭიმჭიმელს შესხმის სახით აუწერია დიმიტრი მეფის ქველობა. და მხნეობა. თაეისთავად ცხადია, რომ იოანე პეტრიწი დიმიტრი I მეფის (1125 - 1156) თავგადასავალს და საგმირო საქმეებს ვერ აღწერდა, თუ, რასაკვირველია, ამას პატრიარქალურ დღეგრძელობას და მთელობას არ მივაწერთ" (გვ. LX—LXI). ამის გარდა, კ. კეკელიძის აზრით, იოანე ჭიმჭიმელს თითქოს სიტყვაც კი წარმოუთქვამს თამარის დაკრძალვაზე. „ყოველ შემთხვევაში, — წერს მეცნიერი — როგორ უნდა გავიგოთ (თამარის) ისტორიკოსის სიტყვები „იოანე ეტყუნ ჭიმჭიმელთო", როდესაც ეს თამარის სიკვდილსა და დასაფლავებას აღწერისას ასახელებს რამდენიმე პირთ, მათ შორის იოანე ჭიმჭიმელსაც, რომელთაც მის ცხედარზე სიტყვა წარმოუთქვამთ? განა წარმოსადგენია, რომ იოანე პეტრიწს თამარის გარდაცვალებაზე (1213-1214 წწ.), ეთქვა სიტყვა?"[1] (იქვე). ამ საბუთების საფუძველზე კ. კეკელიძე ასკვნის: „ეაეცილებელი და ეპემეტანელია, რომ იოანე ჭიმჭიმელი არაა იოანე პეტრიწი" (გვ. LXI). ეგეეე დასკვნა კ. კეკელიძემ შეიტანა „ქართული ლიტერატურის ისტორიაში" (ტ. I, გვ. 316—317), და ამგვარად აღიარებულ იქნა მოსაზრება, რომ იოანე ჭიმჭიმელი და იოანე პეტრიწი სხვადასხვა პიროვნებაა.

როგორც ეთქვით, ივ. ლილაშვილი ებრძვნება პეტრიწისა და ჭიმჭიმელის იგივეობის აზრს. ამ შემთხვეეაში იგი ძირითადად ანტონ კათალიკოსისა და სხვა ტრადიციულ ცნობებს ეყრდნობა. გამოკვლეეის ავტორის აზრით მათ ცნობას საფუძვლად უნდა ჰქონოდა „რაღაც ძველი ლიტერატურული წყარო, რომელიც XVIII საუკუნეში არსებობდა, ღიეს კი დაკარგულია" (გვ. 26); თუმცა ავტორი ამასაც ალნიშნავს, რომ ეს ტრადიციული ცნობები ზოგჯერ ზუსტი და სანდო არ არის, ეს კი იქიდან ჩანს, რომ ზოგი მათგანი ერთმანეთში ერეკა რამეენიმე ისტორიულ ფაქტს. ასე მაგ., დავით რეტორს პეტრიწი მიიჩნია ბაგრატ პირველის (IX საუკ. I ნახ.) თანამედროვედ („ესე წარიგზავნა მეფისა მიერ ბაგრატ პირველისა საბერძნეთად ათინად"); ქალკედონის კრება (451 წ.) გადმოაქეს პეტრიწის ეპოქაში; პეტრიწს მიწაფეებად ეცხადებს დავით უძლეველს (VI) და მოსე ხორენელს (VIII ს.); იოანე ბატონიშვილს იოანე ფილოსოფოს — ჭიმჭიმელისთვის ზედწოდების — „პეტრიწის" შერქმევის შესახებ აშკარად ლეგენდარული ამბავი მოაყოლს. ამის გარდა, ტრადიციული ცნობების მიხედვით (ანტონის გამოკვლეთით), იოანე პეტრიწი ათინას იქნა გაგზავნილი სასწავლებლად, რაც სინამდვილეს არ შეეფერება (იოანე პეტრიწი ფილოსოფოს კონსტანტინეპოლში, მანგანის ეკლეზიაში ეუფლობოდა).

ამგვარად, მხოლოდ ტრადიციულ ცნობებზე დაყრდნობა არ შეიძლება, ამიტომ მკვლევარი, როგორც ქვემოთ ენახავთ, მათ თავის არგუმენტებსაც ამყარებს.

მეორე საბუთი ავტორისა ისევ ტრადიციულ ცნობას ეყრდნობა: გერმანე ხუციეს-მონაზონის მიხედვით იოანე ფილოსოფოსი თეო „სასაბერ-თავად სამცხისა, დაბით ჭიჭინეთსა". ეს ცნობა მკვლევარს ნიშანდობლივად მიაჩნია, რადგანაც ე. თაყაიშვილს ცნობით ტაოში ჭიჭინეთ-ეკლესიებს დაბა ჭიჭინეთი, რომელიც მოსახლეობა თავის თავს ჭიმჭიმელებს უწოდებენო. ეს ლილაშვილის აზრით ამას მიანიშნებს, რომ ეკლესიის XI საუკუნის მეორე ნახევრის ერთი წარწერაც, რომელშიც, ფარსმან ერისთავი-

---

1 ამ უკანასკნელი საბუთის შესახებ იხ. ქვემოთ.

ერისთავი იოანეს ძე ჭიმჭიმელია მოხსენებული. თუმცა ეს ცნობა თავისთავად არაფერს გვეუბნება იოანე პეტრიწთან ჭიმჭიმელის ურთიერთობის შესახებ (რომ არ ყოფილიყო გერმანე ხუციეს-მონაზონის ცნობა იოანე პეტრიწის დაბა ჭირეშიდან წარმოშობილობის თაობაზე!) მაგრამ შეიძლებოდა მაინც შესაძლებელად თვლის ამის საეჭველზე დასაკვნა, რომ „შეიძლება იოანე ფილოსოფოს-ჭიმჭიმელის თემგველ ჭიმჭიმელთან რაიმე ნათესაური ურთიერთობა ჰქონდა. ვის იცის, იქნებ თემგველი იყო ალბა ჩვენი ფილოსოფოსისაო? (გვ. 27). ამ მიმზიდველი ეპითეტების შეცნობილად დამტკიცება, რა თქმა უნდა „შეუძლებელი".

შესაძლ., ე	e საკუთარ სიბეთად ივ. ლოლაშვილი იმას თვლის, რომ ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდში აღმოჩნდა თეოფილაქტე ბულგარელის თხზულების „იოანეს სახარების განმარტების" ფრაგმენტი (№ 1090 ფ), რომელსაც XI საუკუნის მიწურულით თუ XII-ის დასაწყისთ ათარიღებენ. ამის საფუძველზე ივ. ლოლაშვილი ამბობს, რომ ამ თხზულების მთარგმნელი — „იოანე ჭიმჭიმელი —XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე ოცოლეწეა. მაგრამ სწორია თუ არა წარმძღვარება ამ დასკვნისა: 1. მართლა ჭიმჭიმელია თუ არა იოანეს სახარების განმარტების მთარგმნელი? და 2. ზუსტია თუ არა ფრაგმენტის დათარიღება XI-XII საუკუნეთა მიჯნით?

რა სამეთოს ეყრდობა ავტორი, როდესაც იოანეს სახარების განმარტების მთარგმნელად მაინცდამაინც იოანე ჭიმჭიმელს მიიჩნევს?

1918 წელს ალად. ქ. კეკელიძემ, ალბათ ამის საეჭველზე, რომ თეოფილაქტე ბულგარელის „მარკოზისა და ლუკას სახარებათა „განმარტებების" მთარგმნელად ხელნაწერთა ტრადიციებით იოანე ჭიმჭიმელი იყო ცნობილი, გამოთქვა აზრი, რომ „იოანეს სახარების განმარტების" მთარგმნელიც იოანე პეტრიწი — ჭიმჭიმელია. (ქ. კეკელიძე, იოანე პეტრიწის სალმერთო ტერო მოღვაწეობიდან, ეერნ. პრომეთე, 1919, № 1). მაგრამ შემდეგ მანვე უარყო ეს შეხედულება, რადგანაც „ადმომთარგმნელი ამ ეუანასეული თხზულებისა ზმანთა მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირში ზმირად ხმარობს — ყ ნაწილაკს, რაც ჭიმჭიმელის ეპოქაზეს შრომებში არ გვხვდებაო"[1].

სხვა რაიმე ცნობა, რომ „იოანეს სახარების განმარტების" თარგმანი იოანე ჭიმჭიმელს ეკუთვნის, ეერეერთი თითოს არ მოგვეპოვება.

ახლა, რაც შეეხება ახლად აღმოჩენილი ფრაგმენტის (1090 ფ) დათარიღებას. ეგი მოახლოებითია, გამოსარკვეია, მართლაც XI-XII საუკუნეთა მიჯნისაა თუ არა ფრაგმენტი.

ამგვარად, არც ერთი წარმძღვარი იმის დასამტკიცებლად, რომ ჭიმჭიმელი XI-XII საუკუნეთა მიჯნის მოღვაწეა, არ არის მყარი.

მეოთხე სასუბუთად პეტრიწისა და ჭიმჭიმელის იგივეობის დასამტკიცებლად ავტორს მოაქვს ის ფაქტი, რომ იოანე ჭიმჭიმელს სახარების განსამარტავ ტექსტად ალებული აქვს ანა გეორგ ძველწმიდელისეული (ანონიკური) თარგმანი. „ამავე სხვა — ავტორის აზრით, იოანე პეტრიწის თარგმანი, რასაც თითოსდა მართლაც ადასტურებს ტექსტობრივი შეხედულებანი, ერთი სხვაა, მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებათა განმარტებებსა და მეორე მხრივ, პეტრიწის პროლოგს „ეკეუნრნის" განმარტების პოლემიტიკურობაში და „ეკლესიის" პროზაულ თარგმანში (რომელიც ივ. ლოლაშვილს ამბობთ პეტრიწს უნდა ეკუთვნოდეს) სახარებიდან მოტანილ ციტატებს შორის.

მაგრამ განა ამით შეიძლება დავამტკიცოთ ეს, რომ სახარების „განმარტებათა" მთარგმნელი და „ეკლ. პეტრიწი ერთი და იგივე პირია? განა არ შეიძლებოდა, რომ იოანე ჭიმჭიმელს, როგორც პეტრიწის სკოლის მიმდევარს, გაეზიარებინ. ნიკი მთარგმნელობითი პრინციპები, მსოფლმხედველობა და გამოეყენებინა პეტრიწმოეული თარგმანები სახარების ტექსტისა? ეს სავსებით შესაძლებელია. მით უფრო, თუ გვიფიქრეთ, ამ ეს, რომ იოანე პეტრიწმა დიდ. გავლენა მოახდინა მის თანამედროვე და მომდევნო ხანის მწერლობაზე. როგორც მსოფლმხედველობის, ისე ენის მხრივ.

ამგვარად, ორი უეჭველი საბუთი, რომელიც ტრადიციული ცნობების გარდა, ივ. ლოლაშვილს თავის მხრივ მოაქვს პეტრიწის და ჭიმჭიმელის იგივეობის დასამტკიცებლად, დამაჯერებელი არ არის. ეფიქრობთ, რომ პეტრიწისა და ჭიმჭიმელის იგივეობის დამტკიცებისას უფრო მნიშვნელოვანია სწორედ ის „ნაკლები სანდო" ტრადიციული გადმოცემები და მინაწერები XVIII საუკუნის ხელნაწერებზე, ეიდრე ავტორისეული მეცნიერული საბუთები. ეერ ერთი, XVIII საუკუნის ხელნაწერთა ანდერძები თუ მინაწერები და ამ დროის მოღვაწეწერალთა გადმოცემები, როგორც თეიმურ ივ. ლოლაშვილიც აღნიშნავს, აუცილებლად ეყრდნობა რომელიღაც, ჩვენთვის ახლა უცნობ, მაგრამ უბეჯარ ლიტერატურულ წყაროებს.

მეტად დამაფიქრებელია ბეერის მოქმედი ის ფაქტი, რომ ეს გადმოცემები ჭიმჭიმელსა და პეტრიწს აიგივებენ. ზოგჯერ ერთი და იმავე ხელნაწერში ავტორობა ერთ ხელნაწერში იოანე ჭიმჭიმელს მიეწერება, მეორეში კი — იოანე პეტრიწს (ქ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., I, 1960, გვ. 318); ან, მაგ., იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში" ამბობს, რომ პეტრიწმა „თარგმნა სახარების" თარგმანნი ლუკასი და მარკოზისა თავნი-ო. მაშინ, როდესაც ფვიდ თარგმ.

[1] ქ. კეკელიძე, თარგმანებიდ ეკლესიასტესიდ. მიტროფანე, ზეკრნელ მიტროპოლიტისადა, 1920. გვ. XXIV, ქართ. ლიტ. ისტ., I, 1960, გვ. 317.

ანთა ხელნაწერები ასე იწყება: „ი ო ა ნ ე ფ ი ლ ი ს ო ფ ო ს ი ს ა ნ ჭ ი მ ჭ ი მ ე ლ ი ს ა ნ ელ-ფელთა ქმისაგან სპასთ მოსახელად ქმად გარდმოიღო...“; ამ გადმოცემებთან ერთად, თამარის ისტორიის ავტორიც ჭიმჭიმელს „იოანე ფილოსოფოსად“ იხსენებს, მაშინ, როდესაც ასეთად იოანე პეტრიწი იყო დასახელებული...

ამდენად, თუმცა ტრადიციულ გადმოცემათაგან მოწოდებული ცნობები აღგარიშგასაწევია, მაგრამ ამთ დასაბუცებლად მეცნიერული საბუთები ჯერ-ჯერობით არ არის დამაკმაყოფილებელი! ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ პეტრიწისა და ჭიმჭიმელის იგივეობის აღიარებას ხელს უშლის „ისტორიათა და აზმათა“ ერთი ცნობილი ადგილი, საიდანაც ირკვევა, რომ იოანე ჭიმჭიმელს დაეწერია დემეტრე მეფის „შესხმა მითხრობა“.

ისმის კითხვა ასეთ შემთხვევაში რამდენადაა შესაძლებელი იოანე პეტრიწისა და ჭიმჭიმელის გაიგივება?

მაგრამ ივ. ლოლაშვილი „ისტორიათა და აზმათა“ ამავე ადგილის სხვაგვარი წაკითხვის საფუძველზე აცქნის, რომ იოანე ჭიმჭიმელს დაეწერია არა დემეტრე მეფის, არამედ დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ებ ლ ი ს „შესხმა — მითხრობა“ და ამგვარად, დავით აღმაშენებლის ისტორიის ავტორი — იოანე პეტრიწიაო.

ეჩვენოთ, რამდენად საფუძვლიანია მკვლევარის დასკვნა. მოვიყვანოთ სადავო ადგილი თამარის ისტორიიდან:

(თამარს) „შაბა იქმნა გიორგი, მეფე მეფეთა, ძე დიმიტრი მეფისა, რომელსა დავითსა ესვა ძედ, ძესა დავითიანისასა, და აღმოსავლეთისა და კერძო — ჩრდილოეთისა მეცხოვნისა და ზღვართა დამდებელისა და ზღვართა ზღვაშდინ მპყრობელისა, რომელსა დიდებითა, სიმაღლითა და გუარითა ცხოვრებასა აღმოაჩენს იოანე ფილოსოფოსსა ჭიმჭიმელისა შესხმა — მითხრობა“ (ქ. ცხ; ტ. II, გვ. 3).

აქ დასახელებული „შესხმა — მითხრობა“ ობიექტად ისტორიოგრაფიაშიც და ლიტერატურის მეცოდნეობაშიც მიჩნეული იყო და არის დემეტრე მეფე (ნ. შარი, ი. ჯაფარიძელი, ს. გორგაძე, კ. კეკელიძე, პ. ინგოროყვა). რადგანაც დემეტრეს შესახებ მსგავსი ნაწარმოები ჩვენამდე არ მოღწეულა, ამიტომ ეს „შესხმა-მითხრობა“ დაკარგულად მიჩნეოთ. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვეთ, ივ. ლოლაშვილს აზრით, მოცემულ ნაწყვეტში „შესხმა-მითხრობის“ ობიექტად ნაგულისხმევია არა დემეტრე მეფე, არამედ დავით აღმაშენებელი. როგორც ავტორი ამბობს, აქ „შინაარსიდან ჩანს, რომ „დავითიანი და აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეცხოვნე და ზღვართა დამდებელი და ზღვათა(გან) ზღვამდის მპყრობელი არის დავთ აღმაშენებელი“ (გვ. 61), რომელიც სახელდებით კი არ არის მოხსენებული, არამედ ეპითეტებითო. ასეთი განმარტების შემდეგ ავტორს შესაძლებლად მიაჩნია ტექსტში ამ ეპითეტების ნაცვლად სრულიად თამამად ჩასვას დავით აღმაშენებლის სახელი და წაიკითხოს ასე: „...რომელსა დ ა ვ ი თ ს ა ესვა ძედ, ძესა დავთ აღმაშენებლისასა...“ (გვ. 61) ავტორი ამაველიებს იმ არგუმენტსაც, რომ ჭიმჭიმელ დიმიტრი მეფის ცხოვრებას ვერ აღწერდა იმის გამო, რომ იგი მოესწრო მისი მეფობის მხოლოდ დასაწყისსო. მაგრამ ეს არგუმენტი მხოლოდ მაშინ გამოდგებოდა, თუ იოანე პეტრიწისა და იოანე ჭიმჭიმელის იგივეობას დამტკიცებულად ჩაეთვლიდით მკვლევარს ეს, ცხადია, დამტკიცებულად მიაჩნია ეს. მესაძლებლად თვლის მისი დასმარებით ამოხსნას კიდევ ერთი ახალი უცნობი: თე ვინ არის დავითის ისტორიკოსი.

„ისტორიათა და აზმათა“ ზემოთ მოტანილ ნაწყვეტიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომელსაც ივ. ლოლაშვილი გვთავაზობს. ამ ნაწყვეტში „აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეცხოვნენ და ზღვართა დამდებელად და ზღვათა ზღვამდინ მპყრობელად“ დავთ აღმაშენებელი რომ იგულისხმებოდეს, მაშინ აქ ბოლო მართული მსაზღვრელი — „მპყრობელისა“, ისევე, როგორც პირველი მსაზღვრელი — „დავითიანისასა“ შეთანხმებული უნდა იყოს თავის საზღვრულთან — „ძესა“, მიეცემოს ბრუნვაში — იმ მარტივი წესის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ძველ ქართულში პოსესიურიური წყობის მსაზღვრელი (მით უფრო, თე იგი რამდენიმე მსაზღვრელს მოსდევს და რიგით უკანასკნელია) ბრუნვაში ეთანხმება საზღვრულს. ასეთ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო: „რომელსა დავითსა ესვა ძედ, ძესა დავითიანისასა... ზღვათა ზღვამდინ მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი ს ა ს ა“, და არა „მპყრობელისა“. როგორც ტექსტშია. ეს კარგად გვიჩვენებს, რომ „მ პ ყ რ ო ბ ე ლ ი ს ა“ და ყველა მის წინ მდგომი ეპითეტი დაკავშირებულია „დიმიტრი მეფესთან“. აქვეა, ამ ნაწყვეტის სწორი წაკითხვა ასეთია: „...ძესა (დიმიტრი მეფისა (რომელსა დავითსა ესვა ძედ, ძესა დავითიანისასა და)) აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეცხოვნისა და ზღვართა დამდებელისა და ზღვათა ზღვამდინ მპყრობელისა, რომლისა... ცხოვრებასა აღმოაჩენს იოანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა“.

მაშასადამე, „ი ს ტ ო რ ი ა თ ა ა ზ მ ა თ ა“ მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ი ს ნ ა წ ყ ვ ე ტ ი ს ი ვ ი ნ ა ი ს ა ს ა ც ნ ო ბ ა ს, რ ო მ ჭ ი მ ჭ ი მ ე ლ ი ლ ო ...

---

[1] ეს მოსაზრება ნაკარნახევია ვიდრე ... დამოკიდებული წინადადებიდან, რომელიც დიმიტრი მეფის ... ... „ძესა დავითიანისასა“.

წერა დავითრეს ცხოვრება (აქედან. ცხადია, ადარ გვაქვს უფლება ვამბობთ, რომ ჯიმჯიმელი დავითრეს შეფობის მხოლოდ დასაწყისს მოესწრო).

ამგვარად, ივ. ლოლაშვილის მტკიცება, თითქოს დავით აღმაშენებლის ისტორიოსი იონე პეტრინია, საფუძველი მოკლებულია. ეს ის ფაქტია, თუ ვინ არის დავით აღმაშენებლის ისტორიოსი, „ისტორიათა და აზმათა" მოტანილ ნაწყვეტში არაფერია თქმული. ამ ნაწყვეტის მიხედვით დავით აღმაშენებლის „ცხოვრებისა" ავტორად ვერ მიეჩნევინ ვერც ჯიმჯიმელს და, მით უფრო, ვერც იონე პეტრინს.

ძალა არ ეკარგება ისტორიოგრაფიისა და ლიტერატურისმცოდნეობაში დამკვიდრებულ აზრს, რომ იონე ჯიმჯიმელს აქვს „ცხოვრება დავითრეს შეფის ცხოვრებისა". უშლის თვალს ეს ხელს იონე პეტრინისა და იონე ჯიმჯიმელისა ერთ პიროვნებად ცნობას?

თვითონ ივ. ლოლაშვილის აზრით ჯიმჯიმელი — პეტრინი დიმიტრი მეფის ცხოვრებას ვერ აღწერდა, იმიტომ რომ იგი მოესწრო მისი შეფობის მხოლოდ დასაწყისსო. მაგრამ რადგანაც თამარის ისტორია აშკარად გვაწვდის ცნობას, რომ სწორედ ჯიმჯიმელმა დაწერა დიმიტრი შეფის შესახებ — მითხრობა. ხოლ. ივ. ლოლაშვილის და სხვათა აზრით კი პეტრინი მოესწრო მისი მეფობის მხოლოდ დასაწყისს, გამოდის, თითქოს, რომ პეტრინი და ჯიმჯიმელი სხვადასხვა პიროვნებაა. მაგრამ ქრონოლოგიურად არც ისე დაცილებული, როგორც ამას კ. კეკელიძე ფიქრობდა. ზეშთა ვნახეთ, რომ კ. კეკელიძემ ჯიმჯიმელისა და პეტრინის იგივეობა უარყო ერთი ამ საბუთზე დაყრდნობით, რომ თამარის ისტორიაში ჯიმჯიმელი მოხსენებულია დიმიტრი მეფის „ცხოვრების" ავტორად. რაც შეეხება მეცნიერის მეორე საბუთს, რომ თითქოს ჯიმჯიმელი თამარ მეფის თანამედროვეა და მას სიტყვაც კი წარმოუთქვამს მის დაკრძალვაზე, ეს ადრე საფუძვლიანი საბუთებით უარყო ივ. ლოლაშვილმა.[1] „ისტორიათა და აზმათა" ბოლოში მიწერილი „არსენი იტყვს იყალთოელი" მისი ოამბიკოთი და „იონე იტყვს ჯიმჯიმელი" მისი შაირით, თამარის ისტორიის შემცველი ერთ-ერთი ძველი ხელნაწერის ბოლოში მიწერია გადამწერს და ამ ლეკსებს არაკითხარი კავშირი არა აქვს თამარის ისტორიასთან.

ამგვარად, პეტრინისა და ჯიმჯიმელის იგივეობის მტკიცებისას დამბრკოლებელ ფაქტად რჩება მხოლოდ ის, რომ თამარის ისტორიაში ჯიმჯიმელს დიმიტრის „შესხმა-მითხრობის" ავტორობა მიეწერება.

დავითის ისტორიოსის ვინაობასთან დაკავშირებით ავტორი ეხება საკითხს არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის ურთიერთობის შესახებ.

XI-XII საუკუნეთა ლიტერატურულ საქართველოში რამდენიმე არსენია ცნობილი: არსენ იყალთოელი, არსენ ეკიზეძე, არსენ კალიოსელი და არსენ ბერი. აქედან პირველი ორი — არსენ იყალთოელი და არსენ ეკიზეძე სამეცნიერო ლიტერატურაში ერთ პიროვნებადაა მიჩნეული. არსენ კალიოსელს მხოლოდ ზოგიერთი თელნ იმავე იყალთოელად. ზოგიერთ მკვლევარს (თ. ყორდანიას, ზ. ჭიკინაძეს, ალ. ბახანაშვილს) არსენ ბერიც არსენ იყალთოელად მიაჩნია. მაგრამ ეს მოსაზრება უარყო კ. კეკელიძემ და აღნიშნა, რომ არსენ ბერი სხვა, იგი ტბეთის სახარების ანდერძში მოხსენებული დიმიტრი მეფის მწერალი არსენი უნდა იყოს. გვარად სალიოსელი.

არსენ ბერიც დავით აღმაშენებლის თანამედროვეა. იგი ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, როგორც ავტორი დავით აღმაშენებლის 1123 ან 1125 წლების ანდერძებისა, „რომელ ურბნისს ძეგლისწერისა" და ხოტბისა „მეფესა დავითს მონაზონი არსენი" ისტორიოგრაფიაში გაბატონებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ არსენ ბერი არის ავტორი დავით აღმაშენებლის „ცხოვრებისაც".

ივ. ლოლაშვილი გარკვეულ საბუთებზე დაყრდნობით უარყოფს კ. კეკელიძის მოსაზრებას, რომ არსენ ბერი გვარად სალიოსელია. იგი ადგენს აზრს არსენ ბერისა და არსენ იყალთოელის იგივეობის შესახებ. ამისათვის მკვლევარს მოპყავს რამდენიმე საკმოდ მნიშვნელოვანი საბუთი: 1. ალორძინების ხანის მწერლობაში არსენ ბერი ცალკე არ იხსენიება; 2. არსენ იყალთოელი, ისევე, როგორც არსენ ბერი, შიომღვიმის მონასტერში მოღვაწეობს; 3. არსენ ბერმა შიომღვიმის მონასტერში შემოიღო შავი მთის სამონასტრო ტიპიკონი. მისივე თხზენით დავით აღმაშენებელს სვეტიცხოვლის საკვირველმოქმედის მონასტრისათვის ბოდბანი შეუწირავს. ავტორი ამას სამართლიანად უკავშირებს არსენ იყალთოელს მოღვაწეობას შავ მთაზე, სვეტიცხოვლისა-საკვირველმოქმედის მონასტერში. 4. ყოველივე ამასთან ერთად მნიშვნელობენიშვნა, იმასაც, რომ როგორც ე. ბიუნშვილმა გამოარკვია, დიდი სტელის კანონის იყალთოელისეული თარგმანი რუის-ურბნისის ძეგლის წერის (ავტორი—არსენ ბერი) წყარო ყოფილა.

ამ საბუთებზე დაყრდნობით ავტორი ასკვნის, რომ არსენ ბერი და არსენ იყალთოელი

---

[1] ივ. ლოლაშვილი, არსენი იყალთოელისა და ...ანე ჯიმჯიმელის ოამბიკოები, გაზ. „ლიტ. და ხელოვნება", 1950, № 35, ს. ყაზბეგიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. II, გამოკვლევა, გვ. 012.

[1] ... კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ; 1960 გვ. 273.

ერთი და იგივე პიროვნებაა. თუ ეს ასეა, მაშინ საფუძველი ეცლება სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩოთქმულ ანგარიშგასაწევ მოსაზრებას, რომ „დავითის ცხოვრების“ ავტორი არსენ ბერია (ა. კაკაბაძე, ქ. კეკელიძე, ჯ. ოდიშელი), რადგანაც არსენ იყალთოელი „ცხოვრებაში“ ქება-დიდებითაა მოხსენიებული, რის გაჩოც მის ავტორობას დიდი ხანია გამორიცხავენ. არსენ ბერის (ივ. ღოლაშვილის აზრით, იგივე არსენ იყალთოელის) ავტორობისა გამორიცხვის შემდეგ მკვლევარმა, როგორც ზემოთ ვნახეთ, წამოაყენა მცდარი დებულება, რომ დავითის ცხოვრების ავტორი იოანე პეტრიწიაო. ავტორი შეეცადა თავისი აზრის მტკიცებისას ენობრივი მასალაც მოეშველებინა. იგი რამდენიმე სიტყვით დავითის „ცხოვრებაა“ სტილისტურ მხარესაც ეხება და, სხვათა შორის, აღნიშნავს, რომ მართალია, მასში ნაკლებ შეინიშნება „რთული პერიოდული წინადადებები და ის ენობრივი ნიშნები, რომელთაც, ჩვეულებრივ, პეტრიწულს უწოდებენ, მაგრამ „ცხოვრებაში“ გვხვდება ერთი სტილისტური თავისებურება, რომელიც, რამდენადაც ვიცით, პეტრიწის ენისთვისაა დამახასიათებელი. როდესაც იოანე ფილოსოფოსი რაიმე ერცელ მსჯელობას ამთავრებს, ზოგჯერ იქვე ჩართავს ფრაზას ან გამოთქმას, რომლითაც მკითხველს ახალ მსჯელობაზე გადასვლას მიანიშნებს. მაგ., „და ესე ამისთჳს, ...ესე ესრეთ... და სხვ. ამგვარსავე თქმებს ეხვდებით დავითის „ცხოვრებაშიც“ (გვ. 62). ეს მართალია, და კიდევ დავამატებთ, რომ არა მხოლოდ ეს თავისებურება აქვს საერთო დავითს ისტორიკოსსა და იოანე პეტრიწს. მათ შორის ბევრი სხვა ენობრივ-სტილისტური მსგავსებაც შეინიშნება (განსაკუთრებით სინტაქსის სფეროში: მიმღეობური და პასიური კონსტრუქციების ხმარება, სტატეკთა და ნაწილაკთა რიგის თავისებური შერჩევა, „და“ კავშირის ხმარება „ე“ ნაწილაკის ნაცვლად და სხვ.), მაგრამ ასეთი სტილისტური მსგავსებანი პეტრიწისა და დავითის ისტორიკოსის იგივეობაზე დაბეჯითებით არაფერს გვეუბნება (მით უფრო მას შემდეგ, რაც გარკვეულია, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი იოანე ქიმენელს დემეტრე მეფის „შესხმა-მითხრობის“ მიწერს და არა დავით ალმაშენებლისას). ზემოთ ვთქვეთ, რომ იოანე პეტრიწს უდიდესი გავლენა ჰქონდა თავისი დროის და მომდევნო ხანის მწერლობაზე (სხვათა შორის უფრო მეტი მსგავსება შეინიშნები, როგორც მაოფლმხედველობის, აზროვნების, ისე ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით იოანე პეტრიწის ნაწერებსა და რუის-ურბნისის ძეგლისწერას შორის. რომლის ავტორადაც ერთხმად მიიჩნევენ არსენ ბერს და სხვ.) ამ ენობრივ-სტილისტურ მსგავსებათა საფუძველზე ჭეშმარიტად მიიჩნევენ არსენ ბერს და სხვ.) ამ ენობრივ-სტილისტურ მსგავსებათა საფუძველზე ჭეშმარიტად მიიჩნევენ

[illegible] ბერია, [illegible] ეს ასეა, [illegible] ეს [illegible] ეს [illegible] ეს

საუკ. სხვა ავტორების თხზულებანი ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით.

ივ. ღოლაშვილის შემდგომ მსჯელობას იმ მოსაზრებამდე მიეყვანა მკითხველი, რომ იოანე პეტრწი და იოანე ტარიელისძე ერთი და იგივე პიროვნებაა. თემცა ამის დასამტკიცებელი პირდაპირი საბუთები არ არსებობს და ავტორიც ფრთხილად გამოთქვამს ამ აზრს, მაგრამ მისი თანმიმდევრული და საბუთებიდან ლოგიკურად გამომდინარეობის ასეთი დასკვნის შესაძლებლობა: თუ ამონიის ერმისა: თხზულებათა მთარგმნელი იოანე პეტრწია, მაშინ გამორიცხული არ არის, მართლაც, რომ სახელი „იოანე ტარიელი“ ძე გვიანდელი ხანის მწერლებს ერეკეთ იოანე პეტრწის სახელში“.

მეტად საყურადღებოა ქართული ლიტერატურის ისტორიის გარკვეული ეტაპის (XI—XII სს.) მნიშვნელობის სწორად შეფასებისათვის ივ. ღოლაშვილის მოსაზრება ეფრემ მცირისა და იოანე პეტრწის ურთიერთობის ირგვლივ.

ავტორი დამაჯერებელი საბუთების საფუძველზე (ამოსაელად თვით ეფრემ მცირის ანდერძია აღებული) მიდის იმ დასკვნამდე, რომ „იოანე პეტრწი აღუზრდია ეფრემს, როდესაც მას ცნობილი ფილოსოფოსის სახელი მოუხვეჭავს, ოგი გამზდარა მოხეცებული მოძღვრის მოძღვარი“ (გვ. 42) მას, იოანე საღმრთო ფილოსოფოსს, „ფსევდო-დიონისეს „საღმრთოთა სახელთა თარგმანების“ გადმოქართულებაში ეფრემისთვ', დახმარება გაუწევია (გვ. 40). ამ მნიშვნელოვან აზრს მხარს უჭერს იოანე პეტრწისა და ეფრემ მცირის ტერმინოლოგიის შედარების საფუძველზე მოპოვებული შედეგები.

საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს მკვლევარი ი. პეტრწის ბიოგრაფიის ერთ მონაკვეთთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი ცდილობს დაასაბუთოს, რომ იოანე პეტრწი საბერძნეთიდან გადაიყვანა ოპიზაში და არა პეტრწონის მონასტერში და რომ მისი ზედწოდება არ მომდინარეობს პეტრწონის მონასტრის სახელწოდებიდან. მაგრამ ავტორის მიერ მოხმობილი საბუთები არსებითად ვერ უარყოფენ იოანე პეტრწის პეტრწონში მოღვაწეობისა და მისი ზედწოდების პეტრწონის მონასტრიდან წარმომავლობის შესაძლებლობას [1].

გამოკვლევაში განხილულია არა მხოლოდ ლიტერატურულ-ისტორიული საკითხები, დაკავშირებული იოანე პეტრწის სახელთან, არამედ იოანე პეტრწის ფილოსოფიურ-თეოლოგიური მსოფლმხედველობის რთული პრობლემებიც, რომელთა გარკვევას ქართული ლიტერატურისა და ფილოსოფიის ისტორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს.

---

1 ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბილისი 1963, გვ. 262; ე. გოუნაშვილი, დიდი სჯულის კანონის პეტრწისეული მინაწერი, საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტი, სამეცნიერო სესია, XI, შუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1969 წ., გვ. 6-7.

დიალექტიზმების ძიების საკითხისათვის ძველი ქართული ენის ძეგლებში [1]

(ერთი მაგალითის მიხედვით)

დამანა მელიქიშვილი

ერთი გადმოცემა იოანე პეტრიწის გურიიდან წარმოშობის შესახებ [illegible] ენაში „გურულიზმების" ძიების საფუძველი გახდა.

„მცირე უწყება ქართველთა მწერალთათჳს" გადმოგვცემს: „იოანე ჭიშელი, ფილოსოფოსი და ზედწოდებით პეტრიწი, ესე იყო გურიით" [1]. რო. გორც ს. გორგაძე თავის გამოკვლევაში აღნიშნავს, „ეს გარდამოცემა თითქოს ჰპოებს გამართლებას მისი თარგმანის ლექსიკაში" [2, VIII]. ამის დასადასტურებლად ავტორი ასახელებს ორ ლექსიკურ ერთეულს: ერცახე და გუმრდი. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, ამავე რიგს აგრეთვე მიეკუთვნება ესთენ და ესთა.

რამდენადაა გამართლებული და საკმარისია თუ არა ფონეტიკური პროცესების შედეგად სახეცვლილი რამდენიმე ფორმის მიხედვით ძველი ქართული ენის ამა თუ იმ ძეგლისა თუ მისი ავტორის სადაურობის საკითხის გარკვევა?

დავიწყოთ ერცახე ფორმიდან. იგი ერთხელ არის ნახმარი „ბუნებისათჳს კაცისა"-ს თარგმანში: ვინაჲ-ვე არა ერცახე შეცვალებულ არს (იგი) მებრ რიკხუთა ზიარებისაგან: ბ კ. 40, 22—23.

ერცახე დღეს. მართლაც, იხმარება გურულში და ნიშნავს „პატარას", „ცოტას", „მცირეს". ს. ყორგაძე „ბუნებისათჳს კაცისა"-ს პეტრიწისეული თარგმანის გამოკვლევისათვის დართულ ლექსიკონში მას სწორედ ასე განმარტავს: „ერთი ცახე სულ ცოტა, მცირეოდენი немного" (2. 137]. იძლევა თუ არა ამ ვარი განმარტების საფუძველს ბერძნული დედანი? იქ ჩვენთვის საინტერესო წინადადება წარმოდგენილია ამ სახით: Ὅθεν οὐ παντάπασιν ἀπήλλακται τῆς κατὰ τοὺς ἀριθμοὺς κοινωνίας: Migne, 569,44.

ქართული ერცახეს შესატყვისია παντάπασι(ν), რაც ნიშნავს: [illegible], მთლიანად, სავსებით, სრულებით (совершенно, вполне, целиком, совсем) და არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს „ცოტას", „მცირეოდენს". [illegible], თანამედროვე ქართულით ეს წინადადება ასე გადმოიცემა: „[illegible]ადან, იგი

[1] წაკითხულია მოხსენებად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის [illegible] და ახალ გაზრდა მეცნიერ-მუშაკთა XII სამეცნიერო კონფერენციაზე 1967 წ. [illegible] დაბეჭდილია.

ზოლად (მთლიანად, ერთიანად) არ არის დაშორებული რიცხვებთან ზიარებას". რუსულ თარგმანში, ბერძნულისა და ქართულისაგან განსხვავებით, აზრი წარ-თქმითი წინადადებითაა გადმოცემული. Отсюда-она имеет некоторое соотношение с числами: Влад. 57, 44. მართალია, თარგმანი სწორად გადმოსცემს აზრს, მაგრამ თავისუფალია და ჩვენთვის საჭირო სიტყვა აქ არ არის ნახმარი.

ერცახე ფორმა მომდინარეობს კომპოზიტიდან ერთ-სახე (თს>ც). ერთსახე ძველი ქართული ენის ძეგლებში ხშირად გვხვდება „ერთსახოვანი, ერთგვაროვანი, ერთნაირი"-ს (ὁμοειδής, ὁμογενής, μονότροπος) მნიშვნელობით. იგი ზმნისართის ფუნქციითაც გვხვდება (ცითარებით ბრუნვაში): რეცა თუ ერთითა განზრახვითა მიიცვალნიან ყოველთა ერთსახედ სხუად საზღვრად: ექ. დღ. 101, 25.

მაგრამ ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმით იგი მხოლოდ პეტრიწის ენაში როდი გვხვდება. „ექუსთა დღეთა"-ს ძველ ქართულ თარგმანშიც (VIII—IX სს.) გვხვდება ერცახე: და იხილნე ნესტუნი იგი ცვლისანი ექუსყურნი, არა ერ-ცახე განკურეტელნი (A—ერცახედ, ექ. დღ., 114,6—7); რაც ნიშნავს: „იხილე ცვილის ხვრელები (ფიჭის უჯრედები) არაერთნაირად (არამსგავსად) გახვრე-ტილნი". ეს წინადადება ბერძნული დედნის შესაბამისი ადგილის თავისუფალ თარგმანს წარმოადგენს:

Ἐξάγωνοι γὰρ πᾶσαι καὶ ἰσόπλευροι τῶν κηρίων αἱ σύριγγες, οὐκ ἐπ' εὐθείας ἀλλήλαις κατεπικείμεναι: Patr. Gr. t. 29, 173-176.

იგივე ადგილი გიორგი მთაწმიდელს ასე აქვს თარგმნილი:

რამეთუ ყოველნივე იგი ნესტუნი ცვლისანი არიან ექუსკედელ, და სწორ-გუერდ და არა ერთსახედ და მართლ და ქსოვილ მეორესა ზედა: ექუსთ, 96, 11.

გიორგი მთაწმიდელი, როგორც ჩანს, ძველ ქართულ თარგმანს უწევს ანგა-რიშს, როდესაც οὐκ ἐπ'εὐθείας-ს თარგმნის ჰენდიადისით „არაერთსა-ხედ და მართლ", თორემ საკუთარი საკმარისი იქნებოდა მხოლოდ უკანას-კნელი სიტყვით თარგმნა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, იგი ფონეტიკურად სახე-ცვლილ ფორმას კი არ ხმარობს, არამედ ამოსავალს — ერთ-სახე ფორმას.

სხვათა შორის, გამორიცხული არ არის, რომ ერცახე ფორმა „ბუნები-სათვს კაცისაში" გადამწერის და არა პეტრიწის კალმიდან მომდინარეობდეს, მით უფრო, რომ „კავშირნში" ამოსავალი ფორმა გვხვდება: ერთსახედ გა-ნაგებს გონიერთა: I, § 135 82, 27. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ არც საწინა-აღმდეგო მოსაზრების დაშვება შეცვლის ვითარებას: დღეს ერცახე ფორმა ვერც „ექუსთა დღეთა"-ს ძველი ქართული თარგმანის ავტორისა და ვერც იო-ანე პეტრიწის სადაურობის შესახებ ვერაფერს ჭვეტყვის.

ავიღოთ ფორმა ესთა. მას ძალიან ხშირად ხმარობს იოანე პეტრიწი. ამ ნიშნულობით ძველ ქართულში ჩვეულებრივ ესრეთ იხმარება. თუმცა არც ეს უკანასკნელი ფორმაა უცხო პეტრიწისათვის:

ესრეთვე სხუათაცა ზედა იხილო: II, 10, 13; და ესრეთ, არცა ყოველი შეერთებაჲ ღმერთ: I, 42, 31; და ესრეთ ზედ მოუწოდებს: I, 81, 13 და სხვ-

მაგრამ, როგორც ვთქვით, იოანე პეტრიწი უფრო ხშირად ესთა ზმნისართს ხმარობს: და ესთა: ეპირველებიან თანმიცემანი სხუათანი სხუათა: I, 46, 17, და თუ ესთა, პირველ თჳს შორის დაუმყარებია თჳთებაჲ თჳსი: I, 61, 14—15; ხედვაჲ ამის თავისაჲ ესთა მიბრწყინავს ჩუენ გასაგონოთა: II, 184, 17; აქა თჳთებათა და დაფარულთა მათ ზესთათასა ესთა გაჰყოფს: 182, 15 და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელ წინადადებასთან, ესთა სიტყვაზე მიოითებით A69 ხელნაწერის არშიაზე (ეს ხელნაწერი XVI—XVII საუკუნისადაა მიჩნეული), მიწერილია: „მეგრული სიტყვაა: ესრეთო: მეგრულად:“ (როგორც ჩანს, „მეგრული“ აქ უნდა გულისხმობდეს დასავლურს საერთოდ).

ესთა ფორმა, რამდენადაც ვიცით, ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებში არ უნდა გვხვდებოდეს. ამ ფორმით ეს სიტყვა არც დღეს გვხვდება არსად. მაგრამ გვხვდება ასთე იმავე მნიშვნელობით გურულშიც, იმერულშიც. ორივე ფორმა — ესთა და ასთე ერთი და იმავე „ს“ ძირისაგან მომდინარეობს, რომელსაც წინამავალ ხმოვნად ერთ შემთხვევაში „ე“ აქვს, მეორე შემთხვევაში კი „ა“, ე-ს-რე (ა-ს-რე).

დღეს აღმოსავლურ კილოებში წინამავალ ხმოვნად ზმნისართებში უპირატესად ე ხმოვანი იხმარება, დასავლურში კი, ჩვეულებრივ, ა: ესლ ა/ასლ ა; ეს ე/ასე; ეგრე/აგრ ე. ძველ ქართულში ასეთი დიფერენციაცია თიოქოს არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ესრეთ, ეგრეთ ზმნისართები მხოლოდ ე ხმოვნითაა წარმოდგენილი ძველი ქართული ენის ძეგლებში. მათი ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმებიც აგრეთვე ე ხმოვნიანია: ესთა, ეგთა. ესთა ზმნისართის მაგალითები ზემოთ მოვიყვანეთ. ასე სახეცვლილი ეგრეთ ზმნისართიც გვხვდება იოანე პეტრიწის თხზულებაში: ეგთავე და მიიღებენ პირველნი უკუანაჲსკნელთაგან: II, 13,6.

არც ერთი მათგანი არ არის დადასტურებული დღეს იმ ფორმით, როგორითაც მათ იოანე პეტრიწი ხმარობს. შესაძლებელია, აქ მართლაც დიალექტური ფორმები გვქონდეს, მაგრამ კერძოდ რომლისა, ამის დაბეჯითებით თქმის საშუალებას ეს მასალა არ იძლევა.

ახლა ვნახოთ, გვაძლევს თუ არა ესთენ ფორმა რაიმე საფუძველს, რომ იგი ძველი ქართული ენის რომელიმე დიალექტს მივაკუთვნოთ?

იოანე პეტრიწი ამ ფორმასაც საკმაოდ ხშირად ხმარობს:

ატტიკელიცა ესთენ ემეთქუების: II, 211, 10—11; ესე ესთენთა წელთა არს: II, 109,8 ნუუკუე, ასაკი ყოველი ქამისადა დამოკიდებულ არს, და განიზომების მის მიერ, ვითარ ესთენისა და ესთენისა: II, 109, 12-14.

ესთენ მომდინარეობს ესოდენ ფორმისაგან: ესთენ>ესდენ>ეᲜოდენ. ეს უკანასკნელი აგრეთვე დასტურდება იოანე პეტრიწის ენაში: წარმოდგომითა ესოდენთა ღმრთებრივთა რიცხუთადა: II 97, 32. მეღერი დ ბგერის დაყრუება წინამავალი ხ ბგერის გავლენით საერთოდ იშვიათი არ არის ძველ ქართულში. ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ფონეტიკურად სა-

ხეცვლილი გვხვდება. მაგალითად, „შუშანიკის მარტვილობაში“: ე ს თ ე ნ ოდენ ჰრქუა: შუშ. 20,15 (<ესდენ):

„კოლაელთა მარტვილობაში“: ე ს თ ე ნ ოდენ მოუგეს: კოლ. 185,3:

სინურ მრავალთავში (864 წლისა): ე ს თ ე ნ ს ა განკრძალვასა: 100, 12: ე ს თ ე ნ თ ა საკვრველებათა წინამორბედო: 77, 20--21. იგი უცხო არ არის აგრეთვე X საუკუნის ხელნაწერების მიხედვით გამოცემულ სხვა ძეგლებშიც, მაგალითად, „ლიმონარში“: ოდესღა ე ს თ ე ნ მოსწრაფე ხარ წარსლვასა ჩემსა ამიერ: ლიმ. 30, 33.

მ. ძ ი ძ ი შ ვ ი ლ ს თავის შრომაში პოზიციური სდ>სთ დაყრუების საილუსტრაციოდ პარხლისა (X ს.) და სვანური (IX ს.) მრავალთავებიდანაც მოჰყავს ე ს თ ე ნ ფორმის მაგალითები: ე ს თ ე ნ ოდენ გურქუა: 865, 4 (A 95); თთუესა ესთენსა და ინდიკტიონსა ე ს თ ე ნ ს ა: 326, 19 (A 19) და სხვ.

აქ ჩამოთვლილ ძეგლებში დადასტურებული ე ს თ ე ნ ფორმა ვერაფერს გვეტყვის ამ ძეგლთა, თე მათ ავტორთა საადგილობრიო შესახებ. სხვანაირად რომ ვთქვათ: ე ს თ ე ნ ფორმის გურულ კილოში და ამა თუ იმ ლიტერატურულ ძეგლში არსებობა ვერც დადებითად და ვერც უარყოფითად ვერ გადაგვაჭრევინებს საკითხს ამა თუ იმ ავტორის წარმოშობის შესახებ. ამის დასადასტურებლად უნდა დავსძინოთ ისიც, რომ ე ს თ ე ნ ფორმა გვხვდება „იოვანე და ეფთვმეს ცხოვრებაში“: ე ს თ ე ნ ი განძი: 97,4. ამ ძეგლის ავტორი, გიორგი მთაწმიდელი კი, როგორც მისი ბიოგრაფიიდანაა ცნობილი, წარმოშობით თრიალეთიდან იყო და არა გურიიდან

როგორც ვთქვით, ზემომოყვანილი გადმოცემის გამართლებას ხედავდნენ ოიანე პეტრიწის ნაწერებში დადასტურებულ გ უ ე რ დ სიტყვაშიც, რომელიც მას თითქოს „ნაწილის“ მნიშვნელობით აქვს ნახმარი. ეს სიტყვა გვხვდება შემდეგ კონტექსტში: რიცხუნი მსგავს არიან ურთიერთას, რომელთანი გ უ ᲗᲐ რ დ ნ ი შესაბამ იყვნენ, ვითარ ექუსი და ოცდოთხი. რამეთუ გ უ ᲗᲐ რ დ ექუსისა—ორი და სამი, არამედ ოცდოთხისა—ოთხი და ექუსი: ბ. კ. 28, 26—27.

ამ კონტექსტის მიხედვით ს. გორგაძე გ უ ᲗᲐ რ დ სიტყვას ასე განმარტავს ლექსიკონში (გვ. 184): გ უ ᲗᲐ რ დ ი: 28,25 — 26 — შუამადგენელი ნაწილი (მაგ.: ორი და სამი არიან გუᲗᲐრდნი ექუსისა).

გ უ ე რ დ სიტყვა „ნაწილის“, უფრო კი „ნახევრის“ მნიშვნელობით იხმარება მეგრულში, ამიტომ ს. გორგაძე წერს, რომ იგი „ნაწილის“ მნიშვნელობით უფრო მეგრულისაკენ მიაქცევს მკვლევრის ყურადღებასო [2, VIII]. ხოლო, რადგან მეგრული გურულის მოსაზღვრეა, ამიტომ შესაძლებლად თვლიან ამ გზით იგი გურულში შემოსულადაც მიიჩნიონ (მით უფრო, რომ პროკლე დიადოხოსის „კავშირთა“ თარგმანისა და განმარტების ბოლოსიტყვაობაში, ქართული სიმღერის სამხმიანობაზე ლაპარაკის დროს, II ხმას ოიანე პეტრიწი „ყირს“ უწოდებს: მზახრ ყირ და ბამ: II, 217,4).

მაგრამ ვნახოთ, მართლა ნაწილის მნიშვნელობითაა ნახმარი „გ უ ე რ დ“ სიტყვა ჩვენთვის საინტერესო კონტექსტში თუ არა? საქმე ისაა, რომ ეს სიტყვა არის ბერძნული ტექსტის შესაბამის ადგილას ნახმარი სიტყვის ἡ πλευρά-ს პირდაპირი თარგმანი. ბერძნული ტექსტი ასეთია: Λέγομεν γὰρ ἀριθμοὺς ὁμοίους εἶναι ὧν αἱ πλευραὶ ἀνάλογοί εἰσιν, ὡς τὸν ἓξ καὶ τὸν εἰκοσιτέσσαρα πλευρὰ γὰρ τοῦ ἓξ ὁ δύο καὶ ὁ τρία: Migne, 545.

სიტყვას ἡ πλευρά რამდენიმე, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში — ნაწილისა. იგი ნიშნავს: (განმარტებები მოგვყავს ი. დვორეცკის ორტომეული ლექსიკონიდან): 1. ребро, 2. бок, 3. сторона, 4. фланг, 5. край, окраина, 6. страница [3].

თითქმის ამგვარივე მნიშვნელობები აქვს ქართულ გ უ ე რ დ-ი სიტყვასაც[4]; ამიტომ, ბუნებრივია, რომ იოანე პეტრიწმა სიტყვა ἡ πλευρά ქართულად გ უ ე რ დ სიტყვით გადმოთარგმნა.

ასე რომ, ი. პეტრიწის მიერ ამ წინადადებაში ნახმარი სიტყვა გ უ ე რ დ ი ბერძნული ἡ πλευρά-ს კალკს წარმოადგენს და მას არავითარი კავშირი არა აქვს „ნ ა წ ი ლ თ ა ნ". ხოლო ს. გორგაძის ზემოთ წარმოდგენილი განმარტება, როგორც ჩანს, „Περὶ φυσέως ἀνθρώπου"-ს რუსული თარგმანიდან მომდინარეობს, რომელშიც ბერძნული წინადადება ასეა თარგმნილი:

Ведь мы называем сходными числа, части которых имеют между собой соразмерность (пропорциональность), как, напр., 6 и 24: части 6-ти суть 2 и 3, а 24-х 4 и 6: Влад. 45.

ამგვარად, გ უ ე რ დ სიტყვის დაკავშირება მეგრულთან და ამ გზით — გურულთან გამორიცხულია, რადგანაც, როგორც ირკვევა, იგი ბერძნულში შესაბამის ადგილას ნახმარი ἡ πλευρά-ს პირდაპირი თარგმანია.

ზემოთ დასახელებული რამდენიმე მაგალითის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მხოლოდ ერთი ტიპის ენობრივი ფორმების (მაგ., მხოლოდ ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმების) და ისიც თანამედროვე ქართული ენის რომელსამე დიალექტში დადასტურებული ფორმის მიხედვით ძველი ქართული ენის რომელიმე ძეგლის ან მისი ავტორის სადაურობის შესახებ გარკვეული აზრის გამოთქმა შეუძლებელია. იმისათვის, რომ გაირკვეს ძველი ქართული ენის ძეგლის ან მისი ავტორის სადაურობა, საჭიროა ამა თუ იმ ძეგლში დადასტურდეს რომელიმე ცალკეული დიალექტის დამახასიათებელ ენობრივ მოვლენათა კომპლექსი, რომელიც სხვა დიალექტს ასეთი შემადგენლობით არ ახასიათებს. ამგვარი მონაცემების დადასტურება კი ძველი ქართული ენის ძეგლებში ნაკლებ მოსალოდნელია ძველი ქართული სამწერლობო ენის მკაცრად ჩამოყალიბებული ნორმებისა და მათი მკაცრადვე დამცველი ლიტერატურული სკოლების არსებობის გამო. გარდა ამისა, თანამედროვე ქართული ენის დიალექტებად დანაწილებისა და დიალექტების მიხედვით ენობრივ მოვლენათა განაწილების დღევანდელი ფარგლები არ ემთხვევა ძველი ქართული ენისას. ამიტომ თანამედროვე ვითარების მიხედვით ძველი ქართული ენის ძეგლებში დიალექტიზმების ძიება იშვიათად თუ მოგვცემს სწორ შედეგს [1].

ახალი ქართული ენის კათედრა

(რედაქციას მოუვიდა 1970 წ. 18 მარტს)

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ძველი საქართველო, ტ. I, განყ. III, გვ. 14.
2. ნემესიოს ემესელი. ბუნებისათვს კაცისა, გამოსცა ს. გორგაძემ, 1914, იხ. გამოკვლევა „იოანე პეტრიწი და მისი თარგმანი", გვ. VIII.

[1] ეს კარგადაა დასაბუთებული არნ. ჩიქობავას მიერ ჯერ კიდევ 1938 წელს გამოქვეყნებულ შრომაში [5].

3. Древнегреческо-русский словарь, II, составитель И. Х. Дворецкий, под ред. С. И. Соболевского, 1958.
4. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, 1951.
5. დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში", ენიმკის მოამბე, III, 1938.

Д. Н. МЕЛИКИШВИЛИ

О ПОИСКАХ ДИАЛЕКТИЗМОВ В ПАМЯТНИКАХ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

(На одном частном примере)

Резюме

В статье рассматривается вопрос, насколько оправданно по нескольким фонетически измененным формам (в данном случае по формам ercaxe > ertcaxe — παντάπασιν „вполне, совсем", а не „немного", как его объясняли; esteni<esodeni „столько" estk<esrct „так"; gwerdi ἡ πλευρά) судить о происхождении древнегрузинского памятника или его автора.

Данные формы засвидетельствованы в языке писателя XI—XII вв. Иоанна Петрици. Они считались одним из доказательств происхождения его из Гурии. Рассмотрение этих форм наталкивает на следующее заключение: поиски диалектизмов в древнегрузинских литературных памятниках по данным современных диалектов невозможны, т. к. распределение диалектов современного грузинского языка и языковые явления, засвидетельствованные в нынешних диалектах, не совпадают с состоянием диалектов древнегрузинского языка.

სიტყვაწარმოების საერთო საშუალებანი იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირის ენაში

დამანა მელიქიშვილი

XI—XII საუკუნეთა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იოანე პეტრიწი, უპირველეს ყოვლისა, ცნობილია როგორც დიდი მოაზროვნე—ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი. ჩვენამდე მოღწეულია შემდეგ ფილოსოფიურ თხზულებათა პეტრიწისეული თარგმანები: ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა“ და პროკლე დიადოხოსის „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“. ეს უკანასკნელი შეიცავს იოანე პეტრიწის „განმარტებას“, რომელიც წინასიტყვაობასა და ბოლოსიტყვაობასთან ერთად იმდენად დამოუკიდებელ და თავისთავად თხზულებას წარმოადგენს, რომ იოანე პეტრიწის შრომების გამომცემლებმა მიზანშეწონილად ცნეს მისი ცალკე ტომად [I] გამოქვეყნება და არა იმ სახით, როგორითაც ხელნაწერებშია — „თანჩართვით“.

შრომები ფილოსოფიური ხასიათისაა. ამდენად მოსალოდნელია, რომ მათი ენა ფილოსოფიური ენის დამახასიათებელ ნიშნებს შეიცავდეს. ცნობილია, რომ მეცნიერული და, კერძოდ, ფილოსოფიური ენის სპეციფიკას ქმნის სპეციალური ტერმინოლოგია და რთული სინტაქსური კონსტრუქციები. სწორედ ეს იძლევა მეცნიერული სტილის ცალკე გამოყოფის საფუძველს.

ფილოსოფიური ხასიათის საკითხებზე მსჯელობის წარმართვისათვის აუცილებელია იმ ზოგად ცნებებს, რომლებიც ფილოსოფიური აზროვნების კომპონენტებს წარმოადგენენ, რაც შეიძლება ადეკვატური ენობრივი გამოხატულება მიეცეს. ამიტომ ფილოსოფიური ენის ლექსიკას ტერმინოლოგიური ხასიათი აქვს. ტერმინთა ხმარებისას კი საჭიროა მაქსიმალური სიზუსტის დაცვა. ამის გამო მეცნიერულ თხზულებებში, ჩვეულებრივ, ახალწარმოებებთან გვაქვს საქმე. ახალწარმოებათა დროს უფრო ხშირად გამოიყენება არაპროდუქტიული აფიქსები (ასეთებად კი უმეტესად არქაული, ხმარებიდან გამოსული აფიქსები გვევლინება), რაც ახალწარმოქმნილ სიტყვას თავისი ღირებულებით განასხვავებს იმავე ძირისაგან იმავე მნიშვნელობის მქონე, მაგრამ პროდუქტიული აფიქსით წარმოებული სიტყვებისაგან. ტერმინის საწარმოებლად ენაში ხშირად ბერძნული ან ლათინური ძირები და ზოგჯერ აფიქსებიც კი გამოიყენება. არცთუ იშვიათად რომელიმე აფიქსი დაერთვის ისეთ ძირს, რომელთან კომბინაციაც მოცემულ ენაში არ არის ბუნებრივი. მაგრამ იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს ფილოსოფიურ საკითხზე მსჯელობის გაშლა, ამგვარი „არაბუნებრივი“ კომბინაციის დაშვება აუცილებელი

ხდება და ეს აუცილებლობა ენის გამდიდრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს ქმნის.

სწორედ ამგვარად უდგება ქართული ფილოსოფიური ენის ჩამოყალიბების პრობლემას იოანე პეტრიწი. მას ღრმად აქვს გააზრებული თავისი ამოცანა: მისთვის, როგორც ფილოსოფიური თხზულების მთარგმნელისა და მთარგმანებელისათვის, მთავარია ფილოსოფიური ნააზრევის ზუსტად და დაუმახინჯებლად გადმოცემა. საამისოდ პეტრიწის აზრით, აუცილებელია „მდაბრიონთაგან“ და „ჩვეულებრივ სათარგმანოთაგან“ განსხვავებული ენის შექმნა. იოანე პეტრიწის ეს სიტყვები, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის შექმნას გულისხმობს.

ფილოსოფიური ტერმინოლოგიის გარეშე, რაც თავისთავად ახალი ლექსიკური ერთეულების შემოტანას მოითხოვს ენაში, საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა ფილოსოფიური თხზულების შექმნაც და თარგმნაც, რადგან არც ერთ ენაში არ არის ფილოსოფიურ ცნებათა მზამზარეული ტერმინები, მაგრამ ყოველ ენაში არსებობს მათი შექმნის საშუალებები—ახალ სიტყვათა წარმოების სხვადასხვა ხერხები. ენის ასეთ საშუალებათა ჯეროვანი გამოყენება და ამ გზით ენის გამდიდრების მეტად რთული საქმის წარმატებით დაგვირგვინება შეეძლო მხოლოდ ისეთ პიროვნებას, რომელშიც დიდი ერუდიცია, უსაზღვრო ფანტაზია, სიტყვის პოეტური განცდა და ამასთანავე ენის ღრმა ცოდნა ჰარმონიულად იქნებოდა შერწყმული. სწორედ ასეთ პიროვნებას წარმოადგენდა იოანე პეტრიწი.

ერთი მხრივ, მის წინაშე იყო დიდი ფილოსოფიური ტრადიციების მქონე ბერძნული ენა, რომლიდანაც პეტრიწი თარგმნიდა და რომლის გამომსახველობითს უნარს აღტაცებაში მოჰყავდა იგი. მეორე მხრივ კი, მის ხელთ იყო მშობლიური ენა—უაღრესად მდიდარი და მოქნილი ქართული ენა, რომლის შესაძლებლობანიც მან შესანიშნავად გამოიყენა ქართული ლექსიკის გასამდიდრებლად.

როგორც პეტრიწისავე სიტყვებიდან ჩანს, ასეთი ფართო შესაძლებლობა მანამდე არ მისცემიათ მის წინამორბედთ. „განმარტების“ წინასიტყვაობაში იგი რამდენიმე ტერმინის მნიშვნელობათა მკაცრად გამიჯვნას მოითხოვს და მწუხარებით დასძენს, რომ „ყოველთავე, ელლინთა ენამზეობასა ზედა, თჳსი სახელი ჰქჳან, შესაბამი თჳსისა არსებისაჲ; ხოლო ჩუენთამან, არცა თარგმანთა, არცა სხუამან ვინ დასჴურიტნა, და აწ მე უზომოდ მიშლის თარგმანსა შინა, რამეთუ ყოველსაცე ერთად და სწორად იტყჳან და დასდებენ ჩუენნი“ ([2] 6, 23—27)*. მართალია, ამ სიტყვებს იოანე პეტრიწი ამბობს მას შემდეგ, რაც ქართულად ეფრემ მცირის მიერ უკვე თარგმნილი იყო დიონისე არეოპაგელის შრომები და იოანე დამასკელის „გარდამოცემაჲ“ (ეფრემ მცირის იმ თარგმანებში დიდი რაოდენობითაა მოხერხებულად წარმოქმნილი ახალი სიტყვები, ფილოსოფიური ტერმინები,—ამ მხრივ ეფრემ მცირე იოანე პეტრიწს არ ჩამოუვარდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იოანე პეტრიწის ჩიჟილი მაინც საფუძვლიანია. მისი სიტყვები გულისხმობს იმას, რომ ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგია არ იყო დახვეწილი და დაზუსტებული და რომ ერთი და იგივე ტერმინი ხშირად სხვადასხვა ცნებისათვის გამოიყენებოდა. (მაგ.: ჟამი — ὁ χρόνος და ὁ καιρός, ნივთი—ἡ ὕλη და τὸ στοιχεῖον

* მძიმის წინა ციფრი (ციფრები) გვერდს აღნიშნავს, მძიმის მომდევნო—სტრიქონს.

და სხვ.) იოანე პეტრიწი მთელ თავის ცოდნასა და უნარს სწორედ ტერმინოლოგიაში პოლისამეიისა და ომონიმიის მოშლას ანდომებს. ამის შესაძლებლობას მას აძლევს ისეთი ფუნდამენტური ნაშრომი ფილოსოფიაში, როგორიც იყო პროკლე დიადოხოსის „Στοιχείωσις Θεολογική", რომელშიც ფილოსოფიაში ერთი დიდი ეპოქის შემქმნელის—ნეოპლატონიზმის ყველა საკვანძო საკითხია განხილული, სპეციალური ფილოსოფიური ტერმინოლოგია ფართოდაა წარმოდგენილი და, ამასთანავე, მკაცრად დამუშავებული. ამიტომაა, რომ მიუხედავად იმ მემკვიდრეობისა, რომელიც იოანე პეტრიწმა მიიღო ძველი ქართული ენის ლიტერატურული ძეგლებისა და მისი უშუალო წინამორბედებისაგან (ათონელებისა და განსაკუთრებით ეფრემ მცირისაგან), მას მაინც სრულიად დამოუკიდებლად მოუხდა ფილოსოფიური ტერმინოლოგიის მთლიანი, მწყობრი და თანამიმდევრული სისტემის შექმნა. ამ მხრივ იოანე პეტრიწს წინამორბედი მართლაც არა ჰყავს. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოებაც: დიონისე არეოპაგელის შრომების თარგმნისას გარკვეული წვლილი (ჩანს, სწორედ ტერმინოლოგიის დამუშავებაში) იოანე პეტრიწსაც უნდა მიუძღოდეს. როგორც ივ. ლოლაშვილმა დაასაბუთა, „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი" და „ჭორციელად ღრამატიკოსი", რომელსაც ეფრემ მცირე იხსენიებს როგორც თავის მოძღვარსა და ძალმწეს არეოპაგიტული წიგნების თარგმნისას, იოანე პეტრიწია [3]. ყოველ შემთხვევაში, ამ მიმართულებით იოანე პეტრიწისა და ეფრემ მცირის თანამშრომლობა აშკარა ხდება მათი სიტყვაწარმოების შედარებისასაც.

ფილოსოფიურ თხზულებებში ყველაზე ხშირად მოსალოდნელია აბსტრაქტული ცნებების გამომხატველი ტერმინების სიუხვე. აბსტრაქტული სახელების უმეტესობას იოანე პეტრიწი აწარმოებს -ობა სუფიქსით. ეს სუფიქსი უმრავლეს შემთხვევაში დაერთვის სასუბიექტო მიმღეობას და ქმნის Substantiva abstracta actionis — სა: მყოფი — მ ყ ო ფ ო ბ ა, მკურნალი — მ კ ურ ნ ა ლ ობ ა, მბრძოლი — მ ბ რ ძ ო ლ ო ბ ა, მცნობელი — მ ც ნ ო ბ ე ლ ობ ა, მდგომი — მ დ გ ო მ ობ ა, მაკეთილებელი — მ ა კ ე თ ი ლ ებ ლ ობ ა, მბადი — მ ბ ა დ ობ ა, მოქენე — მ ო ქ ე ნ ე ობ ა და სხვ.

ასევე ხშირად იყენებს მას ეფრემ მცირე პეტრე იბერიელის შრომების თარგმანში [4]: მ შ ობ ლ ობ ა 8,26; თ ჯ თ მ პ ყ რ ობ ე ლ ობ ა 144,65; აღ მ ყ ვ ა ნ ებ ე ლ ობ ა 109,31; მ ო მ ც ე მ ე ლ ობ ა 41,2; მ ლ ტ ო ლ ვ ა რ ე ობ ა 67,7; მ ო ქ ე ნ ე ობ ა 159,26; ქ უ ე მ ხ ე დ ვ ე ლ ობ ა 249,19; მ დ გ ო მ ობ ა 76,3 და სხვ.

იოანე პეტრიწი -ობა სუფიქსს ურთავს ყოველგვარ ძირს, თუკი ამას ცნების სწორად გამოხატვის საჭიროება მოითხოვს. ამასთან, აღნიშნულ სუფიქსს იგი ურთავს არსებით სახელებს, ზედსართავებს, რიცხვით სახელებს, ნაცვალსახელებს, ზმნისართებს, თანდებულებს, ზმნის პირიან ფორმას (რომელიც მიმღეობის ფუნქციის მქონეა), ბრუნვიან ფუძეს, წარმოქმნილ ფუძეს, კომპოზიტს: მ ა მ ობ ა, ა დ გ ი ლ ობ ა, მ ი ზ ე ზ ობ ა... დ ი დ ობ ა, თ ე თ რ ობ ა, კ ე თ ი ლ ობ ა... ე რ თ ობ ა, ო რ ობ ა, ს ა მ ობ ა, ა თ ობ ა... ი გ ი ობ ა, ი გ ი ვ ე ობ ა, მ ა ს ობ ა, მ ა ს ვ ე ობ ა, თ ჯ თ ობ ა, ყ ო ვ ლ ობ ა, რ ა ობ ა, რ ო მ ე ლ ობ ა... გ ა მ ო ო ბ ა... მ ი დ ო მ ობ ა... ი ყ ო ს ობ ა, ა რ ს ობ ა... ც ნ ობ ი თ ობ ა, ქ ც ე ვ ა დ ობ ა... მ ი ზ ე ზ ო ვ ნ ობ ა, უ ს რ უ ლ ობ ა...

ასევე იქცევა ეფრემ მცირეც. იგი-ობა სუფიქსს ურთავს ყოველგვარ ძირს, როცა ამას ცნების ზუსტად გამოხატვის საჭიროება მოითხოვს: [4] რ ო მ ე ლ ობ ა 88,12; ს ხ უ ე ბ რ ობ ა 8,23; ყ ო ვ ლ ობ ა 88,32; მ ა ს ვ ე ობ ა მ ი ს ვ ე ობ ა 81,1; ი გ ი-

ვეობა 27,34; მათგანვეობა 32,11; კერძოობა 22,27; ეგრეთვეობა 164,33; წუერგამოობა 125,26; მოდასეობა 166,11; მისაღებელობა 35,19; უმოქენეობა, მიუდრეკელობა 7,18; გამოუძიებელობა 7,4——5; დიდნიჭობა 183,36; პირმშოთსახეობა 108,21; 5 გამომძიებელობითობა, ქცევადობა (კომენტ. 188-ე), ორცხოველობა (კომენტ. მე-5) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მთაწმიდელი აბსტრაქტულ სახელთა წარმოებისას უპირატესად -ება სუფიქსს იყენებს, თუმცა არც -ობა სუფიქსია მასთან იშვიათი. მაგალითებს მოვიყვანთ გრიგოლ ნოსელის „დაბადებისათჳს კაცისას“ და ბასილი დიდის „ექუსთა დღეთას“ გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანებიდან: [6]: ზოგადება 192; მარტივება 134; ორება 167; დედაკაცობა 162; უძრაობა, ქცეულება, უქცეველობა 128; მოქალაქეობა 195,7; კაცება 46,47; ტომება 51,13; თესლოვანება 91,4; ხატოვნება, ცხოველება 70,5 და სხვ.

ბრუნვის ფორმანტთა გამოყენება სიტყვისმცვლელი აფიქსების ფუნქციით

მოქმედებითი ბრუნვის — ით ფორმანტი და ვითარებითის — ად ფორმანტი სიტყვათა წარმოების ერთ-ერთი მოქმედი საშუალებაა ძველ ქართულშიც და თანამედროვე ქართულშიც ([8], 147). განსაკუთრებით ფართოდაა იგი გამოყენებული მეცნიერების სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიაში. იოანე პეტრიწი ძალიან ხშირად მიმართავს — ით და — ად ფორმანტიან წარმოებას. ბერძნულ სუფიქსს იგი ხშირად სწორედ — ით ფორმანტს უფარდებს და ასე ქმნის ბუნებისმეცნიერებისა და ფილოსოფიის მრავალ ტერმინს: [1] მეშვეობითი (92,21—γεννητικός,) სიტყვიერებითი (45,31 — λογικός), სულითი (121,1 — ψυχικός), ცნობითი (117,17—γνωστικός), სხეულებითი (111,19 – σωματικός) და სხვა.

ამ საშუალებას ფართოდ იყენებს ეფრემ მცირეც მის მიერ თარგმნილთა) პეტრე იბერიელის შრომებში [4]: მოკლებითი 79,22; სიმტკიცითი 84,8; 84,8; იკანკლედობითი 84,8; მსგავსებითი 179,23; ნერგობითი 42,30; მოზარდობითი 67,34; სილაღითი, კადნიერებითი, ზომიერებითი 139,21 — 23; წინააღრჩევითი 145,31; გრძნობადობითი 164,28; ჭეშმარიტებითი 19,13 და სხვ. ბ) ბასილი დიდის „ასკეტიკონში“ [9]: ბუნებითი 14 v; ღირსებითი 13 v, სარკითი და ოგავითი ხილვაჲ 9v; დაზოგებითი 9 v; ტკივილთ-მოყუარებითი 19 r და სხვა. გ) გრიგოლ ნაძიანძელის ნაწარმოებში „სიტყუაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს“: ხედვითი და საქმითი სიტყუა გამოჩინებითი (კომენტ. 61) და სხვ.

გიორგი მთაწმიდელიც საჭიროების შემთხვევაში ფართოდ იყენებს ახალ სიტყვათა წარმოების ამ საშუალებას: [7] ზოგებითი 95,3; ხედვითი, გონებითი 8,21; 39,2; [6] ცვალებითი მოძრაობა 128; გრძნობითი 139; სასოებითი 181. ბუნებითთა მიზეზთა 146 და სხვ.

ვითარებითი ბრუნვის — ად ფორმანტი ძველსა და ახალ ქართულშიც ხშირად გამოიყენება სიტყვისმცველი აფიქსის ფუნქციით. მისი გამოყენება შესაძლებლობის მიმღეობათა საწარმოებლად ცნობილი ფაქტია. იოანე პეტრიწი ძალიან ხშირად მიმართავს ამ ხერხს, რადგან მას, როგორც ფილოსოფიურ და საბუნების-

მეტყველო თხზულებათა მთარგმნელს, სჭირდება ისეთი ტერმინების შექმნა, საგანს ან მოვლენას იმ ზოგადი თვისების მიხედვით რომ ახასიათებენ, რომლის შესაძლებლობასაც ეს საგანი ან მოვლენა შეიცავს. მაგ.: განნაწილებადი, ქმნადი, ქცევადი, განყოფადი, გრძნობადი, შობადი, ხილვადი, განჭრწნადი, დაჭრადი, აღმოცენებადი და სხვ.

ამ ფუნქციითვე მას მეტად ფართოდ იყენებს ეფრემ მცირეც მის მიერ თარგმნილ ა) პეტრე იბერიელის შრომებში [4]: განღმრთობადი 76,4; განათლებადი 112,1; სრულყოფადი 112; განტფობადი 33,36; ქმნადი 56,2; განჭრწნადი 50,31; გრძნობადი 43,7; ჟამიერადი (კომენტ. 189-ე). ბ) ბასილი დიდის „ასკეტიკონში" [9]: შემთხუევადი, განქარეევადი, დაცხრომადი, დადგრომადი 7v; გამოცხადებადი 9r და სხვ.

ხშირად ვხვდებით ამგვარ წარმოებას გიორგი მთაწმიდელთანაც ა) „ექუსთა დღეთას" თარგმანში [7]: ტანჯვადი, 66,17; დაბადებადი, განშიშულებადნი 62,11; ბ) „დაბადებისათჳს კაცისას" თარგმანში [6]: ქცევადი და ცვალებადი 177; განთხევადი 174; განხრწნადი 169; ცხოვრებადთა დაბადებაჲ 138 და სხვ.

თანდებული წარმომქმნელი აფიქსის ფუნქციით

იოანე პეტრიწის სიტყვაწარმოების ერთ-ერთ დამახასიათებელ ხერხთაგანი თანდებულიანი წარმოქმნაა. ახალ სიტყვათა (ტერმინთა) საწარმოებლად იგი იყენებს — —გან, — ებრ, შორის, მიერ, მიმართ, შინა, გამო, კერძო თანდებულებს. ეს თანდებულები ან ცალკე იხმარებიან რაიმე აფიქსდართულნი (გამოობა, მიერობა) და განყენებული მნიშვნელობის დამოუკიდებელ ტერმინს ქმნიან, ან კიდევ რაიმე სახელს დაერთვიან და სპეციალურ ტერმინს აწარმოებენ: ზღვასშორისნი, დაბათაშორისი, ტჳნითგამონი, დასაბამითგამო, პერიპატოჲსგამონი; ადგილთამიერი, ჟამისმიერი, ნაწილთმიერობა; წინაჲთკერძონი, ზედაკერძო; სიტყვათაშინაჲ; მაცხოვნებლობისამიმართი; მყოფთაგანი, მრჩობლთაგანი, მცურვალთაგანი და სხვ.

ძველ ქართულში ამგვარი წარმოება გავრცელებული იყო. გიორგი მთაწმიდელიც და ეფრემ მცირეც ხშირად იყენებენ მას თავიანთ თარგმანებში: -გან [4]: არსთაგანი 6,24; კეთილისაგანი 53,39; მყოფთაგანი 21,20; მიზეზისაგანი 21,28 და სხვა; „ასკეტიკონი" [9]: ჰასაკითგანი 20; დათაგანი 14; ძუელთაგანი 19; თეეზთაგანი (კომენტ. 93-ე); საქმეთაგანი (კომენტ. 121-ე); [7]: რომელთაგანი 28,24; წყლისათაგანი 81,9; თევზთაგანი 81,16; ცხოველთაგანი, თესლთაგანი 81,11 და სხვ.

-მიერ [4]: ჩუენმიერი 9,33; მოპოვნებათამიერი 106,17; წერილთამიერნი 106,19; გამობრწყინვებისამიერი 148,35; არსთამიერი 43,17; [9]: მცნებათამიერი 19r; საჭელთამიერი 14v; დუმილისამიერი 14v; სახარებისამიერი, ღრუბელთმიერნი 14r; და სხვა; [7]: ფერჳთამიერი, საცნობელთამიერი...

მიმართ, მომართ: [4] ღმრთისამიმართი, 129,8; ჩუენდამიმართი, 129,13 და სხვ.

შორის [4]: ჩუენ შორისნი, 32,2; 64,19 და სხვ.

კომპოზიტები, რომელთა პირველი ნაწილი ნაცვალსახელია ან ზმნისართი

იოანე პეტრიწი ხშირად მიმართავს ისეთ წარმოებას, რომლის პირველი წევრი ნაცვალსახელია ან ზმნისართი (თჳთ, თან/ა, წინ/ა, გარე, ზესთ ზეშთ/ა, უკუ/უკუნ/): თჳთცხოველი, თჳთმიმდრეკი, თანამბრძოლი, თჳთგუარი, თანაშემწე, თანამავალი, თანამევნე, თანადგომა, თანსიყვარული. წინამეწყჳ, წინამეთქუე, წინააღსარჩევი, წინამდებარე, ზესთამდებარე, ზესთაღმავალი, ზეშთააღმატებული, გარეგანსასჯელი, უკუნდგომილი, უკუმეტრფი და სხვ.

ამგვარი წარმოება, ჩვეულებრივ, ბერძნული სიტყვის აგებულების კალკია: თანტომება — συγγένεια, თანშედგომული—σύνθετος; თჳთძალი — αὐτοδύναμις, თჳთცხოველი — αὐτόζως და სხვ.

ასეთ წარმოებას ძველი ქართული ენის ძეგლებში საკმაოდ ხშირად შევხვდებით. ხშირად ხმარობს მას გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირეც: [6]: წინამძღურობა 162 v; წინამდებარე 125 v; თანაწარუვალი 136 r; ზედამდგომელი 137 r და სხვ.; [7]: თანაზიარება, 106,7; თანასამარადისო 9,1; [4] თანალმობა 22,10; თანამბრძოლი 67,23; თანადამოკიდებულება 228,12; თანამოდასე 118,9; ქუემეთრეკი 40,30; ზედამდგომლობა 239,27; წინააღრჩეკითი 145,31; წინაღმდგომი 136,37; ზეშთაუცნაური ზეშთასაჩინო, ზეშთაცნობა 10,23; ზეშთასახიერი 10,35; იწნამოგონებადი 146,3; [5]: თანაშესადგმელი (კომენტარი 172-ე) თანაშემოყვანება (კომენტარი 112-ე).

ეფრემ მცირე ძალიან ხშირად ადგენს კომპოზიტს თჳთ ნაცვალსახელის მეშვეობით [4] თჳთცხოველყოფა, თჳთმსგავსება, თჳთმფლობელობა; თჳთჴელმწიფება; თჳთმოძრაობა, თჳთსიბოროტე, თჳთძალი, თჳთხრწნილება, თჳთმშჳდობა, თჳთსრული და სხვ.

ტერმინთა წარმოება არაბრუნებად სიტყვათა მახუბსტანტივებით

იოანე პეტრიწის ენის დამახასიათებელია ახალ სიტყვათა (ტერმინთა) წარმოება უბრუნველი და ფორმაუცვლელი სიტყვების გასუბსტანტივების, მათთვის ბრუნების უნარის მინიჭების გზით. სიტყვაწარმოების ეს საშუალება ქართული ენის ერთ მეტად დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ([10], [8], 77). იოანე პეტრიწი მოხერხებულად იყენებს ქართული ენის ამ თავისებურებას და ფილოსოფიური ტერმინების მთელ რიგს ქმნის [2]: იგი, მასი II, 37, 25; მასობა II, 37, 29; მასვეობა, 120, 21; თჳთი II, 170, 27; აქაჲ II, 108, 27; მუნაჲ II, 73, 34; ოდესმეჲ II, 119, 18; მერმეჲ II, 115, 11; ზესთაჲ II, 53, 4; მყისი II, 114, 26; შორისი: II, 95, 17; მიერი II, 70, 30; აჰაჲ II, 114, 26; ასევე, არსი, იყო, იყოსი, იმართებისი, ეგებისი და სხვ.

ეფრემ მცირეც არ ერიდება ამგვარ წარმოებას, როდესაც ამას ახალი ცნების გამოხატვის საჭიროება მოითხოვს: [4]: მასი, მასვე, მასვეობა, 102, 9; იყოჲ, იყოსი, არსი, იქმნაჲ, იქმნესი (იყოჲ და არსი და იყოსი და იქმნაჲ და იქმნებისი და იქმნისი მისთჳს საკუთრებით იგალობებიან. 64, 1—3).

ამრიგად, ეფრემ მცირე, ისევე როგორც იოანე პეტრიწი, მეტად ფართოდ და შეუზღუდავად იყენებს ქართულ ენაში არსებულ სიტყვათწარმოების საშუალებებს, როდესაც ამას მოითხოვს ახალი ცნების ადეკვატური ტერმინის შექმნა. ორივე მოღვაწე ამ შემთხვევაში ერთი პრინციპით ხელმძღვანელობს: თარგმნისას ზუსტად, ორაზროვნების გარეშე უნდა გადმოიცეს ფილოსოფიური ნააზრევი. მათთვის მთავარია აზრის, თეორიის სწორად, ზუსტად გადმოცემა და ენაც ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ს შრომები, ტ. I, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კაეშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1940.

2. ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ს შრომები, ტ. II. განმარტება პროკლესათვის დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათვის, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. რუსეიშვილ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1937.

3. ი ვ. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი. ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ურთიერთობისათვის, „ორიონი" (საუნივერსიტეტო კრებული, მიძღვნილი ა. შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი). თბ., 1967 წ. გვ. 214—220.

4. პ ე ტ რ ე ი ბ ე რ ი ე ლ ი ს შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა ს. ენუქაშვილმა, თბ., 1961.

5. გ რ ი გ ო ლ ნ ა ძ ი ა ნ ძ ე ლ ი. „სიტყვაჲ ეპიტაფიად დიდისა ბასილისათჳს" ეფრემ მცირის თარგმანში, იხ. თ. ფ ა შ ა ლ ი შ ვ ი ლ ი ს საკვალიფიკაციო ნაშრომი, თბ., 1933 (ხელნაწერი გამოკვლევა და ტექსტი კომენტარებითურთ: დაცულია თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში).

6. გ რ ი გ ო ლ ნ ო ს ე ლ ი. „დაბადებისათჳს კაცისას" გიორგი მთაწმიდლისეული თარგმანი, იხ. ნ. შ ა ლ ა მ ბ ე რ ი ძ ი ს საკვალიფიკაციო ნაშრომი 1969 წ. (ტექსტი და გამოკვლევა ლექსიკონიურთ; დაცულია თბილისის სახ. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში). მასალა ღ.ეროწვებულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A № 73 ხელნაწერის მიხედვით.

7. ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი. ეკუსთა დღეთაჲ, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, გამოსცა მ. კახაძემ, თბ., 1947.

8. ა. შ ა ნ ი ძ ე. ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.

9. ბ ა ს ი ლ ი დ ი დ ი, კაბადოკიელი. ასკეტიკონი, ეფრემ მცირის თარგმანი, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A 132 და A 689 ხელნაწერები (ტექსტი გადაწერილი და დადგენილია ე. ხინთიბიძის მიერ).

10. ი ლ ი ა ჭ ი ნ ა ძ ე, თხზ., ტ. V, თბ., 1927, გვ. 95—96.

Д. Н. МЕЛИКИШВИЛИ

ОБЩИЕ СПОСОБЫ СЛОВООБРАЗОВАНИЯ В ЯЗЫКЕ ИОАННА ПЕТРИЦИ И ЕФРЕМА МЦИРЕ

Резюме

Два из дошедших до нас перевода Иоанна Петрици — „О природе человека" Немезия Эмесского и „Богословские начала" Прокла Диадоха —являются произведениями философскими. Следовательно, их язык дол-

жен носить черты, присущие научному языку, в частности, философскому языку. Как известно, специфику научного языка создают специальная терминология и сложные синтаксические конструкции. С созданием терминологии связан вопрос новообразований. В языке Иоанна Петрици встречается множество таких новообразований.

В настоящей статье рассматривается ряд основных способов словообразования, общих для языка Иоанна Петрици и его предшественников— Георгия Мтацмиделн и Ефрема Мцире. Тем самым доказывается, что основные словообразовательные способы и „необычайные“, „искусственные“ образования при помощи разнообразных аффиксов с самыми разными корнями встречались и до Петрици. Они существовали в грузинском языке не только потенциально, но и реально — в языке вышеназванных авторов.

იოანე პეტრინის ფილოსოფიურ შრომებში ნახმარი ბერძნული ტერმინის განმარტებისათვის

დამანა მელიქიშვილი

II

ბოლო ტერმინის მნიშვნელობისა და ძველ ქართულში მისი შესატყვისების შესახებ აღრე ტექონდა საუბარი /მაცნე, 1968, ტ.1/. წარმოვადგენთ კიდევ რამდენიმე ტერმინის განმარტებას.

1. ἄρσις, θέσις

საბას განმარტებით ἄρσις – მყოფია.

ἄρσις, ἄρσις და θέσις საერთო სინონიმებია, მაგრამ იოანე პეტრინი გარკვეულ შემთხვევაში მათ განასხვავებს ერთმანეთისაგან:

ἄρσις და ἄρσις და θέσις განიყოფებიან ურთიერთობისაგან: II,54,3;

"განმარტების" შე-18 თავში, რომლის სათაურია "წესდადებისათჳს არსთაჲსა", სანამ ძირითადი საკითხის განმარტებაზე გადავიდოდეს, იოანე პეტრინი "თანგანვლის სახედ" ესმება "ფრიად სათანადო" საკითხს ἄρσις, ἄρσις, θέσις ცნებების ერთმანეთისაგან განსხვავებისას. იგი ერთლად განმარტავს ტერმინ ἄρσις პერიპატეტიკოსებისა და პლატონის მიხედვით. ამ განმარტებას ჩვენ სრულად მოვიყვანთ: "ἄρσις ჲეითონ შეიცავს თავის საგნეარს, რაგანაც არსება ჲეით�dgomia და სხვას არ საჭიროებს თავის მამყოფებელად, როგორც, მაგ., შეძენილი, მოპოვებული, გარედან მიღებული ანუ არაარსებითი /ბერძენთმოსრული/[1] მხარეები, რომელთაც პერიპატე-

---

1 ასე მაგ. ნივთისათვის /მატერიისათვის/ ფორმა ბერძენთმოსრულია /შეძენილია, გარედან მიღებული/: ბ.კ. გვ. 36-37.

ელებმა,როგორც ემპირიკოსებმა, შემოხვევითი უწოდეს.ხოლო დიდი პლატონი თვით ამ შემოხვევითსაც კი არსებად თვლის,რადგანაც იქ /"მუნ",მეტაფიზიკურ სამყაროში/ გარეგნობა /მორფულება/ არსია,ხოლო აქ - შემოხვევა. იქ სამი განზომილება,ფერი და ნაკვეთი არსნი არიან და უსხეულნი,აქ კი გარეგან შეძენილი /არაარსი/ და შემოხვევა.იქ /პლატონი/ სულ კატეგორიას ასახელებს: არსებას, თვისებას, სხვაობას, დგომას /უძრაობას/ და მოძრაობას.ამაზე,როგორც ტომსა /გვარეობას/ და არსს, ადავსებს აბრობრივსა /ტონებიდსა/ და ტონიერ მსოფლიოდა შორის.ყოველ არსს პირველი არსისაგან წარმოშობილად თვლის, ყოველ გვარსა და გვარია თვისებას - პირველი თვისებისაგან; ყოველ განსხვავებას - პირველი სხვაობისაგან; ყოველ უძრაობას /ერთ მდგომარეობაში ყოფნას/ - პირველი დგომისაგან; ყოველ შემოქმედებას და დაბადებიდს მოძრაობას - პირველი მოძრაობისაგან.ამგვარად,ყოველივეს,რასაც აქ /ემპირიულში, ხილვად ბუნებაში/ გარეშე,გარეგან შეძენილად,მიღებულად და შემოხვევიად თვლი, ის იქ /"მუნ" - მიღმა სამყაროში/ არსია და ტომი /გვარეობა/.

არსი განსხვავდება მყოფისაგან იმით,რომ,როგორც არისტოტელე ამბობს, მყოფი საბიარო სახელია არსისა და შემოხვევითისა, მყოფი არსებ მეტია,რაც ამ ორივეს ერთად ეხმიანება.

ბაგრამ, ბიუხელიანი ასეთი განხვავებისა,რომელსაც იოანე პეტრიწი ამ კერძო შემოხვევაში მკაცრად მოიხსენებს,სხვა შემოხვევებში იგი შესაძლებლად თვლის აგ, არსი და მყოფი სინონიმებად იხმაროს. მაგ.,

ყოველი მიმცემი სასუალია ობისაგ პირველ ფუ იგი არს მყოფ და ა: I,16,13-14; III,53,34-35.

ხშირად,ტერმინები არსი და მყოფი ერთმანეთს ენაცვლება.ასე მაგ.: "კავშირია" და "განმარტების" XI და XII თავები მიძღვნილია "არსთა მიბმისა" და "არსთა დასაბამისადმი", იოანე პეტრიწი ხან არსს ხმარობს, ხან კი მყოფს:

ყოველია მყოფია დასაბამი და მიბები უპირატესი კეთილობაჲ არს I,12,15; II,43,24-5;

Πάντων τῶν ὄντων ἀρχὴ καὶ αἰτία πρωτίστη τὸ ἀγαθόν ἐστιν: Phil. § 12.

მაგრამ იქვე: ერთი და პირველი მიბები არს არსთა აიბისაჲ უპირატესი კეთილობაჲ: II,43,29-30; ან: მაშა იყოს სხუაჲ უმჯობესი და მეტესთაე კეთილობისაჲ ძირად და მიბებად არსთა ენისად, და მის მიერ წარმოუწყარიებელის მყოფთა: II,43,33-34; ხოლო ესე არსთა მგონებარეობისა მიერ საუწყო,რომელ კეთილობასა ეტრფეის მყოფი ყოველი: II, 44,1-2;

ხედავ ისეც,რომ "კაეშირთა" იმ ადგილის განმარტებისას,სადაც ბერძული τὸ ὄν(ὄντος) დარგმნილია მყოფად, იოანე პეტრიწი "განმარტებით" შესაბამის ადგილს ტერმინ არსს ხმარობს:

ხოლო ჲ კეთილობა არს,რომლისადმი ყოველნი მყოფნი აღკრულ არიან, იყოს დასაბამი და მიბები უპირატესი ყოველთაჲ კეთილობაჲ: I,13,7-9.

Εἰ δὲ ἀγαθόν ἐστιν, ἀφ᾽οὗ πάντα ἐξήρτηται τὰ ὄντα, ἀρχὴ καὶ αἰτία πρωτίστη τῶν πάντων ἐστὶ τἀγαθόν: Phil. § 12

იგივე განასკვი შესაბამისი ადგილის განმარტებაში შემდეგნაირად წარმოდგენილი:

და ბესი და მიბებ ყოველთა [არს] პირველი კეთილობაჲ,რომლისად ყოველნი არსნი აღკრულ არიან: II,44,33-35.

მაშასადამე,ბერძნული ტერმინის τὸ ὄν(ὄντος) შესაბამისად იოანე პეტრიწი ხმარობს ტერმინებს არსი და მყოფი. ამდენად, ისინი სინონიმებია,მაგრამ ნაწილობრივი,რადგანაც მყოფი მოიცავს არსსაც და შემეხეუეიდსაც,ეს უკანასკნელი კი არსის ცნებიდან გამორიცხულია /სხვაგვარად რომ ეთქვა, მყოფი ტავრეობითი ცნებაა, არსი კი მისი სახეობითი/.

ასევე μὴ ὄν -ს პეტრინი ეარგმნის როგორც არა არსება /I,6,6/, ასევე არ მყოფი /I,65,12/; მაგრამ ὄντως ὄν -ს მხოლოდ ნამდვილ მყოფად /истинно сущее/.

ტერმინი მყოფი ბოგჯერ ბერძნულ τὸ ὑπάρχον -ის შესაცვლელადაა ნახმარი /I,17,9/ და მაშინ, შესაბამისად, მყოფობა ეერის ბერძნულ ὑπάρξις -ს / бытие / /I,6,2; I,10,11 და ხშირად/. ასევე ხშირია შემთხვევა, როდესაც τὸ εἶναι ეარგმნილია მყოფობა ტერმინითვე /იხ. I,16,15; 17,23; 24,22 და სხვ./.

მაგრამ იმავე ὑπάρξις და τὸ εἶναι -ს შესაცვლელად პეტრიწი ხშირად ხმარობს აგრეთვე ტერმინ აობა-საც. მაგალითად, ერიმანეთის გვერდით ერთ წინადადებაში, ბერძნულში ნახმარ τὸ εἶναι -ს / бытие / იგი ეარგმნის როგორც მყოფობა, ასევე აობა ტერმინებით:

Πᾶν τὸ τὸ εἶναι χορηγοῦν ἄλλοις, αὐτό πρώτως ἐστὶ τοῦτο, οὗ μεταδίδωσι τοῖς χορηγουμένοις εἰ γὰρ αὐτὸ τὸ εἶναι δίδωσι, καὶ ἀπὸ τῆς ἑαυτοῦ οὐσίας ποιεῖται τὴν μετάδοσιν: Prol. § 18.

ყოველი მიმცემელი სხვაისა აობისაკენ, პირველი ესაა იგი არს მყოფ და ჟ, რომელსა მისცემს ეჯსენი მიცემადია. რამეთუ ეინაკოგან ესაა მას მყოფობასა მისცემს, ეჯსისა არსებისაგან ჰყოფს ანმიცემასა: I, 16,13-16.

ამგვარად, ეუ აკ, არსი და მყოფი ერიმანეთის ნაწილობრივი სინონიმებია, აობა და მყოფობა[1] სრული სინონიმებია. ისინი გადმოსცემენ ὑπάρξις /არსებობა, существование/ და τὸ εἶναι / бытие, существование/ ცნებებს.

---

1 არსება პეტრიწთან ხმარება οὐσία (сущность, субстанция) მნიშვნელობით.

2. ნივთი

საბას განმარტება მეტად საყურადღებოა: ნივთი არს ყოველივე საგმარი, რომელსა საარსნი მასალს უხმობენო.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ იოანე პეტრიწი ტერმინს ნივთი ხმარობს მხოლოდ "მატერიის" მნიშვნელობით /როგორც ცნობილია, ბერძნული ტერმინი ὕλη -ც ნიშნავს "ტყეს" "მასალის" გაგებით/:

პირველი იტყვს ნივთსა ნინამდებარესა, რომელი თავით ფუსით არა არს: ბ.კ. 36,15-16.

λέγει τὸ μὲν ὡς ὕλην ὑποκείμενον: Migne, 560,40.

ამისგან უკვე საცნაურ, რამეთუ ნივთი ერთისა მიერ წარმოიჩინა, ხოლო თვ თუს შორის უნაწილო არს გუართაგან: I,47,10-11.

Ἐκ δὴ τούτων φανερόν, διότι ἡ μὲν ὕλη, ἐκ τοῦ ἑνὸς ὑποστᾶσα, καθ'αὑτὴν εἴδους ἐστὶν ἄμοιρος: Mel. § 72.

/"აქედან ცხადია, რომ მატერია ერთისაგან წარმოდგა, ხოლო თავისთავად მას ფორმა არ გააჩნია"/.

ასევე, ამ ტერმინისაგან ნაწარმოები სიტყვები "მატერიის" მნიშვნელობას არ სცილდებიან: ნივთებრივი /ὑλικός/ I,162,2 = მატერიალური, ნივთიერი; ასევე, ნივთიერი: 11,205,27 და ნივთოვნებითი: 136, 7 - ὑλικός, ნიშნავს მატერიალურს; ნივთთა შორისი: I,116,17- ἐνυλός ის, რაც მატერიას განეკუთვნება; უნივთო: I,105,26 - ἀϋλός - „არამატერიალური" და სხვ.

როგორც ზემოთაც აღენიშნეთ, იოანე პეტრიწმა ნივთ სიტყვას შემოუსაზღვრა მნიშვნელობა და იგი მხოლოდ "მატერიის" აღმნიშვნელ ტერმინად იხმარა. აღრე მას ჰქონდა როგორც "მატერიის" /ὑλή/, ასევე: "ოთხი ელემენტის" მნიშვნელობაც, რასაც საბაც აღნიშნავს თავის "სიტყვის კონაში": "ვითარმე ოთხნი კავშირნიკ ნივთად აღუწერიანო": ლექსიკონის რამდენიმე ხელნაწერში კი ნივთი პირდაპირ განმარტებულია,

როგორც ოთხი კაეშირი: "ნიეთი ეწოდების ოთხთა კაეშირთა: მიწასა, წყალსა, აირსა და ცეცხლსა" /საბა, გვ. 569/.

მარტლაც, ძველ ქართულში ნიეთი "ოთხი ელემენტის" მნიშვნელობითაც გვხვდება. ამავე მნიშვნელობით სმარობენ მას გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირეც:

"ცცხალარნი იყვნეს... შეჰდგომად ნიეთთა მათ უსულოთა, ესე იგი არს ქუეყანაჲ და წყალი და ჰაერი და ცეცხლი: კაც. აგებ. 156,1-2; არარა ფუაას ნიეთთა მათოჳს: ცეცხლისა, წყლისა და ჰაერისა: ეფესთა, 9,17; ურთიერთას შეერთებასა და შეგაერებასა ნიეთთასა შეურეველად და განუწეალებლად ჰმარხავს: ᲘᲐ. იბ. 75,38 /. τὸ στοιχεῖον/.

გიორგი მთაწმიდელი ნიეთით ᲧᲝᲕᲚᲘᲡ -საც /არსება, ᲧᲝᲕᲚᲘᲡᲘᲡ / კი ფარგმნის /ეფესთა, გვ. 155/. იოანე პეტრიწმა კი ტერმინი ნიეთი მხოლოდ "მატერიის" /ᲧᲝᲕᲚᲘ/ აღსანიშნავ სპეციალურ ტერმინად აქცია.

3. ᲒᲝᲜᲔᲑᲐ, ᲒᲐᲥᲝᲜᲔᲑᲐ, ᲛᲘ/Მ/ᲘᲥᲝᲜᲔᲑᲐ

საგულისხმოა, რომ სულხან-საბა გონების განმარტებისას აღნიშნავს: "და თუ ერცლად ცნობაჲ გონებოს, კაეშირში ჰპოეო" /საბა/.

მართლაც, გონების /ᲒᲝᲜᲘᲡ ᲒᲐᲜ, ᲒᲝᲜᲔᲑᲐ/ გარშემო "კაეშირნში" ხშირადაა ლაპარაკი და რამდენიმე თავი /Ს 166-179/ სპეციალურად მასთან დაკაეშირებული საკითხებისადმია მიძღვნილი. განმარტების შესაბამისი თავებიც, ცხადია, იმავე საკითხებს ეხება.

გონება ძველ ქართულში ნიშნავდა:

1. "გონებას" /ᲒᲝᲜᲔᲑᲐᲡ/:

შეიყუარო... ყოვლითა გონებითა შენი ᲘᲡ: 22,37; განუხუნა გონებანი მათნი: ᲘᲔ. 24,45.

2. "აგრს" /ᲐᲒᲠᲘᲡ/:

კამოხადეა რაჲსამე იქმნის გონებათა ჩუენთა: ᲔᲤ. ᲛᲗ.; 32,31;

3. "შინაარსს" /"ᲐᲒᲠᲘᲡ"/

ვიდრე შეახლებამდე ჩუენდა გონებასა წერილისასა: ᲔᲤ. ᲛᲗ. 42,35.

ეფრემ მცირე მას "გონების", "აგრის" მნიშვნელობით ხმარობს. ბერძენი მოაზროვნეთან კი გონებას τὸ ἡγεμονικόν /"ხასიათი", "ჩვეულება"/ შესაფერისად ეხვეწებით: დაუცავთ ვეღარ გონებითა ქმარი იგი: ექუსთა, 87,32-33; ხატითა უარეს /არს/ და გონებისა სიმშურითა: ექუსთა, 95,15.

თუმცა ამ კონტექსტებში მათი პირდაპირი მნიშვნელობით /გონება, разум / გაგებაც შეიძლება, მიუხედავად ბერძნული დედნისა.

იოანე პეტრინი გონებას ხმარობს როგორც სპეციალურ ტერმინს, რომელიც ბერძნული ὁ νοῦς გონება /ყო, разум / ტერმინის შესაფერისია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ "აგრის", "შინაარსის" მნიშვნელობით იოანე პეტრინთან ვხვდებით ჰაგრ სიტყვას:

"გუარსა თანა გუაც ცნობად დიდთა საუფლოისმეტყველთა შორის ხედვისასა და აღებად ჰაგრსა წინაშეე წინამდებარისა წიგნისასა. ხოლო ჰაგრი ამის წიგნისაჲ ამაო შინა შეეოიცვის": 11, 3,3-5.

იმ ტერმინთა მნიშვნელობით, რომლებიც დღეს აგრ ფუძიანთა ნაწარმოები /აგროვება, მოაგროვე.../, იოანე პეტრინი, საკუთრივ ლოგიკურად, გონება ფუძიან ნაწარმოებ ტერმინებს ხმარობს /აგროვება გონების ნაყოფია, მოაგროვე გონებით მოქმედებს.../: გაგონება,[1] გამგონე, გასაგონი, გაგონებული. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ მაგალითს, სადაც თავმოყრილია ყველა ეს ტერმინი:

ხოლო თუ [გონება] თჳთ თავსა თჳსსა გაიგონებს, და ერთ და იგივე გონებაჲ და გასაგონოჲ და გაგონებაჲ და გონებაჲ და იგივე გასაგონიჲ. რამეთუ საშუალ არს გამგონისა და გაგონებულისა თჳთ იგი მისი მეოფობაჲ. იყოს ვინაჲვე გაგონებაჲსა იგი ორთავე მიმართ: I, ᲒᲐ 169, 101,14-18.

---

1 გონება ძველ ქართულში "ფიქრს" ნიშნავდა: ვიგონებდი. უკეთურებასა: ლიმ. 37,37; იგი სასურველსა თჳსსა იგონებდა, მას განიცდიდა გონებითა: რაჟდ. 244 /სედავდა გონებით, ე.ი. ფიქრობდა/.

"Если он мыслит себя самого, то ум и мыслимое тождественны, и мышление тождественно с умом и мыслимым, будучи именно средним между мыслящим и мыслимым".. Лос. § 169.

მაშასადამე, გონება ნიშნავს "გონებას", "აზრს" /νοῦς, ум, разум/; ძაგონება - "აზრიერებას" /νόησις, мышление/; გაიგონებს - "აზრიერებს" /νοεῖ, мыслит/; ამგონე - "მოაზრიერე" /νοῶν, νοοῦντος, мыслящий/; ასაგონი, ძაგონებული - "საზრიერი ობიექტი" /νοητὸν, νοούμενον, мыслимый, умопостигаемый).

მოხერხებულად იყენებს იოანე პეტრიწი მი- და მო- მნიშვნელობებს ტერმინთა მთელი რიგის და მათ შორის ტერმინ მი/ρ/მიგონების სანარმოებლად. იგი ნარმოადგენს ბერძნული διάνοια, διανόησις ფარგმანს. მიდმიგონების მნიშვნელობა შეიძლება გამოვსახოთ ასე: "გონებით მიმოხილვა" /размышление/:

Οὔτε δόξα ἔστιν αὐτῶν, οὔτε ἐπιστήμη, καὶ διάνοιαν, οὔτε νόησις: Proc. § 123.

ეინაღ არცა ონებითი ძალი მოქმედებს მაფამი და არცა ბერძნეულად და მიდმიგონებად და არცა გონებად: I, 76,7-9.

საინტერესოა მიმიგონებისა და მიდმიგონების საბასუელი განმარტება: "მიმიგონება ესე არს მოგონებისა ნელიად-ნელიად მოგონება, ხოლო მიდმიგონება მყის არა ფანამიერეკა, არამედ ეიფარცა ბიჯებით სულთა მიწევნა საგონისა"-ი /მიდმიგონებასთან მოიხსენებულია "კაევირთა" წინასიტყვაობა: საბა, გვ. 477/.

ფეიფ იოანე პეტრიწი მას ასე განმარტავს: ეიფარ იგი ო

ელამიდი რასაეე, ეიფუ ვეშნა, ანუ არა ვეშნა, და მერეა ეკუანაზს ერთა რონელსამე ბედა მივიჰაბრეი... რომლისაფვს ჰრქვან სახელი შესაფეროდ, რომელ არს მიდმიგონებად ანუ მიდმიგაგონებად: II, 7,2-5.

4. ხედვა

ეს ტერმინი წარმოადგენს ფარგმანს ბერძნული სიტყვისას ἰδέα, რომლის ძირითადი მნიშვნელობაა "დაკვირვება, ხილვა, დათვალიერება". აქედანაა შედეგ სისი ფილოსოფიური მნიშვნელობა – "ფერადა, კონკრეტი ფერადა" /ἰδέα, ἀναφαίνεται/, ბოლოს სწავლების, თეორიის მნიშვნელობაც. ბერძნული ἰδέα-ს ფარგმანს წარმოადგენს, აგრეთვე "შესედვების, თეორიის, ფერადის" მნიშვნელობის მქონე სიტყვები εἶδος, რომელიც ἰδεῖν, "სილა, სედვა" ფუძიდანაა წარმოებული. ძველ ქართულში "სედვა", რომელიც ფილოსოფიური ტერმინი, ნიშნავს "შეხედვებას, აზრს, თეორიას, ფერადს". საბა მას ასე განმარტავს: "სედვა არს თვალის ჩენა, ანა საქმე საცნაური, ანა მეცნიერება".

იოანე პეტრინის თანამედროვე მნერლობაში – კიორგი მოანმიდლისა და ეფრემ მცირის ნრომებში ტერმინი სედვა იხმარება "თეორიის" მნიშვნელობით. იგი უპირისპირდება ტერმინ "საქმეს", რომელიც პრაქტიკის მნიშვნელობით ისმარება, მაგ.:

სედვენებანაცა როსედამე საქმედ /ენოდების/ და როსედამე... სედვად. სედვითა ესეე ფრუდებაჲ, კონებითი ხედვაჲ არს, რომელი იგი კონებასა შინა ფრუ იქმნების: ექუსთა, 6, 21.

ჩვეულებრივ, ერთმანეთს უპირისპირდება სედვითი და საქმითი ეფრემ მცირესთანაც:

ვინაჲცა �d ესე ითქუაროს შემდგომად სედვითისა და საქმითისა, იტყუს: კორ. 61.

იოანე პეტრინიც ასევე უპირისპირებს თეორიულს და პრაქტიკულს:

ფორ ფაკონებისა ფაარნი ორ, და ამაო ერთისცა უნმიდეს მხედველობითი მოქმედებითსა, რამეთუ ორ ვინაჲმე არიან, ვითარ იგი საქმითი და ხედვითი: ბ.კ. 106, 6.

ოთხი ბოგორ "ხედვითის" შესატყვისად სმარობს ტერმინს "მხედველობითი":

რაოდენი რაჲ არს საქმითი და რაოდენი მხედველობითი ფილოსოფოსობისა: II, 224,2, იხ. 224,15-16.

ხედვითი,მხედველობითი - ნიშნავს თეორიულს, θεωρητικός (ἐνεργητικός).

საერთოდ ხედვა არის გონებითი მოქმედება,ის,რაც გონების ძალით შეიძლება მოხდეს,ამიტომაც კიორგი მაანმიდელს შესაძლებლად მიაჩნია, ბერძნული καὶ νοῦν ἐνέργεια დარგმნოს არა გონებით მოქმედებად, არაფერ პირდაპირ გონებით ხედვად /ექუსთა, 6,22/. იხ. აგრეთვე იოანე პეტრინის "განმარტებაში":

ნმიდასა განგებასა ღმრთისასა კაცი ღმისაგან ჩუენისა უნარმოებია,ხელოვნებათაგან სულისათა დახელოვნებული,ხოლო ხედვათაგან გონებისათა გაგონებული: II,222,7.

ამიტომ ხედვა შეიძლება იხმარებოდეს "აზრის,ფერეტის,შეხედულების" მნიშვნელობითაც. იხ. მაგ., ეფრემ მცირის დარგმანები:

...მისი ცნობაჲ და ხედვაჲ ყოველთა არსთაგან შეუვალ არს: პ.იბ. 6,33; უსამუშაოდ აღსრულად საღმრთოთა ხედვათა. მიმარნ: პ.იბ. 105, 12-13; საცნაურნი ხედვანი: პ.იბ. 172,6 და სხვ.

იოანე პეტრინის ხიბეულებებში ტერმინი ხედვა გვხვდება როგორც ზოგადად "სწავლების,თეორიის", ისე "ფერეტის,აზრის,შეხედულების" მნიშვნელობითაც:

ანუ თუ სიტყვერებითა სოფეა,გინა ბუნებითთა ხედვათა: II, 4,26 /თეორია,სწავლება/; და არცა ამათ შორის დაუტევა საბღვარი ოჯსთა ხედვათა,რათა თანაჰყვა ოჯსთა პირველთა,ეიტყჳ,ეიალონისთანა ბის უბნუერეალესისაცა გონებისაგან ბიენდოტელსა ერთსა: II, 5,3-6; 11,4,31;

ხედვა აქაც თეორიის მნიშვნელობითაა ნახმარი.

"ფერეტის" /εἰδεῖς/ "აზრთა ნყობის", "აზრის", "შეხედულების" მნიშვნელობით ტერმინ ხედვას იოანე პეტრინი ხშირად ხმარობს,რომელსაც პროკლეს რომელიმე აზრის მოდელის შემდეგ განმარტავს მას:

ამათ ხედვათა ხედვნ,მხედველ: II, 158,21; მეტყჳს ესე ხედული

სედეაკ: II, 141,24; ესე ხედეაკ მეტყუს ჩუენ: II, 172,18; ესე ბუნაოიებს ჩუენ ხედეაკ ესე სედეაოაკ: II, 146,1; ხედეაკ ამის ოა-ვისაკ ესოა მიბრწყინავს ჩუენ გასაგონოა: II, 184,17; /აბრი/; შეისწავლენ ესე სედეანი, რამეოუ სული არს მიბეგ და წყარო ცხოელობი-სა: II, 195,21; ისმინენ, ჰ ძამგონეო, ხედეანი უჩუენენი: II, 166, 13; როდესა ნამდუ არსად და ნამდუ მყოფად უნოდა უტყუენლმან ხედ-ეაბან: II, 143,4-6 და სხ.

"ფერეტის" / *ferétiere* /, "თეორიის" მნიშვნელობითაა ნახმარი ხედეა ნინასიტყვაობისა და ბოლოსიტყვაობის შემდეგ მნიშვნელოვან კონ-ტექსტებში:

გუარსა თანა-გუაც ცნობად დიდოა საღმრთისმეტყველოთა შორის ხედ-ევისასა: II, 3,1-2; რამეოუ ყოველი ჰაბრი ჩემი მაო შორის ტონებისა და ხედევისაოუს არს, ანუ და სიტყვერებითი იყოს, კინა სწავლულებითი: II, 222,32-3.

ამგვარად, ტერმინს ხედეა მნიშვნელობათა იგივე სფერო აქვს, რაც ბერძნულ *ἐνέργεια*-ს.

ხედეა ფორმის ნაცვლად, იოანე პეტრიწი სმარობს ხედი ფორმასაც, "აბრის" მნიშვნელობით: რაკ არს ხედი ამის სიტყვაკ: II, 61,6.

ეს ფორმა საბას მოყვანილი აქვს ძველი ლექსიკონში და გამმარტე-ული "კანონოთა" დამონმებით ასე: ხედი - ხედეა. დახედეა /21 კანონ./.

ხედ ძირიდან იოანე პეტრიწს ბევრი სხვა ტერმინიც აქვს ნაწარმოე-ბი, მნიშვნელობით დაკავშირებული ხედეასთან. ესაგ., მხედველი /*ἐνεργοῦν*/, ხედველი, ეს უკანასკნელი "ხედვის" მნიშვნელობითაც გვხვდე-ბა: ან ეკვე კანემარტოთ ხედველი ესე: II, 116,1.

5. ძანყა

საბა განმარტავს: დანასვა. ძველ ქართულში ხშირად იხმარება მი-სი პირიანი ფორმები და ჩვეულებრივ ნიშნავს "დანასვას, ხედვას, აღქმას".

მიხილეთ შე და განმიცადეთ, რაძეთუ შე ვარ: სინ. მრ., 160,7-8; თუალნი მაგნი განიცდიან სიკეთესა... განიცადე და იხილე: ისტ.ერესტ. 6,32-33; ფრიად განშორებულნა ვერ განიცდის თუალი ყოშმარიტებით, არამედ შერეულად და ენდოდ განიცლის იგი გუამთა და აგებულებათა: ექუსთა, 76,20,22; თვალითა განცდა ყოველისადმე: ა.იბ. 62,34; ბურკით ტკრეა ეტლებისა კარდაკლებადმე ჯეალთა აღგილთა განიცდებოდენ: კომ. 150.

"დანახვის, აღქმის" მნიშვნელობით ხმარობს განცდა||გაცდა-ს იოანე პეტრიწიც:

ვითარ ესე მნათთა დებითსა ნაკუეთთა ზედა განვიცდით: 11, 72,9; და მაშინღა სიღვასა მისსა შეეიმოსოს/ვით პირველივე დამწყებელნი განცდად: ბ.კ. 75,22; ვერა-რაჯ სხუასა განვიცდიდით, თუნიერ ნაკუთისა: ბ.კ. 79,26;

განცდის სინონიმებია სიღვა, ხედვა და ყურება. ამ სინონიმებს იოანე პეტრიწი ხშირად ეანაცვლებს ერთმანეთს. "ბუნებისაჯს კაცისა"-ს VII თავში, რომელიც "მხედველობას" /=მხედველობას/ ეხება:

ბრავალგნის მხედველნი ვერ ვიხილეთ მუნ ბრდებარესა სახმარსა: 75,16; ხილვა: 75,21; ხილული, მხილველი: 78,5; აღმყურეტელნი: 75,19; არცაღა სხუაჯ რაჯმე არს მიტევ ხედვისა: 77,10; ზუასაცა შინა ნიჩაბსა ვითარრაჯ. განტეხილსა ხედავს: 81,10 /ხედვა, როგორც ზეთი ენასეთ, ფილოსოფიური მნიშვნელობითაც არის გამოყენებული/.

ბსტავესად ხედვისა, განცდაც, ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ "მხედველობის აღქმას კი არ გულისხმობს, არამედ "გონების აღქმას, შეგნებას, გონებით განყურეტას, ჩანვლომას". ასეთი მნიშვნელობით იგი ძველ ქართულშიც იხმარებოდა ზოგჯერ:

რომელსა იგი ქგონებდეს გარეშენი იგი ფილოსოფოსნი და არა განიცადეს მას შინა განცხადებულებაჯ ყოშმარიტი: კაც. აგებ. 155,14 /=ვერ ჩაწვდენენ/.

ბიორგი მოაწმიდელიც ხმარობს ამავე მნიშვნელობით:

რაჯთა არა აქუნდეს უნურთელი გონებაჯ ჩუენსა წინამდებარეთა ამ-

ად განცდისაკენ: ექუსია, 63,23; რაჲცა... უხილავი იგი განიცადოს: ექუსია, 40,5.

იოანე პეტრიწი განცდა-ს ხშირად ხმარობს "გაგების", "გონების ხედვის, ხედვის" მნიშვნელობით, აგრეთვე "ყურების" /созерцание / მნიშვნელობითაც:

ყოველი გონებაჲ... სამ სახედ განიცდების: II, 188,21; ან ჩუენ განვიცადოთ, თუ ვიცარ არს საუკუნოჲ საუკუნეთაჲ და ყამი ყამთაჲ: III, 116,35-36; თუ ღონებაჲცა ძნელ და ღრიფა უჩუეულოთუს უსხეულოთა განცდისა: II, 51,8; ხედვაჲცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მეარისტოტელურა: II, 222,21; ამას თავსა შორის ფრიად საოანარონი და ძნელნი მოქონან ხედვისა გაცდა-ყურეანი: II, 107,11-12.

6. მირთჟილება, შენანდერება, შეგანებჟილება

"ჰარმონიის" მნიშვნელობით იოანე პეტრიწი ხმარობს ტერმინს მირთჟილება:

არა ვიერრემე არს მირთჟილება სული: ბ.კ. 32,13

Οὐκ ἄρα ἁρμονία ἔστιν ἡ ψυχή: Migne, 553,12

იშვიათად, ამავე მნიშვნელობით მასთან ტერმინი შენანდერებაც გვხვდება:

ხოლოვარ ვიერრემე არიან სულისა შენანდერებად მოქუმელნი: ბ.კ. 32,9-10 /ψευδὸς ἄρα τὸ ἐν ψυχὴν ἁρμονίαν εἶναι: Migne 552,25.

"ჰარმონიულის" მნიშვნელობით ძველი ქართული ენის ძეგლებში გვხვდება შეგანებული:

ვერ გამოსცის ჯმაჲ იგი მაოგან შეგანებულად /კაც. აგებ. 172,6/; სიტყუაჲ შეგანებული აქუნდა მადლითა ღმრთისაჲთა /ეპიფ. 132,41/.

გიორგი მოანბიელთან შეგანებული "ბრძენურად შეერთებულის" მნიშვნელობით გვხვდება /ის. ექუსია, 55,14/; "ჰარმონიის" ცნიშვნელობით კი - შენანდერება: და ყოველი სოფელი ... ერთად ბიარებად და შენანდერე-

ბად შეამტკიცა /ექვსთა,17,12-13/.

შებაკეებულებას ეფრემ მცირე სმარობს სიმეტრიის"[1] მნიშვნელობით /პ.იბ,ტე.283/. "პარძონიის"მნიშვნელობით კი ძასთან ესადებით შენ-ყობიერებას:

ოსაეს არიან უმეტესითა ბუენიერებითა და საოძრთოლსა ნესიერებისა შენყობიერებითა: პ.იბ. 8,33.

შებაკეებულება-ს იოანე პეტრიწი სმარობს "შესამება,მენყობა,შერნ-ყმის" /πρᾶξις, слияние / მნიშვნელობით:

არა ვიერრემ შებაკეებულება არს ს�r: ბ.კ. 34,19

Οὐκ ἄρα ἡ πράξις ἐστι φυσις: Migne,557,5-6.

7. ძალი და მოქმედება; მემასრულებელი

ტერმინს ძალი იოანე პეტრიწი ისევე,როგორც ეფრემ მცირე /პ.იბ. 76,1;55,15/ ხმარობს "პოტენციის", "შესაძლებლობის" /δύναμις / მნიშვნელობით,მოქმედებას კი -"მოქმედი ძალის" /ἐνέργεια, осуществленная деятельность "მოქმედებაში მყოფი ძალის"/მნიშვნელობით:

კუერცხნი ძალად ოდენ არიან მფრინველ და არა მოქმედებით,ყრმანი ძალად ოდენ ქუეყანისმბრძოელ და არა მოქმედებით: II,16,5-6; რაბეუ მუძარებად მხედეარეობად არს,ხოლო ძილი ძალად ქონებად მხედეარეობისად და არა მოქმედებად: ბ.კ. 36,24-26; ხოლო არისტოტელი ძლიერსა უკუე ტონებასა ბანამებბადებულად კაცისა,ხოლო მოქმედებისა - სარკუმელთადმ ჩუენდად ბედმემოსრულად ითნებს: ბ.კ. 4,10-12.

Ἀριστοτέλης δὲ τὸν μὲν δυνάμει νοῦν συγκατεσκευάσθαι τῷ ἀνθρώπῳ, τὸν δὲ ἐνεργείᾳ θύραθεν ὑμῖν ἐπεισιέναι δοξάζει: Migne, 506,2-4

ძალისა და მოქმედების შესახებ მსჯელობა,როგორც ნემესიოსის "ბუნებისაჲს კაცისაში",ისევე იოანე პეტრიწის "განმარტებაში" არისტოტელეს მიხედვითაა წარმართული.ამასთან დაკავშირებით საინტერესოა "მოქ-

---

1 "სიმეტრიის" მნიშვნელობით იოანე პეტრიწი "სწორსაზომობას" ხმარობს სწორსაზომობად ასეთად: ბ.კ.35,9 - συμμετρία τῶν μελῶν: Migne, 553,39

მედება" ცნების მომცველი[1] ἐντελέχεια, რომელსაც იოანე პეტრიწი ეარგმნის ტერმინით შემასრულებელი. თუ კარგად ჩაუკვირდებით, ეს ტერმინი ბუსტად გამოსატავს საჭირო ცნებას. არისტოტელეს სიტყვები: τοῦ δυνάμει ὄντος λόγος ἡ ἐντελέχεια (ἐστιν)-"შესაძლებლობაში მყოფის საფუძველი ენტელექიაა"- უფრო გასაგებად შეიძლება ასეც ეთარგმნოთ: "ენტელექია არის შესაძლებლობაში მყოფის შემასრულებელი /განმახორციელებელი, გამომავლინებელი, осуществляющая /. ამგვარად, ტერმინი შემასრულებელი საესებით შეესაბამება ბერძნულ ἐντελέχεια-ს, იგი კარგადაა განმარტებული ნემესიოსის ეხბულების რუსულად მთარგმნელის ფ. ელიმირსკისა /იხ. Влад. ., გვ. 52 ბბშ./[2] და ს. გორგაძის მიერ /იხ. ბ.კ., ლექსიკონი, გვ. 215/. არისტოტელეს მიხედვით. ს. გორგაძის აბრით, იგი ნემესიოსის ეხბულებიდან შესანიშნავად აქვს ეარგმნილი იოანე პეტრწს /იხ. ბ.კ. გვ. 36, 11-28; გვ. 37, 1-17/. მაგრამ უფრო ცხადი რომ გახდეს ამ ტერმინის ეარგისიანობა და მის მიერ გამოხატული ცნების მიმართება "მოქმედება" ცნებასთან, ამ ეარგანიდან მოვიყვანთ მაგალითს:

/არისტოტელე/ არსებასა სამად იყოს: პირველად იყოს ნივთსა წინამდებარესა, რომელი თჳთ თავით ჴესით არა არს, ხოლო აქუს ძალი შექმნისა მიმართ; და კუალად, მეორედ - გუარსა,[3] რომლითა გუაროან იქმნე-

---

1 ვინ მოქმედებაც შემასრულებელია, ენტელექიაა. მაგ., პირველი შემასრულებელი არის ფორმა /გვარი/, მეორე შემასრულებელი კი - მოქმედება /ბ.კ. 36, 26-28/.

2. სხვაგან შორის, აქვორი აქ აღნიშნავს, რომ იგი არისტოტელეს ამ ორიგინალურ ტერმინს /ἐντελέχεια / ეთარგმნელად ფიქრობს, რადგანაც რუსულად მისი ბუსტად გადმოცემა შეუძლებელია ორი-სამი სიტყვითაც კი.

3. გუარი აქ ეარგმნილია ჰენდიადისი /μορφὴ καὶ εἶδος / ფორმა და სახე, Migne, 569, 40/, ქვემოთ კი მხოლოდ εἶδος - სახე.

ბის ნიეთი... არს უკუ[1] ნიეთი ძალ, სოლ გუარი შეპასრულებელ: /ბ.კ. 36,14-17; პირველად შეპასრულებელად /არისტოტელი/ უწოდს გუარსა, სოლ მეორედ - მოქმედებასა /ბ.კ. 36,27-28/: ასე საკალითად, თეალისა-ვის "გუარი... და შეპასრულებელ თუ იგი პირველი, მხედველობაჲ არს თუალისაჲ... სოლ მეორე შეპასრულებელ თუალისაჲ არს მოქმედებაჲ, რომელია იხედვარეობს" /ბ.კ. 37,4-7/.

ეს მნიშვნელობა კარგადაა გამოსატული რუსული ტერმინით - осуществление, შეპასრულებლობა, განხორციელებულობა.

6. ენერგია ენერგიზება

Ἐνεργήσαι ἀνάγκη ფილოსოფიაში ორი ერთმანეთის საპირისპირო მნიშვნელობის ბერძნ ტერმინია. პირველი ნიშნავს "ბუნებ ცოდნას", მეორე - "დაბადებას, მიზეზებას". Ἐνεργήσαι -ს შესაფერისად იოანე პეტრიწი სპარობს ტერმინებს: ბედმიწევნა, ბედმიწევნულება. უფრო სწორად კი ჰენდიადისებს: "ბედმიწევნა და ყოლოვნება" ან "ბედმიწევნულება და ყოლოვნება". ამ ტერმინებს მასთან, გარდა "ბუნებად ცოდნის, ნამდვილი ცოდნის, ჩანფლობის, განყენერტის" /ὑφίστασθαι / მნიშვნელობისა, "მეცნიერების" /ἐπιστήμη / მნიშვნელობაც აქვს. ამ მხრივ, Ἐνεργήσαι-ს ბერძნულად ჰენდიადისად თარგმნა მიღად გამართლებული არ არის, რადგანაც Ἐνεργήσαι-ს "მეცნიერების" მნიშვნელობა სწორედ τέχνη - სთან, ხელოვნებასთან მიმართებაში აქვს. ასეთი თარგმანი, როგორც ჩანს, გამონაგონია იმიტ, რომ Ἐνεργήσαι თავისთავად, ბოგჯერ "ხელოვნებასაც" ნიშნავს. Ἐνεργήσαι ცნების მხოლოდ ბედმიწევნად გადმოცემა კი საფუძ-

---

1 ეს უკანასკნელი წინადადება სიბას ლექსიკონის რამდენსამე ხელნაწერშია გამოყენებული ნიეთის განმარტებისას წყარის ᲑᲘᲑᲚᲘᲐᲗᲔᲚᲐᲓ: "არს უკუე ნიეთი ძალი, სოლ გუარი შეპასრულებელი" /ΔΕΣΟΦ , ის. სიბა/. ცხადია, იგი იოანე პეტრიწის თარგმანის აქ მოყვანილი ადგილიდანაა ამოღებული.

ვეის მოკლებული არ არის, რადგანაც ძველ ქართულში ტემპერენა ნიშნავს "ორმად ჩასვლობას", "სიბესტეს"; ტემპერენი კი "ბუსტს" /იხ. ბაბ, ტვ. 61 ოე. და ეფთ. ტვ. 76,3; ა.ბ. 109,25 და სხვ./.

მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს:

რამეთუ უკუეთუ ცნობად ძიბებთად საქმე და აღსასრული არს ბერძენულებისა და ჭელოვნებისად, და მაშინცა ეიტყუ ბერძენულად ჭელოვნებასა, რაჟამს მიბებნი ეცნნენ მეოფანი: I, 11,16-20.

(Ἡ γὰρ τῶν αἰτίων γνῶσις ἐπιστήμης ἐστὶν ἔργον καὶ τότε λέγομεν ἐπίστασθαι ὅταν τὰ αἴτια γνωρίσωμεν τῶν ὄντων: Plot. § 11).

კაცსა განასაზღვრებენ რას, საზღვრისა ძ�r ბეჭოსურებ ესრე: "ცხოველი სიტყვერი, მოკვდავი, ბრენებისა და ბერძენულებისა შეშნარებელი": ბ.კ. 17,16 (... ζῶον, λογικόν, θνητόν, νοῦ, καὶ ἐπιστήμης δεκτικόν: Migne : 324,19/.

9. ტერმინი ენება /"მიჩნევა", "დაშვება"/ იოანე პეტრიწი ბარგნის ბერძნ. δόξα • ნ (мнение):

Οὔτε δόξα ἔστιν αὐτῶν, οὔτε ἐπιστήμη καὶ σύνοια, οὔτε νόησις : Plot. § 123

არცა ენებითი ძალი მოქმედებს მადამი და არცა ბერძენულად და მიმოგონებად და არცა ცაგონებად: I, 76,7-8;

"დაშვების", "შესადეგებლის", "მიჩნევის" მნიშვნელობითაა ენება ნახმარი "ცანმარტებაშიც":

ტესმა, თუ რაოდენთა მცის უჩინო ქყოფს ენებათა პირველი მათსა: II, 38,28-32.

ენება შესაძლოა, დიალექტური ვარიანტი იყოს ძველ ქართულში ხმარებული მონაცვლე-ენება ფორმებისა /ენება - მიწონება, საბა/.

მიღებულია 23.V.75

ასაკი ქართული ენის
კათედრა

დამოწმებული ძეძლები და სასარგებლო მეშვეობანი

1. I, იოანე პეტრიწის შრომები, I, პროკლე დიადოხისისა და პლატონური ფილოსოფოსისა კავშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ.ყ ა ვ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ა, თბილისი, 1940.
2. II, იოანე პეტრიწის შრომები, II, განმარტებაჲ პროკლესაჲსს დიადოხისისა და პლატონურისა ფილოსოფოსისაჲსს, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ.ნ უ ც უ ბ ი ძ ე მ და ს.ყ ა ვ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ა, თბილისი, 1937.
3. ბ.კ. – ნემესიოს ემესელი, ბუნებისაჲსს კაცისა, ბერძნულიდან გადმოლებული იოანე პეტრიწის მიერ, ქართული ტექსტები შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ს.რ.ტ ო რ ნ ა ძ ე მ, ფოთი, 1914.
4. ეპიფ. – ეფრემ ასური, ცხოვრება ეპიფანე კუპრელისაჲ; საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, გამოსცა ი. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ა, თბილისი, 1966.
5. ექუსთა – ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ.კ ა ხ ა ძ ე მ, თბილისი, 1947.
6. იოვ. და ეფთ. – გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ მამისა ჩუენისა იოანესი და ეფთიმესი, ა. მ ა ნ ი ძ ე, გიორგი მთაწმიდელის ენა, ცხოვრება იოანესი და ეფთიმესი, გამოსაცემად დაამზადა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ა, 1946.
7. ისტ. ქრესტ. – ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გამოსაცემად მოამზადა ი. ი ბ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ა, თბილისი, 1963.
8. კაც. აგებ. – გრიგოლ ნოსელი, კაცისა აგებულებისაჲსს. იხ. უძველესი რედაქციები ბასილი კეისარიელის "ექუსთა დღეთაჲსა" და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა კაცისა აგებულებისაჲსს", X-XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი

ბაურთი ილია ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბილისი, 1964.

9. კომ. – ეფრემ მცირის კომენტარები გრიგოლ ღმრთისმეტყველის სიტყვასა ბასილი დიდის ეპიტაფიად. იხ. ფ. ფ ა ფ ა ლ ი შ ვ ი ლ ი გრიგოლ ნაძიანძელის "სიტყვას ეპიტაფიად დიდისა ბასილისაჲს ეფრემ მცირის ქართული თარგმანში", საკანდ. დისერტაცია, 1953.

10. ლიმ. – იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილია ა ბ უ ლ ა ძ ე მ, 1960.

11. პ.იბ. – პეტრე იბერიელი /ფსევდო-დიონისე არეოპაგელი/ შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა,გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ე ნ უ ქ ა შ ვ ი ლ მ ა, თბილისი, 1961.

12. რაჟდ. – მარტვილობაჲ რაჟდენ პირველმოწამისაჲ, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი სოლ. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, I, თბილისი, 1946.

13. საბა – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, 1966.

14. სინ.მრ. – სინური მრავალთავი 864 წლისა, აკაკი შ ა ნ ი ძ ი ს რედაქციით,წინასიტყვაობითა და გამოკვლევით, 1959.

15. ჯაბ – წამებაჲ ჯაბოჲსი,რომელ იწამა ქართლსა შინა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I /IV-X სს./, ილია ა ბ უ ლ ა ძ ი ს რედაქციით, 1963.

16. Влад.-В л а д и м и р с к и й Ф., Немезий, Эпископ Эмесский, "О природе человека", пер. с греческого, Почаев, 1904.

17. Лос.-Прокл,Первоосновы теологии, перевод и комментарий проф. А.Ф.Лосева, Тбилиси, 1972.

18. Migne – Patrologiae cursus completus, series graeca, 1858 éd. J. P. Migne (p.p. 505-518);

19. Plot. – Plotini, Enneades, Parisiis, edit. A.F. Didot.

Д.Н.Меликишвили

К ТОЛКОВАНИЮ НЕКОТОРЫХ ТЕРМИНОВ В ФИЛОСОФСКИХ ТРУДАХ ИОАННА ПЕТРИЦИ

Р е з ю м е

В работе дается толкование следующих терминов, употребляемых Иоанном Петрици: сущность, сущее, существование, материя, ум, разум, мысль, размышление, созерцание, теория, гармония, ентелехия (осуществленность), мнение. Данные термины сопоставлены с синонимичными терминами, засвидетельствованными в древнегрузинских литературных памятниках. Помимо этого указаны и другие, омонимичные, значения этих слов, употреблявшихся в древнегрузинских литературных памятниках не в терминологическом, а в обычном значении.

D.Melikischwili

ZUR ERLÄUTERUNG EINIGER IN DEN PHILOSOPHISCHEN WERKEN VON IOANE PETRIZI GEBRAUCHTEN FACHAUSDRÜCKE

Zusammenfassung

Im vorliegenden Aufsatz werden neun philosophischen Termini behandelt, die Ioane Petrizi in seinen Werken gebraucht.

Die genannten Fachausdrücke werden mit den synonimischen Wörtern verglichen, die in den altgeorgischen Schriftdenkmälern vorkommen. Dabei wird festgestellt, daß nicht alle von Ioane Petrizi terminologisch gebrauchten Wörter in den altgeorgischen Schriftdenkmälern als Fachausdrücke funktionieren.

დამანა მელიქიშვილი

ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში[1]

როგორც ცნობილია, მ- და გუ- პრეფიქსები ძველ ქართულში პარალელურად გვხვდება ზმნაში I პირის (პირდაპირი და ირიბი) ობიექტის აღმნიშვნელად. აქედან მ- პრეფიქსი ორსავე რიცხვში (გან-მ-აძლიერა მან მე. გან-მ-აძლიერ-ნ-ა მან ჩ უ ე ნ, მაქუს მე იგი მ-აქუს ჩ უ ე ნ იგი); ხოლო გუ- პრეფიქსი კი მხოლოდ მრავლობითში (გან-გუ-აძლიერ-ნ-ა მან ჩ უ ე ნ; გ უ-აქუს ჩ უ ე ნ იგი).

ამ პარალელურ ფორმათა შესახებ გამოთქმული მოსაზრებები ცნობილია. ის ფაქტი, რომ მ- და გუ- პრეფიქსები მრავლობითს რიცხვში დასმული I ობიექტური პირის აღნიშვნისას ძველ ქართულში ენაცვლება ერთმანეთს, ორი ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას იძლეოდა: 1. მათი ფუნქციები წარმოშობით სხვადასხვაა: კერძოდ, მათ ოდესღაც ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გაშოხატვის ფუნქცია ეკისრებოდათ ზმნაში (1, გვ. 25, §6. 3, გვ. 335 შნშ. 1; 4, გვ. 373—4; გვ. 185, § 224; 5, გვ. 223); 2. ისტორიულად ისინი სინონიმური ფორმანტებია (როგორც I ობიექტური პირის აღმნიშვნელნი ზმნაში) და სხვადასხვა დიალექტური წრიდანაა შემოსული სალიტერატურო ენაში (6, გვ. 114).

მეორე მოსაზრება დამტკიცებულია იმ წანამძღვრიდან ამოსავლით, რომ მრავლობითისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ერთია და, ამდენად, ინკლუზივის (გუ-) ფორმანტი, როგორც ამავე დროს მრავლობითის ნიშანი, არ შეიძლება თანაარსებობდეს მრავლობითის (-ენ>-ნ) სუფიქსთან ერთ ფორმაში. ხოლო რადგანაც გუ- პრეფიქსი სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითობის -ნ სუფიქსთან ერთადაა წარმოდგენილი ზმნაში (გან-გუ-აახლ-ნ-ა), ამიტომ ძველ ქართულში იგი არ შეიძლება იყოს მრავლობითის ნიშანი. პრეფიქსი გუ-, ისევე როგორ მ-, I ობიექტური პირის გამომხატველი ფორმანტია როგორც სახელობითში დასმულ ობიექტიან ფორმებში (დაგუამდაბლნა მან ჩუენ), ასევე მიცემითში დასმულ ობიექტთან (გ უ-აქუს ჩუენ 6, გვ. 100). ამას მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ ქართულში მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპი სუფიქსურია და გამონაკლისს სწორედ მხოლოდ გუ- პრეფიქსი წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ამ მოსაზრებისათვის ერთადერთი დამაბრკოლებელი ფაქტი ისაა, რომ ძველ ქართულში გუ- პრეფიქსი მხოლობითი რიცხვის I პირის ობიექტის გამომხატველად არასოდეს არ გვხვდება. იგი იხმარება მხოლოდ მრავლობითს რიცხვში დასმული ობიექტის აღსანიშნავად.

მაგრამ პირველი მოსაზრება გაზიზტიკებულ იქნა იმ ამოსავალი დებულებით, რომელიც გულისხმობს, რომ მრავლობითი რიცხვისა და ინკლუზივ-

[1] წაკითხულია მოხსენებად 1974 წ. მაისში ფილოლოგიის ფაკულტეტის XVII სამეცნიერო სესიაზე.

ექსკლუზივის კატეგორიები სხვადასხვაა და, ამდენად, ისინი ზმნაში სხვადასხვა მორფემებით უნდა ყოფილიყო აღნიშნული[2]. ნაშრომში „ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში“ (2, გვ. 233) სვანური ენის მასალაზე დაყრდნობით ა. ონიანშა დაამტკიცა, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის პრეფიქსებს არ აკისრია მრავლობითის გამოხატვის ფუნქცია. მრავლობითის ფორმანტები სუფიქსებია, ზოლო პრეფიქსები — სულ სხვა, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამომხატველნია ზმნაში (ხუ-ური-დ ლ-ური-დ).

ასეთ შემთხვევაში გუ- პრეფიქსისა და მრავლობითის -ენ (-ნ) სუფიქსის თანაარსებობა ზმნის ფორმაში წინააღმდეგობას აღარ შეიცავს და თითქოს მართლდება ის მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ძველ ქართულში მ-//გუ- პრეფიქსთა პარალელური ზმარება და მათი ურთიერთშენაცვლება I ობიექტურ პირში გადმონაშთია ოდესღაც ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გარჩევისა ქართული ზმნის პირიან ფორმებში. ამ მოსაზრების აუტორთა აზრით, გუ- პრეფიქსი უნდა ყოფილიყო ინკლუზივის აღმნიშვნელი, მ- კი ექსკლუზივისა. მაგალითად, ა. ონიანი წარმოგვიდგენს ვარაუდს, რომ „ძველ ქართულში დადასტურებული ფორმები (მაქუს ჩუენ და დამიდგინნა ჩუენ) ექსკლუზივის ოდინდელი გამოხატვის ნაშთია, ხოლო მ- ფორმანტი ამ კატეგორიის ოდინდელი ნიშანი“ (2, გვ. 234), ასევე, გუ- პრეფიქსი — ინკლუზივის ოდინდელი ნიშანი. თუ დასახელებული მოსაზრება გამართლებულია გუ- პრეფიქსის მიმართ (რომელიც ინკლუზივის გამოხატველი უნდა ყოფილიყო ოდესღაც), იგი ვერ გავრცელდება მ- პრეფიქსზე, რომელიც აშკარად I ობიექტური პირის ნიშანია ზმნაში და ვერ შეითავსებდა სხვა ფუნქციას (მით უფრო, ექსკლუზივისას, რომელიც მრავლობითის გაგებას შეიცავს), თუ გავითვალისწინებთ ამოსავალში ქართული ზმნის აგებულების აგლუტინაციურ პრინციპს (რაც დღესაც ძირითად პრინციპად რჩება).

ამის ნათელ საბუთს ისევ სვანური ზმნა წარმოადგენს; მასში აგლუტინაციის პრინციპი ისტორიულად III სუბიექტურ პირშიც კი არის გატარებული (ლ-ი — ლ-ი-ხ, სადაც ლ—*ნ (1, გვ. 8).

უნდა ვიფიქროთ, რომ გუ- პრეფიქსის (როგორც ინკლუზივის გამომხატველი ფორმანტის) ცალი — ექსკლუზივის ფორმანტი უნდა ყოფილიყო არა მ- პრეფიქსი, რომელიც ძველ ქართულში გუ- პრეფიქსის პარალელურად იხმარება, არამედ სულ სხვა აფიქსი, რომლის კვალიც უკვე გამქრალია ძველ ქართულში. თუ სვანურის მონაცემებს შეხედავდით, სადაც ობიექტურს უღელილებაში O_1=მ-, Oi=გუ, ხოლო Oe=ნ-, მაშინ ქართულისათვის ობიექტური უღელილებისას ეს სქემა ასევე წარმოგვიდგებოდა, ოღონდ ნ- პრეფიქსის ადგილს უცნობი x აფიქსი დაიკერდა: O_1= მ- Oi=გუ-
Oe=x

მაგრამ საკითხი ასე იოლად ვერ გადაწყდება. აქ უნდა გავითვალისწინოთ ის მოსაზრება, რომელიც ა. ონიანს აქვს განვითარებული სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმისა და მრავლობითი რიცხვის O_1 და S_1 პირთა ფორმების ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით.

---

[2] იგივე მოსაზრება დამოუკიდებლად გამოთქვა დ. ნინუამ სადისერტაციო ნაშრომში „ბრძანებითი კილო ქართულში“.

საქმე ისაა, რომ სვანურში ამ მხრივ განსხვავებაა სუბიექტურსა და ობიექტურს უღვლილებაში. I სუბიექტური პირის მრავლობითი რიცხვისა და ექსკლუზივის ფორმები პრეფიქსებით არ განსხვავდება ერთმანეთისაგან (Sმ.— ხუათური; Se — ხუ-ათური-დ). ინკლუზივი კი ლ-··ლ; პრეფიქსითაა გამოხატული (Si ლ-ათური-დ).

განსხვავებით სუბიექტური უღვლილებისაგან, ობიექტურს უღვლილებაში I პირს თავისი ნიშანი აქვს — O_1 მ-; ინკლუზივს თავისი: O_i გუ-; ექსკლუზივს კი თავისი — Oe ნ-.

ამიტომ, ბუნებრივია, დაისვა კითხვა: ამოსავალი ვითარება სუბიექტურს უღვლილებაშია დაცული თუ ობიექტურში? ა. ონიანის აზრით, ამოსავალი ვითარება დაცული უნდა იყოს სუბიექტურს უღვლილებაში, ე. ი. იქ, სადაც S_1 და Se ფორმები ემთხვევა ერთმანეთს. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბების პერიოდში მხოლობითისაგან განსხვავებული ის ფორმა უნდა ყოფილიყო, რომელიც ორ პერსონალურ პირს აერთიანებდა (I და II). ექსკლუზივი კი, რომელიც I პირთან ერთად „არაპერსონალურ" შესაძე პირსაც შეიცავდა (ზოლო II-ს გამორიცხავდა), მხოლობითი რიცხვის ფორმასთან ისე მკვეთრად არ უნდა ყოფილიყო დაპირისპირებული (2, გვ. 230).

ზაგრამ ამ სავსებით ლოგიკური ვარაუდის საფუძველზე ავტორი სრულიად მოულოდნელად დასკვნის, რომ „I ობიექტური პირის პრეფიქსი ისტორიულად ექსკლუზივის ნიშნადაც უნდა ყოფილიყო გამოყენებული". ასეთი ნიშანი კი არის ყველა ქართველურს ენაში, ესაა მ-, რომელიც სვანურში ამჟამად მხოლოდ მხოლობითს რიცხვშია დადასტურებული. ექსკლუზივის სიშანი ნ- პრეფიქსი, რომელსაც ქართველურ ენებში შესატყვისი არ მოეპოვება, მეორეული ჩანს და მიღებული უნდა იყოს მ-სგან.

საბოლოოდ, სვანურში ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის ა. ონიანის მიერ წარმოდგენილი სქემა ასეთია:

სუბ. უღვლილება:	ობ. უღვლილება
S_1 ხუ-	C_1 მ-
Se ხუ-	Oe *მ-→ნ-
Si ლ-	C_i გუ-

როგორც ვხედავთ, S_1 და Se გამოხატულია ერთი და იმავე პრეფიქსით (ხუ-); O_1 და Oe ამოსავალში გამოიხატება ერთი და იმავე (მ-) პრეფიქსით, დღეს კი მათი გამოხატულება სხვადასხვაა (O_1-მ-; Oe-ნ-).

თუ ამგვარი სქემა სინქრონიულ ასპექტში გამართლებულია (მას შემდეგ, რაც ობიექტურ უღვლილებაში O_1 და Oe-ის პრეფიქსები განსხვავდა და, ამგვარად, ექსკლუზივს თავისი საკუთარი ნიშანი გაუჩნდა, ამის მიხედვით შეიძლება სუბიექტურს უღვლილებაშიც ექსკლუზივის ნიშნად ხუ- პრეფიქსი ვიგულოთ, ე. ი. იგივე S_1 პირის პრეფიქსი), ამოსავალში ამგვარი სქემის დამვება შეუძლებელია. O_1-ის პრეფიქსი მ-, ისევე, როგორც S_1-ის ვ- (ხუ-) ისტორიულად (ამოსავალში) არ შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო ექსკლუზივის ნიშნადაც (რომელსაც მრავლობითის გაგება უნდა ჰქონოდა), თუ გავითვალისწინებთ ქართული (//სვანური) ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის აგლუტინაციურ პრინციპს (ცნობილია, რომ ფლექსიური ტიპის გამოვლენის გამონაკლისი შემთხვევები ქართულ ზმნაში მეორეულია და ამოსავალში სტრუქტურული თვალსაზრისით აგლუტინაციურ ტიპს გვიჩვენებს. მხედველო-

ბაში ფუძეს სვანურში S_3-ის პრეფიქსული წესით გამოხატვის გადმონაშთი შემოხვეული. ქართულში S_3 მრავლობითი რიცხვის სუფიქსები, რომელთაც დღეს პირის გამოხატვის ფუნქციაც აკისრია, დაბოლოს O_1-ის მრავლობითის გუ-პრეფიქსი, რომელიც, როგორც გამოირკვა, ისტორიულად ორი ფუნქციის მატარებელი არ ყოფილა).

ინკლუზივის ფორმაში I პირთან ერთად აღსანიშნი II პირიცაა. ინკლუზივის კატეგორია I პირთან ერთად აუცილებლად ჩარიცხავს II პირსაც, III პირი კი შეიძლება იგულისხმებოდეს, შეიძლება არა. ექსკლუზივის ფორმა II პირს გამორიცხავს, იგი I და III პირს გულისხმობს. ამგვარად, III პირის არსებობა ორივე ფორმაშია შესაძლებელი — ინკლუზივურშიც და ექსკლუზივურშიც. მნიშვნელობა ენიჭება იმას, არის თუ არა ჩარიცხული II პირი. თუ არის — აქან გამოხატვა ესაჭიროება, თუ არ არის — არა. აქედან ცხადია, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია განსაკუთრებული აუიქსით II პირის აღნიშვნას მოითხოვდა მისი არსებობის შემთხვევაში (ინკლუზივი), მისი არარსებობის აღნიშვნა კი, ცხადია, საჭირო არ იყო (ექსკლუზივი).

აქედან ლოგიკურია დასკვნა, რომ ინკლუზივს უნდა ჰქონოდა ნიშანი, ექსკლუზივს კი არა.

ამგვარად, ისტორიულად ერთმანეთს უპირისპირდება ორი ფორმა: ნიშნიანი — ინკლუზივისა და უნიშნო — ექსკლუზივისა. ეს უკანასკნელი, ცხადია, დაემთხვეოდა მხოლობითი რიცხვის ფორმას ორსავე უღვლილებაში (ობიექტურშიც და სუბიექტურშიც).

სქემა შემდეგი სახისა იქნებოდა:

ობ. უღვლილება				სუბ. უღვლილება			
C_1	მ-	Ci	გუ-	S_1	ვ-(ხუ-)	Si	x (ლ)
		Oe	Ø			Se	Ø.

რა პრინციპი უნდა დასდებოდა საფუძვლად ინკლუზივის კატეგორიის გამოხატვის წესს? პრინციპი შეტად მარტივი იყო: ფორმაში იგულისხმებოდა I და II პირი — ნიშნებიც ორივე პირისა იყო წარმოდგენილი (საქმე ეხება მხოლოდ ობიექტურს უღვლილებას: შემთხვევითი არ არის, რომ ქართულში სუბიექტურს უღვლილებაში კვალიც კი არ არის დარჩენილი ამ კატეგორიის არსებობისა, მაშინ, როდესაც გუ- პრეფიქსი ობიექტურს უღვლილებაში დღესაც ცოცხალია, თუნდაც სხვა ფუნქციით). სქემა ასეთი იქნებოდა: $\begin{matrix} O_2 \\ O_1 \end{matrix} > {}^{*}$გმ → გუ

საფაც გ-ს მომდევნო პოზიციაში, თავდაპირველად თანხმოვნების წინ (გმC) შემდეგ კი ანალოგიით ხმოვნების წინაც (გმV), მ გადადიოდა უმარცვლო უ-ში (შდრ. ქმრივი→ქურივი→ქვრივი)[3].

ამგვარი დაშვება ლოგიკურად სავსებით გამართლებულია და ეს ჰიპოთეზა, როგორც ცნობილია, ადრევე იქნა გამოთქმული (1, გვ. 26), ოღონდ მის აღიარებას ხელს უშლიდა ის ფაქტი, რომ სვანურში სუბიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივის ნიშნად მიჩნეული ხუ- პრეფიქსი, რომელიც ზემოთ მიღებული წესის მიხედვით S_1 S_3-ს უნდა გულისხმობდეს, შედგენილობის მიხედვით S_2 (ხ) S_1 (უ) -ს შემცველი გამოდიოდა, რაც შინაარსის მიხედვით შეუძლებელია.

---

[3] O_2 პირის ნიშნად სვანურში დღეს ჯ-ს არსებობა დაბრკოლებად ვერ ჩაითვლება, რადგანაც „ზოგი პირველადი სახე გ- უნდა ყოფილიყო" (1, გვ. 26).

მაგრამ ისმის კითხვა: არის თუ არა სვანური ზმნის სუბ. უღვლილებაში ექსკლუზივ-ინკლუზივის ფორმა ისეთივე აგებულებისა , როგორიც ობიექტურს უღვლილებაში? დღევანდელი სურათის მისედვით ამას ვერ ვიტყვით: ინკლუზივის ნიშანი არის ლ-, ერთი ბგერა (რომელსაც ვერავითარი ლინგვისტური მანიპულაციით ვერ ჩავთვლით მიღებულად ორი პრეფიქსისაგან).

სუბიექტურს უღვლილებაში, ვფიქრობთ, საქმე სულ სხვაგვარად უნდა ყოფილიყო. აქ არც ინკლუზივის ნიშანი არის შედგენილი ორი შესაბამისი ნიშნისაგან და არც ექსკლუზივის ნიშანი უნდა ჩაითვალოს ამგვარი წარმოშობისად. ლოგიკურად ორი დაშვების შესაძლებლობა გვაქვს: ან ამ უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია უფრო გვიანდელი ჩამოყალიბებულია, ვიდრე ობიექტურს უღვლილებაში, და მაშინ გასაგებია, რატომ არ დაედო საფუძვლად მის გამოხატვას ძველი წესი: კატეგორიას უკვე აბსტრაქტული გაგება ჰქონდა და ნიშანიც აბსტრაქტული მიიღო. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სვანურში ამ ფუნქციით დაიტვირთა უფუნქციოდ დარჩენილი S_3-ის პრეფიქსი ლ-, მას შემდეგ, რაც S_3 გამოხატვა ზმნურ სისტემაში სუფიქსებს დაეკისრათ. ხოლო ექსკლუზივს კი, ისევე, როგორც ობიექტურს უღვლილებაში, ნიშანი არ ჰქონდა. ხუ- პრეფიქსი, სადაც ძირითად ელემენტად უ მიაჩნიათ, S_1-ის ნიშანია (1, გვ. 7). არ არის გამორიცხული, რომ S_1-ის თავდაპირველი პრეფიქსის — ვ-ს წინ ხ ფონეტიკურად იყოს განვითარებული (შდრ. ქეიშს, ღვინო). შემდეგ კი ხ-ს მომდევნო პოზიციაში ვ—უ (შდრ. ძვ. ქართ. ხეყაე; შეხუაბთ: შეეხაბ>შეხვაბ>შეხუაბ).

ამგვარად, სვანურში ექსკლუზივის ფორმის ხუ- არის არა ამ კატეგორიის ნიშანი, არამედ S_1-ის ნიშანი (სადაც უ-ს წინ ხ განვითარებულია).

ამ დაშვებას მხარს უჭერს ის, რომ ქართულში სუბიექტურს უღვლილებაში არავითარი კვალი არ ჩანს ამ კატეგორიის გარჩევისა მაშინ, როცა ობიექტურ უღვლილებაში მ- და გუ- პრეფიქსთა პარალელური არსებობა ძველ ქართულში გვაეარაუდებინებს ამ კატეგორიის ოდინდელ გარჩევას ზმნის ფორმაში (რასაც მხარს უჭერს სვანურის ღღევანდელი ეითარებაც: მ- ეხოლობითი რიცხვის O_1; გუ- ინკლუზივი).

ან ის დაგვრჩენია ეიეარაუდოთ, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბებისას სვანურ S_1 პრეფიქსს უკვე მიღებული ჰქონდა ხუ- კომპლექსის სახე და, ამგვარად, ინკლუზივის ნიშნად ეეღარ მიიღებდნენ S_1 S_2 (ეხ>ხვ>ხუ) ნიშანთა კომბინაციას, რადგანაც ინკლუზივის ფორმა ასეთ შემთხვევაში დაემთხვეოდა S_1-ისას და აქედან — ექსკლუზივის ფორმას. ამიტომ, ენაში ინკლუზივის გამოსახატავად გამოიძებნა სულ სხვა საშუალება, კერძოდ ლ- ნიშანი, რომელიც, სრულიად შესაძლებელია, წარმოშობით S_3 პირის ფუნქციადაკარგული პრეფიქსი იყო და ისევე განაგრძობდა არსებობას (უფუნქციოდ), როგორც ოდესღაც ქართულში გუ- პრეფიქსი (მანამ, სანამ ამ უკანასკნელს არ მოუსწრო ძერებმა სინტაქსის სფეროში და მრავლობითის გამოხატვა არ დაეკისრა).

ასეა თუ ისე, ობიექტური და სუბიექტური უღვლილება ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიისა და მრავლობითი რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით სვანურში სტრუქტურულად განსხვავდება ერთმანეთისაგან:

1. ობიექტური უღვლილება:

	ძველი:	ახალი:
Ci მ-	Ci გუ-	Ci გუ-
	Ce Ø (Ci მ-)	Oe ნ-

2. სუბიექტური უღვლილება:

		მრ. რ. სუფ.
Ci ხუ-	Si ლ-	-დ
	Se -Ø- (Siხუ-)	-დ

ისტორიულად არც ობიექტურს უღვლილებაში და არც სუბიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივს ნიშანი არ ჰქონდა. ამიტომ ობიექტურს უღვლილებაში იგი ემთხვეოდა მხოლობითი რიცხვის ფორმას. სუბიექტურს უღვლილებაში კი ექსკლუზიური ფორმა არ ემთხვეოდა მხოლობითისას (თუმცა S_1 პრეფიქსი ხუ- ახლდა), რადგანაც მას ბოლოში მრავლობითი რიცხვის სუფიქსი ერთვოდა: ხუარი — ხუარიდ, რომელიც მას მხოლობითისაგან განასხვავებდა, მეორე მხრივ კი იგი ინკლუზივის ფორმისაგანაც განსხვავდება S_1 პრეფიქსის გამო: ხუარიდ ლარიდ. შესაძლებელია. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ობიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივის ფორმის განსხვავება მხოლობითისაგან (მი მაყანაა მაყა). მორფოლოგიურმა საჭიროებამ გზა გაუხსნა შესაძლებელი ფონეტიკური პროცესების განხორციელებას: როგორც ალ. ონიანი უშვებს, ობიექტურს უღვლილებაში მხოლობითისაგან ექსკლუზივის ფორმის განსხვავება უნდა მომხდარიყო მ-ს ნ-ში გადასვლის გზით. ამის მიზეზი კი უნდა ყოფილიყო მრავლობითი რიცხვის ნაა ნაცვალსახელი, რომელიც აუცილებელი თანამდევი იქნებოდა მრავლობითი რიცხვის გაგებით ნახმარი რომელიმე მაყა ფორმისა (რომელიც მხოლობითი რიცხვის ფორმას ემთხვეოდა, რადგანაც მიცემითში დასმული ობიექტის მრავლობითობა ზმნაში არ აღინიშნებოდა).

მეორე გარემოება, რომელსაც მ>ნ გადასვლაზე შეეძლო ემოქმედა, ეს მისი მხოლობითის წყვილთან (მი მაყა) ტიპოლოგიური დაშსგავსების, ანალოგიის გავლენა უნდა ყოფილიყო ნაა მაყა>ნაა ნაყა (გ. მაჭავარიანი).

ასე განსხვავდა ობიექტურს უღვლილებაში მხოლობითის ფორმისაგან ექსკლუზივის ფორმა ზემოსვანურში. ქვემოსვანურში, როგორც ცნობილია, ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია არ არსებობს. თუ ვიგულისხმებთ, რომ იქ ეს კატეგორია არსებობდა და მოიშალა, ამისათვის ხელი იმას უნდა შეეწყო, რომ იქ, როგორც ჩანს, ექსკლუზივის ფორმაში არ მოხდარა მ>ნ გადასვლა, ე. ი. არ მომხდარა ექსკლუზივის ფორმის მხოლობითისაგან განსხვავება, ხოლო, რადგანაც არ არსებობდა ინკლუზივთან მკვეთრად დაპირისპირებული ექსკლუზივის ფორმა (ეს უკანასკნელი მთლიანად ემთხვეოდა მხოლობითის ფორმას), აზრობრივი დაპირისპირებაც თანდათან მოიშალა. ამიტომ გახდა შესაძლებელი ამ პროცესზე გავლენა მოეხდინა ქართულს.

ასევეარად, ობიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივის კატეგორიის ნიშნით ეაფორმება მეორეული მოვლენაა. სუბიექტურს უღვლილებაში კი დაცულია ამოსავალი ეითარება: ექსკლუზივს ნიშანი არა აქვს, მაგრამ სვანურში იგი ფორმით მაინც განსხვავდება მხოლობითის ფორმისაგან მრავლობითი რიცხვის სუფიქსით: S_1 — ხუაშხი, S_1 — ლაშხიდ Se — ხუაშხიდ.

თუ ზემოთქმულს თავს მოვუყრით, შეიძლება დავასკვნათ:

1. გუ- პრეფიქსი, ისტორიულად ინკლუზივის ნიშანი, O_2+O_1 პრეფიქსთა კომბინაციითაა შეღგენილი: გმ>გუ.

2. ექსკლუზივს ნიშანი ისტორიულად არ ჰქონია, რადგანაც გამსაკუთრებულ აფიქსს მხოლოდ II პირის არსებობის აღნიშვნა საჭიროებდა. ობიექტურს უღვლილებაში (სვანურში მხოლობითის ფორმისაგან განსხვავების საჭიროებამ გზა გაუხსნა ფონეტიკურ-ფსიქოლოგიური პროცესის განხორციელებას: ნაჲ მაყა—ნაჲ ნაყა და, ამგვარად, სვანურში ობიექტურს უღვლილებაში ექსკლუზივის ნიშნად საბოლოოდ გაფორმდა ნ- პრეფიქსი.

3. სვანურში სუბიექტურს უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გარჩევა შედარებით გვიანდელი მოვლენა ჩანს. აქედან მისი გამოხატვის წესს არ დასდებია საფუძვლად ორი პირის ნიშნის კომბინაცია. ინკლუზივი საგანგებო ლ- პრეფიქსითაა აღნიშნული, რომელიც შესაძლებელია ისტორიულად S_3 პრეფიქსს დავუკავშიროთ. ექსკლუზივს კი აქაც არა აქვს ნიშანი.

4. ქართულში, როგორც ჩანს, სუბიექტურს უღვლილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირების გაჩენამდე ეს კატეგორია ობიექტურმა უღვლილებამაც დაკარგა, განსხვავებით ზემოსვანურისაგან, სადაც ეს კატეგორია კიდეე უფრო გაძლიერდა და სუბიექტურს უღვლილებაშიც მოხდა ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმალური გარჩევა.

5. ქვემო სვანურში, როგორც ჩანს, იმის გამო, რომ ექსკლუზივის ფორმა არ დაპირისპირებია ერთი მხრივ — მხოლობითისა და მეორე მხრივ — ინკლუზივის ფორმას, ე. ი. არ მიეცა გასაქანი ზემოთ დასახელებულ ფონეტიკურ პროცესს (ნაჲ მაყა — ნაჲ ნაყა). ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირება აღარც სუბიექტურს უღვლილებაში მომხდარა. შემდგომ კი ქართულის გაელენით ეს დაპირისპირება ობიექტურს უღვლილებაშიც შესულტდა და საბოლოოდ მოიშალა.

6. ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის გამოხატვის სქემა ისტორიულად ასე შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

ობიექტურს უღვლილებაში სვანურში

O_1	მ-	O_i	გუ<გმ
		C_e	ნ-<(ი)ნ-)<∅

ქართულში

C_1	მ-	O_i	გუ-<გმ
		C_e	∅

სუბიექტურს უღვლილებაში სვანურში

C_1	ხუ-	C_i	ლ- (დ)
		C_e	∅- (დ)

ქართულში სუბიექტურს უღვლილებაში ამგვარი დაპირისპირება არ განვითარებულა.

დამოწმებული ლიტერატურა

1. თ ო ფ უ რ ი ა ე., სვანური ენა, ზანური, თბილისი, 1967.
2. ო ნ ი ა ნ ი ალ., ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის საკითხისათვის ქართველურ ენებში, „მაცნე", 1965, № 1.
3. შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული ზმნის საკვლევი, თსუ მოამბე, ტ. VI, 1926.
4. შ ა ნ ი ძ ე ა., ორგვარი ფორმა მრავლობითი რიცხვის I პირისა სვანურში, „ენეიდეული", 1923—24.
5. შ ა ნ ი ძ ე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბილისი, 1953, გვ. 185, § 224.
6. ხ ო ტ ო ბ ა ვ ა ალ., მრავლობითის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იკე, ტ. I, 1946.

Д. И. МЕЛИКИШВИЛИ

ОБ ИСТОРИИ ВЫРАЖЕНИЯ КАТЕГОРИИ ИНКЛЮЗИВА-ЭКСКЛЮЗИВА В ГРУЗИНСКОМ ГЛАГОЛЕ

Резюме

Автор статьи, принимая предположение о первичности системы инклюзива-эксклюзива в пракартвельском глаголе, считает, что в основе показателя инклюзива лежит материальное выражение O_1 и O_2 лиц: გმ- →გუ- (gm- →gu). В специальном показателе нуждалось значение, содержащее O_2 лицо. Что же касается эксклюзива, он исключал O_2 лицо, следовательно, не имел особого показателя.

Формантом эксклюзива невозможно считать префикс მ-(m-), который является показателем O_1 лица. По принципу аглютинации, господствующему как в общекартвельском глаголе, так и в глаголе современных картвельских языков, он не мог совместить функцию эксклюзива, содержащего понятие множественности.

В сванском языке показатель эксклюзива ნ- (n-) (в объектном спряжении) вторичного происхождения (предполагается процесс типологической аналогии: Oi ნზა მაყა→Oe ნზა ნაყა: Г. Мачавариани, А. Ониани).

Что же касается субъектного спряжения, там форма эксклюзива и по сей день не имеет особого показателя и отличается от формы S_1 лица лишь суффиксом множественного числа -დ (-d). Префикс ხუ(xu) является показателем S_1 лица и только.

В грузинском языке система инклюзива-эксклюзива в объектном спряжении, вероятно, исчезла прежде, чем успела развиться в субъектном спряжении, чему, должно быть, способствовало то, что она не имела противоположной формы в виде эксклюзива (она совпадала с формой ед. ч. O_1 лица).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

ამიერკავკასიის ენათმეცნიერთა კონფერენცია

1977 წ. 13-15 სექტემბერს ქ.ერევანში ჩატარდა საენათმეცნიერო კონფერენცია თემაზე "ამიერკავკასიის ენათა ურთიერთობისა და განვითარების საკითხები". კონფერენციის ორგანიზატორები იყვნენ აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების ენათმეცნიერების ინსტიტუტები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აჭარიანის სახელობის ენის ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. გ.ჯაუკიანმა... პლენარულ სხდომებზე მოხსენებები წაიკითხეს პროფ. ვ.აბაევმა /მოსკოვი/- "სომხური და ოსური ენების ტიპოლოგია და კავკასიური სუბსტრატი", დოც. რ.ლომბაშიძემ /თბილისი/-"ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის ისტორია და მისი შემდგომი განვითარების გზები", ფილ.მეცნ.დოქტ. შ.გასიმოვმა /ბაქო/ -"აზერბაიჯანული ტერმინოლოგიის განვითარების ძირითადი ეტაპები საბჭოთა პერიოდში", დოც. ვ.ჯანგიძემ /თბილისი/- "ენობრივი დიალექტებისა და ინტერფერენციის განვითარების სტადიები / ქართული ენის ინგლიური დიალექტის მასალაზე/.

კონფერენცია მუშაობდა ორ სექციაში: 1. ამიერკავკასიის ენათა ურთიერთობისა და განვითარებისა; 2. ტერმინოლოგიის თეორიისა. სულ მოსმენილ იქნა 31 მოხსენება. თბილისიდან, ბევრ

დასახელებული ფარგა, მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფ.ა.მარტიროსოვი-"ძველი ქართული და ძველი სომხური ენების ზოგიერთი გრამატიკული მოვლენის შედარებითი მიმოხილვა", პროფ. ა.მაკომეტოვი-"აბერბაიჯანული ენის გაკვეთა ხინალუღური ენის ეოკალიზმზე", პროფ. ი.ქაფანარაძე, -"ბმნის აწმყოური ფორმების ხმარების ისტორიიდან ქართულში", ფილ.მეცნ.კან.ლ.სანიკიძე-"ბრალებითი ბრუნვის საკითხისათვის სომხურში", დოც.აღ.კობახიძე-"მეცნიერულ-ტექნიკური ტერმინოლოგიის აღმოსავლეთის ფარგმნით /ორენოვან/ ლექსიკონში", ფილ.მეცნ.კან.მ.მესხიშვილი /ყველა ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან/-"დარგობრივი ლექსიკა როგორც წყარო მეცნიერული ტერმინოლოგიისათვის", დოც.ლ.მელიქიშვილი-"ძველი ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის განვითარებისა და დამკვიდრების გზები"/თბილისის უნივერსიტეტი/.

კონფერენციაზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ერევნის, ბაქოს და სხვა ქალაქების ენათმეცნიერები სომხური, აბერბაიჯანული და ქართული ენებისა და დიალექტების ლექსიკურ-გრამატიკული ურთიერთობის საკითხებზე. კონფერენციის თეზისები დაიბეჭდა / Конференция по вопросам взаимоотношения и развития языков Закавказья, Ереван, 1977 г./. გამოითქვა სურვილი ამგვარი კონფერენციის ჩატარებისა სამ წლისადმი ერთხელ ამიერკავკასიის რესპუბლიკების დედაქალაქებში მორიგეობით.

ლ.მელიქიშვილი

დამანა
მელიქიშვილი

„მიჭირს“ ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი

ქართული ენის გრამატიკის პროგრამისა და სახელმძღვანელოების განტვირთვა ზოგიერთი ზერთული და პრაქტიკული საჭიროებისაგან მოწყვეტილი მასალისაგან საშური საქმეა; მაგრამ თავად მასწავლებელი ყოველთვის მზად უნდა იყოს ნებისმიერი რთული გრამატიკული მოვლენის განსამარტავად, თუ კი ამის საჭიროება გაკვეთილის პროცესში გაჩნდება. ინვერსიულ ზმნებთან დაკავშირებით — წინადადების გარჩევის დროს — მასწავლებლის წინაშე გარკვეული სირთულეები წამოიჭრება, რომლის გადაჭრას ისახავს მიზნად ამ სტატიის ავტორი.

1. ინვერსიის არსებობა ქართულ ზმნაში საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. ნებისმიერ მოსწავლეს რომ ვკითხოთ, მაძვს, მიუვარს, მოგვწონს, მწყინს, მწამს... და მსგავს ზმნებში მოქმედი პირი, სუბიექტი რომელიაო, უყოყმანოდ I პირს დაგვიახელებს. ასევე: გაძვს..., აძვს... ფორმებში შესაბამისად — II და III პირს. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ტიპის (გრძნობა-აღქმის გამომხატველ) ზმნებში თანამედროვე ქართველი კაცის ცნობიერებაში სუბიექტად მიცემითში დასმული სახელი აღიქმება.

ხალხი, „ენის კანონის დამდები“, როგორც ილია იტყოდა, ასე ფიქრობს. მაგრამ... გრამატიკულ ლიტერატურაში სუბიექტის საკითხი ამგვარ ზმნებთან კარგა ხანია სადავო გამხდარა[1]. და რადგანაც სადავოა, ამიტომ სასკოლო გრამატიკის სახელმძღვანელოდან იგი საერთოდ ამოღებულია. მასწავლებლები სწავლების პროცესში ამგვარ ზმნებს, რამდენადაც შეიძლება, გვერდს უვლიან, მაგრამ, სამწუხაროდ (თუ საბედნიეროდ), ეს ზმნები ისეთი ხშირი ხმარებისა, ამასთანავე, ისინი თანდათან ისე იფარ-

---

[1] ამის შესახებ იხ. ა. შანიძე, გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან ქართულში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 7, 1961 წ. გვ. 209.

თოებენ არეს, რომ საშინაო და საკლასო საკარჯიშოების შესრულებისას მოსწავლეები მათ წამდაუწუმ, ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან. მასწავლებელი, რომელსაც შემთხვევით „წამოუფრინდება" რომელიმე „მიშპირს" ზმნა გაკვეთილზე, მართლაც დიდ გაჭირვებაში ვარდება: ბავშვები გაბეზარებენ: „მე ქვემდებარეაო". მასწავლებელიც, ცხადია, გონებით ბავშვების მხარეზეა, მაგრამ რა ქნას, როდესაც მორფოლოგიის სასკოლო სახელმძღვანელოში საკუთრივ ამ ტიპის ზმნების სუბიექტის შესახებ არაფერია ნათქვამი,[2] სინტაქსის სახელმძღვანელოში კი წერია, რომ „გარდაუვალი ზმნის მე-3 პირის ფორმასთან შეწყობილი ქვემდებარე ყოველთვის სახელობითშიაო", ხოლო სათანადო ადგილას („ქვემდებარული დამოკიდებული წინადადების რაობა") სავარჯიშოებში მოტანილი წინადადებების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სახელმძღვანელოს ავტორები რომელიმე „ეტყობა" ზმნისათვის ქვემდებარედ სახელობითში დასმულ სახელს მიიჩნევენ („სახის მოძრაობაზე ეტყობოდა, რომ გრძნობის ალს მთლად მოებურა მისი არსება" — აქ დამოკიდებული წინადადება მიჩნეულია ქვემდებარულ სახისად). თუ მასწავლებელი ბავშვს დაეთანხმება და იტყვის, რომ ქვემდებარე (სუბიექტი) მიცემითში დასმული სახელია, რა დაარქვას სახელობითში დასმულ სახელს მაშინ, როდესაც ბავშვებმა იციან, რომ დამატებებიდან (ობიექტებიდან) სახელობით ბრუნვაში მხოლოდ პირდაპირი შეიძლება იდგეს?

მაშასადამე, მდგომარეობა სპეციფიკურია, ბევრ სიძნელესთანაა დაკავშირებული და გრამატიკული მოვლენების კვალიფიკაციის გადახედვას მოითხოვს. და განა ამიტომ სკოლაში თვალი უნდა დავხუჭოთ და დუმილით ავუაროთ გვერდი ქართული ზმნისათვის დამახასიათებელ ამ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას?

მაგრამ ასე გრძელდება წლების განმავლობაში: ბავშვები ხრულიად გაუცნობიერებლად იზეპირებენ, რომ „ქართულში ინვერსია ახასიათებს მარტო გარდამავალ ზმნებს III სერიაში. გარდაუვალმა ზმნებმა კი საზოგადოდ ინვერსია არ იციან"; მაგრამ ეს მხოლოდ თეორიულად, პრაქტიკულად კი გრძნობა-აღქმის ზმნებთან ისინი ხუბიექტად მიცემითში დასმულ სახელს მიიჩნევენ, რაც ამ ტიპის გარდაუვალ ზმნებში სწორედ ინვერსიის არსებობას ადასტურებს.

ქართული ენის გრამატიკის ამ მეტად საჭირბოროტო და სადავო საკითხს პროფ. მარლამ თოფურიამ სპეციალური წერილი უძღვნა, რომე-

---

[2] თუმცა მასწავლებელი საჭირო შემთხვევაში, ცხადია, ხელმძღვანელობს ა. შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებით", სადაც ინვერსიულ ფორმებთან დაკავშირებით შემდეგი აზრია გატარებული: „პირის ნიშანთა ინვერსიას გარკვეული ადგილი უჭირავს ზმნათა უღლების სისტემაში: ის გვხვდება მარტო III სერიის ფორმებში და ისიც გარდამავალ ზმნებში, გარდაუვალმა ზმნებმა საზოგადოდ ინვერსია არ იციან..." (ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, № 241, გვ. 197.)

ლიც თერთმეტი წლის წინ დაიბეჭდა სწორედ ამ ჟურნალის ფურცლებზე[3]. სტატიაში სრულიად გარკვევით და დამაჯერებლად არის დასაბუთებული უპირველეს ყოვლისა ის, რომ, რადგანაც საკითხი ეხება „მთელ ჯგუფს ზმნებისას, ამიტომ სახელმძღვანელოში მისი სულ გამოტოვება შეუძლებელია“ და რომ „გრძნობა-აღქმის გამომხატველი ობიექტური წყობის მქონე საშუალო გვარის ზმნები ანალოგიურ ვითარებას გვიჩვენებენ გარდამავალ ზმნათა III ხერიის ფორმებთან: ეს ზმნებიც ინვერსიულია“[4].

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკითხი დღემდე არ მოგვარებულა და სასკოლო გრამატიკის სახელმძღვანელო კვლავ დუმს ამის თაობაზე.

2. ის ფაქტი, რომ გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებთან ქართულში მიცემითში დასმული სახელია გაგებული სუბიექტად, თავის დროზე კარგად შენიშნა აკად. ნიკო მარმა. თავის „ძირითად ტაბულებში“[5] მან ცალკე ადგილი მიუჩინა და გამოყო განსაკუთრებული, „ობიექტური წყობის“ მქონე ზმნების ჯგუფი, რომელიც არსებითად განსხვავდება დანარჩენი ზმნებისაგან. ასეთივე ინტერპრეტაცია მისცა ამ ტიპის ზმნებს მორის ბრიერმაც, რომელმაც მარის თანაავტორობით 1931 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოსცა დიდი ნაშრომი „ქართული ენა“[6]. დაბოლოს, ამ ტიპის ზმნათა ჩამოყალიბების პროცესის არსის გაგება მძლავრი მეცნიერული არგუმენტაციით და უხვი ენობრივი მასალის საფუძველზე მოგვცა პროფ. არნოლდ ჩიქობავამ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“[7] და სტატიაში „მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში“[8]. ამ ნაშრომებში საკითხი გაცილებით უფრო ფართოდ იხსნის: ქართული სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე მიცემითი ბრუნვის სინტაქსური როლის გაძლიერება და შესაბამისად — სახელობითში დასმული ობიექტის სინტაქსური როლის შესუსტება, რაც მოიცავს ჩვენთვის საინტერესო ზმნებსაც და, საერთოდ, ინვერსიის პროცესის ჩასახვასა და განვითარებას ქართულ ზმნაში.

3. ინვერსიის პროცესს ქართულ ზმნაში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს მოვლენა ქართული ენის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი უბანია. ინვერსიის პროცესი ქართული ზმნის ბუნებიდან (კერძოდ, მისი პოლიპერსონალიზმიდან) გამომდინარე კანონზომიერი პროცესია. სწორედ ინვერსიის პროცესი გახდა ერთ-ერთი მი-

---

[3] იხ. ვ. თოფურია, ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 3, 1977 წ., გვ. 3.

[4] ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 7.

[5] Н. Марр, Основные таблицы, ტაბ. XIX, XX.

[6] N. Marr, M. Brière, La langue géorgienue, Paris, 1931 (1–833).

[7] არნ. ჩიქობავა, „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“, მეორე გამოცემა, თბილისი, 1968 წ.

[8] არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი ტენდენციები ქართულში. იხ. იქვე, დამატება II, გვ. 269.

ზეზი და საფუძველი ქართული ენის სინტაქსში იმ დიდი ძვრებისა, რომლებმაც ენის სისტემაში სხვა ცვლილებებთან ერთად ძველი ქართული მკვეთრად გამიჯნა ახალი ქართულისაგან.

რა არის ინვერსია? როგორც პროფ. აკაკი შანიძე წერს, „ინვერსია ჰქვია შექცევას, ანუ შებრუნებას, რომელიც საზოგადოდ თავს იჩენს რიგის შეცვლაში".[9]

ზმნაში ინვერსია „თავს იჩენს" პირის ნიშანთა ფუნქციების შებრუნებაში. მაგრამ ეს უკვე შედეგია, გამოვლინებაა, გამოხატულებაა გარკვეული პროცესისა და არა საფუძველი, მიზეზი, არსი.

რა არის ინვერსიის საფუძველი? რაში მდგომარეობს ინვერსიის პროცესის არსი? არის თუ არა ინვერსია გრამატიკული მოვლენა?

ავიღოთ ნებისმიერი სტატიკური ზმნის რელატიური ფორმა, დავუშვათ, მიწერია იხ მე (ძვ.: მიწერიეს იგი მე). როგორც სტატიკური ზმნა, იგი არ შეიცავს მოქმედი პირის გაგებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რადგანაც ეს ზმნა მდგომარეობას გამოხატავს და არა მოქმედებას, მას არ გააჩნია რეალურად მოქმედი პირის გაგება, ე. ი. რეალური (ლოგიკური) სუბიექტი, თუმცა გრამატიკულად ყველაფერი რიგზეა: სახელობითში დასმული გრამატიკული სუბიექტი გამოხატულია სუბიექტის ნიშნით (S_3-ა), ხოლო მიცემითში დასმული გრამატიკული ობიექტი — ობიექტის ფორმანტით (O_1-მ). მაგრამ რეალურად — გრამატიკული სუბიექტი პასიურია, უმოქმედოა.

ამგვარად, სტატიკურ ზმნათა გრამატიკული სუბიექტი რეალურად პასიურია; ობიექტი გრამატიკული (სინტაქსური) თვალსაზრისით მასთან თანასწორუფლებიანია (ისიც მმართავია, მასაც საკუთარი ნიშანი აქვს ზმნაში), ამავე დროს ეს ობიექტი ყოველთვის აღმქმელია, მქონებელია, მგრძნობელია, განმცდელია (მოკლედ — ლოგიკური სუბიექტია) და ამიტომ ხშირად ხულიერ პირს გამოხატავს, მაშინ, როდესაც მასთან კომბინაციაში მყოფი გრამატიკული სუბიექტი, ჩვეულებრივ, აღქმის, ქონების, გრძნობის, განცდის საგანია (რეალური ობიექტია), ამიტომ ხშირად უსულოა. (ცხადია, ამ თვალსაზრისით გადამწყვეტია თავად ზმნის სემანტიკა). სწორედ ამის გამო გრამატიკული ობიექტი, როგორც რეალურად აქტიური პირი (მდგომარეობის ან მოქმედების განმცდელი) მეტყველის ცნობიერებაში წინ იწევს და თავისი აქტიურობით აჭარბებს გრამატიკულ სუბიექტს. ამგვარად, მოლაპარაკის ცნობიერებაში საფუძველი ეყრება ინვერსიის პროცესს, ე. ი. ამ პროცესს საფუძვლად უდევს ფსიქოლოგიური ფაქტორი: პოლიპერსონალური ბუნების მქონე რელატიური სტატიკური ზმნა (რომლის გრამატიკული სუბიექტი და გრამატიკული ობი-

---

[9] ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973 წ. გვ. 195.

ექტი[10] O სინტაქსურად თანასწორუფლებიანია; ორივე მმართავია, რეალურად კი აქტიური grO მეტი უფლებებით ხარგებლობს, ვიდრე პასიური grS) იძლევა მიხი გრამატიკული შინაარსის ლოგიკურად ინვერსიული შინაარსით გაგების შესაძლებლობას.

პირის ნიშანთა ფუნქციების ინვერსიის მიზეზი არის პოლიპერსონალური ბუნების გარკვეული ტიპის ზმნებში ლოგიკურად პასიური სუბიექტისა და ლოგიკურად აქტიური ობიექტის არსებობა; ინვერსიის პროცესის არსი მდგომარეობს მოლაპარაკის ცნობიერებაში შინაარსობრივი მხარის წინ წამოწევაში და შესაბამისად — ლოგიკურად აქტიური პირის სათანადო ფორმალურ (გრამატიკულ) გააქტიურებაში.

როგორც ვნახეთ, ინვერსიის პროცესი იხახება ცნობიერების სფეროში. იგი გარკვეულ დრომდე ლოგიკის სფეროში რჩება: მანამ, სანამ არ მოხდება მიხი ფორმალური გამოხატვა, გრამატიზაცია. როდესაც ეს ლოგიკური პროცესი ფორმალურ გამოხატულებას პოვებს, მაშინ იგი შეიძლება ჩაითვალოს გრამატიკულ მოვლენად[11].

4. როდის მოხდა ინვერსიის პროცესის გრამატიზაცია?

ვნახოთ ეს სტატიკური ზმნის შინაარსის განვითარების მაგალითზე.

ავიღოთ იგივე მიწერია (ის მე) ფორმა და განვაგრძოთ მიხი ანალიზი. სანამ ამ ტიპის ზმნაში რეალურად მოქმედი პირის გაგება არ არსე-

---

10 ქვემოთ ტერმინები სათანადო სიმბოლოებით იქნება წარმოდგენილი: გრამატიკული სუბიექტი — grS, გრამატიკული ობიექტი grO, რეალური სუბიექტი RS და რეალური ობიექტი RO.

11 სხვათა შორის, მიცემითში დასმული სახელის სუბიექტად გაგების ტენდენცია გრძნობა-აღქმის გამომხატველ ზმნებში თავს იჩენს ევროპული ენების ზმნების მიმართაც. ამას ხაზგასმით აღნიშნავს პროფ. ვ. თოფურია, რომელსაც ზემოთ დასახელებულ სტატიაში რუსული ენის აკადემიური გრამატიკიდან მოპყავს ამონაწერები, სადაც მიცემითში დასმული ფო. რმა მდგომარეობის თუ განცდილი მოქმედების სუბიექტადაა მიჩნეული. მხედველობაში გვაქვს შემდეგი მაგალითები: мне спится, мне страшно, мне грустно, мне жаль, мне нужно говорить, ему больно и смешно და სხვ. მაგრამ ინვერსია აქ არ შეიძლება იყოს გრამატიკული მოვლენა, რადგანაც რუსულ ენაში მიცემითში დასმული სახელი მოკლებულია სინტაქსურ უფლებებს: მას არა აქვს ზმნის პირში მართვისა და რიცხვში შეთანხმების უნარი. ინდოევროპული ზმნა მონოპერსონალურია, ხოლო ინვერსიის ლოგიკური სფეროდან გრამატიკულ სფეროზე (გამოხატულების პლანზე) გავრცელება შესაძლებელია მხოლოდ პოლიპერსონალური ბუნების ზმნებში, სადაც ირიბი ობიექტი გრამატიკულად სუბიექტის თანასწორუფლებიანია: მმართავია, შემთანხმებელია, და ამდენად, მას აქვს უნარი თავისი თავის ზმნაში აღნიშვნისა.

ბობს, იგი სტატიკური შინაარსისაა. საკმარისია რეალურად მოქმედი პირის გაგება გაჩნდეს, და ეს ფორმა შეიძენს დინამიკურ შინაარსს: რეალურად აქტიური პირის არსებობა დინამიკური ზმნის მთავარი ლოგიკური მახასიათებელია, ამგვარად, განსხვავებით სტატიკური შინაარსის მიწერია (ის მე) ფორმისაგან, რეალურად აქტიური პირის შემცველი მიწერია (მე ის) იძენს დინამიკურ შინაარსს. იგი უკვე გამოხატავს არა მდგომარეობას, არამედ მოქმედებას. მაგრამ როგორ მოქმედებას? თავდაპირველად იგი ითავსებს ორ შინაარსს: თავისი ამოსავალი ფორმისას — სტატიკურს და ახალს — დინამიკურს, კერძოდ, გამოხატავს დინამიკას წარსულში და სტატიკას ამწყოში ანუ: წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს აწმყოში.

ამგვარად, სტატიკურ ზმნათა ინვერსიაქმნილ ფორმებში ისახება პერფექტული შინაარსის გაგება და დასაბამი ეძლევა პერფექტულ დროთა ფორმების განვითარებას ქართული ზმნის უღლების სისტემაში.

სტატიკურ ზმნათაგან განვითარებულმა დინამიკურმა შინაარსმა თანდათან ფორმალური გამოხატულებაც პოვა: მიწერიეს ტიპის ფორმებს დაერთო ზმნისწინი, და-მიწერიეს, რაც შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ ტიპის ზმნებმა ინვერსიის შედეგად დინამიკური შინაარსი შეიძინეს. ზმნისწინის დართვა, დინამიკურობის მაჩვენებელი ერთ-ერთი ფორმალური მახასიათებლის (ნიშნის) გაჩენა ამ ფორმებს კიდევ უფრო უმკვიდრებს დინამიკურ შინაარსს პერფექტულობის ნიუანსით — იგულისხმება დინამიკა წარსულში: ეს ფორმები გამოხატავენ წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს, რეზულტატს (ამიტომ მათ ძველი ქართულისათვის შეიძლება რეზულტატიური ფორმები ეწოდოს). ამგვარად, მას შემდეგ, რაც (და)უწერიეს (მას იგი) ზმნაში მიცემითში დასმული სახელი გააზრებულ იქნა სუბიექტად და თვით ამ ზმნამ კი მიიღო დინამიკური შინაარსი, იგი ბუნებრივად იქცა გაგრძელებად იმ დინამიკური გარდამავალი ზმნის პარადიგმისა, რომელშიც სახელობითში დასმული შესაბამისი პირი არის როგორც რეალური, ისე გრამატიკული სუბიექტი, აწმყოს ჯგუფის ძირითადი ფორმა ვწერ (მე მას) — წერს (იგი მას); აორისტის ჯგუფის ძირითადი ფორმა დავწერე (მე იგი) — დაწერა (მან იგი), დაბოლოს, პერფექტული ჯგუფის ძირითადი ფორმა — დამიწერიეს (მე იგი) — დაუწერიეს (მას იგი), რომელიც გამოხატავს წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს აწმყოში (აწმყოს რეზულტატივი). აქედან განვითარდა ამ ფორმათა ერთ-ერთი ძირითადი (დღეს ყველაზე გამოკვეთილი) შინაარსობრივი ნიუანსი უნახაობა, თურმეობითობა, ე. წ. უნახავი აქტის გაგება: აწმყოში ვხედავთ შედეგს იმ მოქმედებისას, რომელიც წარსულში მომხდარა. და ასე გაგრძელდა მთელს სისტემაში კანონზომიერად: იმავე სტატიკური ზმნის წყვეტილის ფორმამ მოგვცა დინამიკურად გააზრებული ფორმა დამეწერა (მე იგი), რომელმაც გამოხატა წინარე წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგი წარსულ დროში (აქედან — ნამყოს რეზულტატივი, ანუ ნამყო წინარეწარსული); შესაბამისად — იმავე სტატიკური ზმნის II კავშირებითის ფორმის ინვერსიისა და გადინამიკურების გზით მივიღეთ

მესამე ფორმაც ᲓᲐᲛᲔᲬᲔᲠᲝᲡ (მე იგი), სადაც წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგი ჩანს მომავალში (მომავლის რეზულტატივი).

ამგვარად, სტატიკური ზმნათა ინვერსიაქმნილმა გადინამიკურებულმა (დინამიკურად გადააზრებულმა) ფორმებმა გააგრძელეს მოქმედებითი გვარის დინამიკურ ზმნათა პარადიგმა[12] და შეავსეს ის ხარვეზი, რომელიც ქართული ზმნის უღლების სისტემას ჰქონდა: კერძოდ, წარმოიშვა პერფექტულ დროთა ფორმები. მაგრამ პარადიგმის გაგრძელება და შევსება ასე მარტივად არ დასრულებულა. ჯერ ერთი, ეს შეეხო არა მხოლოდ გარდამავალ ზმნებს, არამედ მოიცვა ქართული ზმნის უღლების მთელი სისტემა: კერძოდ, ანალიტური, აღწერითი წარმოების სტატიკურმა ფორმებმა ᲓᲐᲮᲐᲢᲣᲚ ᲕᲐᲠ — ᲓᲐᲮᲐᲢᲣᲚ ᲕᲘᲯᲐᲕ — ᲓᲐᲮᲐᲢᲣᲚ ᲕᲘᲯᲝᲗ ტიპისა მოგვცა გარდაუვალი დინამიკური ზმნის აწმყოს, ნამყოს და მყოფადის რეზულტატიური სინთეტური ფორმები ᲓᲐᲕᲮᲐᲢᲣᲚᲕᲐᲠ... და სხვ. (საიდანაც შემდგომ იმავე მიზეზით, რაც ზემოთ, განვითარდა თურმეობითობის, უნახაობის შინაარსი).

ხოლო, რაც შეეხება დინამიკურ გარდამავალ ზმნათა პარადიგმის გაგრძელებას, როგორც მოსალოდნელი იყო, შენაცვლებულმა სტატიკურმა ფორმებმა (ᲛᲘᲮᲐᲢᲘᲔᲡ, ᲛᲘᲙᲔᲗᲘᲔᲡ...) დაირთეს დინამიკურობის კიდევ ერთი ნიშანი — პარადიგმის საწყისი (აწმყოს) ფორმების მახასიათებელი შესაბამისი თემატური სუფიქსები (ᲕᲮᲐᲢ-ᲐᲕ — ᲓᲐᲛᲘᲮᲐᲢ-ᲐᲕ-ს, ᲕᲐᲙᲔᲗ-ᲔᲑ — ᲒᲐᲛᲘᲙᲔᲗ-ᲔᲑ-ᲘᲔᲡ), რითაც ფორმალურადაც დაემსგავსნენ მათ. (—ᲔᲑ თემატურ სუფიქსიან ზმნებში ეს პროცესი უფრო შორს წავიდა და ანალოგიით გავრცელდა ე. წ. II თურმეობითის ფორმებზეც: ᲒᲐᲛᲔᲙᲔᲗᲐ — ᲒᲐᲛᲔᲙᲔᲗ-ᲔᲑ-ᲘᲐ — ᲒᲐᲛᲔᲙᲔᲗ-ᲔᲑ-ᲘᲜ-Ა).

ამგვარად, სტატიკურ ზმნათა ინვერსიის შედეგად ქართული ზმნის უღლების სისტემაში თანდათან ჩამოყალიბდა დრო-კილოთა სრულიად ახალი ჯგუფი, რომელიც დღეს III სერიის (თურმეობითების) სახელითაა ცნობილი. ამ ჯგუფის ფორმები წარმოადგენენ არა შესაბამის დინამიკურ გარდამავალ ზმნათა ინვერსიულ ფორმებს, არამედ თავიანთი წინაპარი, ამოსავალი სტატიკური ზმნებისას. ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲐ (ის მე) — (ᲓᲐ)ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲐ (მე ის). ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲐ (ის მე) ფორმის ინვერსიულად გააზრებამ მოგვცა (ᲓᲐ)ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲐ (მე ის) შებრუნებული კონსტრუქციის დინამიკური ზმნა, რომელიც დღეს დინამიკური ᲕᲬᲔᲠ (მე მას) ფორმის გაგრძელებას წარმოადგენს, მაგრამ არა მისი ინვერსიით მიღებულ ფორმას. დინამიკურ გარდამავალ ზმნებს აქტიური სუბიექტი აქვთ. აქედან ცხადია, რომ მოქმედებითი გვარის ზმნებში ინვერსიის პროცესისათვის საფუძველი არ არსებობს. ამ ზმნათა გრამატიკული სუბიექტი ყოველთვის ემთხვევა რეალურ სუბიექტს, იგი ხაკმაოდ აქტიურია იმისათვის, რომ არ დაუთმოს თავისი ასპარეზი ირიბ ობიექტს. სწორედ იმიტომ, რომ ᲓᲐᲛᲘᲬᲔᲠᲘᲐ ზმნის ახალი კონსტრუქცია

---

12 ამ საკითხის ირგვლივ დაწვრილებით იხ. ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო — კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იქვე, ტ. VII, თბ., 1955 წ.

მოგვცა მიწერია ზმნის პირების ფუნქციათა შებრუნებულმა, ინვერსიულმა გააზრებამ, I თურმეობითის რელატიურმა, სუბიექტო ქცევის ფორმებმა დაკარგეს ქცევის კატეგორიის გაგება. ამიტომვეა, რომ III სერიაში სამპირიანი ფორმები არ არსებობს.

ამგვარად, III სერიაში სამპირიანმა ფორმებმა კი არ დაკარგეს პირი და იქცნენ ორპირიანებად (როგორც ამას ხშირად გაიგონებთ), არამედ მათ არასოდეს არ ჰქონიათ მეხუთე პირი, რადგანაც ისინი წარმოშობით ორპირიანი სტატიკური ზმნებია.

ამას სრულიადაც არ ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ დღეს გარდამავალ ზმნათა II თურმეობითის სტატიკურ ფორმათა ინვერსიის გზით მიღებული ფორმების (მიწერა, გამეკეთებინა) გვერდით ჩამოყალიბდა იხეთი ინვერსიული ფორმებიც, რომლებიც მიღებულია უკვე არა სტატიკურ ზმნათა ინვერსიის შედეგად, არამედ გარდამავალ სამპირიან, ჩვეულებრივ, კაუზატიურ ფორმათა ინვერსიის შედეგად. მხედველობაში გვაქვს განსხვავებული კონსტრუქციის მქონე ომონიმური წყვილები წყვეტილი — II თურმეობითი: გამაგებინა მან მე ის — (რომ ან ნეტავი) გამაგებინა მე ის, ჩამაგდებინა მან მე ის — (ხელში) რომ ჩამაგდებინა მე ის, გამაკეთებინა მან მე ის — (რომ ან ნეტავი) გამაკეთებინა მე ის, მაჩვენა მან მე ის — (ნეტავი ან რომ) მაჩვენა მე ის და სხვა. როგორ მივიღეთ მეორე რიგის ფორმები? სამპირიანმა კაუზატიურმა (შუალობითი კონტაქტის) ფორმებმა დაკარგეს გრამატიკული სუბიექტი — მაკაუზირებელი პირი და ერთადერთ სუბიექტად მოქმედების შემსრულებელი, რეალურად მოქმედი პირი დარჩა. კაუზატიურ ფორმათა ინვერსიის ეს ფაქტი არ ეწინააღმდეგება არც იმ აზრს, რომ ინვერსიის საფუძველი რეალურად პასიური სუბიექტის (და რეალურად აქტიური ობიექტის) მქონე ზმნებშია: ცნობილია, რომ კაუზატიური ფორმების გრამატიკული სუბიექტი მოქმედების რეალური შემსრულებელი კი არ არის, არამედ „ხელმძღვანელია, ინიციატორია", ხოლო მოქმედების რეალური, ფაქტიური, უშუალო შემსრულებელი კი ირიბი ობიექტია. ამგვარად, ინვერსიის ძირითადი პირობა აქაც დაცულია. gr.S პირის დაკარგვას და ინვერსიას ამ ფორმებში ვფიქრობთ, ხელი შეუწყო გარდამავალ ზმნათა II თურმეობითის ფორმებმა (გამეკეთებინა მე ის), რომელთაც, როგორც ცნობილია, კავშირებითი (||ნატვრითი) კილოს გაგება შეიძინეს. სწორედ მათი გავლენით უნდა მიეღო კაუზატიურ გამაკეთებინა ფორმასაც კავშირებითი (||ნატვრითი) კილოს გაგება და პირის დაკარგვის შედეგად ინვერსიული შინაარსიც. ამგვარად, II თურმეობითის (რომ) გამეკეთებინა (მე ის) ფორმის გვერდით გაჩნდა (რომ) გამაკეთებინა (მე ის) ფორმა, რომელიც, განსხვავებით პირველისაგან, განმარტოებით დგას, და არ გააჩნია სხვა მწკრივის ფორმები და არც grS პირის მიხედვით ცვალების უნარი[13].

---

13 ინვერსიული შინაარსი აქვს მხოლოდ ობიექტური პირების მიხედვით მონაცვლე ფორმებს: გამაკეთებინა, გაგაკეთებინა, გააკეთებინა.

როგორც ვნახეთ, სტატიკურ ფორმებს თანდათან ემატებოდა ახალი ფორმალური ნიშნები დინამიკურობისა და მათი ინვერსიის პროცესი საბოლოოდ დასრულდა მაშინ, როდესაც მიცემითში დასმულმა სახელმა, როგორც რეალურად აქტიურმა, მოქმედმა პირმა (როგორც სუბიექტმა) ფორმალურადაც გაამყარა თავისი უფლებები: თავისი არსებობა სუბიექტის მრავლობითობის — თ სუფიქსით აღნიშნა ზმნაში[14] მაშინ, როდესაც სახელობითში დასმულმა გრამატიკულმა სუბიექტმა საბოლოოდ დაკარგა ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი, როგორც ლოგიკურად პასიურმა პირმა. დღეს გვაქვს დაუწერია-თ (მათ ისინი) და არა დაუწერი-ან (მათ იგინი), როგორც ძველად იყო. ამგვარად, ფორმალური შეთანხმების წესი, რაც ძველი ქართული ენისათვის იყო დამახასიათებელი, ახალში შეცვალა შინაარსობლივად, ლოგიკურად საფუძველდებულმა წესმა: ზმნას რიცხვში ითანხმებს რეალურად აქტიური პირი, ლოგიკური სუბიექტი (ისტორიულად გრამატიკული ობიექტი, რომელსაც, როგორც მიცემითი ბრუნვის ფორმით წარმოდგენილ სახელს, ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი არ ჰქონდა) და ვეღარ ითანხმებს გრამატიკული სუბიექტი, რომელსაც, როგორც სახელობითში დასმულ სახელს, ისტორიულად ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი ჰქონდა (იგი ზმნაში აჩენდა მრავლობითის იმავე —ნ (<ენ) ნიშანს, რომელიც თვითონ ჰქონდა).

I ობ. პირმა ამისათვის ადრევე, ძველ ქართულშივე გამოიყენა ზმნაში არსებული ინკლუზივის კატეგორიის ყოფილი ნიშანი გუ — (რომელიც მრავლობითის გაგებას შეიცავდა), ხოლო II და III O პირთა მრავლობითის გამოხატვა ზმნაში უფრო მოგვიანებით, ქართული სალიტერატურო ენის განვითარების გარდამავალ პერიოდში დასრულდა.

ამგვარად, მას შემდეგ, რაც დამიწერია, გამიკეთებია, დამიხატავს ფორმებში მიცემითში დასმულმა სახელმა თავისი მრავლობითობა აღნიშნა ზმნაში, ფორმალურად დასრულდა ამ ზმნათა ინვერსიის პროცესი და, შეიძლება ითქვას, რომ მოხდა ამ პროცესის გრამატიზაცია. დღეს ამ ფო-

---

14 იგულისხმება II და III grO პირი. რაც შეეხება I grO პირს, იქ მრავლობითის ნიშნად არის გვ-(<გუ-) პრეფიქსი, წარმოშობით ინკლუზივის კატეგორიის (რომელიც მრავლობითობის გაგებას შეიცავდა) ნიშანი. ინკლუზივის კატეგორიის მოშლის შემდეგ, გარკვეულ მანძილზე, გუ-პრეფიქსის უფუნქციოდ არსებობამ ზმნაში რამდენადმე ხელი შეუწყო მიცემითში ნაგულისხმევი I ობ. პირის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უფლების მოპოვებას და ამ გზით სტატიკურ ზმნათა ინვერსიის პროცესის დაჩქარებას, პროცესისა, რომელიც სწორედ O_1 ფორმებში უნდა ჩასახულიყო თავდაპირველად.

რმებში ისტორიული სუბიექტის ნიშნები გამოხატავენ ობიექტებს და პირიქით, ობიექტის ნიშნებს სუბიექტურ პირთა გამოხატვის ფუნქცია აკისრიათ.

ნ. ზემოთქმული ეხებოდა სტატიკურ ზმნათა ინვერსიის გზით მიღებულ გარდამავალ ზმნათა მესამე სერიის ფორმებს.

ახლა ვნახოთ, ანალოგიურია თუ არა ვითარება გრძნობა-აღქმის გამომხატველ სტატიკურ ზმნებში, რომელთა ინვერსიულობის საკითხი დღეს სადავო გამხდარა?

В спряжении современного грузинского глагола активного залога представлены две основные системы: система аффиксации и система аблаута; формы презенса и аориста, которые являются основными формами для образования соответственно I и II групп времен и наклонений различаются или посредством тематических аффиксов (-o -i, -ავ -av, -ამ -am, -ებ -eb, -ობ -ob: აკეთებ- აკეთე akel-eb—ak t-.) или же чередованием гласного глагольной основы (გრეხ—გრიხე grex—grixe).

Аблаут по сравнению с системой аффиксации ныне распространяется лишь на небольшую группу глаголов, которые в разговорной речи проявляют тенденцию к прибавлению тематического суффикса к основе презенса (დრეკ—დრიკ-ავ drek—drik-av). Подобная тенденция упорядочивания системы проявляется и в случае атематических глаголов (ლეს-ლეს-ავ les-les-av).

Таким образом, система аффиксации вытесняет систему аблаута и постепенно становится единственной господствующей системой в спряжении грузинского глагола.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურმა

დავანა მელიქიშვილი

ქართული ენის გრამატიკის ზოგიერთი სადავო საკითხის გამო

გამოცემლობა „განათლებამ" 1978 წ. გამოსცა ალ. ონიანის ნაშრომი „ქართველური ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხები", რომელსაც ბოლოში დართული აქვს შენიშვნები ჟურნალ „მაცნეს" ენისა და ლიტერატურის სერიის 1977 წ. № 4-ში დაბეჭდილი ჩვენი სტატიის („ინკლუზიე-ექსკლუზიების გამოხატვის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში") გარშემო.

ავტორი დავას იწყებს იმით, „რომ ჩვენ მიერ წამოყენებული დებულებები მიღებულია „არა არსებული ლინგვისტური მეთოდების (შინაგანი რეკონსტრუქცია, შედარებითი რეკონსტრუქცია) გამოყენებით, არამედ ლოგიკური კრიტერიუმებიდან ამოსელით" (გვ. 233).

თავს ნებას მივცემთ, შეეახსენოთ პატივცემულ რეცენზენტს, რომ ენა საზოგადოებრივი მოვლენაა, საზოგადოების გარეშე იგი არ არსებობს. ენა ადამიანთა კოლექტივის, საზოგადოების პროდუქტია, კერძოდ, მისი გონებისა. ენობრივ მოვლენებს ხშირად ფსიქიკური ფაქტორები უდევს საფუძვლად. ენის განვითარების შინაგან კანონებს ხშირ შემთხვევაში ადამიანის აზროვნების კანონზომიერებანი განსაზღვრავენ. ამიტომ ენის შესწავლა როგორც ჩაკეტილი, მკაცრი სისტემისა, ყოველგვარი ექსტრალინგვისტური მოვლენებისაგან განყენებით, ხშირად ნაკლოვანებიანია. ზოგადენობრივ მოვლენათა და, არცთუ იშვიათად, კერძოენობრივ მოვლენათა გაანალიზება ამგვარი ფაქტორების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია[1] (მით უფრო, როცა საქმე ეხება ისეთი სიძველის მოვლენებს, რომელთა მიმართ ლინგვისტური მეთოდების გამოყენება ენობრივი მასალის არასაკმარისობის გამო ვერ ხერხდება). ასეთ ექსტრალინგვისტურ ფაქტორებად, რომლებიც ზოგჯერ ენობრივი სისტემის ხასიათსაც კი განსაზღვრავენ, მოგვაჩნია ამა თუ იმ ეთნოლინგვისტური ჯგუფის აზროვნების, მისთვის დამახასიათებელი ფსიქიკური წყობისა თუ წარმოდგენების ხასიათი, რაც, თავის მხრივ, მათი ცხოვრების პირობებითა და გარემოთი შეიძლება იყოს განსაზღვრული.

მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ასე მორს წასვლა არ გვიფიქრია და არც დაგვჭირვებია.

ჩვენ გვინტერესებდა ერთი კონკრეტული ფაქტი: რა ფსიქიკურ-ლოგიკური საფუძველი შეიძლებოდა დასდებოდა ქართულ ზმნაში ინკლუზიის ფორმირებას და როგორ მოხდა თანდათან ინკლუზიე-ექსკლუზიის ფორმობლიკი დაპირისპირების შედეგად ამ ოპოზიციის გრამატიკულ კატეგორიად ჩამოყალიბება.

ჩვენ ამოდიოდით შემდეგი ლოგიკური საფუძვლებიდან: „ინკლუზიის ფორმაში I პირთან ერთად აღსანიშნავი II პირია. ინკლუზიი I პირთან ერთად აუცილებლად ჩარიცხავს II პირსაც, III პირი კი შეიძლება იგულისხმებოდეს, შეიძლება არა. ექსკლუზიის ფორმა... მხოლოდ I და III პირს გულისხმობს. ამგვარად, III პირის არსებობა ორივე ფორმაშია შესაძლებელი — ინკლუზიურშიც და ექსკლუზიურშიც. მნიშვნელობა ენიჭება იმას, არის თუ არა ჩარიცხული II პირი. თუ არის, კიდეც გამოიხატება სათანადო ნიშნით (ინკლუზივი), თუ

---

[1] მაგ., გრამატიკული ანალოგია სინამდვილეში ფსიქიკური პროცესის ენობრივი გაფორმება. პოლიპერსონალური ზმნის სისტემაში პირის ნიშანთა ინვერსიაც ფსიქიკური პროცესის გამოხატულებაა. სუბიექტური ძირებით მრავლობითი რიცხვის გამოხატვის წესის შეცვლა მრავლობითი რიცხვის ზოგადი გრამატიკული კატეგორიით ან ორობითი რიცხვის დაკარგვა ასევე თუ იმ ენაში ლინგვისტური საფუძვლები ვერ დაეძებნება. აქ, მართალია, მეცნიერება ენის განვითარების ზოგადი ტენდენცია — კონკრეტული გრამატიკული ფორმებიდან ზოგადი გრამატიკული კატეგორიებისაკენ მისწრაფებისა, მაგრამ ენის განვითარების ეს შინაგანი კანონზომიერება თავისთავად აზროვნების განვითარების ზოგადი ტენდენციის — კონკრეტულიდან აბსტრაქტულობისაკენ ტენდენციის — გამოვლენა და ასახვაა. კიდევ მრავალი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა იმის საჩვენებლად, რომ ხშირად ენობრივ პროცესებს ფსიქოლოგიური მოვლენები უდევს საფუძვლად.

არა — არარსებობა, ცხადია, არც აღინიშნება (ექსკლუზივი). აქედან ლოგიკურად გამოვიდა დასკვნა: (თავდაპირველად, ე. ი. ამ დაპირისპირების გაჩენის დროს) ინკლუზივს უნდა ჰქონოდა ნიშანი, ექსკლუზივს კი არა"[2].

ამგვარად, ჩვენ სრულებითაც არა გვქონია პრეტენზია და არც გვიფიქია დაგვედგინა, თუ „რა სახის დაპირისპირებები გამოიხატება აუცილებლად პრივატული (ან აუცილებლად ეკვიპოლენტური) ოპოზიციით", რასაც მოგვაწერს პატიეცეშელი რეცენზენტი. ჩვენ კონკრეტულ მაგალითზე წარმოვადგინეთ ერთ-ერთი შესაძლებელი ლოგიკური ვარაუდი იმისა, თუ როგორ შეიძლებოდა ენაში წარმოშობილიყო ე. წ. პრივატული ოპოზიცია (შემდგომი მსჯელობა კი ნათელყოფს, თუ როგორ ყალიბდება აქედან ე. წ. ეკვიპოლენტური ოპოზიცია: როგორ უჩნდება ნიშანი ექსკლუზივსაც).

ჩვენი ამ ლოგიკური დაშვების საწინააღმდეგოდ ავტორს მოუყავს ბაცბური ზმნის მაგალითი, სადაც თითქოს ამ დებულების „დამეტრალურად საწინააღმდეგო ვითარება დასტურდება: ნიშანი აქვს არა ინკლუზივს, არამედ სწორედ ექსკლუზივს, ინკლუზივი კი მას ამ ნიშნის უქონლობით უპირისპირდება" (გვ. 240). ავტორი აქვე იმოწმებს ი. ლეშერიეის ნაშრომს, სადაც წერია: «Форматив I-го л. мн. ч. атхо восходит к личному местоимению эксклюзиву мн. ч. (тхо «мы без вас», «без тебя»). Инклюзив («мы с вами», «с тобой») не имеет личной формы глагола»[3]. ამგვარად, ი. დეშერიეის მიხედვით ინკლუზივს არა აქვს პირიანი ფორმა, ხოლო атхо მის მიერ კვალიფიცირებულია როგორც I პირის მხ. რ. ფორმატივი. სხვაგან იმავე ავტორს აღნიშნული აქვს, რომ «форма глагола для инклюзива (вай) во всех временах соответствует форме для 3 л.»[3]. მაგრამ ეს ფორმა მას არ შეაქვს პირიანი უღელილების პარადიგმებში[4].

არც ერთ ნაშრომში, რომელშიც ბაცბური ზმნის უღელილებაზეა ლაპარაკი[5], პიროვანი უღელილების პარადიგმაში შეტანილი არ არის ინკლუზივის ფორმა, რომელიც სინამდვილეში ცოცხალ მეტყველებაში არსებობს ექსკლუზივის ფორმის პარალელურად: ბ ი ფ შ უ-თ ხ ო, ხ ი ბ ე-ა თ ხ, ხ ე ტ ტ ო-თ ხ (ექსკლ. „ვწუვართ", „ვსხდებით", „ვკითხულობთ") — ბ ი ფ შ უ-ვ ა ვ, ხ ი ბ ე-ვ ა ვ, ხ ე ტ ტ ო-ვ ა ვ (ინკლ.).

ისმის კითხვა: რა უშლის ხელს ხ ე ტ ტ ო-ვ ა ვ ტიპის ფორმათა პიროვანი უღელილების პარადიგმაში შეტანას? რატომ არ თვლიან ვა ელემენტს ფორმანტად?

ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის საკითხი ბაცბურ ზმნაში სპეციალურად შესწავლილი არ არის. ნათელი რომ გახდეს, თუ რა ვითარებაა ამ მხრივ სინამდვილეში, თავს ნებას მივცემთ ეს საკითხი უფრო ვრცლად განვიხილოთ. წინასწარ აღვნიშნავთ, რომ ბაცბურში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია გარჩეულია პირის ნაცვალსახელებში: ინკლ. ვა (სახ., ერგ.), ექსკლ. — თხო (სახ.), ათხ (ერგ.). ცნობილია, აგრეთვე, რომ ბაცბურ ზმნაში პიროვანი უღელილება ჩამოყალიბების პროცესშია. სუბიექტური პირისა და რიცხვის სუფიქსებად შესაბამისი ნაცვალსახელები ფორმდება: სტატიკურ ზმნებთან ნომინატივის ფორმით, დინამიკურებთან — ერგატივის ფორმით, ობიექტური პირის ნიშნებად კი მხოლოდ ნომინატივის ფორმით[6]. შესაბამისად ვა და თხო/ათხ ნაცვალსახელებიც ერთვის ზმნურ ფუძეებს I პირის ინკლუზიური და ექსკლუზიური შინაარსის გამოსახატავად.

ვა ნაცვალსახელი განსხვავდება ყველა სხვა ნაცვალსახელისაგან, რომელიც ზმნაში პირის ნიშნებად ფორმდება, შემდეგი ნიშნებით: 1. ყველა ნაცვალსახელს, რომელიც ზმნას

---

[2] იხ. დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. სტატია, გვ. 162.

[3] Ю. Д. Дешериев, Бацбийский язык, Москва, 1958, გვ. 85.

[4] Ю. Д. Дешериев, Бацбийский язык. «Языки народов СССР, IV, М., 1967, გვ. 240 (სქოლიო).

[5] Ю. Д. Дешериев, დასახ. ნაშრომები; ნ. ა ნ დ ღ უ ლ ა ძ ე, კლასიკური და პიროვანი უღელილების ისტორიის ზოგი საკითხი იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1968, გვ. 113, 163; კ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, წოვა-თუშური ენის ზმნაში კლასის, რიცხვისა და პირის გრამატიკული კატეგორიების ფორმალური და სემანტიკური ურთიერთობის საკითხისათვის, იხ. მისივე ნაშრომში „წოვა-თუშური და ქართული ენის ლექსიკისა და მორფოლოგიის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1979, გვ. 15.

[6] კ. ჭ რ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 26, 28; იხ. აგრეთვე, მისივე, მორფოლოგიური ინტერფერენციის შესახებ წოვა-თუშურში ენობრივი კონტაქტების თეორიის შუქზე, ენათმეცნიერება, თბ., 1977, გვ. 145.

ფორმებს, ნომინატივისა და ერგატივის ფორმები განსხვავებული აქვს, 2. ყველა ეს ნაცვალსახელი რედუქციას განიცდის ხმოვანფუძიან დინამიკურ ზმნებზე დართვისას: ხ ე ტ ტ ო-ს— ხ ე ტ ტ ო-ს, ხ ე ტ ტ ო-ა ჰი — ხ ე ტ ტ ო-ჰი, ხ ე ტ ტ ო-ა თ ხ—ხ ე ტ ტ ო -თ ხ. რაც შეეხება ვაი ნაცვალსახელს, მას ნომინატივისა და ერგატივისათვის ერთი ფორმა აქვს. ზმნის ფუძეზე დართვისას იგი შედგა ამ სრული ფორმით არის წარმოდგენილი და არავითარ ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის, 3. ნაცვალსახელურელემენტიან ფორმებთან იმავე ნაცვალსახელებას ხმარება ერთდროულად პრეპოზიციაშიც შეიძლება: ა თ ხ ხ ე ტ ტ ო-თ ხ, თუმცა შემორჩენილია ადრინდელი საფეხური: ა თ ხ ხ ე ტ ტ რ, ინკლუზივის შემთხვევაში კი (კ. ჭრელაშვილი, დ. წოტოიძე) მხოლოდ ერთ-ერთი ვარიანტია შესაძლებელი: ხ ე ტ ტ ო ვაი ან ვაი ხ ე ტ ტ რ.

მაგრამ, ამავე დროს, ინკლუზიის ფორმებში პოსტპოზიციური ვაი ნაცვალსახელის ფორმანტად კვალიფიკაციის სასარგებლოდ შემდეგი ფაქტორები შეიძლება დავასახელოთ: 1. ინკლუზიის ფორმაში, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, ჩვეულებრივი და გავრცელებელია პოსტპოზიციური ვარიანტი: ხ ე ტ ტ ო-ვ ა ჰ, პრეპოზიციული ვარიანტი (ძველი საფეხური) სპორადულად იხმარება. 2. მართალია, ვაი ნაცვალსახელი ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდის ზმნურ ფუძეებზე დართვისას და შედგა სრული სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ, ჯერ ერთი, სახელობითში დასმული არც ერთი ნაცვალსახელი არ იცვლის სახეს ზმნის ფუძეზე დართვისას; ასევე არ განიცდის ცვლილებას ერგატივის ფორმაც თანხმოვანფუძიან დინამიკურ ზმნებთან; და მეორე: ანალოგიურ შემთხვევაში -მან (ძველი ქართულისა) ისევე იცვლება მოთხრობითის ნიშნად, როგორც -ი (—იგი) სახელობითისა. ცხადია, ამას ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ მან ნაცვალსახელი აფიქსის როლში სრული სახით არის წარმოდგენილი. 3. ვაი ნაცვალსახელი პოსტპოზიციის შემთხვევაში აშკარად ენკლიტიკადაა ქცეული და გამოთქმაში თითქოს წინამავალ ზმნურ ფუძესთანაა შერწყმული (ასე ჩანს სმენითი ანალიზის მიხედვით, საინტერესო იქნებოდა ოსცილოგრაფის ჩვენება). 4. დაბოლოს, რაც ყველაზე მთავარია, ვაი ხ ე ტ ტ რ სინტაგმის წევრები შეიძლება გაითიშოს რაიმე სიტყვით, მაშინ, როდესაც ხ ე ტ ტ ო ვ ა ი წყვილის გათიშვა არ შეიძლება (კ. ჭრელაშვილი, დ. წოტოიძე). ეს კი გვიჩვენებს, რომ იგი სინტაგმა კი არ არის, არამედ ერთი ფორმაა და, მაშასადამე, -ვაი შეიძლება ჩაითვალოს ფორმანტად.

მართალია, ინკლუზივ-ექსკლუზივის გამოხატვის საკითხი ბაცბურში სპეციალურად არ არის შესწავლილი, მაგრამ, ვფიქრობთ, ზემოთქმულიდანაც კარგად ჩანს, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბება ბაცბური ზმნის პირიან ფორმებში სულ სხვა პირობებში ხდება, ვიდრე ეს საკარაულოა ჩვენ მიერ განხილული ქართული ზმნის შემთხვევაში: კერძოდ, პირისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია ბაცბურ ზმნაში თანადროულად ყალიბდება და ერთი პრინციპითაა საფუძველდებული — პირის ნაცვალსახელთა პოსტპოზიციის გზით ამ ნაცვალსახელების ფორმანტებად ქცევა. თუ რომელი უფრო ადრე ფორმდება როგორც ფორმანტი, ეს, ალბათ, ფორმათა ხმარების სიხშირეზე და ფონეტიკურად ხელსაყრელ პირობებზეა დამოკიდებული.

ამგვარად, ბაცბურის მონაცემები, თუნდაც რომ ექსკლუზივი იყოს გაფორმებული, ინკლუზივი კი არა (როგორც ამას ალ. ონიანი ფიქრობს), არ ეწინააღმდეგება ჩვენს ვარაუდს იმის შესახებ, რომ ქართულში თავდაპირველად შეიძლებოდა მარკირებული ყოფილიყო ინკლუზივის ფორმა. ბაცბური ზმნის ამ მონაცემებიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ერთი და იმავე კატეგორიის ფორმირება ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა ენობრივ კოლექტივში შეიძლება სხვადასხვა ხასიათის მოვლენებით იყოს მოტივირებული და განსაზღვრული, რაც მეტად საინტერესოა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით.

მას შემდეგ, რაც საფუძველი დაეძებნა ინკლუზივის ფორმის სპეციალური ნიშნით გამოყოფას, ჩვენ ვსცადთ კითხვას: „რა პრინციპი უნდა დასდებოდა საფუძვლად ინკლუზივის კატეგორიის გამოხატვის წესს?" პრინციპი მარტივი უნდა ყოფილიყო: ფორმაში I პირთან ერთად იგულისხმება II პირიც და მოსალოდნელია, რომ ნიშნებიც ორივე პირისა ყოფილიყო წარმოდგენილი: O_2+O_1 "გმ—გუ, სადაც გ-ს მომდევნო პოზიციაში თავდაპირველად თანხმოვნების წინ, (გმC), შემდეგ კი ანალოგიით ხმოვნების წინაც (გმV) ‖ გადადიოდა უმარცვლო უ-ში. ეს აზრი ჩვენ არ გვაკუთვნის. ცნობილია, რომ გუ- პრეფიქსის გმ-საგან მომდინარეობის შესაძლებლობა დაუშვა ვ. თოფურიამ. ჩვენ ეს სათანადოდ მითითებულიც გვაქვს, ოღრამ ამჟერად საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ შესაბამისი კონტექსტი მისი ფუნდამენტური ნაშრომიდან სეანური ზმნის შესახებ: „გუ- პრეფიქსით ნაგულისხმებია „მე" და „შენ",

„თქვენ". ორსავე პირს საკუთარი მ- და გ- ნიშანი გააჩნია. როგორც ამ ფორმანტთა მსგავსება, ისე გუ-ს ფუნქცია გვაბედინებს დაეუშვათ, რომ „გუ- გ-+მ-, ე. ი. გუ- შეიცავს II და I პირის ობიექტურ პრეფიქსებს. ფონეტიკურად გუ-ს მიღება გმ-საგან შეუძლებელი არ ჩანს[7].

ამგვარად, ინკლუზიის ნიშნად "გმ არქეტიპის რეკონსტრუქცია, ერთ ერთი, ეეკუთვნის ე. თოფურიას და, მეორეც, გაუგებარია, რატომ თელის ალ. ონიანი, რომ „ამგვარი რეკონსტრუქცია წინასწარ შემუშავებულ, ინდიგენისტურ კრიტერიუმზეა დაფუძნებული?" ვანა არ არსებობს მსგავსი მაგალითები, როდესაც ორი სხვადასხვა აფიქსის კომბინაციით მიღებული ახალი აფიქსი? რაც შეეხება ამ შემთხვევაში ინდიგენისტური მეთოდის გამოყენებას, შედარებითი რეკონსტრუქციის გზით ქართულ-სვანურის მასალის მონაცემების საფუძველზე საერთოქართველურის დონეზე აღადგენენ გუ- პრეფიქსს, ანის იქით კი ლინგვისტური მეთოდით ახსნას გუ- პრეფიქსის შედგენილობისა ალ. ონიანი არ ეთანხმება. მაგ., იგი უარყოფს ტ-ს წინ გ-ს ფონეტიკური განვითარების შესაძლებლობას, რაც არნ. ჩიქობავამ იეარაუდა[8].

ზემოთ წარმოდგენილი ჰიპოთეზის (ინკლუზიის ნიშნის ორი პრეფიქსის კომბინაციით მიღების) გაზიარებას, ე. თოფურიას აზრით, ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ სვანურში სუბ. უღელილებაში ექსკლუზიის ნიშნად მიჩნეულია ხუ- პრეფიქსი, რომელიც ზემოთ მიღებული წესის მიხედვით S_1+S_3-ს უნდა გულისხმობდეს. შედგენილობის მიხედვით კი გამოდიოდა, რომ: S_2(ხ)+S_1(ე), რაც მის ფუნქციას არ შეესაბამება. ეს წინააღმდეგობა თითქოს მოხსნა ჩვენ მიერ წამოყენებულმა ვარაუდმა, რომ ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბების საფეხურზე ექსკლუზივს არ უნდა ჰქონოდა საგანგებო ნიშანი, რომ ხუ-პრეფიქსი ხუ-ჯრი-დ ტიპის ფორმებში დატვირთულია მხოლოდ პირის ნიშნის ფუნქციით და, ამგვარად, იგი არ წარმოადგენს პირის ნიშანთა კომბინაციას (აქ ჩვენთვის პრინციპში მნიშვნელობა არ ჰქონდა, მივიღებდით ვარაუდს ხუ-ს, როგორც S_1-ის არქეტიპის შესახებ, თუ ხ-ს მიეკუთვნებდით ტ-ს წინ ფონეტიკურად განვითარებულად). საბოლოოდ ვასკვნიდით, რომ სვანურში ექსკლუზივის ფორმაში ხუ- არის პირის ნიშანი. რომელიც ამისაკენ (ე. ი. ამ კატეგორიის ჩამოყალიბების საფეხურზე) ვერ გაზიარებდა ექსკლუზივის (რომელიც ერთზე მეტი პირის გაგებას შეიცავს) ფუნქციას. ხოლო, რაც შეეხება ინკლუზივის ლ- პრეფიქსს, აქ დაეუშვით შემდეგი ვარაუდის შესაძლებლობა: სუბიექტურ უღელილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიის ჩამოყალიბებისას სვანურში S_1-ს პრეფიქსი ეკეე ხუ-ს სახით იყო წარმოდგენილი და ამიტომ ინკლუზივის გამოხატვას საფუძველად ვერ დაედებოდა S_1+S_2 ნიშანთა კომბინაცია, რადგანაც ასეთ შემთხვევაში მოხდებოდა სრული ნეიტრალიზაცია ინკლუზივ-ექსკლუზივის ფორმათა ოპოზიციისა (ეს ფორმები აბსოლუტურად დაემთხვეოდა ერთმანეთს: ხუ- ათურა-დ—*ხ-ხუ-ათურა-დ — ხუ- ათურა-დ). ჩვენი დაშვების მიხედვით, სუბიექტურ უღელილებაში ინკლუზივ-ექსკლუზივის დაპირისპირება შესაძლებელია უფრო გვიან მოხდა (საფიქრებელია, რომ საერთოქართველურიდან სვანურის გამოყოფის შემდეგ, რადგანაც ქართულში ეკალიც კი არ არის დარჩენილი სუბ. უღელილებაში ამ ოპოზიციის არსებობისა. ჩანს, ქართულში სუბიექტურ უღელილებაში ეს დაპირისპირება ადრე განვითარებული და ობიექტურშიც თანდათან მოიშალა, რასაც ადგილ ხელი შეუწყო ექსკლუზივის ფორმის 0 პირის ბხ. რ. ფორმასთან სრულმა დამთხვევამ).

ჩვენ დაეუშვით ერთ-ერთი ასეთი შესაძლებლობა: რომ სუბიექტურ უღელილებაში სვანურში ინკლუზივის ფუნქციით შეიძლებოდა დატვირთულიყო ფუნქციადაკარგული პრეფიქსი ლ-, რომელიც, როგორც პირის ნიშანი, დღეს გადმონაშთის სახით დაცულია ცხობილ ხუთ ზმნაში (და რომლის პოზიციური ნ- და ჲ- ვარიანტები მ. ქალდანმა სხვა შემთხვევებშიც დადასტურა). ამას თუნდაც ისიც ადასტურებს, რომ საგანგებო ძიებაა საჭირო მისი ვარიანტების აღმოსაჩენად და კიდევ ისიც, რომ კავშირებითის ფორმებში, სადაც საზოგადოდ პირის გამოხატვა -ხ სუფიქსს აკისრია, ეს სუფიქსი ლ- პრეფიქსიან ფორმებსაც დაერთვის (ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, რა წარმოშობისად მიეჩნევთ ამ სუფიქსს -- კავშირე-

---

7 ე. თ ო ფ უ რ ი ა, შრომები, I სვანური ენა, I, ზმნა, 1968, გვ. 26.

8 უკანასკნელისმიერ თანხმოვანთა განვითარების შესახებ ქართველურ ენებში იხ. ავტორთა ე. თ ო ფ უ რ ი ა; ჟ სონანტის გადასვლა ღვ, ჯვ, ქვ-დ, ფონეტიკური დაკანონებანი ქართველურ ენებში, შრომები, III, 1979, გვ. 57; ლ. კ ი კ ნ ა ძ ე, ხ ბგერის განვითარების შესახებ ქართულში, თსუ შრ., ტ.24.

ბითი კილოს ოდინდელი ნიშნის ერთ-ერთ კომპონენტად თუ ქართულიდან სვანურში ნასესხებად). ალ. ონიანს მეცდარად მიაჩნია ჩვენი აზრი იმის შესახებ, რომ ლ- პრეფიქსი ფუნქციადაკარგულია. მაგრამ განა რამდენიმე ზმნაში ან თუნდაც ზმნათა განსაზღვრულ ჯგუფში დღეს დაცული ლ- პრეფიქსი თავისი პოზიციური ვარიანტებითურთ შეიძლება ჩითვალოს S_3 პირის ორდინარულ, ჩვეულებრივ, მოქმედ ფორმანტად? ეფიქრობთ, რომ არა. ისევე, როგორც ასეთად ვერ ჩითვლება ქართულში ორად ორ (ხ-არ, ხ-ვალ — ხ-ვედ) ზმნაში დადასტურებული ხ- პრეფიქსი. მას შემდეგ, რაც ჩვენ დაკარგეს ზოგადი გაგება მოქმედი ფორმანტისა, შეუზარდნენ რამდენიმე განსაზღვრულ ფუძეს და მხოლოდ ამ ფუძეებში ქმნიან ოპოზიციას დანარჩენ ორ წევრთან, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათი გამოყენება განისაზღვრება არა ქართული და სვანური ზმნის ფონოლოგიური ან მორფოლოგიური სტრუქტურით, არამედ მხოლოდ ამ რამდენიმე ძირეული მორფემით (რომელთა შორის საერთო შეიძლება მხოლოდ ის იყოს, რომ ისინი ხშირად სახმარისნი არიან და დაახლოებით ერთ სემანტიურ წრეს ეკუთვნიან). ზედმეტია მტკიცება, რომ დღეს ისინი გამონაკლისად, ანომალიად, ძველად მოქმედი ნორმის ნაშთად გვეელინებიან. ამავე აზრისაა ვ. თოფურიაც, რომელიც თავისი ნაშრომის მე-3 გვერდზე წერს: „ლი, ლგ, ლახუ, ლალემ, ლალგ“ ზმნებში დაცული ლ- ნიშანი ნაშთად უნდა მიეჩნიოთ III სუბიექტური პირისა“. და საინტერესოა, რომ ამავე ამბობს თვითონ ალ. ონიანიც, როცა ეს მას სჯერდება. იგიც თქვა, რომ ლ-, ისევე, როგორც ხ- არის „არქაიზმი, ისტორიული ნორმის ნაშთი“ და იქვე აღნიშნავს, რომ „ასეთი ერთეულები ენის სინქრონულ სისტემაში ქმნიან ე. წ. „გამონაკლისებს“ ან „ანომალიებს“. ამგვარი მორფოლოგიური ერთეულებია, მაგ., მეორე სუბიექტური პირის აღმნიშვნელად მიჩნეული (ხ-) თანამედროვე ქართულში, მესამე სუბიექტური პირის გამომხატველად მიჩნეული (ლ-) სვანურში და სხვ.“ (გვ. 12). ამგვარად, როგორც ეხედავთ, აქ სადავო არაფერი ყოფილა.

ახლა — რაც შეეხება ლ- პრეფიქსის თავლიბერეულ ფუნქციას: როგორ შეიძლება მას დაკავშირებოდა ინკლუზიების ფუნქცია? ცნობილია, რომ S_3-ის ოდინდელ ნიშნად სვანურში მიაჩნიათ ლ- პრეფიქსი, რომელსაც ქართულში ნ- სუფიქსს უკავშირებენ (ვ. თოფურია). მ. ჭალდანი და ალ. ონიანი ლ- პრეფიქსს აღიდგენენ საერთოქართველურისათვის S_3 პირის ნიშნის არქეტიპად. მაგრამ არსებობს სხვა მოსაზრებაც: ნ. ანდღულაძე კავკასიური ენების მონაცემებზე დაყრდნობით და ქართველურ ენათა პირის ნიშნების სისტემის შედარებითი ანალიზის საფუძველზე ვარაუდობს, რომ საერთოქართველურში პიროვანი უღელილების ჩამოყალიბებისას და დიფერენციაციის მომენტისთვის მესამე პირის ფორმა უნიშნო უნდა ყოფილიყო, ლ- პრეფიქსი კი, გრამატიკული კლასის ექსპონენტი უნდა იყოს (სათანადო არგუმენტები იხ. ნ. ა ნ დ ღ ულ ა ძ ი ს დასახ. ნაშრომში, გვ. 162 და შდ. § § 27, 29, 30). ამ მხრივ საყურადღებოა ბაცბერი ზმნა, რომელშიც დღეს, პიროვანი უღელილების ჩამოყალიბების ეტაპზე, III პირი ნულოვანი აფიქსით უპირისპირდება I და II პირებს. ამასთანავე, იმ ზმნებში, რომლებშიც გრამატიკული კლასის ნიშნები იხმარება, დღეს ადგილი აქვს მეტად საყურადღებო მოვლენას: „ზმნა ერთდროულად დაირთავს როგორც გრამატიკული კლასის ნიშანს, ისევე პირის ნიშანსაც. პირველს უკავია პრეფიქსული პოზიცია, ხოლო მეორე სუფიქსად ფორმდება“[9]. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბაცბერი ენის განეთარების ამ ეტაპისათვის ყველა ზმნა ალარ დაირთავს გრამატიკული კლასის ნიშანს. ძალაუნებურად ისმის კითხვა, ანალოგიური ვითარება ხომ არ უნდა გვქონოდა ლ- კლასის პრეფიქსთან დაკავშირებით სვანურის შემთხვევაში? მაშინ ადვილად აიხსნებოდა ის ფაქტი, რომ წარმოშობით კლასის ნიშანი ლ- პრეფიქსი ზმნათა S_3 პირის ფორმის მხოლოდ ერთ განსაზღვრულ ნაწილშია შემორჩენილი. რადგანაც ქართველურ ენებში პირის გამოხატვის პრინციპი პრეფიქსულია, S_1 და S_2 პირის ფორმებში კლასის ნიშნის ადგილს პირის ნიშნები დაიკავებენ და, ამგვარად, ხუ- — ხ- — ლ- ოპოზიციის ჩამოყალიბების შედეგად ლ- ამ ჯგუფის ზმნებში რეინტერპრეტირებულ იქნა S_3 პირის ნიშნად. შეიძლება ვიფიქროთ, რომ პიროვანი უღელილების ჩამოყალიბების პერიოდში ისახება რა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიაც (რომელიც პირის კატეგორიის გაგებასაც შეიცავს), სუბიექტურ უღელილებში ინკლუზივის ნიშნად ფუნქციადაკარგული ლ- კლასის ნიშანი იქნა გამოყენებული, რაც მოულოდნელი არ უნდა იყოს. ეს ვარაუდის სახით.

ახლა კი დაუბრუნდეთ ისევ ალ. ონიანის შენიშვნებს. 1-ლი და მე-5 შენიშვნები შეეხება ექსკლუზივის ფორმებში ზ- და ხუ- პრეფიქსების კვალიფიკაციის საკითხს (ოდენ პირის ნიშნებია ისინი თუ ექსკლუზივისაც). ჩვენი აზრით, O_1-ის ზ- პრეფიქსს, ისევე როგორც

---

[9] ვ. ჭ ი ბ ა ხ ა ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

S_1-ის ხუ- პრეფიქსს ისტორიულად არ შეიძლება ჰქონოდა ექსკლუზივის კატეგორიის (რომელიც მრაველობითი რიცხვის გაგებასაც შეიცავს) გამოხატვის ფუნქცია სათანადო ფორმებში. ამ მოსაზრებას გამოთქვამთ, ვითვალისწინებთ რა იმას, რომ ქართული ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემაში აგლუტინაციური პრინციპი აშკარად დომინირებული პრინციპია ისტორიულად. ფლექსიური ტიპის გამოვლენის გამონაკლისი შემთხვევები კი ქართული ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემაში მეორეული ჩანს და ამოსავალში სტრუქტურული თვალსაზრისით აგლუტინაციურ ტიპს გვაკარაუდებინებს (მხედველობაში გვაქვს O_1 მრ. რ.-ისა და S_3 პირისა და რიცხვის გამოხატვის წესი თანამედროვე ქართულში). თვით აღ. ონიანიც არათუ არ უარყოფს, არამედ მის მიერ წამოყენებული მოსაზრებებით (გუპრეფიქსის თავდაპირველი ფუნქციისა და პირისა და რიცხვის გამოხატვის თავდაპირველი ვითარების შესახებ) ძალაუნებურად მხარს უჭერს და ამტკიცებს კიდეც აგლუტინაციის პირველადობას ქართული ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემაში.

მაგრამ, სამწუხაროდ, აღ. ონიანი ზოგად კონტექსტში ათავსებს ამ კონკრეტული შემთხვევის გამო ჩვენ მიერ ჩამოყალიბებულ აზრს და დასკვნის, თითქოს ჩვენ ვამტკიცებდეთ, რომ „ენის განვითარების ერთი საფეხურისათვის შეუძლებელია ისეთი ვითარების დაშვება, როგორიც ფაქტია მეორე საფეხურზე" (გვ. 239). ცხადია, ასეთ დასკვნას არაეთარი ლოგიკური გამართლება არ ექნება, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იგი სრულიადაც არ გამომდინარეობს ჩვენი მსჯელობიდან.

ამგვარად, ვითვალისწინებთ რი ქართული ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის სისტემაში აგლუტინაციური პრინციპის ისტორიულ პირველადობას, გამოთქვამთ მოსაზრებას, რომ ამოსავალში, ე. ი. იმ ქრონოლოგიურ საფეხურზე, როდესაც ყალიბდებოდა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია, მის გამოხატვას ზმნაში, საფიქრებელია, რომ აგლუტინაციური პრინციპი დასდებოდა საფუძვლად და პირის ნიშანი ასეთ შემთხვევაში ვერ გაიზიარებდა სხვა ფუნქციას, მით უფრო — ექსკლუზივისას, რომელიც მრაველობითის გაგებას შეიცავდა. ამგვარად, ექსკლუზივი თავიდან ოპოზიციის არამარკირებული წევრი უნდა ყოფილიყო. ივი რაიმე ნიშნით არ იღებდა მონაწილეობას ოპოზიციაში მანამ, სანამ ეს არ მოითხოვა ობიექტურმა უღელლებამ, სადაც არაინკლუზიური შინაარსის I პირის მრაველობითის ფორმა მალიანად ემთხვეოდა მხოლობითის ფორმას (მხ. რ. — მ-უღუ, ინკულ. — გუ-ღუ, ექსკლ.— მ-უღუ). აქ თავდაპირველი პრივატული ოპოზიცია (ნიშნიანი ინკლუზივი — უნიშნო ექსკლუზივი) თანდათან საჭირო გახდა შეცვლილიყო ეკვიპოლენტური ოპოზიციით (საფიქრებელია, რომ სწორედ ამ მორფოლოგიურმა საჭიროებამ მისცა ბიძგი ნ ა ჯ ა — ნ ა ჯ ა ნ ა ჯ ა ფონეტიკურ-ფსიქოლოგიური პროცესის განხორციელებას) და, ამგვარად, სვანურში ობიექტურ უღელლებაში ექსკლუზივი საბოლოოდ გაფორმდა სპეციალური ნიშნით -ნ პრეფიქსით. სამაგიეროდ, ოპოზიცია პრივატული დარჩა სუბიექტურ უღელლებაში, სადაც არაინკლუზიური (ექსკლუზიური) შინაარსის მრაველობითი მხოლობითის ფორმისაგან ისევაც განსხვავდებოდა მრ. რ. -დ სუფიქსით (მხ. რ. ხ ე-ა თ ე ს — ექსკლუზიური შინაარსის მრაველობითი ხ ე-ა თ ე ს ი-დ)[10]. ჩვენგან განსხვავებით, აღ. ონიანი ამკვნის, რომ მ- და ხუ- პრეფიქსები ექსკლუზიურ ფორმებში ფლექსიური ხასიათისაა ისტორიულად. მისი ანალიზის შედეგები მოკლედ ასე შეიძლება წარმოვადგინოთ: ხ ე-ა თ ე ს ი — ხ ე-ა თ ე ს ი-დ ოპოზიციაში ხუ- პირის ნიშანია, ხოლო ხ ე-ა თ ე ს ი-დ — ლ-ა-თ ე ს ი-დ ოპოზიციაში იმავე ხუ-ს ექსკლუზივის ნიშნის ფუნქცია აქვს. ანალიზი ამავე პრინციპით ტარდება, როგორითაც მაგ. რუსულში: **дела-ю** — **дела-ем** ოპოზიციაში **-ем** მრაველობითის ნიშანია მაშინ, როდესაც **дела-ем** — **дела-ете** ოპოზიციაში **-ем** პირის ნიშანია და, ამგვარად, **-ем** სუფიქსი ფლექსიური ხასიათისაა. მსგავსი ანალიზის საფუძველზე გ-ხ ა ტ ა ვ-ს (ის შენ) ფორმაში **ვ-** პრეფიქსი თუ C_2-ის ნიშანია, გ ხ ა ტ ა ვ (მე შენ) ფორმაში იგი ფლექსიური შინაარსისა გამოვი და O_2-თან ერთად შესაბამისად დაიტვირთებოდა S_1 პირის ნიშნის ფუნქციითაც, რაც გამო-

---

10 სხვათა შორის, ქვემო სვანურში ეს კატეგორია ობიექტურ უღელლებაში მოიშალა, როგორც ვარაუდობენ, ქართულის გაელენით, რაც, ჩვენი აზრით, განხორციელდა აღბათ იმის გამო, რომ აქ ექსკლუზივის ფორმა, როგორც ჩანს, არ დაპირისპირებია, ერთი მხრივ, ინკლუზივისა და, მეორე მხრივ, მხოლობითის ფორმას (ე. ი. არ მისცემია გასაჭანი მ-—ნ-ფონეტიკურ პროცესს), მაშინ, როდესაც ქვემო სვანურშივე ეს კატეგორია განაგრძობს არსებობას სუბიექტურ უღელლებაში სწორედ იმიტომ, რომ ექსკლუზივის ფორმა (ხუ- — -დ) ხუ- S_1 პირის პრეფიქსით უპირისპირდება ინკლუზივისას (ლ- — -დ) და -დ მრაველობითის სუფიქსით — მხოლობითისას (ხუ- — Ø).

რიცხულია, რადგანაც ცხადია, რომ · g-ხ ა ტ ა ე ფორმაში S_1-ის ნიშანი Ø-ია (რაშიც, ეფიქრობთ, ალ. ონიანიც დაგვეთანხმება). ასევე ეთვლით ხ ტ-ა თ უ რ ი-დ ფორმაშიც: ხტ- მიგვაჩნია პირის ნიშნად, ექსკლუზიულ ნიშნად კი Ø.

ბოლო შენიშვნა შეეხება სიტყვას ამოხავალი. რეცენზენტი მოგვაწერს პრეტენზიას, თითქოს ჩვენ მიზნად გვქონდეს დასახელი ამოხავალი (ამ სიტყვის აბსოლუტური მნიშვნელობით?) ეითარების დადგენა. მაგრამ ამ სიტყვას ჩვენ, ისევე როგორც ალ. ონიანიც (იხ. გვ. 237), ეხმარობთ კონკრეტულ-რელატიური მნიშვნელობით, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში ამოსავალ ეითარებად ივარაუდება ენის განეითარების ის პერიოდი, როდესაც ზმნაში ისახებოდა ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორია. ეს პერიოდი კი, როგორც ზემოთაც აღენიშნეთ, უნდა ემთხვეოდეს საერთოქართველური ფუძე ენის განეითარების იმ საფეხურს, როდესაც ხდება სვანურის გამოყოფა. დიფერენციაციის შემდეგ სვანურში ეს კატეგორია თანდათან გაძლიერდა, მეგრულში კეალიე არ ჩანს მისი არსებობისა, ქართულში კი შესუსტდა და თანდათან გაქრა. ამას გეაკარაუდებინებს გუ- პრეფიქსის, თუმცა სხვა ფუნქციით, შემონახვა, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყო მიცემითში დასმული სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების სისტემაში დაწყებულ ცვლილებებს (კერძოდ, სტატიკური ზმნების ინვერსიის შედეგად მიცემითში დასმული ობიექტისათვის ზმნის რიცხვში შეთანხმების ძალის თანდათანობითი მოპო�sა, რაც I პირიდან უნდა დაწყებულიყო).

ამგვარად, ჩვენი სტატიის მიზანი იყო გარკვეულ ლინგვისტურ წანამძღვრებზე დაყრდნობით გვეჩვენებინა, თუ რა ლოგიკურ-ფსიქიკური საფუძვლებით შეიძლებოდა ყოფილიყო მოტივირებული ერთი კონკრეტული გრამატიკული კატეგორიის გამოხატვა ამ კატეგორიის ჩამოყალიბების პროცესში. შედეგად მიღებული დასკვნა ერთ-ერთი შესაძლებელი ვარაუდია, რომელსაც, თავისთავად ცხადია, არა აქვს პრეტენზია იყოს ერთადერთი. ამიტომ ჩვენთვის სრულიად გაუგებარია რეცენზიის კატეგორიული საბრძოლო ტონი.

ეეთანხმებით პატივცემულ ალ. ონიანს იმაში, რომ „ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიაში დღემდე მოპოვებული კოლოსალური მიღწევების სათანადოდ ათვისება“ აუცილებელია, მაგრამ აქვე გვინდა შეეახსენოთ მას, რომ ამ მიღწევების გამოყენებას წარმატებიან მოტანა შეეძლა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს გამოყენება 1. თვითმიზნური არ იქნება, 2. მხოლოდ ფორმალურ, ტერმინოლოგიურ მხარეს არ გულისხმობს და 3. ახალ შედეგებს მისცემს მეცნიერებას.

ახლა ვნახოთ, თუ რა სურათს გვიჩვენებს ამ თვალსაზრისით თვით ალ. ონიანის ნაშრომი.

ალ. ონიანს ათვისებული და გამოყენებულიც რომ აქვს „ლინგვისტური კვლევის მეთოდოლოგიაში (და არა მარტო მეთოდოლოგიაში) დღემდე მოპოვებული კოლოსალური მიღწევები“, ეს კარგად ჩანს მისი ზემოთ დასახელებული ნაშრომიდან:

1. წიგნის შესავალ ნაწილში გადმოცემულია თანამედროვე დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში შემუშავებული ლინგვისტური კვლევის, სტრუქტურული ანალიზის პრინციპები, რომლებიც ჩამოყალიბებულია რიგ უცხოელ ენათმეცნიერთა ნაშრომებში (ისინი კეთილსინდისიერადაა დამოწმებული); გადმოცემულია აგრეთვე, ისტორიულ-შედარებით ენათმეცნიერებაში დიდი ხნის წინათ შემუშავებული და რიგ თანამედროვე უცხოელ თუ საბჭოთა ენათმეცნიერთა შრომებში განეითარებული და დახვეწილი ლინგვისტური რეკონსტრუქციის მეთოდები და ხერხები, რომლებიც საფუძვლად დასდებია ალ. ონიანის ნაშრომს...

2. ნაშრომის ძირითად ნაწილში ავტორი იძლევა ზმნის პირისა და რიცხვის მორფემათა სტრუქტურულ ანალიზს თითოეულ ქართველურ ენაში და ეს ანალიზი მთლიანად ეყრდნობა ქართველ ენათმეცნიერთა მიერ მოპოვებულ მასალასა და მათს გამოკვლევებს (ძირითადად ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ი. ყიფშიძის, გ. მაჭავარიანისა და სხვათა შრომებს). აქ, როგორც მოსალოდნელი იყო, ახალი არაფერია ნათქვამი: ფაქტები დიდი ხანია დადგენილი იყო, ოღონდ ავტორმა სათანადოდ (დესკრიფციულ ენათმეცნიერებაში მიღებული წესების მიხედვით) შეაცალა ტერმინოლოგია და მორფემათა ჩაწერის წესები. გამონაკლისს წარმოადგენს სვანური მასალის ანალიზის საფუძველზე მიღებული მნიშვნელოვანი დასკვნა, რომ მრავლობითი რიცხვისა და ინკლუზივ-ექსკლუზივის კატეგორიები სხვადასხვაა და ზმნაში ისინი განსხვავებულ მორფემებით უნდა ყოფილიყო გამოხატული (ავტორის ამ მიგნებას ჩვენს ზემოთ ღასახელებულ სტატიაშიც განსაკუთრებით აღენიშნაედით და ვეყრდნობოდით კიდეც მას).

3. ახლა რაც შეეხება დიდი ხნის წინათ დადგენილი ფაქტების იმ ახალ ინტერპრეტაციებს, რომელთაც ავტორი გვთავაზობს თავისი ნაშრომის ძირითად ნაწილში. — შეეხებით მხოლოდ რამდენიმე საკითხს, სადაც კარგად ჩანს ალ. ონიანისათვის დამახასიათებელი კვლევის სტილი:

პირველ რიგში ტერმინების — „საველდებულო“ და „არასავალდებულო“ პირის შესახებ. ავტორი პირის ნიშანთა ინვერსიის პრობლემასთან დაკავშირებით (ამ საკითხის მოხსნის მიზნით) განიხილავს ტრადიციული ტერმინების — „სუბიექტი“ და „ობიექტი“ — ეარგისიანობას და დასკვნის, რომ ეს ტერმინები ქართულისათვის არ გამოდგება, რადგანაც ზმნის პირის „ნიშნები არ გამოხატავენ პირის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირებას: სხვაგვარად რომ ვთქვათ, არ შეიძლება არც ერთი მათგანის არც სუბიექტური და არც ობიექტური პირის აღმნიშვნელად მიჩნევა“ (გვ. 39). ამის საფუძველზე ალ. ონიანი საჭიროდ და უმჯობესად მიიჩნევს არსებული ტერმინების შეცვლას და გვთავაზობს შემდეგს: „/ვ/-ს რიგის ნიშანს შეიძლება ვუწოდოთ საველდებულო ანუ ობლიგატორული პირის ნიშანი, ხოლო /მ/-ს რიგის ნიშანს — არასავალდებულო ანუ არაობლიგატორულო“.

ამ ტერმინების შემოტანას იგი დასაშვებად მიიჩნევს იმ მცდარი დასკვნის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც თითქოს „ქართულში (ისევე, როგორც სხვა ქართველურ ენებში) არ არსებობს ზმნის პირიანი ფორმა, რომელიც არ შეიცავდეს /ვ/-ს რიგის ნიშანთა რომელიმე წარმომადგენელს, მაშინ, როდესაც იმავე ფორმაში /მ/-ს რიგის ნიშნის არსებობა საველდებულო არაა. ზმნის პირიან ფორმაში იგი შეიძლება არსებობდეს, შეიძლება არა“11. ქართული და ქართველური ენებისათვის ობლიგატორული პირის განსაზღვრა მხოლოდ აბსოლუტური ზმნების კონსტრუქციიდან ამოსელით გამართლებული არ არის, რადგანაც ასეთ შემთხვევაში იჩქმალება ქართული ზმნის პოლიპერსონალური ხასიათი. ის, რომ ზმნის პირიან ფორმაში სუბიექტი ყოველთვის იგულისხმება და აღინიშნება კიდეც ზმნაში, ობიექტი კი შეიძლება არ იგულისხმებოდეს (აბსოლუტურ ზმნებში), ჩვეულებრივია არა მარტო ქართული და ქართველური ენებისათვის, არამედ საერთოდ, ყველა იმ ენისათვის, რომელშიც პიროვანი ეფექტი არსებობს. მაგრამ ქართული და ქართველური ენებისათვის სპეციფიკურია სწორედ ის, რომ, თუ ზმნა იცვლება ობიექტური პირის მიხედვით, მაშინ მისი აღნიშვნა ისევე საველდებულოა, როგორც სუბიექტური პირისა. ე. ი. სინტაქსური (მართვის) თვალსაზრისით სუბიექტი და ობიექტი თანასწორუფლებიანია. ამიტომ ობლიგატორული პირის განსაზღვრისას რელატიურ ზმნათა გამორიცხვა ქართული და ქართველური ენების შემთხვევაში დაამახინჯებდა ფაქტობრივ ვითარებას: ქართულში ობიექტური პირი, თუკი ის საერთოდ არსებობს, ისევე ობლიგატორულია, როგორც სუბიექტური. ზოგჯერ კი, მაგ., სუბიექტურ და ობიექტურ პირთა კომბინაციის დროს (კერძოდ, S_1O_2 ან S_2O_1 შემთხვევაში) ზმნაში ფორმალურად აღინიშნება გრამატიკული ობიექტი, გრამატიკული სუბიექტი კი აღუნიშვნელია, ე. ი. საველდებულოა სწორედ მანის რიგის ნიშნის წარმოდგენა, ვინის რიგისა კი წარმოდგენილი არ არის, ე. ი. Ø-ია (ა. შანიძის აზრით, დაკარგულია)12. ამგვარად, ქართულში, ინდოევროპულისაგან განსხვავებით, ობლიგატორულია მანის რიგის ნიშნებით წარმოდგენილი პირიც — მორფოლოგიური ობიექტიც.

ესეც რომ არ იყოს, საკითხავია, რისთვის დასჭირდა ალ. ონიანს ეს უსასრულო რიგი მტკიცებისა, როცა იგი საველდებულო პირის ქვეშ იმავე ტრადიციულ ე. წ. მორფოლოგიურ სუბიექტს გულისხმობს და არასავალდებულოს ქვეშ — მორფოლოგიურ ობიექტს და არსებობად არაფერს ცელს, გარდა ტერმინებისა?

და ეს რომ ასეა, ჩანს მისივე სიტყვებიდან: „საველდებულოა პირი, რომელიც /ვ/-ს რიგის (ე. ი. საველდებულო პირის) ნიშნით გამოიხატება, არასავალდებულო კი ის პირი, რომელიც /მ/-ს რიგის (ე. ი. არასავალდებულო პირის) ნიშნებით გამოიხატება“ (გვ. 51).

მაგრამ პირველ რიგში გასარკვევია, რას გულისხმობს ალ. ონიანი ერთი მხრივ /ვ/-ს რიგის ნიშნებსა და მეორე მხრივ, /მ/-ს რიგის ნიშნებში? ტრადიციულად ხომ ვინის რიგის ნიშნებში სუბიექტური პირის ნიშნები იგულისხმება, მანის რიგისაში კი ობიექტური პირისა? ნაშრომის 41-ე გვერდზე გაშლილი მსჯელობიდან ირკვევა, რომ „საველდებულო პირის ნიშანთა რიგი იმავე მორფოლოგიურ ერთეულებს ავრთიანებს, რასაც ტრადიციული თვალსაზრისით ე. წ. „სუბიექტური პირის ნიშნები“, არასავალდებულო პირის ნიშანთა რიგი კი იმავე ერთეულებს, რასაც ე. წ. „ობიექტური პირის ნიშნები“ (გვ. 41).

თუ ამ ორ მსჯელობას კატეგორიული სილოგიზმის სახით წარმოვადგენთ, მივიღებთ შემდეგ დასკვნას:

---

11 ამასთან დაკავშირებით ავტორი იმოწმებს ა. შანიძის „საფუძვლების“ 172 და 180 გვერდებს, სადაც სულ სხვა რამაა ნაგულისხმევი, მაგრამ ამაზე მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანდა.

12 ა. შანიძე, საფუძვლები, § 229, გვ. 287.

ვინის რიგის ნიშნები სუბიექტური პირის ნიშნებია
საველდებულოა პირი, რომელიც ვინის რიგის ნიშნებით გამოიხატება

საველდებულო პირი სუბიექტური პირია

თუ გამოვიყენებთ ტერმინების აღნიშვნას, მივიღებთ კატეგორიული სილოგიზმის I ფიგურის სქემას:

$$\frac{\begin{array}{c} M \text{———} P \\ S \text{———} M \end{array}}{S \text{———} P}$$

სადაც „ვინის რიგის ნიშნები" საშუალო ტერმინია, რომლის საშუალებითაც დგინდება დამოკიდებულება დიდ ტერმინ — „სუბიექტურ" პირსა და მცირე ტერმინ — „საველდებულო" პირს შორის. ზემოთ წარმოდგენილი ორი მსჯელობის (წანამძღვრის) მიხედვით კი ეს დამოკიდებულება ერთადერთი შეიძლება იყოს: S=P, ე. ი. მიიღება ერთადერთი დასასკვნი: საველდებულო პირი იგივე სუბიექტია. მაგრამ, საქმე ისაა, რომ ამ მსჯელობის პირველი წანამძღვარი არ შეიცავს სუბიექტური პირის სრულ აღწერას: ცნობილია, რომ თანამედროვე ქართულში ინვერსიის პროცესის შედეგად სუბიექტი მთელ რიგ შემთხვევებში მანის რიგის ნიშნებითაც გამოიხატება. ეს შესანიშნავად იცის აღ. ონიანმაც (რომელიც პრინციპულად უარყოფს ინვერსიის არსებობას ქართულ ზმნაში) და, თითქმის ერთ ადგილზეა, ბოლოს და ბოლოს ხსნის ფრჩხილებს და არკვევს მიმართებას საველდებულო პირსა და სუბიექტს შორის: „საველდებულო პირი თავისი მოცულობით მთლიანად არ ემთხვევა იმ პირს, რომელსაც ტრადიციულად სუბიექტურ პირს უწოდებენ, ისევე, როგორც არასაველდებულო პირი არ ემთხვევა იმ პირს, რომელსაც ტრადიციულად ობიექტურ პირს უწოდებენ. საქმე ისაა, რომ საველდებულო არის მხოლოდ ის პირი, რომელიც საველდებულო პირის ე. ი. /ვ/-ს რიგის ნიშნებით გამოიხატება. მაშინ როდესაც სუბიექტური პირი არის არა მხოლოდ სუბიექტური პირის ნიშნებით გამოხატული პირი, არამედ ობიექტური პირის ნიშნებით გამოხატული ის პირიც, რომელიც აქტიურია (ე. წ. ინვერსია)" (გვ. 41). მაგრამ ამ სიტყვების ავტორს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ ეს განსხვავება ფორმალურსა და რეალურ ვითარებას შორის საენათმეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია ასახული: კერძოდ, სათანადო ტერმინებითაა დიფერენცირებული, ერთი მხრივ, მორფოლოგიური, ისტორიული სუბიექტი და ობიექტი (MS, MO) და, მეორე მხრივ, ლოგიკური, რეალური სუბიექტი და ობიექტი (RS, RO).

ამგვარად, აღ. ონიანი ოსტატურად ათამაშებს სიტყვებს, მაგრამ სიტყვათა ამ წრეში ტრადიციიდან ერთადერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: აღ. ონიანის მიერ შემოთავაზებული ტერმინები — „საველდებულო" ანუ „ობლიგატორული" პირი და „არასაველდებულო" ანუ „არაობლიგატორული" პირი — მთლიანად ემთხვევა და ფარავს შესაბამისი ტრადიციული ტერმინების — „მორფოლოგიური სუბიექტი" და „მორფოლოგიური ობიექტი" — გაგებას.

მაშ, რატომ მოანდომა აღ. ონიანმა თავისი ნაშრომის საკმაოდ დიდი ნაწილი ამ ტერმინთა უფლებების მტკიცებას? რისთვის დასჭირდა მას ამ ახალი ტერმინების შემოტანა, თუკი ისინი არსებობად არაფერს ცვლიან? ამის მიზეზი, ვფიქრობთ, უნდა ვეძიოთ ლინგვისტიკაში „ყოლოსლური მიღწევების" ფორმალური მხარით ზედმეტად გატაცებაში. როგორც ჩანს, აღ. ონიანს ძალიან მოსწონს ტერმინები „ობლიგატორული" და „არაობლიგატორული" (რომლებიც ინდოევროპული ენების ზმნის პირთა გამოხატვის სისტემას კარგად შეეფერება, რასაც ვერ ვიტყოდით ქართული ზმნის შესახებ: ინდოევროპულ ენებში ობლიგატორული პირი მხოლოდ სუბიექტური პირია, ქართულში კი ობიექტურიც) და ამაოდ ცდილობს გავმოიტანოს ისინი ქართულში.

ავტორს მტკიცედ სწამს, რომ ზემოხსენებული ტერმინების შემოტანით მან მოხსნა ინვერსიის საკითხი ქართული ზმნის პირთა სისტემაში, მაგრამ სინამდვილეში იგი ჩიხში მოექცა: ქართულ ზმნაში ინვერსიის პროცესის თვითმიზნურმა უარყოფამ ავტორი ამ დასკვნამდე მიიყვანა, რომ თითქოს ქართველურ ენებში სუბიექტისა და ობიექტის დაპირისპირების გამოჩატვა გვარის კატეგორიის საპირისპირო ფორმებს აკისრია. ამგვარად, მან ორი სხვადასხვა მოელენა — კონვერსია და ინვერსია აერია ერთმანეთში[13] (ცნობილია, რომ კონვერსიის შემ-

---

13 აკი ამიტომაც საყვედურობს იგი არათანმიმდევრულობას ინვერსიის მომხრეთ იმაში, რომ ისინი ენებითის ფორმებს არ თელავენ ინვერსიულად (იხ. გვ. 32).

თხეულში პირდაპირი ობიექტი იქეცეა სუბიექტად, ხოლო ინვერსიის შემთხვევაში კი პასიერ-სუბიექტიანი გარდაუვალი ზმნის ირიბი ობიექტის გადაადგილება ხდება რეალურ სუბიექტად).

სუბიექტური და ობიექტური პირების აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირების პირის ნიშანთა ფუნქციად მიჩნევა, ალ. ონიანის აზრით, იმის შედეგია, რომ „გვარის ფორმით გამოხატული მნიშვნელობა პირის ნიშნებს მიეწერაო" (გვ. 49). მაგრამ, თუ პირის ნიშნების ორი რიგი — სუბიექტური და ობიექტური, ან როგორც ალ. ონიანი ამბობს, /ვ/-ს რიგისა და /მ/-ს რიგისა — პირთა აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირებას არ გამოხატავენ, მაშინ რა არის მათი ფუნქცია? ეს სამართლიანი კითხვა ალ. ონიანსაც ებადება: „მაშინ რა არის მათი ლინგვისტური ფუნქცია, რისთვისაც არსებობენ ისინი ენაში?", ან იქვე: „რა დანიშნულებას ასრულებს პირის ნიშანთა ორი რიგი? რა ლინგვისტური ფუნქცია განსაზღვრავს მის თანაარსებობას ქართველურ ენებში?" (გვ. 50) და აი, თურმე რა ყოფილა ქართველურ ენებში პირის ნიშანთა ორი რიგის ფუნქცია: „იმ სპეციფიკის გამოხატვა, რითაც მაგ., ქართული ფორმები მხატავს, გხატავს, ხატავს, მიხატავს, გიხატავს, უხატავს განსხვავდებიან რუსული рисует-ისაგან" (გვ. 50). მაგრამ რითი განსხვავდება ქართული მხატავს, გხატავს, ხატავს... ფორმები რუსული рисует ფორმისაგან? თავისთავად ცხადია, იმით, რომ ქართულში სუბიექტთან (აქტიურ პირთან) ერთად სათანადო აფიქსით გამოხატულია აგრეთვე ობიექტიც (პასიური პირიც), რუსულში კი არა. მაშ, რა ყოფილა პირის ნიშანთა ორი რიგის დანიშნულება ქართულში? პასუხი, ეფიქრობთ, ნათელი უნდა იყოს ალ. ონიანისთვისაც: სუბიექტური და ობიექტური პირის გამოხატვა, ე. ი. პირთა აქტიურობა-პასიურობის მიხედვით დაპირისპირების გამოხატვა (გარკვეული ტიპის ზმნებში დღეს რომ ისტორიული სუბიექტის ნიშნები რეალურ ობიექტს გამოხატავენ და პირიქით, ეს მეორეული მოვლენაა, ინვერსიის პროცესის შედეგად ჩამოყალიბებული).

აეტორი ანგარიშს რომ უწევედეს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურას და ზედმეტად რომ არ იყოს გატაცებული კვლევის ფორმალური მხარითა და ახალი ეცხოური ტერმინოლოგიით, გაახსენდებოდა, რომ ჯერ კიდევ 1928 წელს არნ. ჩიქობავამ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში" (რომელსაც ალ. ონიანი სხვა შემთხვევაში კიდევაც იმოწმებს), საფუძვლიანად გააანალიზა ეს საკითხი როგორც დიაქრონიულ, ისე სინქრონიულ ასპექტში და ქართული ზმნის სპეციფიკა, რაც ქართული შესიტყვების სტრუქტურა-შენაგებლობის მთელ რიგ თავისებურებებს იწვევს, შემდეგ სინტაქსურ ცნებებში გადმოსცა: კოორდინაცია, ძირითადი კოორდინატი, მცირე კოორდინატი. არნ. ჩიქობავას აზრით, „ქართულში და სხვა ქართველურ ენებში უნდა განვასხვავოთ სუბიექტი, ობიექტი ზმნის თვალსაზრისით, ზმნაში პირის აღნიშვნის თვალსაზრისით, — მორფოლოგიური სუბიექტი, ობიექტი, — და სუბიექტი, ობიექტი შესიტყვების თვალსაზრისით, — ხანტაჯური სუბიექტი... ხანტაჯური ობიექტი... მორფოლოგიური S, O უდრის სინტაქსურს, თუ ზმნა ერთპირიანია, მორფოლოგიური S, O არ უდრის სინტაქსურს, არსებითად განსხვავდება მისგან, თუ ზმნა ორპირიანია"[14]. ქართული რელატიური ზმნის შემცველ წინადადებაში მართვის ადგილს იკავებს კოორდინაცია. აქ „არა გვაქვს ოღონ მართული ზმნა-შემასმენელი, არც ოღონ მმართველი (ზმნისა) სახელი — ქვემდებარე, არც სახელი, მართული ზმნის მიერ — დამატება. არის მხოლოდ კოორდინატები: კოორდინატი არის წევრი კოორდინაციისა ანუ კოორდინაციაში მონაწილე სიტყვა"[15].

ამრიგად, საჭირო იყო ქართულისათვის სპეციფიკური სინტაქსური ცნებებისა და მათი შესაბამისი ტერმინების შემოტანა (რაც უკვე გაკეთებულია გრამატიკულ ლიტერატურაში) და არა მორფოლოგიური ტერმინების შეცვლა, რაც ახალს არაფერს იძლევა, გარდა იმისა, რომ მათი შინაარსი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ამაბინძურებს ქართული ზმნის პირების სისტემაში არსებულ ფაქტობრივ ვითარებას. ალ. ონიანის მიერ შემოთავაზებული ტერმინებით ქართული ზმნის პირთა სისტემის აღწერის შემთხვევაში ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული არაქართველი არ მოიღებს სწორ ინფორმაციას და ვერ გაერკვევა რეალურ ვითარებაში, რადგანაც ასეთი ინტერპრეტაციით დამიხატავს ის შე მან და დამიხატავს შე ის (ან დამიწერს ის შე მან და დამიწერია შე ის) ან თუნდაც მიწერია ის შე და დამიწერია შე ის ნუელებში მ-პრეფიქსით გამოხატული პირები თანაბრად არაობლიგატორულია, ხოლო -ს და -ვ სუფიქსებით გამოხატული პირები - - თანაბრად ობლიგატორული. ეს კი ვერ ასახავს იმ განსხვავებას, რომელიც რეალურად არსებობს მათ შორის: ობლიგატორულის ქვეშ პირველ შემთხვევაში რეალური სუბიექტი იგულისხმება, მეორე შემთხვევაში კი რეალური ობიექტი; ასევე, არაობლიგატო-

---

14 არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968, გვ. 232.
15 იქვე, გვ. 233.

რულის ქვეშ პირველ შემთხვევაში რეალური ობიექტი იგულისხმება, მეორე შემთხვევაში „რეალური სუბიექტი.

როგორც ვხედავთ, ალ. ონიანმა მის მიერ შემოტანილი ახალი ტერმინებით მიჩქმალა ფ. სრულიად ამოაგდო განხილვის სფეროდან ქართული ენის განვითარების ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი — ზმნის პირთა ინვერსიის საკითხი. მისი ტერმინები ვერ ასახავენ სწორად ქართული ზმნის პირთა გამოხატვის სისტემის ვერც თანამედროვე საფეხურს. ამგვარად, ალ. ონიანმა ვერ ახსნა და ვერც მოხსნა ინვერსიის პრობლემა.

დიაქრონიის მონაცემებისა და ქართული გრამატიკული ლიტერატურისადმი ტენდენციური მიდგომამ (ზოგჯერ კი მათმა უგულებელყოფამაც) ავტორი სხვა გაუგებრობებამდეც მიიყვანა.

III სერიის ფორმებთან დაკავშირებით, რომელთა წამომაელობა ნათელია და ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია სათანადოდ ახსნილიც და „აშუქებულიც[16], ალ. ონიანი სვამს უცნაურ კითხვას: „რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ გარდამავალ ზმნათა III სერიისათვის აბსოლუტურად უცხოა სამპირიანობა? სხვაგვარად რომ ვთქვათ, რა არის იმისი მიზეზი, რომ სამპირიანი გარდამავალი ზმნა III სერიაში აუცილებლად ორპირიანი ხდება?“ (გვ. 48), და იქვე, სრულიად სერიოზულად შემდეგს პასუხს იძლევა: „რადგანაც გარდაუვალი ზმნისათვის ტიპიურია არა სამპირიანობა, არამედ ერთ ან ორპირიანობა, ამიტომ ხდება სამპირიან ზმნაში პირის (არასავალდებულო a-ს დაკარგვა, საავალდებულო პირი არასავალდებულო a-დ იქცევა, ხოლო არასავალდებულო — საავალდებულოდ (შდრ. „კონსტრუქციის ანალოგიური შეცვლა მოქმედებითი გვარის ფორმის ენებითად გადაყვანის დროს“, გვ. 48).

ნუთუ მართლა ჰგონია ალ. ონიანს, რომ გარდამავალი სამპირიანი ზმნა III სერიაში ორპირიანად იქცევა? განა მან არ იცის, რომ ისტორიულად III სერიის ფორმა დამოწერილია მე ან მიღებულია მოწერილი ან მე რელატურ-გარდაუვალი ზმნის ინვერსიის გზით და არა ყნერ. ფორმის ინვერსიით, მით უფრო, კონვერსიით? და რომ არავითარი გადაქცევა სამპირიანი ფორმისა ორპირიანად არ ხდება?

ალ. ონიანს არასწორად ესმის ინვერსიის არსი და კვლავ კონვერსიაში ურევს მას. ისტორიული ვითარება რომ გაეთვალისწინებინა, იგი „ინვერსიის მოძღვრების ყველაზე არსებითნაკლად“ არ ჩათვლიდა იმას, რომ ინვერსიულად არ არის მიჩნეული ენებითი გვარის ფორმები, სადაც პასიურ პირს ვინის რიგის ნიშნები გამოხატავს (გვ. 30). ასევე, ისტორიული ვითარება რომ გაეთვალისწინებინა, მას აღარ მოეჩვენებოდა წინააღმდეგობად და პარადოქსულ ვითარებად ის, რომ III სერიის მწკრივებში სუბიექტური პირის ნიშნებს ირიბობიექტური პირის ნიშნები ენაცვლება და არა პირდაპირობიექტური პირისა (რასაც კიდევ უფრო ცხადყოფს სეანური ზმნის მაგალითი: ხ-ომპრა). და ყოველივე ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ალ. ონიანის ნაშრომი ეძღვნება ქართველურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის საკითხებს.

ჩვენ აღარ შეეჩერდებით სხვა კერძო საკითხებზე, რომელთა ავტორისეული ინტერპრეტაციები დავას იწვევს. ვფიქრობთ, ზემოთ ნათქვამიდანაც კარგად ჩანს, თუ რა წარმატება შეიძლება მოიტანოს ენათმეცნიერულ კვლევა-ძიებაში „კოლოსალური მიღწევების“ ფორმალური მხარით ზედმეტმა გატაცებამ.

---

16 ნ. ნ ა თ ა ძ ე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იკე, VII, 1955 წ.

დ. მელიქიშვილი

(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

პირის ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში I და II პირის ნაცვალსახელების მე(ნა), შენ(ა), ჩვენ(ა), თქვენ(ა) ფორმებში და ზმნისართებში (ზე-ნა, ქვე-ნა, უკუა-ნა, წი-ნა, ში-ნა) გამოყოფილია ერთი და იგივე დეტერმინანტი ნა ელემენტი, რომელიც გამოვლენილია აგრეთვე მეგრულ-ჭანურ პირისა და ჩვენებით ნაცვალსახელებში მა(ნ), სი(ნ), მუ(ნ), თე-ნა, თი-ნა.

იმავე დეტერმინანტ -ნა სუფიქსს უკავშირებს აკად. არნ. ჩიქობავა კითხვით ვი-ნ და III პირის მა-ნ ნაცვალსახელების ბოლოკიდურ ნ-ს, ოღონდ, განსხვავებით პირველი შემთხვევისაგან, აქ ნ მიჩნეულია ორგანული წესით მიღებული მოთხრობითი ბრუნვის საწარმოებელ ნაცვალსახელოვან ნაწილაკად[1]. მის მორფოლოგიურ შესატყვისად მეგრულ-ჭანურში მიჩნეულია -ქ (← გ) და სვანურში — -დ[2].

მოთხრობითი ბრუნვის უძველეს ნიშნად თვლის ამ ნ-ს ჰ. შუხარდტიც, რომლის აზრითაც ვინ ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვის ფორმაში იგი მოთხრობითისაგანაა გადასული[3].

აკად. ა. შანიძეს -ნ მოთხრობითის „თავდაპირველ" ნიშნად მიაჩნია და, ამასთან, არა მხოლოდ ნაცვალსახელთა სისტემაში, არა-

---

[1] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, თსუ შრ., ტ. X, 1929, გვ. 178.

[2] იქვე, გვ. 171—172.

[3] ჰ. შ უ ხ ა რ დ ტ ი, О пассивном характере переходного глагола в кавказских языках, კრებ. Эргативная конструкция предложения, 1950, М., გვ. 33—73.

მედ სახელთა ბრუნების სისტემაში საერთოდ. მისი აზრით, განუსაზღვრელი მოთხრობითი უნდა ყოფილიყო კაც-ნ, მან ნაწევრით განსაზღვრული მოთხრობითი კი კაც-ნ-მან, საიდანაც „პირვანდელი ბრუნვის ნიშნის“ დაკარგვით მ-ს წინ მიღებულია კაც-მან[4]. არაფერია თქმული ამ ნ-ს მიმართების შესახებ -ნა დეტერმინანტ ელემენტთან.

ნა დეტერმინანტი ელემენტის ნაშთად თვლის მან და ვინ ნაცვალსახელების ნ-ს ბ. კიკვიძეც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ იგი არ მიაჩნია მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად. მეგრულ-ჭანური III პირის მუ(ნ) და კითხვითი მი(ნ) ნაცვალსახელების აგებულება და ბრუნება (როგორც ცნობილია, მხოლოობითის ფორმაში დაკარგული ნ მეგრულში მრავლობითში აღდგება: მუნ-ეფ-ი). ბ. კიკვიძეს საფუძველს აძლევს დასკვნას, რომ მან და ვინ ქართულში „წარმოადგენენ წმინდა ფუძეებს (და არა მოთხრობითი ბრუნვის ფორმებს). ნ დეტერმინანტი სუფიქსია იმავე რიგისა, როგორიც მენა, შენა და სხვ.“[5] ავტორის აზრით, მოთხრობითი ბრუნვის ჩამოყალიბების პროცესში თავიდანვე მან გაფორმდა ამ ბრუნვის ნიშნად.

მართლაც, დგას საკითხი: თუკი მან და ვინ ნაცვალსახელების ნ იმავე რიგის დეტერმინანტი სუფიქსია, რაც მენა, შენა... ზენა, ქვენა... (და მეგრულ-ჭანურში მუ(ნ), მი(ნ), თენა, თინა) ფორმებშია დადასტურებული, რა იძლევა იმის საფუძველს, რომ მას ამ ორ ერთნაირ შემთხვევაში სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია მიეცეს? ე. ი. ეს ნ, მან და ვინ ნაცვალსახელებში მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად ჩაითვალოს ისტორიულად, ყველა დანარჩენ შემთხვევაში კი არა?

ცხადია, ასეთი დასკვნის გამოტანისათვის საფუძველს იძლევა ჩვენებითი (|| III პირის) ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმა. ბრუნვის ფორმათა შეპირისპირებისას დღეს ნ აშკარად გამოიყოფა, როგორც ბრუნვის ნიშანი. მაგრამ ამის თაობაზე კარგად შენიშნავს ბ. კიკვიძე: „ის ფაქტი, რომ ნ აღნიშნული ნაცვალსახელების ბრუნებისას ბრუნვის ნიშნის ადგილასაა, იმაზე კი არ უნდა მიუთითებდეს, რომ ნ ბრუნვის (მოთხრობითი) ნიშანია, არამედ იმაზე, რომ -ს, -ის ბრუნვის ნიშნებს აქვთ სადეტერმინაციო ფუნქციაც. მან, ვინ წარმოადგენენ მარტივ, ნ-თი დეტერმინირებულ ფუძეებს. ბრუნებისას ეს დეტერმინანტი არ გადაჰყვებათ, რადგანაც არ იყო

---

[4] ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, გვ. 641, § 660.

[5] ბ. კ ი კ ვ ი ძ ე, მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის გენეზისისათვის ქართულში, კომუნისტური აღზრდისათვის, 1960, № 2, გვ. 62.

ამის საჭიროება: აქ (მიცემითსა და ნათესაობითში) ფუძე ბრუნვის ნიშნით იყო დეტერმინირებული"[6].

ეს რომ მართლაც ასეა, ჩანს იქიდანაც, რომ მეგრული თენა... ჩვენებითი ნაცვალსახელის საწყისი (სახელობითი) ფორმის ნა ელემენტი არ გადაჰყვება სხვა ბრუნვებში, რადგანაც იქ ფუძე სათანადოდაა დეტერმინირებული ბრუნვის ნიშნებით (თე-ნა, თე-ქ, ოე-ს, თე-ში...). მაგრამ ეს სრულიადაც არ აძლევს მკვლევრებს იმის საფუძველს, რომ ნა ჩაითვალოს სახელობითი ბრუნვის ნიშნად. ცხადია ერთი რამ: ქართულში არსებით სახელთა ბრუნების სისტემის ანალოგიით პირის (|| ჩვენებით) ნაცვალსახელებში ბრუნების ჩამოყალიბებისა და სახელობით-მოთხრობითი ბრუნვების ფუნქციათა დიფერენციაციის შემდეგ III პირის (|| ჩვენებითი) მან და კითხვით ვინ ნაცვალსახელებში ნ რეინტერპრირებულ იქნა როგორც მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი. მაგრამ ამაზე ცოტა ქვემოთ. მანამდე კი საჭიროა გაირკვეს: რა უნდა გამოიყოს დეტერმინანტ სუფიქსებად მე(ნ), შენ, მან, ვინ ნაცვალსახელებში (ასევე — ზ ე ნ ა, შ ი ნ ა... ზმნისართებში)?

როგორც ცნობილია, ნაცვალსახელურ ძირებად აქ გამოყოფილია თანხმოვნითი ელემენტები: მ, შ, ჩუ, თქუ, მ, ვ, ხოლო დეტერმინანტ ელემენტად — ნ(ა). მაგრამ, რა ფუნქციისაა მათ შორის არსებული ხმოვნები ე, ა, ი, ამის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში არაფერია ნათქვამი, თუ არ ჩავთვლით ნ. მარის ვარაუდს, რომლის მიხედვითაც მ ა ნ ნაცვალსახელსა და მ უ ნ ზმნისართში სემიტური ენების ანალოგიით -ან და -უნ მიცემითი ბრუნვის ნიშნებადაა მიჩნეული[7]. შემდეგ, როგორც ცნობილია, ნ. მარმა ეს დაშვება უარყო და კვლავ ნ—ნა სუფიქსი გამოყო, ხოლო ა და უ ხმოვნები ნაცვალსახელურ ფუძეში შეიტანა[8].

ჩვენი აზრით, პირისა და კითხვითს (მე/ნ/, შენ, ჩვენ, თქვენ, მან, ვინ) ნაცვალსახელებში სუფიქსად უნდა გამოიყოს არა ნა ელემენტი (როგორც ვხედავთ, მას პრეფიქსის აგებულება უფრო აქვს: CV-, ვიდრე სუფიქსისა, რომელიც ქართულში VC აგებულებისაა), არამედ ენ, ან, ინ, იგივე დეტერმინანტი ელემენტები, რომლებიც გამოავლინა და სახელთა მადეტერმინირებელ სუფიქსებად გამოყო არნ. ჩიქობავამ ძველი ქართული ენის და, საერთოდ, ქართველური ენების მდიდარი მასალის ღრმა და დამაჯერებელი ანალიზის საფუძველზე: როგორც ცნობილია, ძველ სალიტერატურო

---

[6] ბ. კ ი კ ვ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

[7] Н. Я. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка. 1925, с. 109.

[8] იქვე, წინასიტყვაობა, გვ. V.

ქართულში მან გამოაელინა სუფიქსთა წყება, რომლებშიც მონაწილეობენ თანხმოვნები: **ნ, ლ, რ, ვ, დ,** „ამ სუფიქსებს შეიძლება ჰქონდეთ სრული სახეცა და შეკვეცილიც. სრულში ამ თანხმოვნებს ხმოვნები უძღვის. ეს ხმოვნებია: **ა, ე, უ** ყველაზე ხშირად (**ო, ი** — უფრო იშვიათად)"[9].

ამგვარად, თუ მივიღებთ მოძღვრებას სახელის ფუძის დეტერმინანტი სუფიქსების შესახებ, ლოგიკურად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ **პირისა** და **კითხვითს** ნაცვალსახელებში ნაცვალსახელური ძირისაგან გამოცალკევდება **-ენ, -ან, -ინ** დეტერმინანტი სუფიქსები და მაშინ ეს ნაცვალსახელები შემდეგნაირად დაიშლება: **მ-ე(ნ), შ-ენ, ჩუ-ენ, თქუ-ენ, მ-ან, ვ-ინ.**

ვფიქრობთ, იგივე **-ენ, -ან, -ინ** დეტერმინანტი სუფიქსები უნდა გამოიყოს ლოკატიურ ზმნისართებშიც: **ზ-ენ-(ა), ქუ-ენ-(ა), უ-კუ-ან-(ა), თ-ან-(ა), აქ-ა(ნ-ა), იქ-ი(ნ-ა), იქ-ა(ნ-ა), წ-ინ-(ა), შ-ინ-(ა)...** ასევე დროის ზმნისართებში: **გუშ-ინ, მაშ-ინ, გვ-ან, წელ-ან, ძოლ-ან** და სხვ.

ზმნისართების გაყინულ ფორმებში **-ან** და **-ინ** (ასევე **-ავ** და **-ივ**) სუფიქსებს, როგორც მიცემითისა და ნათესაობითის ოდინდელ ნიშნებს, გამოყოფდა ნ. მარი[10].

ზმნისართებში, როგორც ეს აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში, „ერთმანეთს ენაცვლებიან **-ნა** და **-და** დეტერმინანტები: **ზე-და** — **ზენა, ქვე-და** — **ქვენა; ში-და** — **ში-ნა, სა-და** — **სა-ნა**(მდის), **მა-(ნ)და** — **მა-ნა**(მდის), **გარ-და** — **გარ-ნა, ვიდრე** — **ვი-ნამ** და სხვ. ცხადია, რომ **ნ** და **დ** ელემენტები პარალელურადაა ნახმარი. ახალ ქართულს ორივე შემორჩა, მაგრამ სემასიური დიფერენციაცია მათ შორის უთუოდ იგრძნობა"[11]. **დ**-ს შემცველ ვარიანტებშიც; ვფიქრობთ, დეტერმინანტ სუფიქსად **-Vდ** (**-ად, -ედ, -იდ**) უნდა გამოიყოს და არა — **და**. ხოლო, რაც შეეხება ბოლოკიდურ **ა**-ს, იგი ნართაული, უფუნქციო ხმოვანი უნდა იყოს, შესაძლებელია, მარცვალთღიაობისაკენ მიდრეკილებით გაჩენილი (ისევე, როგორც დღეს **რომა, მაგრამა, იმიტომა...** დიალექტურ ფორმებშია). რომ მას მართლაც არავითარი მორფოლოგიური ფუნქცია არა აქვს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ყველა შემთხვევაში სწორედ მხოლოდ **ა** ხმოვანი და არა რომელიმე სხვა დაერთვის განურჩევლად ყველა ზემოხსენებულ ნაცვალსახელურ თუ ზმნისართულ ფორმას და მისი ჩამოცილება, თუ შეიძლება ასე ითქვას, აე-

---

[9] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 111.

[10] ნ. მ ა რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 26.

[11] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში, იკე, ტ. V, გვ. 526.

ტომატურად ხდება მნიშვნელობის ცვლის გარეშე. მაშინ, როდესაც ნ და დ თანხმოვნების წინამავალი (ა, ე, ი) ხმოვნები დღესაც (მას შემდეგ, რაც ნ-ა მთლიანად ჩამოსცილდა ზმნისართებს და ზოგ ნაცვალსახელსაც) არ იკარგვის, სწორედ იმიტომ, რომ ისინი მორფოლოგიური ფუნქციით დატვირთული ერთეულებია.

ნ. მარს -ნა//-და ელემენტი მიცემითი ბრუნვის ნიშნად მიაჩნდა[12], მორის ბრიერი (ნ. მარის ლექციების მიხედვით დაწერილ ქართული ენის გრამატიკაში) ზმნისართების -ნა//-და ელემენტს ლოკატივის ფუნქციას უკავშირებს[13].

-ნა//-და ელემენტი წარმომავლობის მიხედვით ოდინდელ მიცემით-მიმართულებითი ბრუნვის ნიშანთან აქვს დაკავშირებული ირ. ეეშაპიძეს[14]. მაგრამ, თუ ზმნისართებში საენათმეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფილ -ნა აღნიშნულ ბრუნვებთან იქნა დაკავშირებული, თავისთავად მოიხსნება საკითხი მისი მე(ნა), შენ(ა)... მან(ა), ვინ(ა) ნაცვალსახელების -ნა-სთან გენეტური კავშირისა, რადგანაც ნაცვალსახელების შემთხვევაში ეს ნ ელემენტი მიცემით-მიმართულებითი ბრუნვების ნიშნად ვერ დაფასდება. იგივე ითქმის ამავე სიტყვებში ჩვენი ვარაუდით გამოყოფილ -ან, -ენ, -ინ სუფიქსებზე. ეს სუფიქსები ნაცვალსახელთა და ზმნისართთა ნეიტრალური ფუძეების გამაფორმებელი დეტერმინანტი სუფიქსები უნდა იყოს, ბრუნვის ფორმანტთა და, საზოგადოდ, ენაში ბრუნების კატეგორიის ჩამოყალიბებამდე არსებული.

შესაძლებელია დავუშვათ, რომ -ან და -ენ იყო -ან და -ინ დეტერმინანტი სუფიქსებით გაფორმებული ნეიტრალური ფუძეები. შემდეგ, როდესაც ენის განვითარების უძველეს საფეხურებზე გარკვეულ მარტივ (სიახლოვე-სიშორის, კუთვნილება-დანიშნულების...) შიმართებათა დასაფყარებლად სახელებს დაერთო ა და ი ხმოვნების შემცველი სუფიქსები (-ას|-ის, -ად|-ად—→-ით), ე. ი. როდესაც საფუძველი ჩაეყარა ბრუნების სისტემას, საფიქრებელია, რომ არსებით სახელთა ანალოგიით ამ მიმართებების აფიქსებით გამოხატვის საჭიროება ხშირად სახმარ პირისა და ჩვენებითს ნაცვალსახელებშიც საგრძნობი გახდა (I და II პირის ნაცვალსახელებში ბრუნება საერთოდ არ განვითარებულა). ამასთან, ბრუნვის ნიშნები, ცხადია, არსებით სახელთა სისტემიდან იქნებოდა შეთვისებული:

---

[12] ნ. მ ა რ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 26, § 134.

[13] N. M a r r et M. B r i e r e, La langue géorgienne, Paris, 1931, § 231—232.

[14] ირ. ე ე შ ა პ ი ძ ე, ზმნისწინის, ზმნიზედისა და თანდებულის ურთიერთდამოკიდებულებისათვის, თსუ შრ., ტ. 96, 1963, გვ. 99.

*-ას, -ის (ამას ადასტურებს კითხვითი რა ნაცვალსახელის მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად -მ (←მან)-ის გამოყენება) და ეს ფორმანტები დაერთვოდა უდეტერმინანტო მ-ძირს, რადგანაც მათ თვითონ ჰქონდათ მადეტერმინირებელი ფუნქცია.

მაგრამ ამ პერიოდში სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვები ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო დიფერენცირებული: სუბიექტი ნეიტრალური (საწყისი) ფორმით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ნეიტრალური ფუძის დეტერმინაცია უნდა მომხდარიყო შემდეგ — ნეიტრალურივე მ-ან ნაცვალსახელური ფუძით, რომელიც, თავის მხრივ, შეიცავდა -ან დეტერმინანტ სუფიქსს (კაც-მან→კაც-მ-ან). მან ნაცვალსახელური ფუძით დეტერმინირებული სახელის ფორმა დაუპირისპირდა ნეიტრალურ კაც ფუძეს. ამგვარად, სახელებში ნეიტრალური ფუძისა და მან-ით დეტერმინირებული ფუძის დაპირისპირების ნიადაგზე უნდა წარმოქმნილიყო ორი სხვადასხვა მიმართების გამომხატველი ფორმა (ბრუნვა): წრფელობითი (რომელიც დღევანდელი სახელობითის როლს ასრულებდა) და მოთხრობითი. აქედან მან ნაცვალსახელით განსაზღვრული ფუძე სუბიექტს უნდა დაკავშირებოდა, განუსაზღვრელი ფუძე — ობიექტს — და ეს იმ პერიოდში, როდესაც ნამყო სრულის ნეიტრალური ფუძიდან ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული აწმყოს აქტიური ფუძე (ამის შესახებ ცოტა ქვემოთ).

ასეთი დაპირისპირების გამოხატვა შემდგომ საჭირო გახდებოდა ნაცვალსახელთა სისტემაშიც — კერძოდ, III პირის ნაცვალსახელში, რომელმაც არსებით სახელთა ნეიტრალური (საწყისი) ფუძის შესაბამის ნეიტრალურ ნაცვალსახელურ ფუძედ ჩვენებითი (ეგე-იგი) ნაცვალსახელი გამოიყენა[15].

მაგრამ ჩვენებითი ნაცვალსახელი (ესე//იგი — ისი//იგი), განსხვავებით პირის ნაცვალსახელისაგან, ორი წევრით იყო წარმოდგენილი, რომელთაგან ერთი ახლო მყოფ ობიექტს აღნიშნავდა, მეორე კი — შორს მყოფ ობიექტს. სათანადო ოპოზიცია ხმოვნებით უნდა ყოფილიყო გამოხატული: ა//ე-ი, სადაც ა და ე ხმოვნებს იდენტური (ახლომყოფობის, უწინარესობის) ფუნქცია უნდა ჰქონოდათ[16], ი ხმოვანს კი შორსმყოფობის, შემდგომობისა. მითითე-

---

[15] კითხვით ვინ ნაცვალსახელში ფორმალური დიფერენციაციის პირობები არ იყო და აქ ორივე ფუნქციისათვის ერთი ფორმა იქნა გამოყენებული.

[16] ამ საკითხების შესახებ იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დიალექტიზმები ვეფხისტყაოსანში, ენიმკის მოამბე, 1938, ტ. III, გვ. 221; მისივე, ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები, კრებ. კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, 1966, გვ. 91; ივ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, ნაწევარი ძველ ქართულში, თსუ შრ., ტ. 61, 1956,

ბის ეს სისტემა შესაბამის ჩვენებით ნაცვალსახელთა ანალოგიით უნდა შეეთვისებინა პირის ნაცვალსახელის ფუძესაც და იქაც უნდა მიგვეღო თავდაპირველად დაპირისპირება — ამან//ემან-იმან[17]. ამგვარად, უნდა მომხდარიყო ჩვენებითი და პირის ნაცვალსახელების აღრევა, რის შედეგადაც ისინი ერთ პარადიგმაში მოექცნენ.

ესე//ეგე ნაცვალსახელთა სემანტიკური დიფერენციაციის შემდგომ (მას შემდეგ, რაც ესე ფორმას I პირთან ახლომყოფ ობიექტზე მითითების ფუნქცია დაუკავშირდა, ხოლო ეგე ფორმას კი II პირთან ახლომყოფი ობიექტის ფუნქცია), ეს დიფერენციაცია უნდა ასახულიყო პირის (ამან — იმან) ნაცვალსახელის სისტემაშიც და საშუალო, მაგან, წევრის შექმნაში მონაწილეობა უნდა მიეღო ეგე ნაცვალსახელის ფუძეს, რომლის გ ძირი შეითვისა ნეიტრალურმა მან ფუძემ. ამგვარად. ეგე და მან ფუძეთა კონტამინაციის შედეგად უნდა მიგვეღო მა-გ-ან ფუძე[18], რომელიც ისეთსავე მიმართებაში აღმოჩნდა ამა და იმა ფუძეებთან[19], როგორშიც მისი შესაბამისი ეგე ფუძე იყო ესე და ეგე ფუძეებთან.

ამგვარად, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მას შემდეგ, რაც ესე—

გვ. 257, სქოლიო; ბ. ფ ო ჩ ხ უ ა, ხმოვანთავსართული ზმნისართები, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, 1959, გვ. 81—89 (ავტორს ამოსავლად ორწევრა სისტემა აქვს ნავარაუდევი, მაგრამ სხვა ავტორთაგან განსხვავებული); ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, 1964, გვ. 163 — 179 (ამოსავლად სამწევრა სისტემას ვარაუდობს); ნ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ეხე ეგე ნაცვალსახელთა ხმარებისათვის ძველ ქართულში, მაცნე, 1979, № 3, გვ. 99.

[17] ამან//ემან ფუნქციურად იდენტური წყვილიდან დღეს ჩ̀ხოლოდ პირველია შემორჩენილი, თუმცა II ფორმაც დასტურდება დიალექტებში.

[18] ადგილის ზმნისართებშიც ამოსავალ ვითარებად ვფიქრობთ, ორწევრა სისტემა უნდა ვიგულისხმოთ აქა (ნა)—იქ(ინა). რაც შეეხება მაქ (←მაგ) მანდ (←მადანა) ფორმებს, რომლებიც დღეს II პირთან სიახლოვეზე მიუთითებენ, ისინი ქრონოლოგიურად, აქა—იქი ფორმათა დონეზე ვერ განიხილება და, ეფიქრობთ, გაჩენილი უნდა იყოს ნაცვალსახელთა სამწევრა სისტემის ანალოგიით (ნაცვალსახელებში, როგორც ვიცით, ორწევრა სისტემიდან სამწევრაზე გადასვლისათვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა ესე//ეგე სინონიმური წყვილის სახით), ამაზე მიუთითებს ზმნისართის საშუალო წევრისათვის გამოყენებული ნაცვალსახელური გ და მა ფუძეები.

[19] შდრ. ნ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემა ქართული ენის დიალექტებში, ენათმეცნიერება, თბ., 1978, ტ. 200, გვ. 168—169. ავტორს ამაგა/ემაგა—იმაგა/მაგა ფუძეები აღდგენილი აქვს ესე—ახი, ამა—იმა/მა ფუძეების დონეზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართული ენის დიალექტებში დღეს დადასტურებული ესე—ეგე ნაცვალსახელთა სემანტიკურად გაუდიფერენცირებული ხმარების შემთხვევები ამ ნაცვალსახელთა სემანტიკური დაპირისპირების თანდათანობით მოშლაზე მიუთითებს, ე. ი. სამწევრა სისტემიდან ორწევრაზე გადასვლის ზოგადი ტენდენციის მაჩვენებელი უნდა იყოს და არა ოდინდელი ორწევრა სისტემის ანარეკლი (შდრ. ნ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, იქვე, გვ. 166).

—ამან, ეგე—მაგან, იგი—იმან//მან ფუძეები[20] დაუპირისპირდა ერთმანეთს, ნეიტრალურ მან ნაცვალსახელურ ფუძესთან დაკავშირებულ იქნა სრულიად გარკვეული მორფოლოგიური ფუნქცია — ერგატივის გამოხატვა. მეორე ნეიტრალურ იგი ფორმასთან კი — ნომინატივის გამოხატვა. ეს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ენის განვითარების იმ პერიოდს უნდა შეესაბამებოდეს, როდესაც ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო ჩამოყალიბებული აწმყოს დინამიკური (და ამ თვალსაზრისით — აქტიური) ფორმები ნამყო სრულის ნეიტრალური ფუძისაგან სათანადო დინამიკურად მქცევი (მააქტივებელი) სუფიქსების (-ებ, -ობ, -ავ...) საშუალებით[21].

მან (ამან, მაგან, იმან) ფუძეს, მეორე მხრივ, დაუპირისპირდა **მას, მის... (-ას→ს, -ის...)** ბრუნვის ფორმანტებით დეტერმინირებული ფორმები და, ამგვარად, ბოლოკიდური **ნ** აღმოჩნდა ბრუნვის ნიშნის ადგილას, რის გამოც იგი მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად იქნა რეინტერპრირებული.

ზემოთქმული ეხებოდა **მან** ნაცვალსახელს. როგორი ვითარება გვაქვს **ვინ** ნაცვალსახელთან? თუ აქაც ძირად ცალ თანხმოვანს გამოვყოფთ და -ინ-ს დეტერმინანტ სუფიქსად ჩავთვლით, მაშინ დანარჩენ ბრუნვებშიც ასეთი ოპერაცია უნდა ჩავატაროთ: მიც. **ვ-ის**, ნათ. **ვ-ის**, მოქ. **ვ-ით**, ვით. **ვ-იდ**. გამოდის, რომ მიცემითსა და ვითარებითში ხმოვნით ნაწილად გამოიყოფა არა **ა**, როგორც მოსალოდნელი იყო, არამედ **ი**. მაგრამ ამ ფაქტის ახსნის დროს შეიძლება ეჭვი გაჩნდეს დაგვიჩნდეს ნაცვალსახელთა სისტემაში ბრუნება გვიანდელი ჩამოყალიბებული ჩანს. ამავე დროს, სავარაუდებელია, რომ **ამ** იგი ყველა სახის ნაცვალსახელში ერთდროულად არ უნდა ჩამოყალიბებულიყო (ამ მხრივ საყურადღებოა, რომ I და II პირის ნაცვალსახელები ქართველურ ენებში დღესაც არ იბრუნვიან): შეიძლება ვიფიქროთ, რომ კითხვითი **ვინ** ნაცვალსახელის ბრუნება ჩამოყალიბდა III პირის ნაცვალსახელის ყალიბის მიხედვით, სადაც **ნ**-ს ბრუნვის ნიშნად რეინტერპრეტაციის შედეგად ფუძედ გაგებულ იქნა **მა-**, ხოლო **-ნ, -ს, -ის...** ბრუნვის ნიშნებად. ანალოგიით გაეწყობოდა **ვინ** ნაცვალსახელის ბრუნების პარადიგმაც (**ვი-ნ, ვი-ს...**), ოღონდ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ,

---

[20] აქედან **მან**, რომელიც შემორჩა თავდაპირველი სახით, დეიქტური ნაწილაკის გარეშე, როგორც ოდენ პირის ნაცვალსახელი, ნეიტრალური ფორმაა მითითების თვალსაზრისით და მას დღესაც მხოლოდ პირის ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს.

[21] ამ საკითხის შესახებ იხ. არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემისათვის, ამ კონსტრუქციის სტაბილური და ლაბილური ვარიანტები. ენიმკის მოამბე, 1942, ტ. XII, გვ. 232—233.

აქ სახელობითისა და მოთხრობითის ფ-რმალური დიფერენციაცია არ მომხდარა.

ზემოთქმული შეეხებოდა ქართულ მასალას. რა შედეგს იძლევა ანალოგიური ანალიზი მეგრულ-ჭანურის მასალაზე?

ქართულისაგან განსხვავებით, მეგრულში III პირის ნაცვალსახელს სახელობითში არ შეუნაცვლებია ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუძე: სახელობითშიც მას საკუთარი მუ(ნ) ფუძე აქვს. დეტერმინანტი -უნ სუფიქსის ნ აღდგება მრავლობითში მუნ-ეფ-ი. მაგრამ მოთხრობითი სახელობითისაგან განსხვავდება არსებით სახელთა ბრუნების სისტემიდან შეთვისებული მოთხრობითი ბრუნვის -ქ სუფიქსით, რომელიც, თავის მხრივ, ნაცვალსახელურ ძირს წარმოადგენს[22].

რაც შეეხება ჭანურს, აქ სახელობითისა და მოთხრობითის ფორმები III პირში გათანაბრებულია -ქ სუფიქსით (რაც, როგორც ჩანს, ზმნის კონსტრუქციის გათანაბრების საერთო ტენდენციის გავლენა უნდა იყოს).

-ან, -ენ, -ინ დეტერმინანტი სუფიქსები ჩანს გამოსაყოფი აგრეთვე I და II პირის მ-ან, ს-ინ, კითხვით მ-ინ და ჩვენებით (თ)-ენ-ა (ე)თინ-ა ნაცვალსახელებშიც.

სვანურში, ალა ნაცვალსახელის შემთხვევაში, ქართულის მსგავსად, ჩვენებითი და პირის ნაცვალსახელები ჩანს ერთმანეთს შენაცვლებული: ალა — ამნემ — ამ-ნ-ოშ..., სადაც დეტერმინანტი სუფიქსის ხმოვანი შეკუმშული უნდა იყოს მოთხრობითის -ემ სუფიქსის გავლენით.

ამგვარად, ზემოთ წარმოდგენილი ანალიზის საფუძველზე, ნაცვალსახელთა (და ზმნისართთა) ფუძის აგებულებასთან დაკავშირებით შეიძლება წარმოვადგინოთ ერთ-ერთი ასეთი ვარაუდი: ქართულ პირისა და ჩვენებითს ნაცვალსახელებში შეიძლება გამოვყოთ -ან, -ენ, -ინ, -უნ დეტერმინანტი სუფიქსები იმავე რიგისა, რაც არნ. ჩიქობავამ გამოავლინა სახელთა ფუძეებში. იგივე დეტერმინანტი სუფიქსები ჩანს გამოსაყოფი ადგილისა და დროის ზმნისართებშიც (ა-ქ-ან-ა, ზ-ენ-ა, წ-ინ, შ-ინ, მ-უნ, ძოლ-ან, წელ-ან, გუშ-ინ...). ბოლოკიდური -ა (-ან-ა, -ენ-ა, ინ-ა, უნ-ა), რომელიც ხან ახლავს და ხან არა ამ სუფიქსებს, უფუნქციო, ნართაული ხმოვანი ჩანს.

ამ დეტერმინანტ სუფიქსებს მოცემულ ფორმებში ისევე არ უნდა ჰქონოდათ ბრუნვის ნიშნის ფუნქცია, როგორც ეს არ ჰქონიათ სახელის ფუძის მადეტერმინირებელ შესაბამის სუფიქსებს.

---

22 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის. თსუ შრ., 1939, ტ. X. 23. 178.

Д. Н. МЕЛИКИШВИЛИ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ СТРУКТУРЫ ОСНОВ ЛИЧНЫХ МЕСТОИМЕНИЙ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В статье на основе сравнительного анализа форм личных (указательных) и вопросительных местоимений (m-e(n), š-en, m-an, v-in), а также наречий места и времени (z-en(a), ku-en-(a), ç-in-(a), ş-in(a) m-un...) выделяются детерминантные суффиксы местоименных основ -an,-in,-un.

დ. მელიქიშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თბილისი)

მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთობის საკითხისათვის*

(ძველი ქართული ენის მასალაზე დაყრდნობით)

ცნობილია, რომ ძველ ქართულში თხრობითი კილოს მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს გაგება საზიარო ფორმებით გამოიხატებოდა. ეს თავისებურება იყო მიზეზი იმისა, რომ ძველი ქართველი გრამატიკოსები ძალაუნებურად არღვევედნენ ზმნის უღლებადი ფორმების დრო-კილოთა ჯგუფების მიხედვით დალაგების მათ მიერ მიღებულ პრინციპს (რაც ძირითად საკლასიფიკაციო ერთეულად კილოს გულისხმობდა და გადმოღებული იყო ევროპული ენების გრამატიკიდან). მაგალითად, ანტონი და გაიოზი მეორე კავშირებითის ფორმებს ათავსებდნენ მხოლოდ თხრობითი კილოს ჯგუფის მყოფადის პარადიგმებში, პირველი კავშირებითისას კი მხოლოდ კავშირებითი კილოს ჯგუფის აწმყო დროის პარადიგმებში. შემდგომი გრამატიკოსები პირველი და მეორე კავშირებითის ფორმებს მხოლოდ კავშირებითი კილოს ჯგუფს აკუთვნებენ მაშინ, როდესაც მიღებული პრინციპის ბოლომდე გატარება ამ ფორმების ორივე კილოს ჯგუფებში შეტანას მოითხოვს.

არსებითად ამავე მიზეზის გამო ნ. მარმა თავის „ტაბულებში“ ზმნის უღლებადი ფორმების კილოთა მიხედვით დაჯგუფების პრინციპი უარყო: რადგანაც ქართულში კილოთა შორის მათი მნიშვნელობისა და გამოყენების მხრივ არ არის მკვეთრი ზღვარი (მაგ., ძველ ქართულში კავშირებითი გამოიყენება თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოსახატავად, აორისტის S_2 პირის ფორმები ბრძანებითს გამოხატავს დღესაც, კავშირებითი კილოს ფორმები გამოიყენება ბრძანებითის S_{1-3} პირისათვის...), ამიტომ ნ. მარს შესაძლებლად მიაჩნია, რომ კილო განხილულ იქნეს როგორც განსაკუთრებული დრო («Посему наклонения рас-

---

* წინამდებარე სტატია წარმოადგენს შემოკლებულ ვარიანტს ავტორის ნაშრომისა „მეორე კავშირებითის ფუნქციები ძველ ქართულში“, რომელიც შესრულებული იყო 1962 წელს პროფ. ფარნაოზ ერთელიშვილის ხელმძღვანელობით.

сматриваются как особые времена»)[1] და იგი გამოყოფს დრო-კილოთა 8 ძირითად ფორმას: აწმყოს, ნამყო უწყვეტელს, ნატვრითს, აორისტს, ნამყო წყვეტილს, წინარე წარსულს, წარსულ კავშირებითს[2].

თანამედროვე ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში დამკვიდრებულია ზმნის უღლებადი ფორმების ძირითადად სწორედ ამგვარი, მარისეული სისტემით — დრო-კილოთა გაერთიანებულ ჯგუფებად (ანუ მწკრივებად, ნაკვთებად) — დალაგების პრინციპი, რაც ქ ა რ თ უ ლ ი ზ მ ნ ი ს უღლებადი ფორმების შესაძლებელი კლასიფიკაციებიდან ყველაზე მოსახერხებელ და რაციონალურ კლასიფიკაციას იძლევა როგორც თანამედროვე, ისე ისტორიული ვითარების სრულად და ამავე დროს სხარტად ასახვის თვალსაზრისით: დრო-კილოთა ფორმების (მწკრივების, ნაკვთების) სამ ძირითად ჯგუფში (სერიაში) გაერთიანებით შესაძლებელი გახდა სქემატურად ასახულიყო ქართული ზმნის ფ უ ძ ი ს ა და ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი კ ო ნ ს ტ რ უ ქ ც ი ი ს კანონზომიერი ცვალებადობის თავისებური სისტემა და ამავე დროს — თითოეული ჯგუფის (სერიის) ფორმათა ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების სურათიც: II სერია (წყვეტილის, ნამყო ძირითადის ჯგუფი) უძველესია, მისგანაა წარმოქმნილი I სერიის (აწმყოს) ჯგუფი, რომელსაც ძველი ქართულის გვიანდელ პერიოდში გამოეყო მყოფადის ქვეჯგუფი და ბოლოს, III სერიის (ე. წ. „თურმეობითების“) ჯგუფი[3], რომელიც მიღებულია ს ტ ა ტ ი კ უ რ ზ მ ნ ა თ ა პირველი ორი ჯგუფის ფორმებიხ (აწმყოს, წყვეტილის, კავშირებითი II-ის) ი ნ ვ ე რ ს ი ი ს ა და გ ა დ ი ნ ა მ ი კ უ რ ე ბ ი ს გზით.

ამგვარი კლასიფიკაცია, როგორც ზემოთ ვთქვით, შესაძლებელი გახდა იმან, რომ ქართული ზმნის კილოსა და დროის ფორმებს შორის მნიშვნელობისა და გამოყენების მხრივ როგორც ისტორიულად, ასევე თანამედროვე თვალსაზრისით მკვეთრი ზღვარი არ არსებობს.

მაგრამ კავშირებითი კილოს გაგება და მომავალი დროის მნიშვნელობა ისტორიულად ახლო დგას ერთმანეთთან არა მხოლოდ ქართულ ენაში. კავშირებითი კილო სასურველ, შესაძლებელ მოქმედებას გულისხმობს, რაც ჩვეულებრივ მომავალში უნდა შესრულდეს: ამიტომ კავშირებითის ფორმები მომავალი დროის მნიშვნელობით იხმარებოდა. მაგ., ბერძნულ ენაში: καὶ ποτέ τις εἴπῃσιν „და როდისმე იტყვიან“, ან: πίομαι „მე დავლევ“ («я буду пить») — წარმოადგენს კავშირებითი კილოს აორისტს მოკლე ხმოვნით.

მსგავსი ფაქტების საფუძველზე გამოთქმულია მოსაზრება, რომ -σω დაბოლოებიანი მომავალი დრო ბერძნულში მომდინარეობს სიგმატური აორისტის კავშირებითი კილოს ფორმებისაგან[4]. კავშირებითი კილოს და თხრობითი კილოს

---

[1] Н. Я. М а р р, Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925, გვ. 142.

[2] იქვე.

[3] ფაქტობრივ კი პერფექტული დროების ჯგუფი (ამასთან დაკავშირებით იხ. დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, «მიჯირს» ზმნა და მასწავლებლის გასაკირი, ეურნ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1978, № 4, გვ. 86...).

[4] П. Ш а н т р е н, Историческая морфология греческого языка, М., 1953, § 293, გვ. 209.

მომავალი დროის ფორმები ბერძნულში განსხვავდება მხოლოდ მაერთებელ ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლით, ზოგჯერ კი სრულიად ემთხვევა ერთმანეთს. ასევეა ლათინურშიც: კავშირებითის ფორმები ხშირად ემთხვევა თხრობითი კილოს მომავლისას. ხოლო, რაც შეეხება -am სუფიქსიან მომავალს, იგი „სხვა არაფერია, თუ არა ძველი კავშირებითი კილო“[5]. ცნობილია, აგრეთვე, რომ ძველ სომხურში აორისტის კავშირებითი და თხრობითი კილოს მომავალი დრო საზიარო ფორშებით გამოიხატებოდა[6].

ამგვარად, სხვადასხვა ენათა ისტორიული მონაცემები ცხადყოფს, რომ თხრობითი კილოს მომავალი დრო და კავშირებითი კილო არა მარტო მნიშვნელობათა სიახლოვით უკავშირდებიან ერთმანეთს, არამედ ფორმათა წარმოების მხრივაც.

ამასთან დაკავშირებით დგება შემდეგი საკითხები:

1. თხრობითი კილოს მომავალი დროის ფორმათა წარმომავლობისა და ამასთან დაკავშირებით ე. წ. კავშირებითის ფორმების ადრინდელი ფუნქციის, ანუ სხვაგვარად — თხრობითი კილოს მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხი;

2. საერთოდ, კილოსა და დროის ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების საკითხი.

ინდოევროპული გრამატიკული ლიტერატურის მიხედვით კავშირებითი კილოს გაგება წინ უსწრებს მომავალი დროის წარმოშობას: „მომავალი დრო ყველა ინდოევროპულ ენაში შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. ბერძნული ენის გამოკლებით, ყველა ენას, წარმოდგენილს უძველესი ძეგლებით, პირველ წერილობითს წყაროებში აქვს მხოლოდ უმნიშვნელო კვალი მომავალი დროისა, ზოგ ენას კი იგი სულაც არ გააჩნია. მომავლის იდეას უმთავრესად გამოხატავდა კავშირებითი კილო: „მე მინდა (უნდა) წავიდე“. „მე ვაპირებ წასვლას“ და „მე წავალ“-ს შორის დიდი განსხვავება არ არის“[7].

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ კავშირებითის ფორმებისათვის პირველადია საკუთრივ კილოს გამოხატვის ფუნქცია, თხრობითი კილოს მომავალი დროისა კი — მეორეული.

გამოითქვა მოსაზრება საერთოდ დროისა და კილოს ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების შესახებაც, რომლის მიხედვითაც „კილოს კატეგორიის ჩამოყალიბება ქართულში უნდა მიეკუთვნებოდეს იმ ხანებს, როდესაც დროის კატეგორია ზმნაში ჯერ კიდევ არ არის კონკრეტიზებული. ე. ი. არ არსებობდა სპეციალური ფორმები აწმყოს, ნამყოსა და მყოფადის გადმოსაცემად“[8]. ავტორი ძირითადად ემყარება იმ საბუთს, რომ თითქოს „კავშირებითისათვის ადრეულ პერიოდში რომელიმე დროის გარჩევა არაა არსებითი და პირველადი თვისება“, რადგანაც იგი გადმოსცემდა აწმყოსაც, ნამყოსაც და მომავალსაც[9].

---

5 А. Эрну, Историческая морфология латинского языка, М., 1950, § 235, გვ 191.

6 Э. Туманян, Древнеармянский язык, М., 1971, გვ. 323, 363.

7 А Эрну, დასახ. ნაშრ., § 234, გვ. 191.

8 ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია ქართულ ენაში, თელავის პედინსტიტუტის შრომები, III, თბ., 1959, გვ. 394—395.

9 იქვე.

რა მასალას გვაწვდის ამ თვალსაზრისით ძველი ქართული?

როგორც ცნობილია, II ჯგუფის ნაკვთები — ნამყო ძირითადი, ხოლმეობითი II და კავშირებითი II უძველესია ქართული ზმნის დრო-კილოთა სისტემაში და I და III ჯგუფების ფორმათათვის ამოსავალს წარმოადგენს[10]. ამიტომ დროისა და კილოს ფორმათა ურთიერთმიმართების ხაკითხის გარკვევისათვის, ვფიქრობთ, არსებითი მნიშვნელობა მეორე კავშირებითის ფორმებს აქვთ კავშირებითი კილოს სხვა (აწმყოს, მყოფადის და მესამე კავშირებითის) ფორმებთან შედარებით.

ამ თვალსაზრისით ოთხთავის ძველი რედაქციის დაწვრილებითი შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ ჩვენთვის საინტერესო კავშირებითი II-ის ფორმები ძველ ქართულში იხმარება:

1. თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციით,

2. კავშირებითი კილოს ფუნქციით

და 3. ბრძანებითი კილოს ფუნქციით.

1. აქედან ამ ფორმათათვის, როგორც ჩანს, ძირითადია თხრობითი კილოს მომავალი დროის ფუნქციის გამოხატვა. ამ ფუნქციით კავშირებითი II იხმარება ნებისმიერი სახის წინადადებაში: მარტივშიც და შერწყმულშიც; როგორც რთულ თანწყობილ, ისე რთულ ქვეწყობილ კონსტრუქციაში; რთული ქვეწყობილი წინადადების როგორც მთავარ, ისე დამოკიდებულ ნაწილში.

1) კავშირებითი II მომავალი დროის მნიშვნელობით მარტივ წინადადებაში:

ზან ნათელ-გცეს თქუენ... მ. 3, 11.— Αὐτὸς ὑμᾶς βαπτίσει...—*Նա մկրտիսցէ զձեզ*...—Он будет крестить вас...

2) შერწყმულ წინადადებაში:

გადიდე და კუალად გადიდო: ი. 12, 28; —...ἐδόξασα, καὶ πάλιν δόξασω.—... *տուաւուր արարի, ե՛և դարձեալ տուաւուր արարից.*

ალუღე პირი და ჰპოო მას შინა სასწორი: მ. 17,27.—... ἀνοίξας τὸ στόμα αὐτοῦ, εὑρήσεις στατῆρα—...*ա՛ռ և բաց զբերան նորա, և գտանիցես սատեր* (17, 26).

3) თანწყობილ წინადადებაში:

მზე დაბნელდეს და მთოვარემან არა გამოსცეს ნათელი თჳსი: მ. 24, 29.— Ὁ ἥλιος σκοτισθήσεται, καὶ ἡ σελήνη οὐ δώσει τὸ φέγγος αὐτῆς.—*Արեգակն խաւարեսցի, և լուսին ոչ տացէ զլոյս իւր.*

4) ქვეწყობილის მთავარ ნაწილში:

ვითარცა იგი შეკრებიან ღვარძლი და ცეცხლითა დაწვიან, ეგრეთ იყოს აღსასრული ამის სოფლისაჲ: მ. 13, 40. — Ὥσπερ οὖν συλλέγεται τὰ ζιζάνια καὶ πυρὶ κατακαίεται, οὕτως ἔσται ἐν τῇ συντελείᾳ τοῦ αἰῶνος τούτου.—*Որպէս ժողովի որսմնն և ի հուր այրի, այնպէս եղիցի ի կատարածի աշխարհիս.*

---

10 არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბილისი, 1948, გვ. 6 და შმდ.

აღსანიშნავია, რომ, როდესაც თხრობითი კილოს მყოფადისა და კავშირებითი კილოს გამომხატველი კავშირებითი II-ის საზიარო ფორმები ქვეწყობილ წინადადებაში ხვდებიან ერთმანეთს, კავშირებითი კილოს მნიშვნელობით ნახმარი ფორმა ყოველთვის დამოკიდებულში იქნება, მომავალი დროის მნიშვნელობით კი — მთავარში. ბერძნულში შესაბამისად — დამოკიდებულში conjunctiv-ის ფორმაა, მთავარში კი futurum indicativi (სომხურში იგივე სურათია, რაც ქართულში):

მკლავითა მათითა აღგიპყრან შენ, რაჲთა არა წარჰცე ქვასა ფერჯი შენი. ლ. 4, 11.—Ἐπὶ χερῶν ἀροῦσί σε, μήποτε προσκόψῃς πρὸς λίθον τὸν πόδα σου.— *ի վերս ձեռաց բարձցեն զքեզ, մի՝ երբեք հարցէս կքարի զոտն քո.*

5) ქვეწყობილის დამოკიდებულ ნაწილში:

რომელსა მე ამბორს უყო, იგი არს: მ. 26, 48—Ὃν ἂν φιλήσω αὐτός ἐστι.—*զնդ որում ես համբուրեցի՝ նա է.*

2. მეორე კავშირებითის ფორმები კავშირებითი კილოს გაგებით მხოლოდ დამოკიდებულ წინადადებაში გვხვდება. იგივე დასტურდება ძველი ბერძნული და ძველი სომხური პარალელური ტექსტების მიხედვითაც: კავშირებითი კილოს შინაარსის გამომხატველი ფორმები დამოკიდებულ წინადადებაშია. ეს დამოკიდებული წინადადება შეიძლება იყოს ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, დროისა, ადგილისა და მიზეზის გარემოებითი, განსაკუთრებით ხშირად კი მ ი ზ ე ზ ი ს გ ა რ ე მ ო ებ ი თ ი და პ ი რ ო ბ ი თ ი. შეერთება უკავშიროა ან შესაბამისი კავშირებით (*რომელი* — ἕς ἄν, ὅστις — *որ...*; *რაჟამს, ოდეს* — ὅταν, ὅταν δὲ—*յորժամ, այլ յորժամ...*; *ხადა, ხადაცა*—ποῦ, ὅπου ἐὰν—*ուր, զի ուր...*; *რაჲთა*—ἵνα, ὅπως—*զի թէ, եթէ*; *დაღათუ, უკუეთუ; თუ*—ἵνα—*թէ, եթէ...*).

რასა სასწაულსა იქმ, რაჲთა ვიხილოთ და გურწმენეს: ი. 6,30—Τί οὖν ποιεῖς σὺ σημεῖον ἵνα ἴδωμεν καὶ πιστεύσωμέν σοι. — *Զի՞նչ նշան առնիցես զի տեսցուք և հաւատասցուք.*

უკუეთუ შეგცოდოს შენ ძმამან შენმან, მოვედ და ამხილე მას: მ.—18,15—Ἐὰν δὲ ἁμαρτήσῃ εἰς σὲ ὁ ἀδελφός σου, ὕπαγε καὶ ἔλεγξον αὐτόν.—*Եթէ մեղիցէ քեզ եղբայր քո, երթ յանդիմանեա զնա.*

მეორე კავშირებითის ფორმები ხშირად გვხვდება ნუუკუე ნაწილაკის თანხლებით. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს ამ შემთხვევაში ძნელი იყოს დროულობისა და კილოს გარჩევა[11]. მაგრამ ნუუკუე ნაწილაკიან ფორმებს ნამდვილად კავშირებითი კილოს მნიშვნელობა აქვთ განსაკუთრებით ისეთ წინადადებებში, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გაიაზრება. ამას თანამედროვე ქართულის მონაცემებიც ცხადყოფენ. დღეს ამ ნუუკუე ნაწილაკს ცვლის ვაითუ, რომელიც ადვილად იშლება ვაი შორისდებულად და თუ კავშირად და ხშირად გათიშულადაც იხმარება (ვაი მთავარ წინადადებაში

11 ნ. ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, 1961, გვ. 42.

და თუ დამოკიდებულში: ვაი იმის დედას, თუ მეორეჯელ ჩამიკარდა ხელში: მ. ჯავახ. 2, 168). ნაწილაკი ვაითუ შეიცავს კავშირებითი კილოს გაგებას.

ნუუკუე ნაწილაკი როგორც ჩანს, ბერძნული μήποτε ნაწილაკის კალკს წარმოადგენს, რომელიც ასევე შედგენილია ნუ ნაწილაკის ბადალი უარყოფითი μή ნაწილაკისა და ποτέ ზმნისართისაგან, და, ჩვეულებრივ, დამოკიდებულ კონსტრუქციაში იხმარება.

აწ ბრძანე დაკრძალვად საფლავი იგი... ნუუკუე მოვიდენ მოწაფენი მისნი და წარიპაროს... მ. 27, 64—Κέλευσον οὖν ἀσφαλισθῆναι τὸν τάφον ἕως... μήποτε ἐλθόντες οἱ μαθηταὶ Αὐτοῦ νυκτὸς, κλέψωσιν Αὐτόν,..—Чтоб ученики его, пришедши не украли...

როგორც ვხედავთ, ნუუკუე ნაწილაკის შემცველი წინადადება დამოკიდებულის ბადალია და მასთან ნახმარი მეორე კავშირებითის ფორმას კავშირებითი კილოს შინაარსი აქვს.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში კავშირებითი კილოს ფუნქციას, გარდა ე. წ. კავშირებითის ფორმებისა, გადმოსცემს აგრეთვე თხრობითი კილოს ნებისმიერი ფორმა მ-ცა ნაწილაკის თანხლებით. ეს ნაწილაკი თხრობითი კილოს ფორმებს კავშირებითის გაგებას ანიჭებს[12]. ქართული მ-ცა ნაწილაკიანი ფორმების შესატყვისად ძველ ბერძნულსა და სომხურში კავშირებითი კილოს ფორმებია:

ეეედრებოდეს, რაჲთამცა ელი დაჰსდვა მას ზედა: მრკ 8,22—Παρακαλοῦσιν Αὐτὸν ἵνα αὐτον ἅψηται.—*Աղաչեին զնա զի մերձեսցի ինա...*

ზოგჯერ ქართულის პარალელური რედაქციაც კავშირებითის ფორმას გვიჩვენებს:

ზრახვა ყვეს, რაჲთა იესუ ზაკუეთ შეიპყრან DE

...რაითამცა ზაკუეთ შეიპყრეს C

მ 26,4

ზოგჯერ ბერძნულსა და სომხურში ქართული მ-ცა ნაწილაკიანი ქვეწყობილი წინადადების შესაბამისად მარტივი, ინფინიტიური კონსტრუქციაა ნახმარი და არ არის გამორიცხული, რომ იგივე აზრი მასდარული კონსტრუქციითვე იყოს გადმოცემული ქართული ოთხთავის პარალელურ რედაქციაშიც:

რომელსა ჰნებავს, ვითარმცა პირველ იყო: C

ვის თქუენგანსა უნდეს პირველ ყოფაჲ: DE

მრკ 9,35

ცხადია, აქ მასდარული (ინფინიტიური) კონსტრუქცია მთელი ქვეწყობილი კონსტრუქციის შემცვლელია და არა ოდენ მ-ცა ნაწილაკიანი ფორმებისა (შდრ. პ. გაჩეჩილაძე, კვლავ მცა ნაწილაკისათვის, იკე, ტ. XII, 1960, გვ. 245).

ამგვარად, როგორც ვხედავთ, ძველ ქართულში კავშირებითი კილოს ში-

12 ა. შანიძე, მცა ნაწილაკი ძველ ქართულში, თხზ., ტ. I, 1957, გვ. 33.

ნაარსის გადმოცემის უნარი აქვს თხრობითი კილოს ფორმას, რომელსაც ამ შინაარსს მ-ცა ნაწილაკი აძლევს. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ძველ ქართველ გრამატიკოსებს შემჩნეული აქვთ და საგანგებოდაც აღნიშნული (და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, განზოგადებული ე. წ. კავშირებითის ფორმებზეც) ის ფაქტი, რომ კავშირებითი კილოს გაგებას თვით ზმნის ფორმები კი არ შეიცავენ (ანტონი კავშირებითი II-ის ფორმებს თხრობითი კილოს ჯგუფში ათავსებს), არამედ ისინი ამ შინაარსს იძენენ შესაბამისი ნაწილაკებისა და კავშირების დართვის შედეგად: მაგ., გაიოზის მიხედვით კავშირებითისა და თხრობითი კილოს მომავალი დროის ფორმათა გარჩევა დაკისრებული აქვს ნაწილაკებს: ვაშათუ, უკუეთუ, ნუთუ, ნეტართუმცა, რათა, ვითარმედ[13]. ასევეა სოლ. დოდაშვილის გრამატიკის მიხედვითაც: კავშირებითი კილოს ფორმები თხრობითისაგან განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ „იპოტეტიკაისა ანუ უკუეთუობითი სქესის“ შინაარსით ნახმარ ფორმას მუდამ „დაესხმის ნაწილნი: უკეთუ, ვაშათუ, ნუთუ, ნეტართუმცა, რათა, რათამცა, ვითარმედ, რომელმცა და სხვ.“[14]. მიუხედავად ზოგიერთი შეცდომისა, არსებითი მაინც შენიშნულია: რომ კავშირებითი კილოს გაგებას თხრობითი კილოს ფორმებს სათანადო ნაწილაკები და კავშირები აძლევენ (საგულისხმოა ისიც, რომ სოლ. დოდაშვილს კავშირებითი კილოს პარადიგმებში მხოლოდ თხრობითი კილოს მცა ნაწილაკიანი ფორმები აქვს მოთავსებული).

ამგვარად, განხილული მასალის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ძველ ქართულში კავშირებითი II-ის ფორმები კავშირებითი კილოს გაგებით მხოლოდ დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება სათანადო კავშირების თანხლებით. ასევეა ახალ ქართულშიც. კავშირებითი კილოს ფორმა დამოუკიდებლად ხმარებული კი დღეს ბრძანებითად გამოიყენება[15].

3. ბრძანებითი კილოს ფუნქციით კავშირებითი II ძველ ქართულშიც გამოიყენებოდა I პირის მრავლობითი რიცხვისათვის.

აღდეგით, წარვიდეთ, ამიერ: მ 26,46.

და იშვიათად III პირისთვისაც:

იყოს იგი თქუენდა მსახურ: DE **იყაენ** იგი თქუენდა მსახურ: C

მ 23,11

კავშირებითი II-ის ფორმებითვე გამოიხატება II და III პირების „არ“ ნაწილაკიანი უკუთქმითი ბრძანებითი:

არა კაც-კლა, არა იმრუშო... მ 19,18 შდრ.: ნუ იმრუშებ, ნუ კაც-კლავ... მრკ C 10,19

კავშირებითი II-ის გამოყენება ბრძანებითის მნიშვნელობით, როგორც ჩანს, განაპირობა იმან, რომ ამ ფორმებს, ჩვეულებრივ, მომავალი დროის გა-

---

13 გ ა ი ო ზ ი, ქართული ლრამატიკა, კრემენჩუკი, 1789, გვ. 25—26.

14 ს ო ლ. დ ო დ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ლრამმატიკა, ტფილისი, 1830, გვ. 22.

15 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, 1973, § 249, გვ. 205.

გება აქვთ. უდავოა, რომ ბრძანებითი კილოს გაგებით ამ ფორმათა გამოყენება მეორეული მოვლენაა.

4. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თითქოს ძველ ქართულში ე. წ. კავშირებითის ფორმები აწმყოსა და ნამყო დროის მნიშვნელობითაც იხმარება[16]. მხედველობაში აქვთ ისეთი შემთხვევები, როდესაც კავშირებითის ფორმებს პარალელურ ტექსტებში ან ბერძნულ დედანში თხრობითი კილოს აწმყოს ან აორისტის ფორმები შეესაბამება. მაგრამ განა ეს იმას ნიშნავს, რომ ე. წ. კავშირებითებს აწმყო და ნამყო დროის ტოლფასი მნიშვნელობაც ჰქონდეთ?

ჯერ ერთი, ნაწილი ასეთი მაგალითებისა ზოგადი აწმყოს გაგებას შეიცავს. ხოლო ისეთი მოქმედება, რომელიც საერთოდ ხდება, ჩვეულებრივია, შეიძლება გადმოსცეს როგორც აწმყოს, ასევე მყოფადის ფორმებმაც. ამის მაგალითები ხშირია აქსიომატურ გამოთქმებში: ანდაზების, აფორიზმების, შეგონებების ენაში: „კვეიცი გვარზე ხტისო", „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო". „სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურეო". როგორც ჩანს, სწორედ იმის გამო, რომ კავშირებითი კილო მომავალი დროის გაგებას შეიცავს, მისი გამომხატველი ფორმები შეიძლება ამგვარი ჩვეულებითი მოქმედების გადმოსაცემად გამოდგეს: „ვისაც მიჰყავდე, იმას მიჰგავდე". „სადაც შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო!"[17]... ალბათ, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგჯერ ქართული ოთხთავის ორი რედაქციიდან ერთში მეორე კავშირებითის ფორმაა, მეორეში კი აწმყოსი, ან, რაც უფრო საგულისხმოა, აწმყოს ხოლმეობითისა:

რაჟამს არაწმიდაჲ იგი სული გამოვიდეს კაცისაგან, განვიდეს იგი ურწყულთა ადგილთა, ეძიებნ განსასუენებელსა ადგილსა და არა პოის: C	რაჟამს სული არაწმიდაჲ განვიდის კაცისაგან, მიმოვალნ ურწყულთა ადგილთა და ეძიებნ განსასუენებელსა და არა პოვის: DE

მ. 12,43

მოცემულ წინადადებაში, როგორც ვხედავთ, გადმოცემულია მოქმედება, რომელიც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. C რედაქციაში იგი გამოხატულია როგორც კავშირებითი II-ის, ასევე აწმყოს ხოლმეობითის ფორმებით. DE-ში კი მხოლოდ აწმყოს ხოლმეობითით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ C-ში ნახმარ კავშირებითი II-ის ფორმას აწმყოს მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ მომავლისა (შემთხვევითი არ არის, რომ სლავურსა და რუსულშიც პირველი ზმნა მომავალი დროის ფორმით არის თარგმნილი: изыдетъ, выйдет). ამგვარად, C რედაქციის ტექსტი ასე წაიკითხება: „როცა არაწმიდა სული გ ა მ ო ვ ა ადამიანიდან, იგი გავა ურწყულ ადგილებში და ეძებს განსასვენებელს, მაგრამ ვერ პოულობს".

ის გარემოება, რომ ქართულსავე პარალელურ ან სხვა ენების საპირისპირო ტექსტებში კავშირებითი II-ის შესაბამისად აწმყოს ფორმებია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ კავშირებით II-ს აწმყოს ფუნქციაც აქვს. კავ-

16 ნ. კ ო ტ ი ნ ო ვ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 394.

17 ეს ფორმები შეიძლება მყოფადის ფორმებით შეიცვალოს ისე, რომ აზრი იგივე დარჩეს: „სადაც შენსას დაიკვეხნი, იქ ჩემიცა თქვიო"...

შირებით II-ს ასეთ მაგალითებში ისევ და ისევ მომავალი დროის მნიშვნელობა აქვს:

რომელი რაჲ გრქუან თქუენ ბნელსა შდრ.: რომელსა გეტყჳ... C
შინა, თქუენ თქუთ ნათელსა შინა: DE

მ. 10,27

ქართულის პარალელურ რედაქციაში, ბერძნულში და სომხურში (ასევე რუსულშიც) შესაბამის ადგილას აწმყოს ფორმებია ნახმარი (λέγω, *ասեմ*, говорю). მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს გ რ ქ უ ა ნ ფორმას აქ აწმყოს ფუნქცია აქვს. რა თქმა უნდა, იგი მომავალი დროის მნიშვნელობისაა და დღეს უნდა ვთარგმნოთ ასე: „რასაც გეტყვიან“ ან „რაც გითხრან“... ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ აწმყოს ფორმას ბერძნულშიც ზოგჯერ მომავლის გამოხატვის უნარი აქვს.

ასევე მომავლის მნიშვნელობა აქვს მეორე კავშირებითის ფორმას სხვა ამგვარ მაგალითებშიც, როგორიცაა:

მითვე საწყაულითა, რომლითა მ ი უ წ ყ ო თ, მ ო გ ე წ ყ ო ს თქუენ: ლ. 6, 38 (μετρεῖτε), რომელმან დ ა ი მ დ ა ბ ლ ო ს თავი თჳსი... იგი უფროჲს ი ყ ო ს სასუფეველსა ცათასა: DE მ. 18,4 (ἐστίν—ა რ ს: C) და სხვ.

ამგვარი მაგალითებიდან მხოლოდ იმ დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ ე. წ. მეორე კავშირებითის ფორმებისათვის თხრობითი (ნეიტრალური) კილოს გაგება ბუნებრივი უნდა ყოფილიყო. ამგვარი ნეიტრალური მნიშვნელობა კავშირებითის ფორმებს, როგორც ზემოთ ვნახეთ, დღესაც აქვთ შემორჩენილი.

ჩვენს ხელთ არსებული მასალის მიხედვით ვერც იმას ვიტყვით, რომ თითქოს მეორე კავშირებითი ნამყოს გაგებით იხმარებოდეს.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში სომხურის და ზოგჯერ ბერძნულის აორისტის შესაბამისად ქართული ოთხთავის ერთი რედაქცია ნამყოსვე გვიჩვენებს, მეორე კი კავშირებით II-ს. გასარკვევია ამ უკანასკნელის მნიშვნელობა.

არასადა აღმოგიკითხაესა, რამეთუ პირისაგან ჩჩვილთა მწოვართაჲსა დაემტკიცოს ქებაჲ: DE მ. 21,16

არა-მე აღმოგიკითხაესა, ვითარმედ პირთა ჩჩვილთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ: C

(— Κατηρτίσω, *կատարեցեր*).

ამ მაგალითში, როგორც ვხედავთ, სიტყვები „ფსალმუნიდან“ არის მოყვანილი. ზმნის ფორმა ერთ შემთხვევაში („დაემტკიცოს“ DE) „ფსალმუნთა“ C რედაქციას ეთანხმება, მეორე შემთხვევაში („დაამტკიცე“ C) — Ч რედაქციას:

პირითა ყრმათა ჩჩვილთა მწოვართაჲთა დაემტკიცოს ქებაჲ მტერთა შენთათჳს, რაჲთამცა განირყუნა მტერი იგი და შურისმგებელი: C

პირითა ყრმათა ჩჩვილთა მწოვართაჲთა დაამტკიცე ქებაჲ მტერთა შენთათჳს, რაჲთამცა დაჲკსნა მტერი იგი შურისმგებელი: Ч

ფსალ. 8,3

ერთ რედაქციაში კავშირებითის ფორმის გამოყენება მეორე რედაქციის (და სომხურ-რუსულის) შესაბამისი ადგილების ნამყოს საპირისპიროდ უნდა აიხსნას არა იმით, რომ კავშირებითის ფორმებს ნამყო დროის გამოხატვის შესაძლებლობაც ჰქონია, არამედ ალბათ იმით, რომ ოთხთავის („ფსალმუნთა") ეს რედაქციები სხვადასხვა წყაროებიდან მომდინარეობს. აქვე, აღსანიშნავია, რომ ბერძნულში აორისტი კი არა გვაქვს, არამედ I პირი futurum I indicativi-სა, რომელიც ემთხვევა conjunctivi I პირის ფორმას— κατηρτίσω.

რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი ესაია წინაწარმეტყველისაჲ, რომელ თქუა: მან უძლურებანი ჩუენნი იტკრთნეს და სნეულებანი ჩუენნი განკურნნეს: DE	რაჲთა აღესრულოს სიტყუაჲ იგი ესაია წინაწარმეტყველისაჲ თქუმული: მან უძლურებანი ჩუენნი თავს ისხნა და სნეულებანი იტკრთნა: C

მ. 8,17

(—ἔλαβε, ἐβάστασεν, վերացոյց, կրարդ, взял и понёс).

აქაც, ერთი რედაქციის ნამყოს საპირისპიროდ, მეორე რედაქციაში კავშირებითის ფორმის ხმარება უნდა აიხსნას არა იმით, რომ კავშირებითი ნამყოს მნიშვნელობითაა გამოყენებული, არამედ ალბათ, იმით, რომ ამ რედაქციების წყაროები სხვადასხვაა. ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ჯრუჟ-პარხლის ოთხთავში სულ სხვა მნიშვნელობის ზმნაა („სნეულებანი განკურნნეს" კავშირებითი II-ის ფორმით), ადიშის ოთხთავი კი ზმნის მნიშვნელობითაც („სნეულებანი იტკრთნა" — τὰς νόσους ἐβάστασεν.— վերաւաժեր կրարդ) და ფორმითაც (ნამყო ძირითადი) ეთანხმება ბერძნული, სომხური, და რუსული ოთხთავების ჩვენს ხელთ არსებულ რედაქციებს (ამასთან, აღსანიშნავია, რომ სომხურში პირველი ზმნა վերացոյց კავშირებითის ფორმითაა წარმოდგენილი და არა ნამყოთი).

DE რედაქციაში კავშირებითი II-ის ფორმა მომავლის მნიშვნელობითაა ნახმარი. ეს არ არის მოულოდნელი, რადგანაც, როგორც ქართულში, ისე ბერძნულსა და სომხურშიც, ამგვარ პირდაპირ ნათქვამში ზმნა ხან მყოფადით და ხან ნამყოთია წარმოდგენილი. ამასთან, სწორედ ნამყოს ფორმას აქვს მომავლის შინაარსი და არა პირიქით[18].

მ ყ ო ფ ა დ ი: რაჲთა აღესრულოს თქუმული წინაწარმეტყველისაჲ ვითარმედ: ნაზარველ ეწოდოს: მ 2, 23—... ὅτι Ναζωραῖος κληθήσεται.—կոչեսցի

ნ ა მ ყ ო: რაჲთა აღესრულოს თქუმული იგი წინაწარმეტყველისა მიერ, რომელსა იტყჳს: განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კუართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი: მ. 27, 35 (Διεμερίσαντο, ἔβαλον).

---

18 აღსანიშნავია, რომ დალოცვისა და წყევლის ფორმულებში ბრძანებითი კილოს გაგებით ნახმარ ნამყოს ფორმებს მყოფადის მნიშვნელობა აქვთ: „შენ გაზარდე დედაშენს!" და სხვ. ამგვარ შემთხვევებში ჩაკარდნილი ჩანს მ-(ცა) ნაწილაკი. როგორც ჩანს, საერთოდ ბრძანებითი კილოს და, მაშასადამე, მომავალი დროის გაგებით II პირის ფორმებისათვის თხრობითი კილოს წყვეტილის (ნამყო ძირითადის) ფორმათა გამოყენება თავდაპირველად სწორედ მ(ცა) ნაწილაკთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. თანდათან ეს ნაწილაკი დაიკარგა და II პირის ბრძანებითში (მომავალი დროის გაგებით) მხოლოდ წყვეტილის ფორმები დამკვიდრდა.

ქვემოთ მოყვანილ მაგალითებშიც, DE რედაქციის კავშირებით II-ისა და C რედაქციის ნამყო ძირითადის ფორმებს მომავალი დროის მნიშვნელობა აქვთ და არა ნამყოსი:

უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინო ძმაჲ იგი შენი: DE	უკუეთუ ისმინოს შენი, შეიძინე ძმაჲ შენი: C

მ. 18,15

მიუხედავად იმისა, რომ შესაბამისი ადგილები სხვა ენებში და ქართულისავე C რედაქციაში ნამყოს გვიჩვენებენ, არა გვაქვს იმის უფლება, რომ DE რედაქციაში მათ საპირისპიროდ ნახმარ კავშირებით II-ის ფორმას მექანიკურად ნამყოს მნიშვნელობა მივაწეროთ. ამ მაგალითშიც კავშირებითი II მომავალი დროის გაგებითაა ნახმარი: „თუ შეისმენს,შეიძენ", რადგანაც ამას მოითხოვს დამოკიდებული წინადადების ზმნის ფორმასთან შეხამების წესი. ასეთ შემთხვევებში უფრო ნამყოს ფორმის ფუნქციაა საძიებელი და, ვფიქრობთ, იგი შედეგობითის (რეზულტატივის) შინაარსს უახლოვდება[19].

ამგვარად, კავშირებითი II აწმყოსა და ნამყოს ფუნქციით არ იხმარება. ის ფაქტი, რომ კავშირებითი II-ის ფორმას სხვა ენებზე იმავე ტექსტის შესაბამის ადგილებში ან ქართულისავე პარალელურ რედაქციაში ზოგჯერ აწმყო ან ნამყო უპირისპირდება, არ არის იმის დამამტკიცებელი საბუთი, თითქოს მეორე კავშირებითის ფორმებს აწმყოსა და ნამყოს გაგების გამოხატვაც შეუძლიათ, ისევე, როგორც ვერ ვიტყვით, რომ იგი ასრულებს ინფინიტივის ან მიმღეობის ფუნქციას, როდესაც ბერძნული ან სომხური ტექსტის (და თვით ქართული პარალელური რედაქციის) შესაბამის ადგილას მიმღეობური ან ინფინიტიური კონსტრუქციაა ქართულის მეორე კავშირებითის სანაცვლოდ.

ზემოთგანხილული მასალის საფუძველზე, ვფიქრობთ, ჩვენი საკითხისათვის საინტერესო დასკვნებს ვღებულობთ:

1. მეორე კავშირებითის ძირითადი ფუნქცია, რომელი კილოს გაგებასაც უნდა შეიცავდეს იგი, ყველა შემთხვევაში მაინც. მომავალი დროის გადმოცემაა[20]. ამგვარად, მეორე კავშირებითის ფორმებისათვის დროთაგან მხოლოდ მომავლის გამოხატვაა ორგანული. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ამ ფორმებისათვის დროის გარჩევა მათი ჩასახვისა და ჩამოყალიბების პერიოდშივე უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი და, მაშასადამე, იმ დროისათვის, როდესაც კავშირებითი კილო იკვეთება თავისი პირვანდელი (სათუო-სავარაუდებელი, შესაძლებელი შინაარსის) სახით, საერთოდ დროისა და, კერძოდ, მომავალი დროის გაგება უკვე უნდა არსებულიყო.

2. მნიშვნელოვანია მეორე შედეგიც, კერძოდ ის, რომ მეორე კავშირებითი

---

19 მაშინ C რედაქციის ტექსტი ასე წაიკითხება: „თუ შეისმენს შენსას, შეგიძენია (შეძენილი გყავს) ძმა".

20 ამ მხრივ ქართული მარტო არ დგას. მაგ., მართალია, ბერძნულში კავშირებით კილოში დროის 4 ფორმაა გამოყოფილი (აწმყო, I და II აორისტი და პერფექტი), მაგრამ მათ შორის განსხვავება მხოლოდ ასპექტურია, დრო კი აქაც ერთია — მომავალი (იხ. С. Соболевский, Древнегреческий язык, М., 1948, გვ. 87, § 453).

კილოს ფუნქციით მხოლოდ დამოკიდებულ წინადადებაში იხმარება. მაშინ, როდესაც მისი გამოყენება თხრობითი (ნეიტრალური) კილოს მომავალი დროის გაგებით მარტივ, დამოუკიდებელ კონსტრუქციებშიც ჩვეულებრივი მოვლენაა.

როგორც ცნობილია, რთული კონსტრუქციები და, მით უფრო, ჰიპოტაქსური კონსტრუქცია ენის განვითარების შედარებით გვიანდელ საფეხურზე ყალიბდება. იგი დამახასიათებელია სამწერლო ენისათვის, რომელიც, თავის მხრივ, თანდათან ხვეწს და სრულყოფს რთულ ქვეწყობილ კონსტრუქციებს. ძველ ქართულში ცნობილი სინტაქსური ატრაქციის (ასიმილაციის) მაგალითები, აგრეთვე ქვეწყობილ კონსტრუქციებში ჩვენებითი ნაცვალსახელის პლეონასტური ხმარების შემთხვევები სწორედ იმაზე მეტყველებენ, რომ ქვეწყობილი წინადადების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესი ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული.

ამგვარად, თუ გავითვალისწინებთ მიღებულ შედეგებს, მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ქრონოლოგიური ურთიერთმიმართების სურათი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

სხვადასხვა ენათა ჩვენების საფუძველზე საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია მოსაზრება იმის შესახებ, რომ დროის კატეგორია შეიძლება არ იყოს იმთავითვე მოცემული ამა თუ იმ ენობრივ სისტემაში. ბევრი ენა (მაგ., სემიტური ენები, ამერიკელ ინდიელთა ენები...) დღესაც არ იცნობს ჩვენთვის ჩვეულებრივ დროთა სამწევრიან სისტემას. ამ ენებში მოვლენათა შორის რეალური მიმართებები სხვაგვარად, სხვა ზმნური კატეგორიებითა და ფორმებით გამოიხატება, რომლებიც ძირეულად განსხვავდებიან ჩვენი გრამატიკული დროებისაგან (მაგ., ასპექტით, კილოთი: მტკიცებითი ფორმები გამოხატავენ მოვლენას, რომელიც მოხდა ან ხდება, რაც შეესაბამება ახლანდელსა და წარსულ დროებს; შესაძლებელ-სავარაუდო კილოს ფორმები — მოვლენას, რომელიც მოხდება — მომავალს; ასპექტური ფორმები გამოხატავენ განგრძობითობის სხვადასხვა ხარისხს, რაც ჩვენს დროის კატეგორიას შეესაბამება...).

გრამატიკული დროის კატეგორიის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სუბიექტური აღქმის ობიექტივაციის იმ საერთო ტენდენციასთან, რომელიც ადამიანის აზროვნების განვითარებას ახასიათებს. რაც შეეხება იმას, რომ ამ კატეგორიის კონკრეტული გამოვლინებები სხვადასხვა ენობრივ სისტემაში სხვადასხვაგვარია, ამას, როგორც ჩანს, სხვა ფაქტორებთან ერთად განსაზღვრავს ამა თუ იმ ეთნიკურ-ენობრივი ჯგუფის (კოლექტივის) ცხოვრების პირობების შედეგად ჩამოყალიბებული აზროვნების სისტემა, ფსიქიკური წარმოდგენები, მოკლედ — ფსიქოლოგიური ფაქტორი.

ფიქრობენ, რომ ქართული ენის განვითარების უძველეს საფეხურებზე გრამატიკული დროის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე მოვლენათა შორის დროული მიმართება გამოხატული უნდა ყოფილიყო ასპექტური დაპირისპირებით — წყვეტილი (მომენტობრივი) და განგრძობითი (დიურატიული)[21]. აქე-

---

21 არნ. ჩიქობავა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I. ზოგი ენა ახლაც კმაყოფილდება ორწევრიანი სისტემით, სადაც ორი გაგება — „უწინარესი" და „შემდგომი", „წყვეტილი" და „უწყვეტელი" უპირისპირდება ერთმანეთს.

დან — წყვეტილი მოიცავდა უკვე მომხდარს, მახსოვრობაში აღბეჭდილს, რაც თავისთავად წარსულს გულისხმობს, ხოლო განგრძობითი იმას, რაც ხდება — რთულ განუსაზღვრელ კომპლექსს გაუდიფერენცირებელი სახით, რომელიც შეიცავს უშუალოდ აღქმადს ე. ი. ახლანდელს და აგრეთვე იმას, რასაც დასასრული არა აქვს, ე. ი. მომავალშია შესაძლებელი[22].

ეს მნიშვნელობები შესაბამისად უნდა გამოეხატა აორისტისა (წყვეტილის) და ხოლმეობითი II-ის ფორმებს (ამიტომაა, რომ ძველ ქართულში ხოლმეობითი II-ის ფორმები გადმონაშთის სახით მომავალსაც გამოხატავენ)[23].

ახლანდელი დროის თანდათანობითმა კონკრეტიზაციამ და განსაზღვრამ გამოკვეთა და გამოყო მესამე მიმართება — შემდგომისა, მომავლისა, ამ მიმართების გამოხატვა არსებული ყალიბის — ფუძის სათანადო გაფორმებით მოხდა, და, ამგვარად, უნდა მიგვეღო დროთა სამი რიგი: ნამყოსი (ნამყო ძირითადი ანუ წყვეტილი), აწმყოსი (ხოლმეობითი II) და მომავლისა (ე. წ. კავშირებითი II).

მაგრამ მომავალი დრო, განსხვავებით ახლანდელისა და წარსულისაგან, რომლებიც მომხდარ ან არსებულ, რეალურ ფაქტს გადმოსცემენ, ჩვეულებრივ, გამოხატავს ისეთ არარეალურ მოქმედებას, რომელიც, როგორც შესასრულებელი და არა ფაქტი, შესაძლებელია, სავარაუდოა, სათუოა, საეჭვოა. ამდენად, მ ო მ ა ვ ა ლ ი დ რ ო ს ა ფ უ ძ ვ ე ლ შ ი ვ ე შ ე ი ც ა ვ ს შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ-ს ა ვ ა რ ა უ დ ო, თ უ ო ბ ი თ ი შ ი ნ ა ა რ ს ი ს — კ ი ლ ო ს ე ლ ე მ ე ნ ტ ს, ნ ი უ ა ნ ს ს. ამგვარად, მომავალი დროის გაგებას თან მოჰყვა შესაძლებლის, სათუო, სასურველობის შინაარსის, ანუ კილოს გაგებაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **კილოს გაგება ჩაისახა მომავალი დროის ნიაღში, მის გაჩენასთან ერთად.**

მაგრამ სათუო-სავარაუდო კილო მისი გაჩენა-ჩამოყალიბების მომენტისათვის, ცხადია, დღევანდელ შინაარსს არ შეიცავდა. მან თანდათანობით შეიძინა უფრო რთული ნიუანსები, რომელთაგან ყველაზე ნათლად გამოიკვეთა წინადადებათა ურთიერთმიმართების — დაქვემდებარების გამოხატვა (სახელიც ამ სინტაქსური ფუნქციის მიხედვით აქვს შერჩეული: conjunctivus, რაც „შემაკავშირებელს“ ნიშნავს. — აქედან ქართული სახელწოდებაც — „კავშირებითი“)[24]. ეს მოვლენა აღნიშნულია საენათმეცნიერო ლიტერატურაში: „უფრო გვიან (მაგრამ ჯერ კიდევ უძველესი ენების ფარგლებში) კავშირებითმა და ნატვრითმა კილოებმა შემდგომი განვითარება განიცადეს... შეიძინეს წმინდა ფორმალური მნიშვნელობა — წინადადებათა შორის სინტაქსური კავშირის გამოხატვა“[25].

განვითარების ამ საფეხურზე კავშირებითი კილო მკვეთრად ემიჯნება მომავალ დროს, ფორმა კი ორივესათვის კვლავ საერთო რჩება. ენა, როგორც

---

22 ახლანდელი დროის ფორმებს ეს გაუდიფერენცირებელი გაგება დღემდე შემორჩათ (ე. წ. „ზოგადი აწმყო“).

23 ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 54.

24 ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ გაიოზი კავშირებითი კილოსთვის იყენებს ტერმინს „ქცევწყობილებითი“, რითაც ხაზგასმულია მისი ძირითადი ფუნქცია.

25 Д. Н. О в с я н и к о-К у л и к о в с к и й, Синтаксис русского языка, изд. II, СПБ, 1912, გვ. 118.

ცნობილია, გრამატიკულ ომონომიას ვერ იტანს. ძველ ქართულში შეიძლება თვალის გადევნება, თუ როგორ ისახება კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის ფორმათა გამიჯვნის ძლიერი ტენდენცია: კავშირებითი კილოს გადმოსაცემად მ-ცა ნაწილაკიანი თხრობითი კილოს ფორმებიც იხმარება. მომავალი დრო კი ჯერ აღწერითი — ინფინიტიური კონსტრუქციით (მოსლვად არს, შესუმად არს) ცდილობს საკუთარი, კილოსაგან დაცლილი მნიშვნელობის გადმოცემას, მაგრამ ეს გზა ფეხს ვერ იკიდებს, რადგან ფორმათა გამიჯვნის პროცესი დააჩქარა და საბოლოოდ დაასრულა ასპექტის კატეგორიის გამოხატვის სისტემის შეცვლამ, რის შედეგადაც აწმყოს ზმნისწინიანმა ფორმებმა, რომელთაც სრული ასპექტის გამოხატვა დაეკისრათ, მექანიკურად მომავალი დროის გადმოცემის უნარი შეიძინეს. ისტორიული მყოფადის ფორმებში კი საბოლოოდ დროის გაგება დაიჩრდილა და კავშირებითი კილოს ფუნქცია გახდა წამყვანი.

თანამედროვე ქართულში თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა აწმყოს ზმნისწინიან ფორმებს აკისრია და, თუ არა ძველი ქართული წერილობითი საბუთები (და ის გარკვეული შემთხვევები, რომლებშიც კავშირებითი კილოს ფორმებს გადმონაშთის სახით ნეიტრალური მომავლის გადმოცემის უნარი შერჩათ), ჩვენ ვერ დავასკვნიდით, რომ ე. წ. კავშირებითის ფორმების ძირითადი ფუნქცია თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა იყო ოდესღაც. მთის კავკასიურ ენებში დღეს კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის ფორმათა ომონიმიის კვალი ზოგჯერ შემორჩენილია[26], და გამორიცხული არ არის, რომ მათ იქაც განვითარების მსგავსი გზა ჰქონდეთ გავლილი. ქართველურ ენათაგან კი დღეს თითქოს მხოლოდ ჭანურის ხოფურ კილოკავს შემორჩა ნაშთის სახით მომავალი დროის გამოხატვის ძველი სისტემის კვალი.

როგორც ცნობილია, ჭანურის ხოფურ კილოკავში მყოფადის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა კავშირებითის ფორმები, რომელთაც დაერთვის მინონ (დეზიდერატიული მნიშვნელობის მქონე ზმნა „მინდა“). მართალია, როგორც ნ. ნათაძე წერს, აქაც „იგრძნობა ერთგვარი ვალდებულების ან სურვილის ნიუანსი, ისეთი, როგორიც აქვს ქართულ მინდა წავიდე, უნდა წავიდე ფორმებს“, მაგრამ „არის ისეთი შემთხვევებიც, ფთხვამინონ (დავრთავ), ფშვამინონ (მოვქსოვ), სადაც თითქოს ამგვარად ნაწარმოებ ფორმებს მომავალი დროის გადმოცემის გარდა სხვა შინაარსობლივი ნიუანსი არ ახლავს“[27]. ამ ფორმათა შემონახვა ჭანურში შეიძლება ბერძნული ენის გავლენით აიხსნას, სადაც დეზიდერატიული

---

[26] აღსანიშნავია, რომ აფხაზურ-აბაზურ დიალექტებში კავშირებითი I-ის ფორმათა წარმოება ეურდნობა განსაზღვრული მომავალი დროის ფუძეს (იხ. Л. Чкадуа, Система времен и основных модальных образований в абхазско-абазинских диалектах, Тб., 1970, გვ. 68). აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ კუბაჩურში ა. მაჯომეტოვის ცნობით, მყოფადის ფორმა (დამოუკიდებელი) აქვს მხოლოდ I პირს, რაც შეეხება II და III პირებს, ისინი კავშირებითის იყენებენ. ამასთან, პარალელურად I პირსაც შეუძლია მომავლის გამოხატვა კავშირებითის ფორმით. იხ. აგრეთვე, ა. მაჯომეტოვი, მყოფადის წარმოებისათვის დარგუულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXIX სამეცნ. სესიის მასალები, 1973 წ. 27—28 მარტს, გვ. 13.

[27] ნ. ნათაძე, მყოფადისთვის ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II, თბ., 1961, გვ. 35.

ზმნების შემცველი კონსტრუქციები მომავლის როლს ასრულებენ. ატიკურში მომავალი დროს გამოსახატავად ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ავტორები იყენებენ ἔρχομαι (მოსვლა, დაწყება), μέλλω (დაპირება, ხამს, საჭიროა) ზმნების შემცველ კონსტრუქციებს (მნიშვნელობით „ვაპირებ“)[28].

საერთოდ ცნობილია, რომ ინდოევროპულ ენებში მომავალი დროის საკუთარი ფორმები შედარებით გვიან ჩამოყალიბდა. „მომავლის იდეას უმთავრესად კავშირებითი კილო გამოხატავდა, ამიტომ, როდესაც საჭირო გახდა დამოუკიდებელი მომავალი დროის შექმნა, თითოეულმა ენამ თავისებურ საშუალებას მიმართა“[29], ხშირად აღწერითს (დამხმარე ზმნები: habeō, volō, venio — „ყოფნა“, „ნდომა“, „სვლა“... + ინფინიტივი). მაგალითად, ფრანგულში უახლოესი მომავლისათვის გამოყენებულია venir („მოსვლა“) ზმნის შემცველი კონსტრუქცია; რუმინულში მომავალი დრო იწარმოება avrea (ნდომა, სურვილი) ზმნისა და ინფინიტივის საშუალებით; რუსულში — быть + ინფინიტივი (თუმცა მომავლის მეორე ფორმა, სრული ასპექტის გამომხატველი, მსგავსად ქართულისა, აქაც ზმნისწინის დართვით იწარმოება) და სხვა. თანამედროვე სომხურშიც, ისევე, როგორც ინდოევროპულ ენებსა და ქართულში, მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ფორმათა გზები გაიყარა. ახალი სომხურის მომავალი დროის ფორმებში (կգրեմ) կ- პრეფიქსს უკავშირებენ կամել („ნდომა“) ზმნას.

ამგვარად, არა მარტო ძველი ქართული ენის მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ შესაძლებელ-სავარაუდებელი (კავშირებითი) კილო და მომავალი დრო ისტორიულად ერთმანეთს მჭიდროდ უკავშირდება როგორც ფუნქციური, ისე ფორმალური თვალსაზრისით.

მყოფადი თავდაპირველად რეალური მოქმედების გამომხატველ აწმყოსა და ნამყოს უპირისპირდება როგორც ჯერ არარსებული, არარეალური მოქმედების გამომხატველი და, ამ აზრით, თავის თავში შეიცავს შესაძლებელ-სავარაუდო კილოს ნიუანსს. დროთა სამწევროვანი სისტემის ჩამოყალიბების პერიოდში კილოს ეს ნიუანსი, თუ შეიძლება ითქვას, მომავალი დროის თანდაყოლილ თვისებას წარმოადგენს. ამიტომ ამ მომენტისათვის ჩვენთვის საინტერესო ფორმების პირველადი ფუნქციის ძიება უმართებულოდ გვეჩვენება.

მაგრამ შემდგომ, ერთი მხრივ, დროთა სისტემის თანდათანობითი განვითარების, ხოლო მეორე მხრივ — კილოს გაგების უფრო გართულების შედეგად, მყოფადი, როგორც წმინდა დრო, დაცლილი კილოს გაგებისაგან, მკვეთრად გაემიჯნა კავშირებითს კილოს. სემანტიკური განსხვავების გაჩენამ კი დროთა განმავლობაში ფორმათა მიხედვით განსხვავებაც მოითხოვა და გამოიწვია კიდეც.

ზემოთ ვნახეთ, რომ კავშირებითი II-ის ფორმებს კავშირებითი კილოს ფუნქციით მხოლოდ ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ ნაწილში აქვს ადგილი. ეს კი გვავარაუდებინებს, რომ კავშირებითი კილოს დროის კატეგორიისაგან გამოყოფა და დამოუკიდებელ ოდენობად ჩამოყალიბება ენის განვითარების შედარებით გვიანდელ საფეხურზე ჰიპოტაქსური კონსტრუქციის გაჩენასთან უნდა იყოს დაკავშირებული (ან შემდეგ უნდა მომხდარიყო). ამ

---

[28] П. Шантрен. დასახ. ნაშრ. §§ 293—294, გვ. 209—210, § 301, გვ. 217—218.

[29] А. Эрну, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

თვალსაზრისით კავშირებითი კილო მომავალ დროზე გვიან ჩამოყალიბებულად შეიძლება მივიჩნიოთ. და, ამდენად, ჩვენთვის საინტერესო ე. წ. კავშირებითის (დღევანდელი გაგებით) ფორმებისათვის მომავლის გამოხატვის ფუნქცია — პირველადად.

ვფიქრობთ, ჩვენს ზემოთ წარმოდგენილ მტკიცებას გარკვეული თვალსაზრისით მხარს უჭერს არნ. ჩიქობავას მოსაზრება, რომელიც მას კავშირებითის ფორმების შესახებ აქვს გამოთქმული: „ძველს ქართულში კავშირებითიც არსებითად თხრობითი კილოს დროს წარმოადგენდა: ასე რომ კავშირებითის კილოდ ქცევა მეორეული მოვლენაა"[30].

(შემოვიდა 25.V.1979)

Д. Н. МЕЛИКИШВИЛИ (Тбилиси)

О ВЗАИМООТНОШЕНИИ БУДУЩЕГО ВРЕМЕНИ И СОСЛАГАТЕЛЬНОГО НАКЛОНЕНИЯ (НА МАТЕРИАЛЕ ДРЕВНЕГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА)

Резюме

В древнегрузинском языке понятие сослагательного наклонения и будущего времени изъявительного наклонения выражалось формами т. н. II-го сослагательного (გააკეთოს). Но данные формы в значении сослагательного наклонения употреблялись лишь в подчиненных предложениях, в то время как в значении будущего времени изъявительного наклонения они могли фигурировать в любых — как простых так и сложных — конструкциях.

На основе этих данных (а также данных ряда других языков) автор статьи приходит к следующему заключению:

Будущее время, как категория, выражающая ирреальное действие, а не факт, в какой-то степени содержит в себе понятие сослагательного наклонения.

С развитием и усовершенствованием, с одной стороны, временной системы, а с другой — сослагательного наклонения, будущее время постепенно четко отделилось по смыслу от сослагательного наклонения, что со временем отразилось и на форме.

Выделение сослагательного наклонения как самостоятельной категории должно быть связано с формированием гипотаксической конструкции, которая, как известно, во всех языках является поздним образованием.

---

[30] არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1952, გვ. 276. § 107.

D. MELIKISHVILI (Tbilisi)

ON THE QUESTION OF THE INTERRELATION OF FUTURE TENSE AND SUBJUNCTIVE MOOD

(based on the data of Old Georgian)

Summary

In Old Georgian the notions of subjunctive mood and future indicative tense were expressed by means of the so-called 2nd subjunctive tense-forms. Those forms were used in the meaning of the subjunctive mood only in subordinate clauses, while in the meaning of the future tense they could be used both in simple sentences and any kinds of clauses.

On the basis of the Old Georgian data (and the data of other languages as well) the author has come to the following conclusion:

Future Tense as a category expressing unreal action, not a fact, contains in itself the notion of subjunctivity.

In the course of the development and the refinement of temporal system, on the one hand, and the category of the subjunctive mood, on the other, the future tense and subjunctive mood had gradually become differentiated as to their meaning, this fact having later found its reflection formally as well.

The formation of the subjunctive mood as an independent category must have been connected with the development of hypotaxis which is known to be a late formation in all languages.

დ. მელიქიშვილი
(თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ძველი ქართულის ლექსიკიდან: განი (საგანი), საზრი, პირი, მიზანი

ის, რასაც უნდა მიაღწიონ, რაც უნდა განახორციელონ. რისკენაც ისწრაფვიან, დღეს ქართულში აღინიშნება სიტყვით მ ი ზ ა ნ ი. მაგრამ ეს სიტყვა წარმოშობით ქართული არ არის და საკმაოდ გვიან ჩანს შემოსული ჩვენში. მ ი ზ ა ნ ლექსემა დადასტურებულია ეკრთ 1188—1210 წლებით დათარიღებულ კრებულში (A 65), როგორც არაბული სიტყვა, რომელიც ქართული ს ა ს წ ო რ ი ს შესატყვისია. ამ კრებულის 187-ე r გვერდზე, სადაც ზოდიაქოებზეა ლაპარაკი, ვკითხულობთ: ს ა ს წ ო რ ი, რ ო მ ე ლ ს ა ა რ ა ბ უ ლ ა დ ჰ რ ქ ვ ა ნ მ ი ზ ა ნ. აქედან ჩანს, რომ მიზან სიტყვა XIII საუკუნეში ქართულში ჯერ კიდევ არ იხმარებოდა და მისი დღევანდელი ქართული მნიშვნელობა საკმაოდ დაცილებულია არაბული მნიშვნელობისაგან. ჯერ კიდევ არ ჩანს დამკვიდრებული ეს სიტყვა დღევანდელი მნიშვნელობით XVII—XVIII საუკუნეებშიც:

ვაჭრობა შექმნეს, მოიღეს მ ი ზ ა ნ ი ასაწონელი (თეიმ. I ხილიხ., 81,1.)

ან: გიბოძებთ ამდენს მ ი ზ ა ნ ს ა, ვერა ქნას ანაწონები (ვახტანგიანი, 177,4.)

როგორც ვხედავთ, მ ი ზ ა ნ ი აქაც „ს ა ს წ ო რ თ ა ნ, ს ა წ ო ნ თ ა ნ" არის დაკავშირებული და აღორძინების ხანის ეწერლობაში. მოსალოდნელია, სპარსულის გზით იყოს შემოსული, სადაც ამ სიტყვის მნიშვნელობას ოდნავი გადახრა განუცდია: დღეს სპარსულში იგი ნიშნავს „ს ა ზ ო მ ს, ს ი დ ი დ ე ს, რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს, დ ო ნ ე ს, წ ო ნ ა ს წ ო რ ო ბ ა ს, დ ა ბ ო ლ ო ს, კ ო ე ფ ი ც ი ე ნ ტ ს ა ც". ეს მნიშვნელობები, ცხადია, ამ სიტყვის თავდაპირველი, არაბული მნიშვნელობიდანაა განვითარებული. XVIII საუკუნეში რომ ჯერ კიდევ არ არის ხმარებაში შემოსული მ ი ზ ა ნ სიტყვა ქართულში, ეს კარგად ჩანს საბას ლექსიკონიდან, რომელშიც იგი საერთოდ არ არის ფიქსირებული.

მ ი ზ ა ნ სიტყვა დღევანდელი მნიშვნელობით უკვე ჩანს XIX საუკუნის პირველ ნახევარში. კერძოდ, იგი დადასტურებულია ნიკო ჩუბინაშვილის რუსულ-ქართულ ლექსიკონში, სადაც რუსული цель სიტყვის განმარტებაში ვკითხულობთ: „ნ ი შ ა ნ ი, ს ა ს რ ო ლ ი ს ა გ ა ნ ი, მ ი ზ ა ნ ი||ც ე ც ხ ლ ს ა ს რ ო ლ ი ს ი ა რ ა ღ ი ს ტ უ ჩ ზ ე დ დ ა ს მ უ ლ ი რ ა მ ნ ი შ ა ნ ს ი მ ი ს ა მ ა რ თ ა დ||ს ა გ ა ნ ი, ჰ ა ზ რ ი, დ ა ს ა ს რ უ ლ ი“.

როგორც ვხედავთ, მ ი ზ ა ნ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობისათვის ამოსავალი არის „სასროლად დანიშნული მიჯნა, ადგილი“, საიდანაც მოდის მისი უფრო ფართო, ზოგადი შინაარსი: ს ა ე რ თ ო დ ი ს, რ ი ს კ ე ნ ა ც, რ ი ს ი ნ ი ღ წ ე ვ ი ს კ ე ნ ა ც მ ი ი ს წ რ ა ფ ვ ი ა ნ. მნიშვნელობის განვითარების იგივე გზა შეინიშნება ძველ ქართულში „მიზნის“ მნიშვნელობით ხმარებულ გ ა ნ-ს ა გ ა ნ სიტყვაში, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი. XIX საუკუნის სალიტერატურო ენაში კი მ ი ზ ა ნ სიტყვა უკვე დამკვიდრებულია დღევანდელი მნიშვნელობით (ჩვენს წმინდა მ ი ზ ა ნ ს არ ვუღალატებთ: აკაკი, II, 112, 13; ჩემს მწარე მ ი ზ ა ნ ს ვემსახურები: I, 270, 18: ძმიკითხა ჩემი ვინაობა, მ ი ზ ა ნ ი ჩემის მოგზაურობისა: ვაჟა, IV, 181, II; სახელი რომელს დაჰრჩება, ესაა ბრძოლის მ ი ზ ა ნ ი: ვაჟა, II, 249, 38; დაუჯდება მონადირეს ლულაზე, რომ მ ი ზ ა ნ ი შეუშალოს: ვაჟა, III. 444, 29) და მისგან ახალწარმოებებსაც ვხვდებით (მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ა დ ემსახურება: ვაჟა, I, 321, 21). მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მნიშვნელობით XIX საუკუნის სალიტერატურო ენაში ჯერ კიდევ ვხვდებით ძველ ს ა გ ა ნ ლექსემასაც:

თავი და თავი ს ა გ ა ნ ი ავტორისა ისა ყოფილა, რომ ამ ძირეულ საკითხს საბუთიანი პასუხი ბოუპოვოს: ილია, ქგლ; დაბეჯითებით გეტყვი, რომ უმთავრესი ფიქრი მე და შენი უმთავრესს ჩვენის ცხოვრების ს ა გ ა ნ ზ ე დ ერთია: ვაჟა, V, 116, 28; ს ა გ ა ნ ი ჩემი მოგზაურობისა კახეთში იყო დროებითი ადგილობრივი სირაჯობა: არდაზ. ქგლ.: ჟურნალ-გაზეთობას ს ა გ ნ ა დ ადამიანის ცხოვრება აქვს: ილია, II, 256: მაგრამ მივუყვები ს ა გ ა ნ ს ა აწ უფრო უდიდესსაო: აკაკი, V, 33, 8; ერთი ჰქონდეს მას ს ა გ ა ნ ი: ჰარმონია მისი ხმების: აკაკი, I, 208, 5: ბღავიან და არ იციან, არც მიზეზი, არც ს ა გ ა ნ ი: აკაკი, II, 241, 4.

მოტანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ზოგჯერ ს ა გ ა ნ ი — „მ ი ზ ა ნ ი“ და ს ა გ ა ნ ი — „ობიექტი“ ერთმანეთისაგან ძნელი გასამიჯნია, მათ შორის მკვეთრი ზღვარის გავლება ჭირს. ასევეა, სხვათა შორის, ძველი ქართული ენის ძეგლებში დადასტურებულ ზოგიერთ მაგალითში, მაგრამ ჯერ გავიხსენოთ ზოგი რამ ს ა გ ა ნ სიტყვის მნიშვნელობათა განვითარებისა და მისი შესწავლის ისტორიიდან.

ს ა გ ა ნ სიტყვის ეტიმოლოგია და მნიშვნელობა ძველი ქართული ენის ძეგლებისა და ქართველური ენების მონაცემების მიმართ გარკვეული აქვს ვუკოლ ბერიძეს სტატიაში „ს ა გ ა ნ სიტყვის ეტიმოლოგიისათვის"[1]. ავტორი ამ სიტყვას უკავშირებს გ ა ნ ფუძეს, რომელიც ზენიზედათა მთელ რიგს აწარმოებს (ე რ თ გ ა ნ, ს ხ ვ ა გ ა ნ, ზ ო გ გ ა ნ, ყ ვ ე ლ გ ა ნ, ბ ე ვ რ გ ა ნ...) და რომელსაც თავდაპირველად „ადგილის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა". აქედან უნდა მომდინარეობდეს მისი სხვა მნიშვნელობები, რომელთა განვითარების გზა ნათლადაა ნაჩვენები ვ. ბერიძის დასახელებული სტატიის დასკვნითს ნაწილში.

გ ა ნ სიტყვას საბა განმარტავს როგორც „სივრცეს".

ძველ ქართულში გ ა ნ ი და ს ა გ ა ნ ი აღნიშნავდა „ისრის სანიშნე, სასროლ ადგილს (мишень, цель)". ამის მაგალითები საკმაოდ აქვს დადასტურებული როგორც ვ. ბერიძეს ხსენებულ სტატიაში, ასევე ილია აბულაძეს ძველი ქართული ენის ლექსიკონის მასალებში. მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმეს:

განმავსო მე, ვითარცა გ ა ნ ი ისრითა: გოდ. იერ. I, 3, მსაჯული სიმართლისაჲ ჯერ არს, რაჲთა ემსგავსოს მოისარსა, რომელმან უფროჲს ზომისა არა მოჰზიდნის მშჳლდსა, ნუუკუე გარდავლოს გ ა ნ ს ა, არამედ ზომით ყვის და მართლ თუალი მიაყვანის, რაჲთა განემარჯოს მიმთხუევაჲ გ ა ნ ი ს ა ჲ: ბალავ., 164, 21—24; გული ძეს ს ა გ ნ ა დ ისრისა... ეეფხისტყაოსანი, 708.

ძველსავე ქართულში ამ სიტყვას უკვე აქვს ის ეიწრო მნიშვნელობა, რომლითაც ის დღეს ჩვეულებრივ იხმარება, კერძოდ, „ს ი გ ა ნ ე, ს ი ფ ა რ თ ე" (შვიდი მტკაველი სიგრძე აქვს და შესაფერი განია": აკაკი). ამ მნიშვნელობით მას ვხვდებით XI საუკუნის გასულს იოანე ტარიჭისძის მიერ ნათარგმნ ერთ ფილოსოფიურ ძეგლში:

წინააღმდგომნი გუერდნი — გ ა ნ ი და სიგრძე: S 2562, ფ. 165 r; თუმცა იგივე ავტორი „სიგანის" აღსანიშნავად ს ი ვ რ ც ე სიტყვასაც ხმარობს:

სხეული, სამთა მქონებელი განფენათაჲ, განიწიაღების ეპიფანიაჲსა მიერ, რომელსა ჰქონან ორნი განფენანი: სიგრძე და ს ი ვ რ ც ე: S 2562, ფ. 81 r.

ამავე ტერმინს ხმარობს „ს ი გ ა ნ ი ს" მნიშვნელობით იოანე პეტრიწიც.

...სამთა მიერ განსაზიდთა, ვიტყვ, სიგრძესა, ს ი ვ რ ც ე ს ა და სიღრმესა: ი. პ., II. 50, 9.

---

1 ვ. ბ ე რ ი ძ ე, ხაგან სიტყვის ეტიმოლოგიისათვის, რუსთველოლოგიური ეტიუდები, გვ. 140.

ნაგრამ საინტერესოა სწორედ ის, რომ იოანე ტარიჭისძე გ ა ნ ლექსემას ხშირად ხმარობს იმ მნიშვნელობით, რითაც დღეს, ჩვეულებრივ, მ ი ზ ა ნ სიტყვა იხმარება, ე. ი. მასთან გ ა ნ ი ნიშნავს „მ ა ს წ რ ა ფ ებ ი ს საგანს, ძირითად აზრს“:

ზედწარწერასა, იტყჳან, ვინაჲთგან ვითარცა შემოკლებით ვითამე გარეშეუცავს გ ა ნ ი: s2562, ფ. 103r. Τὴν δὲ ἐπιγραφὴν ἐπειδὴ ὡς ἐν συντόμῳ τὸν σ κ ο π ὸ ν ἔχει: Ammon., 21, 23-24. უპირატეს ამათსა წინა შესავალსა შინა გ ა ნ ს ა წინა-აბგერებს წიგნისასა: s2562, ფ. 105r; Πρὸ δὲ τούτων ἐν τῷ προοιμίῳ προαναχρούεται τὸν σκοπὸν τοῦ βιβλίου: Ammon. 23, 17—18. წარმკითხველი ვინმე უმეცარ თუ იყოს გ ა ნ ს ა წიგნისასა, სცონის და დაადგების... და ამისთჳს უკუე იტყჳან განსა: s2562, 102 r—v.

...ἄγνοῃ τὸν σ κ ο π ὸ ν τοῦ βιβλίου... τὸν σκοπόν: Ammon., 21,7 („მკითხველმა თუ არ იცის წიგნის მიზანი, დაეზარება და თავს გაანებებს... და ამიტომ ეხებიან მიზანს“).

და სხვ. (იხ. აგრეთვე ფ. 133v).

როგორც ვნახეთ, გ ა ნ ი ყველა შემთხვევაში წარმოადგენს ბერძნული ὁ σκοπός სიტყვის თარგმანს. საინტერესოა თვით ამ ბერძნული სიტყვის მნიშვნელობათა განვითარების გზა: ὁ σκοπός-ის ძირითადი მნიშვნელობაა „მოთვალთვალე, დამკვირვებელი, მხედველი“ (ზმნიდან σκοπέω — „დაკვირვება, თვალთვალი, გამოკვლევა, გარკვევა“). შემდეგ — „სასროლი მიზანი“, დაბოლოს, საზოგადოდ — „მიზანი“. მნიშვნელობათა განვითარების იგივე გზა განვლო გ ა ნ — ს ა გ ა ნ სიტყვაშაც, რომელიც ვ. ბერიძემ სრულიად სამართლიანად დაუკავშირა გ ა გ ნ ე ბ ა — მ ი გ ნ ე ბ ა... („სივრცეში ორიენტაცია“)[2] ზმნას ანუ გ ე ნ ზმნურ ძირს, რითაც კიდევ ერთხელ დასტურდება ქართულში ცნობილი ა — ე ხმოვანმონაცვლეობის ფაქტი სახელურ და ზმნურ ფუძეებს შორის. ამგვარად, შეიმჩნევა სრული ანალოგია, ერთი მხრივ, ბერძნული σκοπέω ზმნისა და σκοπός სახელის და, მეორე მხრივ, ქართული გ ა გ ნ ე ბ ა — მ ი გ ნ ე ბ ა ზმნისა და გ ა ნ — ს ა გ ა ნ სახელის აზრობრივ მიმართებათა განვითარებას შორის (ამ თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ არის რუსული цель — целится ლექსემათა მნიშვნელობების განვითარების ანალოგიური გზა).

მაგრამ, როგორც ჩანს, გ ა ნ — ს ა გ ა ნ ლექსემები ზემოთ აღნიშნული შინაარსით („მიზანი, ობიექტი, საკითხი“) ძველ ქართულში საზოგადოდ გავრცელებული არ ყოფილა და მხოლოდ ზოგიერთ მწერალთან დასტურდება. იოანე ტარიჭისძე ცდილობს დაამკვიდროს ეს ტერმინი, მაგრამ თვითონვე ზოგჯერ უნაცვლებს მას მოხერხებულად

---

2 ვ. ბ ე რ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 142—143.

ნაწარმოებ ტერმინს ს ა ზ რ ი, რომელიც საბასთან განმარტებულია „გონებით მოსინჯვა, საზრებელი“, მაგრამ იოანე ტარიჴისძესთან „ძირითადი, მთავარი აზრის, მიზნის, მიზანდასახულების“ მნიშვნელობით გვხვდება: როდესაც თავისი წიგნის ძირითად მიზანსა და დანიშნულებაზე ლაპარაკობს, ამონიოს ერმიასი იქვე პორფირის „შეყვანილების“ დანიშნულებასაც ეხება და ამბობს. რომ „პორფირიმ დაწერა წიგნი ესე, მასწავლელი ჩუენდა, თუ რასა დაჰნიშნავს თითოეული ჴმაჲ“ იმისათვის, რომ გაეადვილებინა არისტოტელეს მოძღვრების შესწავლაო და ასკვნის:

Ὁ οὖν τοῦ πορφυρίου σκοπὸς οὗτός ἐστιν: Ammon, 20, 21.

იოანე ტარიჴისძის თარგმანით: „და პორფირისი უკუე ესე არს ს ა ზ რ ი“, სადაც საზრი ბერძნულ ὁ σκοπός-ს შეესატყვისება.

ცნება „მიზანი“ („ძირითადი აზრი, საკითხი“) ხშირად ვადმოიცემოდა ლექსემით პ ი რ ი. ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს ერთი ადგილი ისევ იოანე ტარიჴისძის თარგმანიდან:

ვიტყუთ, ვითარმედ, ექუსი არს რიცხჳთა სკოპოსი წიგნისაჲ: S 2562 239 v.

როგორც ვხედავთ, მთარგმნელს პირდაპირ გადმოაქვს ბერძნული სიტყვა ὁ σκοπός, ხოლო იქვე, აშიაზე კი, ამ სიტყვაზე მითითებით წერია: „პირი საქმისაჲ“. ასეთი ახსნა შემთხვევითი არ არის.

სიტყვას პ ი რ ი ძველ ქართულში რამდენიმე მნიშვნელობა აქვს და, მათ შორის, „აზრის, საკითხის, მიზნისაც“. ასე, მაგალითად, ამ მნიშვნელობით ხმარობს მას გიორგი მთაწმიდელი „იოვანესა და ეფთჳმეს ცხორებაში“:

მე ვიცი, თუ რომლისა პირისათჳს მიჴმობენ: იოვ. და ეფთ., 179.

გიორგი მთაწმიდელივე ბერძნულ ὁ σκοπός-ის („მიზანი“) პ ი რ სიტყვით თარგმნის „ექუსთა დღეთას“ შემდეგს კონტექსტში:

Εἰς μοι σκοπὸς παντελῶς εἰκοδομεῖσθαι τὴν ἐκκλησίαν: Ἑξαημ 160 (18). ერთი უკუე, პ ი რ ი არს საძიებელ ჩემდა, რადთა ყოვლით კერძო ეკლესიაჲ აღეშენებოდის: ექ. დღ., 88, 8—9.

პ ი რ სიტყვის ამ მნიშვნელობით ხმარება რომ უცხო არ არის ძველი ქართულისათვის, ამას ადასტურებს ჯერ კიდევ ექვთიმე ათონელის თარგმანი ბასილი დიდის თხზულებისა „განმარტებაჲ სოლომონის იგავთაჲ“, სადაც ეკითხულობთ:

და თითოეულსა თჳსი სახე აქუს და პ ი რ ი საქმისაჲ: სოლ. 89, 1

Ἑκαστὴν πρὸς ἴδιον σκοπὸν συντεταγμένην Patr. gr. t. 31. p. 338.

ბერძნული ὁ σκοπός ასევე პ ი რ სატყვით აქვს თარგმნილი ეფრემ მცირესაც. ფსევდო-დიონისე არეოპაგელის ერთი თხზულების—„საეკლესიოჲსა მღდელთმთავრობისათჳს“ I თავის სათაურია Τίς ἡ τῆς ἐκκλησιαστ-

τικῆς ἱεραρχίας παράδοσις καὶ τίς ὁ ταύτης σκοπός: Dion. 369. რასაც ეფრემი შემდეგნაირად თარგმნის:

რაი არს საეკლესიოისა მღდელთ-მთავრობაი და რაი არს ძირი მისი: პ. იბ., საეკლ., 155, 3—4.

ასევე, „მიზნის, ამოცანის" მნიშვნელობით არის ნახმარი ეს სიტყვა ამავე შრომების სხვა ადგილასაც:

პირ ყოვლისა მღდელთ-მთავრობისა არს ღმრთის მსგავსისა ღმრთისსახეობისა შემშუალულობისაგან განუბნეველყოფაი: პ. იბ. ზეც. 119, 31.

საინტერესოა, რომ პირ და განი — საგან სიტყვებს იმ ერთავალ მნიშვნელობათაგან, რომლებითაც ისინი იხმარებიან, გარკვეული საერთო არე გამოეყოფათ, რომელშიც შედის: „ძირითადი აზრი, საკითხი[3], საგანი-ობიექტი, ამოცანა, მიზანი".

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ძველ ქართულში ცნება „მიზანი" ჯერ კიდევ არ არის დაწოკიდებლად გამოკვეთილი და მთარგმნელები ცდილობენ ბერძნულ ὁ σκοπός ცნებას მოუძებნონ რაც შეიძლება ზუსტი შესატყვისი, რომელსაც ტერმინოლოგიური ღირებულება ექნება. ალბათ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ როდესაც იოანე ტარიელისძეს ამონიოს ერმიასის ლოგიკურ-ფილოსოფიური კომპენდიუმის თარგმნისას დასჭირდა გარკვევით გამოკვეთილი σκοπός ცნების გადმოცემა ქართულად, იგი აღარ დააკმაყოფილა პოლისემიურმა პირ სიტყვამ, რომლითაც მანამდე ითარგმნებოდა ბერძნული ὁ σκοπός ტერმინი და მიმართა მისთვის ცნობილ, ალბათ, ზეპირ მეტყველებაში გავრცელებულ სიტყვას განი, რომელიც, მსგავსად ბერძნული σκοπός ლექსემისა, „სასროლ ნიშანს, სამიზნეს" აღნიშნავდა. ბერძნულშივე ამ ლექსემის ფართო გაგებით ხმარებამ მას საშუალება მისცა ანალოგიურად ფართო გაგებით ეხმარა განი სიტყვაც. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა „კატეგორიის" ერთი ადგილი, საიდანაც კარგად ჩანს ბერძნული σκοπός და ქართული განი ლექსემის ამოსავალი („ისრის სამიზნე") მნიშვნელობიდან საზოგადოდ — „მიზან" მნიშვნელობამდე მისვლის გზა: ამონიოს ერმიასი სვამს კითხვას, თუ რა მიზანი აქვს არისტოტელეს წიგნების კომენტირებას. იგი მწერლის (კომენტარის ავტორის) მიზანს ადარებს მშვილდოსნის სწრაფვას — ისარი სამიზნეში მოახვედროს:

რაოდენ და რომელთაი ჯერ-არს წინაჴელყოფაი თარგმანებისა თითოეულისა არისტოტელებრისა წიგნისაი? და ვიტყჳთ, ვითარმედ ექუსი არს სკოპოსი წიგნისაი (რამეთუ ვითარცა მშვილდოსანსა განი

---

3 პირი „საკითხის" მნიშვნელობით გვხვდება, მაგ. „ბალავარიანში": არღარაი აქუნდა სიტყუაი, რაიმცა მიუგეს ორსავე პირსა: ბალავ., 145, 5.

რაიმე აქუს, რომლისა მიმართ ისრის და რომლისაჲ ჰნებავს მიმთხუ-ცველაჲ, ეგრეთვე აღმწერელი დასასრულისა რაჲსმე მიმართ ხედავს და მისსა ისწრაფის მიმთხუევასა: S 2562, კატიღ. 239 v (ὥσπερ γὰρ ὁ τοξότης, εἰ τύχοι, σκοπὸν τυχεῖν, οὕτω καὶ ὁ γράφων τι πρός τι τέλος ἀφορᾷ κἀκείνου σπουδάζει τυχεῖν. δεῖ τοίνυν τοῦτο ἐπιζητεῖν ὅτι ποτέ ἐστι Ammon., 7).

მაგრამ აქეე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ თვით ბერძნულშივე, „მიზან“ ცნების საზღვრები საბოლოოდ გამოკვეთილი არ ჩანს. ამ მნიშვნელობით, მაგალითად, არისტოტელე ხმარობს ტერმინს ὁ τέλος და როგორც ანტიკური ფილოსოფიის ცნობილი მკვლევარი ა. ფ. ლოსევი აღნიშნავს, „используя термин τέλος в своей философии, Аристотель применил его в его естественной многозначности. Τέλος—конец часто превращается у Аристотеля в τέλος—цель, а в некотором смысле „конец“ и „цель“ у него вполне сливаются.[4] ზუსტად ასევე, არისტოტელეს კონტემპორარულ, ალექსანდრიელ ერმიასთან, τέλος ტერმინის მნიშვნელობები „მიზანი—დასასრული“ ერთმანეთში გადადის:

ყოველსა უკუე ზედმიწევნულობასა და კელოვნებასა ქუედმდებარე რაიმე აქუს და დასასრული“ (ὑποκείμενόν ἔχει καὶ τέλος: Ammon 1, 18). ....ვითარ-იგი მკურნალსა, ქუედმდებარეე ჰონან კაცობრიენი სხეულნი, რაჲეთუ მათთჳს შთამოვალს, ხოლო დასასრულად—განმრთელებაჲ მათი, რამეთუ ამას მიჰმარჯუებს. ეგრეთვე, ხუროსაცა, ქუედმდებარედ ჰქონან ძელნი, ხოლო დასასრულად — ქმნაჲ სართულისაჲ: S 2562, იქვე.

პროკლე დიადოხოსის ფილოსოფიაში τέλος ტერმინს „დასასრულის“ მნიშვნელობა აქვს და ასეც თარგმნის მას იოანე პეტრიწი:

Πασῶν τῶν θείων προϊόντων τά τέλη πρὸς τὰς ἑαυτῶν ἀρχὰς ὁμοιοῦται: Plot. § 46.

ყოველთა ღმრთებრივთა მოქცევთა დასასრული თჳსთა დასაბამთა ებაძვის: ი. პ., I, თ. 147, გვ. 89, 17.

ხოლო, უკუქცევის არსი კი, ამ ფილოსოფიის მიხედვით, იმაში მდგომარეობს, რომ ემანაციის პროცესში დასასრული იგივე მიზანია. ამგვარად, τέλος—„დასასრული || მიზანი“ და σκοπός — „საკითხი, ამოცანა, მიზანი“ ძველ ქართველ მთარგმნელებს საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე აყენებდა. ალბათ, ამიტომაა, რომ თარგმნისას ზედმიწევნითი სიზუსტის დამცველი არსენი იყალთოელი უთუოდ რაღაც განსხვავებულ ნიუანსს ხედავს სიტყვის მნიშვნელობაში, რადესაც იგი იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანში გადმოაქვს ქართული იჴუ სიტყვით:

---

4 А. Ф. Лосев, История античной эстетики, Аристотель и поздняя классика, Москва, 1975, გვ. 230.

χρὴ γινώσκειν, ὅτι σκοπὸν ἔχει ἡ λογικὴ πραγματεία περὶ τῆς ἀποδείξεως: Dial. ξέ, p. 132.

წინა უც ი ჭ უ ა დ სიტყვერსა საქმიერობასა წარმართებაᲲ გარმა-ჩინებელობისაᲲ: დიალ., 51, 1 — „ლოგიკური საქმიანობის ა მ ო ცა-ნ ა ა, მ ი ზ ა ნ ი ა მტკიცების წარმართვა“.

ამგვარად, არსენი ცდილა სპეციალური ტერმინით გადმოეცა σκοπός; ცნება ქართულად და ამავე ტერმინს იმეორებს სხვა ადგილსაც:

იგივე და ერთი საქმე სხუსა და სხუსა ი ჭ ვ ს ა ე ბ რ სხუასა და სხუ-ასა შესმენასა ქუეშე დაიწესების: დიალ., 36, 21 — „ერთი და იგივე რამ სხვადასხვა ა ზ რ ი თ, მ ი ზ ნ ი თ, თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ სხვადა-სხვა კატეგორიაში შევა“.

ეფრემ მცირე პირველ შემთხვევაში აზრობრივ თარგმანს ირჩევს.

ბოსწრაფებაᲲ აქუს სიტყვერსა მოქმედებასა გამოჩინებისათუს საქ-მეთაᲲსა: დიალ. 51, 1.

მ ო ს წ რ ა ფ ე ბ ა სიტყვა კარგად გამოხატავს დედნის აზრს. მე-ორე შემთხვევაში კი σκοπός-ის შესატყვისად ეფრემი ს ა ხ ე ლექსემას ხმარობს, რაც მხოლოდ მიახლოებით თუ გამოხატავს დედნის აზრს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ σκοπός სიტყვის ქართული ს ა ხ ე-თი გადმოცემას გარკვეული საფუძველი მაინც ეძებნება: ზემოთ ვნახეთ, რომ ეკვთიმე მთაწმიდელმა იგი თარგმნა ჰენდიადისით: „ს ა ხ ე... და პ ი რ ი საქმისაᲲ“. შესიტყვება პ ი რ ი საქმისაᲲ ძველ ქართულში, ჩვე-ულებრივ, ნიშნავს „საქმის სახეს, მხარეს, რაგვარობას, ვითარებას“ და საკმაოდ ხშირადაც იხმარება ამ აზრით. მაგრამ მივუბრუნდეთ ისევ პ ი რ — „მ ი ზ ა ნ ს“. ზემოთ ვნახეთ, რომ „დიალექტიკაში“ არსენიმ ი ჭ უ სიტყვით გადმოსცა ბერძნული σκοπός-ის მნიშვნელობა, რომე-ლიც მოცემულ კონტექსტში მას ესმის, როგორც „ა ზ რ ი, ა მ ო ც ა ნ ა“. ხოლო, ი ჭ უ სიტყვის „ა ზ რ ი ს“ მნიშვნელობით ხმარება რომ მთლად უსაფუძვლო არ არის, ამას მოწმობენ ძველი ქართული ენის სხვა ძეგლებიც, სადაც ეს სიტყვა სწორედ „ა ზ რ ი ს, მოსაზრების (мнение)“ მნიშვნელობითაც გვხვდება*:

და მე დავადგრე ი ჭ უ ს ა ამას ზედა, ვიდრემდის გამომე-ცხადოს უმჯობესი: ბალაუ. Ч 121, 30—31.	ხოლო მე ვეგო ი ჭ უ ს ა ამას, ვიდრემდის გამომეცხადოს უმჯო-ბესი: Ч 121, 31—33.

გუმს უკუე ჩუენცა ნაცვალად საეროთა მათ ი ჭ უ თ ა მათთუს... არცა უპატიო ყოფაᲲ მათი: ბ. იბ. 253, 1—2 (ὑπόληψις).

---

* ი ჭ უ ლექსემას „აზრის, შეხედულების“ (мнение) მნიშვნელობით ძალიან ხში-რად ეხვდებით მიტროფანე, ზმკრნელ მიტროპოლიტეს „ეკლესისტეს თარგმანების“ ქართულ თარგმანში (იხ. კ. კეკელიძის გამოცემა, 1920 წ., გვ. 3, 65, 90, 110, 114, 127, 129, 173 და სხვ.).

ამგვარად, იპუ სიტყვას ძველ ქართულში „აზრის, შეხედულების“ მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა „ზუსტი, მტკიცე აზრისა“, არამედ „მიჩნევისა“, რომელიც შეიცავს თუობის, შესაძლებლობის (ყოყმანის) ნიუანსს, საიდანაც, როგორც ჩანს, მივიღეთ ამ სიტყვის დღევანდელი სტაბილური მნიშვნელობა „ეჭვი, сомнение“.[5]

ალბათ, მაინც ჯობდა, რომ მოცემულ კონტექსტში ბერძნული σκοπός-ის შესატყვისად არსენის ისევ ლექსემა პირი ეხმარა. რომელსაც ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მისი პოლისემიურობის გამო მოერიდა, მაგრამ სხვა შემთხვევაში, მაგ. „დიდი სჯულის კანონში“ სწორედ „მიზნის“ მნიშვნელობით ხმარობს:

(კაცის კლვა) სრულიად უკუე უნებლიეთი და გარეგანი მიზეზისაგან არს, ვითარ-იგი რაჟამს ძაღლისა ანუ ხისადა ტყორცებული ქვაჲ მიემთხჳის კაცსა, რამეთუ პირი ვიდრემე საქმისაჲ ესე იყოს, რაჲთა მხეცი წარიოტოს ანუ ნაყოფი ხეთაჲ შთამოყაროს... უნებლიეთი არს იგიცა, რაჟამს ენების ვისმე მოქცევაჲ მისდა რწმუნებულისა ვისიმე და კუერთხნი ანუ სხუაჲ რაჲმე სცის არა ფრიად მტკივნად, ხოლო მოკუდის ცემული იგი, რამეთუ პირი საქმისაჲ აქა ამისდა მიმართ ჰხედვიდა, რაჲთა უმჯობესისა მიმართ შეცვალებაჲ არწმუნოს, არათუ. რაჲთა მოკლას: დ. სჯ. კან., 477, 26—35.

გამოცემის ლექსიკონში ამ კონტექსტზე მითითებით სიტყვა პირი განმარტებულია როგორც „ვითარება“ (პირი საქმისაჲ — „საქმის ვითარება“), მაგრამ კონტექსტის შინაარსი აშკარად უჩვენებს ამ სიტყვის „აზრი, მიზანი“ მნიშვნელობას: „კაცის კვლა მთლიანად უნებლიე და ობიექტური მიზეზით არის, როცა ძაღლის ან ხისთვის ნასროლი ქვა ადამიანს მოხვდება, რადგანაც მოქმედების მიზანი ის იყო, რომ მხეცი გაეგდო ან ხის ნაყოფი ჩამოეყარა... უნებლიეთია ისიც, როცა ვინმეს, უნდოდა რა მისგამი რწმუნებული ვისიმე მოქცევა (გამოსწორება) და ჯოხი ან სხვა რაიმე არც ისე სატკენად დაარტყა, მაგრამ ნაცემი მოკვდა, რადგანაც აქ მოქმედების მიზანი ის იყო, რომ უკეთესობისაკენ შეცვლაში დაერწმუნებინა და არა მოეკლა“.

ამგვარად, „მიზნის“ ცნება ძველ ქართულში გამოიხატებოდა სხვადასხვა ლექსემებით: პირი, განი, საგანი, სახე, იპუ, რომელთაგან თითოეული საკმაოდ ვრცელი სემანტიკური ველით ხასიათდებოდა. ეს ფაქტი ალბათ იმაზე მიუთითებს, რომ „მიზნის“ ცნება ჯერ კიდევ არ იყო ნათლად გამოკვეთილი და დამოუკიდებლად გამოყოფილი, ერთი მხრივ, ცნება „აზრისაგან“ და, მეორე მხრივ, ცნე-

---

5 საგულისხმოა ანალოგია რუსულ мнение — мнительность და ძველი ქართული იპუ — ახალი ქართულის უპვი ლექსემათა მნიშვნელობის განვითარებაში.

ბა „შ ე დ ე გ ი ს ა გ ა ნ“. „მიზან“ ცნების თანდათანობით დანოუკიდებელ ცნებად ჩამოყალიბების შემდეგ გზა გაიკვალა სრულიად ახალმა მ ი ზ ა ნ ლექსემამ, რომელიც, თუმცა არაბული სიტყვაა (და როგორც ასეთი. კიდევაც დადასტურებულია XII საუკუნის ძეგლში), მაგრამ სპარსულის გზით ჩანს შემოსული ჯერ აღორძინების ხანის მწერლობაში და შემდეგ, უფრო გვიან, მნიშვნელობის თანდათანობითი გადაწევით, დამკვიდრებული ახალ სალიტერატურო ქართულში.

დამოწმებული ძეგლები და სახელწოდებათა შემოკლებანი

ბალავ. — ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1957.

დიალ. — იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბილისი, 1976.

დ. სჯ. კან. — დიდი სჯულის კანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბილისი, 1975.

ექ. დღ. — ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, თბილისი, 1946.

ეახტ.. ზილიხ. — ვახტანგიანი, ზილიხანიანი, იხ. შოთა რუსთაველის კომისიის მასალები.

ი. პ. — იოანე პეტრიწის შრომები, I, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კავშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940.

ტ. II, განმარტებაჲ, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ, და სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937.

პ. იბ. — პეტრე იბერიელი, (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბილისი, 1961.

სოლ. — განმარტება სოლომონის იგავთა, იხ. ძველი ქართული ენის ოთხი ძეგლი, თბილისი, 1965, გვ. 69 და შმდ.

S 2562 — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნელი კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი — ამონიოს ერმიას ძე, „მოსაკსენებელი ხუთთა ქმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“, „მოსაკსენებელი ათთა კატეგორიათადმი არისტოტელისათა“.

Ammon. — Ammonius, in Porphyrii Isagogen, sive V voces, édit. Adolfus Russe, Berolini, Comment. in Aristotelen graeca, vol IV, 1891.

Dial. — Bonifatius Kotter, die Schriften des Ioannes von Damaskos, I, Dialectica, OSB, Berlin, 1969.

Ἑξαημ. — Basilii magni, Εἰς τὴν ἑξαημέρον, Patrologiae, cursus completus, series graeca, P. Migne, 1857, t. 29.

Plot. — Πρόκλου Διαδόχου πλατωνικοῦ. Στοιχείωσις θεολογική, Plotini, Enne- [illegible] iis, 1855.

Д. Н. МЕЛИКИШВИЛИ

ИЗ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ЛЕКСИКИ

Резюме

В древнегрузинском языке понятие «цель» обозначалось лексемами gani, sagani, ṗiri, saxe, içui, каждая из которых характеризовалась довольно широким семантическим полем (мысль, задача, вопрос, цель) и в переводах соответствовала греческому слову ὁ σκοπός (цель)

Арабское слово mizan (весы), которое в новогрузинском обозначает понятие «цель», вошло в употребление сравнительно позже (хотя и засвидетельствовано уже в памятнике XII в., как арабское слово, обозначающее «весы»). То же самое слово, mizan, встречается также в двух памятниках XVII в., отмеченных влиянием персидской литературы. В словаре Сулхана-Саба Орбелиани данного слова еще нет. Но оно уже засвидетельствовано в Русско-грузинском словаре Н. Чубинашвили (нач. XIX в.), после чего оно входит в словарный состав новогрузинского языка в значении «цель».

ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების გზები

საქართველოს თუ მის ფარგლებს გარეთ ძველ ქართულ ეკლესია-მონასტრებთან არსებული კულტურის და წერილობის კერების ნაშოლეკარის შესწავლის საჭიროება გამოწვეულია არა მარტო ინტერესით ქართული კულტურის და ლიტერატურის ისტორიისადმი, მის გარკვეული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ქართული კულტურის, ლიტერატურის, მეცნიერების შემდგომი განვითარების თვალსაზრისითაც.

ქართული ლიტერატურული და თეოლოგიუტ-ფილოსოფიური სკოლების მოღვაწეობს უდიდესი დამსახურება მიუძღვით ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში. მათი მეშვეობრეობის შესწავლა დიდად შეუწყობს ხელს თანამედროვე ქართული მეცნიერული და, კერძოდ, ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სრულყოფას.

ძველი ქართული ფილოსოფიური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სხვ. ტერმინოლოგიის შესწავლისთვის განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა ფილოსოფიურ-თეოლოგიური და სახუნებისმეტყველი სასიათის ძეგლები, რომლებიც შექმნილია თუ თარგმნილი X-XII საუკუნეებში ათონის, შავა მთის, პეტრწინის, ფელათის, იყალთის და სხვა ქართულ სამონასტრო-ლიტერატურულ სკოლებში.

ეს პერიოდი ძველი ქართული ლიტერატურის „ოქროიანი ხანადაა" ცნობილი, როდესაც „ხალხურ-ლიტერატურული შემოქმედება, რომელიც უკვე პირველი პერიოდის გასულს საუკუნეთა ფეხმოკიდებულია, ფეოდალური ნაბიჯებით მიდის წინ და, გამდიდრებული ახალი მიმართულებებით და ეპირებით, როგორიცაა: მეტაფორა-ტაია, ისტორია, ეფრიხპრეფენეია, ფილოსოფია, პოეზია, თავისი განვითარების კულმინაციურ პუნქტს აღწევს" (ა. კეკელიძე, I, 60).

საქართველოს ძლიერების ეს ხანა, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ამ მხრივ არის განსაკუთრებით საყურადღებო, რომ ამ დროს მოწინავე ქართველთა გონებიერმა საზოგადოებამ უმწეოებულს ხარისხს მიაღწია და საფილოსოფო მწერლობას დაეწყო... ქართველი ფილოსოფიური აზროვნება ეფრემ მცირის, არსენი იყალთოელის, ოთხნე პეტრწინელ და სხვათა სახით აქტიურად დაეწყო ბიზანტიურ ფილოსოფიას და ქართულ ნიადაგზე გაღმონერგა მისი მიღწევები" (ი. ჯავახიშვილი, 899). ამ ეპოქას ახასიათებდა მკვეთრად გამოხატული ინტერესი სახუნებისმეტყველი, საღვთისმეტყველი და ფილოსოფიური სასიათის ლიტერატურისადმი. ეს ინტერესი შემთხვევითი არ ყოფილა. ბერძნულ ფილოსოფიას ქრისტიანები და, მათ შორის, ქართველები, „ეწინააღმდეგნენ არა თავისთავად არამედ საეკლესიო-თეოლოგიური აზროვნებისათვის გამოყენების მიზნით, რათა გაამარტივონ და დასაბუთონ ქრისტიანობა ლოგიკურად, და ეკამათონ „გარეშე" ფილოსოფოსებს მათთვის გასაგებ ენაზე" (კ. კეკელიძე, 284). მაგრამ, თუ ქრისტიანობის ადრეულ ხანაში ანტიკურ ფილოსოფოსს მხა კომენტატორებს, საეკლესიო მამების ნაშრომების მიხედვით ეცნობოდნენ და იყენებდნენ (მაგ., ოთხნე დამასკელი), XI-XII საუკუნეებში, როდესაც ბიზანტიურ ლიტერატურაში, ხელოვნებასა და მეცნიერებაში ანტიკურობის აღორძინება დაიწყო (ამ პროცესშიც ეს განსაკუთრებით ძლიერად ფილოსოფიაში ანინა თავე), ბიზანტიელი მოაზროვნეები, საეკლესიო ავტორიტეტების გვერდის ავლით, უშუალოდ მიდიან ანტიკურ ფილოსოფოსებთან, კერძოდ პლატონსა და არისტოტელესთან. იგივე პროცესი მიმდინარეობს ამ ხანის საქართველოშიც, რომელსაც განსაკუთრებით მჭიდრო კავშირი ჰქონდა ბიზანტიურ სამყაროსთან. ცნობილია, რომ ახალი პროგრესული მიმართულება

ბიზანტიურ აზროვნებაში აიტაცეს და შემოქმედებითად განავითარეს უდიდესმა ქართველმა მოაზროვნეებმა ოთხნი პეტრიწნი და არსენი იაკობიანელნი, რომელთაც განათლება ბიზანტიაში, კონსტანტინე მონომახის მიერ ახლადდაარსებულ მანგანის აკადემიაში მიიღეს. ქართული ფილოსოფიურმა აზრმა შეითვისა მანგანის აკადემიის პროგრესულ მოაზროვნეთა მიჯაელ პსელოსისა და ოთხნი იტალოსის იდეები და განავითარა მათი ხაზი მას შემდეგაც, რაც თვით ბიზანტიაში, როგორც ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, „ეს ფილოსოფიური რენესანსი" ჩაანაცვლა ბიზანტიის კეისრებმა რეაქციულმა პოლიტიკამ (ს. ყაუხჩიშვილი, 253). ცნობილია, რომ ოთხნი პეტრიწი იყო ოთხნე იტალოსის ერთი ყველაზე ერთგული მოწაფეთაგანი, რომელიც თავის ნაშრომებში მასწავლებლის აზრებს ავითარებდა (კეკელიძე. იტალოსი, 59 და შემდ). როგორც ნიკო მარი აღნიშნავს, X-XI საუკუნეებში ქართველები, რომლებიც „ფილოსოფიის ხეტრიოში ამავე საკითხებთან იყვნენ დაინტერესებულნი, რომლებთაც ამდროინდელი კაცობრობის მოწინავე „ადამიანები როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში", ამ უპირატესობით გამოირჩეოდნენ, რომ უფრო ადრე გამოიკვლევდნენ თავიანთ აზრს ამდროინდელი ფილოსოფიური აზრის ახალ მიმდინარეობაზე, ამავე დროს, ახალი შეიარაღებულნი იყვნენ ამ დროისათვის ხანგრძლივ ტაქტიკური კრიტიკის საარდით და მეშაობდნენ უშუალოდ ბერძნულ ორიგინალებზე (ნ. მარი, 61).

ამგვარად, ბიზანტიის კულტურულ, XI-XII საუკუნეთა საქართველოშიც გაცხოველდა ინტერესი ანტიკური ფილოსოფიის პირველწყაროებისადმი. ეს დაინტერესება, პირველ რიგში, პლატონისა და არისტოტელეს ნაშრომების მიმართ აღინიშნება. ცნობილია ისიც, რომ ამ პერიოდის ქართველ მოაზროვნეთა ერთი ნაწილი ყიდულ ებრალ არისტოტელეს ენაზე, ხოლო მეორე პლატონს აღმერთებს. მაგ შორის ბედილი კი მოაკრდება ამით, რომ ამდროინდელი საქართველოს ლიტერატურულ-ფილოსოფიურ წრეებში ამარჯვებს ნეოპლატონიზმი, რომლის მიმდევარნიც ცდილობენ პლატონისა და არისტოტელეს მორგებას („ხიდფრანსის") და მაგ გამოყენებას საეკლესიო-თეოლოგიური მიზნებისათვის. ენა პერიოდისათვის დამახასიათებელ დაინტერესებას ორიგინალური ლიტერატურული მოღვაწეობით, ასევე გაცხოველებული მთარგმნელობითი საქმიანობა ცვლის. ამავე დროს, ძველი, თავისუფალი და არა ხატეკა-ხატეკეთ თარგმნი უკვე აღარ აკმაყოფილებს XI-XII საუკუნეების მოღვაწეთა ინტერესებს: მაგ მიზანს წარმოადგენს ორიგინალის აზრის ზედმიწევნითი ხიუტეთი გადმოცემა. ამიტომ ძველ თარგმანებს ახორციელებენ ბერძნულ დედნებთან შეჯერების გზით ან კიდევ სრულიად ახალ თარგმანებს ახორციელებენ. ბერძნულ დედანთან ზედმიწევნითი დაახლოებისა თავი და თავი მიზეზი კი, რაგორც ცნობილია, იყო დიდ ბიზანტიურ კულტურასა და მწერლობასთან გაჯანსაღრეული ჯეტიკეთის ხერეული, რაც, ხმაო, ზრდის, პრაქტიკული მიზნებითაც იყო გამოწვეული. კერძოდ ამით, რომ შეეინარჩუნებინათ ქართული ხალხური-ლიტერატურული და კულტურის კერების დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა (კეკელიძე, 1, გვ. 61-62).

ამ მიზნებისა კი თანდათან უფრო ფართო ხასიათი მიიღო და ახალი ლიტერატურულ-მთარგმნელობითი მეთოდის სახით ჩამოყალიბდა. ჭერ კიდევ ათონელებმა შეიტანეს ცვლილება ტაო-ლაზეთის ლიტერატურული სკოლის მთარგმნელობის მეთოდში, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა, დედანთან შედარებით, თარგმანისათვის შეეცვალებინათ და ამა შუბტად ეთარგმნათ. ასე, მაგ., ცნობილია, რომ X საუკუნის მოღვაწე ეფთვმე ათონელი, რომელიც თავისი მთარგმნელობითი ხასიათით მთლიანად ძველ ლიტერატურული ტრადიციების ნიადაგზე დგას, თარგმნიდა „კლიმა-შემოქმედის" მეთოდით. ეს მეთოდი უარყო გიორგი მთაწმიდელმა. მან, პირველ რიგში, ბიბლიური წიგნების ზუსტ თარგმნას მიაკვა ხელი და ხელმორედ თარგმნა „ხახარებაც" და „დავითნიც". გარდა ბიბლიური წიგნებისა, მან ხელმორედ თარგმნა, იგივეა, ეფთვმეს მიერ თარგმნილი ხასიელური წიგნები. მანვე ხელახლა თარგმნა უფრო ადრე (VIII-IX სს.) ქართულად უკვე თარგმნილი ბასილი კესარიელისა და გრიგოლ ნოსელის ეგზეგეტიკური ხასიათის შესანიშნავი თხზულებანი „ექუსთა დღეთაჲ" და „კაცისა შესაქმისთჳს". ეს, თავისთავად ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებანი, ამავე დროს, წარმოადგენენ ხასწავლებლებისეული-ფილოსოფიური ლიტერატურის შესანიშნავ ნიმუშებს, ამდენად, მათთან ხაჯირი და აუცილებელი ცნებების შესახებ ტერმინები ძველ თარგმანებში უკვე მოცემული, მაგრამ დამუშავებული და ხასიათში მოყვანილი ჭერ კიდევ არ არის.

ამგვარად, ამ ხასიათის ნაშრომლოგმა გამოაკეთრებულმა ინტერესმა თეოლოგიურ-ფილოსოფიური და ხასწავლებლისეული-ფილოლოგიური ხასიათის ლიტერატურასადმი გამოიწვია კომპლექსური, მიზანდასახული მთარგმნელობითი საქმიანობის ფართოდ გაშლა. ამ მიმართულებით, ხოლო ასეთი ხასიათის ლიტერატურას ხასტეგატურმა თარგმანმ კი მოითხოვა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება და ხასტეგატში მოყვანა, ქართული მეცნიერული ენის შექმნა.

სპეციალური ტერმინოლოგიის შემუშავების გარეშე, რაც თავისთავად ახალი ლექსიკური ერთეულების შემოტანას მოითხოვს ენაში, შეუძლებელი იქნებოდა ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომთა თხზვა და თარგმნა. ფილოსოფიური

ტერმინოლოგია არის ის საეკლესიო ენა, რომელთაც ეიგება ლიტერატურა მსჯელობისა. ცხადია, არცერთ ენაში არ არის მოცემული ფილოსოფიურ ცნებათა ამსახველი მზამზარეული ტერმინები, მაგრამ ყველა ენაში არსებობს სიტყვა-წარმოების ისტორიულად შემუშავებული წესები და ჯალიბები, რომელთა გამოყენებითაც შეიძლება ენის ლექსიკური მარაგის უსასრულო გამდიდრება. საჭირო ტერმინოლოგია აქვნება ფილოსოფიური აზროვნების, საერთოდ, მეცნიერული საქმიანობის განვითარების შესაბამისად ამა თუ ამ ენაში არსებული მეტ-ნაკლებად მდიდარი სიტყვაწარმოებათა რესურსების საშუალებით. ბერძნული მეცნიერული ენა ამ მხრივ ნაკლოვანებას არ განიცდიდა. მის უმდიდრეს სიტყვაწარმოებათა მარაგს საუკუნეების განმავლობაში ამუშავებდნენ და ხელნაწერ ანტიკური ხანის უდიდესი ფილოსოფოსები. თავისი განვითარების უმაღლეს მწვერვალს მან პლატონისა და არისტოტელეს შრომებში მიაღწია, საიდანაც ხარგებლობდა და ხარგებლობს მთელი შემდგომი ხანის — შუა საუკუნეთა თუ თანამედროვე ფილოსოფიური ენა და აზრი. ქართული ფილოსოფიური და, საერთოდ, მეცნიერული აზროვნების ისტორიაში ამ უაღრესად რთული ამოცანის შესრულება წილად ხვდა ხუთრიდ XI-XII საუკუნეთა მოღვაწეებს, გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, ოთხნი პეტრწს, არსენ ეკალთიელს, ოთხნი ტარიელიანს... ეს მოღვაწეები მეტად რთული პრობლემის წინაშე იდგნენ: ფილოსოფიური სახითის საკითხებზე მსჯელობის წარმართვისას აუცილებელია ფილოსოფიურ ცნებებს რაც შეიძლება უსტა, ადეკვატური ენობრივი გამოხატულება მიეცეს, ამიტომ ტერმინთა ხმარებისას მაქსიმალური სიზუსტის დაცვა საჭირო. ამისათვის, პირველ რიგში, თავიდან უნდა იქნეს აცილებული პოლისემია და ნასესხები ტერმინოლოგია. ხუთრიდ ამის გამო, რომ მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების პროცესი ხშირად ახალწარმოებებთან არის დაკავშირებული. რადგანაც ტერმინი სასურველია ფორმითაც განსხვავდეს სალაპარაკო ენაში ჩვეულებრივი მნიშვნელობით ხმარებული სიტყვისაგან, ამიტომ ტერმინთა წარმოებას ხშირად არაპროდუქტიული ფუძეები გამოიყენება (ასეთებად კი, ჩვეულებრივ, არქაული, ხმარებიდან გამოსული ფუძეები ყოფილნენ). ასეთი არაპროდუქტიული, ზოგჯერ „მკვდარი" ფუძეები ახალწარმოქმნილ სიტყვებს ტერმინოლოგიურ ღირებულებას ანიჭებენ და ამით გასხვავებენ მათ ძირითადად ხანონიმურ, ორფოლოგიური მნიშვნელობის, მაგრამ მასალობრივად სხვა, პროდუქტიული, ცოცხალი. უმეტესი ფუძისა ხეწარმოება ლექსემისაგან, რომელიც ყოველდღიურ მეტყველებაშია გავრცელებული და ჩვეულებრივი, არატერმინოლოგიური მნიშვნელობით ხმარობა. ახალი ტერმინის ხეწარმოებლად ზოგჯერ საჭირო ხდება ბერძნული (დღეს — უფრო ხშირად ლათინური) ძირებისა და ფუძეების გამოყენებაც. ხშირად აქვნება ასეთი საჭიროებაც, რომ რომელიმე ფუძეს დიერთოს ასეთ ძირს, რომელთან კომბინაციაც მას, ჩვეულებრივ, არ ახასიათებს, მაგრამ ამისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს ამა თუ ამ მეცნიერულ საკითხზე მსჯელობის გაწევა, ამგვარი „არაბუნებრივი" კომბინაციების დაშვება აუცილებელი ხდება და ეს აუცილებლობა ენის ლექსიკური მარაგის გამდიდრების ერთ-ერთი მნიშვნელოვან წყაროს ქმნის. ზემოთ დახასიათებული მაგალითების გამო, ამ გზით ნაწარმოებ ტერმინებს ხშირად ხელოვნურობის ეფერ დაერქვა, მაგრამ დროთა განმავლობაში ენა ეგუება მათ და ისინი ჩვეიდრდებიან ლექსიკაში.

აი, ასეთი რთული პრობლემების წინაშე იდგნენ XI-XII საუკუნეთა ქართველი მოღვაწენი, რომელთაც უმდიდესი საეკლესიო ფილოსოფიურ-თეოლოგიური სახითის თხზულებათა თარგმნა ბერძნული ენიდან. ფილოსოფიური აზროვნების განვრცდილი ისტორიისა და ტრადიციების მქონე ბერძნულ ენაში, როგორც ზემოთაც თქვა, მეცნიერული ტერმინოლოგია საკმაოდ დამუშავებული და დახვეწილი იყო. ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია კი ჩამოყალიბების გზაზე იდგა და დამუშავებას საჭიროებდა. ამისათვის გზის მაჩვენებელი ხშირად ბერძნული ენა უნდა ყოფილიყო, ენა, საიდანაც ითარგმნებოდა დიდძალი ლიტერატურა. და ამ ხანის მოღვაწეთა სახასელოდ უნდა თქვას, რომ მათ წარმატებით გაართვეს თავი ამ ძნელ და მნიშვნელოვან ამოცანას: ქართული ენის მდიდარი სიტყვაწარმოებათა პოტენციას ძალდაუტანებელი გამოყენებით, ბერძნული ენის მაგალითის მიხედვით, მათ შექმნეს მწყობრი სისტემა მეცნიერული ტერმინოლოგიისა, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელი მნიშვნელობა.

გიორგი მთაწმიდელის ზემოდასახელებული თარგმანების ადრინდელ თარგმანებთან შედარებისას ნათელი ხდება ის დიდი წვლილი, რომელიც შეტანა XI საუკუნის ამ გამოჩენილმა ათონელმა მოღვაწემ ქართული ფილოსოფიური და სახუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში. მაშინ, როდესაც ძველ ქართულ თარგმანებში რომელიმე ცნება ხშირად მთელი შესიტყვებითაა გადმოცემული, გიორგი მთაწმიდელი ანარმოებს ერთსიტყვიან ტერმინს.

ექესთა უძე.

თუთ იგი არს ბოროტი (32,29)

მშობელი თავისა თესისაჲ (32.32)

რომელნიმე მგლინვარე არიან

ქერქითა და რომელნიმე მქისე (72,89).

გ. მთაწ.

თეთბორიტი (18,34)

თეთშიბილ (18,39)

რომელნიმე ნერგნი ქერქ-წყლტე არიან და

რომელნიმე ქერქ-მქისე (58.29).

ტერმინთა სიწარმოებლად გიორგი მთაწმიდელი ხშირად იყენებს ბრუნვის ფორმანტებს დერივაციული აფიქსების უუნქციით. ჩვეულებრივ, ასეთებად მოკმედებითი და ვითარებითი ბრუნვების ფორმანტებია გამოყენებული, რაც დღეს ბევრ ადგილებულია წესია სამეცნიერო ტერმინთა წარმოებისას: ღ ო ნ ე ბ ი თ ი ხ ე დ ვ ა ი, ბ ე ნ ე ბ ი თ ი ხ ა ე ო ბ ი ს ა, ფ ა ბ ა ღ ე ბ ა ღ ი, ტ ა ნ ჯ ვ ა ღ ი, ე ო ფ ა ღ ი... ზოგჯერ ძველი ქართული თარგმანის პირთანა ზმნის სანაცვლად გიორგი მთაწმიდელი აწარმოებს ტერმინ-ხუსხტანტივს ვითარებითი ბრუნვის ნიშნის საშუალებით (მომავალი დროის ე. წ. შესაძლებლობის მაგალითი):

რომელნიმე განშიშელდიან (ექესთა, უძე. 75,38).

რომელნიმე განშიშელებიდნი (გ. მთაწ. 62,10).

ამავე ტერმინთა წარმოებისას გიორგი მთაწმიდელს ხშირად უხდება ამოსავალ ბერძნული ტერმინის ავტორეულებიდან: იყენებს რა ქართული სიტყვაწარმოების ფართო შესაძლებლობებს, ავი ცდილობს ზუსტად გადმოსცეს ბერძნული ტერმინის ცნებითი შინაარსი. მაგრამ კალკირებას ვხვდებ ძირითადად რთული სიტყვები, კომპოზიტა-ტერმინები იქმნებოდა, როგორიცაა:, მაგ., ბ რ ა ვ ა ლ ნ ა ნ ი ლ ი — ნ ი ნ ა ა ლ ღ ა ნ ი ლ ი, ფ ე ო ბ ი ბ ი ლ ი.

ზოგჯერ გიორგი მთაწმიდელი ბერძნულ ტერმინს უთარგმნელად ტოვებს. ეს ამ შემთხვევებში, როდესაც შესაბამისი ქართული სიტყვა ზუსტად ვერ გადმოსცემს ბერძნულის მნიშვნელობას, ან მაშინ, როცა მას ტერმინოლოგიური ღირებულება არა აქვს, რადგანაც ავი ჩვეულებრივს, სალაპარაკო ენაში განხმარებული მნიშვნელობით ხმარობს:

მკმობარისა ორღანოთაგან გამომეალსა

ეპმასა (გ. მთაწ. 23,32-33).

ვითარმედ ეპმაჲ იგი ეამოეალს ეურეკლისაგან

მკმობარისა (ექესთა. უძე. 37.26).

ხერხად, გიორგი მთაწმიდელისეულ თარგმანებში, უძველესი ქართული თარგმანებისაგან განსხვავებით, აშკარად იგრძნობა ბერძნული დედნის გავლენა ტერმინთა წარმოებასა და კომპოზიციაში. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ ძველი ქართული თარგმანების (რომლებიც, როგორც ილია ეფთიმეს ფიქრობს, VIII-IX საუკუნეებში შესრულებული ალეფბინაში) დიდი ღირსებებიც და ის დიდი დამსახურება, რომელიც მათ გაუწიეს გიორგი მთაწმიდელს ამ ძველთა ბელადადი თარგმნის პროცესში პირველ მთარგმნელთა ამ დამსახურებას თვითონ გიორგი მთაწმიდელიც აღნიშნავს „ექესთა ღვთეთ" თარგმანის ანდერძში: „და ღმერთმან ეგო პირველნიცა თარგმანნი აკურთხეს, დიდად პელი აღმაკურეთ". როგორც ხანილი დიდია და ჩვენგან ნოსელის ამ თხზულებათა უძველესი ქართული თარგმანების გამომცემელი, ილია ეფთიმეს აღნიშნავს, „იერუსალიმის ნუსხათა და გიორგისეული თარგმანის ტექსტების ყურადსმითა შედარება ერთიერთთან ადასტურებს მათი ეოველმხრივ ხიახლოვეს ერთმანეთთან. ერთის მიდევნებით მეორის დამუშავებას, ანუ. როგორც გიორგი მთაწმიდელს აქვს ნათქვამი, „პელის აკურთხეს" ახლადმთარგმნელისაგან ადრინდელი თარგმანთან" (ექესთა. უძე. ეფთიმეს. ეკ. 12).

ფილოსოფიური და თეოლოგიური ხასიათის თარგმანთა მოსრავლებასთან ერთად თანდათან აზრდება მოთხოვნილება ტერმინთა უფრო დაზუსტებისა და შესაბამისად მდიდრდება ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიაც. ავი განვითარების მიღად ხელეტერს ადწევს ეფრემ მცირის შრომებშა. ოთანე დამასკელის „დიალექტიკის" თარგმანის წინასიტყვაობაში ეფრემ მცირე ეაალიბებს საკუთარ მთარგმნელობათა პრინციპებს, რაც ძირითადად ამაში მდგომარეობს, რომ დედნის აზრი „მარტივად, შეუფუბელად და შეუბენლად" უნდა გადმოიცეს. ხოლო, რადგანაც ეოველ თარგმანს შინაარსის გასაცხადებლად ჩვენს ენაზე ხშირად სიტყვის შემატება ესაჭიროება, ეს შემატებანი ძირითადად ტექსტში რომ არ აირიოს, ამიტომ საჭიროების შემთხვევაში, ადგილ-ადგილ ახალი სიტყვები კიდეზე (ველზე) უნდა აქვნა წარწერილი. ეფრემი მკაცრად მოითხოვს, რომ თარგმანის კიდეზე წარწერილი სიტყვები ტექსტში „შიგან გარეკეთ" არ შეიტანონ. რაც შეეხება კიდეზე წარწერილს, ეს ძირითადად ტერმინთა თარგმანება-განმარტებებია, ანუ „ფანაზღვრებები განმარტებითები". ეს კი იმისთვის იყო გამოსაზნული, რომ თუ ეინმეს დასჭირდებოდა რომელიმე სიტყვა-ტერმინი, ადვილად ეპოვნა ავი და დრო არ დეკარგა, ან მთელი წიგნის გადაკითხვა არ დასჭირვებოდა მის ძებნაში.

ამგვარად, ეფრემ მცირე საჭირად თვლის თარგმანთათვის სიტყვა-ტერმინთა განსაზღვრებების დართვას და ასეც იქცევა მთელი თარგ-

ბანის მანძილზე. მაგრამ ეფრემ მცირის ცდა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სახტემატიზაციის პირველი ცდა იყო და მოულოდნელი არ არის, თუ მას რაც შემთხვევაში უუხტობანი ახლავს. ხაქმე ისაა, რომ სწორედ ითანე დამასკელის თხზულების „წყაროა ცოდნისაჲ", კერძოდ კი, მისი ერთ-ერთი ნაწილის — „ფილოსოფიური თავების" თარგმნით ჩაეყარა საფუძველი საკუთრივ ფილოსოფიურ თხზულებათა თარგმნას ჩვენს ენაზე. რასაც თვით ეფრემიც აღნიშნავს ხსენებულ წინასიტყვაობაში: „ესე ეკრასანნი თავნი... კარეშეთ ჩოგნთ და საფილოსოფოჲსა სწავლულებანანი არიან... ენისა ჩუენისა სხეაი არარაი იდეს თარგმნილი საფილოსოფოსთა ჩოგნთაგანთა" („დიალექტიკა", გვ. 86-87.).

ცნობილია, ეფრემ მცირის მოთარგმნილთათვი პრინციპი მოითხოვს ბერძნულ დედანთან ზედმიწევნითს ხალხლვეს, მაგრამ ეგი ყოველთვის ვერ ახერხებს ამ პრინციპის დაცვას. ხაბეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ზოგი კონკრეტული ხახითის უუხტობა ეფრემის თარგმანებში და ამ უუხტობათა მიზეზიცაა დახასიათებული (ე. ხანთაძე, გვ. 122-128; ს. ბერდაკი, გვ. 40-42). ზოგი უუხტობა „დიალექტიკის" ეფრემისეულ თარგმანში ამა თუ ამ კონტექსტის ხასიათი ინტერპრეტაციის შედეგს წარმოადგენს, მაგრამ დედანისგან განსხვავების უმეტესი ნაწილი მაინც ხეფაცალურ ტერმინთა არაზუსტი გადმოცემითაა გამოწვეული. ასის მიზეზი კი ხშირად ისაა, რომ თვით ბერძნული ლექსემები ხშირად პოლისემიურია, ზოგჯერ მათი მნიშვნელობა თარგმნილისათვის მოლოდ ნათელი არ არის, ან ტერმინი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, მისთვის გარკვეული არ არის. მაგალითად, ერთმანეთთან ახლოს მდგარ, მაგრამ სხვადასხვა ცნების აღმნიშვნელ ბერძნულ ტერმინებს ეფრემ მცირე ქართულად ერთი ლექსემით გადმოსცემს: ho tropos, hé morphé, to eidos ტერმინებს სახე ლექსემით თარგმნის, ასევე hé diairesis („გაყოფა") და — hé diastasis („განზომილება") ერთი — ბანზენა ლექსემით გადმოაქვს, ხოლო ერთმანეთის გამომრიცხავი მნიშვნელობის მქონე ტერმინები — horismenos („განსაზღვრული") diórismenos („განსხვავება, გაყოფა"), hé syneché („შერწყმული) — ბანსაზღვრებული ლექსემით აქვს თარგმნილი. ასევე ეფრემი შემოსრება (შეკრება) ლექსემითაა თარგმნილ რაგორც ძირითადი ლოგიკური ცნების გამომხატველ ტერმინს hó syllogismos, ასევე ზოგჯერ hé sysiasis („შემტკიცება") ტერმინსაც. ორ სხვადასხვა ცნება-ტერმინს hé diaphora (განსხვავება") და hé diairesis („გაყოფა") ხშირად ერთი — ბანყოფილება ლექსემით გადმოსცემს (ორივე — ბანწყალება ტერმინით).

გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, რადგანაც ერთი და იგივე ბერძნული ტერმინი ეფრემის თარგმანში სხვადასხვა ეკვივალენტითაა წარმოდგენილი, ანუ ერთი და იგივე ფილოსოფიური ცნება სხვადასხვა ლექსემითაა გადმოცემული. მაგალითად: ერთი ლოგიკური hypoceimenon („ქვემდებარე") ტერმინისათვის ეფრემ მცირე ერთი ძირითადი ნაწარმოების რამდენიმე ვარიანტს ხმარობს სხვადასხვა კონტექსტში: თანამიკადული, წინამოკადული, მოკიდებული, მოკიდული ნაკოთ, ამავე დროს, სხვა ძირებისგანაც აწარმოებს (ნართული, მდებარე, ზედმდებარე, წინამდებარე) ამავე ტერმინის შესატყვისებს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სხვადასხვა ქართული შესატყვისი ზოგჯერ ბერძნული სიტყვის პოლისემიითაცაა ხოლმე გამოწვეული.

ამ მოკლე მიმოხილვიდანაც ცხადი ხდება, რომ ეფრემ მცირე ძიების პროცესშია და მაინ ტერმინოლოგია დამუშავების საჭიროებს. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მისი ამგვარი უუხტობანი ზეკარა წყვეთია ამ უდიდეს ღვაწლთან შედარებით, რაც ეფრემ მცირეს მიუძღვის ქართული ხაეცნიერო ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებისა და განვითარების საქმეში: ქართული ხატყვაწერობისთვის ხაუველებებს ფარით და თავსუფლად გამოიყენებით მან შექმნა უმდიდრესი ახალი ლექსიკა, მთელი რიგი მოხდენილად და მოხერხებულად ნაწარმოები ტერმინები, რომელთაც გაუძლეს რა დროის გამოცდას, დამკვიდრდნენ ქართულ სალიტერატურო ენაში (ასეთნია, მაგ., წინადადება, განმარტება, განუყოფელება, ოგეგეობა, ხედობა, რომელობა, ცნობიერება, წარმატება და სხვ.). ეფრემ მცირემ საფუძველი მიუყარა ქართულ ხაეცნიერო, და კერძოდ ფილოსოფიური ტერმინოლოგიის, ხასტემატიზაციას, დასაფუძ და დაუსტების კი შემდგომი თაობების საქმე იყო და ეს-ეგი არ დაუყოვნებია: ეფრემ მცირის უმცროსმა თანამედროვემ, XI ს. მიღაწეულ, ორსავე ეპოქის ძე ეფლთიელმა, თითქმის ამავე ხანებში ხელმეორედ თარგმნა ითანე დამასკელის, ამ ხანებში მეტად პოპულარული და ქრისტიანული ფილოსოფიათა საკარო თხზულება „დიალექტიკა", და ორი ამბავი, რომ მან არ იცოდა ეფრემის თარგმანის არსებობა. არსებობს ორა თუ იცოდა ეს, ანუმდე, როგორც თვით ეფრემი აღნიშნავს თავისი ნაწარმოის ანდერძ-ნაბეჭდში, სწორედ ეგი, ორსავე თანამოღვაწე და „განმაძლიერებელი" ეფრემისა ამ ნაწილის თარგმნის დროს: „ღირეაჲ ეაჯი, ქრისტეს მოუკრძენო, გამოიხილოს... და კეთილი მოიეწეოთ ბეჭთა და „განმაძლიერებელთა ამის თანა მსრდელთაცა და მსახურთა — ორსავე ეფლთიელისა, ითოანე და ითოანე ხუცესთა, ხტეფანეზოს დიაკონისა და უფროს ყოველთა ბერ ხაწუალისელისა ეფრემ მცირისაოს" (A 24, ფ. 187, „დიალექტიკა", გვ. 18).

რაგორც ჩანს, სწორედ ამის გამო, რომ ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგია კიდევ მეტ დაზუსტებას და დაზუსტებას საჭიროებდა და ამიტომ კიდევ უფრო გაჯანრდა მოითხოვილება ლეთისმეტყველურ-ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა თარგმანების ბერძნულ დედანთან მეტად დაახლოებისა, არსენი იყალთოელმა გადაწყვიტა ხელახლა ეთარგმნა ოთხი დამასკელის ეს ნაწარმოები, მით უფრო, რომ იცნობდა წინა თარგმანს და იცოდა მისი ხარვეზები. ტერმინთა დაზუსტება და თარგმანის დედანთან დაახლოება რომ ამ ხანისთვის უფალლებულ მოთხოვნილებად აქცა. ამის უპირველესი მიზეზი ის იყო, რომ ტერმინთა განსხვავებული გაგება ბიზანტიურ ქრისტიანულ სამეცნიერო, და, მაშასადამე, საკრთველოშიც ბშირად საეკლესიო დოკუმენტის სახისა ხდებოდა ხოლმე და ამ მარტო დოკუმენტისა, არამედ მწვალებლად გამოცხადებისა და ეკლესიათა განკვეთისაც კი. ეს ძალიან კარგად იცოდა არსენი იყალთოელმა, რომელიც ოთხი პეტრიწის ერთად ბოწმე იყო ოთხი ეკლესიის მამათა სახელმძღვანელოს მიერ წაყენებულ ბრალდებებისა, რომლებიც ძირითადად ამაში მდგომარეობდა, რომ „ეკლესია უეურ-ადღებად ეცცოდა ეკლესიის მიერ მიღებულ ტერმინოლოგიას, სმარობდა არა ამ გამოთქმებს, რომლებიც ზუსტად მიღებული იყო ეკლესიის მამების მიერ ორთოდოქსული რწმენის გამოსახატავად" (კეკელიძე. ეტიდ. გვ. 9 და შმდ). ასეთ პირობებში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მკონოდა სწორედ ოთხი დამასკელის „დიალექტიკის", რომელიც, რაგორც ფილოსოფიის კომპენდიუმი, შეიცავდა ფილოსოფიურ ცნებათა და ტერმინთა დაზუსტება-განსაზღვრებებს ქრისტიანული თეალსაზრისით. აკი თვითონ ეფრემიც ამბობს თავისა თარგმანის წინასიტყვაობაში: „ხუთეარ შეეფლებელ არს ხატეკ-ნგბაა ნინაალმდგომთა, ხიტეუაეგმბდენრა ბარეშენი ეგი ბ ა ნ ე ბ ა ე ბ ი ფ ლ ი ბ ა ი ბ ა ბ ა ბ ა

ერთ ქართულ შესატყვისს უძებნის, ესაა ბანჯოფილება, არსენი კი გასხვავებას იცავს შესაბამისი ქართული ტერმინებით: ბანჯოფილება და ბანჯვალება. ტერმინს apophaticos, რაც უარყოფითს, უკუთქმის მსჯელობას ნიშნავს, ეფრემი ერთ შემთხვევაში თარგმნის ლექსემით ბანჯინებითი, რაც სხვა შემთხვევაში სრულიად სპეციფიკური მნიშვნელობის ტერმინის — hé cataphasis („მტკიცება, დადებითი მსჯელობა") შესატყვისია მის თარგმანში. შეადარეთ წყარო, როგორც ჩანს, ორი სპეციფიკური ბერძნული ტერმინის apophaticos („უკუთქმითი") და apophanticos („წართქმითი, მტკიცებითი") ბგერითი შედგენილობის მსგავსება. არსენი ასწორებს ამ შეცდომას და აძლევს სწორ შესატყვისს — უკუთქმაკი (დილექტიკა, 88, 20). მაგრამ ზოგ შემთხვევაში ეფრემიც სწორად სმარობს ამ ტერმინს. ეფრემი ბერძნული to pathos და symbebecos შესატყვისად სმარობს ლექსემებს შეამთხვევა, შეამთხვევითი. არსენი კი ბერძნულის შესაბამისად გასაგებად ამ ცნებებს შემდეგი ტერმინებით: შეხვედრა, შეამთხვევითი. ეფრემი ლოგიკური ypoceimenon ტერმინის შესატყვისად, როგორც ზემოთ ვნახეთ, სხვადასხვა ლექსემებს აწარმოებს, არსენი კი ყველის ერთ სრულიად გარკვეულ ფაზის ტერმინს ქვედდებარე, რომელიც დღესაც დამკვიდრებულია ლოგიკურ და გრამატიკულ ტერმინოლოგიაში. hé hyparxis ცნების აღსანიშნავად ეფრემი ძველ ტერმინს აპეზულებას მიმართავს, არსენი კი (ალბეთ, როგორც ალბანე პეტრიწე) მეოფობას აწარმოებს, რაც შემდგომში მკვიდრდება კიდეც. Hé oysia-ს აღსანიშნავად არსენი არსებას-ს სმარობს, ეფრემი კი არსსაც და არსებასაც. to on, to einai, hé hyparxis ცნებების გამოსახატავად არსენი ეოფნა ძირისაგან აწარმოებს ტერმინებს: მეოფი, მეოფობა. ეფრემი კი არსს სმარობს. ამგვარად, ეფრემს არა აქვს გამიჯნული hé oysia და to on ცნებები, არსენი კი მკვეთრად გამიჯნავს მათ. ამ დროისათვის, როგორც ჩანს, უკვე დადგენილი ჩანს ნივთი ტერმინის მნიშვნელობა, როგორც hé ylé — „მატერიის". მაგრამ ეფრემი მას სმარობს სხვა მნიშვნელობითაც: „ოთხთა ნივთთაგან შეერთებული გუამი" (დილექტიკა, 58, 17 „ელემენტი") შესაბამის კონტექსტში არსენი „სტიქიების, ელემენტების" მნიშვნელობით ასევ ტერმინს სმარობს და არა ნივთს. (რომელსაც „მატერიის" მნიშვნელობა აქვს დამკვიდრებული ამ პერიოდის ფილოსოფიური სასალიბებში, იხ. ალბე პეტრიწის შრომები); ოთხთა ასოთაგან შესრულებული სხეული (დილ. 58, 7).

ყოველსა შედგმულსა მარტივნი ეწინაებიან და ყოველსა სიმრავლესა ერთი დაუპირველდების, ვინაჲ ნუუმე პირველი შედგმული ერთთაგან (ი. პეტრ., II, § 6, 30—34); შედგმული პირველი ერთთაგან პირველთა, ხოლო ერთნი პირველნი ერთისაგან უპირველოჲსა და თჳთ ყოველთა პირველისა, ნუუმე და პირველი შედგმული ერთისა მიერ ზესთაჲსა (ი. პეტრ., II, § 6, 30, 25); ხოლო რიცხუნი ერთისა მიერ, ნუუმე და ყოველნი თხზვანი და რთვანი ერთისა მიერ (ი. პეტრ. II, § 2, 19, 19).

ნუუმე ფორმაც შედგენილი ჩანს ორი ნაწილაკისაგან: უარყოფითი ნუ და განუსაზღვრელობითი მე ნაწილაკისაგან, რომელიც ჩვეულებრივი შემადგენელი კომპონენტია ამგვარი საკავშირებელი სიტყვებისა (ვიდრე-მე, ვინაჲ-მე, სადა-მე, ნუ-უ-მე) და ისევე ხელოვნურადაა შედგენილი ბერძნული ნაწილაკების შესატყვისად, როგორც ისინი[4]. თითქოს აუხსნელია ის, რომ ეს უარყოფითი ნუ ნაწილაკის შემცველი ფორმა უარყოფითობის გაგებისაგან დაცლილია, მაგრამ იგი ამ მხრივ მარტო არა დგას. ანალოგიურადაა შედგენილი ნუ-უ კუე ნაწილაკი, რომელსაც ასევე Არა აქვს უკუთქმითი გაგება. იგი ხშირად გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში შესაძლებელ-სავარაუდებელი მნიშვნელობით („ეგების, შესაძლოა, იქნებ, ალბათ, ეაითუ“): მაგ.: „ნუუკუე უკჳრდეს მრავალთა ვითარ მყის დავდუმენ“ (ექუსთა დღ. ἴσως, может быть); „და იწყეს გზასა მიმოსლვად, ნუუკუე უბადრუკთა ღონე რაჲმე ყონ გზისა მის მიმავალ-მომავალთათვს“ (მამ. ცხ., 130,23—24); მან შეიძლება შეითავსოს „ხოლო“, „კი“ კავშირის მნიშვნელობაც: „ხოლო ამას გუასწავებს ჩუენ არა თითითია მჩუენებელი, ეითარმედ ესე უკუე ძელი, ხოლო ესე ნუუკუე ქუეჲ არს, არამედ ემათა რათმე მიერ“ (S 2562, 243r).

აღსანიშნავია, რომ ნუუკუე ნაწილაკს იოანე პეტრიწი ჩვენთვის საინტერესო, ლოგიკური (მაშასადამ-ე) კავშირის მნიშვნელობითაც ხმარობს:

[4] თუმცა არის შესაძლებლობა მისი ნეოუ-ჰე („იქნებ“) ნაწილაკთან დაკავშირებისაც. ამ ფორმას ნემესიოს ემესელის პეტრიწისავე თარგმანში ეხვდებით: არამედ და ნეოუ-ჰე და თქუას ენმე, ეთარმედ... (ნემეს., 19, 17). მაგრამ უფრო აშკარაა და ნათელი მი'ი ნუ-უკუე ნაწილაკთან ანალოგია, რასაც ნუ და მე ნაწილაკებს შორის შემაკავშირებელი უ ხმოვანიც (ნუ-უ-მე) უნდა ადასტურებდეს.

„თუ ასაკი ცხოველთაჲ წელიწდისადა არს დამოკიდებულ, ხოლო წელიწადი ყოველი ჟამია, ნ უ უ კ უ ე ასაკი ყოველი ჟამისადა დამოკიდებულ არს და განიზომების მის მიერ (ი. პეტრ., II, 109, 10—12). ნ უ უ კ უ ე ფორმა ამ შემთხვევაში ერთ მთლიანობას წარმოადგენს, დაუნაწევრებელია: ნუ და უ კ უ ე ნაწილაკებს აქ დაკარგული აქვთ დამოუკიდებელი მნიშვნელობა და ისინი შერწყმულადაც უნდა იწერებოდეს, რასაც ვერ ვიტყვით სახარების შემდეგს მაგალითზე, რომელშიც ნ უ და უ კ უ ე ნაწილაკების დამოუკიდებელი მნიშვნელობა ეჭვს არ იწვევს და ისინი ცალ-ცალკე უნდა დავწეროთ: „ნუ უკუე გეშინინ მათგან, რამეთუ არა არს დაფარული, რომელი არა გამოჩნდეს“ (მ. 10, 26). Μὴ οὖν φοβηθῆτε αὐτοὺς οὐδὲν γὰρ ἐστι κεκαλυμμένον, ὃ. οὐκ ἀποκαλυφθήσεται. Ne ergo timueritis eos: nihil enim est opertum, quod non revelabitur. Итак, не бойтесь их: ибо нет ничего сокровенного, что не открылось бы.

საინტერესოა ნ უ უ მ ე ნაწილაკის საბასეული განმარტება, საიდანაც ჩანს, რომ დიდ ლექსიკოგრაფს იგი ისეთივე შედგენილობისა და მნიშვნელობისად მიაჩნია, როგორც ა რ ა მ ე დ: „ნ უ უ მ ე — არა უკუე არს, არამედ მაგალი რაჲმე მისი, ვითარცა ა რ ა მ ე დ ი“... ლექსიკონის ერთ-ერთ ნუსხაში კი წყაროცაა მითითებული (ნემესიოსი), საიდანაც ჩანს, რომ საბას ეს სიტყვა ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისას“ პეტრიწისეული თარგმანიდან ამოუღია. აი ეს კონტექსტებიც: „რაჲ ვინაჲმე არს წინაადრჩევაჲ? ნ უ უ მ ე და ნეფსითად ვინაჲმე არს: 134,5 τί ἄρα ἐστὶν ἡ προαίρεσις; Ἄρα τὸ ἑκούσιον Quid ergo est electio? An, quod sponte fit... (Patr. gr. t. 40, c. XXXIII); Итак, что токое выбор? М о ж е т б ы т ь тоже, что и произвольное? (Влад. 154) არამედ ნუუმე და წადილ არს წინაადრჩევაჲ? 134, 20 Ἄρ'οὖν ὄρεξις ἐστιν ἡ προαίρεσις; An igitur appetitus est electio? (იქვე); Но может быть выбор есть желание? (Влад., 154).

საბა შემთხვევით არ უნდა აკავშირებდეს ნ უ უ მ ე ნაწილაკს ა რ ა მ ე დ ფორმასთან: მას შემჩნეული და გაზრებული აქვს მათი მაგალი აგებულება: უარყოფითი ნაწილაკები ნუ და არა + მე კითხვით-განუსაზღვრელობითი ნაწილაკი. ოღონდ მეორე შემთხვევაში ნაწილაკი ვითარებითი ბრუნვის ფორმაშია: ა რ ა-მ ე დ.

მაგრამ ზემოთ მოყვანილ კონტექსტებში ნ უ უ მ ე ნაწილაკს არა აქვს არც ლოგიკური კავშირის (უკუე, ვიდრემე, ვინაჲმე-მაშასადამე, ამგვარად) მნიშვნელობა, როგორც ეს ვნახეთ „განმარტების“ ზემოთმოხმობილ მაგალითებში და არც „მისი მაგალი არამედი-ს“ მნიშვნელობა, როგორც ამას საბა განმარტავს. ამ კონტექსტებიდან აშკარად ჩანს, რომ ნ უ უ მ ე ნაწილაკი ნ უ უ კ უ ე ნაწილაკია ერთ-ერთი მნიშვნელობით არის ნახმარი[3], კერძოდ, მას აქ აქვს „იქნებ, ეგებს“ მნიშვნელობა და აქედანვე ნათელი ხდება, რომ ნ უ-უ-მ ე ფორმაში ნუ-უკუე ნაწილაკის ანალოგიითაა ჩართული ნუ და მე ნაწილაკების შემაერთებელი უ ხმოვანი. როგორც ვნახეთ, ბერძნულ დედანში ნ უ უ მ ე ნაწილაკის შესაბამისად ნახმარია ἄρα კითხვით-განუსაზღვრელობითი ნაწილაკი, რომელსაც ლათინურში შეესატყვისება an, ხოლო რუსულში—может быть, неужели. საკმე ისაა, რომ ბერძნულ Ἄρα ნაწილაკს შემოსილი მახვილით კითხვით-განუსაზღვრელობითი შინაარსი აქვს („ეგების, იქნებ“) ხოლო ამავე ἄρα ფუძეს მკვეთრი მახვილით კი ლოგიკური კავშირის ფუნქცია აკისრია (ამგვარად, მაშასადამე, ძვ. ვინაჲმე, ვიდრემე, უკუე), რასაც კარგად გვიჩვენებს ზემოთ მოყვანილი ბერძნული კონტექსტი: τί ἄρα ἐστὶν ἡ προαίρεσις; Ἄρα τὸ ἑκούσιον...

---

[3] შ. ძ ო ძ ი გ უ რ ი, კავშირები ქართულ ენაში, თბილისი, 1969, გვ. 109.

ამგვარად, ნათელი ხდება, თუ რატომ იყენებს იოანე პეტრიწი ნუუმე ფორმას ერთ შემთხვევაში კითხვითი ნაწილაკის (ეგების, იქნებ) და მეორე შემთხვევაში—ლოგიკური საკავშირებელი სიტყვის (ამგვარად, მაშასადამე) მნიშვნელობით.

დამოწმებული ძეგლები და შემოკლებანი

ბალავ. — ბალავარიანის ქართული რედაქციები, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1957.

დიალ. — იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული ტექსტის თარგმანი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რაფავამ, თბილისი, 1976.

ექუსთა, კაც ავ. — უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა" და „კაცსა ადგილებისათჳს", გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1964.

ი. პეტრ. — იოანე პეტრიწი, შრომები, II, განმარტება პროკლესათკს დიადოხისა და პლატონურისა ფილოსოფოსათკს, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937.

შ. — მათე, ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. იმნიშვილმა, თბილისი, 1980.

მამ. ცხ. — მამათა ცხოვრებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ვახტანგ იმნიშვილმა, თბილისი, 197-.

ცხ. ადამ. — ცხოვრება ადამისი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბილისი, 1946.

A 240 — წინამძღვარი, თქუმული იოანე დამასკელისა, ეფთუმე ათონელის თარგმანი, კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 240 ხელნაწერი კრებული. 1791 წლისა.

S 2562 — ამონათა ერმიას ძე, „მოსაკსენებელი ხუთთა ქმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა", „მოსაკსენებელი ათთა კატეგორიათადმი არისტოტელისათა", კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 2562 ხელნაწერი, XIII ს.

Amm on. — Ammonius in Porphirii Jsagogen vive V voces. éd. Adolfus Russe, Berolini, Commentaria in Aristotelen Graeca, vol. IV.

Dial. — Bonifatius Kotter, Die Schriften des Ioannes von Damaskos, Berlin, 1969.

Д. Н. МЕЛИКИШВИЛИ

К ПРОИСХОЖДЕНИЮ НЕКОТОРЫХ СОЮЗНЫХ СЛОВ И ЧАСТИЦ В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Резюме

В статье рассматривается происхождение союзных частиц სადამე, მაშასადამე (←მაშასადამე), ნუუმე (ნუ-უ-მე) «итак», «таким образом», «поэтому».

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა

წარმოდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა შ. ძიძიგურამ

დამანა მელიქიშვილი

ძველი ქართული ლოგიკური ტერმინოლოგიიდან

ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლები, განსაკუთრებით კი XI—XII საუკუნეებისა, საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევიან ძველი ქართული ფილოსოფიურისა და, კერძოდ, ლოგიკური ტერმინოლოგიის შესასწავლად.

ცნობილია, რომ XI საუკუნეში ქართულად ორჯერ თარგმნეს (ჯერ ეფრემ მცირემ და შემდეგ არსენი იყალთოელმა) VIII საუკუნის ბერძენი თეოლოგის იოანე დამასკელის ტრილოგია Πηγή γνώσεως: „წყაროჲ ცოდნისაჲ". ეს თხზულება შეიცავს ლოგიკურ-ფილოსოფიურ ნაწილს Κεφάλαια φιλοσοφικά — „ფილოსოფიურ თავებს", ანუ, როგორც შემდგომ უწოდეს, „დიალექტიკას"[1] (ანტიკური გაგებით. საუბრის, დიალოგის ხელოვნებას. მტკიცებისა და უარყოფის ეზით ჭეშმარიტების დადგენის წესების ხელოვნებას). რომელიც ეყრდნობა არისტოტელეს კომენტატორების შრომებს და წარმოადგენს არისტოტელეს ლოგიკურ მოძღვრებათა გადამუშავებას თეოლოგიური მიზნებისათვის. XI საუკუნისავე გასულს ჩანს თარგმნილი V საუკუნის ალექსანდრიელი ნეოპლატონიკოსის ამონიოს ერმიასის კომენტარები არისტოტელეს „კატეგორიებსა" და III საუკუნის ნეოპლატონიკოსი ფილოსოფოსის პორფირის „შეყვანილებაზე" (რომელიც, თავის მხრივ არისტოტელეს „კატეგორიების" კომენტარებს წარმოადგენს). ეს არის „მოსაკსენებელი ათთა კატეგორიათადმი არისტოტელისათა" და „მოსაკსენებელი ხუთთა კმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა". ამ თხზულებებშიც არისტოტელესგან მომდინარე ფილოსოფიური და ლოგიკური ტერმინებია განმარტებული. მათს თარგმნას ლიტერატურული ტრადიცია იოანე ტარიჭისძეს მიაწერს[2].

XII საუკუნის დასაწყისში იოანე პეტრიწმა თარგმნა ნეოპლატონური ფილოსოფიის უდიდესი წარმომადგენლის, V საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსის პროკლე დიადოხოსის ტრაქტატი Στοιχείωσις θεολογική. „კაეშირნი ღმრთისმეტყველებითნი" („თეოლოგიის საფუძვლები")[3], რომელსაც საკუ-

---

[1] იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფავამ, თბილისი, 1976.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S ფონდის № 2562 ხელნაწერი. ტექსტი ჯადაწერილი აქვნდა და გამოსაცემად ამზადებდა ან განსვენებული მეცნიერი დოც. ნ. ლეკაკაძე. ამჟამად მის გამოცემაზე მუშაობს ხელნაწერთა ინსტიტუტის უფრ. მეცნ. მუშაკი მ. რაფავა.

[2] ივ. ღოლაშვილის აზრით, იოანე ტარიჭისძე და იოანე პეტრიწი ერთი და იგივე პიროვნებაა და, მაშასადამე, ამონიოსის „მოსაკსენებელნი" პეტრიწის მიერ არის თარგმნილი. იხ. იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, თბილისი, 1968, გამოკვლევა, გვ. 34—35.

[3] იოანე პეტრიწი, შრომები, I, პროკლე დიადოხოსისა პლატონურისა ფილოსოფოსისა კაეშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა,

თარი კომენტარები დაურთო ტრაქტატის პირველი თავის განმარტებაში, რომელიც ეძღვნება ერთისა და სიმრავლის საკითხს, კერძოდ, იმ თეზისის მტკიცებას, რომ „ყოველი სიმრავლე ეზიარება ერთს", ამ თეზისის მტკიცებისას კონკრეტულ მაგალითზე (სილოგიზმის სქემის მოტანით) იოანე პეტრიწი მკითხველს (თუ მსმენელს) აცნობს პროკლეს სილოგისტური დასაბუთების მეთოდს. ლოგიკური დასაბუთების პროკლესეული (უარყოფადი) გზის ჩვენებისას იოანე პეტრიწი მიუთითებს არისტოტელეს „ორგანონზე", რომლის გარეშეც, მისი აზრით, შეუძლებელია ლოგიკური გზით რისიმე შემეცნება. ამასთან დაკავშირებით პეტრიწი მოკლედ მიმოიხილავს არისტოტელეს მიერ დადგენილ ლოგიკურ კანონებს, თარგმნის და სათანადოდ განმარტავს მის ძირითად ტერმინებსა და ცნებებს. გარდა ამისა, „განმარტების" სხვადასხვა თავში შემეცნების პროცესის ანალიზისას თუ ონტოლოგიის საკითხთა განხილვისას იოანე პეტრიწი ვრცლად ჩერდება სათანადო ლოგიკურ-ფილოსოფიურ ცნებათა განმარტებაზე და მათი შესაბამისი ქართული ტერმინების შერჩევაზე. ასეთ დროს ჩვენ შეიძლება თვალი გავადევნოთ სპეციალური ტერმინის შექმნისა და გამოყენების მეტად საინტერესო პროცესს, რომელშიც შესანიშნავად მჟღავნდება ამ დიდი მოაზროვნის შემოქმედებითი პრინციპები.

საკმაოდ არის წარმოდგენილი ლოგიკურ-ფილოსოფიური ტერმინოლოგია პეტრიწისეე თარგმნილ, V საუკუნის ნეოპლატონიკოსის ნემესიოს ემესელის საბუნებისმეტყველო-ფსიქოლოგიური ხასიათის „ბუნებისათვს კაცისა" თხზულებაში[1], რომელიც, სხვა ზემოთ ჩამოთვლილ თხზულებებთან ერთად, იოანე დამასკელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

მეტად საინტერესო სურათს იძლევა ძირითადად ერთი პირველწყაროსაგან — არისტოტელესაგან — მოვდინარე, მაგრამ სხვადასხვა. უკვე ქრისტიან კომენტატორთა და მთარგმნელთა ხელში გამოვლილი ლოგიკური ტერმინების ურთიერთმიმართება მათი წარმოების პრინციპებისა და მნიშვნელობათა განვითარების გზების შესწავლის თვალსაზრისით.

ავიღოთ, მაგალითად, მსჯელობასა და დასკვნა-დასაბუთებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ცნება-ტერმინი: ეს ტერმინები ბერძნულში ძირითადად არისტოტელეს თხზულებებსა („ანალიტიკები", „კატეგორიები") და მის კომენტატორთა (დიოგენე ლაერტის, პორფირის, ამონიოს ერმიასის, იოანე დამასკელის) შრომებშია დამუშავებული. XI—XII საუკუნეთა ქართველ მთარგმნელებთან ისინი გადმოცემულია სხვადასხვა სიტყვებით, რაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ამ სიტყვების ტერმინებად ჩამოყალიბების საინტერესო პროცესს:

1. ἡ λογικὴ πραγματεία — სიტყვერი მოქმედება, სიტყვერი საქმიერობა, სიტყვერი მოფარდულობა (ლოგიკური საქმიანობა, ლოგიკის დისციპლინა);

2. ἀπόδειξις — გამოჩინება, მჩუენებლობა, აღმოჩენა, აღმოსაჩენელი (მტკიცება, დასაბუთება, demonstratio);

თბილისი, 1940. იოანე პეტრიწი, შრომები, II, განმარტებაი..., ტექსტი გამოსცეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937.

[1] ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვს კაცისა, ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ, გამოსცა, ლექსიკონი დაურთო ს. გორგაძემ, ტფილისი, 1914.

3. საკმარნი აღმოჩენისანი (დასაბუთების ელემენტები):

4. θέσις — მდებარე, დადებული (თეზისი):

5. ἡ αἰτία, ἀρχή — მიზეზი, დასაბამი (მიზეზი, საფუძველი, საწყისი).

6. κατασκεύη — დაკაზმვა (აგება, არგუმენტაცია):

7. συλλογισμός — შეგელიბსიტყუა, შემოკრება, თაბ-შესიტყუა, შესიტყუეა (სილოგიზმი):

8. πρότασις — საიეებელი, წინამდებარე სიტყუა, წი-ნადადება, წინგანსცელა, პირველდაწესებული (წინადა-დება, წანამძღვარი):

9. ὅρος — განსაზღერება, საზღვარი (განსაზღერება, ტერ-მინი).

10. ἡ ἄκρα — კიდური (კიდურა ტერმინი):

11. τὸ μέσον — საშუალი (საშუალი ტერმინი):

12 ἀξίωμα — მინაღები, . მიღებული (წანამძღვარი, დიდი წა-ნამძღვარი).

13. συμπέρασμα — შესრულება, თანგასაკეული (დასაკუ-):

14. πρόβλημα — განკდა, წინაჩამოსაგდებელი სიტყუა (ამოცანა, საკითხი, პრობლემა):

15. πρόσληψις - პირველმღებადი (დაშვება, წანამძღვარი):

16. ὑποκείμενον — წინამოკიდული, ნიეთი წინამდებ-არე, ქუემღებარე (სუბიექტი, ქვემდებარე):

17. κατηγορία — შესმენა, κατηγορούμενον — შესმენილი (რაც გამოითქმის, პრედიკატი, შემასმენელი),

18- κατάφασις — წართქუმა (წართქმა, მტკიცება):

19. ἀπόφασις — უკეთქუმა (უარყოფა, უკუთქმა):

20. τέλος, σκοπός — დასასრული, განი, საგანი, საზრი (დასასრული, მიზანი);

21. ἀνάλυσις — გაკუეთა, აღლება (ანალიზ-):

22. σύνθεσις — შედგმა, თანდასხმა (სინთეზი):

და სხვა.

დავიწყოთ თვით ამ დისციპლინის აღმნიშვნელი ტერმინით:

1. ლოგიკა. იოანე დამასკელის განმარტებით, ლოგიკის ანუ „სიტყუიერებითი საქმიანობის“ მიზანს, ამოცანას წარმოადგენს დასაბუთების, მტკიცების წარმართვა: χρή γινώσκειν, ὅτι σκοπὸν ἔχει ἡ λογικὴ πραγματεία περὶ τῆς ἀποδείξεως (Dial. ξε 32).

ეფრემ მცირე ბერძნული ἡ λογική πραγματεία შესიტყვება — ტერმინის შესაბამისად ხმარობს ამ შესიტყვებას: სიტყუერი მოქმედებაᲲ. არსენი ოდნავ ცვლის ეფრემის ტერმინს და უფრო უახლოვდება ბერძნულს მნიშვნელობას: სიტყუერი საქმიერობა. ამასთან, მთელი კონტექსტის აზრიც მის თარგმანში უფრო ნათლადაა გადმოცემული:

ეფრემი	არსენი
ᲛᲝᲡᲬᲠᲐᲤᲔᲑᲐᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲠᲘᲡᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐᲐᲡᲐ	ᲬᲘᲜᲐ ᲣᲪ ᲘᲫᲣᲐᲓ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲠᲘᲡᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲔᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲩᲘᲜᲔᲑᲔᲚᲝᲑᲘᲡᲐᲐ (დიალ., 51, 1).

ანონიმის ერმიასის თხზულების ქართულად მთარგმნელი კი ამ ცნებას შემდეგი შესიტყვებებით გადმოსცემს: ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲠᲘ ᲛᲝᲤᲐᲠᲓᲣᲚᲝᲑᲐᲐ, ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘ ᲛᲝᲤᲐᲠᲓᲣᲚᲝᲑᲐᲐ. ეს შესიტყვებებიც ბერძნული ἡ λογικὴ πραγματεία-ს პირდაპირი თარგმანია.

რას ნიშნავს ᲛᲝᲤᲐᲠᲓᲣᲚᲝᲑᲐ? ᲛᲝᲤᲐᲠᲓᲔᲚᲘ სიტყვა ლექსიკონში განმარტებულია როგორც „მსყიდველი". ძველი ქართული ენის ძეგლებში ფარდ ფუძის შემცველი სიტყვები (ᲤᲠᲓᲘᲓᲔᲡ, ᲤᲠᲓᲘᲚᲘ, ᲛᲝᲤᲐᲠᲓᲔᲚᲘ...) სემანტიკურად ყველა „ვაყიდვასთანაა" დაკავშირებული:

C	DF
მიეედით ᲛᲝᲤᲐᲠᲓᲔᲚᲗᲐ და იყიდეთ თქუენდა (მ. 25, 9)	წარეედით ᲡᲐᲕᲐᲭᲠᲝᲓ და იყიდეთ თავისა თქუენისა ზეთი.

Πορεύεσθε δὲ μᾶλλον πρὸς τοὺς πωλοῦντας καὶ ἀγοράσατε ἑαυταῖς.

ამ ფუძეს მზია ანდრონიკაშვილი უკავშირებს საშუალო სპარსულს par-dak სიტყვას, რაც „გადასახადს, გადახდას, შესრულებას" ნიშნავს[5].

„შრომის, ნაშრომის" მნიშვნელობით ᲛᲝᲤᲐᲠᲓᲔᲚᲝᲑᲐ სიტყვა იოანე პეტრიწს აქვს ნახმარი თავისი „განმარტების" ე. წ. „ბოლოსიტყვაობაში" (უფრო სწორად კი რომელიღაცა უცნობი ნაშრომის წინასიტყვაობაში): სამ არიან უზესთბრძნესისა სოლომონის ᲛᲝᲤᲐᲠᲓᲔᲚᲝᲑᲐᲜᲘ: თანად „იგავი" და „ეკლესიასტე" და „ქებაჲ ქებათაჲ" (II, 226, 29—30).

ს. ყაუხჩიშვილი ᲛᲝᲤᲐᲠᲓᲔᲚᲝᲑᲐ სიტყვას გამოცემისათვის დართულ ლექსიკონში განმარტავს როგორც „მოვაჭრეობა, მოსაქმეობას". განმარტება, ცხადია, ძველი ქართული ენის ძეგლებში დადასტურებული მნიშვნელობის მიხედვითაა გაკეთებული. ამასთან, დაძებნილია მოცემული კონტექსტისათვის უფრო შესაფერისი მნიშვნელობა — „მოსაქმეობა". მაგრამ ზემოთ წარმოდგენილი კონტექსტი ნებას გვაძლევს ამ სიტყვის მნიშვნელობა კიდევ უფრო დავაზუსტოთ და მოცემულ შემთხვევაში გავიგოთ, როგორც „ნაშრომი, შრომა", რაც ალბ დგას „საქმე" სიტყვის მნიშვნელობასთან. რომ ეს მართლაც ასეა, ამას გვიდასტურებს შემდეგი: თორნიკე ᲬᲧᲝᲜᲘᲐᲛ გაარკვია, რომ იოანე პეტრწის განმარტების „ბოლოსიტყვაობის" ეს ნაწილი, სადაც სოლომონის სამ წიგნზეა ლაპარაკი, წარმოადგენს ბასილი დიდის „Εἰς τὴν ἀρχὴν τῶν παροιμιῶν" თხზულებიდან ამოღებული ვრცელი ციტატის თარგმანს[6]: Τρεῖς τὰς πάσας ἔγνωμεν πραγματείας τοῦ σοφωτάτου Σολομῶντος (Patr. Gr. t. XXXI, col. 388).

---

[5] Ზ. ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბილისი, 1966, გვ. 385—386.

[6] თ. ᲬᲧᲝᲜᲘᲐ, იოანე პეტრიწის „განმარტების" ბოლოსიტყვაობის ახალი წყაროს შესწავლისათვის: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი. თბილისი, 1965, გვ. 72. მოსე გოგიჩაიშვილი ეჭვობდა, რომ პეტრიწის „ბოლოსიტყვაობის ეს ადგილი შეიძლება ყოფილიყო" წინასიტყვაობა ბასილი დიდის რომელიღაც შრომის ქართული თარგმანისთვისო.

როგორც ეხედავთ, მოფარდულობა ნახმარია ბერძნული πραγματεία-ს შესატყვისად და მის ადგილას ეფთვმე მთაწმიდლის თარგმანში ზის სიტყვა წიგნი: სამნი გუნილვან ჩუენ წიგნნი იგი ყოვლად ბრძნისა სოლომონისნი: ერთად ესე „იგავთაჲ“ და მეორედ „ეკლესიასტისაჲ“ და მესამე „ქება ქებათაჲ“[7]:

სწორედ ამ კონტექსტზე დაყრდნობით დასაკვნის თ. ჟყონია, რომ მოფარდულობა სიტყვა ნიშნავს „წიგნს, ტრაქტატს“ ანუ „ნაშრომს“. მასვე ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობის I ტომიდან მოაქვს ნიკოლოზ გულაბერიძის ბიერ (XII ს.) თარგმნილი თხზულების ერთ-ერთი ქვესათაური: „ესისვე მოფარდულობისაგან ორმოცდამეთერთმეტე თავისა“,[8] სადაც მოფარდულობა კვლავ ბერძნული πραγματεία სიტყვის თარგმანს წარმოადგენს: Ἐκ τῆς αὐτῆς πραγματείας, κεφαλ. να (Migne, Patr. Gr. t. XCI, col. 45—46) და ნიშნავს „ნაშრომს, წიგნს“. როგორც ჩანს, ტერმინი მოფარდულობა პეტრიწის სალიტერატურო სკოლის შემოტანილი უნდა იყოს. მას ხშირად ხმარობს ამონიოს ერმიასის თხზულების ქართულად მთარგმნელი. მის თარგმანში მოფარდულობა სიტყვა სწორედ ამ მნიშვნელობას „ატარებს და ბერძნული πραγματεία-ს შესატყვისია. Πραγματεία სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „საქმიანობას“. „შრომას“, ხოლო შემდეგ მისგან განვითარებულია მნიშვნელობები: „ნაშრომი, გამოკვლევა, მოძღვრება, ტრაქტატი“ და, ბოლოს, „დისციპლინაჲ“. ამ უკანასკნელი მნიშვნელობით აქვს ნახმარი იგი იოანე ტარიჩისძეს შემდეგს კონტექსტში: რომელთაგან შეიქმნების სულლოგისმოსი, რომლისათჳს მთამოვალს სიტყუერი მოფარდულობაჲ (S 2562, 182 v, 188 r), Ἐξ ὧν ὁ συλλογισμὸς γίνεται, περὶ ὃν ἡ λογικὴ καταγίνεται: πραγματεία (Ammon. 88,16—17) „რომელთაგანაც შეიქმნება სილოგიზმი, რასაც შეისწავლის ლოგიკის დისციპლინა“).

მოფარდულობა ტერმინს „მოძღვრების“ გაგებითაც ხმარობს იოანე ტარიჩისძე: ვითარცა ცხად-ყოფენ ფილოსოფოსთა მოფარდულობანი (S 2562, 10 r): Δῆλον δὲ καὶ τῶν φιλοσόφων πραγματείαι (Ammon. 25,10—11)

როდესაც თავისი წიგნის დანიშნულებაზე ლაპარაკობს, ამონიოს ერმიასი ამბობს, რომ წინამდებარე წიგნი სიტყვიერებითს საქმიანობაში, ე. ი. ლოგიკაში, და საერთოდ, არისტოტელეს ფილოსოფიაში გასარკვევად პირველია: წინამდებარე წიგნი სიტყვიერებითსა მოფარდულობასა და ყოველსა არისტოტელებრისა ფილოსოფოსობისა პირველ არს (S 2562, 243 v). იქვე, შემდგომს გვერდებზე კი აღნიშნავს, რომ კატეგორიათა წიგნი არის დასაწყისი ლოგიკური საქმიანობისაო: დასაწყი სიტყუერებითისა მოფარდულობისაჲ არს წიგნი კატიღორიათაჲ (S2562, 248r).

სხვაგან იგი ამბობს, რომ ეს წიგნი არა მხოლოდ არისტოტელეს „კატეგორიათა“ გაგებაში დაგვეხმარება, არამედ საერთოდ, ფილოსოფოსთა ყველანაირ მოძღვრებაში, საქმიანობაშიო: შეეწევის უკუე წიგნი ესე არა ხოლო არისტოტელის კატიღორიათა ზედა; არამედ... ყოველსა ფილოსოფოსთა მოფარდულობასა ზედა (S 2562, 109r)... καὶ πρὸς πάσας τὰς τῶν φιλοσόφων πραγματείας (Ammon. 26, 15—17).

---

[7] იქვე, გვ. 88—89.

[8] იქვე, გვ. 76.

როგორც ვხედავთ, იოანე ტარიელისძე მ ო ფ ა რ დ უ ლ ო ბ ა ტერმინს, ჩვეულებრივ, ფილოსოფიასა და სიტყვიერებასთან (ლოგიკასთან) წყვილში ხმარობს (იხ. აგრეთვე, 131v, 140v, 204v, 237v, 248v და სხვ.).

ზემოთ ვთქვით, რომ ფ რ დ ა, ფ რ დ ი ლ ი, მ ო ფ ა რ დ უ ლ ი და ამ ფუძისაგან ნაწარმოები ხმა სიტყვების მნიშვნელობა (როგორც სახელების, ისე ზმნებისა) ძველ ქართულში დაკავშირებულია „ს ყ ი დ ა, ვ ა ჭ რ ო ბ ა“ სიტყვების მნიშვნელობასთან. ამ შინაარსის სათანადო მაგალითები საკმაოდაა მოტანილი ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მასალა ძირითადად სახარებიდანაა და არც ერთ შემთხვევაში არ არის დადასტურებული ის მნიშვნელობა, რომელიც, როგორც ვნახეთ, ამ სიტყვებს გვიანდელ ფილოსოფიური ხასიათის თხზულებებში აქვთ ჩვეულებრივ. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ არსენისეულ „დიდი სჯულისკანონშიც“ სიტყვა მ ო ფ ა რ დ ე ლ ო ბ ა „ვაჭრობის“ მნიშვნელობით არის ნახმარი.

ამგვარად, ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით ეს ტერმინი ბერძნული πραγματεία ს შესატყვისად („ნაშრომის“ და აქედან „წიგნის“, „დისციპლინის“ გაგებით) პეტრიწის სკოლის ნაშრომებში გვხვდება და, ამდენად, მათი შემოტანილი ჩანს. მაგრამ მ ო ფ ა რ დ ე ლ ო ბ ა სიტყვა არც მისი ჩვეულებრივი და არც ტერმინოლოგიური გაგებით არ დამკვიდრებულა ქართულ სალიტერატურო ენაში (დღეს შემორჩენილია ფ ა რ დ ე ლ ი სიტყვა პატარა ციცრული ან ზოგჯერ უკედლო გადახურული ნაგებობის. სავაჭროს, კიოსკის შინაარსით). მაგრამ ფილოსოფიური მწერლობის აღორძინების ხანაში, XVIII ს.-ში, იოანე ბაგრატიონს გამოუყენებია ეს ტერმინი (ისევე როგორც ბევრი სხვაც) თავისი „კალმახობის“ ფილოსოფიურ ნაწილში, რომლის ერთ შინაარსად წყაროს ამონიოს ერმიასის ძველი ქართული თარგმანი წარმოადგენს: სიბრძნის მოყუარება არს მეცნიერება საღმრთოთა და კაცობრივთა მ ო ფ ა რ დ ე ლ ო ბ ა თ ა (კალმ., 185, 10—11, იხ. აგრეთვე, 185, 14; 137, 7).

მაინც, როგორ გასაგები შესაძლებელი მ ო ფ ა რ დ ე ლ ო ბ ა სიტყვის შინაარსობის ასეთი „უცნაური“ და თითქოს არაკანონზომიერი გადაწევა? ეს შემთხვევა გამონაკლისი არ არის. იგი არც ისე უცნაურად მოგეჩვენება, თუ გავიხსენებთ, ერთი მხრივ, ბერძნული ἀγορά ფუძის სემანტიკურ წრეს („ქალაქის მოედანი, სახალხო საკრებულო, ბაზრის მოედანი, ბაზარი, სავაჭრო მწკრივები — ფარდულები“. მისგან ნაწარმოები ზმნები ἀγοράζω — „ყიდვა“ და ἀγορεύω — „ლაპარაკი, საჯარო სიტყვა, თხრობა“) და მეორე მხრივ, ანალოგიური გადაწევა თვით ქართულშივე „საშ სპარს. frapāßak „მოედანი, საკრებულო“ სომხ. *գրապարակ*, რომელსაც ძველ ქართულში ტ რ ა კ ა პ ა რ ა კ ი ს სახით ვხვდებით, ახალ ქართულში კი მისგან მივიღეთ ფორმა ლ ა პ ა რ ა კ ი“.

2. დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა — გ ა მ ო ჩ ი ნ ე ბ ა, გ ა მ ო მ ა ჩ ი ნ ე ბ ე ლ ო ბ ა, ა ღ მ ო ჩ ე ნ ა.

იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ 51-ე თავი ეძღვნება ლოგიკის მიზნის განმარტებას: Χρὴ γινώσκειν, ὅτι σκοπὸν ἔχει ἡ λογικὴ πραγματεία περὶ τῆς ἀποδείξεως. Ἡ δὲ ἀπόδειξις συλλογισμός ἐστιν (Dial. ξε, 132); „ლოგიკის მიზანია დასაბუთების წარმართვა. დასაბუთება კი სილოგიზმია“.

ამგვარად, ლოგიკის ძირითადი ცნებებია **დასაბუთება** და **სილოგიზმი**. ამ ცნებების შესატყვისად ეფრემი და არსენი სხვადასხვა ტერმინებს ქმნიან:

ეფრემი	არსენი
ვოსწრაფებაჲ აქუს სიტყუერსა მოქმედებასა **გამოჩინებისათჳს** საქმეთაჲსა. ხოლო **გამოჩინებაჲ** იგი შემოკრებაჲ არს (დიალ., 51.1).	წინა-უც იქუად სიტყუერსა საქმიერობასა წარმართებაჲ **გამომაჩინებელობისაჲ**, ხოლო **გამოჩინებაჲ** შეგულისსიტყუეაჲ არს.

როგორც ვხედავთ; ἀπόδειξις („მტკიცება, დასაბუთება" demonstratio, доказательство") ცნების შესატყვისად ეფრემი იყენებს **გამოჩინება** ლექსემას, არსენი კი მასთან ერთად აგრეთვე, **გამომაჩინებელობასაც**. ეს ლექსემები სიტყვა-სიტყვითი თარგმანია ბერძნული ἀπόδειξις ტერმინისა, რომელიც წარმოადგენს δείκνυμι: ზმნისაგან („გამოჩენა, ჩვენება") ნაწარმოებ სახელს. მისი პირველადი მნიშვნელობაა „დანახვება, ჩვენება, demonstratio, показывание". აქედანვე მოდის მისი ეიწრო ლოგიკური მნიშვნელობაც „მტკიცება, დასაბუთება, საბუთი".

ამგვარად, ბერძნელში ἀπόδειξις-ი პოლისემიური სიტყვაა. მას აქვს როგორც ჩვეულებრივი, ისე სპეციალური. ტერმინოლოგიური მნიშვნელობა. თუმცა უკვე არისტოტელეს ნაშრომებში „ჩვენება" (δείξις) და „დასაბუთება" (ἀπόδειξις) მნიშვნელობებს შორის განსხვავება დამყარებულია ზმნისწინის მეშვეობით: უზმნისწინო ფორმას, ჩვეულებრივ, „დანახვების, ჩვენების" მნიშვნელობა აქვს, ხოლო ზმნისწინიანს კი სპეციალური ტერმინოლოგიური გაგება აქვს მიღებული[10]. მაგრამ ეს განსხვავება ბოლომდე არ არის დაცული: ზოგჯერ უზმნისწინო ფორმასაც „დასაბუთების" მნიშვნელობით ვხვდებით არისტოტელესთანვე[11]. რუსულშიც ზმნისწინების საშუალებით მოხერხდა ფორმალური განსხვავების დამყარება ამ ორ მნიშვნელობას შორის: по-казать, до-казать. ასეთი შესაძლებლობა თავის დროზე ქართულშიც იქნა გამოყენებული: იოანე პეტრიწმა ჩენა ფუძეზე აღმო ზმნისწინის დართვით აწარმოვა ტერმინი **აღმოჩენა**, რომელიც ამ გზით განასხვავა ჩვეულებრივი გაგებით გავრცელებული **გამოჩინება** სიტყვისაგან და მკაცრად გარკვეული ტერმინოლოგიური მნიშვნელობა („მტკიცება, დასაბუთება") მიანიჭა მას: დაჰრთო კუალად **აღმოჩენაჲ** სიცხადისათჳს (ი. პეტრ., I, § 44, 133, 27); იტყჳს **აღმოჩენაჲ**, ვითარმედ ყოველი თუთმდგომი უნაწილო არს და მარტივ (ი. პეტრ., II, § 47, 106, 17), ვინაჲ ყოველთა ზედა ესე საზღვარი **აღმოჩენისაჲ** (ი. პეტრ., I, § III, 69, 5—6. — Ὁ λόγος τῆς ἀποδείξεως.

აღმოჩენა ფუძისაგან იოანე პეტრიწს საკმაოდ ბევრი დერივატი აქვს ნაწარმოები, როგორც პირიანი ფორმები ზმნისა, ასევე უპირო: ვითარცა **აღმოაჩინოს** იძულებითმან კანონმან თანშესიტყჳსამან (II, § 10, 10, 16), რა-

---

[10] Аверинцев С. С., Поэтика ранневизантийской литературы. Москва, 1977, გვ. 33—34.

[11] Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий. Москва, 1958, т. I, გვ. 348, ს.ტ. δείξις.

მეთუ აღმოიჩინა უკუე, ვითარცედ უმეტეს ყოველებრივ არიან უმახლობელესნი ერთისანი (I, § 150, 90, 32—33), და სხვ.

საინტერესოა, რომ, როცა იოანე პეტრიწს სჭირდება φαίνω ზმნისაგან ნაწარმოები ფორმების თარგმნა, იგი ჩენ/ჩინ ფუძეს ოდენ მარტივ აღ ზმნისწინს ურთავს განსასხვავებლად სპეციალური ტერმინისაგან. რომელსაც, როგორც ზემოთ ვნახეთ, რთული აღმო ზმნისწინთ აფორმებდა: ვინაიმე ესრე და ოდესცა ესრე და ესეზომცე აღჩნდების (I, § 210, 126. 4).

რაც შეეხება ისეთ ცნებას. როგორიცაა „საბუთი. არგუმენტი", довод, доказательство, იოანე პეტრიწი მის გამოსახატავად აწარმოებს მომავალი დროის მიმღეობას. რომელსაც, ასევე. ურთავს აღმო ზმნისწინს: აღმოსაჩენი, აღმოსაჩენელი და, ამგვარად, ერთმანეთისაგან განასხვავებს ἀπόδειξις — „დასაბუთება, მტკიცება. доказательство," და ἀπόδειξις — „საბუთი", „доказательство, довод" მნიშვნელობებს: რამეთუ ესეეე აღმოსაჩენელი ყოველთა ზედა (I, § 22): Ἡ γὰρ αὐτὴ ἀπόδειξις (Ρροκλ. § 22, col,LX,19), ამათ ყოველთა ზედა დაპრთო სიწმიდე და სიცხადე აღმოსაჩენთაჲ (II, წინას. 5, 17. „ყველა ამათ ზედ დაუმატა საბუთთა სიცხადე და სიწმინდე"; მტკიცეთა აღმოსაჩენთა მიერ შეკრა დაუკსნელი სირაჲ მათი (II, § 12, 20—21): „მტკიცე საბუთებით შეკრა მათი დაურღვეველი რიგი". ესე სამნი აღმოსაჩენნი წინაჰმოგდებითნი დასხნა (II, § II, 39—29); „ეს სამი წინასწარი საბუთი მოიტანა";

ეს ტერმინები იოანე პეტრიწს ჯერ კიდევ ნემესიოს ემესელის თხზულების თარგმანში აქვს გამოყენებული: ვინაჲთგან სული აღმოეაჩინეთ არცა სხეულოფად, არცა მორთულება, არცა შეზავება... (ბუნ. კაც., 50, 22): „რადგანაც დავამტკიცეთ. რომ სული არც სხეულია, არც ჰარმონია. არც შეზავება"; მრავალ უკუე არიან აღმოსაჩენელნი უკუდავებისათჳს მისისა პლატონის მიერ და სხუათა (ბუნ. კაც., 51, 7): „მრავალი საბუთია მისი უკუდავების შესახებ პლატონთან და სხვებთან"): Πολλαὶ μὲν οὖν εἰσι τῆς ἀθανασίας αὐτῆς ἀπόδειξις παρά τε πλάτωνι καὶ τοῖς ἄλλοις (Νεμ. 589). სოლო მათდა მიმართ. რომელთა არა პრწმენოდენ ქრისტეანეთა წიგნნი, კმა ყოფეიან აღმოსაჩენელნი, რომელ არა არს სული პირველ თქუმელთა ამთგანი რაჲვე (ბუნ. კაც., 51. 14—15): „იმათ მიმართ. რომელთაც არა სწამთ ქრისტიანული წიგნები, საკმარისია საბუთები, რომ სული არ არის ადრე დასახელებულთაგან რომელიმე".

ამგვარად, აღმოჩენა ტერმინს და მისგან ნაწარმოებ დერივატებს იოანე პეტრიწთან ნათლად გამოკვეთილი სპეციალური ცნების გამოხატვა აესრულოთ, რასაც კარგად გვიჩვენებს მისი „განმარტებანი" შემდეგი ადგილები: „მერმე აღიღებს მას აღმოჩენილსა და უმხილებელსა პირსა და სხუასა შემდგომსა აღმოაჩენს და შემდგომითი შემდგომად ყოველსა ზედა ამას ჰყოფს: რამეთუ პირველ აღმოჩენილთა მიერ შემდგომთასა დასდებს საფუძველსა აღმოჩენათასა (II, წინას., 4, 7—10): „შემდეგ აიღებს ამ დამტკიცებულსა და დაურღვეველ აზრს და სხვას, შემდეგს ამტკიცებს. და ასე შემდეგ, ყოველთვის ასე იქცევა: ადრე დამტკიცებულთ საფუძვლად უდებს შემდგომს მტკიცებებს"; და ვითარ ყოვლითურთ ამხილოს, მერმე, დაკაზმულსა აღმოსაჩენთა მიერ მასვე პირველსა სიტყუასა თანგანვლის სახედ დაამტკიცებს (II, § I. II, 10): „და როცა ყოველმხრივ განიხილავს, შემდეგ, საბუთებით აღჭურვილს, იმავე თავდაპირველ აზრს დანასკვის სახით გაამყარებს".

აღმოსაჩენი და აღმოსაჩენელი („საბუთი. არგუმენტი", ის, რისი საშუალებითაც მტკიცდება რაიმე) წარმოების მიხედვით მომავალი დროის საობიექტო მიმღეობაა. ამავე. საობიექტო მიმღეობის, ფორმითვე გადმოიცემა ცნება ისისა, „რაც უნდა დაეტკიცდეს". ამიტომ. ომონიმიის თავიდან აცილებლად იოანე პეტრიწი ამ შემთხვევისათვის მოხერხებულად იყენებს სა — ო კონფიქსიან წარმოებას უკვე იმ დროისთვისაც არქაულს): ამის დაკანონებისა ბიერ აღმოჩენების ყოველი აღმოსაჩენი (II, 10, 23): „ამ აღკაზმულობის. არგუმენტაციის საშუალებით მტკიცდება ყოველი დასამტკიცებელი".

ამავე ჭგუფს განეკუთვნება რთული შეპირუკეცება-ტერმინი კანონი აღმოსაჩენთაგ („დასაბუთების. ანოდიქტიკის კანონი"): ვითარ ოდეს სთქუა, ვითარმედ" მე ამას ეტყუ და შენ, წინააღმდგომო. არ იტყ ამას. მაშა გამოიჩინოთ კანონთა მიერ აღმოსაჩენთაჰსა (II. § I. 10, 15).

როგორც დავინახეთ. აღმოჩენა ტერმინს და მისგან ნაწარმოებ დერივატებს იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ ენაში დამკვიდრებული აქვთ სრულიად გარკვეული ცნებითი მნიშვნელობა და მოპოვებული აქვთ ტერმინოლოგიური ღირებულება.

ამავე. აღმოჩენა ტერმინს იყენებს ამონიოსის შრომის მთარგმნელიც. ავტორთ, მაგალითად. ის კონტექსტი, რომლითაც იოანე დამასკელი სარგებლობს და. სადაც ლოგიკაა განმარტებული როგორც ისეთი საქმიანობა. რომლის საგანიც დასაბუთების წარმართვაა: 'Ἡ λογικὴ πραγματεία καταγίνεται περὶ τὴν ἀπόδειξιν (Ammon. 188, 6—7). სიტყვიერი მოფარდულობაგ აღმოჩენისათვს შთამოვალს (S 2562, 182r): Πᾶσα γὰρ ἀπόδειξις τὰς μὲν προτάσεις σαφεῖς καὶ ὁμολογουμένας λαμβάνει (Ammon. 74, 23—24): ყოველი აღმოჩენაგ პროტასეოთა ეიდრეგე ცხადთა და აღსარებულთა მიისეგს (S 2562, 167 r): „ყოველი დასაბუთება ცხადსა ეუშმარტსა და აღიარებულ წანამძღვრებს ღებულ".

ზეგოთ ენასეთ, რომ იოანე დამასკელის „დიალექტიკის" შესაბამის კონტექსტში ეფრემი და ანონიმი ἀπόδειξις ტერმინს თარგმნიდნენ გამოჩინება და გამოშაჩინებელობა სიტყვებით. ზოგ შემთხვევაში იოანე ტარეგისეგ უთარგმნელად ტოვებს ἀπόδειξις-ს და პირდაპირ ბერძნული ტერმინი ვადმოაქვს ქართული გაფორმებით: ანოდიქსი სკლეროზმოსი რაგმე არს (S 2562. 245r). ხაზგასმულ სიტყვაზე მითითებით ხელნაწერის ამოიაზე მოცემულია განმარტება: „აღმოჩენაგ". თავად ამონიოსს ეს განმარტება ამოღებული აქვს არისტოტელეს „ანალიტიკებიდან", სადაც ნათქვამია: 'Η μὲν γὰρ ἀπόδειξις συλλογισμός τις (Αναλ. I, IV, 41, 38—39).

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, „დასაბუთება" ცნებისათვის არისტოტელე და მისი კომენტატორები ძირითადად ზნინისწინიან ἀπόδειξις ფორმას იყენებენ, მაგრამ ამ მნიშვნელობით მათთან ზოგჯერ უზმინისწინოθείξις ფორმაც გვხვდება: "Ὅστε διάλληλος θείξις ἐστιν ἡ τὰς προτάσεις συμπεράσματα ποιοῦσα (Ammon 74,22): ურთიერთის ჩუენებაგ არს უპირველესისა შესრულებად შემჭნელი (S2562, 167r); „ერთმანეთის მტკიცება. (ე. ი. წრე დასაბუთებაში. circulus in demonstrando) წანამძღვარს დანასკვად აქცევს".

ძველ შემთხვევებში, მთარგმნელებიც, ზუსტად მისდევენ რა დედანს, უზმნისწინო ფორმითვე თარგმნიან ამ ლექსემას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამო-

საკულ δείξις-სა, ე. ი. demonstratio—показывание „ჩვენება“ და მისგან განვითარებულ ნნიშვნელობას შორის, რომელიცაა — ἀπόδειξις (demonstratio—доказывание „დასაბუთება“) ჯერ კიდევ არ არის მზღვარი. აღსანიშნავია, რომ ლათინურში შესატყვის demonstratio ტერმინს ორივე მნიშვნელობა აქვს, „ჩვენებაც“ და „დასაბუთებაც“: Demonstratio enim syllogismus quidam est (Avaλ. I. IV. 1. 41. 38—39). ლათინურიდანაა ორივე ნნიშვნელობით შესული ეს ტერმინი ევროპულ ენებშიც: ფრანგულში მას დღესაც ორივე მნიშვნელობა აქვს დამკვიდრებული: Demonstration — 1. доказательство. свидетельство; 2. показ. демонстрация. ძველ ქართულ ფილოსოფიურ ძეგლებში კი, როგორც ვნახეთ, არის ცდა ამ ორ ცნებას შორის ტერმინოლოგიური სხვაობის დამყარებისა. იმდენად, რომ ამონიოსის მთარგმნელი, თუმცა ზუსტად მიჰყვება დედანს, და ამიტომაც იძულებულია „დასაბუთების“ ნნიშვნელობით ნასმარი δείξις ფორმა უზმნისწინოდ თარგმნოს. მაგრამ, ხედავს რა ამ უხერხულობას, ზოგჯერ მას უნაცვლებს ანაფორა ფუძისგან მიმღეობის აბსტრაჰირების საშუალებით ნაწარმოებ ლექსემას: Ἡ δὲ διάλληλος δείξις διαβέβληται παρὰ τοῖς φιλοσόφοις (Ammon. 74, 10): ხოლო ურთიერთობაი მჩუენებლობაᲲ საგობელ არს ფილოსოფოსთა მიერ (S 2562, 166 r): „ხოლო ერთმანეთით დასაბუთება (ე. ი. ერე დასაბუთებაში) საკიცხავია ფილოსოფოსთაგან“.

ამგვარად, „დასაბუთება-მტკიცებისა“ და მისი მონათესავე ცნებების გადმოსაცემად XII საუკუნის ფილოსოფიურ ენაში დამკვიდრებულ იქნა ტერმინი აღმოჩენა და მისი დერივატები: აღმოსაჩენელი, აღმოსაჩენი, აღმოსაჩინო.

იოანე ბაგრატიონს, რომლის „კალმასობის“ ფილოსოფიური ნაწილის მნიშვნელოვან წყაროს პროკლე დიადოხოსის ბეტიწისეული და ამონიოს ერმიასის ტრიბონისეული თარგმანები წარმოადგენს, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოუყენებია ეს ტერმინები: აღმოჩენ(ვ)ა, აღმოჩინება, აღმოჩინებული, აღმოჩინებითი სიტყუა (იხ. კალმ. თავი: „მარტივ აღმოჩენებისათუს“, გვ. 159). იგივე ტერმინებია დადასტურებული ამ ცნებათათვის იოანე ბატონიშვილისავე ხანის ცნობილი ლექსიკოგრაფის — ნიკო ჩუბინაშვილის (1788—1845) რუსულ-ქართულ ლექსიკონში, სადაც Доказываю ზმნა განმარტებულია შემდეგნაირად: „აღმოვაჩინებ, ვაჩვენებ“... Доказывание — „აღმოჩენა, დანახვება“... Доказанный — „აღმოჩენილი: Доказывается — „აღმოიჩინების, წარმოიჩინების“: Довод — „აღმოჩინება. მიწევნა ეშმარიტებამდე მოწმობა, სამოწმებელი, დართული წიგნის ბოლოს შემთხზველისაგან აღმოსაჩინებელად თუსისა დაწერილისა“. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩუბინაშვილისათვის ამ მნიშვნელობით უკვე ცნობილია სიტყვა საბუთი, რომელსაც იგი იყენებს Доказательство-ს განმარტებისათვის. Доказательство „აღმოჩინება, საბუთი პირის დასაყოფელი“.

საბუთი არაბული სიტყვაა. იგი გვიან ჩანს შემოსული ქართულში (საბას ლექსიკონში დადასტურებული არ არის). გვხვდება XVIII საუკუნის ისტორიულ საბუთებში (ჩანს, მის ხმარებას, როგორც სპეციალური სამართლებრივი სასათის ტერმინისა, სწორედ სამართლის ძეგლებში დაედო სათავე): წინაშე მოსამართლეთა რომ ვერ უყოს საბუთი და გამტყუნდეს მთქმელი და სტყუოდეს, სიკუდილის ღირსია (სომხ. სამართ., თ. 107, გვ. 255).

XIX საუკუნის სალიტერატურო ენაში საბეჭი და მისგან ნაწარმოები სიტყვები უკვე ფარითოდაა გავრცელებული (იხ. ქეგლ., ტ.VI).

რაც შეეხება (და)მტკიცება სიტყვას, ლოგიკური ტერმინის მნიშვნელობით მას უკვე ვხვდებით იოანე ბაგრატიონის „კალმასობაში“, მისი ფილოსოფიური ნაწერების იმ თავში, რომელიც სილოგიზმს ეხება: „ამა, იხილე, თუ ეითარ არს, რომელ, რაიცა უკუე შენიშნა ყოველმან კაცმან სამართლე ორთა პსჯათა შინა, არა ძალუს უარყოფა მესამისა, და ეარეთ ამტკიცებს იგი, რომელ პეტრე ლირს არს ჯილდოსა... ხოლო გამოჩრცხელი ამის დამტკიცებისა, სხტასა ვერარა-სა ჰყოფს, ეითარცა ცხადად აწერმოებს მას, რაცა სთქუა მან პირველად“ (კალმ., 42, 11—17).

ამ მნიშვნელობით დამტკიცება ლექსიკის ხმარების საფუძველს იძლეოდა მისი ერთ-ერთი მნიშვნელობათაგანი, რომელიც მას ძველსავე ქართულში ჰქონდა: სხეულ ვინმე დაამტკიცებდა და იტყოდა (ლ. 22, 59): Ἄλλος τις ἰσχυρίζετο, λέγων. Alius quidam affirmabat, dicens.

საგულისხმოა, რომ გამოჩინებულ და დამტკიცებულ სიტყვებს ეფთვიმე მთაწმიდელი სინონიმურ წყვილში ხმარობს: ამის ყოველისაგან გამოჩინებულ არს და დამტკიცებულ, ეითარმედ არს ჭეშმარიტად ღმერთი და ეითარმედ მიუწდომელ არს და უცნაურ ბუნება მისი ყოველთაგან დაბადებულთა (A 240, 33r).

3. სილოგიზმი. ზეპირ ენახეთ, რომ სიტყვიერი საქმიერობა ანუ მოფარდულობა (ლოგიკის დისციპლინა) დასაბუთებას შეისწავლის, ხოლო არისტოტელეს სიტყვებით, დასაბუთება რაიმე (გარკვეული სახის. სილოგიზმია: Ἡ μὲν γὰρ ἀπόδειξις συλλογισμός τις, ὁ συλλογισμὸς δὲ οὐ πᾶς ἀπόδειξις (Ἀναλ. I, IV, 1, გვ. 41, 38—39). ამონიოს ერმიასის მიხედვით: Ἐπειδὴ γὰρ ἡ ἀπόδειξις συλλογισμός ἐστιν ἐπιστημονικός (Ammon., 5). ალმოჩენაა შეგულისხტყვეა არს ბუნმიმწვენელობიაი (S 2562, 235 v).

ამჯერად, სილოგიზმი ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა ლოგიკაში. არისტოტელეს „ანალიტიკებში“ მოცემულია სილოგიზმის განმარტება, რომლითაც სარგებლობენ როგორც ამონიოს ერმიასი, ისე იოანე დამასკელი. არისტოტელე მოკლე განსაზღვრებასთან ერთად იძლევა დამატებითს განმარტებასაც, რაც იოანე დამასკელს განსაზღვრებაშიც შეაქვს.

არისტოტელე: Συλλογισμὸς δὲ ἐστι λόγος ἐν ᾧ τεθέντων τινῶν ἕτερόν τι τῶν κειμένων ἐξ ἀνάγκης συμβαίνει τῷ ταῦτα εἶναι (Ἀναλ I, გვ. 39). „სილოგიზმი კი არის ისეთი გამონათქვამი, რომელშიც რაიმეს მტკიცებისას ისაგან აუცილებლობით გამომდინარეობს დაშვებულისაგან განსხვავებული რაც სწორედ იმის გამო, რომ ეს ასეა“. ამის შემდეგ არისტოტელე იძლევა დამატებითს განმარტებას, რომ სწორედ დაშვებულის წყალობით გამომდინარეობს განსხვავებული აზრი, და რომ იგი არ საჭიროებს არავითარ გარეშე საბუთს დამტკიცებისათვის.

ოთახე დამასკელი: Συλλογισμός ἐστι λόγος ἐν ᾧ τεθέντων τινῶν ἤγουν ὁμολογηθέντων ἕτερον ἐξ ἀνάγκης τῶν κειμένων συμβαίνει διά τά κείμενα. διά γάρ τάς κειμένας προτάσεις γίνεται τὸ συμπέρασμα μή δεόμενον ἔξωθεν ἑτέρας τινός συστάσεως (Dial· ξέ, 133—134). „სილოგიზმი არის ისეთი გამონათქვამი, (აზრი), რომელშიც, თუ დაიშვება ან მიიჩნევა ერთი, დაშვებულისაგან გამომდინარეობს მეორე, სწორედ წინამძღვრების წყალობით მიიღება

დანასკვი და (იგი) არ საჭიროებს სხვა რაიმე გარეშე (დამამტკიცებელ) დამატებითს შედგენილობას“.

ეფრემ მცირის თარგმანი: შ ე მ ო კ რ ე ბ ა ჲ არს სიტყუაჲ, რომელი დაიდვის ვიეთგანმე. ესე იგი არს, აღსრულებულ და დაჯერებულ ქმნითა, რაჟამს იიძულის წინადადებულთაგან დაჯერებაჲ წინაჴდებარისაჲ და ესრეთ იქმნის შესრულებაჲ. რაჟამს არღარას მოქენე იყენიან გარეთ შემოსაკრებელსა (დიალ. ეფრ., 51, 1).

ამონიოს ერმიასი ყოველგვარი ცვლილების გარეშე იმეორებს არისტოტელეს განსაზღვრებას: Συλλογισμός δέ ἐστι λόγος ἐν ᾧ τεθέντων τίνων ἕτερόν τι τῶν κειμένων ἐξ ἀναγκης συμβαίνει τῷ ταῦτα εἶναι (Ammon. 8, 8—10).

იოანე ტარიელისძის თარგმანი: შ ე გ უ ლ ი ს ს ი ტ ყ უ ა ჲ არს სიტყუაჲ, რომელსა შინა დასმულთა რათასა სხუათასა რასმე მათ ჴდებარეთასა საჭიროდ ზეგმოხუეულ იგრეყოფაჲ მათ თანა (S 2562, 82 v).

როგორც ვნახეთ, ეფრემი συλλογισμός ტერმინის შესატყვისად ქმნის შ ე მ ო კ რ ე ბ ა ტერმინს. ხოლო იოანე ტარიელისძე იყენებს შ ე გ უ ლ ი ს ს ი ტ ყ უ ა ტერმინს, რომელიც არსენი იყალთოელის შექმნილი ჩანს იოანე ღაზარელის „დიალექტიკის“ თარგმნის დროს: Ἡ δὲ ἀπόδειξις συλλογισμός ἐστιν ὁ δὲ συλλογισμός συγκειται ἐκ δύο ἀληθῶν προτάσεων καὶ τοῦ συμπεράσματος (Dial, ἐξ, 132): „გამოჩინებაჲ შეგულისსიტყუაჲ არს, ხოლო შეგულისსიტყუაჲ შემრკოებულ არს ორთა ჭეშმარიტთა წინადადებათაგან და შესრულებისა (დიალ არს., 51,1): „დასაბუთება სილოგიზმია, ხოლო სილოგიზმი შედგება ორი ჭეშმარიტი წანაძღვრისა და დანასკვისაგან“.

შეგულისსიტყუ(ვ)ა წარმოადგენს ბერძნული συλ-λογισμός ტერმინის მიახლოებითს თარგმანს (როგორც ქვემოთ ვნახავთ, პეტრიწის შექმნილ ტერმინთან შედარებით იგი ნაკლებად ზუსტია). ხოლო ეფრემ მცირე იძლევა ამ ტერმინის აზრობლივ თარგმანს და ქმნის შემოკრება ტერმინს. თუ რატომ ირჩევს ამ ლექსემას და რა აზრს დებს შიგ, ეს კარგად ჩანს არსენი იყალთოელის თარგმანის ზემოთწარმოდგენილი კონტექსტიდან, სადაც სილოგიზმის შესახებ ნათქვამია, რომ იგი „შ ე მ ო კ რ ე ბ ი ლ ი ა“ ორი ჭეშმარიტი წანაძღვრისა და დანასკვისაგანო. აქედანაა სწორედ მისი სახელიც — შემოკრება. სილოგიზმი რომ (მსჯელობათა) „შეკრებაა“, ეს ჩანს ნემესიოს ემესელის თხზულების შემდეგი ადგილიდანაც: ქსენოკრატემან ესე შესატყუვაჲ შ ე კ რ ი ბ ა (ბუნ. კაც., 26, 24): „ქსენოკრატემ ეს სილოგიზმი შეკრიბა“.

συλλογισμός, როგორც ლოგიკური ტერმინი (მსჯელობათა ურთიერთმიმართების დადგენის შედეგად დასასკვის მიღების მეთოდი, გზა — დასკვნა), არისტოტელეს შემოღებულია. თუმცა თვითონ არისტოტელეც ამ ლექსემას ჩვეულებრივი მნიშვნელობითაც ხმარობს (იხ. Древнегреческо-русский словарь II, συλλογισμός — 2. рассуждение, размышление — peat. Arst.). იგი შედგება λογισμός ლექსემისაგან („სჯა, მსჯელობა, ზრახვა, მოაზრება, размышление, рассуждение) συν წინდებულისაგან, რომელიც თანაობაზე მიუთითებს და ქართულ თან წინდებულს შეესატყვისება. ამგვარად, ბერძნულ ტერმინში აღწერილია ამ ცნების შინაარსი, რაც შესანიშნავად აქვს გახსნილი ამონიოს ერმიასს: Ἀλλ' ἐπεὶ τοῦτο τό τοῦ συλλογι-

σμοῦ ὄνομα οὐχ ἁπλοῦν τι δηλοῖ ἀλλά σύνθετον (συλλογὴν γάρ τινα λόγων σημαίνει (Ammon 5). არამედ, „ულოგ, ამის შეგულისხმყუნა სახელი ცხადისყოფს არა მარტივსა რასმე. არამედ თანადადებულსა (რამეთუ შეკრებასა რასმე დასნიშნავს სიტყუათასა): (S 2562, 235 v.).

იოანე პეტრიწმა შესანიშნავად გაიაზრა ამ ტერმინის აგებულება და ის შინაარსი, რომ სილოგიზმი მსყელობათა, „შესიტყე(ვ)ათა“ თანაარსებობას გულისხმობს. ამიტომ, გამოიყენა რა ქართული ენის შესაძლებლობა და თანა წინდებულის სიტყვაწარმოებითი უნარი, „ალეგორების გზით ააგო ბერძნული ტერმინის ზედმიწევნით შესაბამისი ქართული ტერმინი თანშესიტყუა: სამ არიან ნაწილნი სკლოგიზმისანი. რომელ არს თანშესიტყუაჲ. ვინაჲ, ამას თანშესიტყუასა სამპერაზმაჲ ერთ ყოფს და ერთისგან, რამეთუ სამთა-მიერ საზღვართა ყოველი სკლოგიზმჲ და ერთისა სამპერაზმაჲსა (II, §.II, 22, 4—5): „სილოგიზმი, რომელიც თანშესიტყვაა, სამი ტერმინისგან შედგება და ერთი დანაკვეთისაგან“.

სილოგიზმის აღნიშვნელობით პროკლეს ტრაქტატის კომენტარებში პეტრიწი სხვაგანაც იყენებს თავის ახლად შექმნილ ტერმინს: ვითარცა ალმოაჩინოს იძულებითმან კანონმან თანშესიტყუსამან (II, § I, 10, 15): იძულებათა მიერ თანშესიტყუათაჲსა ალმოაჩინოს მრავალსაქადაგოჲ იგი ერთი (II, წინას., 3. 4—5). „ახლად შექმნილსა“, ეამბობთ იმიტომ, რომ უფრო ადრე. ნემესიოსის წიგნის „შეწყობისას“ იოანე პეტრიწი συλλογισμός ტერმინს თარგმნის შესიტყუვა ლექსემით: Ὁ Κληάνθης τοῖον δὲ πλέκει συλλογισμόν (Νεμ. 545): კლეანთოს ესევითარსა თხზავს შესიტყუეასა (ბუნ. კაც. 26, 19). ამავე თარგმანში იგი შესიტყუეა ლექსემითვე გადმოსცემს სილოგიზმის ცნებას. თუმცა ეს ტერმინი დედანში არც არის ნახმარი: Ξενοκράτης οὕτω συνῆγε: εἰ δὲ μὴ τρέφεται, πᾶν δὲ σῶμα ζῶον τρέφεται, οὐ σῶμα ἡ ψυχή (Νεμ., 542). რამეთუ ქსენოკრატიმან ესე შესიტყუეაჲ შეკრიბა: ვინაჲ, თუ ნამდვილარ იზრდების სული - ყოველი უკუე სხეული ცხოველისაჲ იზრდების — არა ვიდრეცა სხეულ სული (ბუნ. კაც. 26. 24—26): „ქსენოკრატემ ეს შესიტყვება (სილოგიზმი) შეკრიბა (შეადგინა): ამგვარად, თუ სული არ იკვებება, ხოლო ყოველი ცოცხალი სხეული იკვებება, მაშასადამე სული არ არის სხეული“. როგორც ეხედავთ, შესიტყუვის საილუსტრაციოდ მოტანილია სილოგიზმი, რომლის ერთ-ერთი წანამძღვარი უარყოფითია.

შესიტყუვა ტერმინს იოანე პეტრიწი „კავშირთა“ განმარტებაშიც ხმარობს ამ წყვილში: სილოგიზმის კანონი ანე „ლოგიკის კანონი“. არისტოტელეს მიერ მოპოვნებულთა შესიტყუთთა კანონთაჲთ ჩემებული სიმართლე, რომლითა ურღუეველს პლატონს პერიპატელნი, განაცხადა და უმდგმო-ყო (II, წინას., 5, 15).

ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთას“ ძველ ქართულ თარგმანში, როგორც მოსალოდნელი იყო, συλλογισμός არ არის გაანზრებული, როგორც სპეციალური ტერმინი და იგი თარგმნილია შეთხზულებაჲ განზრახვისა შესიტყვებით... τὰς τῶν συλλογισμῶν λέγω πλοκάς (Ἑξαημ. 197): (რომელსა ვერ ჰპოებენ ბრძენნი ქუეყანისანი... ფრიად მოკალებითა თჳსითა), ვიტყუ შეთხზულებითა განზრახვისა მათისაჲთა (ექუსთა, ძვ. 129, 29—30). ძველ მთარგმნელს მისდევს გიორგი მთაწმიდელიც, როდესაც ამა-

ვე ტერმინს თარგმნის იმავე შესატყვისს ინვერსიული რიგით. ოღონდ დაშატებით შემოაქვს სინონიმი. ალბათ. აზრის უფრო ნათელსაყოფად: **გულისხმისყოფისა** და **განზრახვისა** შეთხზულებითა (ეკუსთა, გ. ათ., 109, 1—3).

ამგვარად. განხილულ ტერმინთა შორის ყველაზე მოხერხებული ტერმინი, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს თავისი გამოსახველობითი ძალა, არის პეტრიწისეული თანშესიტყვა. სამწუხაროდ. იგი არ დამკვიდრებულა ქართულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაში. ამას, შესაძლებელია ხელი შეუწყო იმანაც. რომ ეს ტერმინი უთარგმნელად, ბერძნული ფორმით შევიდა ლათინურში (მაგალითი არისტოტელეს „ანალიტიკების" თარგმანიდან: Syllogismus vero est oratio). საიდანაც იგი გავრცელდა სხვა ენებში და მათ შორის ჩვენშიც. თუმცა. უნდა აღინიშნოს. რომ ლათინურის გარეშეც. ანუ ძველ ქართულ თარგმანებშიც ეს ტერმინი ხშირად უთარგმნელად გვხვდება. როგორც ზემოთ ვნახეთ. თვითონ იოანე პეტრიწსაც და იოანე ტარიელსძესაც: ანოდიქსი სკლოგიზმოსი რაიმე არს (S 2562, 245 r). თუთ მას მეღონეობასა გუანწყვებს ჩუენ. რომელ არს ანოდიქტიკანი სკლოგიზმოსი (S 2562 23 r).

ეს საკვირველია, რომ იოანე ბაგრატიონი, რომელიც ძალიან ხშირად იყენებს ძველ ქართული თარგმანების ტერმინოლოგიას. ამ შემთხვევაში რატომღაც გვერდს უვლის ზემოთ განხილულ ტერმინებს და სრულიად შეუსაბამო ლექსემებს გთავაზობს სილოგიზმის შესატყვისად: **ეგონიერება. გონებობა. იმ თავს, რომელშიც სილოგიზმს განიხილავს, სათაურად აქვს „ეგონიერებისათვის". იოანე ბაგრატიონი ამ ეგონიერებას-გონებობას. ე. ი. სილოგიზმს შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ეგონიერება არს თუთ გულისხმიერება და შაერებული სამთა პსალთა მიერ. მაგალითად. კეთილმოქმედი კაცი ღირს არს ჯილდოისა, პეტრე არს კაცი კეთილმოქმედი. და ესრეთ. პეტრე ღირს არს ჯილდოისა ესა, ეგონებობა. რომელიცა შეერებულ არს სამთა პსალთა გამო (კალ. 41. 27—31).**

საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს. რომ იოანე ბაგრატიონის „ალბასობის" ფილოსოფიური ნაწილი, რომელიც შეიცავს არისტოტელეს, პორფირის, პროკლეს, ამონიოს ერმიასის, იოანე დამასკელის ტრაქტატების ძველი ქართული და სომხური თარგმანებიდან აღოკრებულ ნაწყვეტებს. ფილოსოფიურ ტერმინთა წარმოების თვალსაზრისით დიდად არის დავალებული ძველ ქართულ ფილოსოფოსთა თარგმანებისაგან.

დამოწმებული ძეგლები და შემოკლებანი

ბენ. კაც.—ნემესიოს ემესელი. ბუნებისათვს კაცისა, ბერძნულითგან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ, გამოსცა ს. გორგაძემ. ტფილისი, 1914.

დიალ. — იოანე დამასკელი. დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფავამ. თბილისი, 1976.

ეკუსთა ეძ. — ბასილი კესარიელი. „ეკუსთა. დღეთაჲ". უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის ეკუსთა დღეთაჲსა „და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აღებულებისათჳს", X—XIII სს ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბილისი, 1964.

ეკუსთა, გ. ათ. — ბასილი დიდი. ეკუსთა დღეთაჲ. გიორგი ათონელის თარგმანი. ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბილისი, 1947.

ი. პეტრ. I—იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. I, პროკლე დიადოხოსის პლატონერისა ფი-

ლისოფოსისა კაუშირნი, ქართული ტექსტი გამოსცა. გამოკვლევა და ლექსიკონი დაერთო სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940.

ი. პეტრ. II — იოანე პეტრიწი, შრომები, II. განმარტებანი პროკლესათვს დიადოხისა. ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაერთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1937.

ეაგ ბ. — იოანე ბაგრატიონი, კალმასობა, ფილოსოფიური ნაწილი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გელნარა დედაბრიშვილმა, თბილისი, 1974.

ს ო ბ. სამართ. — სამართალი სომხური, ქართული სამართლის ძეგლები, I, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაერთო ი. დოლიძემ. თბილისი, 1963.

S' 2562 — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S' ფონდის № 2562 ხელნაწერი, ამონაწერი ეიმოას ბისა, მოსაკუსენებელი ხუთთა კმაოდმი პორფირი ფილოსოფოსისათა,' მოსაკუსენებელი ათთა კატეგორიათადმი არისტოტელისათა.

A 240 — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის № 240 ხელნაწერი, კრებული. ფ. 26r—161r „წინამძღვარი, თქუმული იოანე დამასკელისა," ეფთიმე ათონელი თარგმანი.

A m m o n. — Ammonius In Porpbirii Isagogen, vive V voces, éd. Ad. Russe, Berolini Commentaria in Aristotelen graeca, vol· IV, MDCCCCXXXXI.

A n a l. — *'Αριστοτέλης, 'Αναλυτικα τροτέρα 'Αριστοτέλης* opera omnia, graece et latine, vol. I, Parisiis, édit. Ambrosio Firmin Didot, MDCCCLXII.

D i a l. — Die Schriften des Joannes von Dammaskos, I, Dialectica, ver. Bonifatius Kotter, Berlin, 1969.

'Εξ a η μ — Basilii Magni, *Εἰς τὴν ἑξαημέρον*, Patrologiae cursus completus, Series graeca P.. Migne, 1857, t. XXIX.

N e μ. — *Νεμεσίου ἐπισκόπου 'Εμέσης, περὶ φυσέως ἀνθρώτου*, Patrologiae graeca éait P, Migne, 1857, t, XXIX.

П *ρ o κ λ.* -*Πρόκλου Διαδόχου πλατονικοῦ Στοιχείωσις θεολογική*, Plotini, Enneades, édit A. F. Didot, Parisii 1855.

ამონიოს ერმიასის თხზულებანი ქართულ მწერლობაში

დავანა მელიქიშვილი

ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია V საუკუნის ბიზანტიელი ფილოსოფოსის, ალექსანდრიელი ნეოპლატონური სკოლის მეთაურის — ამონიოს ერმიასის თხზულებათა ძველ ქართულ თარგმანებს. ესენია: 1. „მოხსენებული „ხუთთა კმათადმი" პორფირი ფილოსოფოსისა" (კომენტარები III საუკუნის ბიზანტიელი ფილოსოფოსის პორფირის ცნობილი ლოგიკური თხზულების — „შეკვანილებისა" ანუ „შესავლისა", რომელიც თავის მხრივ, არისტოტელეს ხუთი ძირითადი ლოგიკური ტერმინის განმარტებას წარმოადგენს); 2. „მოხსენებული ათთა კატეგორიათადმი არისტოტელისა" (კომენტარები არისტოტელეს კატეგორიებზე).

ეს თხზულებანი, ქართულად თარგმნა XI-XII საუკუნეთა მიჯნაზე, ელინოფილური მიმართულების, კერძოდ, პეტრიწის სკოლის მოღვაწემ მიერ. ლიტერატურული ტრადიცია მათ თარგმნას ოთხი ტარიელისძეს მიაწერს.

„მოსახსენებელთა" ქართულად „ჯადმოდება" თეორიულთან ერთად ხრულად პრაქტიკულ მიზნს ახასიერებდა: მიეცა ქართველთათვის ხისტემატური ხასელმძღვანელი ლოგიკის, როგორც ფილოსოფიის (და აქედან — თეოლოგიის) საარსის („ორგანონის"). აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის, უკვე ორჯერ — ჯერ ეფრემ მცირისა და შემდეგ არსენ იყალთოელის მიერ — იყო თარგმნილი — ოთხი დამატებელის „დიალექტიკა" (რომლის, ერთ-ერთ ძირითად წყაროს ამონიოსის ეს კომენტარები წარმოადგენს და, რომელიც ფილოსოფიურ ცნებათერმინთა განმარტებებს შეიცავს ქრისტიანული თვალსაზრისით) და ამგვარად, „დიალექტიკასთან ერთად, ამონიოს ერმიასის „მოხსენებელთა" თარგმნით ქართველებმა შეძინეს ლოგიკურ-ფილოსოფიური და თეოლოგიური ხასიათის ხისტემატური კურსი, რომელიც უეჭველია, გამოიყენებდა, როგორც ლოგიკა-ფილოსოფიის ხასელმძღვანელი ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში, ანუ „ხასწავლებლებში ყრმათათვის". უფრედ ამაზე უნდა შეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ ამ ორი ავტორის თხზულებანი — დამატებელის „დიალექტიკა" და ამონიოს ერმიასის „მოხსენებელები" — ხშირად ერთ კრებულად შეკრული და ასეთი რამდენიმე კრებული ჩვენამდე მოღწეული.

ამგვარად, ამ შრომათა ერთ კრებულად შეკვრა ხაუკუნეთ ხაუკუნეთა ხაქართველოში შემოსვლისა არ უნდა ეთქვიანი ისევე, როგორც შემოსვლისა არ არის ის ფაქტი, რომ ორივე ავტორის ამ ლოგიკურ-ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა ძველ ქართული თარგმანების გამოცემა ჩვენს დროში ხათანდი მეცნიერული აპარატით და მნიშვნელოვანი გამოკვლევებით განხორციელა ხაქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის ხან. ხელნაწერთა ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, მაია რატიანმ (ის. ოთხი დამატებელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მაია რატიანმ, თბილისი, „მეცნიერება", 1978. ამონიოს ერმიასის თხზულებანი ქართულ მწერლობაში, ტექსტები გამოსცეს მოამზადეს ნათელა კეკელიძემ და მაია რატიანმ, გამოკვლევა, ლექსიკონი და ხაძიებლები დაურთო მაია რატიანმ, თბილისი, „მეცნიერება", 1983. ორივე გამოცემის რედაქტორია პროფესორი მზეკალა შანიძე).

ეს ფაქტი მეტყველებს მეცნიერის ხრულად გამოკვლეულ, მიზანდასახულ ინტერესებზე: ესაა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ერთი უმნიშვნელოვა-

2. ახალი სიტყვების წარმოებისას პეტრიში და მისი თანამოღვაწენი ხშირად მიმართავენ ამა თუ იმ ფუძის რომელიმე აფიქსთან არაორგანულ, "უჩვეული" კომბინაციებს. ასეთი "უჩვეული" კომბინაციების დაშვება ტარაუვალი ხდება ახალ ცნებათა ნიუანსობრივი ტანსხვავებისათვის /ასეთ ტანსხვავებას ემსახურება, მაგ. სიკეთე და კეთილობა ტერმინების დაპირისპირება იოანე პეტრიწის მიერ, ისევე, როგორც სიმშვიდე და მშვიდობა ლექსემებისა. საერთო- ობა სუფიქსის მოქმედების

არის ტაფარეული დამახასიათებელია ამ სკოლის მწერლებისათვის: ქცევადობა, ქმნადობა, წევსიობა, ითვლობა, ოდესმეობა, რაობა, არსადობა.../ ასევე არარეფლექსიური კომბინაციები სიტყვა-ნარმოების ეკონომიურობის პრინციპის ანალოგიურებასაც ეხსახურება / მაგ., უფრიობილი ხარისხის ფორმაა ადექსური ნარმოების წესისაბრ ფუძეზე ნაერცელება: უტანმტკიცებულესი, უშორესესი, უტანმორებულესი, უტანცხადებულესი, უტარეშემცველესი, უქუენესი.../.

3. მეტად აფარეულებენ ამ სკოლის ნარმომადგენელნი არაბრუნვადი სიტყვათა—ბმნიზეების, პირიანი ბმნების, ანბრეულების ანასუხსტანტივების ბმიდ ახალი ტერმინების ნარმოების არეს /ოტორიცაა არსი, ოდენ , ოდესი, აქად , მუნად , ამი, მცირი, ბორისი, მიმართი, ანი და სხვ./. ასეთი ანალიზებია ტერმინთა ნარმოებისას დაშვებული ჭეშმარიტი ფილოსოფოსებს, რომელნიც არარეფლექსიურ ანალიზებს ეარგებიდ სუბსტანტივად აქცევენენ ბმნის პირიან ფორმას, ინფინიტივს, წინადებულს, ან მოდ შესიტყვებას/ τὸ εἶναι, τὸ εστί, τὸ ἐν τινι / მიდ უფრ შესაძლებელი ოდ ამ ხერხის გამოყენება ქართულ ენაში, რომლის ერთ განსაკუთრებული ფესვება, რომელ ერთ ანალოგიური ფესვება, რომელ ერთ ანალოგიური ფესვება, რომ "ჩვენს ენაში არ არის არც ერთ სიტყვის ნაწილი, რომ, რომელ საბელი არსებითი არ იმოქმედებოდეს, ანდ ბმნიზეა ალიეთ, ანდ ანბრეული, ანდ ბედშესული, ანდ ნაცვალსახელი, ანდ ფეიონ ბმნაც, რომ ულეიერების ფორმაშია /ილია, "აი, ისტორია"/.

4. ასევე აღსანიშნავია ამ სკოლის ძალებში ბრუნვის ფორმანტებისა და ანბრეულების განსაკუთრებული ადგილი და ფარული გამოყენება ლოგიკური ანალიზების ფუნქციად. ეს ფოდელი მეკი-

ცელია დამკვიდრებული დაწამებრივე მეცნიერული ლექსიკაში /ქცევადი ანუ ცვალებადი, ბოლადი, ბოლადობილი, აღთლობილი, დასაგამობილი, ბრძოლიერ, შემოქმედებილი, სხვულებრივი, ყამისშორისი, ტვინისმიერი, ცეცხლისმიმარი და სხვ./.

· ბევრი ქართული წესებიდ წაწარმოებ ტერმინებს ალბათ პირველად შესაძლებელია უჩვეულობისა და ხელოვნურობის იერი ექნიდეთ, მაგრამ დროდა ქართულობაში ისინი შეეჯისებიან ენის ქსოვილს, ენა ძალიანისებს მათ, და შესაბამისი მეცნიერება განაგრძობს ქართულობრებას და მოამზადებას ექნება საბოლოო პირობები იმისათვის, რომ შესძლოს ამ მემკვიდრეობის აღეთვება. მოსალოდნელი, XII საუკუნეში საქართველოში ამისათვის საუკეთესო პირობები იყო. ბერძნის სკოლა აქვს გავლილი ბაეთვის ისტორიკოსს, მაღალმხატვრული ენისა და რიტორიკული მეტყველების ამ დიდოსტატს, შალვესა და ჩახრუხაძეს, "ისტორიანდ და ამბანდ" ავტორს, ბასილოს, შოთა რუსთველს, რომლის ლექსიკასაც ამკარად ატყვია ბერძნის სკოლის დიდი გავლენა: მხეთველობაში გვაქვს პლატონისეული კაეშანნი და სინა ტერმინების ნეოპლატონური ფილოსოფიისათვის ნაწერებიდ კონტექსტში ხმარება/ "ბამბლიან ჩემნი კაეშანნი, შეერთვეთარ სულდ სინასა"/; გვარ ტერმინის "იდეის" მნიშვნელობიდ და ფიმის - "ბვარეობიდი ცნების ბაბეთიდ გამოყენება /ეფექტ მიჯნურობა პირველი და ფიმი გვარდ ბენადა"/; ასევე, პლატონისეულია ფორმიდაც და მიწაარსიდაც ტერმინები: უსულო, ანგელოზი, ახსენება, ოცნება, ბაბასება, შეწადებენ და სხვ. ბაკვლა იკრძობა ალბეთვე, საერთო, სიტყვაწარმოების პლატონის /ბერძნული/ პრინციპების ბაყარებაში / მესაჭი, მისწრაფე, მიმო, მორაკლეთ, მოკეფესი, მიახლე—ახლო მყოფის მნიშვნელობიდ, ბეკუნებლ, ზეიმი, ბამეტეთარი და სხვ./, რომ აიარაფერი

ეიქვეა რუსთველის ენაში წასახელარი ბმნების ულევ ნაკადზე, რომელსაც ფარო ტბა მისცა სნორევ პეტრინმა და მისმა სკოლამ, რომელიც მხატვრულ ხერხს, რომლის მეშვეობითაც ხდება დინამიკური და ექსპრესიული ხდება მიდ უფრო, თუ იგი ალიტერაციას ქმნის მის ძირეულ სახელთან ერთად / მაგ. მის ერთისა მიერ წარმოარიცხუა რიცხვ: განმარტ., 160,24; ესე საკენი იტალად ოდენ ესახელებიან და ეიტალენებიან: იქვე, 12,10; სნეულს წყურეულსა ბედა და ელმის ლემოსა ბედა და სურის სურეულსა ბედა: იქვე, 35,12; არცა მოცმეს ტონერიდა სიყმილიდა, არც მოენყურის წყურილი, ეიდარ ურნმუნოდა: A 52, ფ. 50ბ.../.

მაგრამ, საბნუხაროდ, მემკვიდრეობითობის ეს ხაზი უწყვეტი არ ყოფილა. XIII საუკუნიდან, მონღოლების შემოსევიდან მოყოლებული, ქართული სახელმწიფოებრიობის შერყევის შედეგად ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების შეფერხებასთან ერთად განცდა ფილოსოფიური აზრის განვითარების ხაზიც. XVIII საუკუნეში, როდესაც კვლავ აღორძინდა მეცნიერული აზრი, ფილოსოფიისადმი ინტერესი შემოიფარგლა ნეოპლატონიზმის /რომელიც XI-XII საუკუნეების ბიზანტიური და ქართული რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის ქვაკუთხედს წარმოადგენდა, მაგრამ, რომელსაც XVIII საუკუნეში რეალური საფუძველი აღარ ჰქონდა/ ხელოვნური და ფორმალური გადმონერგვად და, ასევე, ფორმალური მიბაძვად იმ მეცნიერული ენისა, რომლითაც იყო შესრულებული ეს ფილოსოფიური ხელნაწერები ევროპის სკოლაში. ამ ენის ფორმალური სტილიზაციისა და ხელოვნური ფსევდოარქაიზაციის შედეგი იყო ის, რომ ანტონ ბაგრატიონისა და მისი სკოლის მიერ შექმნილი ფილოსოფიურად მნიშვნელოვანი და დიდძალი მეცნიერული ლიტერატურა ,,ერაქლ სული უსარგებლო დარჩა შემდგომი ათწლეულებისადმი[28]. თუმცა,

28 XVIII საუკუნის ქართული ფილოსოფიური მწერლობა კომპილაცი-

ამას ვერ ვიტყვით გრამატიკულ მეცნიერებაზე, რომლის ორიგინალობამ, მაღალმა დონემ და პრაქტიკულმა საჭიროებამ და, ამავე-ნად, მჭიდრო კონტაქტმა საერთო-სახალხო ენასთან, ანთროპის ენის სიწმიდისა და ხელოვნურობის მიუხედავად ძნა გაუხსნა და დაწერა სნორედ XI-XII საუკუნეების ეიფოფილური მიმართულების მი

საინტერესო ხაზაში, ხოლო კონტაქტები დასავლეთ ევროპელ მეცნიერულ საზოგადოებასთან დასაბამი და ცნობილი მიჰეზების ტაბი ბიბლიაზს ვერ მიხვერდა:. საბა-სულხან ორბელიანის პოლიტიკური მისია მიტმაურობას ევროპაში არც ამ თვალსაზრისით ტამიუნია წასვლა; მხოლოდ XVIII საუკუნის ბოლოდანაა ისევ ანტონისა და მისი სკოლის მიღებული ცდები რუსეთის ტბის ტაკვით ტახლა შესაძლებელი ევროპელი მეცნიერული ლიტერატურის ტაცნობა და ათვისება / რომელიც ოდ, მაგ. ბაუმგარტნერის ლოგიკა მისივე მეტაფიზიკა, ეთიკა, ეროფიუსის ფიზიკა და სხვ./[29]. ამგვარად, მთელი ის ხანგრძლივი პერიოდი, რომელიც, მაგალითად, ევროპული ფილოსოფიური აზრი აყვავებას განიცდიდა და სპეციალური ფილოსოფიური ენა და საერთო სახალხო ენა მჭიდრო კონტაქტის შედეგად ურთიერთგავლენა ეთანრდებოდა და მდიდრდებოდა ყოველ ევროპული ფილოსოფოსთა მიერ შექმნილი ლექსიკონ, სწორედ მთელი ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქართული ფილოსოფიურმა აზრმა და შესაბამისად—ენამ კონსერვაცია განიცადა და ამიტომ ვერ მიიღო მონაწილეობა საერთო სახალხო ენის ლექსიკის განვითარებაში.

ოარდა ამისა, რომელიც ეხებოდა ძველი ქართული ფილოსოფიური ლექსიკის ბედის საკითხს, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ, ცნობილია, სპეციალური მეცნიერული ტერმინოლოგია საერთაშორისო ენის საერთო ლექსიკურ ფონდს ეკუთვნის, მაგრამ მისი ზოგიერთ გარკვეული, მცირე ნაწილი შეიძლება იქცეს ყოფილ, საკუთარად ენაში სამოგადოდ ტამოსაყენებლად და სახმარად /ხდება ისეც, რომ ზოგიერთი ტერმინი ზოგიერთ ამა თუ იმ ფილოსოფოსის ლექსიკონის კუთვნილებად რჩება და სხვა ფილოსოფიურ სისტემებში შეიძლება საერთო არ ფიგურირებდეს/

---

29 კ. კ ე ბ ლ ი ძ ე , დასახ.ნაშრ., გვ.254.

ამგვარად, იოანე პეტრიწისა და მისი დაწყებულებების მიერ ჩამოყალიბებული კლასიკური სისტემა ფილოსოფიური ტერმინოლოგიისა მანამ, სანამ მოასწრებდა გამყარებას, ექსტრალინგვისტური ფაქტორების მოქმედების გაუღებლად / და არა იმის გამო, რომ ითქვის მის მიერ შექმნილ ტერმინოლოგიურ ბევრი ვერ შეეფეთა ქართული ენის ბუნებას მაგ. "ხელოვნურობის" გამო/, დაწყებულ ირღვევა მის ფლოვებში იყრებოდა უკვე აღმოსავლური ენობრივი ტარებოდან მოძალებული სიტყვები /რაც ამ საბუთებისგან პოლიტიკურ-კულტურულ-ლიტერატურული კონტაქტებით ყო გამოწვეული/. ასე, მაგ. იოანე პეტრიწის მიერ ტერ /νοῦς / ძირისგან შექმნილ გამყარებული და წაღული გამომსახველობითი უნარის მქონე ტერმინია /ტალნება, გამგონე, გასაგონი, მიგებულება νόησις,νοῦν, νοητός,διάνοια სისტემაში შეიყრა სრულიად განსხვავებული ძირებიდან წარმოებული ტერმინები / წასესხები: საბრი - აბრიკნება - მოაბრიკნე; ქართული: ტალება, მიხვედრა, განსჯა, შემეცნება, შემმეცნებელი, შესამეცნებელი.../, ასევე, ქართული ტანი - საგანი / σκοπός / შეცვალა სპარსული ტერმინ შემოსულმა არაბულმა მიბაგ სიტყვამ; აღმოჩენა - აღმოსაჩენი / ἀποδείξις /- არაბულმა საბუთ-დასაბუთებამ და სხვა, ხოლო ჩემი დასახელებული ქართული ტერმინებს საერთაშორისო ენაში სხვა მრავალნაირობები გაწუეთარია /ტალნება - "მისმენა", აღმოჩენა - "ახლის მიგნება","открытие", საგანი- "ობიექტი", "ნივთი" "вещь" /.

ამგვარად, დაწამეერილ ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია საერთლობის სრულიად სხვადასხვა სისტემაა მოწესრიგებული, რომელშიც ერთმანეთია ორეული ერთი მხრივ, საკუთრივ ქართული, ძირები და აფიქსები, მეორე მხრივ, უცხოენოვანი,წასესხები ძი-

რები და აფიქსები; ერთი მხრივ, ძველი კალკირებული მიღებები ბერძნული ტერმინებისა, მეორე მხრივ კი – ახალი კალკები რუსული და ევროპული ენებიდან. ამასთან, იღესოაც უშუალო კავშირი ბერძნულ მეცნიერულ ენასთან ღოს გამუალებულია ლათინურ-გერმანულ-რუსული გზით. აღსანიშნავია ისიც, რომ თანამედროვე ქართული მეცნიერული ენა ამრავალ სულ უფრო მეტად იტვირთება უცხოენოვანი წასესხები ტერმინებით, რაც გამოწვეულია ამ მეცნიერებათა განვითარების სწრაფი ტემპით და საერთაშორისო მეცნიერული კონტაქტების გააქტიურებით. გარდა ბემით დასახელებული მიბეპებისა, არამცირე როლს ასრულებს, აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგების ან ერთი და იმავე დარგის სხვადასხვა დროის მესვეურთა პოზიცია სპეციალურ ტერმინთა წარმოების პრინციპებისა და გამუშავების პრობლემებისადმი,/და ბოლოს მათი ინდივიდუალურობაც ამ საკითხებისადმი/. ასეთ პირობებში ღოს განსაკუთრებით საჭირო გვესახება აღვისება და გაგარება ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწისა და მისი სკოლის შემოქმედებით პრინციპებისა, რაც ყოველთვის აქტიურ გამოკიდებულებას საკუთარი ენის სიტყვაშემოქმედებისადმი.

Меликишвили Д.Н.

Гелатская академия и вопросы развития грузинского научного языка

(Резюме)

Гелатская философо-филологическая школа, которая является одной из сильнейших и значительнейших разветвлений эллинофильского течения в истории грузинской литературы, основана "божественным" философом, неоплатоником – Иоанном Петрицы.

В статье подчеркивается особый интерес этой школы к теолого-философской экзегетике и научной литературе. В сферу интересов данной школы входили труды Платона, Аристотеля и их комментаторов-неоплатоников (Порфирия, Аммония. Гермия, Немезия Эмесского, Прокла Диадоха), а также христианская экзегетическая литература как ранневизантийского, так и позднего (XI-XII вв.) периода.

Характером данной литературы и был обусловлен основной принцип переводческой деятельности этой школы, а именно буквальность и точная адекватность перевода.

Деятелями Гелатской школы была разработана последовательная система грузинской научной терминологии, модели которой действуют и поныне.

В статье рассмотрены основные методы и принципы, которыми руководствовались деятели Гелатской школы и применение которых следовало бы при разработке философской и отраслевой научной терминологии в современном грузинском языке.

წინასწარი შენიშვნები იოანე პეტრიწის „განმარტების“ გადმოახალქართულებულ ვარიანტთან დაკავშირებით[1]

იოანე პეტრიწის „განმარტების“ გადმოახალქართულებას ბევრი სიძნელე ახლავს თან. ეს სიძნელეები, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია პეტრიწისათვის მეტად დამახასიათებელ მეტაფორულ აზროვნებასთან, პოეტურ მეტყველებასთან. მისი მეტაფორული სახეებისა და აზრების ამოკითხვა ზოგჯერ ძალიან ჭირს, ან თუ ხერხდება, მაინ ახალი ქართულით გადმოტანისას იკარგება ის პირველქმნილი სილამაზე და აზრის სიღრმე, რომელსაც, ჩვეულებრივ, ძველი ქართული, და, კერძოდ, იოანე პეტრიწის ენა იტევს. ამიტომ ზოგჯერ მეტაფორებს ვხსნით და შესაბამის აზრს ზუსტი ენით გადმოვცემთ.

საერთოდ „განმარტება“ (პეტრიწის მიერ, როგორც ჩანს, გელათის აკადემიის მსმენელთათვის შექმნილი სალექციო კურსი, ანტიკური ფილოსოფიის ძირითადი მეტაფიზიკური პრობლემების გარშემო პირველწყაროების ციტირებითა და კომენტირებით), განსხვავებით პროკლეს მშრალი, თეზისური, მათემატიკურად ზუსტი ენისაგან, რომელიც განსაზღვრავს მისი ტრაქტატის პეტრიწისეული თარგმანის სტილს, გამოირჩევა ცოცხალი, სალაპარაკო, თხრობით-დიალოგური, პოეტურ-მეტაფორული სტილით, რომელიც ძალაუნებურად პლატონის დიალოგების თხრობით-დრამატულ, სალაპარაკო-ორატორულ, პოეტურ-მითოლოგიური სტილისაკენ მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას (იმ განსხვავებით, რომ პლატონი დიალოგური ფორმით აგებს წინააღმდეგობებით აღსავსე მსჯელობებს, სადაც მას მოპასუხე სჭირდება იმისათვის, რომ წამოყენებული ჰიპოთეზის დადასტურებისა თუ უარყოფის გზით მივიდეს ჭეშმარიტებამდე, ხოლო პეტრიწის დიალოგში, თუმცა მოპასუხე არ ჩანს, მაგრამ მსმენელი და მოსწავლე, რომელსაც მიმართავს ავტორი, მუდამ ყურადღების ცენტრშია და მკითხველთან ერთად გონება და სმენა დაძაბული მისდევს მისი დიალექტიკის რთულ ხვეულებს)[2].

---

[1] იოანე პეტრიწის „განმარტების“ ი. ფანცხავასეული თარგმანი, გამოცემული 1942 წელს, ხელმეორედ გამოიცა 1984 წელს, ვ. ლეონიძისა და ს. ნათაძის რედაქციით, საფუძვლიანი გადამუშავებითა და კომენტარებით. იხ. Иоанэ Петрици, Рассмотрение платоновской философии и Прокла Диадоха, Философское наследие, т. 91, М., 1984.

[2] „განმარტებისა“ და საერთოდ იოანე პეტრიწის ენისა და სტილის შესახებ იხ. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიური შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975.

ყოველივე ამის გამო ვეცადეთ გადმოახალქართულებისას არ დაგვკარგოდა იოანე პეტრიწის თხრობის ხატოვანი სტილი, მისი ფრაზის დინამიზმი, და ექსპრესიულობა, რაც მიიღწევა ქართული წინადადების ნეიტრალური სიტყვათგანლაგების დარღვევითა და შესაძლებელი, მაგრამ იშვიათი წყობის უტრირებისა და მარკირების გზით. ამგვარად, ვცდილობდით მივყოლოდით მის პოეტურ ენასა და ფრაზის აგების მანერას მანამ, სანამ, პეტრიწისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „აზრს ენება და დაშლა არ შეემთხვეოდა". მაგრამ ხშირად თანამედროვე ქართული მოითხოვდა სიტყვათა „შემატებას" ან „კლებას". ასეთ შემთხვევაში აზრის უფრო ნათელსაყოფად მიმატებულ სიტყვებს კვადრატულ ფრჩხილებში ვსვამდით.

გადმოახალქართულებისას ხშირად სირთულეს ქმნის ფილოსოფიურ ტერმინთა მრავალმნიშვნელოვნება, რაც, ჩვეულებრივ, მომდინარეობს შესაბამისი ბერძნული ტერმინის პოლისემიურობიდანვე. ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ ჭირს მოცემული კონტექსტისათვის სათანადო ერთი მნიშვნელობის პოვნა. ამიტომ გამონათქვამის აზრი რომ არ დამახინჯდეს, ძალიან ზუსტად გადმოცემისა და ნიუანსებში ჩაწვდომის მიზნით, პეტრიწის მსგავსად ხშირად სინონიმური პარალელიზმის (ჰენდიადისის) ხერხს მიეშართავთ და მისეულ ტერმინს ახალი ვარიანტის გვერდით ჯერ ფრჩხილებში ვსვამთ, რათა მკითხველი მას თანდათან შეეჩვიოს, შემდეგ კი ვამოგვაქვს იგი ფრჩხილებს გარეთ და სინონიმის გარეშე ვტოვებთ. ზოლო იმ შემთხვევებში, როდესაც შეუძლებელი ხდება პეტრიწის მიერ შესანიშნავად ნაწარმოები ტერმინისათვის გამომსახველობითი თვალსაზრისით ტოლფასი ახალი ქართული ტერმინის გამოძებნა, იგი თავიდანვე სინონიმის გარეშე გადმოგვაქვს. ამგვარად, ხშირი ხმარების გზით ვცდილობთ დავამკვიდროთ პეტრიწისეული ტერმინი და, ამასთან, დაეძლიოთ და მოვხსნათ „ხელოვნურობის" ის მოჩვენებითი შთაბეჭდილება, რომელიც გამოწვეულია არა მათი ფორმის არაბუნებრივობით ან ქართული სიტყვაწარმოების წესების დარღვევით, არამედ ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკონში და ყოფითს ენაში მათი არარსებობით.[1] ყოველივე ამის მიზეზს კი ეხედავთ იოანე პეტრიწის შემდეგ ქართული ფილოსოფიური აზრისა და ენის განვითარების იძულებით გაწყვეტაში, რის გამოც ქართულ სალიტერატურო ენასა და ფილოსოფიურ ენას შორის დაირღვა და შეწყდა კონტაქტი და ურ-

[1] უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ფილოსოფიური ცნება-ტერმინი შეიძლება მხოლოდ ერთი ეარკეული ფილოსოფიური სკოლის, ან მხოლოდ ერთი ფილოსოფოსის კუთვნილებაც კი იყოს და, ამდენად, არ იყოს ასახული სალიტერატურო ენის ლექსიკაში. ასეთი „ხელოვნური" ახალწარმოებებით განსაკუთრებით გამოირჩევა არეოპაგიტული კორპუსისა და პროკლეს ტრაქტატის ენა და შესაბამისად — მათი ეფრემ მცირისეული და იოანე პატრიწისეული თარგმანებიც.

თიერთგავლენა მაშინ, როდესაც ქართული მწერლობის აღორძინების შემდეგ, მთელი XVIII—XIX საუკუნეების მანძილზე გრამატიკული მეცნიერების განვითარების მაღალმა დონემ და მისმა მჭიდრო კონტაქტმა საერთო-სახალხო ენასთან ანალოგიური, არანაკლებ „ხელოვნური" წარმოების. ძველ ტერმინებს (როგორიცაა ბერძნულიდან კალკირებული — **წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი, თანწყობა, ქვეწყობა, წართქმითი, უკუთქმითი** და სხვა) სიცოცხლე დაუბრუნა და ხშირი ხმარების გზით დამკვიდრა არა თუ მწიგნობრულ ენაში, არამედ ყოფითს მეტყველებაშიც.

ტერმინთა წარმოების პეტრიწისეული პრინციპებისა და სისტემატიზაციის აღორძინება და გამოყენება განსაკუთრებით საჭიროდ გვესახება დღეს, როდესაც მწვავედ დგას ახალი ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის გადასინჯვა-განახლების საკითხი. ჩვენი ღრმა რწმენით ამ საქმის წარმატებით გასრულება შესაძლებელია მხოლოდ ჩვენი დიდი წინაპრების გამოცდილების გაზიარებით: ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწისა და მისი სკოლის შემოქმედებითი პრინციპების ათვისებითა და გატარებით, რაც გულისხმობს ენობრივი მასალისადმი თამამ შემოქმედებითს მიდგომას, ენის შესაძლებლობათა წარმოჩენისა და მათი ახლებური რეალიზაციის გზით ენის სასიცოცხლო ძალების გააქტიურებას.

წყაროების მითითებას, საიდანაც თითქოს სარგებლობდა იოანე პეტრიწი, სიზუსტის პრეტენზია არა აქვს, რადგანაც ხშირად მის მიერ ფორმულირებული აზრები ზუსტად ვერ იძებნება დასახელებულ შრომებში. ასეთ შემთხვევებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პეტრიწი სარგებლობდა არა უშუალოდ პლატონის ან არისტოტელეს შრომებიდან, არამედ მათი კომენტატორების, ან საერთოდ, გვიანდელი ავტორების (პორფირი, ნემესიოს ემესელი, პროკლე, ამონიოს ერმიასი...) ნაშრომებიდანაც, ან შესაძლებელია, ზეპირი გზითაც, მანგანის აკადემიაში მოსმენილი ლექციების მიხედვითაც იმოწმებდეს მათ (პეტრიწის წყაროების შესახებ იხ. სიმონ ყაუხჩიშვილი, იოანე პეტრიწის წყაროები, შესავალი სტატია იოანე პეტრიწის შრომების I ტომისათვის, გვ. XXVI და შმდ.).

დამანა მელიქიშვილი

დავანა ფელიციანელი

დასავლა-დასაბუთებასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია ძველ ქართულში

XI—XII საუკუნეები, ელინოფილური მიმართულების ხანა ქართული ლიტერატურისა და თარგმანის ისტორიაში, გამოირჩევა ცნებითი ღირებულების მქონე ლექსიკის აქტიური შემოქმედებით, ქართული ენის სასიცოცხლო ძალების არაჩვეულებრივი დაძაბვითა და გააქტიურებით. ამ ხანისათვის დამახასიათებელმა განსაკუთრებულმა ინტერესმა ეგზეტიკისადმი, როგორც ანტიკური ხანის ფილოსოფოსთა (ძირითადად პლატონისა და არისტოტელეს) ნაშრომების, ისე ბიბლიური ტექსტების ადრექრისტიანული ხანის მოაზროვნეების მიერ შესრულებული კომენტარებისადმი, თავის მხრივ, წმინდა ფილოსოფიათ დაინტერესება გამოიწვია. ასეთი მეცნიერული ხასიათის ლიტერატურის მიზანდასახულმა სისტემურმა თარგმნა-დამუშავებამ მოითხოვა თეორიისა და აზრის ზუსტად გადმოცემა, ცნებათა დიფერენცირებისათვის საჭირო სპეციალურ ტერმინთა ზუსტი შესატყვისების დაძებნა და წარმოება, რასაც შედეგად მოჰყვა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის ჩამოყალიბება და სისტემაში მოყვანა, ქართული მეცნიერული ენის შექმნა. სწორედ ეს არის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი, რომელიც ელინოფილური მიმართულების მიმდევრებმა დაუტოვეს ქართულ სალიტერატურო ენას. თუმცა მათ მიერ შექმნილი და დამუშავებული ტერმინებიდან ბევრი არ შემორჩენია ქართული ენის ლექსიკურ ფონდს, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ისინი ვერ შეეთვისნენ (როგორც ამას ხშირად ამბობენ ხოლმე — მათი „ხელოვნურობის“ გამო) ქართული ენის ბუნებას. მართალია, სპეციალურ ტერმინთა შექმნა-განვითარება საერთოდ მჭიდროდაა დაკავშირებული სალიტერატურო ენის ლექსიკის განვითარებასა და გამდიდრებასთან, მაგრამ, როცა ელაპარაკობთ სპეციალური ლექსიკის ლიტერატურულ ენასთან მიმართებაზე, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მისი გარკვეული და, შეიძლება ითქვას, დიდი ნაწილი, ყოველთვის მხოლოდ ამა თუ იმ დარგის სპეციალისტების მეტყველებაში ცოცხლობს. ეს იმას ნიშნავს, რომ, მართალია, სპეციალური ტერმინოლოგია სალიტერატურო ენის საერთო ლექსიკურ ფონდს ეკუთვნის, მაგრამ მისი მხოლოდ გარკვეული ნაწილი შეიძლება იქცეს ყოფითს, სალაპარაკო ენაში საზოგადოდ სახმარისად და გამოსაყენებლად (ეს, სხვათა შორის, რამდენადმე ამ მეცნიერების განვითარების დონეზე და პოპულარობაზეც არის დამოკიდებული).

სპეციალური ტერმინოლოგია მეცნიერული ენის შემადგენელი ნაწილია. მეცნიერული ენა კი ისტორიული ცნებაა. იგი, კერძოდ კი მისი ლექსიკა, თავისი განვითარების მანძილზე საგრძნობ ცვლილებებს განიცდის როგორც ფორმის (ტერმინთა წარმოების პრინციპების, სესხება-კალკირების), ისე მნიშვნელობათა გადაწევა-გადატანის თუ გაფართოება-დავიწროების თვალსაზრისით. ამ ცვლილებებს, გარდა იმ პროცესებისა, რომლებიც საერთოდ

ენის განვითარების გზაზე მიმდინარეობს, ხშირად არაერთგვაროვანი ფაქტორებიც განაპირობებს, როგორიცაა, მაგ., თვით ამ მეცნიერების განვითარების დონე, პირობები და თავისებურებანი ერის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა უცხოენობრივ სამყაროსთან კონტაქტებისა და, ამის შესაბამისად, გავლენების მონაცვლეობა, დაბოლოს, თვით ერის აქტიურობა თუ ინდიფერენტიზმი და მისი სპეციალისტების დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი: ის მეთოდები და პრინციპები, რომლებითაც ისინი ხელმძღვანელობენ საკუთარი დარგის ტერმინოლოგიის შემუშავების პროცესში.

ეს გარემოებებია უთუოდ ბჰედველობაში მისაღები, როდესაც ვეხებით XI—XII საუკუნეთა მოღვაწეების — ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, იოანე ტარიჭისძის წვლილს ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში და ამ პერიოდში შექმნილი უმდიდრესი სპეციალური ლექსიკის ბედის საკითხს, იმას, თუ რატომ არ შემორჩა მისი უდიდესი ნაწილი საერთო სახალხო ენის ლექსიკურ ფონდს. კერძოდ, ჩვენს შეთხვევაში მხედველობაში გვაქვს შემდეგი ექსტრალინგვისტური ფაქტორები:

1) XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, მონღოლების შემოსევიდან მოყოლებული, ქართული სახელმწიფოებრიობის შერყევის შედეგად ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების შეფერხებასთან ერთად გაწყდა ფილოსოფიური აზრის განვითარების ხაზიც. XVIII საუკუნეში, როდესაც კვლავ გაიღვიძა მეცნიერულმა აზრმა, ფილოსოფიისადმი ინტერესი განისაზღვრა ბიზანტიური ხანის მეცნიერული ელიტის ფილოსოფიის—ნეოპლატონიზმის (რომელიც XI—XII სს-თა ქართული რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის ქვაკუთხედს წარმოადგენდა, მაგრამ, რომელსაც XVIII საუკუნეში რეალური საფუძველი უკვე გამოცლილი ჰქონდა) ხელოვნური და ფორმალური გაუმონერგვით და, ასევე, ფორმალური მიბაძვით იმ მეცნიერული ენისა, რომლითაც იყო შესრულებული ეს ფილოსოფიური თხზულებანი XI—XII საუკუნეებში. ამ ენის ფორმალური სტილიზაციისა და ხელოვნური ფსევდოარქაიზაციის შედეგი იყო ის, რომ ანტონ ბაგრატიონისა და მისი სკოლის მიერ შექმნილი თავისთავად მნიშვნელოვანი და დიდძალი მეცნიერული ლიტერატურა პრაქტიკულად უსარგებლო დარჩა შემდგომი თაობებისათვის. თუმცა, ამას ვერ ვიტყვით გრამატიკულ მეცნიერებაზე, რომლის მაღალმა დონემ, პრაქტიკული გამოყენების საჭიროებამ და, ამდენად, მჭიდრო კონტაქტმა საერთო-სახალხო ენასთან, ანტონის ენის სიმართულისა და ხელოვნურობის მიუხედავად გზა გაუხსნა და დანერგა სწორედ XI—XII საუკუნეების ელინოფილური მიმართულების მოღვაწეთა ნაშრომებიდან შეთვისებული სპეციალური ტერმინები, რომლებსაც დღესაც წარმატებით იყენებენ არა მხოლოდ გრამატიკული მეცნიერების, არამედ სალაპარაკო ენაშიც (ასეთებია მაგ ბერძნულიდან კალკირებული ძველი ქართული ლოგიკური ტერმინები: წინადადება, ქვემდებარე, შემასმენელი, თანწყობა, ქვეწყობა, წართქმითი, უკუთქმითი და სხვა) მაშინ, როდესაც მსგავსი წარმრების წმინდა ფილოსოფიური და ლოგიკური ტერმინები არ დამკვიდრებულა ამ პერიოდში სათანადო მეცნიერებათა განუვითარებლობისა და შემკვიდრეობითობის ხაზის გაწყვეტის გამო (ასეთებია, მაგ., თანშესიტყუა, შემოკრება, თანგასავალი, თანამოსახლე, ერთსახელობა, რომელობა, აღმოჩენა და სხვა.)

2) მეორე ფაქტორი, რამაც ხელი შეუშალა ამ ფილოსოფიური ტერმინების დამკვიდრებას საერთო სახალხო ენის ლექსიკურ ფონდში არის ის, რომ გაწყდა კონტაქტი ბერძნულ ენობრივ სამყაროსთან, რაც ძირითადად განაპირობებდა ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის სისტემის სახით ჩამოყალიბებასა და განვითარებას იმ ხანაში. XI—XII საუკუნეთა მოღვაწენი დიდ შემოქმედებით ძალასა და სითამამეს იჩენენ, რათა გამოავლინონ ქართული სიტყვაწარმოების შესაძლებლობანი, ფართო გაქანება მისცენ მათ და ქართული მასალით — ქართული ძირებითა და აფიქსებით და არა მექანიკური სესხების გზით შექმნან საკუთარი მეცნიერული ტერმინოლოგია და, ამგვარად, ქართული ენა თავისი გამომსახველობითი ძალით გაუტოლონ ბერძნულ ენას, „ზომმარკუსა გონიერთა ხედვათასა", რომლის „ენამზეობა" და „ენადღეობა" მსაბაძი იყო არა მარტო ქართველი მთარგმნელებისთვის, არამედ რომაელებისთვისაც, რასაც ჰორაციუსის „პოეტური ხელოვნებისათვის" ტრაქტატის 52-ე კარედის სიტყვებიც მოწმობს: „ახლადშექმნილი სიტყვა მეტ ნდობას მოიპოვებს, თუ ბერძნულ წყაროს ეყრდნობა და სიფრთხილითაა იქიდან გადმოღებული... თუ ამ საქმეში მცირეოდენი წელილის გაღება მეც ძალმიძს, ამისათვის რატომ უნდა შემრისხონ? კატონისა და ენიუსის ენა ახალ სიტყვათა შემოტანით განა არ ამდიდრებდა ჩვენს მშობლიურ მეტყველებას?" [1, გვ. 17].

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და დღესაც ბერძნული ენა ასაზრდოებდა უშუალოდ თუ შუალობითი გზით ევროპული ენების სპეციალურ ლექსიკას, უფრო ადრე კი მისგან იყო დავალებული არაბული ფილოსოფიური ენაც. საქართველო ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც ევროპაზე გაცილებით უფრო ადრე უშუალო და მჭიდრო პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული კონტაქტები ჰქონდა ისეთ მაღალგანვითარებულ კულტურულ სამყაროსთან, როგორიც იმ ეპოქაში ბიზანტია იყო[1]. ამ ურთიერთობაზე გადიოდა ბუნებრივი გზა ქართული მეცნიერების განვითარებისა და სრულიად კანონზომიერი იყო, რომ იმ დროის ქართველი მოღვაწენი ეროვნული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების გზაზე მისაბაძ ნიმუშად სწორედ საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფოსთა არა ერთი თაობის მიერ დამუშავებულ ბერძნულ ფილოსოფიურ ენას თელიდნენ. ამდენად, მოულოდნელი არ არის, რომ ახალ ცნებათა შესაბამისი ტერმინების საწარმოებლად ყველაზე პროდუქტიული გზა ბერძნულ ტერმინთა კალკირება იყო, გზა, რომელსაც შემდეგ დაადგა ლათინურენოვანი მეცნიერული სამყარო და აქედან — მთელი თანამედროვე ევროპა.

მაგრამ, როგორც ვთქვით, ეს უშუალო კავშირი ბიზანტიასთან XIII საუკუნიდან მოყოლებული თანდათან სუსტდება და ბოლოს, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წ.) სრულიად წყდება და იცვლება სპარსეთ-თურქეთთან კონტაქტებით და შესაბამისად — გაველენებითაც. ამგვარად, იოანე პეტრიწისა და მისი თანამოღვაწეების მიერ ჩამოყალიბებული კლასიკური სის-

---

[1] როგორც ცნობილია, ყველა ის ავტორი (პორფირი, ამონიოს ერმიასი, ნემესიოს ემესელი, პროკლე დიადოხისი, იოანე დამასკელი), რომელთა ფილოსოფიურ-ლოგიკური ხასიათის ტრაქტატებს თუ კომპენდიუმებს მთელი შუასაუკუნეების თეოსოფიასკოლასტიკა ემყარებოდა, ქართულად გაცილებით უფრო ადრე (100—150 წლით მაინც) იყო თარგმნილი, ვიდრე ლათინურ ენაზე.

ტემა ფილოსოფიური ტერმინოლოგიისა, მანამ, სანამ მოასწრებდა დამკვიდრებას, თანდათან ირღვევა და მის რგოლებში იკრება უკვე აღმოსავლური ენობრივი სამყაროდან მოძალებული სიტყვები. ასე, მაგ. იოანე პეტრიწის შიერ გონ (νοῦς) ძირისაგან შექმნილ გამჭვირვალე და ნათელი გამომსახველობითი უნარის მქონე ტერმინთა (გონება, გამგონე, გასაგონო, მიდმოგონება... νόησις, νόημα, νοῶν, νοητός, διάνοια...) სისტემაში შეიკრა სრულიად განსხვავებული ძირებიდან ნაწარმოები ტერმინები (ნასესხები: ᲙᲐᲖᲠᲘ — ᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐ — ᲛᲝᲐᲖᲠᲝᲕᲜᲔ, ქართული: ᲒᲐᲒᲔᲑᲐ, ᲛᲘᲮᲕᲔᲓᲠᲐ, ᲒᲐᲜᲡᲯᲐ, ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲐ...). ასევე, ქართული განი — საგანი (σκοπός) შეცვალა სპარსული გზით შემოსულმა არაბულმა ᲛᲘᲖᲐᲜ სიტყვამ, აღᲛᲝᲩᲜᲜᲐ — ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲩᲜᲔᲜᲘ (ἀκόουσις) ასევე არაბულმა ᲡᲐᲑᲣᲗ — ᲓᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲐᲛ და სხვა. ხოლო ზემოთ დასახელებულ ქართულ ტერმინებს სალიტერატურო ენაში სხვა მნიშვნელობები განუვითარდა (გაგონება— „მოსმენა" — слушать, აღმოჩენა — „აბლის მიგნება" —открытие, საგანი—„ნივთი" — „вещь").

ოდესღაც უშუალო კავშირი ბერძნულ მეცნიერულ ენასთან დღეს გაშეალებულია ლათინურ-გერმანულ-რუსული გზით და, ამგვარად, თანამედროვე ქართული მეცნიერული ტერმინოლოგია სარგებლობს სრულიად სხვადასხვა სისტემათა მონაცემებით, რომლებშიც ერთმანეთშია ალრეული, ერთი მხრივ, საკუთრივ ქართული ძირები და აფიქსები, მეორე მხრივ, უცხოენოვანი, ნასესხები ძირები და აფიქსები; ერთი მხრივ — ძველი კალკები ბერძნული ტერმინებისა, მეორე მხრივ კი, ახალი კალკები ევროპული და რუსული ენებიდან. ამასთან, ალსანიშნავია, რომ თანამედროვე ქართული მეცნიერული ენა თანდათან სულ უფრო იტვირთება უცხოენოვანი ნასესხები ტერმინებით, ყოველივე ეს კი, გარდა ზემოთ დასახელებული მიზეზებისა, შედეგია აგრეთვე მეცნიერების სხვადასხვა დარგების, ან ერთი და იმავე დარგის მეცნიერების სხვადასხვა დროის მესვეურთა პოზიციისა სპეციალურ ტერმინთა წარმოების პრინციპებისა და დამუშავების პრობლემებისადმი. ასეთ პირობებში დღეს განსაკუთრებით საჭიროდ გვესახება ათვისება და გატარება ეფრემ მცირის, არსენ ეყალთოელის, იოანე პეტრიწის და მისი სკოლის შემოქმედებითი პრინციპებისა, რაც გულისხმობს ენობრივი მასალისადმი თამამ შემოქმედებთს მიდგომას, ენის შესაძლებლობათა წარმოჩენისა და ახლებური რეალიზაციის გზით ენის სასიცოცხლო ძალების გააქტიურებას.

ახალი ცნების შესატყვისი სპეციალური ტერმინის საწარმოებლად შავი შთა — გელათის სალიტერატურო სკოლების მოღვაწენი შემდეგი პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ:

1. იყენებენ საერთო სახალხო ენის ან დიალექტურ ლექსიკურ ერთეულს, რომელსაც შეუძლია იტვირთოს შესაბამისი ბერძნული ტერმინის შინარსის გადმოცემა: ასო — στοιχεῖον, ნივთი — ὕλη, στοιχεῖον, გუამი — ὑπόστασις, ადგილი — τόπον, ნათესავი — γένος, სახე — εἶδος, განი — σκοπός და სხვ. ამგვარად, იქმნება ომონიმები: ჩვეულებრივ სალაპარაკო ენაში ყოფითი მნიშვნელობის სიტყვა იძენს სპეციალურ, ფილოსოფიურ მნიშვნელობას. ომონიმიის (პოლისემიის) პრობლემა, ისევე, როგორც სინონიმიისა, ერთი ყველაზე

უფრო მძიმედ დასაშლელი და რთული პრობლემაა სპეციალური ტერმინოლოგიის შექმნის გზაზე. მისი მოხსნის სურვილი იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ასო/წესი (στοιχεῖον) ტერმინები იოანე პეტრიწმა შეცვალა კაეშირ ტერმინით პროკლეს ტრაქტატის თარგმანში, ნათესავი (γένος) — ტომით და სახე (εἶδος) კი გუარ ტერმინით.

2. იყენებენ ცნების შინაარსის აღწერის ხერხს როგორც ერთი სიტყვით, ასევე შესიტყვებითაც: მაგ., შემოკრება — συλλογισμός (სილოგიზმი „შემოკრებილია" (σύγκειται) ორი ჭეშმარიტი წანამძღვრისა და დასასკვნისაგან: დიალ. 51,1). შესრულება — συμπέρασμα; პირველმღებადი — πρόλεψις („მნებავმან ჩუენებად, ეითარმედ უკუდავ არს სული, მიეიღე პირველად თუთმოძრავი და შეესრულე უკუდავი: ამონ. 167). „სიტყუერი საქმიერობა", ἡ λογικὴ πραγματεία; რასა შინაობა τὸ ἐν τινι („რასა შინა არს შესმენაჲ": დიალ. II, I). ვისსამიმართობა/რასამიმართობა πρός τι (დიალ. 37,1). ერთ-სახელი συνώνυμος და სხვ.

3. ყველაზე პროდუქტიულია სემანტიკურ-დერივაციული კალკების შექმნის გზა საკუთარი მასალით, ქართული ძირებისა და აფიქსების გამოყენებით. ეს გზა განსაკუთრებით კომპოზიციასა და წინდებულიან წარმოებაზე ვრცელდება. ასეა მიღებული, მაგ. წინადადება — πρότασις, ქუემდებარე — ὑποκείμενον, თანშესიტყუა — συλλογισμός, თანამსახელი — συνώνυμος, თვითმყოფი — αὐθυπόστατος, თუთგუამოვანი — αὐθύπαρκτος, სწორგუერდი — ἰσόπλευρος, ოთხყური, ოთხკუთხი, ოთხძგიდე — τετράγονον და სხვა.

4. უკიდურეს შემთხვევაში ბერძნული სიტყვა-ტერმინი უთარგმნელად გადმოჰქონდათ, ე. ი. სესხების გზას მიმართავდნენ, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა საგანგებო ძიებისა და განხილვის შემდეგ, მრავალ ლექსიკონსა და განმარტებათა ტექსტებთან „შეწამების" მოუხედავად, ქართულ „მსგავსებულ" სიტყვას ვერ „მოუპოვებდნენ" ან მთლად დარწმუნებულნი არ იყვნენ თავის არჩევანში, მხოლოდ მაშინ უთარგმნელად ტოვებდნენ ბერძნულ ტერმინს. მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც უფრო ხშირად მას ჰენდიადისურ წყვილში ხმარობდნენ ქართულ შესატყვისთან ერთად, ალბათ უფრო იმისათვის, რომ ახლადწარმოებული ქართული ტერმინისთვის გზა გაეხსნათ, მოეხდინათ მისი იდენტიფიკაცია, ეჩვენებინათ, თუ რომელი ბერძნული ლექსემის შესატყვისად იყო იგი ნახმარი. (ონკოს — ზუავთა („მასა", „massa"): ი. ბ. I, § 190; ემფასსა — მაგალითსა: § 194; საქმე — პრაღმა: § 195; პროვლიმაᲲ, რომელ არს წინჩამოსაგდებელი; სუმპერაზმაᲲ, რომელ არს თანგასავალი: ი. ბ. II, § 1, და სხვა).

მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ამ მოღვაწეთა მთავარი მიზანი იყო ქართული ფილოსოფიური და, საერთოდ, ქართული მეცნიერული ტერმინოლოგიის შექმნა ქართული მასალის — ქართული ფუძეებისა და აფიქსების გამოყენებით... ამისათვის ისინი დიდ გასაქანს აძლევენ ქართული სიტყვაწარმოების უსაზღვროდ მდიდარ შესაძლებლობებს: მიმართავენ ფორმაუცვლელი და არაბრუნებადი სიტყვების (ზმნიზედების, ზმნების) გასუბსტანტივების ხერხს (შო-

რ ი ს ი, ა ქ ა ვ, მ უ ნ ა ვ, ა რ ს ი, ი ყ ო ვ, ი ყ ო ს ო ბ ა ვ); მეტად აფართოებენ ბრუნვის ფორმანტების დერივაციული ფუნქციით გამოყენების არეს (ხ ე დ ვ ი თ ი, ს ი ტ ყ ვ ე რ ე ბ ი თ ი, ნ ა წ ი ლ ე ბ ი თ ი, შ ე მ თ ხ უ ე ვ ი თ ი, ვ ნ ე ბ ა დ ი, ქ მ ნ ა დ ი, ქ ც ე ვ ა დ ი, ზ ი ა რ ე ბ ა დ ი და სხვა); ასევე, თანდებულების გამოყენებას სადერივაციო ფუნქციით (ერთებრივი, ნიეთისშორისი, ორღანებრთაგანი, რაგასამიმართთაგანი, რიცხვსშორისი, სახეთაქუეშე, ჟამისქუეშე, ტ ვ ნ ი ს მ ი ე რ ი), ომონიმიისა და პოლისემიის დასაძლევად და თავიდან ასარიდებლად (რაც მეტად რთულ საქმეს წარმოადგენდა, რადგანაც ეს პრობლემა თვით ბერძნულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიაშიც არ იყო დაძლეული), იოანე პეტრიწი მიმართავს მეტად საინტერესო და მარჯვე ხერხს: ქართულ ენაში არსებულ სინონიმური მნიშვნელობის სადერივაციო აფიქსთაგან ირჩევს საალიტერატურო ენაში ნაკლებად გავრცელებულს, არქაულს, თუ დიალექტურ ვარიანტს, რომელიც ხშირად სახმარისი. პროდუქტიული აფიქსისაგან განსხვავებით, სიტყვას ტერმინოლოგიურ ღირებულებას ანიჭებს, განასხვავებს მას იმავე ძირის (ფუძის) საალპარაკო ენაში გავრცელებული ყოფითი მნიშვნელობის მქონე სიტყვისაგან. ასეთ შესაძლებლობას განსაკუთრებით ფართოდ იძლევა მიმღეობურ ფორმათა წარმოების მრავალფეროვნება ქართულში, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში სწორედ სხვადასხვა დიალექტური წარმომავლობითაა ახსნილი (არნ. ჩიქობავა, ეკ. ოსიძე). ასეთია უკვე ძველსავე ქართულში იშვიათი და არქაიზმად ქცეული უთემისნიშნო, ე. ი. წყვეტილის ფუძისაგან ოდენპრეფიქსიანი ან ხმოვანსუფიქსიანი წარმოება (მ-, მა-, მე-, მო-, მ—ე, მ ა—ე. მ ე—ე, მ ო—ე) მიმღეობათა ფორმებისა, რაც მათს გასუბსტანტივებასა და, ამდენად, ტერმინოლოგიზაციასაც უწყობს ხელს, რადგანაც ამ გზით განასხვავებს ამ მოდელებს ჩვეულებრივი მიმღეობური (ნაზმნარი) წარმოებისა და შინაარსისაგან (შდრ. მაგ. მ კ ვ დ რ ი — დ ა მ კ ვ დ რ ე ბ უ ლ ი. მ ა ვ ს ი — შ ე მ ა ვ ს ე ბ ე ლ ი, მ ე დ ი ნ ი — წ ა რ მ ა ვ ა ლ ი, მ ო შ ი შ ი, — შ ე შ ი ნ ე ბ უ ლ ი, მ ო ბ ა ძ ა ვ ი — მ ი მ ბ ა ძ ვ ე ლ ი, გ ა მ გ ე — გ ა მ გ ე ბ ე ლ ი, მ ა ც ნ ე — მ ე ც ნ ე — მ ა ც ნ ო ბ ე ლ ი, მ ა უ წ ყ ე/მ ე უ წ ყ ე — მ ა უ წ ყ ე ბ ე ლ ი, გ ა მ გ ო ნ ე — გ ა მ გ ო ნ ე ბ ე ლ ი, მ ე მ კ ვ დ რ ე — დ ა მ კ ვ დ რ ე ბ უ ლ ი, მ ე წ ა დ ე, მ ე ტ რ ფ ე, მ ო წ ა მ ე, მ ო წ მ ე. მ ო ქ ე ნ ე, მ ო ს წ რ ა ფ ე და სხვა). აღსანიშნავია, რომ უკვე ძველსავე ქართულში და მით უფრო თანამედროვე ქართულის სადერივაციო სისტემაში ამ ტიპის წარმოება დამკვიდრებულია სახელთა წარმოქმნაში (ხელობისა და დანიშნულების სემანტიკურ ჯგუფში: მ ე ხ რ ე — ს ა ხ რ ე, მ ე ვ ე ნ ა ხ ე — ს ა ვ ე ნ ა ხ ე). ხოლო ნაზმნარ სახელებში (მიმღეობებში) გადმონაშთის სახითაა მხოლოდ შემორჩენილი. სწორედ ამიტომაა ხელსაყრელი მათი გამოყენება ზმნათაგან ტერმინ-სუბსტანტივების საწარმოებლად.

როგორც უკვე აღენიშნეთ სპეციალური ტერმინოლოგიის შექმნის გზაზე განსაკუთრებით პროდუქტიული იყო ბერძნულიდან სემანტიკურ-დერივაციული კალკების გზა. ეს ხერხი ყველაზე ხშირად გამოყენებულია ლოგიკური ტერმინების წარმოებისას, რაც ამ მეცნიერების ფორმალური ხასიათით აიხსნება: თვით ბერძნულში ლოგიკური ტერმინები (არისტოტელეს ლოგიკური ხასიათის ნაშრომებში, რომლებიც „ორგანონის" საერთო სახელითაა ცნობილი), შექმნილია ხელოვნურად, ცნების აღწერის ელიფსური გზით (შაგ. დანასკვი —

вывод, заключение. არის მსჯელობა, რომელიც აუცილებლობით გამოდის ორი პემშარიტი წანამძღვრის ლოგიკური კავშირიდან. აქედანაა ტერმინი συμπέρασμα და მისი ქართული კალკიც თ ა ნ გ ა ს ა ვ ა ლ ი).

ლოგიკის მეცნიერებასთან დაკავშირებული სიტი ცნებისა და მათი ამსახველი ტერმინოლოგიის 1. (ლ ო გ ი კ ა — ს ი ტ ყ ვ ე რ ი ს ა ქ მ ი ე რ ო ბ ა, ს ი ტ ყ ვ ე რ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა, ს ი ტ ყ ვ ე რ ე ბ ი თ ი მ ო ფ ა რ დ ულ ო ბ ა; 2. დ ა ს ა ბ უ თ ებ ა — გ ა მ ო ჩ ი ნ ებ ა, გ ა მ ო მ ა ჩ ი ნ ებ ლ ო ბ ა, ა ღ მ ო ჩ ე ნ ა; 3. ს ი ლ ო გ ი ზ მ ი — შ ე მ ო კ რ ებ ა, შ ე გ უ ლ ი ს ს ი ტ ყ ვ ა, თ ა ნ შ ე ს ი ტ ყ ვ ა) შესახებ ძველ ქართულში უკვე გვქონდა ლაპარაკი [2, გვ. 106—120], აქ წარმოვადგენთ შემდეგი ცნებების ამსახველი ტერმინოლოგიის ანალიზს: 4. თ ე ზ ი ს ი, პ რ ო ბ ლ ე მ ა, 5. ა რ გ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა, 6. ა მ ო ს ა ვ ა ლ ი — ს ა ფ უ ძ ვ ლ ებ ი, რომლებიც სილოგიზმში, დასკვნის ფორმაში წ ა ნ ა მ ძ ღ ვ რ ებ ი ს სახეს ღებულ ებ ენ. (ამასთან დაკავშირებით შევეხებით დადებითი და უარყოფადი ანუ კატეგორიკული და ალოფატიკური (ალაგოგიური) დასაბუთების ტერმინოლოგიასაც), 7. ტ ე რ მ ი ნ ებ ი, 8. დ ა ნ ა ს კ ვ ნ ი.

როგორც ცნობილია, დასაბუთება ხდება რაიმე წინასწარ აღებული თეზისის ანუ პრობლემისა (πρόβλημα). მართალია, ყოველი დასაბუთება არისტოტელეს მიხედვით, სილოგიზმია(Ἡ μὲν γὰρ ἀπόδειξις συλλογισμὸς τις, ὁ συλλογισμὸς δὲ οὐ πᾶς ἀπόδειξις: ΑΠΑ, IV, 41, 38—39. Demonstratio enim syllogismus est et non omnis sillogismus demonstratio. Ведь доказательство есть некоторого рода силлогизм... Анал., с. 9. — „მაშასადამე დასაბუთება არის რაღაც სილოგიზმი, მაგრამ არა ყოველი სილოგიზმია დასაბუთება“), მაგრამ მათ შორის ის არსებითი განსხვავებაა, რომ სილოგიზმში (დასკვნაში) დასამტკიცებელი დანასკვი დასაბუთებაში წინასწარ არის მოცემული პრობლემის, თეზისის სახით და საკონვენციოა მსჯელობა-წანამძღვრები, რომლებიც მას გამართლებენ. ამგვარად, დასაბუთებაში სამი ნაწილია: 1. მსჯელობა, რომლის დასაბუთებაცაა საჭირო, ეს არის თ ე ზ ი ს ი, 2. მსჯელობა, რომელსაც ვეყრდნობით დასაბუთებისას — ა მ ო ს ა ვ ა ლ ი, ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი, რომელიც სილოგიზმში წანამძღვრების ადგილს იკავებს, 3. ლოგიკური კავშირი საფუძველსა და თ ე ზ ი ს ს შორის — ა რ გ უ მ ე ნ ტ ა ც ი ა: მსჯელობა, რომელიც დაადგენს ლოგიკურ კავშირს ამოსავალს — საფუძველსა და შედეგს — დანასკვს შორის, რომელიც დასამტკიცებელ პრობლემას, წინასწარ დაშვებულ თეზისს დაემთხვევა. არგუმენტაცია შეიძლება წარიმართოს პირდაპირ, დადებითი, კატეგორიკული გზით, ან არაპირდაპირ, უარყოფადი, ალოფატიკური (ანუ ალაგოგიური) გზით. პროკლეს ტრაქტატის, Στοιχείωσις θεολογική-ს თავებში, რომელთა ძირითადი თეზისების განმარტებებს იძლევა იოანე პეტრიწი, ჩვეულებრივ სწორედ ეს უკანასკნელი, ალაგოგიური მეთოდია გამოყენებული. ამიტომაც, პირველივე თავის განმარტებაში, სანამ შეუდგებოდეს პროკლეს პირველივე ძირითადი თეზისის („ყოველი სიმრავლე რამენაირად ეზიარება ერთს“) კომენტირება — დასაბუთებას დამატებითი არგუმენტაციით, იოანე პეტრიწი საჭიროდ თვლის მკითხველს თუ მსმენელს მოკლედ ესაუბროს პროკლეს დასაბუთების მეთოდზე და, საერთოდ, არისტოტელეს სილოგიზმის „ძალებით კანონებზე“, რომელთა ცოდნის გარეშე, მისი აზრით, შეუძლებელია ლოგი-

ერი გზით რისამე შემეცნება. ამ მოკლე საუბარში პეტრიწი მეტად შეკუმშულად, მაგრამ ნათლად და გასაგებად იძლევა დასაბუთების შემადგენელი ნაწილების, ანუ როგორც იგი უწოდებს, „საკმართა აღმოჩენისათა“ განსაზღვრა-დახასიათებას.

დასაბუთებისათვის საჭირო საშუალებათაგან, ანუ „საკმართაგან“ პირველად იგი ასახელებს პრობლემას (Проблема — πρόβλημα) რომლის ანალოგიითაც ქმნის ქართულ ტერმინს წ ი ნ ჩ ა მ ო ს ა გ დ ე ბ ე ლ ი ს ი ტ ყ უ ა (ანუ მსჯელობა). მეორედ არგუმენტაციას κατασκευή (ატასკევი) და იძლევა მის სემანტიკურ კალკს: დ ა კ ა ზ მ ვ ა. მესამედ კი ასახელებს სილოგიზმის შემადგენელ ნაწილს — დ ა ნ ა ს კ ვ ს და ქმნის ბერძნული συμπέρασμα ტერმინის კალკს — თ ა ნ გ ა ს ა ვ ა ლ ი. შემდეგ პეტრიწი იძლევა არისტოტელეს კატეგორიული სილოგიზმის I ფიგურის თავისებურ რკალურ სქემას (ნაკეთს), დედუქციური დასკვნის ცნობილი ქრესტომათიული მაგალითებით:

ყოველი ცხოველი არსებაა	ყოველი თვითმოძრავი უკვდავია
ყოველი კაცი ცხოველია	ყოველი სული თვითმოძრავია
ყოველი კაცი არსებაა	ყოველი სული უკვდავია

სქემაში, რომელიც ორ-ორი შუაში გადაბმული რკალითაა წარმოდგენილი, რკალების კიდეებზე წანამძღვრების კიდურა ტერმინებია აღნიშნული, რკალების გადაბმის ადგილას კი საშუალი ტერმინი ზის (იხ. ქვემოთ. გვ. 49).

ამ სქემის განხილვის საფუძველზე პეტრიწი განმარტავს სილოგიზმის ცნებებს: 1. მსჯელობას, რომელშიც კიდურა ტერმინ[ებ]ი შედის, (ა რ ს ე ბ ა — კ ა ც ი; ს უ ლ ი — უ კ ვ დ ა ვ ი) იგი უწოდებს პროტასისს („ამას პირველსა საზღვარსა ეწოდების პროტასი“ II, 4). 2. კიდურა მსჯელობათა საერთო სიტყვას იგი უწოდებს საშუალს, ანუ კიდეთა შემკვრელს, 3. ხოლო დასასრულს, რომელშიც საშუალი ტერმინის მეშვეობით დაკავშირებულია კიდურა მსჯელობებში შემავალი ტერმინები, ს ე მ პ ე რ ა ზ მ ა ს, ანუ კ ი დ ე ს თ ა თ ა ნ გ ა ს ა ვ ა ლ ს უწოდებს.

მთელ ამ პროცედურას პეტრიწი „სიტყუერების კანონს“ (ლოგიკის კანონს) უწოდებს და მკითხველის ყურადღებას მიმართავს იქითკენ, რომ დაანახვოს მას, თუ როგორ აზიარებს და შეჰყრის ერთმანეთთან საშუალი (ტერმინი) ორივე კიდურს. უფრო ნათელი რომ გახდეს მთლიანობაში პეტრიწის მსჯელობა, მოვიყვანთ განმარტების ამ მოკლე მონაკვეთს მთლიანად: „შეისწავე, ვითარმედ ამას პირველსა სიტყუასა ჰქვან წინჩამოსაგდებელი სიტყუაჲ, ვითარ ოდეს სთქუა, ვითარმედ „მე ამას ვიტყუ და შენ, წინააღმდგომო, არ იტყუ ამას, მაშა გამოვაჩინოთ კანონთა მიერ აღმოსაჩენთაჲსა“. და, ვითარცა აღმოაჩინოს იძულებითმან კანონმან თანშესიტყჳსამან და უკუნ იქცეს წინაგანმწყოჲ უკუნქცევით, და კუალად აღიღებს პირველსა წინჩამოსაგდებელსა სიტყუასა და ეტყჳს, ვითარმედ, „ესრეთ ვიდრემე“, ვითარცა აწ აქა იხილე, პირველიცა და დასასრული ერთი არს. ხოლო პირველსა ეწოდების პროვლიმაჲ, რომელ არს წინჩამოსაგდებელი, ხოლო საშუალსა კატასკევი, რომელ არს დაკაზმვაჲ, რამეთუ ამის დაკაზმვისა მიერ აღმოიჩინების ყოველი აღმოსაჩინოჲ. და ესრეთვე სხუათაცა ზედა იხილო, რამეთუ უკუეთუ პირველად არა ცნას მკურნალმან სენი, ვითარ დაჰკაზმოს წამალი? აწ ესე ცნობაჲ პროვლიმად პრაცხე, ხო-

ლო კატასკეეი დაკაზმვად, რომელ არს თხზეაჲ და მუშაკობაჲ საკმართა ალმოჩენისათჳ. და კუალად მესამედ — სუმპერაზმაჲ, რომელ არს თანგასაეალი. და ესე მცირედთა მიერ შემოისაზღვრა კანონი არისტოტელის „ორლანოჲსაჲ“, რომლისა თუნიერ უღონო არს რაჲსაეე გაგონებაჲ სულისა მიერ სიტყუერისა. აწ და სქემაჲცა დავდვა, რომელ არს ნაკუეთი:



ხოლო ამას პირველსა საზღუარსა ეწოდების პროტასი, კიდე[2]. ხოლო საშუალსა კიდეთა შემკერელი. ხოლო დასასრულისასა სუმპერაზმაჲ, რომელ არს, თანგასაეალი ურთიერთას კიდურთაჲ. შეისწავენ კანონნი სიტყუერებითნი, რამეთუ არიან ესეეითარ, ხედავა, ვითარ თანმესაშუალეობითა ცხოველისაჲთა ალიარა არსებაჲ კაცისაჲ[2]. იხილე, ვითარ ყოველი ცნობაჲ და ძიებაჲ საშუალისაჲ არს და იგი აზიარებს და შეპყრის ურთიერთას ორთაეე კიდურთა“ (ტ. II, § 1, გვ. 10—11).

როგორც მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, აქ პეტრიწი ზოგადად და არა სპეციალურად, როგორც თვითონ იტყოდა, „თანწარელის სახით“ ეხება არისტოტელეს „ორგანონში“ დამუშავებულ ლოგიკურ კანონებს. ამიტომ, გასაგებია, რატომ არ გამიჯნავს დასკვნისა (სილოგიზმის) და დასაბუთების ცნებებს[3].

ამავე ნაწყვეტიდან ირკვევა, რომ დასაბუთების არგუმენტაციის შედგენა— აგებას (ἡ κατασκευή) პეტრიწი დ ა კ ა ზ მ ვ ა ლექსემით გადმოსცემს. Ἡ κατα-

---

2 აქ ხელნაწერები არ ეთანხმებიან ერთმანეთს. უძველეს, X III საუკუნის H 1337 ხელნაწერში, რომელიც გამოცემის მომზადების დროს სომ. ყაუხჩიშვილს ხელთ არ ჰქონდა, სიტყვა კიდე აქ არ ზის, რაც სწორად უნდა ასახავდეს ბერძნულ ჩვენებას.

3 ყოველი დასაბუთება, არისტოტელეს მიხედვით, სილოგიზმია, მაგრამ ყოველი სილოგიზმი არ არის დასაბუთება: Ἡ μὲν γὰρ ἀπόδειξις συλλογισμός τις, ὁ συλλογισμὸς οὐ ἀπόδειξις, ΑΠΑ, IV. I, 41, 38—39.

არისტოტელეს ამ დებულების განმეორებაა ამონიოს ერმიასის „მოსაკსენებელში“ წარმოდგენილი მსჯელობა — ტარიფისძის თარგმანით: „ალმოჩენა არის შეგულისხიტყუეაჲ რაჲმე“ (S 2562, 182r) ანუ: „ანოდიქსი სულლოგიზმისა რაჲმე არს“ (245r). ასევე, ამ დებულების გამოძახილია იოანე დამასკელის „დიალექტიკიდან“ 52,13 თავის ფრაზა: „საკუთარ ოყენ, ეთარმედ შეკრებანი გამოჩინებისა ნაწილ არიან“ (დიალ., ეფრემ მცირის თარგმანი).

σκευή ნიშნავს „იგებას, აგებულებას, მოწყობას, მოკაზმვას, შედგენას, ორგანიზაციას“. ჩვენს შემთხვევაში — დასაბუთებისათვის საჭირო არგუმენტაციის შედგენას, იგებას, აწყობას. ძველ ქართულში კ ა ზ მ ა ვ ს ლექსემის ფართო სემანტიკურმა არემ (კ ა ზ მ ვ ა ძველი ქართული ენის ძეგლებში იხმარება „მოშზადების, მოწყობის, აგების, გაშენების“ მნიშვნელობით: იხ. ილია აბულაძის ძველი ქართული ენის ლექსიკონი)[4]. პეტრიწს საშუალება მისცა თავიდან აეცილებინა ომონიმური შეხვედრა ა გ ე ბ უ ლ ე ბ ა — ა გ ე ბ უ ლ ი ლექსემასთან, რომელსაც უკვე გარკვეული ტერმინოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა მოპოვებული: „შესაქმე“; „შექმნილი“. ეს ტერმინია გამოყენებული გრიგოლ ნოსელის ცნობილი თხზულების „Περὶ κατασκευῆς τοῦ ἀνθρώπου“ სათაურში როგორც ძველი მთარგმნელის, ისე გიორგი მთაწმიდლის მიერ: „კაცისა შესაქმისათჳს“, ან „კაცისა აგებულებისათჳს“.

ამგვარად, იმისათვის, რომ „დაიკაზმოს“, აიგოს დასაბუთება, საჭიროა ლოგიკური კავშირი დამყარდეს ამოსავალს ანუ საფუძველსა და დასასაბუთებელ თეზისს შორის. თ ე ზ ი ს ი ს, პ რ ო ბ ლ ე მ ი ს, ანუ დასასაბუთებელი დებულების მნიშვნელობით იოანე პეტრიწი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ადგენს შესიტყვებას „წ ი ნ ჩ ა მ ო ს ა გ დ ებ ე ლ ი ს ი ტ ყ უ ა“ (სიტყვა — λόγος აქ წინადადების, გამონათქვამის „oratio, речь“ მნიშვნელობითაა ნახმარი)[5]. სხვაგან წ ი ნ ჩ ა მ ო გ დ ებ ი თ ი ფორმაც აქვს ნახმარი: ესე სამნი აღმოსაჩენნი წინჩამოგდებითნი დასხნა: II, § 11, გვ. 39, 29 („ეს სამი დასასაბუთებელი პრობლემა დასვა“).

ამგვარად, წ ი ნ ჩ ა მ ო ს ა გ დ ებ ე ლ ი ანუ წ ი ნ ჩ ა მ ო გ დ ებ ი თ ი სიტყვა იგივე წინასწარ აღებული დასასაბუთებელი თ ე ზ ი ს ი ანუ პ რ ო ბ ლ ე მ ა ა (მსგავსად თეორემისა გეომეტრიაში). Θέσις ტერმინის შესატყვისად ის სემანტიკურ-დერივაციულ კალკსაც მიმართავს: Θέσις არის τίθημι (ვდებ) ზმნისაგან ნაწარმოები სახელი — სუბსტანტივი. პეტრიწიც შესაბამისად იღებს სასუბიექტო მიმღეობის ფორმას მ დ ე ბ ა რ ე (რომელსაც სუბსტანტივის ფუნქციაც აქვს), განსხვავებით ეფრემ მცირისაგან, რომელიც ამავე ტერმინის შესატყვისად ხმარობს საობიექტო მიმღეობის ფორმას — დ ა დ ე ბ უ ლ ი (რომელიც მოუხერხებელია როგორც ტერმინი-სუბსტანტივი, რადგანაც მასში ცოცხალია მიმღეობა-ზედსართაული გაგება).

იოანე პეტრიწი: ხოლო მ დ ე ბ ა რ ე იტყუს: ყოველი კეთილობაჲ მაერთებელი არს მზიარებელთა მისთაჲ (II, § 13, გვ. 45, 7).

ეფრემ მცირე: დ ა დ ე ბ უ ლ ი არს საკჳრველი რაამე საეკჳ ვიეთმე ფილოსოფოსობისა შინა შესწავებულთა: დიალ. 51, 16 (Θέσις δὲ ἐστι παράδοξος ὑπόληψις τίνος τῶν ἐν φιλοσοφίᾳ γνωρίμων)[6].

---

4 ახალ ქართულში კ ა ზ მ ა ძირის ლექსიკური მნიშვნელობა დაეიწროდა და დაკავშირდა „მორთვას“ „παρασκευή(ση)“. სამასთან იგი უკვე განმარტებულია როგორც „მორთვა“ (ძველ, ფართო მნიშვნელობა დღესაც დასტურდება ფრაზეოლოგიურ ერთეულებში: „კ ე რ ძ ის შ ე კ ვ ა ზ ვ ა“, „ცხენის შ ე ს ა ღ ე ბ ვ ა“).

5 პეტრიწისეული გაზრება ამ ტერმინისა გამოყენებული აქვს იოანე ბაგრატიონს. თვი წ ი ნ ჩ ა მ ო გ დ ებ ა ტერმინს ხმარობს „წ ი ნ ა ვ ძ ღ ვ ა რ ი“ მნიშვნელობით: ამ. კ ი ლ ს., 20, 22—37, 31, 5—9, 32, 14 და სხვ.

6 Θέσις-ს არისტოტელესთან ამოგან განსხვავებული გაგება აქვს [3, ეგ. 281].

ამგვარად, θέσις და πρόβλημα ზემოთ განხილულ შემთხვევებში გარკვეული აზრით სინონიმებია, როგორც წინასწარ ალებული დასასაბუთებელი დებულებები. რაც შეეხება ახალ ქართულში ამ მნიშვნელობით დამკვიდრებულ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ტერმინს, იგი უკვე დაეთ და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებშია ფიქსირებული და, როგორც ვხედავთ, მიღებულია საკმაოდ „ხელოვნურად" საობიექტო მიმღეობის (დ ე ბ უ ლ ი) გასუბსტანტივებით აბსტრაქტული სახელების მაწარმოებელი -ება სუფიქსის საშუალებით.

ის, რაც დასამტკიცებელია, ამავე დროს ა მ ო ც ა ნ ა ა, ს ა კ ი თ ხ ი ა, ს ა კ ვ ლ ე ვ ი ა, ს ა ძ ი ებ ე ლ ი ა. ამისათვის ბერძნულში ζήτημα ტერმინიც ხმარება. (ნემესიოსთან ζήτησις — „თეორიული სპეკულაცია, გამოკვლევა, ძიება" უპირისპირდება βούλευσις — „პრაქტიკულ განსჯას": Οὐ γὰρ ταυτόν ἐστι βουλὴ καὶ ζήτησις... πᾶσα μὲν γὰρ βουλὴ ζήτησίς τίς ἐστιν οὐ πᾶσα δὲ ζήτησις, βουλή: PG, τ. 40, col. 736.

პეტრიწის თარგმანი:

არა იგივე არს განზრახვაᲲ და ძიებაᲲ... ყოველი ვინაᲲვე განზრახვაᲲ ძიება ვიდრემე არს, არამედ არცა ყოველი ძიება — განზრახვა: ნემეს. 137, 14—21.

ს ა ძ ი ებ ე ლ ი საკვლევი საკითხია, ხოლო მ ე ძ ი ებ ე ლ ი — მკვლევარი:

აქა ს ა ძ ი ებ ე ლ ი შემოვა, დაფრიადებული სიღრმითა: ი. Თ. II, § 43. იტყუს მ ე ძ ი ებ ე ლ ი, უკუეთუ ეზიარების სიმრავლე ერთსა, იყოს ერთიცა მრავალ: იქვე, § 1, გვ. 12.

Ζήτημα-ს შესატყვისად ეფრემ მცირეც ს ა ძ ი ებ ე ლ (მყოფადის საობიექტო მიმღეობის) ფორმას იყენებს: მივიღოთ ს ა ძ ი ებ ე ლ ი იგი და მივაყრდნათ რასმე ალსარებულსა: დიალ. 52, 13.

ამავე მნიშვნელობით ხმარობს ამ ტერმინს გიორგი მთაწმიდელიც გრიგოლ ნოსელის თხზულების „კაცისა შესაქმისათჳს" თარგმანში: ესრეთ ვიტყუთ ამის საძიებელისათჳს: კაც. შესაქ., 162r (Ταῦτα περὶ τῶν ζητουμένων ὑπολαμβάνομεν, PG, t. 30, col. 180).

მაგრამ ამავე, ს ა ძ ი ებ ე ლ ი სიტყვით აქვს თარგმნილი მას ბერძნული სპეციალური ლოგიკური ტერმინი πρότασις (რომელიც სიოლოგიზმის შემადგენელი ელემენტია), რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მისთვის ამ უკანასკნელის, როგორც ლოგიკური ცნების, მნიშვნელობა მოლად გარკვეული არ უნდა იყოს. ბასილი კესარიელის თხზულების „ექუსთა დღეთას" ამ კონტექსტში ლაპარაკია სწორედ ფილოსოფოსთა მიერ სილოგიზმის კანონებით აგებული აპოდეიქტური დასაბუთების წესზე და სამი წანამძღვარიდან ორის უარყოფის გზით ჭეშმარიტების დადგენაზე: Τῶν περιέσεων ἀναιροῦντες τὰς ὀύο καὶ ἐν τῇ λειπομένῃ τὸ ἀληθὲς ἐξευρίσκοντες: PG, t. 29, col. 197, 47—48.

ამ ტერმინის შინაარსს გიორგი მთაწმიდელი სამსიტყვიანი შესიტყვებით გადმოსცემს (საძიებელთა საფილოსოფოსოთა სიტყუათაგან), საიდანაც კარგად ჩანს, რომ მისთვის ამ ტერმინის მნიშვნელობა ფილოსოფიურ მსჯელობასთან არის დაკავშირებული:

სამთა მათ ს ა ძ ი ებ ე ლ თ ა ს ა ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ო თ ა ს ი ტ ყ უ ა თ ა გ ა ნ ორთა მათ უკუნ არღუეენ და ნუმცა მას შინა ჭეშმარიტებასა ᲗᲛ-

ვებენ: ექესთა დღ. გ. ათ., 109, 12—14 (ბერძნულ დედანში, როგორც ენახეთ, „საფილოსოფოსო სიტყვა“ საერთოდ არ არის).

უძველეს თარგმანში მიახლოებითი კალკია შექმნილი ამ ბერძნული ტერმინისა: შეურაცხყოფენ ორთა მათ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲠᲔᲗᲐ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲗᲐ და მესამესა სიტყვასა შინა ᲛᲘᲗᲕᲘᲗᲔᲑᲔᲜ სამართალსა: ექსეთა დღ. უძვ., 130, 10—12.

არისტოტელეს „ანალიტიკაში“ (I ანალ. თ. I) πρότασις ტერმინი განმარტებულია, როგორც გამონათქვამი (λόγος, oratio, речь, высказывание), რომელიც ამტკიცებს ან უარყოფს რამეს რაიმეს შესახებ: Πρότασίς μεν οὖν ἐστι λόγος καταφατικὸς τινὸς κατά τινος, ΑΠΑ, I, 24a, 16-17. Propositio quidem est oratio affirmansant negas aliquid de aliquo. Посылка есть высказывание, утверждающее или отрицающее что-нибудь о чем-нибудь: Анал., с. 9.

Πρότασις ცნების ამ განმარტებას ცოტა-ოდენი ცვლილებით იმეორებს იოანე დამასკელი: Πρότασίς ἐστι λόγος ἀποφατικός τινος ἀπό τινος, ὅπερ ἐστὶν ἀπόφασις οἷον Σωκράτης οὐ γελᾷ, ἢ τίνος κατά τινος ὅπερ ἐστὶ κατάφασις, ὡς Σωκράτης γελᾷ· Dial. ξε·

ეფრემ მცირის თარგმანთან: ... ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ არს სიტყვაᲐ განჩინებით თქუმული ვისგანმე ვისთუსმე, რომელ-იგი არს უკუთქუმაᲐ, ვითარმედ: „სოკრატი არა იცინის“ ანუ ვისგანმე ესრეთ ᲬᲐᲠᲗᲥᲣᲛᲐᲐ, ვითარმედ: „სოკრატი იცინის“.

როგორც ვხედავთ, πρότασις — enuntiatio, propositio — ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲘᲡ ეს განმარტებები მის გრამატიკულ ტერმინოლოგიაში და ჩვეულებრივ, ყოფით მეტყველებაში დამკვიდრებულ შინაარსს გულისხმობს (დადებითი ანუ უარყოფითი აზრის სიტყვიერი გადმოცემა, ანუ დადებითი ან უარყოფითი შინაარსის გამონათქვამი). მაგრამ იმავე πρότασις ლექსემას არისტოტელე იყენებს როგორც სპეციალური ლოგიკური ცნების გამომხატველ ტერმინს, რომელიც სილოგიზმის ერთ-ერთი შემადგენელი ელემენტია: Τούτων δ' ὄντος φανεροῦ, δῆλον ὡς καὶ ἐκ δύο προτάσεων καὶ οὐ πλεόνων, ΑΠΑ, I, 25.

Πρότασις ტერმინის აგებულება და გააზრება ნათელია: იგი შედგება προ- წინადებულისა და τάσσω ზმნისაგან ნაწარმოები სახელისაგან: τάσις. აქედანაა კალკირებული ლათინური pro-positio ტერმინი (როგორც ლოგიკური, ისე გრამატიკული მნიშვნელობით), ხოლო ლათინურიდან ევროპულ (მაგ. ფრანგ. proposition, რუს. предложение) ენებშია შესული. თავის დროზე (XI ს.) ამ ბერძნული ტერმინის ქართული შესატყვისი კალკი მოგვცეს ეფრემ მცირემ და არსენ იყალთოელმა იოანე დამასკელის დიალექტიკის თარგმანში:

ეფრემი	არსენი
ხოლო შემოკრებაᲐ შეინივთების ორთა ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐᲒᲐᲜ და შესრულებათა: დიალ. 51,1.	ხოლო შეგულისსიტყუვაᲐ შემოკრებულ არს ორთა ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐᲗᲐᲒᲐᲜ და შესრულებისაᲐ.

ეს ტერმინი ანტონ ბაგრატიონის მეშვეობით დამკვიდრებულ იქნა ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში, ხოლო ლოგიკური შინაარსით, როგორც

სილოგიზმის შემადგენელი ნაწილი, ნაწარმოები იქნა ახალი ტერმინი წანამძღვარი, რომელიც ამავე ბერძნული ტერმინის სემანტიკურ კალკს წარმოადგენს.

გარდა წინადადებისა, ეფრემთან ამ ცნების აღსანიშნავად ვხვდებით მსგავსადვე აგებულ ფორმას წინადაწესებული. „დიალექტიკის“ ზემოთმოყვანილი თავის საერთო სათაურად ეფრემის თარგმანში ეკითხულობთ: „საზღვრისათჳს და წინადაწესებისა და შემოკრებისა“ (Περὶ ὅρου καὶ προτάσεως καὶ συλλογισμοῦ, Dial. ξε).

ეფრემის ამ ტერმინთან ახლოს დგას პეტრიწის ტერმინი პირველდაწესებული, რომელიც მას ნემესიოსის თხზულების თარგმანში აქვს ნახმარი πρότασις ტერმინის შესატყვისად: Ψευδὲς γὰρ ἐστὶν ἡ πρότασις: PG, 40, col. 548. ტყუილ ვინაჲვე არს პირველდაწესებული: ნემეს. 29, 20. ან: Ψευδὲς ἂν ἦν πρότασίς: col. 745. ტყუილ ვიდრემე იყოს პირველდაწესებული: ნემეს. 143, 4—6.

საქმე ისაა, რომ წინადადება ტერმინს იოანე პეტრიწი ამავე თხზულების თარგმანში (იხ. ნემეს., გვ. 148, PG, t. 40, col. 756) ხმარობს ბერძნული ὑπόθεσις — propositum — предположение, условие-ს შესატყვისად, რომელიც, სხვათა შორის, არისტოტელესთან წანამძღვრის (посылка) მნიშვნელობითაც იხმარება. ალბათ ამიტომ ერიდება იგი πρότασις ტერმინის წინადადებით თარგმნას და პროკლეს „კავშირთა“ განმარტებაში საერთოდ უთარგმნელად გადმოაქვს იგი, როგორც არისტოტელეს ლოგიკური ტერმინი (იხ. ზემოთ).

ჩვეულებრივ, ბერძნული ფორმითვე აქვს წარმოდგენილი ეს ტერმინი ამონიოს ერმიასის თხზულებათა მთარგმნელსაც: Πᾶσα γὰρ ἀπόδειξις τὰς μὲν προτάσεις σάφεις καὶ ὁμολογουμένας λαμβάνει: Ammon. 74—75.

ყოველი ალმოჩენაᲐ პროტასეოთა ვიდრემე ცხადთა და აღსაარებულთა მიიხუამს: S 2562, 167r.

ან: Προτάσεις... ἐξ ὧν ὁ συλλογισμός: Ammon. 83. პროტასეონი, რომელთაგან შეიქმნების სჳლლოგიზმისი: 182v.

თუმცა მთარგმნელს მაინც უცდია ქართული შესატყვისის შექმნა: ხოლო ერთი წინგანსლეაᲐ დაეკლდების შეგულისსიტყუსაᲐ, ვინაᲐ შეგულისსიტყუაᲐცა უსრულად ითქუმის: 82v.

წანამძღვრების აღსანიშნავად გარდა πρότασις (propositio, enuntiatio) ტერმინისა, არისტოტელესა და მის კომენტატორებს გამოყენებული აქვთ ტერმინები: λῆμμα (propositio, sumptio) „მიღებული“, რომელიც პირველ ანუ დიდ წანამძღვარს აღნიშნავს (თუმცა, არისტოტელესთან ყოველთვის არ არის დიფერენცირებული: Ἐκ τῶν λημμάτων συλλογισμὸν ποιεῖσθαι: იხ. Дворецкий, 1024) და λαμβάνω „ვიღებ“ ზმნისაგან მიღებული სახელია, ასევე, ლათ. sumptio ხაწარმოებია summo „ალება, მიღება“ ზმნისაგან. Προσληψις „დამატებით მიღებული“, რომელიც მეორე ანუ მცირე წანამძღვარს აღნიშნავს, προσλαμβάνω „დამატებით, კიდევ, ზედმეტად ვიღებ“ ზმნისაგან ნაწარმოები სახელია (მისი ზუსტი კალკია ლათ. assumptio—assumo „ვამატებ“ ზმნიდან). ამ უკანასკნელის სინონიმად არისტოტელესთან გვხვდება კიდევ მიმღეობის ფორმა προσλαμβανόμενα. როგორც ნემესიოს ემესელის საბუნებისმეტყველო—ანთროპოლოგიური ტრაქტატის Περὶ φύσεως ἀνθρώπου („ბუნებისათჳს კაცისა“) ბერძნული ტექსტის პირველი

გამომცემელი[7] ქ. ფ. მატთეი აღნიშნავს, λῆμμα საზოგადო სახელია (სილოგიზმის შემადგენელი ნაწილის — წანამძღვარისა). რომელიც ლათინურად propositio-თი გადმოიცემა და, რომელიც, აგრეთვე, πρότασις-ადაც იწოდება და πρόσληψις-ადაც, ანუ ლათ. assumptio-დ [PG, ტ. 40, col. 547—548]. არისტოტელეს ნაშრომებში ამ ტერმინთა მკაცრი დიფერენციაცია თითქოს არ ჩანს, თუმცა I ანალიტიკის I წიგნის 25-ე თავში იგი ლაპარაკობს მთავარ წანამძღვრებზე: κύριας προτάσεις: ΑΠΑ, XXV, 70, 31 (principales propositiones) და წანამძღვრების შემადგენელ სამი ტერმინიდან: საშუალო (τὸ μέσον) და ორი კიდური (τὰ ἄκρα) ტერმინიდან გამოაყოფს დიდს ანუ პირველს (τὸ μεῖζον, πρῶτον) და მეორეს ანუ უკანასკნელს (τὸ ἔλαττον. ἔσχατον) [3, გვ. 189].

დიოგენე ლაერტთან გარჩეულია სილოგიზმის შემადგენელი ნაწილები: 1. λῆμμα — I ანუ დიდი წანამძღვარი. 2. πρόσληψις — II ანუ მცირე წანამძღვარი [PG, ტ. 40, col. 547, ს.]; 5. გვ. 1024, λῆμμα ლექსების განმარტება].

ლოგიკური ტრაქტატების ძველ ქართულ თარგმანებში დიდი და მცირე წანამძღვრების ასეთი დიფერენციაცია არ ჩანს, მაგრამ ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ნემესიოსის ერთი ადგილის პეტრიწისეული თარგმანის ჩვენება თვით ბერძნული ტერმინების მნიშვნელობის გაგებისა და ქვემოთ მოყვანილი კონტექსტის სწორად წაკითხვის თვალსაზრისით: "Ἐστι δὲ τὸ ἕτερον τῶν λημμάτων ψεῦδος κατὰ πρόλεψιν κείμενον: PG, t. 40, col. 548. Est autem altera sumptio non vera quae in assumptione est haec: col. 547.

პეტრიწის თარგმანით:

არს პირველი დაუღლეთ მიღებულთაგ ტყუილ, ერთქმნილი პირველმღებადთაგ: ნემეს. 29, 13 („ღამათაგან ერთი ტყუის").

Κατὰ πρόσληψις ფორმას, რომელიც ხელნაწერებშია, მატთეი ასწორებს κατὰ πρόληψιν ფორმით, რადგანაც პირველი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ნიშნავს „დამატებით მიღებულს" ანუ მცირე წანამძღვარს სილოგიზმში, ხოლო ამ კონტექსტში მცირე წანამძღვარზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ მცდარ „მინაღებზე", დაშვებაზე, რომელიც წინასწარ, ადრეეა მიღებული (κατὰ πρόληψις). როგორც ვხედავთ, პეტრიწის თარგმანი ეთანხმება ამ გასწორებას: მასთან მოცემულია πρό-ληψις სიტყვის თარგმანი: პ ი რ ვ ე ლ მ ღ ე ბ ა დ ი და არა πρόσληψις ლოგიკური ტერმინისა; προ- წინდებულიან სიტყვებს იგი ჩვეულებრივ პ ი რ ვ ე ლ ან წ ი ნ ა ა ბ თ ვ ე სიტყვების შემცველი კომპოზიტებით თარგმნის (πρό-τασις — პირველდაწესებული, προ-θέτημι — პირველწარმოდგომილი, πρό-γνωσις — წინმეუწყობა...) ხოლო προς ზმნისართის შემცველ სიტყვებს კი თან, ზედ წინდებულიანი ფორმებით, ან უბრალოდ, დ ა რ თ ვ ა, მ ა ტ ე ბ ა ზმნებით (πρόσθεσις თ ა ნ მ ი ღ ე ბ ა, დ ა რ თ ვ ა, ἄν γὰρ τ! ἄλλο προσθῇς — რაცალა დ ა ჰ რ თ ო და ჰ ვ ა ტ: ი. ბ. I, 9, 21).

როგორც ჩანს, λῆμμα (დიდი, I წანამძღვარი) ტერმინთან მეზობლობაში πρόληψις სიტყვა გადაწერებმა სილოგიზმის II — ანუ მცირე წანამძღვრად,

---

7 პროფ. ქრისტიან ფრიდრიხ მატთეის (Matthaei) რედაქტორობით ჰალეში 1802 წ. გამოცა ნემესიოსის ტრაქტატის ბერძნული ტექსტი, რომელიც თითქმის უცვლელად გადმობეჭდილი Migne-ის პატროლოგიიდან. ტ. 40, 1858 წ.

πρόσληψις ტერმინად გაიგეს. აქედან მოდის, ალბათ, ლათინური თარგმანის[8] შეცდომაც in assumptione (მცირე წანამძღვარი).

შესაძლებელია დაეშვათ ისიც, რომ λῆμμα ტერმინთან მეზობლობაში πρόσληψις ფორმა ტექსტის ლათინურად მთარგმნელმა კალმის შეცდომად ჩათვალა და თარგმნა თავისი შესწორებით: in assumptione. ამგვარად, პეტრიწის ამ წაკითხვას (პირველ მღებადი) დიდი მნიშვნელობა აქვს ბერძნული ტექსტის პირველი ვარიანტის დასადგენად. მის ხელთ არსებული ბერძნული ხელნაწერი, როგორც ჩანს, მატთეის შესწორების თანახმად, მართლაც πρόληψις ფორმას შეიცავდა. იგივე ითქმის შემდეგს კონტექსტზეც: Ψευδὴς γὰρ ἐστιν ἡ πρότασις καὶ ἐνταῦθα, κατὰ πρόληψιν: PG.t. 40, col. 548. Falsa est enim enuntiatio in assumptione ista. ოთხე პეტრიწი: „ტყუელ ვინაცვე არს პირველდაწესებული და აქაცა მებრ პირველ მღებისა: ნემეს. 29. 20 („მცდარია, მაშასადამე, წანამძღვარი აქაც, წინასწარ აღებული"; „И в этом случае ложна первая посылка, наперёд (и произвольно) утверждающая: 4, стр. 46).

Λῆμμα ცნებას ოთხე დამასკელი განმარტავს როგორც საზოგადოდ მიღებულ აზრს: λημμάτιόν ἐστιν ὅπερ εἰλέπται ὡς ὁμολογούμενον πρὸς κατασκευήν τινος: Dial. ξε'. („ლემა არის ის, რაც მიღებულია, როგორც ზოგადად აღიარებული").

ამ განმარტების მიხედვით, ცხადია, არ იგულისხმება ამ ტერმინის სპეციალური მნიშვნელობა, როგორც დიდი წანამძღვრისა. ეფრემ მცირე, როგორც მოსალოდნელია, მის შესატყვისად ხმარობს ნამყო დროის ნა- პრეფიქსიან მიღებობას, რომელსაც სუბსტანტივაციის უნარი აქვს: „მინაღები არს, რომელი მიღებულ იქმნეს, ვითარცა აღსარებული": დიალ. 51, 13.

აქვე გვინდა ყურადღება შევაჩეროთ ტერმინზე აღსაარებული — ὁμολογούμενον, რომელიც რამდენადმე უკავშირდება πρότασις ტერმინის მნიშვნელობას, როგორც „წინასწარ მიღებულ ჭეშმარიტ დებულებას". — ὁμολογούμενον ტერმინის ქართული შესატყვისი — აღსაარებული გვხვდება როგორც ეფრემ მცირის ლექსიკონში (იხ. ზემოთ), ასევე ნემესიოსის და ამონიოსის თხზულების თარგმანის ენაში:

მივიღე საძიებელი ესე, ვითარცა აღსაარებული და ვთქუ: დიალ. 52, 13. ესე უკუე დადვა, ვითარცა პირველ აღსაარებული და ჰკაზმავს სიტყუასა: ნემეს. 31, 24 — Τοῦτο οὖν λαβὼν, ὡς ὁμολογούμενον: PG, t. 40, col. 552— „და ასე, მიიღო რა ეს, როგორც აღიარებული (აქსიომა)" (ფ. ელადიმირსკი „აქსიომით" თარგმნის); პროტასეოსსა, რომელი, ვითარცა აღსაარებული, პირველ მიიღებოდა: S 2562, 167 r.—Πρότασιν, ἣν ὡς ὁμολογουμένην πρὶν ἐλαμβάνομεν: Ammon. 74—76.

I ანალიტიკის I წიგნში არისტოტელე სილოგიზმს განსაზღვრავს როგორც ტერმინებისა (ὅροι) და წანამძღვრების (προτάσεις) კავშირს.

ხოლო ტერმინს—ὅρος-ს უწოდებს იმას, რადაც იშლება (ანუ რისგანაც შედგება) πρότασις — წინადადება ანუ გამონათქვამი, მსჯელობა (იგივე წანამძღვარი),

---

[8] უძველესი ლათინური თარგმანი ეკუთვნის რობერტ ბერგუნდიის (XII ს.) [4, გვ. 8, სქ.].

ანუ იმას, რაც გა?ოითქმის რაიმეზე* ან რაზეც გამოითქმის რაიმე, ერთი სიტყვით, წინადადების წევრებს (ლოგიკური გაგებით), არსენის სიტყვებით — „კერძონი წინადადებისანი“: "Ὅρον δὲ καλῶ εἰς ὃν διαλύεται ἡ πρότασις, οἷον τότε κατηγορούμενον καὶ τὸ καθ οὗ κατηγορεῖται: ΑΠΑ, II, 39, 31. Terminum autem voco, in quem dissolvitur propositio, ut praedicatum, et id de que praedicatur.

ეს განსაზღვრება ოტაოდენი ცვლილებით გამეორებულია იოანე დამასკელის „დიალექტიკაში“: "Ὅρος ἐστίν, εἰς ὃν ἀναλύεται ἡ πρότασις: Dial. ξε'.

ამ კონტექსტში ὅρος ტერმინის შესატყვისად ეფრემ მცირე ხმარობს სიტყვის ფორმას: გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა ი:ი არს, რომლის მიმართ განილეოდის წინადადებაი: დიალ. 51,8;

მაგრამ, ჩვეულებრივ, ამ ტერმინის შესატყვისად ძველ ქართულ ფილოსოფიურ ძეგლებში და იმავე „დიალექტიკის“ ეფრემისავე და არსენის თარგმანში ძ ე ღ ი/ზ ე ღ ი ზმნური ძირის მომავალი დროის მიმღეობაა გამოყენებული: ხა-ზღვ-არ:

ხოლო თითოეული წინადადებაი ს ა ზ ღ ვ ა რ თ ა გ ა ნ შემოკრბების და თითოეული ნაწილ. წინადადებისაი გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა დ სახელ-იდების, რამეთუ განსაზღვრებაი არს, რომლისა მიმართ აღიკსნების წინადადებაი (ეფრემი).	თითოეული წინადადებაი ს ა ზ ღ ვ ა რ თ ა გ ა ნ შემოკრებულ არს, რამეთუ თითოეული ღეკსი წინადადებისაი ს ა ზ ღ ვ რ ა დ ითქემის, რამეთუ ს ა ზ ღ ვ ა რ ი ი არს, რომლისა მიმართ დაიკსნების წინადადებაი (არსენი): 51,2.

ნაწილებისაგან შემდგარი ერთიანობის (მთლიანობის) ნათელსაყოფად იოანე პეტრიწს სილოგიზმის, როგორც ნაწილებისაგან შემდგარი ერთის, მთლიანის მაგალითი მოჰყავს: სამთა მიერ საზღვართა — ყოველი სულლოგიზმოი: II, § 82, გვ. 22, 7 (შდრ. არისტოტელე: Πᾶς συλλογισμὸς ἔστι δι:ὰ τριῶν ὅρων μόνων: ΑΠΑ, XXIV, 70, 22).

როგორც უკვე ვთქვით, არისტოტელე წანამძღვრებში განარჩევს სამ ტერმინს: ორ კიდურას (τὰ ἄκρα) და ერთს — საშუალს (τὸ μέσον) რომლის მეშვეობით კიდურა ტერმინები დანასკვში უკავშირდებიან ერთმანეთს. როგორც ზემოთ ვნახეთ, იოანე პეტრიწი, იძლევა რა სილოგიზმის ორიგინალურ სქემას, რომლის მიხედვითაც ნათლად გაიაზრება τὰ ἄκρα და τὸ μέσον ლოგიკურ ტერმინთა შინაარსი, ხაზს უსვამს საშუალო ტერმინის მნიშვნელობას შემეცნების პროცესში: „იხილე, ვითარ ყოველი ცნობაი და ძიებაი ს ა შ უ ა ლ ი-ს ა ი არს, და იგი აზიარებს და შეჰყრის ურთიერთას ორთავე კ ი დ უ რ თ ა (ი. ბ. II, § 1, II, 9—10).

პეტრიწის ეს მსჯელობა, როგორც ჩანს, ეყრდნობა არისტოტელეს I ანალიტიკის I წიგნის 23-ე თავსა და II ანალიტიკის II წიგნის II, III და XI თავებში გაშლილ მსჯელობებს კვლევა-ძიების პროცესში საშუალო ტერმინის მნიშვნელობის შესახებ.

---

* Ὅρος ტერმინის აქედან გამომდინარე მეორე მნიშვნელობაზე („განსაზღვრება“, „определение“) სტეფან გვენეტა ღალარაკი.

როგორც ზემოთ ვნახეთ, არისტოტელეს განსაზღვრებით ტერმინი (ὅρος) არის ის, რისგანაც შედგება წანამძღვარი (πρότασις — წინადადება), ანუ ის, რაც გამოითქმის რაიმეზე (κατηγορούμενον), ან ის, რაზედაც გამოითქმის რაიმე (καθ' οὗ κατηγορεῖται). არსებითად ამასვე ამბობს ამონიოს ერმიასი, რომელიც წანამძღვრის (წინადადების) შემადგენელი ტერმინების ადგილას პირდაპირ სვამს არისტოტელესეულ ლოგიკურ ტერმინებს — κατηγορούμενον და ὑποκείμενον: Πρότασις ἐκ δύο ὅρων σύγκειται, ὧν ὁ μέν ἐστιν. ὑποκείμενος ὁ δὲ κατηγορούμενος: Ammon. 88, 8-10.

„ხოლო პროტასი ორთა საზღვართაგან თანამდებარე არს, რომელთაგანი ერთი ვიდრემე არს ქუემდებარე, ხოლო სხუა — შესმენილი“: 182r-v.

Κατηγορούμενον (сказуемое praedicatum) მიმღეობაა ზმნისა κατηγορέω, რომლის ამოსავალი მნიშვნელობაა „შესმენა, порицать, обвинять, высказывать“. იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ თარგმანში ეფრემ მცირეს და არსენ იყალთოელს ამ ბერძნული ლექსემის ამოსავალი მნიშვნელობა აქვთ თარგმნილი: შესმენითი სიტყუა, შესმენილი, შემასმენელი. ეს უკანასკნელი დამკიდრდა კიდევაც ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში 'Υποκείμενον კი ქვე (под) წინდებული κείσθαι „ადგება“ ზმნის მიმღეობაა, რომლის ფორმალური კალკია არსებული ქუე(დ) მდებარე, რომელიც აგრეთვე, დამკიდრებულია თანამედროვე ქართულ გრამატიკულ ტერმინოლოგიაში (ასევე, მისი კალკია ლათ. subjectum, რუს. подлежащее).

ამ ტერმინთა ფორმალური მოტივაცია და გაგება კარგად ვლინდება ამონიოსის ზემოთ მოყვანილი კონტექსტის გაგრძელებაში: 'Υποκείμενος μὲν ἐστὶ περὶ ἐκείνου λεγόμενος, οἷον Σωκράτης περιπατεῖ ὑπόκειται μὲν γὰρ ὁ Σωκράτης, περὶ οὗ ὁ λόγος, κατηγορεῖται δὲ τὸ περιπατεῖν, ὅπερ κατ' ἐκείνου λέγεται: Ammon. 88, 10-13.

ქართული თარგმანი:

ქუემდებარე ვიდრემე (არს), რომლისათჳს არს სიტყუა, ხოლო შესმენილი, რომელი მისთჳს ითქუმის, ვითარ-იგი: „სოკრატი იარების“, რამეთუ ქუედ-ძეს სოკრატი, რომლისათჳს არს სიტყუა, ხოლო შეისმინების სიარული, რომელი სამისოდ ითქუმის: S 2562, 182 v.

ამ ტერმინების შესახებ უფრო ვრცლად გვეუბნება მსჯელობა არისტოტელეს ონტოლოგიურ კატეგორიებთან დაკავშირებით. ახლა კი განვიხილოთ სილოგიზმის შემდეგი შემადგენელი ნაწილის — დანასკვის (conclusio, заключение) ამსახველი ტერმინოლოგია ძველ ქართულში.

ზემოთ ვნახეთ, რომ სილოგიზმს არისტოტელე განიხილავდა, როგორც ტერმინებისა და წანამძღვრების კავშირს (I ანალიტ., წიგნი I). I ანალიტიკის II წიგნში კი იგი სილოგიზმს განიხილავს როგორც წანამძღვრებიდან დასასკვის გამომდინარეობას. ამ მიმართებით სილოგიზმის განსაზღვრა მას მოცემული აქვს უკვე I ანალიტიკის I წიგნის პირველსავე თავში (სადაც იგი იძლევა სილოგიზმის ძირითადი ცნებების განსაზღვრებებს):

Συλλογισμὸς δέ ἐστι λόγος ἐν ᾧ, τεθέντων τινῶν ἕτερόν τι τῶν κειμένων ἐξ ἀνάγκης συμβαίνει τῷ ταῦτα εἶναι: ΑΠΑ, 1, 39, 34-36. „სილოგიზმი არის მსჯელობა, რომელშიც რაიმეს მტკიცებისას მისგან აუცილებლობით გამომდინა-

რეობს განსხვავებული რამ". ამ განსხვავებულ გამომდინარეობას კი იგი უწოდებს συμπέρασμα-ს.

ამ ტერმინის ამოსავალი მნიშვნელობა ორგვარად შეიძლება გავიაზროთ: 1. როგორც περαίνω („შესრულება, დასრულება, აღსრულება, совершать, осуществлять, заканчивать", მნიშვნელობის შემდგომი გადაწევით — „დასკვნის ვამოტანა, делать вывод"), ზმნისაგან ნაწარმოები სახელი, მისი ამოსავალი მნიშვნელობა იქნება „დასასრული, დაბოლოება". თვით περαίνω ზმნა ნასახელარია, ნაწარმოები ჩანს πέρας „ბოლო, კიდე, საზღვარი, предел, край სახელისაგან. აქედანვეა ზმნისართი πέρα (უკიდურესად, крайне) და აქედან მნიშვნელობის გადაწევით—სპეციალური ლოგიკური ცნების, „დასასკვნის" (ლათ. concludo „заключать" ზმნიდან ნაწარმოები conclusio, რომლის კალკია რუსული заключение) გამომხატველი ტერმინი. 2. შესაძლებელია, συμπέρασμα ტერმინი გააზრებულ იქნეს, როგორც πέρα ფუძისაგან ნაწარმოები περάω ზმნის დერივატი. Περάω ნიშნავს „გადასვლას, გადალახვას" (переходить, проходить). აქედან συμπέρασμα შეიძლება გავიგოთ, როგორც „თანაგამოსავალი, თანაგამომდინარეობა". ეს გააზრება ჩანს სწორედ ამ ლოგიკური ცნების ერთ-ერთ რუსულ შესატყვისში — вывод.

ორივე შესაძლებელი გააზრება ამ ცნებისა მოცემულია მის ძველ ქართულ შესატყვისებში: შეხრულება და თანგახავალი.

Συμπέρασμα-ს პირველი მნიშვნელობით ინტერპრეტაციას შეიძლება თვალი გავადევნოთ ამონიოს ერმიასის მსჯელობაში, სადაც განხილულია შემოხვევა, როცა საქმე გვაქვს წრესთან დასაბუთებაში (Κύκλῳ καὶ ἐξ ἀλλήλων, circulus in demonstrando):

Βουλόμενος γὰρ δεῖξαι ὅτι ἡ ψυχὴ ἀθάνατος ἔλαβον τὸ αὐτοκίνητον πρῶτον, συνεπέραναν δὲ τὸ ἀθάνατον, βουλόμενος δὲ πάλιν δεῖξαι ὅτι ὁ ψυχὴ αὐτοκίνητος ἔλαβον πρῶτον τὸ ὕστερον λαχθὲν τὸ ἀθανάτον καὶ συνεπέραναν ὅτι αὐτοκίνητος: Ammon. 74, 19-22.

ქართული თარგმანი:

მნებავმან ჩუენებად, ვითარმედ უკუდავ არს სული, მივიღე პირველად თუთმოძრავი და შევასრულე უკუდავი, ხოლო მნებავმან კუალად ჩუენებად, ვითარმედ სული თუთმოძრავ არს, მივიღე პირველად უკუდავი და შევასრულე თუთმოძრავი: S 2562, 167г.

სწორედ ასეთ გააზრებას იძლევიან συμπέρασμα ტერმინისა ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი იოანე დამასკელის „დიალექტიკის" სათანადო ადგილის თარგმანში. συμπέρασμα მათი ინტერპრეტაციით არის შ ე ს რ უ ლ ე ბ ა: Ὁ δὲ συλλογισμὸς σύγκειται ἐκ δύο ἀληθῶν προτάσεων καὶ τοῦ συμπεράσματος: Dial. ξε'.

ეფრემი	არსენი
შემოკრებაჲ შეინივთების ორთა ჭეშმარიტთა წინადადებათაგან და შ ე ს რ უ ლ ე ბ ა ჲ ა: დიალ. 51,1.	შეგულისსიტყუაჲ შემოკრებულ არს ორთა ჭეშმარიტთა წინადადებათაგან და შ ე ხ რ უ ლ ე ბ ი ს ა.

შ ე ს რ უ ლ ე ბ ა ტერმინის სემანტიკური და ფორმალური მოტივაცია აქ ნათელია. სულ სხვაგვარ ინტერპრეტაციას იძლევა ამ ტერმინისას თავისი განმარტებითი თარგმანით იოანე პეტრიწი.

იოანე პატრიწსაც συμπέρασμα სილოგიზმის „დასასრულად" მიაჩნდა, (იხ. ზემოთ: „ხოლო დასასრულისასა ეწოდების სუმპერაზმა..."), მაგრამ ქართული შესატყვისის ძიებისას იგი წინ წამოსწევს იმას, რომ სუპერაზმა ორი კიდურა ტერმინის შემაერთებელია, ორი „თანამდებარე" წანამძღვარიდანაა გამოსული, ანუ როგორც თვითონ ხსნის, „თანგასავალია ურთიერთას კიდურთა" (ეს გაგებრება ნათელია ზემოთ წარმოდგენილი პეტრიწისეული თვალსაჩინო სქემიდან). ამიტომ პეტრიწი συμπέρασμα-ს ქართული შესატყვისისთვის ამოსავლად იღებს περάω ზმნის მნიშვნელობას და ასე იძლევა ამ ბერძნული ტერმინის საკუთარ ინტერპრეტაციას ქართული შესატყვისის საშუალებით:

„სუმპერაზმაი, რომელ არს თ ა ნ გ ა ს ა ვ ა ლ ი" (II, § 2, 22,9). ამ ბერძნული ტერმინის ასეთ განმარტებას იგი არაერთხელ იმეორებს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, პეტრიწი ამ კალკირებული ფორმით იძლევა მხოლოდ ახსნა-განმარტებას ამ ტერმინისა, საბოლოოდ კი მას, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებს „თანგასავალი", როგორც ტერმინი და ამიტომ ხშირად პირდაპირ ბერძნულ ფორმას ტოვებს: „ამას თანშესიტყუასა ს უ მ პ ე რ ა ზ მ ა ი ერთ ჰყოფს და ერთისგუარ, რამეთუ სამთა მიერ საზღუართა ყოველი სულლოგიზმოი და ერთისა ს უ მ პ ე რ ა ზ მ ა ი ს ა" (II, § 2, 22,6—7).

როგორც ვნახეთ, პეტრიწი გვერდს უვლის აგრეთვე ეფრემისა და არსენისეულ „შ ე ს რ უ ლ ე ბ ა" ტერმინსაც, რომელიც მას, შესაძლებელია, არ აკმაყოფილებს იმის გამოც, რომ იგი ეფრემ მცირეს არისტოტელეს ἐντελεχεία-ს შესატყვისადაც აქვს გამოყენებული: „მოძრაკობა არს შ ე ს რ უ ლ ე ბ ა ი ძალისაი" (დიალ., 48,1).

შ ე ს რ უ ლ ე ბ ა ტერმინი συμπέρασμα-ს შესატყვისად გვხვდება ამონიოს ეარმიანის „მოსაკსენებელთა" თარგმანშიც:

"Ὥστε διέλληλος δεῖξι ἐστιν ἡ τῶν προτάσεις συμπεράσματα ποιοῦσα: Ammon. 74, 22-25.

ურთიერთას ჩუენებაი არს უპირველესისა შ ე ს რ უ ლ ე ბ ა დ შემქმნელი: S 2562, 167r („წრე დასაბუთებაში არის წანამძღვრების დასასკვად მქცევი").

მაგრამ უფრო ხშირად აქაც ბერძნული ტერმინი უთარგმნელადაა გადმოტანილი: Τὸ δὲ συμπέρασμα ἀσαφὲς ὂν σαφηνίζει καὶ φανερὸν ποιεῖ: Ammon. 74, 25.

ხოლო ს უ მ პ ე რ ა ს მ ა უცხადოდ მყოფსა განაცხადებს და საჩინო ჰყოფს პროტასეოთა მიერ.: S 2562, 176r.

ზემოთ განხილულ ტერმინთაგან, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი გამოიყენა იოანე ბაგრატიონმა თავისი „ქალმასობის" ფილოსოფიურ ნაწილში, რომლის წყაროსაც ფილოსოფიურ-ლოგიკური ტრაქტატების ძველი ქართული თარგმანები წარმოადგენს. მაგრამ, სამწუხაროდ, მან თავი ვერ გაართვა Გინონიმიის პრობლემას და ამ მდიდარი მასალიდან ვერ შეძლო შეერჩია თითო ცნებისათვის შესატყვისი საუკეთესო ტერმინი. მაგ. წ ა ნ ა მ ძ ღ ვ რ ი ს ა თ ვ ი ს გამოყენებული აქვს როგორც წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა, ასევე წ ი ნ ა ჩ ა მ ო გ დ ე ბ ა

(შდრ. პეტრიწის წინჩამოსაგდებელი სიტყუა) ლექსემები. სილოგიზმისათვის — სილოგიზმი და შესიტყვება, ტერმინისათვის — საზღუარი, დატოვებული აქვს აგრეთვე ტერმინები ქუემდებარე და შესმენილი, ხოლო, რაც შეეხება συμπέρασμα-ს, მის შესატყვისად ქმნის ახალ ტერმინს კიდურმდგმოება (ალშ. 30—32—33), რომელიც ვერც ფორმისა და ვერც სემანტიკური გამომსახველობის თვალსაზრისით ვერ უსწორდება ზემოთ განხილულ ძველ ტერმინებს.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ქართულ ლოგიკურ ტერმინოლოგიაში სილოგიზმის ცნების შესატყვისად გამოყენებულია ტერმინი დასკვნა (умозаключение), რომელსაც ყოფითს მეტყველებაში მსჯელობიდან გამომდინარეობის (вывод, заключение) მნიშვნელობა აქვს, რაც გარკვეულ უხერხულობას ქმნის. ხოლო წანამძღვრებიდან გამომდინარე ახალი მსჯელობისათვის სპეციალური ტერმინი, დანასკვი გამოიყენება (ნა- პრეფიქსიანი ნამყო დროის მიმღეობის ფორმა იმავე ფუძის ზმნიდან).

„ეეფხისტყაოსანში“ დასკვნა, ჩვეულებრივ, „გადაწყვეტილების“ მნიშვნელობით გვხვდება (დაასკვნის იგი თათბირი: 1408, 2; დაასკვნა გაგზავნა მოციქულისა: 314,1; რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა: 512,1 და სხვ.). დასკუნა ლექსემა საბასთან განმარტებულია როგორც „სიტყვის დამტკიცება“, ხოლო დამტკიცება (აღმოჩენა — ἀπόδειξις) ძველი ქართული ენის ძეგლებში გვხვდება დასაბუთება ცნების შესატყვისად, როგორც ერთხელ უკვე აღნიშნეთ [2, გვ. 116] (მაგ. იოფილაქტე ბულგარელის იოანეს სახარების თარგმანებაში იგი აღმოჩენა — „დასაბუთება, დამტკიცება“ — ლექსემასთან სინონიმურ წყვილშია ნახმარი: აღმოაჩინა, დაამტკიცა, ვითარ ძე მისი არს: A 52, 46г; ან იხ. მაგ. იოანე პეტრიწის „განმარტება“: ვითარ თხზვამან აღმოჩენათ'ამან და სიტყუამან სარწმუნომან დაამტკიცოს, მერმეღა თანგანვლის სახედ სუმპერაზმა — უზამს და იტყუს: § 191, 197, 13).

ამგვარად, საბას ამ განმარტებას ძველი ქართული ენის ძეგლებშიც აქვს საფუძველი. აქედან გამომდინარე, უკვე გასაგებია დასკვნა ლექსემის მნიშვნელობის გადაწევა და მისი სპეციალური (умозаключение) ლოგიკური გაგებით გამოყენება, რაც უკვე ფიქსირებულია დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსულ ლექსიკონში.

ჰუმანიტარულ და ტექნიკურ მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე პირობებში, რაც, უპირველეს ყოვლისა, სწრაფ ტემპსა და ფართო საერთაშორისო კონტაქტებს გულისხმობს, განსაკუთრებით მწვავედ დგას იგივე პრობლემები, რაც ჩვენი წინაპრების წინაშე იდგა ცხრა-ათი ასწლეულის წინათ. განსაკუთრებით მწვავედ დგას ეს პრობლემები დღეს, როდესაც დიდია ცთუნება ე. წ. საერთაშორისო სპეციალური ლექსიკის მზამზარეული გადმონერგვისა სწრაფი ათვისებისა და მეცნიერული კომუნიკაციის გაადვილების მიზნით. ასეთ პირობებში მით უფრო საშურია და აუცილებელი ძველ ქართველ მოღვაწეთა სიტყვათშემოქმედების პრინციპების და მეთოდების შესწავლა და მათი დიდი გამოცდილების პრაქტიკულად გამოყენება.

შ ე ბ ო ჭ ლ ე ბ ა ნ ი

დ ი ო ნ. — იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო შ. რაფავამ, თბ., 1976.

ე ქ ვ ს თ ა, კ ა ტ. შ ე ს. უ ძ ვ. — უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექვსთა დღეთაესა" და გრიგოლ ნოსელის „კაცისა აგებულებისათჳს", X—XIII სს. ხელნაწერთა მიხედვით, გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია ინუღაძემ, თბ., 1964.

ე ქ ვ ს თ ა, გ. ა თ. — ბასილი დიდი, ექვსთა დღეთაჲ, გიორგი ათონელის თარგმანი, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო შ. ჯახაძემ, თბ., 1947.

ი. პ. II — იოანე პეტრიწი, შრომები, II, განმარტებანი პროკლესთჳს დიადოხისისა, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1937.

კ ა ლ ბ. — იოანე ბაგრატიონი, კალმასობა, ფილოსოფიური ნაწილი, ტექსტი გამოსცა გელნარა დედაბრიშვილმა, თბ., 1974.

S 2562 — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, „ამონიოს ერმეაძის ძისა მოსაკსენებელი ხუთთა ყმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათჳს; მოსაკსენებელი ათთა კატეგორიათადმი არისტოტელისათჳ".

A 52 — კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ხელნაწერი, თეოფილაქტე ბულგარელი, იოანეს სახარების თარგმანება.

Анал. — Аристотель. Аналитики, Госполитиздат, Москва. 1952.

АПА — Ἀριστοτέλης, Ἀναλυτικὰ πρότερα, Aristoteles, Opera omnia, graece et latine, vol. I, Parisiis, edit. A. F. Didot, MDCCCLXII.

Ammon. — Ammonius in Porphirii Isagogen, vive V voces, edit. Ad. Busse, Berolini, Commentaria in Aristotelen graeca, vol. MDCCCCXXXXI.

Dial. — Die Schriften des Ioannes von Damascos, I, Dialectica, ver. Kotter, Berlin, 1969.

PG—Patrologiae, cursus completus, Series graeca, edit. S. P. Migne, 1858' t. 48.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა

1. კ ვ ი ნ ტ ე ს ჰ ო რ ა ც ი ს ფ ლ ა კ უ ს ი, პოეტური ხელოვნებისათვის, თარგმანი ა. ურუშაძისა, თბილისი, 1981.
2. შ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი დ., ძველი ქართული ლოგიური ტერმინოლოგიიდან, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, კრებული 25, 1984.
3. А х м а н о в А. С. Логическое учение Аристотеля, М., 1960.
4. В л а д и м и р с к и й Ф., Немезий, епископ Эмесский. О природе человека, Почаев, 1904.
5. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, 1958.

Д. Н. МЕЛИКИШВИЛИ

ТЕРМИНОЛОГИЯ СИЛЛОГИСТИКИ И ДОКАЗАТЕЛЬСТВА В ДРЕВНЕГРУЗИНСКОМ

Р е з ю м е

В статье рассматриваются общие принципы терминообразования, выработанные деятелями XI-XII вв. Ефремом Мцире, Арсением Икалтоели, Иоанном Петрици, Ноанном Таричнсдзе. Отмечается большая продуктивность способа калькирования греческих слово-терминов. Дан семантический и морфологический анализ древнегреческо-грузинских соответствий терминов умозаключения: λῆμμα, πρόσληψις, πρότασις წინადადება (посылка); ὅρος საზღვარი (термин); ὑποκείμενον ქუეშდებარე (подлежащее); κατηγορούμενον შემასმენელი (сказуемое); συμπέρασμα შესრულება, თანგასაკალი (заключение, вывод).

დამანა მელიქიშვილი

ძველი ქართული დიალექტური ლექსიკიდან

(ნარდომი — მორდომილი)

გელათის სალიტერატურო სკოლა, რომელიც ქართული სამწერლო ენის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპის ამსახველია, მისთვის ნიშანდობლივ ელინოფილურ ტენდენციებთან (ენობრივ გრეციზმებთან) ერთად ხალხურ მეტყველებასთან პრინციპული სიახლოვით ხასიათდება. ამ სკოლის მოღვაწენი არა მარტო მთარგმნელობითი მეთოდით უპირისპირდებიან ათონელებს ანუ, როგორც მათ იოანე პეტრიწი უწოდებს, „ულუმპიელებს“, არამედ საკუთარ დიალექტურ ფორმათა და ნეოლოგიზმთა შეგნებული დაშვებითა და გავრცელებითაც სალიტერატურო ენაში. დიალექტური მოვლენებისა და ფორმებისათვის კარის ფართოდ გაღება, მათი უტრირებული გამოყენება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი გელათური ლიტერატურული სტილისა, რომელსაც სათავე დაუდო იოანე „სალმრთო ფილოსოფოსმა და ჯორციელად ღრამმატიკოსმა“, ზედწოდებით პეტრიწმა.

გელათის სკოლის ძეგლები გამოირჩევა საინტერესო დიალექტური (ცერძოდ, დასავლური) ლექსიკით, რომელთაგანაც ზოგის გამოყენება დღეს კვლავ დიალექტური ჩარჩოებით შემოიფარგლება (მაგ., **სოხანე** — იმერულში: „იატაკად გატკეპნილი მიწა“ — გვხვდება თეოფილაქტე ბულგარელის „იოანეს სახარების განმარტების“ გელათურ თარგმანში: „**სოხანეხა** ზედა განმსუენებელი სხეულისაჲ“ (A52, 26v). ზოგი ამ არქაულ დიალექტურ ლექსემათაგან გვერდში უდგება და ზოგჯერ ხსნის კიდეეაც თანამედროვე სალიტერატურო ენაში თუ დიალექტებში კენტად შემორჩენილი ლექსემების წარმომავლობას (მაგ., **წიწ** ძირის შემცველი ზმნური ფორმები: **წიწვა, იწიწვის, იწიწვოდიან, ეწიწვის, ეწიწვოდა...**, რომლებიც განსაკუთრებით ხშირად გვხვდება გელათურ ხელნაწერებში, ავსებს თანამედროვე სალიტერატურო ფორმებს — **მოწიწება** — „რიდი, კრძალვა“ და დიალექტურ (ფშავ-ხევს.) **წიწოლა** — „მშიშარა“ (ვაჟა, „ბახტრიონი“), **აწიწდეს** — „შეშინდნენ“ (ა. შანიძე, ჯევს. მასალ.) — და, ვფიქრობთ, ხსნის **ძრწიხ** — **ძრწოლა** ფორმათა წარმომავლობას: **წიწ-ვა**, მაგრამ -ოლ სუფიქსიანი რედუცირებული ფორმა მასდარისა დისიმილაციური გამქელერების გზით და შემდგომ რ-ს ჩართვით გვაძლევს ამ ძირის დღეს დამკვიდრებულ **ალბოლოო** ფონეტიკურ ვარიანტს: *წიწ-ოლ-ა > *წწ-ოლ-ა > ძწ-ოლ-ა > ძრწ-ოლ-ა, რომელთაგან ბოლო ორი საფეხური ძველსავე ქართულშია დადასტურებული), ზოგი კი, თუმცა აღარც დიალექტებში და აღარც სალიტერატურო **ენაში** შესორჩენილი, მაგრამ ავსებს ცარიელ რგოლს თანამედროვე ქართუ-

ლი ენის ლექსიკურ სისტემაში (მაგ., თანაშე ფორმა, რომელიც შემოგვინახეს გელათის კატენებიანი ბიბლიის ხელნაწერებმა საინტერესო შენიშვნით: „ძველი ლექსი არს თანაშე, არა ჩუენი მოპოვნებული, ხოლო დაჰნიშნაეს მახლობელობასა“ (A1108, 108v, Q1152, 232v), — ავსებს ცარიელ უჯრას შე- და მოზმნისწინებით შედგენილ ზმნიზედათა სისტემაში: წინა-შე, გარე-შე, ქუე-შე, ზედა-შე, თანა-შე; წინა-მო, გარე-მო, ქუე-მო, ზე-მო...).

ჩვენი ყურადღება მიიქცია გელათურ ხელნაწერებში ნახმარმა ლექსემამ — ნარდომი და მისგან ნაწარმოებმა ზმნებმა: ნარდომ-ყოფა და თანვანარდომნეთ.

. რას ნიშნავს ნარდომი? მისი ერთ-ერთი მნიშვნელობა ირკვევა ამონიოს ერმიასის თხზულებათა გელათური თარგმანის შემდეგი კონტექსტიდან: „ეთქუა თუ ნარდომ-ყოფაჲ წიგნისა ამის, იგიცა ყოველნი თანვანარდომნეთ ამისსა, ანუ, უკუეთუ იგინი საკუთრებ, ესეცა, ცხად არს, ვითარმედ მათ თანა“ (ამონ. 106, 36). ამ კონტექსტში, როგორც ვხედავთ, ნარდომი დაპირისპირებულია ხაკუთართან, მისი ანტონიმია, მთელ კონტექსტში კი ლაპარაკია არისტოტელეს ავტორობის საკითხზე, კერძოდ, „ნატაცი ანუ საკუთარი არს წიგნი ფილოსოფოსისაჲ?“ (ამონ. 101, 28). მოყვანილ კონტექსტებში ერთმანეთის სინონიმები ჩანს ნატაცი და ნარდომი, რომელთაც ბერძნულ დედანში შეესატყვისება νόθος ლექსემა, რაც ნიშნავს „არასწორს, უკანონოს, ცრეს, ყალბს, ნაყალბევს“ („поддельный, ложный, подложный, фальшивый“), ჩვენს შემთხვევაში — „მიტაცებულს, მითვისებულს, პლაგიატს“ (შდრ. ლათ. plagio — „ვიტაცებ“). ხოლო რთული ზმნა εἶναι: νόθος ნარდომ-ყოფა კი ნიშნავს „ყალბისქმნას, ფალსიფიკაციას, მიტაცებას, მითვისებას“. აქედანვეა ორგანული წესით ნაწარმოები ზმნა თანვანარდომნეთ — „მათთან ერთად ნაყალბევად, მიტაცებულად, მითვისებულად, არაკანონიერად მივიჩნიეთ“. ნებისმიერი ფუძისაგან ზმნათა ამ ტიპის წარმოების უსაზღვროდ გაფართოება პეტრიწისა და მისი სკოლის ენობრივი სტილისათვის მეტად დამახასიათებელი ნიშანია[1].

ნარდომი, ისევე, როგორც მისი სინონიმური შინაარსის ფორმა ნატაცი, ნა- პრეფიქსიანი მიმღეობაა ნამყო დროისა, ვრდ-ომ-ა[2] მასდარისაკან ნაწარმოები (მსგავსად სხვა, -ომ და -ოლ სუფიქსიანი მასდარებისა: ხტომა — ნა-ხტომი, დგომა — ნა-დგომი, ქროლა — ნა-ქროლი, წოლა — ნა-წოლი ტიპისა), ვ-ს ჩავარდნით: ნა-ვრდ-ომ-ი > ნა-რდ-ომ-ი. ამ პოზიციაში ვ-ს დაკარგვა რომ ამ არეალის მეტყველებისათვის ბუნებრივია, ეს ჩანს გელათის ბიბლიის შემდეგი კონტექსტიდან, სადაც ვ მასდარის ფორმაშივეა დაკარგული: „ისწავოს ძლიერებაჲ წყევისაჲ განპებითა მუცლისაჲთა და მორდომითა ბარკალთაჲთა“ (A1108, 103v, შდრ. გარდაჰვარდეს ბარკალი მისი: მცხეთ. რიცხუთა, 5, 27). გელათის ბიბლიაშივეა დადასტურებული ამავე ფუძიდან ნამყო დროის მიმღეობის სუფიქსიანი ფორმაც, ასევე ვინ-ჩავარდნილი — მორდომილი[3]: „მოგე-

---

[1] დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 132—140.

[2] ვრდ-ომ-ა საწყისში -ომ სუფიქსის გაელენით ძირი შეკუმშულია, მაშინ, როდესაც ამავე ძირიდან ნაწარმოებ -ნ სუფიქსიან საწყისში ძირი სრული გახმოვანებითაა წარმოდგენილი: ვარდ-ნ-ა. თავის მხრივ ეს ძირები შეიძლება დაუკავშიროთ ვლდ-ომ-ა — ვლთ-ომ-ა — ვლტ-ომ-ა ფონეტიკურ ვარიანტებს (ფ. ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი), რასაც იოანე სინე-

ცინ შენ... ბარკალი შენი მორდომილად“ (რიცხ. 5, 21) და აქვე ეხედებით ჩვენთვის საინტერესო ნა- პრეფიქსიან ფორმასაც: „ხოლო ნარდომიხა... ცხორებისა სასწაულ არს ფქვლი ქრთილისაჲ, რომლისთჳსცა ნარდომიხა ცხორებისათჳს შესმენილი დედაკაცი ამას შესწირივიდა თჳნიერ ზეთისა და გუნდრუკისა“. (A1108, 103v). რა მნიშვნელობა აქვს აქ ნარდომ ლექსემას და განსხვავებულია თუ არა ეს მნიშვნელობა იქვე ნახმარი პარალელური, სინონიმური წარმოების მორდომილ მიმღეობის მნიშვნელობისაგან?

მოყვანილი კონტექსტი არის პასუხი კითხვაზე, თუ რატომ სწირაედნენ ხორბლის ფქვილს ღალატში ეპვმიტანილი დედაკაცისათვის: „რაჲსათჳს ფქვლი ქრთილისაჲ მემრუშედ საგონებელთათჳს შეიწირეოდა“. ეს არის განმარტება რიცხუთა V თავის მე-12-15 მუხლებისა, რომლებშიც უფალი მოსეს პირით ამცნებს ისრაელის ძეთ, თუ როგორ უნდა შესრულდეს ცოდვის მოსახსენებელის შესაწირავი — „კაცისაჲ, რომლისაჲ გარდაჴდეს ცოლი მისი და უგულებელყოს ქმარი იგი თჳსი“. გარკვეული რიტუალის ჩატარების შემდეგ, თუ ცოლი დამნაშავე და ცოდვილი იყო, ე. ი. თუ იგი ქმრისაგან „გარდაჴდილი“ ანუ „ნარდომი“ (სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჭეშმარიტი გზიდან გადაცდენილი, ანუ გადავარდნილი) იყო, მაშინ „განსივნეს მუცელი მისი და გარდაჰვარდეს ბარკალი მისი“ (რიცხ. 5, 27).

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ნარდომი ქმრისაგან განდგომილს, ჭეშმარიტი, კანონიერი გზიდან გადაცდენილს, გადავარდნილს ნიშნავს. შდრ. დღესაც, უზნეო ყოფა-ქცევის ქალს გადატანით გავარდნილს უწოდებენ (ქეგლ, ტ. II). სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში ბერძნულ დედანში ჩახედვის საშუალება არა გვაქვს, რადგანაც განმარტების აქ მოყვანილი ნაწყვეტის ავტორი უცნობია: იქ, სადაც, წესისამებრ, ავტორის სახელი უნდა ეწეროს სინგურით, წერია ᲮᲘᲮᲬᲘᲐᲜᲘ, რაც, ჩვეულებრივ, იმ შემთხვევაში ხდება, როცა (რედაქტორისა თუ მთარგმნელისათვის) კატენის ავტორი უცნობია (წინა სქოლიო კირილე ალექსანდრიელს ეკუთვნის). მაგრამ ეჭვი არ უნდა იყოს, რომ ნარდომი აქაც ᲧᲝᲛᲝᲔ ლექსემის შესატყვისად უნდა ეხმარა მთარგმნელს. საქმე ისაა, რომ მისი ძირითადი მნიშვნელობა სწორედ „უკანონო, კანონგარეშე, წესისაგან გადახრილია“. და აქედან ჩანს განვითარებული მისი ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელობანი: ᲣᲐᲚᲑᲘ, ᲜᲐᲣᲐᲚᲑᲔᲕᲘ, ᲤᲐᲚᲡᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ.

ზემოთ ისიც ენახეთ, რომ ნარდომ ფორმასთან ერთად იმავე კონტექსტებში მისი პარალელური წარმოების ნამყოს მიმღეობის ფორმაც უხმარია გელათელ მთარგმნელს, ოღონდ ჩვეულებრივი, არატერმინოლოგიური მნიშვნელობით: „მორდომილი“, რომელსაც ზმნური ლექსიკური მნიშვნელობა აქვს დაცული. აქედან ნათელი ხდება, რომ ამონიოს ერმიასისა და კატენებიანი ბიბლიის ტექსტების გელათურ თარგმანებში მიმღეობათა წარმოების ქართულში არსებული ორი სხვადასხვა ტიპი გამოყენებულია ცნებათა დიფერენცირებისა-

---

ლის „ალეშაქსის“ გელათური თარგმანის შემდეგი კონტექსტიც ადასტურებს: „იჴუეულ ქმნილ მე ჴლდომით ადგილისაგან განჴრდომილ ეიყვე (A2188, 4r). მნიშვნელობათა გადახრა-დიფერენცირება შემდგომ ხდება. ამავე მაგალითიდან ჩანს, რომ თანხმოვანზე დაბოლოებული ზმნისწინის მომდევნო პოზიციაში ᲧᲘᲜᲘ არ იკარგეოდა: მო-რდომილი, მაგრამ: განდ-ჴრდომილი. თუმცა გვხვდება ასეც: „ეირჩიე მოჴრდომაჲ შორის სახლსა უფლისასა“: პეტრიწი, ტ. II, 210, 29.

თვის: ნა- პრეფიქსიანი მიმღეობის ფორმა (ნარდომი) გარკვეული ტერმინ-სუბსტანტივის მნიშვნელობითაა („ყალბი, მითვისებული, არაკანონიერი") გა-მოყენებული, საკუთრივ მიმღეობის ჩვეულებრივი, ყოფითი მნიშვნელობისა-თვის კი -ილ სუფიქსიანი ფორმაა ნახმარი (მორდომილი — „მოვარდნილი").

სპეციალურ ტერმინთა წარმოებისას ეს პრინციპი ფართოდ აქვს გამოყენებული და დანერგილი იოანე პეტრიწს: მიმღეობის ფორმათა პარალელური, სინონიმური წარმოებიდან, როგორც ცნობილია, ნამყო დროის ნა- პრეფიქსიანი მიმღეობები განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენენ სუბსტანტივაციისადმი (ნაგავი, ნაცარი, ნაკვეთი, ნაჭერი, ნაოვი და სხვ.), რაც ხელსაყრელია მათი ტერ-მინოლოგიზაციისათვის. ამავე პრინციპით ხელმძღვანელობს იოანე პეტრიწი, როდესაც ტერმინთა წარმოებისას აბატონებს სახელიერტო მიმღეობის წარმო-ების არქაულ მოდელს, რომელიც დღეს სუბსტანტივების (ე. წ. ხელობის სა-ხელების) წარმოებაშია დამკვიდრებული: მხედველობაში გვაქვს მ—ე, მა—ე, მო—ე: ხა—ე, ხა—ო; გამ-გ-ე, მ-წდ-ე (წდევა-დან), მა-ცნ-ე, მო-ღვ>ნ-ე, ხა-ბ-ე, ხა-ვხ-ე, ხა-ქმ-ე, ხა-ხ-ო ტიპის წარმოება, რომელიც ზმნურ ძირთაგან სახელ-თა, მიმღეობათა წარმოების არქაული მოდელი ჩანს უკვე ძველსავე ქართულ-ში და რომელსაც მოხერხებულად იყენებენ გელათის სკოლის მოღვაწენი ცნე-ბათა დიფერენცირებისათვის.

ლ. ნ. მელიქიშვილი

ИЗ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ДИАЛЕКТНОЙ ЛЕКСИКИ

(ნა-რდომი—na-rdomi, მო-რდომილი—mo-rdomili)

Резюме

В статье рассматриваются диалектные варианты причастных форм прошедшего времени ნა-რდომი (na-rdomi), მო-რდომ-ილ-ი (mo-rdom-il-i), — „отпавший"→„поддельный, ложный, подложный, незаконный, плагиат", засвидетельствованные в памятниках Гелатской литературной школы. Параллельное образование причастных форм (с преф. ნა-na- и ссуф. -ილ-il), среди которых модель na-, m—e, ma—e, mo—e, me—e проявляет боль-шую тенденцию к субстантивации, ловко используется представителями Гелатской школы с целью формального дифференцирования понятий при образовании специальной терминологии.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრა
წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა
შ. ძიძიგურმა

დამანა
მელიქიშვილი

დროის ცნება

„ლიტერატურული საქართველოს“ ამ წლის 3 იულის ნომერში დიდხანელი ხერგი ხერგელიანეთან ბატონი „სასმენელი დროის ეფემერიდებში“, რომელიც, როგორც თვით ავტორიც აღნიშნავს, „ეხება ზმიშენელიან და სიყვარულის პრობლემას“. მაგრამ ვერ დავთანხმებით ავტორის განცხადებასთან „ორე ერთ ლიტერატურულ ფენომენს“ ლიტერატურისმცოდნეს ან მეცნიერი ეურიდეთ“. ეს, როგორც ჩანს, გამოუყენელი უნდა იყოს ჩვენს ფილოსოფიურად ორიგინალური მოღვაწეთა — კოლიდენიეთის და ანტონიანეთის დამსახურ.

დროის პრობლემა ეკუთვნიან ბახის აზროვნების ისტორიაში თვალ და დღეს ბევრ ერთ-ერთი ზმიშენელიან პრობლემად. როგორც ზოგად-ფილოსოფიური, ასე კონკრეტულ-ეფემერიული ფაქტებსა. ეს პრობლემა აქტუალური თანამედროვე ქართველ ფილოსოფიური ოე ლიტერატურა ანალიზებისთვისაც. მის ზემოთ ფილ ანტერესს მიეთითებს ოე-ფილ ამ უკანასკნელ ხანა წლის მანძილზე წყლოსან ოე გამოქვეყნებულ შრომათა ან ანალიზი ხა, რომელსაც ეკუთვნ წარმოადგენს: ფაკულეთი ანდან, რომ ხეეთ-ეფილიფურად დროის ზოგად-ფილოსოფიურ ხეეთებს მიმეცეს ანალიზებად ქართველ ფილოსოფოთა პრობლემური ფენომენად ხეხა, რომლის მასალეთა დაიმეტ 1981 წელს ბ. ოეეზანის ბედაქციათა და ფუნელ ხეტიანი. ამავე წელს ოე შრომების ანკეთიდან, ელისტური ფილოსოფიათა და ბიზანტინისტიკის სერიაში დიმეტ ბეთან ოეეზანისეე შრომა, რომელიც ეხება დროის ფენომენს არისტოტელეს პოეტიკის ანალიზი (Учение Аристотеля о времени и его рецепция в философии Иоанна Петрицы). რაც ეფუძნა ამ ხეეთის ლინგვისტურ ასპექტს, ბიბლიურ წყაროებად ფეანიანისეთა ბანი ხიმლიან ბეთ. ქართულ ლიტერატურეში „დროის“ ხიტეეს ეეიეეზ. ეეე

სცა, ეთიკრძელ ამაი ხიტეეთი შინა ეოეეელან სუეენოის სახელი არს ბერძნელად, რომელი წ�ითქოა ამაოი და პოძეკერია ქართველთა თარგმანებისა იღებსე სიწეთოდ ეოქეაში და იდესე ეკმად ფრიადეერეოეანთა გაგებეთა. ხოლი აქ საეარი აეი, ოეთი ეთი ბაოს ეგსა არს, ეგრეი დეწერა, ჩაოთა არა პოეზეველ ეეთ ბაოდ თარგმანი ბაოთ". როგორც ეპედეკი, „ალიან" (ბაზანგეთი წარმოეეთი — „ეთნ") ძველ ქართველი თარგმანეთოდ კონტექსტის შესაბამოდ, ხიტეეეთან. სიწეორი, სიდეი, ეეთი, სიეეენი, რაც რამდენადმე ახსოეს ამ ბერძენელი ლექსების სემანტიკურ ველს. ეეერემ შეკრეს ამ ხიტეეთ რამდენიმე ნიუანსიდან სეარიდეა ერთი მნიშვნელობა — კერძოდ, „ხეეენი" („ბარადეული, ხარბადობი"), რაც ბაზი ძარითადი მნიშვნელობაა, რადგანეე ეონი არის რაღაც გამეული, გაგრძარეული, ეხანარული სეორიზონტალი არადეკეტილი ბილანთა, რომელიე ბარადეულობასეე არის გამეული და. გარეკეული ადგილი, მოიც

დროთა გამეეორებად ციკლეს, „როგორც ეის ხიტა და ანარეკეს. არის მეორე ბერძნული ლექსეი, „ხრონოი", რომელიე, „ეონის" შეგალეხდ, ამაე დრო, ლეოგეთ ხანდეეეა. ბაზი ძარითადი მნიშვნელობაა ზოგადად „დრო", ოემეა არის კონტექსტები, . ხიდეა ეგი გარკეულ დროსეე (სარეკი, ეელეწიდეს დროს და ანაეეეეე) ნიშნავს. გამეხეკეეთი ეონისაგან, ეს არის დიაკრეტული შინაარსის ეეერე ეარეანეთი დროის ცნება, ოგრამ არა ხეორიზეონალი, არამედ ანტეკეეი ანარეკეეანანოეის დამახასიათებელი სეეერული და ამაეე დროს, გამეეორებადი, ციკლური მოქეცეეს გაგეეი. ეგი ეეოგეკეეული ეეო ცოერა ხეეერეს მიძარაბასთან, რაც გამეხეზეერეულდ დეე-ღამეს, ოეეეებასა და ეეეეეს მინაცვლეთან, რომელიეა ეეერეს ნაწილეს ეეერეეეეა ამბეთია, რომ თანამედროეე ანგარიეეი ეეილიეეთი ეეილიეეა „ბერძნული ეეილიეეთის ისტორიაში", სანამ ხრონოს თარგმანიდან შესახებამი ინგლისური შეხეეეეთანი, როგორც გ. ოეეეეეე აღნიშნავს, საეარიდ მოიხსენეს შერეული ამ ხიტეეთ სპეციფიკურ ბერძნულ გაგებეეეე, რაც დროის ცნების თანამედროეე გაგებასა. ეეგრდ ხაზეეეეთი ეი ხაეეეეეეეა ამ ფაქტი, რომ შეხედ ასეეე ეეეეეეე

რაგვანაც ძველ და ხანგრძლივ ქართველურ, : „ენებისტეტისმიდან" მიიღებული, თითქმის XVIII საუკუნეშიც. „ლარი" ხიბუკის („ხანგ" ხიბუკის კი ლეკოსა) კ-ლეკ უფრო ეფერი გვაქვს ალკ, ეიდის „ენაში" ქსაბის ლექსიკონის „ენაში" და „ლარის" სემანტიკური ველის ფარგლები ( ) ალეკ ან არის საკმაოდ გამეკეული, ოღონ ერთი ერთი განმარტების მიხედვით „ლარის" სტნა თითქოს მოიცავს ეთანას).

ძველი ქართული ენის ბოგორც ინიციალური, ასე ნოარგენ ლიტერატურული ან ფილოსოფიური ტექსტის ძველებო ეკუნდა ლარის სტნასთან დაკავშირებული ფენომენი ლექსემა: ხეკეული, ხანარდელი, ენაი, ლარი, ხანი, ენალიდი, ენაი, ენა, ენა, ენა

[illegible] „დრო“ [illegible] ქართული [illegible] „[illegible]“ [illegible] „[illegible]“ [illegible] „[illegible]“

ცეში დასაწყისი და დასასრული ერთი და იმავე თანდებულებით გადმოიცემა: „ამ დროიდან ამ დროამდე, ამ ადგილიდან ამ ადგილამდე"... თვით სიტყვა „პანძილიც" ხომ საერთოა ამ ცნებებისთვის: „ხეკედლამდე პატარა მანძილია დარჩენილი (გოგებაშვილი). და ეს ბუნებრივიცაა: არისტოტელეს განსაზღვრებით ხომ „დრო მოძრაობის საზომია".

ძველ ქართული ენის ძეგლებში „ხან" დუმე სწორედ ზმნისართულ გაორკეცებულ კომპოზიტებშია დადასტურებული: „ხანითხანად მოვალ", „ერთ-ერს ხანადხანად შესლვა ძმათა", „მიცადეთ მე ხან-ერთ".

XII საუკუნიდან ამ სიტყვის სემანტიკური კელდან თანდათან იდევნება ხაერცული გგება, რაც ჩანს „ეეუხისტეაოსნიდანაც", სადაც იგი ჩვეულებრივ, დრიული შინაარსით იხმარება. თუმცა კი „ხან" სიტყვის შემცველი 44 კონტექსტიდან ხანი ათჯერ „ანძალის" ზმნიზენელობას შეიცავს. ეხენია: „ბელი პაშტაი ხანია", „ხანი წარკლეს, ხაარულმან მოკიხეხა დაამჩნია", „რა ელეს ძრაველი ხანენი". ალბათ იხიც საინტერესოა აღინიშნოს, რომ, თუ „დრო" სიტყვას „ეეუხისტეაოსანში" ძმოლიდ „ეადის" ზმნიზენელობა ეჩანს და „დეეოვენეხის" ზმნიზენელობით იგი არ გვხვდება, ეს იმიტომ, რომ „დეეოვენეს" და მის სინონიმურ „დაზმა" ზმნასთან შესიტყვებებში რუსთაველი ძმოლიდ „ხან" სიტყვის ხმარებასარჩევს: „ვერ ვიძინე ხაუბარი; ბთი დეეოვენე ხანი ბენ დო".

როგორც ჩანს, „ხან" სიტყვაში ძველსავე ქართულში დაჩრდილა ხაერცითი სემანტიკა და მას შემდეგ, რაც იგი ბეარად დაკვიდრდა დროის სემანტიკურ ველში, მასში ისე წაიშალა ამოსავალი ხაერცული გგება, რომ ავი ალარ აგრძნობა ასეთ ბეარ შესიტყვებებ-კომპოზიტებში, რომლებიც წარმოშობით ხაერთოა ხაერცისა და დროისაკენაა დიდხანს, ცოტა ხანს, ხანგრძლივი და სხვა დღეს ჩვენს ცნობიერებაში ძმოლიდ დროს უკავშირდება.

ამგვარად, თუ ძველ ქართულში „დროის" ზოგიდ დასკვრეული ბახათის ცნების გამოსახატავად გამოიყენებული ეს ნახესხები ლექსემა „ეადი", რომლებმაც თავან დროზე ხალიტერატურო ენაში არ დაუშვა ქართველური სიტყვა „დრო", დაეკარგა რა მას ზმნიზენელობა, ახალ ქართულში „დრო" სიტყვამ კვლავ აღიდგინა თავისი უფლებანი დროის სემანტიკურ ველში მან ცენტრალური ადგილი მიიკავ, დიალექტთა რიგორც ცნებათა, ისე ეიდეთა ზმნიზენელობით და, თავის მხრივ, თანამედროვე ქართული სალიტერატურო — რიგორც სალაპარაკო, ისე მეცნიერული ენიდან განდევნა ეუსოენოვანი სინონიმს „ეადი". ეს უკანასკნელი დღეს ძმოლიდ გარკვეული სტილისტური დანიშნულებით გამოიყენება. რაც შეეხება „ხან" სიტყვას, მისი ამოსავალი ხაერცითი გგება უკვე ძველსავე ქართულში დაჩრდილა, მაგრამ დროული ზმნიზენელობით მისი გამოიყენება დღესაც თითქმის ძმოლიდ ზმნიზედური კომპოზიტებით განისაზღვრება.

ლ. შელიქიშვილი

ეიაღლექტიზმების ნაკადი კელათის საღვთისმეტყველო სკოლის ძეგლებში და მათი გამოყენება სტილისტიკის მიზნით

ქართული ლიტერატურის ისტორიაში ელინოფილური მიმართულების ერთ-მეორეს ადარებენ, მნიშვნელოვან შტოს წარმოადგენს კელათის საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური სკოლა, სადაც, ხელოვნურად ცნობების მიხედვით, მოღვაწეობდა იოანე, საღმრთო ფილოსოფოსი, ზედწოდებით პეტრიწი, რომელმაც თავისი შრომების მნიშვნელოვანი ნაწილი შექმნა "კელინასა შინა გაუნათლებასა", როგორც თვითონვე ამბობს, "დავითის /იგულისხმება დავით აღმაშენებელი/ წყალობასა და თანადგომასა მინდობილმან". კელათის აკადემიაში, სადაც "მრავალი ქართველი განისწავლებოდა სიბერძნისმოყვარეობასა შინა", შეიქმნა დიდძალი მეცნიერული ლიტერატურა, რის საფუძველზე ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო ტერმინოლოგიის მნყობრი და თანმიმდევრული სისტემა, შეიქმნა მკაცრად დამუშავებული ქართული მეცნიერული ენა. ეს არის, იოანე პეტრიწის სიტყვებითვე რომ ეძქვათ, "ჩუენებრივ . საოარგმანოთაგან" და "მდაბრიონთაგან" განსხვავებული ენა და სტილი, მისთვის დამახასიათებელი მთელი თავისებურებებით: როგორიცაა სპეციალური ფილოსოფიური ლექსიკა, გამორჩეული ახალწარმოებათა არჩევულებრივი სიუხვითა და მრავალფეროვნებით /რაც ზერელე შეფასებისას ხელოვნურადაც კი მოაჩნიათ/; ერთი მხრივ, რთული სინტაქსური კონსტრუქციები, რაც საერთოდ ნიშანდობლივია მეცნიერული ენისა და სტილისათვის და, მეორე მხრივ, ბერძნული ენის შეგნებული მიბაძვით გადმოღებული მოკლე მიმღეობური და ინფინიტური კონსტრუქციები, რომელთა საშუალებითაც მიიღწევა რთულ ფილოსოფიურ მსჯელობათა შეკუმშული, მათემატიკური სიზუსტით გადმოცემა, აზრის გამოთქმის ლაკონიური, ეკონომიური, ფენომენური, გამოკვეთილი სტილი /დამახასიათებელი პლატონის, არისტოტელესა და პროკლეს ფილოსოფიური შრომებისათვის/.

მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, პეტრიწისა და მისი საღვთისმეტყველო სკოლის მოღვაწეობათვის, პირველ ყოვლისა, სწორედ "მდაბრიონთა" მეტყველება, საღაპარაკო, ხალხური ენაა ამოსავალი. მათი შემოქმედებითი პრინციპი, რომელიც მდგომარეობს ენისადმი თავისუფალ, თამამ, შეუზღუდავ შემოქმედებითს მიდგომაში, ენის შესაძლებლობათა წარმოჩენასა და მათს ამღებულ რეალიზაციაში, იოანე პეტრიწის მიერ მტკიცედ შემუშავებული პრინციპი ბერძნული სპეციალური ტერმინების შესაფერისი ქართული ტერმინების მხოლოდ და მხოლოდ ქართული ძირებითა და ქართული აფიქსებით წარმოებისა, მათს ყურადღებას მიმართავდა ხალხური ენის წიაღში დამარხული არქაიზმებისა თუ მოქმედი და ცოცხალი დიალექტიზმებისაკენ, მოიმოზოდა ლექსიკურ ერთეულთა თუ მათი წარმოების ხერხებისა და სამუალებების მოძიებას ხალხურ, ცოცხალ მეტყველებაში, საღაპარაკო ენაში შიმდინარე ცვლილე-

გებისათვის კარის გახსნას და, საწინააღმდეგოდ საქართველოს საგზაოს გარეთ არსებული საეკლესიო სკოლების ტრადიციული კონსერვატიზმისა /იგ გარკვეული თვალსაზრისით ამ სკოლების სნორედ ხალხური, საღაკარაკო ენის ბუნებრივი, ეოცხალი განვითარებისაგან მონყვეტილი იყო განპირობებული/, მათს შეუზღუდავს გავრცელებასა და გამოყენებას.

ამიტომ არის თითქოს პარადოქსული, რომ გელათის საეკლესიო სკოლა, რომელიც ქართული ენის და ლიტერატურის განვითარების ერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპის ამსახველია, მისთვის ნიშანდობლივ ელინოფილურ ტენდენციებთან ერთად ხალხურ წეტყველებასთან პრინციპული სიახლოვით ხასიათდება.

ამგვარად, გელათის საეკლესიო სკოლის მოღვაწენი და, პირველ ყოვლისა, მათი მამამთავარი იოანე პეტრინი არა მარტო მოარგმნელობით მეთოდით /დედანთან ზედმიწევნით სიახლოვის მოთხოვნით/ უპირისპირდებიან "ულუპიელებს", არამედ დიალექტურ ენობრივ მოვლენათა და ფორმათა, ნეოლოგიზმთა შეგნებული გავრცელებითა და, ამასთან, პათი გამოყენებით სტილისტური დანიშნულებით.

როგორც ვთქვით, გელათის საეკლესიო სკოლის ძეგლებში ფართოდაა ასახული ხალხური, საღაკარაკო ენაში /კერძოდ, დასავლური დიალექტური ნრის შეტყველებაში/ ჯერ კიდევ ადრე დანყებული და იმხანად უკვე ფართოდ მიმდინარე პროცესები, დიდი თუ ზცირე ძვრები, ცვლილებები და სიახლეები, როგორც ფონეტიკის, ისე მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში. საკმე ისაა, რომ ამ დროისათვის ქართული ენის განვითარებაში დაგროვებული სიახლეების მთელმა ჯაჭვმა ენის ყველა სფერო და მთელი სისტემა მოიცვა. ანგვარად, ძველი ქართული მწიგნობრული ენა და მის მიერ გამოშუშავებული კლასიკური, ტრადიციული ნორმები აღარ შეესაბამებოდნენ და ვეღარ ასახავდნენ ქართული ენის განვითარების ამ ეტაპს: მწიგნობრულსა და საღაკარაკო ენას მორის ისეთი თვისობრივი ზღვარი გაჩნდა, რომლის შემდეგაც პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა ძველი საეკლესიო ენის უკვე საფუძველგამოცლილი ნორმების დაცვა და მათ ლექსიკასთან ერთად გზა გაეხსნა ცოცხალი ენისათვის დამახასიათებელ ფორმებსა და მოვლენებს. ამიტომაა, რომ, როგორც ა.შანიძე წერს, კლასიკური ქართულის ძეგლებზე აღზრდილი გიორგი მთაწმინდელი "ცდილობს ძველი საეკლესიო ქართულის უკანასკნელი პერიოდის /IX-X სს/ ნორმების მიხედვით ნერის, ნაგრამ ვერ ახერხებს თავი დაალწიოს ცოცხალი ენის ძლიერ გავლენას"[1] /რომელსაც იგი, აღბათ, უთუოდ განიცდიდა საქართველოში მისი ორგზის ყოფნის დროს - ერთხელ ორი ნლის განმავლობაში, როდესაც 25 ნლის ასაკში ბერად აღიკვეცა ხახულის მონასტერში და მეორედ — მაგრამ IV-ის მიწვევით 5 ნლის განმავლობაში ყოფნისას/.

---

[1] ა.მ ა ნ ი ძ ე, გიორგი მთაწმიდელის ენა იოვანეს და ეფთვმეს ცხოვრების მიხედვით, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ივ.ჯავახიშვილმა, თბ., 1946.

მაგრამ, თუ გიორგი მთანმიდელი და საგღვარგარეთული კერების სხვა ქართველი მოღვაწეები უნებურად ვერ აღნევენ თავს ამ გავლენებს, იოანე აკეკრინი და გელათის საღიტერატურო სკოლის სხვა მოღვაწენი, როგორც ეფქვიო, შეგნებულად ულებენ კარს მათს საღაკარაკო ენაში გაკრცელებულ ახალ ენობრივ მოვლენებს, რომელთა კომპლექსური შემოჭრა საბნელო ენაში ახალი საღიტერატურო ენის ჩამოყალიბებას მოასწავებდა.

ჩვენ ამჯერად ენის განვითარების გზაზე საგოგადოდ მიმდინარე ენობრივი ცვლილებებისა და სიახლეების ასახვა არა გვაქვს მხედველობაში /როგორიცაა, მაგ. მბრინსწინთა გაცვლა-გამარტივება, საკუთარ სახელთა ბრუნების საგოგადოსთან გაფანაბრება, მბრნის ულელილების სისტემაში ასკეტჩისა და მომავალი დროის გამოხატვის ახალი წესის გატარება, მეშვეიბრნიან ფორმათა სინთეტურ წარმოებაზე გადასვლა როგორც ანმყოს სტატიკურ, ისე რეზულტატიულ ფორმებში; როგორიცაა უკყრია, ,ქგია, დაგიკნინებია, დაგიმცირია... II რეზულტატიულის ახალი ფორმის გამოყენება, როგორიცაა, მაგ. წარმოსდგომია, ქვნებია, დამსჭვალვია, დამთანაებია... ან კიდევ, ისეთი დიალექტური ლექსიკური ფორმების გამოყენება, როგორიცაა ესფენ, ესთა, ეგთავე, თანაშე, მრუმე, სოხანე, ნაქურცენი, ნარდომი, დაკოშება, დაფოფებული, ენინვის.../, რაც ძირითადად აღნიშნულია სამეცნიერო ლიტერატურაში და რითაც საერთოდ გამოირჩევა გელათის სკოლის ძეგლები. ამჯერად ჩვენ ვეაინტერესებს ისეთი დიალექტური ფორმები და მოვლენები, რომელთაც ამ სკოლის მოღვაწენი მიმართავენ სტილიზაციის მიზნით, საკუთარი გამოჩენილი ენერის, მანერის შესაქმნელად. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მოვლენათაგან ზოგი იმ დროისათვის უკვე არქაიზმია, მაგრამ მწერლის მიერ გაცოცხლებულია შეგნებულად, სტილიზებულია; ზოგი ნეოლოგიზმია, ენაში მიმდინარე ეოცხალი პროცესების ანარეკლი, მაგრამ ასევე სტილიზაციის მიზნითაა გამოყენებული. მკვლევარ ჩამოყალიბებული, მონოლითური საღიტერატურო ენის პირობებში მათი ასეთი დამოკიდებულება ხალხური, დიალექტური მეტყველებისადმი აღიქმება როგორც ძველი საღიტერატურო სკოლების, კერძოდ კი ათონელების შემართა გარკვეული რეაქცია, რაც, როგორც უკვე ეფქვიო, მხოლოდ მთარგმნელობითი პრინციპების სხვაობით არ ამოიწურებოდა. არ არის გამორიცხული, აგრეთვე, ამ სკოლის მწერალთა სტილის ინდივიდუალიზაციისაკენ მიდრეკილებაც და მანერიზმი.

I. ორმაგი მრავლობითი სახელებში. ორმაგი მრავლობითის ფორმები აქაც ძველი ქართული ენის ძეგლებშიც გვხვდება. ივ. იმნაიშვილს თავის მონოგრაფიაში ამ ფორმათა რამდენიმე მაგალითი აქვს დასახელებული /ნაპრალებნი, ყევნებნი, ჴევნებთა, სოფლებნი, სოფლებთა, ქალაქებთა, უბნებთაგან, აქლემებთა/ და მათ გარჩევას -ებ სუფიქსიანი მრავლობითის ნაკლები ქალით ესნის[2].

[2] ი. მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957, გვ. 303-304.

ის ფაქტი, რომ ებიანი მრავლობითი ძველ ქართულში ნარდანიანი მრავლობითის გვერდით თანაბრად იხმარებოდა, ოღონდ გამოირჩეოდა სინტაქსური ხალის მკვეთრი სისუსტით, აგრეთვე ისიც, რომ იგი ზოგიერთ ძეგლში შედარებით ხშირია, ხოლო ზოგში კი სულ არ არის ან ძალიან იშვიათია /ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება იოანე პეტრიწის უცილობელი ნაწერები/, ეაკარაკობს სამეცნიერო ლიტერატურაში ებიანი მრავლობითის დიალექტური წარმომობის შესახებ გამოთქმული მოსაზრების სასარგებლოდ. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავს, "ეს სუფიქსები სხვადასხვა დიალექტური წრისაა და საერთერატურო ქართულში დამკვიდრების თვალსაზრისით სხვადასხვა ისტორიულ ფორმაციას განეკუთვნება"[3].

იმის გამო, რომ ებიანი მრავლობითი იოანე პეტრიწის უცილობელ მრომებში ძალიან იშვიათად გვხვდება, ხოლო ორმაგი მრავლობითის 6 შემთხვევიდან ექვსივე /სულიები, ვეებნი, გოდლებთა, წიგნებთა, ძალებთა, ყოფებთა/ თავმოყრილია პროკლეს ტრაქტატის პეტრიწისეული თარგმანისა და განმარტების უძველესი,H 1337 /XII-XIII სს/ ხელნაწერის XVIII საუკუნეში აღდგენილ ფურცლებზე, განთვალვალდით ეარაუდს, რომ, შესაძლებელია, ორმაგი მრავლობითის ეს ფორმები გვიანდელი გადამწერის ალაბს ეკუთვნოდა[4].

როგორც ირკვევა, ორმაგი მრავლობითის ფორმები სწორედ გელათის საერთერატურო სკოლის ლიტერატურული ძეგლების ენისთვისაა დამახასიათებელი. ამ მოვლენის ახსნა შესაძლებელია იმით, რომ XI-XII საუკუნეებში აღმოსავლური დიალექტური ნაკადის გავლენით ებიანი ფორმები იჭრება დასავლური წრის მეტყველებაში, მაგრამ თავისი გამოხატვლობითი თუ სინტაქსური ძალის სისუსტის გამო ვერ აკმაყოფილებს დასავლური არეალის ენობრივ ინობიერებას და ამიტომ მას მრავლობითობის შინაარსის გასაძლიერებლად თუ გამოსაკვეთად ერთავენ მათთვის ჩვეულებრივ, უმუალურ ნ/თ სუფიქსებსაც. ამრიგად, მიიღება გრამატიკული სინონიმური წყვილი, ანუ ქენდიადისი /ამბასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ლექსიკური ქენდიადისები პეტრიწისა და მისი სკოლის სტილისათვის დამახასიათებელ მანერას წარმოადგენს/: -ებ-ნ, -ებ-თა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია ორმაგი მრავლობითის ფორმების განსაკუთრებით ხშირი ხმარება გელათის მიბღვის ტექსტში / A 1108/, საკმაოდ ხშირად გვხვდება იგი ამონიოს ერმისანის "მოსაკუნებელთა" თარგმანში / S 2562/. თეოფილაქტე ბულგარელის იოანეს სახარების განმარტების თარგმანში /A 52/, მიტროფანე მბჭურნელ მიტროპოლიტის "ეკლესიასტეს" განმარტების თარგმანში /A 63/, იოანე სინელის „კლიმაქსის" გელათურ თარგმანში /A 39/:

---

[3] არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, 1942, გვ. 248.

[4] დ. ბ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ მრომთა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 11-14.

რადცა დაპკრნე საკიდველებნი; ეზეკ. 21, 15; კიბეებნი მისნი: ეზეკ. 43, 17; მისცნა გარეშოდს სოფლებთაგან: ეზეკ. 19, 8; გეარეებთა, სულსა შინა დამარხულთა, მევენეცნირეებით: S 2562, 86 r ; სახელებთადა ესეე მოქმედებად შეულღვიდ არს: S 2562, 109 v; კარებთაცა, ესე იგი არს, ტაღარებთა აღსდგმიდეს: A 52, 53v ; დაარღუევს გოდოლ-ტაძრებთა: მიტრ. ზმირნ. 114, 25; მოიცვენ ხიღულთა ამათ ციხე-ქალაქებთა: მიტრ. ზმირნ. 136, 28; სუეტებნი დაადგინნეს: A 39, 12v ; მდაბალთ სულებთა შორის ხედვანი ზეცისანი: A 39, 81ზ.

ამ ფორმათა ხმარება გელათის საღიტერატურო სკოლის ძეგლებში ზოგჯერ აშკარად უგრირების შთაბეჭდილებას ტოვებს. ვფიქრობთ, ეს ფაქტი იმ პერიოდში გავრცელებული დიალექტური /და არა ხელოვნურად მწიგნობრული/ მოცულობის საღიტერატურო ენაში სტილიზაციის მიზნით გამოყენების საინტერესო შემთხვევაა. იგი საღიტერატურო ქართულში არ დამკვიდრებულა, მაგრამ დასავლური დიალექტური ნრის /გურულის/ დამახასიათებელ ფაქტად დღესაც რჩება.

2. -ოვ სუფიქსიანი ნასახელარი ზმნები. -ოვ ელემენტი, როგორც ზმნური სუფიქსი, პირველად გამოკვლეულია ვ. თოფურიამ[5]. ჰ. ფოგტი განასხვავებს ორ ჯგუფს ოვიანი ზმნებისას: პირველში შედის ქსოვა, გლოვა ტიპის ზმნები, მეორეში კი რამდენიმე პასიური ფორმა არქაული -ოვ- დამოღოვებიანი ზმნებისა, რომლებიც სახელის ფუძიდანაა ნაწარმოები და აორისტი არ გააჩნიათ. ესენია: ცრემლოვის, პეროვის, მაღლოვის...[6] ასევე ორ ჯგუფად ყოფს ამ ზმნებს ი. ქავთარაძე. ამ დაყოფის მიხედვითაც "მეორე ჯგუფს შეადგენენ -ოვ სუფიქსიანი ნასახელარი ზმნები, რომლებიც ძირითადად საშუალი გვარისანი არიან და ანარმოებენ მარტო პირველ სერიას"[7]. ჩვენთვის სწორედ ეს მეორე, -ოვ სუფიქსიანი ნასახელარი ზმნების ჯგუფია საინტერესო.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ძველი ქართული ენის ძეგლებში ნასახელარი -ოვ სუფიქსიანი ზმნების ფორმები არც თუ ისე იშვიათად გვხვდება, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მართებული უნდა იყოს ალბ ფოგტის მიერ კითხვის ნიშნის ქვეშ ნამოყენებული მოსაზრება, რომ -ოვ, ისევე, როგორც -ევ შეიძლება წარმოადგენდეს -ობ და -ებ სუფიქსების დიალექტურ ვარიანტს, კერძოდ, ჩვენი აზრით, დასავლური ნრისას. მართლაც -ობ სუფიქსიანი ზმნებიც, ჩვეულებრივ, ნასახელარი ზმნებია საშუალი გვარისა. მათაც ისევე, როგორც -ოვიან ნასახელარ ზმნებს, მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ფორმათა წარმოება შე-

---

[5] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, ფსუ შრ., III, 1936, გვ. 233.

[6] H a n s V o g t, Suffixes verbauxen géorgien ancien, NTS, XIV, Oslo, 1947, §40-41, p. 46-57.

[7] ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ქართულში, თბ., 1954, გვ. 142.

ეძლიან და აორისტში ძველ ქართულში არ იხმარებიან. უნდა აღვნიშნოთ, რომ საზოგადოდ ნასახელარი ზმნების გავრცელება, როგორი ნაირთოებისაც უნდა იყვნენ ისინი, ძველ ქართულში რამდენადმე ბაინდ განსაზღვრულია. ზათი ფართ გაქანებითა და განუსაზღვრელი თავისუფლებით ნაირთოება და გავრცელება სწორედ გელათის საღვთისმეტყველო სკოლის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს.

ძველი ქართული ენის ძეგლების მასალებიდან ჩანს, რომ სახელთაგან ერთპირიან საშუალი გვარის ზმნებს ძირითადად -ებ სუფიქსი ანართოებს /ეპისკოპოსობს, ტოტიკობს, კეთილკოსობს, ვაჭრობს, აბჯნობს.../, თუმცა გარკვეულ დიალექტურ წრეში -ევ სუფიქსი ჯერ კიდევ ცოცხალია და აქა-იქ იჩენს თავს საღვთისმეტყველო ენაშიც. როგორც ჩანს, გარკვეული პერიოდიდან დასავლური დიალექტური წრის დამახასიათებელი -ევ სუფიქსს საზნელო ენაში თანდათან ბოლოდავს და ბოლოს ლეონის კიდევაც აღმოსავლური წრისათვის დამახასიათებელი -ებ სუფიქსი. ეს პროცესი, ჩანს, გაცილებით უფრო ადრე მთავრდება, ვიდრე ძველსავე ქართულში ჩასახული ანალოგიური პროცესი სახელთა ბრავლობითობის -ებ სუფიქსის -ნ/-თა სუფიქსზე გამარჯვებისა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ გელათის სკოლის ძეგლები განსაკუთრებულ ტენდენციას ავლენენ -ევ სუფიქსიანი ნაირთოებისადმი. ამ მხრივ კი გამოირჩევა იოანე პეტრიწის ნაწერები.

იოანე პეტრიწის შრომების გამოცემისათვის დართულ გამოკვლევაში ს. ყაუხჩიშვილი -ევ სუფიქსიანი ზმნების ხშირ გამოყენებას პეტრიწის ნაწერებში სრულიად სამართ�lიანად ხსნიდა არა როგორც არქაული მოვლენის გაცოცხლების ცდას, არამედ საღაპარაკო, ცოცხალ მეტყველებაში არსებული ფაქტის გადმოტანას საღვთისმეტყველო ენაში. მაგალითისათვის -მოვიყვანთ ზოგიერთ ნიმუშს პროკლეს ტრაქტატის პეტრიწისეული თარგმანიდან და ესენი "განმარტებიდან": ესთა ძნელოდს ხედეად ამის ხედვისად; ნადნოდს მათდამი ზიარებასა; ქმეადინოდს სივლტოლად; ენათოდს; უკუდავოდს; მრუმოდს; ქმუენოდს; ძნელოდს; უნყარდს; ნადნოდს და სხვ.

-ევიან ფორმათა უგრირების ამ ხერხს მეტ-ნაკლებად მიმართავენ ამ სკოლის სხვა ნარმომადგენლებიც:

ცრემლოდის აღსარებისა მიერ; ქმფოთებთ და ქმულოდთ; მწერლოდს... /ეფოფილაქტე, A 52/, ნუ ქედმაღლოდ ქუყანისად მყოფი /„კლიმაქსი" A 39/, მწუანვილოდს, ფურცლოდს, ღუელფოდეს /ბრონოლ./ და სხვ.

ესაა დიალექტურ ფორმათა სტილიზაციის მიზნით გამოყენების ერთი საინტერესო მაგალითი.

3. პრეფიქსიან ენებითთა -ავ თემატურ სუფიქსიანი მოდელის გაბატონება. დასავლური დიალექტური წრისათვის გ-ს შემცველი სუფიქსების ნიკ რომ დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ვინისა და ნარის შემცველი ვარიანტები, ეს ჩანს იქიდანაც, რომ ჩვენთვის საინტერესო პერიოდის დასავლური წრიდან გამოსული მწერალთა ენაში პრეფიქსიანი ენებითის ანმყოს თემაში ხშირად ნა-

ეღად დღეს გაბატონებული -ებ ფემატური ნიშნისა, -ავ სუფიქსია გაბატონებული: იკლვის, აღიმკვიან, შეეკრვის...

ამავე პერიოდში, როგორც ჩანს, დასავლური ნრის საღაპარაკო ენაში პრეფიქსიან ენებიდან აწმყოს ფუძის მოდელირების საინტერესო პროცესი მიმდინარეობს: ნებისმიერი ფემატური ნიშნის მქონე ენებიის ფორმას /გარდა თვით -ავ ფემისნიშნიანისა/ მისავის დამახასიათებელი -ი სუფიქსის წინ და ფემის ნიშნის შემდეგ დამატებით კიდევ დაერთვის -ავ სუფიქსი /მიიღ-ებ-ვ-ის/. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ენებიური /ჰასიური/ კონსტრუქ-ციები საერთოდ იშვიათად გვხვდება ძველი ქართული ენის ძეგლებში და, აღ-ბათ, კიდევ უფრო ნაკლებად იხმარებოდა საღაპარაკო ენაში, მაგრამ, თუკი გვხვდება, ჩვეულებრივ, ვინის გარეშეა /გულისკმა-იყოფების, მოიღების/. ჩვენთვის საინტერესო -/ა/ვ-იან ფორმებს უკვე ეფრემ მცირე იყენებს ფსე-ედო დიონისეს შრომათა თარგმანში: განიყოფვის, მიიღებვის, მიიღებოდის, აღიკყრობვის, იზმნობვის და სხვ. , მაგრამ მათ განსაკუთრებით აბატონებს იოანე პეტრინი: ინარმოებვის სრულია მიზეზთაგან; ყოველი ერთისა მიერ დაინუსებვის და დაინყობვის; ზიარებულთაგან ინობვის და მიინთოტვის; იზიარებვის, იზიარებოდის რად სხუასაგან; ერთებვიან ურთიერთას; რომელ-სა ზიარებული შეეტრფვის...

ამ მოვლენის უტრირება დამახასიათებელია მთელი ამ საუკუნის ლიტერატუ-რისათვის. მაგ.: მთავისუფლებელი კაცისა... ვიგინობვია? ამისდა მიმართ განენყობვის, შეიპყრობვის, მოიღებვის /თეოფილაქტე, A 52/, არ დაიყენებ-ვის, ამის მიერ იპყრობვის /კლემანტი, A 39/, ითნებვის, მოისპობვიან, განეყოფვიან, მიიღებვიან, შეიპყრობვის, მოიღებვის... /ამონიოსი, S 2562/ და სხვ.

არა გვგონია, ეს მნიგნობრული, ხელოვნური მოვლენა იყოს. მას მეტყ-ველებაში უნდა ქონდეს საფუძველი — მიდრეკილება უნიფიკაციისაკენ. მის-ნრაფება ავიან ფორმათა გამბატონებისაკენ ერთ-ერთი მახასიათებელია გელა-თის სალიტერატურო სკოლის ენობრივი სტილისა. იგი ორმაგი მრავლობითის ფორმათა ანალოგიური მოვლენაა, მაჩვენებელია იმ ტენდენციისა, რომელიც ადგილობრივი მეტყველებისათვის ბუნებრივსა და დამახასიათებელ სუფიქსს აბატონებს, როგორც მეტი გამოხატველობითი უნარისა და ფუნქციურ-სემანტი-კური გარკვეულობის მქონეს, თუმცა კი თავს ვერ აღწევს ალმოსავლური დია-ლექტური ნაკადის გავლენას, რადგანაც ებს მეშვეული სუფიქსები გაციდებით უფრო პროდუქტიულია და მოქნილი გამოდგა ფორმათა წარმოების თვალსაზრისით.

4. სუფიქსიანი ენებითის ნარიან ფორმათა უტრირება. დიალექტურ ფორ-მათა სტილიზაციის მიზნით გამოყენების მაგალითად მიგვაჩნია გელათის სა-ლიტერატურო სკოლის ძეგლებისათვის დამახასიათებელი სუფიქსიანი ენებითე-ბის ნარიან ფორმათა ხშირი ხმარება.

ეს მოვლენა განსაკუთრებით დამახასიათებელია თეოფილაქტე ბულგარელის იოანეს სახარების განმარტების მთარგმნელისათვის: ენებათა მიერ განქედ-

ფიცხელნა, ნუ აღშფოთნები, შეტაკიცნების, განვეღურნებიან, განვიღნები, არცა განცრუენა და სხვ.

ასეთივე თავისებურებებით ხასიათდება გელათის ბიბლიის ტექსტის ენაც. როგორც ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიების გამოცემის გამოკვლევაშია აღნიშნული, "სუფიქსიანი ვნებითის სანარმოებლად ამ რედაქციაში ნარი ტიპიურია და ძირითადი"[8] /მაშინ, როდესაც ჰარაღლეულ რედაქციაში დონიანი ფორმებია გამოყენებული/: აღყუავნა კეერობი; ორთქლი საკურთხეველისად... აღმორქუნებოდა, გამოცხადნეს, განდიდნა, განვრცნებოდის და სხვ.

როგორც ზ.სარჯველაძის მასალებიდან ჩანს, ენებითის -ე სუფიქსი "უკვე IX საუკუნიდან გვხვდება ისეთ მნნებთანაც, სადაც ძველი ქართული მასალების მიხედვით -ნ/-ენ უნდა იყოს"[9]. ასეთ ვითარებაში ნარიან ფორმათა სიხშირე XI-XII სს-თა დასახელებულ ძეგლებში უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ ან ორი სუფიქსიდან ერთი /-ე/ მეორის /ნარის/ ფონეტიკური ვარიანტი კი არ უნდა იყოს, არამედ, როგორც ვარაუდობდა ვ.თოფურია, ორი სხვადასხვა აფიქსია, ამასთან, სხვადასხვა დიალექტური ნრისა: -ენ/-ნ დასავლური, ხოლ -ედ/-ე აღმოსავლურისა.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ ზემოთ შარმოდგენილი მსჯელობის შედეგებს, დავინახავთ, რომ გელათის საეკლესიო სკოლის ენობრივ ნორმათა კენდენცია ავლენს დასავლურ და აღმოსავლურ დიალექტურ ფენათა სუფიქსების ორ ერთმანეთის რეგულარულად შესატყვის განხვავებულ რიგს:

დასავლური ნრე	აღმოსავლური ნრე
-ნ/-ო	-ებ
-ოვ	-ობ
-ავ	-ებ, -ობ
-ნ/-ენ/	-ე/-ედ/

5. II და III პირის მიცემითში დასმული ობიექტის მრავლობითობის 	moხატვა ქრთნობა-აღქმისა და ქონების გამოხატვენ ნნებში. ცნობილია, რომ ინვერსიის პროცესის შედეგად, რომელიც ჩაისახა გრძნობა-აღქმის გამოხატვენ სტატიკურ მნნებში, მიცემითში დასმულმა სახელმა მოიპოვა მნნის ობიექტში შეთანხმების უნარი. ამ პროცესის ენობრივი გაფორმება მრავლობითში აღრევე გახდა შესაძლებელი I ან. პირში გუ-პრეფიქსის სამუალებით /რომელსაც, როგორც წარმოშობით ინკლუზივის ნიშანს, მრავლობითის გაგება ითვალ-

[8] ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ო.ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი ა, 1976, გვ.285.

[9] ზ.ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, ქართული საეკლესიო ენის შესავალი, 1984, გვ. 482.

ვე აქონდა/. II და III პირის ფორმებმა -ი სუფიქსი უფრო გვიან შესძლეს გამოეხატა მრავლობითობა. მ.სარჯველაძის მასალების მიხედვით, მეორე პირის მიცემითში დასმული ობიექტის მრავლობითობის -ი სუფიქსი გამოხატვის ფორმა-ოროა მაგალითია დადასტურებული XI ს-დან[10]. "ამ ფაქტს სისტემებრ XV საუკუნიდან ვხედავთ" /გაკადრეთ, გაქუნთ, გიჩივისთ.../[11]. რაც შეეხება III პირის მიცემითს, მისი რიცხვის გამოხატვა XVII საუკუნის დოკუმენტებშია დადასტურებული /დარჩათ.../ და შემდეგ საგასთან.

მაგრამ, სანამ ამ ფუნქციით -ი სუფიქსი გამოჩნდებოდა, როგორც ცნობილია, ლიტერატურულ ძეგლებსა და დოკუმენტებში უკვე XI საუკუნიდან /ოღონდ მეტყველებაში კი აღბათ უფრო ადრე/ მის შესაცვლელად -ულ სუფიქსი გვხვდება[12].

აღსანიშნავია, რომ მისი გავრცელების არე ძველი ქართული ენის ძეგლების მიხედვით დასავლური დიალექტური ნრით შეზღუდულია /თუმცა კი თანამედროვე ქართული ენის დიალექტების მონაცემების მიხედვით თუ ეიმსჯელებთ, იგი ისტორიულად აღმოსავლური ნრისთვისაც უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი/. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, რომ -ულ სუფიქსი დასახელებული ფუნქციით ძირითადად სნორედ გელათის სალიტერატურო სკოლის ძეგლებშია დადასტურებული და საკმაოდ ხშირადაც /იმდენჯერ მაგალითი გვხვდება იმერეთის საისტორიო საგუთებში/[13]. მაგრამ, უნდა შეენიშნოთ, რომ -ულ სუფიქსი ამ ძეგლებში სტაბილური ინვარიანტია გამოყენებული, როგორიცაა, მაგ. აქუს, ესმის, უკმს, ქნებავს, ჰინამს...

იოანე პეტრიწის უცილობელ ნაწერებში -ულ სუფიქსი არ გვხვდება. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ I ოგ. პირის ნრავლობითი რიცხვის ფორმა გუ- პრეფიქსიანი ფორმის პარალელურად უფრო ხშირად წარმოდგენილია ბ-პრეფიქსით როგორც პეტრიწის, ისე, საერთოდ, გელათის სალიტერატურო სკოლის სხვა მოღვაწეთა ენაში.

ამ დიალექტური მოვლენის ლიტერატურული სტილიზაციის ნიმუშად მიგვაჩნია თეოფილაქტე ბულგარელის იოანეს სახარების განმარტების თარგმანში /A52/ მისი ძალზე ხშირი გამოყენება, რასაც აღბათ ამ ხიზლების ხასიათიც განაპირობებს. აქ ხშირია დიალოგები, სადაც II და III ობიექტური პირები საკმაოდ ხშირად მონაწილეობენ და, ამასთან, ხშირადაა ხმარებული

---

10 მ.ს ა რ ჯ ვ ე ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ.568.

11 ი.ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, მიცემითის მრავლობითში დასმული სახელის გამოხატვის ისტორიისათვის ბმნაში, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი აკ.ბარამიძისადმი, 1974, გვ.229.

12. აინ.ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, -ულ ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, ნელინდელი, 1922-23, I-II, გვ.60-62.

13 შ.ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, 1970, გვ.52.

ინვერსიისაკენ მიდრეკილი ყოლა-ქონების, გრძობა-აღქმისა და ფნობიერების ნირის სტატიკური მნიშვნელობა:

გაქუნდაყე ეგეოდენი ოდვაჲ; 75 ჳ, ნაჲეი *გაქუსყე: 96 ᲨᲔ*, *ვერ ძალიცყე სმენად სიტყუაჲა ჩემად: 65 ᲨᲔ*, *ამიან ვინმე მქუენგანნი, რომელჲა არა ქინამსყე: 51 ᲨᲔ*, *უკმდაყე სიტყჳს გეშაჲ: 52 ᲨᲔ*, *ეგ�ვაყე ყოფაჲ:363*, *ესმაყე: 65 ჳ*, *ენებაყე: 12 ᲨᲔ*, *ენებოსყე*, *გნებავსყე*, *აქუსყე*, *აქუნდაყე*, *ვიკოსყე* და სხვა.

ასევე შეგნებული და არა შემთხვევითი გამოყენების შთაბეჭდილებას ტოვებს ამ ფორმაჲა საკმაოდ ხშირი ხმარება ამონიოს ერმიასის თხზულებაჲა თარგმანის /S 2562/ ენაში:

საბელმოდგამჲა განყოფილებაჲდა რადმე ჭნებავსყე: 265 ᲨᲔ, *ნაჲესავსა* და *საბესა ზიარად ჯიდრეზე აქუსყე სამრავლოდ შესმენილობაჲ: 222 ჳ*, *არა* იგივე *აქუსყე საგლუარი: 253 ჳ*, *შეემთხუსყე მიოუალეაჲ წინააღმდგომაჲ: 328 ᲨᲔ* და სხვა.

-ყე სუფიქსიჲ მიცემიჲში დასმული *საბელის მრავლობითის* გამოხატვა შესაძრნევადაა დამახასიათებელი *გელაჲის ბიბლიის ტექსტისაჲვის / A 1108, Q 1152/.* *საჲანადო* მაგალითები *სამენნიერო ლიტერატურაში* აღნუსხულია[14], *მოვიყვანთ ზოგიერთს:*

ესეთჲ გიყუარსყე უფალი ღმერთი თქუენი: II სჯ. 13,3, *ნუ გეშინისყე, ნუცაღა სძრნი: II მჯ. 1,21*, *არა სცხუენოდისყე მას ტამსა შინა: სოფრონ., 3, 20*, *ამაო იქმნა ძალი თქუენი და არა გნებავსყე სმენად: ესაია, 30, 15.* *მახჳლისაგან გეშინისყე* და *მახჳლი მოვანიო თქუენ ზედა: ეზეკ. 11,8* და სხვა.

დიალექტურ ფორმაჲა და *მოვლენაჲა* უფრირება *გელაჲის* საღიტერატური *სკოლის* მწერალთა და, *განსაკუთრებით* – *იოანე პეტრინის* სტილის *მეტად* დამახასიათებელი ნიშანია. *ეს არის ერთ-ერთი* რგოლი *სტილიზაციის* იმ ხერხებისა, *რომლებსაც ეს* მოღვაწენი *მიმართავდნენ* გამორჩეული, *განსხვავებული, თავისთავადი* სტილის *შესაქმნელად*[15].

დიალექტიზმების *სტილიზაციის* *მსგავსი* *შემთხვევები* *თანამედროვე* *მწერლობაშიც* *გვხვდება.* *მხედველობაში* *გვაქვს,* *მაგალითად,* *ქართლ-კახური* *ლოლებისაჲვის* *დამახასიათებელი* *ა* *საკრცობის* *უფრირებული* *გამოყენება* *ოთარ*

---

[14] *ბ.გიგინეიშვილი, ც.ყიკვიძე, რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი /გელაჲური ვერსია/; კრებ. შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 1966, გვ. 157–8; თ.ცქიტიშვილი, დასახ. გამოკვლევა, გვ. 287.*

[15] *გარკვეული ენობრივი ფორმებისა და მოვლენების გაზვიადება-უფრირება, მათი მანერული დამუშავება და სტილიზაცია საერთოდ მეტად დამახასიათებელი თვისებაა გელაჲის საღიტერატურო სკოლის მწერალთა და განსაკუთრებით იოანე პეტრინისაჲვის, მაგრამ ამ საკითხს სპეციალურად სხვაგან განვიხილავთ.*

ჩხეიძის ბოლოდროინდელ ნაწარმოებებში: ხასიათი გამოუკეთდა ლეკოსა, იარა უფრო დამამადა, გვერდი აუქცია სასაღლესა; მიაკანდა მოგრძელ საგუბარსა, საგუბარსა ქვაციბურასი, ბუნებრივსა, მიუვალსა...

ოთარ ჭილაძის რომანში "ყოველმან ჩემმან მცოველმან" უკრავებულია ქიზიყური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია III რიგ ობიექტური პირის მიერ მწნის რიცხვში შეთანხმების საგლვრების გაფართოებისა: კერძოდ, მისი სინტაქსური ძალის გავრცელებისა გაძლამავალ მწნაგზე: "შეაჭმევდათ ერთ ჯამ შეჭამანდს და მშვიდად ჩაიყვანდათ გლეხურ ბარაქიან საფლავში", "უმონმებდათ და უფასებდათ ნამუშევარს", "გაანებებდათ თავს" და სხვა. ამ ერთი დეტალით, აღნიშნული დიალექტური მოვლენის უკრავებით, მნერალი გარკვეული ენობრივი გარემოს განცდის ეფექტს აღწევს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არც ერთს ამ მნერალთაგან აღრინდელ ნაწარმოებებში სტილიზაციის ეს ხერხი გამოყენებული არ ქონია. მან იგი საკუთარი სტილისა და მანერის ძიების გზაზე გამოიმუშავეს. ანალოგიურ სურათს ეამჩნევთ გელათის სკოლის მნერალთა სტილის განვითარებისა და დამუშავების პროცესზე დაკვირვებისას.

დამანა მელიქიშვილი

თანაშე ფორმა გელათის ბიბლიაში და შე- ელემენტიანი ზმნიზედები ქართულში

გელათის კატენებიანი ბიბლია, ეგზეგეტიკური ლიტერატურის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი, რომლის მსგავსიც შედგენილობისა და სისრულის თვალსაზრისით, როგორც აკად. კორნელი კეკელიძე აღნიშნავდა, „ბიზანტიის მწერლობაშიც არ მოიპოვებოდა" (1, XXVII) მრავალმხრივაა საყურადღებო და საინტერესო ქართული ენის (2) მწერლობისა თუ ფილოსოფიის ისტორიის მკვლევართათვის: მასში თავმოყრილია და კონცენტრირებული ის ძირითადი მსოფლმხედველობრივ-თეორიული თუ ენობრივ-სტილისტური ტენდენციები და განხორციელებულია ის პრაქტიკულ-მთარგმნელობითი პრინციპები, რომლებიც საზოგადოდ დამახასიათებელია გელათის სალიტერატურო-ფილოსოფიური სკოლისათვის და მის სახეს განსაზღვრავს. ეს ძეგლი, გელათში შესრულებულ კომენტარული ჟანრის სხვა შრომებთან ერთად ამ სალიტერატურო სკოლის ზოლვაწეთა საქმიანობის მთავარი მიმართულების დამაგვირგვინებელია: საქმე ისაა, რომ გელათის სკოლა გამოირჩევა, როგორც წმინდა ფილოსოფიური, ისე თეოლოგიური ხასიათის ეგზეგეტიკური ლიტერატურის სიუხვით, სწორედ ესაა მისი სახის განმსაზღვრელი ძირითადი პროფილი (თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ამავე სკოლაში დაედო სათავე ქართულ საერო-მხატვრულ ლიტერატურასაც და აქვე ითარგმნა აგიოგრაფიის უკანასკნელი ნიმუშები—იოანე ქსეროლინოსის მეტაფრასული შრომები). მეცნიერულ-

ეგზეგეტიკური ლიტერატურისადმი ასეთი დიდი ინტერესი ბუნებრივი ამსახველი იყო ეპოქის საერთო ტენდენციებისა, კერძოდ, იგი კანონზომიერ გამოძახილს წარმოადგენდა კომნენების ხანის ბიზანტიაში მიმდინარე იმ კულტურულ-მსოფლმხედველობრივი და ლიტერატურული პროცესებისა, რომლებიც გელათის აკადემიაში გადმონერგა და შემოქმედებითად განავითარა „დავითის წყალობათა და თანადგომასა მინდობილმან“ — იოანე პეტრიწმა.

გელათის სკოლის მოღვაწეთ, როგორც ჩანს, გათვალისწინებული ჰქონდათ (და, შესაძლებელია, შესრულებულიც) ყველა ბიბლიური ტექსტის ბიზანტიელ ეგზეგეტთა სრული განმარტებებისა თუ ე. წ. ღლაფკრათა (ფრაგმენტების) თარგმნა და ამის საფუძველზე სრული ბიბლიური ეგზეგეტიკური კრებულის (σειραί, catenae) შედგენა*, მაგრამ, სამწუხაროდ, ჟამთა სიავეს გადარჩე-

---

* გელათში შექმნილი და თარგმნილი ამ ხასიათის ლიტერატურის ჩვენამდე მოღწეული მცირე ნაწილის მიხედვითაც კი შეიძლება დავასკვნათ, თუ რაოდენ მიზანმიმართული იყო ამ მხრივ ამ სკოლის მოღვაწეთა საქმიანობა; თავი რომ დავანებოთ ანტიკური და ბიზანტიური ხანის ფილოსოფიურ ეგზეგეტიკას, მხოლოდ ბიბლიური ტექსტების კომენტარებიდან ჩვენამდე მოღწეულია მიტროფანე სმირნელის და ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის „ეკლესიასტეს“ განმარტებები (A 63), რომელთაგან პირველი გამოცემულია აკად. კ. კეკელიძის მიერ (იხ. შსშ. I), ცნობილი ბიზანტიელი ეგზეგეტის, პეტრიწის თანამედროვის, თეოფილაქტე ბულგარელის მიერ ბაგრატ IV-ის ასულის — მარიამ (მართა), ბიზანტიის დედოფლის დავალებით შესრულებული განმარტებანი მარკოზის, ლუკას და იოანეს სახარებებისა (jer. 22, A 113, A 102, A 52), უცნობი ეგზეგეტის განმარტება „ქება ქებათაჲსა“ სქოლიოების სახით (A 65), მიქელ პსელოსის განმარტება რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეს ერთი ადგილისა (VIII, 29 გელათ. ხელნ. № 23). დაბოლოს, თვით ეს ეგზეგეტიკური კრებული, რომლის კატენების ავტორთა ერთი თვალის გადავლებითაც ჩანს ამ ძეგლის მთარგმნელისა და რედაქტორის სითამამე, შეუზღუდავობა და ფართო გაქანება, რადგანაც ქრისტიანული ეკლესიის ისეთი ბურჯების გვერდით, როგორებიცაა ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი, კირილე ალექსანდრიელი, ევსევი კესარიელი და სხვა. მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მსოფლიო კრებებზე დაგმობილი ორიგენეს, აპოლინარისა და სევეროსის სახელებიც არაერთხელაა აღნიშნული განმარტებათა ექსცერპტების გასწვრივ. საგანგებოდაა აღსანიშნავი ისიც, რომ ყველაზე მეტი ციტატაა დამოწმებული კირილე ალექსანდრიელის თარგმანებათა და თეოდორიტე კუროელის კითხვა-მიგებათაგან, სწორედ იმ თეოდორიტესი, რომლის „დავითნის“ თარგმანებას თავის დროზე ეფრემ მცირემ თავი აარიდა „მცირედისა მისთჳს სიტყჳსგებისა, რომელი იქმნა რეცა წინაალმდგომით

ნილ ორ ასეთ ხელნაწერში (რომელთაგან Q 1152 უნდა მომდინარეობდეს A 1108-დან), ეს იდეა მხოლოდ რუთის წიგნამდეა განხორციელებული (ამასთან, როგორც ცნობილია, ორივე ხელნაწერს აკლია დასაწყისი „ლევიტელთამდე", ხოლო A 1108-ში „რუთის"-შემდეგ მიკინძული და განსხვავებული, შედარებით ულამაზო ხელით გადაწერილი წინასწარმეტყველების წიგნები ამ ტიპის განმარტებებს აღარ შეიცავენ).

A 1108 ხელნაწერი (ლევიტელებიდან რუთის ჩათვლით) უნიკალური ავტოგრაფული ნუსხაა, რომელიც მთარგმნელი რედაქტორის* ხელიდან ჩანს გამოსული და, ამდენად, მეტად მნიშვნელოვან მასალას შეიცავს ტექსტოლოგიური კვლევისათვის, მთარგმნელის მუშაობის პროცესზე დაკვირვებისა და მისი მთარგმნელობითი მეთოდის შესწავლისათვის. ტექსტი ნასწორებია იმავე მელნითა და იმავე ლამაზი გაკრული ხელით, რომლითაც შესრულებულია ხელნაწერი „ლევიტელთაგან" „რუთამდე", ნასწორებია იგი გზადაგზა, მუშაობის, თარგმნის პროცესში და არა შემდეგ, რაც იქიდანაც ჩანს, რომ კორექტურა ხშირად ზემოდან კი არ არის ჩამატებული, არამედ მოსდევს გადაშლილ სიტყვას ან მთელ შესიტყვებას იმავე სტრიქონზე. ჩასწორებანი სხვადასხვა ხასიათისაა, მათზე დაკვირვება წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რა პრინციპებით ხელმძღვანელობდა თარგმნის პროცესში ავტორი, რა ტენდენციები ამოძრავებდა მას, როგორ ხვეწდა შიგადაშიგ სტილისტურად ფრაზას, ლექსიკური სინონიმებიდან რომელს არჩევდა, რო-

---

შორის მისსა და წმიდისა კურილესსაო". შემთხვევითი არ არის, აგრეთვე, რომ სქოლიოებში ხშირად ფიგურირებს უმცროსი მთარგმნელების — აკვლას, სუმახოსისა და თეოდოტიონის სახელები — სამეულისა, რომელმაც, როგორც ცნობილია, ზედმიწევნით დაუახლოვა ებრაული ორიგინალს.

* ზემოთ დასახელებულ ვამოკვლევაში კ. კეკელიძე აღნიშნავს, რომ „კატენები ნათარგმნია თუ არა იოანე პეტრიწისა, მისი სკოლიდან გამოსული მწერლის მიერ მაინც" (1, XXIX); ბლეიკს სქოლიოები ეფრემ მცირის თარგმანად მიაჩნდა, ხოლო ბიბლიის კომენტარი ტექსტის პირველი ნაწილი (ლევიტელთაგან რუთამდე) იოანე პეტრიწის ან მისი სკოლიდან გამოსული მწერლისად (1, XXVIII); ეზეკიელის წიგნის ქართული ვერსიების გამომცემელს — თ. ცქიტიშვილს კი იოანე პეტრიწი მიაჩნია ბიბლიური ტექსტის რედაქტორად.

მელს შლიდა და რომელს ტოვებდა. ტექსტი, როგორც მოსალოდ-ნელია, ხშირად ჩასწორებულია ბერძნულ დედანთან ზედმიწევნით

-ლოების მიზნით, მაგრამ ხდება პირიქითაც, როდესაც ბერძ-ნული წყობის წინადადება გზადაგზა ჩასწორებულია ბუნებრივი ქართულით ან ბერძნულიდან ხელოვნურად კალკირებული ფორმა გადაშლილია და იქვე შეცვლილია მარჯვე ქართული შესატყვისით. ასე, მაგ. 96v ფურცელზე სხვა სწორებებთან ერთად ყურადღებას იქცევს გადაშლილი **დავიმრგულებოდეთ** ზმნა, რომელიც ბერძნული **ἐκυκλώσαμεν** ფორმის ზუსტ კალკს წარმოადგენს და, რომელიც შემდეგ შეცვლილია ბუნებრივი ქართულით და, ამავე დროს, ბერძ-ნულის ზუსტი ეკვივალენტით: **შევიცევით** მთად სეირი დღეთა მრავალთა: II სჯულ. 2,1-შდრ. მცხეთური ხელნაწ.: **და დავადგერით** მთასა მას სეირსა მრავალ დღე. ბერძნულშია: **ἐκυκλώσαμεν τὸ ὄρος τὸ Σεὶρ ἡμέρας πολλάς** I(10), Δευτν. 2,11

ძეგლი მეტად მდიდარია რედაქტორ-მთარგმნელის შენიშვნე-ბითა და მინაწერებით (რომლებიც, ჩვეულებისამებრ, გვერდითს აშიებზეა შესრულებული გამოყოფით — წითელი მელნით). ამ ტექსტოლოგიური თუ ეტიმოლოგიური ხასიათის შენიშვნების გაც-ნობა წარმოდგენას გვიქმნის მათი ავტორის შეხედულებაზე ამა თუ იმ ფორმის შედგენილობასა და წარმომავლობაზე, მის პოზი-ციაზე სიტყვათშემოქმედების მიმართ საერთოდ. საინტერესოა, მაგ., **განვბიწენ** ფორმასთან დაკავშირებით აშიაზე გატანილი შენიშვნა: „ახალი არს ლექსი **განვბიწენ**: ვითარმცა იტყოდა, ვითარმედ, „ბიწ-ნი განვჰყარენ“, ვითარ-იგი ნაქურცენთა რაჲსათამე განმყრელნი-ვიტყოდით, ვითარმედ „განვქურცენ“ (A 1108, 129v. მთარგმნე-ლის ეს შენიშვნა, სხვათა შორის, Q 1152-ის 273r-ზე განმარტების ტექსტში, სქოლიოშია შეტანილი, რაც იშვიათი მოვლენა არ არის გადაწერილი ასლებისათვის საერთოდ და ამ ხელნაწერისთვისაც, რომელიც A 1108-დან ჩანს გადაწერილი). როგორც ვხედავთ, ავ-ტორი საჭიროდ თვლის მის მიერ ახლად შექმნილი სიტყვის შინა-არსის ნათელსაყოფად მკითხველს მიუთითოს, რომ იგი სალაპარაკო ენაში გავრცელებული „**განვქურცენ**“ ზმნის ანალოგიითაა ნაწარ-მოები. ამასთან, იგი ფაქიზ ენობრივ ალღოს ავლენს: შესანიშნავად გრძნობს **განვ-** ზმნისწინის შესაძლებლობას, გამოხატოს ერთი საგ-

ნის ზეორისაგან განშორების ფუნქცია* და მარჯვედ იყენებს ამ შესაძლებლობას ორშემადგენლიანი ცნების (ბიწნი განვყარენ) ერთი ლექსემით (განვბიწენ) გამოსატვისათვის.

ამგვარად, არა ერთი და ორი ახალი სიტყვა აქვს შექმნილი მთარგმნელს, არა ერთი და ორი სიტყვა — გაცოცხლებული და აღდგენილი. შემოტანილი სალიტერატურო ენაში თავისი მშობლიური დიალექტიდან, რაც მეტად დამახასიათებელია იოანე პეტრიწისა და, საერთოდ, გელათის სკოლის მოღვაწეთათვის, რომლებმაც მათთვის დამახასიათებელი ელინოფილური ტენდენციების მიუხედავად თარგმანის თეორიასა თუ პრაქტიკაში (რითაც ისინი დაუპირისპირდნენ „ულუმპიელებს“), ფართოდ გაუხსნეს კარი ცოცხალ მეტყველებაში მიმდინარე ენობრივ ცვლილებებს და, საწინააღმდეგოდ საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებული სალიტერატურო სკოლების ტრადიციული კონსერვატიზმისა (რაც, შესაძლებელია, სწორედ ცოცხალი, სალაპარაკო ენისაგან მათი იზოლირებით იყო გამოწვეული). შეუზღუდავად გაავრცელეს ისინი მწიგნობრულ ენაში.

ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა შენიშვნამ, რომელიც ეხება თანაშე ფორმას კიმენური ტექსტის შემდეგს კონტექსტში:

გელათის ბიბლია	**მცხეთური ხელნაწერი**
არა აჰა ესენი წიაღ იორდანესა, უკუანა კერძო გზასა მზის დასავალისასა, ქუეყანასა ქანაანისასა, დამკჳდრებულსა მზის დასავალით კერძო, თანაშე ღოლღოლისა, მახლობელად მუხისა მაღლისა (A 1108, ფ. 108 v, Q 1152, ფ. 232 r).	ესე ორნივე წიაღ იორდანესა, გზასა მზისდასავალით კერძოსა, ქუეყანასა ქანანელთასა, რომელი დამკჳდრებულ არს მზისდასავალით კერძოთა გალგალასა, მახლობელად მუხასა მას მაღალსა (II სჯულ., 11,31).

Οὐκ ἰδοὺ ταῦτα πέραν τοῦ Ἰορδάνου ὀπίσω ὁδὸν δυσμῶν ἡλίου ἐν γῇ Χαναὰν τὸ κατοικοῦν ἐπὶ δυσμῶν ἐχόμενον τοῦ Γολγὰλ πλησίον τῆς ὄρυὸς τῆς ὑψηλῆς (10, Δευτν., 11, 30).

---

* ვან- ზმნისწინის ფუნქციების შესახებ ძველ ქართულში იხ. (4,229).

თანაშე სიტყვაზე მითითებით მარცხენა აშიაზე, გარდიგარდმო წითელი მელნით შემდეგი შენიშვნაა გაკეთებული: „ძველი ლექსი არს ქართული **თანაშე**, არა ჩუენი მოპოვნებული, ხოლო დაჰნიშნავს მახლობელობასა".

როგორც ვხედავთ, შენიშვნის ავტორი, იგივე მთარგმნელი, საგანგებოდ აღნიშნავს, რომ **თანაშე** ფორმა მისი შექმნილი („მოპოვნებული") კი არ არის, არამედ იგი ქართული ენის ძველი სიტყვათმარაგიდანაა მოძიებული და შემოტანილი მის მიერ. ამის საგანგებო აღნიშვნა კი, როგორც ჩანს, მას იმისთვის დასჭირდა, რომ ეს ფორმა იმ დროისათვის უკვე უცხო იყო სალიტერატურო ენისათვის, შესაძლებელია, მისთვის იგი საკუთარი დიალექტიდან იყო ცნობილი. მთარგმნელს უცდია მისი გაცოცხლება და გამოუყენებია იგი ბერძნული ἐχόμενον მიმღეობის შინაარსის გადმოსაცემად, რაკიღა უფრო ზუსტი შესატყვისი ვერ უპოვია. Ἐχόμενον — „უშუალოდ მიმდებარე, ახლომდებარე" „примыкающий, смежный" მიმღეობაა ἔχω ზმნისა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელობაა „непосредственно соприкасаться, примыкать". აქედანვე მოდის დასახელებული მიმღეობის მნიშვნელობაც: მაგ. Ὄρος ἐχόμενον τῆς Ῥοδόπης—гора, смежная с Родопой [(5), ἔχω 9), 727]. ასე რომ ზემოთ მოყვანილი კონტექსტის რუსული კანონიკური თარგმანი მთლად ზუსტი ვერ არის: ...В земле Ханаанеев, живущих на равнине, против Галгала... (Второзак., 11, 30).

როგორც ვნახეთ, შენიშვნის ავტორი მკითხველისთვის უცნობ **თანაშე** სიტყვას განმარტავს მისივე, უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე სინონიმური ლექსემით — „**მახლობელობა**", რომლის სემანტიკურ ველშიც შედის **თანაშე**, როგორც უფრო ვიწრო, დაკონკრეტებული მნიშვნელობის მქონე სიტყვა. ამავე შენიშვნიდან ნათელი ხდება, თუ რატომ არ იხმარა მისმა ავტორმა ყველასათვის გასაგები „**მახლობელად**" და არჩია შემოეტანა მივიწყებული, როგორც თვითონ ამბობს, „ძველი ლექსი ქართული **თანაშე**": საქმე ესაა, რომ მომდევნო ფრაზაში მას კვლავ მოუხდებოდა „მახლობელად" სიტყვის განმეორება და, როგორც ჩანს, თავი აარიდა ტავტოლოგიას. იყო კიდევ ერთი შესაძლებლობა: ეხმარა **კერძო** თანდებული, როგორც ეს ადრინდელ რედაქციაშია (იგი მიახლო-

ებით გადმოსცემს საჭირო მნიშვნელობას), მაგრამ, ჩანს, იგი აქაც ტავტოლოგიას მოერიდა, რადგანაც ეს თანდებული მას უკვე ორჯერ ჰქონდა ნახმარი წინა კონტექსტში. ესეც რომ არ იყოს, ასეთი თარგმანი მას არ დააკმაყოფილებდა სიზუსტის თვალსაზრისითაც. ამიტომაც მოიძია და გამოიყენა არქაული ფორმა თანაშე. რომელიც ზუსტად გადმოსცემდა ბერძნული ἐχόμενον ლექსემის მნიშვნელობას.

თანაშე ფორმა ქართული ენის ლექსიკურ სისტემაში განმარტოებული არ არის. იგი **შე-** ელემენტიანი (რომელიც „იგივეა წარმოშობით, რაც **შე-** ზმნისწინი" (6,613) სხვა ზმნიზეზების გვერდით დგას და მათს სისტემაში ავსებს ცარიელ რგოლს.

საერთოდ ზმნიზედურ ფუძეთა და ზმნისწინთა ამგვარი კომპოზიცია დღეს პროდუქტიული არ არის და ძველ ქართულშიც იშვიათი მოვლენა იყო, მაგრამ ასეთი თხზვა რომ უცხო არ იყო ქართული ენის ბუნებისათვის, ეს ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილიდანაც ჩანს (იხ. გვ. 208).

შე-, მო-, წარ-, აღ-, გან- ზმნისწინები (რომელთაგან უკანასკნელი თანდებულიცაა), ზმნიზედურ ფუძეთა მეორეულ მაწარმოებლებად გვევლინებიან. ისინი დეტერმინანტი სუფიქსების შემდეგ დაერთვიან ზმნიზედურ ფუძეებს (11,48), რომელთაგან **გ-ან** ფუძე ყოველთვის **რე** ნაწილაკითაა გართულებული და მის წინ სუფიქსისეული **ნ** დაკარგულია. ისინი კიდევ უფრო აზუსტებენ და აკონკრეტებენ ამ ფუძეებით გამოხატულ ლოკალურ შინაარსს. ამგვარად. ზმნისწინებს, როგორც ფორმანტებს, ამ სტრუქტურაში მეორე (**წ-ინ-ა-შე, თ-ან-ა-შე, ზ-ედ-ა-შე, წ-ინ-ა-მო,** (7), **წ-ინ-ა-წარ** (7), **წ-ინ-გარდა** (7;8), **უკუ-ან-ა-წარ** (7), ან მესამე საფეხური (**გ-ან-რე-მო, გ-ან-რე-შე...**) უჭირავთ. სავრცობი **ა**, რომელიც აქ თანხმოვანთგასაყარის როლს ასრულებს, ზოგჯერ იკარგვის და ასეთ შემთხვევებში მას მიჰყვება დეტერმინანტისეული თანხმოვანიც (**ზე-მო**<<**ზ-ენ-ა-მო, ქუ-ე-მო**<<**ქუ-ენ-ა-მო, წ-ი-აღ**<<**წ-ინ-აღ, წ-აღ-მა**<<**წ-ინ-აღ-მო, უკუ-ღ-მა**<<**უკუ-აღ-მო** და სხვ.).

ზოგი ამგვარად ნაწარმოები ზმნიზედა ძველ ქართულში და დღესაც სუბსტანტივის ან ზედსართავის ფუნქციით იხმარება (მაგ., **ზეწარი**—ძვ. მოსასხამი, ფილონი: აღვიღე **ზეწარი** მცირეჲ და დავჰპურე ზედა მჯართა მისთა, მ. ცხ., 214 г (7), დიალექტ. ქართლ. ურმის

ნაწილი, გასდევს ჭალებს ზევით (8,9), თეშ.: სხვადასხვანაირად მოხატული ფიცრებით გაკეთებული აივანი (8), დღეს ლიტ.: ლეიბ-ზე გადასაფარებელი დიდი თეთრი ქსოვილი, არქიტ. ნაგებობის საყრდენი კოჭი (9). **წინამოა** — ნედლი, საყოფი უმწიფარი: ახალი ეტერი **წინამოა** გამოქუცნვილი... მოართუა G ლევიტ. 2,14 (7): **წინგარდა**— ხევს. „დერეფანი" (8), აივანი (8;9), **წიაღი**—ძვ. „გალმა იმ მხარეს", „იღლია, კალთა": აღიხუენ იგინი **წიაღსა** შენსა რიცხ. 11,12(7): თანამ. ლიტ.: „უბე", შიგნითა ნაწილი, სილრმე", სპეც. „დედამიწის შიგნეთი" (9), **ზეშთამო**—ძვ. „ჩრდილო"; **ზეშთამოსა** ქარსა ფიცხელსა: იგ. სოლ. 27,16 (7).

ზმნიზედა / ზმნისწინი	გ-ა-რე (*გ-ა(ნ)-რე	წ-ინ-ა	ზ-ენ-ა ზ-ედ-ა	ქუ ენ-ა ქუ-ეშ-ა	თ-ან ა	შ ინ-ა მ-იდ-ა	უკუ ან-ა
მ ე-	გარე-შე	წინა-შე	ზედა-შე	ქუე-შე	თანა-შე	—	—
მო-	გარე-შემო გარე-ჰო	წინა-მო	ზე-მო	ქუე-მო	—	—	წინა-უკუ-მო
წარ-	გარე-წარ	წინა-წარ	ზე-წარ	—	—	—	უკუნა-წარ
ალ- ალმო-	— —	წი-ალ წ-ალმა	— —	— —	— —	— —	უკუ-ლმა
-გან- გამო-	გარე-გან —	— —	ზე-გან —	— —	— —	შინა-გან შიგანი შინა-გამო	უკუნა-გან —
გარდა- გარდამო-	—	წინ-გარდა	ზე-გარდა-მო	—	—	—	—

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, თუ რომელი ზმნიზედური ფუძეები შედიან უფრო ადვილად ზმნისწინებთან კომპოზიციაში. როგორც ვხედავთ, **თანა** ზმნიზედა (**შინა** ზმნიზედის შემდეგ)

ყველაზე ნაკლებად შეთავსებადია ამ მხრივ. ალბათ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ თანაშე ფორმა ძველსავე ქართულში არქაიზმად იქცა და შემდეგ სულაც დაიკარგა, მიუხედავად გელათელი ფილოლოგის ცდისა, აღედგინა მისი უფლებები.

მითითებული ლიტერატურა

1. კ. კეკელიძე. თარგმანებაი ეკლესიასტისაი მიტროფანე, ზმკრნელ მიტროპოლიტისაი, თბ., 1920.
2. ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე, რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი (გელათური ვერსია): შოთა რუსთაველი, ისტორიულ-ფილოლოგიური ძიებანი, 1966.
3. ეზეკიელის წიგნის ქართული ვერსიები (ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა ღაურთო თინათინ ცქიტიშვილმა), თბ., 1976.
4. ი. ევშაბიძე, ზმნისწინი ძველ ქართულ ენაში, თბ., 1967.
5. И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т.I, 1958.
6. ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1953.
7. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.
8. ა. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, ტ. VIII.
10. Septnaginta, ed. Alfred Rahlfs, Editio minor, Deutsche Bibelgesellschaft. Stuttgart, 1925, 1979.
11. ღ. მელიქიშვილი, პირის ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი: ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან, თბ., 1980.

МЕЛИКИШВИЛИ Д. Н.

О НАРЕЧИЯХ С ЭЛЕМЕНТОМ ŠE В СВЯЗИ С ФОРМОЙ TANAŠE В ГЕЛАТСКОЙ РУКОПИСИ

Резюме

В статье рассматривается форма თანაშე tanaše («вблизи, непосредственно рядом»), засвидетельствованная в гелатском сборнике экзегетических статей к книгам Ветхого завета. Рукопись А 1108, должно быть, является автографом переводчика-редактора, множество заметок которого, приписанных на краях страниц сборника, содержат крайне интересные сведения в области истории грузинского языка и литературы.

По одному из интереснейших заметок автора, употребившего форму tanaše для передачи значения греческого ἐχόμενον («примыкающий»), эта лексема уже в его время (в XI—XII вв.) являлась архаизмом и поэтому требовала разъяснения.

Данная лексема чужда и современному грузинскому языку (как литературному, так и диалектам), но свидетельство гелатского филолога дает нам возможность заполнить свободное место в системе наречий, образованных посредством преверба შე- (še-): გარე-შე (gare-še), წინა-შე (cina-še), ქუე-შე, (kue-še), ზედა-შე (zeda-še), თანა-შე (tana-še).

იოანე პეტრიწის „განმარტების“ გოლოსიტყვაობის შედგენილობისა და ზოგი ახალი წყაროსათვის[1]

დამანა მელიქიშვილი

პროკლე დიადოხოსის ტრაქტატის „ღვთისმეტყველებითი საფუძვლების“ პეტრიწისეულ თარგმანსა და „განმარტებას“ მოსდევს ერცელი, შედგენილობის მიხედვით საკმაოდ კრელი ნაშრომი, რომელსაც ტექსტის გამომცემელმა, სიმონ ყაუხჩიშვილმა, პირობითად „ბოლოსიტყვა“ უწოდა (იხ. I, გვ. 207). ამ „ბოლოსიტყვის“ უკანასკნელი, 99—102 ფურცლები, XIII საუკუნით დათარიღებულ უძველეს, H 1337 ხელნაწერშივე გვიან (XVIII ს.-ში) არის აღდგენილი, რის გამოც ბევრი რამ აღრეული და ბუნდოვანია. მთელი ტექსტი, როგორც თემატური შედგენილობით, ასევე ენობრივი თვალსაზრისით, არაერთგვაროვანია, რაც ლოგიკურად ბადებს აზრს იმის შესახებ, რომ იგი რაღაც სხვა, დამოუკიდებელი ნაშრომის თუ ნაშრომების ნაწყვეტებისაგან უნდა იყოს შემდგარი. როგორც სიმ. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, „ალბათ რომელიღაც ძველი ხელთნაწერის რვეულების არევის გამო მისი ბოლო ნაწილი მოწყვეტილი ჩანს წინა ნაწილს“ (4, გვ. XXXV).

მიუხედავად ზემოთქმულისა, „ბოლოსიტყვაობის“ ტექსტის ძირითადი ნაწილის მიზანდასახულება — სამების დასაბუთების ცდა ემპირიული გზით თუ ფილოსოფიური და ლიტერატურული ტრადიციების მოშველიებით. პროკლეს ხსენებულ ტრაქტატში წარმოდგენილი ონტოლოგიის ტრიადული სისტემის პეტრიწისეული ქრისტიანული ინტერპრეტაციის ხაზს აგრძელებს და ასრულებს. ამდენად, გარკვეული აზრით, თემატურად დაკავშირებულია „განმარტების“ ტექსტთან.

თემატური თვალსაზრისით „ბოლოსიტყვა“ ტექსტი შეიძლება დაიყოს შემდეგ ნაწილებად:

I. დაით წინასწარმეტყველის (ანუ, როგორც პეტრიწი იხსენიებს, „ჩვენი ორფეოსის“) „ფსალმუნთა“ ძირითადი აზრისა და დანიშნულების გამოკვეთა და მისი განხილვა, როგორც „სამების ანგელოზის“ ანუ „სამების მაცნეს“, აგრეთვე, სულიერი სიბრძნისა და ქრისტეს ენებების შესახებ წინასწარმეტყველების წიგნისა (I. გვ. 207—218).

I ნაწილი იწყება სიტყვებით[2]: „ხოლო აწ ჩუენ ვიძიეთ და თანაპურობითა

---

[1] წაკითხულია მოხსენებად აკაკი შანიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სიუანთმეცნიერო რუს. კონფერენციაზე 1986 წლის 18 დეკემბერს (იხ. სამეცნ. კონფ. პროგრამა, თბილისი, 1986 წ.).

[2] სიმ. ყაუხჩიშვილი „ბოლოსიტყვაობის“ მიკუთვნებს მსჯელობას აღშიანის შინაგანი („ჩუენ-შიოსი“) „ორი სიტყვა“ — ახროვნებას, ფიქრის უნარის შესახებ (იმ ნიგნისა,

მამისა ღმერთისა სიტყუსაცა გაგებულ-ეცა და შეეგებენით ამას წიგნსა ლოცვისა-საცა, ეით საცავსა. ესევითა ებგურსა ქრისტეს მამისა ეენაკეთასა"[1].

ამ ნაწილში გამოიყოფა მონაკვეთები:

ა) სამების, განგების, კეთილობის, ბოროტის უარსობისა და მყოფთა წარმოშობის საკითხების განხილვა „ფსალმუნთა", მოსესა და „მოსეანთა" წიგნებზე დაყრდნობით პაველს, ბასილი დიდისა და გრიგოლ ნაძიანძელის სიტყვების გამოყენებით და ამ საკითხების დადასტურება „ფილოსოფოსთა დღის მწუერვალის" — პლატონის დიალოგებსა და პროკლეს კომენტარებში ამ დიალოგებზე (I. გვ. 209—215).

ბ) სამების დოგმის დასაბუთების ცდები ემპირიული გზით: გეომეტრიის, მუსიკის, არითმეტიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და სტრატეგიული ხელოვნების მაგალითების მოშველიებით — ფსალმუნთა მოწმობით (I. გვ. 215—218).

I ნაწილი მთავრდება სიტყვებით: „და ესე თანწარელის სახედ ღმერთისმეტყველა ჩუენგან სამობისათჳს წიგნსა ამას შორის ლოცვისა საცავთასა, რომელი აღანთებს სულთა შორის ჩუენთა ხედვათა ზესთა წმიდისა სამობისათა" (I, გვ. 218. 3—6). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ამ ნაწილში წარმოდგენილი „ფსალმუნთა" წიგნის სამების შესახებ „ღმერთისმეტყველება" ეკუთვნის იოანე პეტრიწს, რომელიც, როგორც თვითონვე ამბობს, გაელილ („თანწარელი") შეხვია ამ. სამების წინასწარმეტყველების წიგნს.

II. მეორე ნაწილში გაშლილია მსჯელობა მოსეს წიგნების, სამოცქულის, საბარებისა და სხვა ამგვარ წიგნთა თარგმნასთან დაკავშირებულ პრინციპულ მსოფლმხედველობრივ საკითხებზე, მთარგმნელობითს მეთოდზე საერთოდ, და, კერძოდ. ფილოსოფიურ თხზულებათა ენის თაობაზე. ამ ნაწილში ნათლადაა წარმოჩენილი ავტორის, იოანე პეტრიწის, პიროვნული „მე" — როგორც შემოქმედისა (გვ. 218—222).

III. მესამე ნაწილი (I, გვ. 223—226) წარმოადგენს ნაწყვეტებს გრიგოლ ნაძიანძელის ეპიტაფიიდან ბასილი დიდის შესახებ — ნინეს კომენტარების გათვალისწინებით (წყარონს მიაკვლია სიმ. ყაუხჩიშვილმა, იხ. 4, XXXV—XLVII).

რომლითაც ღმერთმა თავის თავს მოიმსგავსა ადამიანის ბუნება, გამოყო რა აბრეშუმებს უნარის მქონე სული — ეტყვი, უგონო სულისაგან). ამ მსჯელობისას პეტრიწი, როგორც ჩანს, ეყრდნობა მის მიერვე თარგმნილი ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა" ტრაქტატის XIV თავს, — „შორისმდებარისა სიტყუსათჳს". სწორედ ამ საკითხზეა ლაპარაკი პროკლეს ტრაქტატის ეკანასკნელ. 211-ე თავში („გონიერი და უგონო სული" განსხვავებაზე). ამიტომ, ჩვენი აზრით, ეს ნაწილი უნდა მივაკუთვნოთ 211-ე თავის განმარტებას ღა არა ე. წ. „ბოლო სიტყვას" („ჩუენ-შორისიმე მიდმოსიტყუეთ"... ეიდრე: „რომელ არს სული"). ხოლო, რაც შეეხება მომდევნო აბზაცს, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ ჩვენ კაცდებელნი ვართ ჩვენი სულის „საპყრობილეში" გავატარეთ ყოველივე, რაც იყო თქმული და „ჩვენი შემკვნელის, ღმერთის ეული ვიპოვოთ", რათა ჩვენი გონების დამაბნეველნი განვიშორეთ და არ დეშორჩლდეთ ბოროტს, „ვინცა მარჯვნიდან მიდიოდეს იგი, ვინცა მარცხნიდან", — არის დასკვნა მთელი ნაშრომისა და, ამავე დროს, გადასვლა მასთან დაკავშირებულ საკითხების („ბუნებისა") განხილვაზე ფსალმუნთა წიგნის მიხედვით

[1] იოანე პეტრიწის „განმარტების" რუსული თარგმანის შენიშვნების ავტორის, გ. თევზაძის აზრით, აქ იგულისხმება პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლები"; თითქოს პეტრიწი მას უწოდებდეს „ლოცვის წიგნს" (17, გვ. 269, შდრ. 216), სინამდვილეში, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, პეტრიწი აქ გულისხმობს სწორედ დავითის ფსალმუნთა წიგნს, რომლის განხილვასაც ამირებს ქვემოთ.

IV. ეს ნაწილი დაუმთავრებელია (I, გვ. 226—227). მასში წარმოდგენილია დასაწყისი ბასილი დიდის განმარტებისა სოლომონის „იგავთა“ · წიგნზე (წყაროს მიაკვლია თ. ჭყონიამ. იხ. 5, გვ. 69).

ჩამოთვლილი ნაწილები ზოლად ასეთი თანამიმდევრობით არ მისდევენ ერთმანეთს. მაგ., მსჯელობანი სამების დოგმის გარშემო გაწყვეტილია განგებისა და ბოროტის უარსობის შესახებ ერცელი მსჯელობით. საკუთარი თავის შესახებ თხრობაში მოულოდნელად ჩართულია მოკლე ცნობები მახვილებისა და სასვენი ნიშნების შესახებ, ნონესა და უცნობი ავტორის კომენტარები გრიგოლ ნაძიანძელის „ეპიტაფიაზე ბასილი დიდისათვს“ უცბად წყდება და იწყება ახალი ნაშრომი სათაურით: „იგავნი სოლომონისნი, ძისა დავითისნი, რომელი მეფობდა ისრაელსა ზედა...“

ერთი სიტყვით, აშკარად ჩანს, რომ გვიანდელი ხანის გადამწერებს ძველი ხელნაწერის ბოლო რვეულების დაშლილი და მოცვეთილი ფურცლები არევიათ, დახეული ფურცლები შეუკოწიწებიათ, ბევრი რამ ვერ გაურკვევიათ და გამოუტოვებიათ. ზოგი არასწორი გუმანით აღუდგენიათ (მაგ., ვერ გაურჩევათ ნუსხური *სიტყჳთ* „საზღუართა“ და გადაუწერიათ *სიტყჳთ* „ნაზიუანთა“, რაც სრულიად გაურკვეველს ხდის კონტექსტს: „მის მიერ ნაზიუანთა შეეიმალოთ შორისმდებარისა სულითისა სიტყვსად“ (8, ფ. 100v, I, გვ. 220) ასევე, ვერ ამოუკითხავთ „ესვითათა“ და მის ნაცვლად აღუდგენიათ „ერთვითთა“: „ერთვითთა ლმობათაგან მიდმოვიბნეოდი“ (8, 100r, I, 222, I. და სხვ.). გარდა ამისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ „ბოლოსიტყვაობაში“ გაერთიანებული სრულიად სხვადასხვა თხზულებების ნაწყვეტები ენობრივი თვალსაზრისითაც არაერთგვაროვანია. მაგ.: გრიგოლ ღვთისმეტყველის „ეპიტაფიისა“ და მისი განმარტებების ნაწყვეტები, ასევე. ბასილი დიდის განმარტების ნაწყვეტები სოლომონის „იგავთა“ წიგნზე, მსჯელობა ლოგიკისა და გრამატიკის საკითხებზე — ლექსიკური თვალსაზრისით სხვაობს როგორც ძირითადი ტექსტის (პროკლეს ტრაქტატის თარგმანისა და მისი განმარტების) ენისაგან, ისე „ბოლოსიტყვაობაში“ ქრისტიანული დოგმატიკის საკითხებზე გაშლილი მსჯელობისაგან. კერძოდ: „მოძრაობის“ ცნებისათვის იოანე პეტრიწის შრომებში დამკვიდრებულია ტერმინი *მიდრეკა* (და მისგან ნაწარმოები ტერმინები: *მიდრეკადი, მიმდრეკი, თჳთმიმდრეკი*...). ეს ტერმინი პეტრიწისათვის იმდენად დამახასიათებელი და ნიშანდობლიეია, რომ ეს ნემესიოს ემესელის პეტრიწისეული თარგმანის ერთ-ერთი ხელნაწერის გადამწერსაც შეუნიშნავს და საგანგებოდ აღუნიშნავს კიდეც ხელნაწერის არშიაზე: „მიდრეკადი ძრაკისა და მოძრაობისა ნაცვალად დაუც ყოველგან ყოველსა შინა სიტრცესა ამის აწინდელისა წიგნისასა ელლადეთა კმისაგან ქართველთა სიტყუად გარდმოშწერელსა ამისსა, იოანეს, პლატონურსა ფილოსოფოსსა“ (S 2579, ფ. 41, იხ. აგრეთვე, 2, გვ. 24). ხოლო ე. წ. „ბოლოსიტყვაობის“ III ნაწილში კი, ეპიტაფიის თარგმანის ნაწყვეტში, სამჯერ არის ნახმარი ტერმინი *მოძრაობა* („მნათობთა მოძრაობა“, „ამთნი მოძრაობანი“, „მნათობიერთა მოძრაობა“: I, გვ. 225), რომელიც პეტრიწის უცილობელ ნაშრომებში არ გეხვდება, მაშინ, როდესაც ამონიოს ერმიასის მთარგმნელისათვის იგი დადგენილი ტერმინია (ჯერ კიდევ ეფრემისა და არსენის მიერ „დიალექტიკის“ თარგმანში). „დასაბუთების“ მნიშვნელობით იოანე ფილოსოფოსი ამკვიდრებს ტერმინს *აღმოჩენა*, რომელსაც მის ენაში შკაცრად განსაზღვრული ცნებითი მნიშვნელობა

აქეს მიღებული (ჰოსპეზეიჭ · доказать) და დიფერენცირებულია ყოფითი მნიშვნელობის გამოჩინება ზეჭ; показать) ლექსემისაგან, რომელიც ეფრემის, არსენის და ამონიოს ერმიასის მთარგმნელის ენაში ითაესებს ტერმინოლოგიურ მნიშვნელობასაც. ასეთ ვითარებაში „ბოლოსიტყვაობის" დასახელებულ ნაწილში „დასაბუთება" ცნების მნიშვნელობით გამოსაჩინებელ-ს გამოყენება ამოკარდნილია პეტრიწის ლოგიკური ტერმინოლოგიის სისტემიდან (ყოველ შემთხვევაში, ნემესიოსის და პროკლეს თარგმანებსა და კომენტარებში დადგენილი ტერმინოლოგიის სისტემიდან). ამავე ნაწილში ნახმარი ტერმინოლოგიური შესიტყვება „განმსიტყველობითი ყელოვნება" („ლოგიკის" მნიშვნელობით), ნაცვლად „სიტყვერებითისა" რომელსაც, ჩვეულებრივ, იყენებს პეტრიწი, ასევე, მოფარდულობა ტერმინის გამოყენება „ნაშრომის, წიგნის" მნიშვნელობით („სამნი არიან უზესთბრძნესისა სოლომონის მოფარდულობანი": I, გვ. 226). ჩვენს ყურადღებას კვლავ ამონიოს ერმიასის თხზულების მთარგმნელისაკენ შიაპყრობს (მას ეკუთვნის ტერმინი-შესიტყვება „სიტყვერი მოფარდულობა" პეტრიწი კი ნაშრომის, წიგნის მნიშვნელობით, როგორც წესი, ლექსემა წიგნს ხმარობს: „პაზრი ამის წიგნისა"; 1,3, 2 „მიზეზი აწ კეალად გარდამოღებად ჩემ მიერ წიგნისა ამის ესეობს": 1, 219, 2, „ბოლოსიტყვა"). გარდა ამისა, ანგარიშგასაწევია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც: მორფოლოგიური ნეოლოგიზმები იოანე პეტრიწის ენაში ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ ფონზე გამონაკლისს წარმოადგენს მრავლობითი რიცხვის ებიანი წარმოება, რომელიც მის ნაწერებში ძალიან იშვიათი მოვლენაა: 25 შემთხვევიდან, რომელიც პროკლეს თარგმანსა და მის განმარტებაშია გამოყენებული, 20 მოდის „ბოლოსიტყვაობის" ბოლო ფურცლებსა და თანაც ორმაგი მრავლობითის ფორმით: ცეებნი, გოდლებთა, წიგნებთა, ძალებთა, ხელებნი... აღსანიშნავია, რომ ამგვარი ორმაგი მრავლობითის ფორმები დამახასიათებელია გელათის სკოლის ზოგი ძეგლისათვის და, განსაკუთრებით კი ამონიოს ერმიასის მთარგმნელის ენისათვის (სახელებთადა, გუარებთა, შემთხუევითებნი...). არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სადმე საკავშირებელი სიტყვა, რომელიც თითქმის არ გვხვდება იოანე პეტრიწის უცილობელ ნაწერებში, ხოლო მეტად დამახასიათებელია ამონიოსის მთარგმნელისათვის, „ბოლოსიტყვაობის" აღნიშნულ ნაწილში რამდენიმეჯერ ზედიზედაა ნახმარი.

ცხადია, მხოლოდ ამ მასალის მიხედვით დაბეჯითებით რაიმე დასკვნის გამოტანა „ბოლოსიტყვაობის" აღნიშნული ნაწილის ავტორის შესახებ ძნელია (გაკვირდება დამკვიდრებული ტრადიციის გადალახვა), მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ „ბოლოსიტყვაობის" უკანასკნელი ორი ნაწილი (III — ნაწყვეტები ეპიტაფიიდან" დიდისა ბასილისათჳს" და IV -- სოლომონის შრომებზე თვით ბასილის განმარტებათა თარგმანის დასაწყისის ნაწყვეტი). — თუნდაც იმავე ავტორს ეკუთვნოდეს, რომელსაც დაუწერია დანარჩენი ნაწილები და თვით განმარტებაც — სხვა დროს უნდა იყოს დაწერილი და შემთხვევითაა მოხვედრილი პეტრიწის ამ თარგმანსა და მისი განმარტების „ბოლოსიტყვაში".

„ბოლოსიტყვაობის" ნაწილები ნაწყვეტებია ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებებიდან, საიდანაც ამოკრებილია მასალა სპეციალურად ქრისტიანული დოგმატიკის (ძირითადად სამების დოგმის და, აკრეთვე, განკვეთისა და ბოროტის უარსების შესახებ) დასაბუთების მიზნით. აქედან ყველაზე ვრცელია

ექსცერპტები „ფსალმუნთა“ განმარტებებიდან, რაც ბოლოსიტყვაობის პირველ ნაწილს შეადგენს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ „ბოლოსიტყვაობის ტექსტის აღნიშნული ნაწყვეტები წარმოადგენს სამუშაო მასალებს, დაახლოებით იმ ტიპის ექსცერპტებს, როგორსაც გელათის კატენებიანი. ბიბლია შეიცავს. ეს მით უფრო საგულვებელია, რომ გელათის სკოლის საქმიანობის ძირითადი განმსაზღვრელი პროფილი ეგზეგეტიკური ლიტერატურისადმი განსაკუთრებული ინტერესია.

„ბოლოსიტყვაობის“ I ნაწილის დასაწყისში, განსაზღვრავს რა დავით წინასწარმეტყველის „ფსალმუნთა წიგნის“ ძირითად მიზანდასახულებასა და დანიშნულებას, პეტრიწი პაველ მოციქულისა თუ „გარეშე“ ფილოსოფოსთა და ქალდეველთა სიბრძნეზე დაყრდნობით ავითარებს საკუთარ აზრებს ქრისტესა და ქრისტიანობის მისიაზე, როგორც ღვთაებრივი ჭეშმარიტების ჩვენთვის, ადამიანებისათვის გამოცხადებაზე. იოანე ფილოსოფოსისათვის, როგორც შუა საუკუნეების ქრისტიანი მოაზროვნისათვის, ღვთაებრივი სიბრძნე და ჭეშმარიტება განფენილია მრავალ ცალცალკე მდგომ გოდოლზე („განთკესულად მდგომთა გოდოლთა მრავალთა“ I, გვ. 208), რომელთაც ერთი ლოდი— ქრისტე ჰკრავს. აშკარაა, რომ აქ პერიფრაზირებულია პაველ მოციქულის ცნობილი სიტყვები ეფესელთა მიმართ: „აღშენებულ ხართ საფუძველსა ზედა მოციქულთასა და წინაჲსწარმეტყველთასა, რომლისა თავ კიდეთა მისთა არს ქრისტე იესუ“ (ეფეს. 2, 20), ხოლო გოდლების ალეგორია მოხმობილია 47-ე ფსალმუნიდან, რომელშიც ნათქვამია: „მოადეგით სიონსა და მოიცვენთ იგი და მიეთხრობდით გოდლებსა მისსა... დასხენით გულნი თქუენნი ძალსა შინა მისსა და განიყაენით გოდლები მისი“. (ფს. 47, 10). თეოდორიტე კირელის განმარტებით (რომლის ძველი ქართული თარგმანი „შატბერდის კრებულშია“ შეტანილი და, რომელსაც, ცხადია, კარგად იცნობდა პეტრიწი), „სიონად — „ღრმთისმსახურებისა სახიერებასა უწოდს: ესე იგი არს, ღმრთისა შეწევნითა განამტკიცნა და ანგელოზებრივი მოწესეობაჲ უჩუენა ქუეყანასა და გოდოლი სამართლისა თჳსისაჲ მცველად გარე-მოადგა თავით თჳსით, რომელ მოქმადლა სულმან წმიდამან გამოჴსნაჲ ყოველისა სოფლისაჲ და ბევრნი გოდოლნი ძლიერნი დაამტკიცნა მოძღურებითა თჳსითა...“ (7, გვ. 401—402), თეოდორიტეს აზრით. ამ და მომდევნო მუხლებში („რაჲთა მითხრობად შეუძლოთ თქუენ ნათესავსა სხუასაო, რამეთუ ესე არს ღმერთი, ღმერთი ჩუენი უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე და ამან დამმწყსნეს ჩუენ უკუნისამდე“: ფს. 47, 14—15, 7, გვ. 402) ალეგორიულად ის აზრია გატარებული, რომ სხვადასხვა ხალხი (ნათესავი) ერთ ჭეშმარიტ ღმერთს აღიარებდა. ეს გოდლები ერთ სიონშია შეკრებილი, რომელიც ჭეშმარიტი ღმრთისმსახურების განსახიერებას წარმოადგენსო (აქ ბაბილონის გოდლის ალეგორიაცაა). იოანე პეტრიწის განმარტებით კი, დავითი (რომელსაც იგი „ჩვს ორფეოსს“ უწოდებს) წინასწარმეტყველებს ქრისტეს ენებაზე, ჩვენთვის რომ თავს-იდო, მის ღვთაებრივ მამაცობაზე, და „ღვთის სიტყვის ნათლით“, ანუ ქრისტეს მეშვეობით ჰკრავს ამ გოდოლთა კიდეებს (I, გვ. 208—209). პეტრიწი, უკავშირებს რა პაველ მოციქულის სიტყვებს ეფესელთა მიმართ „ფსალმუნთა“ ზემოთდამოწმებულ მუხლებს, კიდევ უფრო შორს მიდის და „გოდლებად“ გულისხმობს ბაბილონელთა, ქალდეველთა, ელინთა, მოსესა და მოსეანთა წიგნებში დროდადრო გამონათებულ ჭეშმარიტებას, ხოლო ყველა ამათ შემკვრელ ლოდად — „მამისა მიერ წარმოარსებულ მზეს“ — ქრისტეს მიიჩნევს. ამგვარად, პეტრიწის აზრით, ერთია ის ჭეშმარიტება, რა-

მელსაც სხვადასხვა დროს ქადაგებდნენ. ქალდეველთა ასტროლოგია, ელინთა სიბრძნე, თუ ბიბლიური თხზულებანი და ეს კეშმარიტება ჩვენ გამოგვეცხადა ქრისტეს მიერ, რაზედაც მოგვითხრობენ სახარებანი, ამასვე ადასტურებსო „ჩვენი ეკლესიის მემოძღვრე — პავლე", რომელიც. პეტრიწის აზრით, ღვთის სიბრძნისაკენ — „ჩუენი ქრისტეს" უზენაესი გოდლისაკენ მოუწოდებს და ერთად ჰკრავს მათ და თავს უყრის. როგორც მოწაფეებს მოძღვრის წინაშე (1, გვ. 208).

საინტერესოა „ფსალმუნთა" და „ბოლოსიტყვს" ურთიერთმიმართების საკითხი. აქ გამოიკვეთება ორი მომენტი: I. როცა იოანე ფილოსოფოსი თავისი სულიერი განცდების გადმოცემისას მხატვრული, ექსპრესიული ფუნქციით იყენებს გამონათქვამებს ფსალმუნთა წიგნიდან და 2. როცა ფსალმუნთა ცალკეული მუხლები მოყვანილია მათი სიმბოლური განმარტების მიზნით, გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. მაგ. სამების დოგმატის დასაბუთებისათვის. ამ შემთხვევაში აეტორი, ეყრდნობა რა ადრინდელი ხანის ქრისტიანულ ეგზეგეტიკას, მაგ., გრიგოლ ნაziანძელის საღვთისმეტყველო სიტყვებს, ამავე დროს, იძლევა საკუთარ ინტერპრეტაციებსაც.

იოანე ფილოსოფოსი თავის განცდებს ხშირად სახარებისა და ფსალმუნთა ენით გადმოსცემს, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად იშველიებს იქიდან ანდაზებად და სხარტ გამონათქვამებად ქცეულ ფრაზეოლოგიას. ასე, მაგ., როდესაც იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ მისი შრომისა და ტკივილების ნაყოფი განსასჯელად უვიცთა და გამოუცდელთა წინაშე გამოქონდათ, განცდის სიმძაფრის გასაძლიერებლად იგი მიმართავს მათეს სახარების ერთ მუხლს, სადაც ნათქვამია: „ნუ მისცემთ სიწმიდესა ჩემსა ძაღლთა, ნუცა დაუფენთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნუუკუე დასთრგუნონ იგი ფერქიოა მათითა და მოიქცენ და განგხეთქნენ თქუენ" (მ., 7, 6). მთელ ამ პასაჟზე იგი მიანიშნებს შემდეგი სიტყვებით: „იტყუს ესმაჲ ნუ წინა-დაფენად". ან აქვე, აღწერს რა თავის ლმობათა და ტკივილებს და იმ მძიმე შრომას, რომელსაც მან მისცა თავი, წერს: „არა ვეც რული სარეცელთა მომდოვრებისა ჩემისათა და არცა წამი, სასუენთა სულისა ჩემისათა..." ეს სიტყვები უნებურად გვახსენებს ფსალმუნთა შემდეგს ლექსს: „არა ვსცე ძილ თუალსა ჩემსა, არცა რულილ წამთა ჩემთა, არცა განსუენებაჲ ყორცთა ჩემთა" (13, 4). ან გავიხსენოთ პასაჟი, სადაც პეტრიწი, უჩივის რა ქართველთა და ბერძენთა მხრივ შურსა და მტრობას, წერს: „ვინაჲ მრჩობლთა და მრავალმრჩობლთა და ესვითათა ლმობათაგან მიდმოვიბნეოდი სენთა, უცხოებათა და შურთა და ვერაგობათა საკუმილისაგან... ქართველთა და ბერძენთა შორის. ქართველნი. თანადგომისა წილ და თქუმისა ესთა, ვითარმედ წმიდასა განგებასა ღმრთისასა კაცი ტომისაგან ჩუენისა უწარმოებია ყელოვნებათაგან სულისათა დაქელოვნებული, ხედვათაგან გონებისათა გაგონებებული, ვინაჲ, დაუდგეთ, ვაიძულოთ, ღმობათა მისთა უნუგეშინისოთ. ტკივილთა მისთა ვეწამლნეთ, დაფარულთა მისთა ცხადად ვემხარკნეთ, რაჲთა, ვითარცა უცხოდ ბუნებისაგან წარმოარსებულსა, მსგავსი და ნაცვალი მისი უშთინოთ, რამეთუ მედინჯსა ბუნებისა არს კაცი და ჟამი რღუევისა მისისა უცნაურობს, — არ ესთა. არა-რაჲ ვერ იგულისკმაეს, ვითარმედ „ბრჭალსა ჩემსა უმზირდეს საფრკოდ სულისა ჩემისად" (1, 222, 1—12). ეს უკანასკნელი სტრიქონები 55-ე ფსალმუნის პარაფრაზია, რომელიც აშკარად მაღლა დგას ძველ ქართულ კანონიკურ თარგმანზე როგორც სიზუსტის, ისე მხატვრული

თარგმანის თვალსაზრისით: ძველ თარგმანშია: „იგინი ბრჯალსა ჩემსა უმზირდეს, რადთამცა უმზირდეს სულსა ჩემსა“ (αὐτοὶ τὴν πτέρναν μου φυλάξουσιν, καθάπερ ὑπέμεινάν τὴν ψυχήν μου. «Наблюдают за моими пятами, чтобы уловить душу мою») ბიბლიური ფრაზეოლოგიისა და გამონათქვამების ანდაზური და ხატოვანი გამოთქმების სახით ჩართვა მონათხრობში გრძნობა-განწყობილებისა და სიტუაციის ნათლად და სხარტად დახატვა-დახასიათებას უწყობს ხელს, მით უფრო იმ ეპოქაში, როდესაც ეს ფრაზები მკითხველსა თუ მსმენელს ძველ-რბილში ჰქონდა გამჯდარი, ეს სტილი - ბიბლიური სახეებით აზროვნება — დამახასიათებელია პატრისტიკული პერიოდის სტუდიებისა და ეპისტოლარული მემკვიდრეობისათვის.

ამჟამად ჩვენი ყურადღების საგანია „ბოლოსიტყვაობის ტექსტის ფსალმუნთან მიმართების მეორე ასპექტი: ესაა ფსალმუნის, როგორც „სამების ანგელოზის“, როგორც ქრისტეს საიდუმლოს წინასწარმეტყველების შემცველი წიგნის განხილვა-განმარტება იოანე ფილოსოფოსის მიერ.

არსებობს უამრავი კომენტარი დავითის ფსალმუნებისა — როგორც სრული, ისე მისი ცალკეული მუხლებისა. ამ განმარტებათა ავტორებისაგან ჩვენში განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ ბასილი კესარიელი, გრიგოლ ნოსელი, გრიგოლ ნაziანძელი, იოანე ოქროპირი, კირილე ალექსანდრიელი, თეოდორიტე კერელი, მაქსიმე აღმსარებელი (მართალია, გრიგოლ ნაziანძელს არ მიუძღვნია სპეციალური ნაშრომი ფსალმუნისათვის, მაგრამ მის სიტყვებსა და წერილებში ხშირადაა გადმოცემული ფსალმუნთა ცალკეული მუხლების „ღვთისმეტყველება“, რასაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეყრდნობა იოანე პეტრიწი სათანადო მუხლების განმარტებისას). ეს განმარტებანი ძირითადად სახისმეტყველებითი ანუ სიმბოლური ხასიათისაა, სადაც ფსალმუნი გაიზრებულია, როგორც წინასწარმეტყველური წიგნი, რომელშიც ალეგორიულადაა მინიშნებული ქრისტეს, მბსნელის მოელინების შესახებ. ცნობილია, რომ პაღლე მოციქულიდან დაწყებული, ქრისტიანი მამები ძველ ალთქმის წიგნებს პროვიდენციული თვალსაზრისით განმარტავდნენ. ასეთი ღმრთისმეტყველებითი განმარტების შედეგად ეს წიგნები ქრისტიანულ ძეგლებად იქცნენ. მაგ., გელათის ბიბლიის ერთ-ერთ განმარტებაში, რომელიც კირილე ალექსანდრიელს ეკუთვნის, ნათქვამია: „ბეერეულითა იგავთა მიერ მოასწავებდა შჯული საიდუმლოსა ქრისტესსაო“ (10, ფ. 49v). ამავე. გელათის ბიბლიის ერთ-ერთი კატენი გვაუწყებს, რომ სამი იპოსტასის თავიდანვე გამოცხადებას მოერიდა სოფლის შესაქმის მაუწყებელი — მოსე იმ მიზეზით, რომ მრავალღმრთეებისა და აგებულთა (შექმნილთა) თაყვანისცემის ცთუნება არ გამოეწვიაო (10, ფ. 102r). თეოდორიტე კერელი ფსალმუნთა განმარტებაში წერს: „ესე ფსალმუნი თქმულ არს უფლისთჳს იესუ ქრისტჱსა, რომელმან სიკუდილითა თჳსითა სძლო... მძლავრებასა ცოდვათასა“ (7, გვ. 385) ბასილი კესარიელის აზრით, „ფსალმუნში ამოიკითხავ სრულყოფილ ღმრთისმეტყველებას, წინასწარმეტყველებას ქრისტეს ხორციელ მოვლენებაზე, შიშს განკითხვისას, სასოებას აღდგომისა, მიგებას სასჯელისა, ალთქმას დიდებისას, გამოცხადებას საიდუმლოთა. ყოველივე, ვითარცა დიდსა და საზოგადო საგანძურში, შეკრებილმა ამ სულთა სამკურნალო წიგნში“ (12, გვ. 181), რომელიც „წინასწარმეტყველებს მომავალზე, იხსენებს გარდასულს,

იძლევა კანონებს ცხოვრებისა (12, გვ. 177). ბასილი დიდის ამ სიტყვებს ეხმაურება პეტრიწის გამონათქვამებიც ფსალმუნთა დანიშნულებაზე, ეფრემ მცირეც უთუოდ ბასილის ამ განმარტებას ეყრდნობა, როცა ამბობს: „ეგრეთვე პყოფს ღმრთივ აღძრულიცა ესე ქნარი სიტყუათა დავითისთჳ: ყოფადთათჳს წინაისწარმეტყუველებს და გარდასულთა ქველისმოქმედებათა ღმრთისათა მოიკსენებსო“ (6, გვ. 41).

იოანე პეტრიწიც, ისევე, როგორც ეფრემ მცირე, ქრისტიანული ეგზეგეტიკის ტრადიციებს მიჰყვება იმ განსხვავებით, რომ იგი იძლევა საკუთარ თარგმანს ან პარაფრაზს განსამარტავი მუხლისას. პეტრიწიც, რა თქმა უნდა, ეყრდნობა პატრისტიკულ ლიტერატურას, რომელთაგან განსაკუთრებით ხელშესახებია სიახლოვე ბასილი კესარიელისა და თეოდორიტე კვრელის განხილვა-განმარტებებთან, ხშირადაა დამოწმებული ჰელე მოციქული, რომელსაც იგი, როგორც ზემოთ ვნახეთ, უწოდებს „მემოძღუარეს ჩუენისა ეკლესიისა“ ან უბრალოდ, „ჩემს ჰაელეს“, ყოველ ნაბიჯზე ახსენებს „ჩემს ღსრთისმეტყუველ“ — გრიგოლ ნაძიანველს, რომლის საღმრთისმეტყველო სიტყვებიდან ძისა და სულისწმიდის შესახებ ციტირებული აქვს მისი კომენტარები ფსალმუნთა იმ მუხლების გარშემო, რომლებშიც ნაძიანძელი სამების წინასწარმეტყველებას კითხულობდა (ამაზე დაწერილებით ქვემოთ). პეტრიწი ითვალისწინებს ამ ავტორიტეტების ინტერპრეტაციებს, მაგრამ, კი არ იმეორებს მათ, არამედ თავს ნებას აძლევს (როგორც თვითონვე ამბობს, „ვიტყუთ მკადრენიო“), განავითაროს საკუთარი აზრები, წარმოადგინოს თავისი ინტერპრეტაციები და დამატებითი არგუმენტები, რისთვისაც იგი, ნაძიანველის მსგავსად, ფართოდ იყენებს ულინთა ფილოსოფოსებს: კერძოდ, პლატონსა (რომელსაც იგი უწოდებს „მიჰრონსა ღმრთისმეტყველებისასა“) და პროკლეს (რომელსაც იგი“ „ჩემს ატტიკელს“ უწოდებს, ან უბრალოდ, ფილოსოფოსად ისსენიებს).

იოანე პეტრიწისათვის „ფსალმუნი“, რომლის ავტორსაც იგი „წინამეთქუესა დიდსა დავითს“, „ორფეოს — დავით მეფეს“, „ჩვენს ორფეოსს“ და „ჩვენს ორფეოსს“ უწოდებს (I, გვ. 208, 7, 210, I, 210, 25). — ეს არის „ლოცვის საცავი წიგნი“ (208, I, 218, 14), „ჩუენი მრავალკული სამოთხე“ (202, 13, 215, 4). „ებგური ქრისტეს მამისა ვენახთაჲსა“, რომელთა „წნეხად მოვალ ქრისტე“, რათა აღასრულოს აღთქმა: „მისცეს სასყიდელი ოთოეულისაჲ“ და თანამლოცველებთან ერთად „ღჳნოსა მისცემდეს მალალსა“ (208, 1—4). მისი აზრით, ფსალმუნი ეს არის „სულის მუსი“ (223, 3) ანუ მუსიკა, „სულითი ორღანოჲ“ (208, 5), რომელიც „აღანთებს სულთა შორის ჩუენთა ხედვათა ზესთა წმიდისა სამობისათა“. პეტრიწს ამ შემთხვევაში ფსალმუნი აინტერესებს როგორც „სამების ანგელოზი“ ანუ მაცნე, და „ყოველი მისი აზრი და გონება“ მიმართულია იქითკენ, რომ ამოიკითხოს, თუ რას „ღმრთისმეტყველებს“ ფსალმუნი წმინდა სამების საიდუმლოს შესახებ. „თანამეხმეობა“ ყველ იმ „ღვთისმეტყველისა“ და ფილოსოფოსისა, რომელსაც იგი „თანაგამოითანებს“ და „თანადაიწამებს“ მსჯელობისას, მას სჭირდება იმისათვის, რომ „ფსალმუნში“ სამების ღმრთისმეტყველება ამოიკითხოს: კერძოდ, ზესთარსისაგან და მამისაგან, ანუ ერთისაგან გამომავალობა პირველი არსისა და პირველი მყოფისა (რომელიც მთელი განმარტების მანძილზე ნამდვილმყო-

ფია)[1], პირველი გონებისა და ლოგოსისა, „ძისა — ქრისტესი — სულისა მიერ წმიდისა“.

მოელი ეს პასაჟი (გვ. 209, 24—210, 26-მდე), რომლის თემაც „საღმრთისა ბუნებისა სამობით ხედვის“ პრობლემაა, ეყრდნობა გრიგოლ ნაძიანძელის საღმრთისმეტყველო სიტყვებს ძისა და სულიწმიდის შესახებ.

გრიგოლ ნაძიანძელი თავის სიტყვაში „სულისა წმიდისათჳს. სიტყჳსგებაჲ ბოროტთა მათ მწვალებელთა მიმართ“ (31-ე სიტყვა), ასაბუთებს რა ღმერთის ერთარსებისა და სამგვამოვნების დოგმას, თავისი დებულების გასამაგრებლად იშველიებს დავით წინასწარმეტყველს, რომელმაც, მისი აზრით, პირველმა „გულისხმა-ყო და ღმრთისმეტყველა“ სამება შემდეგი სიტყვებით: „ნათლითა შენითა ვიხილეთ ჩუენ ნათელი“ (ფს. 35, 10). ეს ნიშნავსო. — განმარტავს გრიგოლ ნაძიანძელი, — რომ „მამის ნათლისაგან ვიხილავთ ძეს სულისწმიდას ნათელის მეშვეობით“. მისი აზრით, ეს არის სამების მოკლე და საუკეთესო ღმრთისმეტყველება, ანუ მისი თარგმანება ღმრთისმეტყველების ენაზე. უფრო ნათელი რომ გახდეს გრიგოლის არგუმენტაცია, მოვიყვანთ მისი სიტყვის ამ ნაწილს სრულად ექვთიმე ათონელისეული თარგმანით: „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად — მამაჲ. იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად — ძეჲ. იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელი განანათლებს ყოველსა კაცსა, მომავალსა სოფლად — სული წმიდა, ნუგეშისმცემელი. იყო და იყო და იყო: არამედ ერთ იყო. ნათელი და ნათელი და ნათელი: არაშედ ერთი ნათელი, ერთი ღმერთი. ესე არს, რომელი დავით გულისჴმა-ყო პირველ და თქუა, ვითარმედ: „ნათლითა შენითა ვიხილეთ ჩუენ ნათელი“. და აწ ჩუენ გუხილავს და ეუადაგებთ: „ნათლისაგან მამისა ნათელსა ვიხილავთ ძესა — ნათლითა მით სულისათა“: ესე არს მოკლე და კეთილი სამებისა ღმრთისმეტყველებაჲ (9, A 16, ფ. 245V, ab)). ფსალმუნის ზემოთღამოწმებული მუხლის გრიგოლ ნაძიანძელისეული ინტერპრეტაცია ემსახურება მწვალებელთა წინააღმდეგ ერთარსება სამგვამოვანი ღმერთის აღიარება-დასაბუთებას („ჩუენ ერთსა ღმერთსა აღვიარებთ, რამეთუ ერთ არს ღმრთაებაჲ და ერთსა მის მიმართ მისგანთა მათ აქუს ერთობაჲ, დაღაცათუ სამგუამოვნად ეუადაგებთ. რამეთუ, არა თუ რომელიმე მათგანი უმეტეს არს და რომელიმე — უდარეს ღმერთი, არცა რომელიმე უხუცეს არს და რომელიმე უმრწემეს, არცა ნებითა განიკუეთებიან, არცა ძალითა განიყოფვიან... არამედ განუყოფელ არს ღმრთაებაჲ განყოფილებითა გუამოვნებისაჲთა“: 9, A 16, 251 r—v). სწორედ იმისათვის, რომ დაასაბუთოს „საღმრთო ბუნების სამობით ხედვა“, იოანე პეტრიწი მიმართავს გრიგოლ ნაძიანძელის ამ სიტყვას და ეთანხმება ფსალმუნის ზემოთმოყვანილი მუხლის მისეულ ინტერპრეტაციას: „ჩემი ესე ღმრთისმეტყველი... იტყოდის რაჲ მამისა მიმართ, ვითარმედ: ნათელსა შორის შენსა ვიხილეთო ნათელი ესე“, ესრეთს მეტყველი მამისა მიმართ: „სულსა შენსა შორის ვიხილეთო ნათელი შენი“ (I, 209, 28—29). ამასთანავე, გრიგოლის პირველ სიტყვაში „ძისათჳს“ პეტრიწი პოულობს თავისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვან დებულებას სამების დასასაბუთებლად: „იტყჳს, ვითარმედ: „ძხოლოჲ დასაბაისაჲ დრკა და'ვიდრე სამობამდის დადგა“.

Δι᾽ τοῦτο μονὰς ἀπ᾽ἀρχῆς εἰς δυάδα κινηθεῖσα, μέχρι τριάδος ἔστη (16,

---

[1] ამ საკითხის შესახებ სხვაგან გვაქვს მსჯელობა.

გვ. 180) (Посему, единица, от начала подвигшаяся в двойственность, остановилась на троичности» (11, გვ. 54).

ექვთიმე ათონელის თარგმანით: „ამისთჳს ერთგუამოვნება პირველითგან ორგუამოვნებად წარმატებითი, სამგუამოვნებად სრულ-იქმნა, და ესე არს ჩუენდა მამა, ძე და სული წმიდა“ (9, ფ. 225 r—v). პეტრიწი აქვე მიუთითებს, რომ „ჩემი ესე ღმრთისმეტყველი“ სამობით ხედვისათჳს საღმრთოჲსა ბუნებისა, მწუერვალსაცა მასცა ფილოსოფოსთა დღისასა. პლატონს, თანა გამოთანაებს, ვითარცა მიჰრონსა ღმრთისმეტყველებისასაო“ (209, 24—26). მაგრამ თვითონ გრიგოლი ამ სიტყვებთან დაკავშირებით არ ასახელებს არავითარ წყაროს. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გრიგოლ ნაძიანძელი, როდესაც ეყრდნობა ან ეპაექრება „გარეშე“, ელინ ფილოსოფოსებს, ჩვეულებრივ, ერიდება მათს პირდაპირ დასახელებას და „ეინმე ღმრთისმეტყველად“ ან „ეინმე ელინ სიბრძნისმოყვარედ იხსენიებს (τις τῶν παρ' Ἕλλησι θεολόγων“, „ἑ τῶν παρ' Ἕλλησι φιλοσοφησάντων εἰπεῖν“[1]). ასე რომ ზემოთ მოყვანილი ფრაზა, რომელიც სამის ერთიდან გამომავლობას ეხება ორის მეშვეობით, გრიგოლ ნაძიანძელს შეიძლება მართლაც პლატონიდან აქონდეს ნასესხები წყაროს დაუსახელებლად. ყოველ შემთხვევაში, პეტრიწს, რომელმაც თითქმის ზეპირად იცის პლატონის დიალოგები, განსაკუთრებით „პარმენიდე“ და „ტიმაიოსი“ (იგი ხშირად მახსოვრობით, ზეპირად ახდენს მათს ციტირებას) და, გარდა ამისა, პროკლეს კომენტარებიც ამ დიალოგებზე, გარკვეული პარალელი აქვს მხედველობაში, როდესაც დარწმუნებით ამბობს, რომ „ჩემი ღმრთისმეტყველი თანა-გამოითანაებს პლატონს“ და ამაში მას ეთანხმება პროკლეც თავის კომენტარებში „ტიმაიოსსა“ და „პარმენიდეზეო“ („ხოლო ფილოსოფოსი თან-მიუქმაებს, ოდეს-რაჲ „ტიმეოს“ შორის და „პარმენიდის“, აცუმიდეს ოქრომძივთა მათ თჳსთა, ჩემი იგი ატტიკელი“: I, 209, 30—33). შესაძლებელია, იოანე ფილოსოფოსი ამ ადგილის წყაროდ გულისხმობს „ტიმაიოსის“ 35 bc მონაკვეთს, სადაც ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ შექმნა ღმერთმა სული სამის ერთ არსებაში შეერთების გზით. ეს მონაკვეთი განმარტებული აქვს პროკლე დიადოხოსს თავის „Εἰς τὸν Τίμαιον Πλατώνος“—ში (15, გვ. 174).

გრიგოლ ნაძიანძელის ზემოთ მოყვანილი გამონათქვამი, როგორც ჩანს, ცხოველ ინტერესს იწვევდა იმდროინდელი ბიზანტიის განათლებულ წრეებში: ასე, მაგ. იოანე, იტალოსის ერთ-ერთი ტრაქტატი, რომლის სათაურია Τρεῖς αἱ δυνάτατα: θέζαι περὶ θεοῦ ἀναρχίαν καὶ πολυαρχίαν καὶ μοναρχίαν (იხ. 18, გვ. 185, სწორედ ამ სიტყვებით იწყება ნაძიანძელის ზემოხსენებული 29-ე სიტყვის II ნაწილი), თითქმის მოლიანად ეძღვნება სამების შესახებ ამ გამონათქვამის წმინდა ფილოსოფიურ განმარტებას პითაგორას, არისტოტელეს, პორფირის, პროკლეს, გრიგოლ ნოსელის ნაზრევის გათვალისწინებით (18, გვ. 186—187)—წყაროები მითითებულია გრიგოლ წერეთლის მიერ, რომლის მომზადებულიც იყო გამოსაცემად იოანე იტალოსის ეს ტექსტები. მითითებულ წყაროებს შორის უურადღებას იქცევს Porph. Histor.

[1] ასე, მაგ. ამავე სიტყვაში იგი იმეწმებს პლოტინის გამონათქვამს პირველი მიზეზის შესახებ: „როგორც გადაესებული თანი, ღერეგალ კოდეებიდან“ (Ennead. V, lib. I, 6), მაგრამ ისე, რომ პირდაპირ კი არ ასახელებს ავტორს, არამედ „ერთ სიბრძნისმოყვარე ელინს“ უწოდებს მას. 28-ე სიტყვაში კი მას ამჯერად პლატონის „ტიმაოსიდან“ მოაყვეს

Philos. Fgm XV, რომელიც ეხება სწორედ ჩვენთვის საინტერესო გამონათქვამს. სამწუხაროდ, ჩვენ ამჟამად ხელი არ მიგვიწვდება დასახელებულ წყაროზე. შესაძლებელია, ეს გამონათქვამი ზუსტად ამ სახით პორფირის ეკუთვნოდეს, მაგრამ, ოავის მხრივ, ისიც ალბათ პლატონს ეყრდნობა.

გრიგოლ ნაძიანძელის შრომების კრიტიკულ (ფრანგულ) გამოცემაში ზემოთ მოყვანილი ამ საძიებელი ციტატის მხოლოდ დასაწყისის — ἀπ' ἀρχῆς წყაროდ მითითებულია იოანეს სახარების I, 1: Ἐν ἀρχῇ ἦν ὁ λόγος. რაც ეფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული (16, გვ. 180).

მაგრამ დაეუბრუნდეთ პეტრიწის მიერ ნაძიანძელის სიტყვიდან მოხმობილ ციტატას: „მხოლოდ დასაბამსაე დრეა და ვიდრე სამობამდის დადგა". როგორც ვხედავთ, მის თარგმანში გამოტოვებულია ე. წ. აღმოსავლური თეოლოგიური თვალსაზრისისათვის[1] მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი εἰς δυάδα κινηθεῖσα (ძვ. თარგმანით: „ორგუამოვნებად წარმატებითი", რუს. თარგმ. подвигшаяся в двоичность). რაც ორთოდოქსული ღმრთისმეტყველების ენაზე უდრის ἐκ τοῦ πατρὸς ἐκπορευόμενον διὰ τοῦ υἱοῦ (მაქსიმე აღმსარებელი, იოანე დამასკელი) „გამომავალი მამისაგან ძის მიერ" (ანუ „გზით", „მეშვეობით", „через сына")[2].

ისმის კითხვა: განგებ გამოტოვა ეს სიტყვები პეტრიწმა, თუ შეამოკლა ნაძიანძელის ეს გამონათქვამი, როგორც ამას სხვა შემთხვევაშიც აკეთებს? თუ განგებ აუარა გვერდი, მაშინ უნდა დაგვეშვა, რომ იგი მოერიდა ლათინთა

ფრაზა Θεὸν νοῆσαι μὲν χαλεπὸν φράσαι δὲ ἀδύνατον „შეცნობა ღმრთისა ძნელია, ხოლო გამოთქმა შეუძლებელი", თუმცა ავტორს პირდაპირ არ ასახელებს: ἕς τίς τῶν παρ' Ἕλλησι θεολόγων (16, გვ. 108) „როგორც ერთი ვინმე ღმრთისმეტყველი სიბრძნისმოყვარეობდა (ფილოსოფოსობდაო"). ალბათ აქედან მოდის პეტრიწის გამოთქმაც: „იტყოდა ერთი ვინმე ღმრთისმეტყველთაგან" (I, თ. 8, გვ. 34—35), რომელშიც ამჟამად პლატონი იგულისხმება, რადგანაც ციტატი, რომელიც ამ სიტყვებს მოსდევს, („იძულებაა ღმრთისა სატრფოთაგან ამქვეყნელთაგან მე, ხოლო შობად დამიცალეს") პლატონის თეატეტიდანაა" (150c).

[1] ამ საკითხში აღმოსავლური და დასავლური (filioque) თვალსაზრისების დაპირისპირების შესახებ ვრცლად იხ. В. Лосский, Исхождение святого Духа в православном учении о Троице. (Журнал московской патриархии, 1973, № 9; В. В. Болотов, «К вопросу о «филиокве», СПб, 1914 г., Проф. Л. Воронов, Вопрос о «филиокве» с точки зрения русских богословов, Богословские труды, юбил. сб. Ленинград, 1986 г. с. 160.

[2] აღსანიშნავია, რომ ვ. ბოლოტოვს თავისი მტკიცებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საბუთად მოჰყავს გრიგოლ ნაძიანძელის სწორედ ეს გამონათქვამი და ამახვილებს უურადღებას იმაზე, რომ თუ წმ. სამების ბოსტასების ბიბლიურად დადგენილ რიგს (τάξις) „მამა, ძე და სული წმიდა" არა აქვს შინაგანი ლოგიკური საფუძველი და, თუ იგი არ ასახავს ღვთიებრივ საიდუმლოს ძის ლოგიკური უწინარესობის შესახებ სულიწმიდის მიმართ (როგორც ფუძეცალული პირობისა — условие — და არა როგორც მიზეზისა, რადგანაც ერთადერთი მიზეზი არის მამა) ანუ: თუ იგი ზუსტად არ შეესატყვისება სამგვამოვანი ერთარსება ღმერთის შინაგან მყოფობას, მაშინ რატომ არა აქვს გამოტოვებული ნაძიანძელს εἰς δυάδα κινηθεῖσα —«двинувшись во двойку»? («Почему не опущено это «двинувшись во двойку» и не выразился так, что единица, вдруг вскрылась или ипостасно воссияла в трои-

სხიზმის — filioque-ს (მამისაგან ძის მიერ სულიწმიდის გამომავლობის) ხაზგასმას, რაც ვრიგოლ ღვთისმეტყველის ამ გამონათქვამში შეიძლებოდა დანახულ. ცნობილია, რომ filioque-ს კრედოს გამართლებას ლათინები ეძებდნენ და პოულობდნენ კიდევაც ქრისტიან მამათა სწორედ ამგვარ გამონათქვამებში (და ვ. ბოლოტოვიც ხომ ნაძიანძელის ამ სიტყვებს ეყრდნობა, როცა სული წმიდის გამომავლობისათვის აუცილებელ პირობად („условие") ძეს მიიჩნევს).

მაგრამ როგორც პეტრინს შემდგომი მსჯელობიდან ჩანს, იგი ნაძიანძელის სიტყვების სწორედ ისეთ ინტერპრეტაციას იძლევა, როგორსაც ვ. ბოლოტოვი: „ჩემი ესე ღმრთისმეტყველიო", წერს იგი, „წინამეთქვესა მას დავითს ოანა-დაელალდების, რამეთუ მხოლოდ ერთსა და მამასა, და გზად მიღრეკად გამოსავალთაჲ — ძესა, ხოლო დგომად და მისრულებად — სამობასა სულისა წმიდისა" გულისხმობსო. ამგვარად, როგორც ჩანს, ეს ციტატა ნაძიანძელის 29-ე სიტყვიდან პეტრინს ზეპირად აქვს დამოწმებული ჩვეულებისამებრ, შემოკლებით, როგორც ცნობილი მსმენელისა თუ მკითხველისათვის.

იოანე პეტრინის მთელი ეს ვრცელი მსჯელობა მამის, ძისა და სული წმიდის შესახებ მეტად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ, იგი გამოძახილი უნდა იყოს იმ დროს ბიზანტიისა და რომის ეკლესიათა შორის მიმდინარე დოგმატიკური ხასიათის დისკუსიისა: როგორც ცნობილია, საერთოდ აღმოსავლური (ბიზანტური) თეოლოგიური პოლემიკა საუკუნეების განმავლობაში უმთავრესად წმ. საძეგბის პირველი ორი იპოსტასის ურთიერთდამოკიდებულების გარშემო ტრიალებდა (იხ. „«Деяния вселенских соборов, Казань, т. I—VII, 1878—1891 гг.; აგრეთვე: Ф. Успенский, Очерки по истории византийской образованности, СПб, 1892). მაშინ, როდესაც დასავლეთის (ლათინურ) ეკლესიასთან კამათში პირველ პლანზე იყო წამოწეული საკითხი სული წმიდის ადგილის შესახებ სამებაში: კერძოდ, სული წმიდის გამომავლობა ძისაგანაც (ბიჲ ძჱ, „чрез сына"), რაც შემდგომ კათოლიკური რწმენის კრედოშიც იქნა შეტანილი და მთავარი დოგმატიკური მიზეზი გახდა აღმოსავლური და დასავლური ეკლესიების განხეთქილებისა. XI—XII საუკუნეებში ეს საკითხი ბიზანტიის თეოლოგიურ წრეებშიც აქტუალური გახდა: შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ იოანე იტალოსმა უძღვნა გრიგოლ ნაძიანძელის ამ სიტყვებს სპეციალური კომენტარები. 1112 წელს კი, მილანის არქიეპისკოპოს პეტრე გროსელანთან გამართულ დისკუსიაში (რომელიც კონსტანტინეპოლში მიმდინარეობდა), ბიზანტიის მხრიდან გამოვიდა იტალოსის მოწაფე ევსტრატი ნიკიელი, რომლის ანტილათინური სიტყვებიდან გამოკრებილი „მოსაკსენებელი" შეტანილ იქნა არსენ იყალთოელის „დოგმატიკონში" (3, გვ. III). ყოველივე ეს მიუთითებს იმაზე, რომ filioque-ს საკითხი აწუხებდა იმ დროის ქართულ თეოლოგიურ წრეებსაც.

მთელი შემდგომი მსჯელობა იოანე ფილოსოფოსისა ეყრდნობა პაელ მოციქულს, ბასილი კესარიელს, იოანე დამასკელსა და ბოლოს, პროკლე დიადოხოსს. საერთოდ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს პეტრინი სპეციალურად იღვწის ამისათვის, რომ ნათლად წარმოაჩინოს პროკლეს ფილოსოფიის თანხმობა ეკლესიის მამების მოძღვრებასთან, რათა ამ ფილოსოფიას არსებობის უფლება მოუპოვოს. პროკლე, მისი აზრით, ეთანხმება

(„თან-მივკმავების“) „ჩუენსა მას ორფეოს — დავით მეფეს“, როდესაც მუოფთა „წარმოობას“ ღმერთის გარდამეტებული კეთილობათა გადმოდინებით ხსნის: „ხოლო ატტიკელი -ესე საკუთრად მყოფთა წარმოობისათჳს კეთილობასა დასდებს სახელად, რამეთუ იტყჳს არ-რიდილად და საუწყოდ ესთა, ვითარმედ კეთილობაჲ ყოველთა ღმრთისაო ვერ იტია თჳს-შორის განმხოლოებულად, არამედ ზესთა საზესთაოჲსა გარდამოიცა, რაჲთა სხუანიცა წარმოაჩინნეს თამნეთანაედ და მეზიარედ კეთილობათა თჳსთაჲსა... ესე თანმეკმჳობს ჩუენსა მას ორფეოს — ატტიკელი ესე, — დავითს და მეფესა“ (I, გვ. 210). პეტრიწი პროკლეს მიიჩნევს თანმეწამედ დავით წინასწარმეტყველისა, რომელიც „ღმრთისა კეთილობათა მდინეობას“ „უწოდს“ «ღუარად საშუებელთად» (ფსალ. 35, 9) ამგვარად. ფსალმუნის ამ გამოთქმას პეტრიწი დაურიდებლად (არ-რიდილად) ხსნის, როგორც ღმერთის გარდამეტებული კეთილობის გადმოდინებას და ამასთან დაკავშირებით იმოწმებს პროკლეს. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ პლოტინის ანალოგიური აზრის შესახებ გრიგოლ ნაძიანძელი ამავე 29-ე სიტყვაში ამბობს: «Не дерзаем наименовать сего переизлиянием благости, как осмелился назвать один из любомудрых Еллинов, который, любомудрствуя о первом и втором виновнике, ясно выразился: «Как чаша льётся через края» (II, გვ. 54).

ამგვარად, ბოლოსიტყვაობის ტექსტის მთელი პირველი ნაწილი აგებულია ფსალმუნთა, ამ „სამების ანგელოზის“, ცალკეული მუხლების განმარტებებზე. ეს განმარტებანი ალეგორიული ხასიათისაა და გამაგრებულია არგუმენტებით ელინ ფილოსოფოსთა, მოსეს და მოსეანთა წიგნებიდან. პავლეს, ბასილი დიდის, გრიგოლ ნაძიანძელის ეპისტოლეებიდან და სიტყვებიდან.

ბოლოსიტყვაობის ამ ნაწილში ფსალმუნიდან დამოწმებულია 15 მუხლი. საინტერესოა, როგორი სახით მოპყავს ისინი იოანე პეტრიწს: კანონიკური თარგმანით თუ საკუთარით. საერთოდ, გელათის სკოლის ეგზეგეტიკური ხასიათის ნაშრომების შესწავლა ამ თვალსაზრისით შემდეგ სურათს იძლევა: როგორც წესი, ამ სკოლის მოღვაწენი იძლევიან განსამარტავი ტექსტის, ანუ „კიმენის“ ახალ რედაქციას. ასეა გელათის კატენებიან ბიბლიაში, მიტროფანე ზმკრნელის „ეკლესიასტეს“ განმარტების თარგმანში, თეოფილაქტე ბულგარელის მარკოზის, ლუკას და იოანეს თავის საბარებათა განმარტებების თარგმანებში. პეტრიწი ამ შემთხვევაშიც თავისი დამკვიდრებული პრინციპის ერთგულია: როგორც წესი, ფსალმუნთა ტექსტს საკუთარი თარგმანით იმოწმებს. იგი ზოგი მუხლის ზუსტ თარგმანს იძლევა, ზოგისას — შემოკლებულ პარაფრაზს, რომლითაც მიანიშნებს ფსალმუნის ამა თუ იმ ლექსზე. ზოგჯერ ორ სხვადასხვა მუხლს აერთიანებს გარკვეული აზრის დასაბუთების მიზნით.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ხშირად გამოყენებულია „ფსალმუნის“ ფრაზეოლოგია, მაგ. „ილოცეთო და მიეცით მაღალსა“ (I, 204, 4). ზუსტად ეს ფრაზა ფსალმუნში არ გვხვდება, მაგრამ „მაღალი“ აქ ხშირად ფიგურირებს, როგორც ღმერთის სახელი, ატრიბუტი: „ეიხარებდე და ეიშუებდე შენდამი და უგალობდე სახელსა შენსა, მაღალო“: 9, 3, „ყოველი ქუეყანაჲ თაყუანისგცემდენ შენ და გიგალობდენ და უგალობდენ სახელსა შენსა, მაღალო“: 65, 4, „ვაქებდე სახელსა უფლისა მაღლისასა“ 12, 6...

ასევე, ფსალმუნიდანაა „ღუარი საშუებელთაჲ“ გამოთქმა: „ეითარცა მესმე წინამეთქუსაჲ, რამეთუ ესე უწოდს ღუარად საშუებელთად და ეითარ მთიებად ღმრთისად და მთიებად საუკუნედ“ (210, 17); შდრ. ფსალმ. „დაით-

რვნენ იგინი სიპოხითა სახლისა შენისათა და ღუარი საშუებელისა შენისა ასუა მათ" 35, 9).

გაერთიანებულია „ფსალმუნის" სხვადასხვა თავები და მუხლები; ამასთან, თარგმანი ან ზუსტია, ან მიახლოებითი, ან აზრია გადმოცემული სხვათა სიტყვის კონსტრუქციით:

პეტრიწი	ძველი[1]
„აქებდით მასო ცანი და მზე და და ყოველნიეე ვარსკულავნი, ქუეყანაჲ და ქუენანი ესე ყოველნი" (202, 21—22).	აქებდით მას ყოველნი ვარსკულავნი ნათელნი" (148, 3), აქებდით მას ცანი ცათანი და წყალნი ზესკნელ-ცათანი (148, 4).
	. . .
„მიაგდე ღმრთისამდე ზრუნვაჲ შენი" და ვირჩიე მივრდომაჲ შორის სახლსა უფლისასა მისლვად ნათელსა ღმრთისა სასოებათაჲსა და „პირთა თქუენთა არა ჰრცხუენესო" (210, 29) 211, 1.	„მიუტეევ უფალსა ზრუნვაჲ შენი და გამოგზარდოს შენ" (54, 23). მოედით მისა და განათლდით და პირთა თქუენთა არა ჰრცხუენეს" (33, 6).
. . .	
„იდოლებრიეი წარმართთანი ოქროჲსანიო და ვეცხლისანი და რათაეე სხუათა ნიეთთანი ეშმაკ არიან, ხოლო უფალმან ცეებნი იმოქმედნაო" (212, 27—29).	„კერპნი წარმართთანი ოქროჲსანი და ვეცხლისანი, ქმნულნი კაცთა კაცთანი" (113, 12). „რამეთუ ყოველნი კერპნი წარმართთანი ეშმაკ არიან, ხოლო უფალმან ცანი შექმნნა (95, 5).
. . .	
„კაცი, ვითარ თიეა დღენი მისნი და განელოს მის შორის სულმან მისმან" (218, 20—21).	„კაცი, ვითარცა თივა არიან დღენი მისნი, ვითარცა ყუავილი ველისაჲ, ეგრე აღყუავდეს" (102, 15). „რამეთუ განელო სულმან მის შორის და არღარა იყოს და არცა იცნას ადგილი მისი" (102, 16).
. . .	
„არა დაეფარა ძუალი ჩემი შენგან და სად დავიმალო პირისაგან შენისა და აღსავალთა სიმაღლითა და შთასავალთა სიღრმითა" (211, 6—7). იტყუს დადებად ბნელი საფარეოდ მისდა (212, 31).	„არა დაეფარა ძუალი ჩემი შენგან, რომელ ჰქმენ დაფარულად სიმტკიცე ჩემი ქუესკნელთა ქუეყანისათა" (138, 15). „ეიდრემე ვიდე სულისა შენისაგან და პირისა შენისაგან ვიდრე-მე ეიღტოდი? (138, 7). „დადეა ბნელი საფარველად მისა" (17, 12).

[1] ფსალმუნის ქართული რედაქციები, გამოსცა ჲ. შანიძემ, თბილისი, 1960 წ.

„ოდეს-რაჲ დაურთოს ნესტკთა—კითარითა და ებნითა და სხუათა მორთულებათა სახიობითა ორღანებრივითა და გარეშითა, აწუევს, ქებასა დამრთველი: „ცანი დაუჰამბვებენ დიდებასა ღმრთისასა“ (212, 23—27).

„უგალობდით ღმერთსა ჩუენსა კურთხევითა საგალობელითა და ქმითა ესალმუნისაჲთა, ქმითა კურთხეისაჲთა, ნესტკთა და ჭედილითა, კურთხეითა და ქმითა ნესტკსა რქისაჲთა ღაღადებდით წინაშე უფლისა“ (97, 5—6) „ცანი უთხრობენ დიდებასა ღმრთისასა“ (18,2).

„იმრაელეს უძლურებათა მათთა და შემდგომად ამისსა იმსწრაფლეს“, ღმერთქმნილთა სულითა ყოველთა ღმრთისა შიმართ და კეალად, ღმრთისა მიმართ მეტყველი მათდამო: „არა მოიკსენო სახელები მათი ბაგესა შორისა ჩემთა“ ესეობს, ეითარმედ არა ბაგითა, არამედ თკთ უშინაგანესითა წყალობათა თესითა ჴულითა დაპრთავს: „არცა შევკრიბო შესაკრებლები მათი სისხლთაგან“ (218, 17—20).

„განმრაელდეს უძლურებანი მათნი და ამისა შემდგომად ისწრაფეს, არა შეეკრიბო კრებულები მათი სისხლთაგან, არცა მოიკსენო სახელები მათი ბაგითა ჩემითა“ (15, 4).

დანარჩენ შემთხვევებში ზუსტი თარგმანია ზოგჯერ ისევ სხვათა სიტყვის კონსტრუქციით გადმოცემული, ძველი რედაქციისაგან სხვაობს ძირითადად ლექსიკისა და ზოგჯერ სინტაქსური კონსტრუქციებით.

პეტრიწი:	ძველი
„ისიტყუა უცნობომან გულსა შინა თესსა, რამერუ-არა არს ღმერთი“ (213, 15—16)	„თქუა უგუნურმან გულსა შინა თესსა, — არა არს ღმერთი“ (13, I, 52, 2).
„ღმერთმან ჩუენმან, ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ყოველი, რაოდენი ინება, იქმოდაო“ (212, 16—18).	„ღმერთმან ჩუენმან, ცათა შინა და ქუეყანასა ზედა, ყოველივე, რაჲცა უნდა, (და) ქმნა“ (113, 11).
„მთუარე ქმნაო ეამთადმი“ (209, 15) „მზემან იმეცნა დასლვაჲ თესი (209, 11—12).	„შეეკქმენ მთოვარე ეამთათჳს, მზემან ცნა ეამი დასლვისა თესისაჲ“ ს. 103, 19.
„დაადგინნაო ესენი საუკუნეთადმი და საუკუნეთადმი საუკუნეთაჲსად ბრძანი დადგა, რომელსა არა წაოელონ“ (216, 6—8),	„დაადგინნა იგინი უკუნისამდე და უკუნითი უკუნისამდე. ბრძანებაჲ დასდვა, და არა გარდაელენ“ ხ. 148, 6.
„იტყოდის რაჲ მამისა მიმართ, ეითარმედ: „ნათელსა შორის შენსა ვიხილოთ ნათელი ესე“ (209, 27).	„ნათლითა შენითა ვიხილეთ ჩუენ ნათელ“(35, 10.)

ფსალმუნთა ამ მუხლებიდან ნაწილი განმარტების მიზნითაა ციტირებული, ნაწილი — ქრისტიანული დოგმების: სამების, ბოროტის არასუბსტანციურობის, განგების — დასაბუთების მიზნით, არგუმენტაციის გასამაგრებლად.

არ არის გამორიცხული, რომ ბოლოსიტყვაობის I ნაწილის ეს ნაწყვეტ-ნაწყვეტი მსჯელობანი, რომლებიც ეყრდნობა როგორც ანტიკური და ბიზანტიური ხანის ფილოსოფიურ წყაროებს, ასევე პატრისტიკული ხანის ეგზეგეტიკურ ლიტერატურას, იყოს იოანე ფილოსოფოსის დამოუკიდებელი ნაშრომი, დაწერილი გელათის სკოლის მსმენელებისათვის, მსგავსად გრიგოლ ნაძიანძელისა და ბასილი დიდის სიტყვებისა ქრისტიანული დოგმატიკის აქტუალურ საკითხებზე (აღსანიშნავია, რომ ეფრემ მცირის ცნობით, XI საუკუნეში ქართულ ნიადაგზე გამოცხლდა არიანული მწყალობლობა: (5, გვ. 77). სხვათა შორის, ამ მსჯელობათა აგებისა და წარმართვის მანერა, ბიბლიური მოკლე ციტატების ამოღება და მათი განმარტების წესი ძალიან ჰგავს პატრისტიკის პერიოდის მამათა ქრისტიანული დოგმატიკის პრობლემებზე სიტყვების სტილს და, შესაძლებელია, ეს ნაწილი იყოს ამ მამათა ნაშრომებიდან „გამოკრებული თარგმანებანი" ფსალმუნთა ცალკეული, გარკვეული თვალსაზრისით შერჩეული მუხლებისა, რაც შემდგომი ძიების საგანია.

დამოწმებული ლიტერატურა და ძეგლები

1. იოანე პეტრიწის შრომები, ტ. II, განმარტებანი პროკლესთვის დიადოხისა, დიონისეს ფილოსოფოსისათვის, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და სიმ. ყაუჩიშვილმა, თბილისი, 1937 წ.

2. ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, თარგმნილი იოანე პეტრიწის მიერ, გამოცემა ს. გორგაძემ, თბილისი, 1914 წ.

3. ა. ალექსიძე, ქართულ ენაზე მოღწეული ანტიკათოლიკური პოლემიკური თხზულება (ეკსტრატი ნიკოლის ტრაქტატი), თსუ შრ., არქეოლოგიის, კლასიკური ფილოლოგია და ბიზანტოლოგია, 1975 წ.

4. ყაუჩიშვილი ს., იოანე პეტრიწის წყაროები, იოანე პეტრიწის შრომები, ტ. 1, პროკლე დიადოხოსისა „კეფალაია ღვთისმეტყველებითნი", 1940.

5. ჭყონია თ., იოანე პეტრიწის „განმარტების" ბოლოსიტყვაობის ახალი წყაროს შესწავლისათვის, წიგნში: ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი, 1965.

6. შანიძე მ. ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, 1979,

7. შატბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ე. გიუნაშვილმა, 1979 (თარგმანებია დავითის ფსალმუნებისა).

8. H 1337, ხელნაწერი XIII ს. პროკლე დიადოხოსი, „კეფალაია ღვთისმეტყველებითნი", იოანე პეტრიწის განმარტებითერთ.

9. A 16, ხელნაწერი, ნუსხ., 1739 წ., გრიგოლ ღვთისმეტყველის თხზულებათა კრებული.

10. A 1108 ხელნაწ., გელათის ბიბლ., XII ს.

11 Творения святых отцев, т. III, в. II. Творения св. Григория Богослова, Москва, 1844.

12. Творения святых отцев, т. V. ч. I, Творения св. Василия Великого, Москва, 1845.

13. Платон, сочинения, т. III, ч. I, Москва, 1972.

14. Платон, сочинения, т. II, Москва, 1970.

15. Procli Diadochi, In Platonis Timaeum, commentaria, éd. Er-Diehl, MCMIV

6 Grégoire de Nazianz, Discours, 27—31, Discours théologiques, par Paul Gallay, Paris, 1978.

17. Пертиц, Рассмотрение Платоновской философии . и Прокла Диадоха, пер. И. Д. Панцхавы, редакторы тома Г. В. Тевзадзе, Н. В. Натадзе, Москва, 1984 г.

18. Ioannis Itali, Opera, ბერძნული ტექსტი ეარიანტებითა და შენიშვნებით ქეთევან ალიგულ წერეთლის მასალების მიხედვით ნათელა კაკაბაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბილისი, 1965.

D. MELIKISCHWILI

Stätten des altgeorgischen Schrifttums und Wege zur Herausbildung und Entwicklung der georgischen wissenschaftlichen (philosophischen) Terminologie

Die Notwendigkeit, das Schaffen der Kultur- und Literaturstätten, die in Georgien bzw. im Ausland bei alten georgischen Kirchen und Klöstern existierten, zu erforschen, ist nicht nur durch das Interesse an der georgischen Kultur und Literaturgeschichte bedingt: Es ist auch hinsichtlich der weiteren Entwicklung der modernen georgischen Kultur, Literatur und Wissenschaft von Bedeutung.
Die Geistesschaffenden der georgischen literarischen und theologisch-philosophischen Schulen leisteten einen überaus großen Beitrag zur Herausbildung und Entwicklung der georgischen wissenschaftlichen Terminologie. Die Erforschung ihres Erbes würde die Entwicklung und Vervollkommnung der modernen georgischen wissenschaftlichen und vor allem der philosophischen Terminologie begünstigen.
Besonders reiches Material zum Studium der altgeorgischen philosophischen, biologischen, psychologischen u. a. Terminologie liefern philosophisch-theologische und naturwissenschaftliche Schriften, die im 10.—12. Jh. in den georgischen Klosterschulen vom Athos, am Schwarzen Berg, von *Petrizoni*, *Gelati* und *Iqalto* geschaffen oder übersetzt wurden.
Diese Periode ist als „klassisches Zeitalter" der altgeorgischen Literatur bekannt. Zu diesem Zeitpunkt „erreicht das geistliche literarische Schaffen, das sich bereits Ende der ersten Periode völlig durchgesetzt hat und mit gigantischen Schritten vorwärts schreitet, bereichert durch neue Richtungen und Genres wie Metaphrastik, Geschichte, Jurisprudenz, Philosophie und Poesie, die Kulmination seiner Entwicklung".[1])
Diese Periode der Stärke Georgiens ist, wie *I. Dshawachischwili* betont,

„vor allem dadurch bemerkenswert, weil zu dieser Zeit das Denken der fortgeschrittenen Georgier den höchsten Gipfel des Geistes ergriff und nach der philosophischen Literatur dürstete ... Das georgische philosophische Denken setzte sich in Gestalt von *Eprem Mzire*, *Arsen Iqaltoeli*, *Ioane Petrizi* und anderer aktiv mit der byzantinischen Philosophie auseinander und pflanzte deren Errungenschaften auf georgischen Boden."[2])

Für diese Epoche war ein scharf ausgeprägtes Interesse an naturwissenschaftlicher, theologischer und philosophischer Literatur kennzeichnend. Dieses Interesse war keineswegs zufällig. Mit der griechischen Philosophie beschäftigten sich die Christen und darunter die Georgier

„nicht an sich, sondern zwecks ihres Gebrauchs für das kirchliche, theologische Denken, um das Christentum logisch zu rechtfertigen und um zu argumentieren und mit ‚außenstehenden' Philosophen in einer ihnen verständlichen Sprache zu disputieren."[3])

Eignete man sich im frühen Christentum die antike Philosophie über die Werke ihrer Kommentatoren, der geistlichen Väter, an (z. B. des *Johannes von Damaskus*), so gelangten die byzantinischen Denker des 11.—12. Jahrhunderts, als die Renaissance der Antike in der byzantinischen Literatur, Kunst und Wissenschaft einsetzte, unmittelbar zur Philosophie der Antike, vor allem zu *Plato* und *Aristoteles*, indem sie die kirchlichen Autoritäten übergingen. Der gleiche Prozeß verlief in jener Zeit in Georgien, das besonders enge Verbindungen zu der byzantinischen Welt unterhielt.

Es ist bekannt, daß die neue fortschrittliche Richtung im byzantinischen Denken von den großen georgischen Denkern *Ioane Petrizi* und *Arsen Iqaltoeli*, die an der von *Konstantin Monomach* neugegründeten Akademie von Mangan studiert hatten, aufgenommen und schöpferisch weiterentwickelt wurde. Das georgische philosophische Denken eignete sich die Ideen der fortschrittlichen Denker der Akademie von Mangan *Michael Psellos* und *Johannes Italos* an und entwickelte ihre Grundzüge auch dann weiter, nachdem in Byzanz selbst, wie *S. Qauchtschischwili* bemerkt, „diese philosophische Renaissance" durch die reaktionäre Politik der byzantinischen Kaiser unterdrückt wurde.[4])
Bekanntlich war *Ioane Petrizi* einer der treuesten Schüler von *Johannes Italos* und entwickelte in seinen Werken die Gedanken seines Lehrers weiter.[5]) Wie *Niko Marr* vermerkt, zeichneten sich die Georgier, die „in der Sphäre der Philosophie an denselben Fragen interessiert waren wie die fortschrittlichen Menschen der damaligen Menschheit in Ost und West", dadurch aus, daß sie ihre Ansicht über die neue Strömung des damaligen philosophischen Denkens früher äußerten, zugleich aber mit der Waffe einer für jene Zeit beispielhaften Textkritik ausgerüstet waren und unmittelbar an den griechischen Originalen arbeiteten.[6])
So wurde, Byzanz folgend, auch im Georgien des 11.—12. Jhs. das Interesse an den Primärquellen der antiken Philosophie wach. Dieses Interesse betraf in erster Linie die Werke *Platos* und des *Aristoteles*. Bekanntlich verehrte ein Teil der georgischen Denker dieser Zeit *Aristoteles*, der andere vergötterte *Plato*. Der Streit zwischen ihnen endete mit dem Sieg des Neoplatonismus in den literarischen und philosophischen Kreisen des damaligen Georgien. Die Anhänger des Neoplatonismus strebten nach einer Versöhnung („Symphonie") *Platos* und *Aristoteles*', um sie für kirchlich-theologische Zwecke einzusetzen. So ergab es sich, daß der Interessiertheit der frühen Periode am originellen literarischen Schaffen eine rege Übersetzertätigkeit folgte. Zugleich konnten alte, sehr freie Übersetzungen die Interessen der Geistesschaffenden im 11.—12. Jh. nicht mehr befriedigen: Man verfolgte das Ziel, den Inhalt des Originals mit peinlicher Genauigkeit wiederzugeben. Deshalb wurden alte Übersetzungen mit den griechischen Originalen verglichen und korrigiert bzw. neu übersetzt.
Die Ursache für die grundlegende Annäherung an den griechischen Text bestand in dem Wunsch, der großen byzantinischen Kultur und Literatur nahezukommen und mit ihr zu rivalisieren. Dies war übrigens durch das praktischere Ziel bedingt, die Unabhängigkeit und die Eigenart der georgischen kirchlich-literarischen und Kulturstätten zu erhalten.[7]) Dieses Streben nahm allmählich einen umfassenderen Charakter an und setzte sich in eine neue literarische Übersetzungsmethode um. Schon die Mönche vom Athos brachten Veränderungen in die Übersetzermethode der Literaturschule von Tao-Klardsheti ein. Dieser Methode zufolge war es möglich, der Übersetzung im Vergleich zum Original etwas hinzuzufügen oder wegzulassen, eine Anpassung an das Georgische vorzunehmen, d. h. ungenau zu übersetzen. So ist z. B. bekannt, daß *Eptwime Atoneli* aus dem 10. Jh., der mit seinem Übersetzungssystem ganz auf der Grundlage alter literarischer Traditionen stand, mit der Methode des Hinzufügens und Weglassens übersetzte. Diese Methode wurde von *Giorgi Mtazmideli* abgelehnt. Er begann mit der genauen Übersetzung der biblischen Bücher, so übertrug er nochmals das Evangelium und den Psalter ins Georgische. Außer den biblischen Büchern übersetzte er die von *Eptwime* bereits übersetzten geistlichen Bücher neu. Er hat ferner die bereits früher (8.—9. Jh.) von *Basilios von Cäsarea* und *Gregor von Nyssa* ins Georgische übersetzten hervorragenden Werke „Ekwsta dghetaj" und „Kazisa schesakmisatwis" übersetzt. Diese an sich exegetischen Werke sind zugleich bemerkenswerte Beispiele der naturwissenschaftlich-philosophischen Literatur. So sind die entsprechenden Termini notwendiger Begriffe in alten Übersetzungen bereits vorhanden, jedoch unbearbeitet und unsystematisiert.
Demnach bedingte das besondere, diese Periode kennzeichnende Interesse an der theologisch-philosophischen und naturwissenschaftlich-psychologischen Literatur einen

Aufschwung der komplexen, gezielten Übersetzertätigkeit in dieser Richtung. Die systematische Übersetzung dieser Literatur jedoch erforderte die Herausbildung und Systematisierung der georgischen wissenschaftlichen Terminologie, die Schaffung der Wissenschaftssprache.

Ohne spezielle Terminologie, die selbstverständlich die Aufnahme neuer lexikalischer Einheiten in die Sprache erfordert, wäre die Schaffung und Übersetzung philosophischer Werke undenkbar. Die philosophische Terminologie stellt eine spezielle Sprache dar, in der logische Auseinandersetzungen geführt werden. Freilich verfügt keine Sprache über fertige Termini, die philosophische Begriffe wiedergeben, wohl aber über die in der Sprachgeschichte erarbeiteten Regeln und Muster der Wortbildung, deren Nutzung den lexikalischen Schatz der Sprache unendlich zu bereichern ermöglicht. Die notwendige Terminologie wird entsprechend der Entwicklung des philosophischen Denkens, der wissenschaftlichen Tätigkeit überhaupt, mit den Mitteln der Wortbildung, die mehr oder minder in der Sprache vertreten sind, geschaffen. Der griechischen Wissenschaftssprache fehlte es in dieser Hinsicht nicht an Mitteln. Ihr reicher Wortbildungsschatz wurde im Laufe der Jahrhunderte von den größten Philosophen der Antike bearbeitet und ausgefeilt.

Den Gipfel ihrer Entwicklung erreichte die griechische Wissenschaftssprache in den Werken von *Plato* und *Aristoteles*, wovon die philosophische Sprache und das philosophische Denken der ganzen nachfolgenden Epoche, des Mittelalters und der Gegenwart, zehrte und zehrt. Diese äußerst schwierige Aufgabe in der georgischen Philosophiegeschichte und in der Geschichte des wissenschaftlichen Denkens überhaupt sollten die Geistesschaffen des 11.—12. Jh. *Giorgi Mtazmideli, Eprem Mzire, Ioane Petrizi, Arsen Iqaltoeli, Ioane Turitschisdse* und andere bewältigen. Sie standen vor einem überaus schwierigen Problem: Zur Durchführung der Dispute über philosophische Fragen ist es notwendig, den philosophischen Begriffen möglichst genaue, adäquate sprachliche Gestalt zu verleihen, daher ist beim Gebrauch der Termini maximale Genauigkeit erforderlich. Um das zu gewährleisten, muß in erster Linie in der Terminologie Polysemie und Synonymie vermieden werden. Deshalb ist der Prozeß der Herausbildung der wissenschaftlichen Terminologie oft mit Neubildungen verbunden. Da es erwünscht ist, daß sich der Terminus auch durch die Form von dem in der Umgangssprache mit gewöhnlicher Bedeutung gebrauchten Wort unterscheidet, werden zur Bildung der Termini oft unproduktive Affixe herangezogen (dies sind gewöhnlich archaische, außer Gebrauch gekommene Affixe). Solche unproduktiven, bisweilen „toten" Affixe verleihen den neugebildeten Wörtern einen terminologischen Wert. Somit werden diese von den Lexemen mit synonymischer morphologischer Bedeutung unterschieden, die zwar von demselben Stamm, jedoch in materieller Hinsicht mit einem anderen produktiven, lebendigen, usuellen Affix gebildet sind, das in der Alltagsrede verbreitet ist und mit einer gewöhnlichen, nichtterminologischen Bedeutung gebraucht wird. Zur Bildung neuer Termini werden bisweilen griechische (heute häufiger lateinische) Stämme und Affixe gebraucht. Oft entsteht die Notwendigkeit, ein bestimmtes Affix einem Stamm hinzuzufügen, mit dem es gewöhnlich nicht kombiniert wird. Um aber einen Disput über eine wissenschaftliche Fragestellung zu entfalten, wird die Zulassung derartiger „unnatürlicher" Kombinationen unentbehrlich, und dies bildet eine bedeutende Quelle zur Bereicherung des Wortschatzes. Aus den oben erwähnten Gründen ist bei den auf diese Weise gebildeten Termini oft eine Nuance des Künstlichen nicht von der Hand zu weisen, aber mit der Zeit findet sich die Sprache damit ab, und sie werden zum festen Bestandteil der Lexik.

Vor derart schwierigen Problemen standen die georgischen Geistesschaffenden im 11.—12. Jh., die eine immer größer werdende Zahl von speziellen philosophisch-theologischen Werken aus der griechischen Sprache zu übersetzen hatten. Die griechische Sprache, die auf eine lange Geschichte und reiche Traditionen des philosophischen Denkens zurückblicken konnte, besaß, wie bereits erwähnt, eine äußerst

ausgefeilte und präzise wissenschaftliche Terminologie. Die georgische wissenschaftliche Terminologie befand sich jedoch erst im Stadium der Herausbildung und mußte noch abgeschliffen werden. Die griechische Sprache mußte gegebenenfalls der Wegweiser sein, eine Sprache also, aus der vielfach übersetzt wurde. Es muß zu Ehren der Geistesschaffenden dieser Epoche gesagt werden, daß sie diese schwierige und bedeutende Aufgabe erfolgreich bewältigt haben: Dadurch daß sie die reiche wortbildende Potenz der georgischen Sprache ungezwungen nutzten, schufen sie nach griechischem Vorbild ein gut funktionierendes System wissenschaftlicher Terminologie, die noch heute ihre Gültigkeit nicht verloren hat.

Beim Vergleich der frühen Übersetzungen mit den oben erwähnten von *Giorgi Mtazmideli* wird das große Verdienst deutlich, das sich dieser hervorragende Geistesschaffende des 11. Jhs. vom Athos bei der Entwicklung der georgischen philosophischen und naturwissenschaftlichen Terminologie erworben hat. Wo in alten georgischen Übersetzungen ein Begriff mit Phrasen aus mehreren Wörtern wiedergegeben wird, bildet *Giorgi Mtazmideli* einen Terminus aus einem Wort:

Ekwsta dhetaj		
alte Fassung	Fassung von *G. Mtazmideli*	
twit igi ars boroṭi (32, 29)	twitboroṭi (18, 34)	böse an sich
mšobeli tavisa twisaj (32, 32)	twitšobil (18, 39)	selbsterzeugend
romelnime nglinvare arian kerkita da romelnime mkise (72, 8—9)	romelnime nergni kerk-çqlṭu arian da romelnime kerk-mkise (58, 29)	einige sind rindenglatt und einige rindenrauh
romeli mqop ars šen tana usw.	tanamkwidri šeni	bei dir befindlich

Zur Bildung der Termini benutzte *Giorgi Mtazmideli* oft die Kasusformantien in der Funktion von Derivationsaffixen. Gewöhnlich werden als solche die Formantien des Instumentals und Adverbials verwendet, was auch heute noch bei der Bildung wissenschaftlicher Termini verbreitet ist: gonebiti xedvaj „geistige Sicht", bunebiti sakutrebaj „Naturgut", dabadebadi „das zu Entstehende", ṭanǯvadi „das Leid zu Ertragende", qopadi „das Existierende" usw. Bisweilen bildete *Giorgi Mtazmideli* anstelle des finiten Verbs der alten georgischen Übersetzung einen substantivischen Terminus mittels der Kasusendung des Adverbials (sog. Futurpartizip der Möglichkeit):

Ekwsta dghetaj	
ältere Übersetzung	Übersetzung von *G. Mtazmideli*
romelnime ganšišwldian (75, 38) „die zu entkleiden sind".	romelnime ganšišwlebadni (62, 10)

Bei der Bildung neuer Termini mußte *Giorgi Mtazmideli* oft von dem Bau des griechischen Terminus ausgehen: Die umfangreichen Möglichkeiten der georgischen Wortbildung nutzend, bemühte er sich um eine genaue Wiedergabe des Begriffsinhalts des griechischen Terminus. Das größte Gewicht der Lehnübersetzungen liegt auf den Komposita: *αὐτογένης* — twitšobili „selbsterzeugt", *πολυμερής* — mravalnaçili „vielfältig", *ἀντιτυπία* — çinaaydgoma „Widerstand".

Gelegentlich übernahm *Giorgi Mtazmideli* den griechischen Terminus unübersetzt. Dies geschah in den Fällen, wenn das entsprechende georgische Wort die griechische Bedeutung nicht genau wiederzugeben vermochte oder keinen terminologischen Wert besaß, da es in der Umgangssprache gewöhnlich mit unterschiedlicher Bedeutung gebraucht wurde:

ältere Übersetzung	Übersetzung von *G. Mtazmideli*
vitarmed qmaj igi gamovals çurçlisagan mqmobarisa (37, 26)	mqmobarisa organojsagan gamomavalsa qmasa (23, 32—33)

„wie ein Schall aus einem tönenden Organon herauskommend".

Allgemein ist in seinen Übersetzungen im Unterschied zu den ältesten georgischen Übersetzungen der Einfluß des griechischen Originals bei der Bildung und Komposition der Termini auffällig zu spüren. Allerdings darf man nicht vergessen, daß die älteren georgischen Übersetzungen (die, wie man glaubt, im 8.—9. Jh. in Palästina angefertigt wurden) *Giorgi Mtazmideli* beim nochmaligen Übersetzen eine große Hilfe erwiesen. Dieses Verdienst der ersten Übersetzer wird von *Giorgi Mtazmideli* selbst im Testament der Übersetzung von „Ekwsta dghetaj" hervorgehoben: „Gott segne die Erstübersetzungen, sie erwiesen mir eine große Unterstützung." Und in der Tat bemerkt der Herausgeber dieser alten georgischen Übersetzungen von *Basilios dem Großen* und *Gregor von Nyssa, Ilia Abuladse:*

„Der sorgfältige Vergleich der Jerusalemer Schriften mit den Texten der Übersetzung von *Giorgi Mtazmideli* bestätigt ihre allseitige Nähe zueinander, die Bearbeitung der einen anhand der anderen oder, wie *Giorgi Mtazmideli* sagt, ‚die Unterstützung' des neuen Übersetzers durch die frühere Übersetzung."

Mit der Zunahme philosophischer und theologischer Übersetzungen wuchs allmählich der Bedarf zur Präzisierung der Termini, und entsprechend wurde die georgische wissenschaftliche Terminologie reicher. Sie erreichte eine hohe Stufe in den Werken von *Eprem Mzire*. Im Vorwort zur Übersetzung der „Dialektik" des *Johannes von Damaskus* formulierte *Eprem Mzire* seine Prinzipien der Übersetzungskunst, die im wesentlichen darin bestehen, daß der Gedankengehalt des Originals „einfach, ohne Beigaben und unantastbar" wiedergegeben werden muß, da aber jede Übersetzung zur Wiedergabe des Inhalts in unserer Sprache oft einer Hinzufügung bedürfe, müßten diese Wörter notwendigenfalls, um eine Vermischung dieser Ergänzungen mit dem grundlegenden Text zu vermeiden, am Rande angebracht werden. *Eprem Mzire* forderte auf das strengste, daß die an den Rändern geschriebenen Wörter nicht durch „Vermischung" in den Text gebracht werden. Was das Randgeschriebene betrifft, so handelt es sich hauptsächlich um die Übersetzungs-Erörterungen oder „Definitionen mit Urteilen". Dies ist vor allem erforderlich, damit jemand, der einen bestimmten Terminus braucht, ihn leicht finden kann, ohne viel Zeit zu vergeuden oder das ganze Buch dafür durchzulesen.

So hielt es *Eprem Mzire* für notwendig, der Übersetzung Definitionen der Termini hinzuzufügen, und so verfuhr er auch im Laufe der ganzen Übersetzung. Aber der Versuch *Eprem Mzires*, die georgische philosophische Terminologie zu systematisieren, war der erste, und dadurch ist es erklärlich, daß er mancherorts Ungenauigkeiten aufweist. Die Grundlage für die Übersetzung philosophischer Werke ins Georgische wurde durch die Übersetzung des Werkes *Πηγὴ γνώσεως* des *Johannes von Damaskus*, und zwar des Teiles *Κεφάλαια φιλοσοφικά* bereitet, was auch von *Eprem Mzire* hervorgehoben wurde.[8])

Obwohl das Übersetzungsprinzip *Eprem Mzires* die äußerste Nähe mit dem Original verlangt, vermochte er aber selbst diesem Prinzip nicht immer treu zu bleiben. In der wissenschaftlichen Literatur sind manche konkrete Ungenauigkeiten in *Eprem Mzires*

Übersetzungen hervorgehoben und deren Ursachen genannt worden.[9]) Manche Ungenauigkeiten in der Eprem'schen Übersetzung der „Dialektik" sind infolge unterschiedlicher Interpretation bestimmter Kontexte entstanden, aber die meisten Unzulänglichkeiten sind wohl das Ergebnis der ungenauen Wiedergabe spezieller Termini. Die Ursache hierfür liegt darin, daß die griechischen Lexeme selbst oft polysem sind, bisweilen bleibt ihre Bedeutung für den Übersetzer unklar, oder der Terminus als unabhängige Einheit ist ihm unerschlossen. So z. B. werden von *Eprem Mzire* einander nahestehende, aber verschiedene Begriffe bezeichnende griechische Termini im Georgischen mit einem Lexem wiedergegeben: *ὁ τρόπος, ἡ μορφή, τὸ εἶδος* übersetzt er mit dem Lexem saxe „Gesicht, Gestalt". Ferner übersetzt er *ἡ διαίρεσις* (Trennung) und *ἡ διάστασις* (Dimension) mit einem Lexem: ganpena „Ausbreitung". Die einander ausschließenden Termini *ὡρίσμενος* (bestimmt), *διωρίσμενος* (Unterschied, Trennung) und *ἡ συνεχή* (Verschmelzung) werden mit einem Lexem übersetzt: gansazyvrebuli „abgegrenzt". Mit den Lexemen šemokreba/šekreba übersetzt *Eprem Mzire* sowohl den grundlegenden logischen Terminus *ὁ συλλογισμός* als auch den Terminus *ἡ σύστασις*. Zwei verschiedene Begriffe (*ἡ διαφορά* „der Unterschied" und *ἡ διαίρεσις* „die Trennung") werden oft mit einem Lexem wiedergegeben: gangopileba „Trennung".

In manchen Fällen wird ein und derselbe griechische Terminus in der Übersetzung von *Eprem Mzire* mit verschiedenen Äquivalenten wiedergegeben, oder ein und derselbe philosophische Begriff wird mit verschiedenen Lexemen übersetzt. Beispielsweise verwendet er für einen logischen Terminus mit völlig klarer Bedeutung (*ὑποκείμενον*) in verschiedenen Kontexten mehrere Varianten, die aus einem Stamm abgeleitet sind: tanamokiduli, çinamokiduli, mokiduli, mokiduli nivti. Zugleich bildet er auch von einem anderen Stamm (midebare, zedamdebare, çinamdebare) die Entsprechung dieses Terminus. Hierbei ist aber zu sagen, daß verschiedene georgische Entsprechungen manchmal durch die Polysemie des griechischen Wortes bedingt sind.

Dieser kurze Überblick verdeutlicht, daß *Eprem Mzire* sich erst im Prozeß des Versuchens befindet und seine Terminologie noch des letzten Schliffes bedarf. Aber es ist auch offensichtlich, daß diese seine Ungenauigkeiten ein Tropfen im Meer sind, verglichen mit dem großen Verdienst, das er sich um die Herausbildung und Entwicklung der georgischen wissenschaftlichen Terminologie erworben hat: Durch die volle und freie Nutzung der Wortbildungsmöglichkeiten des Georgischen schuf er neue, reiche Lexik, eine ganze Reihe treffend und geschickt gebildeter Termini, die der Prüfung der Zeit standhielten und sich in der georgischen Literatursprache einbürgerten. Dies sind beispielsweise: çinadadeba „der Satz", gansazyvreba „Bestimmung", gangopileba „Abteilung", igivcoba „Gleichheit", twiseba „Eigenschaft", enobieroba „Bewußtsein", çartkwma „Verneinung", šemasmeneli „Prädikat" und andere. *Eprem Mzire* legte den Grundstein für die Systematisierung der georgischen wissenschaftlichen und insbesondere der philosophischen Terminologie. Diese zu verfeinern und zu präzisieren, war die Aufgabe der folgenden Generationen, und sie erwiesen sich ihrer würdig: Der jüngere Zeitgenosse *Eprem Mzires* und Geistesschaffende des 11. Jh. *Arsen Iqaltoeli* übersetzte fast zu gleicher Zeit mehrfach das in jener Epoche äußerst populäre und für die christliche Kirche notwendige Werk des *Johannes von Damaskus*. Er übersetzte es nicht, weil er von der Existenz der *Eprem*'schen Übersetzung nichts wußte, sondern vielmehr war gerade er, *Arsen*, wie *Eprem Mzire* selbst im Testament seines Werkes vermerkt, Mitarbeiter und Stütze *Eprems* bei der Arbeit an diesem Werk.[10])

Offenbar gerade deswegen, weil die georgische philosophisch-theologische Terminologie noch des Schliffes und der Präzisierung bedurfte und dies zu stärkerem Wunsch nach Annäherung der Übersetzungen theologisch-philosophischer Werke an die griechischen Originale führte, beschloß *Arsen Iqaltoeli*, das Werk des *Johannes von Damaskus* erneut zu übersetzen, zumal er die frühere Übersetzung kannte, ein Umstand,

der das Erkennen der Mängel und ihre Korrektur begünstigte. Eine der wichtigsten Ursachen, die Termini zu präzisieren und die Übersetzung dem Original näherzubringen, bestand darin, daß die unterschiedliche Auslegung der Termini in der byzantinisch-christlichen Welt und folglich auch in Georgien oft Anlaß zu heftigem Kirchenstreit gab, und zwar nicht nur zu Diskussionen, sondern auch zu Ketzerei und Exkommunikation. Dies war *Arsen Iqaltoeli* wohlbekannt. Er und *Ioane Petrizi* waren Zeugen der Anschuldigungen, die das Gericht gegen *Johannes Italos* vorbrachte. Diese bestanden im wesentlichen darin, daß „*Italos* mit der von der Kirche festgelegten Terminologie nicht sorgfältig umging und nicht die Ausdrücke benutzte, die von den Kirchenvätern genau festgelegt waren zur Offenbarung des orthodoxen Glaubens."[11]) Unter diesen Umständen mußte gerade die „Dialektik" des *Johannes von Damaskus* eine besondere Bedeutung erhalten, da sie als philosophisches Kompendium eine Präzisierung und Erläuterung philosophischer Termini und Begriffe vom christlichen Standpunkt enthielt. Darauf ging *Eprem Mzire* auch im Vorwort zu seiner Übersetzung ein. Deshalb ist es um so erstaunlicher, daß er in bezug auf die christliche Dogmatik einen unverzeihlichen Fehler begeht, wenn er gerade beim Gebrauch des Terminus gwami nicht die erforderliche Exaktheit einhält: Mit diesem Terminus, der eine ganz klare, festgelegte Bedeutung hat („Wesen, Person"), gibt er sowohl *ὑπόστασις* „Wesen" als auch die Termini *τὸ σῶμα* „Körper", *ἡ ὕπαρξις* „Dasein" und sogar *οὐσία* „Wesen, Substanz" wieder[12]), das in der patristischen Literatur scharf von dem Terminus *ὑπόστασις* „Wesen, Person, Individuum, Unzertrennbares" abgegrenzt ist und deren Vermischung als Ketzerei galt. Dies wird auch durch eine von *Eptvime Atoeli* aus dem Werk des *Johannes von Damaskus* speziell übersetzte Stelle bestätigt: „Es ist doch zu erkennen, daß Wesen und Substanz etwas anderes sind und etwas anderes Körper und Individuum und Person. Wesen und Substanz sind eins, wie die heiligen Väter sagen, und Körper und Person und Individuum eins." Und er unterstreicht: „Dies ist die Verlockung der Ketzer, die Substanz und Körper für das gleiche halten und hierfür von der Wahrheit abkommen."

In der Tat werden in der patristischen Literatur arseba „Wesen" und gwami „Körper, Person" streng unterschieden: arseba verhält sich zu gwami wie das Allgemeine zum Einzelnen oder das Abstrakte zum Konkreten oder das Sein oder das lebende Wesen zum individuellen — daraus ergab sich die Einheit des Wesens in Gott und die Unterscheidung hypostatischer Eigenschaften (Dreifaltigkeit).

Der Terminus *ὑπόστασις* erhielt die Bedeutung von „Person, Individuum" erst später, in den Büchern des Neuen Testaments und in der patristischen Literatur. Bei den Philosophen der Antike *(Aristoteles, Plato)* ist er als Synonym der Termini *οὐσία* und *ὕπαρξις* anzutreffen.[13]) Offensichtlich ist dies die Quelle der ungenauen Übersetzung von *Eprem Mzire*.

Es ist möglich, daß die erneute Übersetzung des Werkes des *Johannes von Damaskus* auch dadurch bedingt wurde, daß *Eprem Mzire* und *Arsen Iqaltoeli*, wie *Maia Rapava* ermittelte, griechische Originale unterschiedlicher Redaktion benutzten.[14]) Trotzdem ist gesichert, daß die Übersetzung von *Eprem Mzire* frei gestaltet ist und es ihr oft an Präzision mangelt. *Arsen* läßt sich jedoch streng von dem Prinzip leiten, „nichts vom Griechischen auszulassen,, aber auch nichts hinzuzufügen."

4) *Qaurčišvili, S.:* bizanṭiuri liṭeraturis istoria, Tbilisi 1968, S. 253.
5) *Ḳeṭaymaje, N.:* ioane iṭalosis šemokmedoba, Tbilisi 1970, S. 59ff.
6) *Marr, N. Ja.:* Ioann Petricskij, gruzinskij neoplatonik XI—XIIv. (ZVO, Bd. XIX, S. Petersburg 1909, S. 61).
7) *Ḳeḳelije, K.:* op. cit., S. 61—62.
8) *Ioane Damaskeli:* dialekṭika, kartuli targmanebis ṭekst̄i gamosca, gamoḳvleva da leksikoni daurto maiu rapavam, Tbilisi 1970, S. 66—67.
9) *Xintibije, E.:* bizanṭiur-kartuli liṭeraturuli urtiertobisatvis, Tbilisi 1969, S. 122—123; Ioane *Damaskeli:* op. cit., S. 40—42.
10) *Ioane Damaskeli:* op. cit., S. 18.
11) *Ḳeṭaymaje, N.:* op. cit., S. 8ff.
12) *Ioane Damaskeli:* op. cit., 4, 2.
13) *Peṭre Iberieli:* psevdo dionise areopagelis šromebi, eprem mcirisi targmani, gamosca, gamoḳvleva daurto s. onukašvilma, Tbilisi 1961.
14) *Ioane Damaskeli:* op. cit., S. 47.
15) *Ioane Damaskeli:* op. cit., 38, 20.
16) *Ioane Damaskeli:* op. cit., 53, 17.
17) *Ioane Damaskeli:* op. cit., 53, 7.
18) *Losev, A. F.:* Istorija antičnoj ėstetiki, Aristotel' i pozdnjaja klassika, Moskva 1975, S. 43.
19) *Losev, A. F.:* Kritika platonizma u Aristotelja, Moskva 1929, S. 24.
20) *Peṭre Iberieli:* op. cit., 202, Kommentar 10.
21) *Sokolov, V. V.:* Srednevekovaja filosofija, Moskva 1979, S. 49.

22) *Gogiberiże, M.:* Rustveli, Petrici, preludiebi, Tbilisi 1961, S. 141.
23) *Ioane Damaskeli:* op. cit., Vorwort, S. 2.
24) Ebenda.
25) Einem Athener Bürger des 1. Jahrhunderts, Dionysios, Mitglied des Areopags, der in der Apostelgeschichte erwähnt wird: „So kam Paulus unter sie. Und einige Männer folgten ihm und wurden gläubig; bei ihnen war Dionysios aus dem Areopag..." (Apostelgeschichte 17, 33).
26) *Gogiberiże, M.:* op. cit., S. 144.
27) *Ioane Petrici.* satnoebata kibe, gamosacemad moamzada, gamokvleva, šeniśvnebi da leksikoni daurto iv. lolašvilma, Tbilisi 1968, S. 36ff.
28) *Petre Iberieli:* op. cit., S. 019.
29) *Gogiberiże, M.:* op. cit., S. 185.
30) a. a. O., S. 204.
31) Ioane Petrices šromebi, kavširni çytismetçvelebitni, gamosca, gamokvleva da leksikoni daurto sim. qauxčišvilma, Tbilisi 1940, Bd. I, XXVI—II.
32) a. a. O., LII.
33) Proklos: Pervoosnovy teologii, perevod i kommentarii prof. *F. A. Loseva*, Tbilisi 1975, S. 23.
34) a. a. O., S. 24.
35) Ioane Petrices šromebi, II, S. 222—223.
36) a. a. O., S. 220.
37) *Marr, N. Ja.:* op. cit., S. 35.
38) Ioane Petrices šromebi, II, S. 6.
39) *Marr, N. Ja.:* opt. cit., S. 34.
40) Siehe *Melikišvili, D.:* ioane petrices pilosopiur šromata ena da stili, Tbilisi 1975.
41) *Kekelije, K.:* op. cit., S. 306—318.
42) a. a. O., S. 00.
43) a. a. O., S. 70.
44) *Čikobava, A.:* axali saliterature enis çarmokmnisatvis (in: kartuli enis gannartebiti leksikoni, Bd. I, Tbilisi 1950, S. 020).
45) a. a. O., S. 021.
46) *Orbeliani, S.-S.:* leksikoni kartuli, 1966, S. 26.
47) S. XXVI.
48) a. a. O., S. 33; vgl. Ioane Petrices šromebi II, § 18.
49) Siehe Handschrift N 1102 aus dem Fonds A des K. Kekelidse-Handschriftoninstituts.
50) *Melikišvili, D.:* op. cit., S. 67.
51) *Çarçavaże, I.:* ai, istoria (in: txzulebata sruli krebuli, Bd. V, 1927, S. 95—96).

Zusammenfassung

Die Verfasserin bespricht ausführlich den Werdegang der wissenschaftlichen Terminologie der georgischen Sprache im Mittelalter und zieht Folgerungen für die neugeorgische wissenschaftliche Terminologie.

Резюме

Автор подробно описывает развитие научной терминологии в грузинском языке в средних веках и дает заключение для новогрузинской научной терминологии.

Summary

The author thoroughly discusses the development of the scientific terminology of the Georgian language in the Middle Ages and draws conclusions for the scientific terminology of the New Georgian language.

Verfasser: Prof. Dr. sc. phil. *D. Melikischwili*, Staatliche Universität Tbilissi

Д. Н. МЕЛИКИШВИЛИ (ТБИЛИСИ)

ПОНИМАНИЕ АРИСТОТЕЛЕВСКИХ ЛОГИЧЕСКИХ ПОНЯТИЙ В ДРЕВНЕГРУЗИНСКИХ ПЕРЕВОДАХ

XI—XII века в истории грузинского литературного языка отличаются активным словотворчеством понятийного характера, необычайной напряженностью и активизацией жизненных потенций грузинского языка. Особый интерес к экзегетической литературе как теологического, так и чисто философского характера, системная и целеустремлённая работа над переводом и комментариями философских и теологических трудов, проводимая в Гелатской литературно-философской школе (XI—XII вв.), одной из сильнейших ветвей т. н. эллинофильского направления, требовали точной передачи умозрения и теории, вынуждали прибегать к поискам и образованию точных соответствий греческих терминов с целью дифференциации философских понятий. Вследствие глубоко профессиональной работы учёных этой эпохи сформировалась стройная и строго организованная система грузинской философской терминологии.

Следует отметить, что имелось довольно много ранних (начиная с V века) как оригинальных, так и переводческих сочинений, в которых обширно представлены соответствующие основным философским понятиям грузинские термины, но специальная, сознательная, системная разработка философской (и вообще — научной) терминологии начинается именно с XI века. В этот период грузинская научная терминология интенсивно обогащается Георгием Афонским и Ефремом Мцире, но уже в XII веке, в Гелатской литературной школе, с деятельностью Иоанна Петрици и Арсения Икалтоели начинается новый этап в развитии грузинского философского языка — этап создания специального «философского стиля», отличавшегося от «обычных переводов», этап сознательного создания упорядоченной системы философской терминологии, имеющей формальные и семантические парадигмы и связующие звенья.

Переводчик философского текста часто рискует быть неточным, невольно или же сознательно вкладывая собственную интерпретацию в свой перевод. Так, например, известно, что в латинских переводах превосходного знатока греческого языка Вильгельма Мёрбека (который по поручению Фомы Аквинского спустя два столетия после Иоанна Петрици переводит трактат Прокла Диадоха „Στοιχείωσις θεολογική"), латинизированы (христианизированы) некоторые аристотелевские понятия. Одной из причин неточности перевода часто является полисемантизм самих греческих лексем (это обстоятельство особо

отмечает Ефрем Мцире в одном из своих примечаний: «Эллинский язык бездонно глубок и одно и то же слово в нём имеет разное значение»). В таком случае самым продуктивным способом образования новых терминов был способ формального калькирования греческого термина, хотя часто прибегали и к смысловому переводу.

Работая над переводом термина и при помощи словарей и разных комментариев предусматривая все возможные значения переводимой лексемы, грузинские мыслители исходили из его контекстуального или из исходного значения. Так, например, древний перевод термина στοιχεῖον лексемой çesi («порядок»), которая отражает исходное значение этого греческого термина, но не осмысляет её специальную терминологическую значимость, впоследствии был заменён термином aso («буква, член, элемент»), а далее, в определённых случаях, термином ḳavšiI - («союз»), в котором подразумевается союз четырёх элементов. Смотря по тому, какое значение выбирает переводчик полисемантической греческой лексемы, можно судить о том, как осмысляется данное понятие грузинским мыслителем, т. е. какую мотивацию он выдвигает или какую интерпретацию даёт данному понятию. Так, например, подыскивая адекватный грузинский термин для понятия κόσμος. Иоанн Петрицы выдвигает исходное значение этой греческой лексемы ałmiqull («украшенное») и осмысляет мир именно так, как древние греки, которые вкладывали в это слово именно такое метафорическое значение — украшенности, порядка, упорядоченности (тогда как в древних переводах даётся предпочтение смысловому переводу sopeli «мир, мироздание»). Эти и подобные примеры наглядно указывают на основной принцип Иоанна Петрицы — делать точный, адекватный перевод термина, глубоко вникая в его суть: ведь по убеждению Иоанна Петрицы, «каждое понятие, в ясном, как солнце, эллинском языке, имеет своё название, соответственное своей сущности». Исходя из этого положения, формально калькируя греческий термин, желая возвысить силу выразительности грузинского слова-термина до такой степени, как это достигнуто в греческом, Петрицы старается как бы воссоздать и заново открыть в грузинском слове дух греческого логоса. Это стремление можно проследить и в переводах логических терминов Аристотеля, хотя формальный характер логики как будто не давал повода для разных интерпретаций специальных терминов, созданных и применяемых великим Стагиритом.

Грузинские переводчики, стараясь вникнуть в суть этих понятий, давая их грузинские эквиваленты, в первую очередь, принимали во внимание мотивацию, которую клали в основу данного термина Аристотель и его комментаторы. Так, например, аристотелевский термин-понятие συλλογισμός Иоанном Петрицы переводится калькой łanšesitqwa («сочетание»), принимая во внимание то, что «силлогизм есть сочетание определённых высказываний», тогда как Ефрем Мцире даёт смысловой перевод semokreba («собрание»), акцентируя то, что «силлогизм собран из двух истинных предпосылок» (Аммоний Гермий). Арсений же Икалтоели в данном случае даёт не совсем удачный эквивалент segulissitqwa, в котором не совсем ясен смысл данного понятия.

Аристотелевское логическое понятие πρότασις «предложение, предпосылка» в переводе «Диалектики» Иоанна Дамаскина (у Ефрема

Мцире и у Арсения Икалтоели) звучит как çinadadeba (так же, как и русское «пред-ложение» — точная калька данного греческого термина), но в переводе комментариев Аммония Гермия — как çingansiva (досл. — «пред-выхождение», т. е. «пред-посылка»). В переводах же Иоанна Петрици трудов Немезия Эмесского и Прокла Диадоха эквивалентом термина πρότασις является pirveldaçesebuli досл. «пред-положенное» или же «первоупорядоченное», а также pirvelmyebadi «предвзятое», «предпринятое». Мотивация этого последнего понимания данного термина очевидна из следующего контекста комментариев Аммония Гермия к «Введению Порфирия»: „Βουλόμενος γὰρ δεῖξαι ὅτι ἡ ψυχὴ ἀθάνατος, ἔλαβον τὸ αὐτοκίνητον πρῶτον, συνεπέρανα δὲ τὸ ἀθάνατο" (Ammon. 74,19—22). («Желая показать, что душа бессмертна, принял сначала самодвижущееся и завершил (исполнил) бессмертное»).

В связи с этим интересным представляется осмысление в древнегрузинских переводах аристотелевского термина συμπέρασμα Значение этого термина можно осмыслить, исходя из двух предположений: 1. συμπέρασμα — это имя, образованное от глагола περαίνω «совершать, осуществлять, заканчивать», с последующим переносом значения «делать вывод». Исходное значение этого термина — «завершение, окончание, исполнение» (от πέρα «крайне», πέρας «конец, край, предел»). Отсюда — в переносном значении лат. conclusio «заключение» (от глагола concludo). 2. Второе возможное осмысление этого термина подразумевает глагол περάω, означающий «переходить». Отсюда — форму συμπέρασμα можно понять как «со-вывод». Оба возможных понимания встречаем в древнегрузинских соответствиях этого греческого термина: 1. šesruleba «завершение» и 2. tangasavali «совывод». Первую интерпретацию можно проследить в вышеупомянутом высказывании Аммония Гермия, где говорилось о том, что «желая доказать, что душа бессмертна, принял сначала самодвижущее, а затем завершил (т. е. исполнил, заключил — συνεπέρανα) бессмертное». Именно такое осмысление этого термина предлагают Ефрем Мцире и Арсений Икалтоели в своих переводах «Диалектики» Дамаскина: šenokrebaj šeinivlebis orta çešmariṭṭa çinadadebatagan da šesrṣulebata (Damsc. Dial. 51,1) «Силлогизм собран из двух истинных посылок и заключения» (досл. «завершения»). Формальная и семантическая мотивация термина šesruleba в данном случае вполне ясна. Ефрему и Арсению следует и переводчик текста Аммония. Но совсем иную интерпретацию предлагает в своём «Толковании Прокла» Иоанн Петрици, который в первой главе своего сочинения, рассматривая диалектический метод Прокла, разъясняет основные логические понятия Аристотеля, особо подчёркивая то, что «без знания законов аристотелевского «Органона» невозможно познание чего-либо разумной душой». Иоанн Философ тоже считает, что συμπέρασμα — это «завершение», а точнее — «исполнение» силлогизма (dasasrulisasa ecodebis sympperasmaj «Исполнением же называется сюмперасма»), но лица грузинское соответ-

ствие, исходит из того, что συμπέρασμα является соединением двух крайних терминов и выводится из двух сосуществующих посылок, или как сам он определяет, «сюмперасма — это со-вывод из двух крайних» (sumperasmaj, romel ars tangasavali): такое понимание ясно читается в той наглядной схеме, которую Иоанн Философ дает в конце I главы своего «Толкования» с хрестоматическими примерами силлогизма. Поэтому Петрици исходит из глагола περάω и, таким образом, даёт иную интерпретацию этого понятия: «сюмперасма, который есть совывод», т. е. ту самую, которая лежит в основе русского термина «вывод».

Интересной представляется также передача понятия ἀπόδειξις «доказательство» (от глагола δείκνυμι «показать»). Нужно отметить, что понятия δείξις «показывание» и ἀπόδειξις «доказывание» в латинском выражаются соответственно терминами monstratio и demonstratio, хотя этот последний употребляется и в значении «показывания». В русском языке дифференциация этих двух понятий достигается посредством разных превербов: «по-казать» и «до-казать». Интересно отметить, что именно такой путь дифференцирования этих двух понятий избирает Иоанн Философ, ловко используя этот редкий способ грузинского словообразования: в значении логического термина он предлагает форму с превербом ay: ay-moçena, а в бытовом значении оставляет форму с превербом gamo-: gamo-çena, gamo-çincha.

И по этим немногим примерам, приведенным выше, можно судить о той серьезной и строго профессиональной работе древних грузинских мыслителей, изучение словотворчества которых имеет значение не только с точки зрения истории грузинского словесного искусства, но порой и для прояснения и раскрытия смысла самих греческих терминов.

წარსულიდან
ლამარა ფალიტიშვილი

მღვდელი სიმონ მჭედლიძე და მისი სასულიერო - საგანმანათლებლო მოღვაწეობა

ფოტო, რომელიც ქართული ეკლესია აღორძინების გზას ადგას, რომელიც აღდგა ათეული წლობის ტრიალში წარტყვევული მისი დამოუკიდებლობა, უფრო მეტად გვმართებს მისი ისტორიის უახლესი წარსულის დაფარული ფურცლების გამოვლება, აღნერა ამ ამაღლებულია ღვაწლისა, რომელიც ჩვენს ქარტვლიან საუკუნეში თავი დასდეს ქრისტიანული რწმენისათვის, როგორც ქართული ერიერ. ული სულისა და სახის ეზგერისა და მკვლელობისა.

ამ ლირსი მამების ღვაწლის, ეკლესიისა და საშობლის წინაშე მიხდილი ვალის მოსრულ გვმართებს არა იმდენად მათთვის სათანადო პატივის მისაგებად (რასაც, სხვათა შორის, მათ ერისტიანული თავმდაბლობა სრულად გამორიცხავდა), არამედ უფრო ჩვენი მშობლიური ამაღლებლობის სულია გასაცოცხლებლად, საჭიროებად ამბობ, რომ ეს თაყვანდებული ადამიანები, სანამ რწმენისა და საშობლის თავგადადებისათვის უფიქრიანდნენ სიცოცხლეს, მანამ უსტერის მამაც ერიანი ეამაურებოდნენ იმავე საქმეს.

ამ სასულია რიტეს მიუკუთვნება ნამარი მეტ. ოლიოლეტის ერთეული თანამოკეფილია და მასთან ერთად 1924 წლის აგვისტის ბოლოს, ქუთაისის საეპარქიის ტაძარში, "ეკუნე ეკეკლესია" ოე ეარაულია სასულიერის მამლიმლად დაფარული ფოტოლის, სიმონ მჭედლიძის სახელზე.

სიმონ მჭედლიძე იყო სასულ.ერო წრის მთავარეპისკოპოსი. მჭედლიძეები სოფ. ბოლეკეფლის ოჯახ. მაგრამ მათი ერთი შტო სეფრეში დასახლებულ: ეს იყო მეფეული სიმონ მჭედლიძე, რომლის ეკ ერთი ვაჟი - მიხეილ შემდგომ ეპარქიის ეპარქიის ხელადმინი გამხდარა (იგი ბევრს მრეწალეა ეკლესიების აღდგენაგებისათვის), ხოლ უმცროსი ვაჟი კი გახლდათ ცნობილი პუბლიცისტი ეკატერინ მჭედლიძე(ბოლეკეფელი), რომელიც როგორც ცნობილია, მეარეულობდა ეპარქიის ღვაწლმოსილი მეფეულმოაკარი გამრეფილ ქალიშვილ და, რომელიც, სრულად ამაღლებრდა, რეაქციონერია ტყვეთან ამბავერსა.

მიხეილ მჭედლიძის უმცროსი ვაჟი, მამის ანარმოსახელე, სიმონი, თავადი წინამორეის ეკლ გასულია: იგი ნაფიფარად ეთაესებდა ერთმანეთს საეკლესიო და საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ მოღ აწეობას. ამბილის სასულიერო სემინარის დამთავრების შემდეგ მას სწავლა გაეგრძელება მეტეოროლოგიის სასულიერო აკადემიაში. საშობლიში რომ დაბრუნებულა, ერთბას მასწავლებლობა ეკ

ლი სერიის სამწერლობელში დაბეჭდილ შესანიშ (მისი შეხედულებანი ფილ. ბესარიონ ღვიმერაძის ასული ეკატერინე რომელიც ცხოვრობდა ბალ. ბოდე) მიუღებლად ეკერთა და სწორედ აქედან იწყება მისი სასულიერო და საგამომცემლო-განმანათლებლური მოღვაწეობა. ჩაბარა ეკლესიის მის შესახებ წერდა: "იგი ერთმანეთს შეუერთებდა ეროვნულ ქართულ სასულიერო და საერო მწერლობას. იგი ბევრს სტოდიოდა ისტორიულ წიგნებს, ამასთანავე გამოდიოდა რედაქტორი სასულიერო და სამოციანელთა გამოსა "ნამდვილ საქმეებს".

გამოსა "ნამდვილ საქმეებ" გამოდიოდა 1908-1910 წლებში ქუთაისში, სადაც, როგორც ცნობილია, ამ ბიბლიოგ ქართული სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრება. გამოსა იგი ყოველთვიურად, ძირითადად სასულიერო სასაუბრო, თუმცა საერთოდ ეროვნულ. ბაბალეს შეუერთდა. გამოსის ბაბალეულება და რედაქტორი ეს ორივენი გამოჩენილი ეროვნული და გამანათლებელია. იგი ინტერესდა ხალხის ცხოვრებით საკითხებით ("ძმაბილი"). ბაბალე რედაქტორად ხელ. გამოსის გამოცემა რამდენიმეჯერ შეწყვეტილა, როგორც ჩანს, ფულისრაბის გამო, ბოლოს შეწყვეტ ისევ ალეგანდრეულ. თუ რაიმეს ეროვნულ ბრალებაში ხელეთა ბაბალეს გამოცემის, ეს ჩანს ეროვნული ხასიათ ლიტერატურა: "ალბათ ეროვნული ენა ეროვნული ენა ეროვნული ენა

ნალიგის შემუშავებას, მაშასადამე, იმ შემკვ-
ლევლობა ბამის აღდგენას ძველ ქართულ სალ-
ითმეტყველო ლიტერატურასთან, რომელიც ინტენ-
ზივი გაუწევა მას შემდეგ, რაც 1811 წელს რუსეთის
მთავრობამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტო-
კეფალია და მის გამოშვებულ რესოლუციას შე-
ეფეთა „შინაური საქმეების" რედაქცია დაფინანსი-
ბოლოდა და ასახელებდა სასულიერო სასწავლებ-
ლებში სწავლების ქართულ ენაზე შემოღების აუცი-
ლებლობას და აკრიტიკებდა იმ სასულიერო პირებს,
რომლებიც ცოლებმაც ქართული ენა არ იცოდნენ.
რადგანაც მიანდა, რომ შემოღებული ენის ცოდნის
გარეშე ლეგიონად ვერ გამხდარა შეილ.
რედაქცია ეცხადება ამასაც, ვინ ამბობთ, საეკლესიო
შეტყობილ საგნების ქართულ ენაზე სწავლებ-
ქართულ ახალგაზრდობის თითქოს უსაფუძვლო საქა-
ითმეტყველო სასწავლებლებისაკენ ეკრძალებ-
ლოდ ბოლოსო". ამ მიზეზ პრობლემის, სამწუხაროდ,
ლეკაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

ლეკუნდელი გადასახედიდან განსაკუთრებით
ალსანიშნავია, რომ გამეთში საკვალიფიკაციო წერილები
ეძღვნებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის სა-
კითხებს. ეპლიკაციებიდან ირკვევა, რომ თვით
მეფეობელი ხელმეძღვანელობა საქართველოს ეკლესი-
ის ავტოკეფალიის მოთხოვნის ეკუთვნოდა ეროვნულ
დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას, რომ ეკლესი-
ის ავტოკეფალია წინამორბედი იყო სახელმწიფოებრი-
ვი ავტონომიისა და საქართველოს სრული დამო-
უკიდებლობისა რუსეთის „ბანერისაგან". რომ
„თავდადებული ქართველ ავტოკეფალისტებს სარწმუ-
ნოების გაძლიერება კი არ აინტერესებთ, არამედ
პოლიტიკურად თავისუფალი საქართველო". გამე-
თში „ეკრიელის" ფსევდონიმით ხშირად ბეჭდავდა
თავის სტატიებს გიორგი სამაგლელიანი - საქა-
ართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შეძ-
�ილ (1918 წ.) პირველი კათალიკოზი-კირიონ II,
რომელიც ეშმაკურად კიდევაც ამ საქმეს.

ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობისათვის
ბრძოლა ასახა აგრეთვე იმით, რომ სიმონ
შეკლიძემ თავის სტატიაში (ეკლ.) წიგნაკად
დაბეჭდა ალექსანდრე (ეკატერეს მიხეილის შიუბ-
ინანი მე-17-18 საუკუნეთა ოფიციალური მიწერ-
მოწერისა საქართველოს (ეკლესიის) ავტო-
კეფალიის შესახებ".

სიმონ შეკლიძე საერთოდ ლიდ ეკრალებას
უთმობდა წიგნების გამოცემის საქმეს. მის სტატიაში
იხსენიებდა ეროვნულ სასულიერო, ისე საერო ხასი-
ათის ლიტერატურა (მაგ. „ნინამდელი სახარებანი",
„ეფრემ ეფესელანი", „ეკლესიერების ლექსიკონი-
„ეკეკი წერილი, ეროვნული ბეგლანი და მაბეული
შელი" და სხვ.).

1913 წლიდან სიმონ შეკლიძის რედაქციერ-
ით გამოდიოდა ყოველთვიური საეკლესიოებული
ფილოსოფიური, პოლიტიკური და ლიტერატურული
ეკრალი „ანთიადი", რომელშიც, თეოლოგიური
სტატიების გარდა, მოთავსებული იყო ბევრი
საქართველოს ისტორიიდან, სამეცნიერო წერილები,
ისტორიული საწარმოებები. 1915 წლიდან ბოლ-
ეროვნულობით გამოდიოდა ორკვირეული სამეცნ-
ერო, სალიტერატურო და საზოგადოებრივ ეკრალი
„ანთიადი" (32-ეკვრიანი).

სიმონ შეკლიძე ფართო საზოგადოებრივ
საქმიანობენელი და განმანათლებელი პიროვნებაა
ესალი: მის სახელს, ჯ ქუთაისში, საბურთალ
ეკლესიის შენახვაში იყო პრაგმატული და ბევ-
ბმდებელი ეკრალი სასულიერო სასწავლებლებს
ბენეფიციალ ასაგებ-ბრდოთაოვან. მის მიერ ხოლ
ლიბერალ ამსტერეული და დაარსებული ეკლ. ღვ
ეკ ეკლესიერ ამ ხელოვნ მოსაზრებ-ებ.

ეს, ის ეკრალი, რაც გაგვიგია და რაი
მოსაზრებაც ფილოლოგებთ შეგვილია, რაც-ოდ ეკ
მის შეკლიძისა და ეროვნულის ეკლესიის ეკრ
ხელოვ ბენეფ ბენეფ ბენეფ ბენეფ ბენეფ ბენ
რეფის შეტაკე ლარბეული შეკლიძეების ოჯახს ოე
რამ გადარჩა სამსმოვრო ნაბეჭდ ან ხელნაწერ
(ლეოსმაბოლის ერთი ბატის გარდა), ისიც გაბა-
რეს და დაკარგეს, მორანის ადგურში სიმბლის
ნაკადენიანი მატარებლის ხიდთან თავმარდაცვ
მოლეპმა.

–ეკლ სახელი საკუნეა, ყოველ წელიწად,
15 თებერვალს, მორეს ღიეს, სიმონის ხსენებას
აღნიშნავენ მის ბრაგალეონიანელი მთამბელები
ეკრალი ქალაქელ, ჩანი შეკლიძის სახლში,
რომ აქ მოგიყვანილ და გაგონილ ქალაქელებია
სულიერებენი აღმარდონ მომავალი თაობა.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობისათვის

დამანა ფელიჭიშვილი

დავით აღმაშენებლის ვინაობის თაობაზე ტრადიცია არაფერს ამბობს. იმის გამო, რომ ეს ისტორია „ქართლის ცხოვრების" კრებულში დანარჩენი მატიანეებისათვის გადაუბამთ. მას აკლია შესავალიც და ანდერძიც, სადაც, წესისამებრ, სხვა ცნობებთან ერთად მოხსენებული იქნებოდა მისი ავტორის სახელიც. არც სხვა წყაროებშია დაცული გარკვეული რაიმე ცნობა დავითის ისტორიკოსის ვინაობის შესახებ. ასე რომ ავტორი თხზულებისა „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი" — უცნობია. ამ გარემოებამ დასაბამი მისცა დავითის ისტორიკოსის ვინაობის კვლევას. ბევრი მეცნიერი — ისტორიკოსი თუ ფილოლოგი ცდილა მისი ავტორის ვინაობის გამოცნობას მიახლოებით თუ დაზუსტებით, რისთვისაც მოპყავდათ მეტ-ნაკლებად დამაჯერებელი საბუთები, მკვლევარ ამ საკითხის ირგვლივ დღესაც აზრთა სხვადასხვაობაა.

თვით „ისტორიაზე" დაყრდნობით დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ მისი ავტორი დავით აღმაშენებლის თანამედროვეა, იგი მოსწრე და თვითმხილველია ყველა იმ ამბისა, რომელიც აღწერილი გიორგი II-ის მეფობის ბოლო წლებიდან, დიდი თურქობიდან (1080 წ.) მოყოლებული, დავითის გარდაცვალებამდე და დემეტრეს გამეფებამდე (1125წ.). ამისი დადასტურება „ისტორიიდან" ბევრი ადგილის მოყვანით შეიძლება. თუნდაც „მეოდეგეთ ბევრი ყოველი მოიწია, და თუალითა ჩუენითა ვიხილეთ და ფრიად უფროს ამათ წარმოქმნულთასა, რამეთუ კითარცა ვინ ვამოთქუა თითოეულად, რომელი დღეთა მოიწია ჭირი" /(3) 322, 18/.

„ისტორიის" მიხედვით ცხადია, რომ მისი ავტორი არა მხოლოდ მოსწრე და მხილველია მის მიერ აღწერილი ამბებისა, არამედ ხშირად მონაწილეც: იგი დავით აღმაშენებელთან მეტად დაახლოებული პირია, მუდამ თან ახლავს მას, მშვიდობიანობაშიც და ომიანობაშიც, ახლოს იცნობს მის პირად ცხოვრებას, იცის მისი ყველა ჭვრიტმანი ჩვეულება. ის დაწვრილებით და დიდი გატაცებით აგვიწერს მეტად საინტერესო და სახიფათო თავგადასავლებს. რომლებიც გადახდომია მეფეს ბრძოლებში. მეფის გმირობითა და სიკეთეებით აღტაცებული ავტორი ისეთი ექსპრესიით აღწერს ამ ამბებს, რომ ძალაუნებურად მკითხველიც შეპყავს მოვლენათა შუაგულში და მათ თანამონაწილედ ხდის მას. აი, მაგალითად, როგორ ცხოველდება აღწერილი ეპი-

ზოდი თურქებთან ბრძოლისა: თბილისის მისადგომებთან: ავჭალის ღელეებში სამასიოდე მხედართან ერთად დაბანაკებული დავით მეფე, რომელსაც 15 რჩეული ვაჟაცი გაგზავნა ლოჭინის ხევიდან ნახირის გამოსადენად თურქების გამოტყუების მიზნით, მათი მობრუნების მოლოდინში, ჩვეულებისამებრ, განმარტოდა და ისე „შეექცა ღვთისმეტყველის წიგნის კითხვასა და ესეოდენ წარიტყუენა მისგან გონებითა, რომელ სრულიად დაავიწყდა წინამდებარე საქმე, ვიდრემდის კმა რაიმე კვილისა შემოესმა ყურთა." მაშინ „მყის დაუტევა წიგნი მუნვე და აღმკედრებული მიპყვა მას კმასა და, ვითარცა ზედ წარადგა მონათა თჳსთა, ესევითარსა ღუაწლსა შინა მყოფთა, რამეთუ აშორვიდა სპასთა თჳსთა და, უკუეთუმცა მათდა ცნობად წასრულიყო, მონათა დაუოცდეს, — მსწრაფულ შთაბრიალდა, ვითარცა არწივი და დაბნივნა, ვითარცა კაკაბნი და მსწრაფულ ესეოდენნი მოსწყჳდნა, რომელ მათნი ცხენნი კმა ეკვნეს მონათა მათ. და აღმკედრებულთა, ესეოდენნი მოსრნეს, რომელ მცირედნიღა შეესწრნეს ქალაქს. ხოლო გზანი საესენი იყვნეს მძორითა მათითა და ფრიადისა ცემისაგან ჴრმალმანცა ღულარჭნილმან უარ-ყო ქარქაში თჳსი. მაშინღა მოეიდა სპასთა თჳსთა თანა, რომელნი ფრიად აბრალებდეს მას. განიცადედა ჩემდად, რომელ ესევითარსა საქმესა შინა და ესეოდენ უცალოსა, წიგნივე აქუნდეს უსასწრაფოესად საქმედ" /გე. 350/. ასეთი ლაკონიური და, ამავე დროს, დინამიკური თხრობით ცხოვლად ახასიათებს წიგნის კითხვით გატაცებულსა და მოულოდნელად ბრძოლაში ჩაბმულ მეფეს ავტორი და, ასევე სწრაფად წყვეტს რა თხრობას, დავითის პიროვნების ერთ მეტად დამახასიათებელ თვისებას გახაზავს — წიგნის კითხვის სიყვარულს. დავით მეფის ამ გატაცებაზე სხვაგანაც ლაპარაკობს მემატიანე: მუდმივ ლაშქრობაში მყოფ მეფეს „ჯორთა და აქლემთა ზედა წიგნები ეტვირთა და, სადაც კი გარდაკდის ჰუნესა, პირველ ყოვლისა, წიგნნი მიაქუნდინ ჴელითა და არა დაეცადის კითხვა, ვიდრე არა დაშურის". მწიგნობარ მეფეს ნადირობისასაც კი „წიგნნი აქუნდიან ჴელთა და, რაჟამს ღამი იყვის, მისცნის ვისმე მსახურსა და ესრეთ დევნა-ყოვის და ნუ ეკუე ჰგონო, ვითარმედ ჴელითა ცალიერითა მოიცის, ანუ ცუდად დაშურის. რამეთუ ვინ ჰგავს ჯორციელი ანუ ვინ იხილა ესეოდენ განმარჯვებული ნადირობასა შინა!" — აღტაცებით შესძახებს მემატიანე და აქვე მოიხმობს ისტორიულ-ლიტერატურულ პარალელებს ებრაული, ელინური თუ სპარსული სამყაროდან /იხსენებს მოსიმახოს ებრაელს, ალექსანდრე მაკედონელს, აქილევსს, ბარამ ჯურს/, რათა უფრო ბრწყინვალედ გამოაჩინოს თავისი სათაყვანებელი მეფის გამორჩეულობა ამ გმირთა შორის და დაასკვნას: „გარნა ჭეშმარიტად ვერცა ერთი ამათგანი შეესწორებოდა ამას, ვითარცა გჳხილავსო ჩუენ" /[4] გვ. 348—349/.

ამგვარად, „დავითის ცხოვრებიდან" ნათლად ჩანს, რომ მისი ავტორი ფრიად ერუდირებული, ფართოდ განათლებული და განსწავლული, მხატვრული სიტყვის დიდოსტატია. „ისტორია" მხოლოდ ასეთი ზოგადი დასკვნების შესაძლებლობას იძლევა. სწორედ ასეთი ზოგადი დასკვნებით იფარგლებოდა ივ. ჯავახიშვილი და დავითის ისტორიოსის ვინაობას გაურკვევლად ფიქრობდა რაიმე ახალი ცნობის აღმოჩენამდე: „ვინ იყო ისტორიოსი, რომელმაც დავით აღმაშენებლის ცხოვრება აგვიწერა, ჯერ-ჯერობით არ ვიცითო" /[4] გვ. 208/-წერს იგი. მაგრამ, მიუხედავად წყაროების დუმილისა, იმის შესახებ, თუ ვინ იყო კონკრეტულად დავითის ისტორიის ავტორი, მაინც გამოითქვა

სხვადასხვა, ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრება.

თ. ჟორდანიას ვარაუდით, „დავითის ისტორია დაწერილი უნდა იყოს მასთან დაახლოებული სასულიერო პირის მიერ. კერძოდ: ან იოანე კათალიკოსის, ან სვიმონ ჭყონდიდელის, ან არსენ იყალთოელის მიერ. მათგან ამ უკანასკნელის ბგტორობას იგი გამორიცხავს, რადგანაც დავითის ისტორიაში არსენ იყალთოელი აღმატებული ეპითეტებითაა მოხსენიებული /„მაშინღა მოუწოდა მეუფემანცა... არსენის იყალთოელსა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა" /[4] გვ. 356/. პირველი ორის ავტორობაც, როგორც სამართლიანად აღნიშნავს ჯ. ოდიშელი, თავის სპეციალურ სტატიაში „დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის" /[10]/, გამორიცხულია, რადგანაც ისტორიაში მათ შესახებ მესამე პირშია მოთხრობილი /[4] გვ. 326, 20, 358, 8, 345, 20/ ისევე, როგორც არსენ იყალთოელის შესახებაც.

ს. კაკაბაძის აზრით, დავითის ისტორიკოსი უნდა ყოფილიყო დავითის ანდერძებში მოხსენიებული არსენ ბერი /[5]/, რომელიც, თითქოს მისი მობძღვარიც უნდა ყოფილიყო უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში. მაგრამ არსენ ბერი რომ არ ყოფილა დავითის მობძღვარი მისი სიცოცხლის უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში, ამაზე მიუთითებს დავით მეფის ანდერძი შიო მღვიმის მონასტრისადმი, სადაც მეფის მობძღვრად იოანეა მოხსენიებული, როგორც ჩანს იგივე იოანე, რომელზეც ლაპარაკობს თვით დავითის ისტორიკოსი: „თჳსსა მობძღვარსა იოანეს მისცა ოღესმე დრაკანი, ეთთარ ოცდაოთხი ათასი, რათა განუყოს გლახაკთაო" /353,15/.

კ. კეკელიძე იზიარებს ს. კაკაბაძის მოსაზრებას არსენ ბერის ავტორობის შესახებ, მაგრამ ამის დასამტკიცებლად რაიმე საბუთი არ მოაქვს. ჯ. ოდიშელი ზემოთდასახელებულ ნაშრომში თითქოს საკმაოდ ლოგიკურად ასაბუთებს, რომ დავითის ცხოვრების ავტორი სწორედ არსენ ბერი უნდა იყოს: მაგ. ის, რომ რუის-ურბნისის ძეგლისწერასა /რომლის შემადგენელია არსენ ბერია/, და დავითის ისტორიკოსის თხზულებაში სრულიად იდენტური აზრებია გამოთქმული სომეხთა მწვალებლობის შესახებ, მეფის ღვთისსწორობის იდეა გამოვლენილი როგორც დავითის ისტორიკოსისა თხზულებაში, ისევე „შესხმაში" „მეფესა დავითს მონაზონი არსენი". ამ უკანასკნელში შეფარვითაა ნათქვამი, რომ დავითი არის „ბუნებით ღმერთი მადლით ღმერთქმნილთა შორისო", რაც ზუსტ ანალოგიას პოულობს დავითის ისტორიკოსის სიტყვებთან, „მოუწოდა ღმერთმან"... დავითს, „სადა თჳთ იგი ბუნებით ღმერთი მეუფებს მადლით ღმერთქმნილთა ზედაო" /გვ. 362,16/, ოღონდ აქ „ბუნებით ღმერთი შეეე იესოა, ხოლო დავითი „მადლით ღმერთქმნილთა შორისაა ჩარიცხული /218—219/. ავტორი იშველიებს აგრეთვე ორიოდე სტილისტური ხასიათის პარალელს 1123 წლის დავითის ანდერძსა /რომელიც, როგორც ცნობილია, არსენ ბერის პირითაა გადმოცემული/ და მის „ცხოვრებას" შორის. დასაბუთება თითქოს ლოგიკურია, მაგრამ არასაკმარისია ავტორთა იდენტურობის დასამტკიცებლად, რადგანაც მსოფლმხედველობრივ-სტილისტური მსგავსებანი ერთი ეპოქის, ერთი მიმართულებისა თუ სკოლის სხვადასხვა წარმომადგენელთა თხზულებებში ხავსებით მოსალოდნელი და ბუნებრივია და, მართლაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ბევრი მსგავსებაა როგორც მსოფლმხედველობრივი, ისე ენობრივ-სტილისტური ხასიათისა ერთი მხრივ დავითის ისტორიასა და, მეორე მხრივ, დავითის ანდერძებსა და რუის-ურბნისის ძეგლისწერას შორის, ყველა ამათსა და „დიდი სჯულის კანონს" შორის.

ხოლო, როგორც ცნობილია, ორივ. უკანასკნელის. ავტორი. არსენ იყალთოელია, ანდერძების დამწერად კი არსენ ბერი ივარაუდება სამეცნიერო ლიტერატურაში. კიდევ მეტი: მსოფლმხედველობრივი და ლიტერატურულ-სტილისტური თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტი მსგავსება შეინიშნება დავითის ისტორიკოსისა და იოანე პეტრიწის ნაწერებს შორის, მაგრამ მსგავსებებთან ერთად მნიშვნელოვანი განსხვავებანიცაა, რასაც ავტორთა იგივეობის დასამტკიცებლად თუ გამოსარიცხავად გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ ამგვარი ძიებების საფუძველზე შესაძლებელია მხოლოდ სათუო ვარაუდის გამოთქმა და არა დაბეჯითებით რაიმეს მტკიცება, თუ მხარს არ გიმაგრებს რაიმე ისტორიული ხასიათის ცნობა. ასეთ ცნობად კი მკვლევარი ივ. ლოლაშვილი მიიჩნევს „ ისტორიათა და აზმათა" ერთ ცნობილ ადგილს, რომლის ახლებური წაკითხვა-ინტერპრეტაციის საფუძველზე დაასკვნის, რომ დავითის ისტორიკოსი იოანე ჭიმჭ ელია, ხოლო იოანე პეტრიწი კი. მისიეე. უფრო ადრე გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, იგივე იოანე პეტრიწია /[7]. გვ. 57.../ ივ. ლოლაშვილის მოსაზრების ძირითადი არგუმენტის სათელსაყოფად მოვიყვანთ მის მიერ განსხვავებულად წაკითხულ ადგილს ორსულებიდან „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი": [თამარის] „შაჰა იქმნა გიორგი, მეფე მეფეთა, ძე დიმიტრი შეფისა, რომელსა დავითცა ესვა ძედ, ძესა დავითიანისასა და აღმოსავლეთისა და კერძო ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღვართა დამდებლისა და ზღუათა ზღუამდინ მპყრობელისა, რომლისა დიდებითა, სიმჯნითა და გუარითა ცხოვრებასა აღმოაჩენს იოანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა" /[2] გვ. 3/.

ეს კონტექსტი თავისი რთული სინტაქსური კონსტრუქციის გამო ორგვარი გაგების შესაძლებლობას იძლევა: იოანე ფილოსოფოსს, ჭიმჭიმელს დაუწერია 1) დემეტრე მეფის „შესხმა მითხრობა და 2) დავით აღმაშენებლის შესხმა-მითხრობა. პირველი წაკითხვით, რომელიც ძველი ქართული ენის კლასიკურ ნორმებს ეშაარება, წინადადებ „რომელსა დავითცა ესუა ძედ, ძესა დავითიანისასა", ჩართულია და ვრცელი განსაზღვრება-ეპითეტები „აღმოსავლეთისა და კერძო ჩრდილოეთისა მეციხოვნე და ზღვართა დამდებელი და ზღუათა ზღუამდინ მპყრობელი" ეკუთვნის დემეტრე მეფეს: „თამარის შამა იყო გიორგი, მეფეთა მეფე, ძე დიმიტრი შეფისა /რომელსაც დავითიც ესვა ძედ, ძესა დავითიანისა/ და/, აღმოსავლეთის ანდა ჩრდილოეთამდე მეციხოვნისა და ზღვარის დამდებისა და ზღვიდან ზღვამდე მპყრობელისა". ეს ასეც იყო გაგებული და ჭიმჭიმელის აქ დასახელებული „შესხმა-მითხრობის" საგნად ისტორიოგრაფიაში მიჩნეული იყო დემეტრე მეფე. ხოლო, რადგანაც მის შესახებ მსგავსი ნაწარმოები ჩვენამდე არ მოღწეულა /თუ არ ჩავთვლით სვინაქსარულ ხაკითხავს „ცხოვრება დიმიტრი მეფისა"/, ხსენებული „შესხმა-მითხრობა" დაკარგულად მიაჩნიათ.

მეორე წაკითხვით, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, ივანე ლოლაშვილს ეკუთვნის, ამ „შესხმა მითხრობის" ობიექტი დავით აღმაშენებელია, რადგანაც ზემოთმოყვანილი ეპითეტები ეკუთვნის დავით აღმაშენებელს, რომელიც ამ ცნობაში, მისი აზრით, „სახელდებით არ. არის დასახელებული, არამედ ისტორიკოსი მას ეპითეტებით ამკობს". მკვლევარის აზრით, „შინაარსიდან ჩანს, რომ „დავითიანი და აღმოსავლეთისა და კერძო-ჩრდილოეთისა მეციხოვნე და ზღუართა დამდებელი ძა ზღუათაგან ზღუამდის მპყრობელი" არის დავით

აღმაშენებელი." ([7] გვ. 61). მაგრამ ამ მეტად მიმზიდველ პიპოთეზას (ამ ეპითეტებიდან „ზღუართა დამდებელი" დავით მეფეს უფრო შეეფერება, ვიდრე დემეტრეს, დანარჩენი კი ორივესთვის თანაბრად სამართლიანია) ერთი გარემოება უშლის ხელს: კლასიკური ქართული ენის ნორმების მიხედვით მომდევნო მართული მსაზღვრელების რიგიდან თუ ყველა არა, პირველი და უკანასკნელი მაინც აუცილებლად ეთანხმება თავის წინამავალ საზღვრულს (ანუ ამ შემთხვევაში, თუ ეს ეპითეტები დავითის კუთვნილებაა, მაშინ ზემოთმოყვანილ ფრაზაში „ძის" ბოლო მსაზღვრელი მპყრობელისა" ისევე უნდა ეთანხმებოდეს მას მიცემითს ბრუნვაში, როგორც პირველი მსაზღვრელი „დავითიანისასა", ე. ი. უნდა იყოს: „ძესა დავითიანისასა და... ზღუათა ზღუამდინ მპყრობელისასა" და არა „მპყრობელისა", როგორც ტექსტშია. მაგრამ შეიძლება სიტყვა მოგონ: „ისტორიანი და აზმანი" ხომ XII საუკუნის მეწურულის თხზულებაა, როდესაც კლასიკური ენის ნორმების რღვევა უკვე დაწყებულია და შესაძლებელია აქ სწორედ ასეთ ვითარებასთან გვქონდეს საქმე. მაგრამ საქმე ისაა, რომ, სხვა მსგავს შემთხვევებში „ისტორიათა და აზმათა" ამ პირველი ნაწილის ავტორი, ჩვეულებრივ, იცავს ძველი ქართულის ზემოთდასახელებულ ნორმას (იხ., მაგ. 2 გვ. 13, 15, 9,6, 2,13—14...). ამგვარად, ივ. ლოლაშვილისეული წაკითხვა მხოლოდ მაშინ იქნებოდა დასაშვები, როდესაც ენობრივ ნორმას დარღვეულად მივიჩნევთ, რაც გამორიცხული არ არის, მაგრამ არც აუცილებელია. ამგვარად, ივ. ლოლაშვილისეული წაკითხვის სისწორე სათუო ხდება და ძალა არ ეკარგება პირველ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც იოანე ჭიმჭიმელი დემეტრე მეფის „შესხმა-მოსხრობის" ავტორია და არა დავით აღმაშენებლისა (გვ. 010—014). ამასთანავე, ჯერ კიდევ დასამტკიცებელია და მხოლოდ სავარაუდოა იოანე ჭიმჭიმელისა და იოანე პეტრიწის იგივეობა, თუმცა ამ პიპოთეზის სასარგებლოდ ლაპარაკობს ანტონ კათალიკოსიდან მოყოლებული ტრადიცია, რომლის მიხედვითაც იოანე ჭიმჭიმელი ფილოსოფოსი ზედწოდებით პეტრიწია /ანტონ კათალიკოსის ანბანიკოს სათაურია: „თჳს იოანე ფილოსოფოსისა, პეტრიწისა-ჭიმჭიმელისა"/ და, გარდა ამისა, ენობრივი-სტილისტური მსგავსებანიც პეტრიწისა და ჭიმჭიმელის სახელით ცნობილ ნაწარმოებებს შორის. როგორც ზემოთ ვთქვით, საკმაოდ მნიშვნელოვანი ენობრივ-სტილისტური მსგავსება-პარალელების მოყვანა შეიძლება ნაწერებსა და დავითის ისტორიას შორის, განსხვავებანიც თითქოს ეანრობრივ სხვაობის ფარგლებში შეიძლებოდა მოგვექცია, პეტრიწის განსწავლულობა-ფილოსოფოსობაც თითქოს ერთ-ერთი ხელშემწყობი არგუმენტია მისი ავტორობის ვარაუდის გასაზიარებლად, რადგანაც ამ ეპოქაში შეფეთა ისტორიებს სწორედ ფილოსოფოსები და უნივერსალური განათლების მქონე პიროვნებები წერდნენ (მაგალითად თუნდაც მიქაელ პსელლოსიც ეპარა), ამას ისიც ემატება, რომ იოანე ფილოსოფოსი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დავითის გამგონეობასა და წყალობას მინდობილი" ეწეოდა თავის ფილოსოფიურსა ლა თეოლოგიურ მოღვაწეობას, თავის „თანამეტომეთაგან" თანადგომასა და შეწევნას". მოკლებული. იგი აღტაცებული თაყვანისმცემელი. იყო დავითის პიროვნებისა და მისი ქველი საქმეებისა, მაგრამ ყოველივე ეს მაინც არ გვაძლევს უფლებას, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რომ სწორედ

ოგია „ისტორიის" ავტორი (მას შემდეგ, რაც „ისტორიათა და ანბანთა" ზემოთ-განხილული ცნობა ორასწლოვანი ინტერპრეტაციის ობიექტად იქცა) და აი რატომ: იოანე პეტრიწს უდიდესი გავლენა ჰქონდა თავისი დროისა და მომდევნო ეპოქების მწეროლობაზე როგორც ენის, ისე მსოფლმხედველობის მხრივ (ამის საბუთად „ეკუთხისტყაოსანის ავტორიც ეძარა). გელათის სამონასტრო-ფილოსოფიურმა სკოლამ, „რომელსაცა შინა მრავალი ქართველი განისწავლებოდა სიბრძნის-მოყვარებასა ზედა", სათავე დაუდო გელათურ (პეტრიწულ) ლიტერატურულ-ენობრივ სტილს, რომლის თეორიული საფუძვლები გამომუშავებულ იქნა იოანე პეტრიწის მიერ გელათის სამონასტრო სკოლაში, ანუ როგორც მას ხშირად უწოდებენ, გელათის აკადემიაში, რომელიც ქართული კულტურისა და ლიტერატურის ისტორიაში ელინოფილური მიმართულების ერთ-ერთ მძლავრსა და მნიშვნელოვან შტოს წარმოადგენს მეშვიდენარეობა სრულიად გარკვეული, რენესანსული სულისა და თეოლოგიაში რაციონალისტური მიმართულების მისანდასახული მუშაობა, რომლის ძირითადი წარმმართველი და განმსაზღვრელი ამ სკოლის არსებობის მთელ მანძილზე იოანე პეტრიწის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, ლიტერატურულ-თეორიული შეხედულებანი და მთარგმნელობითი ინტერესები იყო: გელათში იოანე პეტრიწმა მოიტანა ის ცოდნა და სული, რომელსაც იგი ბიზანტიის საჭეშეფო ქალაქში, კონსტანტინოპოლში, მიქელ პსელოსისა და იოანე იტალოსის წრეში ესხარა: ამ ატმოსფეროში იზრდებოდა და ყალიბდებოდა დავითისა და მისი მომდევნო ეპოქის ქართული ინტელექტუალური ელიტა. ამიტომ XI—XII საუკუნეთა საქართველოში არა ერთი და ორი პიროვნება იქცეოდა ელინურ ფილოსოფიაში თუ ქრისტიანულ თეოლოგიაში ღრმად განსწავლული პირი, ხოლო დავითის კარზე პროგრესულად მოაზროვნე მეფის (რომლის ნაწერებსაც ასევე ეტყობა გელათური სკოლის კვალი) თანამოაზრე და თაყვანისმცემელი მოღვაწე, რომელთაც, თუ შეიძლება ითქვას, ერთი ლიტერატურული წრე პქონდათ და მსგავს შეხედულებებს გამოთქვამდნენ თავიანთ თხზულებებში. ასეთ შემთხვევაში ამ ეპოქის მოღვაწე-მწერალთა ერთ და ორ პიროვნებაზე დაყვანა (რაც უნდა დიდი პიროვნება იყოს იგი და რაც უნდა მიმზიდველი იყოს ასეთი იდენტიფიკაცია), როდესაც სხვა დამატებითი უფრო მტკიცე საბუთები (ისტორიული წყაროები და ცნობები...) არა გვაქვს ხელთ, მეთოდოლოგიურად მცდარად და მიუღებლად მიგვაჩნია /ამით უფრო, რომ მსგავსი იდენტიფიკაციები აღარიბებენ ჩვენი ლიტერატურის ისტორიას/. ამასთანავე, საჭიროა გამოწელილვით იქნეს შესწავლილი XI—XIII საუკუნეთა ლიტერატურული სკოლების ენობრივი სტილი ერთმანეთთან შეპირისპირებით და თუკი ერთი სკოლის შიგნით სხვადასხვა ცნობილ თუ ანონიმურ ავტორთა ენა და მსოფლმხედველობა, იმისთვის, რომ მსგავსი ეარაუდის გამოთქმის უფლება გვქონდეს.

ქვემოთ მოკლედ წარმოადგენთ ამგვარი შეპირისპირებით ანალიზის შედეგებს „დავითის ისტორიის" ენასა და სტილთან დაკავშირებით.

დავითის ისტორიკოსი როგორც აზროვნებისა და მსოფლმხედველობით, ასევე ენობრივ-სტილისტური თვალსაზრისით გელათის სკოლის წარმომადგენელია. როგორც ზემოთაც ვთქვით, გელათში სუფევდა ის რენესანსული სული, რომელიც იმ დროის ბიზანტიის მოწინავე, პროგრესულად მოაზროვნე კლიტარულ წრეებს ასაზრდოებდა, ამ ეპოქისათვის დაშახასიათებელია ავტორისა (თუ მთარგმნელის) როლისა და მისი ტექსტისა თუ აღწერილი ამბი-

სადმი სუბიექტური დამოკიდებულების წინ წამოწევა. ისტორიოგრაფიაში საფუძველი ეურება მოვლენათა მეშუარულ აღწერას, როდესაც აკტორი არის არა მხოლოდ მოამბე და თვითმხილველი მის მიერ აღწერილი ამბებისა, არამედ იგი არის პიროვნება, რომელიც საკუთარ შეხედულებას აძლევს ამ მოვლენებს და საკუთარ აზრს აყალიბებს მათ შესახებ. ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს სწორედ დავითის ისტორიკოსი, რომელიც კრიტიკულად აფასებს დავითის მამის, გიორგი II-ის მოღვაწეობას ([4] გვ. 318–320), ხმამაღლა აცხადებს თავის დამოკიდებულობას ქართველთა გაუტანელი და ორგული ბუნების გამო მეფეთა /და კერძოდ, ამ შემთხვევაში დავით მეფის/ მიმართ ([4], გვ. 359). ასევე, სუბიექტურ განცდებისა და ტკივილების გადმოცემას არ ერიდება იოანე პეტრიწიც, რომელიც უჩივის რა თავის თანამედროვე ქართველთა შურსა და გა_ ბნლობას, ამბობს: იმის მაგიერად, რომ ნუკეში ეცათ, თანადგომა და თანაძღომა გაეწიათ, „თუალსა ჩემსა უმსირდეს სალა-ურჯოდ სულისა ჩემისადო“ ([1] გვ. 222).

„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“, გარდა იმისა, რომ დავით აღმაშენებლის დროის ამბებს აღწერს, მეფის ქებათა-ქებას შეიცავს. აქედან, ცხადია, რომ ენა მისი ავტორისა, რომელსაც სრულყოფილი ხოტბის იერაღად „რიტორების ხელოვნება“ მიაჩნია, მდიდარია მაღალმხატვრული ხერხებით, სახეებით, შედარებებით, ეპითეტებით, მეტაფორებით, პიპერბოლებით. ამ ხერხთა სიუხვითა და სიმრავლით, აღზევებული და მაღალი სტილით გამოირჩევა იოანე პეტრიწის ორიგინალური ნაშრომის „განმარტების“ ენაც ([9] გვ. 202–209).

ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს ისტორიკოსის სტილი ვიწრო მნიშვნელობით, რაც გამოიხატება ენაში არსებულ სინონიმურ მორფოლოგიურ საშუალებათა და სინტაქსურ კონსტრუქციათა თავისებურ შერჩევაში. ამ მხრივ დავითის ისტორიკოსსა და იოანე პეტრიწს შორის ზოგი რამ საერთო და მსგავსია, ზოგი კი განსხვავებული.

როგორც ვთქვით, დავითის ისტორია იმ ენობრივ-სტილისტურ ნიშნებით ხასიათდება, რომლებიც გელათის სალიტერატურო სკოლაში ჩამოყალიბდა იოანე პეტრიწის თაოსნობით. ამიტომაც ასე თვალში საცემია საგანგებოდ შერჩეულ ენობრივ ფორმათა და ძველენათა და არაორდინალურ სინტაქსურ წყობათა უტრირებისა და სტილიზაციისკენ მისი მიდრეკილება, რაც საერთოდ დამახასიათებელია სკოლის ძეგლების ავტორისა. ეს ძირითადად ეხება ლექსიკას, სიტყვაწარმოების სფეროს, მიმღეობათა წარმოების არქაულ მოდელებს, განკერძოებულ განსაზღვრებიან მიმღეობურ კონსტრუქციებს, სიტყვათა ნაწილაკთა არაორდინალურ რიგებს და სხვ.

გელათის სალიტერატურო სკოლის მოღვაწეთა შემოქმედებითი პრინციპი, რომელიც მდგომარეობს ენისადმი დამამ, თავისუფალ შემოქმედებითს მიდგომაში, ენის შესაძლებლობათა წარმოჩენასა და მათს ახლებურ რეალიზაციაში, უსაზღვროდ ფართო გასაქანს აძლევდა თავისთავად მდიდარ და მრავალფეროვან ქართულ სიტყვაწარმოებას, საშუალებას იძლეოდა მაქსიმალურად გამოეშზეურებინათ და გამოეყენებინათ მისი შესაძლებლობანი. გაეცოცხლებინათ არქაული, მივიწყებული და გაქვავებული ფორმები და ძირძელები, ამასთანავე ერთად, გზა გაეხსნათ ცოცხალ, სალაპარაკო ენაში არსებული პერსპექტიული ფორმებისათვის. სწორედ აქედან ბოდის პეტრიწისა და გელათის სკოლის სხვა მოღვაწეთა მიერ უზუალური აფიქსების ნაცვლად არქაული

და დიალექტური აფიქსებისა და საერთოდ, მოდელების გააქტიურება (იხ. [9]).

ყველაზე დიდ ასპარეზს ამ მხრივ იძლეოდა მიმღეობურ ფორმათა წარმოებების დიდი მრავალფეროვნება ქართულში. არქაული, მოკლე მოდელების მოშველიებით იქმნებოდა ახალ ცნებათა შესატყვისი ახალი ლექსიკური ერთეულები, ფილოსოფიური ტერმინები /მაცნე, გამგე, გამგონე-გასაგონი, ქედინი, მეტრფე-სატრფო, მოსწრაფე, მეწადე... ტიპისა/. ამ ტიპის მოდელები გელათის აკადემიის მოღვაწეებმა განახოგადეს და გააერცელეს არამეცნიერულ ლექსიკაზეც /ამის მაგალითად „ევეფხისტყაოსნის" ლექსიკაც კმარა, რომ აღარაფერი ვთქვათ მეხოტბეთა ენაზე/ ამავე გზას მისდევს დავითის ისტორიკოსიც, რომელიც გელათური ესობრივ-ლიტერატურული სტილის წარმომადგენელი:

შეწირნა ღმერთისა სახსენოდ (გვ. 330,10), იყო ყოველთაგან სიკრძალეაე და სარიდო (გვ. 355, 18). ასევე: მბრძოლი, მეჯუელი, უძილი. უწყინო, საიცხი და სხვ. (შდრ. [8] გვ. 113—129)...

ბრუნვის ნიშნიანი, თანდებულიანი და წინდებულიანი დერივაცია, რომელიც მეტად პროდუქტიულია ფილოსოფიური დარგის ლექსიკაში აქაც გააქტიურებულია საერთო ტენდენციისა და სტილიზაციის საფუძველზე: განერწყნალითა ჯ რჯ ნითა (გვ. 362,13,) დადგრომათა მათ თანა (გვ. 347,9), მოსეს-ბრენი გვაუწყებენ ბჭობანი (გვ. 352,7), ტიტოს—მეორნი მეტომეთა—ზედანი ჭირნი ძისცნა აღწერასა (გვ. 342,4), იქმნენ თანაერთუმა (გვ. 356,15), ზედამდგომელნი მათნი (331,12,) ასევე: წინამდგომი, წინამბრძოლი, ქუდამზიდველი და სხვ. (შდრ. (ზ) გვ. 99—107, 145—147...)

„ცხოვრება" ძირითადად ბუნებრივი ქართული სინტაქსური კონსტრუქციებითაა დაწერილი მაგრამ არცთუ იშვიათად ავტორი იყენებს ე. წ. შეკუმშულ კონსტრუქციებს: განკერძოებული განსაზღვრებების შემცველ მიმღეობიან წინადადებებს, ასეთი კონსტრუქციები საერთოდ დამახასიათებელია ელინოფილური მიმართულების თარგმანისათვის და, განსაკუთრებით კი გელათის სკოლის როგორც თარგმნილი, ისე ორიგინალური ძეგლებისათვის.

მიმღეობური კონსტრუქციები, სადაც მიმღეობა თავისი მიმყოლი სიტყვებითური მთელი დამოკიდებული წინადადების მაგივრობას ეწევა, ანრის მოკლედ და სხარტად, პიპოტაქსური შინაარსის შეკუმშული ფორმით გადმოცემას ემსახურება. ეს კონსტრუქციები, მეტად დამახასიათებელი ბერძნული ენის, განსაკუთრებით კი, ფილოსოფიური ენის სინტაქსისათვის, უცხოა ქართული ენის ისტორიული სინტაქსისათვის ეს ეხება განსაკუთრებით სასუბიექტო მიმღეობის შემცველ კონსტრუქციებს, რომორიცაა: მეტყველი, დამწყებელი დამცული და სხვ. მაგ: ეკლესიასტე, ბუნებითმეტყველებისა შემბები, გაპოაცხადებს აწინდელისა ცხოვრებისა ამაოებასა ([1] გვ. 226,33), მაგრამ მეტად მოხერხებულია მეცნიერული მსჯელობისას ვრცელი სილოგისტური რიგის მოკლე, შეკუმშული სახით გადმოცემისათვის. მით უფრო, თუ ისინი პერიოდულად ენაცვლება რთულ, პიპოტაქსურ კონსტრუქციათა ვრცელ რიგს, თხრობის რიტმი იცვლება და ფრაზა დინამიკური და ექსპრესიული ხდება. ეს სტილისტური ხერხი გელათის სალიტერატურო სკოლის ძეგლებში, განსაკუთრებით გეიანი ხანისა, ხედმეტად უტრირებულია და ხშირად ამძიმებს კოდეკსს და გაუგებარს ხდის ტექსტს, მაგრამ დავითის ისტორიკოსს იგი მისთვის ჩვეული ზომიერებით აქვს გამოყენებული:

შემდგომად სამ დღე ნაპტკნარსა და სისხლისასა აღმომყოფელსა. მოქცა სული (361,19—20), და იყო შემბმელი კაცი ორმოცდაათი ათასი (343,8) და მოაკსენეს მოცემა ქალაქისა და ციხეთა ბოვანას წყაროთა ზედა მდგომსა (344,20), და მრავალგზის გუხილავს იგი დამალტობელად ღაწუოა თუსთა ცრემლითა (354,13), სამნი ცხენნი გამოუკლნეს და მეოთხესაც ზედა აჯდომშინ სრულყო მის დღისა ომი (329,11—12), და ესრეთ ფრიად მაბრალობელნი თავისანი მიიქცეს სირცხვლეულნი არღარა-ოდეს მკადრებელნი ამისნი ოდესაც (357,16).

მიმღეობური კონსტრუქციების გამოყენება ერთ-ერთი საშუალებაა რთული კონსტრუქციებისაგან ენის განტვირთვისა, მაგრამ სამაგიეროდ, ასეთი კონსტრუქციები დამოკიდებული წინადადების ფორდი განკერძოებული განსაზღვრებებით ტვირთავს ფრაზას:

გიორგი მეფესა, ყოველსა გარემდგომსა, დაესხნეს უგრძნეულად თურქნი, ამისთუსცა შემოკრიბა გონება, კეთილად და გონიერად გამგონე (335,11) დაესხა თურქთა, რაკსის პირსა მდგომთა და მოსრა სიმრავლე მათი (334,19820) ერთი აღმოსავლეთს, ხოლო მეორე დასავლეთს, ციასროვან ჰაოფლენ სეკროსა, მამისაგან მიმღებელნი მზეებრთა შარავანდედთანი (334,7—8), მათ უკუე ლაშქართა, ესეეითარითა ალაფითა საკუთა მიმავალთა, ენინა-დაემთხვნეს ამირანი (319,10) და სხვ.

სწორედ ამგვარი მიმღეობური კონსტრუქციებითაა გადატვირთული იოანე პეტრიწის ენა ხოლო პლატონ უკუე იტყვს ყოველთა სულსა ([3] 46,1) (იხ. [9] გვ. 191 და შმდ.). მაგრამ ასეთივე კონსტრუქციები ხშირია არსენ იყალთოელის ნაწერებშიც და სილალთა აღუდგა მას არა უმჯობესთა მისთა, არამედ ფრიად უდარესთა მკუმეველი სჯულთაჲ (ხრონ. 35,32), და იაკობს, წარმპარველსა კურთხევისასა, პრქუა მამამან (ხრონ, 43,25), სახელისაებრ თუსისა სპასად უწოდა მათ, მიმღებელმან ასურასტანელთაგან მეფობისამანცა და სახელისამან (ხრონ. 6,1)...

აღსანიშნავია, რომ საერთოდ, ელინოფილური მიმართულების თარგმანებში წინადადების ფარდ მიმღეობებად ხშირად „მეტყველება" წრის ზმნები გვხვდება, რაც აშკარად ბერძნული ენის გავლენიფ აიხსნება. მაგ. უქმ პყოფს, მეტყველი ესთა „ტიმეოსა" შორის ([1] 47,28), ღაღადებს, მეტყველი ვითარმედ... ([1] 218,29), ხოლო ამმონიოს, საძინებელსა ამას ესრეთ დაპკუნის, მთქმელი, ვითარმედ: ([3] 53,2), და ამას ცხადპყოფს პაველ, ეიეთთუსმე მეტყველი ესრეთ: (47,23), არა ინება ნუგეშისცემა მეტყველმან, ვითარმედ: შთავიდა ძისა ჩემისა მიმართ მგლოვარე ჯოჯოხეთად (37,34)...

ხშირია ასეთი მაგალითები დავითის „ისტორიაშიც":

კუალად სხუასა ბრალობასა შემოიღებენ, მეტყველნი ესრეთ: (გვ. 359, 14), ალიარეს ცხადად მძლეობა თუსი, ამისთა ოდენ მეტყველთა, ვითარმედ)... (357,12), თუთ მოიხადეს განჩინება რისხვისა, ქადებული უსჯულოთათჳს ესაიას მიერ, მეტყველისა ესრეთ: (322,12) და სხვ.

წინადადებაში სიტყვათა ორიგინალური განლაგების დარღვევა (მსაზღვრელ-საზღვრულის გათიშვა ზმნით, შემასმენლის გადასმა წინადადების თავში და სხვ) და გაბმულ ტექსტში სიტყვათა უჩვეულო წყობის პერიოდული შენაცვლება ჩვეულებრივი წყობისათვის მწერლის სტილის მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ასე, მაგ, მსაზღვრელ-საზღვრული, ჩვეულებრივ, ერთმანე-

თან უშუალო მეზობლობაშია, ხოლო ზმნა კი წინადადების ბოლოში. ასეთი წყობის წინადადებები სტილისტურად ნეიტრალურია, ისინი მოკლებულნი არიან ექსპრესიულობას, რადგანაც ფრაფრით არ გამოირჩევიან, ჩვეულებრივნია, მაგრამ იშვიათად ძველი ქართული ენის ძეგლებში (შესაძლებელია, სათარგმნი დედნის გავლენით) ზმნა წინადადების დასაწყისშიც გვხვდება, ხოლო მსაზღვრელ-საზღვრული გათიშულია ზმნით „აწ მასვე სიტყუასა მოვიდეთ სახარებისასა" (სინ. მრავალ). იოანე პეტრიწისა და მისი სკოლიდან გამოსულ ძეგლებში ეს მოვლენა უტრირებულია და ხაზგასმულად სტილისტური ფუნქციით არის გამოყენებული: ამ გზით ძლიერი ეფექტი მიიღწევა, რადგანაც სიტყვათა წყობის ტრაფარეტის დარღვევით ფრაზას ეძლევა უცხო, უჩვეულო, სპეციფიკური ინტონაცია, განსხვავებული ნეიტრალურისაგან, რის შედეგადაც მკვეთრად იზრდება ფრაზის დინამიზმი და ძლიერდება მისი ექსპრესიულობა: უსახოსაცა და ურმელოსა წარმოაჩენს ნიეოსა ([1] 43,9), ბუნებით თანმეჯოგედ ცხოველად შეიქმნა კაცი ([3] 16,4). ფრაზის დინამიზმი და ექსპრესიულობა კიდევ უფრო იზრდება, როდესაც წინ გადასმულ შემასმენელს სხვისა სიტყვის ონაწილაკიც დაერთვის. ასეთი შემთხვევები ძველი ქართული ენის ძეგლებშიც გვხვდება, განმზადაო თჳსი იგი ტაბლაჲ (სოლომ. 195,31), მაგრამ მათ, როგორც სტილისტურ ხერხს მიაგნო და უტრირება მოახდინა იოანე პეტრიწმა („მაშინღა ვიტყჳო ცნობად, ოდეს მიზეზნი ჯიუწყნეთო და დასაბამნი საქმეთანი ([1] 42,1), ნიადაგ მესხუაესა ნიეოსა პგავსო ნიეთი ([1] 105,2)... როდესაც მსგავსი წყობის წინადადება ენაცვლება წინამავალ ნეიტრალური წყობის წინადადებათა სიმრავლეს, თხრობითი წინადადებისათვის დამახასიათებელი მონოტონურობა იცვლება ახალი, უცხო ინტონაციით, ფრაზა იძაბება და ცოცხლდება და, ამგვარად მიიღწევა ამაღლებული, საზეიმო სტილი, დამახასიათებელი სწორედ მეუფეთა „შესხმა-მითხრობათათვის".

მოსიმახოს ვინმე ითქუმის ებრაელი, მოისრობის და კეთილმმართველობისათვის აღექსანდრეს სპათა შორის მჯობად (348,17), თჳთ მოსესმოიერსნი გვაუწყებენ ბჭობანი და თხრობანი (359,7—8), უპასუხო ყენა და ყოველად უსიტყვულ (357,1), სილრმეთა სადამე შესრულ ხართ და უცნაურთა ხედვათა (357,1). არცა მშჳღდი თაეს იდებსო ბარადის გარდაცმულობასა, არცა ძალი ორღანოსა მარადის განსხირპულობასა (357,20), არცაღა გჳწოდეთო მწუალებელად, და არცა შეეუაჩუნებდეთ (356,17).

სხვა სტილური მახასიათებლებიცაა საერთო დავითის ისტორიკოსისა და იოანე პეტრიწის ენისათვის (მაგ. ც ნაწილაკის გამოყენება და კავშირის ფუნქციით, პასიური კონსტრუქციის ხშირი ხმარება...) მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვით, მსგავსი მოვლენები მეტ-ნაკლებად საერთოდ დამახასიათებელია გელათის სკოლიდან გამოსული ძეგლების ენისათვის.

აღსანიშნავია კიდევ ერთი დამახასიათებელი, თუ შეიძლება ითქვას, ჩვეება, დავითის ისტორიკოსისა (რომელსაც განსაკუთრებით უსვამს ხაზს ივ. ლოლაშვილი): გარკვეული ამბის თხრობას, სანამ მომდევნო ამბავზე გადავიდოდეს, იგი ზოგჯერ ამთავრებს შემაჯამებელი სიტყვებით: „და ესენი ეიოდენ" (342, 17, 350,17) „და ესენი ესრეთ და ფრიადცა უსჯრეს" (321,1). იოანე პეტრწისადმიც ძალიან დამახასიათებელია ერცელი დასაბუთება-მსჯელობის დამთავრების ასეთი შემაჯამებელი გამოთქმები: „ესე ესრეთ" (100,18), „და ესე ამრა თჳს" ([1] 6.18) უფრო ხშირად პეტრიწი ამ დასკვნითს ტრაფარე-

ტულ გამოთქმებს განხილულ საკითხებზე მითითებით აერცობს: „და ესე განუკუეთელისათჳს შეისწავე ([1] 22,15), და ესე ყოველი სატრფოისათჳს საღმრთოისა თანწარელის სახედ იმღდელმოქმედა ან ჩუენ მიერ ([1] 35,13). ეს გამოთქმა-ტრაფარეტები საერთოდ დამახასიათებელია სასაუბრო კილოსათვის, რომელიც თავიდან ბოლომდე გასდევს როგორც იოანე პეტრიწის „განმარტებას, ასევე დავით აღმაშენებლის „ცხოვრებას".

ამგვარად, ზემოთწარმოდგენილი ენობრივ-სტილისტური მახასიათებლები საერთოა გელათის სკოლის ლიტერატურული ძეგლებისათვის და ამიტომ ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჯერ-ჯერობით მხოლოდ ეს დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ დავითის ისტორიკოსი იოანე პეტრიწის თანამოაზრე და მის სკოლას ზიარებული პირი ყოფილა.

დამოწმებული ძეგლები და სამეცნიერო ლიტერატურა

1. იოანე პეტრიწი, შრომები, ტ. II, განმარტებანი პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს, ტექსტი გამოსცემს ს. ყაუხჩიშვილმა და შ. ნუკუბიძემ, თბ., 1937.

2. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, „ქართლის ცხოვრება". ტ.II ტექსტი დაადგინა და გამოსცა სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ 1959.

3. ნემესიოს ემესელი, ბუნებისათას კაცისა, თარგმანი იოანე პეტრიწისა, გამოსცა ს. გიორგაძემ, თბ. 1914.

4. ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი, „ქართლის ცხოვრება". ტ. I, ტექსტი დაადგინა და გამოსცა სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბ. 1955.

5. კაკაბაძე ს. დავით აღმაშენებლის მემატიანის ვინაობა, თბ. 1913.

6. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ. 1960.

7. ლოლაშვილი ივ., იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივ. ლოლაშვილმა, თბ. 1968.

8. მელიქიშვილი დ. იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ. 1975.

�თ, რომ კონსტანტინეპოლისა და პეტრიწონის სკოლები განშტოებანი უნდა ყოფილიყო ელინოფილური მიმართულებისა და დამცველი იმ მთარგმნელობითი პრინციპებისა, რომლებიც შავი მთის ფილოლოგიურ სკოლაში ეფრემ მცირის თაოსნობით ჩამოყალიბდა.

ამავე დროს ჩვენს ხელთაა გელათის სალიტერატურო სკოლაში იოანე პეტრიწის უშუალო მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით შექმნილი და თარგმნილი, მისი მიმდევრების ნამოღვაწარი თუ გადაწერილი უამრავი სრულიად გარკვეული მიმართულებისა და ხასიათის ლიტერატურული ძეგლი. ისინი შესრულებულია პეტრიწის მიერ გამომუშავებული სტილით. ამ სტილისათვის კი დამკვიდრებულია სახელწოდება „პეტრიწონული", რაც ვერ ასახავს საქმის რეალურ ვითარებას და რაზედაც თავის დროზე გაამახვილა ყურადღება ივანე ლოლაშვილმა, რომელიც სამართლიანად სვამდა საკითხს ორი სხვადასხვა შინაარსის ცნების — „პეტრიწონულისა" (რაც პეტრიწონის მონასტერს გულისხმობს) და „პეტრიწულის" (რაც გელათის სამონასტრო სკოლასთანაა დაკავშირებული) გამიჯვნისას[1]. როდესაც „პეტრიწონულ" სტილზე ლაპარაკობენ, ძირითადად სწორედ გელათში შექმნილი ლიტერატურული პროდუქცია აქვთ მხედველობაში, ამიტომ ჩვენ მართებულად მიგვაჩნია ფორმულირება: „გელათის ლიტერატურულ-ენობრივი სტილი" და „გელათის სკოლის მთარგმნელობითი მეთოდი" — ნაცვლად „პეტრიწონულისა". ამგვარად, ელინოფილურ მიმართულებაში ცალკე გამოიყოფა გელათის ლიტერატურული სკოლა, როგორც საკუთარი ფილოსოფიურ მსოფლმხედველობრივი მიმართულების, ისე დამოუკიდებელი, თვითმყოფადი ენობრივი სტილის დამამკვიდრებელი სალიტერატურო სკოლა. მისთვის დამახასიათებელია:

1. სათარგმნი მასალის შერჩევისას მკვეთრი ტენდენცია ფილოსოფიური და თეოლოგიური ეგზეგეტიკისადმი, საიდანაც მოდის ადეკვატური თარგმანის თეორიის დამუშავება-განვითარება და მისი ჭეშმარიტი გატარება პრაქტიკაში;

2. გამოკვეთილი პოზიცია, ერთი მხრივ — ბერძნული ენის, როგორც „გონიერ ხედვათათვის მომმარჯვი" და ამდენად მისაბაძი მოდელის მიმართ, ხოლო მეორე მხრივ — ხალხური, სალაპარაკო ენის, როგორც ლიტერატურულ-მეცნიერული ენის განვითარებისა და გამდიდრების ძირითადი წყაროს მიმართ;

3. აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია გარკვეული ენობრივი მოვლენებისა და ფორმების უტრირებისა, რაც საბოლოოდ სტილიზაციასა და მანერულობაში გადაიზარდა;

---

[1] ი. ლოლაშვილი, იოანე პეტრიწი-ჭიმჭიმელი, წიგნში: იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ი. ლოლაშვილმა, თბ., 1967, გვ. 65. შემდეგში: ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი.

4. შეგნებული პოზიცია სპეციალური ფილოსოფიური ენის გამომუშავებისა და ფილოსოფიური ტერმინოლოგიის, როგორც სისტემის, ჩამოყალიბების მიმართ.

„ვნატრი ელადსა, თუთ მას გელათსაო“, აღმოხდება „აბულფარაჯიანის“ ავტორს. გელათის, როგორც ქართველთა კულტურულ-ლიტერატურული ცენტრის, ელადასთან შეწყვილება მხოლოდ რიტორის გასამართავად როდი სჭირდებოდა მას. იაკობ გოგებაშვილის მიერ შემოთავაზებული ეტიმოლოგიაც — „გენათი“ ბერძნული სიტყვა და ნიშნავს „დაბადებასო“[2], არ უნდა იყოს სახელწოდებათა უბრალო ბგერითი მსგავსებით (γεννήτης — გენათი) (გელათი) ნაკარნახევი. იგი უნდა მომდინარეობდეს იმ დიდი ტრადიციიდან, რომელიც გელათის სამონასტრო ფილოლოგიურ სკოლას აკავშირებდა იმდროინდელი ბიზანტიის მოწინავე კულტურულ-მეცნიერულ სამყაროსთან. ამ მონასტრის სახელწოდების ბერძნულის მეშვეობით ახსნა უნდა ასაბავდეს იმ ელინოფილურ ტენდენციას, რომელიც მასთან არსებული სკოლის ლიტერატურულსა და საზოგადოებრივ ინტერესებს განსაზღვრავდა.

ყოველივე ეს კარგად იცოდა მე-18 საუკუნის გამოჩენილმა მოღვაწემ, ქართული მეცნიერული აზრის აღორძინების მოთავემ, ანტონ კათალიკოსმა, ამიტომაც ახასიათებდა იგი გელათის სკოლის მამამთავრის, იოანე პეტრიწის მოღვაწეობას შემდეგი სიტყვებით:

„შენ ფილოსოფოსთ საქმე მონასმინანი,
შენ სტოიკებრნი სიტყვთ სპეკალ-მინანი,
შენ პერიპატოთ ცნობანი საღხინანი
მოაქართულენ, ქართლი ჰქმენ ათენანი“. („წყობილსიტყვაობა“, 270)

ადრექრისტიანული აზროვნების ისტორიაში ქრისტიანული დოგმატების ჩამოყალიბების პერიოდი ლათინურ თეოლოგიურ ლიტერატურაში აღბეჭდილი იყო ტერტულიანეს სიმბოლური სიტყვებით — „რა არის საერთო ათენსა და იერუსალიმს შორის?“, რაც ცოდნასა და რწმენას უპირისპირებდა ერთმანეთს. იგი მოითხოვდა, რომ ლოგიკურ აზროვნებას ადგილი დაეთმო რწმენისათვის, რადგანაც სწორედ დია-

---

[2] „ამ მონასტერს ეს სახელი იმიტომ დარქმეულა, რომ იგი აშენებულია ღვთისმშობლის მარიამის სახელობაზედ“ (ი. გოგებაშვილი, გვ. 483). მართლაც, ბერძნული γεννήτης და მონასტრის სახელწოდების ძველი ვარიანტები გ ა ე ნ ა თ ი, გ ე ნ ა თ ი იძლევა ამგვარი ეტიმოლოგიის დაშვების შესაძლებლობას: შეიძლება ვიფიქროთ, რომ სწორედ -ათ სუფიქსით (და არა აღმოსავლეთ საქართველოს ტოპონიმიისათვის დამახასიათებელი -ეთ დაბოლოებით) გაფორმება ამ სახელწოდებისა არის დასავლეთში გავრცელებული -ათ სუფიქსიან ტოპონიმებთან ანალოგია-ადაპტაციის შედეგი (თეკლათი, ჯუმათი, ფერსათი და სხვ.) ამ ბოლო დროს გელათის საინტერესო და საკმაოდ დამაჯერებელი ეტიმოლოგია წარმოადგინა მკვლევარმა ნელი მახარაძემ.

ლექტიკური მსჯელობების გზაზე იბადებოდა მწვალებლური აზრები და ერეტიკული მიმდინარეობანი. ის ეპოქა კი, რომელშიც ყალიბდება და შუშაობს გელათის საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლა, ხასიათდება სრულიად საპირისპირო ტენდენციებით, რაც სიმბოლურად სწორედ ათენისა და იერუსალიმის (ანუ ცოდნისა და რწმენის) ერთიანობაში გამოიხატებოდა. ამ მხრივ, გელათის სკოლა ქრისტიანული აზრის ისტორიაში აგრძელებს აღმოსავლური თეოლოგიის ალექსანდრიული სკოლისა და კაპადოკიური პატრისტიკის ხაზს: კლიმენტი ალექსანდრიელისა, რომელმაც ქრისტიანული აზრის ისტორიაში პირველმა ჩამოაყალიბა ცნობილი პრინციპი რწმენისა და ცოდნის ჰარმონიისა; ორიგენესი, რომელმაც ქრისტიანულ-ფილოსოფიურ სპეკულაციას ჩაუყარა საფუძველი; კაპადოკიელებისა, რომლებიც ნეოპლატონიზმის ქრისტიანიზაციის გზაზე იდგნენ; არეოპაგიტიკისა, რომელმაც არაჩვეულებრივი სიფაქიზითა და ოსტატობით შეასრულა ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანობის სინთეზი; მაქსიმე აღმსარებლისა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ბიზანტიურ-თეოლოგიურ ლიტერატურაში ნეოპლატონური იდეებისა და არეოპაგიტული მოძღვრების გავრცელებაში, და ბოლოს, პსელოსისა, იტალოსისა და მათი მიმდევრებისა, რომლებმაც ეს მიმართულება მე-11-12 სს-თა ბიზანტიაში უფრო საერო და რაციონალისტური გზით განაგითარეს.

როგორც ხელნაწერთა მინაწერები გვაუწყებენ, გელათის მშენებლობა დავით აღმაშენებელს 1106 წლის მახლობლად დაუწყია. თუმცა, როგორც ეს დავითის ანდერძიდან ჩანს, იგი მას თავის სიცოცხლეში ვერ დაუსრულებია („ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძუალე შვილთა ჩემთაჲ უსრულად და წარმყუა მისთჳსცა ტკივილი სამარადისო...“). მისივე ანდერძის თანახმად, იგი სრულყო „შვილმან მისმან დიმიტრი“, მაგრამ გელათის მონასტერი აღმაშენებლის სიცოცხლეშივე იქცა „ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად. მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად“ (ცხ. დ ა ვ ი თ. გვ. 330-331). დავითის ისტორიკოსის მიერ ამ ორი ქალაქის — ათენისა და იერუსალიმის, ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული რწმენის ამ ორ სიმბოლოს, დაკავშირებას საფუძვლად უდევს შუა საუკუნეების ქრისტიანული სამყაროსათვის დამახასიათებელი პრინციპი რწმენისა და ცოდნის ერთიანობისა: სწორედ გელათში მოხდა ანტიკური და ქრისტიანული ტრადიციების შერწყმა, სწორედ აქ ჩაეყარა საფუძველი ანტიკური ფილოსოფიისა და ბიზანტიური ნეოპლატონიზმის შესწავლას. ნეოპლატონიკოსთა მიერ ღამუშავებული არისტოტელეს ლოგიკის გამოყენებას ქრისტიანული მსოფლმხედველობის დასაბუთებისათვის. მემატიანის ცნობით, დავით აღმაშენებელმა აქ „შემოკრიბნა კაცნი, პატიოსანნი ცხორებითა და

შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თჳსთა ოდენ საკეფოთა შინ, პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ, სადა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე. სულიერითა და კორციელითა სათნოებითა აღსავსეობა იძინა და კეთილად გამოიძია და მოიყვანნა და დაამკვიდრნა მჳ, შინა" (ცხ. დავით., გვ. 330-331).

დავითის მიერ აქ მოწვეულ სწავლულთა შორის უნდა ყოფილიყვნენ ალბენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი, რომელნიც, „დავითის გამგონებასა და თანადგომასა მინდობილნი", უნაყოფიერეს ლიტერატურულსა და მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდნენ „კელლიესსა შინა გაენათისასა". იოანე პეტრიწმა გელათში ის იდეები და სული მოიტანა, რომელიც ტრიალებდა იმ დროს ბიზანტიის მოწინავე საზოგადოებრივ-კულტურულ წრეებში, და, კერძოდ, კონსტანტინე მონომახის მიერ განახლებულ მანგანას აკადემიაში. სადაც მოღვაწეობდნენ მიქაელ პსელოსი და იოანე იტალოსი, ბიზანტიის თეოლოგიაში რაციონალისტური მიმართულების წარმომადგენლები. ისინი კანონიერებული სქოლასტიკის სათავეებთან დგანან. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ სკოლის ლიტერატურულ-ფილოსოფიური ინტერესებისა და მთარგმნელობითი საქმიანობის შესწავლა და სწორად შეფასება შესაძლებელია მხოლოდ ამ დროის ბიზანტიის განათლებულ წრეებში მიმდინარე კულტურულ-ლიტერატურული პროცესების გათვალისწინებითა და საერთოდ ამ ეპოქის ბიზანტიურ საკუთაროსთან მიმართებით.

მე-11 საუკუნის ბოლო მეოთხედისა და მთელი მე-12 საუკუნის განმავლობაში, როდესაც ბიზანტიის იმპერიას კომნენების დინასტია მართავდა, სახელწიფოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს სტაბილიზაციას კულტურისა და განათლების აყვავება მოჰყვა თან. ეს ეპოქა აღინიშნება სამეცნიერო-ფილოსოფიური ლიტერატურის განსაკუთრებული სიუხვით. განათლების სფეროში საერო ტენდენციების გაძლიერებით, ხელოვნებასა და მეცნიერებაში ანტიკურობის აღორძინებით. ამ პროცესმა განსაკუთრებით ფილოსოფიაში იჩინა თავი: არაჩვეულებრივად მომრავლდა კომენტარები და სქოლიოები ელინთა ფილოსოფოსების თხზულებებისათვის. გამოცოცხლდა ბიბლიური ეგზეგეტიკა, რომელიც ამ პერიოდში ძლიერი რაციონალისტური ტენდენციებით ხასიათდება. თეოლოგიური პრობლემები მე-11-12 სს-თა ბიზანტიაში, ჩვეულებრივ, ფილოსოფიურ ნიადაგზე მუშავდებოდა. ალბ. მაგ., მიქაელ პსელოსი თეოლოგიას უმაღლეს ფილოსოფიად თვლიდა და თავის ამოცანას ხედავდა ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანობის შეხამებაში[3]. იგი მიზნად ისახავდა ქრისტიანობის სამსახურში ჩა-

---

[3] Михаил Пселл, Хронография. Пер. Я. Н. Любарского. М., 1971, стр. 80.

უყენებინა არა მარტო არისტოტელეს ლოგიკური მოძღვრება, არამედ პლატონიც, ნეოპლატონიკოსებიც და, საერთოდ, მთელი ანტიკური მეცნიერება. პლატონს იგი ქრისტიანობის წინამორბედად თვლიდა სულის უკვდავების შესახებ მისი მოძღვრების გამო და [illegible] მას, როგორც მეშვიდე ოთოლოგს, რომელსაც წეს-რიგში მოიყვანა ჩვენი ცოდნა ზეშთაგონილი საეკლესიოზე. პსელოსის „ბრონოლრაფიიდან" ჩანს, რომ მისი ინტერესების წრე მოიცავდა არისტოტელესა და პლატონს. მათი შესწავლის შემდეგ იგი გადავიდა პლოტინზე, პორფირიესსა და იამვლიხოსზე და ბოლოს, მიადგა „საიაარ" პროკლეს. მისგან ვისწავლე მთელი სიბრძნე ზუსტი აზროვნებისაო — წერს იგი. როგორც ანა კომნენეს „ალექსიადადან" ჩანს, ფილოსოფოსთა ამავე წრის შესწავლით იყო დაინტერესებული პსელოსის მოწაფე იოანე იტალოსი, რომელიც თავის მასწავლებელზე კიდევ უფრო შორს მიდიოდა, როდესაც თავის მოწაფეებს ნეოპლატონიკოსთა მოძღვრებას თითქმის მთლიანობაში ასწავლიდა, აღიარებდა პლატონური იდეების თეორიას, ისევე, როგორც სულთა გადასახლებას; სწამდა მატერიის მარადიულობა (უსასრულობა), ნეოპლატონურ აზრებს საეკლესიო მამათა აზრებზე მაღლა აყენებდა და ქრისტიანულ დოგმათა განმარტებას ნეოპლატონურ მეტაფიზიკას უქვემდებარებდა. როგორც ანა კომნენე წერს, იტალოსი „ქადაგებდა საეკლესიო დოგმებისათვის უცხო აზრებს, რის გამოც ეკლესია აფორიაქებული იყო მისი სწავლებით[5]. ბიზანტიური სქოლასტიკის სწორედ ამ პერიოდში, რომელსაც ზოგი მკვლევარი „ბიზანტიურ რენესანსს" უწოდებს, როდესაც ბიზანტიის განათლების სისტემაში საერო ტენდენციებმა იძალა და სამეცნიერო ინტერესების გამოცოცხლებასთან ერთად რაციონალისტური იდეები ღვთისმეტყველებაშიც შეიჭრა, როდესაც ღვთისმეტყველება „უმაღლეს ფილოსოფიად", „პირველ ფილოსოფიად" იქნა შერაცხილი, კვლავ გამოცოცხლდა ადრექრისტიანული ხანისათვის დამახასიათებელი ტრინიტარული პოლემიკა, ყურადღების ცენტრში კვლავ დადგა ღვთაებრივი არსების პრობლემა, ქრისტეს პირისა და ბუნების პრობ-

---

[4] Ф. Успенский, Очерки по истории византийской образованности. СПб,1892, გვ. 156. შუმდეგში; Ф. Успенский; E. Brehier. Histoire de la philosophie, La civilisation Bizantine. Paris, 1970. გვ. 362.

[5] აღსანიშნავია, რომ პსელოსს ანტიკური ფილოსოფიით ზედმეტად გატაცებას საყვედურობდა მისი „თანამესხოლი" — იოანე ქსიფილინოსი, რომლის წინაშეც იგი ამით იმართლებდა თავს, რომ მაგალითად მოჰყავდა კაპადოკიელები, კერძოდ, კრიგოლ ნაზიანზელ, რომელიც, მისი სიტყვებით, ხშირად მიმართავდა ანტიკურ ფილოსოფიას.

[6] Анна Комнина, „Александа". Пер. Я. Н. Любарского. М., 1965, ტ. გვ. 17; 175. შუმდეგში: Анна Комнина.

ლემა მძაფრი თეოლოგიური პოლემიკის პროცესში ვლინდებოდა ახალი ფორმები ძველი ერესებისა. მაგ., იოანე იტალოსის მოწაფე, ევსტრატი ნიკიელი (რომელიც, როგორც ნიკიტა ხონიატი აღნიშნავს, თეოლოგიურ კამათშიც ოავისი მასწავლებლის მეთოდის ერთგული დამცველი იყო, მასავით გაუბედავდა საკუთარი ნაშრომების ბიბლიური და პატრიასტიკული ციტატებით გადატვირთვას და მიმართავდა დიალექტიკურ მეთოდსა და ლოგიკურ არგუმენტებს. ფილიპოპოლში ერა მონოფიზიტ სომეხთან გამართულ პოლემიკაში მეორე უკიდურესობაში გადავარდა: დაამცირა ქრისტეს ღვთაებრივი ბუნება და აღიარა, რომ ქრისტე-ადამიანი ემორჩილება მამა ღმერთს, როგორც ჩვეულებრივი მოკვდავი[7]. სოტირიხოს პანტევგენოსი კი (ასევე, მიმდევარი იოანე იტალოსისა) სამების თავისებურ იერარქიულობას აღიარებდა, როდესაც მსხვერპლის მიღებად მხოლოდ მამა ღმერთს მიიჩნევდა და, მაშასადამე, მიჯნავდა მამისა და ძის ბუნებას, რაც სამების ერთარსების ძირითად პრინციპსა და დოგმას ეწინააღმდეგებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ამავე ხანის ბიზანტიელმა საეკლესიო მოღვაწემ, თეოფილაქტე ბულგარეთის მთავარეპისკოპოსმა, თავის განმარტებაში იოანეს სახარებისა განსაკუთრებულად გამოყო და ვრცლად განმარტა ქრისტეს სიტყვები: „მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს"[8]. მან ხაზი გაუსვა ქრისტეს ადამიანური ბუნების უმცროსობას მისსავე ღვთაებრივ ბუნებასთან მიმართებით: „თქუენ მწყალებელთა: რაჲსაებრ მივიდოდა მამისა მიმართ ქრისტე, ვითარ ღმერთი, ანუ ვითარ კაცი? უეჭველად, ვითარ კაცი, ვინაჲთგან, ვითარ ღმერთი, მარადის ცათა შინა იყო და განუშორებელ მამისაგან. კაცობრივობისაებრ უკუე ითქმის უფროსის მამისსა ყოფად მამაჲ"[9]. ქრისტეს ამ სიტყვებში დაეჭვებისა და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საფუძველს ხედავდნენ და იმ დროის ბიზანტიის თეოლოგიურ წრეებში მათ გარშემო მწვავე პოლემიკა მიმდინარეობდა[10].

ამგვარად, იმ დროის ყველა ბიზანტიელი მოაზროვნე აუცილებლობით შიდიოდა საღვთისმეტყველო საკითხების განხილვამდე: ფილოსოფოსისათვის შეუძლებელი იყო შეჩერებულიყო მეტაფიზიკური აზროვნების ზღვარზე ისე, რომ არ გადავარდნილიყო ქრისტიანული დოგმატიკის სფეროში და, ამასთან, არ გადაელახა ზღვარი მართლმადიდებლური ორთოდოქსიისა, რასაც ბუნებრივად მოჰყვებოდა ხოლ-

---

[7] ф. Успенский, გვ. 192.

[8] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I. თბილისი, 1960, გვ. 28. შემდეგში: კ. კეკელიძე.

[9] თეოფილაქტე მთავარეპისკოპოსისა ეუღლარიისაი, თარგმანებაჲ იოანის სახარებისაჲ, A 52, ფ. 14. შემდეგში: თეოფილაქტე.

[10] ф. Успенский, გვ. 225.

მე საპასუხო რეაქცია ორთოდოქსული ეკლესიისა და ძლიერი მონარქიის მხრიდან. თუ ადრე ბიზანტიის მმართველი წრეები შემწყნარებლობას იჩენდნენ წარმართული ფილოსოფიის მიმართ, ახლა მე-11-12 სს-ში, კომნენების ეპოქაში, როდესაც ფილოსოფია თეოლოგიის საფუძველი გახდა, რაციონალიზმი თავის მწვალებლური გამოვლინებებით ისე ღრმად შეიჭრა ბიზანტიის თეოლოგიურ აზროვნებაში, რომ გარდაუვალი გახდა მისი ყოველგვარი გამოვლინების აღკვეთა. იმპერატორმა ალექსი კომნენმა აკრძალა ყოველგვარი კამათი ქრისტიანული დოგმების გარშემო. საეკლესიო პირთაგან იმათ, ვინც არ დაემორჩილებოდა ამ აკრძალვას, ეკლესიიდან განკვეთა ემუქრებოდა, ხოლო საერო პირებს — ქონების კონფისკაცია. ამიტომ იყო, რომ მიქელ პსელოსი, ეპემიტანილი იმაში, რომ იგი „ზედმეტად იყო გატაცებული ელინური ფილოსოფიით“, იძულებული გახდა ეღიარებინა თავისი შეცდომები, ხოლო იოანე იტალოსი კი გასამართლებულ იქნა თავისი არაორთოდოქსული შეხედულებების გამო, თუმცა, ანა კომნენეს ცნობით, მოგვიანებით მანაც მოინანია თავისი შეცდომები და თავის აღსარებაში, რომელიც მან საბრალმდებლო კომისიას წარუდგინა, ყოველნაირად სცადა მართლმადიდებლობასთან შეეხამებინა თავისი შეხედულებანი[11]. უფრო გვიან სომხებთან დოგმატიკურ პოლემიკაში დაშვებული შეცდომებისათვის მხილებულმა ევსტრატი ნიკიელმაც, რომელიც მეორე უკიდურესობაში გადავარდა და არიოზის წვალება ააღორძინა, მოინანია თავისი შეცდომები (თუმცა მას ეპისკოპოსობა მაინც ჩამოართვეს), ხოლო 1157 წელს ეკლესიიდან განკვეთეს სოტირიხოს პანტევგენოსი, რომლის წინაალმდეგაც საეკლესიო კრებაზე გამოსულმა ნიკოლოზ მეთონელმა დაწერა საგანგებო შრომა, სადაც იგი ლოგიკური დასაბუთების მეთოდებითვე უპირისპირდებოდა სოტირიხოსს და მის წვალებას პლატონური იდეების შესახებ მოძღვრებიდან მომდინარედ თვლიდა.

აი, ამ გარემოში, სამეუფეო ქალაქში, კონსტანტინეპოლში, აზრთა ამ ცხოველ ჭიდილში იკვეთებოდა ქართველ მეფეთაგან ბიზანტიაში განათლების მისაღებად წარგზავნილი ქართველი ახალგაზრდების საზროვნო ინტერესები. ცნობილია, მაგალითად, რომ 1080-იან წლებში „ქალაქსა შინა სამეუფოსა კონსტანტინეპოლს, მონაბტერსა შინა ყოვლად შუენირსა ტრიანფლიუს, დედოფლობასა მართიასსა... და მეფობასა ნიკიფორე ბოტანიატისა და ალექსი კომნინასათა“ თარგმნიდა და მოღვაწეობდა მარიამ დედოფლის თხოვნით მისი ძმის — გიორგი მეფის მიერ მასთან მივლინებული ქართველი ბერი

---

[11] Анна Комнина, გვ. 176.

ოყოფილ ხუცეს-მონაზონი. ცნობილია, რომ ბიზანტიის დედოფალ, მარიამ მართაყოფილი, ქართველთა მეფის, ბაგრატ III-IV-ის ასულ, იმ დროის ბიზანტიის პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების აქტიური მონაწილე იყო. სწორედ მისი დაკვეთით შესრულა სახარებათა ცნობილი განმარტებანი თეოფილაქტე ბულგარელმა, რაზედაც მათი თარგმანის ქართული ხელნაწერებიც მეთითებენ: „თეოფილაქტე წმიდისა მთავარეპისკოპოსისა ველღარიისაჲ, განმარტება იოანნის თავის წმიდისა სახარებისა, ნამუშაკევი მის ბრძანებისა მიერ მარადის საკსენებელისა დედოფლისა მარიასისა". მარიამ დედოფლისავე მაშას, ბაგრატ მეოთხეს უნდა წარეგზავნა კონსტანტინეპოლს იოანე პეტრიწიც. „რათა მიიღოს ენა ელინური და გაეცნაწავლოს ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა სწავლისა მიღებათა შინა. ხოლო ესოდენ განსწავლულ იქმნა და ფრიად ზედმიწევნილ პლატონურთა ღვთისმეტყველებათა და არისტოტელითთა ფილოსოფოსობათა, რომელ მუნცა რჩეულ იქმნა ესოდენ, რომელ ოცდაათთა წელთა შინა ბერძენთა საპეუფოსა ქალაქსა კონსტანტინეპოლს შინა, ესე იგი ბიზანტიასა, მოძღურად დაიდგინა"[13].

ბუნებრივია, ის ტენდენციები, რაც ახასიათებდა იმდროინდელი ბიზანტიის მოწინავე კულტურულ სამყაროს, ქართულ ნიადაგზე გადმონერგეს და გელათის სკოლაში განავითარეს იოანე პეტრიწმა და მისმა თანამოღვაწეებმა, რომელთაც მანგანაში გაიარეს ბიზანტიური რაციონალისტური მიმართულების დიდი სკოლა და მიიღეს მაღალი სქოლასტიკური განათლება[14].

გელათის სკოლაში, სადაც დაარსდა „სასწავლებელი ყრმათათჳს", რომელშიც „მრავალი ქართველი განისწავლებოდა სიბრძნისმოყუარეობასა შინა", დაიწყო ანტიკურობის წიგნური, მეცნიერული ათვისება: ანტიკური ფილოსოფიის, განსაკუთრებით კი პლატონისა და არისტოტელეს შრომებისა და მათი კომენტატორების — პორფირის, ამონიოსის, იამელიხოსის, პროკლეს შესწავლა-დამუშავება, თარგმნა და კომენტირება.

გელათში შექმნილი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ძეგლების ჩვენამდე მოღწეული მცირე ნაწილის მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, თუ რამდენად მიზანმიმართული იყო ამ მოღვაწეთა ლიტერატურული საქმიანობა: მათი სააზროვნო ინტერესების წრე მო-

---

12 თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე, ფ. 1.

13 მ ც ი რ ე უ წ ყ ე ბ ა ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ წ ე რ ა ლ თ ა თ ჳ ს. გამოსცა ივ. ლოლაშვილმა. თბ., 1982, გვ. 155.

14 ნიშანდობლივია „ნეტარი საბას ცხოვრების" ერთი ადგილი, სადაც „სქოლასტიკოსი" განმარტებულია, როგორც „ბრძენი": „იყო ვინმე სკვთოპოლისს კაცი სქ ო ლ ა ს ტ ი კ ო ს ი, რომელ არს ბრძენი" (ბ. ცხ. 103, 24).

იცავს იმავე პლატონს, არისტოტელესა და „პლატონურ“ ფილოსოფოსებს (ანუ ნეოპლატონიკოსებს), რომელთაც ამწაველიდნენ და განმარტავდნენ მიქაელ პსელოსისა და იოანე იტალოსის კპატოსობის დროს მანვანას აკადემიის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. გელათში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა არისტოტელესა და მისი ალექსანდრიელი კომენტატორების ლოგიკურ ნაშრომებსა და ათენის პლატონური აკადემიის დიადოხოსის, მე-5 საუკუნის ნეოპლატონიკოსის, პროკლეს შრომებს, რომელთა თარგმანები და განმარტებანი, როგორც ჩანს, სახელმძღვანელოთა დანიშნულებას ასრულებდნენ ამ სკოლის მსმენელებისათვის. გადმოცემით გელათის სკოლაშია თარგმნილი იოანე ტარიელისძის მიერ ალექსანდრიული სკოლის მამამთავრის, ამონიოს ერმიასის კომენტარები პორფირის ცნობილ ნაშრომზე „შესავალი არისტოტელეს კატეგორიებისა“ (ეს ის პორფირია, რომელმაც, როგორც ნემესიოს ემესელის პეტრიწისეულ თარგმანში ვკითხულობთ, „ძუნად ქრისტესსა აღძრა თესი სიტყუაჲ“, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ეს დასახელებული შრომა, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ცნობილი Isagoge-ს სახელით, სკოლასტიკური განათლების საფუძველს წარმოადგენდა) და ამონიოსისავე კომენტარები არისტოტელეს ლოგიკურ ნაშრომზე „კატეგორიები“. ესენია: „მოსაკსენებელი ხუთთა ყმათადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაკსენებელი ათთა კატეგორიათადმი არისტოტელისათა“. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ეს თხზულებანი ერთ კრებულადაა შეკრული ამავე ხასიათის ლოგიკის ცნობილი კომპენდიუმის, იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ არსენ იყალთოელისეულ თარგმანთან[15], რომელიც მას, როგორც ჩანს, გელათში აქვს შესრულებული (ამონიოსის თარგმანის ტერმინოლოგია ძირითადად მისდევს არსენისეული „დიალექტიკისას“). ამ ორი თხზულების თარგმანის ერთ კრებულში გაერთიანება უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ იგი სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა. ჩვენამდე არ მოეღწევია, მაგრამ ხელნაწერთა ცნობების მიხედვით, თითქოს იოანე პეტრიწს უნდა ეთარგმნა არისტოტელეს „კატეგორიები“ და „პერი ერმენეიასა“. მართლაც, ეს არ უნდა იყოს გამორიცხული, რადგანაც ერთგან, თავის „განმარტებაში“, პეტრიწი მსმენელს მიუთითებს ამ უკანასკნელზე: „ვითარ გესწავლია პერი ერმენეიისაო“[16], რაც, ყოველ შემთხვევაში, იმას მაინც მოწმობს, რომ გელათის სკოლაში არისტო-

---

15 S 2562 — ამონიოს ერმისის „მოსახსენებელნი“ პორფარი ფილოსოფოსის ხუთ ხმასა და არისტოტელეს კატეგორიებზე. შემდეგში: ა მ ო ნ ი ო ს ი.

16 ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, შრომები, ტ. 2, განმარტებაჲ პროკლესთუს დიადოხოისა და პლატონურისა ფილოსოფიისათუს. ტექსტი გამოსცეს, გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და სიმ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1937, გვ. 28. შემდეგში: ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი.

ტელეს ეს ნაშრომი ისწავლებოდა. რაც შეეხება არისტოტელეს ლოგიკური ხასიათის ნაშრომებს, რომლებიც შეა საუკუნეებში „ორგანონის“ სახელითაა ცნობილი, იოანე პეტრიწი, სანამ გადაიდოდეს პროკლეს ტრაქტატის — „ღმრთისმეტყველების საფუძვლების“ განმარტების ძირითად ნაწილზე, განიხილავს და აცნობს მსმენელებს (ანუ მოსწავლეებს) პროკლეს ანოფატიკური დასაბუთების შეთოდს და მიუთითებს არისტოტელეს სწორედ ამ ნაშრომზე. რომლის გარეშეც, მისი აზრით, შეუძლებელია ლოგიკური გზით რისამე შემეცნება („ესე მცირედთა მიერ შემოიკრებოდა კანონი არისტოტელის „ორგანონისა“, რომელისა თჳნიერ უღონო არს რაჲსაცა გაგონებაჲ სულისა მიერ სიტყუერისა“)[17]. ამასთან დაკავშირებით იოანე ფილოსოფოსი მოკლედ მიმოიხილავს არისტოტელეს მიერ დადგენილ ლოგიკურ კანონებს, თარგმნის და სათანადოდ განმარტავს მათს ძირითად ცნებებსა და ტერმინებს. გარდა ამისა, თავისი ნაშრომის სხვადასხვა თავში იოანე პეტრიწი, შემეცნების პროცესის ანალიზისას თუ ონტოლოგიის საკითხთა განხილვისას, ვრცლად ჩერდება ხოლმე სათანადო ლოგიკურ-ფილოსოფიურ ცნებათა განმარტებაზე მსმენელთა და მოსწავლეთა „გასაგონად“.

სახელმძღვანელოს დანიშნულებას ასრულებდა აგრეთვე გელათის სკოლის მსმენელებისათვის ნეოპლატონიკოს ნემესიოს ემესელის ფსიქოლოგიურ-ანთროპოლოგიური ხასიათის თხზულების „Περὶ φύσεως ἀνθρώπου“-ს („ბუნებისათჳს კაცისა“) თარგმანი. მისი ხელნაწერის მინაწერიდან ირკვევა — „ელლადელთა ჴმათაგან გარდამოიცა ესე ქართულად საკკრეველისა ფილოსოფოსისა ჩუენისა პეტრიწისა მიერ იოანნედ სახელდებულისა კელლინსა შინა გაენათისასა“[18]. ონტოლოგიურ საკითხებთან ერთად გელათის სკოლის მოღვაწეთა მორალურ-ეთიკური საკითხებისადმი განსაკუთრებული ინტერესის გამომხატველია იოანე სინელის ტრაქტატის „კლემაქსის“ („სათნოებათა კიბის“) რამდენიმე თარგმანი, შესრულებული ამ სკოლის მოღვაწეთა მიერ პროზაულად: პეტრე გელათელის მიერ ფოტი პატრიარქის კომენტარებითურთ, თუ გალექსილი სახით, ორი სხვადასხვა ავტორის მიერ[19]. ეს თხზულებანიც სასწავლო-დიდაქტიკური დანიშნულებით გამოიყენებოდა (განსაკუთრებით გალექსილი ვარიანტები, დასამახსოვრებლად მარჯვე და მოხერხებული). მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოდ უნდა

---

17 იოანე პეტრიწი, გვ. 10-11.

18 S 1358, გვ. 266.

19 ი. ღოღაშვილი, გვ. 88; ქ. ბეზარაშვილი, იოანე სინელის „კლემაქსის“ უცნობი ქართული ვერსია, „მაცნე“ ენისა და ლიტ. სერია, 1987, 4, გვ. 129; შემდეგში: ქ. ბეზარაშვილი.

ყოფილიყო გაამოყენებული გიორგი ამარტოლის „ქრონოლრაფი“ და იოსებ ფლავიოსის „იუდაებრივი დასაბამსიტყვაობა“, რომელთაგან პირველის თარგმანი არსენ იყალთოელს ეკუთვნის, ბოლო მეორისა — ტრადიციით პეტრიწს მიეწერება, მაგრამ სინამდვილეში მისი ეპიგონის შესრულებული ჩანს (შესაძლებელია, პეტრე გელათელსაც, რომლის პროზაული „კლემაქსიც“ ძალიან ახლოს დგას ენობრივი სტილითა და „ღელარეწილი“ შანერით ამ უკანასკნელ თარგმანთან). ამ ბოლო დროს ქ. ბეზარაშვილმა მიაკვლია კიდევ ერთ ახალ გელათურ გალექსილ რედაქციას იოანე სინელის „კლემაქსისა“[20].

მაგრამ გელათის მოღვაწენი მხოლოდ სასკოლო კომპენდიუმების თარგმნითა და შედგენით როდი კმაყოფილდებოდნენ. გელათის სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეგზეგეტიკურ ლიტერატურას: როგორც ფილოსოფიური, ისე ბიბლიური ეგზეგეტიკის თარგმნას, შესწავლასა და დამუშავებას და, ამავე დროს, ორიგინალური კომენტარული ხასიათის ლიტერატურის შექმნასაც როგორც პრაქტიკული, სასწავლო, ისე მეცნიერული დანიშნულებისათვის. ელინური და ელინისტური ხანის ფილოსოფიური მემკვიდრეობის კომენტირება, როგორც ცნობილია, იყო თავისებური ფორმა დამოუკიდებელი, ახალი აზრის დამუშავებისა, ეს იყო მარჯვე საშუალება თავისთავად წმინდა ფილოსოფიაში დახელოვნებისათვის. გარდა ამისა, ეს იყო ქრისტიანული მოძღვრების ფილოსოფიური საფუძვლების ძიების გზა. მაგრამ ჩვენთვის საინტერესო პერიოდში (მე-11-12 სს-ში), როგორც შ. ნუცუბიძე აღნიშნავს, „ბიზანტიის ფილოსოფოსები, ვიდრე ისინი ეარ გასრისა კეისრისა და პატრიარქის ალიანსმა, მიმოხილვისა და გარდამოცემის (ἐξήγησις, ἔκθεσις) საფეხურზე იდგნენ, ქართული ფილოსოფია კი არა მიმოხილვის, არამედ განხილვის, არა გარდამოცემის, არამედ გაგრძელების ნიადაგზე იდგა[21]. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს იოანე პეტრიწის კომენტარები ანუ „განმარტება“, რომელიც მან დაურთო ათენის პლატონური აკადემიის დიადოხოსის, პროკლეს ტრაქტატს — „Στοιχείωσις θεολογική“-ს („ღვთისმეტყველებითი ელემენტები“) თარგმანს. ცნობილია, რომ ამ განმარტებებში იგი ანტიკური და ბიზანტიური ხანის ფილოსოფოსთა ნააზრევის გადამუშავებასა და ინტერპრეტაციებს იძლევა გვიანდელი ნეოპლატონიზმისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან ამოსელით. და მაშინ, როდესაც გელათში იოანე პეტრიწი პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლებს“ ღვთისმეტყველების ენაზე განმარტავს, ანუ, როგორც თვითონ იტყო-

---

20 ქ. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, გვ. 129.

21 ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, გვ. XXXVII,

და, „აღმრთისმეტყველებს“ და ატიკელ ფილოსოფოსს (როგორც იგი უწოდებს, „ჩემს ატტიკელს“), ქრისტიანული ეკლესიის ბერჯს — პავლეს გვერდით აყენებს. ხოლო მის ფილოსოფიურ სისტემას ქრისტიანული მოძღვრების მეცნიერულ საფუძვლად თელის, ბიზანტიაში იმპერატორის დავალებით ნიკოლოზ მეთონელი წერს პროკლეს ამავე ტრაქტატის განმაქიქებელ თხზულებას. მის შესავალში იგი სასტიკად ამაორახებს თავის თანამედროვეთ, რომლებიც ამ ფილოსოფიით იყვნენ გატაცებულნი. მეთონელის თხზულების სათაურიდანვე ჩანს ავტორის დამოკიდებულება პროკლეს ამ ტრაქტატის მიმართ: „ნიკოლოზ მეთონელი ეპისკოპოსის მხილება პლატონური ფილოსოფოსის, პროკლეს თხზულებისა „თეოლოგიის საფუძვლები“ — იმისათვის, რომ მან არ მოაქციოს მკითხველნი ცრუ რწმენის გავლენის ქვეშ და არ მიდრეკოს ეშმარიტი რწმენის შეურაცხყოფისაკენ“[22]. მეთონელის აზრით, პროკლეს თხზულების „ყოველი თავი ღვთისადმი რწმენის საწინააღმდეგო აზრს უპერს მხარს“. ამავე საშიშროებას ხედავს პროკლეს ტრაქტატის პეტრიწისეული თარგმანის მე-13 ს-ის (H 1337), ნუსხის ერთ-ერთი ანონიმური მინაწერის ავტორი, ოღონდ მეთონელისაგან განსხვავებით, იგი ამ თხზულების ორგვარი წაკითხვის შესაძლებლობას უშვებს: მწვალებლური თვალსაზრისითა და ორთოდოქსული ქრისტიანობისათვის მისაღები თვალსაზრისით: „ამის წიგნისაგან წარწყმდა სამგზის წყეული არიოზ და ამისგანვე განათლებულთა სამგზის მოიგეს ღვთისმეტყველებისა სახელი, დიდთა ბრძენთა: დიონოსი და ღრიღორ და ვასილი“. ამიტომაც აფრთხილებს იგი მკითხველს: ხოლო „შენ გონებაჲ განწმედილი მოიგე და ღმრთისა მიმართ საზღუარსა ნუ გარდაჰვლინდები და არა საცთურ გექმნესო“. (H 1337, ფ. 3). მიუხედავად იმ ანაქრონიზმებისა, რომლებსაც ეს მინაწერი შეიცავს, მისი ავტორი, როგორც ჩანს, საკმაო სიღრმით ეერკვეოა თეოლოგიისა და ანტიკური ფილოსოფიის იმ დამოკიდებულებაში, რომელიც ჩვეულებრივი იყო, საერთოდ შუა საუკუნეების სკოლასტიკის პირობებში და კერძოდ, ქართულ სინამდვილეში: „ანტიკური, კერძოდ, პროკლეს ფილოსოფიის შემოტანა შუა საუკუნეების აზროვნებაში „წარწყმედის“ მიზეზიც შეიძლება გახდეს და „ღმრთისმეტყველის“ სახელის მოგებისაც“[23]. შემთხვევით არ იხსენებს აქ მინაწერის ანონიმი ავტორი არიოზის სახელს. არიოზის და ორიგენეს „მთხრობელნი და ულვანი“ აშფოთებს ამ თხზულებასთან დაკავშირებით მე-18 ს-ის ცნობილ სასულიერო მოღვაწეს, ტიმოთე გაბაშვილსაც. რომელიც წერს: „პროკლე დიადოხოსი, პლატონისი წიგნი იპოვების საქართველოსა შინა.

---

[22] Νικολάος ἐπισκόπου Μεθώνης, 1984, გვ. 3.

[23] შ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, იოანე პეტრიწი. თბ., 1956, გვ. 2.

უკეთუ მართლმადიდებლობით სძებნიდე. ღვთისმეტყველება მაღალი და ჭეშმარიტი გეპოვოს, და უკეთუ ვერ კეთილად და უგულისხმოდ ეძიებდე. ჰპოვნე მას შინა მთხრობლნი არიოზისნი და ორიგენესნი". როგორც ცნობილია, არიოზის წვალება გამოდიოდა ორიგენეს ტრინიტარული სუბორდინაციელობიდან და წმ. სამების ჰიპოსტასების იერარქიულობას აღიარებდა. პროკლეს წიგნისა და მისი პეტრიწსეული განმარტების „უგულისხმოდ" წაკითხვისას, როგორც ჩანს, ასეთი „საცთურის" გაჩენის შესაძლებლობა იქმნებოდა. ეს დაკავშირებული უნდა ყოფილიყო პროკლეს ონტოლოგიური სისტემის, მისი ტრიადის: ერთი — გონება (ნამდვილმყოფი) — სული პეტრიწსეულ ინტერპრეტაციებთან, უფრო ზუსტად, იმ ანალოგია-პარალელებთან, რომელიც იოანე ფილოსოფოსი მთელი თავისი განმარტება-კომენტარების მანძილზე ატარებს ამ ტრიადასა და წმ. სამების პირველ ორ ჰიპოსტასთან, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ ერთი მხრივ, ზესთერთსა და მის ხატს — ნამდვილმყოფს შორის და, მეორე მხრივ, მამა ღმერთსა და ძეს შორის მიმართებას ერთი და იმავე გამონათქვამებით „აღმრთისმეტყველებს".

შემთხვევითი არ არის, რომ იოანე „სალმრთო ფილოსოფოსმა" თავისი „დაფარული" აზრების „გასაცხადებლად" სწორედ პროკლეს ეს თხზულება აირჩია (თითქმის ორი საუკუნის შემდეგ დასავლეთში თომა აქვინელმაც სწორედ ეს ტრაქტატი დაუდო საფუძვლად თავის თეოლოგიურ მოძღვრებას). პროკლეს ტრაქტატი იოანე პეტრიწს, როგორც შუა საუკუნეების ტიპიურ თეოლოგ-მოძღვარს, აინტერესებდა წმინდა ფილოსოფიური და თეოლოგიური, ამასთან პრაქტიკული თვალსაზრისით; მაასში ხომ შეკუმშულად, კონსპექტურად, ზუსტი თეზისების სახით იყო წარმოდგენილი ღვთისმეტყველების ძირითადი საფუძვლები, ელემენტები. განხილული იყო ის ამოსავალი ფილოსოფიური პრობლემები, რომლებიც პლატონის ფილოსოფიის საფუძვლებს წარმოადგენენ და რომლებზედაც აშენდა ქრისტიანული ღვთისმეტყველების დოგმატიკა. კერძოდ: ერთისა და სიმრავლის, ერთისა და კეთილობის, ერთის სამსახეობის, მსგავსებისა და ზიარების, მიზეზისა და მიზეზოანის, წარმოობისა (ემანაციის, πρόεισιν, πρόοδος) და უკუქცევის, სერიებისა და გვარების, ერთის, გონებისა და სულის საკითხები. პროკლე მას აინტერესებდა, როგორც ტრიადული დიალექტიკის დიდოსტატი: მისი ონტოლოგიური სტრუქტურის ძირითადი პრინციპი — არსის სამი ძირითადი საფეხურის: ერთი — გონება — სული, როგორც ქრისტიანული სამების ანალოგის და პროკლეს განთქმული სწავლება გება — წარმოება — უკუქცევაზე მას ესაჭიროებოდა, როგორც დასტური იმისა, რომ პროკლეს (//პლატონის) ფილოსოფია არა თუ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას, არამედ გარკვეულ თანხმობა-

შია მასთან: რომ პროკლეს (//პლატონის) ფილოსოფია არის ღვთისმეტყველების (თეოლოგიის) საფუძვლები და რომ თეოლოგია არის უმაღლესი ფილოსოფია, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ღვთაებრივი ჭეშმარიტების, არსის საიდუმლოს მიწვდომა. იოანე პეტრიწისათვის, როგორც გატაცებული ფილოსოფოსისათვის, რომლისთვისაც ფილოსოფიური ხედვანი ვარდა შემეცნების გზისა, ესთეტიკური ტკბობის საკანიცაა (იგი სშირად აღნიშნავს „ნუენიერ ხედვათა ბრწყინვალეობას", ჰფიცავს „ხედვათა სერვილს")... ვფიქრობთ, მთავარია, ფილოსოფიას არსებობის უფლება მოუპოვოს, მისი საჭიროება დასაბუთოს, თორემ ქრისტიანული სამების დოგმა მისთვის, მსგავსად თომა აქვინელისა, რწმენის სფეროს განეკუთვნება და რაციონალური გზით დასაბუთებას არ ექვემდებარება და არც საჭიროებს: იგი ჭეშმარიტებაა, რომელსაც რწმენითა და ქრისტეს მიერ გამოცხადებით ეზიარება ადამიანი. მაგრამ ჭეშმარიტება ერთია — „საუკუნითგან არსთადა თანაწარმოდგომილი წესი და სარწმუნოებაა"; იგი განფენილია მრავალ ცალ-ცალკე მდგომ გოდოლზე, რომელთაც ერთი ლოდი — „თავკიდური" — ქრისტე ჰკრავს. ერთ-ერთი ასეთი გოდოლი, რომელშიც დაფარულია „არსთადა თანაწარმოდგომილი წესი და სარწმუნოება", არის ელინური სიბრძნე, კერძოდ, პლატონის „მიდმოსიტყვანი" (ანუ დიალოგები). იგი „აღსახუმილა" პროკლემ თავის კომენტარებში ამ დიალოგებზე. ამ ატიკელმა ფილოსოფოსმა, რომელმაც ნათლად წარმოაჩინა არსის წეს-რიგი (τάξις) და „რაოდენ იყო შესაძლო, იმეცადინა მყოფთა სასერვო და სატრფო, უოცნო და ზესთგონიერი ერთის" შესაცნობად, ერთისა, რომელიც თვით პლატონის „უმწვერვალესი" გონებისთვისაც კი მიუწვდომელი დარჩაო[24]. და აი, იოანე ალმრთო ფილოსოფოსმა მიზნად დაისახა ამ ფილოსოფოსის — პროკლეს ონტოლოგიური სტრუქტურის განმარტება „შეწევნითა პირველისა სიტყვისა ქრისტესითა", ანუ მისი „ღმრთისმეტყველება", მისი გადმოცემა ქრისტიანული ღვთისმეტყველების ენაზე ([პროკლემ] ესრეთ მარტივად წესი და სირაჲ, რომელ არს ნათხზი ყოველთა, დააწყო და წარმოაჩინა, ვითარ გონებისა, სულისა, ბუნებისა და სხეულისა, რომელი — ესე თითოეული თჳსსა ადგილსა განეჰმარტოთ შეწევნითა პირველისა სიტყჳსა უფლისა ქრისტესითა")[25].

მართალია, იოანე პეტრიწი, განსხვავებით იტალოსისაგან, მწვალებლურ აზრებს არ ქადაგებს, და მით უფრო, მათს დოგმატიზებას არ მო-

---

24 იოანე პეტრიწი, გვ. 5.
25 იქვე, გვ. 6.

ითხოვს, როგორც ამას იოანე იტალოსი მოითხოვდა[26], მაგრამ პროკლეს ონტოლოგიური სტრუქტურის მისეული ქრისტოლოგიური ინტერპრეტაციები და ძლიერი გატაცება ელინური ფილოსოფიით, როგორც ჩანს, ეპეს იწვევდა მის თანამედროვეებში. რომელთაგან დევნასა. ზურსა და მტრობაზე იგი გულისტკივილით შოგვითხრობს: „მრჩობლოა და მრავალმრჩობლთა დ ესევითთა ღმობაითაგან მიდმოვიბნეოდი, სენთა, უცხოებათა და შურთა და ვერაგობათა სასუმლისაგან მექმე ან ამას ჟამსა ქართველთა და ბერძენთა შორის. ქართველნი, თანადგომისა წილ და თქუმისა ესთა. ვითარმედ: წმიდასა განგებასა ღმრთისასა კაცი ტომისაგან ჩუენისა უწარმოებია ხელოვნებათაგან სულისათა დახელოვნებული, ხედვათაგან გონებისათა გაგონებებული, ვინაჲ, თანდაუდგეთ, ვაიძულოთ. ღმობათა მისთა უნუგეშინისოთ, ტკივილითა მისთა ვეწამლნეთ, დაფარულთა მისთა ცხადად ვემხარკნეთ, რაჲთა, ვითარცა უცხოდ ბუნებისაგან წარმოარსებულსა, მსგავსი და ნაცვალი მისი უშთინოთ, რამეთუ მედინისა ბუნებისა არს კაცი და ჟამი რღუეეისა მისისა უცნაურობს, — არ ესთაᲲ არა-რაჲ ვერ იეულისხმეს, ვითარმედ, „ბრჭალსა ჩემსა უმზირდეს სასაფრთხოდ სულისა ჩემისად". ვინაჲ ძკრთასაცა უძკრეს ესე. რომელ ორითა იპყრობვოდეს სენითა: პირველ — მარტივად უმეცნეობითა სასწავლოთაჲთა, და კუალად მეორედ — თუთ მის უმეცრებისა უმეცრებითა, ვითარ იტყჳს სოკრატ, რამეთუ „ძნელ სენი, არამედ უფიცხეს უმეცრებაჲ სენისაჲ". ვინაჲ, თუმცა მე რაჲვე თანსიყუარული და შეწევნაჲ მჩუენებოდა მათგან, თანა-ვხდე ღმრთისა განგებათასა და. თვით მათ ხედვათა ვფუცავ სურვილსა, რომელ ენაჲმცა ენისადა გამეწყო და ხედვაჲმცა ფილოსოფოსთა განცდისაჲ მეარისტოტელურა და ღმრთისმეტყუელებაჲ ნივთისაგან მიუხებელი წარმომეყენაო"[27].

დევნის მიზეზი გასაგებია: პროკლეს (ნეოპლატონური) ფილოსოფია წარმოადგენს მოძღვრებას არსის იერარქიული სტრუქტურის შესახებ, სადაც ყოველი მომდევნო საფეხური (რიგი, სერია ანუ „სირა") წარმოადგენს მისი წინა (მაღალი) საფეხურისაგან გამომდინარეობას და ამდენად, შესაბამისად, მის მდარე ანარეკლსა და ხატს. ამიტომ ყოველგვარი ანალოგია ამ სტრუქტურასა და წმ. სამების ჰიპოსტასებს შორის იწვევდა დაეჭვებას ორთოდოქსთა მხრიდან. როგორც ზემოთ

---

26 იხ. მაგ., იოანე იტალოსის ტრაქტატი: „ორი საწყისის შესახებ" (Ioannis Itali, Opera. ბერძნული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გ. ნერეთელმა, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ნ. კეკაულაძემ, თბ., 1966. გვ. 144), სადაც იგი ლოგიკური მსჯელობის საკითხს სვამს ორი საწყისის დოგმატიზების შესახებ. მაშინ, როდესაც იოანე პეტრიწი ლოგიკური მსჯელობის გზითვე მიდის ერთ — კეთილი საწყისის სუბსტანციურობის აღიარებამდე. იხ. ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, გვ. 219.

27 ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი, გვ. 222.

ვნახეთ, ჭეშმარიტების ლოგიკური მეთოდით ძიების ამ გზაზე ბევრი ბიზანტიელი თეოლოგი და ამასთანავე ეკლესიის გამოჩენილი მოძღვარი ვერ გაექცა ანათემასა და ეკლესიიდან განკვეთას (აშიტომ იყო, რომ ბიზანტიელ იმპერატორებს არც თუ იშვიათად უხდებოდათ საგანგებო ედიქტებით საეკლესიო დოგმატების გარშემო კამათის აკრძალვა). მაგრამ იოანე პეტრიწმა, მიუხედავად ბერძენთა და ქართველთაგან დევნისა, როგორც თვითონვე ამბობს, დავითს (ალმაშენებლის) „წყალობათა და თანადგომასა მინდობილმან“, დაეხვენებელი შრომის, უძილო ღამეებისა და სულიერი ტკივილების გზით მაინც შეძლო „ნეტარისაგან მიუხებელი (მატერიისაგან განყენებული) ღვთისმეტყველების წარმოჩენა“.

პეტრიწის ღვთისმეტყველების ქვაკუთხედს ნამდვილმყოფი წარმოადგენს, რომელსაც დასტრიალებს მისი თეოლოგიური ხედვა მთელი „განმარტების“ მანძილზე. ნამდვილმყოფი (ἀληθινός) პროკლეს ონტოლოგიურ სტრუქტურაში გონების სფეროს (რიგს, სერიას) და „გვართან“ (იდეათა) ადგილს წარმოადგენს[28]. იგი არის პირველი არსი და პირველი მყოფი, რომელიც თავის ხატად „მორთო და ალამკო“ ზეთ-ერთმა და კეთილობამ. იოანე ფილოსოფოსის „განმარტების“ მთელი ტექსტის მანძილზე აქცენტირებულია ნამდვილმყოფის ანალოგია ძე-ლოგოსთან, ისევე როგორც წარმოუსახველი, შეუცნობელი ზეთ-ერთისა უხილავ და შეუცნობელ მამა-ღმერთთან. ამ ტექსტის სხვადასხვა ადგილების ურთიერთშეჯერების შედეგად ნათლად იკვეთება, ერთი მხრივ, ნამდვილმყოფი, რომელიც „მსგავსი, ხატი და „ეკმაგოია“ (ამონატვერია) „უთქვი, უოცნო დაა უცნაური“ ერთისა, „რომელსა მამობაჲცა ჰკადრა სიტყუამან“. და, მეორე მხრივ, ძე-ქრისტე, „რომელ არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ“ (II კორინთ. 4,4; ფილიპ. 2,6). პავლე მოციქულის ამ სიტყვებს გულისხმობს პეტრიწი, როდესაც მსგავსების შედეგად მიზეზისაგან მიზეზოანის წარმოჩენაზე ლაპარაკობს: „სიტყუაჲ ჩემ გონებამზისა პავლესი შემოვალს აქა, რამეთე იტყუს ხატად და მსგავსად და ეკმაგიოდ მის ერთისად, რომელსა მამობაჲცა ჰკადრა სიტყუამან[29]. „უცვალებელი ხატი“ მამისა არის „უპირმშოესი სიტყუა“ რომელსაც, პეტრიწის სიტყვებით, ფილოსოფოსი (ანუ პროკლე) „უწოდს გუართა გუარად და საზღუართა საზღუარად“ (იქვე). პირველი საზღვარი (და პირველი უსაზღვროობა) კი არ არის ნამდვილმყოფის გვართმთავარი ანუ სირათმთავარი, რომელიც ყოველივეს გან-

---

28 „ნამდვილმყოფისა“ და მისი სფეროს შესახებ პროკლეს ფილოსოფიაში იხ.: ანა ხარანაული, წყაროთა გამოყენების მეთოდოლოგია პროკლე დიადოხისა და იოანე პეტრიწის შრომებში. საკან. დისერტაცია, 1990 წ.

29 იოანე პეტრიწი, გვ. 78.

საზღვრავს და, რომელსაც „აწ ჩუენ ძე უწოდეთ“[30] — დასკვნის პეტრიწი.

ამგვარად, ერთი მხრივ ნამდვილმყოფის, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის მიმართება ზესთ-ერთთან, როგორც ბინი ხატისა და შუბლისა, ხოლო მეორე მხრივ, ღმრთის უპირმშოები სიტყვის — ძის, როგორც ხატის, მიმართება მამა ღმერთთან, რომლის „სიმდიდრე მას თჳს შორის მოაქუს“ — ეს ანალოგია ადვილად ეთანხმება ორთოდოქსული ქრისტიანობის თვალსაზრისს: ნამდვილმყოფი, რომელიც არის საუკუნეზე უწინარესი („ქრისტე იყო პირველ საუკუნეთა“). მიზეზი ყოველთა საუკუნეთა. პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვროობა. ეცნაურმა და ეთქმელმა ზესთ-ერთმა, რომელსაც პატივისცემის წადილმა „მამადცა ჰკადრა წოდებაჲ“, წარმოაჩინა თავის ხატად და ტვიფარად. ამავე დროს, „ივავად“ ანუ ნიმუშად ყოველთა მყოფთა. („ქრისტე ძედ კაცისად დაჰბეჭდა მამამან, ესე იგი არს, ბეჭდად მისსა და ხატად იშვა ცხოველისა უქცეველობისა და ბუნებისა იგივეობისა მიმართ განმცხადებელად)“[31].

მაგრამ ეს ანალოგია, მეორე მხრივ (თუ მას პირდაპირ გაიგებდნენ), საკმაო საფუძველი იყო იმ „საცთურისა“, რომელმაც წარმოშვა არიოზის წვალება. რადგანაც ნამდვილმყოფი პროკლეს და პეტრიწის, როგორც ფილოსოფოსის ონტოლოგიურ სტრუქტურაში „დამსჭვალულა“, „ჰგიეს“ ეონების სფეროში,

დაბლა დგას ზესთ-ერთზე ისევე. როგორც სულის სფერო — ეონებისაზე... ცხადია, ეს გადახრა არ გამოჰპარვიათ ბერძენ და ქართველ ორთოდოქსებს, რომელთა მხრიდან დევნაზეც გულისტკივილით ლაპარაკობს პეტრიწი. საფიქრებელია, რომ თავისი მართლმადიდებლობის დასამტკიცებლად იგი წერს საგანგებო ტრაქტატს წმ. სამების შესახებ, რომელიც ხელნაწერებში (და გამოცემაშიც) ერთვის განმარტების ტექსტს ბოლოსიტყვაობის სახით. ამ ტრაქტატში, რომელსაც პირობითად შეიძლება ეუწოდოთ „სამობით ხედვისათვის სალმრთოებისათა ბუნებისა“, განხილულია სამების წინასწარმეტყველების მასალა „ფსალმუნთა“ წიგნიდან („ფსალმუნნი“ განხილულია როგორც „სამების ანგელოზი“ ანუ მაცნე), მოხმობილია სათანადო ეგზეგეტიკური მასალა გრიგოლ ნაზიანზელის, ბასილი დიდის თხზულებებიდან და ნაჩვენებია, თუ როგორ „თანმეხმეობს“ მასთან „ღვთისმეტყველების მიჰრონი“ — პლატონი და მისი „მონაცვალე“ პროკლე. განხილულია აგრეთვე სამების დამადასტურებელი ემპირიული მასალა გეომეტრიის, მუსიკის, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, რიცხვთა, სტრატეგიული ხელოვნების მოშველიებით (ცნობილია, რომ ამ ხერხს წმინდა მამები ადრე საუკუნეებში

---

30 იოანე პეტრიწი, გვ. 81.

31 A 52, თეოფილაქტე, გვ. 46.

იყენებდნენ წმ. სამების ჰიპოსტასების შესახებ მოძღვრების ნათელ საყოფად). მოსე გოგიბერიძის თქმით. „იოანე პეტრიწმა ბეწვის ხიდზე გაიტანა ეს სახიფათო პრობლემა და დაასაბუთა, რომ ყველაფერი, რაც არსებობს, არსებობს სამებისა და ერთარსების სახით: ე. ი. არსება ერთია, ხოლო არსობა მისი არის სამება"[32]. ამ ტრაქტატში იოანე პეტრიწი იცავს უფლებებს ელინთა ფილოსოფიისა. რომელიც მისი აზრით, არა თუ არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მოძღვრებას სამებისა და არსთა შესაქმის საიდუმლოების შესახებ, არამედ წარმოადგენს შემეცნებითს გზას ამ საიდუმლოს ამოცნობისაკენ. მას უნდა აჩვენოს, რომ პლატონი და პროკლე „თანმეხმეობენ" და „თანადაელაადებიან- „სამების ანგელოზს". „ჩვს ორიდეოსს — დაეითს", წინასწარმეტყველს.

გარდა ამისა, პეტრიწის ათვალწუნების მიზეზი, შესაძლებელია ისიც იყო, რომ მან შეპბედა ბიბლიურ თხზულებათა ქართულ კანონიკურ, როგორც იგი უწოდებს, „ულუმპიელთა". თარგმანებში თავისი შესწორებები შეეტანა სათანადო დასაბუთებით. ცნობილია, რომ ამავე მიზეზით ეფრემ მცირესაც ეჭვის თვალით უყურებდნენ.

ბიბლიურ თხზულებათა თარგმანები დროთა განმავლობაში, პერიოდულად ახლდებოდა და ამგვარად იქმნებოდა ქართულ თარგმანთა ახალი რედაქციები. მაგრამ პრინციპი თარგმანთა განახლებისა ერთი იყო: მთარგმნელებს წინ ედოთ ძველი თარგმანები და მათი ბერძნულ დედნებთან შეჯერების გზით, ამ ტექსტთა წმინდა მამების განმარტებების, სხვადასხვა ლექსიკონებისა და მათი თანამედროვე ქართული ენის მონაცემების გათვალისწინებით ცვლილებები შეჰქონდათ ამ ძველ თარგმანებში. ამ გზით, ერთი მხრივ, არ წყდებოდა მემკვიდრეობითი ხაზი, ხოლო მეორე მხრივ, თარგმანი იხვეწებოდა საზოგადოების ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად. სამწუხაროდ, ეს ტრადიცია შეწყდა მე-13 საუკუნის შემდგომ საქართველოს მძიმე ისტორიულ-პოლიტიკური უბედობის გამო.

---

32 მ. გ ო გ ი ბ ე რ ი ძ ე, პეტრიწი და მისი მსოფლმხედველობა, წიგნში: რუსთაველი, პეტრიწი, პრელუდიები, თბ., 1961, გვ. 191.

დასასრული შემდეგ ნომერში.

ᲓᲐᲛᲐᲜᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲝᲜᲐᲡᲢᲠᲝ-ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ (ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ)

(ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲡᲐᲐᲖᲠᲝᲕᲜᲝ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘ) *

ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲒᲔᲚᲐᲗᲘᲡ ᲡᲐᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ (ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘᲡ) ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲔᲚᲘᲜᲝᲤᲘᲜᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗ ᲛᲫᲚᲐᲕᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲨᲢᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲡ, ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲡ ᲘᲦᲔᲑᲡ ᲡᲜᲝᲠᲔᲓ ᲔᲤᲠᲔᲛ ᲛᲪᲘᲠᲘᲡ — ᲨᲐᲕᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲤᲘᲚᲝᲚᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ �გᲐᲛᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ ᲒᲕᲔᲕᲚᲘᲜᲔᲑᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲡᲘᲢᲧᲕᲘᲗ, ᲖᲔᲓᲛᲘᲜᲔᲕᲜᲘᲗ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲡ ᲡᲐᲤᲣᲫᲕᲔᲚᲘ ᲩᲐᲔᲧᲐᲠᲐ ᲐᲜᲢᲘᲝᲥᲘᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ ᲛᲓᲔᲑᲐᲠᲔ ᲨᲐᲕᲘ ᲛᲗᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲓᲐ „ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲗᲐᲜᲛᲘᲓᲚᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ“ ᲓᲐ ᲔᲤᲠᲔᲛ ᲛᲪᲘᲠᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲛᲘᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲔᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲧᲣᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜᲣ ᲨᲔᲧᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲛᲝᲗᲐᲕᲔ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲘᲡᲩᲐᲛᲓᲒᲛᲔᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲧᲝᲤᲘᲚᲘᲧᲝ. ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲮᲔᲚᲜᲐᲬᲔᲠᲘᲡ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲓᲐᲜ ᲩᲐᲜᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲔᲓᲐᲜᲗᲐᲜ ᲓᲐᲐᲮᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲧᲣᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲓᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲜᲐᲗᲐᲠᲒᲛᲜ ᲫᲔᲒᲚᲗᲐ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲗᲐᲠᲒᲛᲜᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲕᲐᲡ. ᲐᲡᲔ ᲛᲐᲒ., ᲔᲤᲠᲔᲛ ᲛᲪᲘᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲜᲓᲔᲠᲫᲘᲓᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲔᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲝᲡ ᲢᲔᲥᲡᲢᲡ, ᲕᲒᲔᲑᲣᲚᲝᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲗᲐᲜᲛᲘᲜᲓᲔᲚᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚ ᲮᲐᲜᲡ ᲨᲐᲕ ᲛᲗᲐᲖᲔ ᲣᲮᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲐ, „ᲓᲘᲓᲘᲡᲐ ᲛᲝᲦᲣᲐᲜᲘᲡᲐ, ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲓᲐᲧᲣᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗᲐ ᲙᲣᲐᲚᲐᲓ ᲣᲡᲠᲣᲚᲔᲡᲐᲓ ᲓᲐ ᲣᲜᲛᲘᲓᲔᲡᲐᲓ ᲔᲗᲐᲠᲒᲛᲜᲔᲡ „ᲓᲐᲕᲘᲗᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲝ ᲬᲘ�გᲜᲜᲘ“, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲛᲗᲐᲜᲛᲘᲜᲓᲔᲚᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲩᲐᲜᲡ, ᲑᲔᲕᲠᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ „ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲡᲐ ᲞᲘᲠᲡᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲓᲐ“, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲛᲔᲑᲠ „ᲫᲣᲔᲚᲘᲡᲐᲕᲔ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘᲡᲐᲓᲐ ᲛᲘᲣᲧᲕᲐᲜᲔᲑᲘᲐ“. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲔᲤᲠᲔᲛ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲘᲫᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲐᲛᲮᲓᲐᲠᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲗᲐᲠᲒᲛᲐᲜᲘ ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲨᲔᲔᲯᲔᲠᲔᲑᲘᲜᲐ ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚ ᲓᲔᲓᲐᲜᲗᲐᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲜᲐ „ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘᲡᲐ ᲫᲐᲚᲘᲡᲐᲔᲑᲠ, ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲜᲔᲕᲜᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲜᲐᲫᲚᲝᲛᲘᲗᲐ

---

*ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ: ᲓᲐᲡᲐᲜᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“ № 1,1993.

თარგმანთა და ლექსიკონაითა". [33]

ახალი მთარგმნელობითი მეთოდისა და სტილის ძიებანი ამ ხანის მოღვაწეთა ურთიერთთანამშრომლობითა და შეთანხმებით ხორციელდებოდა. ეფრემის არაერთი ანდერძი მონმობს იმავე გიორგი დაყუდებულის, საბა თუხარელის, ანტონ ტბელის, იოანე ფარაკნელის და სხვათა (მათი სახელები ხშირად ფიგურირებს ეფრემ მცირის ფილოლოგიური ხასიათის შენიშვნებსა და ანდერძებში), დამოკიდებულებას, საერთოდ, ფილოლოგიური მუშაობისა და, კერძოდ, მთარგმნელობითი საქმიანობისადმი, რაც ძირითადად დედნისეული აზრის ზედმიწევნითი სიზუსტით გადმოცემაში მდგომარეობდა. ხოლო, თუ თარგმნისას ქართული მოითხოვდა სიტყვის „შემატებას", „კლებას" ან რაიმე განმარტებას, ისინი „კიდესა სტიქონისასა" განსაკუთრებული ნიშნების — „იოტასა" და „უსაკუთრესის" დასმით, აშიაზე უნდა გაეტანათ. ეს და სხვა სიახლეები, რომლებიც დანერგა ეფრემ მცირემ ქართული თარგმანის თეორიასა და პრაქტიკაში, შეითვისეს და, თავის მხრივ, განავითარეს, არსენ იყალთოელმა და იოანე პეტრინმა, რომლებიც თარგმანის ხელოვნებას, როგორც ჩანს, ეფრემის ხელმძღვანელობით ეუფლებოდნენ ისე, რომ პრაქტიკულად ეხმარებოდნენ კიდევაც თავიანთ მოძღვარს ამ საქმიანობაში. [34] არ არის შემთხვევითი, რომ ეფრემ მცირემ, რომელიც თავის თავს არ თვლიდა განსწავლულად ფილოსოფიაში, [35] არსენ იყალთოელი და იოანე „საღმრთო ფილოსოფოსი" სწორედ ფილოსოფიური ხასიათის თხზულებათა თარგმანში დაიხმარა, როგორც ამ საქმეში ზედმიწევნილნი და მეცნიერნი, რომელთაც საფუძვლიანი სქოლასტიკური განათლება მიიღეს კონსტანტინეპოლში, მანგანას აკადემიაში. ამ მხრივ მნიშვნელოვან ცნობებს გვანვდის თვით ეფრემ მცირის ანდერძები: იოანე დამასკელის „წყარო ცოდნისაჲ"-ს ეფრემისეული თარგმანის ანდერძ-ნამაგიდან ცნობილი ხდება, რომ ეფრემის „კეთილი თანამოღვაწე და განმაძლიერებელი" ამ წიგნის თარგმნისას სხვებთან ერთად იყო არსენ იყალთოელიც (A 24,137), ხოლო ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულების I წიგნის თარგმანის A 110 ხელნაწერში დაცული ეფრემისავე ანდერძის თანახმად კი „იოანე საღმრთო ფილოსოფოსი და კორციელად ღრამატიკოსი" ყოფილა მისი „პირ და გონება და სიტყუა" ამ თხზულებაზე მუშაობისას და რომ „არა თუმცა იგი ყოფილ იყო მოძღუარ და ძალმნე ჩემდა, მიხედვადმცა ვერ ეიკადრებდი

---

33 საქმე მოციქულთა, გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ი.აბულაძემ, თბ. 1950, გვ.30. შემდეგში: საქმე მოციქულთა.

34 ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრინი-ჭიმჭიმელი, წიგნში: იოანე პეტრინი, სათნოებათა კიბე. გამოსაცემად მოამზადა გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ი.ლოლაშვილმა, თბ., 1967.გვ. 36. შემდეგში: ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი.

35 ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი, დიალექტიკა. ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. რაფავამ, თბ. 1976, გვ. 66. შემდეგში: ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი.

ზეის ოუალისა ამის წიგნისასაო". საღმრთო ფილოსოფოსად, ასევე პლატონურ ფილოსოფოსად და პორციელად ღრამატიკოსად იოანე პეტრინი იხსენიება ძველ ქართულ ხელნაწერებში. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იოანე პეტრინის წოდება უნდა ყოფილიყო არა უბრალოდ „ფილოსოფოსი", როგორც ეს ლიტერატურაშია აღნიშნული, [35] არამედ „საღმრთო ფილოსოფოსი", რაც უმაღლესი, პირველი ფილოსოფიის სპეციალისტს, ანუ თეოლოგს უნდა ნიშნავდეს. ვინც არ უნდა იყოს ეს იოანე „საღმრთო ფილოსოფოსი", იგი, როგორც ამ ანდერძიდან ჩანს, არის მთარგმნელის „მოძღვარი და ძალმნე", ანუ წინამძღოლი, გზის მაჩვენებელი და დამხმარე კერძოდ ამ თხზულებაზე მუშაობის პროცესში და არა საერთოდ მისი მოძღვარი-მასწავლებელი [37] მნიშვნელობით, როგორც, ჩვეულებრივ გაგებულია სამეცნიერო ლიტერატურაში და ასეთი არასწორი გაგების საფუძველზე ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნებია გამოტანილი. [38] იოანე საღმრთო ფილოსოფოსი და არსენ იყალთოელი გამოცდილ ფილოლოგსა და მთარგმნელს, ეფრემ მცირეს, ეხმარებოდნენ რთულ ფილოსოფიურ ტექსტებზე მუშაობაში, როგორც ამ საქმის მეცნიერნი და მოძღვარნი.

სწორედ ამგვარ თანამშრომლობას უნდა გულისხმობდეს ეფრემ მცირის კიდევ ერთი ანდერძის სიტყვები: „მე ძალისაებრ ვიღუნიდ სიმართლესა და შედარებასა ბერძულისასა მრავალთა მეცნიერთა მოძღუართა ბერძენთა და ქართველთა გამოკითხვითაო. [39] იმ მეცნიერ სპეციალისტ-მოძღვართა შორის, რომელთაც ეფრემ მცირე თარგმნის პროცესში იხმარდა და ეკითხებოდა, როგორც ვნახეთ, არსენ იყალთოელი და იოანე საღმრთო ფილოსოფოსიც იყვნენ. როგორც ჩანს, კონსტანტინეპოლის უნივერსიტეტის (მანგანას აკადემიის) კურსის დამთავრებისას და იქ გარკვეულ ხანს მოღვაწეობის შემდეგ მიიღო პეტრინმა „საღმრთო ფილოსოფოსის" ანუ თეოლოგის წოდება და ამ ტიტულით იხსენიებს მას ეფრემ მცირე.

---

36 შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ.2,თბ.1958, გვ 21; შემდეგ-ში: შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე. ი. ღ ო ღ ა შ ვ ი ლ ი, გვ.38.

37 მართალია, უკვე ძველსავე ქართულში სიტყვა „მოძღუარი" სუბსტანტივადაა ქცეული და ჩვეულებრივ, მასწავლებლის და დამრიგებლის, „სულიერი მამის" მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ „ეგი ამოსავალი მნიშვნელობით აღარ იხმარებოდა: მოღვარი არის ძველუ ზმნის სასუბიექტო მიმღეობა და ნიშნავს „წინამძღოლს, გზის მაჩვენებელს", იმას, ვინც წინ მიუძღვის. აქედან, ვინც არიგებს, ასწავლის, ე.ი. გადატანით— საერთოდ მასწავლებელი. ეფრემის ხსენებულ ანდერძში ეს სიტყვა თავისი ამოსავალი, მიმღეობური მნიშვნელობით არის ნახმარი: „წინამძღოლი, გზის მაჩვენებელი, გამკეალავი, მრჩეველი, დამრიგებელი", კერძოდ, ამ საქმეში გზის მაჩვენებელი, წინამძღოლი მასწავლებელი და არა საერთოდ მასწავლებელი და, მითუმეტეს, აღმზრდელი.

38 ი. ღ ო ღ ა შ ვ ი ლ ი გვ. 38.

39 საქმე მოციქულთა, გვ. 32.

ამგვარად, აქ, შავ მთაზე, ეფრემ მცირის უშუალო ხელმძღვანელობით შეითვისეს იოანე პეტრინმა და არსენ იყალთოელმა ის ახალი მთარგმნელობითი მეთოდები, ადეკვატური თარგმანის დამუშავების პრინციპები, რომლებიც პრაქტიკულად განახორციელა და დანერგა ეფრემ მცირემ შავი მთის ქართველ მოღვაწეთა მოთხოვნით.

ძველი, თავისუფალი თარგმანი, შესრულებული „გამოკრებითი" და „შემატება-კლების" წესით, რაც ექვთიმე ათონელისათვის იყო დამახასიათებელი და რაც, ეფრემ მცირის სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ მას ხელენიფებოდა,[40] აღარ აკმაყოფილებდა ამ მოღვაწეთა მოთხოვნებსა და ინტერესებს. მათ მიზანს ნარმოადგენს ორიგინალის აზრის ზედმინევნითი სიზუსტით გადმოცემა. როგორც ცნობილია, ბერძნულ დედნებთან ზედმინევნითი დაახლოების მოთხოვნის ერთ-ერთი მიზეზი იყო დიდ ბიზანტიურ კულტურასა და მწერლობასთან მეტოქეობისა და გათანასნორებისკენ ლტოლვა, რაც სხვათა შორის, პრაქტიკული მიზნებითაც იყო გამოწვეული, კერძოდ, იმით, რომ შეენარჩუნებინათ ქართული სამონასტრო-ლიტერატურული და კულტურული კერების დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა ბიზანტიასა და მის პერიფერიებში.[41] რადგანაც, როგორც ეფრემი აღნიშნავს, არაზუსტი თარგმანების გამო „ჩუენ გუაყუედრებდეს ბერძენნიო". ამიტომ იყო, რომ ძველ თარგმანებს ასნორებდნენ დედნებთან შეჯერების გზით ან კიდევ სრულიად ახალ თარგმანებს ასრულებდნენ. მართალია, ეფრემი საჭიროდ მიიჩნევს ძველი თარგმანების გადასინჯვას და ბერძნულთან შეჯერება-შედარების გზით შესწორებას, მაგრამ ამავე დროს, ნუხს და ბოდიშს უხდის მკითხველებს, რომელნიც, როგორც ჩანს, მკრეხელობად თვლიდნენ მის ამგვარ საქმიანობას: „ამისათჳს ნუცა ვინ თქუენგანი მაბრალობს, თუ ვითარ მე, სულით და კორცით მწიკლულევანმან, გამოძიებად კელ-ვყავ, და უკუეთუ ჩემითა ძალითა ქეშმარიტად ცოფ და ნავღულიან ვარო", მაგრამ ბერძნულისათვის რომ არ შემედარებინა, „თარგმანი სიტყჳსაჲ გაირყუნებოდა და კუალად შემდგომნი მეცნიერნი ბერძნულისანი მაბრალობელ გუექმნებოდეს გამოუძიებლად დანერისათჳს სიტყუათაჲსაო".[42]

რამდენიმე ხნის შემდეგ კი იოანე პეტრინი იტყვის: „მრცხუენის მე, თჳთ მის ქეშმარიტებისაგან, აქაჲთ წარსულსა და მკუდარსა, რამეთუ არსთა

---

40 ი ო ა ნ ე დ ა მ ა ს კ ე ლ ი , გვ. 67.

41 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.1. თბილისი, 1960, გვ.61. შემდეგში: კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე, ბიზანტიური ქართული ლიტერატურის ურთიერთობანი, თბ. 1969. გვ.104., შემდეგში: ე. ხ ი ნ თ ი ბ ი ძ ე.

42 ეფრემ მცირის მთარგმნელობითი მეთოდისა მისი დამოკიდებულების შესახებ ათონელ მთარგმნელებთან. დანერილებათ იხ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე გვ. 253., ე. ხ ი ნ თ ი-ბ ი ძ ე 1969, გვ.152-175, კ. დ ა ნ ე ლ ი ა, 1983, გვ. 312-352.

ნილ არათა გარდამოვაენებდე"[43] და "განსხვავებით ეფრემ მცირისაგან, რომელიც ქედს იხრიდა ათონელთა ავტორიტეტის წინაშე და მათს ნამუშაკევში რიდითა და კრძალვით შეეჭქონდა შესნორებები, აშკარად დაუპირისპირდება ამ „ულუმპიელებს".

იოანე პეტრინი, რომელმაც გელათში აბალ სიმაღლეზე აიყვანა და განავითარა შავ მთაზე მიღებული მთარგმნელობითი თეორია და პრაქტიკა, არა თუ ქედს იხრის, არამედ მკაცრად აკრიტიკებს „ულუმპელთა" თარგმანებს, იგი საყვედურობს ძველ მთარგმნელებს იმის გამო, რომ ისინი ღრმად ვერ სწვდებოდნენ და ზუსტად ვერ გადმოსცემდნენ სახარებაში, სამოციქულოსა და სხვა ამგვარ ნიგნებში დაუნჯებულ აზრებს, ხოლო, რაც შეეხება ფილოსოფიას, ამ დარგში ხომ ჩვენებს არ ჰქონიათ დიდი გამოცდილება, რადგანაც ჩვენში მიღებულია ადვილთა და ჩვეულთა სათარგმანოთა შორის თხზვა და მორთვა ენისაო, მე კი რთული ფილოსოფიური თზულებების თარგმნისას სიმარტივეს და ენის შესაძლებლობებს მივსდევ მანამდის, სანამ „მეტითა სილიტონითა აზრს" ვნება და დაშლა არ შეემთხუევისო[44]. ბიბლიურ ტექსტთა ძველი თარგმანებიდან მოყვანილი მაგალითების განხილვით პეტრინი, განსხვავებით ეფრემ მცირისაგან, დაუფარავად, კატეგორიული ტონით ამყლავნებს თავის კრიტიკულ დამოკიდებულებას ათონელებისადმი და აცხადებს, რომ „სიტყვის ვრცლად წარვლისა" რომ არ მერიდებოდეს, „გიჩუენეთმცა თქუენთა ულუმპიანთა ძლევანიო"[45].

ამგვარად, შავი მთისა და გელათის სკოლის მოღვაწეთა მთარგმნელობითი მეთოდის ძირითადი მოთხოვნა იყო ზუსტი, ადეკვატური თარგმანის ხელოვნების დაუფლება. ამისათვის კი საჭირო იყო სათარგმნი ტექსტის ყოველმხრივ შესწავლა და მისი სწორად გაგებისათვის იმ განმარტებების გათვალისწინება, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა ქრისტიანი მამების მიერ. რაც შეეხება ფილოსოფიურ ლიტერატურას, მისი თარგმნა და გაგება კომენტარებთან ერთად პირველი წყაროების უშუალო შესწავლასა და გამოყენებას მოითხოვდა. ამიტომ იყო, რომ გელათის სკოლაში განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ ეგზეგეტიკურ ლიტერატურას, როგორც ბიბლიურს, თეოლოგიურს, ისე ფილოსოფიურს. ინტერპრეტაცია-კომენტარების შესწავლა და გათვალისწინება აუცილებელი იყო ტექსტის გაგებისა და სწორად თარგმნისათვის. ამიტომ იყო, რომ

---

43 ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი ნ ი, შრომები, ტ.2, განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოხოსისა და პლატონურისა ფილოსოფიისათჳს, ტექსტი გამოსცეს, გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და სიმ. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937, გვ.108. შემდეგში: ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი ნ ი.

44 ი ქ ვ ე ე, გვ. 222.

45 ი ქ ვ ე ე, გვ. 219.

ეფრემ მცირე ბიბლიურ ტექსტთა ძველი ქართული თარგმანების დაზუსტებაზე მუშაობისას უამრავ განმარტებასა და ლექსიკონს იშველიებდა: „ესევითართა ღრმათა ადგილთა, სადაცა უკმდა შეცუალებაჲ და სხუებრ ცუალებაჲ სამოციქულისა ქართულსა, რომელ მაშინღა ძლით გულისკმა-იყოფებოდის, ოდეს საბნი, გინა ოთხნი თარგმანნი პავლისანი და ეგეოდენნივე ლექსიკონნი. რომელ არიან ღრმათა ნიგნურთა სიტყუაჲ-ზედა გაბყობილნი სიტყუანი — ერთად შეგოვკრიბნი, მაშინღა ძლით მოუპოო მსგავსებული სიტყუაჲთ“[45]. ხოლო, რაც შეეხება პეტრინს, თეოლოგიური პრობლემების განხილვისას იგი, ისევე როგორც მისი დროის ზოგი ბიზანტიელი მოაზროვნე, გარდა პატრისტიკული ლიტერატურისა, ამოდიოდა ნეოპლატონური ფილოსოფიური სისტემიდან და ეყრდნობოდა ანალოგიის მეთოდს. მის მიერ ბიბლიური ტექსტის კანონიკურ თარგმანებში შეტანილი შესწორებები და მსჯელობანი ამასთან დაკავშირებით ეყრდნობა სწორედ ნეოპლატონურ თვალსაზრისს არსის იერარქიულობის შესახებ. კერძოდ, ღმერთის მიერ „შესაქმე კაცისა“ პეტრინის, როგორც ნეოპლატონიკოსის მიერ, გააზრებულია საფეხურებრივად: ადამიანი შეიქმნა არა „ხატად ღმრთისა“, როგორც ეს ძველ, კანონიკურ თარგმანშია გაგებული, „მოვედით და ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა“(დაბ. 1,26), არამედ ღმერთის ხატის მსგავსად: Κατ' εἰκόνα ἡμετέραν καὶ καθ' ὁμοίωσιν—არამედ მოსე იტყვს ესთა: „მოვედით და ვქმნეთ კაცი ხატისაებრ და მსგავსისა ჩუენისა“[47]. ამგვარად, იოანე ფილოსოფოსისათვის, როგორც ნეოპლატონიკოსისათვის, კაცი არის არა უშუალოდ ღმერთის ხატი, არამედ მისი „ხატის ხატი“. ხოლო მამა-ღმერთის უშუალო ხატი არის ძე-ქრისტე, რომლის ხატის მიხედვითაც შეიქმნა კაცი. ქრისტე რომ „არის ხატი ღმერთისა უხილავისაჲ“, ეს აზრი იკითხება პავლეს სხვადასხვა ეპისტოლეში: „(ქრისტე), რომელი-იგი ხატი ღმრთისა იყო“ (ფილიპ. 2,6) „ქრისტე, რომელ-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ“, (II კორ. 4,4) „განაჩინა თანამსგავსად ხატისა მის ძისა თჳსისა“ (რომ. 8,9). ამიტომაა, რომ პროკლეს 29-ე თავის განმარტებაში, რომელიც მიზეზიდან მიზეზოანის (შედეგის) გამომდინარეობას ეხება მსგავსების საფუძველზე, როგორც ზემოთაც ვთქვით, პეტრინი იმოწმებს სწორედ „ჩუენი ეკლესიის მემოძღვრის“ — პავლეს სიტყვებს: „ვინაჲცა სიტყუა ჩემ გონებამზისა პავლესი შემოვალს აქა, რამეთუ იტყჳს ხატად და მსგავსად და ეკმაგიოდ მის ერთისად, რომელსა მამობაჲცა ჰკადრა სიტყუამან“.[46] პავლეს ამავე სიტყვებს ეყრდნობა თეოფილაქტე ბულგარელი

---

46 საქმე მოციქულთა, გე. 29
47 ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი ნ ი, გე. 219
48 ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი ნ ი, გე. 78

იოანეს სახარების განმარტების შემდეგს კონტექსტში: „ვინაჲთგან ხატიცა არს მამისა ძე და აღმონაბეჭდავი და მსგავსებაჲ“[49].

ამგვარად, „ხატად თჳსა და ეკმაგიოდ და აღმონაბეჭდარად და ბეჭდად“ დაჰბადა ღმერთმან ძე-ქრისტე, ხოლო კაცი შექმნა „ხატისაებრ და მსგავსისა თჳსისა“. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს პეტრიწის განმარტების ტექსტში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული მსჯელობანი ერთისა და მისი ხატის — ნამდვილმყოფის ანუ პირველი არსისა და პირველი მყოფის, პირველი გონების — ლოგოსის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი მსჯელობა დაკავშირებულია პროკლეს ტრაქტატის 101-ე თავის განმარტებასთან. ეს პარაგრაფი ეხება გონების, ცხოვრებისა და მყოფობის ურთიერთმიმართებას. ამასთან დაკავშირებით პეტრიწი კვლავ იყენებს პავლე მოციქულის გამონათქვამს და მისი საშუალებით შესაბამისობას (ანალოგიას) ამყარებს პირველ მყოფსა ანუ ნამდვილ მყოფთან: „ესე ხედვანი განგკუოფენ ცხადად პირველსა მყოფსა და პირველსა გონებასა. პირველად უკუე მყოფად ნამდვლმყოფი გაიგონე, რამეთუ მან მიიღო პირველი მყოფობა მის ყოველთა ძალთა ზესთაჲსა ძალისაგან და წარმოდგა პირველად და მიზეზად ყოველთა მყოფთან, ვითარცა ხატი მის პირველისა ერთისაჲ, რომელი შეადგა მან უთქუმან და ზესთამან ყოველთამან და დადვა ხატად თჳსდა და იგივად ყოველთა მყოფთად“[50].

ამგვარად, იოანე პეტრიწმა შეიტანა მნიშვნელოვანი შესწორება ბიბლიის „შესაქმის“ წიგნის კანონიკურ ქართულ თარგმანში იმ თვალსაზრისიდან ამოსვლით, რომ არსის იერარქიაში უშუალოდ მომდევნო არის ხატი და მსგავსი წინა რიგის სირათმთავრისა, ამიტომ ღმერთის ხატი არის ქრისტე (რაშიც იგი პავლე მოციქულს იმოწმებს), რომელიც არის ნიმუში ანუ „იგავი“ ადამიანისა, ისევე როგორც ნამდვილ მყოფი არის „იგავი ყოველთა მყოფთა“. ასეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას მას, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, თვით ბერძნული ტექსტი აძლევდა, სადაც წერია: Ποιήσωμεν ἄνθρωπον κατ' εἰκοωνα ἡμετέραν καὶ καθ' ὁμοίωσιν, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „შეექმნათ კაცი ჩვენი ხატის მიხედვით და ჩვენი მსგავსისა“ ანუ „ჩვენი ხატისაებრ და ჩვენი მსგავსისა“ (რუს. თარგმ. „Сотворим человска по образу нашему и подобно нашему“).

პეტრიწის შესწორება, როგორც ჩანს, მიიღო საბამ, რომელმაც მის მიერ ნარედაქციევ მცხეთურ ბიბლიაში იგი შეიტანა ოდნავი სხვაობით: „ვქმნეთ კაცი ხატისაებრ და ჩვენისა მსგავსებისაებრ“ (დაბ.1,26) თუმცა კი შემდეგი მუხლი მისდევს ძველი რედაქციის წაკითხვას: „და შექმნა ღმერთმან კაცი

---

49 თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი ს ა ე უ ლ-ღ ა რ ი ი ს ა ი, თარგმანებაჲ იოანნის სახარებისაჲ, F 52, ფ. 46.

50 ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი ნ ი, გვ.148

სახედ თკსად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი" (დაბ. 1,27), რაც იმის დამადასტურებელი უნდა იყოს, რომ იმ ხანებში პეტრინისეული შესნორების მსოფლმხედველობრივი საფუძვლები მთლად ნათელი და გააზრებული აღარ უნდა ყოფილიყო. პეტრინის ეს ახალი რედაქციული სხვაობა შეტანილია აგრეთვე A 179 ხელნაწერში, რომელიც შეიცავს ძველ აღთქმის წიგნების „შესაქმისა" და „გამოსლვათა"-ს თარგმანებს. (ზოგი, მკვლევარი მათ, სწორედ ამის გამო, გელათურ ვერსიად მიიჩნევს).[51] პეტრინის რეცენზია აქაც ოდნავაა შეცვლილი, ისე რომ არსებითი შინაარსი დაცულია: „და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ" (A 179, ფ. 2). უნდა აღინიშნოს, რომ თვით პეტრინსაც თავიდანვე არ ჰქონდა, როგორც ჩანს, მოძებნილი ზუსტად ისეთი ფორმულირება, როგორც მან შემდეგ ჩამოაყალიბა. ასე მაგ., ნემესიოს ემესელის ტრაქტატის თარგმანში (რომელიც მან პროკლეს განმარტებაზე ადრე შეასრულა), „შესაქმეს" ზემოხსენებული კონტექსტის ასეთი პერიფრაზია მოცემული: „მებრ ხატად და მსგავსად ღმრთისა ქმნილი ესე".[52] ლაპარაკია ადამიანზე, რომელიც ღმერთმა სრულყოფილ ცხოველად—ბუნების მეუფედ შექმნა. როგორც ვხედავთ, ზუსტი ფორმა ჯერ კიდევ არ არის მოძებნილი, მაგრამ გააზრება ისეთივეა, როგორიც საბოლოო ვარიანტში. ამასთან დაკავშირებით მეტად საგულისხმოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ არც გელათის ბიბლიის ერთ-ერთი განმარტების ტექსტი (სამწუხაროდ, A 1108 და Q 1154 ხელნაწერებს აკლია „შესაქმისა" და „გამოსვლათა"-ს ნიგნები და, ამიტომ ის, თუ როგორ იყო თარმნილი ჩვენთვის საინტერესო გამონათქვამი, უცნობია); გელათის ბიბლიის A 1108 ხელნაწერის 102-ე ფურცელზე ერთ-ერთი განმარტების თარგმანში მოცემულია შემოკლებული პერიფრაზი დაბ.1,26 მუხლისა „ვითარ-იგი: ხატად ჩუენდა და მსგაესებად", რაც ძალაუნებურად გამორიცხავს პეტრინის მთარგმნელად მიჩნევასა და ბადებს ეჭვს, ხომ არ არის გელათის ბიბლიის განმარტებათა ექსცერპტები თარგმნილი სხვადასხვა პირების მიერ? აღსანიშნავია ისიც, რომ მიტროფანე ზმკრნელის მთარგმნელი, რომელიც, კ. კეკელიძის აზრით, იოანე ჭიმჭიმელი უნდა იყოს, ორჯერ იმონმებს ჩვენთვის საინტერესო ადგილს „დაბადებიდან" და ორჯერვე ძველი რედაქციის მიხედვით: „რომელმან ხატად და მსგავსად თკსა შეუმზადა კაცი".[53] „ესე ქმნას უეჭველად შემოქმედმან და ხატად თკსა

---

51 ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე — რუსთაველის ხანის ქართული ბიბლიის თარგმანი (გელათური ვერსია), კრებ. შოთა რუსთაველი, ისტ-ფილ ძიებანი, თბ., 1966, გვ.249 შემდეგში: ბ. გიგინეიშვილი, ც. კიკვიძე.

52 ნემესიოს ემესელი, ბუნებისაცჳს კაცისა, თარგმანი იოანე პეტრინისა, გამოსცა ს. გორგაძემ, თბილისი, 1914, გვ.22. შემდეგში: ნემესიოს ემესელი.

დამბადებელმან მისმან".[54] ასეთ შემოხვევაში, თუ მივიღებდით კ. კეკელიძის აზრს იმის შესახებ, რომ ამ ტექსტის მთარგმნელი იოანე ჭიმჭიმელია, პეტრინისა და ჭიმჭიმელის იგივეობის საკითხი, ცხადია, მოიხსენებოდა. ამასთანავე, ყურადღებას იპყრობს რუის-ურბნისის ძეგლისწერის ტექსტი, რომლის ავტორიც, როგორც ცნობილია, არსენ იყალთოელია. მასში მოცემულია დაბადების 1,26 მუხლის გელათის ბიბლიაში დადასტურებული ვარიანტი: „ვინაჲთგან დაჴბადა ღმერთმან დასაბამსა ხატებად და მსგავსებად თჳსსა კაცი".[55]

შესაძლებელია, პეტრინისეული ინტერპრეტაციის გავლენა დავინახოთ დავით აღმაშენებლის სიტყვებში: „მეცა, სიტყუაო, აღმსარებელსა მიმხედენ... ხატსა თჳსსა მამსგავსე და საკრველად გრძნობადისა გონიერისა მყოფობისად დამანესე შენებრ არსთა სიტყუებისა ჩემ-შორისცა შეკრებითა, ხოლო მე უმადლო-გექმენ".[56]

ასევე, ფილოსოფიური ინტერპრეტაცია უძევს საფუძვლად პეტრინის მიერ შემოთავაზებულ შესწორებას, რომელიც იოანეს სახარების I თავის პირველივე მუხლის გამონათქვამს ეხება: 'Εν ἀρχῇ ἦν ὁ λόγος პეტრინის აზრით, ძველი, კანონიკური თარგმანი ამ ფრაზისა — „პირველითგან იყო სიტყუა" არ არის სწორი და შედეგია იმისა, რომ მთარგმნელს არ ესმის, რომ აქ გატარებულია „ძალითი სიტყვის მოქმედების" ანუ პოტენციაში მყოფი სიტყვის განხორციელების აზრი. მისი შეხედულებით, სიტყვა პირველი მიმართებითი ცნების გამომხატველია: პირველი შემდგომთა მიმართ არის პირველი, იგი პირველია თავის მსგავსთა მნყობრში ანუ „სირაში", როგორც, მაგ. კაცი კაცებს შორის და ცხენი — ცხენებს შორის. ამგვარად, ამ თარგმანის მიხედვით გამოდის, თითქოს „სიტყუაჲ მამისა ღმრთისაჲ" არის „ერთი ნაბადთა და წარმოჩენილთაგანი", მათი მსგავსი და თანმებუნებე", მაშინ, როდესაც იგი თანაარსი და თანმებუნებეა მამისა, მასთანაა დასაბამშივე ისევე, როგორც ზზის თუალი ანუ დისკო „შარავანდეთათვის" ანუ სხივებისათვის. ამგვარად, ἀρχῇ-ს „პირველით" თარგმნა ინვევს ერთარსება სამების დოგმის მნვალებლურ გაგებას. თითქოს ძე-ქრისტე-ლოგოსი ერთი წარმოქმნილთაგანია („წარმოჩენილ-თაგანი") და, ამდენად, მდარე ბუნებისა. ამიტომ იოანე პეტრინი

---

53 მ ი ტ რ ო ფ ა ნ ე ზ მ კ რ ნ ე ლ ი, თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბ., 1920. გვ. 168 , 3.

54 ი ქ ე ე 23,5

55 დიდი სჯულის კანონი, არსენ იყალთოელის თარგმანი, გამოსცეს ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, ე. გაბიაშვილმა, გ. ნინუამ, თბილისი,1975. 548 , l. შემდეგში: დიდი სჯულის კანონი.

56 გალობანი სინანულისანი — საქართველოს სამოთხე, გამოსც. მ. საბინინის მიერ პეტერბ.,1862, გვ. 514.

ფრთხილად ეძიებს საჭირო სიტყვას, რომელიც „ძალითი სიტყვის მოქმედებას“ განაცხადებს და იძლევა შემდეგ თარგმანს: „დასაბამსა შორის იყო სიტყუა“.[57] ეს თარგმანი სავსებით შეესაბამებოდა ამავე მუხლის მომდევნო სიტყვების აზრს: „და სიტყუაჲ იგი იყო ღმერთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაჲ იგი“ (იოანე 1,1), რაც სიტყვა-ლოგოსის ანუ ძის მამასთან თანადაუსაბამობასა და თანაარსებას გამოხატავს.

შემთხვევითი არ არის, რომ იოანე პეტრინმა განსაბილველად შეარჩია სწორედ ეს ადგილები ბიბლიის ტექსტიდან და მათი განსაკუთრებული სიზუსტით თარგმნა მოითხოვა. ბიბლიის ტექსტის ზემოგანხილული ადგილები ეხება წმ. სამების მეორე პირის—ძის დამოკიდებულებას მამისადმი და თარგმანის საკითხი გადაწყვეტილია მტკიცე მართლმადიდებ-ლური პოზიციებიდან: ძე მამის თანაარსია, იგი ხატია ღვთისა უხილავისა, ხოლო კაცი შექმნილია ღვთის მიერ თავისი ხატის მსგავსად („ხატისაებრ და მსგავსისა მისისა“). ასე რომ პეტრინს აქ აღარავითარი ბრალი არ შეიძლებოდა დასდებოდა მნვალებლური აზრების ქადაგებაში და სამების მეორე პირის მამა ღმერთთან დამოკიდებულების სუბორდინაციულ გადაწყვეტაში (როგორც ეს შეიძლებოდა მოსჩვენებოდათ პროკლეს ონტოლოგიურ სტრუქტურაში ნამდვილმყოფსა და წმ. სამების ჰიპოს-ტასს—ძეს შორის მის მიერ გატარებული ანალოგიის გამო). ქრისტეს ღვთაებრივი და ადამიანური ბუნების გარშემო პაექრობას ბიზანტიაში დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. დაწყებული ნიკეის მსოფლიო კრებიდან (სადაც არიოზისა და საბელიოზის ნვალებათა საკითხი იდგა და სადაც არიოზის წინააღმდეგ ბრძოლაში გაიმარჯვა ათანასე ალექსანდრიელმა, რის შემდეგაც იმპერატორის ბრძანებით არიოზის ნაწერები ცეცხლს მისცეს, ხოლო თვით ავტორი ეკლესიიდან განკვეთეს და პატიმრობა მიუსაჯეს) მე-8 საუკუნემდე (როდესაც კონსტანტინეპოლის მსოფლიო კრებაზე 842 წელს გამოიცა საგანგებო ედიქტი, რომელიც კრძალავდა სამების გარშემო დისკუსიებს) ამ საკითხის ერთიანი, უნიფიცირებული ფორმით გადაწყვეტის მიზნით შვიდი მსოფლიო კრება იქნა მოწვეული (გარდა მცირე ადგილობითი საეკლესიო კრებებისა) და მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბებულ იქნა ორთოდოქსული ქრისტიანული დოქტრინა, კამათი და დისკუსიები თეოლოგთა წრეებში მაინც არ შენელებულა. ამ დისკუსიებმა კომნენების ხანაში (მე-11-12 სს-ში), როგორც ზემოთაც ვნახეთ, მეტად ფართო ხასიათი მიიღო. ამ პერიოდში ეს კამათი სათავეს იღებდა განსაკუთრებით იოანეს სახარების სიტყვებიდან: „მივალ მამისა ჩემისა, რამეთუ მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს“ (ი. 14,27). თეოფილაქტე ბულგარელი, როგორც ზემოთ ვნახეთ, განსაკუთრებით

---

57 ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი ნ ი. გვ. 219.

ერცელ კომენტარს უძღვნის ქრისტეს ამ სიტყვებს, რაც იმის მარკვენებელია, რომ ეს საკითხი იმ დროს მეტად აქტუალური იყო. როგორც ჩანს, ამით იყო გამოწვეული ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც პეტრინმა მიაქცია იოანეს სახარების პირველივე ფრაზის თარგმანს და საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე ახალი რედაქციით ნარმოადგინა იგი. მისი ეს ინტერპრეტაცია საკუთარი ეთანხმებოდა მართლმადიდებლურ კრედოს. პეტრინისეული რედაქცია მიღებულია თეოფილაქტე ბულგარელის იოანეს სახარების განმარტების მთარგმნელის მიერ: „შორის დასაბამსა იყო სიტყუაჲ“- ვკითხულობთ A 52 ხელნაწერის პირველსავე გვერდზე. ეს ფაქტი საფუძველს აძლევს მკვლევარ ივ. ლოლაშვილს, თეოფილაქტეს ნაშრომის მთარგმნელად იოანე პეტრინი მიიჩნიოს,[58] რაც არ არის გამორიცხული.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, იოანე პეტრინი ტექსტის ღრმა ანალიზის საუძველზე ასაბუთებს საღვთო წერილიდან ორი ადგილის ქართულ თარგმანში შესწორების შეტანის აუცილებლობას. და მთელი ეს მსჯელობა მე-13 საუკუნის ხელნაწერში მოთავსებულია მე-18 საუკუნეში აღდგენილ ფურცლებზე და მიკინძულია განმარტების ე.წ. ბოლოსიტყვაობასთან, რადგანაც იგი თემატურად ეხმაურებოდა პროკლეს ტრაქტატის პეტრინისეულ განმარტებაში დასმულ და განხილულ პრობლემებს: კერძოდ, ნმ. სამების II პიპოსტასის ბუნების საკითხს.

პეტრინის „განმარტების“ ე.წ. ბოლოსიტყვაობა, როგორც მისი ტექსტის ანალიზი გვარწმუნებს [59], არის მასალები, მოხმობილი და გაანალიზებული „ფსალმუნთა“, მოსესა და „მოსეანთა“ წიგნებიდან სამების, განგების, კეთილობის, ბოროტის უარსობისა და მყოფთა ნარმოშობის საკითხების გარშემო და წარმოადგენს ამ პრობლემების გადაწყვეტის ძიებას „ფილოსოფოსთა დღის მწვერვალის“ — პლატონის დიალოგებსა და პროკლეს კომენტარებში ამ დიალოგებზე. მასში შედის აგრეთვე მასალები, ამოკრეფილი გრამატიკის საკითხებზე ბიზანტიელ კომენტატორთა ნაშრომებიდან, ნაწყვეტები გრიგოლ ნაზიანზელის „ეპიტაფიიდან“ ბასილი დიდისათვის (რიტორიკის ფილოსოფიისა და გრამატიკოსობის შესახებ) და დასაწყისი სოლომონის „იგავთა“ ბასილი დიდის განმარტებებისა.[60] ყოველივე ეს ძალაუნებურად ბადებს აზრს იმის შესახებ, რომ ამ პერიოდში, საერთოდ და, კერძოდ, გელათის სკოლაში, როგორც ჩანს, მიღებული იყო წესი გარკვეული საკითხის გარშემო პატრისტიკული თუ

---

58 ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, გვ.28.

59 იხ. დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, იოანე პეტრინის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობის შედგენილობისა და ზოგი ახალი წყაროსათვის, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრ. ტ 27, 1988.

60 თ. ჭ ყ ო ნ ი ა, იოანე პეტრინის განმარტების ახალი წყაროს „შესწავლისათვის, კრებ. „ძველი ქართული მწერლობის ოთხი ძეგლი“, თბ., 1965, გვ. 72.

სხვა ლიტერატურული წყაროებიდან საჭირო მასალის მოძიებისა და მისგან შესაბამისი ექსცერპტების გამოკრების გზით ამა თუ იმ საკითხის გარშემო შეძლებისდაგვარად სრული კრებულების შედგენისა. ასე, მაგ. ცნობილია, რომ სულის საკითხთან დაკავშირებით („გამოძიება სულისაჲ") არსენის „დოგმატიკონის" ხელნაწერებში შეტანილია მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამაბკელის სიტყვებიდან გამოკრებილი ფრაგმენტები (F 269, 253 - 277). სულის შესახებ ელინთა მოძღვრების განქიქების შესახებ იგივე „დოგმატიკონი" შეიცავს ციტატებს 12 საეკლესიო მამის თხზულებათაგან (მათგან აღსანიშნავია ირინეოსი, კლიმენტი, ათანასე და კირილე ალექსანდრიელები და სხვ.) (S1463, ფ. 301-304).

ამგვარ კრებულთა რიგს მიეკუთვნება თვით „დოგმატიკონიც" (შედგენილი არსენის მიერ) და ცნობილი გელათის „კატენებიანი ბიბლია", რომლის განმარტებათა მასალა, წყაროები და ავტორები, როგორც ჩანს, შერჩეულია გელათელი მთარგმნელისა თუ რედაქტორის მიერ, რაც ამ ძეგლს უფრო მნიშვნელოვანს ხდის არა მარტო ქართული მწერლობის, არამედ, საერთოდ, ქრისტიანული ეგზეგეტიკური ლიტერატურის ისტორიაში, რადგანაც მისი მსგავსი კრებული შედგენილებისა და სისრულის თვალსაზრისით (ისევე, როგორც „დოგმატიკონისა") ბიზანტიურ მწერლობაშიც არ ჩანს.[61]

როგორც ჩანს, გელათში გათვალისწინებული იყო (და შესაძლებელია, შესრულებულიც) ყველა ბიბლიური (როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის) თხზულების ბიზანტიელ ავტორთა განმარტებებისა თუ ე.ნ. „ღლაფკრათა" თარგმნა და ამის საფუძველზე სრული ბიბლიური ეგზეგეტიკური კრებულის შედგენა. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სკოლაში შესრულებულ განმარტებათა თარგმანებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ნაწილმა: მიტროფანე, ზმკრნელი მიტროპოლიტის „ეკლესიასტეს" ტექსტის მთლიანი განმარტებისა და ამავე ტექსტის ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის თარგმანებამ (A 63); jer. 22, A 102, A 113, A 52 ხელნაწერებში წარმოდგენილია ცნობილი ბიზანტიელი ეგზეგეტი-მწერლის, იოანე პეტრინის თანამედროვის, თეოფილაქტე ბულგარელის მიერ შესრულებული მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებათა განმარტებების თარგმანები. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში ბიბლიური (კიმენური) ტექსტი ახალ თარგმანს, გელათურ რედაქციას წარმოადგენს. გელათშივეა თარგმნილი უცნობი ბიზანტიელი ეგზეგეტის განმარტება „ქება ქებათაჲსა", სქოლიოების სახით (A 65), მიქელ პსელოსის განმარტება რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეს ერთი ადგილისა (VIII, 29, პირმშ. K №23); და ბოლოს, როგორც ზემოთაც ვთქვით, გელათშივეა შექმნილი

---

61 მ ი ტ რ ო ფ ა ნ ე ზ მ კ რ ნ ე ლ ი , გვ. XXVII

უნიკალური ძეგლი, ე. ნ. „კატენებიანი ბიბლია", რომელიც შეიცავს ძველი აღთქმის ტექსტების ახალ, გელათურ რედაქციას. კ. კეკელიძე გადაჭრით თვლიდა, რომ „აღნიშნული კატენები ნათარგმნია თუ არა იოანე პეტრინის, მისი სკოლიდან გამოსული მწერლის მიერ მაინც. მაშასადამე, არაუადრეს მეთერთმეტე საუკუნის გასულისა".[62] მისივე აზრით, ტექსტიცა და სქოლიოც ერთსა და იმავე პირს ერთსა და იმავე დროს უნდა ეთარგმნოს. „აღნიშნული სკოლიდან გამოსულ მწერალთ ერთი ჩვეულება ჰქონდათ: საეგზეგეტიკო თხზულებათა თარგმნის დროს ისინი სქოლიოსთან ერთად ბიბლიურ ტექსტსაც სთარგმნიდნენ და მზამზარეული ტექსტით არ სარგებლობდნენ, როგორც ამას ეფრემ მცირე სჩადიოდა".[63]

საშუნაროდ, ჟამთა სიავეს გადარჩენილი ამ ეგზეგეტიკური კრებულის ორივე ხელნაწერი, რომელთაგან Q 1152 უნდა მომდინარეობდეს A 1108 აუტოგრაფული ნუსხიდან, არასრულია. ორივეს აკლია დასაწყისი „ლევიტელთამდე" ხოლო ბიბლიის „კიმენური" ტექსტის თარგმანი საკმაოდ ერცელი. სქოლიებითურთ მხოლოდ რუთის წიგნამდეა განხორციელებული (A 1108-ში „რუთის" შემდეგ მიკინძული და განსხვავებული ხელით გადაწერილი წინასწარმეტყველების წიგნები ამ ტიპის განმარტებებს აღარ შეიცავენ). განმარტებათა ექსცერპტების ავტორთა (მათი სახელები ხელნაწერის აშიებზეა მინერილი სინგურით) ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს ამ ძეგლის მთარგმნელისა და რედაქტორ-შემდგენელის სითამამე, შეუზღუდავობა და ფართო გაქანება: ქრისტიანული ეკლესიის ბურჯების გვერდით, როგორიცაა ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, იოანე-ოქროპირი, კირილე ალექსანდრიელი, ევსევი კესარიელი და სხვა, მართლმადიდებლური ეკლესიის მიერ მსოფლიო კრებებზე დაგმობილი ორიგენეს, სეველროსისა და აპოლინარის [64] სახელებიც არაერთხელაა აღნიშნული განმარტებათა ექსცერპტების გასნერივ.. საგანგებოდაა აგრეთვე აღსანიშნავი ისიც, რომ ყველაზე მეტი ციტატაა დამოწმებული კირილე ალექსანდრიელის თარგმანებათა და თეოდორიტე კვრელის კითხვა-მიგებათაგან, სნორედ იმ თეოდორიტე კვრელისა, რომლის „დავითნის" თარგმანებასაც თავის დროზე ეფრემ მცირემ აარიდა თავი „მცირედისა მის სიტყჳს-გებისა, რომელი იქმნა რეცა ნინააღმდგომობით

---

62 მ ი ტ რ ო ფ ა ნ ე ზ მ კ რ ნ ე ლ ი , გვ. XXXIX.

63 იქვე, გვ. XXX.

64 სხვათა შორის, ეს ის აპოლინარია, რომელსაც ეფრემ მცირე „უბადრუკს" უნოდებს (ფსალმ. თარგმანების შესავალი, 97, იხ. მ. შ ა ნ ი ძ ე , 1979ნ. გვ. 41) ხოლო ნეშესიოსის პეტრინისეული თარგმანის A 2579-ის ამიაზე მისი ნეალების შესახებ ტექსტისავე ხელით მინაწერში ეკითხულობთ: „ისმინე, რომელ ესე აპოლინარი, ეპისკოპოსი არს ლაოდიკიისა, რომელი ნეალებს ქრისტესსა, ეითარმედ კაცობრივი გონება არად საკმარ იყო ქრისტესსა, რამეთუ თვთ ღმერთებაჲ ენაცვალაო". ნეშესიოს ეფესელი, გვ.4.

შორის მისსა და ნმიდისა კკრილესსაო".[65] არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სქოლიოებში ხშირად ფიგურირებს უმცროსი მთარგმნელებისაკკლას, სვმახოსისა და თეოდოტიონის სახელები — სამეულისა, რომელმაც, როგორც ცნობილია, ბერძნული თარგმანი ძველი აღთქმის ტექსტისა ზედმიწევნით დაუახლოვა ებრაულ დედანს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, ეს სავსებით უპასუხებს გელათის სკოლის მთარგმნელობითს პრინციპებს (ზუსტი, ადეკვატური თარგმანის თეორიულ საფუძვლებს, რომლებიც აქ დამუშავდა და პრაქტიკულადაც გატარდა).

გელათის კატენებიანი ბიბლია მრავალმხრივაა საინტერესო და საყურადღებო ქართული ენის,[66] მწერლობისა თუ ფილოსოფიისა და თეოლოგიის ისტორიის მკვლევართათვის: მასში თავმოყრილია და კონცენტრირებული ის ძირითადი მსოფლმხედველობრივი თუ ენობრივ-სტილისტური ტენდეციები და განხორციელებულია პრაქტიკულ-მთარგმნელობითი პრინციპები, რომლებიც საზოგადოდ დამახასიათებელია გელათის ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლისათვის და მის სახეს განსაზღვრავს. იგი შესრულებული უნდა იყოს მთარგმნელთა ჯგუფის მიერ, ერთი მთავარი რედაქტორ-მთარგმნელის (რომელიც, ყველაზე უფრო საფიქრებელია, რომ იოანე საღმრთო ფილოსოფოსი—პეტრინი ყოფილიყო), საერთო ხელმძღვანელობით. A 1108 ავტოგრაფულ ნუსხაში შესანიშნავად ჩანს ამ რედაქტორ-მთარგმნელის მუშაობის მეთოდი და სტილი, მისი მთარგმნელობითი პრინციპების პრაქტიკული განხორციელების პროცესი.[67] ეს ძეგლი, გელათში შესრულებული კომენტარული ჟანრის სხვა შრომებთან ერთად ამ სალიტერატურო სკოლის მთავარი მიმართულების დამაგვირგვინებელია, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ეგზეგეტიკური ლიტერატურა არის გელათის სკოლის ძირითადი პროფილი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სნორედ ამავე სკოლაში დაედო სათავე (და მის მეორე პერიოდში

---

65 ამიტომაც მიაჩნია ქ.ქეკელიძეს მცდარად ბლეიკის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს გელათის ბიბლიის სქოლიოების თარგმანი ეფრემ მცირეს ეკუთვნოდეს. იხ.: მიტროფანე მზერნელი, გვ.XXVIII. ამკეარიეე მიზეზის გამო არა გვგონია, რომ სნორი იყოს ჰ.ინგოროყვას მოსაზრება (ჰ. ინგოროყვა, 1939, გვ. 123-24), რომლის მიხედვითაც გელათის ბიბლიის თარგმანი არსენ იყალთოელს ეკუთვნის, რადგანაც არსენის მიერ შედგენილ დიდ სჯულის კანონში საგანგებოდაა გამოყოფილი იუსტინიანეს ზეობის დროს კონსტანტინეპოლის კრებაზე შეჩვენებულთა და „მოძაგებულთა" შესახებ კრების დადგენილება. იმათ შორის, უინც კრებამ „შეაჩვენნა და მოიძაგნა", დასახელებულია ორიგენი და თეოდორიტი, რომლის მიერ „მართლისა სარწმუნოებისა ნინააღსადგომელი" ნაშრომი ნეტარმა კირილემ „თორმეტ თავად აღნერა". დიდი სჯულის კანონი, გვ. 37.

66 ბ. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ც. კ ი კ ვ ი ძ ე, გვ. 153.

67 დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, თანაშე ფორმა გელათის ბიბლიაში და შე-ელემენტიანი ზმნიზედები ქართულში, კრებ.: ა. შანიძე, 100, თბ., 1987, გვ. 201.

განსაკუთრებით განვითარდა) ქართულ საერო ლიტერატურას და აქვე ითარგმნა აგიოგრაფიის უკანასკნელი ნიმუშებიც—იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასული შროშები. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ქსიფილინოსის კრებულით დამთავრდა ქართული ნათარგმნი აგიოგრაფიის ისტორია, ვინაიდან თვით ბიზანტიის აგიოგრაფიის ისტორიაშიც მეტაფრასული პერიოდის შემდეგ აღარაფერი შექმნილა.[68] ეს თარგმანები ჩვენამდე ფიღნეულია უნიკალური ხელნაწერებით და შემთხვევითი არ არის, რომ ისინი გელათურ კოლექციაშია დაცული. ქსიფილინოსის აგიოგრაფიულ კრებულთან ერთად გელათში გადმოღიათ თეოდორიტე კვრელის ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულება „თარგმანებაჲ მიქეაჲს წინასწარმეტყველისაჲ" (K №1) და ამოსისა (K №3), აგრეთვე თარგმანებანი ზაქარია, ამბაკუმ და სოფონიასი (K4 ,K5). აქ წარმოდგენილი საკითხავები მცირე წინასწარმეტყველებისა (ამოსისა და მიქეასი) ეგზეგეტიკური ხასიათის ტექსტებია, რომლებიც შეიცავენ ბიბლიურ კიმენს თავისი განმარტებებით. განმარტებების ავტორად ქართული ნუსხები ასახელებენ თეოდორიტე ტკროსის ეპისკოპოსს, რომელიც, კ. კეკელიძის აზრით, არის იგივე თეოდორიტე კვრელი.[69] ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ, როგორც ზემოთ ვთქვით, გელათის ბიბლიის კატენების ავტორთა შორის ყველაზე მეტი სქოლიო კირილე ალექსანდრიელის შემდეგ (92) სწორედ თეოდორიტე კვრელს ეკუთვნის (91). მოსალოდნელია, რომ ეს ეგზეგეტიკური თხზულებანი თეოდორიტე კვრელისა იმ საერთო საქმის შემადგენელი ნანილი იყო, რომელიც გულისხმობდა ბიბლიის ყველა ტექსტის ეგზეგეტიკური კრებულის შექმნას. ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებებიდან აღსანიშნავია მაქსიმე აღმსარებლის თარგმანებანი, რომლებიც შემონახულია ერთადერთ—გელათურ (K №14) ხელნაწერში და რომლის თარგმანიც კ. კეკელიძის აზრით, ეკუთვნის ნიკოლოზ გულაბერისძეს,[70] მე-12 საუკუნის დასასრულის მოღვაწეს. იგი ენის სტილისა და სააზროვნო ინტერესების მიხედვით გელათის სკოლიდან ჩანს გამოსული.

შეიძლება ითქვას, რომ გელათის სკოლაში დასრულდა ქართული ეგზეგეტიკის განვითარება. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, მე-11 საუკუნის შემდეგ „მას არა შემატებია რა".[71]

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში ცენტრალიზებული მონარქიის გაძლიერებამ (ისევე როგორც ბიზანტიაში კომნენების

---

68 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. გვ. 517
69 იქვე. გვ. 466
70 იქვე. გვ. 322
71 იქვე. გვ. 456.

მმართველობის ხანაში), დავით აღმაშენებლისა და განსაკუთრებით, ამ სკოლის არსებობის მეორე პერიოდში—თამარის ეპოქაში საერო-სახოტბო და საისტორიო-პანეგირიკული ხასიათის ბრნყინვალე ლიტერატურა ნარმოიშვა (რომლისთვისაც დამახასიათებელია ზეიადი ორნამენტული სტილი), რაც ბუნებრივად ასახავდა ეპოქის საერთო ტენდენციებს, კერძოდ, იგი კანონზომიერ გაგრძელებას ნარმოადგენდა კომნენების ხანის ბიზანტიაში მიმდინარე კულტურულ-მსოფლმხედველობრივი და ლიტერატურული პროცესებისა.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ გელათის სკოლის სააზროვნო ინტერესები, ლიტერატურული პროდუქციის ხასიათი და თემატიკა, მისი მიმართულება გვიჩვენებს, რომ გელათის მოღვაწენი ადგნენ იმ მაგისტრალურ ხაზს, რომელიც შუა საუკუნეების დასავლეთის აზროვნებამ გააგრძელა მას შემდეგ, რაც ბიზანტია ასცდა კულტურულ სამეცნიერო სარბიელზე მისსავე გაკვალულ გზას. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ის ნრე ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსთა ნაშრომებისა ითარგმნა ლათინურ ენაზე გელათში შესრულებულ თარგმანებზე ერთი-ორი საუკუნის შემდეგ. ასე, მაგ. დამასკელის „დიალექტიკა" ლათინურად მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში ითარგმნა, ნემესიოს ემესელის უადრესი თარგმანიც ამავე (1194ნ) ხანებშია შესრულებული რიხარდ ბურგუნდიოს მიერ; პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლები" კი თომა აქვინელის დავალებით მისმა მდივანმა, მოერბეკემ, 1268 ნლის მახლობლად თარგმნა. როგორც ცნობილია, ევროპული სქოლასტიკის ამ უდიდესმა ნარმომადგენელმა, არისტოტელეს „ორგანონთან" ერთად პროკლეს ეს ტრაქტატი საფუძვლად დაუდო თავის თეოლოგიურ მოძღვრებას, ხოლო თვით პროკლე ეკლესიისათვის საჭირო ფილოსოფოსად გამოაცხადა. შუა საუკუნეების ევროპულ სამონასტრო სკოლებში სწორედ დამასკელის „დიალექტიკისა" და ამონიოსის კომენტარების შემოკლების საფუძველზე შესრულებული კომპენდიუმები იყო გამოყენებული სახელმძღვანელოებად, ისევე, როგორც მე-12-13 საუკუნეებში—გელათის სამონასტრო სკოლაში.

ამგვარად, გელათში მოღვაწე ქართველი თეოლოგები, ისევე, როგორც შუა საუკუნეების ბიზანტიელი და ევროპელი თეოლოგები, ამოდიოდნენ პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიიდან და მათი კომენტატორებიდან—ნეოპლატონიკოსებიდან, რომლებიც ამ ორი ფილოსოფიის ნაზრევის შეხამებას და თავისებურ გაგებასა და გადამუშავებას იძლეოდნენ (რაც შემდეგ ახალი ფილოსოფიის, ნეოპლატონიზმის სახით ჩამოყალიბდა). დასაბუთების იარაღად ისინი იყენებდნენ არისტოტელეს „ორგანონის" კანონებს, პლატონი და პროკლე კი მათ სჭირდებოდათ დიალექტიკური პოლემიკის ჩვევებისა და მისი ფილოსოფიის ნეოპლატონური ფორმით ქრისტიანობის მეცნიერული საფუძვლების შესამუშავებლად. გარდა ამისა, პროკლე და საერთოდ ნეოპლატონიზმი იყო მნიშვნელოვანი წყარო ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ცნებათა და ტერმინთა სისტემატიზაციისა და

კლასიფიკაციისათვის. სწორედ ამ თხზულებათა თარგმანისა და კომენტირების საფუძველზე დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკური სტრუქტურები და სისტემა იოანე პეტრინის ღვაწლითა და შრომით. ეს მოაზროვნეები ეყრდნობოდნენ იმ ფილოსოფიას, რომელიც დაფუძნებული იყო შუა საუკუნეების სკოლებში, სადაც დამასკელის „დიალექტიკას" (ანუ არისტოტელედან ბომდინარე ლოგიკას დამასკელის გადამუშავებით) უმთავრესი ადგილი პ ქონდა დათმობილი იმ საგანთა შორის, trivium-ისა და quadrivium-ის ქვეშ რომ იგულისხმება (გრამატიკა, ფილოსოფია ანუ დიალექტიკა, რიტორიკა, მუსიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია).[72]

ამგვარად, ეს პერიოდი ბიზანტიური და, ასევე, ქართული აზროვნების ისტორიაში ხასიათდება არისტოტელეს ლოგიკისა და პლატონიზმის (მისი ნეოპლატონური ფორმით) საეკლესიო სწავლებასთან დაკავშირების ცდებით, დიდი მისწრაფებით, ამ ფილოსოფიის საშუალებით გადაეჭრათ თანდათანობით მომწიფებული ონტოლოგიური საკითხები, ღვთაებრივი არსებისა და გვამოვნების პრობლემა. თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდის ბიზანტიელ მოღვაწეთა შორის, ზოგი პლატონს განადიდებდა, ზოგი კი არისტოტელეს აღიარებდა დიდ საეკლესიო ავტორიტეტად (მაგ., იოანე ქსიფილინოსი, რომლისთვისაც პლატონის განდიდება საძრახავ საქმედ ითვლებოდა). ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც გამოთქმულია მოსაზრება, თითქოს შესაბამისად საქართველოშიც ამ დროს ნარმოიშვა არისტოტელური და პლატონური მიმდინარეობანი.[73] კ. კეკელიძე მიიჩნევს, რომ „არისტოტელიზმის აპოლოგეტად საქართველოში გვევლინება არსენ იყალთოელი".[74] ივ. ლოლაშვილი კი პირდაპირ ნერს: „არსენი თუ ქსიფილინოსის მონაფე იყო, პეტრინი ითვლებოდა იტალის მონაფედ და უმცროს მეგობრად. მათი მოღვაწეობის შედეგად საქართველოშიაც ნარმოიშვა არისტოტელური და პლატონური მიმდინარეობანი".[75] შ. ნუცუბიძე კატეგორიულად უარყოფს ასეთ შესაძლებლობას. „არსენ იყალთოელის არისტოტელიზმზე ლაპარაკი გაუგებრობაა,—ნერს იგი,—მას არსად არაფერი ამის დამამტკიცებელი არ დაუნერია, თუ არა საღმრთო

---

72 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი. იოანე პეტრინის ე.წ. „პოლოსიტყვაობის" ტექსტის ანალიზის საფუძველზე ნარმოადგენს ამ შეიდი დისციპლინის სწავლების სურათს გელათის აკადემიაში და, საერთოდ, უჩვენებს გელათში განათლების სისტემის მსგავსებას ბიზანტიის უმაღლეს სკოლებში არსებულ სისტემასთან (ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, 1948, გვ.15-18).

73 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. გვ. 295; ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, გვ. 137; გ. თ ე ე ზ ა ძ ე, იოანე პეტრინის ფილოსოფიის ზოგიერთი საკითხი. კრებ. „სისტ. -ფილოლ. ძიებანი", ტ.II, 1984. გვ. 85.

74 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, გვ. 297.

75 ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, გვ. 136.

76 შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე. გვ. 153.

ნერილზე ან ნმინდა მამათა „უცთომელ ჭეშმარიტებაზე“ დამყარებული, როგორც ეს დოგმატიკოსსა და რეაქციონერს შეეფეროდაო“.[76] ჩვენს კომპეტენციაში არ შემოდის იმის განსჯა, თუ რამდენად სამართლიანია არსენ იყალთოელის ღვაწლის შ. ნუკუბიძისეული ასეთი მკაცრი უარყოფითი შეფასება, მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ ამ დროისათვის ბიზანტიაშიც, ისევე როგორც საქართველოში, ასეთი დაპირისპირება განელილი ეტაპი უნდა ყოფილიყო: თუ ადრე ბიზანტიის სკოლებში ჩვეულებრივ ფილოსოფიურ მიმდინარეობად არისტოტელიზმი ისნავლებოდა, ახლა გზას იკაფავდა და ძლიერდებოდა პლატონიზმი, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, თითქოს არისტოტელე უგულველყოფილი იყო. პსელლოსი და იტალოსი არისტოტელესთან ერთად პლატონსა და მის „მონაცვალეს“, პროკლეს განადიდებდნენ (როგორც ზემოთ ვნახეთ, ანა კომნენე განსაკუთრებით აღნიშნავს მის გატაცებას სწორედ არისტოტელეს შრომებით). საქართველოში საერთოდ არ უნდა ყოფილიყო ასეთი დაპირისპირება „არისტოტელიანთა“ და „პლატონიელთა“ შორის. ჩვენში, როგორც ჩანს, ის ბრძოლა, რომელსაც ადგილი პქონდა არისტოტელიზმსა და პლატონიზმს შორის შუა საუკუნეებში, გამოვლინდა მათ მორიგებაში ანუ, როგორც ამბობენ, „სიმფონიაში“ ნეოპლატონიზმის ნიადაგზე. ამიტომაა, რომ გელათში მთავარი აქცენტი სწორედ ნეოპლატონურ თხზულებათა თარგმანსა და კომენტირებაზეა მიმართული (თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც მთელი შუასაუკუნეების ფილოსოფია არსებითად ნეოპლატონიზმს წარმოადგენდა).

პლატონი პეტრინისთვის არის „მწუერვალი ფილოსოფოსთა დღისაჲ“ და „მიპრონი ღმრთისმეტყველებისაჲ“, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ იგი არისტოტელეს სათანადოდ არ აფასებს. იოანე პეტრინი არისტოტელეს „ორგანონის“ კანონების შესნავლის გარეშე შეუძლებლად თვლის რისამე შემეცნებას ლოგიკური, გონების გზით. ისიც ცნობილია, რომ იგი არისტოტელობას ოცნებობდა „ნივთისაგან მიუხებელი ღმრთისმეტყველების“ ანუ ნმინდა რაციონალური თეოლოგიის დამუშავების საქმეში.[77] მაგრამ, ამავე დროს, პეტრინი თვლიდა, რომ არისტოტელეს სილოგიზმის („თანშესიტუათა“) კანონები „ვერ კმა არიან“ ზესთაგონიერი სფეროს, ზესთერთის „ნათხზთა“ შესამეცნებლად, რადგანაც ეს სფერო „ღმრთეებრ მთენარეა“, ანუ ღვთაებრივი დამაბრმავებელი ნათელითაა გაბრწყინებული (იხ. „განმარტება“, ‡101, გვ. 148. შდრ. პლატონი, „სოფისტი“, 254b) და ამიტომ „ანუ ხატთა მიერ, ანუ იგავთა მიერ მეცადინეობს სული ცნობად მის უოცნოსათს და სწყურის მისდამი“ („განმარტება“, თ. 51, გვ. 113).

---

77 ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი ნ ი, გვ. 222.

ე. ი. მისი აზრით, ამ სფეროს მინვდომა მხოლოდ ნიმუშების, ანალოგიების გზით თუ შეიძლება. ანუ ᲓᲔᲥᲘᲠ-ის (ჩვენების) გზით და არა ᲠᲐᲡᲓᲔᲥᲘᲠ-ის („აღმოჩენის", ანუ დასაბუთების) გზით.

რაც შეეხება არსენ იყალთოელს, იგი რომ „არისტოტელიანთა" ბანაკის წარმომადგენელი ყოფილიყო და გარკვეული პოზიცია პქონოდა ამ მხრივ, არა გვგონია, ყოველგვარი კომენტარის გარეშე გაეშვა (ან საერთოდ, ეთარგმნა) გიორგი ამარტოლის „ᲥᲠᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲓᲐᲜ" ის ადგილი, სადაც „უბადრუკი და სანყალობელი არისტოტელე" სასტიკადაა დაგმობილი და თავისი მასწავლებლის პლატონის „ამპარტავან და ურცხვინო ნინააღმდგომად" ითვლება („უბადრუკი არისტოტელი, ჯერეთ სიცოცხლისავე პლატონისსა ურცხვინოებით ნინააღმდგომ ექმნა მას და აკადიმეაისაჲ იგი განანყო ბრძოლა და არცა მოძღურობასა პატივ-სცა, არცა მრავალგანთქმულობისაგან კაცისა მის საქადულობათაჲსა შეკდემულ იქმნა, არამედ ამპარტავნებით და სილაღითა აღუდგა მას არა უმჯობესთა მისთა, არამედ უაღრესთა მკუმეველი სჯულთაჲ".[78]

როგორც ჩანს, არსენს არ აინტერესებს არისტოტელეს ფილოსოფია თავისთავად. არისტოტელე, კერძოდ კი მისი ლოგიკა, ისიც დამასკელის გადამუშავებით, მას სჭირდება დოგმატურ-ორთოდოქსული მიზნებისათვის (როგორც იარაღი ან, უფრო სწორად, „ეკალი, რომლითაც შემოზღუდავდა ქრისტეს ვენახის შუენიერებას") და აქ წყდება მისი ინტერესი „გარეშე" ფილოსოფიისადმი, რადგანაც, მისი აზრით, „ელინთა სიბრძნე "განცოფებული სიჩქარე" და „ზღაპართმწერლობითი კელოვნებაა" („განცოფებული იგი სიბრძნე ელინებრისა სიჩქარისა.... ყოველად სიბრძნით მხილველ-ყვეს და არცა ერთისა სიტყჳსა ღირსად მათნი იგი ზღაპართმწერლობითნი კელოვნებანი".[79] ამ თვალსაზრისით, იგი მართლაც ქსიფილონისის ფრთას წარმოადგენს საქართველოში. არსენი, ეს „სჯულიერი მოღუაწე, თარგმანი და მეცნიერი ბერძენთა და ქართველთა ენისა" და „განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა", დოგმატიკურ-ორთოდოქსული მიმართულების დამცველია, მაგრამ ამავე დროს, იგი არ ერიდება ბიზანტიელ რაციონალისტ-მოაზროვნეთა თხზულებების თარგმნასა და თავის „დოგმატიკონში" შეტანას, თუკი ეს თხზულებანი ორთოდოქსული

---

78 როგორც ეხედავთ, აქ თვით ბიზანტიელი ისტორიკოსი, გიორგი ამარტოლი ასახავს თავისი დროის (IX ს-ის გარკვეული ნრის თვალსაზრისს, რომელიც ენინააღმდეგებოდა ამ დროს მიღებულ თვალსაზრისს-არისტოტელეს დიდ ავტორიტეტად აღიარებას —იხ. ᲥᲠᲝᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘ გიორგი მონაზონისაჲ, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა თბ.,1920, გვ.35.

79 რუის-ურბნისის ძეგლისნერა — გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა, თბილისი, 1978, გვ. 179.

დოქტრინის დასაბუთებისათვის გამოადგება. ასეთებია, მაგ. პსელოსის „პირმშოსათვის" და ევსტრატი ნიკიელის ანტილათინური ტრაქტატი, ასევე ნიკიტა სტეთატის „სომეხთა განმაქიქებელი ხუთი სიტყვა".

რაც შეეხება პეტრინს, იგი, როგორც ცნობილია, ახალი ეტაპის ნარმომადგენელია ქართული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში. მისთვის უკვე განვლილია საფეხური „გარეშე" ფილოსოფოსთა საარსებოდ: „ჯერკუალის განგდებისა",[80] მას ფილოსოფია აინტერესებს არა როგორ ეკალი, რომლითაც, ეჭვრემ მცირის სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა მოზღუდულიყო „ეკლესიის ვენაკხის ნაყოფთა შეუნიერება" და არა მხოლოდ როგორც „ორღანო" ანუ იარაღი, რომლის „იძულებითი კანონების" საშუალებითაც უნდა მოეკებნათ პასუხი თეოლოგიის გონებით აპორიებით აღსაკვეთ პრობლემების გადასაწყვეტად, არამედ ფილოსოფიისადმი მისი ინტერესი გამოწვეულია თავისთავად ფილოსოფიურ ხედვათა შეუნიერების „ტრფობით", „ფილოსოფიურ ხედვათა სურვილით". ღმრთისმეტყველება მისთვის, ისევე, როგორც პსელოსისათვის, უმაღლესი ფილოსოფიაა, რომლის მიზანია უმთავრესი ჭეშმარიტების—„მყოფთა აგების სრული შესაქმის" ანუ სამყაროს აგების („ერთისა და სიმრავლის" მიმართების) საიდუმლოს ამოცნობა, ხოლო „მესაიდუმლოედ" იგი აღიარებს „ხედვასა ფილოსოფოსთა დღისასა". მთელი „განმარტებისა" და მისი ე.ნ. „ბოლოსიტყვაობის" მანძილზე ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს პეტრინის მიზანია დაასაბუთოს ფილოსოფიის საშუალებით არა იმდენად ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტება, რამდენადაც ის, რომ ელინური (პლატონისა და პროკლეს) ფილოსოფია არა თუ ეწინააღმდეგება ამ ჭეშმარიტებას, არამედ მასთან სრულ თანხმობაშია, და ამდენად, ამ ფილოსოფიას სრული უფლება აქვს არსებობისა ღმრთისმეტყველების გვერდით, როგორც მის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს.[81]

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს გელათის სამონასტრო სკოლის რაციონალისტურ მიმართულებაზე, ამ სკოლისა და დასავლეთის განვითარებული სქოლასტიკის ერთ მიზანდასახულობაზე და ადასტურებს იმ აზრს, რომელიც მოსე გოგიბერიძემ გამოთქვა გელათის სკოლის

---

80 ხ ა ნ ძ თ ე ლ ი — ძველი ქართული-აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ნიგნი I, თ. აბულაძის რედაქციით, თბილისი, 1957, გვ. 380.

81 აქ არ შეიძლება არ აღენიშნოთ, რომ ეფრემ მცირის სიტყვები, დართული „დიალექტიკის" მისეული თარგმანისათვის: „აბა ესერა გუქონან ასნი თავნი საეკლესიონი, ორმეოცდაათა თავთა საფილოსოფოსოთა მიერ გარშემოზღუდეულნი და არცა ესენი სრულ არიან უამათოდ და არცა იგინი უმათოდ", შ. ნუცუბიძეს აძლევს საფუძველს დასკვნას, რომ უკვე ეფრემ მცირემ დაარღვია დამასკელისეული დაქვემდებარების, სუბორდინაციის პრინციპი ფილოსოფიასა და თეოლოგიას შორის, თითქოს უკვე მან ნამოაყენა ახალი სახე ამ ურთიერთობისა—არა სუბორდინაციის, არამედ შერნყმის, კოორდინაციის, ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე გვ. 391.

ბამამთავრის, იოანე პეტრინის ადგილის შესახებ შუა საუკუნეების აზროვნების ისტორიაში და რომელიც შეიძლება განვაზოგადოთ საერთოდ გელათის ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლის მიმართ: „პეტრინი ქრისტიანული სქოლასტიკის ისტორიაში დამნყებია იმ მიმართულებისა, რომელიც გადანყვეტილ ფილოსოფია პოზიტიურად გამოყენებინა. სქოლასტიკის ასეთ მიმართულებას შერიგება მოუხდა ფილოსოფიასთან.... ამ საქმეს ჩვენში პეტრინი ათეული ნლებით ადრე ინყებს ევროპულ სქოლასტიკაზე და მაშასადამე, შეაქვს ქრისტიანულ სქოლასტიკაში ის განათლების სანთელი, რომელიც შემდეგ დასავლეთში რენესანსის მზედ ანოვიდა".[52] ხოლო უფრო ადრე საქართველოში რუსთაველმა დააგვირგვინა, რომელიც მთელი თავისი მსოფლხედვით (და ლექსიკით) ორგანულად იყო დაკავშირებული სნორედ გელათის სკოლასთან.

გელათის აკადემია ნარმოადგენს მნიშვნელოვან ეტაპს ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების გზაზე. იგი იყო ტიპიური შუა საუკუნეების „სქოლასტიკური" (ამ სიტყვის მაღალი გაგებით), საგანმანათლებლო კერა, რომელიც ქართულ ნიადაგზე აგრძელებდა და აკითარებდა რენესანსული სულისკვეთების ბიზანტიური ინტელექტუალური ელიტის რაციონალისტურ მიმართულებას. ეს სკოლა წარმოადგენდა მე-11-12 საუკუნეების ბიზანტიური თეოლოგიურ-ფილოსოფიური სააზროვნო გარემოს პროექციას ქართულ ნიადაგზე და იდგა იმ მაგისტრალურ გზაზე, რომელსაც უფრო მოგვიანებით გაპყვა ევროპული მაღალი სქოლასტიკა. მაგრამ მიუხედავად თავისი დიდი მისნრაფებებისა და მის მიერ შექმნილი უზარმაზარი ლიტერატურული პროდუქციისა, ეს იყო პატარა კუნძული — ჩიხი, რომელმაც ბიზანტიის დაცემის შემდეგ თავისი გეო-პოლიტიკური ვითარების გამო კავშირი ვერ დაამყარა ევროპულ კულტურულ სამყაროსთან და ამიტომ ვერ ჩაერთო და ვერ გამთლიანდა იმ საერთო პროცესში, რომელიც ევროპული რენესანსის სახელითაა ცნობილი.

გელათის სალიტერატურო სკოლა მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული ფილოსოფიური და, საერთოდ, მეცნიერული ენის განვითარების გზაზე. ამ სკოლაში შემუშავდა თეორიული საფუძვლები ზუსტი, ადეკვატური თარგმანისა და ქართული ფილოსოფიური ენისა, დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიური ენა და სტილი, საფუძველი დაედო ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკურ სისტემას, რომლის პრინციპების ამუშავება და გააქტივება აუცილებელ საჭიროებად გვესახება დღეს ქართული ფილოსოფიური (და საერთოდ, მეცნიერული) ენის შემდგომი განვითარებისათვის.

---

52 მ. გ ო ბ ი ბ ე რ ი ძ ე. — პეტრინი და მისი მსოფლმხედველობა, ნიგნში: რუსთაველი, პეტრინი, პრელუდიები, თბ.,1961. გვ.146

დამანა ბელიკიშვილი

ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების ზოგადი პრინციპები და ფილოსოფიურ ტერმინთა სისტემატიზაცია გელათის სკოლაში

ტერმინოლოგიური ლექსიკა წარმოადგენს სპეციალურ სახელწოდებათა ისეთ ერთობლიობას, რომელიც მეცნიერების გარკვეული დარგის ტერმინ-სისტემებს ქმნის. ტერმინთა სისტემა ასახავს მოცეშული მეცნიერების, მეცნიერული მიმდინარეობებისა თუ სკოლების შიერ გამომუშავებულ ცნებებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ზოგი ფილოსოფიური ცნება-ტერმინი შესაძლებელია მხოლოდ ერთი გარკვეული ფილოსოფიური მიმდინარეობის ან მხოლოდ ერთი ფილოსოფოსის ცნებითი აპარატის კუთვნილებაც არ იყოს.

ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა. ამ პროცესს თვალი შეიძლება გავადევნოთ პირველი წერილობითი ძეგლებიდან მოყოლებული, დაწყებული V საუკუნიდან: სხვადასხვა ჟანრის ორიგინალურ თუ ნათარგმნ ლიტერატურაში მრავლად გვხვდება ცალკეულ ფილოსოფიურ თუ საბუნებისმეტყველო ცნებათა ამსახველი ლექსიკა. მაგრამ ეს ტერმინები სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ავტორთა მიერ იქმნებოდა და მოითხოვდა ერთ ფორმალურსა და სემანტიკურ სისტემაში მოქცევას, რაც თავისთავად გულისხმობდა სინონიმიისა და პოლისემიის დაძლევას ამ სისტემის ფარგლებში. საქმე ისაა, რომ საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა დროსა და ადგილას შექმნილ ძეგლებში ერთისა და იმავე ცნებისათვის ხშირად სხვადასხვა ლექსემა იყო გამოყენებული (მაგ., στοιχεῖον-ისათვის — წესი, ნივთი, ასო, აგებულება, ბუნება, სტუქისი...), და, პირიქით, ერთი და იგივე ლექსემა სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა (მაგ., გონება — „გონების, აზრის, ჭკუის, ცნების, სულის, ფიქრის, ჩვეულების, სინდისის...“ მნიშვნელობით; ასევე, მაგ., სახე — „სახის, ფორმის, ფიგურის, სქემის, სიმბოლოს, იდეის...“ მნიშვნელობით და სხვ.). ეს ზოგჯერ შეპირობებული იყო ბერძნული სიტყვების პოლისემიურობითაც. ცნობილია, რომ თვით კლასიკურად დამუშავებულ ბერძნულ ფილოსოფიურ ენაშიც არ იყო დაძლეული ტერმინოლოგიური სიჭრელე და პოლისემიურობა, რაც

მძიმე ტვირთად აწვებოდათ მათს კომენტატორებსა და მთარგმნელებს, მათ შორის, ქართველებსაც.

ბერძნული სიტყვების მრავალმნიშვნელოვნობას ხშირად მიუთითებენ ქართველი მთარგმნელები: „ბერძენთა ენაჲ უფსკრულ ღრმა არს და იგიეე და ერთი სიტყუაჲ მრავალსა პირსა აღიარებსო", — წერს ეფრემ მცირე (საქ. მოც., გვ. 029). ფსევდოდიონისე არეოპაგელის შრომათა თარგმანისათვის დართულ ერთ-ერთ კომენტარში, რომელიც ὁ ἀεὶών ლექსემას ეხება, იგივე ეფრემ მცირე წერს:

შეისწავე, ეითარმედ ბერძენთა ენითა მრავალგუარად იუმარებენ სახელსა საუკუნოჲასსა წმიდათა წერილთა შინა. ამისათუსცა მე, ეითა თუთ მათითა ენითა არიან, ეგრეთ დამიწერიან სიტყუანი ესე აწ წერილთაგან შემოღებულნი, რაჲთა სცნა, ეითარმედ ამათ სიტყუათა შინა ყოველგან საუკუნოჲასა სახელი არს ბერძულად, რომელი წმიდათა მამათა და მოძღუართა ქართულისა თარგმანებისათა ოდესმე საწუთრო უთქუამთ და ოდესმე სოფლად და ოდესმე ჟამად ფრიად ჯეროვნითა განგებითა. ხოლო აქ საჭირო იყო თუთ ეითა მათსა ენასა არს, ეგრეთ დაწერა, რაჲთა არა მოუზაეებელ იყოს მათდა თარგმანი მათი (არეოპაგ., გვ. 262).

როგორც ვხედავთ, ὁ ἀεὶών ლექსემას ძველი ქართველი მოძღვარნი და მამანი კონტექსტის შესაბამისად სხვადასხვაგვარად თარგმნიდნენ: საწუთრო, სოფელი, ჟამი, რაც რამდენადმე ასახავს კიდევაც ამ ბერძნული სიტყვის სემანტიკურ ველს. ეფრემს ამ სიტყვის რამდენიმე მნიშვნელობისაგან კონკრეტულ შემთხვევაში სჭირდება „მარადისობა", რაც ძველ ქართულში „საუკუნო" სიტყვითაც გადმოიცემა.

ჩანს, ასეთი ანალიზის ჩატარება უხდებოდათ ქართველ მთარგმნელებს ყოველი ბერძნული ტერმინისათვის ქართული შესატყვისის მოძიებისათვის, რასაც ისინი ხშირად ურთიერთდახმარებითა და თანამშრომლობით აღწევდნენ. ასეთი თანამშრომლობა ტერმინოლოგიის დამუშავებისა და დადგენა-დაზუსტების აუცილებლობით იყო გამოწვეული.

ძველი ქართველი მოღვაწენი შეგნებულად უდგებიან ტერმინთა წარმოებას, ითვალისწინებენ თითოეული ბერძნული ლექსემის ეტიმოლოგიას, საგანგებოდ სწავლობენ მათს მნიშვნელობებს ლექსიკონებისა და ბიბლიურ თხზულებათა მრავალრიცხოვანი განმარტებების გამოყენებით, იძლევიან ბერძნულ ტერმინთა ზუსტ ძირეულ თუ კონტექსტურ შესატყვისებს — ზოგჯერ აზრობრივს, უფრო ხშირად კი ფორმალურ-სემანტიკური კალკების სახით.

მაგრამ თვით უზუსტესი შესატყვისიც კი ჯერ კიდევ არ არის ტერმინი, სანამ იგი არ „ჩაჯდება" განსაზღვრულ სტრუქტურულ-სემანტიკურ სისტემაში, სადაც ასეთ შესატყვისთა სიმრავლე გარკვეულ ორვან ზებულ მთლიანობას ქმნის და სადაც იდეალურ შემთხვევაში

ცნებათა სისტემასა და მათ შესატყვის ტერმინებს შორის ცალსახა მიმართება მიიღწევა. საუკუნეების განმავლობაში ბერძნული ტერმინების შესატყვისად შექმნილ ქართულ ლექსემებს, აგრეთვე, ახლად თარგმნილი ნეოპლატონური ფილოსოფიის ცნებათა ქართულ შესატყვისებს ესაჭიროებოდა ერთ- ფორმალურ-სემანტიკური სისტემაში გაერთიანება, რაც კიდევაც განხორციელდა გელათის სკოლაში. ამ მხრივ გელათის ფილოსოფიურ-ლიტერატურული სკოლა ახალი ეტაპია ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის განვითარების გზაზე: ესაა ფილოსოფიური ტერმინოლოგიის **ერთიანი მონოსტრუქტურული** სისტემის ჩამოყალიბების შეგნებული ცდა. ამ საქმეს ერთი ხელი და ერთი თავი სჭირდებოდა, სჭირდებოდა პიროვნება, რომელშიც შემოქმედებითი სითამამე და ფართო გაქანება, ენის ალღო და ღრმა ცოდნა, სიტყვის არსში წვდომისა და მისი ესთეტიკური განცდის უნარი, ფილოსოფიაში განსწავლულობა და „ხედვათა სურვილი" ჰარმონიულად იქნებოდა შერწყმული. სწორედ ასეთი პიროვნება — „წარმოარსებული წმიდა განგებისაგან ღმრთისაჲსა" „კელოვნებათაგან სულისათა დაკელოვნებული, ხედვათაგან გონებისათა გაგონებებული" იყო იოანე პეტრიწი, რომელსაც, ნ. მარის თქმით, უნდა ვუმადლოდეთ ქართულ ენაზე შექმნილ მზამზარეულ ფილოსოფიურ ტერმინოლოგიას, რომელიც ქართული ძირებით არაჩვეულებრივად ზუსტად გადმოსცემს ყველა ტერმინს, რომელიც ევროპულ ენებზე ბერძნული ან ლათინური ნასესხობების სახით არსებობს[1].

გელათის ფილოსოფიურ-თეოლოგიური სკოლის მამამთავრის, იოანე პეტრიწის, როგორც ნეოპლატონიკოსისა და, კერძოდ, პროკლეს მიმდევარი ფილოსოფოსისათვის, სისტემისა და სისტემატიზაციის პრინციპი ამოსავალია როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში (კერძოდ, ტერმინებზე მუშაობისას). მისი აზრით, ონტოლოგია იერარქიულია, ხოლო მისი დამუშავება სისტემური უნდა იყოს, ამდენად, სისტემაში უნდა „იჯდეს" ამ ფილოსოფიის ცნებითი ენაც — ტერმინოლოგიაც.

ერთი მხრივ, ალექსანდრიული ნეოპლატონური სკოლის კომენტატორთა ნაშრომებისა (ამონიოს ერმიასის „მოსახსენებელთა") და სქოლასტიზმის ფუძემდებლის — იოანე დამასკელის „დიალექტიკის" თარგმნას (მათში ხომ თავმოყრილი და სისტემაში იყო მოყვანილი არისტოტელედან მომდინარე ფილოსოფიური ტერმინოლოგია), ხოლო, მეორე მხრივ, ნეოპლატონური ფილოსოფიის სისტემატიზატორის, პროკლეს „ღიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლების" თარგმნა-კომენ-

---

[1] Н. Я. Марр, Иоанн Петрицкий, грузинский неоплатоник XI—XII века: ЗВО, т. XIX, СПб, 1909, გვ. 85.

ტირებას კანონზომიერ შედეგად მოჰყვა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სისტემაში მოყვანა, მკაცრად დამუშავებული ქართული სამეცნიერო ენის შექმნა. სწორედ პროკლეისგან, როგორც თვითონ უწოდებს, ამ „ატტიკელი“ ფილოსოფოსისაგან შეითვისა იოანე პეტრიწმა ის სქოლასტიკური (ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით) სისტემატურობა, რომელიც მთელ მის სიტყვათშემოქმედებას გასდევს. პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის საფუძვლებში“ და პლატონის დიალოგებზე მის მრავალრიცხოვან კომენტარებში (რომელთაც შესანიშნავად იცნობს და იყენებს პეტრიწი), მათი ავტორისათვის დამახასიათებელი აკრიბიითა და სკრუპულოზულობით არის ჩამოყალიბებული მკაცრი სისტემა ანტიკური (ნეოპლატონური გადამუშავებით) ფილოსოფოსის ტერმინოლოგიისა, რაც მის მთარგმნელსა და კომენტატორს, იოანე პეტრიწს, ავალებდა ასეთივე მკაცრი სიზუსტით მოჰკიდებოდა თითოეული ფილოსოფიური ცნების ქართულად გადმოცემის საქმეს.

ამგვარად, პეტრიწის მიზანი იყო ფილოსოფიურ ტერმინთა ისეთი სისტემის შექმნა, რომლის ელემენტები ურთიერთკავშირში იქნებოდნენ ერთმანეთთან როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური თვალსაზრისით, შექმნიდნენ ფორმალურ-სემანტიკურ პარადიგმატულ ერთიანობას, რაც გამოარჩევდა მათ ყოფითი ლექსემებისაგან.

ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის მორფოლოგიური პარადიგმატული სისტემა გარკვეული ტიპის დერივაციული მოდელების გააქტივებით ხასიათდება. ახალ ტერმინთა წარმოების თვალსაზრისით განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩევა გარკვეული სემანტიკის ლექსემათა ძირეული მორფემებიც. ესენია, მაგ.: **გონ, ცან, გუარ, ბარს, ჩენ/ჩინ, მიზენ, გუამ, ყოფ, ზიარ** ძირები. ამა თუ იმ ლექსიკური ერთეულის სიტყვაწარმოებითი პოტენცია სხვადასხვა ავტორთან სხვადასხვაგვარად ვლინდება. ასე, მაგ., იოანე პეტრიწთან:









ამასთან, ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების დროს დაცული უნდა ყოფილიყო შემდეგი პრინციპები: 1. ტერმინი უნდა შექმნილიყო მხოლოდ ქართული ძირებისა და აფიქსების საშუალებით; 2. ტერმინი გამორჩეული უნდა ყოფილიყო ყოფითი ლექსემისაგან ფორმალურ-სემანტიკური სისტემურობით; 3. ტერმინს ზუსტად უნდა აესახა შესაბამისი ცნების შინაარსი; 4. ტერმინსა და ცნებას შორის ცალსახა მიმართება უნდა დამყარებულიყო: ტერმინი მონოსემიური უნდა ყოფილიყო; 5. ტერმინი უნდა ყოფილიყო მოკლე და სხარტი.

ამ პრინციპების განხორციელება ყოველთვის შეუძლებელი იყო და ახლაც შეუძლებელია, რამდენადაც სამეცნიერო ენა, ისევე როგორც, საზოგადოდ, ყოველი ცოცხალი ენა, არ შეიძლება სტატიკური იყოს და იგი განვითარების კანონებს ემორჩილება, მაგრამ ამ იდეალური სისტემურობისაკენ სწრაფვა მოითხოვდა „ენის ჯელოვნებისა და ლრამმატიკოსობის“ დაუფლებას, ენის რაობისა და ქცევის“ შესწავლას, სიტყვათა „შეწყობისა და დაშლის“ ოსტატობაში გაწაფვას, „სულითი სიტყვის“ არსში წვდომას და ამ გზით ტერმინის „ეტიმოლოგიის“ („მზამეტყველების“) ანუ მოტივაციის დადგენას[2].

ცნობილია, რომ ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოება გაცნობიერებული პროცესია. ყოველი მეცნიერება, მათ შორის, ფილოსოფიურიც, მიისწრაფვის გამოიმუშაოს თავისი საკუთარი, სპეციფიკური მონოსტრუქტურული სპეციალური ენა, სადაც ინფორმაციის სემანტიკური განსაზღვრულობა უნდა ეყრდნობოდეს ენობრივი ნიშნისა და აღსანიშნი ცნების ცალსახა მიმართებას. იოანე პეტრიწის „მდაბრიონთაგან მესხუე“-ენა, პირველ ყოვლისა, გულისხმობდა სწორედ ყოფითი, სალაპარაკო ენისაგან განსხვავებული ფილოსოფიური ლექსიკის შექმნას იმავე საერთო-სახალხო ენის მასალაზე დაყრდნობით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფილოსოფიურ ენაში მოქმედი ტერმინი მარკირებული უნდა ყოფილიყო: მას უნდა ჰქონოდა საკუთარი მოდელი, ხოლო იდეალურ შემთხვევაში იგი თავისი ფორმით განსხვავებული უნდა ყოფილიყო ყოფითს ენაში უზუალური მნიშვნელობით ხმარებული შესაბამისი ლექსემისაგან. ტერმინს უნდა ჰქონოდა თავისი საკუთარი სტრუქტურა-აგებულება, რომელიც გარკვეულ ფორმალურ-სემანტიკურ სისტემაში ამ სისტემის სხვა ელემენტებთან ცალსახა მიმართებაში იქნებოდა. ამგვარად, პეტრიწი იდეალურ შემთხვევად მიჩნევდა ყოფითი და სამეცნიერო ლექსიკის ლინგვისტურ დიფერენცირებას (თუმცა ამის განხორციელებას, როგორც მოსალოდნელია, ყოველთვის ვერ ახერხებდა). ამასთან, დაცული უნდა ყოფილიყო ერთი აუცილებელი პირობა, რაც ძირითადი პრინციპია იოანე პეტრიწის სიტყვათშემოქმედებისა: **ქართული ფილოსოფიური ტერმინი უნდა შექმნილიყო საკუთარი, ქართული ძირეული მასალისაგან, ქართული დერივაციული აფიქსების გამოყენებით** (თუ სესხება ხანდახან მაინც გარდაუვალი ხდებოდა, **სრულიად გამორიცხული იყო უცხო (ბერძნულ) აფიქსთა კომბინაცია ქართულ ძირთან**). ეს კი დიდ შემოქმედებითს სითამამეს მოითხოვდა: უსაზღვროდ ფართო გასაქანი უნდა მიეცათ

---

[2] განმარტებაი პროკლესთუს დიადოხოსისა: ი ო ა ნ ე პ ე ტ რ ი წ ი ს შრომები, ტ. II. გამოსცეს ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ მ ა და შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე მ, თბ., 1937, გვ. 220—222.

თავისთავად მდიდარი და მრავალფეროვანი ქართული სიტყვაწარმოებითი საშუალებებისათვის, მაქსიმალურად გამოემზეურებინათ და გამოეყენებინათ მისი შესაძლებლობანი, გაეცოცხლებინათ არქაული, მივიწყებული და გაქვავებული ფორმები თუ მოდელები, ამასთანავე, გზა გაეხსნათ ცოცხალ, სალაპარაკო ენაში არსებული პერსპექტიული ფორმებისათვის. სწორედ აქედან მოდის პეტრიწისა და გელათის სკოლის სხვა მოღვაწეთა მიერ უზუალური აფიქსების გვერდით ანომალიურის, არქაული ან დიალექტური აფიქსების გააქტივება და მათი დისტრიბუციული შესაძლებლობების გაზრდა (საერთოდ, ცნობილია, რომ აფიქსების ფუძეებთან დისტრიბუციის გარკვეული თავისუფლება დამახასიათებელია ტერმინოლოგიური წარმოებისათვის, სადაც ასეთი შეზღუდვები მოხსნილია). ამიტომაა, რომ გელათის სკოლის ნაწერებისათვის დამახასიათებელია ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით მოზღვავებულ ინოვაციებთან ერთად არქაული ფორმებისა და მაწარმოებლების მოძალებაც.

ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდ ასპარეზს იძლეოდა მიმღეობურ ფორმათა წარმოების დიდი მრავალფეროვნება ქართულში. დიალექტურ საფუძველზე ისტორიულად ჩამოყალიბებული პარალელური წარმოების მოდელები ახალწარმოებისათვის მეტად ფართო შესაძლებლობებს იძლეოდა და ფილოსოფიურ ცნებათა ლინგვისტური დიფერენცირებისათვის ხელსაყრელ საშუალებას წარმოადგენდა. მიმღეობის ფორმათა პარალელური, სინონიმური წარმოებიდან ნამყო დროის ნა-პრეფიქსიანი მიმღეობები განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენენ სუბსტანტივაციისადმი (შდრ.: **დაგვილი, გაცრილი, გაკვეთილი, დაპრილი, დაშთენილი, დამჭნარი... მაგრამ: ნაგავი, ნაცარი, ნაკვეთი, ნაშთი, ნაპერი....**). ხოლო ტერმინთა ფუნქციური დატვირთულობა, როგორც ცნობილია, ძირითადად არსებით სახელზე მოდის. ამიტომ ნა-პრეფიქსიანი მიმღეობის ფორმათა ტერმინოლოგიზაცია ადვილად და სწრაფად ხდება. სპეციფიკურ ტერმინთა საწარმოებლად ეს ხერხი ფართოდ აქვს გამოყენებული და დანერგილი იოანე პეტრიწს: **ნაკუეთი** (ფიგურა, სქემა), **ნათხზი** (ნაწნავი→„მწკრივი, სერია“)||**ნაქუსი** სირაჲსაჲ (= „ქსოვს“ ზმნიდან „რიგი, მწკრივი“).

ცნებათა დიფერენცირებისათვის ამ საშუალების გამოყენების ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს გელათური ბიბლიის ხელნაწერებში ერთმანეთის პარალელურად ნახმარი პრეფიქსიანი და სუფიქსიანი წარმოების მიმღეობის სინონიმური ფორმები — **მორდომილი** და **ნარდომი** (მო-ვრდ-ომ-ა ზმნისაგან):

მოგეცინ შენ ბარკალი შენი **მ ო რ დ ო მ ი ლ ა დ** (რიცხ. 5,21).

შდრ. ნა-პრეფიქსიანი ფორმა იმავე ვრდომა ზმნისაგან:

ნ ა რ დ ო მ ი ს ა ცხორებისა სასწაულ არს ფქელი ქრთლისაჲ, რომლისათჳსცა ნ ა რ დ ო მ ი ს ა ცხორებისათჳს შესმენილი დედაკაცი ამას შესწირვიდა (A 1108, 103).

აქედან პირველი ფორმა (მორდომილი) ჩვეულებრივი, ყოფითი მნიშვნელობითაა ნახმარი („მოვარდნილი"), მას ჩვეულებრივი მიმღეობის გაგება აქვს, მეორე ფორმაში (ნარდომი) კი ეს გაგება წაშლილია და ამ ფორმას სპეციალური გაგება აქვს მიღებული: ნარდომი ნიშნავს „ჰეშმარიტი, კანონიერი გზიდან გადავარდნილს, გადაცდენილს", აქედან მომდინარეობს მისი ტერმინოლოგიური მნიშვნელობაც: „ყალბი, პლაგიატი, ფალსიფიცირებული". სწორედ ამ სპეციალური მნიშვნელობითაა იგი ნახმარი ამონიოს ერმიასის თხზულების თარგმანშიც:

ეთქუა თუ ნ ა რ დ ო მ-ყოფაჲ წიგნისა ამის, იგიცა თ ა ნ ვ ა ნ ა რ დ ო მ ნ ე თ ამისსა, ანუ უკუეთუ იგინი ს ა კ უ თ რ ე ბ, ესეცა, ცხად არს, ვითარმედ მათთანა (ამონ. 106,36).

ამ კონტექსტში, როგორც ვხედავთ, ნარდომი დაპირისპირებულია საკუთართან, მისი ანტონიმია. მთელს ვრცელ კონტექსტში კი ლაპარაკია არისტოტელეს ავტორობის საკითხზე, კერძოდ, „ნატაცი ანუ საკუთარი არს წიგნი ფილოსოფოსისაჲ?" (101,28). მოყვანილ კონტექსტებში ერთმანეთის სინონიმებად ჩანს ნატაცი და ნარდომი, რომელთაც ბერძნულ დედანში შეესატყვისება ψεῦδος ლექსემა, რაც ნიშნავს „არასწორს. ცრუს, უკანონოს, ყალბს", ჩვენს შემთხვევაში — „მიტაცებულს, მითვისებულს, პლაგიატს" (შდრ. ლათინ. plagio „ვიტაცებ"). ნარდომი რომ ტერმინოლოგიური ψεῦδος „ყალბის" მნიშვნელობით დამკვიდრებულია გელათური წრისა და დროის ძეგლებში, ეს არსენ იყალთოელის მიერ შედგენილი „დიდი სჯულის კანონის" ერთ-ერთი სტატიიდანაც ჩანს, კერძოდ, ამფილოქე ეპისკოპოსის იამბიკოში: „ვითარ მტყუარნი და ნარდომნი დრაკანნი" (522,11). როგორც ვხედავთ, ნარდომთან სინონიმურ წყვილშია ნახმარი მტყუარი. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ იოანე პეტრიწი ψεῦδος ლექსემის შესატყვისად პროკლეს თხზულების თარგმანსა და განმარტებაში ცეთ და რღუეჳ ძირებისაგან აწარმოებს ნა-პრეფიქსიან მიმღეობას:

ნ ა რ ღ უ ე ჳ მ ა ნ და ნუომან გულისსიტყუამან (განმ. § 59, გვ. 126); ნ ა მ რ ღ უ ე ჳ ს ა, ესვითა ნაცთსა გულმყისიერებასა შორის მონაგონი (განმ. § 32, გვ. 83);

ჩვეულებრივი, ყოფითი მნიშვნელობით კი იგი -ილ-სუფიქსიან მიმღეობას იყენებს ამავე ცეთ ფუძისაგან:

ყოვლისა ც თ ო მ ი ლ ი ს ა მბრძოლისაგან (განმ. გვ. 4, 6); საქმით ც თ ო მ ი ლ ი (განმ. გვ. 33, 23).

ამგვარად, ნათელი ხდება, რომ მიმღეობათა წარმოების ქართულში არსებული ორი სხვადასხვა ტიპი გამოყენებულია ცნებათა დიფერენცირებისათვის: ნა-პრეფიქსიანი მიმღეობის ფორმები ტერმინ-სუბსტანტივთა მნიშვნელობითაა გამოყენებული, საკუთრივ მიმღეობის ჩვეულებრივ-, ყოფითი მნიშვნელობით კი -ილ-სუფიქსიანი მიმღეობა გამოიყენება[3].

ამავე მიზნით სასუბიექტო მიმღეობის რამდენიმე ტიპიდან იოანე პეტრიწი ააქტიურებს არქაულ მოდელს, რომელიც დღეს სუბსტანტივების (ხელობის სახელების) წარმოებაშია დამკვიდრებული: მ- (მბადი, მსახი), მა- (მასვი, მამკი, მაკლი, მალმრთი), მე- (მექმი, მედინი, მერღუ, მეშუ), მო- (მობაძავი, მოსავი, მოქცევი, მოკუდავი), მ — ად (პ-რველმღვადი), მ — ე (მწადე, გამგე, მომგე), მ — არ (მხუდარი, მკუდარი), მ — არე (მთენარე), მა — ე (მაცნე, მავნე), მე — ე (მეცნე, მეთნე, მეთქუე, მეტრფე, მეწადე, მესმე, მებაძვე), მე — ო (მეკუდო), მო — ე (მოსწრაფე, მოწაფე, მოსწავლე, მოყუარე, მოღუაწე, მოახლე), სა — ე (სარეცე, სავსე; სახე), სა- (საოცი, სამკი, საწადი, აღმოსაჩენი), სა — ო (საქმო, საკკრვო, საცნო, საუწყო, საწადო, სატრფო, სასო, საშო, აღმოსაჩინო) და სხვ.

ამ ტიპის წარმოება ზმნური ფუძეებისაგან ძველსავე ქართულში უკვე არქაული მოდელია, რომელსაც მარჯვედ იყენებენ გელათის სკოლის მოღვაწენი ცნებათა ფორმალური დიფერენცირების მიზნით. საინტერესოა, რომ ამ მოდელის გამოყენება ერთდროულად აკმაყოფილებს ტერმინოლოგიზაციისათვის ხელსაყრელ სამ სასურველ პირობას: შესაძლებელი ხდება პოლისემიურობის თავიდან აცილება, სუბსტანტიური მოდელი აადვილებს და აჩქარებს ტერმინოლოგიზაციის პროცესს, ამ მოდელის მიხედვით შექმნილი ტერმინი მოკლეა, მარჯვე და მოსახერხებელი.

მომდევნო პრინციპული მოთხოვნა ბუნებრივად გამომდინარეობს წინამავლისაგან; სპეციალური ტერმინი, როგორც გარკვეული ცნების ადეკვატური ენობრივი გამოხატულება, მოცემული სამეცნიერო ენის სისტემაში პოლისემიასა და ომონიმიას უნდა გამორიცხავდეს. როგორც ცნობილია, პოლისემიურობა სამეცნიერო ტერმინოლოგიაში მოწმობს ტერმინოლოგიური სისტემის მოუწესრიგებლობასა და სუსტ გაფორმებულობას. დღეს ის თვალსაზრისი, რომ ტერმინოლოგიაში ერთი ნიშანი პრინციპულად მხოლოდ ერთ ცნებასთან უნდა იყოს დაკავშირებული, ტერმინოლოგთა უმრავლესობისათვის ამოსავალ დე-

---

3 დ. მელიქიშვილი, თანაშე ფორმა და შე- ელემენტიანი ზმნიზედები ქართულში: ა. შანიძის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 1987, გვ. 148.

ბულებადაა ქცეული და ერთ-ერთ აუცილებელ პირობად ითვლება სიტყვათა შედგენისას ტერმინოლოგიურ პრაქტიკაში"[4]. თავისი ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სისტემის ფარგლებში პოლისემიის მოშლა და მონოსემიურობის მიღწევა იყო ის იდეალური ვითარება, რომლისაკენაც მიისწრაფოდა და მთელს თავის შემოქმედებითს ძალებს მიმართავდა იოანე პეტრიწი. პროკლეს ტრაქტატის თარგმანის წინასიტყვაობაში იოანე ფილოსოფოსი სპეციალურად ეხება შემეცნების პროცესის ამსახველი ცნება-ტერმინების დადგენის საკითხს და უჩვენებს ქართული ტერმინის შექმნის გზას შესაბამისი ბერძნული ტერმინების სემანტიკური ანალიზის საფუძველზე: ეს ტერმინებია: νόησις, νόημα ? διάνοια, νοητόν, რომელთაც იგი ერცელი მსჯელობისა და დასაბუთების გზით უძებნის შესაფერის ქართულ შესატყვისებს: **გაგონება, მიდმოგონება//მიდმოგაგონება, გასაგონო, გამგონე** (განმ. გვ. 6). აქვე პეტრიწი სინანულით აღნიშნავს, რომ ძველი ქართველი მთარგმნელები ცნებათა დიფერენცირებას არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას და ერთსა და იმავე სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარობდნენ, რაც „მე უზომოდ მიშლის თარგმანსა შინაო" (განმ., იქვე).

პოლისემიის დაძლევა შესაძლებელი იყო სინონიმური ლექსიკური ერთეულების ან სინონიმური მორფოლოგიური მასალის (მაწარმოებლის) გამოყენების გზით. აქედან მოდიოდა კვლავ და კვლავ არაუზუალურის, არაორდინალურის, არქაული თუ დიალექტური ენობრივი მასალის ძიება, გააქტივება. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იყო წყარო სისტემათშორისი (ფილოსოფიური ენისა და საერთო-სახალხო ენის ლექსიკურ სისტემებს შორის) სინონიმების წარმოშობისა. რამდენადაც საერთო სალიტერატურო ენაში სინონიმია დადებით მოვლენადაა მიჩნეული, იმდენად სპეციალურ ენაში იგი, ისევე როგორც პოლისემია, უარყოფით ფაქტადაა გამოცხადებული[5]. კიდევ უფრო უარყოფითია დამოკიდებულება დუბლეტების მიმართ, რომლებიც არავითარ ნიუანსობრივ სხვაობას არ იძლევა ენაში[6]. იოანე პეტრიწის ტერმინოლოგიური სისტემა ქმნადობის პროცესშია, ამიტომ ახალწარმოებათა ძიების გზაზე სინონიმები და ტერმინი-დუბლეტები, თანაც ერთმანეთის ფვერდით, ჰენდიადისურ წყვილში მისი ფილოსოფიური ენის სისტემის ფარგლებშივე ხშირად გვხვდება. ამასთან, სინონიმები შეიძლება მიღებულ იქნეს მორფოლოგიური გზით, ძირითადად — მიმღეობათა პარალელური წარმოების გამოყენებით: მარღვ — მერღვ, მგები —

---

4 რ. ღამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია და მისი შედგენის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986, გვ. 26.

5 რ. ღამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 39—40.

6 იქვე, გვ. 40.

მგე, მქმნელი — მქმნე — მექმე — მექმი, მიმღებელი — მიმღები — პირველმღები — პირველმღებადი, მბაძავი — მბაძველი — მბაძი — მებაძვე — მობაძავი, მეწადი — მეწადე — მწადი, მშობელი — მეშვი — მეშვე, მცნობელი — მცნობი — მეცნე, მტრფიალობელი — მეტრფე — მეტრფი, მზიარებელი — მაზიარებელი — მზიარე, მგრძნობელი — მეგრძნე და სხვა), აგრეთვე ცნების დაზუსტების მიზნით გამოყენებულ იქნეს სალიტერატურო ენაში არსებული სინონიმური ლექსემები (**ახო** და **კავშირი, მოწადე** და **ტრფიალი, სატრფო** და **საწადო, უმოქენო** და **სრული, უმოქენო** და **ემამყოფ, უქცევ** და **უცვალებელ, მეუწყე** და **მცნობელ, ცნობა** და **უწყება, განწვალება** და **განყოფა, ქმნა** და **წარმოჩენა, განვრადი** და **განწვალებადი, ქმნადი** და **აღგებადი** და სხვ.),

ლექსიკურ სინონიმურ წყვილებს, ანუ ჰენდიადისებს, როგორც ცნობილია, ძველ ქართულ მწერლობაში რაციონალური საწყისი ჰქონდა[7]. მთარგმნელი ბერძნულ სიტყვას, რომელსაც ფართო სემანტიკური ველი ჰქონდა, თარგმნიდა ორი, ერთმანეთის სინონიმური ლექსემით. რომელთაგან ერთი მეორეს აზუსტებდა. საქმე ისაა, რომ საუკუნეების განმავლობაში ბერძნული ენის ლექსიკა, კერძოდ, ტერმინოლოგიური ლექსიკაც განიცდიდა სახეცვლილებას, იძენდა ახალ მნიშვნელობებს და თანდათან კარგავდა გარკვეულობას. ამას ხელს უწყობდა ტერმინთა ისტორიულად შეძენილი პოლისემიურობაც, რის გამოც ისინი შუა საუკუნეების თარგმანებში (მათ შორის ქართულ თარგმანებშიც) ხშირად ჰენდიადისით გადმოიცემოდა. ჰენდიადისების საშუალებით მთარგმნელი ცდილობდა დაეცვა ზედმიწევნითი სიზუსტე და გადმოეცა ბერძნული ცნება-ტერმინის დაფარული შინაარსი. გარდა ამისა, ჰენდიადისები ხშირად მთარგმნელის ინტერპრეტაციისა და თავისებური გააზრების შედეგსაც წარმოადგენდნენ. მაგრამ დროთა განმავლობაში სინონიმური წყვილების ხმარება, შეიძლება ითქვას, ტრაფარეტულ სტილისტიკურ ხერხად იქცა. ეფრემ მცირესა და პეტრიწთან კი, გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციებისა, მათ დიდი ემოციურ-ექსპრესიული დატვირთვაც აქვთ.

რაც შეეხება სინონიმური მორფოლოგიური მაწარმოებლებით შექმნილ დუბლეტებს, მათზე დაკვირვება საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ავტორთა შემოქმედებითს ძიებებს, მათი მუშაობის მეთოდს, ფილოსოფიური ტერმინოლოგიის დამუშავების პროცესს: როგორ სინჯავენ და ამოწმებენ ისინი ამა თუ იმ დერივაციული მოდელის ტერმინოლოგიზაციის უნარს, გამოსადეგობას, ეძიებენ საუკეთესო გამომხატველობითი ძალის მქონე წარმოებებს, იძლევიან რამდენიმე

---

7 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ცნება სინონიმური პარალელიზმისა; სმამ, TI, № 7, 1946, გვ. 699.

ვარიანტს, რათა შემდეგ გარკვეული ცნებისათვის შეარჩიონ საბოლოოდ დადგენილი სრულყოფილი ტერმინი, როგორც ფორმის (სუბსტანტივაციის უნარის მქონე და, ამავე დროს, მოკლე), ასევე სემანტიკური გამჭვირვალობისა და განსაზღვრულობის თვალსაზრისით. ამ მიზნით ისინი, როგორც ზემოთ ვნახეთ, მოხერხებულად იყენებენ არაპროდუქტიულ, არქაულ აფიქსებს, ბრუნვის ფორმანტებს დერივაციული აფიქსების ფუნქციით, ზრდიან მორფემათა დისტრიბუციულ შესაძლებლობებს, სხვადასხვა ფუძეებთან კომბინაციების სიხშირეს ისე, რომ არ არღვევენ ქართული სიტყვაწარმოების ისტორიულად ჩამოყალიბებულ წესებს. ასეთი შემოქმედებითი სითამამის გარეშე, ენის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებისა და გაშლის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა სამეცნიერო ენის განვითარება.

ცნობილია, რომ აზრობრივი პარადიგმატიკისა თუ ცნებებისა და მათი ადეკვატური ტერმინების სისტემური ურთიერთდამოკიდებულება ნათლად ვლინდება ანტონიმურ დაპირისპირებებსა და ჰიპონიმურ (ცნებათა გვარ-სახეობის) იერარქიულ მიმართებებში. ადამიანის გონებისათვის დამახასიათებელი ცნებითი ანტინომიების გამოხატვა ენას შეუძლია როგორც ლექსიკურად, საპირისპირო მნიშვნელობის სხვადასხვა ფუძეების (ანტონიმების), ასევე, ანტონიმიური დერივაციული აფიქსებისა და ნაწილაკების საშუალებით. ორივე ეს საშუალება ფართოდ გამოიყენება და ქმნის მწყობრ სისტემურ პარადიგმას თავ-თავისი განშტოებებით, ლექსიკური ანტონიმებია: **სამარადისო — უამისქუეშე// ოდესმეი, მარტივი — შეზავებული//შედგმული, დასაბამი//დასაწყისი — დასასრული, ერთი — მრავალი, დიდი — მცირე, არსება — შემთხუევითი, სინოტიე — სიკმელე, სიმკურვალე — სიგრილე, მართლგანმავლობა — დრეკილობა, იგივე — სხუაი...**

თითოეული ამ წყვილთაგანი შედის ამავე დროს სხვადასხვა ფორმალურ და სემანტიკურ პარადიგმატულ რიგში და სხვადასხვა სემანტიკურ მიმართებებშიც: **სამარადისოობა — ოდესმეობა — ერთობა — სიმრავლე... არსი — არსება — არსებითი... შემთხუევითი — არსებითი — უამითი — სულითი — ცნობითი...** და სხვ.

რაც შეეხება ანტონიმთა დერივაციულ ტიპს, იგი ტერმინოლოგიურ სისტემებში განსაკუთრებული რეგულარობით ხასიათდება, და ამ მხრივ არც გელათის სკოლის ფილოსოფიური ხასიათის ნაშრომებია გამონაკლისი, რადგანაც ცნებების დაპირისპირებულ ერთეულთა მიხედვით დიქოტომიური დაყოფის („წინაალმდეგობებით განწვალებაი — **ἐν ἀντίῃ διαίρεσιν**) დროს უკუთქმითი შინაარსის აფიქსური წარმოება ყველაზე მარტივი მექანიკური საშუალებაა („იტყჳან ვიეთნიმე, ვითარმედ **მეტყჳ** და **უტყჳ, მოკუდავი** და **უკუდავი, სხეული** და **უსხეულოი**

ვითარ არიანა წინააღმდგომნი? — ამონ. 138,11—13). ამ ტიპის წარ-ოებაში ფუძეთა მიხედვით აფიქსთა და აფიქსოიდთა განაწილებას გარკვეული კანონზომიერება ახასიათებს, რაზედაც სათანადო ადგილას გვექნება მსჯელობა.

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ცნებათა და-მათი აღმნიშვნელი ტერმინების სისტემატიზაცია მუშაობის რთულ ეტაპებს მოიცავს. ცნებათა მნიშვნელობების დადგენა და მათთვის სა-ხელწოდებათა შერჩევა განყენებულად არ ხდება (ან არ უნდა ხდე-ბოდეს), არამედ სხვა ცნებებსა და მათ შესატყვის ტერმინებთან მი-მართებაში უნდა ზუსტდებოდეს. ყოველ ცნებას თავისი ადგილი უნდა-ჰქონდეს მიჩენილი ცნებათა სისტემაში და ამ ცნებათა (და შესაბამი-სად — მათ გამომხატველ ტერმინთა) შორის არსებულ კანონზომიერე-ბებს უნდა ასახავდეს. როგორც ცნობილია, ეს კანონზომიერებანი ცნე-ბათა ლოგიკურ კავშირებს ემყარება და ცნებათა ისეთ კლასიფიკაციას-გულისხმობს, რომელიც მნიშვნელობათა გვარ-სახეობითს ურთიერთთო-ბებში ვლინდება[8].

როდესაც გვარ-სახეობითი ცნებების ამ იერარქიული დამოკიდებუ-ლების (ჰიპონიმიის) გამოხატვა გამშვირვალე ენობრივი მასალით ხდე-ბა, საქმე გვაქვს იდეალურ შემთხვევასთან ცნებათა და შესატყვის-ტერმინთა სისტემატიზაციის თვალსაზრისით. სწორედ ასეთი სანიმუშო-შემთხვევაა პეტრიწის მიერ გვარ-სახეობითი დამოკიდებულების აღმნი-შვნელი წყვილის — γένος და εἶδος ცნებების გადმოტანა ერთ-სემანტიკურ ველში შემავალი ურთიერთდამოკიდებული წყვილით — ტომი და გუარი (რომელთაგან პირველი ფართო მოცულობის ჰიპერო-ნიმია, მეორე კი — მასში შემავალი ვიწრო მოცულობის ჰიპონიმი), ნაცვლად ქართულ ლოგიკურ ტერმინოლოგიაში ადრე (დამასკელის-„დიალექტიკისა“ და ამონიოსის შრომების თარგმანებში) მიღებული-ტერმინებისა — ნათესავი და სახე. საქმე ისაა, რომ არც თვით ბერძ-ნულ ტერმინებში და არც მათს ძველ ქართულ თარგმანებში არ არის-დაცული (და გააზრებული) სათანადო სისტემურობა, რომელიც იდეა-ლურ შემთხვევაში ერთი ჯგუფის ცნებების ერთ სემანტიკურ ველში-შემავალი ტერმინებით ასახვას გულისხმობს. იოანე პეტრიწი ნათესავ-ტერმინს (რომელიც, ამავე დროს, მეტად გავრცელებული ყოფითი მნი-შვნელობის სიტყვაა) ცვლის მას ნაწილობრივი სინონიმით, სპარსუ-ლიდან ადრევე ნასესხები ტომით (რომელიც, როგორც ჩანს, შედარე-ბით იშვიათი ხმარებისაა ძველ ქართულში), ხოლო εἶδος -ის ძველ-ქართულ შესატყვისს სახე-ს ცვლის გუარ ტერმინით, რომელიც, თავის

---

8 რ. ღამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

მხრივ, ტომის[9] ქვეკლასს წარმოადგენს. ამგვარად, იგი ახერხებს ენობრივი მასალის საშუალებითაც ასახოს ის იერარქიული დამოკიდებულება, რომელიც ამ გამოსახატავ ცნებებს შორის არსებობს, რითაც აღწევს იდეალურ სისტემურობას გამოხატვის პლანში. ამ მხრივ იგი აჭარბებს სისტემატიზაციის საოცარი უნარით განთქმულ თვით პროკლესაც კი, რომელიც ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ტრადიციით იყო შეზღუდული. ხოლო ქართველი ფილოსოფოსის წინაშე, მეორე მხრივ, სახე სიტყვის პოლისემიურობის საკითხიც იდგა, რასაც იგი შესანიშნავად ართმევს თავს როგორც ამ, ისე სხვა ცნებებთან მიმართებაში (პეტრიწი ცდილობს, თითოეული მნიშვნელობისათვის, რომელსაც სახე ლექსემა გადმოსცემს ძველ ქართულში, დაძებნოს ცალსახა შესატყვისები: εἶδος-ისათვის — გუარი, τρόπος-ისათვის — სახე, τόπος-ისათვის — ტკრფვაჲ, σχῆμα-სათვის — ნაკუეთი, εἰκών-ისათვის — ხატი, παράδειγμα-ისათვის — იგავი...).

თავისი ტერმინოლოგიური ძიებების გზაზე პეტრიწისათვის ყველაზე მთავარი მაინც საგნისა და მოვლენის — ცნების არსში წვდომაა და ამ არსის ზედმიწევნითი სიზუსტით გამოხატვაა ენობრივი ნიშნით. იგი მიისწრაფოდა შეექმნა ცნების, საგნისა და მოვლენის არსის გამოხატველი გამჭვირვალე სემანტიკური სტრუქტურისა და ცხადი მოტივაციის მქონე, სწორად მაორიენტირებელი ტერმინები. მისი ეს მისწრაფება სავსებით ეთანხმება ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოების თანამედროვე მოთხოვნებს: ტერმინისათვის უპირატესობა ენიჭება გამჭვირვალე შინაგან ფორმას. ტერმინოლოგიაში სიტყვაწარმოებითი აქტი, გარდა საკუთრივ დერივაციული ოპერაციისა, გულისხმობს ცნების შინაარსის სიტყვიერ გახსნას. ტერმინისა და ცნების შესატყვისობის ეს მოთხოვნა დღესაც მთავარია ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებისას. როგორც აღნიშნავენ, „სამეცნიერო ტერმინი უბრალო სიტყვა კი არ არის, არამედ იგი მოცემული მოვლენის არსის გამომხატველია. ამიტომაც აუცილებელია ტერმინოლოგიის კრისტალურ გამჭვირვალობასა და განსაზღვრულობაზე ზრუნვა, რადგანაც იგი ობიექტურ მოვლენათა არსს.. გადმოსცემს[10].

რადგანაც პეტრიწის ღრმა რწმენით, „ელლინთა ენამზეობასა ზედა ყოველივე თჳსი სახელი ჰრქჳან, შესაბამი თჳსისა არსებისაჲ“, ამიტომ მისი მიზანია ქართული ფილოსოფიური ენა თავისი გამომხატვე-

---

[9] იხ. გელათის ბიბლია: „ტომი უმეტეს გარეშემცველობითი არს, ეფროის, ეიდრე სახელი ერისაჲ“ (A 1108,38r).

[10] А. М. Деборин, Заметки о происхождении и эволюции научных понятий и терминов: ВЯ, 1957, № 4, გვ. 45; რ. ღამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

ლობითი ძალით გაუტოლოს „გონიერთა ხედვათა მომმარჯვე" ელინურს. აქედან გამოდის სწორედ ახალ ცნება-ტერმინთა ბერძნული ენიდან კალკირების ხერხის აქტიური გამოყენება. ეს გამოცდილი ხერხი უზრუნველყოფდა ზუსტ თარგმანს, ხოლო ფილოსოფიური ტექსტის მთარგმნელს იცავდა — ნებისითი თუ უნებლიე საკუთარი ინტერპრეტაციების საფრთხისაგან.

ბერძნული ტერმინის ქართულად გადმოღებისას ამოდიოდნენ მისი ძირეული, პირველადი მნიშვნელობიდან, ან კონტექსტური მნიშვნელობებიდან. ასე, მაგ., στοιχεῖον ტერმინის ძველი ქართული შესატყვისია წესი, რომელიც ამ ბერძნული ლექსემის პირველადს მნიშვნელობას ასახავს და მისი ძირეული სემანტიკური კალკია. წესის ეს პირველადი მნიშვნელობა ქართულში, თავის მხრივ, დაცულია ჰენდიადისურ კომპოზიტში წეს-რიგი და მთის დიალექტებში: იხ., მაგ., ვაჟაფშაველა, „რიგში ვიყოდი სადამე" (ალუდა ქეთელაური") ანდა ქართ. სამართ. ძეგლები: „ამას ბრძანებს რიგი სამართლისა" (I ტ. სომხ. სამართ. 228,236), მაგრამ ვერ გადმოსცემს ამ ცნების სპეციალურ ფილოსოფიურ შინაარსს („ელემენტი, საფუძველი"), ამიტომ ეს სიტყვა შემდგომ შეცვალეს ახო ტერმინით, ხოლო პეტრიწმა, თუმცა არც ეს ტერმინი უკუაგდო, მაგრამ გარკვეული შემთხვევებისათვის დაამკვიდრა ტერმინი კავშირი, რაც აშკარად ამ ცნების მისეული ინტერპრეტაციის შედეგია და გულისხმობს ოთხი ელემენტის, პირველსაწყისთა კავშირს, რაც ერთ მთლიანობას ქმნის და საფუძვლად უდევს ყოველივეს რაობას.

ამის მიხედვით, თუ პოლისემიური ბერძნული ლექსემის რომელ მნიშვნელობას ირჩევს მთარგმნელი, შეიძლება ვიმსჯელოთ იმაზე, თუ როგორ გაიაზრა მან ეს ცნება, რა მოტივი წამოსწია წინ, ან როგორი ინტერპრეტაცია დაუდო საფუძვლად მის ქართულ შესატყვისს. ასე, მაგ., κόσμος ცნებისათვის ადეკვატური ქართული ტერმინის ძიებისას იოანე პეტრიწი წინ წამოსწევს ამ ბერძნული ლექსემის ამოსავალ, ძირეულ მნიშვნელობას — „აღმკული", რომელშიც სამყაროს შინაარსი ისევე მეტაფორულადაა გაზრებული, როგორც ეს ძველ ბერძნებს ესმოდათ: „წეს-რიგი, კანონზომიერება", რაც, ელინთა წარმოდგენით, მშვენიერებისა და შემკობილობის საფუძველი იყო. ამგვარად, პეტრიწის თარგმანში ჩანს მოტივაცია, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ბერძნულ ტერმინს, მაშინ როდესაც ძველ ქართულში, ჩვეულებრივ, მის აზრობრივ-კონტექსტუალურ თარგმანს იძლეოდნენ: სოფელი — „სამყარო, ქვეყანა", რაც κόσμος-ის ძირითად მნიშვნელობად იქცა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძველი აღთქმის ტექსტების თარ-

გმანებში ცა და ქვეყანა სამკაულადაა გააზრებული (იხ. დაბ. 2, 1, II სჯ. 17, 3).

ეს და მსგავსი მაგალითები ნათლად წარმოაჩენენ პეტრიწის ძირითად პრინციპს: ზუსტი ქართული შესატყვისით გადმოსცეს ბერძნული სიტყვის დაფარული არსი, ანუ ქართულ სიტყვაში ხელახლა გააცოცხლოს და აამეტყველოს ბერძნული ლოგოსის სული. ამიტომაა, რომ მისი ტერმინები ხშირად ემოციურად დატვირთული და ექსპრესიულია, ავლენს ავტორის მეტაფორულ აზროვნებასა და ესთეტიკურ დამოკიდებულებას აღსანიშნი ცნებისა თუ მოვლენისადმი (ასე, მაგ., მისი მეტაფორული აზროვნების ნაყოფია ტერმინები: **ნათხზი** („ნაწნავი"; შდრ., გელ. ბიბლ. **ნათხზენი**: „არა მოიპარსოთო გარემოჲს შესახედავი თავისა თქუენისაჲ, ხოლო უფროჲს-ღა კოწოლი, რომელ არს დალალაჲ და არს იგი **ნათხზენი**, ვითარ-იგი **დაითხზნიდეს** ელენნი, ვითარცა კრონოჲსდად განჩინებულსა და უფროჲსღა სარკინოზნი ვიდრე აქამომდე იქმან ამას", — A 1108, ფ. 58r) და **ნაქუსი** („ნაქსოვი"), რომლებიც პროკლეს ონტოლოგიური სტრუქტურის ძირითადი ცნების **σειρα**-ს („ჯაქვი, რიგი, მწკრივი") შესატყვისებად აქვს შერჩეული; ასევე, ტერმინი **დაკაზმვა**, რომელიც ხატოვნად გადმოსცემს სილოგიზმის აგების, დასაბუთებისათვის საჭირო ელემენტების შეწყობა-აგების სემანტიკას („დაკაზმვაჲ საკმართა აღმოჩენისათა"). როგორც ვხედავთ, ასეთ ტერმინებს გამჭვირვალე შინაგანი ფორმა აქვთ.

სახელდებისას ცნების შინაარსის გათვალისწინება, ანუ ტერმინთა მოტივირებული წარმოება ძველი ქართული სიტყვათშემოქმედებისათვის მეტად დამახასიათებელი პრინციპია. ამ პრინციპის განხორციელებას შეიძლება თვალი გავადევნოთ არისტოტელეს ლოგიკური ტერმინების ქართულ თარგანებში, თუმცაღა ამ მეცნიერების ფორმალური ხასიათი თითქოს არ უნდა იძლეოდეს საბაბს დიდი სტაგირელის მიერ შექმნილი სპეციალური ტერმინების სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციისათვის.

ქართველი მთარგმნელები, ცდილობდნენ რა ამ ცნებათა არსში ჩაწვდომას, ქართული შესატყვისების ძიებისას, პირველ რიგში, მხედველობაში იღებდნენ მოტივაციას, რომელსაც, მათი აზრით, მოცემულ ტერმინში დებდნენ არისტოტელე და მისი კომენტატორები. ასე, მაგ., არისტოტელეს ცნება-ტერმინს **συλλογισμός**-ს იოანე პეტრიწი თარგმნის კალკით — **თანშესიტყუა**, იმის გათვალისწინებით, რომ სილოგიზმი არის გარკვეულ გამონათქვამთა (მსჯელობათა) **თანაშესიტყვება**, მაშინ როდესაც ეფრემ მცირე იძლევა მის აზრობრივ თარგმანს— **შემოკრება**, რადგანაც აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ სილოგიზმი „**შემოკრებილია** ორთა ჰეშმარიტთა წინადადებათაგან და შესრულებისა"

(იხ. დიალექტიკა, 51,1). სილოგიზმი რომ მსჯელობათა „შემოკრებადაა“ გააზრებული, ეს ჩანს ნემესიოს ემესელის თხზულების პეტრიწისეული თარგმანის შემდეგი ადგილიდანაც: „ჭსენოკრატიმან ესე შესიტყუეაჲ შეკრიბა“ (ნემეს. 26,24). არსენ იყალთოელი კი, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, იძლევა არისტოტელეს ამ ტერმინის არცთუ მოხერხებულ შესატყვისს: შეგულისსიტყუა (მასვე მისდევს ამონიოსის მთარგმნელიც), რომელშიც მთლად ნათლად არ არის გახსნილი ამ ცნების შინაარსი.

არისტოტელეს ლოგიკური ცნება πρότασις იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ეფრემისა და არსენისეულ თარგმანებში წინადადება ტერმინითაა გადმოცემული, — ისეთივე ზუსტი კალკით, როგორც ლათინურსა (propositio) და რუსულში (предложение). ამონიოს ერმიასის თარგმანში ეს ცნება გადმოცემულია შესატყვისით წინგანსლვა, ისევე როგორც რუსული предпосылка. ნემესიოს ემესელისა და პროკლეს თარგმანებში კი მისი ეკვივალენტებია პირველდაწესებული და პირველმღებადი. ამ უკანასკნელის მოტივაცია ნათელი ხდება ამონიოს ერმიასის თხზულების (Ammonius in Porphirii Isagogen) სათანადო კონტექსტიდან: „მნებავმან ჩუენებად, ვითარმედ უკუდავ არს სული, მივიღე პირველად თჳთმოძრავი და შევასრულე უკუდავი...“ (ამონ., 167v). ეგევე კონტექსტი გვაძლევს περάσμα — „დასასკვი“ ცნების ეფრემისეული და არსენისეული გააზრების გასაღებს. ისინი ამ ცნების შესატყვისად იძლევიან ტერმინს შესრულება-ს (πέρα, πέρας „ბოლო, დასასრულ , საზღვარი“, აქედან — συμπέρασμα („შესრულება, დასრულება“). სხვაგვარად აქვს გააზრებული ეს ცნება პეტრიწს. მართალია, მასაც συμπέρασμα სილოგიზმის დასასრულად მიაჩნია („ხოლო დასასრულისასა ეწოდების სუმპერაზმა“), მაგრამ, როდესაც ამ ტერმინის ქართულ შესატყვისს იძლევა, იგი წამოსწევს მისი სხვაგვარი გააზრების შესაძლებლობას: ზმნიდან περάω „გადასვლა“ — συμέρασμα „თანგასავალი“, ანუ გამომდინარეობა ორი თანამდებარე მსჯელობიდან. ბერძნულში συν და ქართულში თანა- წინდებულები მარჯვედაა გამოყენებული ამ რთული შინაარსის ელიფსური საშუალებით გადმოსაცემად ერთი ტერმინით συμ-πέρασμα „თანგასავალი“ (შდრ.. რუსული вывод, ლათ. concludo>conclusio).

როგორც ცნების ანალიზისა და გააზრების, ისე მისი შესატყვისი ქართული ტერმინის შერჩევის თვალსაზრისით მეტად საინტერესოა პეტრიწის მსჯელობა διάνοια ცნებასთან დაკავშირებით. მისი აზრით,

„სულსა მოლმოობასა შორის აქუს ძალი გაგონებისაჲ, მისი მოქმედება არის არა მარტივად „გონება ანუ გაგონება“ (ე. ი. ინტუიციური, მარტივი გონითი მოქმედება), არამედ რთული, ნაბიჯ-ნაბიჯ, გზავნითი-გზავნად“ მიმდინარე პროცესი. ეს არის დისკურსიული აზროვნება, რომელიც, ინტუიციურისაგან განსხვავებით, ერთბაშად კი არ მოეფინება — როგორც მზის დისკო და მისი სხივები — გასაგონოს (ანუ შემეცნების საგანს), არამედ ნელ-ნელა, მიდმოგონების გზით შეიმეცნებს მას, ამიტომ „ჰრქუან მას სახელი შესაფეროჲ. რომელ არს მიდმოგონებაჲ ანუ მიდმოგაგონებაჲ“ (განმ., 5—7).

ამგვარად, ცნების შინაარსის ზუსტად გადმოცემის ყველაზე მარჯვე და სანდო ხერხი იყო სემანტიკური და ფორმალური ტერმინოლოგიური კალკების შექმნა, რისთვისაც საჭირო იყო ქართულში ბერძნულის ადეკვატური სიტყვაწარმოებითი საშუალებების მოძიება და გამოყენება. ასე, ბერძნული წინდებულიანი კომპოზიციის ყალიბის მიხედვით ფართოდ იქნა გამოყენებული და გავრცელებული ქართული ზმნისართებისა და თანდებულების სადერივაციო შესაძლებლობანი და შეიქმნა მეტად პროდუქტიული, მარჯვე ყალიბები **წინა-, გარე-, უკუნ-, ზესთ-, ქუე-, თანა-, მიერი-, შორისი-, -გამოჲ, -მიმართი, -ებრივი** აფიქსოიდებით ნაწარმოები ტერმინებისა, რომლებიც შეესატყვისებიან ბერძნულ **προ-, ἐπι-, ὑπερ-, ὑπο-, ἐν-, προς-**... **წინდებულებიანი** წარმოების ფორმებს: **წინადადება, წინამდებარე, ქუემდებარე, ზესთსრული, ზედშემოსრული, თანმექონე, თანდებული, წინააღმდგომი, წინაალრჩევაჲ, უკუნქცევაჲ, გარეშეუწერელი, გარეშემოსაზღვრებული, მყოფთაგანი, ჟამის-შორისი, სიტყუსმიერი, რაჲსამიმართი, რასაშინაობაჲ, სხეულებრივი** და სხვა.

ასევე, ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებისათვის მეტად მარჯვე და პროდუქტიული აღმოჩნდა ბერძნული **αὐτός** ნაცვალსახელიანი მოდელის ქართული **თჳთ** ნაცვალსახელიანი შესატყვისი მოდელით გადმოცემა: **თჳთძალი, თჳთმიმდრეკი, თჳთმოძრაობითი, თჳთმყოფი, თჳთგუამოვანი** და სხვა. ხოლო, რაც შეეხება სხვადასხვა სახის კომპოზიტებს (შერწყმულ სახელებს, ატრიბუტულმსაზღვრელიან თუ მართულ-მსაზღვრელიან კომპოზიტ-ტერმინებს), ისინი ხომ, ჩვეულებრივ, შესაბამისი ბერძნული კომპოზიტ-ტერმინების კალკებს წარმოადგენენ (**სწორგუერდი, ძგიდემართალი, წრფელწირი, ნამდკლმყოფი, გუარმთავარი, სახეთმთავარი, კეთილშეზავებული, ერთქმნილი, გუარმქმნელი**...)

ცნების აღწერის ელიფსურ ხერხთან ერთად, როდესაც რთული ცნებითი შინაარსის გადმოცემა ერთსიტყვიანი (მარტივი, წარმოქმნილი ან თხზული) ტერმინით ხერხდებოდა, უფრო ხშირად გამოიყენებოდა ორწევრა (იშვიათად სამწევრაც) შესიტყვებები (ტერმინოლოგიური გა-

ბოთქმები). ასეთი შესიტყვებების ორივე წევრი, ჩვეულებრივ, ტერმინია, ერთმანეთთან მსაზღვრელ-საზღვრულის ურთიერთობით დაკავშირებული (**სამარადისო არსება, რომელობანი ასოთანი, უსახო ნივთი, გონიერი გუარი, მართებითი მიდრეკაჲ, უამებრივი განსაზიდი...**). ძირითად ტერმინად (საზღვრულ წევრად) განსაკუთრებით ხშირად ფიგურირებს: **ერთი, მიზეზი, გუარი, ძალი (უცნაური ერთი, უქმნელი ერთი, უთქჳ ერთი, საყოველთაო მიზეზი, უსხეულო მიზეზი, უკუნქცევითი მიზეზი, ბუნებითი ძალი, ცხოვლობითი ძალი, მოზარდობითი ძალი, მგრძნობელობითი ძალი...**).

როგორც უკვე ვთქვით, გელათის მოღვაწეთა მთავარი მიზანი იყო ქართული ტერმინოლოგიის შექმნა მხოლოდ და მხოლოდ ქართული ძირეული და აფიქსური მასალის გამოყენებით, სესხების თავიდან აცილებით. მაგრამ, ძალიან იშვიათად, როდესაც მთარგმნელი ვერ პოულობდა „ბერძულის შედარებულს მართებითს“ შესატყვისს, მას ეს ბერძნული ტერმინი უთარგმნელად გადმოჰქონდა, ქართული დაწერილობით. მაგრამ სესხებამდე საქმე იშვიათად თუ მიდიოდა, რადგანაც მთარგმნელები ხშირად, ბერძნულ ტერმინთან ერთად, ჰენდიადისურ წყვილში ხმარობდნენ ახლად ნაწარმოებ ქართულ ლექსემას, ან ბერძნულ ტერმინს პერიოდულად უნაცვლებდნენ ქართულ შესატყვისს, რათა მკითხველს ენახა, თუ რომელი ბერძნული ტერმინის ბადლად იყო გამოყენებული იგი, მოეხდინა მისი იდენტიფიკაცია, შესჩვეოდა მის ამ მნიშვნელობით გამოყენებას. ასე პარალელურადაა ნახმარი ბერძნული და მისი შესატყვისი ქართული ტერმინები: **სირა — ნათხზი (ან: ნათხზი სირაისაჲ), ემფასი — მაგალითი, პრალმა — საქმე, ონკოსი — ზუავი, ენას — ერთობა, დისკო — მზისთუალი, სკოპოსი — განი, პროტასეო — წინგანსლვა**, ან. იქვე მოცემულია ბერძნული ტერმინის ახსნა ქართული შესატყვისით (რაც მეტად დამახასიათებელია პეტრიწის „განმარტების“ სტილისათვის): **სტჳქეონი, რომელ არს ასონი; სკმაერაზმაჲ, რომელ არს თანგასავალი; მეტავატიკოსად, რომელ არს მიდმოცვალებით...**).

ამგვარად, ძველ ქართველ მოღვაწეებს სესხებას ერჩიათ გამოეყენებინათ თუნდაც იშვიათი, ხმარებიდან გამოსული, არაუზუალური და, ამიტომ, მოჩვენებითად „ხელოვნური“ სიტყვათწარმოებითი საშუალებანი. ასე, მაგ., როდესაც ამას ახალი ცნების გამოხატვის აუცილებლობა მოითხოვდა, იყენებდნენ ძველ ქართულში იშვიათ, მაგრამ მაინც გამოცდილ საშუალებას: არაბრუნებადი სიტყვების გასუბსტანტივებას ბრუნების გზით (**არსი, იძრვისი, იმართებისი, ლირსი ტიპისა**). ასევე შემთხვევაში, ბერძნულში, როგორც ცნობილია, გამოყენებულია ართრონი: τό εἶναι, το ἐστί, τὸ ὄν. ქართული სიტყვაწარმოე-

ბის ამ შესაძლებლობას საჭიროების შეთხვევაში თავისუფლად იყენებდნენ გიორგი მთაწმიდელი და ეფრემ მცირეც[11]. ახალ ცნებათა შესატყვისი ტერმინების საწარმოებლად ქართული სიტყვაწარმოების აღნიშნული იშვიათი ხერხი ფართოდაა გამოყენებული და გააქტიურებული გელათის სკოლის ტერმინოლოგიურ შემოქმედებაში, გასუბსტანტივებული და ნაბრუნებია ზმნისართი, თანდებული, ნაცვალსახელის ფორმა:

მ ა ს ი, თ ჳ თ ი: რომელი ითქუმის იგიდ და მ ა ს ა დ" (განმ. 123,16). მუნ არცა იგი ელექსების და არცა მ ა ს ო ბ ა ჲ, არამედ შემდგომთაგან ვამსახურებთ მ ა ს ს ა და ი გ ი ს ა (განმ. 37,29). თჳთ იგი უთუთოჲ თ ჳ თ ი ერთ ჴ ე ბ ა ს ა (განმ. 170,27); მ უ ნ ა ჲ, ა ქ ა ჲ: მ უ ნ ა ჲ, აღმკელი ყოველი, დაიპყრეს იგავთა და ოგავეს იგავთა, ხოლო ა ქ ა ჲ ესე ნახიბლი დიოჲსი, ხატთა და ხატის ხატთა (განმ. 108,23). ა ქ ა ჲ ს ა ცხორებისაჲ (Q 1152, 252v); ა წ ი: რომელსა არა აქუს გარდასული, ა წ ი და მომავალი (განმ. 108,19). გარდასრულად, ა წ ა დ და მომავალად განყოფილ არს (განმ. 108,8); ო დ ე ს მ ე ჲ — „ქამიერი, დროისმიერი": აქა განპყოფს სამარადისოთა და ო დ ე ს მ ე თ ა (განმ. 11,8). განსაზღერულად ძალად ო დ ე ს მ ე თ ა ძალთა იტყუს (განმ. 143,20); ო დ ე ს ი — „დროის კატეგორია": ოდესობისა ქუეშე აღიყვანებიან ათნი ესე მხოლონი ზოგადობითნი (ამონ. 20,1); მ ე რ მ ე ჲ — „მომავალი": ეითარცა გარდასრულსა და მ ე რ მ ე ს ი, ეკსორია იქმს (განმ. 11,11).

ასეევა ნაწარმოები ზ ე შ თ ა ჲ და დამკეჲ (განმ. 53,4).

ზ ე ნ ა ჲ, ქ უ ე ნ ა ჲ (გვარ-სახეობითი მიმართება): ზ ე ნ ა ჲ და ქ უ ე ნ ა ჲ ორსახე არს. რამეთუ ანუ ჩუენდა მომართ, ანუ ბუნებისა მიმართ (ამონ. 151,3). ყოველნი ზ ე ნ ა ნ ი [შეასმენენ] ქ უ ე ნ ა თ ა (ამონ. 68,10); „მიღმა სამყარო": სხუსა სოფლისა, ესე იგი არს. ზ ე ნ ა ჲ ს ა ქალაქისა მიმართ (A 1108; 99v); მ ყ ი ს ი (v0v) მ ყ ი ს ი, ეითარ უქამოჲ (განმ. 114,21); შ ო რ ი ს ი (განმ. 95,17); გ ა ნ ი გ ა მ ო ჲ (განმ. 71,28); კ ე რ ძ ო ჲ: ყოველითურთი გარეშეიცავს კ ე რ ძ ო ს ა (A 1108,35r), უმსგავსობის კ ე რ ძ ო ჲ (ამონ. 63,11), კ ე რ ძ ო ჲ სულისა (A 52,6)...

ეს თანდებულები, თავის მხრივ, დერივაციული ელემენტების როლშიც გვეელინებიან ტერმინოლოგიური სიტყვაწარმოებისას.

ქართული ენის ამ განსაკუთრებული თვისების შესახებ ილია ჭავჭავაძე წერდა ერთ თავის სტატიაში: „ჩვენს ენაში არ არის არც ერთი სიტყვის ნაწილი, რომ, როგორც სახელი არსებითი, არ იბრუნებოდეს, თუნდ ზმნისზედა აიღეთ, თუნდ თანდებული, თუნდ ზედშესრული, თუნდ ნაცვალსახელი, თუნდა თვითონ ზმნაც, როცა უღვლილების ფორმაშია. მაგალითებრ, „შენის ხვალისა (ზმნიზედა) მე არა ვიცი რა", ან შენმა გუშინმან (ზმნისზედა) ყური გამომიჭედა, „შენის შინათი (თანდებული) თავი მობეზრებული მაქვს", „ერთი მაქვს სჯობს ათას მქონდას" (ზმნა), „შენს მეს (ნაცვალსახელი) მე ვერსად წაუველ". ეს კი-

---

[11] დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, სიტყვაწარმოების საერთო საშუალებანი ეფრემ მცირისა და იოანე პეტრიწის ენაში; თსუ შრომები, B , 6—7 (№№ 151, 152), 1974, გვ. 120.

დევ არაფერი, ჩვენს ენას არ ეხამუშება, არ ეუცხოვება, თუნდ მთელი ფრაზა დააბრუნოს, როგორც ცალკე სიტყვა... მართალია, იშვიათი შეთხვევაა, როცა კაცს სჭირდება ამისთანაებში ესეთი ფორმა მოიშველიოს, მაგრამ, თუ მოიშველია, ჩვენის ენის წინააღმდეგი არ იქნება, მით უფრო, რომ თითონ ამრიგად მიმოხრილი აზრიც გასაგებია. ჩვენ არა გვგონია, რომ ენას წარუმატებლობაში ჩამოერთვას, როცა სხვა სიტყვების ჩაუმატებლად, მარტო ერთის ფლექსიის შემწეობით ამისთანა სახსარს იძლევა აზრის მიმოხრისა და განცხადებისათვის"[12].

ილია ჭავჭავაძის ეს სიტყვები შეიძლება გავავრცელოთ ძველ ქართველ მოღვაწეთა მთელ სიტყვათშემოქმედებაზე. „აზრის მიმოხრისა და განცხადებისათვის" სწორედ ფილოსოფიურ ენას ესაჭიროებოდა ასეთი თავისუფლება ახალ ფილოსოფიურ ცნებათა შესატყვისი ტერმინების საწარმოებლად.

ამგვარად, გელათის სკოლის მოღვაწეთა მიერ შექმნილი ტერმინოლოგიური სისტემა ეყრდნობა ისტორიულად შემუშავებულსა და ჩამოყალიბებულ ქართული სიტყვაწარმოების წესებსა და მოდელებს, ქართულ ძირეულსა და აფიქსურ მასალას; საჭიროების მიხედვით გააქტიურებულია გარკვეული მოდელები და ცალკეული მორფემები, რომლებიც ყოფითს ენაში ნაკლები სიხშირით გამოიყენება (არქაული, დიალექტური, საერთოდ, ნაკლებად პროდუქტიული მოდელები და აფიქსები); გაზრდილია მორფემათა დისტრიბუციის არე და უნარი, იქმნება მათი კომბინაციები ახალ-ახალ ძირებთან.

ენის პოტენციური სიტყვაწარმოებისადმი ასეთი თამამი შემოქმედებითი მიდგომის გარეშე, შეუძლებელია სამეცნიერო ენისა და, შესაბამისად, თვით მეცნიერების განვითარებაც. ასეთი გზით ახლად ნაწარმოებ ტერმინებს თავდაპირველად, შესაძლებელია, უჩვეულობისა და ხელოვნურობის იერიც დაჰკრავდეს (ამას რუსული ლოგიკური ტერმინოლოგიის შესახებ მ. ვლადისლავლევიც აღნიშნავდა), მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი შეეთვისებიან ენის ქსოვილს, ენა გაითავისებს მათ, თუ შესაბამისი მეცნიერება განაგრძობს განვითარებას და შთამომავლობას ექნება სათანადო პირობები იმისათვის, რომ შეძლოს ამ მემკვიდრეობის ათვისება. მთელი XII საუკუნის განმავლობაში საქართველოში ამისათვის საუკეთესო პირობები იყო: გელათის სკოლა აქვთ გავლილი დავითის ისტორიკოსს — მაღალმხატვრული და რიტორიკული მეტყველების ამ დიდოსტატს, შავთელსა და ჩახრუხაძეს, „ისტორიათა და აზმათა" ავტორს, პეტრე გელათელს, არსენ ბულმაისიმისძეს, ნიკოლოზ გულაბერისძეს, იეზეკიელს და, ბოლოს, შოთა რუს-

---

12 ი. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე, აი ისტორია; თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1927, გვ. 95—96.

თაველს, რომლის ლექსიკაცაც აშკარად ატყვია პეტრიწის დიდი გავლენა: მხედველობაში გვაქვს პეტრიწისეული კავშირნი და სირა ტერმინების ნეოპლატონური ფილოსოფიისათვის დამახასიათებელ კონტექსტში ხმარება („დამშლიან ჩემნი კავშირნი, შევრთვივარ სულთა სირასა"). გვარ ტერმინის „იდეის" მნიშვნელობითა და ტომის — გვარეობითი ცნების გაგებით გამოყენება („ვთქვა მიჯნურობა პირველი და ტომი გვართა ზენათა") და იმავე კონტექსტში ბაძვა ტერმინის ნეოპლატონური შინაარსით დატვირთვა („მართ მასვე ბაძვენ"...). ცნობილია, რომ ნეოპლატონიზმის ონტოლოგიურ იერარქიაში ყოველი მომდევნო რიგის ანუ „სირას" მხოლონი (მონადები) თავის წინა, მაღლა მდგომ რიგებს სირათმთავრების, ანუ გვართმთავრების მეშვეობით — ბაძვის, მსგავსების საფუძველზე ეზიარებიან. ასევე, პეტრიწისეულია ფორმითაც და შინაარსითაც ტერმინები: უმყოფო, უზადო, ანაგები, ახსენება, ოცნება, დადასება, შენათხზენი... დიდი გავლენა იგრძნობა, საერთოდ, სიტყვაწარმოების გელათური (პეტრიწული) სკოლის პრინციპების გატარებაში (მესრული, მოსწრაფე, მთმო, მონაცვალე, მოკვნესი, მოახლე, მეუნებლე, მდინი, დამდებარი და სხვ.), რომ აღარაფერი ვთქვათ რუსთაველის ენაში ნასახელარი ზმნების ულევ ნაკადზე, რასაც ფართო გზა გაუხსნა სწორედ პეტრიწმა და მისმა სკოლამ[13].

* * *

ამგვარად, გელათის სალიტერატურო სკოლაში მოცემულია ცდა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის სისტემატური დამუშავებისა. მაგრამ ცნობილია, რომ ამ სკოლის მოღვაწეთა მიერ შექმნილი და დამუშავებული ტერმინებიდან ბევრი არ შემორჩენია ქართული ენის ლექსიკურ ფონდს, თუმცა ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ისინი ვერ შეეთვისნენ ქართული ენის ბუნებას (როგორც ამას ხშირად ამბობენ ხოლმე) მათი ხელოვნურობის გამო.

ჯერ ერთი, ნებისმიერ ენაში ყოველ ახლად შექმნილ ტერმინს თავდაპირველად „უცნაურობისა" და „ხელოვნურობის" იერი დაჰკრავს[14], რადგანაც „ფილოსოფიური ენა — გარკვეული აზრით, კონ-

---

[13] დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975, გვ. 132—140.

[14] ამ მხრივ საინტერესოა რუსი ლოგიკოსის, ე. ელადინსკაიას შენიშვნა: «Часто случается, что слова своего языка, которыми заменены иностранные термины, сначала кажутся странными, но потом теряют странность и становятся общеупотребительными. Слово «междометие», в начале, может быть, казалось странным для русского уха, но сейчас употребляем его.

სტრუირებული ენაა. ხელოვნურობა (ანუ მხოლოდ ბუნებრივად განვითარებადი, სალაპარაკო ენისაგან განსხვავებულობა) აქ გარდაუვალია არა მარტო სინტაქსურ კონსტრუქციებში და ამა თუ იმ მორფოლოგიურ საშუალებათა განზოგადოებაში..., არამედ, პირველ ყოველსა, ლექსიკაში"[15]. თავდაპირველად, ალბათ, „ხელოვნური" იყო პლატონის, არისტოტელეს, პროკლეს, ფსევდოდიონისე არეოპაგელის მიერ შექმნილი ტერმინები ბერძნულში), **მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი შეეთვისებიან ენის ჭსოვილს, თუ შესაბამისი მეცნიერება განაგრძობს განვითარებას და შთამომავლობას ექნება სათანადო პირობები ამ მეცნიერების მემკვიდრეობის ასათვისებლად.**

შენიშვნის მომენტი გადამწყვეტი თუ არა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ტერმინის დამკვიდრებისათვის. ამას გულისხმობდა სწორედ ილია ჭავჭავაძე, როდესაც წერდა: „რაც უნდა კარგად მოიგონო სიტყვა, თუნდა წმინდა ქართული იყოს, რაკი იმ სიტყვას ახალ მნიშვნელობას მისცემ, ისიც გაუგებარი იქნებოდა ჯერხანად, როგორც უცხო ენის სიტყვა... რასაკვირველია, ამ სიტყვის აზრს შეეჩვევით თავის დროზედ. მაგრამ სანამ შეეჩვევით, იმ დრომდე ეგენი ძნელნი იქნებიან და ძნელად გასაგონი"[16].

მეორეც: მართალია, სპეციალურ ტერმინთა შექმნა-განვითარება საერთოდ მჭიდროდაა დაკავშირებული სალიტერატურო ენის ლექსიკის განვითარებასა და გამდიდრებასთან, მაგრამ, როცა ვლაპარაკობთ სპეციალური ლექსიკის სალიტერატურო ენასთან მიმართებაზე, არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ მისი გარკვეული (და, შეიძლება ითქვას, დიდი) ნაწილი ყოველთვის მხოლოდ ამა თუ იმ დარგის სპეციალისტების მეტყველებაში ცოცხლობს. ეს იმას ნიშნავს, რომ, მართალია, სპეციალური ტერმინოლოგია სალიტერატურო ენის საერთო ლექსიკურ ფონდს ეკუთვნის, მაგრამ მისი მხოლოდ გარკვეული ნაწილი შეიძლება იქცეს ყოფითს, სალაპარაკო ენაში საზოგადოდ სახმარად და გამოსაყენებლად (ეს, სხვათა შორის, რამდენადმე ამ მეცნიერების განვითარების დონესა და პოპულარობაზედაც არის დამოკიდებული). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ფილოსოფიური ცნება-ტერმინი შეიძლება მხოლოდ ერთი გარკვეული ფილოსოფიური სკოლის, ან მხოლოდ ერთი ფილოსოფოსის ლექსიკონის კუთვნილებაც კი იყოს და, ამდენად, არ იყოს ასახული სალიტერატურო ენის ლექსიკურ ფონდში.

воисе не думая о его странности» (М. Р. Владиславлев, Логика, СПб., 1881).

15 ნ. ნათაძე, ჰეგელი, გონის ფილოსოფია, თბ., 1984, გვ. 361.

16 ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. V, თბ., 1953, გვ. 471.

სპეციალური ტერმინოლოგია სამეცნიერო ენის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. სამეცნიერო ენა კი ისტორიული ცნებაა. იგი, კერძოდ კი, მისი ლექსიკა, თავისი განვითარების მანძილზე საგრძნობ ცვლილებებს განიცდის როგორც ფორმის (ტერმინთა წარმოების პრინციპების, სხვადასხვა ენებთან კონტაქტების, სესხება-კალკირების მიხედვით), ისე მნიშვნელობათა გადაწევა-გადატანისა თუ გაფართოება-დავიწროების თვალსაზრისით. ამ ცვლილებებს კი, გარდა იმ პროცესებისა, რომლებსაც საერთოდ ენის განვითარების შინაგანი კანონები განსაზღვრავენ, ხშირად ექსტრალინგვისტური ფაქტორებიც განაპირობებენ, როგორიცაა, მაგ., თვით ამ მეცნიერების განვითარების დონე, პირობები და თავისებურებანი ერის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა უცხოენობრივ სამყაროსთან კონტაქტებისა და. შესაბამისად, გავლენების მონაცვლეობა, დაბოლოს, თვით ერის აქტიურობა თუ ინერტულობა (ზოგჯერ კი მცონარობა და ინდიფერენტიზმიც კი) და მისი სპეციალისტების დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი: ის მეთოდები და პრინციპები, რომლებითაც ისინი ხელმძღვანელობენ საკუთარი დარგის ტერმინოლოგიის შემუშავების პროცესში.

ეს გარემოებებია უთუოდ მხედველობაში მისაღები, როდესაც ვეხებით XI—XII საუკუნეთა მოღვაწეების — ეფრემ მცირის, არსენ იყალთოელის, იოანე პეტრიწის, იოანე ტარიჟისძისა და სხვათა წვლილს ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების საქმეში და ამ პერიოდში შექმნილი სპეციალური ლექსიკის ბედის საკითხს, იმას, თუ რატომ არ შემორჩა მისი უდიდესი ნაწილი საერთო სახალხო ენის ლექსიკურ ფონდს. კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს შემდეგი გარეენობრივი ფაქტორები: XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, მონღოლების შემოსევიდან მოყოლებული. ქართული სახელმწიფოებრიობის შერყევის შედეგად, ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების შეფერხებასთან ერთად, გაწყდა ფილოსოფიური აზრის განვითარების ხაზიც. XVIII საუკუნეში, როდესაც კვლავ გაღვიძა მეცნიერულმა აზრმა, ფილოსოფიისადმი ინტერესი განისაზღვრა ბიზანტიური ხანის მეცნიერული ელიტის ფილოსოფიის — ნეოპლატონიზმის (რომელიც XI—XII სს-თა ქართული რელიგიურ-ფილოსოფიური აზრის ქვაკუთხედს წარმოადგენდა, თუმცა XVIII საუკუნეში რეალური საფუძველი მას უკვე გამოცლილი ჰქონდა) ხელოვნური და ფორმალური გადმონერგვითა და ფორმალურივე მიბაძვით იმ მეცნიერული ენისა, რომლითაც იყო შესრულებული ეს ფილოსოფიური თხზულებანი XI—XII საუკუნეებში.

ამ ენის ფორმალური სტილიზაციისა და ხელოვნური ფსევდოარქაიზაციის შედეგი იყო ის, რომ ანტონ კათალიკოსისა და მისი სკოლის მიერ შექმნილი თავისთავად მნიშვნელოვანი და დიდძალი სამეცნიერო

ლიტერატურა პრაქტიკულად უსარგებლო დარჩა შემდგომი თაობებისათვის[17], თუმცა ამას ვერ ვიტყვით გრამატიკულ მეცნიერებაზე, რომლის მაღალმა დონემ, პრაქტიკული გამოყენების საჭიროებამ და, ამდენად, მჭიდრო კონტაქტმა საერთო-სახალხო ენასთან, ანტონის ენის სირთულისა და ხელოვნურობის მიუხედავად, გზა გაუხსნა და დანერგა სწორედ XI—XII საუკუნეების ელინოფილური მიმართულების მოღვაწეთა ნაშრომებიდან შეთვისებული სპეციალური ტერმინები, რომლებსაც დღესაც წარმატებით იყენებენ არა მხოლოდ გრამატიკულ მეცნიერებაში, არამედ სალაპარაკო ენაშიც (ასეთებია, მაგ., ბერძნულიდან კალკირებული ძველი ქართული ლოგიკური ტერმინები: **წინადადება, ქუემდებარე, შემასმენელი, წართქუმითი, უკუთქმითი, თანწყობა, ქუეწყობა...**) — მაშინ, *როდესაც მსგავსი წარმოების ფილოსოფიური* და ლოგიკური ტერმინები არ დამკვიდრებულა შესაბამისი მეცნიერებების განუვითარებლობისა და მემკვიდრეობითობის ხაზის გაწყვეტის გამო. ამა თუ იმ ტერმინის დამკვიდრებას რომ წარმოების „უჩვეულობა“ თუ „ხელოვნურობა“ არ უშლის ხელს, ამაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ანტონის სკოლაში შექმნილი აშკარად ხელოვნური წარმოების ტერმინი **არსებობა**, რომლის მსგავსი მოდელიც (**საწყისი+ობა: კეთებ+ობა, შენებ+ობა**) აკრძალულია, შევიდა არა მარტო ფილოსოფიურ ენაში, არამედ ყოველდღიურ, ყოფითს მეტყველებაშიც და მყარად დამკვიდრდა საერთო-სახალხო ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში: ეს ტერმინი „существование“-ს მნიშვნელობით უკვე შეტანილია დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებში. ამ ცნების შესატყვისი ტერმინი საძიებელი გახდა მას შემდეგ, რაც **არსებამ** მიიღო ჯერ „მყოფის“, „არსის“ (сущее, существо) და შემდგომ „ბუნების“ (сущность) გაგება. ხოლო თავის დროზე მის გამოსახატავად იოანე პეტრიწის მიერ შექმნილი ტერმინი **ობა**, მართალია, გამოიყენებოდა XVIII ს-ის ფილოსოფიურ მწერლობაში (კალმას., გვ. 69,

---

17 XVIII საუკუნის ქართული ფილოსოფიური მწერლობა კომპილაციური ხასიათისაა და ძირითადად სომხურ თარგმანებს ეყრდნობა (ასე, მაგ., პროკლეს „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ იოანე ორბელიანის ჯგუფმა ხელმეორედ თარგმნა უკვე სომხური თარგმანიდან, რომელიც, თავის მხრივ, ქართულიდან იყო გაკეთებული 1248 წელს). თუმცაღა ძველ ქართულ თარგმანებსაც მიჰყვება და იყენებს, განსაკუთრებით — სიტყვაწარმოების სფეროში, მაგრამ ამ მხრივაც ისინი (მაგ., დავით ბაგრატიონის „კატიღორია შემოკლებული“ და იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ფილოსოფიური ნაწილი, რომლებიც დიდად არიან დაკავებული ამონიოსის შრომათა და იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ძველი ქართული თარგმანებისაგან) ვერ უსწორდებიან თავიანთ წინამორბედებს და ხშირად ამახინჯებენ კიდეკაც მაინს შესანიშნავი გამომხატველობითი ძალის მქონე ტერმინებს.

76, 102 და შმდ.), მაგრამ აქედან ვერ შეეიდა საერთო-სახალხო ენის ლექსიკაში ზემოთ აღნიშნული მიზეზების გამო.

მეტიც შეიძლება ითქვას: ხელოვნურად შექმნილი ბგერათა კომპლექსიც კი (თუ ის არ ეწინააღმდეგება მოცემული ენისათვის დამახასიათებელ ფონემატურ სტრუქტურას) შეიძლება დამკვიდრდეს ენის ლექსიკურ ფონდში, თუკი სათანადო ცნების ადგილი ცარიელია და თუ ამას ხელი არ შეუშალა ნასესხებმა ლექსემამ, როგორც ეს მოხდა **რონდა**-ს შემთხვევაში (მის დამკვიდრებას ხელი შეუშალა რუსულის გზით ნასესხებმა **ვაგონმა**). ეს კი უკვე მიმღებ ენაზე ზეგავლენის მქონე ენის „ექსპანსიის" ხარისხზეა დამოკიდებული.

მეორე ფაქტორი, რამაც ხელი შეუშალა ამ ფილოსოფიური ტერმინების დამკვიდრებას საერთო-სახალხო ენის ფონდში, ის არის, რომ გაწყდა კონტაქტი ბერძნულ ენობრივ სამყაროსთან, რაც ძირითადად განაპირობებდა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის სისტემის სახით ჩამოყალიბებასა და განვითარებას იმ ხანაში.

XI—XII საუკუნის მოღვაწენი დიდ შემოქმედებითს ძალასა და სითამამეს იჩენდნენ, რათა გამოეევლინებინათ ქართული სიტყვაწარმოების შესაძლებლობანი, ფართო გაქანება მიეცათ მათთვის და მხოლოდ და მხოლოდ ქართული მასალით, ქართული ძირებითა და აფიქსებით — და არა მექანიკური სესხების გზით — შეექმნათ საკუთარი სამეცნიერო ტერმინოლოგია და, ამგვარად, ქართული ენა თავისი გამომსახველობითი ძალით გაეტოლებინათ „გონიერთა ხედვათა მომმარჯვ" ბერძნული ენისათვის, რომლის „ენამზეობა" და „ენადღეობა" მისაბაძი იყო არა მარტო ქართველი მთარგმნელებისათვის. არამედ რომაელებისათვისაც, რასაც ჰორაციუსის ტრაქტატის „პოეტური ხელოვნებისათვის" სიტყვებიც მოწმობს: „ახლადშექმნილი სიტყვა მეტ ნდობას მოიპოვებს, თუ ბერძნულ წყაროს ეყრდნობა და სიფრთხილითაა იქიდან გადმოღებული... თუ ამ საქმეში მცირეოდენი წვლილის გაღება მეც ძალმიძს, ამისათვის რატომ უნდა შემრისხონ? კატონისა და ენეუსის ენა ახალ სიტყვათა შემოტანით განა არ ამდიდრებდა ჩვენს მშობლიურ მეტყველებას?"[18].

ასეთი კონტაქტებისა და გავლენების გარეშე, თავის თავში ჩაკეტვით სამეცნიერო ენა ვერ განვითარდება. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და დღესაც ბერძნული ენა ასაზრდოებდა და ასაზრდოებს უშუალოდ თუ შუალობითი გზით ევროპული ენების სპეციალურ ლექსიკას. ადრე მისგან იყო დავალებული არაბული ფილოსოფიური ენაც. საქართველო ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც ევროპაზე უფრო

---

18 ჰ ო რ ა ც ი უ ს ი. პოეტური ხელოვნებისათვის, ლათინურიდან თარგმნა ი. ო რ უ შ ა ძ ე მ, თბ., 1981, გვ. 17.

ადრე უშუალო და მჭიდრო პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული კონტაქტები ჰქონდა ისეთ მაღალგანვითარებულ კულტურულ სამყაროსთან, როგორიც იმ ეპოქაში ბიზანტია იყო[19]. ამ ურთიერთობაზე გადიოდა ბუნებრივი გზა ქართული მეცნიერების განვითარებისა და სრულიად კანონზომიერი იყო, რომ ამ დროს ქართველი მოღვაწენი ეროვნული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბების გზაზე მიესაბაძ მაგალითად სწორედ საუკუნეების განმავლობაში ფილოსოფოსთა არაერთი თაობის მიერ დამუშავებულ ბერძნულ ფილოსოფიურ ენას თვლიდნენ. ამდენად, მოულოდნელი არ არის, რომ ახალ ცნებათა შესაბამისი ტერმინების საწარმოებლად ყველაზე პროდუქტიული გზა ბერძნულ ტერმინთა კალკირება იყო, — გზა, რომელსაც დაადგა ლათინურენოვანი მეცნიერული სამყარო და აქედან — მთელი თანამედროვე ევროპა.

მაგრამ, როგორც ითქვა, ეს უშუალო კავშირი ბიზანტიასთან, XIII საუკუნიდან მოყოლებული, თანდათან სუსტდება და ბოლოს, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ (1453 წ.), სრულიად წყდება და იცვლება სპარსეთ-თურქეთთან პოლიტიკურ-კულტურული კონტაქტებითა და, შესაბამისად, გავლენებითაც. ხოლო კონტაქტები დასავლეთ-ევროპულ მეცნიერულ სამყაროსთან ცნობილი მიზეზების გამო დიდხანს ვერ მოხერხდა: საბა-სულხან ორბელიანის პოლიტიკური მისიით მოგზაურობას ევროპაში არც ამ თვალსაზრისით გამოუღია ნაყოფი. მხოლოდ XVIII საუკუნის დამლევიდან, ისევ ანტონისა და მისი სკოლის მოღვაწეთა ცდებით, რუსეთის გზის გამოვლით გახდა შესაძლებელი ევროპული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა და თარგმნა (მაგ., ბაუმაისტერის ლოგიკა, მისივე მეტაფიზიკა, ვოლფიუსის ფიზიკა და სხვ.). ამგვარად, მთელი გვიანი შუა საუკუნეების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გერმანული ფილოსოფიური აზრის აყვავების ხანაში, როდესაც სპეციალური ფილოსოფიური ენა და საერთო-სახალხო ენა მჭიდრო კონტაქტის შედეგად ურთიერთგავლენით ვითარდებოდა და მდიდრდებოდა უდიდეს გერმანელ ფილოსოფოსთა მიერ შექმნილი ლექსიკით, ქართულმა ფილოსოფიურმა აზრმა და, შესაბამისად, ენამაც კონსერვაცია განიცადა და ამიტომ ვერ მიიღო სათანადო მონაწილეობა საერთო-სახალხო ენის ლექსიკის განვითარებაში.

---

19 როგორც ცნობილია, თითქმის ყველა ის ავტორი, რომელთა ფილოსოფიურ-ლოგიკური ხასიათის ტრაქტატებსა თუ კომპენდიუმებს მთელი შუა საუკუნეების თეოლოგია-სქოლასტიკა ემყარებოდა, ქართულად ერთი-ორი საუკუნით ადრე მაინც ითარგმნა, ვიდრე ლათინურ ენაზე.

მიუყენება, ჩამორჩენას თავს ვერ დააღწევს მანამდის, სანამ სალანგო ენებები არ ეკუთვნებიდნენ და ამ ენებების აღმნიშვნელი ტერმინები არ იქნება შემოღებული" (არნ.ჩიქობავა, 1968, გვ.265). მართალია, მას შემდეგ, რაც ეს თქმულა და დაბეჭდილა, აღწერითი გრამატიკის მეთოდები ამერიკელ თუ ევროპელ ლინგვისტებთან ნაშრომებში განვითარდა და დაიხვეწა, მაგრამ, სამწუხაროდ, არნ.ჩიქობავას მიერ შემუშავებული სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის ენებითი ანალიზი არა თუ სხვა ენათა სინტაქსური მექანიზმის აღწერისათვის არ გამოიყენებულა, არამედ თვით ქართული ენის სინტაქსის სტრუქტურული ანალიზის ფრისაც მხოლოდ ქართული ენის გრამატიკის ჩვეულებრივ საუნივერსიტეტო კურსში იყო ჩართული დარეული, უფრო ხშირად – სტატიკურად, ფორმალურად: სინტაგმის წევრებს შორის სუბორდინაციისა-კოორდინაციის და კოორდინაციის წევრების – ძირითადი, ფიდი და მეორე კოორდინაციების ენებთან გარკვეული შეუთავსებლობა.

ქვემოთ ჩვენ შეეცდებით წარმოვაჩინოთ ქართული მესიტყვეების სტრუქტურა-მექანიზმის სრული აღწერა სინტაქსურ სქემებში არნოლდ ჩიქობავას მიერ მეთოდოლოგიური ინვარიანტიზმის საფუძველზე შემუშავებული ენებებისა და ტერმინების საშუალებით ქართული ზმნის ყველა სახეობისათვის ისე, რომ თავიდან ავიცილოთ ტრადიციულ აღწერიან გრამატიკებში მოცემული მორფოლოგიურ-ლოგიკური ენება-ტერმინების – სუბიექტ-ობიექტის გამოყენება. უფრო ზუსტად – გამოვიყენოთ ისინი მხოლოდ ფუნქციური დანიშნულების ინდექსებად!

<u>I სახეობა: აბსოლუტური ინტრანზიტივების ზმნების შემადგენელი მესიტყვეა.</u>

ეამოიყოფა ორი ქვესახეობა: I. აბსოლუტური ინტრანზიტივების პასიანები და მეორეპასიანები (იმალება, იხატება, თეთრდება, თბება, ჩის, ფეას...), რომელთა მორფოლოგიური სუბიექტი სინტაქსური თვალსაზრისით ერთს ოლენ მშარავეელია და ... ზმნისაგან (ე.ი. ზმნასა (V) და სახელს (N) შორის სუბორდინაციაა: ფინიტური ზმნაა, დეპენდენტი – სახელობითში (Nnom) დასმული სახელია), Nnom → V

ამ ... ქვემოთ სახელი მორფოლოგიური სუბიექტია MS (იგივე რეალური სუბიექტი RS), სინტაქსურად დეპენდენტია.

ეიგრამ აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ისტორიულად (დიაქრონიული თვალსაზრისით) პრეფიქსიანი ენებიდან Nnom მართალია ზმნისაგან (ე.ი. კოორდინაციის წევრია), რაფერიც იყო შესაბამისი მიქმედებითი გვარის ზმნის ... სახელია (ფუნქციურად პირდაპირი ობიექტი), კონვერსიის შედეგად, ენებითი გვარის გარდებში ფორმალურად სახელად (ფუნქციურად MSnom) ... ამეცალად, ისტორიულ ეიმართებას თუ ეაეიფეალისწინებთ და გარდაქმნილი ენებისს შესაბამისი გარდამავალი მიქმედებითი გვარის ზმნის ... -ის პრეფიქსაციაზე, ზემოთ წარმოდგენილი სქემა საერთო-ერთი მართვის (კოორდინაციის) სახეს მიიღებს Nnom ⟸⟹ (შესაბამისად – რეალური ენებითის შემთხვევაშიც: Nnom ⟹ V ⟸ Ndat).

2. აბსოლუტური აგებულების მეფოიაქტიები (მეფობს, ტირის, გორავს, უახლოვდებს): $N_{nom.\,\text{ზმ}} \rightleftarrows V$, საიდან სახელი (ფუნქციურად $MS = RS$) არის კოორდინაციის წევრი (დიდი კოორდინაცია; ამ ტიპის ზმნათა სემანტიკიდან გამომდინარე, S_3 -ე თითქმის ყოველთვის პერსონალური პირია, და ამჯერად – დიდი კოორდინატი).

II სახეობა: <u>რელატიურ-ბარდაუვალი ზმნების შემცველი შესიტყვება.</u> აქ გამოიყოფა 4 ქვეჯგუფი:

1. ორპირიანი (იმავეროულად ორყალენტიანი) ენებითები (ემაღლება, ეხება, უყოლება...): $N_{nom} \rightarrow V \rightleftarrows N_{dat.}$, საიდან სახელი ნომინატივში – ფუნქციურად ($MS_{nom} = RS_{nom}$) ფლეს სინტაქსურად დეპენდენტია (ისტორიულად – ესსაბამისი აქტიის პრენდაუვალებადი ობიექტი $MO_{dat.nom}$), ხოლო დატიეში დასმული სახელი კოორდინაციის წევრია: I პ. – დიდი, II პ. – პირობითად დიდი, III პ. – მეორე კოორდინაცია.

2. დაბალური ინვერსიის I ქვეჯგუფის რელატიური ენებითები (ეკეთება, ეკიდება; ე.წ. „მიზნეთისა" და „შესაძლებლობის" შინაარსის ზოგი ენებითი: ეძღვება, ეშვარება, ეზიარება...) და სტაბილური ინვერსიის რელატიური მეფოიპასიეები (ეცვამს, ასცვლ, ეკერს...): $N_{nom.} \rightarrow V \rightleftarrows N_{dat}$, საიდან სახელი ნომინატივში ($MS_{nom.} = RS$) არის დეპენდენტი, ხოლო სახელი დატიეში ($MO_{dat} = RS$) – დიდი კოორდინატი.

3. ნაკლული კონსტრუქციის მეფოიაქტიეები, რომელთაც აკლიათ $MO_{dat\,nom}$ (შეხვდა, უყურა, ეუბნა, ეშინია, ეკითხა, ეკალია – ეან მას). $N_{nom.\,\text{ზმ}} \rightarrow V \rightleftarrows N_{dat.}$, საიდან ორივე წარმოდგენილ სახელთან კოორდინაციაა: $MS_{nom\,\text{ზმ}} = RS$ და სინტაქსურად დიდი კოორდინაციაა S_1 S_2 S_3; სინტაქსურად დიდი კოორდინატია O_1; პირობითად დიდია O_2, მეორე კოორდინაციაა O_3.

4. ეალაე უნდა გამოიყოს რელატიური აგებულების (ორი პირის ნიშნის შემცველი, მაგრამ ერთვალენტიანი „შედეგმები") ძირითადად უგვარო სტატიკური ზმნები, სტაბილურ-ინვერსიული, როგორიცაა მეხელა, მეკია, მტკივა, მაკახუახებს, მაკეთინებს, მამოქსარებს...), ასევე, ე.წ. „გუნების" ენებითები (შემფერება, მეტირება, ტიპისა), რომელთაც აკლიათ $N_{nom.}$ (ფუნქციურად $MS_{nom.}$), ხოლო სახელი დატიეში $N_{dat.}$ – ფუნქციურად $MO_{dat} = RS$ სინტაქსურად დიდი კოორდინატია: $V \rightleftarrows N_{dat.}$

III სახეობის ქმნის <u>რელატიურ (ორვალენტიანი)-კარდამაგალ ზმნიანი შესიტყვება,</u> რომელშიც გამოიყოფა 2 ქვეჯგუფი:

1. ნეიტრალური ვერსიის ზმნის შემცველი შესიტყვება (აკეთებს, აშენებს, ათბობს, ხატავს, წერს... ტიპისა): $N_{nom.\,\text{ზმ}} \rightarrow V \rightleftarrows N_{dat.\,nom}$ საიდან: $MS_{nom.\,\text{ზმ}} = RS$ და სინტაქსურად დიდი კოორდინატია, ხოლო $O\,MO_{dat.nom.} = RO$. სინტაქსურად . დიდი კოორდინაციაა O_1; . პირობითად დიდია O_2; მეორე კოორდინატია O_3.

2. სასუბიექტო ევრსიის ორვალენტიანი ზმნის შემკეთელი შესიტყვება (იკეთებს, იშენებს, იუვამს...), რომელსაც პირდაპირი ობიექტის მიხედვით ველის უნარი არა აქვს (ანუ პირის გამიხატვის თვალსაზრისით ერთპირიანია): $N_{\text{nom.erg.}} \rightleftarrows V \longrightarrow N_{\text{dat.nom.}}$

ამ ქვეჯგუფში გამონაკლისს წარმოადგენენ ზმნები, რომელთა პირდაპირი (ბრუნვაუფლებული) ობიექტის მიხედვით ველის უნარი აქვთ (მიმიკიდა, მიმიშორა, დამიახოვა, მომიტაკა, მომიყიდა, დამიიზღვა, ამიკიდო... მან მე). ისინი წინა ქვეჯგუფის სინტაქსურ მექანიზმს ექვემდებარებიან, საიდან ორივე სახელთან საერთოდ მარცხენა.

IV სახეობა: რელატიურ-სამვალენტიანი გარდამავალი ზმნის შემკეთელი შესიტყვებაა, რომელშიც სინტაქსური მექანიზმის თვალსაზრისით 2 ქვეჯგუფი გამოიყოფა:

1. სამვალენტიანი ზმნების შემკეთელი საობიექტო ევრსიისა და შეაღლებული კონტაქტის (კაუზატიური) ნაკრები, რომელთა ერთდროულად მხოლოდ ორი პირის მიხედვით ველის უნარი აქვთ და შესაბამისად, ორი პირის გამიხატვის შესაძლებლობა: $N_{\text{nom.erg.}} \rightleftarrows V \rightleftarrows N_{\text{dat.}}$, $N_{\text{dat.nom.}}$, საიდან ფუნქციით $MS_{\text{nom erg.}} = RS$, რომელიც სინტაქსურად დიდი კოორდინაციაა; $N_{\text{dat.}}$ ფუნქციურად $MO_{\text{dat.}} = RO$ სინტაქსურად O_1 დიდი კოორდინაციაა, O_2 პირობითად დიდია, O_3 – მეორე კოორდინაციაა. რაც შეეხება $N_{\text{dat.nom.}}$-ს ფუნქციას პირდ.ობიექტს, იგი სინტაქსურად დეპენდენტია, იდენ მარცხენა.

2. მეორე ქვეჯგუფში შედის სამვალენტიანი ზმნები, რომელთაც ერთდროულად მხოლოდ ორი პირის მიხედვით (ამჯერად MS და $MO_{\text{dir.}}$) ველის უნარი აქვთ და, შესაბამისად, მათი გამიხატვის შესაძლებლობაც. ოღონდ ამჯერად $MO_{\text{dat.nom.}}$ მიხედვით (მიმაღერსმა, მიმასრესა, მიმაბარა, მიმაწერა, მიმათვალა, დამაწია, შემაღოა, მიმეა, მიმეკარა, მიმყიდა, მიმაშუბავსა... მან მომას): $N_{\text{nom.erg}} \rightleftarrows V \rightleftarrows N_{\text{dat.}}$, $N_{\text{dat.}}$, საიდან $N_{\text{nom.erg}}$ ფუნქციით $MS_{\text{nom.erg.}} = RS$ სინტაქსურად დიდი კოორდინაციაა; $N_{\text{dat.}} = MO_{\text{ind.}}$ ფუნქციით ინ.ობ.) – დეპენდენტია, ხოლო $N_{\text{dat.nom.}} = MO_{\text{dir.}}$ კოორდინაციის წევრია: O_1 – დიდი კოორდინაციაა, O_2 – პირობითად დიდია, O_3 – მეორე კოორდინაციაა.

ამგვარად, სამვალენტიან ზმნებთან კოორდინაციაა ერთდროულად შესაძლებელი მხოლოდ ორ წევრთან: ერთ შემთხვევაში $N_{\text{nom.erg}}(MS)$ და $N_{\text{dat.}}(MO_{\text{ind}})$ –თან, მეორე შემთხვევაში კი $N_{\text{nom.erg.}}(MS)$ და $N_{\text{dat.nom.}}(MO_{\text{dir.}})$ –თან.

სინტაქსური ურთიერთობის სქემებში გამიხატვამ თვალნათლივ აჩვენა, რომ ქართულში პირველადი სუბიექტ-ობიექტი ყოველთვის არ ეძლევა ერთ სუბიექტ-ობიექტს, რაც ქართული ზმნისა და სახელის სინტაქსური ურთიერთ-

ბის მექანიზმის ისეთრიული ელემენტების შეფასებია. ეს შესაძლებლობას იძლევა ქართული ზმნის პირთა გამოხატვის თანამედროვე სისტემის აღწერაში შეიტანოთ ელემენტები. კერძოდ, სუბიექტურ პირთა გამოხატვის სისტემაში „ვინის" რიგის ნიშნების გვერდით დადგება „მანის" რიგის ნიშნები, ობიექტურ სუბიექტურ პირთა მორფოლოგიურად შეპირობებული ცვლილებები და პირიქით, ობიექტურ პირთა გამოხატვის სისტემაში „მანის" რიგის ნიშანთა გვერდით – „ვინის" რიგის ნიშნები.

დამოწმებული ლიტერატურა

არნ.ჩიქობავა, 1968 – არნ.ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968.

დიმანა მელიქიშვილი

ბელათის სალიტერატურო სკოლის ენობრივი სტილის ერთიანობისა და ინდივიდუალურობის საკითხისათვის

1. ბელათის სალიტერატურო სკოლის ენობრივი სტილის ერთიანობის ზოგად საფუძველს ქმნის ენარგეანის პრინციპი, რომელიც წარმმართველია ამ სკოლის მოღვაწეთათვის (მისი არსებობის მთელს განძილზე XII-XIII სს); აქედან გამომდინარე, ის, რაც საერ-

თოა ამ სკოლის წარმომადგენელთა ენობრივი სტილისათვის, ძირითადად განსაზღვრულია ბერძნული ლექსის ენობრივ-სტილური თავისებურებებით. ბერძნული ენის შეგნებული გაელენის შედეგია ამ სკოლის თარგმანებისათვის დამახასიათებელი სიმრავლე ბერძნულისათვის ბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციებისა, როგორიცაა: მიმღეობური, უზმნო, ინფინიტური და პასიური კონსტრუქციები, ბერძნული დერივაციული მოდელების ზუსტი კალკები და სხვა კერძოენობრივი ფაქტები.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადეკვატური თარგმანის პრინციპებიდან გამომდინარე, ბერძენ ავტორთა ინდივიდუალური თუ ენობრივი სტილებრივი განსხვავებანი შესაბამისად აისახება თარგმანში, რაც ხშირად ერთი და იმავე მთარგმნელის სხვადასხვა თარგმანის ინდივიდუალურ-სტილური განსხვავების ფაქტორად იქცევა.

2. გარდა იმ საერთო სტილური მახასიათებლებისა, რომლებიც ბერძნული ენიდან მომდინარეობენ, გამოიყოფა კერძოენობრივი ხასიათის საერთო ნიშნები, მორფოლოგიურ-სინტაქსური ინოვაციები, დიალექტური მოკლენებისა და ფორმების, გარკვეული სიტყვაწარმოების მოდელების უგრირებული გამოყენება, მიმღეობათა წარმოების მოკლე მოდელების დამკვიდრება ტერმინთა წარმოებაში, დერივაციული ინოვაციების შოზღვაევა, არქაული და დიალექტური მოდელების ფართოდ გამოყენება, ნასახელარ ზმნათა შეუზღუდავი წარმოება და სხვ.

3. საერთოსთან ერთად გამოკვეთილია გელათელ მოღვაწეთა ენობრივი სტილის ინდივიდუალიზაციისაკენ ამკარა მიდრეკილება, რაც ელინდება ა) ლიტერატურული თარგმანის ფარგლებში ბერძნულ ტექსტთან ადეკვატურობის პრინციპის დაცვასთან ერთად ზომიერების დაცვისა თუ პირიქით – გადაჭარბებაში; ბ) ძირითადად ცვლა-ტექმინთა ქართული მესატყვისეების დაძებნა-წარმოებისას განსხვავებულ პოზიციაში (კალკირების პრინციპი, აზრობრივი ადეკვატი, აღწერითი წარმოება და სხვა). თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს განსხვავებანი ნიკეერ ბერძენ ავტორის ტერმინოლოგიური სისტემის თავისებურებებს ასახავს და, ამდენად, შეიძლება დადასტურდეს ერთი და იმავე მთარგმნელის სხვადასხვა დროისა თუ სხვადასხვა ავტორის თარგმანებში. ეს განსხვავებანი იძლევა ს-ფუძეების გელათის სკოლაში გამოიყოს ორი შტო: არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწისა. ამ ორ მწვერვალს შორის განფენილია გელათის სკოლის მთარგმნელთა უმდიდრესი ნაშოლვაწარი.

4. ცალკე უნდა გაანიხილოს ოა განსაკუთრებულ კვლევას მოითხოვს იოანე პეტრიწის „განმარტების“ ე. წ. ბოლოსიტყვაობაში ჩართული წმინდა წერილის თარგმანის პრინციპებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პასაჟი. სადაც წმინდა წერილის ორი ადგილის არგუმენტირებული შესწორებანიც (რეკენზიები) მიღებულია თეოფილაქტე ბულგარელის და მაქსიმე აღმსარებლის შრომათა მთარგმნელების მიერ. კვლევამ, შესაძლებელია, მნიშვნელოვანი კორექტივი შეიტანოს „ბოლოსიტყვაობის“ ამ მონაკვეთის ავტორობის საკითხის გადაწყვეტაში.

დამანა მელიქიშვილი

გელათის სალიტერატურო სკოლის ენობრივი სტილის ერთიანობისა და ინდივიდუალურობის საკითხისათვის

გელათის სალიტერატურო სკოლა, რომელიც ერთ-ერთი მძლავრი და უმნიშვნელოვანესი შტოა ქართული თარგმანის ელინოფილურ მიმართულებაში, გამოკვეთილი ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი საფუძვლების საღვთისმეტყველო-ლიტერატურული სკოლაა, რომელიც ქრისტიანული აზრის ისტორიაში აგრძელებს აღმოსავლური თეოლოგიის ალექსანდრიული სკოლისა (სადაც წმ.წერილის ალექსანდრიულ ეგზეგეზას ჩაეყარა საფუძველი) და კაბადოკიური პატრისტიკის ხაზს: ნეტარი კლიმენტი ალექსანდრიელისა, რომელმაც ჩამოყალიბებული პრინციპის სახე მისცა წმ. წერილზე დაყრდნობილ ეკლესიურ მოძღვრებას რწმენისა და ცოდნის ჰარმონიაზე; ორიგენესი, რომელმაც თავისი პირველი ცდებით ქრისტიანობის სისტემური ახსნისა ელინური აზრის კატეგორიებში, საფუძველი ჩაუყარა ქრისტიანულ ფილოსოფიურ ხედვებს; კაბადოკიელი წმ. მამებისა, რომელნიც ნეოპლატონური აზროვნებითი აპარატის ქრისტიანიზაციის გზაზე იდგნენ; არეოპაგიტიკისა, რომელიც რწმენისა და ცოდნის ჰარმონიის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს; მაქსიმე აღმსარებლისა, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის ბიზანტიურ თეოლოგიურ ლიტერატურაში არეოპაგიტიკის ფილოსოფიური საფუძვლების გავრცელებასა და დამკვიდრებაში; წმ. იოანე დამასკელისა, რომელმაც პლატონისა და არისტოტელეს კომენტარებზე დაყრდნობით შექმნა მყარი სისტემატიზებული სიტყვიერ-ლოგიკური აპარატი ქრისტიანული სქოლასტიკისა; დაბოლოს, მანგანას აკადემიისა, რომელმაც ეს მიმართულება XI-XII სს ბიზანტიაში უფრო საერო და რაციონალისტური გზით განავითარა.

სწორედ ზემოთქმულიდან გამომდინარე, გელათის სალიტერატურო სკოლა დამამკვიდრებელია სრულიად გამორჩეული, თვითმყოფადი ენობრივი სტილისა, რომლისთვისაც დამახასიათებელია:

1. სათარგმნი მასალის შერჩევისას მკვეთრი ტენდენცია ფილოსოფიურ-თეოლოგიური ეგზეგეტიკისა და დოგმატიკისადმი, რომელსაც უკავშირდება ადეკვატური თარგმანის თეორიის განვითარება და მისი მკაცრი გატარება პრაქტიკაში (რთული ფილოსოფიური და საღვთისმეტყველო ხედვების ვიდმოცემისას მაქსიმალური სიზუსტის დაცვის მიზნით).

2. გამოკვეთილი პოზიცია, ერთი მხრივ, ბერძნული ენის, როგორც „გონიერ ხედვათათვის" მომმარჯვე" ენისა და, ამდენად, შისაბაძი მოდე-

ლის მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, ხალხური (დასავლურ-ქართული) კილოს, როგორც მეცნიერულ-ლიტერატურული ენის გამდიდრების ძირითადი წყაროს მიმართ.

3. აშკარად გამოკვეთილი ტენდენცია გარკვეული ენობრივი (არქაულ-დიალექტური, განსაკუთრებით დერივაციული ინოვაციების) უტრირებისა, რაც საბოლოოდ სტილიზაციასა და მანერულობაში გადაიზარდა.

4. შეგნებული პოზიცია სპეციალური ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ენის გამომუშავებისა და ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის, როგორც სისტემის, ჩამოყალიბების მიმართ.

გელათის სკოლის ენობრივ-ლიტერატურული სტილის ერთიანობის ზოგად საფუძვლებს, ზემოთჩამოთვლილ ნიშნებთან ერთად, ქმნის ადეკვატური, ზედმიწევნითი თარგმანის პრინციპი, რომელიც წარმმართველია ამ სკოლის მთარგმნელ-შემოქმედთათვის მისი არსებობის მთელს მანძილზე (XII-XIII). მაგრამ ამ ზოგადი კონცეფციური ერთიანობის ფონზე ლექსიკურ-გრამატიკული თუ ინდივიდუალური ენობრივი მახასიათებლებით აშკარად იკვეთება ორი ძირითადი განშტოება, რომელიც ქართული თეოლოგიური აზრის ორი მწვერვალის — „ყოველთა ეკლესიის განმანათლებელის", „სჯულიერი მოღვაწის, თარგმანისა და ბერძენთა და ქართველთა ენის მეცნიერის", არსენ იყალთოელისა და ქართული ენის „მამზევებელისა და მადღევებელის" იოანე პლატონური ფილოსოფოსისაკენ, პეტრიწისაკენ მიაპყრობს ჩვენს ყურადღებას. სწორედ ამ ორ მწვერვალს შორისაა განფენილი გელათის სკოლის შემოქმედ-მთარგმნელთა უმდიდრესი ნამოღვაწარი.

ადეკვატური, ზედმიწევნით ზუსტი თარგმანის პრინციპიდან გამომდინარე, ის, რაც საერთოა ამ სკოლის წარმომადგენელთა ენობრივი სტილისათვის, ძირითადად განსაზღვრულია ბერძნული ენის ზოგადი თავისებურებებით და სათარგმნი ბიზანტიელი ავტორის ენობრივი სტილით. ამგვარად, ამ სკოლისათვის დამახასიათებელი სიმრავლე ბერძნული ენისათვის ბუნებრივი სინტაქსური კონსტრუქციებისა (როგორიცაა უზმნო, მიმღეობური, ინფინიტივური, პასიური კონსტრუქციები). შედეგია ფილოსოფიური ხედვების გადმოცემისათვის „მარჯვე" ბერძნული ენის შეგნებული მიბაძვისა. იგივე ითქმის ბერძნული დერივაციული მოდელების ზუსტი ადეკვატების დაძებნასა თუ შექმნაზე (კალკირების გზით).

ერთი სალიტერატურო სკოლის ფარგლებში მსოფლმხედველობრივი და ენობრივ-სტილური ერთიანობის ვითარებაში ავტორთა და მთარგმნელთა იდენტიფიკაციისა თუ გამიჯვნისათვის მნიშვნელობა აქვს არა იმ საერთოს, რაც მათ შორის დასტურდება, არამედ განმასხვავებელი ენობრივი ნიშნების დადგენას. ამ მადიფერენცირებელი

ჩვენ მიერ შერჩეული სტატისტიკური მახასიათებლები ენის სხვადასხვა სფეროს მიეკუთვნება: 1. ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების. 2. ყოფით-ლექსიკურისა და 3. გრამატიკულისას.

ამასთანავე, ყველა ამ სფეროდან შერჩეულია ისეთი დიფერენციული ნიშნები, რომელთაგან ერთი ჯგუფი ხშირად (და თითქმის თანაბარი სიხშირით) გვხვდება ზემოთ ჩამოთვლილ თარგმანებში და საერთოდ არ დასტურდება იოანე პეტრიწის უცილობელ შრომებში. და პირიქით, მეორე ჯგუფის მახასიათებლები ხშირია იოანე პეტრიწის უცილობელ შრომებში და არ გვხვდება ზემოთ ჩამოთვლილ თარგმანებში. ამ მხრივ სამივე სფეროს მონაცემები ერთსა და იმავე სურათს გვიჩვენებენ.

ვ.ფუქსის (Fuchs, 1953) მიერ დამუშავებული სტატისტიკური მახასიათებლების მეთოდიდან გამომდინარე (რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ცალკეულ ავტორთა ინდივიდუალური ენობრივი სტილის შესწავლა). ასეთი შედეგის შემთხვევაში, როდესაც გარკვეული რაოდენობის ენობრივი ნიშნები დასტურდება ცნობილ ავტორთან და მათგან არცერთი არ გვხვდება სადავო ტექსტში (ან პირიქით), შეიძლება ცალსახა დასკვნის გამოტანა: სადავო ტექსტი არ ეკუთვნის მოცემულ ავტორს.

1. ჩვენ აქ არ შევჩერდებით ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების მდიდარ მასალაზე, რადგანაც ამ სფეროში საკმაოდ ნათლადაა წარმოდგენილი სურათი ჩვენს ადრინდელ გამოკვლევებში, რომლებიც ეხება ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებას ძველი ქართულში (მელიქიშვილი, 1983, 1984, 1987) და ე.ჭელიძის ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომში (ჭელიძე, 1994-1995). მაგალითისთვის შევეხებით მხოლოდ ერთ. პეტრიწისათვის მეტად სპეციფიკურ ტერმინს მიდრეკა, რომელსაც მის ტერმინოლოგიურ სისტემაში მოძრაობის მნიშვნელობა აქვს და ეს იმდენად ნიშანდობლივია მისთვის, რომ ნემესიოს ემესელის პეტრიწისეული თარგმანის A 2579 ნუსხის გადამწერს საჭიროდ უცვნია შემდეგი შენიშვნის გაკეთება: „მიდრეკაჲ ძვრისა და მოძრაობისა ნაცვლად დაუც ყოველგან ყოველსა შინა სივრცესა ამის აწინდელისა წიგნისასა ელლადელთა ენისაგან ქართველთა სიტყუად გარდმომწერელსა, იოვანეს, პლატონურსა ფილოსოფოსსა" (ფ. 41). მაგ. დროის (χρόνος)არისტოტელესეული განსაზღვრება იოანე პეტრიწს პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლების" 50-ე თავის განმარტებაში ასე აქვს დამოწმებული: „ჟამი არსო საზომი მიდრეკისაჲ" იგივე განსაზღვრება ამონიოსის მთარგმნელს ასე აქვს გადმოღებული: „ჟამი საზომი არს ძრვისაჲ".

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტერმინოლოგიურ სხვაობებს დიფერენციული ნიშნის ღირებულება ენიჭება სხვა მახასიათებლებთან ერთობლიობაში. რადგანაც მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ერთი და იგივე ავტორი, თუნდაც იგივე იოანე პეტრიწი თარგმანიდან თარგმანამდე ხვეწს და აზუსტებს ტერმინებს და სიტყვათშემოქმედების ამ პროცესს ზოგჯერ

ჩვენ მიერ შერჩეული სტატისტიკური მახასიათებლები ენის სხვადასხვა სფეროს მიეკუთვნება: 1. ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების. 2. ყოფით-ლექსიკურისა და 3. გრამატიკულისას.

ამასთანავე, ყველა ამ სფეროდან შერჩეულია ისეთი დიფერენციული ნიშნები, რომელთაგან ერთი ჯგუფი ხშირად (და თითქმის თანაბარი სიხშირით) გვხვდება ზემოთ ჩამოთვლილ თარგმანებში და საერთოდ არ დასტურდება იოანე პეტრიწის უცილობელ შრომებში. და პირიქით, მეორე ჯგუფის მახასიათებლები ხშირია იოანე პეტრიწის უცილობელ შრომებში და არ გვხვდება ზემოთ ჩამოთვლილ თარგმანებ'ში. ამ მხრივ სამივე სფეროს მონაცემები ერთსა და იმავე სურათს გვიჩვენებენ.

ვ.ფუქსის (Fuchs, 1953) მიერ დამუშავებული სტატისტიკური მახასიათებლების მეთოდიდან გამომდინარე (რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ცალკეულ ავტორთა ინდივიდუალური ენობრივი სტილის შესწავლა), ასეთი შედეგის შემთხვევაში, როდესაც გარკვეული რაოდენობის ენობრივი ნიშნები დასტურდება ცნობილ ავტორთან და მათგან არცერთი არ გვხვდება სადავო ტექსტში (ან პირიქით), შეიძლება ცალსახა დასკვნის გამოტანა: სადავო ტექსტი არ ეკუთვნის მოცემულ ავტორს.

1. ჩვენ აქ არ შევჩერდებით ტერმინოლოგიური სიტყვათშემოქმედების მდიდარ მასალაზე. რადგანაც ამ სფეროში საკმაოდ ნათლადაა წარმოდგენილი სურათი ჩვენს ადრინდელ გამოკვლევებში, რომლებიც ეხება ტერმინოლოგიურ სიტყვაწარმოებას ძველი ქართულში (მელიქიშვილი, 1983, 1984, 1987) და ე.ჭელიძის ამ ბოლო დროს გამოქვეყნებულ ნაშრომში (ჭელიძე, 1994-1995). მაგალითისთვის შევეხებით მხოლოდ ერთ. პეტრიწისათვის მეტად სპეციფიკურ ტერმინს მიდრეკა, რომელსაც მის ტერმინოლოგიურ სისტემაში მოძრაობის მნიშვნელობა აქვს და ეს იმდენად ნიშანდობლივია მისთვის, რომ ნემესიოს ემესელის პეტრიწისეული თარგმანის A 2579 ნუსხის გადამწერს საჭიროდ უცვნია შემდეგი შენიშვნის გაკეთება: „მიდრეკაჲ ძვრისა და მოძრაობისა ნაცვლად დაუც ყოველგან ყოველსა შინა სივრცესა ამის აწინდელისა წიგნისასა ელლადელთა ჰმისაგან ქართველთა სიტყუად გარდმომწერელსა, იოვანეს, პლატონურსა ფილოსოფოსსა" (ფ. 41). მაგ. დროის (χρόνος)არისტოტელესეული განსაზღვრება იოანე პეტრიწს პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლების" 50-ე თავის განმარტებაში ასე აქვს დამოწმებული: „ჟამი არსო საზომი მიდრეკისაჲ" იგივე განსაზღვრება ამონიოსის მთარგმნელს ასე აქვს გადმოღებული: „ჟამი საზომი არს ძრვისაჲ".

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტერმინოლოგიურ სხვაობებს დიფერენციული ნიშნის ღირებულება ენიჭება სხვა მახასიათებლებთან ერთობლიობაში. რადგანაც მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ერთი და იგივე ავტორი, თუნდაც იგივე იოანე პეტრიწი თარგმანიდან თარგმანამდე ხვეწს და აზუსტებს ტერმინებს და სიტყვათშემოქმედების ამ პროცესს ზოგჯერ

ერთსა და იმავე თარგმანშიც კი შეიძლება გავადევნოთ თვალი. ეს კარგად ჩანს მისი ადრე შესრულებული ნემესიოსის ტრაქტატის თარგმანისა და ამისგან დიდი დროის შემდეგ შესრულებული პროკლეს თეოლოგიური ტრაქტატის თარგმანის ენის შედარებისას.

2. ყოფითი ლექსიკის სფეროში ვგულისხმობთ ინდივიდუალური მეტყველებისათვის (სიტყვათხმარებისათვის) ხშირად სახმარისი სემანტიკის სიტყვებს (ზმნიზედებს, ნაწილაკებს, თანდებულებს, კავშირებს, „ცნობიერება" და „მეტყველების" წრის სემანტიკის ზმნებს, რომელთაგან ზოგს არქაული და დიალექტური ელფერი დაჰკრავს), რომლებიც სისტემატურად გვხვდება ზემოთ დასახელებულ გელათურ ხელნაწერებში და საერთოდ არ დასტურდება იოანე პეტრიწის მეტყველებაში. ესენია, მაგ.: სადმე (სადამე), ეგერა, მედად, მიმდემად, ძუნად, მოწლეობით, წიწვა (ეწიწვის), გიობა (ჰგიობს, მაგიობელი), ჯმობა (ჯმობს), ზმნობა (აზმნობს), ძნობა (ძნობს), ცებნა, ჯერ-ჩინება და სხვ.

3. გრამატიკული სფეროდან გელათური ტექსტებისათვის გამოყოფთ შემდეგს დიფერენციულ ნიშნებს: ა) -ყე სუფიქსოიდი მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის აღსანიშნავად (ძირითადად გრძნობა-აღქმისა და ყოლა-ქონების გამომხატველ ინვერსიულ ზმნებში): გნებავს-ყე, გიყუარს-ყე, გაქუნდა-ყე, გიკჯრს-ყე, ძალ-გიც-ყე (თქუენ), აქუს-ყე, ჰრცხუენოდის-ყე, ევნო-ყე (მათ). -ყე სუფიქსოიდი პეტრიწის უცილობელ შრომებში არც ერთხელ არ დასტურდება; იგი უცხოა პეტრიწის მეტყველებისთვის, მაშინ, როდესაც საკმაოდ ხშირია ზემოთ დასახელებულ გელათურ ტექსტებში (ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ მარკოზისა და ლუკას სახარებათა თეოფილაქტე ბულგარელის განმარტების გელათური თარგმანები (A102, A113, Jer.22), სადაც მხოლოდ თითო მაგალითი გვხვდება -ყე სუფიქსიანი: გნებავსყე (თქუენ) A102, 77v, Jer.22, ფ.25r; იტჯრთავთყე (თქუენ მათ): A113,70r; Jer.22,83r.). ბ) -ძლით თანდებული (ამის ძლით), მისი დერივაციული ფუნქციით ხშირი გამოყენება (არსების-ძლითი სიტყუაჲ, ცოდვისა-ძლითი...) ძალიან დამახასიათებელია გელათური ტექსტებისათვის მაშინ, როდესაც იოანე პეტრიწის ნაწერებში ძალი მხოლოდ სუბსტანტივის მნიშვნელობითაა ნახმარი და თანაც ტერმინოლოგიური დატვირთვით: „პოტენციის" გაგებით; გ) -მი თანდებული გელათურ ძეგლებში ხშირია ოდენ ნათესაობითი ბრუნვისა და ოდენ ვითარებითის ფორმასთანაც (ერთისამი, მთადმი, უმრავლესთამი...), რაც გამორიცხულია პეტრიწთან, რომელიც ამ თანდებულს ორმაგ-ნათესაობით-ვითარებით ბრუნვასთან (ერთისადმი) იყენებს. დ) გელათურ თარგმანებში ხშირია მაგალითები ბერძნულის მიბაძვით მდედრობითი სქესის გამოხატვის შემოღებისა (ყრმაჲ-ყრმაა, იგი-იგიაი, ჭაბუკი-ჭაბუკიდი, ჭაბუკა), რაც უცხოა პეტრიწის უცილობელი თარგმანებისთვის; ე) მებრ- წინდებული ბერძნული κατά წინდებულის შესატყვი-

სად ჩვეულებრივია იოანე პეტრიწისათვის: **მებრ** ჟამით წარმოდგომილი, მებრ გუამითა, **მებრ** ხატად... გელათურ ტექსტებში ეს კონსტრუქცია, ჩვეულებრივ, მარტივი მოქმედებითი ან ვითარებითი ბრუნვის ფორმით ჯადმოიცემა: (**გუამოვნებით, მრავალთად**...) ვ) I რეზულტატივში იოანე პეტრიწისათვის ბუნებრივია ახალ ქართულ ენაში დამკვიდრებული -**ია** დაბოლოებიანი ფორმები (დაგიმცვრია და დაგიკნინებია; დაჰმსჭვალვია...), მაშინ როდესაც გელათური ტექსტებისათვის ეს ნორმა ჯერ კიდევ უცხოა. ზ) როგორც ადრევე არაერთხელ აღგვინიშნავს, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იოანე პეტრიწი ენაში ნეოლოგიზმების (როგორც გრამატიკული, ისე ლექსიკური) დამკვიდრებისათვის მიისწრაფვის, მის ენაში ებიანი მრავლობითის იშვიათობა შეიძლება ავხსნათ იმით, რომ მისი საკუთარი მეტყველებისათვის (დიალექტისათვის) ეს მრავლობითი არ უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი, მაშინ როდესაც ზემოთ დასახელებულ გელათურ ტექსტებში ებიანი მრავლობითი სიხშირით არ ჩამორჩება ნარ-თანიანს.

ამრიგად, ზემოთ წარმოდგენილი სამივე დონის — ტერმინოლოგიური, ყოფით-ლექსიკური და გრამატიკული მადიფერენცირებელი სტატისტიკური მახასიათებლები ერთსა და იმავე შედეგს იძლევიან, რის საფუძველზეც შეიძლება ერთადერთი დასკვნის გამოტანა: ზემოთ ჩამოთვლილი სადავო თარგმანები არ შეიძლება მივაკუთვნოთ იმ პირს, რომლის უცილობელ ნაშრომებსაც წარმოადგენს ნემესიოსისა და პროკლეს თარგმანები.

როგორც ადრევე ვვარაუდობდით (მელიქიშვილი, 1988$_1$, 1988$_2$, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით ამონიოსის თარგმანები მიჰყვება არსენის მიერ თარგმნილი „დიალექტიკის" სისტემას და არსებითად ემიჯნება პეტრიწისეულ როგორც ლოგიკურ, ისე გნოსეოლოგიურ ტერმინოლოგიურ სისტემას (ამისთვის კმარა შემეცნების პროცესისა და მისი გამომხატველი ტერმინოლოგიის (გაგონება-მიდმოგონება-გამგონე-გასაგონო...) ბერძნულ-ქართული შესატყვისობების შესახებ იოანე ფილოსოფოსის მსჯელობა „განმარტების" შესავალში). თუმცა ზოგიერთი კონკრეტული (ონტოლოგიური) ტერმინი, მაგ. არსება, მყოფი, ნანდჯლ მყოფი (ისიც ძველი, ნარიანი ვარიანტით, განსხვავებით პეტრიწისეული ნამდჯლ მყოფისაგან) და სხვ. საერთოა პეტრიწთან და ძველი ქართულის სხვა ძეგლებთანაც.

როგორც ტერმინოლოგიური, ისე ყოფით-ლექსიკური და გრამატიკული თვალსაზრისით ამონიოს ერმიასის თხზულებათა თარგმანი ზედმიწევნითს სიახლოვეს გვიჩვენებს (ზოგჯერ კი იდენტურობის შთაბეჭდილებას ტოვებს) მაქსიმე აღმსარებლის შრომათა თარგმანთან (K-14). ორივე ეს თარგმანი ყველა დიფერენციული ნიშნით დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს თეოფილაქტე ბულგარელის იოანეს სახარების განმარტების თარგმანის

ენასთან. გელათის კატენებიანი ბიბლიის კიმენისა და კატენების თარგმანები, ადრეც გამოთქმული ვარაუდის თანახმად, ყოველთვის ერთგვაროვანი არ არის და შთაბეჭდილებას ტოვებს მთარგმნელთა გარკვეული ჯგუფის მუშაობისას. რომლის უშუალო მონაწილე და რედაქტორი მაქსიმე აღმსარებლის შრომების და ამონიოსის შრომათა მთარგმნელი ჩანს. გარდა დიფერენციული ნიშნების ერთიანობისა, ამის საფუძველს იძლევა გელათის ბიბლიის A 1108 ავტოგრაფული ნუსხის ტექსტოლოგიური ანალიზიც (მელიქიშვილი, 1987).

რაც შეეხება იოანე სინელის „კლემაკსის" პროზაულ თარგმანსა (A 39, H 2188) ლუკასა და მარკოზის სახარებათა თეოფილაქტე ბულგარელისეული განმარტებების თარგმანებს, აღნიშნული დიფერენციული ნიშნებით ისინიც ერთიანდებიან ზემოთ ჩამოთვლილ ტექსტებთან, მაგრამ ზოგი ტერმინოლოგიური და გრამატიკული ნიშნით (მაგ. მათთვის უზუალური, ბუნებრივი არ არის -უე სუფიქსი) ისინი უახლოვდებიან კ.კეკელიძის მიერ გამოცემული „ეკლესიასტეს" განმარტების ტექსტის მთარგმნელს და ემიჯნებიან ყველა დანარჩენს (დიფერენციული ნიშნებით იოანე პეტრიწსაც). რაც შეეხება „იუდაებრივი დასაბამსიტყვაობის" თარგმანს, რომელიც ტრადიციით იოანე პეტრიწს მიეწერება, ჩვენ მიერ 1967 წ. საკანდიდატო დისერტაციის დაცვის დროს გამოთქმული უარყოფითი მოსაზრება ამის თაობაზე დაადასტურა ნინო მელიქიშვილის გამოკვლევებმაც (ნ. მელიქიშვილი, 1987, 1988).

ზემოთ წარმოდგენილი დასკვნები და ჩვენი ადრინდელი კვლევის შედეგებიც ეთანხმება და ადასტურებს მკვლევარ ე.ჭელიძის ტერმინოლოგიური ძიებების გზით მიღებულ შედეგებს იმ განსხვავებით, რომ ჩვენ, ტრადიციისამებრ, იოანე პეტრიწი მიგვაჩნდა დავით აღმაშენებლის ეპოქის მოღვაწედ და იმ დროის სალიტერატურო ენისათვის უცხო გრამატიკულ-ლექსიკურ ნეოლოგიზმებს, რომლებიც მას შემოაქვს სალიტერატურო ენაში, ეხსნიდით მისი პიროვნული ერუდიციით, შემოქმედებითი ნოვატორობითა და უნიკალობით. ენა და სტილი ნემესიოსის თარგმანისა და ფსალმუნთა განმარტების იმ ექსცერპტებისა, რომლებიც წარმოდგენილია პეტრიწის „განმარტების" ე.წ. „ბოლოსიტყვაობაში". მიუხედავად მისი გამოკვეთილი ინდივიდუალურობისა, არსენ იყალთოელის სკოლის ნიშანს ატარებს და მისი მოღვაწეობის ადრინდელ, პირველ პერიოდს განეკუთვნება. რაც შეეხება პროკლე დიადოხოსის ტრაქტატის თარგმანსა და მის განმარტებას, ენობრივი ინოვაციების თვალსაზრისით, იგი საკმაოდ დაცილებულია დავით აღმაშენებლის ეპოქას და XII საუკუნის II ნახევრისკენ იხრება, სწორედ იმ დროისკენ, როდესაც ბიზანტიაში ახალი ძლიერი ტალღა წამოვიდა პროკლეს ფილოსოფიით გატაცებული მოაზროვნეებისა და იმპერატორ მანუელ კომნენეს მხრიდან მათი დევნისა (სწორედ იმპერატო-

რის დავალებით) წერს 1250-იან წლებში პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლების" განმაქიქებელ თხზულებას ნიკოლოზ მეთონელი).

ყოველივე ზემოთქმულისა და ე.ჭელიძის საყურადღებო დასკვნების შემდგომ (ჭელიძე, 1994, 1995), ვფიქრობთ, იოანე პეტრიწის მოღვაწეობის ქრონოლოგიური ფარგლების საკითხი მართლაც მოითხოვს გადასინჯვას.

ლიტერატურა

1. **კ.კეკელიძე**. ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ.I. თბ. 1960.

2. **ი.ლოლაშვილი**, იოანე პეტრიწი, „სათნოებათა კიბე", გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., 1968.

3. **დ.მელიქიშვილი**. ძველი ქართულის ლექსიკიდან (განი, საგანი, ბიზანი, პირი, საზრი), საუნათმეცნიერო ძიებანი 1983 და სხვ.

4. **დ.მელიქიშვილი**. ძველი ქართული ლოგიკური ტერმინოლოგიიდან, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, №25, 1984;

5. **დ.მელიქიშვილი**, დასკვნა-დასაბუთების ტერმინოლოგია ძველ ქართულში, მაცნე, ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, 1987;

6. იხ. **დ.მელიქიშვილი**, იოანე პეტრიწის „განმარტების" ბოლოსიტყვაობის შედგენილობისა და ზოგი ახალი წყაროსათვის ძვ.ქართული ენის კათედრის შრომები, 1988, ტ.27, გვ. 168; გელათის სალიტერატურო სკოლა და ქართული ფილოსოფიური ენის განვითარების გზები, სადოქტორო დისერტაცია, 1988 წ.

7. იხ. **დ.მელიქიშვილი**, თანაშე ფორმა გელათის ბიბლიაში.... ა.შანიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, 1987, გვ. 201.

8. იხ. იოსებ ფლავიოსი, მოთხრობანი იუდაებრივისა ძველსიტყუაობისანი, ქართული თარგმანის ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო **ნინო მელიქიშვილმა**, I, 1987; II, 1988.

9. W.Fuchs, Mathematische Analyse von Sprachelementen, Sprachstil und Sprachen, Arb. fur Forschung des Landes Nordal-westfalen, Koln, 1953.

10. **ე.ჭელიძე**, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა, ჟურნ. „რელიგია" 1994-1995.

11. **თ.ცქიტიშვილი**, იოანე პეტრიწის ერთი ორიგინალური ნაშრომის რაობისა და მნიშვნელობისათვის, ქუთაისის უნივ. მოამბე. 1995, №4.

დიფერენციული ენობრივი ნიშნების ცხრილი

	მთარგმნელები	იოანე პეტრიწი		იოანე ტარიელ ფისაძე (?)	ნიკოლოზ გელაბერისაძე (?)	?	?	იოანე ჭიპვიმელი	პეტრე გელათელი (?)
	ნუსხები	A2579	H1337	S2562	K14	A1108, Q1152	A52	A102, A103	A39, H2188
	ენობრივი ნიშნ. / ტექსტ. ტიპ.ტიპები	ნემესიოს ემესელი	პოლუს თარგმანი და კომენტ.	ამონიოს ერმიასის თხზულებანი	მაქსიმე აღმსარებლის თხზულებანი	გალენოს ბიბლია	თეოფილაქტე ბულგარელი: იოანეს სახარ. განმარტება	თეოფილაქტე ბულგარელი: მარკოზის და ლუკას სახარებათა განმარტ.	იოანე სინელი "ალფაბეტი"
1	-აე	-	-	+	+	+	+	~	-
2	-ებ	-	~	+	+	+	+	+	+
3	-ია	-	+	-	-	-	-	-	-
4	აღ-მი -ისაკი	-	-	+	+	+	+	+	+
5	ნათ.ბრ.+ძლითი	-	-	+	+	+	+	+	+
6	მებრ	+	+	-	-	-	-	-	~
7	მდელრ. სქესი	-	-	+	+	+	+	+	-
8	ესთა	-	+	-	-	-	-	-	-
9	ეგერა	-	-	+	+	+	+	+	-
10	სად(ა)ეე	-	-	+	+	+	+	+	+
11	მედად	-	-	+	+	+	+		
12	მიმდემად	-	-	+	+	+	+	+	
13	ძენად	-	-	+	+	+	+	+	+
14	მოწლეობა	-	-	+	+	+			
15	საზრისი	-	-	+	+				
16	-ყებნა	-	-	+	+		+		
17	მიდრეკ.ი	+	+	-	-	-	-	-	-
18	ძრეკ. მოძრაობა	-	-	+	+	+	+	+	+
19	შეგულისსიტყვა	-	-	+	+		+		
20	თანშესიტყვა	+	+	-	-				
21	ჰკობს	-	-	+	+	+	+	+	+
22	აზმნობს	-	-	+	+	+	+		

DAMANA MELIKISHVILI

FOR THE PROBLEM OF THE LINGUAL STYLE UNITY AND INDIVIDUALITY OF GELATI LITERARY SCHOOL

Summary

The principle of an adequate translation is the common basis of the lingual unity of Gelati literary school. Besides those common style characteristsics, originated from the conscietious imitation of Greek (calque in the terminological wordformation system, the usage of participial, infinitive, passive and nonverbal constructions in the syntax, etc.). Other common factors, particularly of lingual character, are notable.

Together with some common lingual aspects, vivid tendency to individualization of the style peculiarities of Gelati creator-translators is evidenced.

Differential lingual features (lexico-grammatical) statistic characteristics, enabling to dissociate the heritage of Gelati translators of the twelfth century, are manifested in the report.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი წმინდანები

გასული საუკუნის დამლევს თედო ჟორდანია გაკვირვებული წერდა, რომ ქართველ ეკლესიას ჯერაც არ ჰყაოდა წმინდანად შერაცხილი მღვდელი თეودორე თაყდადებული, რომელიც ყოველი ქართველის ცნობიერებაში უკვე დიდი ხნის წინ წმინდანად იყო აღიარებული. ეს ფაქტი ბოლო საუკუნეების განმავლობაში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მჭიმე და უუფლებო მდგომარეობაზე მიუთითებდა.

და აი, XX საუკუნის დასასრულს, სამი საუკუნის წინათ თურქთაგან აკაწყლილ თაყდადებული მღვდლის — თეودორე კელლელის წმინდა მღვდელმოწამედ კანონიზაცია მოხდა. ეს აღესრულა 1995 წლის 19 სექტემბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ავტოკეფალური ეკლესიის გაფართოებულ კრებაზე. ამავე დღეს წმინდანებად იქნენ შერაცხილნი ახალი დროის ღაწლმოსილი საეკლესიო მოძღვრნი: გაბრიელ ეპისკოპოსი (ქიქოძე), ალექსანდრე ეპისკოპოსი (ოკროპირიძე), ალექსი ბერი (ბუშანია), კათალიკოსი ამბროსი (ხელაია) და ჩვენი საუკუნის ბღვდელმოწამენი, დაბრეტილნი 1924 წლის აგვისტოს ბიწურელში — ნაზარი მიტროპოლიტი (ლეონავა) სამღვდელო კრებელითურთ, რომელთა შორისაა: ანიან მოიხოლი: ბერმანე ჯანანიძე, სიმონ მუკელიძე, იეროთეოზ ნიკოლაძე და პროტოდიაკონი ბესარიონ კუხიანიძე: ასევე, 1942 წლის 6 დეკემბრის სუსხიან დღეს ოსენკიმის ბანაკში მოწამებრივად აღსრულებული არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე.

ეს ანის შემთხვევით, რომ ამ ქრისტეს სულის ჭეშმარიტ მცველთა და მოძღვართა წმინდანებად კანონიზაცია მოხდა სწორედ ახლა, XX საუკუნის დასასრულს, როდესაც ქართველ ერს ჰაერიოთ სურდა ამ ღვერთმოსილ მამათა და წმინდა მოწამეთა ღაწლის მნიშვნელობის გაცნობიერება. ამით ქართველმა სამოციქულო ეკლესიამ ღვთის განგებითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის კურთხევით, მეოხებითა და ძალისხმევით აღასრულა ქართველი ერის სულიერი გადარჩენისათვის უდიდესი მნიშვნელობის საქმე.

საქართველოს ისტორიამ ქრისტიანული რწმულისათვის მოღვაწეთა და წამებულთა ჟრაერთი სახელი შემოგვინახა. ღვთის განგებით გამორჩეული ეს მოღვაწენი და მოწამენი სწორედ ისეთ დროს მოელინებოდნენ ხოლმე ერს, როდესაც იგი სულიერ შეპირვებას განიცდიდა და დაცვის გზაზე იდგა, როდესაც ამა თუ იმ დროის საკუთმპყრობელნი „ბრაალთა აკთენებდნენ და გარდასდრეკდნენ გზისაგან სიმართლისა და ჭეშმარიტებისა ქრისტეს სახარებისა: ზოგს მძლავრებით, ზოგს — შეტყუელით, რომელთამე — სურვილსა შინა ეშმაკურებით, რომელთამე — მზაკვარებით...“ სწორედ ესეოვითარსა ეაშაა შინა გამოჩნდებოდნენ ხოლმე ახოვნად წმინდა მოწამენნი“ და მოღვაწენნი, რომელთა თაყდანურება სულიერად განამტკიცებდა და განაცხოველებდა ხოლმე „მძლავრებასა ქეყეშე დამონებელ სოგლასაკითა შეკრულ, ხარასა ქეყეშე გეყმეულსა და შიშით განლეელსა და ღერწმოვით მერყეველსა...“

ჩვენ ვიცით მათი სახელები — არამთა, მონღოლთა, სპარსთა თუ თურქთა ბატონობის ხანაში წამებულთა... მაგრამ, სამწუხაროდ, არ ვიცოდით ჩვენი დროის ახალ მღვდელმოწამეთა და ეკლესიის თაყდადებულ მოღვაწეთა სახელები... ამ ღორსი მამების ღაწლის, ეკლესიისა და საშობლის წინაშე მოხდილი ვალის მოხსენიება კი გვმართებს ანა იმდენად მათთვის სათანადო პატივის მისაგებად (რასაც მათი ქრისტიანული თავმდაბლობა სრულად გამორიცხავდა), არამედ ეფერო ჩვენი რწმენადაკარგული და ცოდვებით დამძიმებული საზოგადოების, ჩვენი მშფოთვარე და გზაბნეული ახალგაზრდობის სულის გასაცხოველებლად და აღსაზრდელად

ერთი მთავარი მიზანი ქართველ ერისა და ეკლესიის ისტორიაში ამ ეშმაშვნელოვანესი აკტის, ახალი წმინდანების კანონიზაციის სწორედ ეს იყო, რადგანაც ჩვენი საუკუნის საზოგადოება ყალბებოდა ათეიზმის, კონფლიქტიზმისა და კომპრომისების გარემოცვაში. მისთვის დაფარული და უცნობი იყო ჩვენს სასტიკ ეოვთო დროში ღვენილი და მოწამეობრივად აღსრულებული ჭეშმარიტი მოძღვრების სახელები, სახელები ღვთის სამსახურში სიცოცხლეგალეული ქრისტეს მცნებათა მცველებისა. და ეს მაშინ, როდესაც სწორედ მათ მოწამეობრივი აღსასრულისა თუ ღაწლწამოსილი ცხოვრების მნიშვნელობის გაცნობიერებაა ერის სულიერი და ზნეობრივი გადარჩენისა და ხსნის ერთადერთი სწორი ორიენტირი.

ლაზარე ელიეზეშვილი

ღირსი მამა — იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე

ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე (ერისკაცობაში გურასიძე) ცნობილი თავისი განსწავლულობით, მეცნიერულ კანონიერებლური და მოკიკულებრივი მოღვაწეობით, დაობდა სოფ. ბახვში, მღვდლის — მაქსიმე ქიქოძის ოჯახში. როგორც მელიტონ კელენ ქერიძე წერს, „ვერავითარი სკოლა... კერ შეძლებს ის გრძნობის დამკარებას ბავშვის სულში, რა გრძნობითაც იყო გაბრიელი შემკული და შეპყრობილი ეს ღრმა რელიგიური რწმენა, ეს მუკითობა და მოეწყინარობა რელიგიურ ეალდებულებათა შესრულებაში. ეს სულიერი სიფრთხილე, ეს მდინარე ცრემლი, ხატის წინ მუდრო, ბნელ ოთახში ნაფრქვევი, ეს მუხლებზე დგომა საათობით, ეს ღვთისადმი აპყრობილი ხელები, ყველა ის, რითაც განსვენებულ მღვდელმთავარს განკურფრებაში მოკაკვდა მოსამსახურე და მესაიდუმლე პირები, ჩნდება და ეროვანდება, შეშაუდება და მტკიცდება მხოლოდ იმ სკოლაში, რომელსაც ეწოდება ოჯახი".

ეპისკოპოსი გაბრიელ

გაბრიელ ქიქოძე თავდაპირველად სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში (1837-1839 წწ.). 1839 წლიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში განაგრძო სწავლა, საიდანაც გადავიდა ქ.ფსკოვის, 1844 წელს კი პეტერბურგის სასულიერო სემინარიაში. შემდეგ სწავლა გააგრძელა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც 1849 წელს დაამთავრა მაგისტრის ხარისხით. ამავე წელს იგი დაქორწინდა, დაბრუნდა საშობლოში და თბილისის სასულიერო სემინარიაში დაიწყო მოღვაწეობა ინსპექტორად და რეკტორის თანაშემწედ საღვთისმეტყველო საგნებში. 1851 წლიდან ფიზიკისა და მათემატიკის პროფესორია და ამ საგნებსა და საღვთო სჯულს ასწავლის სემინარიაში 1854 წელს აკერთხეს მღვდლად ამ პერიოდში წერს ცნობილ ნაბრძოლ „ლისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები".

ამავე წლებში მას ძმის ტრაგედიის გადატანა მოუხდა. სულ მოკლე დროში დაკარგა მეუღლე და ხუთი შვილი.

1856 წელს გაბრიელ ქიქოძე ბერად აღიკვეცა; 1858 წელს დაინიშნა ფაფის გარეშის არქიმანდრიტად, იმავე წელს — გორის ეპისკოპოსად, ხოლო 1860 წლიდან იგი იმერეთის ეპისკოპოსია.

გაბრიელ ქიქოძეს თანამედროვენი იხსენიებდნენ როგორც „ენციკლოპედიას და ყოველად შესანიშნავ მოძღვართ-მოძღვარს", დაარქვეს „ეკლესიის თვით პირველ წმინდა მოძღვრებს"; ეწოდებდნენ „საკვირველ პედაგოგს", „არაჩვეულებრივ სიტყვის მეფეს", „სიმართლის მასწავლებელს".

გაბრიელ ეპისკოპოსის გამგეობაში იმერეთის გარდა შემოდიოდა აფხაზეთის და სამეგრელოს ეპარქიაც. მისი მოღვაწეობის შედეგად 18000 აფხაზმა მიიღო ქრისტიანობა. სვანეთში მისი ორგზის მოგზაურობის შედეგად განმტკიცდა ქრისტიანული სარწმუნოება. დასავლეთში აიგო 200-ზე მეტი ეკლესია, შეკეთდა ნიკორწმინდის, ბიჭვინთის, მოქვის, კაცხის, ილორის ტაძრები, დაარსდა ასამდე სამრევლო სკოლა, ქუთაისში გაიხსნა სასულიერო სემინარია და ქალთა სასწავლებელი მრევლის განათლების მიზნით მეუფე გაბრიელი ხშირად მოგზაურობდა ეპარქიის ფარგლებში, სოფლიდან სოფელში გადადიოდა, ხედებოდა და მოძღვრავდა სამწყსოს. მრევლზე დიდ გავლენას ახდენდა გაბრიელ ეპისკოპოსის პიროვნება, მისი პირადი მაგალითი: იგი საოცრად მორწყალე და ქველმოქმედი გახლდათ. მისი ღვაწი იყო: „მე არა მეკეთვნის რა, ყველაფერი ღვთისაა". მისი უბრალო და მარტივი ხასიათი მის ტანისამოსშიც ჩანდა, საცხოვრებელ ოთახშიც და სმა-ჭამაშიც. ხშირად ძველ ტანსაცმელში გამოწყობილი ბერი მოსამსახურე ეგონათ ხოლმე. მით უფრო, როდესაც თვითონ ეჭიდა შეშას, თოხნიდა, საბრდის ეზიდავდა პრუტყვს. „თუ სადმე ეკლესიაში უსეფთაობას ნახავდა, თვითონ მოიტანდა ცოცხს და თავისი ხელით ხვეტავდა". გაბრიელ ეპისკოპოსი მხოლოდ პირადი ღირსებებით შემკული ადამიანებს აკურთხებდა ეკლესიის მსახურებად. „ნაკარიშს არ ეწევდა არც თავადს, არც მთავარს და არც სხვა მაღალი თანამდებობის პირს; მთხოვნელის გარჩევაც არ იცოდა მეუფემ: დიდი და პატარა, მორეული თუ ახლობელი, თავადი თუ გლეხი მისთვის ერთი იყო. ეკანონობას არ მოითმენდა და ეუბნეო თბილისს არავის შეესრულებდა.

გაბრიელ ქიქოძე სიცოცხლის ბოლომდე ღვთისა და ეროს სამსახურში იდგა. გარდაიცვალა 1896 წლის დეკემბერში. დიდთოვლობა იყო და მღვდელმთავრის დაკრძალვა შეეძლებელი გახდა. 46 დღის განმავლობაში ეთხოვებოდა მღვდელმთავარს სრულიად საქართველო და ამ დროის მანძილზე მისი ჯვარი არ ჯახრწნილა.

მისი დასაფლავების დღეს ილია ჭავჭავაძემ წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც გაბრიელ ეპისკოპოსს ეწოდება „სისხლსა და ხორცს, რომელმაც იცოდა, რა ტკივილთ იტკივნებელნს, რა სიხარელით ინუგეშოსო".

ღირსი მამა წმ. გაბრიელი დაკრძალულია ბეღლითის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში.

ეპისკოპოსი ალექსანდრე

ღირსი მამა — ეპისკოპოსი ალექსანდრე

ეპისკოპოსი ალექსანდრე (ერისკაცობაში ალექსი ოქროპირიძე) დაბადა 1824 წელს გორის მაზრის სოფელ დისელში, სოფლის მღვდლის, დავით ოქროპირიძის ოჯახში. ბავშვობიდანვე ოჯახში ეკლესიურ ცხოვრებას ნაზიარებმა ალექსანდრემ შეიტყო ქრისტიანული სარწმუნოება და თავისი ცხოვრების მიზნად ღვთის სამსახური დაისახა. თბილისის სემინარიის კურსის დამთავრებისთანავე, 1845 წელს, აღიკვეცა ბერად. შემდეგ სწავლას აგრძელებს ყაზანის სასულიერო აკადემიაში, სადაც ღრმად ეუფლება სასულიერო და საერო მეცნიერებებს.

ალექსანდრე ოქროპირიძე, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, მუდამ მზად იყო სოფლის საფრთხის წინაშეც ქრისტესმიერი სიყვარულით გვერდში დასდგომოდა და დახმარებოდა გაჭირვებულ მოკეთეს. ამის მაგალითები მის ბიოგრაფიაში მრავალად მოიპოვება. მას საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოუხდა მოღვაწეობა: ქართლში, იმერეთში, აფხაზეთში, გურია-სამეგრელოში — ყველა მასწავლებლად, შემდეგ იღუმენად, არქიმანდრიტად და ბოლოს მღვდელმთავრად.

ყოვლადსამღვდელო ალექსანდრე თავის უმთავრეს საქმედ ირგელივ მეოთხეა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევა-განმტკიცებასა და მათთვის სასწავლებელთა დაარსებას მიიჩნევდა. აფხაზეთში ჩასულისთანავე დიდი გულმოდგინება გამოიჩინა აფხაზთათვის ილორში დაარსებულ სასწავლებელთა წარმატებელი მუშაობისათვის. მისი მოღვაწეობა, ჯერ როგორც პეტაგოგისა, შემდეგ კი არქიმანდრიტისა (1856 წლიდან) და ეპისკოპოსისა (1862 წლიდან), როგორც ადგილობრივმა მოსახლეობამ, ასევე სრულიად საქართველომ დამსახურებისამებრ დაფასა და ყოველგვარი გადაუტების გარეშე მას აფხაზეთის მეორე ღოსეკელი უწოდა.

ალექსანდრე ეპისკოპოსის საქმიანობა თავიდან მოღვაწეობა ეროვნული ენის პერიოდად დავარქვა საქართველო ეროვნულ-ეროვნული პირველ ქართველ ეროვნულ-ეროვნულ ენებზე, რის გამოც ქართველობას ეკლესიისათვის ზეგრი ქმნდა შეკვეთილი სკოლებში ქართულ ენაზე ლაპარაკებოდა საკუთარი. საჭირო იყო ეროვნული სარწმუნოების დაფუძნებული ეროვნული მეცნიერების, სწავლა-აღზრდისა და განათლების გაფართოება. ყოველივე ამის მეტად უბრალოდ ეფსახურებოდა ყოველადსამღვდელო ალექსანდრე. ეკლესია-მონასტრების აღდგენა-აშენებლობითი საქმიანობა მან აფხაზეთიდან დაიწყო. სოხუმში თავისი ღვაწლითა და საეკლესიო ალაგებინა ორი ეკლესია, ქარიტალეთისა და ბეშეფდ გურია-სამეგრელოში ეროვნულ-ეროვნული ეკლესიათა ეს ეროვნული ეროვნული ეროვნული

ალექსი ბერი

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ახალი წმინდანები

ალექსი (ალექსანდრე ალექსის ძე) ბერი

ალექსი ბერი (ერისკაცობაში იოანე ალექსი შუშანია) დაბადა 1852 წლის 23 სექტემბერს, ღვთისმოსაწიერ და კეთილშობილ მშობლთა — ლუკან შუშანიასა, და ელენე შაედის ოჯახში. ნათლობისას მიხთის იოანე უნოდეთ (რადგანაც იგი იოანე ნათლისმცემლის მუცლადღების დღეს დაბადა). მაგრამ ქართველნი ჩვენებისამებრ მეორე სახელიც დაურქვეთ - ალექსი, რომელიც მას ბოლომდე შერჩა და რომლითაც თვითონაც იხსენიებდა თავს.

ღვთისმოსავ მშობლებს ძალიან უნდოდათ, რომ მათი შვილები ქრისტეს მსახურნი ყოფილიყვნენ. ამ სული აღზრდილ ალექსის ჯერ კიდევ ყმანვილობაში უნდა „ან შენ ქრისტეს მონაც უნდა გახდე და ბერად შედგეო". მისივე სიტყვებით, ეს იყო უნეველი, გამოუთქმელი ძალა, რომელიც ელესავით გაკრთა მის თავზე და შეიპყრა მისი გრძნობა და გონება. ამ ამბავს თვით ალექსი ბერი ასე იგონებდა: „შემიდგა ბრძოლა ორთა აზრთა მორის: ერთი მხრივ, ნარჩომიდგა ეპანეელური სიყვარული მოქალაქობისა, სიყვარული ტკბილი დედის, ძმის, დებისა და მათ მიმართ ეალდებულებანი. ამ გასაჯაჯნელების ყმის უხილავმან მოძღვარმან ხმა-მიყო და მითხრა „ახლა რომ აქ მოკედე, ვინ გაარიგებს შენს საქმესო". მე მიუგე „ღმერთო". „მაშ, შენც მოკედი ღვთისათვის სანუფროსაგან, ღმერთ მიანდე ყოველივე შენი საქმე და იგი გაარიგებს". ამის გაგონებისთანავე მიეცი ალიმა ღმერთს შემდეგი სიტყვებით: „ღმერთო, შემიმინარეს მენთეს შენი სიკეთენელ და შენ აცი ჩემი საქმე და ნებასაც-მეოქი".

ძარეულა, ამ დღის ეძღვნა უფალმა ნარმართა შუშანიების მთელი ოჯახის ნება და საქმე: ღვთის განგებულებითა და ჩვენებით, მამა ალექსის შეგონებით, მონაზვნურ ცხოვრებას შეუდგნენ მისი დები — სოფიო და სალომე, დედა — ელენე (თეკლათის დედათა მონასტერში, გაბრიელ ეპისკოპოსის კურთხეით) და ძმა — ბესარიონი (მარტვილის მონასტერში). პირველი მათ შორის, სოფიო, საკვირველი ხილვის შემდეგ შეიმოსა მონაზვნად და ალექსიმ ნაიყვანა იგი ახლად დაარსებულ თეკლათის სახარებდითთა საკანში. სულ მალე იქ ასევე სასნაულებრივი ხილვის შემდგომ, მეეიდა თეიფონ ალექსიც, განძარცვა საერო სამოსელი, მის სანაცვლოდ შეიმოსა სოფიოს მომზადებული ჯვალის სამორჩილო უნდო კაბა და ოცი წლის ქალუმამ ფეხშიშველმა დაუყო დასაბამი ღვთის გზაზე სვლას.

ეს იყო 1873 წელს. ამ დღიდან ლოცვითა და სხვადასხვაგვარი მოღვაწეობით ინყო მან ტანჯვა ხორცისა და ნერთნა სულისა. მისი სანოლი ზამთარ-ზაფხულ მხოლოდ ქილეფეთ იყო დაფარული. სამი წელი არ დანოლილა: ყდომითა და მიყრდნობით ეძინა, ღვინის სრულად არ ეღებდა. თეკლათის მონასტერში ყოფნის პირველი ხანები მან ამ ახლად დაარსებული დედათა საკანის შენებას შესწირა: მხრით ზიდავდა შეშას, წყალს; სამონასტრო სახლების ასაშენებლად ხეებიდან ამოაქონდა ფიცრები, ხეები და აგური. ყოფილა შემთხვევა, რომ თეკლობი დარჩენილან უყურედ ქრისტეს მსახურნი, დიდი თოვლის გამო შეყრილებულნი. ღვთის შენეწინი, ალექსის თოვლში ქალაქიდან მხრებით ამოუტანია ფქვილი და ისე გამოუზამთრებინებია მაშმილ-სიკეთით შეყრილებული მონაზვნებისათვის.

1875 წელს დიდმარხვის 40 დღე მან ერთი ლღის ძირში გაატარა პაულე ეფმილიანესთან ერთად — ქილეფეზე, ლიტონი მჭადით, უმეტესმანდიდ. ნეიმასა და თოვლში. ნაადგომევს ყოველდასაძღეველი გაბრიელ ეპისკოპოსს მიერთეა დანერილი ალსარება. გაბრიელ ეპისკოპოსმა დარიგება უბოძა და გამოეკითხა, თუ სად ცხოვრობდა. ალექსიმ მოახსენა, რომ ჯერ არ შესულიყო მონასტერში მორჩილად, მაგრამ სოფლებში მიმოდიოდა და, სადაც პპოვებდა ქალქით ან სხვა მძიმე სენით შეპყრობილ მიესალარ ავადმყოფებს, ემსახურებოდა. ეპატრონო მიცალებულებს კი მარხავდა. მეუფემ

დალიცა და უკურთხა მრავა ბერად განმზადებული. რამაკურამ წელ ასე მორწმუნობდა ხალხის სიმაღლეში. უელიდა უსაქრონო ავადმყოფი, შეელოდა და შეუნდა და გლახაკი და უპოვარი, არწმუნა განწირულებს და არა საშიშროებას არ ერიდებოდა ქრისტეს სახელით და არცარა ენება შეეჯიბრა. რამდენიმე წელ ბერად აღკვეცამდე ალექსი „ალმასური მოქალაქეობით, კაბაგადაკერილი, ფეხშიშელი, უქუდო და უპერანგოდ ვიდოდა ზამთარ-ზაფხულ, სოფელ-ქალაქებში", წერს მისი ძმისშვილი, ონოფრე შეშანია.

მორწმუნედ ყოფილას ეან ბევრი თანამოაზრე გაჩინა, მოაქცია და დაეუნა ქრისტეს ქვეშერიტ გზაზე ამაც ხანებში ითვლებოდა ნმ. მთაზე, ითოზე. იქიდან კი გამოიარა კიევში წმინდანთა თაყვანისცემად. შემდეგ ლეთის გაგებით იგი ეკერ გელათის მონასტერში, თაეისი სულიერი მოძღვრის, მამა თეოდოსის კურთხეეთ, სენაკში დაბინავდა. შემდეგ კი გადაეყვანილ იქნა ხიბის მონასტერში, ამ მონასტრის წინამძღვრის, ბენიამინის თხოვნით. აქეე ეკურთხა დიაკვნად ყოველდამეფელი გრიგორის (ლადიანის) ნარდგინებით (1886 ნ.), შემდეგ კი მღვდელმონაზვნად (1888 ნ.).

მაგრამ ალექსი ბერს არ იტაცებდა ხაშეველი ადგილი. იგი დაუყოვნებელ ცხოვრებას ესწრაფეოდა და უნდოდა დამკვიდრება თეალთის მთაეარანგელოზის კენეულზე.

1890 წელს, ოთხი წლის მღვდელმსახურების შემდეგ, გულით დაეადებულმა მამა ალექსიმ დატოვა ხიბის ეკლესია, გამოეთხოვა მონასტრის მამებს და ავადმყოფი თაეის ფედასთან და დებთან ნაეიდა. ყოველდამეფელი გრიგორის კურთხეეთ მას ნება მიეცა მთაეარანგელოზის კენეულზე ლოცვითა და დაუყოვნებელ ცხოვრებისა, რისი სურვილიც დიდი ხანია აქონდა.

ეი იყო 1891 წელს. ესაზღვარ სიხარულითა და მადლობით გადაიხადა პარაკლისი ალექსი ბერმა და შეუდგა სენაკის შენებას ამ კენეულზე. ადაგენა ძველი დანგრეული ეკლესია. ამგვარად დაინყო ახალ გზაზე მრავა ფლენადგ ნირა-ლოცეა.

1898 წლიდან ინყო მამა ალექსიმ კარდახეულ სენაკში გამოუსელელად ყოფნა. მაძალეკერის გარდა სენაკში არავის იღებდა და ალარეულებდა მეაცრ პირად სამონაზონ ნესებს.

ყოველივე ზემოთქეულის გარდა ალექსი ბერი იყო დაეალაკი მაძიებელი თაეის თანაბრიოელი საზოგადოების მანკიერებისა და, კერძოდ, ურწმუნეებისა, დამრიგებელი და მოძღვარი ხალხისა. ცნობილია მისი პუბლიცისტური ნერილები, ლექსა კრებელები, სადაც ჩანს ალექსი ბერის ღრმა შინაგანი — სულიერი განურთნილობა და გონებრივი სიმაღეეე.

ალექსი ბერმა მიიძინა მშვიდი და წყნარი ძილი 1923 წლის 18 იანვარს (ძ. სტილით). დაკრძალეა თეალთის მონასტერში, ნინამდეგ მისი სურვილისა. 1960 წლის 8 იანვარს კი სქეიდეენია ფასტიან და სქემონაზონმა აკაკისამ იმეამად ბათუმ.შემოქმეედელ და ყკონდიდელ მიტროპოლიტს ეფრემს (შემდგომში სრულად საქართველოს პატრიარქს) ლიცეა-კურთხეეთ მამა ალექსი თეალთის ფედასა მონასტრიდან თაეის საკანეში ჩამოასეენეს და დაკრძალეს ტაძრის აღმოსავლეთ კედლის მიდამოებად 9 იანვარს.

ფეიფერა ეპაპა ალფფსარეპეპელი კათალიკოსი აპბრიოსი ხელაია

კათალიკოსი აბბრიოსი (ეროსეკლიანაძე ,ხელარიან ხელაია) დაბადა 1861 წელს. პირველ-დაწყებითი განათლება მიიღო სამეგრელოს საასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სწავლობდა თბილისის ხასულიერო სემინარიაში, რომელიც დამთავრა 1885 წელს.

1896 წელს იგი დაქორწილდა. 1897 წელს გაემგზავრა ყაზანს, სადაც შეედა ხასულიერო აკადემიაში. გაზ „ეეერის" 1898 წლის ერთერი ნომერში არის ცნობა, რომ 14 იანვარს სტუდენტ ბესარიონ ხელაიას ყაზანის აკადემიის ეკლესიაში დაეეენენია ნარეა. 1901 წელს ბესარიონ ხელაიამ დამთავრა ყაზანის აკადემია და, როგორც გაზეთ „ეეერის" 1901 წლის 14 ივლისის ნომერი იტყობინება, დაუცეს საკანდიდატო დისერტაციას — „Борьба христианства с исламом в Грузии". პროფესორ მალეს ეაბოდა დისერტაციისათეის, შეეცალა ზოგეერთი თაეი ამ დისერტაციისა და ნარდგინა მაგისტრის ხარისხის მოსაპოეებლად.

1901 წელსეე იგი ბერად შეიმოსა, დაბრუნდა საქართველოში და დანიშნა ყელეშის მონასტრის წინამძღვრად. მან აქ აღმოაჩინა და აღნერა ყელეშის ოთხთაეი, დასეა მისი შედარებითი შესწავლის საკითხი.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალისათეის ბრძოლის გამო იგი 1905 წელს რუსეთში, დონის ოლქში გადასახლეს.

მაგრამ, როგორც მოგეეანებით საბჭოთა უზენაესი სასამართლის ნინაშე განაცხადა, მისთეის განსაკეთრებით სასტიკი იყო 1907 წლის გადასახლება, რომ გაგზავნეს რიაზანის მონასტერში, სადაც ნელ-ნელ ბეტი გაეტარა სასტიკი რეჟიმის ქეეშ, რადგან უნმინდეეი სინოდის განკარგულებით ნარეეული აქონდა ნირა-ლოცეის, მღვდელმსახურების უფლება.

გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, 1908 წელს, აკურთხეს არქიმანდრიტად და დაადგი-

ნეს სამეგრელოში ორი მონასტრის წინამძღვრად. შემდეგ გადმოიყვანეს თბილისში ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად. ამავე დრო დანიშნეს სინოდის წევრად. მაგრამ ამავე წელს ბრალი დასდეს ეგზარქოს ნიკონის წყალობაში მონაწილეობაში და კვლავ რუსეთში გადასახლეს. ამასთან დაკავშირებით ს.ქეიანაძე წერს, რომ ამბროსი ხელია „გადაფენილ იქნა რუსეთში მიზეზი ამისა ის იყო, რომ მას უსიფრთხოდ დასნაფეს ცილი. ამის შესახებ მოელმა საზოგადოებამ იცის ყველაფერი, ამტრომ ჩვენ აქ არას ეიტყვით. მხოლოდ მოვიყვანთ ამბროსის შესახებ ერთი წერილიდან რამდენიმე სტრიქონს, რომელიც დასამბელი გახლდათ გაზ. საქართველოში (1916,.ᲘᲐᲜ).

„ეს ამბროსის სვეტაა პიროვნებას და სულ გონიერებას იცნობს, მისი ნაწერები ცოტაოდენად მანე იცის და რამე საქმე აქონია მასთან, ის ვერ ნაწმოიდგენს, რომ ამბროსი რამე უსუფთაო და ბნელ საქმეში ერეოს..."

1911 წელს ამბროსი ხელია გადმოიყვანეს, მეფედასახურების უფლებაც დაუბრუნეს და წინამძღვრადაც დადგინეს, მაგრამ საქართველოში ჩამოსვლის ნება არ დარჩა. საქართველოში მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 1917 წელს დაბრუნდა და ვერ ქონელის, შემდეგ კი ოდესეთის მიტროპოლიტად დაამწესეს.

1921 წლის სექტემბერში მაგ ამბროსი საქართველოს კათალიკოსპატრიარქად აირჩეს.

[1] და ამ იდეით გაგაცებამ ეს დიდი ერუდიციის მეცნიერი აქამდე მიიყვანა, რომ ბერძნული ἀρτί ("ყის") ზმნისზედის პეტრიწის მიერ გრანსლიტერაციით გადმოღებული არდი ფორმა ქართული წარმართული მზის ღვთაების სახელად მიიჩნია, თიმეა კარგად მოეხსენებოდა, რომ სწორედ ის მსჯელობა, რომელშიც ეს ბერძნული სიტყვაა ნახმარი (განმარტება, გვ.212,13. შდრ. აგრეთვე გვ.12,4 არდი = ყის), სწორედ მრავალი საწყისისა და კერპთაყვანისმცემლობის წინააღმდეგაა მიმართული.

დანიშნულებაზე ლაპარაკობს: *„პაზრი ამის წიგნისაჲ ამათ შინა შემოიცვის: პირველად, რაჲთა ერთი წარმოაჩინოს, თუ არს ერთი, და იძულებითა მიერ თანშესიტყუათასა აწმოაჩინოს ესე მრავალსაქადაგოჲ ერთი, რაჲთა არა იქმნეს და შეიმთხუოს, რაჲთამცა არა ერთსა ერთად პაზრობდესცა და იტყოდეს."* (განმარტ. გვ.3) და მეორე – *„რამეთუ სასწაულოდ შემავალთა ყოველთა პირველად უმარტივესთა ასწავებენ, და მერმეღა მათგან შედგმულთა..."* (იქვე, გვ.5)

ამგვარად, პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლების" ძირითადი პრობლემა არის *ერთის* დასაბუთება და ერთისა და სიმრავლის დამოკიდებულების საკითხი, რაც ამ ატიკელ ფილოსოფოსს გადაწყვეტილი აქვს მონოთეისტური თვალსაზრისიდან ამოსვლით: *„ყოველი სიმრავლე ეზიარების რაჲთავე ერთსა"* – ანუ ყოველივეს დასაბამი და მიზეზი უზადო და წმინდა ზესთერთია, რომელიც უმოქენოა, ანუ თვითმდგომია, თვითერთია და არ საჭიროებს არაფერს თავისი არსებობისათვის. ყოველივე – სიმრავლე მომდინარეობს – იწარმოება ამ ზესთ ერთისაგან. პროკლეს ეს ძირითადი თეზისი, როგორც იოანე პეტრიწი ამბობს, *„უკუნ არღუ�s ყოველთა, რომელთაცა დასხნეს დასაბამნი მრავალნი და შემალეს საუკუნესა მორის დამყარებული წესი, არამედ და მყის უჩინო პყოფს მათ, ვითარცა ნაღდადმარდლევთა."* (განმარტ. გვ.12).

ერთისა და სიმრავლის (ანუ პლატონის „პარმენიდეს" მიხედვით უკიდურესად განზოგადებული – „სხვის") დამოკიდებულების საკითხი, რომელიც პარმენიდედან (ელეატებიდან) დაწყებული ქვაკუთხედია ანტიკური (პლატონური) ფილოსოფიისა, თავისთავად უკავშირდება ნეოპლატონური (პროკლეს) ონტოლოგიური სტრუქტურის საკითხს, რომლის თავში აბსოლუტური *ერთია*. მასთან *ზიარება*, რაც *წარმოობის*, გამომდინარეობის (πρόοδος πρόοδος προείσιν) აუცილებელი პირობაა, თითოეული სერიის (σειρά სირა, რიგი, ნათხზი) მხოლოებს (პენადებს) თავიანთი გვართ-მთავრების სამუალებით (თვითმდგომი, თვითარსი, „უმოქენო" მონადების) სამუალებით შეუძლიათ. *„გვართმთავარი"* კი იგივე εἶδος – ἰδέα-ა (თითოეული რიგის გვართმთავარი ერთი იდეის, *გვარის* ქვეშ აერთიანებს სირას, რიგს, ანუ სტრუქტურის მთელ რიგს, მწკრივს), რომელიც აგრეთვე ქვაკუთხედია ანტიკური ფილოსოფიისა. კერძოდ კი პლატონის მოძღვრებისა იდეების შესახებ. ძირითადად ფილოსოფიის ამ ორი კარდინალური პრობლემის გარშემო ტრიალებს კამათი პლატონის დიალოგ „პარმენიდეში", სადაც პლატონს *იდეა* მაქსმალურად აქვს განზოგადებული *„ერთის"* კატეგორიამდე და მას უპირისპირებს მატერიის მაქსიმალურად განზოგადებულ

ცნებას „*სხვას*". ამიტომაცაა, რომ პლატონის ამ დიალოგის პერსონაჟების სახელები – პარმენიდე, ზენონი და სოკრატე იოანე პეტრიწის განმარტებაში თითქმის ყოველ თავში გვხვდება, განსაკუთრებით კი იქ, სადაც მსჯელობაა *ნამდვილ-მყოფის* მიმართებაზე *ერთთან*.

სწორედ ამ ფილოსოფიური კატეგორიის პეტრიწისეული ქრისტოლოგიური ინტერპრეტაციის მაგალითზე შეიძლება დავინახოთ შუა საუკუნეების ამ დიდი ქრისტიანი მოაზროვნის ღვთისმეტყველების მეთოდი (ამ საკითხთან დაკავშირებით იხ.: Д. Меликишвили, 1991, გვ . 41-49).

Ὄντως ὄν – *ჭეშმარიტი არსი* ანუ *ნამდვილ-მყოფი* – იოანე პლატონური ფილოსოფოსის თეოლოგიური (ამ ტერმინის როგორც ანტიკური, ისე ქრისტიანული გაგებით) ხედვის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ერთი მხრივ, *ნამდვილ-მყოფის* როგორც ფილოსოფიური კატეგორიის მიმართება *ზესთერთთან*, ვითარცა მისი ხატისა და მსგავსისა, ხოლო მეორე მხრივ – ლოგოსი ღმერთის უპირმშოესი ძის მიმართება მამა ღმერთთან, ვითარცა მისი ხატისა და მსგავსისა (εἰκώνα καὶ ὁμοίοσι) „ეკმაგიოსა და აღმონატჯურისა" (ἐκμάγειον καὶ σφραγισμα), იოანე პეტრიწის მთელი „განმარტების" ყურადღების ცენტრშია.

პროკლე „თეოლოგიის საფუძვლებში" (Στοιχείωσις θεολογική) *ნამდვილმყოფის* ფილოსოფიური კატეგორიას სულ რამდენიმე პარაგრაფში ეხება (§ 86, 87, 88, 89) და ისიც არა საგანგებოდ, არამედ როგორც კერძო მაგალითს მარადისობასთან და უსაზღვროობასთან ზიარების საილუსტრაციოდ. პეტრიწის „განმარტების" თეოლოგიური ხედვების მთავარი ღერძი კი, როგორც უკვე ვთქვით, *ნამდვილმყოფი* და მისი სფეროა. არსის სტრუქტურაში *ნამდვილ-მყოფის* რაობისა და ადგილის თაობაზე თავისი თეოლოგიურ ხედვებში იგი ეყრდნობა პროკლეს სხვა ნაშრომებს, კერძოდ, მის კომენტარებს პლატონის „პარმენიდეზე" და, განსაკუთრებით, მის ფუნდამენტურ თხზულებას „პლატონურ თეოლოგიას",[2] რომელსაც იგი იმოწმებს როგორც „დიდთა საღვთისმეტყველოთა" წიგნს თუ თეორიას (მაგ.: *პირველი არსებაᲲ, რომელ არს ნამდულ-მყოფი, ერთთა მათ რიცხუთა მიერ წარმოდგა, პირველისა საზღვრისა და პირველისა უსაზღვროობისაგან, ვითარცა აღმოიჩინა დიდთა საღმრთისმეტყველოთა მორის* (§59, გვ.126, 1-4); *რომლისათჳს*

---

2 *მყოფი ერთის* შესახებ პროკლეს „პლატონურ თეოლოგიაში" და იოანე პეტრიწის „განმარტებაში", იხ. ანა ხარანაული, 1990, გვ. 130-14.

ფრიად არს სიერცე აღმოსაჩენთაჲ დიდსა მორის საღმრთისმეტყუელოთასა (§ 151, გვ.176).

ცნობილია, რომ ნეოპლატონური არსის სტრუქტურა, ორიგენედან დაწყებული, იყო ინტელექტუალური ცდუნება ქრისტიანი პლატონიკოსებისათვის წმინდა სამების დოგმატის ინტერპრეტაციისას, რადგანაც სწავლება წმ. სამების შესახებ სარწმუნოების, გამოცხადების გზით ჩამოყალიბდა. ამ სწავლების სქემატიზების მცდელობას კი დაქვემდებარების (სუბორდინაციის) პრინციპამდე მიჰყავდა ქრისტიანი მოაზროვნეები. როგორც გასული საუკუნის ცნობილი ბიზანტინისტი, ფ. უსპენსკი წერდა, „Церковное учение о св. Троице было камнем преткновения для большинства схоластиков и к этому вопросу приходили как бы невольно, увлечённые естественным ходом мыслей" (Успенский,1992, გვ. 201). თავის დროზე ბიზანტიაში წვალების ახალი ფორმებიც წმ. სამების ლოგიკური დასაბუთების გზაზე ჩნდებოდა. როგორც ათანასე დიდი ამბობდა, არიოზი ეკლესიის „გარდამოცემას" კი არ ეყრდნობოდა, არამედ ფილოსოფიურ სილოგიზმებსო.

შეძლო თუ არა XII საუკუნის ქართველმა თეოლოგმა, თავისი „საღვთისმეტყველო ხედვებში" თავიდან აეცილებინა თავისი თანამედროვე ბიზანტიელი მოაზროვნეების – აბაგი ნილის თუ სხვათა შეცდომები, ჩავარდა თუ არა მათსავით ორიგენესა და არიოზის „მთხებლში" და „გარდაელინდა" თუ არა წმ. მამათა მართმადიდებელ გზას?

ეს ეჭვები ებადებოდათ მის თანამედროვე იმ ბერძენთა და ქართველთ, რომელთაგან დევნასაც უჩივის იოანე ფილოსოფოსი თავისი განმარტების „ბოლოსიტყვაობაში". პროკლეს თხზულების პეტრიწისეული თარგმანისა და განმარტების XIII საუკუნის ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერის ავტორი (შესაძლებელია, ნუსხის გადამწერი) წუხს თავისი მოქმედების გამო: *რასა ვწერ, ანუ რასა გლახ-ვმოქმედებ. წარმოვსიტყუავ ყოველსა ძალსა ქრისტეს მიერ. ამის წიგნისგან წარწყმდა სამგზის წყეული არიოზ, არამედ ამისგანვე განათლებულთა სამგზის მოიგეს ღვთისმეტყველებისა სახელი: დიდთა ბრძენთა დიონოსი და ღრიღორი და ვასილი და სხუათაცა ვიეთმე, ხოლო მენ გონებაჲ განწმედილი მოიგე ღმრთისა მიმართ და საზღცართა მამათა წმიდათასა ნუ გარდაჰელინდები და არა საცდურ გექნესო* (H 1337, 1v). ხოლო XVII საუკუნის სასულიერო მოღვაწე, მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბამეილი სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ ვინც გულისხმისყოფით წაიკითხავს პროკლესა და პეტრიწის თხზულებას, ის დიდ საღვთისმე-

ტყველო ხედვებს აღმოაჩენს მასში, ხოლო ვინც ზერელედ და უგულისხმოდ გამოიძიებს, მას არიოზისა და ორიგენეს მთხრებლში ჩავარდნა ემუქრება.

და მართლაც, თუ ზერელედ და ზედაპირულად, სქემატურად შევხედავთ პროკლეს ონტოლოგიური სისტემის (კერძოდ, *ნამდვილმყოფის*) პეტრიწისეულ ქრისტოლოგიურ ანალოგიებს, ისინი, ერთი შეხედვით, შეიძლება ორიგენეს საცდურად და არიოზის წვალების გამოძახილადაც მოგვეჩვენოს, რადგანაც ნეოპლატონური ონტოლოგიური სისტემა იერარქიულ, სუბორდინაციულ დამოკიდებულებას გულისხმობს არსის რიგებისა (სერიებისა), სადაც ყოველი მომდევნო საფეხური არის გამომდინარეობა (პეტრიწის ტერმინით — „წარმოობა", „გზავნა" — πρόεισιν, πρόοδος) წინა, არსებით მაღალი საფეხურისაგან და, ამდენად, მისი მდარე ანარეკლია. იოანე პეტრიწის მთელი „განმარტების" მანძილზე კი პროკლეს *ნამდვილმყოფის* (რომელიც გონების მწკრივის გვართმთავარი, სირათმთავარი და დასაბამია) მიმართება *ზესთერთთან* გააზრებულია, როგორც ანალოგია ლოგოსის ანუ ძის მიმართება მამა ღმერთთან; მისი შემადგენელი ორი შემოქმედებითი წყარო — *პირველი საზღვარი* და *პირველი უსაზღვროობა. პირველი საზღვარი* კი, რომელსაც, როგორც იგი ამბობს, ფილოსოფოსი „გვართა გვარს" (ანუ „იდეათა იდეას") უწოდებს, *„ხოლო ჩუენ აწ ძე ვუწოდეთო,"* გააზრებულია როგორც ძის ღვთაებრივი ბუნებისა, ხოლო პირველი უსაზღვროობა კი ადამიანური ბუნების ანალოგია; ნამდვილმყოფი ისევეა ერთის ხატი, და ყოველთა მყოფთა იგავი და ღმერთი, როგორც ძე — ქრისტეა ხატი ღმერთისა უხილავისაჲ (კორ. IV, 4; კოლ. 1,15; რომ. 8,29...). *შედგმული* და *მყოფი ერთი*, რომლებიც ნამდვილმყოფის სხვადასხვა ასპექტს წარმოადგენენ, სხვადასხვა საფეხურზე დგანან, მაგრამ როგორც ა. ხარანაულმა აჩვენა, „ეს საფეხურები *ლოგიკურად* არიან ერთმანეთის მომდევნონი და არა რეალურად, დროული თვალსაზრისით. მით უმეტეს არ წარმოადგენენ ისინი წარმომობის სხვადასხვა საფეხურს" (ა. ხარანაული, 195, გვ.150). „განმარტების" სხვადასხვა თავში ნამდვილმყოფის დახასიათება, როგორც *პირველი გონებისა* და *პირველი მყოფისა*, როგორც *გვართა ადგილისა* (ანუ იდეათა ტოპოსისა) და *ყოველი მყოფის მიზეზისა* (§§ 31, 36, 53, 57, 136, 88, 29, 101), პარალელს პოულობს *ძის* დახასიათებასთან „ბოლოსიტყვაობის" შემდეგს კონტექსტში: *„ამის განგებისა მიერ, გონებისად და მყოფისად პირველისა, რომელ არს ძე, გუართა ყოველთა ადგილი, სულისა მიერ ზესთ ჭეშმარიტისა მიერ გარდმოიძღვანვიან დამსახნი ... მრავალსაქადიანობასა ნივთისასა"* (განმარტება, გვ.212).

ამგვარად, დავინახეთ, რომ პროკლეს ონტოლოგიური სტრუქტურის ღვთისმეტყველების ენაზე გადმოტანისას, ისევე, როგორც საშოგადოდ, სხვა ფილოსოფიური კატეგორიების ღვთისმეტყველების ენაზე განმარტებისას, იოანე პეტრიწი მიმართავს არა სილოგიზმის, დასაბუთების, არამედ ანალოგიის, მაგალითის გზას (ანალოგიის პრინციპის შესახებ იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში იხ. გ. თევზაძე, 1981, გვ.227).

მაგრამ, როდესაც ვლაპარაკობთ იოანე პეტრიწის მიერ მოხმობილ ანალოგიებზე ერთისა – მამა ღმერთთან; ნამდვილმყოფისა – ძესთან; სამარადმყოს უძრაობისა და იგივეობრიობისა – ეამისქვეშეთა მარადიულ დენასა და ციკლურ მოძრაობასთან; მთელისა და მისი ნაწილების მთელში შეურევნელი ერთობის (იხ. თესლისა და მცენარის მაგალითი, „განმარტება", § 1, გვ.14) შესახებ და სხვ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ანალოგიები ფილოსოფიურ კატეგორიებსა და ხედვებთან მოხმობილია იმისათვის, რომ მოწაფეს, მსმენელსა თუ საერთოდ, „გამგონეს"(შემმეცნებელს) ადამიანის გონებისათვის მისაწვდომი „სიტყვიერებითი" შესაძლებლობების ფარგლებში გააგებინოს, აუხსნას თუ გაუხსნას ამ საყოველთაო მიზეზის ზესთმდებარეობა, ერთარსება წმინდა სამების ჰიპოსტასების შეურევნელი ერთობა, მარადისობის ზედროულობა და საერთოდ, მიახლოებითი მაგალითებით შეუქმნას პოზიტიური წარმოდგენა იმ, ადამიანური გონებისათვის მიუწვდომელი, ზესთგონიერი, შეუცნობადი და წარმოუსახველი (*მიუწუთო, უცნაური, უოცნო*) ერთის – ღმერთის ზესთაობაზე, რომელიც განსჯასა და დასაბუთებას არ ემორჩილება და მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენის (სარწმუნოების) ნეტარებით განიცდება. კარგად ამბობს მ. გოგიბერიძე, რომ პეტრიწისათვის ღმერთს „დამტკიცება არ სჭირია, არამედ ცხადყოფა" („კავშირ.", გვ. LXXXVIII). ამიგომ, ერთადერთი, რაც შეუძლია ფილოსოფოსს თუ თეოლოგს შესთავაზოს გამგონეს (ანუ შემმეცნებელს), ეს არის ის, რომ „ხატთა მიერ ანუ იგავთა მიერ" მიაწოდოს ცოდნა ზესთგონიერ (ზესთა სოფლის) შესახებ: ე.ი. კი არ დაუსაბუთოს, არამედ უჩვენოს, ცხად-უყოს მაგალითებით, სახეებით, ანალოგიებით: რადგანაც ის ზესთგონიერი მარადმყო *„დაუზესთავდების ყოველთა მონაგონსა, არამედ ანუ ხატთა მიერ, ანუ იგავთა მიერ მეცადინეობს სული ცნობად მის უოცნოჲსათჳს და სწყურის მისდამი"* (§ 51, გვ.113). მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, *„გამგონეს"* უნდა ახსოვდეს, რომ *„მუნაჲ ყოველი დაიპყრეს იგავის იგავთა, ხოლო აქაჲ – ხატთა და ხატის ხატთა, რამეთუ ხატნი ყოველნი იგავნია ხატ"* (§ 50, გვ.108). ამიგომ ეს ანალოგიები იგივეობრივად, პირდაპირ კი არ უნდა გავიგოთ, არა-

მედ *„იგავებრივად"* და *„ხატებრივად"*. ესენი, როგორც შესანიშნავად განმარტავს პეტრიწი, *„იგავად ოდენ ესახეებიან და ეიგავებიან მას ერთებრივსა რიცხუსა და ზესთაობასა ერთისასა, ამისთუს, რომელ წინაუკუმო ძეს, რამეთუ– ზესთა ძეს ესე ყოველსა არსებასა და ძალსა"* (§ 1, გვ.14).

ამგვარად, *„შუენიერ ხედვათა"*, პლატონურ ფილოსოფიურ მიძღვრებათა და *„აქათა"* (ამქვეყნიური არსის) მაგალითებისა და ანალოგიების მოშველიებით პეტრიწი აღწევდა პოზიტიური წარმოდგენის მექმნას *„მუნად"*-ზე – ზესთა სოფელზე, ღმერთზე, ოღონდ ისე, რომ მკვეთრად მიჯნავდა მათ ერთმანეთისაგან. ასე მაგ., პროკლეს ტრაქტატის I თავის ძირითადი თეზისის: *ყოველი სიმრავლე ეზიარების რადთაეე ერთსა* განხილვისას, იოანე ფილოსოფოსი თესლისა და მარცვლის მაგალითების მოხმობით ნათლად ხსნის, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ სიმრავლის მთლიანობა (*ყოველობა*) ერთში არა შერწყმული სახით, არამედ როგორც შეურევნელი ერთობა. ამით იგი მიახლოებითს წარმოდგენას უქმნის გამგონეს სამგვამოვნების შეურწყმელ ერთობაზე. ან თუნდაც, მაგ. ციური სფეროს არსებითი იგივეობის, მარადიულობის (რაც მის ციკლურ განმეორებად მოძრაობაში გამოიხატება) შედარების გზით მარტივ, ღვთაებრივ მარადისობასთან (რაც უცვალებლობასა და უძრაობაში მდგომარეობს), ამ ორ უკვდავებას შორის არსებითი სხვაობის ცხადყოფა მოსწავლისათვის შესანიშნავი ნათელი მსჯელობით: *ცისაგ გარდასრული შეეკრვის მომავალსა და ერთექმნების მას, და დასასრული მისი დასაწყის და დასაბამ იქმნების სხუსა და ჰგიეს იგი უკუდავად და დაუესებელად, მაგრა კუალად და კუალად და არა მარტივად უკუდავად, რამეთუ მარტივი უკუდაეებაგ უქცევ და უცვალებელ არს, ხოლო ცის-შორისი უკუდავებაგ – ქცევით და კუალად და კუალადითა არს, რამეთუ ვბთარ მოქმედებანი, ეგრეცა და არსებანი* (§ 50, გვ.110). ასე წვრთნის და ავარჯიშებს იოანე ფილოსოფოსი მოსწავლის გონებას, რათა მან შეძლოს ანალოგიის გზით მისწვდეს მიუწვდომელს, წარმოისახოს წარმოუსახველი, შეიცნოს შეუცნობელი.

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ანალოგიის პრინციპის გამოყენებისას იოანე ფილოსოფოსი არ შეიძლებოდა მისულიყო მწვალებლობამდე, რადგანაც წინაპირობა მისი ანალოგიისა არის ხატის, ანარეკლის გაგება და არა იდენტურობის, იგივეობრიობის ხედვა. იოანე პეტრიწის ღვთისმეტყველების მეორე მეთოდს – „თანშესიტყვის იძულებითი კანონების", ანუ ლოგიკური გზით შემეცნების გზას, ძირითადად აპოფატიკურ მეთოდს, ასევე არასოდეს მიუყვანია იგი დოგმატების ეჭვქვეშ დაყენებამდე და რყევამდე, რადგანაც

მისთვის ამოსავალია დებულება – ერთი უზესთაესია, უზესთმდებარეა, უპირობოა და აქედან ამოსვლით აგებს იგი თავის აპოფატიკურ ღვთისმეტყველებას.

დასაბუთების ამ გზაზე იგი მკაცრად იცავს არისტოტელეს სილოგიზმის *„იძულებითს"* კანონებს, რომელთა გარეშეც, მისი აზრით, შეუძლებელია რისამე შემეცნება სიტყვიერი, ლოგიკური გზით, მაგრამ რომლებიც *„ვერ კმა არიან"* და წყვეტენ მოქმედებას, როგორც კი დასაბუთება მიადგება დასაბამს – ზესთერთს, რადგანაც *„ზესთერთის ნათხზთა ვერ კმა-ეყოს აღმოჩენაჲ, რამეთუ არიან ღმრთეებრ მთენარე"* (§ 101) და, თუ ლოგიკური კანონების მიხედვით გონებითი წვდომის სფეროში *„წრე დასაბუთებამი"* დაუშვებელია (*ურთიერთასი მჩუენებლობაჲ საგიობელ არს ფილოსოფოსთა მიერ:* S 2562, 166r), *„სამარადმყოს"* სფეროსათვის იგი კარგავს თავის მნიშვნელობას, რადგანაც ეს სფერო მიღმაა (*იმრრეა*), ზესთაა გონიერ სფეროზე. შეუცნობადი, *„უცნო"* ერთის დასაბუთებისათვის (ანუ *„აღმოჩენისათვის"*) რომ არისტოტელეს სილოგიზმის კანონები უძლურია, პეტრიწის აზრით, ეს როკლემ აჩვენა: *„თუთ არისტოტელეს მიერ შესიტყვითთა კანონთაჲთ ჩემებული სიმართლე, რომლითა ურღუევდეს პლატონს პერიპატოელნი, განაცხადა და უმდგო-ყო"* („განმარტება", გვ.5), წერს იგი თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში.

იოანე პეტრიწის, ისევე როგორც პროკლეს, დასაბუთების გზაზე ამოსავალია და ურყევი დებულება: *„ერთი უზესთმდებარეა", „არა არს სხუა უპირველესი ერთი – უზადო, წმიდა, ზესთმდებარე თუ-თერთისასა"* და ამ თეზისს ეფუძნება მთელი მისი შემდგომი მსჯელობანი იმიტომ, რომ *„იყოს თუ სხუაჲ უპირველეს, ვერ-სადა ჰპოვონ არსთა თუსი მისადგომაჲ"* (გვ.15). და ასე, ყველა შესაძლებელი საწინააღმდეგო აზრის დაშვებისა და მისი უარყოფის გზით (*„ესე შეუძლებელ და უკამსო"*.. *„არამედ ესე უჯერო და შეუძლებელ"*..) იოანე პეტრიწი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, *„საღმრთისმეტყველო კანონთაებრ", „თანგანელის (გამომდინარეობის) წესით" „ფრიად ცხადად"* აჩვენებს რომ *„არ ვინაჲ ერთი სიმრავლისაგან, არამედ სიმრავლე ერთისაგან"*, რომ *„ბუნებითსა ერთსა, რომელ არს თუთერთ, – რაჲ არს უპირველეს."* ამგვარად, თვით ამ ერთის საფუძველად აღებით, ანუ როგორც თვითონ ამბობს, *„შეწევნითა თუთ მის ერთისაჲთა, უმხილებელთა აღმოსაჩენთა (უცილობელი საბუთების) მიერ"* ასაბუთებს იგი ზესთმდებარეობას ერთისა („განმარტება", § 1, გვ.12). ყოველივე ამის ჩვენებას მოსწავლეთათვის იგი ახერხებს ხან რიცხვთა მაგალითების მოხმობით, *„ოდესმე შედარებით პირველობისა და შემდგომობისა"*, ხან ერთმანეთისაგან

გამომდინარეობის, ხან შეერთებისა და გაყოფის, ხან ერთიმეორეში გადასვლის, ხან უსაზღვროობის და ხან კი თვით საზღვრისა და მიზეზის კვლევის გზით. უსაზღვროობისა და უმიზეზობის უარყოფას კი იგი კვლავ ერთის დასაბამობისა და ზესთმდებარეობის აღიარებამდე მიპყავს: *და თქუას თუ ვინმე, არსო უპირველესი (ერთი) იყოს ვიდრემე სხუაჲ სხჳსა უპირველეს და არასადა ჰპოო ერთი დასაბამი და მისადგომი არსთაჲ, არამედ უსაზღერო და უმიზეზო, რომელ-ესე შეუძლებელ. რომლისათჳსცა არ ეგების, თუმცა პირველ ერთისა იყო ერთი, და არცა პირველ სიმრავლისა შედგმაჲ რაჲსაცა ანუ ერთქმნაჲ, თჳნიერ ერთისა* (§ 1,გვ.13).

ამგვარად, უსაზღვროობისა და დაუსაბამობის უარყოფით იოანე პეტრიწი უპირისპირდება იოანე იტალოსის კიდევ ერთ ძირითად დებულებას (იმ თერთმეტი ბრალდებიდან, რომელიც ამ უკანასკნელს წაუყენეს სასამართლოზე, კერძოდ, მატერიის უსასრულობის, დაუსაბამობის შესახებ, რაც ეჭვქვეშ აყენებს ტრადიციად ქცეულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ თითქოს იოანე პეტრიწი ყოფილიყოს იტალოსის უერთგულესი მოწაფე და მიმდევარი. ხოლო, თუ გაეითვალისწინებთ იმასაც, რომ იგი იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც ორი საწყისის სუბსტანციურობას აღიარებს (მანი და სხვ.), საგანგებოდ ასაბუთებს ერთი საყოველთაო მიზეზისა, კეთილის არსებას და ბოროტის უარსობას („ბოლოსიტყვაობა", გვ.212-213), რაც, ზემოთ ვნახეთ, ასევე ეწინააღმდეგება იტალოსის ერთ-ერთ ძირითად დებულებას ორი საწყისის სუბსტანციურობაზე, ვარაუდი პეტრიწის, როგორც იტალოსის უერთგულესი მოწაფის შესახებ, ეჭვქვეშ დგება და, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ შესწავლასა და დასაბუთებას მოითხოვს. თუმცა ზემოთქმული არ გამორიცხავს იმას, რომ პეტრიწი შეიძლებოდა ყოფილიყო იტალოსის მსმენელი მანგანას აკადემიაში და პსელოსიევით და იტალოსიევით გატაცებული იყო ანტიკური ფილოსოფიით, *„ღმრთიჳი პლატონით"*, რომელსაც იგი *„ღეთისმეტყველების მირონსაც"* კი უწოდებს და განსაკუთრებით კი პროკლე დიადოხოსით, ამ *„ატტიკელი" „პლატონური"* ფილოსოფოსით, რომელიც მას აინტერესებდა, როგორც მონოთეისტური ფილოსოფიური მოძღვრების ავტორი, რომლის ძირითადი თეზისიც *„ყოველი სიმრავლე ეზიარების რაჲთავე ერთსა"* პეტრიწის სიტყვებით, *უკუნ არღუევს ყოველთა, რმელთა დასხნეს დასაბამნი მრავალნი და შემალეს საუკუნესა მორის დამყარებული წესი, არამედ და მყის უჩინო-ყოფს მათ, ვითარცა ნაღელვაზარდლევთა"* (§ 1, გვ.12)).

ამგვარად, ღეთისმეტყველებისას პეტრიწი ამჯობინებს ჩვენების, ნათელყოფის, სახეებისა და მაგალითების გზას და არა სილოგიზმის

მეთოდს (რომელსაც წარმატებით იყენებს ბუნებითი, ანუ ფიზიკური და ფილოსოფიური კატეგორიების შესახებ მსჯელობისას). ვუიქრობთ, სწორედ ამით განსხვავდება იგი თავისი დროის რაციონალისტური მიმართულების ბიზანტიელი თეოლოგებისაგან, რომლებიც სილოგისტური გზით სელისას, ლოგიკური არგუმენტაციის გზაზე აუცილებლობით მიდიოდნენ დოგმატების უარყოფამდე:[3] კერძოდ, იოანე იტალოსი – ორი საწყისი დოგმატიზების მოთხოვნამდე, მატერიის უსასრულობის აღიარებამდე, ევსტრატი ნიკიელი წმ. სამების დანაწევრებამდე და სუბორდინაციონიზმამდე, სოტირიხოს პანტევეგენოსი – ბუნების (არსების) და გვამოვნების (პირის) აღრევამდე და სხვ. ეს უკანასკნელნი მსჯელობდნენ რა დოგმატებზე, სილოგიზმის „იძულებითს კანონებს" უმორჩილებდნენ მათ, ხოლო იოანე პეტრიწი კი მიპყვებოდა წმიდა მამათა გზას, რომლებიც არჩევდნენ ელაპარაკათ არა დასაბუთების (ἀπόδειξις) პეტრიწის თარგმანით – „*აღმოჩენის*", არამედ „*ჩვენების*" (δείξις) ენაზე. ჯერ კიდევ ნეტარი კლიმენტი ალექსანდრიელი აღნიშნავდა, რომ რამდენადაც დასაბუთება (=აღმოჩენა, ἀπόδειξις) არის საგნის ლოგიკური გზით გამომდინარეობა, იგი არ გამოდგება ყოველიეს დაუსაბამო დასაბამის მიმართ.[4] პატრისტიკულ აზროვნებამი ღვთის მყოფობა (გება) არ ექვემდებარება დასაბუთებას (ანუ „*აღმოჩენას*"), მისი დასაბუთება, „*აღმოჩენა*" (ἀπόδειξις) კი არ ხდება, არამედ „*ჩვენება*" (δείξις). მაგრამ როგორ შეიძლება ჩვენება იმისა, რაც უხილავია, წარმოუსახელია („*უოცნოა*")? – მხოლოდ და მხოლოდ მისგან წარმოარსებულთა – ანუ ფიზიკური არსის ანალოგიების გზით, ისევე, როგორც ფერწერული თუ ფრესკული ხატები არის გამოვლენა და ჩვენება უხილავისა და დაფარულისა.

---

3 ამიტომ იყო, რომ თომა აქვინელი, ითვალისწინებდა რა შუა საუკუნეების პოლემიკის გამოცდილებას, არჩევდა ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი ჭეშმარიტებების, სამების დოგმის, განხორციელების საიდუმლოს, სამყაროს წარმოშობის...) განსჯის გზით დასაბუთებისათვის თავი აერიდებინათ (ი. ბორგომი, 1966, გვ.48). ხოლო უფრო ადრე კი ჩვენთვის ცნობილი ბიზანტიელი ეგზეგეტები, იოანე პეტრიწის თანამედროვე, თეოფილაქტე ბულგარელი თავის განმარტებაში „იოანე თავის სახარებისა" წერდა: „და, თუ ვითარ შეეკრა სხეულსა სიგყუაჲ ღმრთისაჲ, ამის უკუე გუარისა განხსნაჲ შეუძლებელ" (A 52, ფ. 10r).

4 „...Мыслители греческой патристики предпочитали говорить не о „доказывании" (δείξις) бытия Богаразличение этих терминов, как известно, восходит к логической терминологии Аристотеля. Ещё Климент Александрийский пояснял, что, поскольку доказательство есть логическое выведение вещи из более глубоких и более первычных начал, к безначальному Началу всех начал оно принципиально неприменимо." (С. Аверинцев, 1977, с. 33-34).

ამგვარად, პეტრიწის ღვთისმეტყველების მეთოდი დამყარებულია ორ თვისებრივად განსხვავებულ სფეროთა შორის მიმართებათა მსგავსებაზე (მაგრამ არა იგივეობაზე), რადგანაც მხოლოდ ანალოგიის გზით შეიძლება დადგინდეს კავშირი იქ, სადაც სხვადასხვა კატეგორიებს დაქვემდებარებულ საგნებთან და მოვლენებთან გვაქვს საქმე.

ამგვარად, შემეცნების იმ ორი მეთოდიდან, რომელსაც იოანე პეტრიწი თავის მოსწავლეებს აცნობს „განმარტების" შესავალ ნაწილში, პირველი — სულითი შემეცნების გზა დისკურსიული, განსჯის მეთოდი (διάνοια — მიდმოგონება) მისი აზრით, დოგმატურ ღვთისმეტყველებაში საკმარისი არ არის. მეორე გზა — გაგონების, ანუ მარტივი წვდომისა, ერთბამი განათების გზაა, როგორც მზე რომ ამოვა და მისი სხივებიც — *„მარავანდნ' — უეამოდ და მიუდრეკელად დაჰფარვენ ყოველსა.* ეს გზა ყველასათვის როდია მისაწვდომი. მაგრამ ფილოსოფიურ ხედვებში გაწაფვის მსურველ მოსწავლეთათვის ზესთაგონიერ სამყაროზე პოზიტიური წარმოდგენისა და ცოდნის შექმნის მესამე გზა არსებობს — ესაა გონიერი ხედვების მაგალითად მოხმობა, ანალოგიის გზა, რომელსაც წარმატებით იყენებს იოანე პეტრიწი თავის მსმენელთა და მოსწავლეთათვის დაწერილ „განმარტებაში". აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიერ მაგალითის ფუნქციის განმარტება: „მაგალითი მეცნიერებაჲ არს ხედვისებრიობისა მიერ ყოვლითურთი საღმრთოთა სიტყუათა მისაწდომელი ბუნებისაჲ შეცვაჲ, მოგონებისა უაღრესსა გამოჩინებასა მქონებელი... მაგალითი — შემეცნების დასაბამსახეობისაჲსა არს მჩუენებლობითი მოსაგონებელთაჲ... ყოველი აქაჲ მეცნიერებაჲ მაღალთაჲთ, თანამეტყუებული ყოფადისა მიმართ, მაგალითი არს, მსგავსებასა ჭეშმარიტებისასა და არა თჳთ მისებრსა შემტკიცებულებასა მქონებელი, გამოჩიებად გულვებადისა ჭეშმარიტებისასა... მეცნიერებისებრთა სახისდასაბამთა გამომაჩინებელობითი არს მაგალითი... მაგალითი მხედველობისასა წარმოადგენს საიდუმლოსა" (K-14, ფ.58v). სწორედ ამ თვალსაზრისით იყენებს იოანე პეტრიწი მაგალითს და ანალოგიას თავის ფილოსოფიურ ხედვებში და ამაში მას მხარს უჭერს წმ. მამათა ტრადიციაც, სადაც ამგვარი დიალექტიკური განსჯანი მოხმობილია აზროვნების, გონების ვარჯიშისა და ძიებისათვის და არა სჯულმდებელობის პრეტენზიითა თუ სურვილით, რაზედაც კვლავ მაქსიმე აღმსარებლის სიტყვები მიუთითებენ: „ესენი უკუე მეძიებელობით და არა სჯულმდებელობით ითქუნესო ჩუენ მიერ" (K-14, 304).

დამოწმებული ლიტერატურა

1. განმარტება – იონე პეტრიწის შრომები, ტ.II, გამზცეს ს. ყაუხჩიშვილმა და მ. ნუცუბიძემ, თბილისი, 1937.
2. მ. გოგიბერიძე – „იონე პეტრიწის მსოფლმხედველობა", იოანე პეტრიწის შრომები, ტ. I, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1940.
3. ტ. თევზაძე, 1981 – ანალოგიის პრინციპი იოანე პეტრიწის ფილოსოფიაში, წიგნში: შუა საუკუნეების ფილსოფიის ისტორიის პრობლემები, თბილისი, 1981, გვ.227.
4. კ. კეკელიძე – ქართული ლიტერატურის ისტორია, თბილისი, 1960
5. მ. ნუცუბიძე – იოანე პეტრიწი და მისი „განმარტება" (იხ. № I)
6. დ. მელიქიშვილი, 1988 – იოანე პეტრიწის ბოლოსოტყვაობის შედგენილობისა და ზოგი ახალი წყაროსათვის, თსუ, ძველი წართული ენის კათედრის შრომები, №27, თბილისი, 1988.
7. Д. Меликишвили, 1991 – Христологические интерпретации онтологической системы Прокла Диадоха в богословии Иоанэ Петрици, Византиноведческие этюды, Тбилиси, 1991.
8. Ф. Успенский _ Очерки по византийской образованости, СПБ, 1892.
9. ა. ხარანაული, 1990 – წყროთა გამოყენების მეთოდოლოგია პროკლე დიადოხოსისა და იოანე პეტრიწის შრომებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1990.
10. ა, ხარანაული, 1995 – პენადები და მონადები პროკლესთან და პეტრიწთან, ქუთაისის უნივერსიტეტის შრომები, ქუთაისი, 1995.

ᲓᲐᲛᲐᲜᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ

მორფემათა კვალიფიკაციის საკითხისათვის თანამედროვე ქართული ენის სინქრონულ გრამატიკულ სისტემაში

ქართული ენის ისტორიის მანძილზე ბევრი გრამატიკული კატეგორია მოიშალა, რომელთა გამომხატველმა ნიშნებმა ახალი ფუნქციები იტვირთეს (ასე მაგ., დეტერმინანტ სუფიქსთა და განმ-

საზღვრელ ნაწევართა ბრუნვის ნიშნებად გადააზრიანება, ზმნაში ნიეთის კლასის ნიშნის, ზოგის აზრით კი კავშირებითი კილოს ნიშნის S_3 სუფიქსად გადააზრიანება. ინკლუზიეის გუ- პრეფიქსის I ობ. პირის მრავლობითის ნიშნად იქცევა, სასუბიექტო ვერსიის ი – პრეფიქსის კონვერსიულ ფორმებში ენებითის კატეგორიის ნიშნად კვალიფიცირება და სხვ.).

ეს ცვლილებანი შორეულ ისტორიულ წარსულში მოხდა და ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში უკვე სტაბილური სისტემის სახითაა ჩამოყალიბებული. ამიტომ თანამედროვე ქართული ენის გრამატიკულ სისტემაში მათი კვალიფიკაცია დავას არ იწვევს.

მაგრამ, არის ისეთი ენობრივი პროცესები, რომლებიც, თუ შეიძლება ითქვას, ჩვენს თვალწინ მოხდა – ასეთს მიეკუთვნება ქართული ზმნის ინვერსიის პროცესის შედეგად S და O პირის ნიშანთა ფუნქციების შენაცვლება.

თუ გადავხედავთ ქართული სალიტერატურო ენის ისტორიას V საუკუნიდან დღემდე, იმ მცირე რაოდენობის სისტემური და პრინციპული ხასიათის ცვლილებებს შორის, რომლებიც მოხდა ამ 15 საუკუნის მანძილზე თვისობრივი თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანია ზმნის პირთა ინვერსიის პროცესის გრამატიზაცია, რასაც, თავის მხრივ, შედეგად მოჰყვა მორფოლოგიაში დროკილოთა ახალი, პერფექტული (შემდეგში ე.წ. თურმეობითის) ჯგუფის ჩამოყალიბება, ხოლო სინტაქსში – სახელის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების ფორმალური პრინციპის სემანტიკური პრინციპით შეცვლა. -ულ სუფიქსი, რომელიც ისტორიულად ქართული ზმნის მორფოლოგიურ სტრუქტურაში S-ის მრავლობითის აღმნიშვნელი იყო, დღეს კვალიფიცირებულია, როგორც O_2 და S_3 პირის მრავლობითის ფორმანტი (გხატავთ იგი თქვენ, აქვთ იგი მათ), ისევე, როგორც ყოფილი ინკლუზიეის გუ – პრეფიქსი – O_1-ის მრავლობითის ნიშნად.

გარდამავალ ზმნათა რეზულტატიურ ფორმებში (III სერიაში), განგრძობა-აღქმის გამომხატველ სტაბილური ინვერსიის ზმნებში, <u>მანის</u> რიგის ნიშნებმა იკისრეს სუბიექტური პირის გამოხატვის ფუნქცია და პირიქით, <u>ვინის</u> რიგის ნიშნებმა – ობიექტური პირისა. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ პირის ნიშანთა სისტემის ცხრილში უნდა აისახოს რეალური ვითარება და შევიტანოთ ცვლილება: კერძოდ, სუბიექტური პირის ნიშანთა სისტემაში <u>ვინის</u> რიგის ნიშანთა გვერდით დაესვათ <u>მანის</u> რიგის ნიშნები, როგორც სუბიექტურ

პირთა მორფოლოგიურად შეპირობებული ვარიანტები და პირიქით, ობიექტური პირის ნიშანთა სისტემაში — <u>მანის</u> რიგის ნიშანთა გვერდით <u>ვინის</u> რიგის ნიშნები.

ძნელია ტრადიციის გადალახვა, მაგრამ ფორმალურ-ფუნქციური აღწერის განსამარტივებლად შეიძლებოდა გამოგვეყო ცალკე ჯგუფი (ყოლა-ქონების და გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნებისა), სადაც დატივში დასმულ პირს სუბიექტის კვალიფიკაცია მიეცემოდა, ხოლო ნომინატივში დასმულს (ყოფილ გრამატიკულ სუბიექტს) — პირდაპირი ობიექტისა. ეს საგრძნობლად გააადვილებდა სინქრონიაში ქართული ზმნის კონსტრუქციის აღწერას და უცხოელებისათვის სწავლებას.

III სერიის ფორმებში ვერსიის ნიშნებს (გამიკეთებია — გაკეთებივარ) ფუნქცია დაკარგული აქვთ, რადგანაც აქ პირთა მიმართება ამ ფორმათა წარმომაველობის გამო დარღვეულია. ამიტომ, ვერსიის პრეფიქსთა კომბინაცია ყოფილი სტატიკურობა-დიურატიულობის -ი სუფიქსთან ქმნის მოდელს I თურმეობითისა. ამდენად, ვფიქრობთ, შეიძლება ისინი კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც I თურმეობითის მაწარმოებელი კონფიქსები: ი-ი- (ხარ); უ-ი- (ვარ).

II თურმეობითის გაიდამავალ ზმნათა ფორმები, რომლებიც სტატიკურ ზმნათა წყვეტილს ეყრდნობა და დინამიკური ე- პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებს ემთხვევა, ოღონდ შებრუნებული წყობით (გა-ე-კეთებ-<u>ინ</u>-ა). ეს ე- პრეფიქსი, რომელსაც ვნებითი ფუნქცია დაკარგული აქვს, -ებ თემისნიშნიან ზმნათა -<u>ინ</u> სუფიქსთან ერთად შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს, როგორც ამ ტიპის ზმნათა II თურმეობითის კონფიქსი: ე-ინ, ხოლო სხვა ტიპის (გა-ე-თბო- და-ე-ხატა) ზმნებისათვის კი ოდენ ე- პრეფიქსი.

მედიოაქტიეთა წყვეტილისა და მყოფადის ი- პრეფიქსი (მეფობს — <u>ი</u> მუფა — <u>ი</u>-მეფებს), რომელიც სასუბიექტო ვერსიიდან მომდინარეობს, დღეს შეიძლება განვიხილოთ როგორც მედიოაქტიეის ნიშანი ისევე, როგორც მედიოპასიეთა შემთხვევაში <u>ი</u>- (დგას — <u>ი</u>-დგა — <u>ი</u>-დგება) და ე- (უყვარს — ე-ყვარა — ე-ყვარება). წარმოშობით პასიეის პრეფიქსები (აწმყოში — ი-სუფიქსთან ერთად, რომელიც III პირში იკვეცება (<u>ი</u>-დგებ-<u>ი</u> ე-ყვარებ-<u>ი</u>).

1995 წლის 19 სექტემბერს საქართველოს მართლმადიდებელი იერარქიისაგან ეკლესიის გაუპატიურებულ კრებაზე წმინდანად იქნა შერაცხილი ღვაწლმოსილი საეკლესიო ხელოვნე ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ (ოქროპირიძე), რომლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას გაეცნობა პროფესორ ᲛᲐᲡᲐ ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲔᲓᲘᲡ მიერ მომზადებული მასალა.

ᲦᲘᲠᲡᲘ ᲛᲐᲛᲐ – ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲡᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ

ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ (ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ) ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ 1824 წელს ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲮᲝᲯᲔᲚᲘᲡ ᲛᲦᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲪᲘᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ. ᲛᲘᲣᲠᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ, ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ 1845 წელს ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐ ᲑᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲬᲧᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲞᲐᲨᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲞᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲠᲔᲡᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲧᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲓᲐ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲛᲔᲠᲕᲘᲡ ᲓᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲞᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲠᲔᲡᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲧᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲛᲔᲠᲕᲘᲡ ᲓᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ, ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ 1845 წელს ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐ ᲑᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲬᲧᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲞᲐᲨᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲞᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲠᲔᲡᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲧᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲛᲔᲠᲕᲘᲡ ᲓᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ, ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ 1845 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐ ᲑᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲬᲧᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲞᲐᲨᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲞᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲠᲔᲡᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲧᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲛᲔᲠᲕᲘᲡ ᲓᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ, ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ 1845 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐ ᲑᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲬᲧᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲞᲐᲨᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲞᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲠᲔᲡᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲧᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲛᲔᲠᲕᲘᲡ ᲓᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ, ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ 1845 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐ ᲑᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲬᲧᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲞᲐᲨᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲞᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲠᲔᲡᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲣᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲐᲠᲝᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲧᲝᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲬᲔᲠᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲬᲘᲠᲔ ᲬᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡ ᲛᲔᲠᲕᲘᲡ ᲓᲘᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ, ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲗ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲝᲥᲠᲝᲞᲘᲠᲘᲡᲗᲐᲡ ᲝᲯᲐᲮᲨᲘ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ 1845 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲐ ᲑᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲛᲬᲧᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲐᲠᲥᲘᲡ ᲞᲐᲨᲐᲜᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲓᲠᲝᲡ ᲘᲞᲣᲚᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲘᲠᲔᲡᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ.

დამანა ·მელიქიშვილი

ნათესავი, ტომი, ერი ტერმინთა მნიშვნელობისა და ურთიერთმიმართებისათვის წმინდა წერილის ძველ ქართულ თარგმანებში

ზოგადად ცნობილია, რომ ძველი ქართულიდან ახლისაკენ ტერმინებმა ნათესავი, ტომი, ერი მნიშვნელოვანი სემანტიკური გრადაციები განიცადეს — ძირითადად კონკრეტიზაციისა და დავიწროების მიმართულებით. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, თითოეულ ამ ტერმინთა მნიშვნელობა განისაზღვრა და გარკვეულ ჩარჩოებში ჩაჯდა. კერძოდ, დღეს ნათესავები ერთი საერთო ახლო წინაპრის შთამომავლები არიან (ერთი დედ-მამის შვილების რამდენიმე თაობას სწვდება). ტომი განსაზღვრულია, როგორც პირველყოფილი თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი ეთნიკური ერთიანობისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმა. რომელიც აერთიანებს საერთო კულტურისა და ტერიტორიის მქონე მონათესავე გვარებს. ხოლო, რაც შეეხება ერს, ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში მოცემულია ცნობილი განსაზღვრება: „ერი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის. ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა“ (აქ გასაგები მიზეზების გამო გამოტოვებულია მნიშვნელოვანი ნიშანი: სარწმუნოება, რომელიც ილიას ცნობილ ფორმულაში ერის ერთ-ერთ ეკომპონენტს შეადგენს ენასა და მამულთან (ტერიტორიასთან) ერთად).

ტერმინი ნათესავი წმ. წერილის თარგმანებში ძირითადად ბერძნული γένος-ის („მოდგმა“, „შთამომავლობა“, „წარმომავლობა“, "род, происхождение, семейство, поколение, племя, народ"...) შეესატყვისება და ამ ბერძნული სიტყვის სემანტიკურ ველს მოიცავს.

იგი ნიშნავს 1) „მოდგმას“:

„ხოლო თავადმან ქრქუა მათ: ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსვლად, გარნა ლოცვითა და მარხვითა: მარკ. 9,29 (καὶ εἶπεν αὐτοῖς : τοῦτο τὸ γένος ἐν οὐδενὶ δύναται ἐξελθεῖν).

2) ერთი წარმოშობის ხალხს, დღევანდელ „ერს“: ხოლო დედაკაცი იგი იყო წარმართი, ნათესავით ასური, ზღუკიდელი: მრკ. 7,26 (Ἡ δὲ γυνή ἦν Ἑλληνὶς Συροφοινίκισσα τῷ γένει); „აბა, ნათესავი ისრაიტელთა, დიდ სიმრავლითა“ (Ἰδοὺ. τὸ γένος [|| ἔθνος] τῶν υἱῶν Ἰσραήλ μέγα πλῆθος).

3) რაიმე კლასს, დაჯგუფებას, გვარს, ფესვს: „რავდენნი იყვნეს ნათესავისაგან მღვდელთმოძღუართაესა“ Ὅσοι ἦσαν ἐκ γένους ἀρχιερατικοῦ.

ამრიგად, γένος პოლისემიური სიტყვაა, მისი ძირითადი მნიშვნელობა არის გენეტიკური წარმომავლობის ჩვენება, რაც წმ. იოანე დამასკელის „საფილოსოფიო თავებში“ („დიალექტიკაში“) მის პირველ, ძირითად მნიშვნელობადაა გამოყოფილი: „ნათესავი სამ სახედ ითქუმის: პირველად უკუე, მშობელთაგან, ვითარ-იგი ისრაელისაგანთა ისრაელ სახელ-ედების; მეორედ მამულისაგან, ვითარცა-იგი იერუსალიმს შობილნი იერუსალმელად სახელ-იდებიან

და პალესტინელისანი — პალესტინელად".

ნათესავ სიტყვის განმარტებისას საბა სწორედ იოანე დამასკელს ეყრდნობა: „ნათესავი სამ-სახედ განიყოფება: პირველი უკვე არს ისრაელისაგან ისრაელნი — მამობით; მეორე — პალესტინელისანი პალესტინელად — ქუეყნობით..." (მესამე — ლოგიკურ-ტერმინოლოგიური მნიშვნელობაა).

მაგრამ თავისთავად ომონიმური მნიშვნელობის γένος-ს ბერძნულში სინონიმიც აქვს — ἔθνος. ასე მაგალითად, „გამოსლვათას" წიგნის ზემოთმოყვანილ კონტექსტში γένος-ს პარალელურ რედაქციაში ἔθνος-ი ცვლის (იხ. გამოსლვ. 1,19; 5,14).

ამას ἔθνος ლექსემის ქართული თარგმანების შესატყვისი ნათესავიც ადასტურებს. ἔθνος-ის მხ. რიცხვის ფორმა ქართულ თარგმანებში, ჩვეულებრივ, ნათესავ ლექსემით გადმოაქვთ. იშვიათად — თესლით. ἔθνος ამ ფორმით, როგორც წესი, ძველი და ახალი აღთქმის ტექსტებში ნიშნავს „იუდეველ ხალხს, ერს, ნათესავს, ტომს, მოდგმას, თესლს" (და ჩვეულებრივ, ახლავს ატრიბუტი ἡμῶν - „ჩუენი"):

რამეთუ უყუარს ნათესავი ჩუენი: ლ. 7,5 (Ἀγαπᾶ γὰρ το *ἔθνος* ἡμῶν); გარდააქცევდა ნათესავსა ჩუენსა: ლ. 23,2 (Διαστρέφοντα τὸ *ἔθνος* ἡμῶν); და გაო შენ და სახლი მამისა შენისაᲲ ნათესავად დიდად: რიცხ. 14.12 (ποιήσω σὲ καὶ τον οἰκον του πατρὸς σοῦ εἰς *ἔθνος* μέγα).

ძვ. აღთქმის ოშკურსა და მისგან მომდინარე რედაქციებში ნათესავთან თარგმნილია σπέρμα, ხოლო ἔθνος თარგმნილია ტომით. გვიანდელი გელათური თარგმანი ასწორებს და σπέρμα-ს ქართულ შესატყვისად უმუდმეს თესლს, ხოლო ἔθνος-ს — ნათესავს: ὁς ἀν δῶ τοῦ σπέρματος αὐτου ἀρχοντι, θανάτω θανατοῦσθω. τὸ *ἔθνος* τὸ ἐπὶ τῆς γῆς λιθοβολήσουσιν αὐτὸν ἐν λίθοις (ლევიტ. 20,2) — რომელმან მისცეს ნათესავი თესლი მთავარსა, სიკუდილით მოკუდინ. ტომმან მის ქუეყანისამან ქვით დაჰკრიბოს მას (ASB) ‖ რომელმანცა მისცეს თესლი თესლი მთავარსა, სიკუდილით მოკუდინ. ნათესავმან მის ქუეყანისამან დაქოლოს იგი ქვითა (G)[1] (იხ. აგრეთვე, დაბ. 10,32).

მაგრამ თვით ბერძნული ლექსემა ἔθνος პოლისემიურია და კონტექსტის მიხედვით, მით უფრო, თუ იგი მრავლობით რიცხვშია (τὰ ἔθνη), შეიძლება ნიშნავდეს საერთოდ ხალხს, ხშირად — წარმართებს. ბერძნული ლექსემის ამ მნიშვნელობებს ლათინურ და სხვა ენებზე თარგმანები, მათ შორის ქართულ ენაზე თარგმანებიც ავლენენ: Φῶς εἰς ἀποκάλυψιν *ἐθνῶν* καὶ δόξαν λαοῦ σου Ισραὴλ (ლ. 2,30): ნათელი გამობრწყინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა (ლ. 2,30); Γαλιλαία τῶν *ἐθνῶν* — გალილეაᲲ წარმართთაᲲ (მ. 4,15); πάντα γὰρ ταῦτα τὰ *ἔθνη* ἐπιζητεῖ — ამას ყოველსა წარმართნი ეძიებენ (მ. 6,32); καὶ αἰχμαλωτισθήσονται πάντα τὰ *ἔθνη* — და წარიტყუენნენ ყოველთა მიერ წარმართთა (ლ. 21,24. იხ. აგრეთვე მრკ. 11,17 და სხვ.).

თუმცა ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ბერძნული γένος-ის შესატყვისად ქართულ თარგმანში შეიძლება შეგვხვდეს ლექსემა ტომი, ადრეეე ნა-

---

[1] საზოგადოდ, ეს მაგალითი შეიძლება გამოდგეს ნათელ ილუსტრაციად ძველ და გელათურ თარგმანებს შორის მთარგმნელობითი მეთოდის განსხვავებისათვის. იხ. მაგ. ასევე: γένος-ის შესატყვისად ASB-ში ერიᲲ, ხოლო გელათური აზუსტებს და ცვლის ნათესავით: ხოლო ამან ცოლად ქალწული, ერისაგან თესლისა მოიყვანეს (ASB) ‖ G — ესრეთ ღმერთსა ქალწული ნათესავისაგან თესლისა მოიყვანეს (ლევიტ. 21,13 — γένοῦ αὐτου).

სესხები საშუალო სპარსულიდან: tohm — „ნათესავი, თესლი, მოდგმა, გვარი, ჯიში“ (იხ. მ.ანდრონიკაშვილი, გვ.379-380):

Εἶπον Ἀαρὼν Ἄνθρωπος ἐν τοῦ *γένος* σοῦ, ἓις τὰς γενεὰς ὑμῶν τὶνι ἐὰν ἡ ἐν αὐτῶ μώνος... (ლევიტ. 21. 17) — არქუ აარონს, კაცი ნათესავისაგან შენისა, ნათესავთა შინა თქუენთა, რომლისაცა თანა იყოს მისთანა ბიწი (გელათ.) მაგრამ: || არქუ აარონს, კაცსა ნათესავისაგან შენსა: ტომსა შორის თქუენსა იყოს თუ ვისთანამე ბიწი (AKSB).

ჩვეულებრივ, ტერმინით ტომი ძველ მთარგმნელებს გადმოაქვთ ბერძნული η φυλή (ლექსემა, რომელიც თავისთავად γένος-ისა და ἔθνος-ის სინონიმია (род, колено, племя, фила, вообще класс, род):

Συλογηθήσονται ἐν σοὶ πᾶσαι αἱ *φυλαι* τῆς γῆς (დაბ. 12,3) — იკურთხოდიან შენდაში ყოველნი ტომნი ქუეყანისანი (გამოსლეათა) ἐκ τῆς *φυλῆς*... — იყო ვინმე ტომისაგან ლევისა, ტომისაგან დანისა (ლევიტ. 24,11); πᾶσαι αἱ *φύλαι* τῆς γῆς (მ. 24,30) — ყოველნი ტომნი ქუეყანისანი... და სხვ.

თუმცა აქაც, ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ἡ φυλή-ს თესლით ან ნათესავით თარგმნის შემთხვევები: ἐκ πᾶσης *φυλῆς* (გამოცხ. 5,9) — ყოველისაგანვე თესლისა, ἐκ τῆς *φυλῆς* Ἰουδὰ (გამოცხ. 5,5) — თესლისაგან იუდაისა, მაგრამ: ἐκ φυλῆς Βενιαμίν (ლ. 2,3) — ნათესავისაგან ბენიამენისა...

ჩვეულებრივ, ძვ. ქართული მთარგმნელები მკაცრად განარჩევენ და ბევრი დიფერენცირებას ახდენენ ამ ორი ბერძნული ლექსემის, ერთმანეთის ნაწილობრივი სინონიმების — γένος-ისა და φυλή-ს მნიშვნელობისა და, როგორც მოსალოდნელი იყო, γένος-ს უფრო ფართო მნიშვნელობის ლექსემით ნათესავით (род) თარგმანი, ხოლო φυλή-ს უფრო ვიწრო მნიშვნელობის — ტომით (колено). ნათესავ ტერმინის ტომთან მიმართებით გარეშემცველობითი შინაარსი საბას სიტყვის კონაში კარგადაა გამოკვეთილი ტომ სიტყვის სტატიაში: „რამეთუ ოდეს ითქვას ნათესავი, რომლისა ნათესავისაგანცა ვიტყვით — ისრაელისა; შემდგომად ვიტყვით: რომლისა ტომისაგან? — ვიტყვით რუბენის ტომისაგან, ვინა ლევისა, გინა სხვათა. რამეთუ ერთი ნათესავ განიყოფების ტომ-ტომად, ხოლო ტომი განიყოფების საბლ-საბლად და საბლი განიყოფების კაცად-კაცად“.

ამ ცნება-ტერმინებთან მიმართებით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ტერმინი ერი, რომელიც წმ. წერილის თარგმანებში ორი ბერძნული ლექსემის — ὁ λαός-ისა (народ, люди, толпа, полчище) და ὁ ὄχλος-ის (чернь, народ, толпа, вообще множество, скопище, оборище) შესატყვისად გვხვდება. ისინი ერთმანეთის მნიშვნელობებს ნაწილობრივ ფარავენ, თუმცა ὄχλος-ს უფრო ხშირად „ბრბოს“, „ამბოხის“ მნიშვნელობა აქვს (ოგი კრებულითაც არის იშვიათად თარგმნილი (იხ. ლ. 5,29). რაც შეეხება ლექსემა λάος-ს, ოგი უფრო ხშირად გვხვდება ისეთ შესიტყვებაში, როგორიცაა ὁ λαός τοῦ θεοῦ, λ. τοῦ, αὐτοῦ, λ. μοῦ, λ. σοῦ („ერი ღვთისა, მისი, ჩემი, შენი“), სადაც ყველა შემთხვევაში ღვთის რჩეული ერი ოგულისხმება, კონკრეტულად კი ისრაელის ერი, იუდეველნი: ποιμανεῖ τὸν *λαὸν μοῦ*, τὸν Ἰσραὴλ (მ. 2,6) — რამეთუ შენგან გამოვიდეს. მთავარი, რომელმან დამწყსოს ერი ჩემი, ისრაელი; Ἰησοῦν αὐτὸς γὰρ σώσει τὸν *λαὸν* αὐτοῦ ἀπὸ τῶν ἁμαρτιῶν αὐτῶν (მ. 1,21) — და უწოდიან სახელი მისი იესუ, რამეთუ იესნეს ერი თჳსი ცოდვათა მათთაგან; Ἐποίησεν λύτρωσιν τῷ *λαῷ αὐτοῦ* (ლ. 1,68) — კურთხეულ არს უფალი ღმერთი ისრაელისაი რამეთუ... ყო ესნაი ერისა თჳსისაი; *λαοῦ σοῦ* Ἰσραὴλ (ლ. 2,32) — ერისა შენისა ის

რაელისა; ὁ'τι ἐπεσκέφατο ὁ Θεὸς τὸν *λαὸν αὐτοῦ* (ლ. 7,16) — რამეთუ მოხედნა ღმერთმან ერსა თჳსსა.

ამგვარად, λαός ღვთის რჩეული ერის, ისრაელის აღსანიშნავად იხმარება (ისეთ ნეიტრალურ კონტექსტებშიც, როგორიცაა: და შეკრიბნა ყოველნი მღვდელთმოძღუარნი ერისანი ჰეროდე (მ. 2,4) — იგულისხმება ისრაელისანი).

ერთსა და იმავე კონტექსტში ხშირად დაპირისპირებულია λαός (როგორც ისრაელის ხალხი) და ἐθνός (როგორც წარმართნი, კერპთაყვანისმცემელნი). ქართველი მთარგმნელებიც შესაბამისად უპირისპირებენ წარმართსა და ერს: εὐφρανθητε, ἐ'θνη, μετὰ τοῦ *λαοῦ* αὐτοῦ (რომ. 15,10) — იხარებდით წარმართნი ერისა თანა მისისა; ιγατι 'εφρυαξαν ἐ'θνη καὶ *λαοί* 'εμελέτησαν κενα — რად აღიძრნეს წარმართნი და ერმან იზრაბა ცუდი? (საქ. 4,25) ასევე: ნათელი გამობრწინვებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაელისა (ლ. 2,32)...

თუმცა λαός-ს შეიძლება, ჩვეულებრივ, „ხალხის" მნიშვნელობაც ჰქონდეს, და ასეთ შემთხვევაშიც მისი შესატყვისი ძველ ქართულ თარგმანებში ლექსემა ერია:

λαός ἐστί μοι πολὺς 'εν τῇ πόλει (საქ. 18,10) — ერი მრავალი არს ჩემდა ქალაქსა ამას შინა; ἐπαὺνθη γὰρ ἡ καρδια τοῦ *λαοῦ* τουτοῦ (მ. 13,15) — განზრქნა გული ერისაჲ ამის (იგივეა. საქ. 28,27); Τὸ πλῆθος ἡν τοῦ λαοῦ προσεχόμενον (ლ. 1,10) — ყოველი სიმრავლე ერისაჲ ილოცვიდა;

ἱ'να μή θόρυβος γένεται 'εν τῷ λαῷ (მ. 26, 5) — რაჲთა არა შფოთი იყოს ერსა შორის; ὁ λαός προσδοκῶν τὸν ζαχαρίαν (ლ. 1,2) — და დგა ერი იგი და ელოდა ზაქარიას (იხ. ასევე მრკ. 14,2; ლ. 22,2; 20; 19; საქ. 5,266 და სხვ.).

როგორც ვთქვით, ὁ λαός-ის მეორე მნიშვნელობის — ზოგადად, „ხალხი, კრებული", სინონიმია ὁ ὀ'χλος, რომელსაც ქართულ თარგმანებში იგივე ერი შეესატყვისება: ἀκοὺσαντες οἱ' οχλοι (მ. 14,13) — ვითარცა ესმა ერსა მას; 'εφοβηθη τὸν ὀ'χλος (მ. 14,5) — ეშინოდა ერისაჲ მის; προσῆλθον αυτῷ ὀ'χλοι πολλοὶ (მ. 15,30) — მოუვიდა მათ ერი მრავალი; ἠκολὺθσαν αὺτῷ ὀ'χλοι πολλοί (მ. 4,25) — და მისდევდა მას ერი მრავალი...

საინტერესოა, რომ მოსეს ხუთწიგნეულში ლექსემა ὀ'χλος მხოლოდ ერთხელაა დადასტურებული: ἐ'ξῆλθεν ἐ'ν *ὀ'χλοι βαρεῖ* (რიცხ. 20,20) — ერითა მრავლითა. ძველი აღთქმის წიგნებში (დანიელი, იერემია, ეზრა) ეს სიტყვა შედარებით იშვიათად გეხვდება და ყველგან ზოგადად „ხალხის" მნიშვნელობით.

ამგვარად, გასაგებია, თუ რატომ მიიღო *ὁ λαός* ლექსემის (ხალხის) ქართულმა შესატყვისმა — ერი (რომელიც ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში კონტექსტების აბსოლუტურ უმრავლესობაში ძირითადად ღვთის რჩეულ ერს (ისრაელს) ნიშნავდა, ის მნიშვნელობა, რომელიც მას დღეს აქვს დამკვიდრებული და რომელიც დაკავშირებულია გენეტიკურად და ეთნიკურად ერთი წარმოშობის, ერთი ენისა და რწმენის, ერთი კულტურული ერთიანობის მქონე ხალხის გაგებასთან.

გელათის კატენებიანი ბიბლიის ერთ-ერთ სქოლიოში ავტორის მიუთითებლად (ამიტომ ვფიქრობთ, რომ შესაძლებელია, ეს შენიშვნა ქართველ მთარგმნელ-რედაქტორს ეკუთვნოდეს) გაკეთებულია შენიშვნა, რომელშიც

მოცემულია ცდა ტომისა და ერის ურთიერთმიმართების გარკვევისა. ეს შენიშვნა ეხება „რიცხვთა" წიგნის შემდეგ კონტექსტს: „ესე სახელები ძეთა გეთსონისთაჲ და ტომთა მათთაჲ და ერობისა მისისაჲ (რიცხ. 3; 18, A1108, ფ. 38r); შენიშვნა: „შესწავებულ იყავნ, ვითარმედ ტომი უმეტეს გარეშემცველობითი არს უფროჲს, ვიდრე სახელი ერისაჲ, ვიდრემდის იყოს ტომობაჲ, ვიდრემე გეთსონისი სახელად, ხოლო მისგან შთამოსლვაჲ — ერთად, უბრძანებს აქა ერსა" (A1108, ფ. 38r). ამ შენიშვნაში საინტერესო ისაა, რომ ერი აქ გაგებულია არა როგორც ზოგადად „ხალხი", „კრებული", არამედ სწორედ მისი ახალი, თანამედროვე მნიშვნელობით, ტომი კი მისი შემცველია.

ამგვარად, ძველი ქართველი მთარგმნელების ცნობიერებაში ნათესავი (γένος) გარეშემცველია ტომისა (φυλή); ერი (λαός) — ზოგადი სახელია „ხალხისა", „ადამიანთა კრებულისა", კონკრეტულად კი ღვთის რჩეულ ერს (ისრაელს) მიემართება. გელათის ბიბლიაში ერის მნიშვნელობა დაკონკრეტებულია და კონკრეტიზაციის მიმართულებით უფრო ფართო — ტომის გვარეობითი ცნების სახეს წარმოადგენს.

ერს ჰქონდა უფრო ვიწრო კონკრეტული ტერმინოლოგიური მნიშვნელობაც στράτευμα — ჯარისა (სამხედრო ერისა, ლაშქრისა), καὶ πέμψας τα στρατεύματα αὐτοῦ (მ. 22,7) — ხოლო მეუფემ იგი განრისხდა და მოავლინა ერი თჳსი და მოსრნა კაცისმკლელნი იგი.

ყოფითს ენაში ერი საზოგადოდ ხალხს, საზოგადოებას, ადამიანთა კრებულს აღნიშნავდა, დარბაზის ერი — მაღალ საზოგადოებას, წვრილი ერი — გლეხობას (იხ. მატიანე ქართლისაჲ).

არაბული სიტყვა ხალხი (მდაბრიონი) ამ მნიშვნელობით საკმაოდ გვიან ჩანს შემოსული. საბასთან იგი არ არის დადასტურებული. იგი გვხვდება XVIII ს-ის სიგელ-გუჯრებში, კერძოდ, ერეკლე II 1791 წლის ერთ-ერთ საბუთში — „განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისა ძეთა თჳსთათჳს", „ღმერთმან თუ ქნას, მძლავრის მტრის შიშობა რომ იქნება, დასახიზნაოდ ახლო სოფლების ხიზანი და ხალხი შეეა (სამართლ. ძეგლ. ტ.II, გვ.512). ასევე, გვხვდება ერეკლე მეფისავე „თხოვნაში" ეკატერინე II-ისადმი: „რათა უკეთოს ბაქარის შვილს უმეტესი ხალხი არ აყყვეს (იქვე, გვ.455, 1782 წ.). სხვა კონტექსტებშიც: დაბალნი ხალხნი (გვ.541), სოფლის ხალხი (გვ.581)... ყველა ეს მოწმობა XVIII-XIX საუკუნეს მიეკუთვნება (1804 წლის გიორგი XII-ის საბუთი) და, როგორც ვხედავთ, ამ ლექსემას (ხალხი) გლეხობის, დაბალი წრის, პლებსის (чернь) მნიშვნელობა აქვს.

დღეს მას გაფართოებული აქვს მნიშვნელობა და აღნიშნავს ზოგადად ადამიანთა კრებულს (populus, народ), მაშინ, როდესაც ლექსემა ერი, რომელიც ძველ ქართულში ითავსებდა ამ მნიშვნელობას (საბა, „მსოფლიო კაცი", რაც ზოგ გამოთქმაში დღესაც შერჩა: „ერი და ბერი"), როგორც ითქვა, გამოხატავს მყარ ერთობას, რომელიც ენის, ტერიტორიის (მამულის), კულტურის (სარწმუნოების) ერთიანობის საფუძველზეა ჩამოყალიბებული.

ამგვარად, ძველიდან ახალი ქართულისაკენ ტერმინების — ნათესავი, ტომი, ერი მნიშვნელობები შესაბამის ბერძნულ ტერმინებთან მიმართებით შემდეგნაირად შეიძლება გამოიხატოს:

I


γένος
ნათესავი ტომი ერი
ἐ'θνος
ნათესავი ტომი თესლი (მრ.)წარმართი
φυλή
ნათესავი ტომი თესლი
σπέρμα
თესლი

II

λαὸς
ერი (populus)
ὀ'χλος
ერი (ხალხი)

III


γένος
ტომი
ერი
ნათესავი
ἐ'θνος
ტომი
თესლი
(მრ.)წარმართი
φυλή
თესლი
ნათესავი
ტომი
φυλή
ნათესავი
თესლი
ერი
λαός
ὀ'χλος
στρατεύμα

Damana Melikishvili

Towards the Meaning of the Terms 'natesavi', 'tomi', 'eri' in the Old Georgian Translations of the Holy Writ

Summary

The work discusses the use of the terms meaning people, tribe, nation in Old Georgian as influenced by the translations of the Holy Writ into Georgian.

დ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი (თბილისი)

ინვერსია ქართულ ზმნაში დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით

ქართულ ზმნაში ინვერსიის საკითხთან დაკავშირებული ორი განსხვავებული პოზიციაა ცნობილი: ერთი თვალსაზრისი ინვერსიას განიხილავს სინქრონიულ პლანში და განსაზღვრავს მას, როგორც პირის ნიშანთა ფუნქციების შებრუნებას (ა. შანიძე). ამ თვალსაზრისით, ინვერსიას განიცდის მხოლოდ გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმები (გამიკეთებია მე ის) ამავე ზმნათა I-II სერიის ფორმებთან მიმართებით (ვაკეთებ მე მას — გავაკეთე მე ის) და, ამდენად, მანის რიგის ნიშნები სუბიექტს აღნიშნავენ და, პირიქით,

ვინის რიგისა — ობიექტს.

მეორე თვალსაზრისის მიხედვით (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია) ინვერსია გააზრებულია როგორც ქართული ენის განვითარებაში მომხდარი უმნიშვნელოვანესი ისტორიული პროცესი, დაკავშირებული მარტივი წინადადების მექანიზმის ევოლუციასთან, რასაც შედეგად მოჰყვა რიცხვში შეთანხმების პრინციპის შეცვლა და .ის, რომ თანამედროვე ქართულში მორფოლოგიური სუბიექტ-ობიექტი, ანუ სუბიექტ-ობიექტი ზმნის თვალსაზრისით ყოველთვის აღარ უდრის სუბიექტ-ობიექტს სინტაქსური, ანუ შესიტყვების თვალსაზრისით და ამ მიმართებაში პირისა და ბრუნვის კატეგორიასთან ერთად რიცხვის კატეგორიაც იღებს მონაწილეობას.

ამ თვალსაზრისის მიხედვით, გარდა III სერიის ფორმებისა (რომლებიც რელატიურ სტატიკურ ზმნათა ინვერსიითაა მიღებული), ინვერსიას განიცდის დიდი ჯგუფი ყოლა-ქონებისა და გრძნობა-აღქმის გამომხატველი სტატიკური ზმნებისა, სადაც მიცემითი ბრუნვა, ჩვეულებრივ, პერსონალურ პირს ანუ ლოგიკურად სუბიექტს გამოხატავს, თუმცა პასიურს (მაქვს-მიყვარს ტიპის ზმნები).

უახლეს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არის ცდები სათანადო არგუმენტებით ინვერსიის ფაქტის უარყოფისა და ამ საკითხის მოხსნისა როგორც დიაქრონიულ დონეზე: ობლიგატორული და არაობლიგატორული პირების დაშვებით ნაცვლად სუბიექტ-ობიექტისა (ა. ონიანი), ისე სინქრონიულ აღწერაში ამ ფორმათა პერფექტული სემანტიკიდან ამოსვლით (ი. მელიქიშვილი, თ. უთურგაიძე). პრობლემის მოხსნა ნაცადია საერთო ქართველურ დონეზე და თანამედროვე ქართულის ზმნურ სისტემაშიც სუბიექტ-ობიექტის კატეგორიის ოპოზიციის მოხსნით და ნაცვლად ამისა ნებელობის ცნების შემოტანით (რ. ასათიანი).

წინამდებარე მოხსენებაში მოცემულია ინვერსიის, ანუ გრამატიკული სუბიექტ-ობიექტის ლოგიკურ სუბიექტ-ობიექტად გააზრების, როგორც ისტორიული ფაქტის, დასაბუთების ცდა შემდეგი არგუმენტებით:

1) პერფექტულ-რეზულტატიური შინაარსის ფორმებიდან დრო-კილოთა ახალი ჯგუფის, III სერიის ჩამოყალიბების ისტორია (რაც დაკავშირებულია რელატიურ სტატიკურ ზმნებში მიცემით-ბრუნვიან პერსონალურ პირთა სუბიექტად გააზრებასთან, რასაც ზმნის დინამიკურად გაგება და სათანადო აქტიურ დინამიკურ ზმნათა პირადიგმებში მოქცევა მოჰყვა);

2) პერსონალური მიცემითის მიერ ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარის მოპოვება და, შესაბამისად, პირდაპირი ობიექტის სახელობითის მიერ ამ უნარის დაკარგვა, რასაც შედეგად მოჰყვა რიცხვში შეთანხმების ფორმალური პრინციპიდან სემანტიკურ პრინციპზე გადასვლა;

გელათის, როგორც ქართველთა კულტურის ცენტრის, ელადასთან შერწყლება ახალად რითმის გასაბრთავად რიდი დასჭირდა „ამდელმესიანის“ ავტორს. იაკობ გოგებაშვილს მერე შესაბამებული ეტიმოლოგიაც - „ეკლესია ბერძული სიტყვა და ნიშნავს დამაფიანსა“, არ უნდა იყოს სასელწოდებათა უბრალო ბგერითი მსგავსებით ნაკარნახევი. იგი უნდა მიმდინარეობდეს ამ ღრმა ტრადიციიდან, რომელიც გელათის სამონასტრო ლიტერატურულსა და ფილოსოფიურ-თეოლოგიურ სკოლას აკავშირებდა ინტერნაციონალურ მონასტრის ფენომენიც კულტურულ-შეცნობიერულ სიკეთესთან. ამ მონასტრის სახელწოდების ბერძნული ეტიმოლოგიაც უნდა ასახავდეს ამ ფილოსოფიურ ტენდენციას. რომელიც მასთან არსებულ სკოლას ენობრივ-ლიტერატურულსა და საბარალეო ინტერესებს განსაზღვრავდა. ეკლესიე ეს ელინურად ეწოდა XVIII საუკუნეში ქართველი მეცნიერული ენრის ალორძინების მოაღვეს, ანტონ კათალიკოსი, ამიტომაც ახასიათებს გელათის სკოლის უდიდესი წარმომადგენელის, იოანე პეტრიწის, მოღვაწეობის შემდეგი სიტყვებით:

„შენ ფილოსოფოსთ საქმე მონასმონანი,

შენ სტოიკენნი სიტყუთ სასკოლმონანი

მოაქარულენ, ქართლი აქმენ ათინანი“ (წერილოსანი. გვ. 270)

თუ ალრეკრისტიანული ენრიდან ბის ისტორიაში ქრისტიანული დოგმატების ჩამოყალიბების პერიოდი დასავლურ (ლათინურ) თეოლოგიურ ლიტერატურაში აღმოცენილი იყო ტერტულიანეს ხიმნოლური სიტყვებით - „რა არის საერთო ათენსა და იერუსალიმს შორის, აკადემიასა და ეკლესიას შორის? რაც ეკლესია და რწმენას უმონისმირებდა ერთმანეთს და მოითხოვდა, რომ ლოგიკური ანალიზებას ადგილი დაეთმო რწმენისათვის, რადგანაც სწორედ ფილოსოფიური და ლოგიკური მსჯელობის გზაზე ამოდენ ბაღა შეფიფლიერი ანალიზი და ერეტიკული მიმდინარეობანი - ებიონ. რომელიც ეალიბლება და მუშაობს ეკლესიის ფილოსოფიურ-ლიტერატურული სკოლა, ხასიათდება სრულიად საპირისპირი ტენდენციებით, რაც სიმბოლურად ათენსა და იერუსალიმ-ის ურთიერთობაში ეგზისტენციალურ ტენდენციებად ეფინა. ეს ორი ფენომენი ერთმანეთს ეფინა, ერთ-ერთ ეპოქ

შინ". ღაუთის მიერ აქ მიწეული სწავლულთა შორის უნდა ეფიქრებინ არსებ ოფალთული ანანე ჰეტრიანი, რომელიც, ღაუთის ეკლესიერი ბისა და თანაგოგების მშენებელი", ენციფოფრეს ლიტერატურულსა და მეცნიერულ მაღალწოდების ეწეოდნენ „ლალსა შინ ეფუნაოსასა". მან ეფ ლიანში ის იცოდეთ და სული მოიტანეს, რომელიც ტრიალება ამ ლრიის ბისანტიის მაღალ სახოგადოებრივ ლიტერულ წრეებში და, ეერძოდ, კონსტანტინ მონომახის მერე XI საუ ლის შუა წლებში განახლებულ მანგანას ალალეჩანში, სადაც მოღაწეობდნენ მიქელ ფსელლი და ილანე იტალი.

გელათის აკადემია

გელათის სამონასტრო სკოლაში, ანუ, რაფერც ამას ჩვეულებრივ ეწოდებენ, აკადემიაში, ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის ისტორიაში ელინოფილური მიმართულების ერთერთ მძლეველ და მნიშვნელოვან შტოს წარმოადგენს, მიმდინარეობდა სრულიად გარკვეული მიმართულების მიზანდასახული მუშაობა, რომლის ძირითადი მიმართულება იყო ფილოსოფიური და ფილოლოგიური ხასიათის ეს'ეფ გაეცა.

გელათის აკადემიას საუკეთესო გამოკვლევა უძღვნა ს. ჯანაშიელმა. რომელიც ქართველ მეცნიერთა - ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილის, ე. თაყაიშვილის, გ. ციციშვილის, გ. ჩუბინაშვილის შეხედულებების განხილვასა და ლიტერატურულ-ისტორიული მასალის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ გელათში ხანგრძლივ-ხანგანმავლობაში ცენტრი არსებობდა, სწავლება აგებული უნდა ყოფილიყო შეა საუკუნეებისათვის ლამახასიათებელი განათლების სისტემის trivium-quabrivium-ის მიხედვით, ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ სკოლის ლიტერატურულ-ფილოსოფიური ინტერესებისა და მორწმენლობითი საქმიანობის შესწავლა და სწორად შეფასება შესაძლებელია მხოლოდ ამ ლრიის ბიზანტიის განათლებულ წრეებში მიმდინარე „ლიტერულ-ლიტერატურული პროცესების ეპოქასინქრონულთა და, საერთოდ, ამ ეპოქის ბიზანტიურ საქმიანობასთან მიმართებით. სადაც უმაღლესი განათლება მიიღეს და ნაზიფალიზდნენ. რაფერც მთარგმნელნი და მთარგმნელნი არსებ ფოლოფილი და ილანე ჰეტრიანი.

XI საუკუნის მიწელი ფეოდალისა და მეოთხე XII საუკუნის განმავლობაში (1081-1180 წწ.), რომელიც ბიზანტიის ისტორიას კომენენების დინასტია მართავდა. სასოციალურ-ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროს სტაბილიზაციას ეფუძნებოდა და განათლებ ბიზანტიაში ფილოსოფიური ეფ'ეფ ეტი და კომენენეფა ეფ ძირითად ფორმა საკუთარ ფილოსოფიაშ მუშაობისა: ანალი ანალი, ფუფი ის საერთოდ ნნეტენოდა, ტენის კომენენების ანალიზში ინფორმაცია ეფ'ეფ ეტი ბიზანტიელ ეფ'ეფ ეტ. რომელიც ამ ეპოქაში ძალიან ფაფალისტური ტენდენციებით ხასიათდება. ანა კომენენ ამ ლრიის საქმეთა ქალაქ - კონსტანტინოპოლის ანალითიკა ეფ'ეფ ეტ „ეფ'ეფ ეტანი ფუფენენებ და საფეფენი ხელეფ ნენთ ფეფ'ეფ ეტ". მისი საფეფენთ, ფეფ'ეფ ეტ, რომელიც ბასილ პოფოფიანეფეს ლრიაფან ფეფ'ეფ ეტ, ინტერატორ კონსტანტინ მონომახის ფეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ. მისი ანალი- ალეფენ კომენენ ბენეფენალ ეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ. ანალ ალეფენ ეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ. ბიზანტიის საქმეთა ქალაქ ში ეფ'ეფ ეტ და ეალ'ეფ ეტ ლიტერატურულ და ფეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ. სადაც საკუთ ეფ'ეფ ეტ სწავლობენ და ეანმარტეფენ ანტიკურ ფილოსოფოსებს. ეს წრეები ძირითადად გალენიანა არისტოტელეს, უფრო - კომენენების საქმეთ სასაფ ეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ ეფ'ეფ ეტ.

ეფესელი. რიფლიანაც იმპერატორის უფანაფლებელესი ქალიშვილი ანნა თავდა კომენტარებს არისტოტელეს შრომებისათვის.

შეკნორ-ეფესელეთა და ქართველ მთარგმნელთა თაოსნი წრე ჰეფელ ეგარს შემორებული ფერფერე მარიამ (მართა) ლეფოფელს - ქართველთა მეფის ბაგრატ IV - ის ასულს - ელენ მის ეფელ VII ლეკას, ხალო შემდგ ნიკიფორე მიტანიატეს შეეფლის. მისი ლაკეთეთ შეასრულა სასარგებლო განმარტებანი ცნობილს მიხაილ ფსელს (ეგზეგეზეს თეოფილაქტე ბულგარელს (მარიამის ეფეს-ტატის პერეკეფრის კონსტანტინეს აღსრულეს), რასეფაც მიეთეფებს ქართველი თარგმნის ფეფეარწერეა: «ფეფელაქტე წმიფისა მიფერ ეფისკოპოსისა ეკეფლარიოსსა, განმარტება ოიანნის ფაფეფა წმიფისა სასარეფისაფ, ნამეშეალეფი ის ბაძანებისა ფერ, მარადის საკურებელისა ლეფოფელისა მარიაფსი" (A 52, 1 r)'. მისიე ფაკეთი ეფეს ოიანე ოტალოსის მიმეფეფარ. შემდგომ ერეფეული ბაზრის გამი ეკლესიიან განკეფილი ეფსტატ ნიკეკელ ანკეფარალეფერ ტრაქტატს. ცნობილია, ფერფეე, რომ 1080-იან წლებში ,ქალაქსა შინა საკეკეფისა კონსტანტინოპოლს, მონაზერსა შინა ეკლესიდ შეკნორსა და ტრიანფლეფსს, ლეფოსა ლეფრიოსსა... ლეფლოფლასა ანრიანესსა... და მეფეფბასი ნიკიფორე მიტანატეს და ალექსი კომნინოსთა" თარგმნილი და მოფეფეკეფილი მარიამ ლეფოფელის ძმის ეიოანეს, ფეფის ფერი ანასთან ფერლნეფული ქართველი ბერი ფეფოფელ ხეკეფსა-ანანაზონი. აქ საკეკეფი ქალაქ კონსტანტინოპოლში ლეფლოფნენ ეფ უმაღლეს სეკოლასტიკეფოფელი ეოფიერ ეანალეფის ქართველ მეკეფთაგან წარმოგზავნილი ანალეფაზეფ ბი. ასე, მაგალითად ფიფთ რეკენზიის ცნობით, ოიანე ბეკერმენი საფერანეფის „წარმოგზავნა ქართველთა ფერ ბაგრატ I-სა"... რათა მაგალი ენა ელინური და განასწავლოს ფეფლოსოფოსნა და ლეფოსოფეფნეფისა სწავლეფ ბასა შინა. ხალო ესოდენ განსწავლულ იქმნა და ფერიად ზეგანმწყინარ ალატონეფოფა ლეფოსოფეფნეფისა და არისტოტელეფოფა ფილოსოფოსნი ბაფია, რომელ მუნცა რეფელ იქმნა ესოდენ, რომელ ოფლაფოფა წელთა შინა ბერძენთა საეკეფოფა ქალაქსა კონსტანტინოპოლეს შინა (ესე იგი ბიზანტიასა) მოძღვრად ადიდენა (მკერი ენ: „ბერი ქართველთა მწერალთაფ ეს).

მაგრამ ეს პროცესი ანტიკურობისაკენ მიბრუნებისა' დაიწყო ჯერ კიდევ კონსტანტინ მონომახის ფეფოს ფროს, მის მიერ „ახლად გამხსნილ კონსტანტინოპოლის უნივერსიტეტში" მანფალაში, სადაც ორი უფაკულტეტი - ფილოსოფიური და ფილოსოფიური - შეუერთა და, სადაც ჩამოყალიბდა რიფორმირებული ინტელექტუალური ელიტის წრე, რომელშიც შეფლიფლენ კონსტანტინ ლიხუდი და პლატონის დიდი თაყვანისმცემელი, ოიანე მიფრეფოფლი', რომლის მიერაც მოყვანილ ფსეფლოსს, მანგანას უნივერსიტეტის ფილოსოფოფთა ხელოფნ („ფილოსოფეტის") „უსტოსის" წოდება მიიღო, ხალო ესეფლოს „თანამეზისფლეფ-კონსტანტინოპოლის მომავალმა ატრიარქმა მარილაფლიფლეფი დოკუმენტებიდ მტკიცე ლამცლეფლი ოიანე ქსიფილინისა- „ბიბლიოფილისა", ფერფლეფი ფილოსოფეტის ეიმეფლისა, სტეფანეს ფეფლ - „ანანიაფლეფლისა". ეს ორ. ეროიერთნაწილაფლეფი ეფოიანეფეფლი ეფ ეფ ეფ

ფრაგმენტი სტუდენტური ცხოვრებიდან

ეკაძეული ფისო ქსოვრელს

57-ის 1 სექტემბრის შემხვედრი ბრიგადა ეროვნების უნივერსიტეტის ეზოში - ბეგლარები ისხნა, რომ ეროვნების სტუდენტები გიგრიალა და ისეთი ამსწავლელების მარეგულირა გვსვა წიგნად, რომელთა შორის ეკრ ეოდე ოფრნ ამი დასაბრუნებელი და ბრძოლი ბრძოლერა.

ეთან, გვეჩვენა ეს ბეგლარები, რომ ბოდეანი აკეთ შანიანს, კორეელ ცვლილების, ბინოდედ ნიტანეთის, ეარლეს თოფერიის ლექციაზეზინარ ბისაფეს.

ფრანკ ეკრანიდან ქორეოგრაფი ეზეის ეარეფოდელებზე გიალეგდეთ - ბალეთი ეოდალის სრულიფოდელ ბი ნაკუნეთა და დიეეპერეი ლენკერ ბინ ბანანალეფეს. და ანალი არ ბანდა ინე ეოდეეფოდეთ, რომ არ ეიფეთხეეთ ინ ეზეი ბეგლარი სტუდენტეს - ბეგლარი. ბრეფლეფდ ინ სიფეთხეთანა, რომელიც ეოდენ ფანინა და ნეფინა. ბეგრ ეკრანეს ინინ სიეეეს ეზეი ეკრანი და ეეეის ალეანიანეს - ანინეეფლეეს ლეეს.

ეს ოეი ოანანეი ეკრეის ეანა (ეა ეარა ეიანეალ)... ბეტეანი ეარალინის ხეალანანანა ქორეოგრაფი ეზეის ეკანეი ეეე

დამანა მელიქიშვილი

წმინდა წერილის ინტერპრეტაციის რამდენიმე ნიმუში იოანე პეტრიწის „განმარტებასა“ და არსენ იყალთოელის „ლოგმატიკონში“

ცნობილია, რომ მაეი მთისა და გელათის სკოლის მოღვაწეთა მთარგმნელობითი მეთოდის ძირითადი მოთხოვნა იყო ზუსტი, ადეკვატური თარგმანის სელოვნების დაუფლება. ამისათვის კი საჭირო იყო სათარგმნი ტექსტის ყოველმხრივ ზუსტად წაკითხვა და მისი სწორად გაგებისათვის იმ განმარტებების გაცნობა-შესწავლა, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში იქმნებოდა ქრისტიანი მამების მიერ. ხოლო, რაც შეეხება ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ლიტერატურას, მისი თარგმნა და გაგება განმარტება-კომენტარებთან ერთად პირველწყაროების უშუალო შესწავლასა და გამოყენებას, მოითხოვდა. ამიტომ იყო, რომ გე-

---

[1] G. Babic',Ch. Walter, 1976, 273-277.

[2] G. Babic',Ch. Walter, 1976, 273,276.

[3] წმ. ნეოფიტოსის მონასტერში (XII ს.) გამოსახულ იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, წმ. ეპიფანესა და წმ. ნიკოლოზის გარაგნილებზე წარმოდგენილია წინადაგების ლოცვა. ლოცვა იწყება იოანე ოქროპირის გრაგნილზე (Ὁ θ(εο)ς ὁ θεὸς ἡμῶν ὁ τὸν οὐ(ρά)νιον ἐστερέωσε), შემდეგ გრძელდება ბასილი დიდთან ([τ]ὸν [κ(ύριο)]ν [ἡμῶν] ἐξαπο|στείλας εὐλογοῦντα| καὶ ἁγιάζο|[ν]τα ἡμᾶς), შემდეგ წმ. ეპიფანესთან(ἀυτὸς εὐλόγησον |τὴν πρόθεσιν ταύ|την) და მთავრდება წმ. ნიკოლოზთან (καὶ πρόσ|δεξαι αὐ|τὴν εἰς τὸ |ὑπερουρά|νιόν σου |θυσιαστή|ριον). იხ.C. Mango, E.J.W. Hawkins, The hermitage of st. Neophytos and its wall paintings. Dumbarton Oaks Papers №20, 1966, 167.

ლათის სკოლაში განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ ეგზეგეტიკურ ლიტერატურას, როგორც ბიბლიურს, ისე ფილოსოფიურს.[1] თარგმანება-კომენტარების შესწავლა და გათვალისწინება აუცილებელი იყო ტექსტის გაგებისა და სწორად თარგმნისათვის. ჯერ კიდევ ეფრემ მცირე ბიბლიურ ტექსტთა ძველი ქართული თარგმანების დაშუსტებაზე მუშაობისას უამრავ განმარტებასა და ლექსიკონებს იშველიებდა: *„ესევითართთა ღრმათა აღგილთა, სადაცა უკმდა შეცვალებაჲ და სხუებრ ცვალებაჲ სამოციქულოსა ქართულსა, რომელ მაშინღა ძლით გულისკმა-იყოფებოდის, ოდეს სამნი, გინა ოთხნი თარგმანნი პაელისანი და ეგეოდენნიეე ლექსიკონნი, რომელ არიან ღრმათა წიგნურთა სიტყვათა ზედა განწყობილნი სიტყუანი — ერთად შემოეკრიბნი, მაშინღა ძლით მოუპოი მსგავსებული სიტყუაჲ“* (საქ. მოციქ. 029). ხოლო, რაც შეეხება პეტრიწს, თეოლოგიური პრობლემების განხილვისას იგი, ისევე, როგორც მისი დროის ბიზანტიელი მოაზროვნეები, გარდა იმისა, რომ ეყრდნობოდა პატრისტიკულ ლიტერატურას, ქრისტიანული თეალთახედვით განმარტავდა ნეოპლატონურ ფილოსოფიურ სისტემას. მის მიერ ბიბლიური ტექსტის კანონიკურ თარგმანებში შეტანილი შესწორებები და მსჯელობანი ამასთან დაკავშირებით, ეყრდნობა სწორედ ნეოპლატონურ თეალსაზრისს არსის სტრუქტურის შესახებ. კერძოდ, ღმერთის მიერ შესაქმე კაცისა პეტრიწის მიერ გააზრებულია საფეხურეობრივად: ადამიანი შეიქმნა არა „ხატად ღმერთისა“, როგორც ეს კანონიკურ თარგმანშია გაგებული („*მოვედით და ვქმნეთ კაცი ხატად და მსგავსად ჩუენდა*“ დაბ. 1,25), არამედ ღმერთის ხატის მსგავსად, როგორც დედანშია: κατ᾽ εἰκόνα ἡμετέραν καὶ καθ᾽ ὁμοίωσιν. პეტრიწი: *არამედ (მოსე) იტყუს ესთა: „მოვედით და ვქმნეთ კაცი ხატისაებრ და მსგავსისა ჩუენისა“ (განმარტება, გვ. 219).* ამგვარად, იოანე ფილოსოფოსისათვის კაცი არის არა უშუალოდ ღმერთის ხატი, არამედ მისი „ხატის ხატი“. ხოლო მამაღმერთის უშუალო ხატი კი არის ძე-ქრისტე, რომლის ხატის მიხედვითაც შეიქმნა კაცი. ქრისტე რომ არის *„ხატი ღმრთისა უხილავისაჲ“*, — ეს აზრი იკითხება პავლეს სხვადასხვა ეპისტოლეში: *„[ქრისტე], რომელი-იგი ხატი ღმრთისაჲ იყო“*: ფილიპ. 2,6; *„ქრისტე, რომელ-იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ“*: II კორ. 4,4; ასევე: *„განაჩინა თანამსგავსად ხატისა მის ძისა თჳსისა“*: რომ. 8,29; *„რომელ იგი არს ხატი ღმრთისა უხილავისაჲ, პირმშოჲ ყოველთა დაბადებულთაჲ“ (კოლას. 1,15).* ამიტომაა, რომ პროკლეს 29-ე თავის განმარტებაში, რომელიც მიზეზისაგან მიზეზოანის (შედეგის) გამომდინარეობას ეხება მსგავსების საფუძველზე, პეტრიწი იმოწმებს სწორედ „ჩვენი ეკლესიის მემოძღვრის“ — პავლეს სიტყვებს: *„ეინაჲცა სიტყუაჲ ჩემ გონებამჩისა*

---

[1] ერცლად იხ. დ. მელიქიშვილი, გელათის სალიტერატურო სკოლა (ძირითადი მიმართულება და საამროვნო ინტერესები), ქუთ. უნივ. მრ., 1993, № 2.

პაელესი შემოვალს აქა, რამეთუ იტყუს ხატად და მსგავსად და ეკ-მაგიოდ მის ერთისად, რომელსა მამობაჲცა აკადრა სიტყუამან" (განმარტება, გვ. 78, 6-8). პაელეს ამავე სიტყვებს ეყრდნობა თეოფილაქტე ბულგარელი იოანეს სახარების საკუთარი განმარტების შეშდეგს კონტექსტში: „*ეინაჲთგან საგიცა არს მამისაჲ ძე და აღმონაბეჭდავი და მსგავსებაჲ. გულისკუმა-ჰყოფდ მის მიერ დაბეჭდულად ამას, ეითარ-იგი ხატ და აღმონაბეჭდავ არს, რაჲთა იყოს თქუმული ესე, ეითარმედ ესე მჩენი ძედ კაცისად დაპბეჭდა მაშამან, ესე იგი არს, ბეჭდად მისსა და ხატად ყოვლისა უქცეველობისა და ბუნებითისა იგიეობისა, მისსა მიმართ მაცხოველებელად*" (A 52, ფ. 45) — *σφραγίδα αὐτοῦ καὶ εἰκόνα* γέννεσε (P.G. 123, col. 1297). ამგვარად, „*ხატად თუსა და ეკმაგიოდ და აღმონაგუფრად და ბეჭდად*" *დაპბადა ღმერთმა ძე-ქრისტე, სოლო კაცი შექმნა „ხატისაებრ და მსგავსისა თუსისა*".

საინტერესოა, რომ წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ერთ-ერთი პომილიისთვის („*გლახაკთმოყუარებისათუს*") დართულ სქოლიოში ეფრემ მცირე ამაეე ამბრს ავითარებს: „*უცვალებელ ხატ ღმრთისა მამისა არს მსოლოდშობილი ძე, ვითარცა პირმშოჲ ხატი, ხოლო ჩუენ — ხატებრ, ესე იგი არს პირმშოჲსა მის ხატადღა ქმნილ ვართ, რომელი-იგი ბუნებითი ძე არს*" (A 109, ფ. 165).

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს პეტრიწის განმარტების ტექსტში სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული მსჯელობანი ერთისა და მისი ხატის — ნამდვილმყოფის ანუ პირველი არსისა და პირველი მყოფის, პირველი გონების — ლოგოსის შესახებ. ერთ-ერთი ასეთი მსჯელობა დაკავშირებულია პროკლეს ტრაქტატის 101-ე თავის განმარტებასთან. ეს პარაგრაფი ეხება გონების, ცხოველობისა და მყოფობის ურთიერთმიმართებას. ამასთან დაკავშირებით პეტრიწი კვლავ იყენებს პაელე მოციქულის გამონათქვამს და მისი საშუალებით შესაბამისობას (ანალოგიას) ამყარებს პირველ მყოფსა ანუ ნამდვილმყოფთან: „*ესე სედეანი განგუყოფენ ცხადად პირველსა მყოფსა და პირველსა გონებასა. პირველად უკუე მყოფად ნამდულმყოფი გაიგონე, რამეთუ მან მიიღო პირველი მყოფობაჲ მის ყოველთა ძალთა ზესთაჲსა ძალისაგან და წარმოდგა პირველად მყოფად და მიზეზად ყოველთა მყოფთად, ვითარცა ხატი მის პირველისა ერთისაჲ, რომელი შეადგა მან უთქუმან და ზესთამან ყოველთამან და დადეა ხატად თუსდა და იგავად ყოველთა მყოფთად*" (განმარტება, გვ. 148). ამ და ბევრი სხვა მსგავსი მსჯელობიდან (ასე მაგ. „*ხოლო პირველი არსებაჲ მან ზესთამან ერთთამან წარმოამჟო, ვითარ ხატი თუსი და ღმერთი არსთა და მყოფთაჲ*" (§ 170, გვ. 170)) ამკარად ჩანს, რომ იოანე პეტრიწი „*უსილაკი ღმერთისა*" და მისი ხატის — ძის ურთიერთმიმართების ანალოგიას ხედავს „*ყოველთა ზესთა ერთისა*" და მისი ხატის — ნამდვილმყოფის მიმართებაში: „*ნამდულმყოფი არს ხატი უთქუ*

და უოცნო ზესთა-ერთისა", რომელსაც *„წადილმან პატივისამან მამადცა ჰკადრა წოდებაჲ"* (განმარტება, გვ. 8, 1-5), სხვაგან იგი ნამდვილმყოფის მხოლობს — იგიეეობისა და მარადისობის პრინციპს, პირველ საზღვარს პირდაპირ ძეს უწოდებს (განმარტება, § 30, გვ. 81, 25-27).[1]

ამგვარად, იოანე პეტრიწმა შეიტანა მნიშვნელოვანი შესწორება ბიბლიის „შესაქმის" წიგნის კანონიკურ ქართულ თარგმანში იმ თვალსაზრისიდან ამოსვლით, რომ არსის იერარქიამი უშუალოდ მომდეენო არის *ხაგი* და *მსგავსი* წინა რიგის სირათმთავრისა (ანუ გუართმთავრისა), ამიგომ ღმერთის „პირმშოჲ ხაგი" არის ქრისტე (რამიც იგი პავლე მოციქულს იმოწმებს), რომელიც არის ნიმუში ანუ „იგავი" კაცისა (ადამიანისა), ისეეე. როგორც ნამდვილმყოფი არის ხაგი ზესთერთისა და „იგავი ყოველთა მყოფთა". ასეთი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას მას, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, თუთ სეპტუაგინტას ტექსტი აძლეედა, სადაც წერია: Ποιήσωμεν ἄνθρωπον κατ᾽εἰκόνα ἡμετέραν καὶ καθ᾽ ὁμοίωσιν რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „შეექმნათ კაცი ჩეენი ხაგის მისდეეთ და ჩეენი მსგავსისა" ანუ „ჩეენი ხაგისაებრ და ჩვენისა *მსგავსისაებრ*" (დაბ. 1, 25), თუმცა კი შემდეგი მუხლი მისდეეს ძველი რედაქციის წაკითხვას: *„და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თესად და ხაგად ღმრთისა შექმნა იგი"* (დაბ. 1, 27), რაც იმის დამადასტურებელი უნდა იყოს, რომ იმ ხანებში პეტრიწისეული შესწორების მსოფლმხედველობრივი საფუძვლები მთლად ნათელი და გააზრებული არ უნდა ყოფილიყო. პეტრიწის ეს ახალი რედაქციული სხვაობა შეტანილია აგრეთვე A 179 ხელნაწერში, რომელიც შეიცავს ძველი აღთქმის „შესაქმისა" და „გამოსელათა" წიგნების თარგმანებს (ზოგი მკვლეევარი მათ, სწორედ ამის გამო, გელათურ ვერსიად მიიჩნეეს,[2] პეტრიწის რეცენზია აქაც ოდნავაა შეცვლილი, ისე, რომ არსებითი შინაარსი დაცულია: *„და თქუა ღმერთმან: ექმნეთ კაცი ხაგისაებრ ჩუენისა და მსგავსისაებრ"* (A 179, ფ. 2). უნდა აღინიშნოს, რომ თვით იოანე პეტრიწსაც თავიდანვე

---

[1] *ნამდვილმყოფის* პეტრიწისეულ გააზრებასთან დაკავშირებით ვრცლად იხ. დ. მელიქიშვილი, იოანე პეტრიწის ღვთისმეტყველების მეთოდისათვის, წიგნში: იოანე პეტრიწი, „განმარტება პროკლე დიადოხოსის ღმრთისმეტყველების საუძველებისა", თბ. 1999. იხ. აგრეთვე, Д. Мелякишвили, Христологические интерпретации онтологической системы Прокла Диадоха в богословии Иоанна Петрици. Византиноведческие этюды, Тб., 1991.

[2] ბ. გიორგიშვილი, ც. კიკვაძე, მოთა რუსთაველის დროის ერთი ძეგლი, რუსთველოლოგიური ძიებანი, 1966, 249.

არ პქონდა, როგორც ჩანს, მოძებნილი ზუსტად ისეთი ფორმულირება, როგორც მან შემდეგ ჩამოაყალიბა. ასე მაგ., ნემესიოს ემესელის ტრაქტატის თარგმანში (რომელიც მან პროკლეს განმარტებაზე ადრე შეასრულა), „შესაქმეს" ზემოხსენებული კონტექსტის ასეთი პერიფრაზია მოცემული: *„მებრ ხატად და მსგავსად ღმრთისა ქმნილი ესე"* (ნემეს. გე. 22, 17. ლაპარაკია ადამიანზე, რომელიც ღმერთმა სრულყოფილ ცხოველად – მეუფედ ბუნებისა შექმნა). როგორც ეხედავთ, ზუსტი ფორმა ჯერ კიდევ არ არის მოძებნილი, მაგრამ გააზრება ისეთივეა, როგორიც საბოლოო ვარიანტში. ამასთან დაკავშირებით შეტად საგულისხმოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ არც გელათის ბიბლიის ერთ-ერთი განმარტების ტექსტი (სამწუხაროდ, A 1108 და Q 1154 ხელნაწერებს აკლია „შესაქმისა" და „გამოსლვათა"-ს წიგნები და, ამიგომ ის, თუ როგორ იყო თარგმნილი ჩვენთვის საინტერესო გამონათქვამი, უცნობია); არც მიტროფანე ზმურნელის სახელით ცნობილი „ეკლესიასტეს განმარტების" ტექსტი უჭერს მხარს პეტრიწის რეცენზიას: გელათის ბიბლიის A1108 ხელნაწერის 102-ე ფურცელზე ერთ-ერთი განმარტების თარგმანში შემოკლებულია პერიფრაზი დაბ. 1, 25 მუხლისა *„ეითარ-იგი: ხატებად ჩუენდა და მსგავსებად"*, რაც ძალაუნებურად გამორიცხავს პეტრიწის მთარგმნელად მიჩნევას და ბადებს ეჭვს, ხომ არ არის გელათის ბიბლიის განმარტებათა ექსცერპტები თარგმნილი სხვადასხვა პირების მიერ? არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისიც, რომ „ეკლესიასტეს განმარტების" (რომლის ავტორადაც კ. კეკელიძე მიტროფანე ზმურნელს მიიჩნევს, სინამდვილეში კ. კეკელიძის მიერ 1920 წელს მიტროფანე ზმურნელის სახელით გამოქვეყნებული „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ" წმ. გრიგოლ აკრაკანტელის თხზულება აღმოჩნდა[1]) მთარგმნელი, რომელიც, კ. კეკელიძის აზრით, იოანე ჭიმჭიმელი უნდა იყოს, ორჯერ იმოწმებს ჩვენთვის საინტერესო ადგილს „დაბადებიდან" და ორჯერვე ძველი რედაქციის მიხედვით: *„რომელმან ხატად და მსგავსად თუსა მეჰმზადა კაცი"* (თარგმან. ეკკლესიასტ. 168, 3); *„ესე ქმნასა უეჭველად მემოქმედმან და ხატად თუსა დამბადებელმან მისმან"* (იქვე 23, 6). ასეთ შემთხვევაში, თუ მივიღებთ კ. კეკელიძის აზრს იმის შესახებ, რომ ამ ტექსტის მთარგმნელი იოანე ჭიმჭიმელია, პეტრიწისა და ჭიმჭიმელის იგივეობის საკითხი, ცხადია, მოხსნილია. ამასთანავე, ყურადღებას იპყრობს რუის-ურბნისის ძველისწერის ტექსტი, რომლის ავტორიც, როგორც ცნობილია, არსენ იყალთოელია და, სადაც მოცემულია დაბადების 1, 25 მუხლის გელათის ბიბლიაში დადასტურებული ვარიანტი: *„ეინაჲთგან დაჰბადა ღმერთმან დაჲაბამსა ხატებად და მსგავსებად თუსსა კაცი"* (დ. სჯ. კან. 548, 1).

---

[1] ე. ჭელიძე, იოანე პეტრიწის ცხოვრება და მოღვაწეობა, რელიგია, 1994, №3-5.

გ. თევზაძე, პეტრიწისეული ინტერპრეტაციის გაელენას ხედავს დაკით აღმამენებლის სიტყვებში: *„მეცა, სიტყუაო, აღმსარებელსა მომ-სედენ!... ხატსა თუსსა მამსგავსე და საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე შენებრ არსთა სიტყუებისა ჩემ-შორისცა მეკრებათა, ხოლო მე უმადლო-გექმენ“* („გალობანი სინანულისანი“ გვ. 514).

ასევე, ფილოსოფიური ინტერპრეტაცია უდევს საფუძველად პეტრიწის დასაბუთებას, რომელიც იოანეს სახარების I თავის პირველივე მუხლის გამონათქვამს ეხება: Ἐν ἀρχῇ ἦν ὁ Λόγος. პეტრიწის აზრით, ძველი, კანონიკური თარგმანი ამ ფრაზისა – *„პირველითგან იყო სიტყუაჲ“* არ არის სწორი და შედეგია იმისა, რომ მთარგმნელს არა აქვს გახსნილი „სიტყვს ძალი“. მისი აზრით, სიტყვა *პირველი* მიმართებითი ცნების გამომხატველია: *პირველი* შემდგომთა მიმართ არის *პირველი*, იგი პირველია თავის მსგავსთა **მწყობრში** ანუ **„სირაში“**, როგორც, მაგ., კაცი კაცებს შორის და ცხენი – ცხენებს შორის. ამგვარად, ამ თარგმანის მიხედვით გამოდის, თითქოს *„სიტყუაჲ მამისა ღმრთისაჲ“* არის *„ერთი ნაბადთა და წარმოჩენილთაგანი“*, მათი *„მსგავსი და თანმებუნებე“*, მაშინ, როდესაც იგი თანაარსი და თანმებუნებეა მამისა, დასაბამია ისევე, როგორც მამა – მზის თუალი ანუ დისკო „მარავანდთათვის“ ანუ სხიეებისათვის. ამგვარად, ἀρχή-ს *„პირველით“* თარგმნა იწვევს ერთარსება სამების დოგმის მწვალებლურ გაგებას. თითქოს ძე-ქრისტე-ლოგოსი ერთი წარმოქმნილთაგანია („წარმოჩენილთაგანი“) და, ამდენად, მღარე ბუნებისაა. ამიგომ იოანე პეტრიწი ფრთხილად ეძიებს საჭირო სიტყვას, რომელიც „ძალითი სიტყვს“ საიდუმლოს მნიშვნელობას განაცხადებს და იძლევა მემდეგს თარგმანს: *„დასაბამსა შორის იყო სიტყუა“* (განმარტება, გვ. 219). იოანე პეტრიწის ამ რეცენზიას ეთანხმება ამ მუხლის უძველესი (ათონელებამდელი) ქართული თარგმანი, რომელიც მემორჩენილია პომილეტიკურ-ლიტურგიკული კრებულების საკითხავებში: *„რომელსა იოანეცა იტყუს დაწერილთა მათ შინა თუსთა, ეითარმედ: რომელი-იგი იყო დასაბამითგან“* (შაგბ. კრებ., 298, 18-19); *[იოანე მახარებელ-მან]... თქუა: „დასაბამითგან იყო სიტყუაჲ“* (კლარჯ. მრავალთ., 380)[1].

შემთხვეეითი არ არის, რომ იოანე პეტრიწმა განსახილველად შეარჩია სწორედ ეს ადგილები ბიბლიის ტექსტიდან და მათი განსაკუთრებული სიზუსტით თარგმნა მოითხოვა. ცნობილია, რომ ქრისტეს ღეთაებრივი და ადამიანური ბუნების გარშემო პაექრობას ბიზანტიაში დიდი ხნის ისტორია ჰქონდა. დაწყებული 325 წლიდან, ნიკეის

---

[1] მართლმადიდებლურ დოგმატიკაში ამ საკითხის გაგებასთან დაკავშირებული პოლემიკა იხ. ე. ჭელიძე, ადამიანი – ხატი პირმშოხატისა, ტ. „ეგმა სამეუფოს“ დანართი № 1, თბ. 1995; გრ. რუსაძე, ღმრთის შეუქმნელ და შექმნილ ხატთა გაგებისათვის, თბ. 2000.

მსოფლიო კრებიდან, (სადაც არიოზისა და საბელიოზის წვალებათა საკითხი იდგა და, სადაც არიოზის წინააღმდეგ ბრძოლაში გაიმარჯვა ათანასე ალექსანდრიელმა, რის შემდეგაც იმპერატორის ბრძანებით არიოზის ნაწერები ცეცხლს მისცეს, სოლო თვით აეტორი ეკლესიიდან განკვეთეს და პატიმრობა მიუსაჯეს) VIII საუკუნემდე (როდესაც კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებაზე 842 წელს გამოიცა სპეციალური ედიქტი, რომელიც კრძალავდა სამების გარშემო დისკუსიებს), ამ საკითხის ერთიანი, უნიფიცირებული ფორმით გადაწყვეტის მიზნით შეიდი მსოფლიო კრება იქნა მოწვეული (გარდა მცირე ადგილობითი საეკლესიო კრებებისა) და მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ჩამოყალიბებულ იქნა ორთოდოქსული ქრისტიანული დოქტრინა, კამათი და დისკუსიები თეოლოგთა წრეებში მაინც არ შენელებულა. ამ დისკუსიებმა კომენტების ხანაში (XI-XII სს-ში) მეტად ფართო ხასიათი მიიღო. ამ პერიოდში ეს კამათი სათავეს იღებდა განსაკუთრებით იოანეს სახარების სიტყვებიდან: *„მიავალ მამისა ჩემისა, რამეთუ მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს“* (ი. 14, 28). თეოფილაქტე ბულგარელი განსაკუთრებით ერცელ კომენტარს უძღვნის მაცსოერის ამ სიტყვებს, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს საკითხი იმ დროს მეტად აქტუალური იყო. როგორც ჩანს, ამით იყო გამოწვეული ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც პეტრიწმა მიაქცია იოანეს სახარების პირველივე ფრაზის თარგმანს და საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე ახალი რედაქციით წარმოადგინა იგი. მისი ეს ინტერპრეტაცია საესებით ეთანხმებოდა მართლმადიდებლურ კრედოს. პეტრიწისეული რედაქცია მიღებულია თეოფილაქტე ბულგარელის იოანეს სახარების განმარტების მთარგმნელის მიერ: *„მორის დასაბამსა იყო სიტყუაჲ“* — ეკითხულობთ A 52 სელნაწერის პირველსავე გვერდზე. ეს ფაქტი საფუძველს აძლევს მკელევარ ივ. ლოლაშვილს, თეოფილაქტეს ნაშრომის მთარგმნელად იოანე პეტრიწი მიიჩნიოს.[1]

მაგრამ ისმის კითხვა: როგორ ეთანხმებოდა პეტრიწის ეს შესწორება რომაელთა მიმართ პაელეს ეპისტოლეში გამოთქმულ აზრს, რომლის მისედეითაც ძე-ქრისტე სახელდებულია *„პირმშოდ მრავალთა მორის ძმათა“*, ანუ აგებულთა და შექმნილთა შორის პირველად: *„ეანაჩინნა თანა-მსგავსად ხატისა მის ძისა თჳსისა, რაჲთა ყოს იგი პირმშო მრავალთა მორის ძმათა“*: (რომ. 8, 29). როგორც ჩანს, პაელე მოციქულის ეს სიტყვები საკმაო საფუძველს იძლეოდა ეჭვებისათვის, რადგანაც ამ სიტყვების მიხედეით უფლის მიერ თავისი

---

[1] იხ. იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1968, 30-31. მაგრამ ერთი ლიტერატურული სკოლის აეტორთა თუ მთარგმნელთა იდენტიფიკაციის საკითხს რომ ენობრივ-სტილისტური თუ მსოფლმხედველობრივი ერთიანობა და მსგავსება კი არ სწყვეტს, არამედ განსხვავება, ეს არაერთხელ იქნა ნაჩვენები ჩვენ მიერ.

ძე განჩინებულია, როგორც *„პირმშო მრავალთა მორის ძმათა“*, რაც ამ სიტყვების მწვალებლური ამრით გაგების შესაძლებლობას უშვებს: თუ ძე-ქრისტე პირმშოა მრავალთა ძმათა და აგებულთა მორის, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ იგი „ერთი ნაბადთა და წარმოჩენილთა-განია“ და თანამებუნებეა მათი? ამიგომ იყო, რომ არსენ იყალთოელის დოგმატიკონში შეგანილ იქნა პავლე მოციქულის ამ სიტყვების სპეციალური განმარტება, რომლის ავტორიც ზედწარწერის მიხედვით მიქელ პსელოსია:[1] *„დიდისა ფილოსოფოსისა ფსელოსისაჲ მოწაფეთა თჳსთა მიმართ თარგმანებაჲ სიტყუასა მას ღმრთისმეტყველისასა, მეტყველსა: „ვითარცა იქმნა პირმშო მრავალთა ძმათა მორის, ეგრეთვე პირმშო მკუდართაგან ღირს-იჩინა ყოფად“* (პირმშ. გე. 260-263). ეს ტრაქტატი შემორჩენილია დოგმატიკონის ტელათურ ნუსხაში (K 23). განმარტების ავტორი აღნიშნავს, რომ საღმრთო წერილის სიტყვებში (სადაც ქრისტე პირმშოდაა მოხსენებული — ეს იქნება *„მარტივად პირმშოდ, თუ პირმშოდ რისამე მიმართ“*), მსმენელს „შეაურევებენ“ და *„სწყლავენ გონებასა გამომწულველისასა“*, რადგანაც მათგან შეიძლება გამოიტანო ის აზრი, რომ, რადგანაც უფალი *პირმშოდაა* მოხსენებული ყოველი აგებულების მიმართ, თითქოს ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ მასაც *„ჟამიერითა საცნაურებითა მიულებიეს დასაბამი მყოფობითისა გუამოვნებისაჲ.“* მაგრამ ეს შეუძლებელია (*„უჯერო არს დაბადებულთა-თანა შეტყუებისა-ყოფაჲ დამბადებელისაჲ“*). ამიგომ ავტორი განუმარტავს მსმენელებს პავლე მოციქულის ამ სიტყვებს, ცდილობს მოხსნას მათგან მწვალებლური დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა და მისცეს ისეთი ინტერპრეტაცია, როგორიც მისაღები იქნებოდა მართლმადიდებლური მრწამსისათვის. მისი აზრით, ქრისტეს პირმშოდ სახელდება ტულისხმობს არა ღვთის სიტყვას, ლოგოსს — დასაბამს, არამედ აღამის ცოდვის შემდეგ ქრისტეს მოვლინებას, როგორც კაცთა მოდგმის დამხობილი და ცოდვებისაგან

---

[1] ტრაქტატი გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა „ტეორგიკა“-ს VI ტომში. მისი ავტორის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია გამოთქმული: აკად. კ. კეკელიძეს ამ ტრაქტატის ავტორად ადრე მიქელ პსელოსი მიაჩნდა და მის ბერძნულ ტექსტს დაკარგულად თვლიდა, შემდგომ მან შეცვალა ეს მოსაზრება და ტრაქტატის ავტორად იოანე პეტრიწი მიიჩნია, იმის საფუძველზე, რომ ტრაქტატში „ტანმეორეულია მრავალი ისეთიეე აზრი და ტექსტები, რომელიც მოცემულია იოანე პეტრიწის საკუთარ კომენტარებში და ნეზესიოს ემესელის თარგმანში“ (ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, 1960, 292). ივ. ლოლაშვილი ამ თხზულების ავტორად მიქელ პსელოსს თვლის (იოანე პეტრიწი, 1968, 71-93), როგორც ამას ხელნაწერის ზედწარწერა იუწყება, მთარგმნელად კი არსენ იყალთოელი მიაჩნია ისევე, როგორც შ. ნუცუბიძეს. ბოლო დრომდე ტექსტი ამ ტრაქტატისა არ ჩანდა. მ. მუჯელიძემ გამოაქვეყნა სტატია „მიქელ პსელოსის ერთი თეოლოგიური ტრაქტატის ძველი ქართული თარგმანისთვის“, ჟურ. რელიგია, 1999, № 1-2, 50-58, სადაც იგი იძლევა P. Gautier-ს მიერ გამოქვეყნებული პსელოსის ტექსტებული ტრაქტატის თარგმანსა და ანალიზს.

დამძიმებული ბუნების *„კუალად აგებას“*. ანუ ქრისტე პირმშოა მისი ადამიანისათვის გამოცხადების აზრით, როგორც *„ბუნებისა ჩუენისა კუალად დაბადების“* მოთავე და არა *„არარსისაგან ყოფად მოსელის“* აზრით. ქრისტე ადამიანებს მოევლინა, რათა მოხდეს მათი სულის *„პირველისაე წესისა მიმართ აღყვანებაჲ... სათნოებათა-მიერითა კუალად-გებითა, რომლისა პირველ დამწყებელობითა პირმშოდ იწოდა ქრისტე“* (პირმშ. გვ. 261) — ასკვნის განმარტების ავტორი. ასეთი ინტერპრეტაცია ერთადერთი შესაძლებელი ახსნა იყო ორთოდოქსული თვალსაზრისისათვის მისაღები. და ამიტომაც იქნა შეტანილი პსელოსის ეს ტრაქტატი არსენის დოგმატიკონში (როგორც ჩანს, მისივე თარგმანით), რათა მსმენელი აღარ „შეურეველიყო“ და პირმშოდ წოდება არ მიეწერა დასაბამისათვის. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო გასაგები და ნათელი ხდება იოანე პეტრიწის მიერ კანონიკურ თარგმანში შეტანილი შესწორება *დასაბამსა შორის იყო სიტყუაჲ* ამ კონტექსტში სიტყვა *პირველის* ხმარება ყოვლად დაუშვებელი იყო მაშინ, როდესაც გამოცხადების, ხორციელად შობის თვალსაზრისით პირმშოდ ქრისტეს წოდება მისაღები იყო.

აღსანიშნავია, რომ რუის-ურბნისის ძეგლისწერის ავტორი სწორედ ამ ინტერპრეტაციას ეყრდნობა და ღმრთის ბუნებასთან ადამიანის ზიარების მხარე აქვს მხედველობაში, როდესაც ამბობს: *„სახიერმანცა დამბადებელმან მისმან... გუამოენებით შეაერთა იგი თაესა თესსა და ზესთა ბუნებისა განაღმრთო მის მიერ მიღებული იგი და მისთანა ერთგუამქმნილი კაცი და რომელი-იგი იყო პირმშოჲ ყოვლისა აგებულისაჲ, თავს-იდვა პირმშო მრავალთა ძმათა შორის ყოფაჲ, რაჲთა სასელითა მისისა მიმართ წოდებულნი და მადლით ძმად მისსა აღსაარებულნი, რომელი-იგი ყრმათაცა ეზიარა კორცითა და სისხლითა... ზუნ აღიყვანეს, კუალად განხორციელებითა თესითა, საღა-იგი თუთ არს თავი სასოებისა ჩუენისაჲ და თანამოქალაქე მყვნეს წმიდათა და სახლეულ-ღმრთისა“* (დ. სჯ. კან., 548). მით უფრო საგულეველია, რომ ტრაქტატი არსენ იყალთოელს ეკუთვნოდეს, ან მისი თარგმნილი იყოს. ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პავლეს ეპისტოლეს სიტყვების ეს განმარტება, როგორც ჩანს, ეყრდნობა კირილე ალექსანდრიელის რიცხუთა 47-51-ე მუხლების განმარტებას, რომელიც შეტანილია გელათის ბიბლიის კატენებში და, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ უფალმა უბრძანა მოსეს, რომ მას *„ისრაელთა პირმშოთაგან მიეღო ეეცსლი“* და მიეცა აარონისა და მის ძეთათვის. წმ. კირილეს აზრით, უფლის ამ სიტყვებში *„უსაიდუმლოესი რაჲმე ძალი“* არს დაფარული: *„რამეთუ ყოველსა პირმშოსა სასე მოაქუს პირველქმნულისა ადამისი, დაცემულისა ერძნობათა მიერ, რომელთაგან და რომელთა მიმართ არს ბრძოლაჲ... ქრისტესაცა, ვითარცა პირმშოსა, მიეკდებოდა დიდრაქმაჲ...“* (Q 1152, 96r).

ამგვარად, ეს პრობლემები, როგორც ჩანს, აქტუალური იყო ქართულ თეოლოგიურ წრეებში და ამიტომაც პეტრიწი განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას დაბადების 1, 26 და იოანეს სახარების პირველივე მუხლის მუსტად თარგმნის აუცილებლობაზე.

დამოწმებულ წყაროთა შემოკლებანი

განმარტება – იოანე პეტრიწი, მრომები, II, განმარტებაჲ პროკლესთჳს დიადოსისა, ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1937.

დ. სჯ. კან. – დიდი სჯულისკანონი, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, ე. გიუნაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ. თბილისი, 1975.

თარგმან. ეკლესიასტ. – თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ, მიტროფანე, მმჯრნელ მიტროპოლიტისაჲ, გამოსცა კ. კეკელიძემ, თბილისი, 1920.

კლარჯ. მრავალთ. – კლარჯული მრავალთავი, გამოსცა თ. მგალობლიშვილმა თბილისი, 1991.

ნემეს – ნემესიოს ემესელი, ბუნებისათჳს კაცისა, ბერძნულიდან გადმოღებული იოანე პეტრიწის მიერ, გამოსცა ს. გორგაძემ. თბილისი, 1914.

პირმმ. – მიქელ პსელოსისა, პირმმოჲსათჳს, ტეორგიკა VI, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1966.

საქ. მოციქ. – საქმე მოციქულთა, ძველი ხელნაწერების მიხედვით გამოსცა ილია აბულაძემ, თბილისი, 1950.

მაგბ. კრებ. – მაგბერდის კრებული, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბილისი, 1979.

დავანა ფელიქიფელი

ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია ქართულ ენაში დიათეზებისა და გვარების თეორიის კონტექსტში

ზოგადენათმეცნიერულ თუ კერძო ენათა გრამატიკულ ლიტერატურაში გვარის ცნების ერთიანი გაგება არ არის გამომუშავებული. დიდი სირთულეები ახლავს გვარის კატეგორიის განსაზღვრასა და აქტივ-პასივის, განსაკუთრებით კი მედიუმის, როგორც გვარის საოპოზიციო ცალების გამოყოფის ფორმალურ-სემანტიკური (მორფოლოგიურ-სინტაქსური) კრიტერიუმების დადგენას ქართულში.

საზოგადოდ, გვარის კვალიფიკაცია ეძლევა ისეთ ზმნურ ფორმებს, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებიან სემანტიკისა და სინტაქსის ერთეულებს შორის შესატყვისობის შებრუნების შემთხვევაში — კერძოდ, სუბიექტ-ობიექტისა და ქვემდებარე-დამატების ურთიერთშენაცვლების (კონვერსიის) შემთხვევაში: აქტივად კვალიფიცირებულია ზმნის ფორმა, რომლის სუბიექტიც მოქმედია — აგენსია (რეალურად ქვემდებარის შესატყვისია), პასივად კი სახელდებულია ფორმა, რომლის სუბიექტი მოქმედების განმცდელია, პაციენსია (რეალურად დამატების შესატყვისია). ამრიგად, „გვარის" ფორმები ერთმანეთის მიმართ კონვერსიულ დამოკიდებულებაში არიან, ანუ ერთის სუბიექტი შეესატყვისება მეორის პირდაპირ ობიექტს *(მხატვარი ხატავს სურათს (ა.O) — სურათი (S) იხატება მხატვრის მიერ)*.

გვარის კატეგორიის ასეთი გააზრებისა და განსაზღვრის შემთხვევაში ქართულში ამ კატეგორიის გარეთ რჩება დიდი რაოდენობა მთელი რიგი ზმნებისა, რომელნიც გამოხატავენ ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას *(წუხს, ტირის, კანკალებს, . უყვარს, უკვირს* და სხვ.). ამ ზმნების მოქმედების აგენსი იგივე პაციენსია *(წუხს ის — თვითონვეა მწუხარე, კანკალებს ის თვითონ, ტირის ის თვითონ)* ამ მხრივ ისინი შინაარსობლივად ძალიან ჰგვანან ისტორიულად უგვარო დინამიკურ ზმნებს, რომელთაც დღეს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში III ტიპის, უნიშნო („თბება" ტიპის) ვნებითებს უწოდებენ: — რაც თბება და გათბა *(ტფება — განვტეფ — განტფა)* თვითონ არის **გა-მ-თბ-ა-ო**. არ არის შემთხვევითი, რომ ზმნათა ორივე ამ ტიპისაგან მხოლოდ **მ-** პრეფიქსიანი სასუბიექტო მიმღეობა იწარმოება: **გამთბარი** არის ის, რაც გათბა (თვითონ), **მწუხარე** არის ის, ვინც წუხს, იწუხა (თვითონ).

არც ის არის შემთხვევითი, რომ **ი-** პრეფიქსიანი კონვერსიული რეფლე-

ქსოვებისათვის სწორედ „თბება“ ტიპის მიხედვით ჩამოყალიბდა აბსოლუტური (და რელატიურიც) დინამიკური პასივის მოდელი.

ამ ტიპის ზმნები, თუ შეიძლება ითქვას, მოქმედების მდგომარეობას გამოხატავენ. მათი სუბიექტი თვითმოქმედია, თვითმოძრავია, მათი მოქმედება უუმიმართებისაა, უუქცევითია (ამ მოქმედების გამოხატვა გრაფიკულად წრით შეიძლებოდა). ასეთ ზმნებს შეიძლება ავტოტიპები ეუწოდოთ.

ისინი შინაგანად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს და ამიტომ არასრული კონსტრუქცია აქვთ: *თამაშობს ის — ითამაშა მან, სწავლობს ის — ისწავლა მან.* ობიექტი შეიძლება გარეთ გამოვიდეს, ასე ვთქვათ, ამოტივტივდეს: *თამაშობს ის → თამაშობს ის მას, სწავლობს ის → სწავლობს ის მას, წუხს ის → წუხს ის მას, ტირის ის → ტირის ის მას.* მაშინ ამავე სტრუქტურის ზმნა პირდაპირ გარდამავალ მიმართებას გამოხატავს, სრული კონსტრუქციისად იქცევა და აქტივთა ჯგუფში გადადის. ასეთი ზმნები ლაბილური კონსტრუქციით ხასიათდებიან და მათ შეიძლება ლაბილურ-გარდამავალი ზმნები ეუწოდოთ.

წუხს ის, ტირის ის, კანკალებს ის, მეფობს ის, თამაშობს ის და სხვ. ამ ტიპის ზმნები ბაზისური ფორმებია ა-წუხ-ებ-ს ის მას, ა-ტირ-ებ-ს ის მას, ა-კანკალებ-ს ის მას, ა-მეფ-ებ-ს ის მას, ა-თამაშ-ებ-ს ის მას და სხვ. ფორმებისათვის, რომელთა სუბიექტის მოქმედებაც მიემართება პირდაპირი ობიექტისაკენ (ამიტომ იგი გრაფიკულად სწორი ხაზით შეიძლება გამოიხატოს): S → Odir.

ეს ფორმები ბაზისურია ერთპირიანი (აბსოლუტური) კონსტრუქციის გარდაუვალი დინამიკური ზმნებისათვისაც: წუხს — წუხდება, შურს — (შე)შურდება, ზანზარებს — აზანზარდება, ტირის — ატირდება, მეფობს — მეფდება და სხვ.

ამ ტიპის ზმნებს ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „საშუალ“, მედიუმთა ჯგუფში ათავსებენ, როგორც ფორმალურად აქტივის მოდელის მქონეთ (ისინი აწმყოში *-ი, -ავ, -ებ, -ობ* თემატური სუფიქსის შემდეგ აქტივთა მსგავსად მხოლოდ პირის ნიშანს დაირთავენ მაშინ, როდესაც პასივებს თემატური ნიშნის შემდეგ *-ი* მახასიათებელი დაერთვის), ხოლო შინაარსობლივად — როგორც გარდაუვლებს (გარდამავლობის კატეგორია აქ განისაზღვრება პირდაპირი ობიექტის ყოფნა-არყოფნით) — პასივის მსგავსებს. ამავე დროს, თვლიან, რომ ე. წ. „მედიუმებს“ მხოლოდ აწმყოს ჯგუფის ფორმათა წარმოება შეუძლიათ, დანარჩენ მწკრივებს კი აქტივის (სასუბიექტო ვერსიის) ფორმებისაგან სესხულობენ.

მაგრამ ეს ვერ წყვეტს პრობლემას. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ პასივის ცალკე გვარად გამოყოფის ზოგადად მიღებული სემანტიკური კრიტერიუმი, რომელიც ამ გვარის ზმნების სუბიექტის პასივობას გულისხმობს, ქართულში ყოველთვის — და შეიძლება ითქვას, უმეტეს შემთხვევაში — ვერ მუშაობს. მაშინაც კი, როდესაც ეს ფორმები აქტივის ფორმათა კონვერსიის შედეგადაა მიღებული *(და-ი-მალ-ა მან იგი — და-ი-მალ-ა იგი თვითონ)*, რომ აღარაფერი ვთქვათ ზემოთნახსენებ პირველადს „თბება“ ტიპისა და *-დ* სუფიქსიან ვნებითებზე *(თეთრდება)*, რომელთა აბსოლუტურ ფორმათა სემანტიკა ე. წ. მედიუმთა მსგავსად რეფლექსურია, ხოლო რელატიურ ფორმებში სუბიექტი არა პაციენსად, არამედ რეალურად მოქმედად, აგენად წარმოგვიდგება *(ტმალება ის მას, გადაბტება ის მას, აცხრება ის მას, ელაპარაკება ის მას, ეკვეთება ის*

მას...). ხშირად ე. წ. „ვნებითი" გვარის ერთპირიანი (აბსოლუტური) ზმნებიც კი სუბიექტს აქტიურად წარმოგვიდგენენ, რაც ასევე ეწინააღმდეგება სემანტიკური ოპოზიციის (აქტიური სუბიექტი — პასიური ობიექტი) მიღებულ კრიტერიუმს. ამიტომ მათ ცალკე ჯგუფადაც — დეპონენსებად გამოყოფენ *(ილანძღება*[1], *ილრინება, ილუმება, ოგინება...)*.

აღსანიშნავია, რომ მრავალ (ძირითადად „მეტყველება" წრის სემანტიკის) ე-პრეფიქსიან ვნებითს თავისი კანონზომიერი ცალი ი- პრეფიქსიანი ერთპირიანი ფორმა არა აქვს და ეწყვილება სწორედ ერთპირიან ე. წ. მედიუმს: *ლაპარაკობს — ელაპარაკება*[2], *ბასობს — ებაასება, მასხრობს — ემასხრება, უბნობს — ეუბნება. ხუმრობს — ეხუმრება, ჩხუბობს — ეჩხუბება* და სხვ. ამ ტიპის ყველა ზმნაში სუბიექტი რეალურად მოქმედი, აქტიური პირია.

ე- პრეფიქსი ირიბი ობიექტის სამიმართებო ნიშანია და ერთპირიანი ზმნისაგან აწარმოებს ირიბი მიმართების ორპირიანს, ისევე, როგორც ა- პრეფიქსი პირდაპირი მიმართებისას *(წუხს — აწუხებს)* დინამიკურ ზმნებში, ხოლო ირიბი მიმართებისას — სტატიკურებში: *გდია — აგდია, (ა)ფენია — აფენია.*

ამგვარად, ევროპული ზმნის მიხედვით გვარის კატეგორიის განსაზღვრა როგორც მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიისა, რომელიც ზმნის გარკვეული ფორმით აღნიშნავს ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობას ქვემდებარის აქტიურობა-პასიურობის თვალსაზრისით, ქართულისათვის მთლად მისაღები არ არის ე. წ. დინამიკური ორგანული წარმოების ვნებითების შემთხვევაში, თუმცა გამოდგება აღწერითი წარმოების *(წაღებულ იქნა, გაკეთებულ იქნა, გაგებულ იქნა)* ვნებითებისათვის.

აშკარაა, რომ ქართულში გვარის კატეგორია არ არის მკვეთრად გამოყოფილი რეფლექსივისაგან და, თუმცა აკაკი შანიძემ თანამედროვე ქართული ზმნის სისტემაში წარმატებით მოახდინა დიფერენცირება გვარისა და ვერსიის (ქცევის) კატეგორიებისა, მაინც ვერც ფორმალური და ვერც სემანტიკური თვალსაზრისით ვნებითი და საშუალი გვარის კატეგორიათა გამოყოფა ვერ აკმაყოფილებს გვარის კატეგორიის იმ გაგებას, რომელიც ზოგად ენათმეცნიერებაშია მიღებული და უნივერსალურადაა მიჩნეული.

ევროპულ ენებში გვარის კატეგორიის გამოყოფას მორფოლოგიურთან ერთად ფუნქციური საფუძველიც აქვს. ამიტომაცაა, რომ ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ უცხოელებს უჭირთ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „ვნებითის" („პასივის") სახელით ცნობილი ზმნების გააზრება ევროპული აღწერითი, სტატიკური პასივის შესატყვისად.

ყოველივე ამის მიზეზი კი ქართული ენის ზმნის პოლიპერსონალიზმსა, და აქედან გამომდინარე, სახელსა და ზმნას შორის თავისებურ სინტაქსურ სტრუქტურა-მექანიზმში უნდა ვეძიოთ. კერძოდ, აქტანტებისა და ზმნის სინტაქსური ურთიერთობის თავისებურ მორფოლოგიურ მოწესრიგებულობაში, რაც რადიკალურად არის განსხვავებული ევროპული ენებისაგან და რამაც გამოიწვია ქარ-

---

[1] ილანძღება (ასევე ოგრიბება) ოდონიმური ფორმაა, პასიური შინაარსისაცაა და დეპონენსიც *(ილანძღება ოგი თვითან, ილანძღება ოგი ეიღაცის მიერ).*

[2] *არ არის არც* | *როგის სტრუქტურის ორპირიანი ფორმები.*

თული და ქართველური ენების ზმნის სტრუქტურის კვლევისას განსხვავებული თვალსაზრისებისა და თეორიების ჩამოყალიბება (მაგ. ქართული ზმნის პასიურობის, ერგატიულობისა და აქტიურობის).

რადგანაც გვარის კატეგორია არა მხოლოდ მორფოლოგიური, არამედ სინტაქსური კატეგორიაცაა, ამიტომ ქართული პოლიპერსონალური ზმნის პირობებში სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვის საკითხის გადაჭრა (ინვერსიის პრობლემა), ე. წ. „ვნებითი" და „საშუალი" გვარის ფორმათა ფუნქციური გამიჯვნა *(მასხრობს — ემასხრება, საუბრობს — ესაუბრება)*, ასევე მოქმედებითი და საშუალი გვარის ფორმათა გამიჯვნა *(აყანყალებს ის მას — აყანყალებს მას)* რთულდება.

ყოველივე ამის გამო ქართული ზმნის კონსტრუქციისა და პირთა რელაციის გამოხატვის თავისებურებათა გათვალისწინებით გამოვყოფთ უფრო ფართო გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც მოიცავს დესტინაციურ სისტემას, რეფლექსივსა და გვარის გაგებას და, რომელსაც **დიათეზას** დავარქმევდით.

დიათეზა არისტოტელესთან განმარტებულია, როგორც ნაწილთა გარკვეული რიგის (განლაგების τάξις) მქონე რამ. დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებაში" კი **დიათეზის** გაგება თითქმის ემთხვევა თანამედროვე ენათმეცნიერებაში გვარის კატეგორიის გაგებას. ჩვენს შემთხვევაში **დიათეზა**, არისტოტელეს ზოგადი დეფინიციიდან ამოსვლით, არის სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის ორგანიზაციისა და აქტანტების სინტაქსური რელაციის მორფოლოგიური გამოხატვის წესების ერთობლიობის სისტემა.

ასე რომ, დიათეზის ცნება ქართულში მოიცავს ზმნის ვალენტობისა და პირიანობის, სინტაქსური კონსტრუქციის, ზმნასა და სახელს შორის სინტაქსური ურთიერთობის, მართვა-შეთანხმების, ე. ი. ზმნის პირისა და რიცხვის მიხედვით ცვლის) საკითხებს, დესტინაციურ სისტემას (აქტანტებს შორის პოსესიური დამოკიდებულების მორფოლოგიურ გამოხატვას, რეფლექსივის (ავტოტივ-მედიოაქტივი), კონვერსიის (აქტივ>პასივი) და ინვერსიის (პირის ნიშანთა ფუნქციების შებრუნებას, რაც სინტაქსურად თანასწორუფლებიან აქტანტთა პერსონალურობა-არაპერსონალურობის, სუბიერი-არასუბიერის მიხედვით დაპირისპირების ნიადაგზეა გაჩენილი.

დიათეზების მიხედვით ქართული ზმნის სინქრონული სტრუქტურისა და კონსტრუქციის ანალიზი ნათლად წარმოგვიდგენს ამ კატეგორიის კერძო გამოვლინებების (ვერსია, რეფლექსივი, გვარი, კაუზატივი) საფეხურებრივი ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესსაც.

ყოველივე ამის გამო ვარჩევთ უღლების ტიპების დიათეზების მიხედვით კლასიფიკაციას.

I დიათეზაში ვაერთიანებთ **არასრული** და **სრული** კონსტრუქციის აწმყოს იდენტური სტრუქტურის (მოდელის) ზმნებს — ავტოტივებსა და აქტივებს, რომელთა MS ბრუნვაცვალებადია სერიების მიხედვით. **I არასრული** დიათეზის — ავტოტივის სტრუქტურა და კონსტრუქცია ამოსავალია **I სრული** დიათეზის მქონე აქტივისათვის:



წუხს ის X — იწუხებს ის X — იწუხა მან X
წუხს ის მას — შეიწუხებს ის მას — შეიწუხა მან ის

II **დიათეზაში** გაერთიანებულია სრული კონსტრუქციის მქონე აბსოლუტურ-გარდაუვალი და ირიბგარდამავალი (გარდაუვალი) ზმნები, რომელთა MS და $MO_{\text{ა}}$. ბრუნვაუცვლელია სერიების მიხედვით. მათი აწმყოს სტრუქტურაა Ø/ი/ე-R-ებ-ი.

ამავე დიათეზას განეკუთვნებიან არასრული კონსტრუქციის სტატიკური ზმნები (ე. წ. სტატიკური ვნებითები), რომელთა თემაც ისევე -ი სუფიქსიანია, როგორც დინამიკურებისა, ოღონდ მათგან განსხვავებით, მარტივია (მადინამიკურებელი თემატური ნიშნის გარეშეა). ფორმით ესენი ორპირიანებია, მაგრამ კონსტრუქცია — არასრული, პირნაკლი აქვთ (I-ფენია || ა-ფენია ის X — ე-ფინა ის X), ისევე, როგორც ავტოტივებს აქტივების მიმართ.

III **დიათეზაში** ვაერთიანებთ მეორეულ, ინვერსიული კონსტრუქციის ნარევი სტრუქტურის ზმნებს: ი/უ-R- Ø; ა/Ø-R-ი; ა-R-ებ, ე-R-ები.

ამ ზმნათა უმრავლესობა გრძნობა-აღქმის გამომხატველი (აფექტური) სტატიკური შინაარსის ზმნებია, რომელთა რეალურ სუბიექტად გაგებულია მიცემითში დასმული სახელი: *მიყვარს მე ის, მძულს მე ის, მიჭირს მე (ის), მაცვია, გამაჩნია* და სხვ.

უღლების თვალსაზრისით III, ინვერსიულ დიათეზაში გამოვყოფთ სამ ქვეტიპს: I ქვეტიპს შეადგენს **მიყვარს** და **მაცვია** ტიპის სტატიკური ზმნები, რომერთაც S_3-ში -ს სუფიქსი აქვთ, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მედიოპასივებს უწოდებენ. დღეს მათ აწმყოს I და II პირის ფორმები მეშველი ზმნით ეწარმოებათ: *ვუყვარვარ — უყვარხარ;* მეორე პირის ფორმა კი ძველებურად ორგანულია: *უყვარს.*

II ქვეტიპს წარმოადგენს „მაკანკალებს" ტიპის ზმნები, რომელთაც სუბიექტისათვის კონსტრუქცია დატიური აქვთ.. ამათი სუბიექტი პასიურია, მოქმედების განმცდელი **მ-** პრეფიქსით აღინიშნება: *მაკიებს, მამკივნებს, მაზმორებს, მამთქნარებს, მასლოკინებს, (რა)წამაღებინებს* და სხვ. ამ ზმნათა დიათეზა მიღებულია I სრული დიათეზისაგან (ის მას — მან ის: nom+dat., erg+nom). ეს ზმნები ისტორიულად ახალი, ინვერსიული კონსტრუქციისაა.

III ქვეტიპში ვაერთიანებთ ე-R-ები სტრუქტურის II დიათეზის (დინამიკური პასივების) ფორმებს. ამათ მიცემითში დასმული ობიექტი, რომელიც, ჩვეულებრივ, პერსონალური პირია, სუბიექტადაა გაგებული და შესაბამისად მრავლობითშიც ითანხმებს ზმნას. ესენი **ე-ები/ა** სტრუქტურის ირეგულარულ პასივებს მიეკუთვნებიან სემანტიკური ნიუანსებით: შიჩნევის (მოჩვენებითობის), გუნება-განწყობის, შესაძლებლობის (პოსიბილიტური) და ზოგი სულიერი და ფიზიკური

მდგომარეობის გამომხატველი უნებლიობის სემანტიკის (მემთქნარება, მეცუ-მინება) ზმნები, რომლებიც ინვერსიული დიათეზის მქონეა.

ე. წ. მედიალური ზმნები ქართულში უძველესი ფორმაციის ზმნებია. ქარ-თულ გრამატიკულ ლიტერატურაში ტერმინს „საშუალი გვარი" პირობითად იყენებენ იმ ზმნების აღსანიშნავად, რომლებიც სპეციალურ ჯგუფს ქმნიან და, რომელთათვისაც ძირითადად სტატიკურობა და უკუქცევითობაა (რეფლექსურო-ბაა) დამახასიათებელი. იმასაც ვარაუდობენ, რომ „საშუალი გვარის" ზმნა ზოგი ნიშნით მოქმედებითს ჰგავს, ზოგი ნიშნით კი ვნებითს (ა. შანიძე). მათ უგვარო სტატიკურ ზმნებსაც უწოდებენ და ენის განვითარების იმ საფეხურის ამსახვე-ლად მიიჩნევენ, როდესაც ზმნა მინიმალურად განსხვავდებოდა სახელისაგან: ზმნა მდგომარეობას აღნიშნავდა და ეს მდგომარეობა თვისების მსგავსად უცვლელი იყო (არნ. ჩიქობავა). ამგვარად, ამ ტიპის ზმნების სტატიკური ხასიათი თავის-თავად გამორიცხავს დროში ცვალებადობის უნარს. მაგრამ სიცოცხლის შესანარ-ჩუნებლად მათ ეს უნარი შეიძინეს და ზმნის უღლების საერთო სისტემაში ჩაეწ-ერნენ. ზმნები, რომელთაც ვერ შეძლეს დრო-კილოთა ფორმების წარმოების საერთო სისტემაში ჩართვა, თანდათან გადაშენდნენ და მათი კვალი აწმყოს საწყისისა და მიმღეობის ფორმებმა თუ შემოინახა *(უწყის, მოსავი, მოწიწება...)*.

მედიალური ზმნები, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, როგორც სტრუქტურის, ისე სემანტიკის თვალსაზრისით ძირეული, ამოსავალი ფორმებია აქტივისათვის: ისინი, თუ შეიძლება ითქვას, **მოქმედების მდგომარეობას**, ასე ვთქვათ, **თვით-მოქმედებას, თვითმოძრაობას** გამოხატავენ და, ამდენად, მათ შეიძლება **ავტო-ტიპები** ვუწოდოთ. ამ ზმნებს შინაგანი გარდამავლობა ახასიათებს, ისინი შინა-განად შეიცავენ პირდაპირ ობიექტს *(აკანკალებს ის მას,* მაგრამ *კანკალებს ის თვითონ. მეფობს ის თვითონ...)* და ზედაპირზე არასრული კონსტრუქცია აქვთ. ამიტომ, თუმცა აბსოლუტური აგებულება აქვთ, მაგრამ კანონზომიერია, რომ დრო-კილოთა ფორმებს ისინი სასუბიექტო ვერსიის **ი-** პრეფიქსის საშუალებით აწარმოებენ. უძველესი დროის ხანმეტ და შემდეგდროინდელ ტექსტებში და-დასტურებულია I დიათეზის, ამ არასრული კონსტრუქციის ზმნების, **ი-** პრე-ფიქსიანი ფორმები აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ ფორმებში — უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითში: *ბიტყუ, ვიტყუ, ბიტყუან, ბიბარებს, ბიტყუებს, ბიმარხავს, ბიმოთხევს, ბიტყოდა, ბილვიძებდა, ბიმოთხევდა, ბილოცვიდა, ისწავებს, ვილოცვა-დით, იმრუშებდენ, ვიტყოდით, იტყოდა, იტყოდეს* და სხვ. (იხ. აგრეთვე, „ვეფ-ხისტყაოსანში": *„ილოცავს, იტყჳს, მაღალო, ღმერთო ხმელთა და ცათაო"*...).

ამ ტიპის ზმნათა **ი-** პრეფიქსიანი ფორმები (ისევე, როგორც I სრული და-ათეზის და II დიათეზის ზმნისწინიანი ფორმები) მომავალ დროში გადაიჭრებენ იმ განსხვავებით, რომ ზმნისწინიან ფორმებს სრული ასპექტის მნიშვნელობა აქვთ, **ი-** პრეფიქსიან მომავალსა და წყვეტილს კი უსრულისა, როგორც ეს შეეფერება სტატიკურ ზმნებს, რომელთაც დიურატიული შინაარსი აქვთ. ამ და-ათეზის ზოგ ზმნას არა მარტო ძველში, არამედ თანამედროვე ქართულშიც **ი-** პრეფიქსიანი აწმყო აქვს: *იკონის, იმღერის, ინანის, ინატრის, იბარის, იპირვის, იურვის, იჩქარის*...

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ მყოფად-წყვეტილის **ი-** პრე-ფიქსიანი ფორმები აქტივისაგან ნასესხებად კი არ ჩავთვალოთ, არამედ **ავტო-**

ტიპ-რეფლექსივის კანონზომიერ ფორმებად, რომელთათვისაც შინაგანი მიმართების, რეფლექსური დესტინაციის (resp. სასუბიექტო ვერსიის) **ი-** პრეფიქსი ამგვარი მიმართების აღმნიშვნელი ორგანული პრეფიქსია. რამდენადაც ეს ფორმები რეფლექსივის შინაარსისა, საობიექტო მიმართება (ვერსია) ლოგიკურად ამ ფორმის შიგნით გამორიცხული უნდა იყოს. ზოგს მართლაც საერთოდ ვერ ეწარმოება ამ მიმართების ფორმები, ამიტომაც მყოფად-წყვეტილის ფორმები მათ არ აქვთ — და, თუ საჭიროება შეიქმნა, სესხულობენ II დიათეზის — პასივის ფორმებს: *მიწუხს ან ის — შემიწუხდება მე ის — შემიწუხდა მე ის.* მაგრამ ეს ნასესხები ფორმები უკვე დინამიკური შინაარსისაა.

ავტოტიპებს, როგორც ზემოთაც ვაჩვენეთ, აქტივის მოდელი აქვთ სამიმართებო პრეფიქსების გამოკლებით: R-ავ, R-ი, R-ებ, R-ობ, R-Ø, R-Ø[ე/ი].

ამგვარად, სტატიკური ავტოტიპები და დინამიკური აქტიპები ერთი — **პირველი** დიათეზის ორი განშტოებაა, უსრული და სრული კონსტრუქციით. აქის დამადასტურებელია აგრეთვე ლაბილური კონსტრუქციის ავტოტიპთა ფორმები, რომელთა შინაგანი პირდაპირი ობიექტი ხან ამოტიპტიდება (გაჩნდება) ხან იკარგება (*თამაშობს ის — თამაშობს ის მას, ლაპარაკობს ის — ლაპარაკობს ის მას, უბნობს ის — უბნობს ის მას, სწავლობს ის — სწავლობს ის მას* და სხვ.).

ასევე, ერთი — მეორე დიათეზის ორი განშტოებაა. სტატიკური პასივები (უსრული კონსტრუქციით) და დინამიკური პასივები (სრული კონსტრუქციით), აწმყოს -ი სუფიქსური და წყვეტილის ე- პრეფიქსული საერთო მახასიათებლით.

ისტორიულადაც სტატიკური ავტოტიპების სტრუქტურა და კონსტრუქცია წინ უნდა უსწრებდეს დინამიკური აქტიპისას, ისევე, როგორც სტატიკური ვნებითისა დინამიკური ვნებითისას.

დიათეზების სურათი შეიძლება შემდეგი დიაგრამით წარმოვადგინოთ:







Damana Melikishvili

Structure of the Verb and Syntactic Constructions in the Georgian Language in the Frame of the Theories of Diathesis and Voices

General results of the investigation of the morphological and syntactic paradigms of the Georgian verbs are presented in the article.

The basis of this investigation is comprehension of the diathesis as of the system organising syntactic structure and mechanism and as of the combination of the rules of the formal relations of the actants.

Diathesis in the Georgian language comprises questions concerning the Reflexive, Version (possessive interrelations and destinative system in the verb and in syntactic constructions), conversion (active-passive), inversion (functions of the

personal markers of the actants in the verb).

We unite into Diathesis 1 the verbs with complete and incomplete construction of the identical to the present structure (model) – Avtotives and Actives the MS of which is inflected according to the Series.

The intransitive and indirect-transitive dynamic verbs of the complete construction, the MS and MO_{ind} of which are indeclinable according to the series and are always in the Nominative, are united into **Diathesis 2**. Their present structure is: Ø-R-ებ-ი, Ø/ი/ე-R-ებ-ი.

The static verbs of the incomplete construction corresponding to these dynamic verbs (the so-called Static passives).

The inversive verbs of the secondary, mixed (Dative) construction of various structures are united into **Diathesis 3**:

დამანა მელიქიშვილი

დიათეზებისა და გვარის ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში

ანა კომნენეს „ალექსიადადან“ ჩანს, ფილოსოფოსთა ამავე წრის შესწავლით იყო დაინტერესებული პსელოსის მოწაფე იოანე იტალოსი, რომელიც თავის მასწავლებელზე კიდევ უფრო შორს მიდიოდა, როდესაც თავის მოწაფეებს ნეოპლატონიკოსთა მოძღვრებას თიხქმის მთლიანობაში ასწავლიდა, აღიარებდა პლატონური იდეების თეორიას, ისევე, როგორც სულთა გადასახლებას; სწამდა მატერიის მარადიულობა (უსასრულობა), პლატონურ აზრებს საეკლესიო მამათა აზრებზე მაღლა აყენებდა და ქრისტიანულ დოგმათა განმარტებას ნეოპლატონურ მეტაფიზიკას უქვემდებარებდა. როგორც ანა კომნენე წერს, იტალოსი ქადაგებდა საეკლესიო დოგმებისათვის უცხო აზრებს, რის გამოც ეკლესია აფორიაქებული იყო მისი ცრუ სწავლებით. ბიზანტიური სქოლასტიკის სწორედ ამ პერიოდში, რომელსაც ზოგი მკვლევარი „ბიზანტიურ რენესანსს“ უწოდებს, როდესაც ბიზანტიის განათლების სისტემაში საერო ტენდენციებმა იჩაღა და სამეცნიერო ინტერესების გამოცოცხლებასთან ერთად რაციონალისტური იდეები ღვთისმეტყველებაშიც შეიჭრა, როდესაც ღვთისმეტყველება „უმაღლეს ფილოსოფიად“, „პირველ ფილოსოფიად“ იქნა შერაცხილი, კვლავ გამოცოცხლდა ადრექრისტიანული ხანისათვის დამახასიათებელი ტრინიტარული პოლემიკა, რასაც ხშირად ქრისტიანულ დოგმატიკაში ფილოსოფიური ტერმინების ანტიკური გაგებით გამოყენება იწვევდა. მაგალითისათვის კმარა დავასახელოთ სამების დოგმატის უძირითადესი ცნება-ტერმინების - ერთი მხრივ, οὐσία – არსება//ბუნება და, მეორე მხრივ, ὑπόστασις – განუკუთვნელი//გუამი//პირი სინონიმური მნიშვნელობით გაგება (როგორც ეს არისტოტელესთანაა), რაც „გარეშე“ ფილოსოფოსებთან და შიდა მწვალებლებთან „სიტყვის-გების“ მიზეზი იყო (აქას წმ. ეფრემ მცირის შესაკალიც მოწმობს, დართული წმ. იოანე დამასკელის „საფილოსოფიო თავებისათვის“). ყურადღების ცენტრში კვლავ ღადგა „საღმრთო ბუნების“, ქრისტეს პირისა და არსების საკითხი. მძაფრი თეოლოგიური პოლემიკის პროცესში ელინდებოდა ახალი ფორმები ძველი ერესებისა. მაგ., იოანე იტალოსის მოწაფე, ევსტრატი ნიკიელი (რომელიც, როგორც ნიკიტა ხონიატი აღნიშნავს, თეოლოგიურ კამათშიც თავისი მასწავლებლის მეთო-

დის ერთგული დამცველი იყო, მასავით გაურბოდა საკუთარი ნაშრომების ბიბლიური და პატრისტიკული ციტატებით გადატვირთვას და მიმართავდა დიალექტიკურ მეთოდსა და ლოგიკურ არგუმენტებს), ფილიპოპოლში ერთ მონოფიზიტურ სასულიერო განათლებულ პოლემიკაში მეორე უკიდურესობაში გადავარდა: დაამტკიცა ქრისტეს ღვთაებრივი არსება და არიოზის წვალება აღადგინა. სოტირიხოს პანტევგენოსი კი სამების თავისებურ იერარქიულობას აღიარებდა, როდესაც მსხვერპლის მიმღებად მხოლოდ მამა ღმერთს მიიჩნევდა და, მაშასადამე, მიჯნავდა მამისა და ძის ბუნებას, რაც სამების ერთარსების ძირითად პრინციპსა და დოგმას ეწინააღმდეგებოდა. შემთხვევითი არ არის, რომ ამავე ხანის ბიზანტიელმა საეკლესიო მოღვაწემ, თეოფილაქტე ბულგარეთის მთავარეპისკოპოსმა, თავის განმარტებაში იოანეს სახარებისა განსაკუთრებით გამოყო და ვრცლად განმარტა მაცხოვრის სიტყვები: „მამაჲ ჩემი უფროჲს ჩემსა არს". ამ სიტყვებში დაეჭვებისა და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საფუძველს ხედავდნენ და ამ დროის ბიზანტიის თეოლოგიურ წრეებში მათ გარშემო მწვავე პოლემიკა მიმდინარეობდა. თავის განმარტებაში თეოფილაქტემ ხაზი გაუსვა ქრისტეს ადამიანური ბუნების უმცროსობას მისსავე ღვთაებრივ ბუნებასთან მიმართებით: „ამქუეყ მწუალებელთა: რაჲსაებრ მივიდოდა მამისა მიმართ ქრისტე: ვითარ ღმერთი, ანუ ვითარ კაცი? უეჭველად, ვითარ კაცი, ვინაჲთგან, ვითარ ღმერთი, მარადის ცათა შინა იყო და განუშორებელ მამისაგან. კაცობრივობისაებრ უკუე ითქმის უფროჲს მისსა ყოფად მამაჲ" (A 52).

ამგვარად, იმ დროის ყველა ბიზანტიელი მოაზროვნე აუცილებლობით მიდიოდა საღვთისმეტყველო საკითხების განხილვამდე: ფილოსოფოსისათვის შეუძლებელი იყო შეეკრებულიყო მეტაფიზიკური აზროვნების ზღვარზე ისე, რომ არ გადაკარდნილიყო ქრისტიანული დოგმატიკის სფეროში და, ამასთან, არ გადაელახა ზღვარი ორთოდოქსიისა (არ გადაულესნია წმ. მამათა გზას), რადგანაც არისტოტელეს ლოგიკური კანონების, დასაბუთების მეთოდის მომარჯვება ქრისტიანული დოგმატიკის მიმართ, რასაც სქოლასტიკის ფუძემდებლის, წმ. იოანე დამასკელის „საფილოსოფიო თაებმა" („დიალექტიკამ") გაუხსნა

გზა (იხ. წმ. ეფრემ მცირის იგივე შესავალი), მეტად მაცთუნებელი აღმოჩნდა მეძიებელი გონებისათვის, რადგანაც, როგორც იოანე პეტრიწი წერს, მართალია, არისტოტელეს „შესიტყვითი" კანონების ცოდნის გარეშე შეუძლებელია რისამე წვდომა ლოგიკური (გონების) გზით, მაგრამ იგივე კანონები „ვერ კმა არიან" ზესთაგონიერი სამყაროს შეცნობისათვის.

თუ ადრე ბიზანტიის მმართველი წრეები შემწყნარებლობას იჩენდნენ წარმართული ფილოსოფიის მიმართ, ახლა XI-XII სს-ში, როდესაც ფილოსოფია თეოლოგიის საფუძველი გახდა, რაციონალიზმი თავის მწვალებლური გამოვლინებებით ისე ღრმად შეიჭრა ბიზანტიის თეოლოგიურ აზროვნებაში, რომ გარდაუვალი გახდა მისი ყოველგვარი გამოვლინების ალაგმვა. იმპერატორი ალექსი კომნენე, რომლის დიდი ხელშეწყობითაც აღორძინდა აკადემიური განათლება, იძულებული გახდა აეკრძალა ყოველგვარი კამათი ქრისტიანული დოგმების გარშემო: საეკლესიო პირთაგან იმათ, ვინც არ დაემორჩილებოდა ამ აკრძალვას, ეკლესიიდან განკვეთა ემუქრებოდა, ხოლო საერო პირებს - ქონების კონფისკაცია. იოანე იტალოსი 1082-1084 წლებში გასამართლებულ და დაგმობილ იქნა თავისი არაორთოდოქსული შეხედულებებისა და ცრუ მოძღვრების გავრცელების გამო (თუმცა, ანა კომნენეს ცნობით, მოგვიანებით მოინანია თავისი შეცდომები და თავის აღსარებაში, რომელიც მან საბრალმდებლო კომისიას წარუდგინა, ყოველნაირად სცადა მართლმადიდებლობასთან შეეხამებინა თავისი შეხედულებანი). უფრო გვიან სომხებთან დოგმატიკურ პოლემიკაში დაშვებული შეცდომებისათვის მხილებულმა ევსტრატი ნიკიელმაც, რომელიც მეორე უკიდურესობაში გადავარდა და არიოზის წვალება ააღორძინა, მოინანია თავისი შეცდომები, ხოლო 1157 წელს ეკლესიიდან განკვეთეს სოტირიხოს პანტევგენოსი, რომლის წინააღმდეგაც საეკლესიო კრებაზე გამოსულმა ნიკოლოზ მეოთხელმა დაწერა საგანგებო შრომა, სადაც იგი უპირისპირდებოდა სოტირიხოსს და მის წვალებას პლატონური იდეების შესახებ მოძღვრებიდან მომდინარედ თვლიდა.

აი, ამ გარემოში, სამეუფეო ქალაქში, კონსტანტინოპოლში, აზრთა ამ ცხოველ ჭიდილში იკვეთებოდა ქართველ მეფე-

თაგან ბიზანტიაში მაღალი სქოლასტიკურ-თეოლოგიური განათ-
ლების მისაღებად წარგზავნილი ქართველი ახალგაზრდობის
სააზროენო ინტერესები. ცნობილია, მაგალითად, რომ 1080-იან
წლებში „ქალაქსა შინა სამეუფოსა კოტანტინეპოლს, მონას-
ტერსა შინა ყოვლად შუენიერსა ტრიანფელიუს, დედოფლისა-
მართალსა... და მეფობასა ნიკიფორე ბოტანიატისა და ალექსი
კომნინისათა“ თარგმნიდა და მოღვაწეობდა მარიამ დედოფლის
თხოვნით მისი ძმის - გიორგი მეფის მიერ მასთან მიელინებუ-
ლი ქართველი ბერი, თეოფილე ხუცეს-მონაზონი. ცნობილია,
რომ აქ მოხსენიებული ბიზანტიის დედოფალი, მარიამ, მარია-
ყოფილი ქართველთა მეფის, ბაგრატ IV-ის ასული, ამ.ა.ოდა
წმ. დავით აღმაშენებელისა, იმ დროის ბიზანტიის პოლიტიკუ-
რი და კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების აქტიური მო-
ნაწილე იყო. სწორედ მისი დაკვეთით შეასრულა სასარებათა
ცნობილი განმარტებანი თეოფილაქტე ბულგარელმა, რასაც
ქართული თარგმანის ერთი ნუსხის „ზედაწარწერა“ მიუთი-
თებს: „თეოფილაქტე, წმიდისა მთავარეპისკოპოსისა ბულგა-
რეთისაჲ, განმარტებაჲ იოანნის თავის წმიდისა სასარებისა,
ნაშუმაკევი მის ბრძანებისა მიერ მარადის საუსენებელისა და-
დოფლისა მარიამისი“ (A52, 1r); „მცირე უწყება ქართველთა
მწერალთათჳს“ გვამცნობს, რომ საბერძნეთში იქნა გაგზავნილი
იოანე პეტრიწი, „რათა მიიღოს ენა ელინური და განისწავლოს
ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველებისა სწავლისა მიღებითა შინა.
ხოლო ესოდენ განსწავლულ იქმნა და ფრიად ზედმიწევნილ
პლატონურთა ღვთისმეტყველებათა და არისტოტელითთა ფი-
ლოსოფოსობათა, რომელ მუნცა რჩეულ იქმნა ესოდენ, რომელ
ოცდაათთა წელთა შინა ბერძენთა სამეუფოსა ქალაქსა კოსტან-
ტინეპოლს შინა, ესე იგი ვიზანტიასა, მოძღურად დაიდგინა“.

ბუნებრივია, ის ტენდენციები, რაც ახასიათებდა აღმოსავლე-
თიდელი ბიზანტიის კულტურულ სამყაროს, ქართულ ნიადაგზე
გადმონერგეს და გელათის სკოლაში განაკითარეს იოანე პე-
ტრიწმა და მისმა თანამოღვაწეებმა, რომელთაც მანგანაში ეკითარეს
ბიზანტიური განათლების დიდი სკოლა. მაგრამ ეს რიდი სიმნიშვნელ-
ობა იმას, რომ იოანე პეტრიწი მოწაფურად გაჰყვა მათს აზრებსა
და, თუნდაც იტალოსის „ცრუ მოძღვრებას“. იოანე პლატონურმა

ფილოსოფოსმა ზედმიწევნით შეისწავლა პლატონის, არისტოტელესა და მათი კომენტატორების - განსაკუთრებით, პროკლე დიადოხოსის „ოქრომძივად ასხმული“ კომენტარები პლატონის დიალოგებზე, გადაამუშავა ისინი და ქართულ ენაზე განმარტა, რათა თავის მოსწავლე-ყრმათათვის ზუსტი და განყენებული აზროვნება ესწავლებინა, უსხეულოთა (არამატერიალურ) გონებითს ხედვებში (ἀσώματον θεωρία) დაეხელოვნებინა ისინი და გონებითი შემეცნების გზის სრულყოფით ნათელ-ეყო მათთვის ჭეშმარიტების საიდუმლო.

ამგვარად, გელათის სკოლაში, სადაც დაარსდა „სასწავლებელი ყრმათათჳს“, რომელშიც „ᲛრაᲕალი ქართᲕელი განისწავლებოდა სიბრძნისმოყუარებასა შინა“, დაიწყო ანტიკურობის წიგნური, მეცნიერული ათვისება: ანტიკური ფილოსოფიის, განსაკუთრებით კი პლატონისა და არისტოტელეს შრომებისა და მათი კომენტატორების - პორფირის, ამონიოსის, იამვლიხოსის, პროკლეს შესწავლა-დამუშავება, თარგმნა და კომენტირება.

დამანა მელიქიშვილი

გელათი – „სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი"

წერილი მესამე

გალათში შექმნილი ლიტერატურული მემკვიდრეობა

გელათში შექმნილი ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ძეგლების ჩვენამდე მოღწეული მცირე ნაწილის მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ, თუ რამდენად მიზანმიმართული იყო ამ მოღვაწეთა ლიტერატურული საქმიანობა: მათი საზროვნო ინტერესების წრე მოიცავს პლატონს, არისტოტელესა და „პლატონურ" ფილოსოფოსებს (ნეოპლატონიკოსებს), რომელთაც ასწავლიდნენ და განმარტავდნენ მიქელ პსელოსისა და იოანე იტალოსის ჯპატოსობის დროს მანგანას აკადემიის ფილოსოფიის ფაკულტეტზე. გელათში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა არისტოტელესა და მისი ალექსანდრიელი კომენტატორების ლოგიკურ ნაშრომებსა და ათენის პლატონური აკადემიის დიადოხოსის, მე-5 საუკუნის (ნეო)პლატონიკოსის, პროკლეს შრომებს. მათი თარგმანები და განმარტებანი, როგორც ჩანს, სახელმძღვანელოთა დანიშნულებას ასრულებდნენ ამ სკოლის მსმენელებისათვის. გელათის სკოლაშია თარგმნილი იოანე ტარიჭისძის მიერ ალექსანდრიული სკოლის მამამთავრის, ამონიოს ერმიასის კომენტარები პორფირის ცნობილ ნაშრომზე „შესავალი არისტოტელეს კატეგორიებისა" (ეს ის პორფირია, რომელმაც, როგორც ნემესიოს ემესელის პეტრიწისეულ თარგმანში ვკითხულობთ, „ძუნად ქრისტესსა აღძრა თჳსი სიტყუაჲ", მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი ეს დასახელებული შრომა, წმ. იოანე დამასკელის „საფილოსოფიო თავების" ერთ-

ერთი ძირითადი წყარო იყო მთელი შუა საუკუნეების ძანძილზე ცნობილი Isagoge-ს სახელით, სქოლასტიკური განათლების საფუძველს წარმოადგენდა რადგანაც სწორედ მის ამ კომენტარებში, ცნების დაყოფის ლოგიკური წესის გამოყენების გზით ერთმანეთისაგან, როგორც ზოგადისაგან კონკრეტული გამიჯნულია სამების დოგმატის უძირითადესი ცნება-ტერმინები οὐσία – „არსება“ და ὑπόστασις – „გუამი-პირი“) და ამონიოსისავე კომენტარები არისტოტელეს ლოგიკურ ნაშრომზე „კატეგორიები“. ესენია: „მოსაკსენებელი ხუთთა კმთადმი პორფირი ფილოსოფოსისათა“ და „მოსაკსენებელი ათთა კატიღორიათადმი არისტოტელისაა“. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ეს თხზულებანი ერთ კრებულადაა შეკრული ამავე ხასიათის ლოგიკის ცნობილი კომპენდიუმის, წმ. იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ („საფილოსოფიო თავების“) არსენ იყალთოელისეულ თარგმანთან ერთად, რომელიც მას, როგორც ჩანს, გელათში აქვს შესრულებული (ამონიოსის თარგმანის ტერმინოლოგია ძირითადად მისდევს არსენისეული „დიალექტიკისას“). ამ ორი თხზულების თარგმანის ერთ კრებულში (A 62) გაერთიანება უნდა მიუთითებდეს იმაზე, რომ იგი სახელმძღვანელოდ გამოიყენებოდა. ჩვენამდე არ მოუღწეია, მაგრამ ხელნაწერთა ცნობების მიხედვით, იოანე პეტრიწს უნდა ეთარგმნა არისტოტელეს „კატეგორიები“ და „პერი ერმენეიას“. ეს არ უნდა იყოს გამორიცხული, რადგანაც ერთგან, პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლების“ „განმარტებაში“ რომელიც, თავისთავად პლატონური (ელინური) ფილოსოფიის ვრცელ კურსს წარმოადგენს, პეტრიწი „მოსწავლეს“ მიუთითებს ამ უკანასკნელზე: „ვითარ გ'ესწავლია პერი ერმენიისაო“, რაც იმას მოწმობს, რომ გელათის სკოლაში არისტოტელეს ეს ნაშრომი ისწავლებოდა. რაც შეეხება არისტოტელეს ლოგიკური ხასიათის ნაშრომებს, რომლებიც შუა საუკუნეებში „ორგანონის“ სახელითაა ცნობილი, იოანე პეტრიწი, სანამ გადაიჭრიდეს პროკლეს ტრაქტატის - „ღმრთისმეტყველების საფუძვლების“ განმარტების ძირითად ნაწილზე, განიხილავს და აცნობს მსმენელებს (თუ მოსწავლეებს) პროკლეს აპოფატიკური დასაბუთების მეთოდს და მიუთითებს არისტოტელეს სწორედ ამ ნაშრომზე, რომლის გარეშეც, მისი აზრით,

–

შეუძლებელია ლოგიკური გზით რისამე შემეცნება („ესე მცირედთა მიერ შემოისაზღვრა კანონი არისტოტელის „ორღანოჲსაჲ", რომლისა თჳნიერ ულონო არს რაჲსაცა გაგონებაჲ სულისა მიერ სიტყჳერისა"). ამასთან დაკავშირებით იოანე ფილოსოფოსი მოკლედ მიმოიხილავს არისტოტელეს მიერ დადგენილ ლოგიკურ კანონებს, თარგმნის და სათანადოდ განმარტავს მათს ძირითად ცნებებსა და ტერმინებს, და იძლევა ქართულ ტერმინოლოგიურ შესატყვისებს. გარდა ამისა, თავისი ნაშრომის სხვადასხვა თავში იოანე პეტრიწი, შემეცნების პროცესის ანალიზისას თუ ონტოლოგიის საკითხთა განხილვისას, ვრცლად ჩერდება ხოლმე სათანადო ლოგიკურ-ფილოსოფიურ ცნებათა განმარტებაზე მსმენელთა და მოსწავლეთა „ყანაჲონად".

სახელმძღვანელოს დანიშნულებას ასრულებდა ავრეთვე გელათის სკოლის მსმენელებისათვის ნემესიოს ემესელის ფსიქოლოგიურ-ანთროპოლოგიური ხასიათის თხზულების „ბუნებისათჳს კაცისა"-ს თარგმანი. მისი ხელნაწერის მინაწერიდან ირკვევა, რომ „ელლადელთა ენათაგან გარდამოიცა ესე ქართულად საკჳრველისა ფილოსოფოსისა ჩუენისა, პეტრიწისა ძიერ იოანნეჲ სახელდებულისა, კელლინსა შინა ვაენაოისასა".

ონტოლოგიურ საკითხებთან ერთად გელათის სკოლის მოღვაწეთა მორალურ-ეთიკური საკითხებისადმი განსაკუთრებული ინტერესის გამომხატველია იოანე სინელის ტრაქტატის „კლემაქსის" („სათნოებათა კიბის") რამდენიმე თარგმანი, შესრულებული ამ სკოლის მოღვაწეთა მიერ პროზაულად: პეტრე გელათელის მიერ ფოტი პატრიარქის კომენტარებითურთ, ასევე, გალექსილი სახით ორი სხვადასხვა მთარგმნელის მიერ (ერთერთად იოანე პეტრიწია მიჩნეული). ეს თხზულებანიც სასწავლო-დიდაქტიკური დანიშნულებით გამოიყენებოდა (განსაკუთრებით გალექსილი ვარიანტები, დასამახსოვრებლად მარჯვე და მოხერხებული). მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული გიორგი ამარტოლის „ხრონოღრაფი" და იოსებ ფლავიოსის „იუდაებრივი დასაბამსიტყვაობა", რომელთაგან პირველი თარგმანი არსენ იყალთოელს ეკუთვნის, ხოლო მეორისა ტრადიციით პეტრიწს მიეწერება, მაგრამ სინამდვილეში სხვა გელათელი მოღვაწის შესრულებული ჩანს (შესაძ-

ლებელია, პეტრე გელათელსაც, რომლის პროზაული „კლემაქ-სიც“ ძალიან ახლოს დგას ენობრივი სტილით ამ უკანასკნელ თარგმანთან).

მაგრამ გელათის მოღვაწენი მხოლოდ სასკოლო კომპენდიუ-მების თარგმნითა და შედგენით როდი კმაყოფილდებოდნენ. გე-ლათის სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ეგზე-გეტიკურ ლიტერატურას: როგორც ფილოსოფიური, ისე ბიბ-ლიური ეგზეგეტიკის თარგმნას, შესწავლასა და დამუშავებას და, ამავე დროს, ორიგინალური კომენტარული ხასიათის ლიტე-რატურის შექმნასაც როგორც პრაქტიკული, სასწავლო, ისე მეცნიერული დანიშნულებისათვის: ელინური და ელინისტური ხანის ფილოსოფიური მემკვიდრეობის კომენტირება, როგორც ცნობილია, იყო თავისებური ფორმა დამოუკიდებელი, ახალი აზრის დამუშავებისა, ეს იყო მარჯვე საშუალება თავისთავად წმინდა ფილოსოფიაში დახელოვნებისათვის. გარდა ამისა, ეს იყო ქრისტიანული მოძღვრების ფილოსოფიურ რაციონალურ საფუძვლების ძიების გზა.

როგორც ჩანს, გელათში გათვალისწინებული იყო (და შე-საძლებელია, დასრულებულიც) ყველა ბიბლიური (როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის) თხზულების ბიზანტიელ ავტორ-თა განმარტებებისა თუ ე.წ. „ღლაფურათა“ თარგმნა და ამის საფუძველზე სრული ბიბლიური ეგზეგეტიკური კრებულის შედ-გენა. მაგრამ, სამწუხარდ, ამ სკოლაში შესრულებულ განმარ-ტებათა თარგმანებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ნაწილმა: კ. კეკელიძის მიერ მიტროფანე, ზმურნელი მიტროპოლიტის სახელით გამოცემულმა „ეკლესიასტეს“ ტექსტის წმ. გრიგოლ აკრაკანტელის მიერ შესრულებულმა განმარტებამ და ამავე ტექსტის ოლიმპიოდორე ალექსანდრიელის თარგმანებამ (A 63); Jer. 22, A 102, A 113, A 52 ხელნაწერებში წარმოდგენილია XI ს-ის ბიზანტიელი ეგზეგეტი-მწერლის, თეოფილაქტე ბულგარელის მიერ მარიამ-მართა დეცოფლის ბრძანებით შესრულებული მარკო-ზის, ლუკასა და იოანეს სახარებათა განმარტებების თარგმანე-ბი (აქედან მარკოზისა და ლუკას სახარებათა განმარტების მთარგმნელად ხელნაწერებში იოანე ჭიმჭიმელია დასახელებული). ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა შემთხვევაში ბიბლიური

(კიმენური) ტექსტი ახალ თარგმანს, გელათურ რედაქციას წარმოადგენს. გელათშივეა თარგმნილი უცნობი ბიზანტიელი ეგზეგეტის განმარტება „ქებათა ქებათაჲსა“, სქოლიოების სახით (A 65), მიქელ პსელოსის განმარტება რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეს ერთი ადგილისა, რომელიც ეხება მაცხოვრის „მრავალთა შორის ძმათა პირმშოდ“ სახელდებას (VIII, 29, პირმშ. K № 23); და ბოლოს, გელათშივეა შექმნილი უნიკალური ძეგლი ე.წ. „კატენებიანი ბიბლია“, რომელიც შეიცავს ძველი აღთქმის ტექსტების ახალ, გელათურ რედაქციას განმარტებებითურთ.

სამწუხაროდ, ჟამთა სიავეს გადარჩენილი წმ. წერილის ამ ეგზეგეტიკური კრებულის ორივე ხელნაწერი, რომელთაგან Q 1152 უნდა მომდინარეობდეს A 1108 ავტოგრაფიული ნუსხიდან, არასრულია. ორივეს აკლია დასაწყისი „ლევიტელთამდე“, ხოლო ბიბლიის „კიმენური“ ტექსტის თარგმანი საკმაოდ ვრცელი სქოლიოებითურთ მხოლოდ რუთის წიგნამდეა განხორციელებული (A 1108-ში „რუთის“ შემდეგ მიკინძული და განსხვა-



გელათის კატენებიანი ბიბლია (A 1108)



გელათის კატენებიანი ბიბლია (Q 1152)

ვებული ხელით გადაწერილი მცირე წინასწარმეტყველების წიგნები ამ ტიპის განმარტებებს ალარ შეიცავენ). განმარტებათა ექსცერპტების ავტორთა (მათი სახელები ხელნაწერის აშიებზეა მიწერილი სინგურით) ერთი თვალის გადავლებითაც კარგად ჩანს ამ ძეგლის მთარგმნელისა და რედაქტორის სითამამე: ეკლესიის ბურჯების გვერდით, როგორიცაა ბასილი დიდი, გრიგოლ ნოსელი, იოანე ოქროპირი, კირილე ალექსანდრიელი, ევსევი კესარიელი და სხვა, მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მსოფლიო კრებებზე დაგმობილი ორიგენეს, სეეროსისა და აპოლინარის (სხვათა შორის, ეს ის აპოლინარია, რომელსაც ეფრემ მცირე „უბადრუკს" უწოდებს, ხოლო ნემესიოსის პეტრიწისეული თარგმანის ერთ-ერთი ნუსხის აშიაზე მისი წვალების შესახებ ტექსტისავე ხელით მინაწერში ვკითხულობთ: „ისმინე, რომელ ესე აპოლინარი, ეპისკოპოსი არს ლაოდოკიისა, რომელი წვალებს ქრისტესთჳს, ვითარმედ კაცობრივი გონება არად საკმარ-იყო ქრისტესთჳს, რამეთუ თჳთ ღმრთეებაჲ ენაცვალაო") სახელებიც არაერთხელაა აღნიშნული განმარტებათა ექსცერპტების გასწვრივ. საგანგებოდაა აგრეთვე აღსანიშნავი ისიც, რომ ყველაზე მეტი ციტატაა დამოწმებული კირილე ალექსანდრიელის თარგმანებათა და თეოდორიტე კჳრელის კითვხა-მიგებათაგან (თეოდორიტე კჳრელის ექსცერპტების რაოდენობა, როგორც ბოლო დროს დაადგინა ვ. ჯულელმა, 183-მდეა), სწორედ იმ თეოდორიტე კჳრელისა, რომლის „დავითნის" თარგმანებასაც თავის დროზე ეფრემ მცირემ აარიდა თავი „მცირედისა მის სიტყჳს-გებისა, რომელი იქმნა რეცა წინააღმდგომობით შორის მისსა და წმიდისა კჳრილესსაო". არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ სქოლიოებში ხშირად ფიგურირებს უმცროსი მთარგმნელების — აკჳლას, სუმახოსისა და თეოდოტიონის სახელები — სამეულისა, რომელმაც, როგორც ცნობილია, ბერძნული ოარგმანი ძველი აღთქმის ტექსტისა ზედმიწევნით დაუახლოვა ებრაულ დედანს. ეს საკუთრივ უპასუხებს გელათის სკოლის მთარგმნელობითს პრინციპებს (ტექსტოლოგიური ძიების გზით შემუშავებული ზუსტი, ადეკვატური თარგმანის თეორიულ საფუძვლებს, რომლებიც აქ დამუშავდა და პრაქტიკულადაც გატარდა).

გელათის კატენებიანი ბიბლია მრავალმხრივაა საინტერესო



კატენებიანი ბიბლიის ბერძნული ხელნაწერი (XI-XII სს)

და საყურადღებო ქართული ენის, მწერლობისა თუ ფილოსოფიისა და თეოლოგიის ისტორიის მკვლევართათვის. როგორც ჩანს, ის ანტიოქიური სკოლის კატენებიანი ბიბლიის კრებულის თარგმანს უნდა წარმოადგენდეს: კიმენ-სქოლიოდ აღნაწერი ორივე ქართული ნუსხა ზუსტად ასახავს და მისდევს ამ ტიპის ბერძნული კრებულების ხელნაწერთა ფორმას; მასში თავმოყრილია და კონცენტრირებული ის ძირითადი მსოფლმხედველობრივი თუ ენობრივ-სტილისტური ტენდენციები და განხორციელებულია პრაქტიკულ-მთარგმნელობითი პრინციპები, რომლებიც საზოგადოდ დამახასიათებელია გელათის თეოლოგიურ-ფილოლოგიური სკოლისათვის და მის სახეს განსაზღვრავს. იგი შესრულებული უნდა იყოს მთარგმნელთა ჯგუფის მიერ, ერთი მთავარი რედაქტორ-მთარგმნელის (შესაძლოა, არსენ იყალთოელის) საერთო ხელმძღვანელობით. A 1108 ავტოგრაფულ ნუსხაში შესანიშნავად ჩანს ამ რედაქტორ-მთარგმნელის მუშაობის მეთოდი და სტილი, მისი მთარგმნელობითი პრინციპების პრაქტიკული განხორციელების პროცესი. ეს ძეგლი, გელათში შესრულებული კომენტარული ჟანრის სხვა შრომებთან ერთად ამ სალიტერატურო სკოლის მთავარი მიმართულების დამაგვირგვინებელია, რადგანაც, როგორც უკვე ვთქვით, ფილოსოფიურ-თეოლოგიური ხასიათის ეგზეგეტიკური ლიტერატურა არის გელათის სკოლის ძირითადი პროფილი.

გელათში გადმოულიათ თეოდორიტე კირელის ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულება „თარგმანებაჲ მიქაჲს წინასწარმეტყველისაჲ (K №1) და ამოსისა" (K №3), აგრეთვე თარგმანებანი ზაქარია, ამბაკუმ და სოფონიასი (K 4, K 5). აქ წარმოდ-

გენილი საკითხაკები მცირე წინასწარმეტყველებისა (ამოსისა და მიქეასი) ეგზეგეტიკური ხასიათის ტექსტებია, რომლებიც შეიცავენ ბიბლიურ კიმენს თავისი განმარტებებით. განმარტებების ავტორად ქართული ნუსხები ასახელებენ თეოდორიტე ტკროსის ეპისკოპოსს, რომელიც, კ. კეკელიძის აზრით, არის იგივე თეოდორიტე კერელი. მოსალოდნელია, რომ ეს თარგმანები ეგზეგეტიკური თხზულებებისა იმ საერთო საქმის შემადგენელი ნაწილი იყო, რომელიც გულისხმობდა ბიბლიის ყველა ტექსტის ეგზეგეტიკური კრებულის შექმნას.



თეოფილაქტე ბულგარელი.
იოანეს სახარების თარგმანება (A 52)

ეგზეგეტიკური ხასიათის თხზულებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია იოანე პეტრიწის „განმარტების" ე. წ. ბოლოსიტყვაობა. როგორც მისი ტექსტის ანალიზი გვარწმუნებს, მისი დიდი ნაწილი წარმოადგენს განმარტებათა ექსცერპტებს „ფსალმუნთა", მოსესა და „მოსეანთა" წიგნებისა წმ. სამების, განგების, კეთილობის, ბოროტის უარსობისა და მყოფთა წარმოშობის საკითხების გარშემო და არის ცდა ამ პრობლემებზე ქრისტიანულ თვალსაზრისთან თანხმობის ძიებისა „ფილოსოფოსთა დღის მწვერვალის" პლატონის დიალოგებსა და პროკლეს კომენტარებში ამ დიალოგებზე.

როგორც ჩანს, ამ პერიოდში საერთოდ და, კერძოდ, გელათის სკოლაში, მიღებული იყო წესი გარკვეული, საკითხის გარშემო პატრისტიკული თუ სხვა წყაროებიდან საჭირო მასა-

ლის მოძიებისა და მისგან შესაბამისი ექსცერპტების გამოკრების გზით ამა თუ იმ საკითხის გარშემო შეძლებისდაგვარად სრული კრებულების შედგენისა. ასე, მაგ. ცნობილია, რომ სულის საკითხთან დაკავშირებით („გამოძიება სულისათჳს") არსენის „დოგმატიკონის" ხელნაწერებში შეტანილია მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის სიტყვებიდან გამოკრებილი ფრაგმენტები სულის შესახებ ელინთა მოძღვრების განქიქების შესახებ. იგივე „დოგმატიკონი" შეიცავს ციტატებს 12 საეკლესიო მამის თხზულებათაგან (მათგან აღსანიშნავია ირინეოსი, კლიმენტი, ათანასე და კირილე ალექსანდრიელები და სხვ.).

შეიძლება ითქვას, რომ გელათის სკოლაში დასრულდა ქართული ეგზეგეტიკის განვითარება: როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, მე-11 საუკუნის შემდეგ „მას არა შემატებია რა".

წმ. დავით მეფის ზეობის დროს რუის-ურბნისის კრების ახლო ჩანს უნდა თარგმნილიყო ფოტი პატრიარქის თოთხმეტტიტლოვანი „დიდი სჯულისკანონი", რომელიც ხელნაწერთა მოწმობით არსენ იყალთოელს უთარგმნია. მასვე უნდა ეკუთვნოდეს კანონიკური თხზულება რუის-ურბნისის ძეგლისწერაც. არსენს დიდი ღვაწლი მიუძღვის დოგმატური მწერლობის დარგში: არსენის შედგენილია დოგმატურ-პოლემიკური თხზულებების კრებული – დოგმატიკონი, რომლეშიც 16 უმნიშვნელოვანესი დოგმატური ხასიათის თხზულებაა შეტანილი, მათ შორისაა წმ. იოანე დამასკელის „გარდამოცემა უცილობელი მართლმადიდებელი სარწმუნოებისათჳს", „წვალებათა შესახებ" და სხვ.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მაქსიმე აღმსარებლის დოგმატურ-ეგზეგეტიკური ხასიათის კრებულს, რომელიც შემონახულია გელათურ (K-14) ხელნაწერში. იგი ენობრივი სტილის და საზროვნო ინტერესების მიხედვით გელათის სკოლას ეკუთვნის და არსენ იყალთოელის ხელიდან თუ არა, უშუალოდ მთარგმნელთა მისი ჯგუფიდან უნდა იყოს გამოსული. კ. კეკელიძის აზრით, მთარგმნელი წმ. თამარის დროის კათოლიკოსი – ნიკოლოზ გულაბერისძეა.

გელათში ითარგმნა აგიოგრაფიის უკანასკნელი ნიმუშებიც – იოანე ქსიფილინოსის მეტაფრასული შრომები. როგორც

კ. კეკელიძე აღნიშნავს, ქსიფილინოსის კრებულით დამთავრდა ქართული ნათარგმნი აგიოგრაფიის ისტორია, ვინაიდან თვით ბიზანტიის აგიოგრაფიის ისტორიაშიც ამ პერიოდის შემდეგ აღარაფერი შექმნილა. ეს თარგმანები ჩვენამდე მოღწეულია უნიკალური ხელნაწერებით და, შემთხვევითი არ არის, რომ ისინი გელათურ კოლექციაშია დაცული.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში ცენტრალიზებული მონარქიის გაძლიერებამ (ისევე როგორც ბიზანტიაში კომნენების მმართველობის ხანაში), დავით აღმაშენებლისა და, განსაკუთრებით, ამ სკოლის არსებობის მეორე პერიოდში — თამარის ეპოქაში საერო-სახოტბო და საისტორიო-პანეგირიკული ხასიათის ბრწყინვალე ლიტერატურა წარმოშვა (რომლისთვისაც დამახასიათებელია ზვიადი ორნამენტული სტილი), რაც ბუნებრივად ასახავდა ძლიერი მონარქიის ეპოქის საერთო ტენდენციებს. იგი კანონზომიერ გამოძახილს წარმოადგენდა კომნენების ხანის ბიზანტიაში მიმდინარე კულტურულ-მსოფლმხედველობრივი და ლიტერატურულ-ენობრივი პროცესებისა.

გელათის სკოლა აქვთ გავლილი დავითის ისტორიკოსს, მაღალმხატვრული და რიტორიკული მეტყველების ამ დიდოსტატს, მეხოტბეებს - იოანე შავთელსა და ჩახრუხაძეს, „ისტორიათა და აზმათა“ ავტორს, პეტრე გელათელს, არსენ ბულმაისიმისძეს, ნიკოლოზ გულაბერისძეს, იეზეკიელს და ბოლოს, შოთა რუსთაველს, რომლის ლექსიკასაც აშკარად ატყვია პეტრიწის ენის დიდი გავლენა (მხედველობაში გვაქვს პეტრიწისეული „კაუშირნი“ და „სირა“ ტერმინები და მათი (ნეო)პლატონური ფილოსოფიისათვის დამახასიათებელ კონტექსტში ხმარება: „დამშლიან ჩემნი *კაუშირნი*, შევრთვივარ სულთა *სირასა*“); „*ფუარ*“ ტერმინის „იდეის“ მნიშვნელობითა და „*ტომის*“ - გვარეობითი ცნების გაგებით გამოყენება („ვთქვა მიჯნურობა პირველი და *ტომი გვართა* ზენათა“); იმავე კონტექსტში „ბაძვა“ ტერმინის ნეოპლატონური შინაარსით დატვირთვა („მართ მასვე *ბაძვენ*...“: ცნობილია, რომ ნეოპლატონური ფილოსოფიის ონტოლოგიურ იერარქიაში ყოველი მომდევნო რიგის ანუ „*სი-*

რას" მხოლონი (ძონადები) თავის წინა, მაღლა მდგომ რიგებს სირათმთავრების ანუ გვართმთავრების მეშვეობით – *ბაძვის*, მსგავსების საფუძველზე ეზიარებიან). ასევე, პეტრიწისეულია ფორმითაც და შინაარსითაც ტერმინები: *უმყოფო, უზადო, ანაგები, ოცნება, დადასება, შენათხზენი*... საერთოდ, „ეფეხისტეყაოსანში" დიდი გავლენა იგრძნობა სიტყვაწარმოების გელათის სკოლის პრინციპებისა (მაგ., მიმღეობათა მოკლე მოდელები: *მესრული, მოსწრაფე, მთმო, მონაცვალე, მოკვნესი, მოახლე, მეუნებლე, მდინი, დამდებარი* და სხვ.), რომ აღარაფერი ვთქვათ რუსთაველის ენაში ნასახელარი ზმნების ულევ ნაკადზე, რასაც ფართო გზა გაუხსნა სწორედ გელათის სკოლამ და განსაკუთრებით, იოანე პეტრიწმა.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ გელათის სკოლის საგაზროვნო ინტერესები, ლიტერატურული პროდუქციის ხასიათი და თემატიკა, მისი მიმართულება გვიჩვენებს, რომ გელათის მოღვაწენი ადგენენ იმ მაგისტრალურ ხაზს, რომელიც შუა საუკუნეების დასავლეთის აზროვნებამ გაავრძელა მას შემდეგ, რაც ბიზანტია ასცდა კულტურულ-სამეცნიერო სარბიელზე მისსავე გაკვალულ გზას. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ის წრე ნეოპლატონიკოს ფილოსოფოსთა ნაშრომებისა ითარგმნა ლათინურ ენაზე გელათში შესრულებულ თარგმანებზე ერთი საუკუნის შემდეგ. ასე, მაგ. დამასკელის „დიალექტიკა" ლათინურად მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში ითარგმნა; ნემესიოს ემესელის უადრესი თარგმანიც ამავე (1194 წ.) ხანებშია შესრულებული რიხარდ ბურგუნდიოს მიერ; პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლები" კი თომა აქვინელის დავალებით მისმა მდივანმა, მოერბეკემ, 1268 წლის მახლობლად თარგმნა. როგორც ცნობილია, ევროპული სქოლასტიკის ამ უდიდესმა წარმოსადგენელმა, არისტოტელეს „ორგანონთან" ერთად პროკლეს ეს ტრაქტატი საფუძვლად დაუდო თავის თეოლოგიურ მოძღვრებას, ხოლო თვით პროკლე ეკლესიისათვის საჭირო ფილოსოფოსად გამოაცხადა. შუა საუკუნეების ევროპულ სამონასტრო სკოლებში სწორედ წმ. იოანე დამასკელის „დიალექტიკისა" და ამონიოსის კომენტარების შემოკლე-

ბის საფუძველზე შესრულებული კომპენდიუმები იყო გამოყენებული სახელმძღვანელოებად, ისევე, როგორც მე-12-13 საუკუნეებში - გელათის სამონასტრო სკოლაში.

ამგვარად, გელათში მოღვაწე ქართველი თეოლოგები, ისევე, როგორც შუა საუკუნეების ბიზანტიელი და ევროპელი თეოლოგები, ითვალისწინებდნენ პლატონისა და არისტოტელეს ფილოსოფიას და მათ კომენტატორებს (ნეო)პლატონიკოსებს, რომლებიც ამ ორი ფილოსოფოსის ნაზრევის შეხამებას და თავისებურ გაგებასა და გადამუშავებას იძლეოდნენ (რაც შემდეგ ნეოპლატონიზმის სახით ჩამოყალიბდა). დასაბუთების იარაღად ისინი იყენებდნენ არისტოტელეს „ორგანონის" კანონებს, პლატონი და პროკლე კი მათ სჭირდებოდათ დიალექტიკური პოლემიკის ჩვევებისა და მისი ფილოსოფიის ნეოპლატონური ფორმით ქრისტიანობის მეცნიერული საფუძვლების შესამუშავებლად. გარდა ამისა, პროკლე და საერთოდ ნეოპლატონიზმი იყო მნიშვნელოვანი წყარო ფილოსოფიურ-თეოლოგიურ ცნებათა და ტერმინთა სისტემატიზაციისათვის.

სწორედ ამ თეზულებათა თარგმანისა და კომენტირების საფუძველზე დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკური სტრუქტურები და სისტემა არსენ იყალთოელისა და იოანე პეტრიწის ღვაწლითა და შრომით. ეს მოაზროვნეები ეყრდნობოდნენ იმ „უმაღლეს ფილოსოფიას", რომელიც დაფუძნებული იყო შუა საუკუნეების სკოლებში, სადაც წმ. იოანე დამასკელის „დიალექტიკას" (ანუ არისტოტელედან მომდინარე ლოგიკას დამასკელის გადამუშავებით) უმთავრესი ადგილი ჰქონდა დათმობილი იმ საგანთა შორის, trivium-ისა და quadrivium-ის ქვეშ რომ იგულისხმება.

ამგვარად, ეს პერიოდი ბიზანტიური და, ასევე, ქართული აზროვნების ისტორიაში ხასიათდება არისტოტელეს ლოგიკისა და პლატონიზმის (მისი ნეოპლატონური ფორმით) საეკლესიო სწავლებასთან დაკავშირების ცდებით, დიდი მისწრაფებით, ამ ფილოსოფიის საშუალებით გადაეჭრათ თანდათანობით მომწიფებული ონტოლოგიური საკითხები, საღვთო ბუნებისა (არსე-

ბისა) და გვამოვნებათა პრობლემა. თუმცა იმისაც აღნიშნავენ, რომ ამ პერიოდის ბიზანტიელ მოღვაწეთა შორის ზოგი პლატონს განადიდებდა (მაგ., მიქელ პსელოსი) ზოგი კი არისტოტელეს აღიარებდა დიდ ავტორიტეტად (მაგ., იოანე ქსიფილინოსი, რომლისთვისაც პლატონის განდიდება საძრახავ საქმედ ითვლებოდა). ამ დროისათვის ბიზანტიაშიც, ისევე როგორც საქართველოში, ასეთი დაპირისპირება განელილი ეტაპი უნდა ყოფილიყო: თუ ადრე ბიზანტიის სკოლებში, ჩვეულებრივ, არისტოტელე და არისტოტელიზმი ისწავლებოდა, ახლა გზის იკაფავდა და ძლიერდებოდა პლატონიზმი (რაც მიქელ პსელოსის სახელთანაა დაკავშირებული). მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, თითქოს არისტოტელე უგულველყოფილი იყო. პსელოსი და იტალოსი არისტოტელესთან ერთად პლატონსა და მის „მონაცვალეს", პროკლეს განადიდებდნენ (ანა კომნენე განსაკუთრებით აღნიშნავს იტალოსის გატაცებას არისტოტელეს შრომებით). საქართველოში საერთოდ არ უნდა ყოფილიყო ასეთი დაპირისპირება „არისტოტელიანთა" და „პლატონიელთა" შორის. ჩვენში, როგორც ჩანს, ის ბრძოლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა არისტოტელიზმსა და პლატონიზმს შორის შუა საუკუნეებში, გამოვლინდა მათ მორიგებაში ანუ, როგორც ამბობენ, „სიმფონიაში" ნეოპლატონიზმის ნიადაგზე. ამიტომაა, რომ გელათში მთავარი აქცენტი სწორედ (ნეო)პლატონურ თხზულებათა თარგმნასა და კომენტირებაზეა მიმართული. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგანაც მთელი შუა საუკუნეების ფილოსოფია არსებითად ნეოპლატონიზმს წარმოადგენდა.

პლატონი პეტრიწისთვის არის „მწუერვალი ფილოსოფოსთა დღისაჲ" და „მიპრონი ღმრთისმეტყველებისაჲ", მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ იგი არისტოტელეს სათანადოდ არ აფასებს. იოანე პეტრიწი არისტოტელეს „ორგანონის" კანონების შესწავლის გარეშე შეუძლებლად თვლის რისამე შეისწავლებას ლოგიკური, გონების გზით. ისიც ცნობილია, რომ იგი არისტოტელობას ოცნებობდა „ნივთისაგან მიუხებელი ღმრთისმეტყველების" დამუშავების საქმეში.

რაც შეეხება არსენ იყალთოელს, იგი რომ „არისტოტელიანოა“ ბანაკის წარმომადგენელი ყოფილიყო და გარკვეული პოზიცია ჰქონოდა ამ მხრივ, არა გვგონია, ყოველგვარი კომენტარის გარეშე გაეშვა (ან საერთოდ, ეთარგმნა) გიორგი ამარტოლის „ხრონოგრაფიდან“ ის ადგილი, სადაც „უბადრუკი და საწყალობელი არისტოტელე“ სასტიკადაა დაგმობილი და თავისი მასწავლებლის, პლატონის „ამპარტავან და ურცხვინო წინააღმდგომად“ ითვლება: „უბადრუკი არისტოტელი, ჯერეთ სიცოცხლისავე პლატონისსა ურცხვინოებით წინააღმდგომ-ექმნა მას და აკადიმეაჲსაჲ იგი განაწყო ბრძოლა და არცა მოძღურობასა პატივ-სცა, არცა მრავალგანთქმულობისაგან კაცისა მის საქადულობათაჲსა შეკდემულ იქმნა, არამედ ამპარტავანებით და სილაღითა აღუდგა მას არა უმჯობესთა მისთა, არამედ უაღრესთა მჯუმეველი სჯულთაჲ“ (გიორგი ამარტოლი, „ხრონოგრაფი“). როგორც ვხედავთ, აქ თვით ბიზანტიელი ისტორიკოსი, გიორგი ამარტოლი ასახავს თავისი დროის (IX ს-ის) გარკვეული წრის თვალსაზრისს, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იმ დროს მიღებულ ოფიციალურ თვალსაზრისს — არისტოტელეს ავტორიტეტად აღიარებას. ჩანს, არსენს არ აინტერესებს არისტოტელეს ფილოსოფია თავისთავად. არისტოტელე, კერძოდ კი მისი ლოგიკა (ისიც დამასკელის გადამუშავებით) მას სჭირდება დოგმატურ-ორთოდოქსული მიზნებისათვის — როგორც იარაღი, რომლის მეშვეობითაც „წინააღუდგებოდინ შვილნი ეკლესიისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განჰგუმერდენ მათ“ და როგორც „ეკალი, რომლითაც შემოიზღუდებოდა ქრისტეს ვენახის შუენიერება“ (ეფრემ მცირე). აქ წყდება მისი ინტერესი „გარეშე“ ფილოსოფიისადმი, რადგანაც, მისი აზრით, „ელინთა სიბრძნე“ „განცოფებული სიჩქარე“ და „ზღაპართმწერლობითი ქელოვნებაა“ („განცოფებული იგი სიბრძნე ელინებრისა სიჩქარისა... ყოვლად სიბრძნით მხილველ-ყვეს და არცა ერთისა სიტყჳსა ღირსად მათნი იგი ზღაპართმწერლობითნი ქელოვნებანი“). ამ თვალსაზრისით, იგი ქსიფილინოსის ფრთას წარმოადგენს საქართველოში. და, თუმცა ეს „სჯულიერი მოღუაწე, თარგმანი და მეცნიე-

-

რი ბერძენთა და ქართველთა ენისა" და „განმანათლებელი ყოველთა ეკლესიათა", დოგმატიკურ-ორთოდოქსული მიმართულების დამცველია, მაგრამ ამავე დროს, იგი არ ერიდება ბიზანტიელ რაციონალისტ-მოაზროვნეთა თხზულებების თარგმნასა და თავის „დოგმატიკონში" შეტანას, თუკი ეს თხზულებანი ორთოდოქსული დოქტრინის დასაბუთებისათვის გამოადგება. ასეთებია, მაგ. პსელოსის „პირმშოჲსათვის" და ევსტრატი ნიკიელის ანტილათინური ტრაქტატი; ასევე ნიკიტა სტითატის „სომეხთა განმაქიქებელი ხუთი სიტყუა".

დამანა მელიქიშვილი

გელათი – „სხუა ათინა და მეორე იერუსალიმი“

წერილი მეოთხე

იოანე პეტრიწი – „მამზევებელი და მადლევებელი ენისა ჩუენისა“

იოანე „პლატონური ფილოსოფოსი“, ზედწოდებით პეტრიწი, ახალი ეტაპის წარმომადგენელია ქართული თეოლოგიური აზროვნების განვითარებაში. მისთვის უკვე განვლილია საფეხური „გარეშე“ ფილოსოფოსთა ნააზრევიდან „ჯერკუალის განგდებისა“; მას ფილოსოფია აინტერესებს არა როგორც ეკალი, რომლითაც, ეფრემ მცირის სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა მოზღუდულიყო „ეკლესიის ვენაკის ნაყოფთა შუენიერება“, არა მხოლოდ როგორც „ორღანო“ ანუ იარაღი, რომლის „იძულებითი კანონების“ საშუალებითაც უნდა მოეძებნათ პასუხი თეოლოგიის გონებითი აპორიებით აღსავსე პრობლემების გადასაწყვეტად, არამედ ფილოსოფიისადმი მისი ინტერესი გამოწვეულია თავისთავად ფილოსოფიურ ხედვათა „შუენიერების ტრფობით“, „ფილოსოფიურ ხედვათა სურვილით“. ღმრთისმეტყველება მისთვის, ისევე, როგორც პსელოსისათვის, უმაღლესი ფილოსოფიაა, რომლის მიზანია უმთავრესი ჭეშმარიტების — „მყოფთა აგების სრული შესაქმის“ ანუ სამყაროს აგების („ერთისა და სიმრავლის“ მიმართების) საიდუმლოს ამოცნობა, ხოლო „მესაიდუმლოდ“ იგი აღიარებს „ხედვასა ფილოსოფოსთა ღღისასა“. მთელი „განმარტებისა“ და მისი ე.წ. „ბოლოსიტყვაობის“ მანძილზე ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს პეტრიწის მიზანია, დაასაბუთოს ფილოსოფიის საშუალებით არა იმდენად ქრისტიანული მოძღვრების ჭეშმარიტება (რომელიც დასაბუთებას არ ექ-

ვემდებარება და არც საჭიროებს), რამდენადაც ის, რომ ელინური (პლატონისა და პროკლეს) ფილოსოფია არათუ ეწინააღმდეგება ამ ჭეშმარიტებას, არამედ მასთან გარკვეულწილად თანხმობაშია, და ამდენად, ამ ფილოსოფიას სრული უფლება აქვს არსებობისა ღმრთისმეტყველების გვერდით, როგორც მის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს.

ნიშანდობლივია, რომ იმ დროს, როდესაც იოანე პეტრიწი განმარტავს და ასწავლის პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლებს", ბიზანტიის სამეუფო ქალაქში, კონსტანტინოპოლში, XII საუკუნის შუა წლებში კომნენების დინასტიის იმპერატორის, მანუელ კომნენეს დავალებით ნიკოლოზ მეთონის ეპისკოპოსი (რომელმაც მოამზადა კონსტანტინოპოლის 1152 წლის კრება სოტირიხოსის წვალების წინააღმდეგ) წერს „მხილებას" პლატონური ფილოსოფოსის, პროკლეს ამავე ტრაქტატისა, „რათა მან არ მოაქციოს მკითხველნი ცრურწმენის გაელენის ქვეშ და არ მიდრიკოს ჭეშმარიტი რწმენის შეურაცხყოფისაკენ". როგორც ჩანს, მიზეზი ქართველთა და ბერძენთაგან დევნისა, რომელზედაც იოანე პეტრიწი გულნატკენი ჩივის თავისი „განმარტების" ე.წ. ბოლოსიტყვაობაში, არის სწორედ ის „საცთური", ნიკოლოზ მეთონელს რომ აშფოთებს. არ არის გამორიცხული, რომ იოანე პეტრიწის ბერძენთაგან დევნა სწორედ ნიკოლოზ მეთონელის ეპისკოპოსობის ხანაში (XII ს. 40-50-იან წლებში) მომხდარიყო, როდესაც ბიზანტიაში ახალი ძლიერი ტალღა წამოვიდა პროკლეს ფილოსოფიით გატაცებულ მოაზროვნეთა დევნისა. პროკლეს თხზულების პეტრიწისეული თარგმანისა და განმარტების XIII საუკუნის ხელნაწერის ერთ-ერთი მინაწერის ავტორი (შესაძლებელია, ნუსხის გადამწერი) წუხს თავისი მოქმედების გამო და აფრთხილებს მკითხველს: „რასა ვწერ, ანუ რასა გლახ-ვმოქმედებ. წარმოვსიტყუავ ყოველსა ძალსა ქრისტეს მიერ. ამის წიგნისგან წარწყმდა სამგზის წყეული არიოზ, არამედ ამისგანვე განათლებულთა სამგზის მოიგეს ღმრთისმეტყუელებისა სახელი: დიდთა ბრძენთა დიონისი და ღრიღორი და ვასილი და სხუათაცა ვეეთმე. ხოლო შენ გონებაჲ განწმედილი მოიგე ღმრთისა მიმართ და საზღვართა მამათა წმიდათასა ნუ გარდაჰვლინდები და არა საცთურ-გეჴნესო"

(H 1337, l v). როგორც შალვა ხიდაშელი აღნიშნავს, მიუხედავად ამ ანაქრონიზმებისა, რომლებიც ამ მინაწერშია დაშვებული, მისი ავტორი, როგორც ჩანს, საკმაო სიღრმით ერკვევა ანტიკური ფილოსოფიისა და ქრისტიანული თეოლოგიის დამოკიდებულებაში, რომელიც ახასიათებდა შუა საუკუნეების სქოლასტიკას და ქართულ თეოლოგიურ აზროვნებასაც, განსაკუთრებით ეფრემ მცირის შემდეგ: პლატონური, კერძოდ, პროკლეს ფილოსოფიის შემოტანა შუა საუკუნეების აზროვნებაში „წარწყმედის" მიზეზიც შეიძლებოდა გამხდარიყო და დიდი ღმრთისმეტყველების სახელის მოგებისაც. თუ „საცთურ გექმნა", სამგზის წყეული არიოზის მსგავსად წარწყმდებიო: შემთხვევით არ ახსენებს აქ ავტორი არიოზის სახელს. როგორც ცნობილია, არიოზის წვალება ორიგენეს ტრინიტარული სუბორდინაციონიზმიდან მომდინარეობდა და წმ. სამების ჰიპოსტასების იერარქიულობას აღიარებდა (კონსტანტინოპოლის V მსოფლიო კრებაზე დაგმობილ იქნა ორიგენეს ის მოძღვრებანი, საიდანაც გამოვიდა არიოზის და სხვა ერეტიკოსთა წვალებანი). ორიგენესა და არიოზის „ღელვანი" აშფოთებს ამ თხზულებასთან დაკავშირებით XVII საუკუნის დასასრულის ქართველ საეკლესიო მოღვაწეს, მთავარეპისკოპოს ტიმოთე გაბაშვილსაც, რომელიც სრულიად სამართლიანად აღნიშნავს, რომ, ვინც გულისხმისყოფით და მართლმადიდებლობით წაიკითხავს პროკლესა და პეტრიწის თხზულებას, ის დიდ „საღმრთისმეტყველო ხედვებს" აღმოაჩენს მასში, ხოლო, ვინც ზერელედ და უგულისხმოდ გამოიძიებს, მას არიოზისა და ორიგენეს მთხრებლში ჩავარდნა ემუქრება.

მაგრამ, როდესაც ვლაპარაკობთ იოანე პეტრიწის მიერ მოხმობილ ანალოგიებზე ერთისა - მამა ღმერთთან, ნამდვილმყოფისა - ძესთან, სამარადმყოს უძრაობისა და იგივეობრიობისა - ჟამისქვეშეთა მარადიულ დენასა და ციკლურ მოძრაობასთან, მთელისა და მისი ნაწილების მთელში „შეურევნელი" ერთობის (იხ. თესლისა და მცენარის მაგალითი, „განმარტება", თ. 1) შესახებ და სხვ. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს ანალოგიები ფილოსოფიურ კატეგორიებსა და ხედვებთან მოხმობილია იმისათვის, რომ მოწაფეს, მსმენელსა თუ, საერთოდ, „გამგო-

ნეს" (შემმეცნებელს), რომელსაც მთელი განმარტების მანძილზე მიმართავს იოანე ფილოსოფოსი, ადამიანის გონებისათვის მისაწვდომი „სიტყვიერი" შესაძლებლობების ფარგლებში გააგებინოს, აუხსნას თუ გაუხსნას ამ საყოველთაო მიზეზის ზესთმდებარეობა, ერთარსება წმიდა სამების ჰიპოსტასების შეურევნელი ერთობა, მარადისობის ზედროულობა და საერთოდ, მიახლოებითი მაგალითებით შეუქმნას პოზიტიური წარმოდგენა იმ, ადამიანური გონებისათვის მიუწვდომელი, ზესთგონიერი, შეუცნობელი და წარმოუსახველი (მიუწუთო, უცნაური, უოცნო) ერთის - ღმერთის ზესთაობაზე, რომელიც განსჯასა და დასაბუთებას არ ემორჩილება და მხოლოდ ჭეშმარიტი რწმენის (სარწმუნოების) ნეტარებით განიცდება. კარგად ამბობს მ. გოგიბერიძე, რომ პეტრიწისათვის ღმერთს „დამტკიცება არ სჭირია, არამედ ცხადყოფა". ამიტომ, ერთადერთი, რაც შეუძლია ფილოსოფოსს თუ თეოლოგს შესთავაზოს გამგონეს ანუ შემმეცნებელს, ეს არის ის, რომ „ხატთა მიერ ანუ იგავთა მიერ" მიაწოდოს ცოდნა ზესთგონიერი სოფლის შესახებ: ე.ი. კი არ დაუსაბუთოს, არამედ უჩვენოს, ცხად-უყოს მაგალითებით, სა-





პროკლე დიადოხოსი, „კაეშირნი ღმრთისმეტყველებითნი"
(H 1337, XIII ს.)

ხეებით, ანალოგიებით: რადგანაც ის ზესთაგონიერი მარადმყო „დაუზესთავდების ყოველთა მონაგონსა, არამედ ანუ ხატთა მიერ, ანუ იგავთა მიერ მეცადინეობს სული ცნობად მის უოცნოჲსათჳს და სწყურის მისდამი“ (თ. 51). მაგრამ „გამგონეს“ უნდა ახსოვდეს, რომ „*მუნაჲ* ყოველი დაიპყრეს იგავის-იგავთა, ხოლო აქაჲ - ხატთა და ხატის-ხატთა, რამეთუ ხატნი ყოველნი - იგავთანია ხატ“ (თ. 50). ამიტომ ეს ანალოგიები *იგივეობრივად* კი არ უნდა გავიგოთ, არამედ „*იგავებრივად*“ და „*ხატებრივად*“. ესენი, როგორც შესანიშნავად განმარტავს იოანე ფილოსოფოსი, „იგავად ოდენ ესახეებიან და ეიგავებიან მას ერთებრივსა რიცხუსა და ზესთაობასა ერთისასა, ამისთჳს,.. რამეთუ... ზესთა ძეს ესე ყოველსა არსებასა და ძალსა“ (თ. 1).

„შუენიერ ხედვათა“, პლატონურ ფილოსოფიურ მოძღვრებათა და „აქათა“ (ამქვეყნიური არსის) მაგალითებისა და ანალოგიების მოშველიებით პეტრიწი აღწევდა პოზიტიური წარმოდგენის შექმნას „*მუნაჲ*“-ზე — ზესთა სოფელზე, ღმერთზე, ოღონდ ისე, რომ მკვეთრად მიჯნავდა მათ ერთმანეთისაგან. ასე მაგ., პროკლეს ტრაქტატის პირველი თავის ძირითადი თეზისის („ყოველი სიმრავლე ეზიარების რაიჲთავე ერთსა“) განხილვისას იოანე ფილოსოფოსი თესლისა და მარცვლის მაგალითების მოხმობით ნათლად ხსნის, თუ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ სიმრავლის მთლიანობა (ყოვლობა) ერთში არა შერწყმული სახით, არამედ როგორც შეურევნელი ერთობა. ამით იგი მიახლოებითს წარმოდგენას უქმნის თავის მსმენელს, მოსწავლეს, „გამგონეს“ სამგვამოვნების შეურწყმელ, „შეურევნელ“ ერთობაზე. ან თუნდაც, მაგ., ციური სფეროს არსებითი იგივეობის, მარადიულობის (რაც მის ციკლურ, განმეორებად მოძრაობაში გამოიხატება) შედარების გზით მარტივ, ღვთაებრივ მარადისობასთან (რაც უცვალებლობასა და უძრაობაში მდგომარეობს), ამ ორ უკიდავებას, მარადიულობას შორის არსებითი სხვაობის ცხადყოფა მოსწავლისათვის შესანიშნავი ნათელი მსჯელობით: „ცისაჲ — გარდასრული შეეკრვის მომავალსა და ერთექმნების მას, და დასასრული მისი დასაწყის და დასაბამ იქმნების სხჳსა და ჰგიეს იგი უკუდავად და დაუესებელად, მაგრა კუალად და კუალად და არა მარტივად უკუდავად, რამეთუ მარ-

ტივი უკუდავებაჲ უქცევ და უცვალებელ არს, ხოლო ცისშორისი უკუდაევებაჲ ქცევით და კუალად და კუალადითა არს, რამეთუ ვითარ მოქმედებანი, ეგრეცა-და არსებანი“ (თ. 50). ასე წერთნის და ავარჯიშებს იოანე ფილოსოფოსი მოსწავლის გონებას, რათა მან შეძლოს, ანალოგიის გზით *მიახლოებით* მისწვდეს მიუწვდომელს, წარმოისახოს წარმოუსახველი, შეიცნოს შეუცნობელი.

ამგვარად, იოანე პეტრიწმა სახარებასა და, ამავე დროს, ფილოსოფიური ცოდნის საფუძველზე მდგარი, წმ. მამათა გაკეალული გზა აირჩია, განსხვავებული თავისი დროის ბიზანტიელი სქოლასტიკოსი თეოლოგებისაგან: ეს იყო ანალოგიის გზით ჩვენების მეთოდი, რომელსაც იგი ღმრთისმეტყველებისას მისდევდა და არა ლოგიკური დასაბუთების მეთოდი, რომელსაც ბრწყინვალედ ფლობდა და იყენებდა ფილოსოფიურ კატეგორიებზე მსჯელობისას. ანალოგიის პრინციპის გამოყენებისას კი იოანე ფილოსოფოსი არ შეიძლებოდა მისულიყო მწვალებლობამდე, რადგანაც წინაპირობა მისი ანალოგიისა არის ხატის, ანარეკლის გაგება და არა იდენტურობის, იგივეობრიობის ხედვა.

იოანე პეტრიწის ღვთისმეტყველების მეორე მეთოდს – „*თანშესიტყვის იძულებითი კანონებს*“, ანუ ლოგიკური გზით შემეცნების გზას, ძირითადად აპოფატიკურ მეთოდს, ასევე არ მიუყვანია იგი დოგმატების ეჭვქვეშ დაყენებამდე და რყევამდე, რადგანაც მისთვის ამოსავალია დებულება – *ერთი უზესთაესია, უზესთმდებარეა* – უპირობოა: აქედან ამოსვლით აგებს იგი თავის აპოფატიკურ ღვთისმეტყველებას.

დასაბუთების ამ გზაზე იგი მკაცრად იცავს არისტოტელეს სილოგიზმის „*იძულებითს*“ კანონებს, რომელთა გარეშეც, მისი აზრით, შეუძლებელია რისამე შემეცნება სიტყვიერი, ლოგიკური გზით, მაგრამ რომლებიც „*ვერ ამა-არიან*“ და წყვეტენ მოქმედებას, როგორც კი დასაბუთება მიადგება დასაბამს – ზესთეროს, რადგანაც „*ზესთერთის ნათხზთა ვერ ამა-ეყოს აღმოჩენაჲ* (დასაბუთება), *რამეთუ არიან ღმრთეებრ მთენარე*“ (თ. 101), ანუ ღვთაებრივი დამბრმავებელი ნათელით არიან „გაბრწყინვებულნი“ („განმარტება“, 101; შდრ. პლატონი, „სოფისტი“, 254 b) და ამიტომ „*ანუ ხატთა მიერ, ანუ იგავთა*

მიერ მეცადინეობს სული ცნობად მის უოცნოჲსათჳს და სწყურის მისდამი" („განმარტება", თ. 51). ე.ი. მისი აზრით, ამ სფეროს შიწვდომა მხოლოდ ნიმუშების, ანალოგიების გზით თუ შეიძლება, ანუ δείξις-ის (ჩვენების) გზით და არა ἀπόδειξις-ის („აღმოჩენის," ანუ დასაბუთების) გზით. თუ ლოგიკური კანონების მეშვეობით დასაბუთების გზაზე გონებითი წვდომისას „წრე დასაბუთებაში" დაუშვებელია („*ურთიერთასი მჩუენებლობაჲ* საგიობელ არს ფილოსოფოსთა მიერ: ამონიოს ერმიასი, S-2562, 166r), „*სამარადმყოს*" სფეროსათვის იგი კარგავს თავის მნიშვნელობას, რადგანაც ეს უკანასკნელი გონიერ სფეროს მიღმაა („*იმრრეა*"), ზესთაგონიერია. შეუცნობადი, „*უცნო*" ერთის დასაბუთებისათვის (ანუ „*აღმოჩენისათვის*") რომ არისტოტელეს სილოგიზმის კანონები უძლურია, პეტრიწის აზრით, ეს პროკლემ აჩვენა: „*თუთ არისტოტელის მიერ შესიტყვითთა კანონთაჲთ ჩემებული სიმართლე, რომლითა ურღუეველს პლატონს პერიპატოელნი, განაცხადა და უმდგმო-ყო*", — წერს იგი თავისი ნაშრომის წინასიტყვაობაში.

იოანე პეტრიწის, ისევე როგორც პროკლეს, დასაბუთების გზაზე ამოსავალია და ურყევი დებულება: „*ერთი უზესთმდებარეა*", „*არა არს სხუაჲ უპირველესი ერთი — უზადო, წმიდა, ზესთმდებარე თუთერთისა*" და ამ თეზისს ეფუძნება მთელი მისი შემდგომი მსჯელობანი: იმიტომ, რომ „*იყოს თუ სხუაჲ უპირველეს, ვერ-სადა ჰპოვონ არსთა თესი მისდგოჲ*". და ასე, ყველა შესაძლებელი საწინააღმდეგო აზრის დაშვებისა და მისი უარყოფის გზით („*ესე შეუძლებელ და უკამსო*"... „*არამედ ესე უჯერო და შეუძლებელ*"...) იოანე პეტრიწი, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „*სალმრთისმეტყველო კანონთაებრ*', „*თანგანელის* (გამომდინარეობის) *წესით*" „*ფრიად ცხადად*" აჩვენებს, რომ „*არ-ვინაჲ ერთი სიმრავლისაგან, არამედ სიმრავლე ერთისაგან*", რომ „*ბუნებითსა ერთსა, რომელ არს თუთერთ, არა-რაჲ არს უპირველეს.*" ამგვარად, თვით ამ ერთის საფუძვლად აღებით, ანუ როგორც თვითონ ამბობს, „*შეწევნითა თუთ მის ერთისაჲთა, უმხილებელთა აღმოსაჩენთა* (უცილობელი საბუთების) *მიერ*" აჩვენებს იგი ზესთმდებარეობას ერთისა („განმარ-

ტება", თ. 1). ყოველივე ამის ჩვენებას მოსწავლეთათვის იგი ახერხებს ხან რიცხვთა მაგალითების მოხმობით, ხან ერთმანეთისაგან გამომდინარეობის, ხან შეერთებისა და გაყოფის, ხან საზღვრისა და უსაზღვროობისა, ხან კი თვით ზესთმიზეზის კვლევის გზით. უსაზღვროობისა და უმიზეზობის უარყოფის უჯეროებასა და შეუძლებლობას იგი კვლავ ერთის დასაბამობისა და ზესთმდებარეობის აღიარებამდე მიჰყავს: *„ბუნებითსა ერთსა, რომელი იყოს თჳთერთი, არარაჲ არს უპირველეს. და თქუას თუ ვინმე, არსო უპირველესი, იყოს ვიდრემე სხუაჲ სხჳსა უპირველეს და არასადა ჰპოო ერთი დასაბამი და მისადგოჲ არსთაჲ, არამედ უსაზღვრო და უმიზეზო, რომელ-ესე შეუძლებელ, რომლისათჳსცა არ ეგების, თუმცა პირველ ერთისა იყო ერთი, და არცა პირველ სიმრავლისა შედგმაჲ რაჲისაჲ, ანუ ერთქმნაჲ, თჳნიერ ერთისა"* (თ. 1).

უსაზღვროობისა და დაუსაბამობის უარყოფით იოანე პეტრიწი უპირისპირდება იოანე იტალოსის ერთ ძირითად დებულებას (იმ თერთმეტი ბრალდებიდან, რომელიც ამ უკანასკნელს წაუყენეს საეკლესიო სასამართლოზე), კერძოდ, მატერიის უსასრულობის, დაუსაბამობის შესახებ, რაც ეჭვქვეშ აყენებს ტრადიციად ქცეულ მოსაზრებას იმის შესახებ, თითქოს იოანე პეტრიწი ყოფილიყოს იტალოსის უერთგულესი მოწაფე და მიმდევარი. ხოლო, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იგი იმათ საწინააღმდეგოდ, ვინც ორი საწყისის სუბსტანციურობას აღიარებს (მანიქეველნი და სხვ.), საგანგებოდ ასაბუთებს ერთი საყოველთაო მიზეზის, კეთილის არსებას და ბოროტის უარსობას (იხ. „ბოლოსიტყვაობა"), რაც ასევე ეწინააღმდეგება იტალოსის ერთ-ერთ ძირითად დებულებას ორი საწყისის სუბსტანციურობაზე, ეარაუდი პეტრიწის, როგორც იტალოსის ერთგული მოწაფის შესახებ, ეჭვქვეშ დგება და ეს საკითხი, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ შესწავლასა და დასაბუთებას მოითხოვს. თუმცა ზემოთქმული არ გამორიცხავს იმას, რომ პეტრიწი იყო მანგანას აკადემიის მსმენელი და პსელოსიანით გატაცებული იყო ანტიკური ფილოსოფიით, *„ღმრთივი პლატონით"*, რომელსაც იგი *„ღმრთისმეტყველების მირონს"* უწოდებს, განსაკუთრებით კი პროკლე დიადოხოსით, ამ „პლატონური ფილოსოფოსით", რომელიც მას

აინტერესებდა, როგორც მონოთეისტური ფილოსოფიური მოძღვრების ავტორი, რომლის ძირითადი თეზისიც: *„ყოველი სიმრავლე ეზიარების რადთავე ერთსა“ — „უკუნ არღუეეს ყოველთა, რომელთა დასხნეს დასაბამნი მრავალნი და შეშალეს საუკუნესა შორის დამყარებული წესი“* (თ. 1).

ამგვარად, ღვთისმეტყველებისას პეტრიწი ამჯობინებს ჩვენების, ნათელყოფის, სახეებისა და მაგალითების გზას და არა სილოგიზმის მეთოდს (რომელსაც წარმატებით იყენებს ბუნებითი, ანუ ფიზიკური და ფილოსოფიური კატეგორიების შესახებ მსჯელობისას). ვფიქრობთ, სწორედ ამით განსხვავდება იგი თავისი დროის რაციონალისტური მიმართულების ბიზანტიელი თეოლოგებისაგან, რომლებიც სილოგიზმის კანონებით სვლისას, ლოგიკური არგუმენტაციის გზაზე აუცილებლობით მიდიოდნენ დოგმატების უარყოფამდე. მაგ., იოანე იტალოსი, რომელიც დასაბუთების გზით მიღებულ დანასკვს დოგმატებზე მაღლა აყენებდა, მივიდა ორი საწყისის დოგმატიზების მოთხოვნამდე, მატერიის უსასრულობის აღიარებამდე (იხ. იოანე იტალოსის ტრაქტატები, გამოსაცემად მომზადებული გრიგოლ წერეთლის მიერ, 1966 წ. თბილისი); ევსტრატი ნიკიელი — წმ. სამების დანაწევრებამდე და სუბორდინაციონიზმამდე; სოტირიხოს პანტევგენოსი — არსებისა და პირის აღრევამდე და სხვ. ეს უკანასკნელნი დოგმატებზე მსჯელობისას სილოგიზმის *„იძულებითს კანონებს“* უმორჩილებდნენ მათ. ამიტომ იყო, რომ თომა აქვინელი, ითვალისწინებდა რა შუა საუკუნეების პოლემიკის გამოცდილებას, არჩევდა ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელი ჭეშმარიტებების (სამების დოგმის, განხორციელების საიდუმლოს, სამყაროს წარმოქმნის) განსჯის გზით დასაბუთებისათვის თავი აერიდებინათ, ხოლო უფრო ადრე კი ზემოთ უკვე ნახსენები ცნობილი ბიზანტიელი ეგზეგეტი, იოანე პეტრიწის თანამედროვე, თეოფილაქტე ბულგარელი თავის განმარტებაში „იოანეს თავის სახარებისა“ წერს: *„და, თუ ვითარ შეეკრა სხეულსა სიტყუაჲ ღმრთისაჲ, ამისი უკუე გუარისა განკსნაჲ შეუძლებელ“* (A 52, ფ. 10r). იოანე პეტრიწი მიჰყვებოდა წმიდა მამათა გზას, რომლებიც არჩევდნენ ელაპარაკათ არა დასაბუთების, პეტრიწის ტერმინით — „აღმოჩენის“, არამედ „ჩვენების“ ენაზე.

ჯერ კიდევ ნეტარი კლიმენტი ალექსანდრიელი აღნიშნავდა, რომ, რამდენადაც დასაბუთება (პეტრიწის ტერმინით – „აღმოჩენა", ἀπόδειξις) არის საგნის ლოგიკური გზით გამომდინარეობა, იგი არ გამოდგება ყოველივეს დაუსაბამო დასაბამის მიმართ. პატრისტიკულ აზროვნებაში ღვთის მყოფობა (გება) არ ექვემდებარება დასაბუთებას (ანუ „აღმოჩენას"), მისი დასაბუთება („აღმოჩენა") კი არ ხდება, არამედ „ჩვენება" (δείξις). მაგრამ როგორ შეიძლება ჩვენება იმისა, რაც უხილავია, წარმოუსახველია („უცნოა")? – მხოლოდდამხოლოდ მისგან წარმოარსებულთა – ანუ ფიზიკური არსის ანალოგიების გზით, ისევე, როგორც ფერწერული თუ ფრესკული ხატები არის გამოვლენა და ჩვენება უხილავისა და დაფარულისა. ანალოგიის გატარების უფლებასა და საფუძველს კი პეტრიწს აძლევდა ღვთის სიტყვა „შესაქმიდან": *„ვქმნეთ კაცი ხატისაებრ და მსგავსისა ჩუენისა"* (დაბ., 1,26), რაც საფუძვლად დაედო საეკლესიო მოძღვრებას ადამიანის ღვთის ხატის მიხედვით შექმნის შესახებ (კლიმენტი ალექსანდრიელი: *„ხატი ღმრთისაჲ არს სიტყუაჲ ღმრთისა, ხოლო ხატი სულისა – გონებაჲ კაცობრივი"*). ამიტომაა, რომ ფილოსოფიურ ხედვათა განმარტებისას იოანე პეტრიწი ხშირად ღვთის, უფლის, ქრისტეს შეწევნას ითხოვს: *„რომელი-ესე თუთოეული თჳსსა ადგილსა განეპმარტოთ შეწევნითა პირველისა სიტყჳსა უფლისა ქრისტესითა"* („განმარტების" წინასიტყვაობა); *„თანადგომითა პირველისა სიტყჳსაჲთა გონებაჲ ამის თავისაჲ კეთილნადებ იქმნა"* (თ. 5); *„უფლისა მიერ განეპმარტოთ ესე"* (თ. 5); *„რაჲთა მოვიდეს ჩუენდა ქრისტესმიერ პრომეთიაჲ"* (თ. 17). ღვთის შეწევნით აპირებს იგი *„ნიეთისაგან მიუხებელი ღმრთისმეტყველების წარმოყენებას"* („განმარტების" „ბოლოსიტყვაობა") და სწამს, რომ ქრისტე მისი საღმრთისმეტყველო ხედვების მაცხოვნებელია (*ხედვათა ჩემთა მაცხოვნებელი, იტყჳს ესრეთ: „ნუ წინადაფენად"* („განმარტების" „ბოლოსიტყვაობა").

ამგვარად, შემეცნების იმ ორი მეთოდიდან, რომელსაც იოანე პეტრიწი თავის მოსწავლეებს აცნობს „განმარტების" შესავალ ნაწილში, პირველი – სულითი შემეცნების გზა (διάνοια – *მიდმოგონება*) დისკურსიული, განსჯის მეთოდი, მისი აზ-

რით, დოგმატურ ღვთისმეტყველებაში საკმარისი არ არის. მეორე გზა — *გაგონების*, ანუ მარტივი წვდომისა, ერთბამი განათების გზაა, როგორც მზე რომ ამოვა და მისი სხივებიც — შარავანდნი - „*უეცამოდ და მიუდრეკელად დაჰფარვენ ყოველსა*". ეს გზა ყველასათვის როდია მისაწვდომი. მაგრამ ფილოსოფიურ ხედვებში გაწაფვის მსურველ მოსწავლეთათვის ზესთაგონიერ სამყაროზე პოზიტიური წარმოდგენის შექმნისა და მიახლოებითი ცოდნის მიღების მესამე გზა არსეობობს - ესაა გონიერი ხედვების მაგალითად მოხმობა, ანალოგიის გზა, რომელსაც წარმატებით იყენებს იოანე პეტრიწი თავის მსმენელთა და მოსწავლეთათვის დაწერილ „განმარტებაში". აქ არ შეიძლება, არ გავიხსენოთ წმ. მაქსიმე აღმსარებლის მიერ მაგალითის მნიშვნელობის განმარტება: „მაგალითი მეცნიერებაჲ არს ხედვისებრიობისა მიერ ყოვლითურთი, საღმრთოთა სიტყუათა მისაწდომელი ბუნებისაჲ, შეცვაჲ მოგონებისა უაღრესსა გამოჩინებასა მქონებელი... მაგალითი — შემეცნების დასაბამსახეობისაჲსა არს მჩუენებლობითი მოსაგონებელთაჲ.... ყოველი აქაჲ მეცნიერებაჲ, მაღალთაჲთ თანაშეტყუებული ყოფადისა მიმართ; მაგალითი არს, მსგავსებასა ჭეშმარიტებისასა და არა თუთ მისებრსა შემტკიცებულებასა მქონებელი, გამოჩინებად გულვებადისა ჭეშმარიტებისასა... მეცნიერებისებრთა სახისდასაბამთა გამომაჩინებლობითი არს მაგალითი... მაგალითი მხედველობისასა წარმოადგენს საიდუმლოსა..." (K-14, ფ. 58v).

პეტრიწის ღვთისმეტყველების მეთოდი დამყარებულია ორ თვისებრივად განსხვავებულ სფეროთა შორის მიმართებათა მსგავსებაზე (იგავებრივობაზე, მაგრამ არა ივივეობაზე), რადგანაც მხოლოდ ანალოგიის გზით შეიძლება დადგინდეს კავშირი იქ, სადაც სხვადასხვა კატეგორიებს დაქვემდებარებულ საგნებსა და მოვლენებთან გვაქვს საქმე. ამ გზით ცდილობს იგი გონებასა და რწმენას შორის იმ წინააღმდეგობების დაძლევას, რომლის წინაშეც აუცილებლობით აღმოჩნდებოდნენ ხოლმე მისი დროის თეოლოგები რაციონალისტური მეთოდით დოგმატების განხილვისას, რამაც შუა საუკუნეების მოაზროვნეები საბოლოოდ „ორმაგი ჭეშმარიტების" აღიარებამდე მიიყვანა.

ამგვარად, გელათის აკადემია წარმოადგენს უმნიშვნელო-

ვანეს ეტაპს ქართული თეოლოგიური აზრის განვითარების გზაზე. იგი იყო შუა საუკუნეების „სქოლასტიკური" (ამ სიტყვის მაღალი გაგებით) საგანმანათლებლო კერა, რომელიც წარმოადგენდა XI-XII საუკუნეების ბიზანტიური თეოლოგიურ-ფილოსოფიური საზროვნო გარემოს პროექციას ქართულ ნიადაგზე და იდგა ამ მაგისტრალურ გზაზე, რომელსაც შემდგომ ასცდა ბიზანტია, ხოლო უფრო მოგვიანებით გაჰყვა ევროპული მაღალი სქოლასტიკა. მაგრამ მიუხედავად თავისი დიდი მისწრაფებებისა და მის მიერ შექმნილი უზარმაზარი ლიტერატურული პროდუქციისა, ეს იყო პატარა კუნძული - ჩიხი, რომელმაც ბიზანტიის დაცემის შემდეგ თავისი გეოპოლიტიკური ვითარების გამო კავშირი ვერ დაამყარა ევროპულ კულტურულ სამყაროსთან და ამიტომ ვერ ჩაერთო და ვერ გამთლიანდა იმ საერთო პროცესში, რომელიც ევროპული რენესანსის სახელითაა ცნობილი.

გელათის სალიტერატურო სკოლა მნიშვნელოვანი ეტაპია ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური და 'საერთოდ, მეცნიერული ენის განვითარების გზაზე. ამ სკოლაში შემუშავდა თეორიული საფუძვლები ზუსტი, ადეკვატური თარგმანისა და ქართული ფილოსოფიური ენისა, დამუშავდა და ჩამოყალიბდა ქართული ფილოსოფიური ენა და სტილი, საფუძველი დაედო ქართული ფილოსოფიური ტერმინოლოგიის ფორმალურ-სემანტიკურ სისტემას, რომლის პრინციპების ამუშავება და გააქტივება აუცილებელ საჭიროებად გვესახება დღეს ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ენის შემდგომი განვითარებისათვის.

სწორედ ამ ენის შექმნას გულისხმობდა თავის გვარ-ტომის ხალხისათვის, ქართველთათვის, იოანე პეტრიწი, როდესაც წერდა: „არა ვეც რული თუალთა ჩემთა, არცა სასუენი წამთა ჩემთა, ვიდრემდის არა მომხედნა მე გონებითმან ცისკარმან და ... აღვიშურვე ტომისათვის გუართა ჩემთასა მე მიდმოობაჲ ენისაჲ გალექსებული და მესხუეჲ მდაბრიონთაგან". სულხან-საბა ორბელიანმა, ანტონ კათოლიკოსმა და, საერთოდ, XVIII ს.-ის მოღვაწეებმა დაინახეს და დააფასეს იოანე პეტრიწის ეს ღვაწლი, როდესაც მას უწოდეს „მამზეველი და მადღეგებელი ენისა ჩუენისა", მის ენას კი – „გემოანი და საწადელი".

გელათის 900 წლის იუბილესათვის

რუბრიკას უძღვება აკადემიკოსი დამანა მელიქიშვილი

ხსენება ქართველთა კეთილმორწმუნე მეფისა თამარისი წელიწადში ორჯერაა დაწესებული: ერთხელ უძრავი დღესასწაული, 14 (1) მაისს, მეორე კი, გარდამავალი, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში აღდგომიდან მესამე კვირას (წელს 7 მაისს დაემთხვა) იდღესასწაულება, როდესაც მოიხსენებიან მცხოვრის მსახურებაში განსაკუთრებით გამორჩეულნი, მენელსაცხებლე დედანი: მარიამ მაგდალინელი, მარიამ კლეოპასი, სალომე, იოანა, მართა და მარიამი, სუსანა და ასევე, მართალი იოსებ არიმათიელი და ნიკოდიმოსი (მარკ. XV, 43-47; XVI, 1-8). ამით ხაზგასმულია ის განსაკუთრებული ღვთისმოსავობა და ღვთისმსახურება, რომლითაც გამორჩეულა წმ. თამარის, როგორც მეფის და როგორც ადამიანის მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა. სწორედ ამ თვალით დანახული წმ. თამარის სახე იკვეთება მისი ზეობისა და მომდევნო ხანაში გელათის ლიტერატურულ სკოლაში შექმნილ ქართული საისტორიო მწერლობის ბრწყინვალე ძეგლში: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და ბასილი ეზოსმოძღვრის სახელით ცნობილ „ისტორია მეფეთ-მეფისა თამარისაში“.

კეთილმორწმუნე მეფე თამარი

„მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარისა, სამგზის სანატრელისა და სამებისაგან ოთხებად თანაალზეებულისა, რომელი ეთეროან იქმნა ჭელმწიფეთა შორის“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“).

„ესე თამარ შვილ იქმნა მშობელთა ძირ-რტოებათა შესატყჳსთა და შეზავებულთა. ვითარ საცნაურ არს, ხე – ნაყოფისაგან და ნაყოფი – ხისაგან: ღავითიანთაგან და ხვასრო

მამა წმ. თამარისი იყო გიორგი, მეფეთა მეფე, ძე დიმიტრი მეფისა, „აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა მეციხოვნისა და ზღვართა დამდებელისა და ზღვიდან ზღვამდე მპყრობელისა". ხოლო დედა იყო ასული ოვსთა მეფის, ხუდდანისი, სახელით ბურდუხან, თვით მზე მზეთა მშვენებითა, მართალთა მოყვარე და ბრალეულთა მწყალობელი, „რომელი ჰმატდა სიკეთესა დედათასა სხჳთა ყოველითა, გარნა თამარის დედობითაცა". ამათ შვილი არა ესვათ და ამიტომ მწუხარე იყვნენ უშვილოებისათვის. მერმე ინება ზეგარდამო ღმრთის მოწყალებამ და „იშვა მათგან ქალი ქმნილკეთილი, ყოველითურთ უნაკლულო და შესატყჳსი. ამას დაარქუა სახელი - თამარ" (ბასილი ეზოსმოძღვარი).

ბურდუხან დედოფალს ძილში ეჩვენა, რომ მისი ასული, თამარი, ქვეყნის გვირგვინოსანი მეფე გახდებოდა:

> თამარს უამბო დედამ: შვილო, სიზმარი ენახეო,
> საწუთროს ჯამში ჩავხედე, სოფელი დაკირახეო,
> შენ იყო მთელი ქვეყანა, შეკნებით შეინახეო.

შვიდი თუ რვა წლისა იყო წმ. თამარი, როდესაც გიორგი მეფემ თავის თანამოსაყდრედ აკურთხა:

> შვიდი წლის ქალი მობრძანდა
> თამარი დედუფალია,
> ჩიქილა გადაიქნია,
> გადააქანა ზღვანია,
> შუა ზღვას ჩადგა სამანი,
> არ გადმაჰცილდეს ცვარია!

გავიდა ხანი, „შემდგომად ამისა დღეკეთილობისა და სვეტრულობისა, მოიწია ოჴნანადები სოფელსა ამას შინა... და მიიცვალა დედოფალი ბურდუხან, დედა თამარისი, სწორი ღმრთისა დედისა..." „გარდახდეს... წელნი რაოდენნიმე და გარდაიცვალა მეფე გიორგიცა და იქმნა გლოვა და მწუხარება უზომო"...

რა ესმა ეს „სამშნათობიერსა მეფეთმეფისაგან მეფედქმნულსა თამარს ქალაქსა შინა ტფილისს, საჯდომსა მათსა, ციხესა ისანს, ყოველითურთ სამოთხის მსგავსი სამყოფი იქმნა მსგავს ჯოჯოხეთისა და შუებათა წილ და სიმღერისა აჰხდის ჴმანი ეაებისა და ტყებისანი... და თამარი, პირი იგი ეთეროვანი და უკიმირო ჰაერი და უმრუმო ნათელი, შეიზღუდა ბნელითა" („ისტ. და აზმ.").

შვიდიეე სამეფო შეიყარა და შოახსენეს რუსუდან დედოფალს, თამარის გამზრდელ მამიდას:

„დღეს შენ სჩან მშობელთა ამათთა ნაცვალად. და ეინათგან ეხედავთ ყრმასა თამარს გონებითა არა ყრმებრივითა, არამედ მეცნიერითა, ცნობიერითა, გონიერითა და შუენიერითა მომსმენად და პატივისმცემელად შენდა... არქუ მთქუმელმან და მბრძანებელმან, თუ სადა ძმასა თქუენსა და მამასა მათსა დაუსუამს ზეობასა და სიმხნესა შინა მათსა, მუნ ჴელ-ყოს განბრწყინვებად ჴელმწიფობასა და შარავანდედობასა ტომის-გუარისა თქუენისა... აწ მან ჴელ-ყოს მეფობასა და კურთხევითა გკურგკნოსანყოფად აღვიდეს და ამაღლდეს და დაჯდეს საყდარსა თუსთა მამათასა აღპყრობითა და აღძღუანებითა ძელისა ცხოერებისაჲთა და კურთხევითა მელქიზედეკისათა, რომელი ყო აბრაამის მიმართ და მან დაიპყრნეს კიდენი ქუეყანისანი და მეფობდეს იგი ზღუთი-ზღუადმდე“ (ისტ. და აზმ.).

ყოველიცა ამის მსმენელმა და მომწონებელმა რუსუდან დედოფალმა უბრძანა და მოახსენა თამარს, მეფესა და დედოფალს, რომელიც პირველსავე ბრძანებასა და შვიდთავე სამეფოთა დიდებულთა აჯას დაემორჩილა.

ეს იყო 1184 წელს. მაშინ თამარი 13-14 წლისა იქნებოდა... მზეთამზე და ნათელი ნათელთა, მზეებრ მაშუქებელი სხვათა, აიყვანეს მამაპაპეულთა ტახტზე, შემოარტყეს ხმალი, დაადგეს გვირგვინი და ყოველმა ერმა და მხედრობამ თამარი აღიარა მეფედ: „და დაჯდა ნებითა ღმრთისათა თამარ მეფედ“:

ღვთისშვილთა ჰყავის წმიდაი, თამარი დედოფალია,
უფლისა იყო ბრძანება შაირტყას მამის ხმალია,
მამის სამეფო აიღო; თვითონ ბრძანდება ქალია,
ხმელეთი თვისად გაიგდო, იმდენიცა აქვს ძალია,
შუა ზღვას ჩადგა სამანი, სამნივე რკინის სარია,
სატახტოდ, საბრძანებლადა თითონ ხმელს
გორზე ბრძანია.

„თამარ შუდმნათობიერი იდიდა მისგან, რომელმან წარმოაჩინა და აღმოაჩინნა ექუსთა შინა დღეთა ყოველნი არსსაჩენნი და განსუენებად-სცა მეშუდესა“. და იქმნა თამარ ყოველთა მეფეთა შორის უდიდეს, სვიანი და ბედნიერი, ღვთისმოშიში, ტკბილი, სახიერი (ყოველთა კეთილთა თავი ხომ ღვთისმოშიშება და სიმდაბლეა!), ეკლესიათა და მონაზონთა მოყვარე, ღარიბთა და მომჩივანთა განმკითხველი, „მზე მზეთა, ნათელი ნათელ-

თა, ტარიგი უმანკო, მსგავსი ქრისტესი, მშვიდითა მით დაეითიანებრითა გონებითა მინდობილი ზენასა მას განგებასა, იმედისა მდებელი წყალობათა მისთა გულმოწყალეთა“ (ისტ. და ასმ.).

თამარმა „სიერცითა გონებისა თჳსისათა შემოიკრიბა ყოველივე საღმრთონი და საერონი წესნი და განგებანი. ვერ გაიტაცა იგი ამა საწუთროს საშეებელმა, არცა გვირგვინმა და სკიპტრამ მეფობისა, არცა პატიოსან ქვათა უხვად ქონებამ, არცა სპათა სიმრავლემ,,ვერცა სიმდიდრემ წარიპარა, ეითარ ძველ-ოდესმე მეფენი მრავალნი“. „ესოდენთა სიმდიდრეთა და გარდარეულთა სიმაღლესა შინა ესრეთ იყო, ეითარცა ყოველად არარა ჰქონებოდა და უგლახაკეს ყოველთა კაცთასა შეერაცხა თავი თჳსი, მომჴსენებელი ჴმისა ამის: „შიშველი გამოვედ დედისა მუცლით ჩემითგან და შიშველსა მეგულების წარსლვად“.

გლახაკებისათჳის განაჩინა სარწმუნო ზედამდგომელნი: რაც კი იყო შინ და გარეთ, მთელი თავისი სამეფოს შემოსავლის ნაათალი გლახაკებს მიეცემოდა „დაუკლებელად ერთისა ქრთილისა მარცვლამდეცა“. და ამას სრულებითაც არ თვლიდა ღვთის წინაშე ქველისსაქმედ.

როგორც კი მოიცლიდა მარტომყოფობისათჳის, მყის აიღებდა საქსოვს, გინდა საკერავს და „ნაშრომსა მას თჳსთა ჴელთასა ხუცესთა და გლახაკთა განუყოფდა თჳსითა ჴელითა (ბას. ეზოსმოძღ.).

საკვირველი უნარი და ძალა ჰქონდა მთელი ღამე მღვიძარებისა, ლოცვისა, მუხლთდრეკისა და ცრემლით ვედრებისა ღმრთისა მიმართ. ღამით ასრულებდა ხელსაქმარს, რომელსაც გლახაკებს ურიგებდა. ერთხელ ლოცვისა და ხელსაქმისაგან დამაშვრალმა, მცირე ხნით მიიძინა ბუნების წესისამებრ. ამ მცირე მირულებისას იხილა ჩვენებით რაღაც საყოფელი, სახილველად ტურფა და სიკეთეაღმატებული ადგილი ყვავილთა, ბალახითა და ხეებით გამშვენებული, რომელიც მხილველთათჳის საწადელი და სამოთხის დარი იყო. მასში იყო ტახტები, სავარძლები და სკამები, პატიოსნად შემკული ოქროთი და ვერცხლით, პატიოსანი თვალ-მარგალიტით. ამ სამოთხეში შეიჯვანეს ჭეშმარიტად ღირსი მასში ყოფნისა, მეფე თამარი. იქ იხილა ტახტები და გაიფიქრა თავის გულში: „მეფე ვარ მპყრობელი და ჩემი არს უ'ხენაესი და უპატიოსნესი ესე საჯდომი“. და მყის გაემართა იქ დასაჯდომად. მაგრამ წინ აღუდგა ეინმე ნათლითმოსილი კაცი, „უპყრა ჴელი, მორიდნა“ და უთხრა:

„შენი არა არს საჯდომი ესე, რამეთუ ვერ შემძლებელ ხარ დაპყრობად ამისსა“.

გაკვირვებულმა მეფემ უპასუხა:

„ვინ უპატიოსნეს არს ჩემსა, რომელმან დაიპყრას უპატიოსნესი საჯდომი?“

მან კი უთხრა:

„ესე საყდარი შენი დიასახლისისაა, რომლის ხელით მოქსოვილი სამოსელი თორმეტ მღვდელს ჰმოსია, როცა ისინი „შესაძრწუნებელსა და საშინელსა ტრაპეზსა შეწირვად უსისხლოსა და პატიოსანსა მსხუერპლისა“ წარდგებიან ხოლმე. ამიტომ იგი შენზე უზესთაესია, თუმცა კი შენ მეფე ხარ, საკმარისია შენთვის ეს დიდება, რადგანაც შენი სამყოფი აქვეა“ და უჩვენა უფრო მდარე და უნდო.

როგორც კი გაიღვიძა, ბრძანა მის წინაშე მოყვანება დიასახლისისა, რომელმაც აღიარა თორმეტი მღვდლისათვის კვართფილონის მოქსოვა. ამის შემდეგ მეფე ეაჭრებისაგან ალექსანდრიიდან ჩამოტანილი ძატყლისაგან ქსოვდა შესამოსელს მანამ, სანამ თორმეტი სრულ-ყო (ისტ. და აზმ.).

ხუცესთა და მონაზონთა სიყვარულზე ხომ ნამეტრავია ლაპარაკი, „რამეთუ წესიერად ცხორებულნი კაცნი მარადღე იყვნენ წინაშე მისსა და მახლობელად სასუენებელსა მისცეს საყოფელი და თუთ ზრდიდის საზრდელითა და ყოველითა საჭირითა, რაცა უნებნ. და უკუეთუ მათგანი ვინმე იყვის უძლურ, თუთ მიეალნ მოხილვად და ნუგეშინისცემად და თუთ განუმზდებნ ცხედარსა და ხარეცელსა“ (ბას. ეზოსმოძღ.).

„და, ვითარცა მზე სწორპატიობით ყოველთა ზედა განუტეობდა ნათელსა თჳსთა შარავანდედთასა, ესრეთ წყალობათა ყოველთათა მოიზიდვიდა წყალობად ღმრთისა, ესრეთ გამოფრდიდა ჟამთაგან, ესრეთ განაძლიერებდა მეგობართა“.

„ხოლო სჯულთა მიმართ საღმრთოთა ვინ იყო ესრეთ მოშურნე, გინა სიმდაბლით თავისა მომდრეკელ, რამეთუ თეოდოსი დიდსაცა აღემატებოდა. ლოცვანი და ღამისთევანი,რომელნი პალატსა შინა ამისსა აღესრულებოდეს, საეჭუელ მიჩნს მეუდაბნოეთაგანცა. ხოლო მარხვისთჳს რაღა ეთქუა, რამეთუ წესი იყო მონაზონთა და მამხილებელ უდებთა ერი პალატისა (ბას. ეზოსმოძღ.).

როგორც პალესტინის მონასტრის ტიპიკონი და განწესება მოასწავებდა,საეკლესიო ლოცვა და წესი ლოცვისა დაუკლე-

ბელად აღესრულებოდა, ყოველივე სრულად. დარბაზის კარს მყოფთაგან წირვას ვერავინ დააკლდებოდა „მწუხრი, დილეულ, სამხრი, ვითარცა თქუმულ არს“ (ისტ. აზმ.).

ხოლო სჯულის განმტკიცების საქმეში მეორე კონსტანტინედ თელის მემატიანე: „მისებრივე ჰგონებდა დაწყებასა საღმრთოსა საქმეთასა, რამეთუ იწყო აღსლავად ორპირსა მახვილსა მოსასრელად თესლთა ბოროტთა და ინება, რაჲთა იქმნას შეჟრა და გამორჩევა დიდთა მათ მსოფლიოთა კრებათა“. უპირველესად წმიდა ქალაქიდან, იერუსალიმიდან მოუწოდა ნიკოლოზ გულაბერისძეს, რომელიც ადრე სიმდაბლის გამო კათალიკოსობას განერიდა, შემოიკრიბა თვისი სამეფოს მღვდელმთავარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი, საღმრთო სჯულის მეცნიერნი კაცნი. და ესწრაფვოდა, რათა მართლმადიდებლობაში შემოთესილი ბოროტი თესლნი აღმოეფხვრა თავისი სამეფოდან. და რა შემოიკრიბნენ ორივე სამთავროს ეპისკოპოსნი, მათ შორის ანტონ ქუთათელი საღირისძე, დიდად განთქმული სათნოებითა და ძლიერი საქმითა და სიტყვით. წმ. თაბარი მათ დიდი სიმდაბლით მიეგება და ასე მიმართა:

- „ჰოჲ, წმიდანო მამანო! თქუენ ღმრთისა მიერ განჩინებულ ხართ მოძღურად ჩუენდა და მმართებელად წმიდისა ეკლესიისა და თანა-გაც სიტყჳს-მიცემად სულთათჳს ჩუენთა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განჴადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემზედა, რამეთუ შარავანდედი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის მბრძოლობისა. ნუ თუალ-ახუამთ მთავართა სიმდიდრისათჳს, ნუცა გლახაკთა უდებ-ყოფთ სიმცირისათჳს. თქუენ სიტყჳთა, ხოლო - მე საქმით, თქუენ წურთით, ხოლო მე - განწურთით, ზოგად ჴელი მიეცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებელად, რაჲთა არა ზოგად ეიზღჳენეთ: თქუენ - ვითარცა მღუდელნი, ხოლო მე - ვითარცა მეფე; თქუენ - ვითარცა მნენი, ხოლო მე - ვითარცა ებგური“ (ბას. ეზოსმოძღ.).

ეს სიტყვები რომ ესმა მამათა კრებულს, „ჰმადლობდეს ღმერთსა და თანად მეფესა, ღმრთივეგანბრძნობილსა“.

კრებას წინამძღვრობდნენ ნიკოლაოს და ანტონი, „ვითარცა პირმეტყველნი მთიებნი მომრგუალებასა ცაებრისა მის ეარსკულაჲთა კრებულისასა“. არაერთი უღირსი ეპისკოპოსი შეცვალეს და მათ წილ საღმრთონი კაცნი დასხნეს და უდებთა მიერ დარღვეული საეკლესიო წესები გამართეს.

თამარის ზეობის ხანაში „მღდელთმოძღუართა შეიმოსეს შიში, მღდელთა დაიცვეს წესი თუსი, მონაზონთა მოიგეს წესიერი მოქალაქობა, მთავარნი განისწავლნეს სიწმიდით ცხოვრებად და სიმართლით სლეად, ერნი განემტკიცნეს შიშით მონებად ღმრთისა და ერთგულებით უფალთა თუსთა, ყრმანი განიწუართნეს მოძაგებად უჯეროსა უსჯულოებისა, რამეთუ ბილწებამან უწესომან ყრმებრივმან მბორგალებითმან ბორგნეულობამ ვერცა თუ კუალი პოეა დღეთა თამარისათა“ (ბას. ეზოსმოძღ.).

***

თამარის დროს „სარწმუნოება განმტკიცდებოდა, წმიდანი ეკლესიანი შეიმკობოდეს მრავალფერთა მიერ სამკაულთა, ლოცვანი და ღამისთევანი განმრავლდებოდეს, უფროჲსლა თუთ პალატსა შინა წმიდათა საიდუმლოთა სრულყოფანი მიმდემნი... წყალობა ღმრთისა განმრავლდებოდა და ყოველი სიბოროტე ეშმაკისა მოუძლურდებოდა“ (ბას. ეზოსმოძღ.).

ასეთი ნიჭი და პატიეი მიჰმადლა მის მიერ შეყვარებულმა ღმერთმა თამარს და „არცა იგი უდებ-იქმნა მოქმედებად საქმეთა სათნოთა ღმრთისათა. ამისთუს ჴელ-ყო აღშენებად საყოფელსა გამმარჯუებელსა მისსა ზეშთაკურთხეულსა ვარძიისა ღმრთისმშობლისა.: კლდისაგან გამოჰკუეთა, თუთ პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა სამყოფი სენაკები, რომელნი მტერთაგანცა შეუვალ და უბრძოლველ იყო“.

ვარძია თავდაპირველად სანატრელსა მამასა მისსა, გიორგი მეფეს დაეწყო, მაგრამ ვერ სრულ-ექმნა და აღასრულა და შეამკო დიდმა მეფე თამარმა, და მრავალი დიდროვანი სოფლები შესწირა და შეჰკაზმა ტრაპეზისა შესამოსელნი დიდნი. წმ. მეფე თამარმა „გულს: იდგინა მსახურებად უბიწოსა ღა განსაკრთომლისა სასწაულთა მოქმედისა ვარძიისა ღმრთისმშობელისა, „ამისთვეს პირველთა უმეტეს იდიდა მეფობა მისი“.

და არა მხოლოდ საქართველოში აშენა ეკლესია-მონასტრები, არამედ პირველად მონასტერი პალესტინას, იერუსალიმს ააშენა. შემდეგ კეიპროსს ღალია შეამკო და ააშენა მონასტერი და „შეამკო ყოვლითა წესითა პატიოსნისა ბონასტრისათა. და კიდევ კონსტანტინოპოლს ააშენა მათი მეტოქი. პალესტინის ეკლესიებში აგზავნიდა ბარძიმ-ფეშხუმებსა და სიწმიდეთა საბურავებს და მონაზონთა და გლახაკთათვის აურაცხელ ოქროს.

საბერძნეთში - მთაწმინდას, აგრეთვე მაკედონიაში - პეტრიწონს, თრაკიისა და კონსტანტინოპოლის მონასტრებში, ანტიოქიაში - შაეი მთისა და კვიპროსის სანახები აღავსო ქველისსაქმით და უხვად წყალობამიფენილ-ყენა. შაეის მთის საყდარნი და ეკლესიანი ზოგი დარღვეული ააშენა, ზოგი კი უცხოთესლთა ხარკისაგან დაიხსნა.

ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ანტიოქიიდან შაეი მთის მონაზონნი ქველისმოქმედებისათვის ეახლნენ თამარს. მეფეთამეფემ ჩვეულებისამებრ შეიწყნარა ისინი, მრავალი დღე არ გაუშვა. შემდეგ კი მისცა დიდძალი ოქრო და სახმარი თვით მათთვისაც და „ყოველთა მონასტერთა განსაყოფელად და განუტევა".

საქართველოში ხომ მცირე მონასტრიდან დაწყებული, საყდარ-ეკლესიები არ დატოვა, რომ წყალობით არ აეგსო; ეპისკოპოსნი და საყდარნი ააესო შესაწირავით, ეკლესიები გაათავისულა ხარკისა და ბეგარისაგან.

ძეობისათვის ღვთისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიმართ მადლიერმა თამარმა გელათს დაბრძანებულს ხახულის ღმრთისმშობლის ხატს თავისიეე მეფობისა და დედოფლობის მოკაზმულობა მრავალი ძვირფასი თვალ-მარგალიტით მიართვა და ოქროთი მოკაზმა. ხატზე კი ღმრთისმშობლისადმი მიძღვნა-ყვედრება აღბეჭდა იამბიკოდ:

> მე თამარ, მჩენი ტომთაგან დავითიანთა
> ოჯსად შემამკევ, მადიდე, აღმამაღლე!
> აწ მეცა ჴელ-ეყავ შემკობად ხატსა თქუენსა,
> დედოფლსა ძითურთ, და მეცა ძითურთ მფარეველ!

შამქორს დიდი გამარჯვების აღსანიშნავად წმ. თამარმა ხალიფას დროშა, რომელიც შალვა ახალციხელმა მოიპოვა, წარგზავნა „მონასტერსა დიდსა (ე. ი. გელათს - დ. მ.) ხახულისა ღმრთისმშობელისასა, მსგავსად პაპისა მათისა" (წმ. დავით აღმაშენებელისა —დ. მ.). მაშინ მას (წმ. დავით აღმაშენებელს - დ. მ.) „წარეგზავნა... უამთა დიდგორთა გაქცეეისათა, მანიაკი ოქროსა, შემკული თუალებითა ძვრფასისათა" (ისტ. აზმ.). ამას თვით თამარიც აღნიშნავს იმ ოცდახუთ ლექსად აღწერილ ხუთეულ იამბიკოში, რომელიც ვედრებით უძღვნა და შესწირა ხახულის ხატს და, რომელშიც მთელი ქრისტიანული ღვთისმეტყველებაა მოკლედ გადმოცემული:

ცისა ცათასა დამწყებ არს ღმერთ-მთავრობა
ძე საუკუნობს, პირველი კუალადი.
სულმან მან ღმერთმან სრულ-ყო მოქმედებანი,
სამებით სრულმან ერთითა ღმრთაებითა,
მიწით პირველის, პირმშოსა კაცისა.

შენ მიერ მისთჳს დრკუსა მის გამგებელი
დრკუ მიდრკა უენებელი ენებისადმი,
იენო და ენება პირველი უენებელ-ყო.
შენგან შობილმან, ჩუენ ღირს-გუყენა აღმოშობად
ბნელით ნათელსა, ნათელთა მხედველობად.

შენგან, ქალწულო, რომელთა შენთჳს დაეიო
როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,
მე, თამარ, მიწა შენი და მიერითვე
ცხებულობას ღირს-მყავ და თჳსობასა,
ედემს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით.

შუამფლობელი იაეარს შენდა ვმრთელობ,
ხალიფას დროშა, თანავე მანიაკსა,
შევრთე ცრუ სჯულთა მოძღვრისა ღაზოდ მძღუანი
ეინ დავით, ძეებრ ეფრემის მოისარმან
მოირთხნა, მოსრნა სულტნითა, ათაბაგით.

ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩუენნი მხედარნი; მოსავნი შენნი, სძალო,
მოწყლნეს, მოსწყჳდნეს აგარის ნათესავნი.
მუნით მოხჴულთა ნიჭთაგან ერთსა ამას
შენდა შევსწირავ, მიოხე ძეეურ, ღმერთო!

***

მორჩილება მეფეთა მეფისა, წმ. თამარისა, ღმრთისა და ერის წინაშე ფრიად გასაკვირველი იყო.

ერი და ბერი წუხდა სამეფო ტახტის უმემკვიდრობის გამო. შეიკრიბნენ სპასალარნი, ერისთავნი და დიდებულნი სამეფოსანი და მოახსენეს საეკლესიო მამათა, რათა ერთად ეღვაწათ შემოყვანებად სიძისა თამარისთვის.

შეიკრიბნენ რუსუდან დედოფლის წინაშე და საერთო გადაწყვეტილებით „წარავლინეს კაცი ეინმე რუსთა სამეფოდ ქრის-

ტიანობისა და მართლმადიდებლობისათჳს მათ ნათესავთასა. და ესე ვერა კეთილად განაგეს, რამეთუ არცა კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს და არცა მისსა მეცნიერ იყვნეს, რომელსაიგი მოიყვანებდეს“ (ბასილ. ეზოსმოძღ.).

პატრიარქმა და დიდებულებმა ეს გადაწყეტილება თამარს აცნობეს და აჩქარებდნენ ქორწინებას. ბრძენი თამარ კი მათ მიუგებდა:

- „კაცნო, ვითარ ღირს არს შეუტყუებელი ესე ქმნად? არა ეიცით კაცისა ამის უცხოსა ქცევა და საქმე, არცა მხედრობისა, არცა ბუნებისა და არცა ქცევისა. მაცალეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკუე მისი“.

მაგრამ დიდებულნი წინაღუდგნენ მეფეს - „უშეილოებასა მოაჴსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებასა დრტვინვიდეს, წინამძღუარსა სპათასა ითხოვდეს და ყოვლითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა... და ესეოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს“ (ბას. ეზოსმოძღ.).

დაბოლოს, თჳნიერ მისისა ნებისა, ყვეს ქორწილი.

მაგრამ ბევრი დრო არ დასჭირვებია თამარის სიტყვის გამართლებას: „გამოაჩნდა რუსსა სკვითურნი, ვითარ ნაღებთა ბუნებითნი და სიმთვრალეთა შინა საძაგელთა უწესოებად იწყო მრავალთა“, რომელთა შესახებ თხრობისაგან თავს იკავებს მემატიანე.

ორნახევარი წელიწადი, როგორც გრდემლი, ითმენდა თამარი რუსის უკეთურებას. მრავალი ღონე იძია მისი განკურნებისათვის, მაგრამ ვერაფერმა არგო რუსს. ამიტომ ბოლოს, იძულებული გახდა, პირისპირ ემხილებინა, რამაც რუსი უფრო მეტად გაამძვინვარა, როგორც ღვთისაგან საფარველმოძრცვილი. „ვითარ იტყჳს წერილი: ვეკურნებდით ბაბილონს და არა იკურნებოდაო“: არა თუ არ შეიგონა, არამედ კიდევ უფრო უარესად იწყო ქცევა და „შერაცხილნიცა კაცნი უბრალოდ გუემნა და ასოთა აღმოდგებითა ტანჯნა“.

„შეუძნდა ესე ყოველი“ უალრესად მოთმინე თამარს და წინაშე ყოველთა ესრეთ თქუა:

„დაღათუ საღმრთოსა სჯულისა მიერ სწავლულ ვარ მე არა განშორებად პირველსა საწოლსა, არამედ რომელმან არა დაიცვას საწოლი თუსი წმიდად, არა ჯერ არს მისთანა დათმენა, რამეთუ შემაგინებელ არს ტაძრისა ღმრთისა, და მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა განმართვად და უბრალოდ

განვიყრი მტუერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ".

ესა თქვა, ადგა და დაუტევა იგი.

და კვლავ იწყეს ურვა იმის გამო, რომ თამარს უშვილოდ ხედავდნენ და მარტოდ მკვიდრად სამეფო სახლისა.

რუსუდან დედოფლის სახლში იყო ერთი მოყმე, შვილი ოესთა მეფისა (გიორგი I-ის პირველი ცოლის, ოვსთა ასულის შთამომავალი), რუსუდანისვე გაზრდილი, ყრმა „ფრიად შუენიერი ასაკითა, ვითარცა ჰშუენის მეფეთა შვილსა, ზრდილობითა კეთილად გაწვრთილი, მხნე მჭედარი, ძლიერი, რაინდობით უსწორო, ტანით ახოვანი და ყოველად სრული სიკეთითა" (ბას. ეზოსმოძღ.), სახელად დავით.

დიდებულებმა მისი შეერთება ინებეს თამართან და საქმე ღმერთს მიანდვეს.

თამარი კვლავ დაემორჩილა მათს ნებას, თუმცა კი თავისი გულისნადები გაანდო: „მოწამე არს ჩუენდა ღმერთი, არაოდეს ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქმროსნობისა: არცა პირველ, არცა აწ. თუმცა არა უწაღმართობა ჩემი საყდარსა, რომელი რწმუნებულ არს ჩემდა პირველ ღმრთისაგან და შემდგომად - მშობელთაგან, არცა ამისი ვარ მოაჯე".

მაშინ აღარ დააყოვნეს, ეახლნენ ამერ-იმერის დიდებულნი და წამოიყვანეს დედოფალი რუსუდან და მისი გაზრდილი დავითი, რჩეული ღვთისა, და მოვიდნენ თბილისის სანახებში, დიდუბის სასახლეში და იქ ქმნეს ქორწილი, მათი ხელმწიფობისა და სახლზეობის შესატყვისი და შემსგავსებული.

და აღსრულდა ერის ნატვრა: „ვითარ იქმნა სარას-ზე, გინა-თუ რაქელისსა, ანუთუ ელისაბედისსა. უფროსღა ანნასსა და, ვიკადრო - მარიამისსა - მიუდგა თამარი, განწმედილითა გონებითა და ტაძრისა ღმრთისა აღმსჭუალულისა სანთლითა სხეულისათა, მხურვალითა გულითა და განათლებულითა სულითა, ტაბახმელისა ბეთლემმყოფელმან, მუნ შვა ძე... და უწოდა სახელი ახოვანისა მის მამისა თჳსისა - გიორგი" (ისტ. და აზმ.).

***

მაგრამ „ღვთისმსახურებასა და კრძალულებასა შინა მყოფმან განა ქუეყანიერი ესე მეფობა უდიდებელად და განუგებელად დაუტევა? - არა, ნუ იყოფინ!" წმ. თამარმა, უპირველესად სასუფეველისა მეძიებელმან და „ზენასა სუფევისა მოსურნემან, ქუენაცა ესე დიდება და სიმდიდრე უხუებით და საესებით

მიიღო აღთქუმისაებრ მეტყუელისა: „პირველად ეძიებდეთ სასუფეველსა ღმრთისასა და სიმართლესა მისსა და ესე ყოველი შეგეძინოს“.

წმ. მეფე თამარმა „აღიმაღლა მაღლად გონება და მდაბლითა სულითა განიცადა სიდიდე საქმისა, მისდა ხუედრებულისა. მიჰყენა მყუანებელსა თუსსა ხედვით და, ვითარცა ორბმან ფრთეშალემან, აღიფრინა ზედა, მიმოავლნა გუგანი სახედველთანი და სივრცითა გონებისა თუსისათა შემოიკრიბა ყოველნივე საღმრთონი და საერონი წესნი და განგებანი“ (ისტ. და აზმ.) და იკისრა „მონაცვალეობა ღმრთისა სამეფოსა და ერისათუს“.

მეფე თამარ არც თუთ უქმობდა და არცა სხვასა აუქმებდა. როგორც მემატიანე ამბობს, „ლომი ბრჭალთაგან საცნაურ არს და თამარ - საქმეთაგან“ (ბას. ეზოსმოძღ.).

წმ. მეფე „არა ვერაგობისა ღონითა აცხოვნებდა ერსა თუსსა, არამედ სიბრძნისა წინაძღომითა და სიმრავლითა უმანკოებითა დავითიანითა, სიმშუდითა იაკობის მსგავსითა, სიუხვითა აბრაამისებრითა, მოწყალებითა იესოს ღმრთისა ძსგავსითა, და სიმართლითა მისისა მობაძავითა“ (ბას. ეზოსმოძღვ.).

ღვთისა და ღმრთისმშობლის მსასოებელმა თამარმა „გულსა თუსსა არარა სხუა დაიდვა, ვითარ დასაბამი იგი სიბრძნისა შიში ღმრთისა და სამართალი და წყალობა სწორად ყოველთა ზედა“.

ღვთის ნებას მინდობილი, უღიდესი განსაცდელის ჟამსაც მშვიდად იღებდა ბრძნულ გადაწყვეტილებას. თუ როგორ აღწევდა მტერზე გამარჯვებას, ამის მაგალითად რუქნადინის ძლევის ამბავიც კმარა.

ცნობილია წმ. თამარის ღირსეული პასუხი რუქნადინის თაეხედურ წერილზე („ნაცუალი სიტყუა მეფისა ნუქრადინისადმი“):

„ძალსა ღმრთისა ყოელისა მპყრობელისასა მინდობილმან და მარადის ქალწულისა მარიამის მეედრებელმან და პატიოსნისა ჯუარისა სასოებით მოსავმან, წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ჰოჲ, ნუქრადინ, და ესცან სიცრუენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს! არა გასმიესა, რამეთუ ყოველი ცრუდ მფუცაეი სახელსა ღმრთისასა მის მიერ აღიხოცოს?

შენ ოქროსა შეკრებულოა სიმრავლისა მეეირეთა მინდობილ ხარ, უმეცარი მსჯაერსა ღმრთისასა. ხოლო მე - არცა

სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არცა-რას სხუასა კაცობრიესა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძალსა ღმრთისა, ყოველისა მპყრობელისასა და შეწევნასა ქრისტეს ჯუარისასა, რომელსა შენ ჰგმობ.

ესე-რა-ვითარი შემოგეთვალა, წარმომივლენია მხედრობა, ქრისტეს მოსახელე, არა შენდა თაყუანისცემად, არამედ დამხობად შენდა, ზუავისა მაგის და ამპარტავანის გულისა შენისა, რაჲთა განისწავლო ღმრთისა მიერ არღარა გმობად სახელსა მისსა.

იყავნ ნება ღმრთისა და ნუ - შენი! სამართალი მისი და ნუ - შენი!

ხოლო მე ვიცი დაჴსნილობა მსახურთა შენთა. ამისთჳს წარმომივლენიეს მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართვას და განგკრძალოს, რამეთუ ჩემ მიერ წარმოვლენილთა სპათა ფერჴნი, ესერა, „კართა შენთა ზედა დგანან“ (ბას. ეზოსმოძღ.).

ამ მწეაეე პასუხით წარგზავნეს სულტნის მოციქული თავის პატრონთან.

მეფემ თავის სპათ განმზადება უბრძანა და გააცილა ყარსამდის, თვით „განვიდა უმაღლესსა ადგილსა, სადაჲთ ყოველთა ხედვიდა და დაეარდა მუხლთა ზედა და დიდხან ტიროდა წინაშე ღმრთისა. მერმე აღდგა რა, იხილვეეზოდა ადგილი იგი ყოველად დალტობილად ცრემლთაგან მისთა“ (ბას. ეზოსმოძღ.).

შემდეგ უბრძანა წარჩინებულებს და ერისთავებს, რათა თითოეული მათგანი მისულიყო ჯვართან, თაყვანი ეცათ და მთხვეოდნენ მას. და იწყო ყველამ ვედრებით პატიოსანი ჯვრის თაყვანისცემა და "ამბორის-ყოფად და მთხუევად" წმ. თამარის ხელისა, რადგანაც ერთი ხელით თვით თამარს ეპყრა ძელი ჯვარისა, ხოლო ერთით - ბასილი ეზოსმოძღვარსა და ჯვარისმტვირთველს.

სრულ-იქმნა რა ყოველთაგან თაყვანისცემა ჯვარისა, მერმე „ცუთ მიიქუა პატიოსანი იგი ჯუარი ჴელითა თჳსითა ღა ამჴედრებულთა ზედა ყოველსა მხარსა ნიში ჯუარისა გამოსახა სამგზის, დალოცა და ეგრეთ წარემართნეს, მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი“ (ბას. ეზოსმოძღ.).

ასე წარემართა ლაშქარი ბასიანს, ხოლო მეფე თამარი მოიქცა სამცხეს,ავიდა ოძრხეს და მიეცა ლოცვასა და მარხვას. და იყო „დღისი და ღამე ლოცვითა,მარხვითა,ფსალმუნებითა,

ღამისთევითა დაუძინებელად და ყოველთა ღამე და დღე ლიტანიობდა და არა დასცხრებოდა და ყოველგან საყდართა, მონასტერთა და სოფელთა უბრძანა ლიტანიობა და ვედრება ღმრთისა ლაშქართა გამარჯვებისათუს" (ისტ. და აზმ.).

აქ თამარს ახლდა თეედორე ქართლის კათალიკოსი, კაცი წმიდა და სახიერი და მასთან ერთად მრავალი ღვთის სათნო ეპისკოპოსი და მონაზონი. მათთანვე იყო იოანე შავთელი, კაცი ყოვლად განათლებული, ლექსთა გამომთქმელი და საკვირველი მოღვაწეობითა და ეველოგი სალოსი - ქრისტესთუს სულელი, რომელსაც წინასწარმცოდნეობის მადლი მოეღო და, რომელსაც საღმრთო ჟამისწირეის დროს ეუწყა ქართველთა გამარჯვება და მხოლოდ იოანე შავთელს გამოუცხადა საიდუმლოდ, „ეითარმედ ჟამსა ამას მოსცნა ღმერთმან ბარბაროზნი საძლეველად ჭელთა ქრისტიანეთასა" (ბას. ეზოსმოძღ.). ცნობილია, რომ ბასიანის ბრძოლაში ქართველებმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწიეს.

„როდესაც გარდაემატა ბედნიერებით ქუეყანა ყოველთა კეთილითა და განმარჯვებითა ლაშქართათა, იწყეს ყოველგნით რბევად სპარსეთისა და იქმნებოდეს განმარჯვებანი საკვრველნი..., შეიწრდეს ყოველით-კერძო სპარსნი და უღონოებამან მოიცვნა. მაშინ შეიკრიბნენ ისინი და მოვიდნენ ხალიფასთან შეწევნის სათხოვნელად. ამან მისცა აურაცხელი ოქრო, რათა შეეკრიბათ ლაშქარი ურიცხვი. და „შეკრბა ესეოდენი, ვიდრემდის არცა რიცხუ იცოდეს და ვერცა ერთსა თემსა დაეტეოდეს" (ბას. ეზოსმოძღ.).

ადარბადაგანს რომ შეიკრიბნენ, მაშინღა ესმა ეს ყოველი თამარს და მოუწოდა თავის ეაზირებს საბჭოდ. უბრძანა ანტონ ბეონდიდელს მეფური სიტყვით:

„ისწრაფეთ დაწერილ და მიმოდადევით ბრძანება, რათა მსწრაფლ შემოკრბეს მჭედრობა და კუალად მიუმეცენით ყოველთა ეკლესიათა და მონასტერთა, რათა დაუცადებელნი ღამისთევანი და ლიტანიობანი აღესრულებოდიან ყოველსა ადგილსა. და წარგზავნა ფრიადი საფასე და საჭმარი გლახაკთათუს, რაითა მოიცალონ ლოცვად და მოწყალეყონ ღმერთი, ნუსადა თქუან წარმართთა, „სადა არს ღმერთი იგი მაგათი!"

უბრძანა და ბრძანება საქმედ იქცა. ათ დღეში, ვითარცა შევარდენთა გროვა, მოფრინდა ყოველი მხრიდან მხედარი, შეიკრიბნენ სომხითში, მოვიდა თამარი, რამდენიმე დღე დაყო მათთან,

დაათვალიერა ლაშქარი და „იხილნა აბჯრითა კეთილითა და პატიოსნითა და მოუწონა აბჯარი და ცხენკეთილობა“, ილოცა მათთან ერთად და ასე მიმართა:

„ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათჳს და სიმცირისა თქუენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენთანა არს. გასმია გედეონისთჳს სამასნი და სიმრავლე ურიცხუ მადიამელთა მათ მიერ მოწყუედილი? კუალად ასურასტანელთა ბანაკი ლოცვითა ეზეკიელისითა წამსა შინა ანგელოზისა მიერ დაცემულნი? მხოლოდ ღმერთსა ოდენ მიენდევნით და გულნი თქუენნი სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ! შეისწრაფეთ ქუეყანად მათდა შეწევნითა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისათა და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა წარემართენით!“ (ბას. ეზოსმოძღ.).

დალოცა ლაშქარი, შეავედრა ღმერთს, წინ წაუძღვანა ძელი ცხოვრებისა, „ხოლო თჳთ წარიჴადნა სამოსელნი ფერჴთანი და ფერჴსჳ შიშველითა ფერჴითა მიიწია ტაძარსა ღმრთისმშობელისასა მეტეხთა. და წინაშე ხატსა მას წმიდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად, ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოველი მისი“ (ბას. ეზოსმოძღ.).

და მართლაც, „შემდგომად მცირეთა დღეთა მოიწია სარგის მხარგრძელი თმოგველი და მოართვა სახარება ლაშქართა გამარჯვებისა და ყოველითურთ უნაკლულობა მხედროებისა“ (ბას. ეზოსმოძღ.).

ეს, ასე, „ყოველთა შინა დაცვითა ღმრთისა მცნებათათჳს მოიღო წყალობა ღმრთისა“ სკიპტრისმპყრობელთა შორის უსაჩინოესმა დიდმა თამარმა, ხოლო მის ცრემლთაგან - შეწევნა ქართველმა ერმა.

წმ. თამარის ზეობის ხანაში „არა იყო მძლავრება, არცა მტაცებლობა, არცა მეკობრეობა და მპარავობა. დღეთა შინა თამარისა არავინ გამოჩნდა მომძლავრებული მეცნიერებითა მისითა, არცა ვინ დასჯილი, „...არცა-ეისს ღირსსა სიკუდილისასა და არცა პატიჟისასა მიეÍადა თანანადები, არცა-ეინ ბრძანებითა მისითა ასომოკუეთილ იქნა და არცა სიბრმითა დაისაჯა“ (ბას ეზოსმოძღ.).

თამარის დროს აშენდა მრავალი ციხე-სიმაგრე, ხიდი; თამარი მეზობელთმოყვარე და ლმობიერი იყო, მფარველი იყო ყმადნაფიცი ქვეყნებისა. თავისი ქონებისათვის კი არ მოქმე-

დებდა და არცა ოდენ თავისი სამეფოსათვის იპყრობდა ამდენ ქალაქსა და ციხეს, არამედ თვით მათვე აძლევდა და უბრუნებდა, ვისიც იყო, როგორც „წამებს ამას ყოველი მახლობელი სამეფო გარეშემო ქართლისა, თუ რაოდენნი დაგლახაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკუნ-სცა სამეფო თჳსი, რაოდენნი განდევნილნი სამფოდვე თ სად კუალად-აგნა და რაოდენნი სიკვდილად დასჯილნი განათავისუფლნა!“ (ბას. ეზოსმოძღ.).

მაგრამ, განა ამ გამარჯვებებმა აღაზვავა გული თამარისი? განა განალაღა ერთხელ მაინც და გაამედიდურა? - არა! ნუ იყოფინ! არამედ უფრო დამდაბლდებოდა წინაშე ღმრთისა, მმადლობელი და მოქენე მისგან წყალობისა, აღავსებდა ჭელთა მოქენეთასა და წიალებსა გლახაკთასა, განამდიდრებდა, საშზრუნველოთა ეკლესიათა, ქურივთა და ობოლთა და დავრდომილთა.

„იყო თუალი ბრმათა,
თჳთზრდელი ყრმათა,
მშიერთა პური, უსახლ-სართული,
მამა ობოლთა, მსაჯული ქურივთა,
შიშველთ სამოსლად მოელინებული“.

(იოანე შავთელი)

მისი ზეობის ხანაში „იყო სიმტკიცე ქუეყანასა ჩუენსა და მშჳდობა თავსა მთათასა“. „შეიქმნა სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა-ვის უხილავს. და „ერთბამად სძოვდეს ლომი და ჭარი და იხარებდეს ვეფხი თიკანთა თანა და მგელი ცხოვართა თანა. განდიდნა სახელი თამარისი ყოველსა ზედა პირსა ქუეყანისასა და ლაშქრობდა დავით ბრძანებითა და გამორჩეეითა თამარ სვე-ალექსანდრიანისათა და იმარჯუებდა შეწევნითა ზეგარდამოთა“... (ისტ. და აზმ.).

***

დაუსრულებელმა მხედრულმა ცხოვრებამ და დაუცხრომელმა ღვაწლმა წმ. თამარის დედობრივ აღნაგობას თავისი კვალი დააჩნია. და, როდესაც ნაჭარმაგევს მყოფ მეფეს, სრულიად ახალგაზრდას, გამოაჩნდა უკურნებელი სენი (როგორც მემატიანე ამბობს - „მომაოხრებელი ჩუენი“, რომელიც დღითიდღე მძიმდებოდა, და, რომელსაც დიდხანს ფარავდა მეფე, რათა არავინ შეეწუხებინა), ამქვეყნიური აღსასრულის წინ „ბრძენმან,

ბრძნისა ნეტარება აქაცა მოიღო, თამარ". მოუწოდა თავისი სამეფოს ყველა წარჩინებულს, განიმტკიცა თავი თვისი და მხნედ მჯდომარემ ასე მიმართა დარბაზის ერს:

„ძმანო ჩემნო და შვილნო! მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა, უსაშინლესისა უფროს მეფეთა ქუეყანისათა, რომელმან მიუხვნის სულნი მთავართანი. თქუენ ყოველნი მოწამე ხართ, რამეთუ თავისა ჩემისა თანა მაქუნ სიყუარული თქუენი და სარგებელსა სათნოსა თქუენსა არა დავაკელ თუთეულისაებრ არზაგანისა, ვიდრემდის განგებითა ღმრთისათა ვიყავ თქუენ ზედა მეფედ– აწ მეცა წარვალ მამათა ჩუენთა საშინელითა და საკჳრველითა განყოფითა. გეეედრები ყოველთა, რაჲთა მარადის კეთილსა შინა იყვნეთ მომჴსენებელ ჩემდა" (ბას. ეზოსმოძღ.).

ბოლოს შეავედრა ყველას წინაშე თავისი ქვეყანა, ერი და შვილები, თავისი სული ქრისტეს ხატსა და ცხოველმყოფელ ჯვარს:

„ქრისტე. ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყანისაო, შენ შეგვევედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ჩემთა, რომელნი შენ მომცენ და მერმე სულსა ჩემსა...

...მაშინ განვიდეს ყოველნი, მწარედ მტირალნი და თამარ დაიძინა ძილი იგი მართალთა თთუესა იანვარსა ი Გ." და წარიყვანეს სამკუდრებელსა მთსა გელათს და დამარხეს სამარხოსა პატიოსანსა" („ისტ. და აზმ.").

„და ესრეთ ყოველთა შინა დაცვითა ღმრთისა მცნებათასა მოიგო წყალობა ღმრთისა და აკურთხა ღმერთმან ცხოერება მისი და ნათელი აღმოუბრწყინდა მართალსა... განთიადისა თანა..." (ბას. ეზოსმოძღ.).

„ისტორიათა და აზმათა შარავანდედთასა" და ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულების – „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი" – მიხედვით შეადგინა დამანა მელიქიშვილმა. ხალხური სიტყვიერების მასალა მოიპოვა ელისაბედ ბუცხრიკიძემ.

Damana Melikischwili

Zu den Prinzipien der Klassifikation und Qualifikation konjugierter Formen des georgischen Verbs

(Zur Anwendung logischer Prinzipien in der Grammatik)

In jeder beliebigen empirischen Wissenschaft und im Besonderen in der Sprachwissenschaft müssen bei der Definition eines Gegenstandes oder einer Erscheinung die logischen Gesetze der Einteilung der Begriffe, die Einheitlichkeit des Prinzips der Klassifikation und das Prinzip der Immanenz eingehalten werden, müssen diachronische (historische) und synchronische Aspekte voneinander abgegrenzt werden.

Eine Nichteinhaltung und Verletzung dieser in sich klaren Prinzipien der Klassifikation führen zu einer Verworrenheit der Bestimmung und Definition sprachlicher Formen und in vielen Fällen zu Unrichtigkeit und Desinformation. In dieser Hinsicht ist Akaki Šanizes Einteilungsprinzip der konjugierten Formen des georgischen Verbs in Serien (Zeitgruppen) und Reihen ein ideales Beispiel dafür, wie die Einhaltung der historischen, morphologischen und syntaktischen Klassifikationsprinzipien ein und dasselbe Ergebnis (ein und dieselbe Klassifikation) ergibt. Aber in der georgischen grammatischen Literatur befinden sich solch wichtige Kategorien wie das System des Ausdrucks der Verbalperson (und die damit verbundene Frage der Inversion), die Frage der Definition der Kategorien des Genus verbi und der Version und damit im Zusammenhang das Problem der logisch organisierten Klassifikation der georgischen Konjugationsformen in einer komplizierten Lage.

Arnold Čikobava hat gezeigt, wie syntaktisch-grammatikalische Begriffe beschaffen sein müssen; dies ist eine prinzipiell-methodische Frage, deren Analyse auch sein Buch „Martivi cinadadebis problema kartulši" [Das Problem des einfachen Satzes im Georgischen, 1928, 1968] gewidmet ist. Er zeigt, zu welchen Unangemessenheiten die Durchbrechung des Prinzips der Immanenz in der Grammatik führt.

Die Vermischung des Herangehens an die Inversion im Verb unter diachronem und synchronem Aspekt (die Bestimmung historischer Erscheinungen unter semantischem Gesichtspunkt) und gleichzeitig das Operieren mit logischen Begriffen und Termini (Subjekt und Objekt) hatte eine inadäquate Darstellung der realen Funktion der Personalzeichen im System des heutigen georgischen Verbs (bzw. in dessen tabellarischer Darstellung) zum Ergebnis. Eine falsche Abgrenzung der Abhängigkeit der Genusarten führte zu einer unangemessenen Darstellung der

wirklichen Beschaffenheit im Bereich der Klassifikation und Bestimmung der „grammatischen" Kategorien des Genus verbi und der Version: Genus verbi und Version sind unter semantischem Gesichtspunkt abgegrenzt und die verbalen Konstruktionen (Vokalpräfixe und Suffixe), die zu anderen formalen Begriffen gehören, werden als Kennzeichen dieser „grammatischen Kategorie" betrachtet.
Im vorliegenden Aufsatz wird die Begründung der grammatischen Kategorie der Diathese (D. Melikišvili: „Kartuli zmnis uylebis sistema" [Das System der Konjugation des georgischen Verbs], Tbilisi 2001) als eines logisch (in Hinblick auf ihre morphologische Struktur und syntaktische Konstruktion) durchgeführten Klassifikationsprinzips der konjugierten Formen des georgischen Verbs gegeben, wodurch die in der georgischen grammatischen Literatur bestehenden Gegensätze im Zusammenhang mit dem System der Ausbildung der Kategorien von Person, Genus verbi und Version erklärt werden.

Die Konstruktion des georgischen Verbs: Diathese und Genus verbi
Zur Beziehung von Autoaktivität, Reflexivität, Aktiv, Passiv und Version

In der grammatischen Literatur zur allgemeinen Sprachwissenschaft oder zu bestimmten Sprachen ist ein einheitliches Verständnis des Begriffs Genus verbi nicht herausgearbeitet worden. Eine große Schwierigkeit betrifft die Abgrenzung der Kategorie des Genus verbi und des Aktiv und Passivs, besonders jedoch des Mediums, wie die Aufstellung von formal-syntaktischen oder morphologisch-syntaktischen Kriterien, nach denen die Anzahl der Oppositionen des Genus verbi im Georgischen zu bestimmen ist.
Im Allgemeinen werden als Genus verbi solche Verbformen bestimmt, die im Falle einer Umkehrung der Entsprechung zwischen den Einheiten Semantik und Syntax füreinander eintreten – insbesondere im Falle einer gegenseitigen Austauschbarkeit (Konversion) von Subjekt und Objekt: als aktiv wird die Verbform bestimmt, deren Subjekt agiert, ein Agens ist (und dem Subjekt real entspricht), als Passiv dagegen eine Form, deren Subjekt eine Handlung erleidet (erlebt), ein Patiens ist (und real einer Ergänzung entspricht). So sind die „Genus verbi"-Formen gegenseitig in konversiver Abhängigkeit und das Subjekt des einen entspricht dem direkten Objekt des anderen (mxaṭvari xaṭavs surats Der Maler malt das Bild (Odir) – surati ixaṭeba mxaṭvris mier das Bild (S) wird vom Maler gemalt).
Bei einer solchen Bestimmung und Einteilung der Kategorie des Genus verbi bleiben im Georgischen eine große Anzahl, eine ganze Reihe von Verben, die den seelischen oder physischen Zustand eines Menschen bezeichnen (çuxs 'er ist besorgt/er ist beunruhigt/er ärgert sich', ṭiris 'er weint', ḳanḳalebs 'er zittert', uqvars 'er liebt', uc̣irs 'es fällt ihm schwer' u. a.), außerhalb dieser Kategorien.
Der „Agens" dieser Verben ist gleichzeitig „Patiens" (çuxs is[1] 'er ist besorgt/er ist beunruhigt/er ärgert sich': ist selbst ein mçuxare, der Besorgte, der sich Beunruhigende, der sich Ärgernde; ḳanḳalebs is: er ist selbst der Zitternde; ṭiris is: er ist selbst der Weinende. So ähneln sie inhaltlich den historisch genuslosen

dynamischen Verben, die man heute in der georgischen grammatischen Literatur Passiva des III. Verb-Typs („tbeba"-Typ) nennt: tbeba (er wärmt sich) und gatba (er wärmte sich) (ganvṭep – gantpa): hier ist ga-m-tb-ar-i der, der sich selbst gewärmt hat. Es ist kein Zufall, dass von diesen beiden Verbtypen nur ein m-präfigiertes Subjektpartizip abgeleitet wird: gamtbari ist der oder das, was sich (selbst) gewärmt hat; mçuxare ist der, der (selbst) besorgt ist - sich ärgert; gatbobili ist jener, den man gewärmt hat; šeçuxebuli ist der, den man besorgt gemacht/geärgert hat.
Auch nicht zufällig ist, dass sich von den i-präfigierten konversiven Reflexiva gerade bezüglich des tbeba-Typs ein dynamisches Passivmodell herausgebildet hat. Die Verben dieses Typs drücken sozusagen den Zustand einer Handlung aus. Deren Subjekt ist selbst aktiv, selbstbewegend, ihre Handlung ist rückweisend, reflexiv (man könnte die Bewegung graphisch mit einem Kreis darstellen). Diese Verben kann man „autoaktive" nennen.
Sie enthalten in sich ein direktes Objekt und haben deshalb eine unvollständige Konstruktion: tamašobs is (er spielt) – itamaša man (er spielte),
is sçavlobs (er lernt) – isçavla man (er lernte). Ein Objekt kann hervortreten, sozusagen, „auftauchen":
tamašobs is (er spielt) – tamašobs is mas (er spielt etw.),
sçavlobs is (er lernt) – sçavlobs is mas (er lernt etw.),
çuxs is (er ist besorgt) – çuxs is mas (er ist besorgt um jem./etw.),
ṭiris (er weint) – ṭiris is mas (er weint um jem./etw.).
In diesem Fall drückt das Verb der gleichen Struktur direkt die entgegengesetzte Richtung aus, verhält sich als vollständige Konstruktion und geht in die aktive Gruppe über. Solche Verben sind durch eine labile Konstruktion charakterisiert und man kann sie als labil-transitive Verben bezeichnen: çuxs is (er ist besorgt), ṭiris is (er weint), ḳanḳalebs is (er zittert), mepobs is (er herrscht), tamašobs is (er spielt) usw. Verben dieses Typs sind Basisformen für Formen, bei denen das Handeln des Subjekts auch auf ein direktes Objekt gerichtet ist (deshalb können sie graphisch durch einen geraden Strich bezeichnet werden (S – Odir) a-çux-eb-s is mas (er lässt ihn s. beunruhigen), a-ṭir-eb-s is mas (er lässt ihn weinen, er bringt ihn zum Weinen), a-ḳanḳal-eb-s is mas (er lässt ihn zittern), a-mep-eb-s is mas (er lässt ihn herrschen), a-tamaš-eb-s is mas (er lässt ihn spielen).
Diese Formen sind auch Basisformen für intransitive dynamische Verben ohne Objekt (einpersonige[2] Konstruktion): çuxs (er ist besorgt, er sorgt sich, er ärgert sich) - çuxdeba (er wird besorgt werden, er wird sich ärgern), šurs (er neidet) – šešurdeba (er wird beneiden), zanzarebs (er bebt) – azanzardeba (er wird beben), ṭiris (er weint) - aṭirdeba (er wird weinen), mepobs (er herrscht) – mepdeba (er wird herrschen) usw.
Verben dieses Typs rechnet man in der georgischen grammatischen Literatur bedingt zum „Mittel-Genus" (Medium). Obwohl sie der Form nach einem aktiven Modell folgen (sie nehmen im Präsens nach den thematischen Suffixen –i,–av,–eb,–ob aktivähnliche Personalzeichen an, während das sogen. „Passiv"-Zeichen das thematische Zeichen –i ist), sind sie inhaltlich doch intransitiv wie das Passiv (die

Kategorie der Transitivität ist hier bestimmt durch das Vorhandensein oder Nichtvorhandensein eines direkten Objekts). Gleichzeitig nimmt man an, dass die Media nur Formen der Präsensgruppe bilden können, die übrigen jedoch vom Aktiv (mit subjektiver Version) geliehen sind.

Aber das vermag das Problem nicht zu lösen. Das allgemein akzeptierte semantische Kriterium für eine Heraushebung des Passivs (worunter man die Passivität des Subjekts der Verben versteht) funktioniert im Georgischen in der Mehrzahl der Fälle nicht. Auch dann nicht, wenn die Formen durch Konversion aktiver Formen gebildet sind wie da-i-mal-a man igi (er versteckte etwas bei sich) – da-i-mal-a igi tviton (er versteckte sich selbst) – emaleba is mas (er versteckt sich vor ihm), ganz zu schweigen vom oben erwähnten „tbeba"-Typ und den Passiva mit –d Suffix wie tetrdeba (wird weiß), deren absoluten sog. medioaktive Formen reflexiv sind, aber auch von den relativen Verben, deren Subjekt nicht „Patiens", sondern real handelnd ist, einen „Agens" darstellt:

emaleba is mas (er versteckt sich vor jem.),
(gada)axṭeba is mas (er überspringt jem. /etw.),
acxreba is mas (er stürzt sich auf jem./etw.),
uçqreba is mas (er rügt jem.),
uǯavrdeba is mas (er schimpft auf jem.),
ečxubeba is mas (er streitet sich mit jem.),
eǯaǯgureba is mas (er kämpft mit jem./etw.),
exetkeba is mas (er schlägt auf jem./etw.),
eḳveteba is mas (er geht auf jem./etw. zu),
eǯgereba is mas (er springt mit jem./etw.),
elaparaḳeba is mas (er spricht mit jem./etw.),
esaubreba is mas (er führt mit jem./etw. ein Gespräch),
exuṭeba is mas (er schmust mit jem./etw.),
ezideba is mas (er trägt etw.),
ekačeba is mas (er zieht jem./etw.),
emudareba is mas (er fleht jem./etw. an),
emukreba is mas (er droht jem.),
emṭreba is mas (er ist jemandes Feind)... und andere.

Oft weisen auch einpersonige (absolute) Verben des sog. Passivs aktive Subjekte auf, was ebenso dem angenommenen Kriterium der semanischen Opposition (aktives Subjekt – passives Objekt) entgegensteht; deshalb werden sie auch als besondere Gruppe abgeteilt, nämlich als „Deponentia" wie ilanǯyeba (er schimpft), içqevleba (er verflucht), iyrineba (er knurrt), iluḳmeba (er kaut), igineba (er beschimpft)...

Es ist bemerkenswert, dass einer Vielzahl von e-präfigierten Passiva (besonders bei den Verba dicendi) keine i-präfigierten einpersonigen Formen entsprechen, so bilden die e-präfigierten Passiva Paare mit den einpersonigen sog. Medioaktiva (Autoaktiva).

laparaḳobs - er spricht	elaparaḳeba - er spricht mit jem.
baasobs - er unterhält sich	ebaaseba - er unterhält sich mit jem.

masxrobs - er scherzt	emasxreba- er scherzt mit jem.
ubnobs - er sagt	eubneba - er sagt zu jem.
xumrobs - er spaßt	exumreba - er spaßt mit jem.
ḳamatobs - er streitet	eḳamateba - er streitet mit jem.
moçmobs - er bezeugt	emoçmeba - er bezeugt etw./jem
tavxedobs - er erdreistet sich, ist frech	etavxedeba - er ist frech zu jem.
çvalobs - er bemüht s., quält s.	eçvaleba - er quält s. wegen etw.

usw.

Die Formen des Passivmodells mit inversiver Struktur bilden mit den Formen des Aktivs und Medioaktivs (Autoaktivs) eine semantische Opposition Willentlichkeit vs. Unwillkürlichkeit:

etwas bewusst tun	*unwillkürlich geschehen*
viviçqeb - ich vergesse	maviçqdeba - es ist (mir) in Vergessen geraten
vixseneb - ich erinnere mich	maxsendeba - es ist mir in der Erinnerung
vigvianeb - ich komme zu spät	magviandeba - ich bin verspätet wegen etw.
vamtknareb - ich gähne	metmknareba - mir ist zum Gähnen
vamcxiḳveb - ich niese	memcxiḳveba - mir ist zum Niesen
vnanob - ich bereue	menaneba - mir ist zum Bereuen

usw.

Das e-Präfix ist das Relationszeichen des indirekten Objekts, genauso wie das u-Präfix, und es bringt eine Zweipersonigkeit der indirekten Beziehung beim einpersonigen Verb der Struktur R-ebi, R-d-ebi hervor, genauso wie das a-Präfix der Struktur a-R-eb bei direkter Beziehung: çuxs - açuxebs.

So ist eine Bestimmung der Kategorie des Genus verbi gemäß dem europäischen Verb, wo es eine morpho-syntaktische Kategorie ist, die mit der Form eines bestimmten Verbs die Beziehung von Subjekt und Prädikat unter Berücksichtigung des Aktivs und Passivs des Subjekts bezeichnet (B. Ǯorbenaʒe), für das Georgische nicht immer annehmbar im Falle sog. dynamischer organischer Passivbildung, obwohl es für periphrastisch gebildete Passiva nützlich ist (çayebul ikna - es wurde mitgenommen, gaḳetebul ikna - es wurde getan, gagebul ikna - es wurde verstanden).

Es ist klar, dass die Kategorie des georgischen Genus verbi nicht klar vom Reflexivum getrennt ist, und obwohl A. Šaniʒe im System des heutigen georgischen Verbs mit Erfolg eine Differenzierung der Kategorien des Genus verbi und der Version vollzogen hat, kann eine Einteilung der Kategorien Passiv und Medium die Auffassung der Kategorie des Genus verbi, wie sie in der allgemeinen Sprachwissenschaft anerkannt ist und als universal gilt, dennoch weder in formaler noch in semantischer Hinsicht befriedigen.

Die Unterteilung der Kategorie Genus verbi hat in den europäischen Sprachen nicht nur morphologische sondern auch funktionale Grundlagen. Deswegen fällt es Ausländern, die die georgische Sprache erlernen wollen, schwer, das in der georgischen grammatischen Literatur unter dem Begriff Passiv bekannte Verb als Entsprechung des europäischen periphrastischen Passivs zu verstehen. Der Grund für all das ist in der Polypersonalität des georgischen Verbs und im eigenartigen

syntaktischen Strukturmechanismus zwischen Nomen und Verb zu suchen, nämlich in der eigenartigen morphologischen Einordnung der Aktanten und der syntaktischen Beziehungen des Verbs, das sich von den europäischen Sprachen extrem unterscheidet und die Herausbildung unterschiedlicher Meinungen und Theorien bei der Erforschung der Verbstrukturen im Georgischen und in den kartvelischen Sprachen hervorgerufen hat (z. B. bezüglich der Passivität, Ergativität und Aktivität des georgischen Verbs).

Da man meint, die Kategorie des Genus verbi sei nicht nur eine morphologische sondern auch eine syntaktische Kategorie, verkompliziert sich die Lösung des Problems des Ausdrucks der subjektiven und der objektiven Person beim georgischen polypersonalen Verb (Problem der Inversion), die funktionale Trennung zwischen Passiv und Medium (masxrobs 'er scherzt' – emasxreba 'er scherzt mit jem.', saubrobs 'er unterhält sich' – esaubreba 'er unterhält sich mit jemandem') und andererseits die formale Trennung zwischen Aktiv und Medium des Genus verbi (aḳanḳalebs is mas 'er lässt jem. zittern' – aḳanḳalebs mas 'es lässt ihn erzittern, er zittert'). Aus diesem Grund nutzen wir unter der Berücksichtigung der Eigenheiten der Konstruktion des georgischen Verbs und der Darstellung der Personenrelation eine breitere grammatische Kategorie, die ein destinatives System und ein Verständnis von Reflexivum und Genus verbi umfasst und die wir „Diathese" nennen würden.

Diathese besteht nach Aristoteles aus einer bestimmten Reihe (Anordnung - τάξις) von gegliederten Teilen (Elementen), die variabel ist. In der *Ars grammatica* des Dionysius Thrax stimmt jedoch das Verständnis von Diathese fast mit dem der gegenwärtigen Sprachwissenschaft überein. In diesem Fall ist Diathese ausgehend von der allgemeinen Definition des Aristoteles ein System der Gesamtheit von Regeln des morphologischen Ausdrucks syntaktischer Relationen der Aktanten.

So umfasst der Begriff der Diathese im Georgischen Fragen der Verbvalenz und -Personenhaltigkeit der syntaktischen Konstruktion, der syntaktischen Wechselbeziehung zwischen Verb und Nomen (Rektion und Kongruenz, d. h. die Abwandlung des Verbs nach Person und Zahl) und das destinative System: der morphologische Ausdruck der possessiven oder lokalen Beziehung zwischen den Aktanten, Reflexivität (Aktiv und Medioaktiv), Konversion (Aktiv > Passiv) und Inversion (Umkehrung der Funktionen der Personalzeichen), was auf der Ebene der Opposition zwischen einem persönlichen oder unpersönlichen Charakter („wer" oder „was") syntaktisch gleichberechtigter Aktanten im Hinblick auf Belebtheit vs. Unbelebtheit entstanden ist.

Entsprechend der Diathese stellt sich uns die Analyse der synchronischen Struktur und Konstruktion des georgischen Verbs auch klar als historischer Prozess der stufenförmigen Ausbildung spezieller Erscheinungsformen dieser Kategorien (Version, Reflexivität, Genus verbi, Kausativ) dar.

Davon ausgehend wählen wir eine Klassifikation der in der Konjugation vorherrschenden Typen mit Hilfe von Diathesen.

Die **I. Diathese** vereinigt unvollständige und vollständige identische Verbstrukturen der Präsenskonstruktion – autoaktive und aktive, deren morphologisches Subjekt (MS) den Serien entsprechend seinen Kasus verändert, das heißt:

I. Zeitgruppe: Subjekt im Nominativ,
II. Zeitgruppe: Subjekt im Ergativ,
III. Zeitgruppe: Subjekt im Dativ.

Die Struktur und Konstruktion der I. unvollständigen, autoaktiven Diathese ist Ausgangspunkt für die thematischen Suffixformen des Aktivs der I. vollständigen Diathese, die suffixlosen und ablautenden Formen der I., II. und III. Klasse sind dagegen sehr alte Wurzelbildungen:

Autoaktive:
çuxs is X^3 (er ist besorgt, sorgt sich) – içuxebs is X (er wird sich sorgen) – içuxa man X – (er sorgte sich)
iγviʒebs is X (er weckt) – gaiγviʒebs is X (er wird wecken)– gaiγviʒa man X (er weckte)

Aktive:
çuxs is mas (er ist besorgt um etw., er leidet wegen etw.) – içuxebs is mas (tavs) (er macht sich Sorgen)
šeiçuxebs is mas (er wird sich Sorgen um etw. machen) – šeiçuxa man is (er machte sich um etw. Sorgen)
iγviʒebs is mas (er weckt es [das Gefühl]) – gaiγviʒebs is mas (er wird es wecken) – gaiγviʒa man is (er weckte es)



Die Formen der Futur und Aorist-Gruppen der autoaktiven Aktiven und derjenigen mit subjektiver Version sind identisch. Die Autoaktiven können genau in dieser Hinsicht als Medioaktive bezeichnet werden.

In der **II. Diathese** sind die absoluten intransitiven statischen Verben und relativen intransitiven (indirekt transitiven) dynamischen Verben mit einer vollständigen Konstruktion (Struktur) vereinigt, die eine volle Konstruktion haben, deren MSNom und morphologisches Objekt durch die Zeitgruppen nicht verändert wird. Ihre Präsensstruktur ist Ø-R-eb-i, Ø-i/e-R-eb-i.

Die Struktur eines Teils von ihnen ist wurzelhaft (sog. tbeba-Typ, zeichenloses Passiv), der zweite Teil wird durch Umkehrung aktiver Formen gebildet.
Zur gleichen Diathese gehören die den dynamischen Verben entsprechenden statischen Verben der unvollständigen Konstruktion (sog. statisches Passiv), deren Präsensthema das gleiche i-Suffix aufweist, aber einfach ist (d.h. ihnen fehlt das dynamische thematische Suffix): vçeri-var (ich bin geschrieben) – vi/e-çerebi (ich werde geschrieben). Ihrer Form nach sind sie zweipersonig, aber sie haben eine unvollständige Konstruktion: s-çeria is X (es ist geschrieben) – e-çera is X (es war geschrieben);
a-penia is X (es ist ausgebreitet) – e-pina is X (es war ausgebreitet). Auch deren Formen fallen in der Futur-Aoristgruppe mit den sog. dynamischen „Passiv"verben ohne Präverb zusammen.
Statisch: s-çeria is X (es ist geschrieben) – eçereba is X (es wird geschrieben sein) – eçera is X (es war geschrieben) –
uçeria is mas (es ist ihm geschrieben) – eçereba is mas (es wird ihm geschrieben sein) – e-çera is mas (es war ihm geschrieben)
Dynamisch: e-çereba is mas (es wird ihm geschrieben) – da-eçereba is mas (es wird ihm geschrieben werden) – daeçera is mas (es wurde ihm geschrieben)

In der **III. Diathese** vereinigen wir Verben verschiedener (gemischter) Struktur der sekundären, inversiven (Dativ-)Konstruktion:
i/u-R-Ø (uqvars - er liebt), a-R-eb (aḳanḳalebs - er zittert), e-R-eb-i (emyereba - [Pflanze] wächst).
Diese Diathese wird durch Inversion der Verbpersonen erreicht und ist oft das Ergebnis des Verlustes einer Person. Deshalb ist ihre Konstruktion sekundär, neu gebildet: macaxcaxebs is me (er lässt mich zittern) – macaxcaxebas me (es lässt mich zittern), acacxaxebs mas (es lässt ihn zittern); mažržolebs is me (er lässt mich beben) – mažržolebs me (es lässt mich beben), ažržolebs mas (es lässt ihn beben), gamagebina man me is (er hat es mir mitgeteilt) – (neṭavi) gamagebina me (wenn ich doch eine Mitteilung erhielte), macinebs is me (er bringt mich zum Lachen) – (ra) macinebs me (was bringt mich zum Lachen). Sie haben die Struktur eines Aktivs, und entsprechend ist auch das Paradigma aktiv, nur ist es defektiv. In die gleiche Reihe gehören die passiven inversiven Verben e-R-ebi: mezareba (ich habe keine Lust/ ich bin zu faul/ mir ist es zu umständlich), meǯavreba (ich mag das nicht/mir ist etwas zuwider), mecineba (mir ist etwas zum Lachen), magviandeba (ich verspäte mich)..., die entsprechend dem Passivparadigma (II) und mit semantisch verschiedenen Nuancen gebildet sind.
Der größte Teil der Verben dieser Diathese sind statische Wurzelverben, die semantisch Gefühle und Wahrnehmungen bezeichnen (miqvars - ich liebe, miçirs - mir fällt es schwer, mšia – ich habe Hunger, mçquria – ich habe Durst, mešinia - ich habe Angst). Sie können nicht alle Tempora und Modi bilden und zerfallen dadurch in verschiedene Untertypen.

31

Insofern sind die statischen Autoaktiva und dynamischen Aktiva zwei Abzweige der ersten Diathese mit unvollständiger und vollständiger Konstruktion. Das bestätigt die Form der labilen autoaktiven Formen, deren inneres direktes Objekt bald autoaktiviert wird, bald verloren geht: tamašobs is (er spielt) – tamašobs is mas (er spielt es), laparaḳobs is (er spricht) – laparaḳobs is mas (er spricht es), sçavlobs is (er lernt) – sçavlobs is mas (er lernt es), učxiḳinebs is mas mas (er stochert mit etw. in/an etw. herum) – učxiḳinebs is mas (er stochert mit etw.) u.a. Entsprechend sind die statischen Passiva und dynamischen Passiva zwei Zweige der II. Diathese mit unvollständiger und vollständiger Konstruktion und haben als allgemeines Kennzeichen ein i-Suffix im Präsens und e-Aorist. Die III. Diathese ist das Ergebnis der Inversion dieser zwei Diathesen.

Historisch muss ebenso eine statische Autoaktivstruktur und Konstruktion voran gegangen und Ausgangspunkt für die dynamischen Aktiva gewesen sein ebenso wie die statischen Passiva für die dynamischen Passiva.

Das Bild der Diathese kann mit folgendem Diagramm dargestellt werden:

I. Diathese

↙ ↘

statisch	dynamisch
autoaktiv	aktiv
Struktur: Wurzel	Struktur: 1.Wurzel 2. abgeleitet
R-Ø; Ø-R [e/i]	Ø-R; Ø-R [e/i]
Ø i/u, R-thematisches Suffix	Ø i/u. R-thematisches Suffix
unvollständige Konstruktion	vollständige Konstruktion
[is – man; is mas – man mas]	[is mas – man is; is mas mas – man mas is]

II. Diathese

↙ ↘

Statisch	dynamisch
Struktur: Wurzel	Struktur: 1.Wurzel 2. abgeleitet
	Ø-R-eb-i a-R-eb-i
Ø a/u, R-i	R-d-eb-i i-/ie-R-eb-i
unvollständige Konstruktion	vollständige Konstruktion
[is – is]	[is – is; is mas – is mas]

III. Diathese

statisch	statisch, dynamisch
Struktur: Wurzel	Struktur: abgeleitet
i/u-R	a-R-eb
a-R-i	e-R-eb-i
vollständige/unvollständige Konstruktion	unvollständige Konstruktion
[mas – mas; mas is – mas is]	[mas – mas; mas is – mas is]

Wie wir gesehen haben, zeigt uns die Diathese als grammatikalische (morpho-syntaktische) Kategorie gegenseitige Entsprechungen zwischen Form und syntaktischer Konstruktion an, oder der gegebenen Konstruktion einer bestimmten Diathese entspricht immer ein und dieselbe morphologische Struktur. Dabei kann jede einzelne Diathese in Bezug auf verschiedene Genera oder auch das Genus verbi neutrale Verben umfassen. Im Unterschied zur Diathese ist in den Grenzen der Kategorie des Genus verbi zwischen der syntaktischen Konstruktion und der morphologischen Struktur des Verbs nicht immer eine Entsprechung gegeben.
Im traditionellen klassischen Verständnis wird die Kategorie des Genus verbi bestimmt durch die gegenseitige Beziehung zwischen Handlung, handelnder Person oder einer zur Handlung bestimmten Person oder Sache. Das Handeln des Verbs kommt aus dem Subjekt (oder auch nicht) und wendet sich einem Objekt zu (oder nicht).
Diese gegenseitige Beziehung ist im georgischen Verb durch bestimmte Formen und Konstruktionen ausgedrückt. Aber, wie wir bereits sagten, entspricht die Einheit ein und derselben Form und Konstruktion nicht immer ein und demselben Genus verbi.
Diese Auffassung entspricht nicht der formalen Klassifikation und dem klassischen Verständnis des Genus verbi in der georgischen grammatischen Literatur. Die Entsprechung ist offensichtlich in der Grammatik der europäischen Sprachen durch eine unrichtige Interpretation von Dionysius Thrax' Kategorie der „Diathese" bedingt, (welche das Verständnis sowohl des Genus verbi als auch der Version umfasst), insbesondere durch die Identifikation von „Diathese" mit „Genus verbi".
Im klassischen Verständnis des Genus verbi sind die Verben der Untergruppen der vollständigen Konstruktion der **I. Diathese** immer aktive (solche des aktiven Genus verbi). Dabei geht die Handlung des Subjekts auf das direkte Objekt über (es kann sogar ein indirektes dabei sein).
Die Verben der Untergruppe der unvollständigen Konstruktion der I. Diathese sind in der Hauptsache reflexiv. Deren Subjekte sind handelnde, aber ihr Handeln ist reflexiv, nach innen gerichtet. Deshalb nennen wir sie autoaktive (es sind [nach A. Šanidze] sog. Medioaktive). Wir können sie auch reflexive Aktiva nennen.
Im Falle der **II. Diathese** besteht hinsichtlich des Genus verbi eine komplexe Situation:

Von den Verben der vollständigen Konstruktion der II. Diathese (Modell: Präsens R-eb-i):

1. Formen der Struktur i-R-eb-i, die sog. Deponien (ilanǯyeba-er schimpft, iloceba-er betet, itqobineba-er teilt mit, isusxeba-ich verspüre ein Brennen...), sind Autoaktiva ohne Objekt.

2. Die reflexiven Autoaktiva des „tbeba"-Typs (nach A. Šanize „zeichenlose" Passiva des III. Typs, nach A. Čikobava jedoch historisch genuslose dynamische Verben) sind reflexive Autoaktiva.

Zu ihnen zählen auch Verben der Struktur R-d-eb-i (šendeba- es wird gebaut, diddeba- es wird größer, dumdeba- er wird schweigen...), deren Subjekt „belebt" (eine Personalperson) und selbsthandelnd ist.

3. Verben der Struktur R-d-eb-i, deren Subjekte „unbelebt" sind, Patiens der Handlung, sind Passiva hinsichtlich des Genus verbi.

4. Im klassischen Verständnis des Genus verbi haben Verben der Struktur i/e-R-eb-i ein passives Genus verbi der II. vollständigen Diathese, deren Subjekt Patiens ist, d.h. passiv (hauptsächlich „unbelebt" ist), das von irgendjemand oder von irgendetwas eine Handlung erfährt (vergleiche: bavšvi čantas malavs 'das Kind versteckt die Tasche' – čanta imaleba bavšvis mier 'die Tasche wird durch das Kind versteckt').

An die Stelle von Verben mit passivem Inhalt treten im Präteritum gewöhnlich periphrastische Formen (čanta damalul ikna bavšvis mier; bavšvi ayzrdil ikna mšoblis mier 'die Tasche wurde durch das Kind versteckt'; 'das Kind wurde durch die Eltern großgezogen...')

5. Verben derselben Struktur und Konstruktion, deren Subjekt „belebt" ist (das öfter eine Person, einen Menschen bezeichnet), drücken eine aktive Handlung aus; bavšvi imaleba /daimala (tviton), bavšvi emaleba / daemala dedas... 'das Kind versteckt sich/ versteckte sich (selbst), das Kind versteckt sich/versteckte sich vor der Mutter'... In solchen Fällen ist der Typ imaleba autoaktiv (absolut, reflexiv aktiv), der emaleba-Typ jedoch ist aktiv mit indirektem Verhältnis (Relation).

Verben des 4. und 5. Typs haben eine konversive Konstruktion des entsprechenden Aktivs.

6. Unter dem Gesichtspunkt der Handlung des Subjekts fehlen den Verben der Struktur e-R-ebi des Aktivs die entsprechenden einpersonigen (absoluten) i-Präfix-Formen, und statt dessen haben sie gewöhnlich einpersonige (absolute) reflexive oder autoaktive Formen: laparakobs (er spricht) - elaparakeba (er spricht mit jem.), čxubobs (er schimpft) – ečxubeba (er schimpt mit jem.), tamašobs (er spielt) – etamašeba (er spielt mit jem.) ...

Die Formen der II. unvollständigen Diathese (sog. statische Passiva) sind hinsichtlich der Kategorie des Genus verbi neutral.

So gehört jedes Verb des passiven Genus verbi bezüglich seiner Struktur und Konstruktion zur II. Diathese, aber nicht jedes in die II. Diathese eingehende Verb besitzt ein passives Genus verbi.

Was die inversive **III. Diathese** betrifft, so ist sie historisch sekundär, die (sog. inversiven) Verben der Dativkonstruktion sind solche mit Dativsubjekt. Sie haben

einen statischen Inhalt und bezeichnen hauptsächlich seelische und physische Zustände).
Bezüglich des Genus verbi sind sie neutrale Formen, aber sie können verschiedene inhaltliche Nuancen wiedergeben, wie Willenlosigkeit, Gewohnheit, Möglichkeit und anderes (siehe D. Melikišvili, a.a.O., SS. 225-253, ebenda Index SS. 344-346).
Die Beziehung von Diathese und Genus verbi kann durch folgendes Schema veranschaulicht werden:



So ergibt sich, dass für das georgische Verb Diathese eine morpho-syntaktische, das Genus verbi jedoch eine mehr semantische Kategorie ist (das ist besonders im passiven Genus verbi der Fall). Im Rahmen ein- und derselben Diathese (Form und Konstruktion) sind Verben verschiedener Genera vereinigt. Das Genus verbi ist also im Georgischen eine Unterkategorie der Diathese mit semantischer Funktion.

Argumentstrukturen werden nach verschiedenen Diathese-Typen (römische Zahlen) und Unterguppen (arabische Zahlen) geordnet

I. Diathese ($RS_{Nom-Erg}$)	
Nichtvollständige Argumentstruktur (autoaktiv)	Vollständige Argumentstruktur (aktiv)
1. I. 2: $N_{Nom-Erg} \leftrightarrow V\ \emptyset$	3. III. 1; III. 3: $N_{Nom-Erg} \leftrightarrow V \leftrightarrow N_{Dat-Nom}$
2. II. 3: $N_{Nom-Erg} \leftrightarrow V \leftrightarrow N_{Dat-Dat}$	4. III. 2: $N_{Nom-Erg} \leftrightarrow V \leftrightarrow N_{Dat-Nom}$
	5. IV.1 ; IV.2b : $N_{Nom-Erg} \leftrightarrow V \nearrow N_{Dat-Dat}$ $\searrow N_{Dat-Nom}$
	6. IV. 2a : $N_{Nom-Erg} \leftrightarrow V \nearrow N_{Dat-Dat}$ $\searrow N_{Dat-Nom}$
II. Diathese ($RS_{Nom-Nom}$)	
Statisch	Dynamisch (autoaktiv, aktiv, passiv)
7. I. 1a; 1 b: $N_{Nom-Nom} \rightarrow V$	
8. II.1: $N_{Nom-Nom} \rightarrow V \leftrightarrow N_{Dat-Dat}$	
III. Diathese ($RS_{Dat-Dat}$)	
Nicht vollständige (nicht komplette) Argumentenstruktur	Vollständige Argumentenstruktur
9. I. 3a; 3b; 3c: $\emptyset\ V \leftrightarrow N_{Dat-Dat}$ $N_{S(Dat-Dat)} \leftrightarrow V\emptyset$	10. II.2 : $N_{Nom-Nom} \rightarrow V \leftrightarrow N_{S(Dat-Dat)}$ $N_{S(Dat-Dat)} \leftrightarrow V \leftarrow N_{O(Nom-Nom)}$

Funktionen der Personalzeichen geordnet nach Diathese

Personalzeichen		I. Diathese II. Diathese		I. Diathese, III. Zeitgruppe ($S_{D_{III}}$) III. Diathese, III Zeitgruppen ($S_{D_{III}}$)	
Subjekt		Singular	Plural	Singular	Plural
	1.	v-*	-t	m-	gv-
	2.	Ø-*, X-(zur,zwei,zwei:)	-t	g-*	-t
	3.	-s, -a, -o**	-en,an, -nen,-n, -es	Ø-, h-, s-***	-t
Objekt	1.	m-*	gv-	v-	-t
	2.	g-*	(-a)	Ø-	-t
	3.	indirektes Objekt Ø- h-, s-, Ø- –	-Ø, -t	-s, -a	- Ø
		direktes Objekt Ø- h-, s-, Ø- –		-s, -a	- Ø

* S_1= v-, S_2= Ø-, O_1= m-, O_2= g- in allen Zeiten und Modi

** -s im Präsens, Futur und allen Konjunktiven
-a im Imperfekt, iterativen Conditional, Aorist, Perfekt und Plusquamperfekt
-o im Aorist (nur bei nichtsyllabischen Verben)

*** h- wird vor den Phonemen b, p, p̣, g, k, ḳ, und q genutzt
s- wird vor d, t, ṭ, ʒ, c, ç, ǯ, č, č̣ genutzt
o- wird in allen anderen Positionen genutzt

Anmerkungen:

[1] Bei ia, mas, man Hier ist jeweils er, sie oder es zu verstehen.

[2] Im Deutschen auch einpersönlich genannt. Z.B. in: e. babunašvili/ n. nadareišvili: kartuli enis tvitmasavlebeli. tbilisi 1974 „Deshalb kann also das georgische Verb ein-, zwei- oder dreipersönlich sein, je nachdem, wieviel Personen in einer Verbform im Zusammenhang gebracht worden sind." (S. 34) oder M. Nikolaischwili/V. Toloraia/F. Schreier: Die georgische Sprache. Tbilisi 2004.

[3] Das X bezeichnet eine Leerstelle für ein Objekt, das beim Verb möglich ist; das Objekt ist im Moment nicht besetzt (Ergänzung der Autorin auf Anfrage).

დამანა მელიქიშვილი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
თბილისის სასულიერო აკადემია,
გელათის მეცნიერებათა აკადემია

ნამდვილმყოფის ადგილი იოანე პეტრინის თეოლოგიაში

ჭეშმარიტი არსი ანუ **ნამდვილმყოფი** (ὄντως ὄν) იოანე პლატონური ფილოსოფოსის თეოლოგიური (ამ ტერმინის როგორც ანტიკური, ისე ქრისტიანული გაგებით) ხედვის ქვაკუთხედს წარმოადგენს. ერთი მხრივ, ნამდვილმყოფის, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის მიმართება ზესთერთთან, როგორც მისი ხატისა და მსგავსისა, ხოლო, მეორე მხრივ, ლოგოსის, „უპირმშოესი ძის" მიმართება მამაღმერთთან, ვითარცა მისი ხატისა და მსგავსისა (εἰκώνα καὶ ὁμοίοσις), ეკმაგიოსი და აღმონატკფრისა (ἐκμάγειον καὶ σφράγισμα), იოანე პეტრინის მთელი „განმარტების" ყურადღების ცენტრშია.

ნამდვილმყოფი, რომელიც გონების რიგის მთავარი (სირათმთავარი) და გვართმთავარია, იგივე „გუარმყოფელია" (εἰδοποιός), ანუ გვარის დასაბამია, მიმცემია გვარისა (ფორმისა, გვარეობისა, ანუ რაგვარობისა), იოანე პეტრინის ღვთისმეტყველებაში ისე მიემართება ზესთერთს, როგორც ძე – მამაღმერთს.

ნამდვილმყოფი შედგმული ერთია: იგი შედგება ორი „მხოლოსაგან" – ორი შემოქმედებითი წყაროსაგან: პირველი საზღვრისა და პირველი უსაზღვროობისაგან. პირველი საზღვარი, რომელსაც ფილოსოფოსი (აქ: არისტოტელე) „გუართა გუარს" (ანუ „იდეათა იდეას") უწოდებს, „ხოლო ან ჩუენ ძე უწოდეთო" – იოანე ფილოსოფოსის ღვთისმეტყველებით იგივე „უპირმშოესი სიტყუაა". იგი გააზრებლია როგორც ძის ღვთაებრივი ბუნების ანალოგია, ხოლო

პირველი უსაზღვრობა კი ანალოგიაა ძის ადამიანური ბუნებისა (იხ. „განმარტების § 29, სადაც ამასთან დაკავშირებით პეტრიწი იმოწმებს პავლე მოციქულს).

„შედგმული ერთი" და „მყოფი ერთი" ნამდვილმყოფის სხვადასხვა ასპექტს, სხვადასხვა საფეხურს წარმოადგენენ, მაგრამ ეს საფეხურები ლოგიკურად არიან ერთმანეთის მომდევნონი და არა ქრონოლოგიურად (ა. ხარანაული, „წყაროთა გამოყენების მეთოდი პროკლე დიადოხოსისა და იოანე პეტრიწის შრომებში", 1990), ანუ ისინი არ წარმოადგენენ „წარმოობის", ანუ „ემანაციის", პროდუცირების სხვადასხვა საფეხურს. ამდენად, შემეცნების პროცესში იგი, ბუნებრივია, ერთზე დაბლა დგას, როგორც „პირველი მყოფი" – პირი, ჰიპოსტასი, რაც სრულ თანხმობაშია მაცხოვრის ცნობილ სიტყვებთან იოანეს სახარებიდან: „მივალ მამისა ჩემისა, რომელი უფროის ჩემსა არს" (XI-XII სს. ბიზანტიაში ეს გამონათქვამი თეოლოგიური კამათის აქტუალური თემა იყო და საგანგებოდ აქვს განმარტებული თეოფილაქტე ბულგარელს, რომლის ქრისტოლოგიურ ინტერპრეტაციასაც ასევე სრულიად ეთანხმება იოანე პეტრიწის ღვთისმეტყველება).

„განმარტების" სხვადასხვა თავში ნამდვილმყოფის დახასიათება, როგორც „პირველი გონებისა" და „გვართა ადგილისა" (იდეათა ტოპოსისა) და ყოველთა მყოფთა მიზეზისა, პარალელს პოულობს ძის დახასიათებასთან ე.წ. „ბოლოსიტყვაობის" შემდეგს კონტექსტთან: „ ამის განგებისა მიერ გონებისად და მყოფისად პირველისა, რომელ არს ძე, გუართა ყოველთა ადგილი, სულისა მიერ ზესთჭეშმარიტისა გარდმოიძლუანვიან დამსახნი მრავალსქიდიანობასა ნივთისასა" (პეტრ. შრ., ტ. II, გვ. 22)

ამგვარად, იოანე პეტრიწს დაძლეული აქვს ორიგენიზმი, საიდანაც გამოვიდა არიოზის წვალება და ის შიშიც, რომელიც ჰქონდა „კავშირთა" XIII საუკუნის ნუსხის მინაწერის ავტორს. სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა XVII საუკუნეში მთავარეპისკოპოსი ტიმოთე გაბაშვილი, რომ , ვინც გულისხმისყოფითა და მართლმადიდებლობით წაიკითხავს პროკლესა და იოანე პლატონური ფილოსოფოსის თხზულებებს, ის დიდ საღვთისმეტყველო ხედვებს მიემთხვევა, ხოლო იმას, ვინც ზერელედ და უგულისხმოდ გა-

მოიძიებს მათ, არიოზისა და ორიგენეს მთხრებლში ჩავარდნა ემუქრება.

ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ისტორიიდან

დამანა შელიქიშვილი

ქართული სალიტერატურო ენა ყალიბდებოდა საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ არსებულ ქართულ საშინაურო კერებში, სადაც თარგმნებოდა წმინდა წერილი და სალვთო ლიტერატურისათვის საჭირო სხვა ლიტერატურა, იწერებოდა წმინდანთა ცხოვრებანი, იქმნებოდა ჰიმნოგრაფიული კრებულები.

მაშინ არ არსებობდა ნორმის დამდგენი კომისია, მაგრამ არსებობდა ეკლესია, სადაც „ჟამი ქართულითა ენითა შეიწირეოდა და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებოდა" და ეს ქართული ენა იყო საყოველთაო სრულიად ქართლისათვის, ანუ საქართველოსათვის.

იმის მიხედვით, თუ რომელი მხარე იყო დაწინაურებული პოლიტიკურად და აქედან გამომდინარე, კულტურულ-ეკონომიკურადაც, ძველ ქართულ ხელნაწერებში ასახულია ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ეტაპები: – ე.წ. „სანმეტი ტექსტების" (ლექციონარებისა, ძველი თუ ახალი აღთქმის წიგნთა ფრაგმენტები), „ეგმეტი ტექსტების ჰერიოდი, ჰალესტინური კერების თუ ათონური სკოლის, შემდეგ „შაკი მთისა და გელათის სკოლის ჰერიოდები. ითვითეული ეს სკოლა თავისი ენობრივ-სტილური ნიშნებით ხასიათდება, ითვითეული მათგანი საკუთარი მთარგმნელობითი სელწერით გამოირჩევა, რაც განსაზღვრავს კიდეკიც მათ მიერ ნორმირებული მწიგნობრული ენის სახეს. მაგრამ ამის შესახებ ამჯერად სიტყვას არ გაეაკრავენ, აღვნიშნავ მხოლოდ, რომ რაკიდან ძლიერი უნდა ყოფილიყო მწიგნობრული სკოლა, ენის ისტორია გვიმოწმებს, რომ მის მიერ შემოღებული ნებისმიერი ნორმა (სათარგმნი ენიდან შეთვისებული თუ საკუთრივ ქართული ენის რომელიმე დიალექტური წრიდან შემოტანილი, ან კიდეკ-როგორც ძველნი იტყოდნენ, მათ მიერ „მოპოვნებული" ანუ წარმოებული), თუ იგი ენის სისტემური განვითარების მაგისტრალურ ხაზს არ მიჰყვებოდა და შემდგომში ჭარბი აღმოჩენილა, ქართულ სალიტერატურო ენას არ შემორჩენია (მხედველობაში გვაქვს მაგ., „მოსაღლად არს" ტიპის ფორმები, ან აფექტური ზმნების მიცემითში დასმული აქტანტის მრავლობითის აღსანიშნავად გამოყენებული -ყე სუფიქსოდის ნორმად ქცევის ცდა გელათის სკოლის XII საუკუნის ლიტერატურულ ძეგლებში–). ამას ენის თვითგანვითარების შინაგანი კანონები არეგულირებენ და აწესრიგებენ: ენის სისტემის შიგნით მოქმედებს როგორც ამ სისტემის სიმეტრიისაკენ მიდრეკილება, რაც მისი მდგრადობის ძირითადი პირობაა და, რასაც ანალოგიის პროცესი აწესრიგებს, ეს კი, თავის მხრივ, განაპირობებს ენის გამძლეობას – თვითარსებობას. მაგრამ სისტემის შიგნით მუდმივად მო-

ქმელებს საპირისპირო პროცესებიც, რომლებიც არლექციენ სისტემის რგოლებს, ესენი კი ენის განვითარების მთელს მანძილზე ყველაგ სიმეტრიისა და წონასწორობისაკენ მიისწრაფვიან და ეს დაუსრულებელი პროცესი სისტემის ენიფიციერების, რლეციისა და ყველაგ გაწონასწორებისა ლღესაც აქტუალურია და ყველაზე მეტად თავს ენის ქართული ზმნის ფლლების თანამედროვე, სინქრონიული სისტემის შიგნითაც, რომელშიც ხშირად თანაარსებობენ ძველი და ახალი ლიტერატურულ-ნორმირებული თუ დიალექტურ-ხალხური ფორმები. ენის ნორმების დადგენის დროს, ჩვენი აზრით, სწორედ ენის სისტემებს უნდა მიექცეს ეურადღება და გათვალისწინებული უნდა იყოს ამა თუ იმ ფორმის პერსპექტივა ამ სისტემაში (მხედველობაში გვაქვს I რეზულტატიული -აე და -ამ თემისნიშნიან ზმნათა უნიფიცირებისაკენ მიმდრეკილება, რასაც ანალოგიის პროცესის გარდა განსაზღვრავს ზმნური პარადიგმის გასწორებისა და ჰოლისტიკისაგან თავის დაღწევის აუცილებლობა: ასევე, მაგალითად, გასული საუკუნის 30-იან წლებში ნორმის დამდგენი კომისიის მიერ ვითარებითი ბრუნვის ნიშნად -ად სუფიქსის ნორმად მიღება მაშინ, როდესაც არა მხოლოდ ზეპირ მეტყველებაში, არამედ საქმიერლოგო ენაში (ბეჭდვით სიტყვაში) -ათ სუფიქსი იყო დამკვიდრებული: ბრუნვის ნიშანთა სისტემა თავისთავად გაწონასწორებული იყო და ნორმად -ათ სუფიქსის მიღება ბრუნვის ნიშანთა ვენეზისის თვალსაზრისითაც; გამართლებული იყო: მიც. – ნათ.: -ას – -ის: ვით. – მოქ.: -ათ – -ით).

მაგრამ არც ამ საკითხებზე გაეაგრძელებ სიტყვას, რადგანაც ლღეს, როდესაც ქართულ ენას ისე, როგორც არასდროს ემუქრება ექსპანსია უცხო ენისა, მაშინ, როცა მოდუნებულია შინაგანი წინააღმდეგობა ენის მატარებლების იმ ფენებისა, რომელთაც ხელთ უპყრიათ „მეოთხე ხელისუფლების" სადავეები და კიდევ იმათიც, რომელთა ხელშიცაა ლიტერატურული „ბაზარი" და ყველანაირი ეზით (ძირითადად კი რეკლამირების მეთოდით) მასობრივ ცნობიერებაში ინერგება ქართული მეტყველებისა და წერის ეს ახალი, დეგრადირებული, უკულტურო „კულტურა", ლღეს მინდა გავამახვილო ყურადღება იმაზე, თუ რა გაკეთებილები შეიძლება გამოვიტანოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიული გამოცდილებიდან. ხოლო ეს გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სახელმწიფოს მდგომარეობა პირდაპირ აისახება ენაზე (ისევე, როგორც, სხვათა შორის, არქიტექტურაზეც).

ქართული სალიტერატურო ენის ნორმები მწიგნობრულ კერებში მუშავდებოდა წმინდა წერილის თარგმნის პროცესში – ძირითადად ბერძნულ ენასთან კონტაქტში. ბერძნულმა ენამ დიდად განსაზღვრა ქართული ენის (ისევე, როგორც ევროპული ენების) განვითარება. განსაკუთრებით ლექსიკის სფეროში, თარგმნის პროცესში გამოვლინდა და განხორციელდა ქართული ენის გა-

ნესაზღვრელი შესაძლებლობანი. კულტურულ ენებთან კონტაქტებისა და ეკლესიების გარეშე, თავის თავში ნაკლებით სალიტერატურო და მით უფრო, მეცნიერული ენა ვერ განვითარდება. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე ბერძნული ენა — წმინდა წერილისა და ეგზეგეტიკის ენა ასახრდოებდა უშუალოდ თუ შეალობითი გზით ქრისტიანული კულტურის ენებს. აღრე მისგან იყო დაკალებული არაბული ფილოსოფიური ენაც. საქართველო ერთი პირველთაგანი იყო, რომელსაც უშუალო და მჭიდრო პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული კავშირი ჰქონდა ისეთ მაღალგანვითარებულ კულტურულ სამყაროსთან, როგორიც იმ ეპოქაში ბიზანტია იყო. ამ ურთიერთობაზე გადიოდა ბუნებრივი გზა ქართული მეცნიერებისა და მეცნიერული ენის განვითარებისა და სრულიად კანონზომიერი იყო, რომ იმ დროის ქართველი მოღვაწენი ეროვნული ფილოსოფიურ-თეოლოგიური და, საერთოდ, მეცნიერული ტერმინოლოგიის ნამოკალიბების გზაზე მისაბაძ მაგალითად სწორედ ელინთა ენას თვლიდნენ, რომელშიც თითანე პეტრიწის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყოველსაკე თჳსი სახელი პრქჳან, შესაბამი თჳსისა არსებისაჲ". მაგრამ ეს არ იყო ბრმა და მექანიკური მიბაძვა, რომელიც სესხებას გულისხმობს. ნელი ძველი მოღვაწენი ელდიდენ შეინ-ქმედებითს ძალასა და სითამამეს ინერდნენ, რათა გამოეკვლინებინათ ქართული ენის შესაძლებლობანი და ქართული მასალით, ქართული ძირებითა და აფიქსებით და არა მექანიკური სესხების გზით შეექმნათ ახალ ცნებათა შესატყვისი მანამდე არარსებული ტერმინები და ამგვარად, ქართული ენა თავისი გამომსახველობითი ძალით გაეტოლებინათ „ბერძენთა ხელოვნთა მოსმარჯვეი" ელინთა ენისათვის, რომლის „ენაჰსებობა" და „ენადღეობა" მისაბაძი იყო არა მარტო ქართველი მთარგმნელებისათვის, არამედ ლათინებისთვისაც.

მაგრამ ეს უშუალო კავშირი ბიზანტიასთან XIII საუკუნიდან მოყოლებული, თანდათან სუსტდება და ბოლოს, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ სრულიად წყდება და იცვლება სპარსეთ-თურქეთთან პოლიტიკურ-ეკონომიკურ-კულტურული კონტაქტებით და, შესაბამისად, გაელენებითაც. მძიმე პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ქვეყნის დაქუცმაცებულობამ, სახელმწიფოებრივი მმართველობის კრიზისმა და არასტაბილურობამ თავისი მძიმე კვალი დაამჩნია ქართულ ენას, კერძოდ, მის ლექსიკურ ფონდს, რომელშიც ქართული სიტყვის ადგილი დაიჭირა სპარსულ-თურქულმა ლექსიკურმა ნასესხობებმა. ძველ ქართველ მოღვაწეთა შეგნებული და პრინციპული დამოკიდებულება — მხოლოდ ქართულ ძირებზე დაყრდნობით, ქართული აფიქსების გამოყენებით შეექმნათ ქართული სპეციალური ლექსიკა (ტერმინოლოგია) შეიცვალა სრული ინდიფერენტი'სმითა და უკონტროლობით: ამ დროიდან მოყოლებული, ქართულ სპეციალურ ლიტერატურაში — სამართ-

ლის ძეგლებში, სიგელ-გუჯრებში, სამკვერნალო წიგნებში – დიდი მოცულობაა აღმოსავლური ენებიდან ნასესხები სპეციალური ტერმინებისა, რომელთაგან ბევრი ღღესაც დამკვიდრებულია ქართული ენის ლექსიკურ ფონდში (ამის მაგალითად ჰეტრიწისეული ლოგიკური ტერმინის – „აღმოსენა" – არაბული „ღასაბ'ეთებით" შეცვლაც კმარა). ამ პერიოდში არ ნაის არავითარი ძალისხმევა ქართული შესატყვისი ტერმინების მოძებნისა თუ შექმნისა, როგორც ამას ვხედავთ წინა, კლასიკური პერიოდის (XII ს.-ის ნათელით) ლიტერატურულ-მთარგმნელობითის სკოლებში. სალიტერატურო ენა, თუ შეიძლება ითქვას, მდინარებასაა მიცემული, მიშვებულია თავის ნებაზე, ეშორნილება ცოცხალ მეტყველებას, რადგანაც აღარ არსებობს ცეზის მიმცემი და ენის „კანონის დამდები" მწიგნობრული სკოლები. მკაცრი დამცველი სალიტერატურო ენის ნორმებისა და მთარგმნელობითი პრინციპებისა, რომელთაც თავიანთი კონსერვატიზმის წყალობით ქართულ ენას შეუნარჩუნეს ძირითადი უნიკალური ძარღვი, რომელიც ღღესაც ფეთქავს, მიეხედაეად იმისა, რომ სწორედ იმ გარდამავალი პერიოდის ენობრივმა პოლიტიკამ, რომელიც კარგად ნაის მეოე-პოეტის ლამაზად გამოთქმულ სიტყვებში – „სპარსთა ენისა სიტკბომან მასურვა მუსიკობანიო" – მსმენელ კვალი დაუტოვა ქართულ ენას. ამ პერიოდის ტექსტებისათვის დამახასიათებელია ყურმათა დიდი სიჭრელე და ენობრივი მასალისადმი განურჩეველობა, რაც პირდაპირი შედეგია ქართული სახელმწიფოებრიობის დაკნინებისა და არასტაბილური მდგომარეობისა და სრულიად განსხვავდება XI–XII ს.ს.-თა ძლიერი საქართველოს მთარგმნელ-ავტორთა გაცნობიერებული დამოკიდებულებისაგან ქართული ენისადმი.

მთელი გეთანი შუასაუკუნეების განმავლობაში, როდესაც ევროპის ეროვნული ენები და მეცნიერული აზრი და სალაპარაკო ენა ერდიერთგავლენით ეთარდებოდა, სწორედ ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ქართულმა მეცნიერულმა აზრმა და შესაბამისად – ენამ კონსერვაცია და დაკნინება განიცადა და ამიტომ ვერ მიიღო მონაწილეობა საერთო სახალხო ენის ლექსიკის განვითარებაში, ხოლო ამას თუ იმასაც დაეუმატებთ, რომ მთელი XIX საუკუნის განმავლობაში, მაშინ, როდესაც რუსულ ენაზე ინტენსიურად ითარგმნებოდა და სასულიერო სასწავლებლისათვის დიდი ტირაჟებით ქვეყნდებოდა ბიბლიური ეგზეგეტიკა-პატრისტიკის უბრწყინვალესი ძეგლები, რაც ახალი რუსული მეცნიერულ-ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს (ჩვენში კი ეს პროცესი XI-XII საუკუნეებში დასრულდა), საქართველოში საერო თუ სასულიერო სკოლებში სწავლება რუსულ ენაზე მიმდინარეობდა და ასეთ პირობებში, ცხადია, აღარ არსებობდა პრაქტიკული საჭიროება ძველი ქართული ბიბლიოლოგიურ-ეგზეგეტიკური თუ მეცნიერული ხასიათის ძველი თარგმანების გაღამუშავებისა ანდა ახალი თარგმანების

შექმნისა (ცნობილია, რომ სიოლომონ დოდა"შვილის „ლოგიკა" რუსულ ენაზეა დაწერილი, ისევე როგორც გაბრიელ ეპისკოპოსის „ცალსიფული ფსიქოლოგია"). მანამდე იყო, რა თქმა უნდა, „ალორძინების ხანა", იყო სულხან-საბა-ორბელიანი, დავით გურამიშვილი, იყო ვახტანგ VI და მისი სწავლულ კაცთა კომისია, მაგრამ მათ, რუსეთში გადახვეწილებმა, თან წაიღეს თავიანთი ენა, და ვერ მოახდინეს გავლენა ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაზე. ამ დროს ჯერ კიდევ განაგრძობდა არსებობას გარეჯის მონასტრის მწიგნობრული სკოლა (სადაც ერთხანს სულხან-საბა ორბელიანიც მოღვაწეობდა). ენობრივ-სტილისტურად ნორმირებული საკუთარი სკოლა შექმნა ანტონ ყათალიკოსმა, რომელმაც სამი სტილის თეორიის საფუძველზე სცადა ალორძინება XII საუკუნის ენის სულისა, მაგრამ მისმა ცდამ, მიუხედავად დიდი მეცნიერულ-ლიტერატურული პროდუქციისა, რომელიც შექმნეს მან და მისმა თანამოღვაწეებმა — იოანე ორბელიანმა, იოანე ბატონიშვილმა და სხვებმა, ნაყოფი ვერ გამოიღო (გარდა გრამატიკისა, რა თქმა უნდა). ცნობილი მისეული ბების გამო. მე სიტყვას აღარ გავაგრძელებ ილია ჭავჭავაძისა და სამოცდიანელების როლზე, რომელთაც ფაქტობრივად ძველი მწიგნობრული კერებისა და სახელმწიფოს მისია შეასრულეს ქართული ენის წინაშე. ილიამ ამოაცალა ის ლაკონი, რომელიც XIII–XIX საუკუნეების შორის განცდა ქართული ენის განვითარების ისტორიაში. ლაპარაკი სელმეტია იმ'სე, თუ რა დიდი როლი შეასრულეს მაი ახალი ქართული სალიტერატურო ენის ჩამოყალიბების საქმეში (ეს ყველა-სათვის ცნობილია). ილიას მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნაც ხომ მიზნად ისახავდა იმ მემკვიდრეობითი ხაზის აღდგენას ძველ ქართულ ენასა და ლიტერატურასთან, რომელიც იძულებით გაწყდა მას შემდეგ, რაც 1811 წელს რუსეთის მთავრობამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და მის გამიზნულ რუსიფიკაციას შეედგა.

ხაზგასასმელია ისიც, რომ გასული საუკუნის დასაწყისის ჟურნალ გაზეთებში გაგრძელდა ილიას ხაზი და მისი მოთხოვნები — ამ გაზეთების ფურცლებზე ქართულ ენაზე სწავლების პრობლემა მეტად აქტუალურად დგას. ასე, მაგალითად, სასულიერო-საზოგადოებრივი გაზეთ „შინაური საქმეე-ბის" (რომელიც 1908-16 წწ-ში გამოდიოდა მღვდელმოწამე სიმონ მჭედლიძის რედაქტორობით) სარედაქციო წერილებში ხშირად მოითხოვენ სასულიერო სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლების შემოღებას და, პირველ რიგში, საღვთისმეტყველო წიგნებისა და სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე შე-ქმნას და ამისთვის ქართული ტერმინოლოგიის შემუშავებას (ამ მხრივ ისინი თვითონაც იღვწოდნენ პრაქტიკულად).

დღეს ქართული ენის ბედი ეროვნულ სკოლას და უმაღლეს სასწავლებ-ლებს, პირველ რიგში — ქართულ უნივერსიტეტს აბარია და ამ უკანასკნელთა

ბელი კი სახელმწიფოს ხელშია. ზემოთ ვთქვით და კიდევ გავიმეორებთ: ისტორია გვიმოწმებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა და, საზოგადოდ, სახელმწიფოს მდგომარეობა პირდაპირ აისახება ენაზე და განსაზღვრავს ამ სახელმწიფოს ენის მდგომარეობას. ენა – განათლების საფუძველია. სახელმწიფომ, თუკი ის არსებობს, განათლების სტრატეგიაში ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, პრიორიტეტად უნდა გამოაცხადოს და საქართველოს მოქალაქეებისათვის, განურჩევლად ეთნიკური და ერეკნული წარმომაველობისა, ხელი შეუწყოს მის შესწავლას და სათანადო პირობები შექმნას ამისათვის როგორც სკოლაში, ასევე უნივერსიტეტში.

გლობალიზაციის დღევანდელ პირობებში სრულიად ახალი, ურთულესი ამოცანები დადგა ეროვნული ენებისა და, მათ შორის, ქართული ენის წინაშე: გადაულებელი ამოცანაა საინფორმაციო სივრცეში ქართული ენის სრულფასოვანი ნართვა, რისთვისაც აუცილებელია კომპიუტერული ენის „გაქართულების" პროცესის დასრულება. „დასრულებაზე", ვამბობთ იმიტომ, რომ პროცესი დაწყებულია და მოკლე დროში საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული როგორც ინტერნეტისა და საინფორმაციო სივრცის ათვისების, ასევე საოპერაციო სისტემების, გამოყენებითი და ენობრივი პროგრამების დაშუშავების სფეროში (ამ პროცესში ნართველია თვ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მასთან არსებული ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფი და ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი; საქ. მეცნ. აკადემიის ინსტიტუტები: არნ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ქართული ინფორმატიკულ-ლინგვისტური ცენტრი, ა. ელიაშვილის მართვის სისტემების ინსტიტუტი, კ. კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახ. უნივერსიტეტი და სხვ.). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეფუძნობთ უფრო ქმედითად და აქტიურად უნდა ნაებას ამ მიმართულებით პროექტების დაფინანსებაში.

მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს, რომ კულტურული თუ პოლიტიკური გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ყოველ ეპოქას ახასიათებს – ჩვენ მრავალგზის მოგვიხდა ამ პროცესების გავლა და გადალახვა: ელინიზაციის ეპოქაში, რიდესაც სახელმწიფო ძლიერი იყო, ბევრი რამ სასიკეთო შეითვისა ქართულმა კულტურამ და ენამ; აღმოსავლური გლობალიზაციის პროცესსაც როგორღაც გაუძელით; ენახეთ, თუ როგორ დააღწია თავი ქართულმა ენამ ილიასა და საზოგიანელების წყალობით რუსული გლობალიზაციის ძლიერ ტალღას. იმედია, რომ დღეს, ამ ახალი გლობალიზაციის ძლიერ შემოტევასაც გაუძლებს ქართული ენა, მიიღებს იმას, რაც საჭიროა ხოლო "ჯერკვალს განაგდებს". ამისათვის კი უნდა იზრუნოს სახელმწიფომ, სკოლამ,

წერლობამ, და, პირველ რიგში, ერმა – საზოგადოებამ, რომელსაც საქართველოს ისტორიის უძველეს ეტაპებზე გადამწყვეტი როლი შეესრულებია.

ქართული ენის დაცვის საქმეში ულიდეს როლს ასრულებს საქართველოს მართლმადიდებელი საშოციქულო ეკლესია, რომელიც ღვთისმსახურების, როგორც წესი, ძველი ქართული ენით აღასრულებს, ოკი ქართულ ენას აკავშირებს თავის წარსულთან, სიცოცხლეს აძლევს იმ ძარღვს, რომელიც აბილიანებს ქართული ენისა და ქართველი ერის ისტორიას.

DAMANA MELIKISHVILI

FROM THE HISTORY OF THE NORMALIZATION OF THE GEORGIAN LITERARY LANGUAGE

The paper addresses the role of the old Georgian literary (translational) schools in the process of the establishment of the Georgian literary language, the level of the Georgian statehood at various stages of the development of Literary Georgian, positive and negative outcomes (morphology, lexis, syntax) of oral and written literary contacts with foreign languages (Greek, Arabic, Persian, Turkish), the issues of the interrelation of the contemporary Georgian speech (of mass media, social and political establishment) and liuterary language, of the normalization (viz. the issue of the consideration of the tendences and perspectives of language systems and forms in the process of the establishment of norms).

უწმიდესსა და უნეტარესს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

ილია II-ს

თქვენო უწმიდესობავ!

ერთხელ ვთქვი და კვლავაც გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ თქვენი აღსაყდრების აწ უკვე 30-ე წლისთავზე გვსურს მოგმართოთ არა მხოლოდ საუნივერსიტეტო და აკადემიური საზოგადოების სახელით, არამედ თქვენი ღვაწლით აღორძინებული სამწყსოსა და მრევლის სახელითაც – სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის დაუღალავ მოღვაწესა და დიდებულ მუშაკს ყანისა ქრისტესისა, ქრისტიანეთა სიკადულს, განმწმედელს სჯულისა, მაშენებელს ეკლესიათა, ერის სულიერ მამასა და განმანათლებელს!

როგორც ძველნი იტყოდნენ, „ვითარ შეუძლოს კაცობრივმან ენამან ჯეროვნად წარმოთქმა სიმხნეთა და მოთმინებათა თქვენთა“ ამ რთულსა და განსაცდელებით აღსავსე დროში?

როგორც ნეტარმა გრიგოლ ხანძთელმა აღაშენა და განამშვენა ეკლესია-მონასტრებით მურვან ყრუსაგან მოოხრებულ-გაავერანებული უდაბნო ტაოკლარჯეთისა, განაცხოველა და ქალაქ-ყო იგი, ასევე თქვენ, თქვენო უწმიდესობავ, ღვთის მცნებათაგან გარდადრეკილ ქართველთა სულიერი უდაბნო გააცოცხლეთ და ააღორძინეთ; სრულიად განშორებულნი ღვთისაგან მოაქციეთ და, ვითარცა კეთილმა მწყემსმა, განბნეული ცხვარი დაუბრუნეთ უფლის სახლს; განაშენეთ, განამშვენეთ და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის დიდება აღადგინეთ.

თქვენგან ხშირად გვსმენია – „ეს დრომ მოიტანაო“, მაგრამ ხომ ცნობილია, რომ თვით დრო პიროვნებას მოჰყავს, რადგან, როცა დგება ჟამი, უფალი გამოარჩევს და აღამაღლებს ერისაგან თავის რჩეულს, რომელსაც ძალუძს ტვირთვა ერის ჯვარისა. თქვენ ხართ ის რჩეული, რომელიც უფალმა მოჰმადლა ჩვენს მრავალტანჯულ ერს მისი ნათლისაკენ და წმიდა ეკლესიისაკენ მოსაბრუნებლად.

თქვენი უწმიდესობის ქადაგებაში მუდამ გამოსჭვივის სიბრძნე და სარწმუნოება დავით მეფსალმუნისა: „არა თუმცა უფალმან აღაშენა სახლი, ცუდად შურებიან მაშენებელნი მისნი“ (ფსალ. 126, 1). ამ ჭეშმარიტებით მოძღვრავთ თქვენთვის მონდობილ ერს და, როცა კი ღვთის მორჩილებას მიუჩვეველსა და მცირედ მორწმუნეს ყური არ მიუგდია თქვენი დარიგებისათვის, მუდამ უწენევია მარცხის სიმწარე. მაგრამ თქვენ, როგორც ჭეშმარიტ მწყემსმთავარს, მოძღვარს და მამას ერისას, „არა გაქუს ჰელმწიფება ბოროტისა, არამედ შენდობისა“. მოთმინებით მოელით მონანულს და ბუნებით იქცევით ისე, ვითარცა იტყვის უფალი: „წყალობა მნებავს და არა მსხუერპლი, რამეთუ არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“ (მათე,

9,13). თქვენს ლოცვასა და მოწყალე მოთმინებას ადრე თუ გვიან ცოდვილნი მოუყვანია და კიდევაც მოიყვანს სინანულად.

ამ ოცდაათი წლის განმავლობაში, რომელსაც თქვენ „მზიანი ღამე" უწოდეთ (რადგან „ერთი მხრივ, წყვდიადი და მწუხარებაა, მეორე მხრივ კი – უფლის მადლი", რომელსაც ნიადაგ გრძნობთ), უძძიმეს საპატრიარქო ჯვარს ზიდავთ, ჯვარს ერისას და ეკლესიისას.

თქვენ ერისა და ეკლესიის – ხორციელი კეთილისა და სულიერი კეთილის – შენიეთებითა და შეზავებით იღვწით ქართველი ერის სულიერი ამაღლებისათვის, სარწმუნოების ერთობისა და ეროვნული მთლიანობისათვის. ამ გზაზე არასოდეს გტოვებთ იმედი იმისა, რომ ის „რწმენა, ის სინანული, ის სიყვარული, ის თავმდაბლობა, ის განცდა თვისთა ცოდვათა, რომელსაც ფლობდნენ ჩვენი წინაპარნი, ჩვენს ერში უეჭველად გამოვლინდება".

გწამდეთ, დიდო მეუფეო, რომ თქვენი მოციქულებრივი ღვაწლი კეთილ ნაყოფს გამოიღებს და ამიერითგან უეჭველად იხარებს უდაბნოა ესე, თქვენი, ქრისტეს ნებისმყოფელი კეთილი მწყემსის, ლოცვითა და კურთხევით.

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა, ყოვლად ღირსისა მამამთავრისა და დიდისა მეუფისა ჩვენისა ილია II-ისა – მრავალმცა არიან წელნი!

დამანა მელიქიშვილი

დამანა მელიქიშვილი

ქართული ზმნის უღლებადი ფორმების კლასიფიკაციისა და კვალიფიკაციის პრინციპებისათვის

I. პირის ნიშანთა გამოხატვის სისტემა ქართულში

ნებისმიერ ემპირიულ მეცნიერებაში და, კერძოდ, ენათმეცნიერებაში, საგნის ან მოვლენის დეფინიციისას დაცული უნდა იყოს ცნების დაყოფის ლოგიკური წესები, კლასიფიკაციის პრინციპის ერთიანობა, იმანენტიზმის პრინციპი, გამიჯნული უნდა იყოს დიაქრონიული (ისტორიული) და სინქრონიული ასპექტები.

კლასიფიკაციის ამ, თავისთავად ცხადი, პრინციპების გაუთვალისწინებლობა და დარღვევა ენობრივი ფორმებისა თუ მოვლენების კვალიფიკაციისა და დეფინიციის გაურკვევლობას, ხშირ შემთხვევაში — მცდარობას, დეზინფორმაციას იწვევს.

ამ მხრივ ქართული ზმნის უღლებადი ფორმების სერიებად და მწკრივებად დაყოფის აკაკი შანიძისეული პრინციპი იდეალური მაგალითია იმისა, როდესაც კლასიფიკაციის ისტორიული, მორფოლოგიური და სინტაქსური პრინციპების დაცვა ერთსა და იმავე შედეგს (კლასიფიკაციას) იძლევა.

მაგრამ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში რთული მდგომარეობაა ქართული ზმნის ისეთი მნიშვნელოვანი კატეგორიების კვალიფიკაციის სფეროში, როგორიცაა ზმნის პირის გამოხატვის სისტემა და ამასთან დაკავშირებული „ინვერსიის" საკითხი; გვარისა და ქცევის კატეგორიების დეფინიციის საკითხი და ამასთან დაკავშირებით ქართული ზმნის უღლებადი ფორმების ლოგიკურად გაუმართავი კლასიფიკაციის პრობლემა.

არნ. ჩიქობავამ აჩვენა, როგორ უნდა ყალიბდებოდეს სინტაქსური /გრამატიკული ცნებები (ეს არის პრინციპულ-მეთოდოლოგიური საკითხი, რომლის ანალიზსაც ეძღვნება მისი „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში", 1928, 1968), თუ რა შეუსაბამობანი მოსდევს იმანენტიზმის პრინციპის დარღვევას (უგულებელყოფას) გრამატიკაში.

ქართულ ზმნაში ინვერსიის მოვლენისადმი დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით მიდგომის აღრევამ, ისტორიული მოვლენის სინქრონიული თვალსაზრისით კვალიფიკაციამ, ამავე დროს, ლოგიკური ცნება-ტერმინებით (სუბიექტი-ობიექტი) ოპერირებამ შედეგად მოგვცა თანამედროვე ქართული ზმნის პირის ნიშანთა ცხრილში ამ ნიშნების რეალური ფუნქციის არაადეკვატური ასახვა; ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფისას იმანენტიზმის პრინციპის უგულებელყოფამ, გრამატიკული (მორფო-სინტაქსური) კრიტერიუმების დარღვევამ და კლასიფიკაციის პრინციპად ევროპული ენების მსგავსად გვარის კატეგორიის მიღებამ (რაც არა მხოლოდ ქართული ზმნის

შემოხვევაშია საფუძველს მოკლებული) ქართული ზმნის უღლების უფრესად ლოგიკური სისტემის დეფორმირებული სურათი მოგვცა, რამაც გამოავლინა შეუსაბამობა გვარისა და „ქცევის" (ვერსიის) „გრამატიკული" კატეგორიების სემანტიკურ დეფინიციასა და ფორმალურ კლასიფიკაციას შორის და, შესაბამისად, ზმნის ხმოვანპრეფიქსთა ფუნქციების არაადეკვატური განსაზღვრა გამოიწვია.

წინამდებარე სტატიაში მოცემულია დიათეზის გრამატიკული (მორფოსინტაქსური) კატეგორიის (რომელიც საფუძვლად დავუდეთ ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფას (მელიქიშვილი 2001).) ფარგლებში გვარის, ქცევისა და პირის ნიშანთა კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა.

* * *

როგორც ცნობილია, ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში (ისევე, როგორც ევროპულში) ზმნის უღლების ტიპებად დაყოფისას საფუძვლად გვარის კატეგორიაა აღებული, მაშინ როდესაც თვით გვარის გრამატიკული კატეგორიის საკითხი როგორც ზოგად ენათმეცნიერულ ლიტერატურაში, ისე კერძო გრამატიკებში საკმაოდ ბუნდოვანი და მოუგვარებელია. ქართული ზმნის უღლების ტიპებად დაყოფისას ჩვენ ვეყრდნობით გრამატიკულ (მორფოსინტაქსურ) კრიტერიუმებს, კერძოდ: მორფოლოგიურ სტრუქტურას (აგებულებას) და სინტაქსურ კონსტრუქციას.

ქართული ზმნის აწმყოს თემა (ფუძე) ძირითადად ორ სტრუქტურას ეყრდნობა:

I. თემა+Ø (R+Ø, R[ე/ი]+Ø, R[Ø/ა]-th+Ø, R[Ø/ე]-th+Ø, R-th+Ø): *ულერ+Ø – წერ+Ø; თელემ+Ø – ულელემ+Ø; ტირ-ი+Ø – თლ-ი+Ø, ჯრ-ი+Ø; გორ-ავ+Ø – ბატ-ავ+Ø, კლ-ავ+Ø; კანკალებ+Ø – აკანკალებ+Ø, აკეთებ+Ø; ცხოვრობ+Ø – აცხოვრებ+Ø, ათბობ+Ø; აბ-ამ+Ø.*

II. თემა+ი (R+ი, R-th+ი): *ბატ+ი-(ხარ) – იბატებ+ი, თბებ+ი, თეთრ-დ-ებ+ი).*

I. პირველი სტრუქტურის ზმნებს როგორც წესი, შეესაბამება ცვალებადი კონსტრუქცია (ბრუნვაცვალებადი სუბიექტი: სახელობითი – მოთხრობითი – მიცემითი) და ამ ნიშნით ისინი ერთ დიათეზაში ერთიანდებიან, რომელიც ორ ქვეჯგუფად იყოფა. ამ ქვეჯგუფების განმასხვავებელი ნიშანი პირდაპირი ობიექტის ქონა-არქონაა.

1) პირველი ქვეჯგუფის ზმნების სუბიექტი მოქმედია, მაგრამ მას არა აქვს სამოქმედო პირდაპირი ობიექტი. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ისინი პირდაპირ ობიექტს თავის თავში შეიცავენ, მათი სუბიექტი თვითმოქმედია – აუტოაქტიურია. აკაკი შანიძე მათ საშუალი გვარის მედიოაქტიეთა ქვეჯგუფში ათავსებს. მაგრამ გვარის კატეგორიის განსაზღვრებიდან გამომდინარე, საშუალი გვარის გამოყოფის საფუძველი არ არსებობს. არნ. ჩიქობავა მათ უგვარო

სტატიკურ ზმნებად მიიჩნევს. მაგრამ, რაც შეეხება სტატიკურობას, ამ თვალსაზრისით მათ გარდამავალი საფეხური უჭირავთ აბსოლუტური სტატიკიდან, უძრაობის მდგომარეობიდან, მოქმედების პროცესამდე: ისინი ფიზიკური ან სულიერი მოქმედების მდგომარეობას გამოხატავენ (*კანკალებს, კივის, ტირის, წუხს...*), რაც გრაფიკულად შეიძლება წრეწირით გამოიხატოს (განსხვავებით აბსოლუტური სტატიკისაგან, რომელიც შეიძლება გრაფიკულად წერტილით გამოვხატოთ): წრე იწყება იმ წერტილიდან, რომელშიც სრულდება. ამ ზმნათა მოქმედებაც იწყება და სრულდება ერთსა და იმავე წერტილში, ანუ უბრუნდება თვითმოქმედ პირს (სუბიექტს). მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ზმნების რეფლექსიური, უკუქცევითი შინაარსი აქვთ, მათი მოქმედების ობიექტი იგივე სუბიექტია, მათი სუბიექტის მოქმედება შიგნითაა მიმართული, ცენტრისკენულია. შესაბამისად, მათ სათანადო მარკერიც, ი- პრეფიქსი დაერთვის, რომელიც ერთპირიან კონსტრუქციაში რეფლექსივის ნიშნად მიგვაჩნია და არა „ნასესხებად" აქტივის „სათავისო" ქცევისაგან (ამ ფუნქციას ფრანგულ ენაში უკუქცევითი ნაცვალსახელები ასრულებენ, რუსულში — უკუქცევითი ნაცვალსახელის „გაცვეთის" გზით მიღებული სუფიქსი (себя>ся). იგივე ი- პრეფიქსი სასუბიექტო ორიენტაციის გამომხატველია პირდარდაპირობიექტიან (ორპირიან) კონსტრუქციაში. როგორც ვთქვით, ავტოაქტივებს პირდაპირი ობიექტი არა აქვთ, მაგრამ შეიძლება გაუჩნდეს იგი: „სწავლობს გიგლა ტიტინა.." — მაგრამ: „გიგლა სწავლობს გაცვეთილს"; „გიგლა კარგად ხატავს, კარგად წერს", მაგრამ: „გიგლა ხატავს პორტრეტს, წერს ლექსს". ასეთი სრული კონსტრუქციის ფორმა მეორე ქვეჯგუფში გადავა.

2) განსხვავებით პირველი ქვეჯგუფისაგან, მეორე ქვეჯგუფის ზმნები პირდაპირგარდამავალია, ისინი მოქმედების პროცესს გამოხატავენ, მათი სუბიექტი აქტიურია, მაგრამ, განსხვავებით პირველი ქვეჯგუფისაგან, მათ საამოქმედო პირდაპირი ობიექტი აქვთ; კონსტრუქცია ამათაც ცვალებადი აქვთ — სუბიექტის ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი, პირდაპირი ობიექტისა — მიცემითი და სახელობითი, ირიბისა — მიცემითი.

ამგვარად, I ჯგუფი, რომელსაც თემა და კონსტრუქცია აერთიანებს, I დიათეზას ქმნის, რომელიც შეიცავს არასრული და სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფებს, რომელთაგან პირველი მოქმედების მდგომარეობას გამოხატავს და, ამდენად, სტატიკურობის შინაარსს შეიცავს, II კი მოქმედების პროცესს გამოხატავს და, ამდენად, დინამიკური შინაარსისაა; I ქვეჯგუფი ძირეულია, ამოსავალია II ქვეჯგუფისათვის როგორც სტრუქტურის, ასევე კონსტრუქციის თვალსაზრისით (*კანკალებს ის >ა-კანკალებს ის მას, ცხოვრობს ის > ა-ცხოვრებს ის მას*).

ამ ჯგუფს შეიძლება ერგატიული კონსტრუქციის დიათეზა ეწოდოს (სუბიექტის სპეციფიკური ბრუნვის მიხედვით).

გვარის მიხედვით I დიათეზის I ქვეჯგუფის ერთპირიანი (ერთვალენტიანი) ზმნები რეფლექსიებია, აუტოაქტივებია, გარდაუვლებია (*კანკალებს ის,*

წუხს ის, იძინებს ის, იძახის ის). ორპირიანები კი ირიბგარდამავალნი (*შეხვლა მან მას*). მეორე ქვეჯგუფის ზმნები – აქტიურებია. გარდამავლობის მიხედვით ესენი პირდაპირგარდამავალი ზმნებია.

II ჯგუფი, რომელსაც, ასევე, სტრუქტურა და კონსტრუქცია აერთიანებს, ქმნის II დიათეზას, რომელიც შეიცავს ასევე, არასრული და სრული კონსტრუქციის ქვეჯგუფებს, რომელთაგან I ქვეჯგუფი სტატიკურია და II კი დინამიკური; I ქვეჯგუფი აქაც II-ის საფუძველია როგორც სტრუქტურულად, ასევე კონსტრუქციულად (*გდ-ი-/ხარ/ > ე-გდ-ებ-ი*). ამ სტრუქტურის ზმნებს არ ახლავს პირდაპირი ობიექტი, მათი კონსტრუქცია სტაბილურია: სუბიექტი საშსავე სერიაში სახელობითშია, ირიბი ობიექტი – მიცემითში.

ამ ჯგუფის ორპირიან ზმნებს შეიძლება ირიბგარდამავალი ზმნები ვუწოდოთ. ეს ჯგუფი ნომინატიური კონსტრუქციის დიათეზაა. გვარის თვალსაზრისით ამ დიათეზის I ქვეჯგუფის ზმნები ნეიტრალურნია, II ქვეჯგუფის ზმნები კი სუბიექტის აქტიურობა-პასიურობის მიხედვით შეიძლება ავტოაქტიურებიც იყვნენ და ირიბგარდამავალი აქტიურებიც, რადგანაც, თუ ამოვალთ ენებითი გვარის უნივერსალური სემანტიკური განსაზღვრებიდან, რომლის მიხედვითაც ენებითი გვარისაა ზმნა, რომლის სუბიექტიც თვითონ კი არ მოქმედებს, არამედ განიც-დის მოქმედებას, R-ი, R-ებ-ი სტრუქტურა არ არის აუცილებლობით დაკავში-რებული ენებით გვართან: 500-მდე ე- და ა-პრეფიქსიანი ზმნა (*ელაპარაკება, ეჩხუბება, ეკიბრება, აცხრება, ახტება...*) აქტიურსუბიექტიანია, 100-მდე ი- პრეფიქსიანი ე. წ. „დეპონენსი" ავტო-აქტიანია (რეფლექსივია) ასევე. ი-/ე- პრეფიქსიანი კონვერსიული ავტოაქტიური და აქტიურსუბიექტიანი ზმნებია (*იმალება ბავშვი. ემალება ბავშვი დედას*); „ობება" ტიპისა და -დ სუფიქსიანი ნასახელარი დინამიკური ზმნები შინაარსით ავტოაქტიურებია. ენებითის შინაარსი კი ძირითადად ებ-ი სტრუქტურის უსულო სუბიექტიან ზმნებთანაა დაკავშირებული [მელიქიშვილი, 2001, 61-70; პარადიგ-მები: №№ 10 (44), 11(45), 12(46), 14(48), 15(49), 16(50)].

III ჯგუფი. რომელსაც დატიური კონსტრუქცია აერთიანებს, ნარევი სტრუქტურისაა და ქმნის III დიათეზას, რომელსაც შეიძლება დატიური კონსტრუქციის დიათეზა ვუწოდოთ, რადგანაც ამ ზმნების სუბიექტი სტაბი-ლურად მიცემით ბრუნვაში დგას.

ამ დიათეზაშიც ორი ქვეჯგუფი გამოიყოფა: I ქვეჯგუფის ზმნები უძველესი სტრუქტურისა და კონსტრუქციის ძირეული ზმნებია. შინაარსით ისინი სულიერი მდგომარეობის გამომხატველი სტატიკური ზმნებია, რომელთა სუბიექტი სულიერი მდგომარეობის განმცდელი, ანუ სუსტი ნებელობის მქონე პირია (*უყვარს მას, სძულს მას, უჭირს მას /ის/*).

ამ ზმნათა სწორედ ეს უძველესი, დატივური კონსტრუქცია აღმოჩნდა ამოსავალი ნიმუში ქართული ენის პოლიპერსონალურ ზმნაში არსებული პოტენ-ციის (შესაძლებლობის) განხორციელებისათვის: კერძოდ, დინამიკური ზმნების –

როგორც I დიათეზის კაუზატიური სტრუქტურის ზმნათა, ასევე II დიათეზის სტრუქტურის ზმნათა ინვერსიის შედეგად მიღებულ იქნა არამატერიალური, სულიერი მოქმედების განმცდელი სუსტი ნებელობის სუბიექტის მქონე ზმნების ახალი ქვეჯგუფი: (*აკანკალებს შიში, სიცივე მას — აკანკალებს შიშ/ისაგან/, სიცივ/ისაგან/ მას, ახველებს ის (მას) — ესველება მას, ანატრებს ის მას მას — ენატრება მას ის...*).[1]

სწორედ სუბიექტის აქტიური და პასიური ნებელობის მიხედვით უპირისპირდება ერთმანეთს იდენტური სტრუქტურის, მაგრამ სხვადასხვა კონსტრუქციის ფორმები: *ამცხიკვებს ის > ამცხიკვებს მას, აცემინებს ის > აცემინებს მას, ახველებს ის > ახველებს მას...* და აქედან შემდეგ, I დიათეზის ზმნათა ანალოგიით ვრცელდება II დიათეზის სტრუქტურის ზმნებშიც: ემთქნარება მას, ეცემინება მას, ემცხიკვება მას, ეხველება მას და ა. შ. და ასე, იქმნება მთელი სისტემა, რომელიც გენერაციის დიდი უნარით ხასიათდება [მელიქიშვილი 2001, 344-346, III დიათეზა, პარადიგმები №7(59)-№14(66)].

სიტყვას აღარ გავაგრძელებთ I დიათეზის ზმნათა III სერიის ფორმების ინვერსიის თაობაზე (მელიქიშვილი 2001, 19-31), რამაც „უნახობისა" და „უნებლიობის" სემანტიკა შესძინა ამ ფორმებს სწორედ იმის გამო, რომ მიწერია/მიგდია ტიპის სტატიკურ ზმნათა გადინამიკურების (>დამიწერია-/დამიგდია) შედეგად ამ ფორმებში სუბიექტის გაგება შეიძინა მიცემითში დასმულმა პირმა და შესაბამისად, სუბიექტის მარკერის ფუნქცია დაეკისრა მ-ს რიგის პრეფიქსს, რომელიც ისტორიულად უძველესი ფორმაციის „აფექტურ" — („მიყვარს" ტიპის) ზმნებში სულიერი მოქმედების განმცდელი სუბიექტის მარკერია.

ამგვარად, უნებლიობის სემანტიკის გამოხატვა III სერიაშიც და, საზოგადოდ, ქართული ზმნის უღლების სისტემაში დაკავშირებულია მ-ს რიგის პრეფიქსთან, ანუ მიცემითში დასმული პირის (რომელიც ფუნქციით სუბიექტია) მარკერთან (*ვ-იხსენებ — მ-ახსენდება, ვ-ივიანებ — მ-აგვიანდება, ვ-იკინი — მ-ეკინება, ვ-ილიმი — მ-ელიმება, ვ-ილვიძებ — მ-ელვიძება. ვ-ტირი — მ-ეტირება, ვ-ინდომებ — მ-ინდება/მ-ენდომება, ვ-ნანობ — მ-ერანება, ვ-ნატრობ — მ-ენატრება, ვ-იფხან — მ-ეფხანება, ვ-იქსვებ — მ-ექსვება...*).

როდესაც ზმნური ფორმების მორფოლოგიური აღწერა ხდება (განსაკუთრებით ენათა მასპანური, კომპიუტერული დამუშავებისას) ცხადია, არ არის მიზანშეწონილი ლოგიკური ცნება-ტერმინების გამოყენება: ეს არის პრინციპული მეთოდოლოგიური საკითხი, რომლის დასაბუთებასაც მიეძღვნა არნ. ჩიქობავას ფუნდამენტური ნაშრომი სინტაქსში — „მარტივი წინადადების პრობლემა

---

[1] ეფიქრობთ, ახსნა არ სჭირდება იმას, თუ როგორ ჩაიძირა ცნობიერებაში კაუზატიური ფორმის „მაიძულებელი" პირი, ანუ „ინიციატორი" და როგორ ამოტივტივდა და სუბიექტად გაცნობიერდა პირი, რომელსაც რეალურად „მოსდიოდა" კანკალი, ანუ რეალურად კანკალებდა სხვისი ზემოქმედებით.

ქართულში" (1928; 1968),[2] ისიც ცხადია, რომ პირის ნიშნისა და ბრუნვის ნიშნის ურთიერთდამოკიდებულება ქართული ენის ისტორიის მანძილზე არ შეცვლილა, ანუ ფორმალური სისტემა უცვლელია (ვინის რიგის ნიშნები კვლავ ნომინატივთან და ერგატივთანაა დაკავშირებული, ხოლო მ-ს რიგისა — დატივთან და ნომინატივთან, თუ ეს უკანასკნელი მოთხრობითთან — ერგატივთანაა კომბინაციაში და, მაშასადამე პირდაპირი ობიექტის ფუნქციას გამოხატავს), მაგრამ ქართული მარტივი წინადადების ევოლუციის პროცესში დაირღვა პირდაპირი შესაბამისობა სემანტიკასა და მორფოლოგიურ ელემენტებს შორის. შეიცვალა პირის ნიშანთა ფუნქციური მიმართება ანუ I დიათეზის ორივე ქვეჯგუფის III სერიისა და III დიათეზის II ქვეჯგუფის ფორმებში მოხდა პირის ნიშანთა ფუნქციების ინვერსია (მელიქიშვილი 2001), რაც უეჭველია, უნდა იქნეს ასახული თანამედროვე ქართული ენის პირის ნიშანთა ფუნქციურ ცხრილში.

დიათეზების მიხედვით სუბიექტურ და ობიექტურ პირის ნიშანთა სისტემა თანამედროვე ქართულში შემდეგნაირად გამოიყურება:

— სუბიექტური პირის ნიშნები ვ-ს რიგისაა I დიათეზის I და II სერიის ფორმებში და II დიათეზის სამსავე სერიაში.

— სუბიექტს მ-ს რიგის ნიშნები გამოხატავს I დიათეზის III სერიაში და III დიათეზის სამსავე სერიაში.

შესაბამისად:

— ობიექტური პირის ნიშნები ვ-ს რიგისაა I დიათეზის III სერიაში და III დიათეზის სამსავე სერიაში, ხოლო მ-ს რიგისაა I დიათეზის I და II სერიის ფორმებში და II დიათეზის სამსავე სერიაში.

ამგვარად, თანამედროვე ქართულში სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნების ცხრილი ასეთ სახეს მიიღებს:

---

[2] როგორც ცნობილია, იმის გამო, რომ ქართული ზმნის ლოგიკური სუბიექტ-ობიექტი ყოველთვის არ უდრის რეალურს, არნ. ჩიქობავამ შემოიტანა სინტაქსური ცნებატერმინები: „კოორდინაცია" და „კოორდინატები", რაც საშუალებას იძლევა ზუსტად აღიწეროს ქართული შესიტყვების სტრუქტურა-შექანიზმი. ფორმალური ანალიზის დროს და კომპიუტერული დამუშავებისას დღეს უფრო მოსახერხებლად თვლიან „ნეიტრალური" ტერმინის — „აქტანტის" გამოყენებას (იხ. ქ. დათუკიშვილი, პირის ნიშანთა სისტემა ქართულში, კრებ. „ზურაბ ჭუმბურიძეს", თბ. 1997, გვ. 63). ჩვენც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ ტერმინის საჭიროების მიხედვით გამოყენება (დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ. 2001, გვ. 19), თუმცა, ეს ტერმინიც შეიძლება ლოგიკური თვალსაზრისით დეზინფორმაციული იყოს (მისი აქტიური შინაარსის გამო) და ჯობს გამოვიყენოთ არნოლდ ჩიქობავას მიერ შემოთავაზებული სინტაქსური ტერმინები (დიდი კოორდინატი, მცირე კოორდინატი), რომლებიც ქართული ზმნის სინტაქსურ მექანიზმს ადეკვატურად გამოხატავს.

პირის ფუნქციები		I დათეზა (S-nom.-erg.) I-II სერიებში II დათეზა (S-nom.-nom.) I-II-III სერიებში		I დათეზა (S-dat.) III სერიაში III დათეზა (S-dat.) I-II-III სერიებში	
ნიშნები რიგითობის მიხედვით		მხოლობითი	მრავლობითი	მხოლობითი	მრავლობითი
სუბიექტი	1.	ვ-	-თ	მ-	გვ-
	2.	Ø-, ხ-	-თ	გ-	-თ
	3.	-ს, -ა, -ო	-ენ, -ან, -ნ, -ნენ, -ეს	Ø-, ჰ-, ს-	-თ
ობიექტი	1.	მ-	გვ-	ვ-	-თ
	2.	გ-	-თ	Ø-	-თ
	3.	ირიბი ობიექტი Ø-, ჰ-, ს-,	- Ø, -თ		
		პირდაპირი ობიექტი Ø-, ჰ-, ს-,	-Ø	-ს, -ა	-Ø

ლიტერატურა

დათუკიშვილი 1997 – ქ. დათუკიშვილი, პირის ნიშანთა სისტემა ქართულში, კრებ. „ზურაბ ჭუმბურიძეს", თბ. 1997.

მელიქიშვილი 2001 – დ. მელიქიშვილი, ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ. 2001.

ჩიქობავა 1928; 1968 – არნ. ჩიქობავა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, 1928; 1968.

Damana Melikishvili

Towards the Principles of Classification and Qualification of the Conjugable Forms of the Geogian Verbs

Summary

In any empirical science, particularly in linguistics, in defining a subject or phenomenon the logical rules of division of a concept, the unity of the principle of classification and the principle of immanentism should be observed, and the diachronic (historical) and synchronic aspects should be demarcated.

Overlooking and violation of these self-evident principles lead to the uncertainty of the classification and definition of linguistic forms or phenomena – frequently to error and disinformation.

In this respect, Akaki Shanidze's principle of division of the conjugable forms of the Georgian verb into series and screeves is an example of the observation of the historical, morphological and syntactic principles of classification which yield the same result (classification). However, the situation is complex in Georgian grammatical literature in the sphere of qualification of such important categories as the system of expressing the person of the verb and the related problem of "inversion", the problem of defining the categories of voice and version, and in this connection, the problem of a logically valid classification of the conjugable forms of the Georgian Verb.

Arnold Chikobava showed what inconsistencies result from the violation of the principle of immanentism in Grammar, how syntactic/grammatical concepts should be formed (this is a methodological question, which is analysed in his "Problem of the Simple Sentence in Georgian" 1928, 1968).

The mix-up in the diachronic and synchronic aspects, qualification of a historical phenomenon from the synchronic point of view, operation at the same time with logical concept-terms (subject-object) in the approach to the phenomenon of inversion in the Georgian verb resulted in a non-adequate reflection of the real function of personal markers in the personal marker system of the modern Georgian verb; the wrong determination of classes-species relationship led to an inconsistency of definition and real situation in the sphere of the classification-qualification of the "grammatical"categories of voice and "version": voice and "version" are defined from the semantic point of view and verbal models (vowel prefixes, suffixes), which belong to other formal-class concepts, are considered to be characteristic traits of these "grammatical categories".

Argumentation is a logically valid principle of classification of the conjugable forms of Georgian verbs according to the morphological structure and syntactic construction (D. Melikishvili, "The Conjugation System of the Georgian Verb", Tbilisi, 2001).

This approach removes the contradictions existing in Georgian grammatical literature in connection with the system of expression of the categories person, voice and "version" in Georgian.

დამანა მელიქიშვილი

ქართული ენის მდგომარეობა დღეს, 2008 წლის 14 აპრილისათვის

მსოფლიო ისტორია გვიჩვენებს, რომ კულტურული თუ პოლიტიკური გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესი ყოველ ეპოქას ახასიათებს – ჩვენ მრავალგზის მოგვიხდა ამ პროცესების გავლა და გადალახვა: ელინიზაციის ეპოქაში, როდესაც ფარნავაზ მეფემ შემოიღო "მწიგნობრობა ქართული" და მას შემდეგ "ქართლსა შინა არა იზრახებოდა სხუა ენა, თვინიერ ქართულისა", არაბობისა და ბიზანტიურ ხანაში, როდესაც შეიქმნა ქართული ეროვნული თვითშეგნების ბრწყინვალე ნიმუშები – "აბოს მარტვილობა" და "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება", რომელიც გვაუწყებს, რომ ქართულ ენაზე ამეტყველდა სრულიად ახალი მსოფლმხედველობა; ქართული სახელმწიფოს ძლიერების პიკში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში, ქართული ენა მეტოქეობდა ელინთა "ენამზეობასთან", რომლისაგანაც მან (ისევე. როგორც მთელმა ქრისტიანულმა სამყარომ) ბევრი რამ სასიკეთო შეითვისა. აღმოსაელური (სპარსულ-თურქული) გლობალიზაციის პროცესსაც როგორღაც გაუძლო ქართულმა ენამ; ილიასა და სამოციანელების წყალობით რუსიფიკაციის ძლიერ შემოტევას დააღწია თავი; დაბოლოს, კომუნისტური გლობალიზაციის ეპოქაში, სულ ოცდაათი წლის წინ, იყო 14 აპრილი – ქართული ენის გამარჯვების დღე – სწორედ 14 აპრილმა დაგვარწმუნა, რომ სამოცდაათწლიანმა მარწუხებმა ვერ შეძლეს მრავალათასწლეულოვანი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩახშობა, რომ ეს ასე ადვილი არ ყოფილა.

იმედია, რომ დღეს, ამ ახალი გლობალიზაციის ძლიერ შემოტეეასაც გაუძლებს ქართული ენა, მიიღებს თავისთვის სასარგებლოს, გამამდიბრებელს, ხოლო "ჯერკუალს განაგდებს". მაგრამ ამისათვის უნდა იზრუნოს სახელმწიფომ, მწერლობამ, და, პირველ რიგში, მთელმა ერმა – საზოგადოებამ, რომლის კონსოლიდირებულ პოზიციას საქართველოს ისტორიის უმძიმეს ეტაპებზე გადამწყვეტი როლი შეუსრულებია. დღეს განსაკუთრებული როლი ენიჭება ე.წ. "მეოთხე ხელისუფლებას", მასმედიას, რომლის, სამწუხაროდ, საკმაოდ დიდი ნაწილი "პირველ" ხელისუფალთა გარკვეულ ნაწილთან ერთად დამარცხებული ქვეყნისათვის დამახასიათებელი ეროვნული ნიჰილიზმითაა შეპყრობილი, რასაც ქუჩებში გამოფენილი აბრები და რადიო-ტელევიზიის დიქტორთა მეტყველებაც მოწმობს.

ქართული ენის დაცვის საქმეში უდიდეს როლს ასრულებს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, რომელიც ღვთისმსახურებას, როგორც წესი, ძველი ქართული ენით

აღასრულებს, იგი ქართულ ენას აკავშირებს თავის პირველწყაროსთან, სიცოცხლეს აძლევს იმ ძარღვს, რომელიც ამთლიანებს ქართულ ცნობიერებას, ქართული ენისა და ქართველი ერის ისტორიას.

დღეს ქართული ენის ბედი ეროვნულ სკოლას და უმაღლეს სასწავლებლებს, პირველ რიგში – ქართულ უნივერსიტეტს აბარია და ამ უკანასკნელთა ბედი კი სახელმწიფოს ხელშია. არაერთხელ გვითქვამს და კიდევ გავიმეორებთ: ისტორია გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო პოლიტიკა და, საზოგადოდ, სახელმწიფოს მდგომარეობა პირდაპირ აისახება ენაზე და განსაზღვრავს ამ სახელმწიფოს ენის მდგომარეობას. და პირიქითაც, ენის მდგომარეობა სახელმწიფოს მდგომარეობის, მისი პოლიტიკური მიმართულების მაჩვენებელია: XIV საუკუნიდან მოყოლებული, როდესაც უშუალო კავშირი ბიზანტიასთან თანდათან სუსტდება და ბოლოს, სრულიად წყდება და იცვლება აღმოსავლეთთან პოლიტიკურ-კულტურული კონტაქტებით და შესაბამისად – გაელენებითაც, მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკურმა მდგომარეობამ, ქვეყნის დაქსაქსულობამ, სახელმწიფოებრივი მმართველობის კრიზისმა და არასტაბილურობამ თავისი მძიმე კვალი დაუტოვა ქართულ ენას, კერძოდ, მის ლექსიკურ ფონდს, რომელშიც ქართული სიტყვის ადგილი დაიჭირა სპარსულ-თურქულმა ლექსიკურმა ნასესხობებმა. წინა ეპოქების, და, განსაკუთრებით დავითისა და თამარის ბრწყინვალე ეპოქის მოღვაწეთა შეგრებული და პრინციპული დამოკიდებულება – მხოლოდ ქართულ ძირებზე დაყრდნობით, ქართული აფიქსებით შეექმნათ ქართული სპეციალური ტერმინოლოგია, შეიცვალა სრული ინდიფერენტიზმითა და უკონტროლობით: არ ჩანს არავითარი ძალისხმევა ქართული შესატყვისი ტერმინების მოძიებისა თუ შექმნისა, როგორც ამას ვხედავთ წინა, კლასიკური პერიოდის ძლიერ ლიტერატურულ-მთარგმნელობითს სკოლებში. ქართული სალიტერატურო ენა, თუ შეიძლება ითქვას, მდინარებასაა მიცემული, მიშვებულია თავის ნებაზე, ემორჩილება ცოცხალ მეტყველებას, რადგანაც აღარ არსებობს გეზის მიმცემი და "ენის კანონის დამდები" სალიტერატურო სკოლები, მკაცრი დამცველი სალიტერატურო ენის ნორმებისა და მთარგმნელობითი პრინციპებისა. ამიტომაცაა, რომ ე.წ. გარდამავალი პერიოდის ტექსტების ენისათვის დამახასიათებელია ფორმათა დიდი სიჭრელე, რაც, როგორც ზემოთაც ვთქვით, ქართული სახელმწიფოებრიობის დაკნინებისა და არასტაბილური მდგომარეობის შედეგია და სრულიად განსხვავდება XI-XII საუკუნეთა ძლიერი საქართველოს მთარგმნელ-ავტორთა ღრმად გაცნობიერებული დამოკიდებულებისაგან ქართული მეცნიერული ენისადმი.

ენისადმი დამოკიდებულება სახელმწიფოებრივ აზროვნებაზე მეტყველებს. ენა – განათლების საფუძველია. სახელმწიფომ, თუკი მას დამოუკიდებლობისა და თავისუფალების პრეტენზია აქვს, თუკი ის თავისი თავის პატრონია, უნდა განსაზღვროს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი და გამოსცეს ენის კა-

ნონი, სადაც გაწერილი იქნება ყველა დეტალი სახელმწიფო ენის ფუნქციონირების შესახებ (ამ მხრივ სამაგალითოა საფრანგეთის ენის კანონი და კარგი იქნებოდა, თუ ჩვენი ქვეყნის მესვეურები გაეცნობიან მას); განათლების სტრატეგიაში ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, პრიორიტეტად უნდა გამოაცხადოს და საქართველოს მოქალაქეებისათვის, ქართველებისა და არაქართველებისათვის, განურჩევლად ეთნიკური და ეროვნული წარმომაველობისა, ხელი შეუწყოს მის შესწავლას და სათანადო პირობები შექმნას ამისათვის როგორც სკოლებში, ასევე უმაღლეს სასწავლებლებში. ამ მხრივ განათლების სამინისტრო გარკვეულ ნაბიჯებს დგამს (სახელმძღვანელოთა პროექტების დაფინანსების, არაქართველი მოსახლეობისათვის ქართული ენის შესწავლის პროექტების, ე.წ. ტრენინგების და სხვ. სახით), მაგრამ ეს არ არის საკმარისი. გლობალიზაციის დღეანდელ პირობებში სრულიად ახალი, ურთულესი ამოცანები დადგა ეროვნული ენებისა და, მათ შორის, ქართული ენის წინაშე: გადაუდებელი ამოცანაა საინფორმაციო სივრცეში ქართული ენის სრულფასოვანი ჩართვა, რისთვისაც აუცილებელია კომპიუტერული ენის "გაქართულების" პროცესის დაჩქარება. "დაჩქარებაო", ვამბობთ იმიტომ, რომ პროცესი დაწყებულია და მოკლე დროში საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგებია მიღწეული როგორც ინტერნეტისა და საინფორმაციო სივრცის ათვისების, ასევე საოპერაციო სისტემების, გამოყენებითი და ენობრივი პროგრამების დამუშავების სფეროში (ამ პროცესში ჩართულია ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მასთან არსებული ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფი და ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტები: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი და ქართული ინფორმატიკული-ლინგვისტური ცენტრი, ა. ელიაშვილის სახელობის მართვის სისტემების ინსტიტუტი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტი და სხვ.). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ვფიქრობთ, უფრო ქმედითად და აქტიურად უნდა ჩაებას ამ მიმართულებით პროექტების დაფინანსებაში.

მაგრამ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროგრამები და მათი სიმრავლე, რომლებიც ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებას ისახავენ მიზნად, პრობლემას ვერ გადაწყვეტენ, თუკი ქართული ენის შესწავლა და სწავლება ფუნდამენტურ მეცნიერებას არ დაეყრდნო.

დღეს ყველაზე დიდი პრობლემა კვალიფიციური კადრების პრობლემაა და ეს პრობლემა თანდათან კიდევ უფრო გაიზრდება, თუ არ მოგვარდა სწავლების პროცესის ორგანიზებისა და სახელმწიფო თანადაფინანსების საკითხი. როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება, თუ არა სწავლების პროცესის მაღალ დონეზე ორ-

განიზებით? აქ ფინანსური სირთულეები მოსატანი არ არის. ფინანსური პრობლემების მოგვარება ამ დარგის მესვეურებმა უნდა იკისრონ და ისიც გაითვალისწინონ, რომ, თუ ამ საქმეს არ მოუარა, საბოლოოდ ფინანსური ზარალი გაცილებით დიდი იქნება. სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, გვინდა თუ არა ქართულად მოლაპარაკე და მოაზროვნე მოქალაქეები და მეცნიერების განვითარება ქართულ ენაზე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ქართული ენის კელეეის, შესწავლისა და სწავლების მთავარი ცენტრი იყო მისი დაარსებიდანვე. დღეს ქართული ენის კელეეისა და სწავლების ყველა პროგრამას ერთი სრული პროფესორი უძღვება -- ეს, სამწუხაროდ, იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად არ არის ჩვენთან გაცნობიერებული, რომ ქართული ენის შესწავლისა და სწავლების ცენტრი საქართველოა და რომ ქართული ენის შესწავლა მხოლოდ ბრუნვის ნიშნებისა და მართლწერის ცოდნას და, თუნდაც მხოლოდ ქართული ლიტერატურის სწავლებას არ გულისხმობს, არამედ ეს ნიშნავს ქართულად აზროვნების განვითარებას, ქართული მეცნიერული ენის წინსვლას, ფიზიკურ და მეტაფიზიკურ პრობლემებზე ქართულ ენაზე მსჯელობის წარმართვას, იოანე პეტრიწის სიტყვებით რომ ეთქვათ, "გონიერთა ხედვათა მომმარჯვი ენის" შექმნას (თუნდაც სხვა, ამ მხრივ უფრო განვითარებული ენის მოდელების მიხედვით, როგორც ამას ჩვენი წინაპრები და მთელი განათლებული ევროპა ბერძნული ენის გავლენით აღწევდნენ). დაფიქრდეთ იმაზე, განა რატომ ღვრიდნენ ამდენ ოფლს და ეურემ მცირის მოკრძალებული სიტყვებით რომ ვთქვათ, რატომ ირჩევდნენ "მცირედ ჭირს" ჩვენი ძველი მწიგნობარნი და "მეცნიერნი ბერძულისანი" რომ, რაც შეიძლება სწრაფად აეთვისებინათ, ადეკვატურად ეთარგმნათ ბერძნულიდან ფილოსოფიურ-თეოლოგიური ლიტერატურა?! განა ვინც თარგმნიდა და ვისთვისაც თარგმნიდა, მისი განათლებისა და განვითარებისათვის არ კმაროდა ბერძნულ ენაზე წაკითხვა ამ ლიტერატურისა? მაგრამ მათ ქართული ენის განვითარებით, მისი "ელლინთა ენამზეობასთან" გატოლების გზით უნდოდათ შეეტანათ განათლება თავის ერში. სწორედ მათ ჩაუყარეს საფუძველი ქართულ მეცნიერულ ენას და ჩვენ მოვალენი ვართ მათ წინაშე, რომ არა თუ დავმარხოთ ეს "ტალანტი", არამედ გავამრავლოთ და განვავითაროთ.

ქართული ფილოლოგიის ისტორია; ქართველურ ენათა (ქართულის, სვანურის, მეგრულის) გრამატიკა; ქართული ენის ისტორიული გრამატიკა; ქართული დიალექტოლოგია; ქართული ლექსიკოლოგია; ქართული სპეციალური ენა ტერმინოლოგიითურთ; ტოპონიმიკა-ონომასტიკა; ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა და პრაგმატიკა; მწერლის ენა; ქართული ენა და მედია; ქართული თარგმანის ენა და ისტორია; ქართული ენის დიდაქტიკა; ქართული – დედაენა; ქართული – მეორე ენა; ქართული ენის ელექტრონული დამუშავება... აი, ჩამონათვალი იმ მიმართულებებისა, რომლებიც

საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტში თუ უნივერსიტეტებში უნდა ისწავლებოდეს და კვლევის საგანიც უნდა იყოს! მაგრამ არის განა დღევანდელ დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოში ამისათვის სათანადო პირობები?! – უნივერსიტეტი ხომ კვლევითი ინსტიტუტებისაგან შედგება და, მაშასადამე, კვლევის საშუალებასაც უნდა იძლეოდეს, მაშინ მაინც, როდესაც ეს ქართველ მეცნიერთა მიერ სხვადასხვა კონკურსებში მოპოვებული სამეცნიერო პროექტების "გრანტებით" ფინანსდება. საშწუხარო და გაუგებარია, რატომ აღარ არსებობს უნივერსიტეტის სტრუქტურაში ამგვარი გრანტებით დაფინანსებული კვლევითი ლაბორატორიები "ორიონი" და "ქართული ონომასტიკის ცენტრი" (რომლის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა იმდენად ღრმად ჰქონდათ გაცნობიერებული საბჭოთა საქართველოს მაშინდელ მესვეურთ, რომ მას მინისტრთა საბჭო აფინანსებდა მეტროპოლიისაგან ფარულად) და რატომ დაიხურა დღეს, ინტეგრირებული სწავლებისა და გამოყენებითი ენათმეცნიერების ბუმის პერიოდში "მათემატიკური და გამოყენებითი ლინგვისტიკის" მიმართულება, რომლის ბევრი, სრულიად ახალგაზრდა კურსდამთავრებული ევროპის უნივერსიტეტების უაღრესად დაფასებულ სპეციალისტად ითვლება?!

დღეს ქართული ენის გადარჩენის საკითხი დგას. გავიმეორებ: 1. დღეს სახელმწიფომ უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა იგი ქართულ ენაზე მოლაპარაკეთა, მოაზროვნეთა და შემოქმედთა ქვეყანა. 2. უნივერსიტეტმა – უნდა თუ არა მას, რომ შეინარჩუნოს ფლაგმანის როლი ქვეყნის სტრატეგიული სიმდიდრის – ქართული ენის შესწავლისა და სწავლების საქმეში. და 3. სახელმწიფო (ანუ, როგორც ახლა უწოდებენ, "საჯარო") სკოლამ (რომელიც გაუაზრებელი "რეფორმისა" და დაუსრულებელი ექსპერიმენტების პირობებში სულს ღაფავს). ეს გადაწყვეტილება საქმით უნდა წარმოაჩინოს: საზეიმო ცერემონიები, აქციები და მემორანდუმები არც ეფექტურია და არც შედეგის მომტანი.

დამანა მელიქიშვილი

„გამოვედით, მუშაკნო ვენახისანო!“

(გაზეთი „შინაური საქმეების“ 100 წლისთავისათვის)

„გამოვედით, მუშაკნო ვენახისანო!“ — ასე მოუწოდა გაზეთი „შინაური საქმეების“ რედაქციამ ქართველ სამღვდელოებას 1908 წლის აპრილში და ამ ახლადდაარსებული გაზეთის ფურცლებიდან დაიწყო ჭეშმარიტი რჯულის ქადაგება რწმენადაკარგული ერისათვის. მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ქადაგების ამ ახალი, უჩვეულო ფორმის აუცილებლობა გამოიწვია იმან, რომ XX საუკუნის დასაწყისი საქართველოში აღინიშნებოდა ათეისტური აზროვნების გავრცელება-დამკვიდრებითა და რწმენასა და ეკლესიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლით. ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლისას მისი მოწინააღმდეგეები ფართოდ იყენებდნენ იმ დროისათვის უკვე საკმაოდ გავრცელებულ და პოპულარულ საშუალებას, ბეჭდვით სიტყვას. მოზღვავდა "გარედან მონაბერი" ათეისტური ლიტერატურის თარგმანები, ლიტერატურისა, რომელიც უარყოფდა ღმერთს, ქრისტეს მოძღვრების წილ ხალხს სთავაზობდა მატერიალისტურ-ევოლუციონისტურ მოძღვრებებს და სულიერებისაგან დაცლილ ლოზუნგებს. მატერიალური თანდათან სდევნიდა სულიერს და პრაგმატიზმი თელავდა ზნეობას. საქართველოს სამღვდელოებას დუმილი უნდა დაერღვია, პასუხი უნდა გაეცა ამ დაუნდობელი შემოტევებისათვის. ამიტომ მწვავედ დადგა საკითხი ქრისტიანული მოძღვრების ქადაგებისა ეკლესიის გარეთაც იმავე, ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით: „ახლა, როცა ცრუ მოძღვართა დაიჭირეს საპატიო ადგილი, ხალხს მოძღვარი ეჭირება, უამისოდ მას არ უცხოვრია და ვერც იცხოვრებს, რაც უნდა მაღალი შეიქმნეს მისი კულტურა: როცა ჭეშმარიტი მოძღვარი და წინამძღვარი არ არის, ცრუ მოძღვარნი იჭერენ მის ადგილს და ხალხიც მათ ემონება. სადაც ქრისტე არ არის, იქ მაჰმადია, იქ ბუდაა, იქ ზოროასტრია.. მაგრამ შეგვიძლია კი ხალხს მოძღვრობა გავუწიოთ გაზეთის საშუალებით? შეგვწევს თუ არა იმდენად ღონე, რომ ძლეულმოსილად გავუმკლავდეთ თანამედროვე ბნელ ძალებს? გვყეანან თუ არა ასეთი მებრძოლები?“—წერდა გაზეთის დამაარსებელი და რედაქტორი, მღვდელმოწამე სიმონ მეჭედლიძე თავის სარედაქციო სტატიაში.

ასეთი ჭეშმარიტი მოძღვარნი და თანამებრძოლნი საკმაოდ გამოუჩნდნენ გაზეთს. ესენი იყვნენ: მომავალი პატრიარქები საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა: წმ. კირიონ II (საძაგლიშვილი), რომელიც „ფერეიელის“ ფსევდონიმით ბეჭდავდა; ლეონიდე (ოქროპირიძე), კალისტრატე (ცინცაძე), წმ. ალექსი ბერი (შუშანია), საღვთო სჯულის სახელმძღვანელოების ავტო-

რები: გელათის მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ნესტორ ყუბანეიშვილი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე და სხვა მრავალი, ქრისტეს ვენახის ჭეშმარიტ მუშაკთა ჩვენთვის უცნობი სახელები (რადგან ბევრი მათგანი ფსევდონიმით ბეჭდავდა). თვით რედაქტორიც, მღვდელი სიმონ მჭედლიძეც სხვადასხვა სახელით აქვეყნებდა თავის წერილებს: საღვთისმეტყველო-სასულიერო ხასიათისას — „სანმანიანის" ფსევდონიმით, საზოგადოებრივ- პოლიტიკურს — „ბოსლეველის" ზედწოდებით, რომელიც მან თავისი ბიძის, ცნობილი პუბლიცისტის, წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის (ქიქოძის) მდივნის, 1885 წელს მეფის „ოხრანკის" აგენტებისაგან მოკლული ესტატე მჭედლიძისაგან აიღო და სხვ.

ქუთაისში დაარსებული ამ გაზეთის მიზანდასახულობა ქვესათაურშიე ივო გაცხადებული: „სარწმუნოებრივ-ზნეობრივ-საზოგადოებრივი გაზეთი". ამ ყოველკვირეული გაზეთის (რომელმაც მალევე თექვსმეტფურცლიანი ჟურნალის სახე მიიღო) დანიშნულებას მისი რედაქტორი ხედავდა საზოგადოების სულიერსა და ზნეობრივ აღზრდასა და დამოძღვრაში. მისი აზრით, გაზეთს ჭეშმარიტი მოძღვრის როლი უნდა შეესრულებინა, ჭეშმარიტი გზის ჩვენებით მას ხელი უნდა შეეწყო ერის სულიერი კრიზისიდან გამოყვანისათვის: დრომ მოიტანა და გაზეთი ეკლესიას უნდა დახმარებოდა ღვთისა და ქრისტეს ჭეშმარიტი მოძღვრებისაკენ ხალხის მობრუნებაში, რადგანაც საზოგადოება გზააბნეული იყო არა მხოლოდ პოლიტიკური და ათეისტური ლიტერატურის მოძალებით, არამედ სხვადასხვა რელიგიურ მოძღვრებათა, ოკულტურ და სექტანტურ მიმდინარეობათა პროპაგანდით.

ამ მოკრძალებული სახელწოდების გაზეთის თემატიკაში მკვეთრად გამოხატული ეროვნული მნიშვნელობის საკითხებია გაშუქებული.; დასავლეთის ეპარქიის ყოველდღიური ჭირ-ვარამისა და ჟ-კარგის ამსახველი ერისა და ბერის ცოცხალი წერილები სამეგრელოს, სვანეთის, იმერეთის, გურიის სოფლებიდან..

სიმონ მჭედლიძე

„გამოვედით, მუშაკნო ვენახისანო!" — მოუწოდეს მათ ქართველ სამღვდელოებას „შინაური საქმეების" ფურცლებიდან და ასე შეიქმნა XX საუკუნის ქართული აპოლოგეტური თხზულებების მთელი რიგი, როგორიცაა: „სახარება, როგორც ცხოვრებისა და ცივილიზაციის საფუძველი", „ქრი-

სტიანული აღზრდა ნებისა“, „რა მოაქვს უღვთოებას“, „საჭიროა თუ არა კაცისათვის რელიგია“, „სარწმუნოება და მისი უარისმყოფელნი ჩვენში“, „სჯული ბუნებრივი და სჯული გაცხადებული“, სერია წერილებისა — „სახარება, როგორც ცხოვრების საფუძველი“, მკითხველს სთავაზობდა ბიბლიურ მოთხრობებს ზოგჯერ ალეგორია-სიმბოლოების განმარტებითურთ. რეგულარულად ქვეყნდებოდა საღვთო წერილისადმი მიძღვნილი სტატიები, ფართოდ შუქდებოდა ქრისტიანული რელიგიის საკითხები. ამ სტატიების გამოქვეყნება დიდ სარგებლობას მოუტანდა თანამედროვე გზააბნეულ საზოგადოებასაც, რადგანაც, როგორც ზემოთაც ვთქვით, იმ დროისათვის ნიშანდობლივია არა მარტო ათეისტური ლიტერატურის მოძალება, არამედ სხვადასხვა რელიგიურ მოძღვრებათა, ოკულტისტურ და სექტანტურ მიმდინარეობათა პროპაგანდისტული ლიტერატურის გავრცელებაც, რაც ასე მოზღვავდა დღესაც.

გაზეთს მკვეთრად გამოხატული ეროვნული მიმართულება ჰქონდა. მის თემატიკაში გამოკვეთილი იყო ღრმა ეროვნული მნიშვნელობის საკითხები, დასავლეთ საქართველოს ეპარქიის ყოველდღიური ჭირ-ვარამისა და აე-კარგის ამსახველი ცოცხალი პუბლიკაციები სამეგრელოს, სვანეთის, გურიის, იმერეთის სოფლებიდან... ქართულ საეკლესიო გალობასთან დაკავშირებული პუბლიკაციები.

დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ გაზეთში სპეციალური წერილები ეძღვნებოდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებს. პუბლიკაციებიდან ირკვევა, რომ თვითმპყრობელური ხელისუფლება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას უკავშირებდა ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას, რომ ეკლესიის ავტოკეფალია წინამორბედი იყო სახელმწიფოებრივი ავტონომიისა და „საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა რუსეთის იმპერიისაგან,“ რომ „თავდადებულ ქართველ ავტოკეფალისტებს სარწმუნოების განდიდება კი არ აცხელებსო, არამედ პოლიტიკურად თავისუფალი საქართველოო.“ გაზეთში დაიბეჭდა და შემდეგ ცალკე წიგნაკადაც გამოიცა „შინაური საქმეების“ რედაქციაში ალ. ცაგარელის მოხსენება „მოწმობანი მე-17-18 საუკუნეთა ოფიციალური მიწერ-მოწერისა საქართველოს (ოერიის) ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ“ (რომელიც რუსეთის სინოდის ორგანოში, „Церковныя ведемости“-ში დაიბეჭდა 1906წ.). როგორც ჩანს, ალ. ცაგარელისავე უნდა ყოფილიყო სტატია „Мирянин“-ის ფსევდონიმით, „უუფლებო ეკლესია“, რომელიც „Петербургские ведемости“-ს 1910 წლის №114-ში დაიბეჭდა და „შინაური საქმეების“ ამავე წლის №26-ში გადმოთარგმნა სიმონ მჭედლიძემ. ამ სტატიაში პუნქტობრივ არის მოცემული დასაბუთება საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობისა.

„შინაურ საქმეებში“ ხშირად იბეჭდებოდა ქრისტიანული პოლემიკურ-აპოლოგეტური ხასიათის სტატიების მთელი სერიები, რომელთა შორის აღსანიშნავია სიმონ მჭედლიძის „სჯული და სჯული განცხადე-

ბული," რომელიც იმ დროს გავრცელებული ბუდისტური ლიტერატურის საპასუხოდაა დაწერილი და განსაცვიფრებელი სიცხადით აჩვენებს ქრისტიანობის არსობრივ განსხვავებას ბუდიზმისაგან, ქრისტიანული ზნეობის ღრმა საფუძვლების არსებობას ადამიანის ბუნებაში. აზროვნების სიღრმით, დასაბუთების სინათლითა და გადმოცემის სიმარტივით იპყრობს ყურადღებას მთელი სერია სტატიებისა, მიმართული ათეისტურ-ეთოლუციონისტური მოძღვრებების წინააღმდეგ, მოძღვრებებისა, რომლის ფართო პროპაგანდასაც ეწეოდა თავისი თარგმანებით ცნობილი ექიმი და ქველმოქმედი საზოგადო მოღვაწე. მაგრამ სასტიკი ათეისტი, სოციალ-დემოკრატი ივანე გომართელი. მწვავე პოლემიკა ამ ორ მოღვაწეს შორის იმდროინდელი მკითხველი საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო და დიდ აზრთა გაცვლა-გამოცვლას იწვევდა. სიმონ მჭედლიძის ამ მეტად საინტერესო პოლემიკურ სტატიებში მოცემულია ცდა ქვეყნის ღვთაებრივი შესაქმის დასაბუთებისა ბუნებისმეცნიერებათა (ფიზიკის, მათემატიკის, ფიზიოლოგიის, ფსიქოლოგიის) არგუმენტებით, რაც თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ მეცნიერებაში კრეაციონისტული მიმართულების პირველ ნაბიჯებად. ჩვენთვის, პირველ ყოვლისა, მნიშვნელოვანია და საგულისხმო ამ წერილების ავტორის მაღალზნეობრივი საზოგადოებრივი პოზიცია, რომელიც მას აიძულებს ხშირად სარკასტული, მკაცრი და დაუნდობელიც იყოს მისი მოწინააღმდეგის ანტიქრისტიანული აზრების შეფასებისას და კრიტიკისას. მისი მახვილი სიტყვა და ბასრი კალამი არ ერიდებოდა საერო თუ სასულიერო იერარქიის მაღალი ჩინების, თვით ეგზარხოსების მხილებასაც კი, თუკი ისინი ქრისტეს სარწმუნოებისა და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინაშე სცოდავდნენ და ახალგაზრდობის ჭეშმარიტი გზისაგან, ქრისტეს მცნებებისაგან გარდავლენას უწყობდნენ ხელს, საზოგადოებას ურწმუნობისა და ულვთობის უფსკრულისაკენ უბიძგებდნენ.

როგორც ცნობილ ქართველ მოღვაწეთა თუ რიგით მკითხველთა პუბლიკაციებიდან ირკვევა, სიმონ მჭედლიძეს არაერთხელ დაუყენებია სამღვდელოების საეპარქიო კრებებსა თუ, საზოგადოდ, საქართველოს საეკლესიო წრეებში, ზეპირად თუ საგანგებო პუბლიკაციებში, საკითხი სამღვდელოების საკუთარი საგამომცემლო ორგანოს დაარსებისა, საკუთარი გაზეთის, ჟურნალისა და სამისიონერო წიგნაკების გამოცემის მიზნით. ამასთანავე, იგი მიიჩნევდა, რომ ამისათვის ხელი უნდა მოეკიდებინა თვით სამღვდელოებას ან რომელიმე საზოგადოებას. სწორედ ამიტომ, მან თავის თანამდგომებთან ერთად დააარსა „იმერეთის-სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა," რომლის მიზანს შეადგენდა სწორედ ამგვარი წიგნაკების გამოცემა და ხალხში გავრცელება („შინაური საქმეები", 1910, № 30). სტამბასაც, რომელშიც იბეჭდებოდა „შინაური საქმეები" და საგანმანათლებლო წიგნები „ძმობა" ეწოდა. იგი მდებარეობდა ქუთაისში, საბურთალო-კაზაკოვის შესახვევში, № 17 სახლში, სადაც ცხოვრობდა მღვდელი სიმონ მჭედლიძე თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით.

ახალმოწამენი

„იმერეთის ეპარქიის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობა" ერთადერთი დაწესებულება იყო არა თუ იმერეთში, არამედ მთელი საქართველოს საეგზარხოსოში, რომლის დანიშნულება და მიზანი იყო სარწმუნოების აღდგენა და ქრისტიანობის განმტკიცება ხალხში, როგორც ქადაგებებით, „ისე ზეპირ მოძღვრებათა და ქრისტიანული წიგნაკების გამოცემის საშუალებით" სიმონ მჯუდლიძეს არაერთხელ დაუსვამს საკითხი როგორც საეკ-

ლესიო კრებებზე გამოსვლით, ისე გაზეთის ფურცლებზე სინოდის წინაშე, რომ „ეზარხოსის, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის განათლებული ყურადღება მიექციათ“ ამ ძმობისათვის, რათა მას საშუალება მისცემოდა, განეხორციელებინა ის მიზნები, რომლებიც დასახული ჰქონდა წესდებით. ხოლო, როცა ეზარხოსისაგან ყურადღებას ვერ ეღირსნენ და „ერძო პირთა შემწეობის იმედიც გადაუწყდათ, რედაქტორმა თავისი გაზეთის ფურცლებიდან მიმართა სამღვდელოებას: „როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი კურთხეული სამშობლო ძლიერ ღარიბია ქველმოქმედი პირებით, განსაკუთრებით კი ჩვენი ქველმოქმედნი პირნი (რომლებიც კი მოიპოვებიან), არ სწყალობენ არაუთარ სარწმუნოებრივ დაწესებულებას, რადგან თვით სარწმუნოება კაცობრიობის მეტ ბარგად მიაჩნიათ. ამიტომ ამ დაწესებულების აღორძინებას და განვითარებას თვით იმათ უნდა მიაქციონ ყურადღება, ვინც მოწოდებულნი არიან, დაიცვან ხალხში ქრისტეს წმინდა მოძღვრება. ასეთი პირები კი სამღვდელონი არიან და, საზოგადოდ, ეკლესიის მსახურნი. თუ სამღვდელოებამ ხალხში სარწმუნოების დაცვისათვის არ იზრუნა, მაშინ მისი მოწოდება გადაიქცევა სავაჭროდ, საზრდოს მოპოვების იარაღად, რაც, რა თქმა უნდა, დასცემს თვით სამღვდელოების გავლენას ხალხის თვალში, ხოლო ეს უკანასკნელი კი გამოიწვევს მის სულიერ და ნივთიერ სიღატაკეს“ („შინაური საქმეები.“, 1911, №2).

უნდა აღვნიშნოთ, რომ „იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობის“ დაარსებას სამღვდელოებისა და საერო საზოგადოების გარკვეული ნაწილი იმედითა და მოწონებით შეხვდა: „ჭეშმარიტად, მაგ დაწესებულებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სამღვდელოებისათვის. მადლი და კურთხევა უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა, იესო ქრისტესი იყოს მაგ ნორჩს, სიმპატიურს დაწესებულებაზე, პატივისცემა და სახელი მაგ დიდ საქმეში მოთავეს და მშრომელს“ — ვკითხულობთ კორესპოდენციაში ჭიათურიდან (1910 წ. 14 ივლისი). მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ მოწონება და შეძახილი არ კმაროდა, საჭირო იყო მატერიალური თანადგომა, რადგანაც „ძმობის“ გაზეთს ძალიან უჭირდა: „ჩვენ კმაყოფილი ვიქნებოდით, რომ მას (გაზეთს) აწყობისა და დაბეჭდვის ხარჯი გაესტუმრებიაო“, ვკითხულობთ ერთ-ერთ სარედაქციო წერილში, სადაც ლაპარაკია იმაზე, რომ გაზეთს მხოლოდ 300-მდე ხელისმომწერი ჰყავს და ისინიც ვერ ისტუმრებენ მის საფასურს. „სიღარიბეზე თუ ვიტყვით, არავინ ქართველ რედაქტორზე ღარიბი არ იქნება. მთელი თავისი ენერგია, ძალი და ღონე გამოცემას უნდა შესწიროს და თვითონ კი მშიერ-მწყურვალი ეგდოს. ამას კიდევ ზედ დაურთეთ ზნეობრივი ტანჯვა, რომ მის შრომას არავინ აფასებს... მაგრამ არა! ნურვინ გავამხელთ სიღარიბეს იქ, სადაც საქვეყნო, საერო და საეკლესიო საქმე კეთდება...“

რედაქტორს გული სტკიოდა იმაზე, რომ ისეთი სარწმუნოებრივ-ზნეობრივი მიმართულების გაზეთს, როგორიც „შინაური საქმეები“ იყო, სასულიერო წოდებაში ვერ მოეპოვებინა მაინცდამაინც ფართო გავრცელება:

„სამღვდელოებაშიც გაქრა სული კეთილმსახურებისა და სარწმუნოებისა, სამღვდელოება დაეცა სულიერად“, „მარილი განქარდა, სანთელი ხვიმირსა ქვეშე დაიდგა“ და ეხლა სამღვდელოებას უნდა გამოღვიძება და გამოკეთება. “ენა რომ მოგვჭრან, მაინც ვიტყვით, რომ სამღვდელოების ასეთი სიძაბუნე, დაქვეითება, დაზანტება, ყურმოთელილობა სარწმუნოებისადმი და თავისი მოვალეობის შეუგნებლობა უმეტეს შემთხვევაში სასულიერო მართებლობის ბრალია. მართებლობა გულგრილად ჰკდია თავის საქმეს... საჭიროა თავდადებული მოძღვრები, საჭიროა წიგნები, წიგნაკები, ჟურნალები, გაზეთები ხალხის და სამღვდელოების საკითხავად და განსავითარებლად. განა დიდი საქმეა, მღვდელმა წელიწადში ოთხმანეთიანი გაზეთი გამოიწეროს და ორი თუ სამი მანეთი საზოგადო, საღვთო სარწმუნოების საქმისთვის გადასდოს?“ (1910, № 26, „ჭირმა თავი არ დამალა“).

აი ასე ცდილობს გაზეთის რედაქტორი სამღვდელოების გამოცოცხლებას, აკლენს მის აკ-კარგს, ცდილობს დაანახოს სწორი გზა: „ეკლესიას დროის შესაფერისი სამღვდელოება ეჭირვებაო“, — წერს იგი. ახალი დროის შესაფერის სამღვდელოებაში კი განათლებულ სამღვდელოებას გულისხმობს: „უწინ თუ მწიგნობრობა და სწავლა, მეცნიერება სამღვდელოებიდგან გამოდიოდა, ეხლა იგი ისე დაიკეტა, რომ არა თუ რაიმე თვითონ გამოსცეს, არამედ მიმღეობის ნიჭიც კი დაკარგა. სწორედ ამით აიხსნება ის სამწუხარო მოვლენა, რომ საზოგადოდ ლიტერატურა და, კერძოდ, საღვთისმეტყველო, ვერ იკიდებს ფეხს დღევანდელ მოძღვართა შორის“ (1910, № 26). სიმონ მჭედლიძის აზრით, ამას იმით ეშველება, რომ საჭიროა „ჩვენი საღვთისმეტყველო ლიტერატურის გამდიდრება, როგორც ძველი ჩვენი მამების ნაწერების გამოცემით, ისე ნათარგმნებითაც“ (1910, № 11, „საქმისთვის ვერ მიგვიგნია“). მან გზა გაუხსნა თავისი გაზეთის ფურცლებზე ძველი საეკლესიო წიგნების შესწორების თაობაზე დისკუსიას და საბოლოოდ დაასკვნა, რომ ამ საქმისათვის ჯერ მზად არა ვართ, არც სამღვდელონი და არც საერონი და, რომ ჯერ საჭიროა ღრმა შესწავლა ჩვენი ენისა და ძველი მემკვიდრეობისა, რადგანაც ახლა „ყველა გამსწორებელს თავისი გრამატიკა უდევს ჯიბეში და იმის მიხედვით ასწორებსო“ („შინაური საქმეები“, 1910, № 11, „საქმისათვის ვერ მიგვიგნია“).

სამღვდელოების განათლების დაბალი დონისა და ხალხისაგან ჩამოშორების ერთ მთავარ მიზეზად სიმონ მჭედლიძეს საღვთო სჯულის რუსულად სწავლება მიაჩნია, რაც „ძირს უთხრიდა სამშობლო ღვთისმეტყველებას, უკარგავდა ენას და ამუნჯებდა სამღვდელოებას, უსპობდა მწიგნობრობას, ერთი სიტყვით, სპობდა მღვდელსა და ერს შორის ცხოველ დამოკიდებულებას“ (1910, № 18). იგი საყვედურობს სამღვდელოებას, რომელსაც „მეტის ხათრითა და მორიდებით სინოდის წინაშე ვერ გაებედნა აღეძრა საკითხი საღვთო სჯულის და საეკლესიო წიგნების — ტიპიკონ გალობათა ქართულად სწავლებისა.“

სიმონ მჭედლიძე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასულიერო

სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. სისტემატურად ბეჭდავს ამ საკითხებისადმი მიძღვნილ საკუთარ და სხვათა სტატიებს. „შინაური საქმეების“ 1908 წლის 20 აპრილის ნომრიდან ვიტყობთ, რომ 1907 წელს დეკემბერში ქ. თბილისში შემდგარა „მთავრობისგან ნებადართული კრება ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოებისა“, რომელსაც განუხილავს საკითხი „სემინარიებში საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შესახებ.“ კრების დეპუტატებს საჭიროდ უცვნიათ საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლების შემოღება და დადგენილება ამის თაობაზე სინოდში წარუდგენიათ, მაგრამ, როგორც გაზეთი იუწყება, სინოდს იგი არ დაუმტკიცებია იმ მიზეზით, რომ „სახელმძღვანელოები არა გვაქვსო.“ „სრულიად მართალი შენიშვნაა, — რომ ჩვენ სახელმძღვანელოები არა გვაქვს, — წერს რედაქტორი, — მაგრამ გვაქვს ღრმა და მდიდარი ენა და გვყავან მცოდნე უმაღლეს საღვთისმეტყველო კურსდამთავრებული პირები, რომელთა მეთხებით რამოდენიმე ხნის განმავლობაში შეგვიძლია მთელი საღვთისმეტყველო სახელმძღვანელოები გავაჩინოთ“ (1910, № 18). რედაქცია სიმონ მჭედლიძის ინიციატივით მოითხოვს სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე სასწრაფოდ შექმნას და თარგმნას, ამასთანავე, ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის შემუშავებას და, მაშასადამე, იმ მემკვიდრეობითი ხაზის აღდგენას, რომელიც იძულებით გაწყდა მას შემდეგ, რაც 1811 წლიდან რუსეთის მთავრობამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა და მის რუსიფიკაციას შეუდგა. რედაქცია დაჟინებით მოითხოვდა და ასაბუთებდა სასულიერო სასწავლებლებში სწავლების ქართულ ენაზე შემოღებას და ამ საქმეს პრაქტიკულადაც უწყობდა ხელს. სწორედ მის წიაღში დაარსებულ „იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობასა“ და მასთან არსებულ სტამბაში „ძმობა“ ჩაეყარა საფუძველი ქართულ ენაზე საღვთო სჯულისა და საღვთო ისტორიების, ღვთისმსახურების შესახებ ქართული სახელმძღვანელოების შექმნას. სწორედ რედაქტორი მღვდელი სიმონ მჭედლიძე და მისი გაზეთის თანამშრომლები დეკანოზი ნესტორ ყუბანეიშვილი, მღვდელი მელიტონ კელენჯერიძე და „ძმობის“ სხვა წევრები არიან ავტორები XX საუკუნის დასაწყისში შექმნილი საღვთო სჯულის სახელმძღვანელოებისა, რომლებიც დღესაც გამოიყენება სასწავლებლებში. „შინაური საქმეების“ 1913 წლის № 8-ში დაბეჭდილი ვრცელი სია აქ გამოცემული წიგნებისა ნათელყოფს ამ რედაქციის 5 წლის შრომის ნაყოფს. ამ ჩამონათვალშია როგორც წმინდანთა ცხოვრება-მარტვილობანი, ისე სასულიერო-განმანათლებლური ხასიათის ლიტერატურა, როგორებიცაა: „ახალი აღთქმის საღვთო ისტორია,“ „მოკლე საეკლესიო ისტორია“ საქართველოს ეკლესიის ისტორიის შესანიშნავ მოვლენათა დამატებით, „მოწმობანი მე-17-18 საუკუნეთა ოფიციალური მიწერ-მოწერისა საქართველოს (ოერიის) ეკლესიის ავტოკეფალობის შესახებ“ ალ. ცაგარლისა, „სარწმუნოება და მისი უარისმყოფელნი ჩვენში“, „სინამდვილე სახარებისა“, „წყარო ურწმუნოებისა“, „ათეიზმი, მისი წარმოშობა და გავლენა მეც-

ნიერებასა და ცხოვრებაზე,“ „ქრისტიანობა და დემოკრატია,“ „პროფ. მაქს მიულერის აზრი მატერიალიზმზე,“ „ქრისტიანობა ბებელის ლაბორატორიაში,“ „პატარა ქრისტიანი“, „საჭიროა თუ არა ეკლესიაში ვიარებოდეთ“ და სხვ. მათ შორის უმეტესობა თვით სიმონ მჭედლიძეს ეკუთვნის.

სიმონ მჭედლიძე მოუწოდებდა საქართველოს სამღვდელოებას, შეერთებინა თავისი ხმა „იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელი ძმობისათვის,“ გაეზიარებინა მისი მისწრაფებები და მიზნები: „რად საღვთო საუბრებს არ ვმართავთ, რად არ ვქმნით სასულიერო პროპაგანდას იმ დროს, როცა საერო საუბრები სახალხო სახლებში, სახალხო უნივერსიტეტებში, თეატრებში და კერძო სახლებში დღემუდამ, „დროთი უდროო“, როგორც ამბობს პაულე მოციქული, გაისმის? მე არ უარვყოფ ამ საუბრებს, გარნა თანაუგრძნობ კიდეც, მაგრამ ეჭვი არ არის, რომ ეს საუბრები უმეტესწილად გაჟღენთილნი არიან თანამედროვე მატერიალისტურ-ათეისტური აზრებით და მიმართულებებით, რაც დიდ საფრთხეს უშზადებს ხალხის კეთილმორწმუნოებას. სამღვდელოების ვალია შეასუსტოს თავისი საუბრებით თანამედროვე საერო ათეისტური საუბრების ასეთი გავლენა. აი, საით იწვევს დღეანდელ მოძღვარს თავისი მოვალეობა, აი, რას უნდა მიექცეს დღეს უმთავრესი ყურადღება. განა სამღვდელოების საქმე არ არის, რათა, რაოდენი მისცა მას ღმერთმა, არა წარწყმიდოს მისგან? და, თუ ასეა, რას შერებით, მამანო?.. დღეს კალმის წერი და ცხოველი მაგალითია საჭირო!“ (1910, № 1). თვითონ იგი სიტყვით, კალმითა და ცხოველი მაგალითით ცდილობდა ხალხის მოქცევას ქრისტეს სჯულისა და ეკლესიისაკენ და ამ გზაზე არ ეპუებოდა დაბრკოლებებსა და წინააღმდეგობებს, არ უშინდებოდა შეურაცხყოფას და ცილისწამებებს: „ნუ დავივიწყებთ, რომ დაბრკოლება ყოველ კეთილ საქმეს ელობება წინ, მაგრამ გმირობაც და ქრისტიანული მოღვაწეობაც ამ დაბრკოლების გადალახვაშია,“— წერდა იგი სტატიაში „ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის ცირკულარის გამო“ (1910, №2). მას ხშირად უხდებოდა ცილისმწამებელთა შემოტევების მოგერიება თავისი მახვილი კალმით. აი, მაგალითად, 1910 წლის № 27-ში, ვინმე „ახალის“ ფსევდონიმს ამოფარებულ ჟურნალ „მწყემსის“ ერთ-ერთი პოლემიკური სტატიის ანონიმ აეტორს, რომელიც „შინაურ საქმეებსა“ და მის რედაქტორს ბრალს სდებდა იმაში, რომ „მას ვიწრო ნაციონალური მიმართულება არა აქვსო,“ რედაქტორი შემდეგ პასუხს აძლევს: „ქართველი თავის დღეში არ ყოფილა ვიწრო ნაციონალისტი. საქართველოს ისტორიამ არ იცის უცხო ნაციების დევნა და ქართველებს არასოდეს აზრად არ მოსვლიათ თავისი ბედნიერების აშენება რომელიმე ნაციის უბედურებაზე. ერთი სიტყვით, ქართველი ერი არ ყოფილა სხვა ერის მჭამელი, როგორც დღეს ეხდავთ ერიყლაპია ხალხებს. ეს ძირითადი თვისებაა ქართველი ერისა და, ვისაც ეროვნული გაზეთი უნდა გამოსცეს ჩვენში, მან ამ ნაციონალურ თვისებას არ უნდა ულალატოს. ყველა ერი ერია, ყველა ღვთის გაჩენილია, ყველას აქვს უფლება არსებობისა და თვითარსებობისა. მიუხედავად ერიყლაპია ადამიანებისა და

მთელი ხალხებისაც, ეს ჰუმანური თვისება ქართველებისა საღვთო პრინციპადაა აღიარებული და, ადრე თუ გვიან, მთელ ქვეყნიერებას დაიპყრობს. ამ მხრივ, ჩვენი გაზეთი სწორედ ნაციონალურია, მაგრამ ბ-ნ ახელს მაინც დასჭირდა არაეროვნულ გაზეთად გამოეცხადებია იგი." „ახელი" უსამართლოდ უკიჟინებდა გაზეთს, რომ მასში იბეჭდებოდა ხოლმე თარგმანები რუსული და სხვა მართლმადიდებელი ქრისტიანული ლიტერატურისა.

ამგვარ და სხვა ცილისწამებათა გამო 1914 წლის იანვარში იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა 55-ე კრებამ საგანგებოდ განიხილა "შინაური საქმეების" რედაქტორის მოხსენება გაზეთის გაუქმებასთან დაკავშირებით და მოითხოვა ამ, ქართულ ენაზე არსებული ერთადერთი სასულიერო გაზეთის აღდგენა და ხაზინიდან დაფინანსება, სანამ "მოიძებნებოდა სხვა სახსარი" (იხ. აქვე, სიმ. მჭედლიძის მოხსენების ხელნაწერის ფოტოასლი).

მიუხედავად დაბრკოლებებისა, მღვდელი სიმონ მჭედლიძე 1913 წელს აარსებს კიდევ ერთ ჟურნალს, „განთიადს", რომელიც ცოცხალი გამომხატველია XX საუკუნის I მეოთხედის დასავლეთ საქართველოს მჩქეფარე და აქტიური კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრებისა. ეს იყო ჯერ ყოველთვიური საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ჟურნალი (1913 წელს გამოვიდა 274 გვერდიანი კრებულის სახით), ხოლო 1915 წლის იანვრიდან გამოდის როგორც ორკვირეული სამეცნიერო-ლიტერატურული და საპოლიტიკო ჟურნალი (შემდეგ სიმონ მჭედლიძეს რომანოზ ფანცხავა-ხომლელი შეენაცვლა).

ჟურნალ „განთიადის" გამოსვლასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა ჟენევის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა თხოვნა რედაქტორ სიმონ მჭედლიძისადმი:

